kompasi

სახელმძღვანელო ადამიანის უფლებათა განათლების სფეროში ახალგაზრდების მონაწილეობით

ავტორები:

პატრიცია ბრანდერი	ბარბარა ოლივეირა
რუი გომესი	იანა ონდრაჩკოვა
ელი კინი	ალესიო სურიანი
მარი-ლორ ლემინერი	ალიონა სუსლოვა

მხატვარი
პანჩო

რედაქტორები:
პატრიცია ბრანდერი
ელლი კინი
მარი-ლორ ლემინერი

პროექტის კოორდინირება და საბოლოო რედაქტირება: რუი გომესი
პროექტის ასისტენტი: ნატალია მიკლაში

სარეკომენდაციო ჯგუფის შემადგენლობა, რომლის ხელმძღვანელობითა და მხარდაჭერით მომზადდა სახელმძღვანელო:

დოქტორ ელი აბუაუნი	ლუიზა ნილინი
ანატოლი აზაროვი	ბარბარა ოლივეირა
პატრიცია ბრანდერი	იუნის სმიტი
ელლი კინი	ალესიო სურიანი
კორინა მიხაელა ლეკა	ალიონა სუსლოვა
მარი-ლორ ლემინერი	ვიმ ტელმანი
ბრიჯიტ მულიე	ანდრეი იუროვი

ინგლისური გამოცემა:
“COMPASS – A manual on human rights education with young people”
ISBN 92-871-4880-5

ფრანგული გამოცემა:
“Repères – Manuel pour la pratique de l’éducation aux droits de l’homme avec les jeunes”
ISBN 92- 871-4595-3

სახელმძღვანელოში გადმოცემულ შეხედულებებზე პასუხისმგებლობას ავტორები კისრულობენ; არაა აუცილებელი ეს შეხედულებები აუცილებლად გამოხატავდნენ ევროპის საბჭოს აზრს.

გამოცემის საავტორო უფლებები ეკუთვნის ევროპის საბჭოს. კომერციული მიზნით მთლიანი წიგნის ან მისი ნაწილის გადაბეჭდვა და გავრცელება ნებისმიერი ფორმითა და ნებისმიერი საშუალებით, ელექტრონული (CD-ROM, ინტერნეტი და ა.შ.) ან მექანიკური, ფოტოკოპირების ჩათვლით, ინფორმაციის რომელიმე მატარებელზე ჩაწერა ან რეალიზება, აკრძალულია ევროპის საბჭოს პუბლიკაციების განყოფილების (publishing@coe.int) და კომუნიკაციებისა და კვლევის საკითხთა დირექტორატის წერილობითი თანხმობის გარეშე (წერილობითი მიმართვის ასლი უნდა გაიგზავნოს ევროპის ახალგაზრდულ ცენტრში შემდეგ მისამართზე: 1-3Zivatar utca, H-1024 Budapest, Hungary; ელექტრონული ფოსტის მისამართი: eycb.secretariat@coe.int).

მოცემული პუბლიკაციიდან მასალის რეალიზება არაკომერციული მიზნით დასაშვებია მხოლოდ ციტატის წყაროს შესაბამისი ციტირების შემთხვევაში.

პანჩოს კარიკატურების განსაკუთრებული საავტორო უფლებები ეკუთვნის თვით მხატვარს. მიმართვა ნახატების რეალიზების უფლებისათვის უნდა გაეგზავნოს პირადად მხატვარს, თუკი ასეთი რეალიზება უშუალოდ არ არის დაკავშირებული სახელმძღვანელოში მოცემული სავარჯიშოს შესრულებასთან.

ორიგინალთან ქართული ტექსტის იდენტურობაზე პასუხისმგებლობა მთლიანად ეკისრება “ადამიანის უფლებათა განათლების ცენტრს”.

ქართული გამოცემის რედაქტორი: გიორგი კენჭოშვილი
ქართული გამოცების სამეცნიერო რედაქტორი: გივი მიქანაძე
დიზაინი: “ადამიანის უფლებათა განათლების ცენტრი”
მთარგმნელები: მაკა წულუკიძე, ტატა პატარაია
ნახატები: ©პანჩო
ფოტოები: გვ. 297 ©MTI (ნელსონ მანდელა)
გვ. 297 ©Devid King Kollection (ევგენია გინზბურგი)
გვ. 298 ©MTI (მარტინ ლუთერ კინგ)
გვ. 298 ©MTI (მაჰატმა განდი)
გვ. 299 ©Gamma Press (აუნ სან სუ ჩჟი)
გვ. 299 ©Tibet Information Network (ნგავანგ სანგდროლი)

Council of Europe Publishing
F-67075 Strasbourg Cedex

ISBN 99928-0-940-x
©2003 Human Rights Education Centre (HREC) on Georgian translation,
©2001 Council of Europe on publication in English and Franch together with the following acknowledgement.
This translation of Compass – a manual on human rights education with young people, is publishing by arrangement with the Council of Europe.

©Counsil of Europe, აგვისტო 2004 წელი.
დაბეჭდილია საქართველოში

sarCevi

მადლობა 9
წინასიტყვაობა 10
შესავალი 11

avi 1 – ganaTleba adamianis uflebaTa sferoSi da kompasi, mokle megzuri praqtikosTaTvis 19

განათლების არსი ადამიანის უფლებათა სფეროში 21
რას ნიშნავს განათლება ადამიანის უფლებათა სფეროში? 21
განათლების შედეგები ადამიანის უფლებათა სფეროში 22
ცოდნა, უნარ-ჩვევები და ურთიერთობები 23
ყოვლისმომცველი მიდგომა 24
ადამიანის უფლებათა სწავლება ახალგაზრდების მონაწილეობით 25
ფორმალური და არაფორმალური საგანმანათლებლო გარემო 26
განათლება ადამიანის უფლებათა სფეროში, როგორც მოქმედების პირველი ნაბიჯი 27
განათლების საერთაშორისო მხარდაჭერა ადამიანის უფლებათა სფეროში 28
ადამიანის უფლებების სწავლება და განათლების სხვა სფეროები 31
ადამიანის უფლებათა სამყარო 31
რას ნიშნავს „ადამიანის უფლებათა პრობლემა?“ 31
სახელმძღვანელოში გაშუქებული საკითხები 32
სამოქალაქო განათლება 34
ინდივიდუალური და სოციალური განათლება 34
გლობალური განათლება 35
კულტურათაშორისი განათლება 35
განვითარების პრობლემების სწავლება 36
ეკოლოგიური განათლება 37
განათლება მშვიდობის კულტურის სფეროში 37
სამართლებრივი განათლება 38
kompasis გამოყენება ევროპის სხვადასხვა ქვეყანაში 39
რა არის ევროპა და სად მდებარეობს იგი? 39
წიგნი ევროპისათვის? 41
ევროპული ოცნება 42
ახალგაზრდული წარმომადგენლობა და მისი მუშაობა 43
ბავშვის უფლებათა კონვენცია 44
წიგნის მომზადების პროცესი 45
სახელმძღვანელოთი სარგებლობა სხვადასხვა ენებზე და სხვადასხვა ქვეყნებში 46
როგორ ვისარგებლოთ kompasiT 48
როგორ ვისარგებლოთ სახელმძღვანელოთი 48
სწავლების მეთოდები 49
ადამიანის უფლებათა შესწავლისას წამოჭრილი შეკითხვები 57
რჩევები მათთვის, ვინც სარგებლობს სახელმძღვანელოთი 59
რჩევები პედაგოგებისათვის 62
მუშაობის ჯგუფური პროცესი 63
ჯგუფური მუშაობის მეთოდები 63
ზოგადი რჩევები სავარჯიშოების შესასრულებლად 63
როცა მეცადინეობა მოულოდნელ ხასიათს იღებს 68
ჯგუფში არსებული კონფლიქტების მართვა 69
ეფექტური სასწავლო ჯგუფების ჩამოყალიბების მეთოდები და ხერხები 71
დისკუსიის წარმართვის ჩვევების განვითარების მეთოდები და ხერხები 72
კოლექტიური გადაწყვეტილების მიღების ჩვევების განვითარების მეთოდები და ხერხები 76
ანალიტიკური თამაშები 77

Tavi 2 _ 49 praqtikuli savarjiSo da meTodika adamianis uflebaTa Sesaswavlad 85

სავარჯიშოების ნუსხა 86
აირჩიე 87
ამბავი ორი ქალაქის შესახებ 90
აშიკის ისტორია 102
ბავშვთა უფლებები 107
ბაღი ერთ ღამეში 112
„ბინგოს“ უფლებები! 117
ბრძოლა სიმდიდრისა და ძალაუფლებისათვის 120
გადადგი ნაბიჯი წინ 126
განათლება ყველასათვის? 132
განსხვავებული ხელფასები 138
გვაქვს რაიმე ალტერნატივა? 143
გლობალიზაციის ტერმინოლოგიური ლექსიკონი 147
გმირები 150
„დაე ყველას აზრი იყოს მოსმენილი!“ 154
დავინახოთ საკუთარი შესაძლებლობები 158
დასურათებული თამაშები 164
1. რას ხედავთ? 164
2. რას ხედავთ პანჩოს ნახატებში? 169
3. სურათის ნაწილები 169
4. მინაწერები ფოტოსურათებზე 170
5. პერსონაჟთა რეპლიკები 171
ვინ ვართ მე? 172
ელექტროსადგური 175
ენობრივი ბარიერი 179
ერთი წუთით! 182
ვისაუბროთ სექსზე! 186
თამაში „დახატე სიტყვა“ 191
თანასწორობის ქვეყნისაკენ მიმავალი გზა 194
ითამაშე! 198
ინსცენირება 203
ინტერნეტის ზეგავლენა 206
კავშირების დამყარება 215
მაკა – ვეშაპებზე მონადირე 219
მივცეთ თუ არა ხმა? 230
პირველი გვერდი 237
პროფკავშირების შეხვედრები 243
რასიზმის მოგერიება 249
როცა დადგება ხვალინდელი დღე 256
სად დგახართ? 261
სამსახური და ბავშვები 265
საშინაო საქმეები 269
სახარჯო ფული 276
სიღარიბის ჰოროსკოპი 282
სიცოცხლის ქსელი 288
სპორტი ყველასათვის 292
უფლებებისათვის მებრძოლები 296
ფრთხილად, ჩვენ ყველაფერს ვხედავთ! 302
„ყველა თანასწორი – ყველა განსხვავებული“ 306

შეიძლება შემოვიდე? ... 310
ჩვენი მომავლის ვარიანტები ... 317
ცხოვრება სრულყოფილ სამყაროში ... 321
ძალადობა ჩემს ცხოვრებაში ... 328
წამლების ხელმისაწვდომობა ... 331
ადამიანის უფლებათა კალენდარი ... 338

avi 3 _ moqmedebaze gadasvla ... 343
მოქმედებაზე გადასვლა ... 345
აქტივობის აუცილებლობა ... 345
ზოგიერთი მარტივი ნაბიჯი აქტივობისაკენ ... 346
გაარკვიე; მიყევი მოვლენებს კვალდაკვალ ... 346
გახადე მოვლენები საჯარო ... 348
გააერთიანე ძალები სხვა ორგანიზაციასთან ... 350
შედეგების მიღება! ... 352
მოქმედების გეგმის შედგენა ... 353
სად დგახართ? ... 354
რაში მდგომარეობს მიზანი? ... 355
როგორ მივაღწიოთ მიზანს? ... 356

avi 4 _ damatebiTi informacia adamianis uflebaTa Sesaxeb ... 361
ადამიანის უფლებათა არსი ... 363
ისტორიული მიმოხილვა ... 365
ადამიანის უფლებები მსოფლიოს სხვადასხვა კუთხეში ... 368
როგორ ვისარგებლოთ ჩვენი უფლებებით? ... 369
დილემები და ადამიანის უფლებების არასწორი გამოყენება ... 371
კვლავ გამოცანები ... 372
ადამიანის უფლებათა ევოლუცია ... 374
რა უფლებას ვფლობთ? ... 374
ადამიანის უფლებათა სამართლებრივი დაცვა ... 381
ძირითადი საერთაშორისო დოკუმენტები ... 382
ადამიანის უფლებათა დაცვის უზრუნველყოფა ... 386
არის ეს საკმარისი? ... 391
აქტიურობა და არასამთავრობო ორგანიზაციების როლი ... 392
წარმატებულ აქციათა მაგალითები ... 395
კითხვები და პასუხები ... 399
ჩამჭრელი შეკითხვები ... 401

avi 5 _ damatebiTi informacia sazogado Temebis Sesaxeb ... 405
ბავშვები ... 407
განათლება ... 414
გარემო პირობები ... 421
გენდერული თანასწორობა ... 426
გლობალიზაცია ... 431
დემოკრატია ... 436
დისკრიმინაცია და ქსენოფობია ... 442
მედია ... 460
მოქალაქეობა ... 466
მშვიდობა და ძალადობა ... 471

პიროვნების უსაფრთხოება *478*
სიღარიბე *484*
სოციალური უფლებები *489*
სპორტი *495*
ჯანმრთელობა *502*
შენიშვნები *508*

danarTi _ adamianis uflebaTa saerTaSoriso aqtebi da Sefasebis anketa..... *511*
ქვეყნები, რომლებმაც მოახდინეს ადამიანის უფლებათა ძირითადი საერთაშორისო დოკუმენტების რატიფიკაცია *513*
ადამიანის უფლებათა საყოველთაო დეკლარაცია (რეზიუმე) *514*
ადამიანის უფლებათა საყოველთაო დეკლარაცია *515*
საერთაშორისო პაქტი სამოქალაქო და პოლიტიკური უფლებების შესახებ *518*
საერთაშორისო პაქტი ეკონომიკური, სოციალური და კულტურული უფლებების შესახებ *519*
ბავშვის უფლებათა კონვენცია (რეზიუმე) *520*
ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვის ევროპის კონვენცია (რეზიუმე) *522*
ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვის ევროპის კონვენცია, №11 ოქმით შეტანილი ცვლილებები და დამატებები *523*
ევროპის სოციალური ქარტია (რეზიუმე) *531*
ეროვნული უმცირესობების დაცვის ჩარჩო კონვენცია (რეზიუმე) *533*
რეგიონალური ენების ან ენობრივ უმცირესობათა ევროპის ქარტია *534*

ანკეტა შეფასებისა და გამოხმაურებისათვის *537*

madloba

ჩვენი სამადლობელი სიტყვები ეკუთვნით:

- საკონსულტაციო ჯგუფის წევრებს, ავტორებისადმი მუდმივი ყურადღების გამოჩენისათვის, დახმარებისა და მხარდაჭერისათვის;
- სანდუს ალ-ჰასანის, ჰენრიკე აისფელდს, დარიუშ გრჟემნის, დილვარ ჰუსეინს, დოქტორ მონიკა მადაის, ივან ივანოვს, იაელ ოჰანას, ტავს კვისტს, დიერდი ტოტსა და არიოს ვენდრიგს ტექსტის კომენტარებისა და საინტერესო წინადადებებისათვის;
- ერენ შოკენბროკს, ევროსაბჭოს ადამიანის უფლებათა გენერალური დირექტორატის წარმომადგენელს ტექსტის ყურადღებით გაცნობისა და სასარგებლო შენიშვნებისათვის;
- ნადია ბანო გომესს, ტერეზა კუნიას, ლაურა დე ვიტეს, დიპაკ გ. ნაიკს, ევგენი გერგას, ერჟებატ კოვაჩს, ნანა საგინაშვილს და სხვებს, ფასეული შენიშვნებისა და სასარგებლო წინადადებისათვის;
- ადამიანის უფლებათა, მშვიდობის, დემოკრატიისა და ტოლერანტობის იუნესკოს განყოფილებას, მხარდაჭერისა და სასარგებლო რჩევებისათვის;
- ახალგაზრდულ ორგანიზაციებს, ეროვნულ ახალგაზრდულ საბჭოებს, ადამიანის უფლებათა და ჰუმანიტარული უფლებების ფონდს (ლიბანი), ჩარლზ მალიკის ფონდს და სხვა ორაგანიზაციებს მასალების მოწოდებისათვის;
- ინტერნეტში განთავსებული სამუშაო ვარიანტის მკითხველებს, წიგნის მიმართ სკეპტიკურად განწყობილი მკითხველების ჩათვლით;
- ადამიანის უფლებათა განათლების ასოციაციის ადამიანის უფლებათა სწავლების პედაგოგებს, გლობალური ელექტრონული სიის წევრებს, კომენტარებისა და სათაურის შერჩევაში დახმარებისათვის;
- ადამიანის უფლებათა სწავლების ახალგაზრდული პროგრამის მონიტორინგის ჯგუფს, მხარდაჭერისა და იდეებისათვის;
- ყველას, ვინც ზოგჯერ თავისდაუნებურად გვეხმარებოდა შინაარსის ფორმირებაში;
- მაიკლ ჰიუგზის, ბრიტანული საბჭოს ბუდაპეშტის ოფისის წარმომადგენელს, იმ წვლილისათვის, რომელიც ცილდებოდა კორექტორის ჩარჩოებს.

რკინიგზის საერთაშორისო კავშირს, კერძოდ, „ინტერრეილს“ ახალგაზრდული მოძრაობის სოლიდარობის ფონდის საშუალებით განხორციელებული ფინანსური მხარდაჭერისათვის.

ბოდიშს ვუხდით მათ, ვინც ვერ მოვიხსენიეთ ამ სიაში და ვწუხვართ, რომ სახელმძღვანელოში ვერ ჩავრთეთ ყველა მიღებული მასალა და წინადადება.

Council of Europe
The Secretary General

მსოფლიოს გლობალურ სოფელთან შედარება თითქმის ბანალურ მოვლენად იქცა. გლობალიზაცია ასოცირდება ვაჭრობის, თანამშრომლობისა და კომუნიკაციის მზარდ შესაძლებლობებთან და რისკებთან. მიუხედავად ამისა, გლობალიზაციის ჭეშმარიტ პრობლემად რჩება უნივერსალური შემეცნების განვითარება, რომელიც ადამიანის უფლებებს, პლურალისტულ დემოკრატიასა და თანასწორფლებიანობას განიხილავს, როგორც უმნიშვნელოვანეს ფასეულობებს.

ევროპის საბჭო და ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენცია შეიქმნა ომისა და ბარბაროსობის იმ საშინელი გამოვლინებების პასუხად, რაც კი კაცობრიობას ოდესმე განუცდია. კონვენცია და ის დოკუმენტები, რომლებიც დროთა განმავლობაში შეიქმნა (წამების საწინააღმდეგო, სოციალური უფლებების დამცავი და ა.შ) უსამართლობის, ჩაგვრისა და დისკრიმინაციის წინააღმდეგ მებრძოლ ადამიანებისათვის და არასამთავრობო ორგანიზაციებისათვის იმედისა და შთაგონების წყაროს წარმოადგენდნენ. ბევრი წარმატება უკვე მიღწეულია. თუმცა გასაკეთებელი კვლავ ბევრი რჩება. ევროპაში ჯერ კიდევ ირღვევა, ითრგუნება და უგულვებელყოფილია ძალიან ბევრი ადამიანის უფლება.

კონვენციები ადამიანის უფლებათა შესახებ მიღწევაა, რომელიც ჩვენ ყველას ევროპელებად გვაერთიანებს. ისინი გზას გვიკვლევენ დაეჭვებისა და ცვლილებების ჟამს. მათი დაცვა და შესრულება ევროპის ყველა სახელმწიფოს უმაღლესი მოვალეობაა.

და მაინც, ადამიანის უფლებებს მხოლოდ იურიდიული ტექსტები ვერ დაიცავს. მათ დაცვასა და შესრულებაზე უნდა იზრუნოს ყველამ, ახალგაზრდების ჩათვლით. ეს სახელმძღვანელო აძლევს ახალგაზრდებს შესაძლებლობას გაიგონ ადამიანის უფლებების არსი და ისაუბრონ მის ენაზე. ის აგრეთვე სთავაზობს ახალგაზრდების ლიდერებს, მასწავლებლებს, პედაგოგებს, პროფესიონალებს და მოხალისეებს კონკრეტულ იდეებს როგორ მოახდინონ ახალგაზრდების მოტივირება და ჩართვა ადამიანის უფლებების დასაცავად, პიროვნული ინიციატივების განსახორციელებლად მათსავე საზოგადების ფარგლებში.

ეს სახელმძღვანელო არ იძლევა რაიმე მზა გადაწყვეტილებებს. არ არსებობს არავითარი მზა გადაწყვეტილებები სიღარიბის, დისკრიმინაციის, ძალადობის ან არატოლერანტულობის წინააღმდეგ. ის არც პასუხებს შეიცავს ადამიანის უფლებებთან დაკავშირებულ ყველა კითხვაზე. ის, რასაც სახელმძღვანელო ნამდვილად იძლევა არის შესაძლებლობა მათთვის, ვინც ადამიანის უფლებების შესახებ განათლების სფეროში ერთვება ამომწურავად და შემოქმედებითად განიხილონ ეს თემები, რაც თავისთავად წარმოადგენს განათლებას ადამიანის უფლებების შესახებ.

ეს სახელმძღვანელო კომპასის მსგავსად გვიჩვენებს სხვადასხვა გზებს და მიმართულებებს ადამიანის უფლებების სფეროში მოგზაურობისათვის. კომპასის მსგავსად ის შეიძლება და უნდა იქნას გამოყენებული მთელ ევროპაში ნებისმიერი ადამიანის უფლებებით, დემოკრატიით და სამოქალაქო საკითხებით დაინტერესებული პირის მიერ.

თუ ის აზრი, რომ ჩვენ 21 საუკუნეში შევაბიჯეთ ცეცხლოვანი კარიბჭის გავლით მართალია, ეს კიდევ ერთხელ გვარწმუნებს, რომ ბევრი ახალგაზრდა, და ახალგაზრდული ორგანიზაცია, მასწავლებლები და პედაგოგები მზად არიან ხელი მოკიდონ განათლების პრობლემათა გადაწყვეტას ადამიანის უფლებათა სახელით და საშუალებით.

ეს სახელმძღვანელო არის კიდევ ერთი წვლილი ამ საქმეში და მათი ღვაწლის დაფასება.

ვალტერ შვიმერი
გენერალური მდივანი

Sesavali

თქვენ ხელთ გიპყრიათ kompasi, სახელმძღვანელო ადამიანის უფლებების სფეროში ახალგაზრდების მონაწილეობით!

იმედი გვაქვს, ის მოგაწვდით იდეებს, შთაგონებებს და მოტივაციას ადამიანის უფლებების განათლების სფეროში მოღვაწეობისათვის ახალგაზრდების მონაწილეობით. წიგნი დაიწერა ადამიანის უფლებების განათლების სფეროში ევროპის საბჭოს ახალგაზრდობისა და სპორტის დირექტორატის ახალგაზრდული პროგრამის მონაწილეობით, რომელიც შეიქმნა 2000 წელს ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის 50-ე წლისთავის აღსანიშნავად. პროგრამის მიზანია ადამიანის უფლებები აქციოს ახალგაზრდების მუშაობის ცენტრალურ ნაწილად და ამდენად, განათლება ადამიანის უფლებების სფეროში ჩაერთოს საერთო განათლების სისტემაში.

ადამიანის უფლებათა სწავლება, – იგულისხმება საგანმანათლებლო პროგრამები და საქმიანობები, რომლებიც მიზნად ისახავენ ადამიანის თანასწორობის დამკვიდრებას თანაბარი ღირსებების საფუძველზე – ფასდაუდებელი ღირებულებაა მოქალაქეობის ევროპული განზომილების ფორმირებაში, რაც ძალზე მნიშვნელოვანია ნებისმიერი ევროპელისათვის. ევროპის საბჭოს ახალგაზრდობისა და სპორტის დირექტორატის იმ პროგრამებთან ერთად, როგორებიცაა, კულტურათაშორისი სწავლება, მონაწილეობა, უმცირესობებისა და უმცირესობების წარმომადგენელი ახალაგაზრდების მხარდაჭერა, შექმნილ განათლების პროგრამას ადამიანის უფლებების სფეროში აქვს ქმედებათა კატალიზატორისა და დახმარების წყაროს პოტენცია. ისინი, ვინც არაფორმალურ საგანმანათლებლო მუშაობაში არიან ჩართულნი, უნდა შეეძლოთ განიხილონ ევოლუცია, პრაქტიკა და ადამიანის უფლებათა პრობლემები მათი უნივერსალურობის, განუყოფლობისა და მთლიანობის გათვალისწინებით და გაიაზრონ თუ რას ნიშნავს ეს დღევანდელი ახალგაზრდობისათვის.

ევროპის საბჭოს ახალგაზრდობისა და სპორტის დირექტორატმა, ევროპის ახალგაზრდული ცენტრისა და ევროპის ახალგაზრდობის ფონდის მხარდაჭერით, მოიპოვა განსხვავებულ კულტურულ გარემოში გამოსაყენებელი სასწავლო მასალების შექმნის ექსპერტის მყარი რეპუტაცია, როგორც ფორმალურ, ასევე არაფორმალურ საგანმანათლებლო გარემოში. გამავრცელებლებთან მუშაობამ და ისეთი პროექტების ზეგავლენამ, როგორებიცაა ახალგაზრდული კამპანია "ყველა განსხვავებული – ყველა თანასწორი" და გრძელვადიანმა ტრეინინგ პროგრამებმა, თავის წვლილი შეიტანეს იმ პროექტების ჩამოყალიბებაში, რომლებიც უმთავრესად და უპირველესად გავლენას ახდენენ ხალხზე და ამავე დროს ინარჩუნებენ საერთოევროპულ ხასიათს.

სულ ცოტა ხნის წინ, როგორც ევროპაში, ასევე მსოფლიოს სხვა რეგიონებში მიმდინარე მოვლენები, საფრთხის წინაშე აყენებდნენ მშვიდობის კულტურის საფუძვლებსა და ადამიანის უფლებების პატივისცემას. ამ მოვლენებმა ნათლად დაგვანახა, რომ საჭიროა ადამიანის უფლებათა სწავლების სფეროში გატარდეს უფრო გამოკვეთილი და გააზრებული ღონისძიებები.

ამ კონტექსტში ადამიანის უფლებათა სწავლების ახალგაზრდული პროგრამა მიზნად ისახავს:

- ადამიანის უფლებათა სწავლება აქციოს ახალგაზრდობის მუშაობის ძირითად მიმართულებად;
- დააფასოს და განავითაროს ახალგაზრდების არაფორმალური განათლება, როგორც ადამიანის უფლებათა სწავლების ერთ-ერთი ფორმა;
- დააფასოს ახალგაზრდები და ახალგაზრდული ორგანიზაციები, როგორც ადამიანის უფლებათა სწავლებისა და ევროპის სამოქალაქო საზოგადოების ფუნდამენტური რესურსი;
- დაამკვიდროს ადამიანის უფლებათა სწავლების ფართო გაგება და, ამავე დროს, პატივი სცეს ახალგაზრდებისა და დღევანდელი ევროპის სოციალურ-კულტურული რეალობის მრავალფეროვნებას;
- ჩამოაყალიბოს ახალი ასოციაციური ქსელები და პარტნიორებთან ერთად უზრუნველყოს თანამშრომლობა განათლების არაფორმალურ და ფორმალურ სფეროებში;
- პრაქტიკოსებისა და პარტნიორების ჩართვით, ეძებოს და მიაღწიოს მაქსიმალურ "გამრავლების ეფექტს" ეროვნულ და საერთაშორისო დონეზე;
- მთელი ევროპის მასშტაბით მიაწოდოს პრაქტიკოსებს ახალი საგანმანათლებლო მეთოდოლოგია ახალგაზრდული საქმიანობისათვის, ადამიანის უფლებათა სწავლებაზე დაყრდნობით;
- მოახდინოს კულტურათაშორისი და არაფორმალური განათლების სფეროებში დაგროვილი გამოცდილების ინტეგრირება, ახალგაზრდების ჩართვა საზოგადოებრივ ცხოვრებასა და ძიებაში;
- გაითვალისწინოს საგანმანათლებლო მიდგომებისა და საშუალებების ინოვაციური მეთოდები.

kompasi adamianis uflebaTa ganaTlebis sferoSi moRvawe praqtikosebisaTvis

kompasi წარმოადგენს ამ პროგრამის ცენტრალურ ნაწილს, რომელიც, ასევე, მოიცავს ძალადობის სხვადასხვა ფორმასთან დაკავშირებული ადგილობრივი ექსპერიმენტული პროექტების, ეროვნული და რეგიონალური ტრეინინგ-კურსებისა და სპეციფიკური ღონისძიებების მხარდამჭერ ღონისძიებებს. იმის ნაცვლად, რომ გამოგვეცა „კიდევ ერთი" სახელმძღვანელო, და გვეძებნა ადამიანის უფლებათა შესწავლის ახალი მეთოდები და ხერხები, ჩვენ მიზნად დავისახეთ ამ წიგნის საშუალებით ადამიანის უფლებათა სწავლება გაგვეხადა მისაწვდომი, გამოყენებადი და საჭირო პედაგოგებისათვის, დამხმარე პერსონალისათვის, ლიდერებისათვის, მასწავლებლებისათვის, მოხალისეებისათვის და ტრენერებისათვის, რომლებიც აქტიურად არიან ჩართული ახალგაზრდების განათლების სფეროში. ეს არის მოკრძალებული (თუმცა ამბიციური) პასუხი იმ შეკითხვაზე, რომელიც ბევრი დაინტერესებული აქტივისტისა და პედაგოგის წინაშე დგას: "როგორ უნდა გავაკეთოთ ეს?"

რასიზმისა და არატოლერანტულობის წინააღმდეგ მიმართული 1995 წლის ევროპული ახალგაზრდული კამპანიის, – "ყველა განსხვავებული – ყველა თანასწორი", საგანმანათლებლო საქმიანობის შედეგად დაგროვილმა გამოცდილებამ, დაგვანახა, რომ ამ ტიპის ევროპული საგანმანათლებლო პროექტების წარმატებისათვის აუცილებელია:

- შეიქმნას "ყველა განსხვავებული – ყველა თანასწორი" მოდელის შესაბამისი საგანმანათლებლო მეთოდოლოგიები და ინსტრუმენტები;

- მსგავსი მასალები მომხმარებელთათვის ხელმისაწვდომი იყოს მშობლიურ ენაზე;
- არსებობდნენ ტრენერები, რომლებიც იმუშავებენ და გაავრცელებენ ცოდნას ეროვნულ, რეგიონალურ და ადგილობრივ დონეზე.

kompasi პასუხობს ამ მოთხოვნებს. იგი გამოცემულია ევროპის საბჭოს მიერ ინგლისურ, ფრანგულ და რუსულ ენებზე, თუმცა, ჩვენ მხოლოდ მივესალმებით წიგნის ადაპტირებასა და თარგმნას სხვა ენებზეც. ეროვნული და რეგიონალური სასწავლო ტრეინინგ-კურსების ორგანიზებამ, ხელი უნდა შეუწყოს, რომ ტრენერები და პედაგოგები გაეცნონ სახელმძღვანელოს და დაეხმარონ ადგილობრივ სკოლებს, ასოციაციებსა და ახალგაზრდულ ჯგუფებს მის ათვისებაში. კომპასის არსი არის მოქმედებისაკენ მოწოდება და წახალისება.

Semoqmedebis Ria da interaqtiuli procesi

კომპასის შექმნა ურთულესი ამოცანა აღმოჩნდა. მისი თემატური შემადგენლობა იმდენად ვრცელია – ადამიანის უფლებათა სწავლება ხომ თანამედროვე ცხოვრების თითქმის ყველა ასპექტს მოიცავს – რამდენადაც მრავალფეროვანია მისი გეოგრაფიული და კულტურული მასშტაბები. პოტენციალურ მომხმარებელთა სამუშაო პირობები და საგანმანათლებლო გარემო არსებითად განსხვავდებიან ერთმანეთიასაგან, როგორც ფორმალური, ასევე არაფორმალური სწავლებისას. ჩვენ დასაწყისშივე აღმოვჩნდით რამოდენიმე პრობლემის წინაშე, კერძოდ:

- შესაძლებელია ადამიანის უფლებათა უნივერსალურობისა და კონკრეტული სიტუაციების ურთიერთშეთავსება ევროპის სხვადასხვა ქვეყნის მრავალფეროვანი კულტურის გათვალისწინებით?
- შეიძლება ერთი და იგივე სახელმძღვანელოსა და მეთოდების გამოყენება სხხვადასხვა ქვეყანაში?
- არსებობენ ადამიანის უფლებებში ან ადამიანის უფლებათა სწავლებაში ისეთი ასპექტები, რომლებიც მხოლოდ ევროპისთვისაა დამახასიათებელი?
- რეალურია ისეთი სახლემძღვანელოს შექმნის მცდელობა, რომლის გამოყენებაც შესაძლებელი იქნება როგორც ფორმალური, ასევე არაფორმალური სწავლებისას?
- რა საბაზისო ცოდნას უნდა ფლობდნენ მომხმარებლები?
- კიდევ არის შესაძლებელი ამ სფეროში ნოვატორობა?
- მომზადებულნი არიან მიზნობრივი ჯგუფები სახელმძღვანელოს გამოსაყენებლად?
- აქვს აზრი სპეციალური წიგნის დაწერას ადამიანის უფლებათა სწავლების სფეროში ახალგაზრდების მონაწილეობით?

შეუძლებელი იყო ყველა კითხვაზე პასუხის გაცემა, ყველა ეჭვის გაფანტვა და რისკის გამორიცხვა. იმისათვის, რათა გაგვეცა პასუხები კითხვებზე და გაგვეთვალისწინებია პრობლემატური საკითხები, საჭირო იყო სამუშაო პროცესის დაწყება. შედეგად მივიღეთ წიგნი, რომელმაც უნდა გააერთიანოს გამოცდილება და ცოდნა ისეთ სფეროებში, როგორებიცაა:

- ადამიანის უფლებათა სწავლება;
- კულტურათაშორისი სწავლება;
- ახალგაზრდების მუშაობა;
- პედაგოგიკა და დიდაქტიკა;
- სამართალდამცავი ორგანოების საქმიანობა.

sakonsultacio da SemoqmedebiTi jgufebi

საკონსულტაციო ჯგუფი შეიქმნა ინტერნეტში გამოცხადებული ღია კონკურსის საფუძველზე. ჯგუფის ამოცანა იყო, რომ გამოეხატათ მხარდაჭერა წიგნის ავტორებისათვის. ამავე ჯგუფმა განსაზღვრა შინაარსის ზოგადი კონტურები და უზრუნველყო სხვა სფეროებში არსებული მასალებისა და გამოცდილების გათვალისწინება.

საკონსულტაციო ჯგუფი შედგებოდა:

- დოქტორ ელი აბუაუნი, ლიბანი, Nouveaux Droits de l'Homme-International
- ბ-ნი ანატოლი აზაროვი, რუსეთის ფედერაცია, ადამიანის უფლებათა მოსკოვის სკოლა
- ქ-ნი პატრიცია ბრანდერი, დანია, „ყველა განსხვავებული – ყველა თანასწორი" საგანმანათლებლო პაკეტის კონსულტანტი
- ქ-ნი ელლი კინი, დიდი ბრიტანეთი, ადამიანის უფლებების შესწავლისა და „საერთაშორისო ამნისტიის" ასოციაცია
- ქ-ნი კორინა მიხაელა ლეკა, მოლდოვა, SIEDO – ადამიანის უფლებების და განათლების დამოუკიდებელი საზოგადოება
- ქ-ნი მარი-ლორ ლემინერი, ესპანეთი და საფრანგეთი, გაეროს მშვიდობის უნივერსიტეტის (კოსტა-რიკა) კონსულტანტი
- ქ-ნი ბრიჯიტ მულიე, დიდი ბრიტანეთი, განათლებისა და დასაქმების სამინისტროს სამოქალაქო განათლების ჯგუფი
- ქ-ნი ლუიზა ნილინი, შვედეთი და აშშ, გაეროს განვითარების პროგრამისა და ადამიანის უფლებების სამოქალაქო განათლების ათწლედის პროგრამა, კონსულტანტი
- ქ-ნი ბარბარა ოლივეირა, შვედეთი და მოზამბიკი, კონსულტანტი, „საერთაშორისო ამნისტიის" ყოფილი ახალგაზრდული ფრთის კოორდინატორი სამხრეთ აფრიკის რესპუბლიკებში
- ქ-ნი იუნის სმიტი, ადამიანის უფლებების, მშვიდობის, დემოკრატიის და ტოლერანტობის განყოფილება, იუნესკოს სოციალურ და ჰუმანიტარულ მეცნიერებათა სექტორი
- ბ-ნი ალესიო სურიანი, იტალია, კულტურათაშორისი განათლების ევროპის ფედერაცია
- ქ-ნი ალიონა სუსლოვა, უკრაინა, ქალთა საინფორმაციო-საკონსულტაციო ცენტრი
- ბ-ნი ვიმ ტელმანი, ბელგია, ადამიანის უფლებების შესწავლის ფლამანდრიული ასოციაცია
- ბ-ნი ანდრეი იუროვი, რუსეთის ფედერაცია, უფლებათა დაცვის ახალგაზრდული მოძრაობა, ევროპის ახალგაზრდული ცენტრის და ევროპის ახალგაზრდული ფონდის სამეთვალყურეო საბჭო
- ქ-ნი ნენსი ფლაუერსი,* აშშ, კონსულტანტი, ადამიანის უფლებათა შესახებ განათლების რესურს-ცენტრი, მინესოტას უნივერსიტეტი
- ქ-ნი იანა ონდრაჩკოვა*, ჩეხეთის რესპუბლიკა, ადამიანის უფლებათა სწავლების პროგრამის ავტორი და ჩეხეთის ჰელსინკის კომიტეტის კოორდინატორი
- ქ-ნი ვედრანა სპაიჩ-ვკრაში*, ხორვატიის უნივერსიტეტის ფილოსოფიის ფაკულტეტი, ზაგრები

*იყო მოწვეული, თუმცა ვერ შეძლო შეხვედრაში მონაწილეობის მიღება

საკონსულტაციო ჯგუფს ნაყოფიერი და აქტიური შეკრება ჰქონდა ბუდაპეშტში, 2001 წლის აპრილში, ევროპის ახალგაზრდობის ცენტრში. იქვე ჩამოყალიბდა kompasis შინაარსობრივი კონტურები და სტრუქტურა, იმ მთავარი თემების ჩათვლით, რომელთა გაშუქებაც მომავალში იყო გათვალისწინებული. გამოითქვა, აგრეთვე, წინადადებები მუშაობის პროცესისა და მეცადინეობების ტესტირების შესახებ. შემოქმედებითი გუნდი, kompasis ტექსტების 8 ავტორი, შევიდა საკონსულტაციო ჯგუფის შემადგენლობაში. მუშაობის პროცესში ჯგუფის სხვა წევრები ასრულებდნენ რედაქტორებისა და კონსულტანტების მოვალეობას. მათი მუშაობა დაფუძნებული იყო მოხალისეობის პრინციპზე.

შემოქმედებითი ჯგუფის წევრებმა ისე დაინაწილეს სამუშაო, რომ მაქსიმალურად ყოფილიყო უზრუნველყოფილი გამოცდილებისა და აზრების ურთიერთ გაზიარება, რეალური სამუშაო ვადების განსაზღვრა და ამოცანებისა და პასუხისმეგებლობების დანაწილება. წიგნის ყოველ ნაწილსა და სავარჯიშოს ჰყავდა თავისი ავტორები და კორექტორები. ისინი კითხულობდნენ თითოეულ ტექსტს და ვიდრე ტექსტი გადაინაცვლებდა გუნდის სხვა წევრების ხელში, თან ურთავდნენ ორი ან სამი ადამიანის კომენტარს. 2001 წელს ჯგუფი შეიკრიბა სამჯერ: მაისში, ივნისში და სექტემბერში.

testireba da saboloo variantis momzadeba

ტექსტების საბოლოო ვარიანტები განთავსდა ინტერნეტში, რათა ადამიანის უფლებათა სწავლების ახალგაზრდული პროგრამის მონაწილეებისა და ახალგაზრდობისა და სპორტის საკითხთა დირექტორატის ტრენერებს შესაძლებლობა ჰქონოდათ გაცნობოდნენ ტექსტებს და შემოეთავაზებინათ თავიანთი კომეტარები და მოსაზრებები. მიუხედავად იმისა, რომ ტექსტები ინტერნეტში მცირე დროით იყო განთავსებული, თავად პროცესი ნოვატორულ ხასიათს ატარებდა და მონაწილეთა მნიშვნელოვანი რაოდენობა მიიზიდა.

ახალგაზრდულ ორგანიზაციებს, ეროვნულ ახალგაზრდულ საბჭოებსა და ახალგაზრდობისა და სპორტის საკითხთა დირექტორატის სხვა პარტნიორებს გაეგზავნათ თხოვნა, მოეწოდებინათ ინფორმაცია მათ ქვეყნებში ადგილობრივ ენებზე არსებული მასალები ადამიანის უფლებათა სწავლების სფეროში. ამ თხოვნას არაერთგვაროვანი გამოხმაურება მოჰყვა. ზოგი სია მეტისმეტად ვრცელი აღმოჩნდა. ამიტომ, გადაწყდა, რომ მიღებული მასალა შენახულიყო კომპასის ელექტრონული ვერსიისათვის და ადამიანის უფლებათა განათლების რესურს ცენტრისათვის.

განსაკუთრებული ყურადღება დაეთმო კონტაქტებსა და კონსულტაციებს იმ ახალგაზრდულ ორგანიზაციებთან, რომლებსაც გარკვეული გამოცდილება გააჩნდათ kompasis თემების ირგვლივ. მათი კომენტარები და წინადადებები ყოველთვის სასარგებლო იყო.

სათაურის შერჩევისას მივიღეთ 20-ზე მეტი შემოთავაზება. განსაკუთრებული აქტიურობით გამოირჩეოდა ადამიანის უფლებათა განათლების ასოციაციის ელექტრონული ფოსტის საკონტაქტო სიებზე გავრცელებული განცხადებები (მონაწილეებს მიენიჭათ არჩევანის შესაძლებლობა). სტილის, მიდგომებისა და შინაარსის მთლიანობის დაცვის მიზნით, სხვადასახვა ავტორების ტექსტებს სამი წევრისაგან შემდგარი ჯგუფი უკეთებდა რედაქტირებას. ელი კინმა პირველ, მესამე და მეოთხე თავებზე აიღო პასუხისმგებლობა, მარი-ლორ ლემინერმა – თემატურ ინფორმაციაზე, ხოლო პატრიცია ბრანდერი სავარჯიშოებზე და მათთან დაკავშირებულ ტექსტებზე მუშაობდა. საბოლოო რედაქტირება შეასრულა

ბუდაპეშტის ევროპის ახალგაზრდული ცენტრის პროგრამებისა და ტრეინინგების ადმინისტრატორმა, რუი გომესმა.

ras Seicavs kompasi?

შემოქმედებითმა გუნდმა საკონსულტაციო ჯგუფისაგან მიიღო მითითება მოემზადებინა მაქსიმალურად სრული და მრავალფეროვანი შინაარსის მქონე სახელმძღვანელო (რათა ნებისმიერ ადამიანს ეპოვნა წიგნში მისთვის სასურველი ინფორმაცია), იმის გათვალისწინებით, რომ:

- სარგებლობის შემთხვევაში მკითხველი არ იყოს იძულებული წაიკითხოს წიგნი თავიდან ბოლომდე. ტრენერს შესაძლებლობა უნდა ჰქონდეს ისე ჩაატაროს პრაქტიკული სამუშაო, რომ არ გაეცნოს იმ მასალებს, რომლებიც არ არიან უშუალოდ დაკავშირებუილი მოცემულ სიტუაციასთან ან კონტექსთან;
- შეიცავდეს დამატებით ინფორმაციის აუცილებელ მინიმუმს იმ ხელმძღვანელებისათვის, რომლებიც არც თუ ისე დამაჯერებლად გრძნობენ თავს თემების განხილვის პროცესში (kompasis მასალები მათთვის სრულიად საკმარისი უნდა იყოს);
- წიგნი, უპირველეს ყოვლისა, პრაქტიკული უნდა იყოს და ეყრდნობოდეს სწავლების გამოცდილებას;
- საინტერესო უნდა იყოს ევროპელი ახალგაზრდებისათვის, ასახავდეს მათ ინტერესებს და წარმოადგენდეს ახალგაზრდების სოციალური უნარ-ჩვევების, დამოკიდებულებებისა და ცოდნისა განვითარების ინსტრუმენტს;
- აქცენტი უნდა კეთდებოდეს ზნეობრივ ღირებულებებზე და სოციალურ საკითხებზე, და არა მხოლოდ უფლებების ფორმულირებაზე, როგორც ეს კონვენციებშია ჩამოყალიბებული;
- მისაღები იყოს როგორც ფორმალური, ასევე არაფორმალური სწავლებისათვის;
- საცნობარო ინფორმაცია გადატანილი იყოს მეორე პლანზე და არა ყველაზე გამოსაჩენ ადგილას, რათა მომხმარებლები მიჰყვნენ სავარჯიშოებს და, ამავე დროს, ახსოვდეთ, რომ დამხმარე ინფორმაცია ყოველთვის ხელმისაწვდომია.

sabolood kompasi ase Camoyalibda:

თავი 1: მკითხველს აცნობს, რა იგულისხმება ადამიანის უფლებების სწავლებაში. უნდა გაიტაცოს და ინტერესი აღუძრას მკითხველს, თუ როგორ მიიღოს მაქსიმალური ინფორმაცია kompasis დახმარებით.
თავი 2: სირთულის სხვადასხვა დონის 49 სავარჯიშო, რომლებიც ეხება გასხვავებულ თემებს და სხვადასხვა უფლებებს.
თავი 3: "მოქმედებაზე გადასვლა", შეიცავს იდეებსა და რეკომენდაციებს მათთვის, ვისაც სურს აქტიური მონაწილეობა მიიღოს ადამიანის უფლებების განმტკიცებაში.
თავი 4: მკითხველს აწვდის ძირითად ინფორმაციას ადამიანის უფლებების, საერთაშორისო სტანდარტებისა და დოკუმენტების შესახებ.
თავი 5: დამატებითი საცნობარო ინფორმაცია შესაბამისი თემების მიხედვით.
დანართები: მოიცავს ძირითად ინფორმაციას სამართლებრივი დოკუმენტების შესახებ, რადგანაც ადამიანის უფლებები იურიდიულ ასპექტებსაც მოიცავენ.

Temebis SerCeva

საკონსულტაციო ჯგუფმა თავიდანვე გამოყო 63 ძირითადი საკითხი, რომლებიც უნდა განხილულიყო kompasSi. ეს იყო თემების ფართო სპექტრი, ტერორიზმით დაწყებული და ევთანაზიით დამთავრებული. შემოქმედებითი ჯგუფისათვის სირთულეს წარმოადგენდა ამ საკითხების ლოგიკური თანმიმდევრობით დაჯგუფება. საბოლოოდ, შეირჩა 15 თემა, კერძოდ, ბავშვები, მოქალაქეობა, დემოკრატია, დისკრიმინაცია და ქსენოფობია, განათლება, ეკოლოგია, გენდერული თანასწორობა, გლობალიზაცია, ჯანმრთელობა, ადამიანის უსაფრთხოება, მედია, მშვიდობა და ძალადობა, სიღარიბე, სოციალური უფლებები და სპორტი. გადაწყვეტილება არ იყო ადვილად მისაღები, მაგრამ გუნდმა ეს გზა ყველაზე საუკეთესოდ ჩათვალა მეორე თავის სავარჯიშოების დასაკომპლექტებლად. შეკითხვების ან ეჭვების წამოჭრისას, ჩვენ ვცდილობდით ვყოფილიყავით მაქსიმალურად ყოვლისმომცველნი. სავარჯიშოებისათვის დამატებით გამოჩნდა კიდევ ერთი, მე-16 თემა, - ადამიანის ზოგადი უფლებები. სავარჯიშოები მიმართულია ადამიანისათვის მინიჭებული ყველა უფლების აღქმისა და სწორი დამოკიდებულების გამომუშავებისაკენ. ამ თემას არ ახლავს დამატებითი ინფორმაცია.

eTnocentrizmis barieri

კომპასის შექმნის პროცესში წარმოქმნილი ყველაზე სერიოზული პრობლემა უკავშირდებოდა ეთნოცენტრიზმს. შემოქმედებითი ჯგუფის სხვადასხვა ქვეყნისა და განსხვავებული ცხოვრებისეული გამოცდილების მქონე ადამიანებისგან დაკომპლექტება უნდა გამხდარიყო, სახელმძღვანელოში წარმოდგენილი ლინგვისტური, საგანმანათლებლო და სოციალური საკითხების მრავალფეროვნების გარანტი. kompasi ჩაფიქრებული იყო, როგორც ჭეშმარიტად ევროპული და კულტურათაშორისი სახელმძღვანელო.

ძნელი სათქმელია, რამდენად განხორციელებადია ასეთი ჩანაფიქრი. ზოგჯერ, სხვადასხვა ენებზე წაკითხული მასალები, ფაქტობრივად, ერთიდაიმავე წყაროს ეყრდნობოდა. ვინაიდან, კომპასის პირველი ვარიანტი ინგლისურ ენაზე მზადდებოდა, ბუნებრივია, რომ ყველა ავტორი, პირველ რიგში, ცდილობდა შეესწავლა ინგლისურენოვანი საცნობარო ლიტერატურა და ინგლისურენოვანი ვებგვერდები ინტერნეტში. იმედი გვაქვს, რომ ჩვენს მიერ ამდაგვარი ცალმხრივი სახიფათო მიდგომის გაცნობიერებამ, მინიმუმამდე დაიყვანა შეცდომები, მაგრამ მათი თავიდან აცილება ნამდვილად არ იყო ადვილი, რადგან ეს გლობალიზაციის გარდუვალი შედეგია! შეუძლებელიც კი იქნებოდა kompasis შექმნა 50 კაციანი, 50 ენაზე მოაზროვნე ჯგუფის მიერ.

ჩვენთან მომუშავე მხატვარმა პანჩომ, ერთ წინადადებაში გამოხატა ჩვენი ეჭვები. როცა მას ვუთხარით, რომ მისი ნახატები ევროპელებისთვის იყო განკუთვნილი და ევროპელები უნდა დაეხატა, მან იკითხა: „კი, მაგრამ, თქვენ იცით, როგორ გამოიყურება ევროპელი?“

meTodebis Sesaxeb

როგორც უკვე აღვნიშნეთ, ჩვენ გადაწყვეტილებაში არ შედიოდა რაღაც აბსოლუტურად „ახლის“ დაწერა. ჩვენი სურვილი იყო შეგვექმნა სახელმძღვანელო, რომლითაც ისარგებლებდა ყველა, ვინც ადამიანის უფლებათა სწავლებითაა დაკავებული. გამოირკვა, რომ ამ თემაზე უკვე არსებობს უამრავი შესანიშნავი მასალა.

ამ ფაქტმა, გარკვეული სტიმული მისცა შემოქმედებით ჯგუფს. შესაძლებლობის მიხედვით ჩვენ პატივისცემითა და მადლიერების გრძნობით მოვიხსენიეთ ყველა, ვინც გარკვეული წვლილი შეიტანა ამ საქმეში. ამასთანავე, ბოდიშს ვიხდით თუკი ვინმე გამოგვრჩა. ამ სფეროში გათვითცნობიერებული ადამიანისათვის, ადვილად მისახვედრია, რომ ზოგიერთი მეთოდი ადაპტირებულია და გამეორებულია kompasSi. ჩვენ ეს მეთოდები შევინარჩუნეთ, ვინაიდან მიზნად დავისახეთ მოგვეწოდებინა პრაქტიკულად გამოყენებადი მასალა.

ადაპტაცია ამ სახელმძღვანელოს ძირითად არსს წარმოადგენს. მიუხედავად იმისა, რომ სავარჯიშოები ვინმეს შეიძლება უკვე მზა გადაწყვეტილებებად მოეჩვენოს, kompasis აქტიურმა მომხმარებელმა დამოუკიდებელი გადაწყვეტილებები უნდა მიიღოს. ცალკე განყოფილებაშია გადმოცემული ჩვენი რეკომენდაციები სავარჯიშოების ადაპტირების შესახებ ახალგაზრდული აუდიტორიის კონკრეტული მოთხოვნილებების, საგანმანათლებლო კონტექსტის, დროისა და სხვა ფაქტორების გათვალისწინებით.

კომპასი მიზნად ისახავს მკითხველისათვის მიუთითოს მოძრაობის სხვადასხვა გზები და მიმართულებები, ევროპის ახალგაზრდობის კულტურული და სოციალური ფასეულობების მრავალფეროვნების გათვალისწინებით. მიდგომათა ამდაგვარი მრავალფეროვნება ის ძალაა, რომელიც გამორიცხავს ადამიანის უფლებების თავსმოხვეულ დოგმად გადაქცევას.

adgilobriv doneze muSaoba

კომპასის გამოცემა მხოლოდ საწყისი ეტაპია. ახალგაზრდებისა და პედაგოგების მონაწილეობით ტრეინინგ კურსების ორგანიზება, რეგიონალურ და ეროვნულ დონეზე ხორციელდება. პარალელურად, კომპასი ითარგმნება სხვა ენებზეც. დაწვრილებითი ინფორმაციისათვის იხილეთ პროგრამის ვებ-გვერდი: http://www.coe.int/hre

ras ar Seicavs wigni da ra iqneba momavalSi?

შემოქმედებითი ჯგუფის მიერ დაწერილი 20-მდე სავარჯიშო ვერ მოხვდა წიგნში ადგილის უკმარისობის გამო. საცნობარო ლიტერატურული წყაროების მთელი რიგი გვერდები მნიშვნელოვნად შეიკვეცა ნახსენები მიზეზის გამო.

ამ ტექსტების დიდი ნაწილი მაინც მიაღწევს მკითხველამდე kompasis ინტერაქტიული ვერსიის საშუალებით, რომელიც მომზადდა 2003 წელს. იგი უზრუნველყოფს ბევრად უკეთესი კავშირის დამყარებას ტექსტებსა და სავარჯიშოებს შორის, და, რამდენადაც შესაძლებელია, გაითვალისწინებს მომხმარებელთა მიერ შემოთავაზებულ მოსაზრებებსა და ტექსტებს.

სახელმძღვანელოში ვერ მოხვდა ადამიანის უფლებებთან დაკავშირებული ფოტოსურათების სერია, ფილმოგრაფია, და სიმღერები. kompasi იძლევა ორიენტირს, ათვლის წერტილს, საცნობარო მასალებს და მიმართულებას. წიგნში ყველაფერი ვერ მოთავსდა. ადამიანის უფლებათა სწავლების ახალგაზრდულ პროგრამას კიდევ დიდი გზა აქვს გასავლელი და არ შემოიფარგლება მხოლოდ kompasiT.

კომპასი შეიძლება გახდეს გზის საწყისი წერტილი. გისურვებთ წარმატებას და კეთილ განწყობილებას ამ გზის გავლის პროცესში!

Tavi 1

ganaTleba adamianis uflebebis sferoSi da kompasi, mokle megzuri praqtikosTaTvis

IOTavis Sinaarsi

განათლების არსი ადამიანის უფლებათა სფეროში 21
რას ნიშნავს განათლება ადამიანის უფლებათა სფეროში? 21
განათლების შედეგები ადამიანის უფლებათა სფეროში 22
ცოდნა, უნარ-ჩვევები და ურთიერთობები 23
ყოვლისმომცველი მიდგომა 24
ადამიანის უფლებათა სწავლება ახალგაზრდების მონაწილეობით 25
ფორმალური და არაფორმალური საგანმანათლებლო გარემო 26
განათლება ადამიანის უფლებათა სფეროში, როგორც მოქმედების პირველი ნაბიჯი 27
განათლების საერთაშორისო მხარდაჭერა ადამიანის უფლებათა სფეროში 28
ადამიანის უფლებების სწავლება და განათლების სხვა სფეროები 31
ადამიანის უფლებათა სამყარო 31
რას ნიშნავს „ადამიანის უფლებათა პრობლემა?“ 31
სახელმძღვანელოში გაშუქებული საკითხები 32
სამოქალაქო განათლება 34
ინდივიდუალური და სოციალური განათლება 34
გლობალური განათლება 35
კულტურათაშორისი განათლება 35
განვითარების პრობლემების სწავლება 36
ეკოლოგიური განათლება 37
განათლება მშვიდობის კულტურის სფეროში 37
სამართლებრივი განათლება 38
kompasis გამოყენება ევროპის სხვადასხვა ქვეყანაში 39
რა არის ევროპა და სად მდებარეობს იგი? 39
წიგნი ევროპისათვის? 41
ევროპული ოცნება 42
ახალგაზრდული წარმომადგენლობა და მისი მუშაობა 43
ბავშვის უფლებათა კონვენცია 44
წიგნის მომზადების პროცესი 45
სახელმძღვანელოთი სარგებლობა სხვადასხვა ენებზე და სხვადასხვა ქვეყნებში 46
როგორ ვისარგებლოთ kompasiT 48
როგორ ვისარგებლოთ სახელმძღვანელოთი 48
სწავლების მეთოდები 49
ადამიანის უფლებათა შესწავლისას წამოჭრილი შეკითხვები 57
რჩევები მათთვის, ვინც სარგებლობს სახელმძღვანელოთი 59
რჩევები პედაგოგებისათვის 62
მუშაობის ჯგუფური პროცესი 63
ჯგუფური მუშაობის მეთოდები 63
ზოგადი რჩევები სავარჯიშოების შესასრულებლად 68
როცა მეცადინეობა მოულოდნელ ხასიათს იღებს 69
ჯგუფში არსებული კონფლიქტების მართვა 71
ეფექტური სასწავლო ჯგუფების ჩამოყალიბების მეთოდები და ხერხები 72
დისკუსიის წარმართვის ჩვევების განვითარების მეთოდები და ხერხები 76
კოლექტიური გადაწყვეტილების მიღების ჩვევების განვითარების მეთოდები და ხერხები 77
ანალიტიკური თამაშები 78

ganaTlebis arsi adamianis uflebaTa sferoSi

ras niSnavs ganaTleba adamianis uflebaTa sferoSi?

"... საგანმანათლებლო პროგრამები და ღონისძიებები, რომლებიც მიმართული არიან ადამიანის ღირსების დამკვიდრებისაკენ ისეთ პროგრამებთან ერთად, როგორებიცაა კულტურათაშორისო სწავლების, საზოგადოებრივ ცხოვრებაში აქტიური მონაწილეობის და უმცირესობათა უფლებების გაფართოების მხარდამჭერი პროგრამები."

ევროპის საბჭოს ადამიანის უფლებათა სწავლების ახალგაზრდული პროგრამის ოფიციალური განმარტება

"განათლება მიმართული უნდა იყოს ადამიანის პიროვნების სრული განვითარებისა და ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა პატივისცემის გაძლიერებისაკენ. განათლება ხელს უნდა უწყობდეს ყველა ხალხის, ყველა რასობრივი და რელიგიური ჯგუფის ურთიერთგაგებას, შემწყნარებლობას, მეგობრობას და გაერთიანებული ერების ორგანიზაციის მოღვაწეობას მშვიდობის შესანარჩუნებლად."

ადამიანის უფლებათა საყოველთაო დეკლარაცია მუხლი 26

შორსმიმავალი მიზანი

ადამიანის უფლებების განათლების შესახებ უამრავი განმარტება არსებობს, მაგრამ იგი საუკეთესოდ ხასიათდება იმ მიზნებით, რომლებისკენაც ის ისწრაფვის. ასეთი პროგრამების შორსმიმავალი მიზნები ემსახურება ადამიანის უფლებების შეცნობის, დაცვისა და პატივისცემის კულტურის ჩამოყალიბებას. ამგვარად, ნებისმიერ ადამიანს, რომელიც მუშაობს ხალხთან და ჩართულია ადამიანის უფლებათა სწავლებაში, მუდმივად ახსოვს ეს მიზნები და ემსახურება მათ, მიუხედავად იმისა თუ სად და როგორ მიმდინარეობს ეს პროცესი.

შეიძლება ცალკეულ ადამიანებს ჰქონდეთ ურთიერთგანსხვავებული მოსაზრებები ამ მიზნისაკენ მიმავალი საუკეთესო ან ყველაზე შესაფერისი გზების შესახებ, მაგრამ ეს სრულიად ბუნებრივია. არ არსებობს ორი ადამიანი, ადამიანთა ჯგუფი ან ორი კულტურა, რომლებსაც ერთნაირი მოთხოვნილებები ექნებათ, და ამავე დროს თანაბრად მისაღები და მოსაწონი იქნება ადამიანთა სხვადასხვა ჯგუფისათვის. ეს კიდევ ერთხელ ადასტურებს, რომ ეფექტური განათლება ადამიანის უფლებათა სფეროში ორიენტირებული უნდა იყოს მონაწილეებზე: იგი უპირველეს ყოვლისა უნდა პასუხობდეს თითოეული პიროვნების მოთხოვნებს, პრიორიტეტებს, შესაძლებლობებსა და სურვილებს განსხვავებული საზოგადოების ფარგლებში.

მონაწილეებზე ორიენტირებული საგანმანათლებლო მიდგომა ხაზს უსვამს პიროვნული ინიციატივისა და პიროვნული ზრდის მნიშვნელობას, ანგარიშს უწევს იმ სოციალურ კონტექსტს, რომელშიც მონაწილეები იმყოფებიან. თუმცა, ეს იმას არ ნიშნავს, რომ პედაგოგებმა იზოლირებულად იმუშაონ, ან არ ისწავლონ მათგან, ვინც განსხვავებულ გარემოში მოღვაწეობს. მთელ მსოფლიოში ადამიანის უფლებათა პედაგოგებს აერთიანებთ საერთო სურვილი, შექმნან და იცხოვრონ ისეთ სამყაროში, სადაც იცავენ და პატივს სცემენ ადამიანის უფლებებს. ზოგადი მითითებები, აპრობირებული მეთოდები, საგანმანათლებლო მასალები და ამ სფეროში მომუშავე უამრავი ადამიანი – ეს ყველაფერი დაგვეხმარება მივაღწიოთ ჩვენს საერთო მიზანს. ეს სახელმძღვანელო კიდევ ერთი წინ გადადგმული ნაბიჯია ამ მიმართულებით გაწეული მუშაობის პროცესში.

? რას ნიშნავს თქვენთვის განათლება ადამიანის უფლებების სფეროში?

შემადგენელი კომპონენტები

"ერთ კილომეტრიანი ერთი ნაბიჯით იწყება"

ლაო-ძინი

საერთო სურათი ნათელია, მაგრამ პრაქტიკული მიზნებიდან გამომდინარე, საჭიროა კონკრეტული რეალობასთან მიახლოება. მიზანი შეიძლება დაიყოს

უფლებები, ვინაიდან ცოდნა ყოველთვის არ გამოხატავს პატივისცემას, ხოლო პატივისცემის გარეშე ყოველთვის იარსებებს ძალადობა. ადამიანის უფლებათა კულტურა დამოკიდებულებების, რწმენის, ქცევების, ნორმებისა და წესების ერთმანეთზე გადაჯაჭვული ქსელია. მათ შეცნობას შეუძლია გვაპოვნინოს ის ორიენტირი, რომელიც საჭიროა ჯგუფებში მუშაობის წარმართვისათვის.

ადამიანის უფლებათა კულტურისაკენ

ქვემოთ ჩამოთვლილი ელემენტები გამომდინარეობს ასეთი კულტურის ძირითადი ელემენტებიდან. ისინი ხელს უწყობენ ზოგადი მიზნების ფორმულირებას ადამიანის უფლებათა განათლების სფეროში:

- ადამიანის უფლებებისა და ფუნდამენტური თავისუფლებების დაცვის ფორმირება;
- საკუთარი თავისა და სხვების პატივისცემის გრძნობის გაღვივება; ადამიანის ღირსების დაფასება;
- დამოკიდებულებებისა და ქცევების ჩამოყალიბება, რომლებიც პატივს სცემენ სხვების უფლებებს;
- თვითმყოფადი გენდერული თანასწორუფლებიანობისა და ქალებისათვის თანაბარი შესაძლებლობების უზრუნველყოფა ყველა სფეროში;
- კულტურული მრავალფეროვნების პატივისცემის, გაგებისა და დაფასების დამკვიდრება, განსაკუთრებით სხვადასხვა ეროვნული, ეთნიკური, რელიგიური, ლინგვისტური და სხვა სახის უმცირესობებთან და საზოგადოებებთან მიმართებაში;
- აქტიური სამოქალაქო თვითშეგნების ფორმირება;
- ერებსა და ხალხთა შორის დემოკრატიის, სოციალური სამართლიანობის, ჰარმონიული საზოგადოების, სოლიდარობისა და მეგობრობის დამკვიდრება;
- იმ საერთაშორისო ორგანიზაციების მუშაობის ხელშეწყობა, რომლებიც მიზნად ისახავენ ადამიანის უფლებათა უნივერსალურ ფასეულობებზე, საერთაშორისო ურთიერთობაზე და ტოლერანტობაზე დაყრდნობით ჩამოაყალიბონ მშვიდობის კულტურა.

ganaTlebis Sedegebi adamianis uflebaTa sferoSi

რა მიზნებს ვუსახავ ჩემს ჯგუფს?

ჩვენ განვსაზღვრეთ, როგორც ადამიანის უფლებათა სწავლების გლობალური ამოცანა, ასევე მთელი რიგი სამომავლო მიზნები. ჩვენ შეგვიძლია კიდევ უფრო მივუახლოვდეთ საკითხს და ვიფიქროთ ინდივიდუალური ჯგუფებისა და საზოგადოებების საჭიროებებზე, ანუ შევცვალოთ მსოფლიო ლოკალურ დონეზე მუშაობის დაწყებით.

დღესდღეობით, ადამიანის უფლებების ხელყოფა ჩვეულებრივი მოვლენაა. იდეალურ შემთხვევაში, საკმარისი იქნებოდა თქვენი ჯგუფის წევრებისათვის გვესწავლებინა სხვა ადამიანების მიმართ პატივისცემა და იმედი გვქონოდა, რომ მათ რიგებში არ აღმოჩნდებოდნენ ისინი, ვინც მომავალში დაარღვევდა ადამიანის უფლებებს. ეს, ჩვენი, ადამიანის უფლებების პედაგოგების სამუშაოს ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი ასპექტია.

შეგვიძლია უფრო მნიშვნელოვანი მიზნებიც დავისახოთ: ახალგაზრდებს მივცეთ სტიმული, რომ დაიცვან არა მხოლოდ საკუთარი ინტერესები, არამედ მათ გარშემო მყოფთა ინტერესებიც; შეგვიძლია ვაქციოთ ისინი მინი-განმანათლებლებად და მინი აქტივისტებად, რომლებიც დაიცავენ ადამიანის უფლებებს მაშინაც კი, როცა ეს საკითხი პირადად არ ეხებათ. ეს მიზანი არ არის მიუღწევადი, ეს არ ნიშნავს, რომ ჩვენ ახალგაზრდებისაგან მოვითხოვოთ, თავიანთი ცხოვრება მიუძღვნან მხოლოდ ადამიანის უფლებების დაცვას. მთავარია იცოდნენ პრობლემის არსი, იზრუნონ მათ აღმოსაფხვრელად და იმოქმედონ არსებული მდგომარეობის შესაცვლელად, როდესაც ისინი ამის საჭიროებას დაინახავენ.

ყოველივე ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ამჟამად არსებული განათლების მოდელები ადამიანის უფლებების სფეროში გამოყოფენ მიზნების სამ ძირითად ჯგუფს:

- ინფორმაციის მიწოდების გაუმჯობესება ადამიანის უფლებებისა და მათი არსის შესახებ, რათა ხალხმა თვალნათლივ დაინახოს ადამიანის უფლებათა დარღვევის ფაქტები;
- ადამიანის უფლებების დაცვისათვის აუცილებელი უნარ-ჩვევების განვითარება და ცოდნის მიღება;
- ადამიანის უფლებებისადმი პატივისცემის დამკვიდრება, რათა შეგნებულად არ იქნას დარღვეული სხვების უფლებები.

? რა პრობლემა აწუხებთ ყველაზე მეტად ახალგაზრდებს, რომლებთანაც თქვენ მუშაობთ?

codna, unar-Cvevebi da urTierTobebi

რა სახის ცოდნაა საჭირო ახალგაზრდებისათვის ადამიანის უფლებების უფრო ღრმად გააზრებისათვის? რა უნარ-ჩვევები და დამოკიდებულება მოეთხოვებათ მათ ადამიანის უფლებების დაცვაში დახმარების გასაწევად? ქვემოთ მოყვანილი სია იძლევა პასუხებს ამ შეკითხვებზე. ეს ის მიზნებია, რომლებიც ჩვენ გამოვიყენეთ ამ სახელმძღვანელოს შესადგენად.

ცოდნა და გააზრება

ადამიანის უფლებათა სწავლება

- ძირითადი ცნებები: თავისუფლება, სამართლიანობა, თანასწორობა, ადამიანური ღირსება, დისკრიმინაციის უარყოფა, დემოკრატია, უნივერსალურობა, უფლებები, პასუხისმგებლობა, ურთიერთ დამოკიდებულება და სოლიდარობა.
- გააზრება, რომ ადამიანის უფლებები წარმოადგენენ ქცევების სტანდარტების გამომუშავებისა და შეთანხმების საფუძველს ოჯახში, სკოლაში, საზოგადოებაში და მთელს მსოფლიოში.
- ადამიანის უფლებების როლი, მათი მნიშვნელობა თითოეული პიროვნების, საზოგადოებისა და მთელი მსოფლიოს ადამიანების ცხოვრებაში.
- განსხვავება პოლიტიკურ და სოციალურ უფლებებს შორის.
- სხვაობა ადამიანის უფლებათა აღქმასა და შეფასებას შორის სხვადასხვა ქვეყნებში, ერთი და იგივე საზოგადოების სხვადასხვა ფენებს შორის, მათი ლეგიტიმურობის სხვადასხვა წყაროები, რელიგიური, მორალური და უფლებრივი ლეგიტიმურობის ჩათვლით.
- ძირითადი სოციალური პრობლემები, ისტორიული მოვლენები, და მიზეზები, რომლებსაც მივყავართ ადამიანის უფლებების აღიარებამდე.

- ადამიანის უფლებების დაცვის ძირითადი საერთაშორისო დოკუმენტები, კერძოდ, გაეროს ადამიანის უფლებათა საყოველთაო დეკლარაცია, გაეროს ბავშვთა უფლებების კონვენცია, ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვის ევროპული კონვენცია.
- ლოკალური, ეროვნული, საერთაშორისო სტრუქტურები, არასამთავრობო ორგანიზაციები, ფიზიკური პირები, რომლებიც მუშაობენ ადამიანის უფლებების დაცვისა და მხარდაჭერისათვის.

უნარ-ჩვევები

ადამიანის უფლებათა სწავლებისათვის

- მოსმენის კულტურა და კომუნიკაბელურობა: განსხვავებული აზრების მოსმენის, საკუთარი და სხვა ადამიანების უფლებების დაცვის უნარი.
- კრიტიკული აზროვნება: შესაბამისი ინფორმაციის მოძიება, ობიექტური მონაცემების კრიტიკულად შეფასება, პრეკონცეფციებისა და მიკერძოებულობის აღქმა, მანიპულაციის ფორმების შეცნობა და რაციონალური მსჯელობის საფუძველზე გადაწყვეტილების მიღება.
- გუნდური თანამშრომლობისა და კონფლიქტების დადებითად გადაჭრის უნარი.
- სოციალური ჯგუფების შექმნისა და მათში მონაწილეობის უნარი.
- ადგილობრივ და გლობალურ დონეზე ადამიანის უფლებების დაცვა და მხარდაჭერა.

ურთიერთობები და ზნეობრივი ღირებულებები

აღზრდა ადამიანის უფლებების მიხედვით

- საკუთარ მოქმედებებზე პასუხისმგებლობის გრძნობა, მისწრაფება პირადი განვითარებისა და სოციალური ცვლილებებისაკენ.
- ცნობისმოყვარეობა, გახსნილი გონება და მრავალფეროვნების დაფასება.
- სხვების თანაგრძნობა, სოლიდარობა, იმ ადამიანების მხარდაჭერა, რომელთა უფლებებსაც საფრთხე ემუქრება.
- ადამიანური ღირსების შეგრძნება, საკუთარი თავისა და სხვების პატივისცემა სოციალური, კულტურული, ენობრივი და რელიგიური განსხვავების მიუხედავად.
- სამართლიანობის გრძნობა, თავისუფლების იდეალებისაკენ სწარფვა, თანასწორუფლებიანობა და მრავალფეროვნების პატივისცემა.

yovlismomcveli midgoma

სახელმძღვანელოში შემოთავაზებულია ყოვლისმომცველი მიდგომა ადამიანის უფლებების განათლებისადმი. პირველი ამოცანაა: თანაბრად მოვიცვათ სამი სხვადასხვა კომპონენტი, კერძოდ, ცოდნა, უნარ-ჩვევები და ურთიერთობები. მეორე – სავარჯიშოები, რომლებიც გათვლილია ფართო აუდიტორიაზე, როგორც ასაკობრივი, ასევე ფორმალური, და არაფორმალური საგანმანათლებლო სექტორების ერთდროულად გამოყენების თვალსაზრისით. მესამე – ინტერაქტიული სასწავლო ღონისძიებების გამოყენებით, ჩვენ შევეცადეთ დაგვეკავშირებინა ადამიანის უფლებების სწავლება ისეთ ლოკალურ და გლობალურ საკითხებთან, როგორებიცაა განვითარება, გარემო პირობები, კულტურათაშორისი ურთიერთობა და მშვიდობა. განათლება ადამიანის უფლებების სფეროში არ უნდა იქნას განხილული, როგორც დამოუკიდებელი დისციპლინა.

ცხოვრების მთელ პროცესს, რომლის საშუალებითაც ცალკეული ადამიანები და

პიროვნული შესაძლებლობების, დამოკიდებულებების, მიდრეკილებებისა და ცოდნის გააზრებულად განვითარებას.

იუნესკოს რეკომენდაცია, 19 ნოემბერი, 1974 წელი

"მე მესმის და ვივიწყებ, მე ვხედავ და ვიმახსოვრებ, მე ვაკეთებ და აღვიქვამ".

კონფუცი

განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ინტერაქტიული სავარჯიშოების გამოყენება. კვლევებმა აჩვენა, რომ ურთიერთთანამშრომლობაზე აგებული პატარა ჯგუფების მუშაობა განაპირობებს ჯგუფის გუნდად ჩამოყალიბებას, გამთლიანებასა და ჯგუფის წევრებს შორის მიკერძოებული დამოკიდებულების შემცირებას. ჯგუფის ერთობლივი მუშაობა ხელს უწყობს რთული ცნებების გაცნობიერებას და აუმჯობესებს პრობლემის გადაჭრის უნარს, მონაწილეებს საშუალებას აძლევს განავითარონ და მიიღონ უფრო პრაქტიკული და საზრიანი გადაწყვეტილებები. ყველა ჩამოთვლილი შედეგი მნიშვნელოვან მიზანს წარმოადგენს ადამიანის უფლებათა განათლების სფეროში. ეს ნიშნავს, რომ ახალგაზრდებმა უნდა იაქტიურონ სწავლების პროცესის ყოველ ეტაპზე. არ უნდა შევიქმნათ ილუზია, რომ პედაგოგები ვფლობთ ერთადერთ ჭეშმარიტებას, რომელიც პასიურ მოსწავლეებს უნდა გადაეცეს. ამგვარმა მიდგომამ ადამიანის უფლებების სწავლება, შესაძლოა, "იდეოლოგიური" განათლების ყველაზე უარეს გამოვლინებად გადააქციოს.

სახელმძღვანელოში მოცემული მეთოდოლოგიის ძირითადი პრინციპია იდეა, რომ ახალგაზრდები ნებისმიერი საგანმანათლებლო პროცესისათვის წარმოადგენენ სიმდიდრეს, და მათი გამოცდილება აქტიურად უნდა იქნას გამოყენებული საგანმანათლებლო პროცესის საინტერესოდ და ეფექტურად წარმართვის მიზნით. შეკითხვები, ხშირად კონფლიქტებიც კი, ფუნდამენტური საგანმანათლებლო რესურსების თვალსაზრისით უნდა შეფასდეს, რომლებიც პოზიტიურ დამოკიდებულებას მოითხოვენ.

adamianis uflebaTa swavleba axalgazrdebis monawileobiT

თანდათან სულ უფრო მეტ აღიარებას ჰპოვებს აზრი, რომ ახალგაზრდების განათლებას ადამიანის უფლებების სფეროში ყურადღება უნდა მიექცეს არა მხოლოდ იმიტომ, რომ ეს მნიშვნელოვანია საზოგადოებისათვის, არამედ იმიტომაც, რომ თავად ახალგაზრდები აფასებენ და საჭიროებენ იმ საქმიანობას, რომელსაც ეს მუშაობა მოიცავს. თანამედროვე ახალგაზრდები, სულ უფრო ხშირად დგებიან სოციალური გაუცხოების, ეთნიკური, რელიგიური და ეროვნული განსხვავებების, პროგრესირებადი გლობალიზაციის უპირატესობებისა და ნაკლოვანებების პირისპირ. ადამიანის უფლებების სწავლება მოიცავს ამ საკითხებს და ხელს უწყობს თანამედროვე კულტურული საზოგადოების სხვადასხვა შეხედულებების, რწმენის, დამოკიდებულებებისა და ფასეულობების აღქმას, ეხმარება ადამიანებს იპოვონ გზები ამ განსხვავებების დადებითი კუთხით გამოსაყენებლად.

განსაკუთრებით მნიშვნელოვანია, რომ ახალგაზრდებს აინტერესებთ ადამიანის უფლებები და, ამ თვალსაზრისით, ისინი წარმოადგენენ განათლების ძირითად რესურსს ადამიანის უფლებების სფეროში. დღეს, ახალგაზრდებს ხშირად აკრიტიკებენ პოლიტიკის მიმართ გულგრილობისა და ინდეფერენტულობის გამო, თუმცა მთელი რიგი გამოკვლევები ცხადყოფენ, რომ სინამდვილეში საქმე სულ სხვაგვარადაა. ეგზემპლარად, ევროკომისიის მიერ 2001 წელს ჩატარებულმა კვლევამ ცხადყო, რომ ახალგაზრდები, ასოციაციებისა და ახალგაზრდული კლუბების სახით, ხშირად მონაწილეობენ საზოგადოებრივ ცხოვრებაში. ევროკავშირის წევრ ქვეყნებში, საშუალოდ, ახალგაზრდების 50%-ზე მეტი მონაწილეობს, ან გაწევრიანებულია რაიმე ტიპის ასოციაციაში (მიუხედავად იმისა, რომ ამ ქვეყნებს შორის არსებობს მნიშვნელოვანი განსხვავებები).

“განათლება არის ის, რაც გადარჩება მას შემდეგ, რაც ყველაფერი შესწავლილი დავიწყებას მიეცემა”

ბ.ფ. სკინერი

რაც შეეხება პოლიტიკური საკითხებით დაინტერესებას, ახალგაზრდების დამოკიდებულების შესწავლამ ევროკავშირის მიმართ ნათელჰყო, რომ ადამიანის უფლებების საკითხი მათი უმნიშვნელოვანესი პრიორიტეტების რიგებში უნდა ვეძიოთ. ახალგაზრდებს სურთ, რომ ეროვნულმა მთავრობებმა, უმუშევრობისა და დანაშაულთან ბრძოლის შემდეგ, ყურადღება დაუთმონ ადამიანის უფლებების დაცვას, ეკოლოგიას, ბრძოლას რასიზმის წინააღმდეგ და გენდერულ უთანასწორობას.

? ადასტურებს თუ არა თქვენი პირადი გამოცდილება, რომ ახალგაზრდები არ არიან დაინტერესებული პოლიტიკით? დადებითი პასუხის შემთხვევაში, რით არის ეს განპირობებული?

მსოფლიო გამოცდილებამ აჩვენა, როგორი ენერგიულობითა და თავდადებით ეკიდებიან ახალგაზრდები აღნიშნულ საკითხებს, თუკი იზიარებენ იმ პასუხისმგებლობას, რასაც აკეთებენ და სწავლობენ, თუკი ეს საკითხები მიწოდებულია სათანადო და საინტერესო კუთხით.

ჩვენ, როგორც პედაგოგებმა, უნდა გამოვიყენოთ ეს ენერგია. ის, რომ ახალგაზრდები იტაცებენ და ცხოვრებაში ატარებენ ამ იდეებს, ნათლად ჩანს მრავლად არსებული ახალგაზრდული პროგრამის მაგალითზე, დაწყებული ცალკეული ახალგაზრდული კლუბებით, ან სკოლებში შედარებით ეპიზოდური ხასიათის მქონე მცირე მასშტაბის საქმიანობებით, დამთავრებული ევროპის საბჭოსა და სხვა ორგანიზაციების მიერ განხორციელებული ფართომასშტაბიანი საერთაშორისო პროგრამებით.

? ყველაზე მეტად რომელმა საკითხებმა შეიძლება დააინტერესოს ახალგაზრდული ჯგუფების წევრები?

formaluri da araformaluri saganmanaTleblo garemo

საგანმანათლებლო პროცესის მუშაობაში და ორგანიზებაში მონაწილეების ჩართვა მნიშვნელოვნადაა დამოკიდებული იმ გარემოზე, რომელშიც პედაგოგი მუშაობს. თავისუფლების ხარისხი შინაარსის, დროის და ფორმის თვალსაზრისით, იცვლება იმისდა მიხედვით, თუ რომელ საგანმანათლებლო კონტექსტში მოქმედებთ – ფორმალურში თუ არაფორმალურში. ამ სახელმძღვანელოში წარმოდგენილი სავარჯიშო მოდელების გამოყენება შეიძლება ნებისმიერ კონტექსტში: ცალკეულ კლუბებში, სკოლებში, საზაფხულო ბანაკებში, არაფორმალურ შეხვედრებზე და ა.შ.

არაფორმალური განათლება მთელი სიცოცხლის განმავლობაში გრძელდება, რომლის დროსაც პიროვნებას არსებული რესურსებისა და ყოველდღიური გამოცდილების შედეგად (ოჯახი, მეზობლები, ბაზარი, ბიბლიოთეკა, მასმედია, სამსახური, თამაშები და ა.შ.) უყალიბდება დამოკიდებულებები, ფასეულობები, უნარ-ჩვევები და ცოდნა.

ფორმალური განათლება წარმოადგენს სტრუქტურულ საგანმანათლებლო სისტემას დაწყებითი სკოლიდან უნივერსიტეტამდე და მოიცავს სპეციალიზირებულ პროგრამებს ტექნიკური და პროფესიული ტრეინინგებისათვის.

გარეფორმალური განათლება ნიშნავს ინდივიდუალური და საზოგადოებრივი განათლებისათვის დაგეგმილ ნებისმიერ პროგრამას, რომელიც შექმნილია ახალგაზრდების უნარ-ჩვევებისა და კომპეტენციების გაუმჯობესების მიზნით ფორმალური საგანმანათლებლო პროგრამის ფარგლებს გარეთ.

მრავალი ახალგაზრდული ორგანიზაციის და ჯგუფის მიერ პრაქტიკაში განხორციელებული გარეფორმალური განათლება არის:

- ვოლუნტარისტული;
- ყველასათვის მისაწვდომი (იდეალურ შემთხვევაში);
- საგანმანათლებლო მიზნების მქონე ორგანიზებული პროცესი;
- ინტერაქტიული და მონაწილეებზე ორიენტირებული;
- ცხოვრებისეული უნარჩვევების და აქტიური სამოქალაქო თვითშეგნების მასწავლებელი;
- როგორც ინდივიდუალური, ასევე კოლექტიური მიდგომის მქონე ჯგუფურ სწავლებაზე დაფუძნებული;
- ერთიანი და პროცესზე ორიენტირებული;
- გამოცდილებაზე და მოქმედებაზე დაფუძნებული, მონაწილეების მოთხოვნებზე გათვლილი.

ფორმალური, არაფორმალური და გარეფორმალური განათლება წარმოადგენს მთელი ცხოვრების მანძილზე სწავლის უწყვეტი პროცესის ურთიერთშემავსებელ და ურთიერთგამაძლიერებელ ელემენტებს. ეს სახელმძღვანელო არ არის შექმნილი, როგორც ადამიანის უფლებათა შესახებ განათლების "კურსი" და ინდივიდუალური საქმიანობა, შეიძლება მოხერხებულად იქნას გამოყენებული ძალიან განსხვავებულ კონტექსტებშიც კი, ფორმალურ და ნაკლებად ფორმალურ გარემოში, რეგულარულ და არარეგულარულ ბაზაზე.

ganaTleba adamianis uflebaTa sferoSi, rogorc moqmedebis pirveli nabiji

ადამიანის უფლებათა შესახებ განათლების ცენტრალურ ნაწილს წარმოადგენს კრიტიკული აზროვნების, კონფლიქტების დარეგულირების და ქმედების განხორციელების უნარის განვითარება. ამ სახელმძღვანელოს მიზნად დავსახეთ სოლიდარობაზე დაფუძნებული აქტივობის წახალისება და ადგილობრივ თემთა საქმიანობის ორგანიზება. ეს მნიშვნელოვანია, როგორც ადამიანის უფლებათა განათლებასთან მჭიდროდ დაკავშირებული უნარ-ჩვევებისა და შესაძლებლობების განვითარებისათვის, ასევე ადამიანის უფლებათა კულტურის პოზიტიური განვითარებისათვის. ახალგაზრდებს შეუძლიათ პირდაპირი ზემოქმედება მოახდინონ გარემომცველ სამყაროზე, რაც, ასევე, წარმოადგენს სახელმძღვანელოს მნიშვნელოვან თემას. ჩვენ ცალკე თავიც კი დავუთმეთ ინდივიდუალური ქმედებების განხორციელებას (თავი 3), რომელიც მარტივი იდეების მთელი სერიაა თემში ადამიანის უფლებებთან დაკავშირებული საქმიანობის წარმართვის შესახებ.

ამ თავის გარდა, II თავის სავარჯიშოები შექმნილია თემის მოქმედების ორგანიზებისა და განხორციელებისათვის საჭირო ძირითადი უნარ-ჩვევების განვითარების ხელშეწყობის მიზნით. ჩვენ შევეცადეთ გამოგვეყენებინა პლურალისტული მიდგომა და პრაქტიკული სწავლების პრინციპი, რომელიც შემოთავაზებულია ევროპის საბჭოს დემოკრატიული სამოქალაქო განათლების პროექტში. ადამიანის უფლებათა სწავლება წარმოდგენილია, როგორც ყოველდღიური საქმიანობა, რომელიც დაფუძნებული უნდა იყოს ემპირიულ გამოცდილებაზე, პრაქტიკის საშუალებით სწავლებაზე და მიზნად დასახავდეს

პროგრესირებადი და ცვალებადი პროცესის განმავლობაში კომპეტენციებისა და ინიციატივების სრულ მობილიზებას.

რეკომენდაციები საგანმანათლებლო პოლიტიკისათვის შემუშავებული იქნა პროექტის – "დემოკრატიული სამოქალაქო განათლება – უწყვეტი სწავლის პერსპექტივა" – მიხედვით და გამიზნულია შემდეგი სპონტანური ცვლილებების პროცესის მხარდასაჭერად:

- პრაქტიკოსების უშუალოდ ჩართვა საგანმანათლებლო ინოვაციების შემუშავებაში, მონიტორინგში, რეალიზებაში და შეფასებაში;
- კონკრეტული სოციალური საკითხების გადაწყვეტის წახალისება გამოცდილი პრაქტიკოსების პროფესიონალიზმისა და აღმოჩენების გამოყენებით;
- აღმავალი მიმართულების საგანმანათლებლო ცვლილებების წახალისება;
- განათლების მუშაკთა უფრო მაღალი ხარისხის ავტონომიის მიღწევა, რათა მათ შეძლონ ქმედებათა სპეციფიური ფორმების შემუშავება და კავშირების დამყარება ადგილობრივ თემებთან, სამოქალაქო საზოგადოებასთან და სოციალურ პარტნიორებთან;
- ქსელური და ერთობლივი პროექტებისა და ღონისძიებების მხარდაჭერა, პრაქტიკოსებსა და გადაწყვეტილების მიღებაზე პასუხისმგებელ პირთა შორის კომუნიკაციის დამყარება.

ganaTlebis saerTaSoriso mxardaWera adamianis uflebaTa sferoSi

ევროპის საბჭო

ევროპის საბჭოს წევრი ქვეყნებისათვის ადამიანის უფლებები ბევრად უფრო მეტს ნიშნავს, ვიდრე უბრალო დეკლარაცია: ადამიანის უფლებები არის მათი სამართლებრივი სტრუქტურის ნაწილი, ამდენად ის უნდა იყოს ახალგაზრდების განათლების შემადგენელი ნაწილი. ევროპულმა ერებმა დიდი წვლილი შეიტანეს 20-ე საუკუნის ყველაზე მნიშვნელოვან დეკლრაციაში ადამიანის უფლებათა შესახებ – ეს იყო გაეროს გენერალური ასამბლეის მიერ 1948 წლის 10 დეკემბერს მიღებული ადამიანის უფლებათა საყოველთაო დეკლარაცია. ორი წლის შემდეგ მიღებული ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენცია, რომლის იურისდიქციაც ევროპის საბჭოს წევრ ყველა სახელმწიფოზე ვრცელდება, გაეროს ზემოთხსენებულ დოკუმენტის საფუძველზე თავისი პრინციპები და იდეები შექმნა. რეკომენდაცია № R (85) 7 ევროპის საბჭოს წევრი სახელმწიფოებისადმი (მიღებული 1985 წლის 14 მაისს მინისტრთა კომიტეტის მიერ) დაკავშირებულია სკოლებში ადამიანის უფლებების სწავლასთან და სწავლებასთან. ეს პროექტი ხაზს უსვამს, რომ ყველა ახალგაზრდამ უნდა მიიღოს ცოდნა ადამიანის უფლებათა სფეროში, რომელიც მათი მომზადების ნაწილი უნდა გახდეს პლურალისტურ დემოკრატიულ საზოგადოებაში ცხოვრებისათვის. ეს მიდგომა ნელ-ნელა იკიდებს ფეხს სხვადასხვა ევროპულ ქვეყნებსა და ორგანიზაციებში.

1997 წლის დეკემბერში ლუქსემბურგში ევროკავშირის დონეზე გამართულ შეხვედრაზე ევროპის საბჭომ რეკომენდაცია მისცა ყველა სახელმწიფოს, რომ იმუშაონ შემდეგი მიმართულებით:

- სამოქალაქო საზოგადოების როლის გაძლიერება ადამიანის უფლებების დაცვისა და დამკვიდრების საქმეში;
- ადგილობრივ დონეებზე საქმიანობის გაძლიერება და ტექნიკური დახმარების უზრუნველყოფა ადამიანის უფლებების დაცვის სფეროში;
- ადამიანის უფლებების სწავლებასთან დაკავშირებული ტრენინგებისა და საგანმანათლებლო პროგრამების გაძლიერება

ახალგაზრდული პოლიტიკა

1998 წ. აპრილში ახალგაზრდობის საქმეებზე პასუხისმგებელი ევროპის მინისტრები შეიკრიბნენ ბუქარესტში და შეათანხმეს ევროპის საბჭოს ახალგაზრდული პოლიტიკის მიზნები და ამოცანები:

- მხარი დაუჭირონ ასოციაციებსა და სოციალური აქტივობის სხვა სახეებს, რომლებიც ემსახურებიან დემოკრატიასა და პლურალიზმს. დაეხმარონ ახალგაზრდებს საზოგადოებრივ ცხოვრებაში აქტიური მონაწილეობის მიღებაში;
- პარტნიორული ურთიერთობების არსებული მოდელები მიუსადაგონ სოციალურ ცვლილებებს და ახალგაზრდულ ორგანიზაციებს, რომლებიც აქამდე ნაკლებად იყვნენ წარმოდგენილი. განავითარონ ახალგაზრდების საზოგადოებრივ ცხოვრებაში აქტიური მონაწილეობის კონცეფცია;
- ისარგებლონ იმ ფასდაუდებელი წვლილით, რომელიც ახალგაზრდებს შეუძლიათ შეიტანონ, როგორც აქტიურმა, პასუხისმგებლობის გრძნობის მქონე მოქალაქეებმა.
- განავითარონ სამოქალაქო განათლების პროექტები, რომლებიც შესაძლებელს გახდის ახალგაზრდების უფრო სწრაფ და ეფექტურ მონაწილეობას საზოგადოებრივ ცხოვრებაში არსებული განსხვავებების პატივისცემის გათვალისწინებით;
- ადგილობრივ და ევროპულ დონეზე კომპლექსური, ინტეგრირებული და თანმიმდევრობითი ახალგაზრდული პოლიტიკის გატარება ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა ევროპული კონვენციისა და ევროპის სოციალური ქარტიის პრინციპებზე დაყრდნობით.

გაერთიანებული ერების ორგანიზაცია

1994 წლის დეკემბერში გაეროს გენერალურმა ასამბლეამ ოფიციალურად გამოაცხადა 1995-2004 წლები გაეროს ადამიანის უფლებათა განათლების დეკადად. აღნიშნული მოჰყვა 1993 წელს ვენაში, ადამიანის უფლებათა სფეროში ჩატარებულ მსოფლიო კონფერენციის რეკომენდაციას, რომელიც აცხადებდა რომ განათლება ადამიანის უფლებათა სფეროში, კადრების მომზადება და საზოგადოების ინფორმირებულობა გადამწყვეტ როლს ასრულებს საზოგადოებებს შორის სტაბილური და ჰარმონიული ურთიერთობების ჩამოყალიბებაში, ურთიერთგაგების, ტოლერანტობისა და მშვიდობის განმტკიცებაში. ვენის კონფერენციამ შეიმუშავა რეკომენდაცია, რომ „სახელმწიფოებმა ყველა ღონე უნდა იხმარონ უცოდინარობის აღმოსაფხვრელად და მიმართონ განათლება ადამიანის პიროვნული პოტენციალის სრულად განვითარებისაკენ, ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვის გაძლიერებისაკენ". კონფერენციამ მოუწოდა ყველა სახელმწიფოს და ინსტიტუტს, რომ ადამიანის უფლებები, ჰუმანიტარული იურისპრუდენცია, დემოკრატია და მართლწესრიგი შეეტანათ სასწავლო პროგრამებში, როგორც ცალკე საგნები ფორმალურ და არაფორმალიზებულ სასწავლო სექტორებში. გაერომ საკუთარ თავზე აიღო ამ ფუნქციის ამოცანის შესრულება.

gaeros ganaTlebis, mecnierebisa da kulturis organizacia (iunesko)

თანამედროვე საზოგადოებისათვის დამახასიათებელია მზარდი მრავალკულტურული და განსხვავებული აღმსარებლობის მქონე ბუნება. "ერთად ცხოვრების სწავლის" მნიშვნელობა, როგორც ერთიან, ასევე განსხვავებული საზოგადოებების ფარგლებში, განათლების არსის ცენტრალური ნაწილია – "საჭირო უტოპია", რომელიც 1996 წელს იუნესკოს XXI საუკუნის განათლების სფეროს შესახებ

გაკეთებულ მოხსენებაში იყო რეკომენდირებული. ადამიანის უფლებები იუნესკოს მოხსენებაში აღწერილი კონცეფციის საფუძველს წარმოადგენს. მაგალითად, მაშინ, როდესაც საქმე ეხება კონფლიქტებში მედიატორის როლის შესრულებას და პრობლემების გაანალიზების დროს საერთო პერსპექტივების დანახვას და მომავლის მიმართულებების განსაზღვრას. უმთავრესი მნიშვნელობა ენიჭება ცვილებების მიღწევას მშვიდობიანი გზით, რომელიც უპირველესი ზრუნვის საგანია, როგორც ეროვნული, ასევე საერთაშორისო მასშტაბით. მან წამყვანი როლი უნდა ითამაშოს საგანმანათლებლო სფეროში.

ლიტერატურის სია:

Dr. Pasi sahlberg, Building Bridges For Learning – The Recognition and Value of Non-Formal Education in Youth Activity, განათლების ეროვნული კომიტეტის (ფინეთი) და ევროპის ახალგაზრდული ფორუმის კვლევა, 1999, დეკემბერი

Staying Alive, ევროპის ხალგაზრდული ფორუმის საინფორმაციო მოხსენება გენერალური ასამბლეისთვის, 2000

Chisholm Lynne, Towards a revitalisation of non-formal learning for a changing Europe, არაფორმალური განათლების სიმპოზიუმის ანგარიში, ევროპის საბჭოს ახალგაზრდული საქმეების და სპორტის დირექტორატი, 2000

adamianis uflebaTa Sesaxeb ganaTleba da sxva saganmanaTleblo sferoebi

adamianis uflebebis swavleba da ganaTlebis sxva sferoebi

adamianis uflebaTa samyaro

ადამიანის უფლებები გავლენას ახდენენ ჩვენი ცხოვრების ყველა ასპექტზე. ადამიანის უფლებათა დარღვევა, თითქმის ყველა პრობლემის საფუძველია დღევანდელ მსოფლიოში: ძალადობის, სიღარიბის, გლობალიზაციის, ეკოლოგიის,

ეკონომიკური უთანასწორობისა და უკანონობის, რომ აღარაფერი ვთქვათ ომებზე და კონფლიქტებზე, რომლებიც ბობოქრობენ მსოფლიოს ზოგიერთ რეგიონში.

მიუხედავად იმისა, რომ ადამიანის უფლებების თავდაპირველი არსი შემოიფარგლებოდა სამოქალაქო და პოლიტიკური სფეროებით, დღეს ისინი უკვე მოიცავენ სოციალურ, კულტურულ და ეკონომიკურ საკითხებსაც. ამჟამად ხალხი ლაპარაკობს უფლებათა მესამე თაობაზე, რომელიც ეხება კოლექტიურ უფლებებს და კაცობრიობის მომავალი თაობების ბედს. ყველაფერ ამას დიდი გავლენა აქვს იმ სამუშაოზე, რომელსაც პედაგოგები ვასრულებთ და მიანიშნებს, რომ განათლება ეხება ისეთ საკითხებს, როგორებიცაა გლობალიზაცია, ეკოლოგია, მშვიდობა და კულტურათაშორისი ურთიერთობა. ისინი სხვა საკითხებთან ერთად წარმოადგენენ ადამიანის უფლებათა განათლების ფორმებს, დაკავშირებული არიან ადამიანის უფლებებთან და აყალიბებენ კულტურას, რომელიც ეფუძნება მათდამი პატივსიცემას.

? რა იყო თქვენ ქვეყანაში ადამიანის უფლებათა სფეროში უკანასკნელი 20 წლის განმავლობაში მომხდარი ყველაზე მნიშვნელოვანი ცვლილება?

ამ სახელმძღვანელოში ჩვენ ვეცადეთ შევხებოდით ადამიანის უფლებებთან დაკავშირებულ საკითხთა სრულ სპექტრს. მიმდინარე თავში განვიხილავთ გზას, რომელიც ამ საკითხებს, განათლების სხვა სფეროებთან აკავშირებს. კერძოდ, სამოქალაქო, ეკოლოგიური, მშვიდობის სფეროში და ა.შ. ნებისმიერი პიროვნება, ვინც მისდევს განათლების ამა თუ იმ ფორმას, ჩვენი წიგნის ფურცლებზე იპოვის მისთვის საინტერესო საკითხებს.

ras niSnavs "adamianis uflebaTa problema"?

თითქმის ყველა საკითხი, რომელიც უფლებათა დარღვევას შეეხება, შეიძლება იწოდებოდეს ადამიანის უფლებათა საკითხად. საერთაშორისო საზოგადოებრიობა დღესდღეობით ცნობს უფლებათა სამ სხვადასხვა თაობას, რომლებიც მოიცავენ ადამიანის მოღვაწეობის სხვასახვა სფეროებს.

პირველი თაობის უფლებები (თავისუფლების უფლებები)

მოიცავენ სამოქალაქო და პოლიტიკურ უფლებებს – როგორებიცაა აზრის თავისუფლება, ასოციაციათა თავისუფლება, სიცოცხლის უფლება, სამართლიანი სასამართლოს უფლება, საზოგადოების პოლიტიკურ ცხოვრებაში მონაწილეობის უფლება, და ა.შ. ტრადიციულად, ეს საკითხები (და არა მარტო ეს საკითხები) განიხილება ფორმალურ საგანმანათლებლო სისტემაში საზოგადოებათმცოდნეობის, სამოქალაქო განათლების, პოლიტიკური მეცნიერებების განათლებისა, დემოკრატიისა და სამართლის სწავლების კურსებზე.

ნის უფლებების
ღვევა – მთელი
ბის უფლებების
დაკნინებაა."

ჯონ კენედი

მეორე თაობის უფლებები (თანასწორობის უფლებები უფლება)

მოიცავენ სოციალურ, ეკონომიკურ და კულტურულ უფლებებს, როგორიცაა ცხოვრების ნორმალური პირობების ქონის უფლება, მუშაობის უფლება, პროფკავშირებში გაერთიანების უფლება, ჯანმრთელობის უფლება და განათლების უფლება. ფორმალური განათლების სისტემაში ამ საკითხებს თემებს არ ექცევა სათანადო ყურადღება. მაგალითად, ეკონომიკურ განათლებაში ამ საკითხებს იშვიათად განიხილავენ, თუმცა, არსებობს მოსაზრება, რომ ეს მცდარი აზრია. აღნიშნული საკითხები ხშირად განიხილება ნაკლებად ფორმალური კლასგარეშე

მუშაობისას, რომლებსაც მცირე ჯგუფებთან მუშაობისას, ან სოციალური და ჯანმრთელობის პროგრამების სწავლების პროცესში, ახორციელებენ სკოლები ან ახალგაზრდული ჯგუფები. მიუხედავად ამისა, ფართო აღიარება მოიპოვა აღიარებას იმკვიდრებს მოსაზრებამ, რომ მეორე თაობის უფლებები ისევე მნიშვნელოვანია სამოქალაქო აღზრდისათვის, როგორც ტრადიციულად მიღებული პირველი თაობის უფლებები, რაც სრულიად სამართლიანია.

მესამე თაობის უფლებები (სოლიდარობის უფლებები)

ამ უფლებებს ხშირად უწოდებენ "განვითარებად" უფლებებს, რადგანაც ისინი ჯერ კიდევ აღიარებისა და დამკვიდრების პროცესში იმყოფებიან. ისინი განეკუთვნებიან საზოგადოების ან ხალხების კოლექტიურ უფლებებს, როგორიცაა მყარი განვითარების, მშვიდობის, ან ჯანმრთელი გარემოს უფლება. ამ საკითხებს კონკრეტულად შეისწავლის, მაგალითად, ეკოლოგიური განათლება, მშვიდობის პრობლემებისა და განვითარების სწავლება.

(უფრო დაწვრილებითი ინფორმაცია უფლებათა სხვადასხვა თაობების შესახებ შეგიძლიათ იხილოთ მე-4 თავში)

? თქვენს ჯგუფში განხილულ საკითხთა შორის, იყო თუ არა საკითხი ადამიანის უფლებათა დარღვევის შესახებ?

saxelmZRvaneloSi gaSuqebuli sakiTxebi

სახელმძღვანელოში განხილულია 16 თემა, რომლებიც დაკავშირებული არიან ადამიანის უფლებათა პრობლემებთან. თითოეული მათგანი შეიძლება პირდაპირ იყოს დაკავშირებული უფლებათა ერთ ან რამდენიმე თაობასთან.

- ადამიანის ზოგადი უფლებები
- ბავშვები
- მოქალაქეობა
- დემოკრატია
- დისკრიმინაცია და ქსენოფობია
- განათლება
- ეკოლოგია
- გენდერული თანასწორობა
- გლობალიზაცია
- ჯანმრთელობა
- პიროვნული უსაფრთხოება
- მედია
- მშვიდობა და ძალადობა
- სიღარიბე
- სოციალური უფლებები
- სპორტი

ამ საკითხებიდან თემებიდან ყველა თანაბრად მნიშვნელოვანია. ისინი იმდენად მჭიდროდაა ერთმანეთთან დაკავშირებული, რომ ერთი საკითხის განხილვისას თავისთავად ვეხებით მეორეს. ეს იმ ფაქტის უშუალო შედეგია, რომ ადამიანის უფლებები არის *განუყოფელი, ურთიერთდამოკიდებული* და *ურთიერთდაკავშირებული.* მათი იზოლირებულად განხილვა შეუძლებელია, რადგანაც ყველა ერთმანეთთან უშუალო კავშირშია. ამ გვერდზე მოცემული

დიაგრამა წარმოადგენს უფლებების ურთიერთდამოკიდებულების ილუსტრაციას. სხვა მაგალითების მოყვანაც შეიძლებოდა: თემები, რომლებიც გარეთა წრეს შეადგენენ, სპონტანურად შეიძლება შეიცვალოს. მიუხედავად ამისა, კავშირები უცვლელი დარჩება. გარეთა წრეების თემები ისევე გადაედინებიან ერთმანეთში, როგორც ცენტრალურ წრეში ასახული საგანმანათლებლო სფეროები ერწყმიან ურთიერთს. ზღვარი პირველ, მეორე და მესამე თაობის უფლებებს შორის არ არის მკვეთრად გამოყოფილი. მაგალითად, განათლება ტრადიციულად კლასიფიცირებულია, როგორც მეორე თაობის უფლება, მაგრამ ის ისევე აუცილებელია ეფექტური პოლიტიკური აქტივობისათვის (პირველი თაობის უფლება) და მყარი განვითარებისათვის (მესამე თაობის უფლება).
შესაბამისად ქვემოთ მოყვანილი ანალიზი განხილულ უნდა იქნას, როგორც მრავალ მაგალითებს შორის ერთ-ერთი. ის გვეხმარება მოვახდინოთ იმ გზების ილუსტრირება, რომელთა საშუალებითაც განსხვავებული თემები დაკავშირებულია განსხვავებულ საგანმანათლებლო სფეროებთან, და ასევე ვაჩვენოთ, როგორ გადაკვეთს ეს სფეროები ერთმანეთს.

samoqalaqo ganaTleba

სამოქალაქო განათლება ხელს უწყობს ახალგაზრდების აქტიურ და პასუხისმგებლობის მქონე მოქალაქეებად აღზრდას. 1997 წელს ევროპის საბჭომ შეიმუშავა დემოკრატიული სამოქალაქო განათლების პროექტი. 2000 წლის ივნისის მოხსენება ხაზს უსვამს სოციალური სამართლიანობისა და სამოქალაქო თანასწორუფლებიანობის მნიშვნელობას. თ. ჰ. მარშალი თავის წიგნში "მოქალაქეობა და სოციალური კლასი" (კემბრიჯის უნივერსიტეტის გამოცემა, 1950) გამოთქვამს აზრს, რომ მოქალაქეობა მხოლოდ მაშინ შეიძლება იყოს ეფექტური, როდესაც ის მისაწვდომს ხდის უფლებათა სამ ძირითად ტიპს. აქედან გამომდენარე იგი განსაზღვრავს მოქალაქეობის სამ კომპონენტს:

- სამოქალაქო კომპონენტს, რომელიც მოიცავს პიროვნული თავისუფლების უფლებებს.
- პოლიტიკურ კომპონენტს, მაგალითად, პოლიტიკური ძალაუფლების განხორციელებაში მონაწილეობის უფლება და საპარლამენტო სტრუქტურებში კენჭისყრასა და არჩევნებში მონაწილეობის უფლება
- სოციალურ კომპონენტს, რომელიც დაკავშირებულია ღირსეული ცხოვრების უფლებასთან და განათლების, სამედიცინო მომსახურების, საცხოვრებელი პირობებისა და მინიმალური შემოსავლის მიღების თანაბარ უფლებასთან.

individualuri da socialuri ganaTleba

"ყოველ ადამიანს უფლება აქვს თავისუფლად მონაწილეობდეს საზოგადოების კულტურულ ცხოვრებაში, ტკბებოდეს ხელოვნებით, მონაწილეობდეს მეცნიერულ პროგრესში და სარგებლობდეს მისი სიკეთით".

ადამიანის უფლებათა საყოველთაო დეკლარაცია მუხლი 27

ბევრ ქვეყანაში არსებობს განათლების ფორმები, რომლებიც განიხილავენ პიროვნების როლს საზოგადოებაში და ხელს უწყობენ ახალგაზრდებს მოემზადონ იმ პირადი პრობლემების გადაჭრისათვის, რომლებიც მათ მომავალში შეხვდებათ. განათლების ეს მიმართულება შესაძლოა გადაიკვეთოს მოქალაქეობის თემასთან, მაგრამ შეიძლება დაკავშირებული იყოს ადამიანის პირად ცხოვრებასთან სპორტის, კლუბებისა და ასოციაციების, მუსიკის, ხელოვნების ან კულტურის სხვა ფორმების ჩათვლით. ასეთი განათლება შეიძლება მოიცავდეს პირად ურთიერთობებსაც. ადამიანის უფლებები ამ საკითხებში ორი მიმართულებით განიხილება: პირველი, პირად განვითარებას და პირად ურთიერთობებს აქვთ მორალური და სოციალური ასპექტები, რომლებიც უნდა შეფასდეს ადამიანის უფლებების პოზიციიდან და მეორე, კულტურულ ცხოვრებაში მონაწილეობის მიღება აღიარებულია ადამიანის უფლებათა საყოველთაო დეკლარაციისა და სხვა საერთაშორისო ხელშეკრულების მიერ. თუკი იმ ახალგაზრდებს, რომლებთანაც თქვენ მუშაობთ, აქვთ ეს უფლებები, მსოფლიოში არსებობს უამრავი ადამიანი, რომელიც მოკლებულია ასეთ უფლებებს.

უნივესალური ფასეულობებისა და მორალის ნორმების სწავლება

"დღეს ყველაზე დიდი ბოროტება გულგრილობაა. იცოდე და არ იმოქმედო, ნიშნავს შეეგუო უსამართლობას. დედამიწა ძალზე პატარა გახდა. ის, რაც სხვა ქვეყნებში ხდება, ჩვენც გვეხება"

ელი ვიზელი

მორალის ნორმების სწავლება მრავალი ქვეყნის სკოლების სასწავლო პროგრამების საერთო ნაწილია, მაგრამ ის ხალხში ყოველთვის იწვევს ორი სახის კითხვას: როგორი ფასეულობების სწავლება უნდა იყოს ამგვარი განათლების მიზანი, და, როგორ დავრწმუნდეთ, რომ ეს ფასეულობები მიესადაგება კონკრეტულ კულტურას. ამ პრობლემას ადამიანის უფლებათა განათლების სფეროში მოღვაწე ბევრი ადამიანი აწყდება. ადამიანის უფლებები მოსახერხებელ ინსტრუმენტს წარმოადგენს მათ გადასაწყვეტად. ადამიანის უფლებები არა მარტო ემყარება იმ ფასეულობებს, რომელიც საერთოა ყველა დიდი რელიგიისა და კულტურისათვის, არამედ ისინი აღიარებულია, როგორც უნივერსალური მსოფლიოს თითქმის ყველა ქვეყნის მიერ. არავის გაკრიტიკება არ შეიძლება ადამიანის უფლებათა ფასეულობების სწავლების გამო!

globaluri ganaTleba

გლობალიზაცია ახალგაზრდების აზროვნებაში პირველ პლანზე წამოწეული საკითხია და ჩვენ ის ცალკე თემად ჩავრთეთ ამ სახელმძღვანელოში. გლობალიზაციის ზოგადი არსი ტრადიციულად ეხება სამუშაოს, რომელიც განიხილავს არსებობის სხვადასხვა ფორმებს და ქცევის მოდელებს მთელს მსოფლიოში. განათლების ასეთი ფორმა ძალზე მნიშვნელოვანია, რადგანაც იგი შეისწავლის არა მხოლოდ ადამიანის ადგილს, მისი თემის ან საზოგადოების

ფარგლებში, არამედ მთლიანად მსოფლიოში. გლობალური განათლება შეიძლება გამოყენებული იქნას ადამიანის უფლებებთან დაკავშირებული მთელი რიგი საკითხების წამოსაჭრელად და შეუძლია თვალი აუხილოს ხალხს მსოფლიოს სხვადასხვა ადგილას წერტილში ჩადენილ უფლებათა დარღვევებზე. ასეთი განათლება ეხმარება ახალგაზრდებს მათი ქმედებების გავლენის შეფასებაში და პირადი პასუხისმეგობლობის გრძნობის გამომუშავებაში.

გლობალური განათლების ინსტიტუტი, გაეროს არაკომერციული არასამთავრობო ორგანიზაცია, დაარსდა 1984 წელს, როგორც მსოფლიოს მშვიდობის უნივერსიტეტი. ინსტიტუტი თავის მიზნად აცხადებს, "წვლილი შეიტანოს ისეთი სამყაროს შექმნაში, სადაც საკმარისი საკვები და მშვიდობა ცხოვრების წესად იქნება ქცეული, სადაც იარსებებს ეკოლოგიაზე პასუხისმგებლობა, სადაც სოციალური სამართლიანობა დომინანტური იქნება და პიროვნება მიაღწევს თვითრეალიზაციის უმაღლეს ხარისხს".

kulturaTaSorisi ganaTleba

გლობალურ განათლებასა და კულტურათაშორის განათლებას შორის არსებობს ბუნებრივი კავშირი, რომელიც შეისწავლის ჩვენს დამოკიდებულებას და ურთიერთობას სხვა კულტურების, საზოგადოებებისა და სოციალური ჯგუფების მიმართ. დღეს ყოველ საზოგადოებას ახასიათებს მრავალკულტურულობის და კულტურული მრავალფეროვნების მზარდი დონე, რაც განსაკუთრებით მნიშვნელოვანს ხდის უმცირესობათა უფლებების აღიარებასა და დაცვას. ჩვენ იძულებული ვართ, დადავაფასოთ ეროვნული საზოგადოების, როგორც კულტუროლოგიურად ჰომოგენური ერთეულის ძველი გაგება. ევროპული ინტეგრაციის ორმაგმა პროცესმა, მსოფლიოს სხვადასხვა რეგიონების მზარდ ეკონომიკურ და სოციალურ ურთიერთდამოკიდებულებებთან ერთად, ასეთი კონცეფციები მოძველებული გახადა. მსოფლიოს იმ ადგილებშიც კი, რომლებსაც არ ეხებათ იმიგრაციის ნაკადი, კონფლიქტების კვალი ხშირად მიდის ერთი საზოგადების ფარგლებში ურთიერთგაგების დეფიციტამდე. კონფლიქტები ჩრდილოეთ ირლანდიაში, ყოფილ იუგოსლავიაში და კავკასიის ზოგიერთ რეგიონში უცხო კულტურასთან ურთიერთობისა და პატივისცემის შეუძლებლობის სამწუხარო ილუსტრაციაა.

გარდა ამისა, კულტურათაშორისი განათლება ეფექტური გზაა თანამედროვეობის ისეთ მოვლენათა გადასალახად, როგორებიცაა რასიზმი, რასობრივი დისკრიმინაცია და ტოლერანტულობა.

ევროპის საბჭოს ახალგაზრდული საქმეების და სპორტის დირექტორატი დიდ ყურადღებას უთმობს კულტურათაშორისი განათლების სფეროს, განსაკუთრებით ახალგაზრდული ცენტრებისა და ფონდის საშუალებით. კამპანია – "ყველა განსხვავებული – ყველა თანასწორი" რასიზმის, ქსენოფობიის, ანტისემიტიზმის და შეუწყნარებლობის წინააღმდეგ უმცირესობების მიმართ რასობრივი შუღლისა და არატოლერანტულობის გამოვლინების წინააღმდეგ ბრძოლისათვის იქნა დაწყებული. კამპანიის მიზანი იყო "ხალხის დაახლოება და დამატებითი სტიმულის მიცემა შეუწყნარებლობის ყველა ფორმის წინააღმდეგ ბრძოლისათვის".

ყველა განსხვავებული, მაგრამ არა გულგრილი!

საგანმანათლებლო პაკეტი "ყველა განსხვავებული – ყველა თანასწორი" შექმნილი იყო ახალგაზრდა პორფესიონალების და პედაგოგების დასახმარებლად, რათა მათ წვლილი შეეტანათ კამპანიაში. მან განსაზღვრა კულტურათაშორისი განათლების ორი ძირითადი მიმართულება:

- დახმარებოდა ახალგაზრდებს უთანასწორობის, უსამართლობის, რასიზმის, სტერეოტიპებისა და პრეკონცეფციების შეცნობის უნარის განვითარებაში; და
- მიეცა მათთვის ცოდნა და უნარი, რომლებიც დაეხმარებათ წინ აღუდგნენ ასეთ მოვლენებს, როდესაც მათ პირად ცხოვრებაში შეხვდებიან.

კულტურათაშორისი განათლების პრინციპები და მიზნები, შესაძლოა, მიღწეულ იქნას კულტურათაშორისი განათლების სხვადასხვა ხერხებით. კულტურათაშორისი განათლება, – ეს არის ტერმინი, რომელიც უფრო ხშირად გამოიყენება არაფორმალიზებული განათლების სექტორში, განსაკუთრებით ევროპის ახალგაზრდულ ქსელში.

"კულტურათაშორისი განათლება გვთავაზობს ურთიერთობების ჩამოყალიბებისა და ბარიერების მოსხნის პროცესებს"

საგანმანათლებლო პაკეტი "ყველა განსხვავებული – ყველა თანასწორი"

ანტირასისტული განათლება

ანტირასისტული განათლება ათვლის წერტილად იღებს თეზისს, რომ ჩვენ ვცხოვრობთ მრავალკულტურულ და დემოკრატიულ საზოგადოებაში, სადაც ყოველ მოქალაქეს თანასწორობისა და სამართლიანობის უფლება აქვს მინიჭებული. თუმცა, იგი აცნობიერებს რასიზმისა და რასობრივი დამოკიდებულებების რეალურად არსებობას თანამედროვე საზოგადოებაში და იმ გავლენას, რომლის მოხდენაც მას შეუძლია შავკანიან მოსწავლეებზე - როგორც მათთვის საგანმანათლებლო პროცესში ნეგატიური გამოცდილების მიღების, ასევე მათთვის მომავალ ცხოვრებაში შანსების შემცირების თვალსაზრისით. ანტირასისტული განათლება ცდილობს აღმოფხვრას რასიზმი, რასისიტული გამოთქმები და პრაქტიკა, როგორც ინდივიდუალურ, ასევე ინსტიტუციონალურ დონეზე და თანამედროვე საზოგადოებაში გაზარდოს ზოგადი ინფორმირებულობა რასიზმის მავნე ზემოქმედებების შესახებ. ანტირასისტული განათლება მიზნად ისახავს მრავალრასობრივი და ურთიერთდამოკიდებული საზოგადოებების შექმნას, სადაც ყველა მოქალაქის უფლება გათვალისწინებული და დაცულია.

ganviTarebis problemebis swavleba

განვითარების პრობლემების სწავლება მჭიდრო კავშირშია გლობალურ განათლებასთან, მაგრამ გარკვეულ აქცენტს აკეთებს მესამე თაობის უფლებებზე – როგორიცაა: მყარი განვითარება, უფლება ჯანსაღ გარემო პირობებზე და მშვიდობის უფლება. პრიორიტეტულად მიიჩნევს, ასევე, საკითხებს, რომლებიც განსხვავებული საზოგადოებების ურთიერთობასა და განვითარების მეთოდებს ეხება. ამიტომაც დავაკავშირეთ ის დიაგრამაზე კულტურათაშორის განათლებასთან. ამგვარად, განვითარების პრობლემების შესწავლა ინტეგრალური პროცესია, იმ გაგებით, რომ იგი დაფუძნებულია მსოფლიოს ხედვაზე, როგორც ერთ, ურთიერთდაკავშირებულ მთლიანობაზე და ორიენტირებულია მომავალზე.

„განვითარების პრობლემების სწავლების ასოციაცია" არის ბრიტანული ორგანიზაცია, რომელიც თითქმის 10 წელია ამ სფეროში მოღვაწეობს. ის განვითარების პრობლემების სწავლებას განმარტავს, როგორც უწყვეტი სწავლის პორცესს, რომელიც:

- შეისწავლის ჩრდილოეთის "განვითარებულ" ქვეყნებში მცხოვრებ ადამიანთა კავშირებს "განვითარებად" სამხრეთში მცხოვრებ ხალხთან. ამით საშუალებას აძლევს ადამიანებს გაიაზრონ კავშირები მათ ცხოვრებასა და მსოფლიოს სხვა რეგიონებში მცხოვრებ ხალხს შორის;
- ზრდის ეკონომიკური, სოციალური და ეკოლოგიური ძალების აზრის გაგებას, რომლებიც გავლენას ახდენენ ჩვენი ცხოვრების ფორმირებაზე;

- ანვითარებს უნარ-ჩვევებს, დამოკიდებულებებსა და ფასეულობებს, რომლებიც საშუალებას აძლევს ხალხს ერთად იმუშაონ ცვლილებების განსახორციელებლად და ფლობდნენ თავიანთი ცხოვრების სადავეებს.

ekologiuri ganaTleba

მყარი განვითარების მეთოდების ძებნა, განვითარების პრობლემების სწავლების ერთ-ერთ ძირითად მიზანს წარმოადგენს, და, ბუნებრივია, დაგვაფიქრებს გარემო პირობების მომავალ მდგომარეობაზე. ამ თვალსაზრისით, ეკონომიკურ განვითარებასთან დაკავშირებული საკითხები, განსაკუთრებით განვითარებად ქვეყნებში, უნდა დაბალანსდეს იმასთან მიმართებაში, თუ რა ფასად უჯდება ეს კაცობრიობას და გარემომცველ ბუნებას. ეკოლოგიური განათლება მიზნად ისახავს ამ საკითხების გამოტანას საზოგადოების სამსჯავროზე, დედამიწის ბუნებრივ რესურსებზე ზრუნვასა და მათდამი პატივისცემის გრძნობის გაძლიერებას.

“განათლებამ უნდა გააღრმავოს სათანადო ინდივიდის ინტელექტუალური და ემოციური განვითარება. უნდა განავითაროს სოციალური პასუხისმგებლობის და ნაკლებად პრივილეგირებული ჯგუფების მიმართ სოლიდარობის გრძნობა და უნდა მიგვიყვანოს თანასწორობის პრნციპების დაცვამდე ყოველდღიურ ქცევაში.”

იუნესკოს რეკომენდაცია საერთაშორისო გაგების, თანამშრომლობისა და მშვიდობის შესახებ და ადამიანის უფლებებთან და ძირითად თავისუფლებებთან დაკავშირებული განათლების შესახებ

იგი უკავშირდება, აგრეთვე, ადამიანის უფლებათა პრობლემებს. იმის გამო, რომ კაცობრიობის ცხოვრება დამოკიდებულია ჯანსაღ და მყარ გარემო პირობებზე, ამიტომ მსოფლიოს ხალხების და მომავალი თაობების უფლებებზე ზრუნვას, ეკოლოგიის საკითხები გადმოაქვს წინა პლანზე. დღეს უკვე საუბრობენ ადამიანის ეკოლოგიური უფლებების, როგორც უფლებათა ცალკე კატეგორიის, აღიარების შესახებ.

ganaTleba mSvidobis kulturis sferoSi

მსოფლიოს ბუნებრივი რესურსები არ არის თანაბრად გადანაწილებული. ისინი ყოველთვის იყვნენ და ეჭვგარეშეა, რომ კვლავაც დარჩებიან სასტიკი კონფლიქტების ერთ-ერთი წყარო სხვადასხვა ადამიანებსა და საზოგადოებებს შორის. სამწუხაროდ, არსებობს კონფლიქტის ბევრი სხვა წყაროც. მშვიდობის კულტურის განათლების სფეროში მოღვაწე პროფესიონალები, შეიძლება, დაინტერესებულნი იყვნენ დედამიწის ბუნებრივი სიმდიდრეების რაციონალური და თანაბარი გადანაწილებით, როგორც კონფლიქტების გადაჭრის ერთ-ერთ საშუალებით მაგრამ, როგორც ჩანს, მათ მთელი ყურადღება გადატანილი აქვთ თავად კონფლიქტებზე და არა მათ გამომწვევ მიზეზებზე. განათლება მშვიდობის კულტურის სფეროში დამყარებულია მშვიდობის კონცეფციაზე, რომელიც უფრო მეტს წარმოადგენს, ვიდრე უბრალოდ ომის არარსებობა: მშვიდობის მიღწევა შესაძლოა სამართლიანობის გზების ძიებით და ექსპლუატაციისა და უსამართლობის გამომწვევი მიზეზების გააზრებით.

“არ არსებობს გზა მშვიდობისაკენ. მშვიდობა თავად არის გზა”.

მ.ჯ. განდი

მხოლოდ ცოტა ადამიანს თუ სჭირდება მშვიდობის კულტურის სფეროში განათლების საჭიროების ახსნა კონფლიქტების უკეთესად გაგების, ადამიანთა შორის პატივისცემის დამკვიდრების (რაც ამცირებს კონფლიქტების აღმოცენების ალბათობას) და პოტენციურად საშიში სიტუაციების მშვიდობიანად დარეგულირების უნარჩვევების განვითარების მიზნით. მსოფლიოს სჭირდება სიცოცხლის ჭეშმარიტი უფლება ყველასათვის და ჭეშმარიტი პატივისცემა ყველას მიმართ, მათი ჩათვლით, ვისაც შეცდომები გვაქვს დაშვებული. ტოლერანტობის, კულტურათაშორისი გაგების შესახებ სწავლება და მთლიანობაში განათლება ადამიანის ძირითად უფლებათა უნივერსალური ბუნების შესახებ უნდა იყოს ამ მიზნისაკენ მიმავალი მნიშვნელოვანი გზა.

2002 – 2010 წლები გამოცხადდა მშვიდობის კულტურის და მსოფლიოს ბავშვთა მიმართ არა-ძალადობის საერთაშორისო დეკადად (UN Doc. A/RES/53/25). იუნესკოს მხარდაჭერით დაარსებული მშვიდობის კვლევის საერთაშორისო

ასოციაციაში არსებობს მშვიდობის განათლების კომიტეტი, რომელიც აერთიანებს მშვიდობის კულტურის დასამკვიდრებლად მოღვაწე პროფესიონალებს.

samarTlebrivi ganaTleba

იგი, ალბათ, ყველაზე "ფორმალურია" განათლების იმ სფეროებს შორის, რომლებიც აქამდე განვიხილეთ, მაგრამ იურიდიული განათლება არ ნიშნავს მხოლოდ არსებული კანონების შესწავლას, ის ასევე გულისხმობს კანონის უზენაესობის და ადამიანის უფლებათა საერთაშორისო დოკუმენტებში დეკლარირებული სამართლიანობის ძირითადი პრინციპების მიმართ პატივისცემის დამკვიდრებას.

კავშირი იურიდიულ განათლებასა და ადამიანის უფლებებს შორის შეიძლება დამყარდეს ორ სხვადასხვა დონეზე: პირველია სპეციფიური "იურიდიული" უფლებები, რომლებიც იცავენ ინდივიდს მიკერძოებული სასამართლო პროცესებისაგან და მეორე, მათი დაცვა საერთაშორისო კანონმდებლობის დონეზე. გაეროს სტრუქტურები, ევროპის ადამიანის უფლებათა სასამართლო და სხვა რეგიონალური ორგანიზაციები ის იურიდიული ინსტიტუტებია, რომლებიც არსებობს ადამიანის უფლებათა დასაცავად. მაგრამ, ჩვენ უნდა გვქონდეს ინფორმაცია მათ შესახებ და შეგვეძლოს მათი გამოყენება, თუ გვინდა რომ ისინი ეფექტური იყოს ამ მიზნის მისაღწევად. ისინი თავად არ მოგვაკითხავენ.

kompasis gamoyeneba evropis sxvadasxva qveynebSi

ra aris evropa da sad mdebareobs igi?

ისტორიკოსების ცნობით ანტიკურ საბერძნეთში ევროპად ითვლებოდა მხოლოდ ის ნაწილი, რომელიც დღეს ბალკანეთის სახელითაა ცნობილი. ამჟამად ევროპა ბევრად უფრო ვრცელ ტერიტორიას მოიცავს, მაგრამ ზუსტი საზღვრების დადგენა არც ისე ადვილია.

პოლიტიკური ევროპა მოიცავს 10 მილიონ კვადრატულ კილომეტრზე მეტ მიწის ფართობს და გადადის გეოგრაფიული აზიის ტერიტორიულ საზღვრებში. კონტინენტის კლიმატი მერყეობს სუბტროპიკულიდან (სამხრეთ რეგიონები) პოლარულამდე (ჩრდილოეთ რეგიონები). ევროპა 200-ზე მეტი ცოცხალი ენისა და კიდევ უფრო მეტ ენაზე მოლაპარაკე ადამიანების სამშობლოა. ის მოიცავს დაახლოებით 50 სახელმწიფოს, რომელთა მთლიანი მოსახლეობა თითქმის 800 მილიონს შეადგენს.

ევროპის ტერიტორიაზე მსოფლიოს ყველა ძირითადი რელიგიის წარმომადგენელი ცხოვრობს. ეს კონტინენტი ასოცირებულია როგორც დემოკრატიის დაბადებასთან, ასევე ფაშიზმისა და ტოტალიტარიზმის ყველაზე უარეს გამოვლინებებთან, რაც კი მსოფლიოს ოდესმე უნახავს. ევროპას ახსოვს ებრაელთა განადგურება, კოლონიალიზმი და მონობა, დღეს კი ევროპაში ისეთი რაოდენობის ბირთვული იარაღია თავმოყრილი, რომელიც საკმარისია დედამიწაზე სიცოცხლის გასანადგურებლად. მიუხედავად ამისა, ევროპაში ყოველწლიურად იმართება ნობელის პრემიით დაჯილდოების ცერემონიალი და დაარსდა ადამიანის უფლებათა მუდმივმოქმედი სასამართლო, რომელიც აღიარებულია მთელს მსოფლიოში.

ევროპის ქვეყნები

დღესდღეობით, ევროპული სახელმწიფოების ოჯახში ზოგიერთი ქვეყანა ჯერ არსებობის 10 წელზე ნაკლებს ითვლის, ზოგი თითქმის უცვლელად ინარჩუნებს საზღვრებს ასეულობით წლების განმავლობაში, ზოგი კი კონფლიქტების ფონზე დღესაც ცვლილებების პროცესშია. ამგვარად, ევროპაში არსებობენ ხალხები, რომლებიც რეგულარულად, ყოველდღიურ ცხოვრებაში ხვდებიან ძალადობას მაშინ, როდესაც ამავე კონტინენტზე სხვები მშვიდობიანად, უსაფრთხოდ და, ხშირად, უზრუნველად ცხოვრობენ.

? რის საფუძველზე ითვლება ქვეყანა "ევროპულად"?

ევროპის ყველა ქვეყანაში არსებობენ მილიონერები, ხოლო მილიონობით ადამიანი სიღარიბის ზღვარს ქვემოთ ცხოვრობს. რამდენადაც მრავალფეროვანია ევროპის კონტინენტი, იმდენად განსხვავდებიან ერთმანეთისგან ევროპის ქვეყნები. მასწავლებლის დღიური ხელფასი ევროპის ერთ ნაწილში შეიძლება უფრო მეტი იყოს, ვიდრე ევროპის სხვა წერტილში მომუშავე მისი კოლეგის თვიური გამომუშავება, ხოლო ევროპის სხვა რეგიონში მასწავლებელმა შეიძლება საერთოდ ვერ მიიღოს ხელფასი თვეების განმავლობაში.

ევროპა, ჭეშმარიტად, მრავალფეროვანია.

ერთი ევროპა? ორი ...?

შეიძლება გავამარტივოთ საკითხი და ვთქვათ, რომ არსებობს დასავლეთ და აღმოსავლეთ ევროპა? ან ჩრდილოეთ და სამხრეთ ევროპა? მაშინ, სად მდებარეობს ცენტრალური ევროპა?

შეიძლება დავყოთ იგი ქრისტიანულ და მუსულმანურ ევროპად ან მდიდარ და ღარიბ ევროპად? მშვიდობიან და საომარ პროცესებში ჩართულ ევროპად? დემოკრატიულ ევროპად და ტოტალიტარიზმისაგან დაუძლურებულ ევროპად... მემარცხენე და მემარჯვენე, ამერიკანიზებულ და გასაბჭოებულ ევროპად?

? ევროპის რომელ "ნაწილს" ეკუთვნით თქვენ? ხართ ევროპის ამ რეგიონისათვის დამახასიათებელი ტიპიური ევროპელი?

თუკი თვლით, რომ ჩვენს მიერ შემოთავაზებული ევროპის დაყოფა შეესაბამება რეალობას, ან, უკიდურეს შემთხვევაში, სასარგებლოა კონკრეტული საჭიროებების განსაზღვრისათვის ამ დაყოფათა სხვადასხვა მხარეს, მაშინ დაუფიქრდით, როგორ შეიძლება ასეთ ზოგად კატეგორიებში მოთავსდეს ქვემოთ მოყვანილი ჯგუფები. პასუხობს ადამიანების მოთხოვნილებები ევროპის იმ ქვეყნების ან რეგიონების "სტერეოტიპებს", რომლებშიც ისინი ცხოვრობენ?

- ბიზნესმენები ბალკანეთში.
- ბენგალური თემები აღმოსავლეთ ლონდონში.
- ბასკეთში ან ჩრდილოეთ ირლანდიაში მცხოვრები, ტერორისტული ძალადობით გატანჯული ხალხი.
- კლიმატზე დამოკიდებული მთიანი რეგიონების ფერმერები ესპანეთში, იტალიაში, რუმინეთში და საქართველოში.
- ბოშები უნგრეთში, სლოვაკეთში, საბერძნეთში ან საფრანგეთში.
- ისლამოფობები ან ანტისემიტები გერმანიაში, რუსეთში, ლიტვაში, შვედეთში, პოლონეთში და კონტინენტის სხვა ქვეყნებში.
- მეთევზეთა დასახლებები შოტლანდიაში, ნორვეგიაში, ხორვატიასა და ესტონეთში.
- იმიგრანტი მუშები ბელგიასა და ფინეთში.
- ლტოლვილები და პოლიტიკური თავშესაფრის მაძიებლები უკრაინასა და პოლონეთში.
- მუსულმანები, პოლიტიკოსები, ადამიანის უფლებათა აქტივისტები, მასწავლებლები, ახალგაზრდების ლიდერები, დაბლები, მელოტები, ბავშვიანი და უბავშვო ქალები.

ასეთი მაგალითები ადასტურებენ, რომ ევროპის არანაირი დაყოფა არაა აბსოლუტური იმისათვის, რათა ადექვატურად მოხდეს თითოეული ქვეყნის, საზოგადოებისა და პიროვნების მრავალასპექტიანი ბუნების აღწერა. ევროპის მასშტაბით არსებობს გარკვეული საერთო საჭიროებები, მაგრამ არსებობს ამავე რაოდენობის განსხვავებული მოთხოვნები თითოეული თემის ფარგლებში, თითოეულ კონკრეტულ სახელმწიფოში. ევროპა და მისი შემადგენელი ქვეყნები წარმოადგენენ სოციალური და კულტურული მრავალფეროვნების მიკროსამყაროს.

wigni evropisaTvis?

მაშინ რა საჭიროა ერთი სახელმძღვანელო მთელი ევროპისათვის? შეძლებს ის პასუხი გასცეს დააკმაყოფილოს ყველას მოთხოვნილებები ამ მდიდარ და ჭრელ კონტინენტზე?

წიგნის ეს ნაწილი გარკვეულ პასუხებს იძლევა ამ შეკითხვებზე და წარმოადგენს ჩვენს მიდგომას ზოგიერთი სიძნელისადმი, რომელსაც წავაწყდით და, დაგვანახებს, თუ როგორ გადავჭერით ეს პრობლემები. ასევე, მოგვყავს მიზეზები, რის გამოც ვთვლით, რომ დასახული ამოცანა მხოლოდ რეალისტური კი არ არის,

"... პირველად
მოაკითხეს; მე
რადგან კომუნი
შემდეგ მოაკით
მაშინაც არ და
იმიტომ, რომ ა
შემდეგ ისინი
მუშების, პროფ
წევრების წასა
კათოლიკებს მ
არაფერი მითქ
რომ პროტესტ
ბოლოს, როცა
აღარავინ იყო
რაიმე ეთქვა".

პასტორი მარტ

არამედ აუცილებელიცაა. ბოლოსდაბოლოს, ევროპას მარტო კულტურული მარვალფეროვნება არ ახასიათებს, მას ბევრი საერთოც აქვს. ამ შეხების წერტილების აღმოჩენა და, ამ გზით, ურთიერთგანსხვავებების შეცნობა, შესაძლოა, ისევე მნიშვნელოვანი იყოს, როგორც ჩვენი საკუთარი მეობის დაცვა და შენარჩუნება.

? შეხვედრიხართ ევროპის სხვადასხვა რეგიონის ახალგაზრდულ ჯგუფებს? რა აქვთ თქვენს ჯგუფებს საერთო?

ადამიანის უფლებები, როგორც ერთიანობის ფაქტორი

ადამიანის უფლებები საფუძვლად უდევს ევროპის საბჭოს ისტორიულ და იდეოლოგიურ ფუნდამენტს და წარმოადგენს ერთ-ერთ ელემენტს, მრავალ საერთო ელემენტთა შორის, რომლებიც აერთიანებენ ევროპას. რა თქმა უნდა, ადამიანის უფლებები არ არის ევროპის მონოპოლისტური კუთვნილება, მაგრამ, ეჭვგარეშეა, რომ ამ კონტინენტისათვის ერთ-ერთ ყველაზე მნიშვნელოვან გამაერთიანებელ ფაქტორს წარმოადგენს. ევროპის საბჭოს წევრების ზრდასთან ერთად, ეს ფაქტორი სულ უფრო ძლიერდება.

ყოველი ქვეყანა, რომელიც ევროპის საბჭოში ერთიანდება, ვალდებულებას იღებს დაიცვას ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვის ევროპულ ევროპის კონვენციაში დეკლარირებული ძირითადი უფლებები და თავისუფლებები. ევროპის ქვეყნების ჩვეულებრივი მოქალაქისათვის, ეს ნიშნავს, რომ აღნიშნული უფლებები და თავისუფლებები, უკიდურეს შემთხვევაში, გარკვეული ხარისხით მაინც, დაცულია ევროპის თანამეგობრობის სახელმწიფოების მიერ.

მაშინაც კი, როდესაც არსებობს ადამიანის უფლებათა ევროპის სასამართლო, თითოეული მოქალაქის უფლებების დაცვა, მხოლოდ იმ შემთხვევაში გახდება რეალური და საფუძვლიანი, თუ თითოეული პიროვნება აქტიურ როლს შეასრულებს მათ დაცვაში. მოქალაქეებმა უნდა იცოდნენ ამ უფლებების არსებობის შესახებ, უნდა შეეძლოთ მათი დაცვა, როდესაც ირღვევა ეს უფლებები და პატივი უნდა სცენ ადამიანის უფლებებს ყოველდღიურ ცხოვრებაში. სწორედ ამაში მდგომარეობს განათლების ამოცანა და ეს არის მთელი ევროპის ამოცანა.

მსოფლიოს მოქალაქეები

პირადი უფლებების დაცვის ცოდნა მნიშვნელოვანი საკითხია, მაგრამ ამოცანა ამით არ შემოიფარგლება. ამ სახელმძღვანელოში, ჩვენ ვთვლით, რომ ადამიანის უფლებები გლობალური საკითხია და აუცილებელია, რომ ევროპის ახალგაზრდები, როგორც მსოფლიოს მოქალაქეები, აფასებდნენ მას, თუ გვინდა, რომ ადამიანის უფლებები დაცული იყოს არა მარტო ჩვენს რეგიონში, არამედ მთელს პლანეტაზე.

რასაკვირველია, ყველა ევროპული ქვეყანა ასრულებს კონკრეტულ სამუშაოს, საკუთარი მოქალაქეების უფლებათა დაცვის გასაუმჯობესებლად. არ არსებობს ქვეყანა, სადაც არ ირღვევა ადამიანის უფლებები. ადამიანის უფლებათა სწავლება ეხება არა მხოლოდ ჩვენს უფლებებს, არამედ სხვა ადამიანების უფლებებსაც. ამიტომ, ამ სახელმძღვანელოს ერთ-ერთი ამოცანაა ინფორმირებულობის გაზრდა ადამიანის უფლებათა შესახებ, რათა ახალგაზრდებმა უკეთ შეძლონ დაიცვან უფლებები თავიანთ გარემომცველ სამყაროში. მეორე ამოცანაა, გავუღვივოთ ახალგაზრდებს სურვილი, უფრო ფართო მასშტაბით გამოიჩინონ დაინტერესება ამ

საკითხებში და ჩაუფიქრდნენ თავიანთი საქციელის რეალურ და მოსალოდნელ შედეგებს.

ახალგაზრდები, მთელს მსოფლიოში და განსაკუთრებით ევროპაში, ყოველთვის ყურადღებით ეკიდებოდნენ ადამიანის უფლებებს და ადამიანის უფლებათა სწავლებას. ფაშიზმისა და ტოტალიტარული მმართველობის პერიოდში, სწორედ ახალგაზრდები და სტუდენტები იდგნენ რეპრესიებისა და ჩაგვრის წინააღმდეგ მიმართული საპროტესტო აქციების ავანგარდში. ახალგაზრდული ორგანიზაციები და ასოციაციები ყოველთვის წამყვან როლს ასრულებდნენ ევროპის სხვადასხვა ქვეყნების ახალგაზრდების დაახლოებაში და მათი უფლებების დაცვაში. ახალგაზრდული საერთაშორისო არასამთავრობო ორგანიზაციები მუდამ ცდილობდნენ სოლიდარობის დამყარებას ახალგაზრდებს შორის, როგორც ევროპაში, ასევე მის ფარგლებს გარეთ. მუშაობის ამგვარი მეთოდები ეფუძნება სოლიდარობის, თანამშრომლობის, მშვიდობისა და ადამიანის უფლებების იდეალებს.

მოვიდა დრო, უფრო ფართოდ განვავრცოთ ეს გამოცდილება, ჩავრთოთ მუშაობაში რაც შეიძლება მეტი ევროპელი ახალგაზრდა და დავამკვიდროთ ადამიანის უფლებათა პატივისცემა, როგორც ამ კონტინენტზე, ასევე მის ფარგლებს გარეთ. აუცილებელია უფრო უკეთ გავიაზროთ, თუ რა გზით შეგვიძლია ხელი შევუწყოთ ჩვენი თანატოლების უფლებათა დაცვას. ეს ამოცანაც მთელი ევროპის გადასაწყვეტია.

“სიმტკიცე ძალადობაზე ძლიერია. როდესაც წინააღმდეგობები ბევრია, შეუძლებელია მათი ერთდროულად გადალახვა. თუმცა ისინი სათითაოდ გაქრებიან თუკი თანმიმდევრულად ვიმოქმედებთ”.

პლუტარქე

evropuli ocneba

რასაკვირველია, არავის სურს, რომ ევროპის ქვეყნებმა და კულტურებმა დაკარგონ თავიანთი თვითმყოფადობა. ამ სახელმძღვანელოს შედგენის დროს, ჩვენი ამოსავალი წერტილი იყო, რომ ადამიანის უფლებათა კულტურა არ უპირისპირდება ევროპის არც ერთი ქვეყნის კულტურას და, მაშასადამე, მსოფლიო კულტურასაც და არ იწვევს მათ შეცვლას უარყოფითი მიმართულებით. ფაქტიურად, ეს ფასეულობები უკვე არსებობს ყველა ქვეყანაში, მაგრამ, განვითარების უმაღლეს დონეს მხოლოდ ის კულტურები აღწევენ, რომლებიც ანვითარებენ ამ ფასეულობებს და ყველა ადამიანს აძლევენ პოზიტიური წვლილის შეტანის საშუალებას.

ჩვენ ვიმედოვნებდით, რომ საერთო ინტერესები და საერთო ძალისხმევა ხელს შეუწყობდა ახალგაზრდების დაახლოებას ჩვენს კონტინენტზე, მათ მიერ ურთიერთთანასწორობის აღიარებას, საერთო რეალობის გაზიარებას და ერთობლივი პასუხისმგებლობის აღებას კონტინენტის მომავალზე: შესაძლოა ციმბირი შეერთებოდა პორტუგალიას ქალების უფლებების დაცვაში, ალბანეთის და ლუქსემბურგის ახალგაზრდებს, იქნებ ბავშვთა შრომის საკითხზე საერთო ვებგვერდიც კი შეექმნათ, რათა მსოფლიოს ყურადღება მიეპყროთ. ანდა, იქნებ მალტისა და დანიის სკოლებს დაეგეგმათ ერთდროული ქუჩის აქციები, ძალადობის წინააღმდეგ სხვადასხვა ქვეყნის სკოლებში.

ახალგაზრდები დაინტერესებული არიან და შეუძლიათ გზის გაკვლევა, შეუძლიათ უპასუხონ მათ, ვინც აკრიტიკებს მათ ინდივიდუალიზმს და უარყონ მათი აპათია, როგორც ეს საუკუნეების მანძილზე გაუკეთებიათ თაობებს. ახალგაზრდებს შეუძლიათ დაამტკიცონ მათი სიცრუე, ვინც დაბეჯითებით ამტკიცებს, რომ ალტერნატივა არ არსებობს და ახალი ენერგია შთაბერონ ადამიანის უფლებებისათვის მშვიდობიან ბრძოლას მთელს მსოფლიოში. ამ სახელმძღვანელოსათვის ახალგაზრდები არ არიან მხოლოდ მიზნობრივი ჯგუფები, ისინი ჩვენს მთავარ იმედსა და რესურსს წარმოადგენენ.

axalgazrduli warmomadgenloba da misi muSaoba

თუმცა ამ სახელმძღვანელოში მოცემული სავარჯიშოები გამიზნულია ფორმალურ საგანმანათლებლო სექტორში გამოყენებისათვის, ჩვენი სურვილი იყო შეგვექმნა ისეთი წიგნი, რომელიც უპირატესად გამოადგებოდათ ფორმალური საგანმანათლებლო სისტემის ფარგლებს გარეთ მომუშავე ახალგაზრდებს. რა თქმა უნდა, ასეთი სამუშაოს ბუნება და მოცულობა შეიძლება განსხვავებული იყოს სხვადასხვა ქვეყნებში. მიუხედავად ამისა, მეთოდების სხვადასხვა ტიპების შემოთავაზებით და სხვადასხვა თემების შესწავლით, ჩვენ მიზნად ვისახავდით მხედველობაში მიგვეღო ყველა ევროპულ ქვეყანაში არსებული მრავალფეროვანი ახალგაზრდული ჯგუფების და ასოციაციების განსხვავებული მოთხოვნები. სახელმძღვანელოში მოცემული სავარჯიშოების ფართო სპექტრი უნდა ყოფილიყო საინტერესო და სასარგებლო კლასგარეშე სამუშაოსთვის, სკაუტთა ჯგუფებისთვის, ახალგაზრდების საეკლესიო ჯგუფებისთვის, საუნივერსიტეტო კლუბებისათვის, ადამიანის უფლებების დამცავი ჯგუფებისათვის, გაცვლითი კლუბებისათვის და ამასთან ერთად, ის უნდა ყოფილიყო გამოყენებადი ფორმალური საგანმანათლებლო სექტორისათვის.

ახალგაზრდებთან მუშაობის ძირითადი ამოცანაა ახალგაზრდების პიროვნული და სოციალური განვითარება. ამ მიზეზით, მოცემული სავარჯიშოების უდიდესი ნაწილი უფრო დიდ ყურადღებას უთმობს ამ ასპექტებს, ვიდრე ტრადიციულ საგანმანათლებლო მიზნებს – ცოდნის გაღრმავებას. ძალიან მნიშვნელოვანი იყო სავარჯიშოების შეკრება ისე, რომ მომხდარიყო ახალგაზრდების ყურადღების კონცენტრირება ამ საკითხებზე და გამოყენებული ყოფილიყო ემპირიული გამოცდილება, რათა გაძლიერებულიყო ახალგაზრდების პატივისცემა ადამიანის უფლებების მიმართ, განსაკუთრებით კი მათი, რომლებიც ფორმალური საგანმანათლებლო სისტემის ფარგლებში აქტიურ რეაგირებას არ ახდენენ ამ მცდელობებზე.

? იყენებთ ემპირიულ გამოცდილებას პირად პრაქტიკაში?

იმ საგანმანათლებლო სისტემებში და ინსტიტუტებში, სადაც სასწავლო მეთოდები უფრო ცოდნაზეა დამყარებული, ვიდრე გამოცდილებაზე ან უნარ-ჩვევებზე, ასეთი მიდგომა შეიძლება საკმაოდ უცხო იყოს. ამიტომ, ჩვენ გთავაზობთ სასარგებლო საწყის წერტილებს და ძირითად ბაზისურ ინფორმაციას ამ სახელმძღვანელოს საგანმანათლებლო მიდგომების შესახებ (იხ. თავი "როგორ ვისარგებლოთ სახელმძღვანელოთი"). ჩვენ ეს მიგვაჩნია იმ მიზნის მნიშვნელოვან ნაწილად, რომ წიგნი გასაგები იყოს არა მარტო ევროპის ახალგაზრდებისთვის არამედ მასწავლებლებისა და ჯგუფის ხელმძღვანელებისა და ახალგაზრდული მუშაკებისთვისაც, რომლებიც ნაკლებად იცნობენ ზოგიერთ სამუშაო მეთოდს.

"ახალგაზრდობა არ არის მხოლოდ მომავალი... ჩვენ ვართ აწმყოც".

ბავშვებისა და ახალგაზრდების განცხადება ევროპისა და ცენტრალური აზიის ბავშვთა უფლებების სპეციალური სხდომისათვის გამართულ კონსულტაციაზე, ბუდაპეშტი, 2001.

იმედი გვაქვს, რომ ეს სახელმძღვანელო თავის მოკრძალებულ წვლილს შეიტანს ფორმალურ და არაფორმალურ განათლებას შორის არსებული მეთოდოლოგიური უფსკრულის შევსებაში. ორივე თვალსაზრისით მნიშვნელოვანია ახალგაზრდების ჩართვა, რომელთა ყურადღების მიქცევასაც ვცდილობთ – და უფრო მეტიც, ისეთ სფეროში, როგორიცაა ადამიანის უფლებები, სადაც აქტიური მონაწილეობა ძირითად ფაქტორს წარმოადგენს. მათი ყოვლისმომცველი ბუნების გამო, ამ სახელმძღვანელოში მოცემული თითოეული სავარჯიშო მიზნად ისახავს საინტერესო და მიმზიდველი გზის მიწოდებას ახალგაზრდებისათვის, რათა გაზარდოს მათი ინფორმირებულობა ადამიანის ზოგადი უფლებების შესახებ ნებისმიერ გარემოში.

? როგორ ახერხებთ ახალგაზრდების ჩართვას პრაქტიკულ მუშაობაში?

კიდევ ერთი ძირითადი ამოცანა იყო ახალგაზრდებისთვის საშუალების მიცემა, რომ მათ თავიანთი წვლილი შეეტანათ საკითხებში, რომლებიც მათ აღელვებთ. ამ მიზნით, ჩვენ ასევე დავამატეთ თავი "მოქმედებაზე გადასვლა". ამ თვალსაზრისით, უნდა აღინიშნოს, რომ ამ თავში შემოთავაზებული წინადადებების უმრავლესობა არავითარ შემთხვევაში არ არის მარტო ადამიანის უფლებების "აქტივობისათვის" დამახასიათებელი, ისინი ჩვეულებრივი ახალგაზრდული საქმიანობაა, რომლებსაც ბევრი ჯგუფი უკვე ახორციელებს ადამიანის უფლებათა სფეროსგან განსხვავებულ სფეროებში. ეს ისეთი ტიპის სავარჯიშოებია, რომელში მონაწილეობაც ყველა ახალგაზრდას აინტერესებს.

bavSvis uflebaTa konvencia

ყველა ევროპულმა ქვეყანამ მოაწერა ხელი და რატიფიცირება მოახდინა გაეროს კონვენციას ბავშვის უფლებების შესახებ. შესამაბისად, მათ აიღეს პასუხისმგებლობა ამ უფლებების დაცვაზე და ამ მიმართულებით მიღწეული პროგრესის შესახებ რეგულარული მოხსენებების გაკეთებაზე. ეს კონვენცია აქტუალურია სახელმძღვანელოსთან მიმართებაში ნაწილობრივ მიზნობრივი ჯგუფის ასაკობრივი სპექტრის გამო, თუმცა წიგნი ასევე გათვალისწინებულია – 18 წლის ზემოთ მკითხველისათვის (კონვენციის ზედა ასაკობრივი ზღვარი).

აქვე განსაკუთრებულად უნდა აღინიშნოს კონვენციის მნიშვნელობა სახელმძღვანელოს მეთოდოლოგიიდან გამომდინარე. კონვენციის ცენტრალური იდეა არის (ჩამოყალიბებული მის რამდენიმე მუხლში, განსაკუთრებით მე-3 და მე-11 მუხლები), რომ ახალგაზრდებს უფლება აქვთ გამოთქვან თავიანთი შეხედულებები და მოითხოვონ მათი გათვალისწინება. ამ იდეამ განსხვავებული ხარისხით რეალიზაცია ჰპოვა ევროპის სხვადასხვა ქვეყნებში: ზოგ მათგანში არსებობს რეალური შესაძლებლობები რომ ახალგაზრდებმა მონაწილეობა მიიღონ იმ გადაწყვეტილებების მიღებაში, რომელიც მათ ეხებათ, ზოგში კი პროცესი ნაკლებად წარმატებულია.

? არსებობს ბავშვის უფლებათა კონვენციის ასლი თქვენს სკოლაში ან ასოციაციაში?

გასაგებია, რომ უკვე არსებული შესაძლებლობები გარკვეული დონით განსაზღვრავს ახალგაზრდების გავლენის ხარისხს გადაწყვეტილებების მიღებაზე ისევე, როგორც გარკვეული საქმიანობისთვის უპირატესობის მინიჭებას სხვა საქმიანობასთან შედარებით. საბოლოო ამოცანა, რომ ახალგაზრდებს მოეპყრან ისე, როგორც ხალხს, რომელიც იმსახურებს ჭეშმარიტ პატივისცემას და ამ თვალსაზრისით ისინი ჩაითვალონ საზოგადოების უფროსი თაობის წევრების თანასწორად, ძალაში რჩება ევროპის ყველა ნაწილში.

wignis momzadebis procesi

კომპასის შემოქმედებითი ჯგუფი შედგებოდა რვა წევრისაგან, რომლებსაც უნდა მოემზადებინათ ბაზისური მასალები და შეედგინათ სახელმძღვანელოს სავარჯიშოები. როგორც ეს ხშირად ხდება ხოლმე, ჯგუფი სერიოზული გამოცდის წინაშე დადგა წიგნის შექმნის პროცესში, რომელიც ბუნებრივია ძალიან

საინტერესო იყო, განსაკუთრებით შეზღუდული ვადების გამო. იმისათვის, რომ მომხდარიყო გამოცდილების მაქსიმალური გაზიარება, თითოეული ავტორის მიერ დაწერილი ტექსტი უნდა ყოფილიყო გადამოწმებული და მოწონებული სხვა ორი ავტორის მიერ. ანალოგიურად ყოველი თავი ან თემა სულ მცირე ორი ადამიანის მიერ იყო გაზიარებული.

შემოქმედებითი ჯგუფი წარმოადგენდა ევროპას მთელი მისი მრავალფეროვნებით. წევრები იყვნენ ჩრდილოეთიდან, სამხრეთიდან, აღმოსავლეთიდან და დასავლეთიდან (ასევე ცენტრალური ნაწილიდან). ჩვენი ისტორია, ტრადიციები, ენები, ჩაცმულობა და მუსიკალური გემოვნება ხან თანხვდებოდა, ხან ეწინააღმდეგებოდა ერთმანეთს. ყოველ ჩვენგანს სურდა გაეკეთებინა რამე განსხვავებული, ან განსხვავებულად, რადგანაც თითოეულმა ჩვენგანმა ყველაზე უკეთ იცოდა საკუთარი ქვეყნის მოთხოვნები. თუმცა არც ერთმა ჩვენგანმა არ იცოდა ყველას საჭიროებების შესახებ, თვით საკუთარ ქვეყანაშიც კი და ამიტომაც, საბოლოოდ აღმოჩნდა, რომ თითოეული ჩვენგანი იყო საჭირო და ყველა ჩვენგანი კი იყო არასაკმარისი.

საკონსულტაციო ჯგუფის ერთმა წევრმა, რომელიც ერთ-ერთ პოსტსაბჭოთა ქვეყანაში ცხოვრობს, თავიდანვე შენიშნა, რომ დასავლეთ ევროპის ქვეყნები ზრუნავენ უმცირესობათა უფლებებზე მაშინ, როცა ქვეყნები *ევროპის ჩვენ ნაწილში დაინტერესებული არიან უმრავლესობათა უფლებებით.* ზოგი არ დაეთანხმა: ისინი ფიქრობდნენ რომ "ევროპის მათი ნაწილი" არც ერთ სტერეოტიპში არ ჯდებოდა. სხვების აზრით კი, ეს ისევე, როგორც ნებისმიერი განზოგადებისას, აღნიშნულ მტკიცებულებაში შეიცავდა სიმართლის ნაწილს. ჩვენ შევეცადეთ ეს გაგვეთვალისწინებინა, მაგრამ ამავე ლოგიკის მიხედვით, ეს მოსაზრება შეიძლებოდა ყოველ ჩვენგანს გამოეთქვა ცოტა განსხვავებულად: "ხალხი სამხრეთ ევროპაში /მუსულმანურ ევროპაში/ რეგიონებში/ დედაქალაქებში/ ევროპაში საომარი ზონებით... დაინტერესებულია .....ით."

ამ შენიშვნამ ასევე შეგვახსენა, რომ მიუხედავად საერთო მიზნებისა, განსხვავებები ჩვენს კულტურებს შორის არანაკლებ მნიშვნელოვანი იყო, ვიდრე განსხვავებები მათ წარმომადგენლებს, ანუ ჩვენს შორის. პროცესი დავასრულეთ იმ იმედით, რომ პრობლემებს, რომლებიც ჩვენ გვეხებოდა და გვაწუხებდა, უნდა აეღელვებინა ნებისმიერი ადამიანი, განურჩევლად საცხოვრებელი ადგილისა, რადგანაც ეს საკითხები ეხება მთელს მსოფლიოს. პროცესი დავასრულეთ, მაგრამ ბოლომდე მაინც არ ვიცოდით, თუ რა ხარისხით დავფარეთ მთელი ევროპა ადექვატურად. თუმცა, ბოლოს და ბოლოს, ეს შეუძლებელიც იქნებოდა.

saxelmZRvaneloTi sargebloba sxvadasxva enebze da sxvadasxva qveynebSi

ასეთი ფართო აუდიტორიისთვის სახელმძღვანელოს შექმნის პროცესში ორი ძირითადი პრობლემა არსებობდა: პირველი არის გადაჭარბებული განზოგადების პრობლემა – სავარჯიშოები შეიძლება არ იყოს საკმაოდ სპეციფიური, იმისათვის რომ უპასუხოს ამა თუ იმ ჯგუფის ან საზოგადოების კონკრეტულ ინტერესებს. მეორე პრობლემა კი პირიქით, არის კონკრეტულ, სპეციფიურ საკითხებთან შეხება, რომლებიც ან არ არის აქტუალური, ან ზედმეტად მგრძნობიარეა ზოგიერთი ქვეყნისათვის.

საკითხები, რომლებიც ჩვენ ჩავრთეთ სახელმძღვანელოში ნამდვილად აქტუალურია და პირდაპირი დაინტერესების საგანს წარმოადგენს ყველა ადამიანისათვის მათი გეოგრაფიული ადგილმდებარეობის მიუხედავად. და მაინც, შეიძლება ზოგიერთი საკითხის დასმის გზა და სავარჯიშოების განვითარება ნაკლებად შეესატყვისებოდეს გარკვეულ ჯგუფებს და მათ ხელმძღვანელებს. ჯგუფის ლიდერების ან ხელმძღვანელების ამოცანა ასეთ შემთხვევებში არის არა უბრალოდ ინსტრუქციების გამეორება ან ბრმად შესრულება, არამედ განსაზღვრა, თუ რა საჭიროებს გაუმჯობესებას, ადაპტირებას, ან განახლებას სპეციფიური კონტექსტების გათვალისწინებით. ქვემოთ მოყვანილმა ზოგადმა მითითებებმა შეიძლება გარკვეულწილად ხელი შეუწყოს ამ ამოცანის შესრულებას.

ეს სახელმძღვანელო უნდა ჩაითვალოს ათვლის წერტილად და ცოცხალ საგანმანათლებლო ინსტრუმენტად, რომელიც ღიაა იდეებისათვის, ადაპტაციისა და გაუმჯობესების მიზნით მოწოდებული წინადადებებისათვის.

რეკომენდაციები ადაპტაციისათვის:

- თუ საკითხი იწვევს არაერთგვაროვან რეაქციას თქვენ საზოგადოებაში ან არსებობს ალბათობა, რომ მას წინააღმდეგობა შეხვდება ქვეყნის ხელისუფლების მხრიდან, მაშინ დაფიქრდით იქნებ ღირდეს ამ თემის განხილვა სხვა საზოგადოების ან სხვა ისტორიული ეპოქის მაგალითზე ისე, რომ არ გაკეთდეს მკაფიო პარალელები მიმდინარე მოვლენებთან. თუ საკითხი წინააღმდეგობრივია, ან განხეთქილებას იწვევს, თქვენ შეგიძლიათ თხოვოთ მონაწილეებს, რომ ეძებონ განსხვავებული შეხედულებები, ან შესთავაზოთ რომელიმე უმცირესობის დამცველს გამოთქვას საკუთარი აზრი.
- თუ სავარჯიშოებს იყენებთ ფორმალურ საგანმანათლებლო სექტორში, სადაც არსებობს შეზღუდული დროის გრაფიკი და შინაარსს უპირატესი მნიშვნელობა ენიჭება, შესაძლოა თქვენ გადაწყვიტოთ ბაზისური ან სხვა სახის ინფორმაციის უფრო მეტად გამოყენება რომლებიც თქვენ ან თქვენ სტუდენტებს გაქვთ ხელთ. ასევე შესაძლოა გადაწყვიტოთ ზოგიერთი სავარჯიშოს გადანაწილება (მაგალითად ორ დღეზე).
- თუ თქვენ სასწავლო პროგრამაში შეზღუდულია შესაძლებლობები ადამიანის უფლებების შესახებ განათლების ჩართვისათვის, არსებობს მათი გამოყენების უამრავი გზა სხვა საგნებში – როგორიცაა გეოგრაფია, ისტორია, საზოგადოებათმცოდნეობა, პოლიტიკური მეცნიერებები, და ა.შ. ამის მიხედვით შესაძლოა სავარჯიშოების ადაპტირებაც კი მოახდინოთ.
- თუ ახალგაზრდები ჩათვლიან რომ გარკვეული საკითხები მათთვის არაა მნიშვნელოვანი, ან ვერ ხედავენ კავშირს უშუალოდ მათ სიტუაციასთან, სთხოვეთ მათ პირდაპირ დასვან ეს საკითხი და დასახონ გზები, რომლის საშუალებითაც ისინი გავლენას მოახდენენ მათ ცხოვრებაზე. ფაქტობრივად, ამ სახელმძღვანელოში წარმოდგენილი თითოეული საკითხი პირდაპირ კავშირშია ყველა ახალგაზრდასთან.
- სავარჯიშოების შესრულებისას შესაძლოა იგრძნოთ, რომ არსებობს კონკრეტული ინფორმაცია, ან გარკვეული მიდგომა რომელიც უფრო შესაფერისია თქვენი ჯგუფისთვის ან საზოგადოებისთვის. შეინარჩუნეთ მოქნილობა სხვადასხვა სავარჯიშოებისათვის: საშუალება მიეცით მონაწილეებს გამოთქვან მოსაზრებები, გაახანგრძლივეთ ან შეზღუდეთ დროის გრაფიკი, ან ბაზისური ინფორმაცია, თუ ეს მისაღებია და

განიხილეთ სამუშაოს გაგრძელების შესაძლებლობა, თუ ჯგუფი განსაკუთრებულ ინტერესს იჩენს რომელიმე საკითხისადმი. ხანდახან შეიძლება დაგჭირდეთ მოწოდებული ინფორმაციის შევსება ან მისი ადაპტირება თქვენი კონტექსტის მიხედვით.

- გამოიყენეთ საკუთარი მსჯელობა, რათა შეაფასოთ ახალგაზრდების ჩართვის შესაძლო დაბრკოლებები საზოგადოებრივი აქტივობის ნებისმიერ ფორმაში – მაგ. დაძაბულ სოციალურ ან პოლიტიკურ პირობებში.
- როდესაც კი ეს შესაძლებელია გაუზიარეთ ახალგაზრდებს ნებისმიერი სირთულე, რომელსაც თქვენ აწყდებით. ისინი მოხარული იქნებიან გამოთქვან თავიანთი აზრი და უფრო კარგად გაიგებენ ნებისმიერ შეზღუდვას, რომელიც გავლენას ახდენს თქვენზე. ენდეთ მათ!

rogor visargebloT kompasiT

ადამიანის უფლებების შესწავლისა და სწავლების მრავალი გზა არსებობს. ის, თუ როგორ მიუდგებით საგანს, დამოკიდებული იქნება თქვენ სამუშაო გარემოზე (ფორმალური თუ არაფორმალიური სექტორი), თქვენს ქვეყნაში არსებულ პოლიტიკურ, სოციალურ და ეკონომიკურ პირობებზე, ახალგაზრდების ასაკზე, მათ დაინტერესებაზე და მოტივაციაზე - შეისწავლონ ადამიანის უფლებები. ასევე, დამოკიდებული იქნება იმ გამოცდილებაზე, რომელსაც ფლობთ ადამიანის

უფლებათა საკითხებში, თქვენს პირად მიდგომაზე და დამოკიდებულებაზე მიზნობრივი ჯგუფების მიმართ და, რასაკვირველია, "სწავლების სტილზე".

თქვენ შეიძლება იყოთ ახალგაზრდა მუშაკი, ტრენერი, სკოლის მასწავლებელი, ან უფროსი თაობის პედაგოგი, სემინარების ხელმძღვანელი ან საეკლესიო განხილვების ჯგუფის წევრი, ან ახალგაზრდა, რომელიც დაინტერესებულია ადამიანის უფლებებით. ვინც არ უნდა იყოთ და სადაც არ უნდა მუშაობდეთ, ჩვენ გვწამს, რომ ამ სახელმძღვანელოში აღმოაჩენთ რაიმეს თქვენთვის საინტერესოს. ჩვენ არ ვაკეთებთ არანაირ წინასწარ დასკვნებს სწავლებისა და ტრენინგების მეთოდების, ან ადამიანის უფლებების სფეროში წინასწარი ცოდნის დონის შესახებ.

ამ ნაწილში ჩვენ ვცდილობთ ავხსნათ თუ რას ვგულისხმობთ მონაწილეობაში, თანამშრომლობაში, ექსპერიმენტულ სწავლებაში და რატომ ვიყენებთ ამ საგანმანათლებლო მიდგომებს. ჩვენ მივუთითებთ, როგორ შეიძლება გამოიყენოთ სავარჯიშოები ფორმალურ და არაფორმალურ სექტორებში და შევეცდებით გავცეთ პასუხები ხშირად დასმულ შეკითხვებზე. განყოფილებაში "რეკომენდაციები ხელმძღვანელებისათვის", აღვწერთ, რა სახით არის წარმოდგენილი სავარჯიშოები და როგორ ავირჩიოთ ერთ-ერთი. აქვეა შენიშვნები დისკუსიების, ჯგუფური მუშაობისა და დამხმარე სავარჯიშოების შესახებ გამოკითხვისა და შეფასების ჩათვლით.

კომპასი უნდა გამოვიყენოთ, როგორც მოქნილი საშუალება. ადამიანის უფლებათა დამკვიდრება უწყვეტი შემოქმედებითი პროცესია და თქვენ, ამ წიგნის მომხმარებლები, ხართ მისი შემადგენელი ნაწილი. იმედი გვაქვს, რომ გაითავისებთ ჩვენს მიერ შემოთავაზებულ იდეებს, გამოიყენებთ და განავითარებთ მათ, რათა დააკმაყოფილოთ საკუთარი და იმ ახალგაზრდების მოთხოვნები, რომლებთანაც თქვენ მუშაობთ. ასევე იმედი გვაქვს, რომ გააანალიზებთ მიღებულ ცოდნას და გამოგვეხმაურებით, რასაც გავითვალისწინებთ მომდევნო გამოცემაში. ანკეტა გამოხმაურებისთვის მოცემულია 531-ე გვერდზე.

rogor visargebloT saxelmaZRvaneloTi

ჩვენი პრინციპული რჩევაა თავიდანვე თვალი გადაავლოთ მთელ სახელმძღვანელოს, რათა სრული შთაბეჭდილება შეგექმნათ საერთო სურათის და შინაარსის შესახებ. სახელმძღვანელოს არ აქვს მკაცრად განსაზღვრული დასაწყისი. ჩვენი ჩანაფიქრის მიხედვით, შესაძლებლობა გეძლევათ აირჩიოთ და დაიწყოთ იმ ნაწილით, რომელიც თქვენთვის ყველაზე აქტუალურია.

მეორე თავში იხილავთ სხვადასხვა დონის 49 სავარჯიშოს გლობალური თემებისა და ადამიანის უფლებების შესახებ. იგი ახალგაზრდებთან თქვენი მუშაობის ინსტრუმენტს წარმოადგენს. მეხუთე თავი შეიცავს დამხმარე მასალას. ესაა ბაზისური ინფორმაცია გლობალურ თემებზე, ადამიანის უფლებათა საკითხების განმარტებები და ინფორმაცია მათ ევოლუციაზე. გარდა ამისა, წარმოდგენილია ადამიანის უფლებათა ძირითადი დეკლარაციებისა და კონვენციების შემოკლებული ვარიანტები, გამოყენებული ლიტერატურისა და დამატებითი წყაროების სია.

ეს, ალბათ, საკმარისი მასალაა, რათა საშუალება მოგეცეთ დაიწყოთ საგანმანათლებლო მოღვაწეობა ადამიანის უფლებათა სფეროში ახალგაზრდების მონაწილეობით. მნიშვნელოვანია გახსოვდეთ, რომ არაა აუცილებელი იყოთ ადამიანის უფლებების "ექსპერტი", რათა დაიწყოთ მუშაობა. დაინტერესება ადამიანის უფლებებით უკვე საკმარისი კვალიფიკაციაა. არც ისაა საჭირო, რომ პროფესიონალი მასწავლებელი ან პედაგოგი იყოთ, მაგრამ აუცილებლად უნდა

მთავრია არა რ
არამედ როგორ
რას მოაქვს შე

გქონდეთ გააზრებული ჩვენი საგანმანათლებლო მიდგომა, რათა მაქსიმალური წარმატებით გამოიყენოთ სავარჯიშოები.

swavlebis meTodebi

ვიდრე სავარჯიშოებთან მუშაობას დაიწყებდეთ, მნიშვნელოვანია, გაიაზროთ ის საგანმანათლებლო მიდგომები, რომლებსაც ჩვენ ვიყენებთ. ადამიანის უფლებათა სფეროში განათლება არის სწავლება სოციალური და პიროვნული ცვლილებების შესახებ. ის აყალიბებს ახალგაზრდების თვისებას, იყვნენ აქტიური მოქალაქეები და მონაწილეობა მიიღონ საზოგადოებრივ ცხოვრებაში ადამიანის უფლებების დასაცავად. ჩვენი საგანმანათლებლო პროცესის ძირითადი ამოცანა არის ცოდნის, უნარ-ჩვევების, ფასეულობების და დამოკიდებულებების განვითარება. ამ პროცესში ჩვენ:

- ვიწყებთ იქიდან, რაც ხალხმა უკვე იცის, მათი შეხედულებებიდან და გამოცდილებებიდან და ამ ბაზაზე საშუალებას ვაძლევთ მათ, ეძებონ და ერთად აღმოაჩინონ ახალი იდეები და გამოცდილებები.
- მოვუწოდოთ ახალგაზრდებს მონაწილეობა მიიღონ დისკუსიებში, რათა ისწავლონ ერთმანეთისგან.
- მოვუწოდოთ ხალხს, რომ საკუთარი თეორიული ცოდნა გადაზარდონ უბრალო, მაგრამ ეფექტურ ქმედებებში, რომლებიც მანიფესტირებას უკეთებენ მათ მიერ უსამართლობის, უთანასწორობის და ადამიანის უფლებათა დარღვევის უარყოფას.

იმ ადამიანის ცოდნა, უნარ-ჩვევები და დამოკიდებულებები, ვინც ერკვევა ადამიანის უფლებებში, აღწერილია მე-19 გვერდზე. ეს თვისებები, განსაკუთრებით უნარ-ჩვევები და კომუნიკაციის ფასეულობები, კრიტიკული აზროვნება, დაცვა, ტოლერანტობა და პატივისცემა არ ისწავლება; ისინი პრაქტიკაში ყალიბდება. ამიტომაც, ამ სახელმძღვანელოში წარმოდგენილი სავარჯიშოები ამკვიდრებს თანამშრომლობას, მონაწილეობას და სწავლას პრაქტიკის გზით. ჩვენ მიზნად ვისახავთ ახალგაზრდების წახალისებას, რათა იფიქრონ, იგრძნონ და იმოქმედონ თავით, გულით და ხელებით. ცოდნა ადამიანის უფლებათა შესახებ მნიშვნელოვანია, მაგრამ არა საკმარისი. საჭიროა ახალგაზრდებს უფრო ღრმად ჰქონდეთ გააზრებული, თუ როგორ გამომდინარეობს ადამიანის უფლებები ხალხის საჭიროებიდან და რატომ უნდა იქნას ისინი დაცული. მაგალითად, ახალგაზრდებმა, რომლებსაც არ გააჩნიათ უშუალო გამოცდილება რასობრივ დისკრიმინაციასთან მიმართებაში, შეიძლება იფიქრონ, რომ ეს საკითხი მათ არ ეხებათ. ადამიანის უფლებების თვალსაზრისით ასეთი პოზიცია მიუღებელია. ადამიანები ვალდებული არიან დაიცვან სხვების უფლებები, სადაც არ უნდა იყვნენ ისინი.

არა აქვს მნიშვნელობა საქმე ეხება სიცოცხლის უფლებას თუ აზრის თავისუფლებას; ადამიანის უფლებების ძირითადი არსი მდგომარეობს დემოკრატიულ ფასეულობებში, პატივისცემასა და ტოლერანტობაში. ეს არის ის უნარ-ჩვევები და დამოკიდებულებები, რომელთა შესწავლა შეიძლება მხოლოდ ადეკვატურ გარემოში და იმ პროცესში, რომელიც ამკვიდრებს ამ ფასეულობებს. ამას განსაკუთრებით უნდა გაესვას ხაზი.

თანამშრომლობაზე დაფუძნებული სწავლა

თანამშრომლობა ნიშნავს ერთად მუშაობას საერთო მიზნების მისაღწევად. თანამშრომლობის დროს ხალხი მუშაობს ერთად იმ შედეგების მისაღებად,

რომლებიც სასარგებლო იქნება როგორც ყველასთვის, ასევე ჯგუფის თითოეული წევრისათვის.

თანამშრომლობაზე დაფუძნებული სწავლა უზრუნველყოფს მიღწევებისა და პროდუქტიულობის უფრო მაღალ ხარისხს, მზრუნველ, დამხმარე და მყარ ურთიერთობებს, ფსიქოლოგიურად ჯანმრთელ პირობებს, სოციალური უნარ-ჩვევების განვითარებას და საკუთარი თავისადმი რწმენის გაძლიერებას. ეს ზუსტად იმის საპირისპიროა, რასაც ადგილი აქვს კონკურენტული სწავლის პირობებში. კონკურენტული სწავლა გზას უხსნის პირად ინტერესებს, სხვების მიმართ პატივისცემის უგულვებელყოფას და ამბიციების გაღვივებას გამარჯვებულებში, რომლებიც მხოლოდ ერთისთვის ან ცოტასთვის მისაწვდომი მიზნების მისაღწევად სხვებს უწევენ კონკურენციას მაშინ, როდესაც დამარცხებულებში ეს იწვევს დემოტივირებას და საკუთარი თავისადმი რწმენის დაკარგვას.

თანამშრომლობის ძირითადი კომპონენტებია პოზიტიური ურთიერთ-დამოკიდებულება, უშუალო ურთიერთობა, ინდივიდუალური და ჯგუფური პასუხისმგებლობა და ინტერპერსონალური უნარ-ჩვევები. თანამშრომლობაზე დაფუძნებული სწავლების წახალისების ყველაზე ეფექტური გზაა ორგანიზებული ჯგუფური მუშობა.

მონაწილეობა

ადამიანის უფლებათა სწავლებაში მონაწილეობა ნიშნავს, რომ ახალგაზრდები თავად ღებულობენ გადაწყვეტილებას, თუ რა და როგორ ისწავლონ ადამიანის უფლებათა შესახებ. მონაწილეობის გზით, ახალგაზრდებს უვითარდებათ სხვადასხვა უნარ-ჩვევები: გადაწყვეტილების მიღების, მოსმენის, თანაგრძნობის, სხვების მიმართ პატივისცემის და საკუთარ ქმედებებზე და გადაწყვეტილებებზე პასუხისმგებლობის აღების ჩათვლით. მასწავლებლის ან ტრენერის როლი არის, "დახმარება" გაუწიოს ახალგაზრდებს სწავლის პროცესში. სკოლებში არსებული შეზღუდვები, დროისა და პროგრამის თვალსაზრისით, განსაზღვრავს, როგორ შეიძლება გამოინახოს მონაწილეობის იდეალური ფორმა და შესაბამისად მოხდეს სავარჯიშოების ადაპტირება.

ამ სახელმძღვანელოში წარმოდგენილი სავარჯიშოები მოითხოვენ აქტიურ მონაწილეობას. თქვენ უნდა იყოთ აქტიური და პროცესში ჩართული. არ შეიძლება იყოთ მოდუნებული და პასიური დამკვირვებელი. ამ თვალსაზრისით სახელმძღვანელოში გამოყენებული მეთოდოლოგია ეყრდნობა ავგუსტო ბოალას და არაფორმალიზებული განათლების სხვა პიონერების ნაშრომებს.

ადამიანის უფლებათა სფეროში განათლების უმნიშვნელოვანესი ამოცანაა იმ სიტუაციების პოვნა, რომლებშიც ახალგაზრდები აქტიურ მონაწილეობას მიიღებენ და შეეძლებათ გავლენა მოახდინონ სავარჯიშოების ფორმაზე და შედეგებზე. განმარტებიდან გამომდინარეობს, რომ განათლება ადამიანის უფლებათა სფეროში არ შეიძლება იყოს თავსმოხვეული; ეს ნამდვილად დამოკიდებულია თითოეულ ხელმძღვანელზე, მასწავლებელზე, ტრენერზე ან ლიდერზე, რომ იპოვოს მომენტი, შექმნას სივრცე და შესაძლებლობები მონაწილეობისათვის.

ემპირიული სწავლება

ადამიანის უფლებათა სწავლება ისევე, როგორც განათლება განვითარების, მშვიდობისა და მოქალაქეობის შესახებ, იყენებს ექსპერიმენტული სწავლების მეთოდოლოგიას, რომელიც დამყარებულია 5 ფაზისაგან შემდგარ სწავლების ციკლზე:



მე-5 ფაზაში მსჯელობა მიმდინარეობს პრაქტიკულ მოქმედებებზე, რომლებიც, შეიძლება, კონკრეტულ საკითხებთან იყვნენ დაკავშირებულნი. პრინციპიალურად მნიშვნელოვანია, რომ მოსწავლეებმა შეძლონ მონაწილეობის მისაღებად რეალური გზების გამოძებნა. ეს იქნება სწავლების პროცესის არა მარტო ლოგიკური შედეგი, არამედ ახალი ცოდნის, უნარ-ჩვევებისა და დამოკიდებულებების განმტკიცების საუკეთესო საშუალება, რომელიც მომდევნო ციკლის საფუძველს წარმოადგენს.

სავარჯიშოები როგორც ექსპერიმენტული სწავლების ინტრუმენტი

სახელმძღვანელოში რეკომენდირებული სავარჯიშოების გამოყენებისას, უნდა გახსოვდეთ ზემოთ ნახსენები სასწავლო ციკლის შესახებ.

სავარჯიშოების შესრულება მოითხოვს მონაწილეობას და ინტერაქტიულობას, რათა მონაწილეებმა შეიძინონ გამოცდილება, რომლის დახმარებითაც ისინი შეიცნობენ მასალას არა მარტო გონებით, არამედ გულითა და ხელებით. ასეთი სახის სავარჯიშოებს ზოგჯერ "თამაშებს" ეძახიან, რადგანაც სახალისოა და მათ ყოველთვის ენთუზიაზმით ასრულებენ. თუმცა, უნდა გახსოვდეთ, რომ სავარჯიშოები, ან თამაშები "მხოლოდ გასართობი" საშუალება არაა, ისინი მიზანმიმართული ინსტრუმენტის როლს ასრულებენ საგანმანათლებლო მიზნების მისაღწევად.

თქვენ უბრალოდ არ "ასრულებთ" სავარჯიშოს (სასწავლო ციკლის 1 ფაზა). მნიშვნელოვანია ანალიზის გაკეთება და დასკვნების გამოტანა, რათა მონაწილეებმა გაიაზრონ, თუ რა მოხდა (ფაზა 2), შეაფასონ მიღებული გამოცდილება (ფაზა 3 და 4) და მოიფიქრონ შემდგომი მოქმედებები (ფაზა 5). ამრიგად, მოსწავლეები კვლავ გადავლენ სასწავლო პროცესის მომდევნო ციკლის პირველ ფაზაში.

საშუალო სკოლებში სწავლებისას, შესაძლოა, სავარჯიშოებმა დაამსხვრიონ საგნებს შორის არსებული ხელოვნური ბარიერები და დაამყარონ კავშირები სასწავლო საგანსა და ინტერესის სფეროებს შორის, ამგვარად ხელი შეუწყონ ერთიან მიდგომას ამა თუ იმ საკითხის მიმართ. სავარაუდოა, რომ არაფორმალურ

საგანმანათლებლო გარემოში სავარჯიშოებმა გააღვივონ ინტერესი გარკვეული თემების მიმართ და, რამდენადაც სწავლების პროცესი არ მიმდინარეობს დიდაქტიკური გზით, უფრო მისაღებია ახალგაზრდებისათვის.
სავარჯიშოები ეხმარება მონაწილეებს:

- სწავლების მოტივაციაში, რადგანაც პროცესი სახალისოა;
- ცოდნის, უნარ-ჩვევების, დამოკიდებულებებისა და ზნეობრივი ფასეულობების განვითარებაში. თამაშები უზრუნველყოფს შესასრულებლად უსაფრთხო გარემოს, საშუალებას აძლევს მოსწავლეებს ჩაატარონ ექსპერიმენტები და ისწავლონ საკუთარ შეცდომებზე, რათა მსგავსი შეცდომები ძვირად არ დაუჯდეთ რეალურ ცხოვრებაში;
- გარდაიქმნან. სავარჯიშოები გვეხმარება შევიგნოთ, რომ თითოეულ ჩვენგანს შეუძლია შეიცვალოს ან შეცვალოს დამოკიდებულება გარშემომყოფთა მიმართ;
- მიიღონ აქტიური მონაწილეობა. სავარჯიშოები ხელს უწყობს ნაკლებად აქტიური და ნაკლებად თამამი ჯგუფის წევრების პროცესში ჩართვას;
- აიღონ პასუხისმგებლობა. მოსწავლეები ერთმანეთს უზიარებენ საკუთარ გამოცდილებებს და უნარ-ჩვევებს, ამიტომ თითოეული ჯგუფი იყენებს თამაშებს საკუთარ დონეზე და თავისებურად;
- დაეყრდნონ საკუთარ თავს და გაიმყარონ საკუთარი თავის რწმენა. სავარჯიშოები გვთავაზობენ ისეთ გარემოს, რომელიც ასუსტებს ლიდერზე დამოკიდებულებას, რომელმაც "ყველაფერი იცის". მონაწილეები იძულებული არიან აიღონ პასუხისმგებლობა თავისი წილი სამუშაოს შესრულებაზე;
- იგრძნონ სოლიდარობა სხვების მიმართ. თამაშები ხელს უწყობს ჯგუფის ერთ მუშტად შეკვრას, ჯგუფის სახის ფორმირებასა და ჯგუფური სოლიდარობის გრძნობის ჩამოყალიბებას;

სავარჯიშოები გვთავაზობენ ჩარჩოს და სტრუქტურას საკუთარი გამოცდილების და ცოდნის საფუძველზე მუშაობისათვის. ხელმძღვანელის სწორი დახმარების შემთხვევაში თამაშები შესაძლოა გახდეს მიზანმიმართული სწავლების ეფექტური მეთოდი.

ხელმძღვანელის ფუნქციები

ამ სახელმაძღვანელოში სიტყვა „ხელმძღვანელი" გულისხმობს მას, ვინც ამზადებს, წარმოადგენს და კოორდინირებას უკეთებს სწავლების პროცესს. იგი ეხმარება მონაწილეებს შეაფასონ მიღებული ცოდნის დონე, აღვივებს მათში სწავლის სურვილს და ეხმარება თავიანთი პოტენციალის შეცნობაში. ხელმძღვანელის ფუნქციებში შედის ისეთი სასწავლო გარემოს შექმნა, რომელშიც მოსწავლეებს ექნებათ სწავლის, ექსპერიმენტების, გამოკვლევებისა და განვითარების საშუალება. ესაა გაზიარების, მიღებისა და გაცემის პროცესი. გაკვეთილებში არ მონაწილეობს "ექსპერტი", რომელიც სხვებს უზიარებს ცოდნასა და უნარ-ჩვევებს. მონაწილეებიცა და ხელმძღვანელიც თანაბრად უნდა იზრდებოდნენ გამოცდილების უთიერთგაზიარების საფუძველზე

ევროპის სხვადასხვა ქვეყნებში და თითოეული ქვეყნის ფარგლებშიც კი განსხვავებული შესაძლებლობები არსებობს იმისათვის, რომ გახდე ახალგაზრდების ჯგუფის ხელმძღვანელი და იმუშაო თანასწორობის ატმოსფეროში. ფორმალურ საგანმანათლებლო სექტორში არსებობს განსხვავებები განათლების მიზნებსა და ფილოსოფიას შორის, საკლასო მენეჯმენტის ტექნიკასა და სასწავლო პროგრამას

შორის. ამგვარ პირობებში, ხშირად, თვით მოსწავლეები ან სტუდენტები წყვეტენ, თუ რა საგნის სწავლა სურთ ზოგადი პროგრამის ფარგლებში, პედაგოგი კი მხოლოდ ხელმძღვანელის როლს ასრულებს. თუმცა, არსებობს გამონაკლისებიც. ამგვარ არსებით განსხვავებებს ადგილი აქვს არაფორმალურ სექტორშიც არა მხოლოდ სხვადასხვა ორგანიზაციების მიზნებისა და ფილოსოფიის თვალსაზრისით, არამედ იმ შესაძლებლობების თვალსაზრისითაც, რომელსაც ისინი გვთავაზობენ. მსგავსი განსხვავებები არსებობს როგორც ქვეყნებს შორის, ასევე ერთი ქვეყნის რეგიონებს შორისაც.

ჩვენ ვმუშაობთ ჩვენივე საზოგადოების საგანმანათლებლო და სოციალური ნორმების ჩარჩოებში. ძალიან ადვილია საკუთარი ეთნოცენტრიზმის დავიწყება ან იგნორირება, შედეგად შესაძლოა ახალგაზრდებთან ურთიერთობის ფორმა მივიჩნიოთ ნორმად და კანონზომიერებად. ხელმძღვანელის თვისებების განვითარებისთვის სასარგებლო იქნება თუ გაანალიზებთ საკუთარ სტილსა და ურთიერთობის პრაქტიკას.

აზროვნების, სწავლისა და სწავლების სტილი

ჩვენ ადამიანები ვართ, ვაზროვნებთ და ვსწავლობთ განსხვავებულად, ვსარგებლობთ სწავლების სხვადასხვა მეთოდებით, მაგრამ ყოველ ჩვენგანს აქვს გარშემო არსებული სამყაროს გონებრივი წარმოდგენის (აზროვნების სტილი) საკუთარი გზა და სწავლების სტილი. ხელმძღვანელები ამას უნდა ვაცნობიერებდეთ და გამოვიყენოთ მეთოდოლოგიების მთელი რიგი, მივაღწიოთ ახალგაზრდების ტალანტისა და ინტერესების სრულ რეალიზებას.

საგანგებოდ უნდა აღინიშნოს, რომ ქვემოთ ჩამოთვლილია პრიორიტეტული სტილები. ყოველი ჩვენთაგანი თითოეულ მათგანს იყენებს, მაგრამ აქვს საყვარელი სტილი. უფრო დეტალური ინფორმაციისათვის იხილეთ დავიდ კოლბის ნაშრომი თავის დასასრულში.

? რომელ სტილს ანიჭებთ უპირატესობას?

აზროვნების სტილის *ჩამონათვალი*

- ვიზუალური აღქმისადმი მიდრეკილი ხალხი სამყაროს აღიქვამს სურათებად. ისინი იყენებენ ფრაზებს, როგორიცაა მაგალითად, "მე ვხედავ, რისი თქმა გსურთ".
- სმენითი აღქმისაკენ მიდრეკილ ხალხს უფრო კარგად ახსოვს ის, რაც მოისმინა და შეიძლება გამოიყენოს ასეთი ფრაზა: "ეს იდეა საინტერესოდ ჟღერს".
- კინესთეტიკოსები საგნებს როგორც ემოციური, ასევე ფიზიკური გრძნობების საშუალებით აღიქვამენ. მათ შეიძლება გამოიყენონ ფრაზა "მე მომწონს ეს იდეა, მოდი შევუდგეთ საქმეს".

სწავლების სტილის *მიმოხილვა*

- აქტივისტები ყველაზე უკეთესად სწავლობენ იმ სავარჯიშოების დახმარებით, რომლებშიც არის ახალი გამოცდილებები, პრობლემები და საშუალებები სწავლისათვის. მათ შეუძლიათ ბოლომდე ჩაეფლონ თამაშში, გუნდურ სამუშაოში და როლურ სავარჯიშოებში, მათ მოსწონთ რთული ამოცანების შესრულება. აქტივისტები წინააღმდეგი არიან პასიური სწავლის, იზოლირებულად მუშაობის, როგორიცაა კითხვა, წერა, და აზროვნება და ასევე ეწინააღმეგებიან დეტალებისათვის ყურადღების მიქცევის მოთხოვნას.

- მოაზროვნეები ყველაზე უკეთესად სწავლობენ როდესაც საშუალება ეძლევათ იფიქრონ სავარჯიშოს შესახებ. მათ სიამოვნებას ანიჭებთ დეტალური ანალიზის გაკეთება, მომხდარის და ნასწავლის განხილვა. მათ არ უყვართ ყურადღების ცენტრში ყოფნა, ეწინააღმდეგებიან შეზღუდვებს დროში, არასაკმარის მონაცემებს, რომელზეც უნდა დაამყარონ თავიანთი დასკვნები და სამუშაოს ზედაპირულად შესრულებას.
- თეორეტიკოსები ყველაზე კარგად სწავლობენ იმ სავარჯიშოების საშუალებით, რომლებიც იმ სისტემის, მოდელის, კონცეფციის ან თეორიის ნაწილია, რომელსაც ისინი სწავლობენ. მათ მოსწონთ ნათელი მიზნის მქონე ორგანიზებულ გარემოში ყოფნა და საინტერესო იდეებთან და კონცეფციებთან ურთიერთობა. მათ ყოველთვის არ მოსწონთ ისეთ სიტუაციებში მონაწილეობის მიღება, რომელიც აქცენტს აკეთებს ემოციებზე და გრძნობებზე.
- პრაგმატისტები ყველაზე კარგად სწავლობენ იმ სავარჯიშოების საშუალებით, რომლებშიც ნათლად ჩანს კავშირი საგანსა და პრობლემას შორის და რომელიც საშუალებას აძლევს მათ, პრაქტიკაში გამოიყენონ თეორიული ცოდნა. ისინი ეწინააღმდეგებიან რეალობისაგან მოწყვეტილ ცოდნას, იმის ცოდნას რომ, "ეს ყველაფერი თეორიაა და ზოგადი პრინციპები", მათ არ მოსწონთ მოძრაობა ჩაკეტილ წრეში, მიზანთან სწრაფად მიახლოების გარეშე.

სწავლების/ტრენინგის სტილი

სხვადასხვა ხალხს სხვადასხვა სტილი და მიდგომა აქვთ სწავლებისა და ტრენინგისადმი. თქვენი, როგორც ხელმძღვანელის მიდგომა, დამოკიდებული იქნება თქვენს საკუთარ ფასეულობებზე, რწმენაზე და შეხედულებებზე, თქვენს პიროვნებაზე, სწავლებისა და სწავლის წარსულ გამოცდილებაზე და იმაზე, თუ რამდენად თავდაჯერებულად ართმევთ თავს ახალგაზრდებთან და ადამიანის უფლებების საკითხებზე მუშაობას.

თეორია	**X.**	**მასწავლებლები/**

თეორია	**Y**	**მასწავლებლები/**

ტრენერები რომლებიც ფიქრობენ რომ ხალხი:
ძირითადად ზარმაცია და არ სურთ სწავლა, არიან უპასუხისმგებლოები
ისინი უნდა აიძულონ
ჭირდებათ დისციპლინა
უნდა უხელმძღვანელონ

ტრენერები, რომლებიც ფიქრობენ რომ ხალხს:
უნდა სწავლა და თვით წარმართავს თავის განათლებას
გააჩნია შემოქმედებითი უნარი
სურს, რომ აზრს ეკითხებოდნენ
ეძებს პასუხისმგებლობას

ტრენერი მთლიანად იღებს პასუხისმგებლობას და ადგენს მოუქნელ გეგმებს
განსაზღვრავს თუ რა უნდა გაკეთდეს
აყალიბებს მუშაობის დისციპლინას და სტრუქტურას
ექსპერტები ინსტრუქტაჟს უტარებენ მონაწილეებს
ტრენერი პასუხობს ყველა შეკითხვას და წყვეტს, რამდენად სწორი ან მცდარია სხვების შეხედულებები პრობლემებზე ან მათი გადაწყვეტა

ტრენერი ორიენტირებულია აქტიურ მონაწილეობაზე, აქვს მოქნილი გეგმა
კურსი მიყავს მონაწილეებთან შეთანხმების საფუძველზე
დისციპლინა/სტრუქტურა არის შეთანხმების შედეგი
მონაწილეები ღებულობენ პასუხისმგებლობას საკუთარი სწავლის პროცესზე
მონაწილეები მოწოდებული არიან გააჩნდეთ საკუთარი შეხედულებები და ეძებონ პრობლემის გადაჭრის გზები

ნათელია, რომ ეს არის ტრენინგის სტილის ორი უკიდურესობა. რა თქმა უნდა, ამ პოლარულად განსხვავებულ სწავლების ორ სტილს შორის არსებობს უამრავი გარდამავალი ხასიათის სტილი. უნდა აღინიშნოს, რომ ადამიანის უფლებათა განათლების სფეროსათვის მისაღები და ადექვატურია Y თეორია. ადამიანის უფლებათა შესახებ განათლების სფეროს მიზანია პატივისცემის, თანასწორობის, ურთიერთთანამშრომლობის და დემოკრატიის ფასეულობების განვითარება. ეს ფასეულობები შეიძლება დამკვიდრდეს მხოლოდ იმ პროცესის საშუალებით, რომელიც თავის მხრივ არსობრივად დაფუძნებულია ამ ფასეულობებზე.

? გაიხსენეთ თქვენი პირადი გამოცდილება ამ ორი უკიდურესად განსხვავებული ტიპის მასწავლებლის მიერ სწავლების შედეგად თქვენზე მომხდარი შთაბეჭდილების შესახებ

kompasis გამოყენება ფორმალურ და არაფორმალურ საგანმანათლებლო გარემოში

სახელმძღვანელოში აღწერილი საგანმანათლებლო მიდგომა და სავარჯიშოების ტიპები შეიძლება უფრო ადვილად გამოსაყენებელი იყოს გარეფორმალურ სექტორში, ვიდრე ფორმალურში. გარეფორმალური სექტორის პროგრამა უფრო გახსნილია და ძირითად აქცენტს ახალგაზრდების სოციალურ და პიროვნულ განვითარებაზე აკეთებს. ამასთანავე, სამუშაოს ათვლის წერტილი არის ახალგაზრდების დაინტრესება. ეს იძლევა უფრო აქტიური მონაწილეობის და მოქნილობის საშუალებას, ახალგაზრდებს ეხმარება პრაქტიკულად განახორციელონ მუშაობა ადამიანის უფლებათა საკითხების სფეროში.

გარეფორმალურ საგანმანათლებლო გარემოში თქვენ შეგიძლიათ შეხვიდეთ კონტაქტში შეკითხვით თქვენს რეგიონში მიმდინარ მოვლენების ან რომელიმე მონაწილის მიერ ტელევიზიით ნანახი რაიმე ფაქტის შესახებ. თუ თქვენ გსურთ აიღოთ ხელმძღვანელობა და დააინტერესოთ მონაწილეები ადამიანის უფლებათა საკითხებში, ორგანიზება გაუკეთეთ ფილმის ან ვიდეოს ჩვენებას. ბრწყინვალე მეგზური სასარგებლო ფილმების სფეროში არის დომინიკ შანსელის (ევროპის საბჭო, 2001 წ. იანვარი) "ევროპა ეკრანზე: კინო და ისტორიის გაკვეთილები" ("Europe on Screen: Cinema and the Teaching of History" by Dominique Chansel (Council of Europe, January 2001)). ასევე შეგიძლიათ გამოაკრათ პლაკატები ან გამოიყენოთ სურათები სპონტანური დისკუსიის სტიმულირებისათვის, ან მოაწყოთ მუსიკალური საღამო, სადაც აჟღერდება სიმღერები ადამიანის თავისუფლების მოწოდებებით. ამის შემდეგ, შეიძლება გადახვიდეთ ერთ-ერთ სავარჯიშოზე, რომელიც შეეხება ადამიანის ზოგად უფლებებს, როგორიცაა მაგალითად, "სად დგახართ? (გვ. 111) ან "ინსცენირება" (გვ. 170).

ფორმალური სექტორის პროგრამა ხშირად შეზღუდულია ცოდნის აპრობირებული სისტემით, რომელიც უნდა აითვისონ და გამოცდის სახით ჩააბარონ მოსწავლეებმა და სტუდენტებმა. პიროვნული და სოციალური განვითარება, მიუხედავად იმისა, რომ ის მიჩნეულია მნიშვნელოვნად, ყოველთვის არ არის ძირითადი მიზანი ცოდნის მიღებისაგან განსხვავებით, რომელიც მომავალი მუშაობის ან სწავლის საფუძველია. ეს არ ეწინააღმდეგება ამ სახელმძღვანელოში წარმოდგენილი სავარჯიშოების უმეტესობას, რომლებიც შესაბამისი ადაპტაციის შემდეგ შესაძლოა შეტანილ იქნას განსხავებული სასწავლო სისტემების ნებისმიერი საგნის სასწავლო პროგრამაში, რომლებიც გამოიყენება სკოლებსა და კოლეჯებში ევროპის მასშტაბით. ფაქტობრივად ბევრი მათგანი გათვლილი იყო საკლასო სექტორში გამოყენებაზე.

პრობლემის გადაჭრა და კონფლიქტის მენეჯმენტი, როგორც ადამიანის უფლებათა განათლების სფეროს საფუძველი

ადამიანის უფლებათა საკითხები ხშირად იწვევენ აზრთა სხვადასხვაობას, რადგანაც ადამიანებს აქვთ სხვადასხვა ფასეულობათა სისტემები და, ამდენად, უფლებებს და მოვალეობებს განსხვავებულად აფასებენ. ეს განსხვავებები, რომლებიც გამოვლინდება, როგორც აზრთა კონფლიქტი, არის ჩვენი საგანმანათლებლო მუშაობის საფუძველი.

ადამიანის უფლებათა შესახებ განათლება ისახავს ორ ძირითად მიზანს, პირველი: ასწავლონ ახალგაზრდებს საკითხის გარშემო არსებული განსხვავებული აზრის პატივისცემა – მაგრამ არა აუცილებლად დათანხმება და მეორე: დაეხმარონ მათ პრობლემების ყველასთვის მისაღები გადაწყვეტილებების პოვნის უნარ-ჩვევების განვითარებაში.

ეს სახელმძღვანელო და მასში მოცემული სავარჯიშოები დამყარებულია იმ გაგებაზე, რომ აზრთა კონფლიქტები შეიძლება სასწავლო პროცესისათვის გამოყენებულ იქნას კონსტრუქციულად, თუკი ხელმძღვანელი დამაჯერებლად არეგულირებს პოტენციურ კონფლიქტებს ჯგუფში. ისევე, როგორც ბევრ არაფორმალიზებულ საგანმანათლებლო საქმიანობაში, აქაც მიზანი არის არა ის, რომ ყველა დაეთანხმოს მოცემულ შედეგს, არამედ ის, რომ მონაწილეებმა მიიღონ ცოდნა პროცესის მსვლელობის დროს (მაგ. ერთმანეთის მოსმენა, საკუთარი აზრის გამოხატვა, განსხვავებული აზრის პატივისცემა, და ა.შ).

მაგალითად, სავარჯიშო "ითამაშე" (გვ. 279) სპეციალურად არის შექმნილი კონფლიქტ-მენეჯმენტისათვის უნარ-ჩვევების ჩამოსაყალიბებლად.

adamianis uflebaTa Seswavlisas wamoWrili SekiTxvebi

ქვემოთ მოყვანილი პასუხები მოკლეა, მაგრამ, ვიმედოვნებთ, ისინი პასუხობენ იმ ადამიანების ზოგიერთ შეკითხვას, რომლებიც იწყებენ მუშაობას ადამიანის უფლებათა განათლების სფეროში.

? ხომ არ არის საჭირო ახალგაზრდები უფრო მეტად გაერკვენ მოვალეობებში, ვიდრე უფლებებში?

პასუხი: ეს სახელმაძღვანელო აქცენტს აკეთებს როგორც უფლებებზე, ასევე მოვალეობებზე. სავარჯიშოების მიზანია აჩვენოს, რომ ერთი პიროვნების... და სხვების უფლებების ურთიერთმიმართება ყოველთვის მკაფიო არ არის და რომ ყველა მოვალეობაა პატივი სცეს სხვათა უფლებებს.

? როგორ მოვიქცე, თუ მონაწილეები დასვამენ შეკითხვას, რომელზეც პასუხის გაცემა არ შემიძლია?

პასუხი: არავინ არ უნდა მოელოდეს, რომ ვინმეს ამ ქვეყნად ექნება პასუხი ყველა შეკითხვაზე! სრულიად მისაღებია იმის თქმა, რომ თქვენ არ ფლობთ კონკრტულ ფაქტებს/ინფორმაციას და მოუწოდეთ მონაწილეებს თავად ჩაერთონ პასუხის ძებნის პროცესში. ყოველთვის გახსოვდეთ, რომ კარგი იქნება, თუ კითხვას უკან დაუბრუნებთ ჯგუფს და შეეკითხებით: „რას ფიქრობთ თქვენ ამის შესახებ?"

ასევე მნიშვნელოვანია, ყველას ახსოვდეს, რომ ძალზე იშვიათია მარტივი პასუხები ადამიანის უფლებათა საკითხებზე. რთული მორალური საკითხები ვერ, ან არ ამოიწურება პასუხებით "დიახ" ან "არა". საგანმანათლებლო თვალსაზრისიდან გამომდინარე, კითხვის დასმა ისევე მნიშვნელოვანია, როგორც მასზე პასუხის გაცემა. კომპლექსური საკითხების წამოჭრით და ახალგაზრდებისათვის მათზე დაფიქრების საშუალების მიცემით, ჩვენ ვაძლევთ ახალგაზრდებს სათანადო ცოდნას და ვუყალიბებთ დამოკიდებულებებს, რათა გაუმკლავდნენ მსგავს საკითხებს მომავალში.

? როგორ მოვიქცეთ თუ არა გვაქვს ასლის გადამღები აპარატი ან საკმარისი მასალა?

პასუხი: ამ სახელმძღვანელოში წარმოდგენილი ბევრი სავარჯიშო ისეა აგებული, რომ მათ შესასრულებლად არ არის აუცილებელი ძვირადღირებული მასალა ან ქსეროქსის აპარატი. თუმცა, ზოგიერთ შემთხვევაში, ჯგუფური სამუშაოსათვის მოგიხდებათ ბარათების ასლების ხელით გაკეთება, ან ასლის გადამღები ფურცლის გამოყენება. იყავით შემოქმედებითი და იპოვეთ გამოსავალი პრობლემებიდან.

? ხომ არ შეეწინააღმდეგებიან მშობლები, სკოლის ადმინისტრაცია და თემის ლიდერები ადამიანის უფლებათა სწავლების პროცესს, როგორც პოლიტიკური დოქტრინების დანერგვას, რომელმაც შეიძლება გამოიწვიოს მეამბოხე ხასიათის ქცევები?

პასუხი: ადამიანის უფლებათა სწავლება აყალიბებს მოქალაქეებს, რომლებსაც შეუძლიათ მონაწილეობა მიიღონ საზოგადოებრივ ცხოვრებაში და ქვეყნის განვითარებაში. მნიშვნელოვანია მკვეთრი საზღვრის გავლება ინტერაქტიული უნარ-ჩვევების განვითარებასა და პარტიულ პოლიტიკას შორის. განათლება ადამიანის უფლებათა სფეროში მოწოდებულია, ახალგაზრდების მონაწილეობისა და დისკუსიების საშუალებით, განავითაროს კრიტიკული აზროვნება და რაციონალური ქცევის წესები. ამ თვალსაზრისით, ადამიანის უფლებათა შესახებ განათლება, ასევე დაკავშირებულია სამოქალაქო და პოლიტიკურ განათლებასთან და საშუალებას აძლევს ახალგაზრდებს ერთმანეთთან დააკავშირონ ადამიანის უფლებები და სოციალური საკითხები, პოლიტიკა და განათლება. შედეგად შესაძლოა ახალგაზრდები მართლაც ჩაებან სოციალურ და ეროვნულ პარტიულ საქმიანობაში, როგორც მათი პოლიტიკური მოღვაწეობის უფლება, და აზრის, სიტყვისა და ასოციაციის თავისუფლება. მაგრამ ეს უნდა იყოს მხოლოდ მათი გადასაწყვეტი.

? ხომ არ არის ადამიანის უფლებათა სწავლების უზრუნველყოფა მთავრობის მოვალეობა?

პასუხი: გაეროს წევრ ქვეყნებს ვალდებულება აქვთ აღებული, რომ ხელი შეუწყონ განათლების დანერგვას ადამიანის უფლებათა სწავლების ყველა სფეროში. ეს მოიცავს ფორმალურ, არაფორმალურ და გარეფორმალურ განათლებას. მიუხედავად ამისა, ბევრი ქვეყნის მთავრობას ძალიან ცოტა აქვთ გაკეთებული ადამიანის უფლებათა სწავლების განვითარებისა და სასწავლო პროგრამებში მისი ჩართვის თვალსაზრისით. ამ მიმართულებით ბევრის გაკეთება შეუძლიათ კერძო მასწავლებლებსა და არასამთავრობო ორგანიზაციებს ცალკეული და ერთობლივი მცდელობების შედეგად სკოლებში და სხვა საგანმანათლებლო ორგანიზაციებში, ასევე მთავრობებზე ზეწოლისა და ლობირების შედაგად, რათა მათ შეასრულონ ამ სფეროში აღებული ვალდებულებები.

? თუკი ჩემს ქვეყანაში არ არსებობს ადამიანის უფლებათა დარღვევის ფაქტები?

პასუხი: განათლება ადამიანის უფლებათა სფეროში არ შეეხება მხოლოდ დარღვევებს. იგი, პირველ რიგში, გულისხმობს ადამიანის უფლებების, როგორც მთელი კაცობრიობის უნივერსალური საგანძურის, გაგებას და მათი დაცვის საჭიროების გაცნობიერებას. ამასთანავე, არ არსებობს ქვეყანა, რომელსაც შეუძლია განაცხადოს, რომ ადამიანის უფლებათა დარღვევას ადგილი არა აქვს. მარტივი გზა რეალობის წარმოსადგენად არის უშუალოდ სოციალური კლიმატის ან საზოგადოებისთვის თვალის გადავლება: ვინ არის სოციუმისგან გარიყული? ვინ ცხოვრობს უკიდურეს გაჭირვებაში? რომელი ბავშვების უფლებები არ არის გათვალისწინებული? მეორე გზაა, გაიაზროთ თქვენი ქვეყნის როლი სხვა ქვეყნების მოქალაქეების უფლებათა დაცვაში ან დარღვევაში (მაგ. ეკოლოგია და განვითარების უფლება, იარაღით ვაჭრობა, გლობალური სიღატაკე, და ა.შ.).

rCevebi maTTvis, vinc sargeblobs saxelmZRvaneloTi

წარმოდგენილი სახელმაძღვანელო და სავარჯიშოები შეიძლება გამოყენებული იყოს სკოლებში, საკლასო ან კლასგარეშე პროგრამებისათვის, სემინარების ან ტრენინგ-კურსებისათვის, საზაფხულო ან სამუშაო ბანაკებში, ახალგაზრდულ კლუბებში ან ჯგუფებში. მათი გამოყენება შეიძლება მაშინაც კი, თუ უპირატესად უფროსი თაობის წარმომადგენლებთან მუშაობთ.

როგორ ავირჩიოთ სავარჯიშო

უნდა აირჩიოთ თქვენი და თქვენი ჯგუფის შესაბამისი დონის სავარჯიშო, რომელიც ჩაეტევა მისთვის გამოყოფილ დროში. ყურადღებით გადაიკითხეთ სავარჯიშო სულ ცოტა ორჯერ და სცადეთ წარმოიდგინოთ როგორი რეაქცია ექნება მასზე ჯგუფს და რა შეიძლება თქვან მონაწილეებმა მასთან დაკავშირებით. დარწმუნდით, რომ გაქვთ ყველა აუცილებელი მასალა. გადაამოწმეთ, რომ სივრცე საკმარისი იქნება, განსაკუთრებით მაშინ თუ მონაწილეები პატარა ჯგუფებად დაიყოფიან.

ჩვენ კიდევ ერთხელ ხაზგასმით აღვნიშნავთ, რომ ყოველი სავარჯიშოს ინსტრუქცია არის მხოლოდ რეკომენდაცია და თქვენ უნდა გამოიყენოთ ეს მასალა თქვენი მოთხოვნების შესაბამისად. სხვაგვარად ნამდვილად შეუძლებელია შექმნა სავარჯიშოები, რომლებიც ზუსტად შეესაბამება ყველა სიტუაციას მთელს ევროპაში. ჩვენ მოველით, რომ თქვენ მოახდენთ სავარჯიშოების ადაპტირებას, მაგ. შეგიძლიათ ძირითადი იდეა აიღოთ ერთი სავარჯიშოდან და გამოიყენოთ მეორის მეთოდი.

თითოეული სავარჯიშო მოცემულია სტანდარტულ ფორმატში. ლოგოები და სათაურები გამოყენებულია მუშაობის გაადვილების მიზნით.

სიმბოლოები და სათაურები, რომლებიც გამოიყენება სავარჯიშოების წარმოსადგენად

done 1
done 2
done 3
done 4

სირთულის დონე	1 – 4 დონეები შეესაბამება უნარ-ჩვევების ზოგად დონეს, რომელიც საჭიროა მონაწილეობის და/ან მოსამზადებელი სამუშაოს მოცულობისათვის.
თემები	გლობალური თემები, რომლებიც განიხილება სავარჯიშოში (მაგ. სიღატაკე, ეკოლოგია, მშვიდობა, ძალადობა, გენდერული თანასწორობა).
მიმოხილვა	იძლევა მოკლე ინფორმაციას სავარჯიშოს ტიპზე და მასში განხილულ საკითხებზე

შესაბამისი უფლებები	სავარჯიშოში განხილული უფლებები (მაგ. სიცოცხლის უფლება ან აზრის/სიტყვის თავისუფლება)
მონაწილეების რაოდენობა	რამდენი ადამიანი გჭირდებათ სავარჯიშოს შესასრულებლად
ხანგრძლივობა	დროის მიახლოებითი რაოდენობა წუთებში, რომელიც საჭიროა მთელი სავარჯიშოს შესასრულებლად დისკუსიის ჩათვლით. თუ ჯგუფის წვერების რაოდენობა არ არის ზუსტად განსაზღვრული, დრო დაახლოებით გათვლილია 15 კაციან ჯგუფზე ორიენტაციით.
მიზნები	მიზნები კავშირშია ადამიანის უფლებათა შესახებ განათლების მიზნებთან ცოდნის, დამოკიდებულებებისა და ფასეულობების თვალსაზრისით.
მასალები	ტექნიკური აპარატურის სია, რომელიც საჭიროა სავარჯიშოს ჩასატარებლად.
მომზადება	იმ სამუშაოების სია, რომელიც ხელმძღვანელმა უნდა შეასრულოს სავარჯიშოს დაწყებამდე
ინსტრუქციები	ინსტრუქციების სია, თუ როგორ წარვმართოთ სავარჯიშო
ანალიზი და შეფასება	სავარაუდო შეკითხვები, რომლებიც დაეხმარება ხელმძღვანელს სავარჯიშოს გაანალიზებისა და შეფასებისათვის (სასწავლო ციკლის 2-4 ფაზა, გვ. 44)
რჩევები წამყვენებისათვის	რეკომენდაციები. რა უნდა ვიცოდეთ. სად ვეძებოთ დამატებითი ინფორმაცია.
ვარიანტები	წინადადებები სხვადასხვა სიტუაციებში სავარჯიშოების გამოყენების მიზნით მათი ადაპტაციისათვის.
შემოთავაზებები გაგრძელებისთვის	წინადადებები, რა გაკეთდეს შემდეგ. კავშირი სხვა სავარჯიშოებთან.
სამოქმედო წინადადებები	წინადადებები ქმედებაზე გადასვლის მომდევნო ნაბიჯებისათვის
ძირითადი თარიღები	ადამიანის უფლებებთან დაკავშირებული ღირშესანიშნავი თარიღები.
დამატებითი ინფორმაცია	სავარჯიშოსთვის აქტუალური დამატებითი ინფორმაცია
დასარიგებელი მასალა	ბარათი-როლები, მოქმედების გვერდები, საკითხავი ლიტერატურა, სადისკუსიო ბარათები, და ა.შ.

სირთულე

სავარჯიშოები სირთულის მიხედვით კოდირებულია 1 – 4 დონით, რათა მითითებულ იქნას პრაქტიკულ სავარჯიშოებში მონაწილეობისათვის საჭირო კომპეტენციის ზოგადი დონე და მოსამზადებელი სამუშაოს მოცულობა. ზოგადად ორივე მაჩვენებელი ერთმანეთთანაა დაკავშირებული; 1 დონის სავარჯიშოები არ მოითხოვენ განსაკუთრებულ მომზადებას, მაშინ, როდესაც 4 დონის სავარჯიშოების მოსამზადებელი სამუშაოები გაცილებით რთულია.

- დონე 1. ეს არის მოკლე, უბრალო სავარჯიშოები ძირითადად დამწყებთათვის. გასამხნევებელი და კონტაქტების დასამყარებელი სავარჯიშოები („ენერჯაიზერები“ და „აისბრეიქერები“) ამ კატეგორიაში

ხვდებიან. მიუხედავად ამისა, ისინი ფასეულია, რადგან ხელს უწყობენ ადამიანების ინტერაქტიულობასა და კომუნიკაციას.

- დონე 2. ეს არის მარტივი სავარჯიშოები საკითხის მიმართ ინტერესის გასაღვივებლად. არ მოითხოვენ წინასწარ ცოდნას ადამიანის უფლებათა საკითხების სფეროში, ან უკვე ჩამოყალიბებულ პიროვნული ან ჯგუფური მუშაობის უნარ-ჩვევებს. ამ დონეზე ბევრი სავარჯიშო გათვალისწინებულია კომუნიკაციისა და ჯგუფური მუშაობის უნარ-ჩვევების განვითარებისათვის და პარალელურად ადამიანის უფლებათა საკითხებში ინტერესების გაღვიძებისათვის.
- დონე 3. ეს უფრო ხანგრძლივი სავარჯიშოებია, რომლებიც მიმართულია საკითხის ღრმა გაცნობიერების განვითარებისაკენ და მასში ღრმად ჩახედვისაკენ. ისინი საჭიროებენ დისკუსიის ან ჯგუფური მუშაობის ჩვევების უფრო მაღალ დონეს.
- დონე 4. ეს სავარჯიშოები კიდევ უფრო ხანგრძლივია. მონაწილეებისაგან მოითხოვს კამათისა და ჯგუფური მუშაობის კარგ ჩვევებს, კონცენტრაციასა და თანამშრომლობას. საჭიროებენ უფრო ხანგრძლივ მოსამზადებელ პერიოდს. ამასთანავე, გაცილებით მრავლისმომცველია, რამდენადაც გვთავაზობენ საკითხების უფრო ფართო და ღრმა გაგებას.

გლობალური კავშირები

სახელმძღვანელოში წარმოდგენილი სავარჯიშოები შექმნილია ადამიანის უფლებათა საკითხებსა და გლობალურ თემებს შორის არსებული კავშირების შესწავლის წახალისებისათვის. ამდენად, თითოეული სავარჯიშოს აღწერაში 16 გლობალური საკითხიდან მითითებულია სამი "თემა"

1. ადამიანის ზოგადი

2. სიღარიბე

3. პიროვნული

4. გენდერული

5. გლობალიზაცია

6. მოქალაქეობა

7. დემოკრატია

8. ბავშვები

9. დისკრიმინაცია და ქსენოფობია

10. ჯანმრთელობა

11. მშვიდობა და ძალადობა

12. განათლება

13. ეკოლოგია

14. სოციალური უფლებები

15. სპორტი

16. მედია

რჩევები პედაგოგებისათვის

სახელმძღვანელოში ჩვენ ვიყენებთ ტერმინს "წამყვანი", რათა აღვწეროთ იმ ხალხის როლი (ტრენერები, მასწავლებლები, ახალგაზრდა მუშაკები, პედაგოგები, ახალგაზრდა მოხალისეები და ა.შ), რომლებიც კოორდინირებას უწევენ სამუშაოს და უძღვებიან სავარჯიშოებს. ეს ტერმინოლოგია ხაზს უსვამს, რომ ადამიანის უფლებათა შესახებ განათლება მოითხოვს დემოკრატიულ და ინტერაქტიულ მიდგომას.

ჩვენ ვიმედოვნებთ, რომ თქვენ უხელმძღვანელებთ ახალგაზრდების ჯგუფებს, მაგ. საკლასო ოთახებში, ახალგაზრდულ კლუბებში, ტრეინინგ-კურსებზე, ახალგაზრდულ ბანაკებში ან სემინარებზე.

მუშაობის ჯგუფური პროცესი

ჯგუფურ მუშაობას ადგილი აქვს, როდესაც ადამიანები ერთად მუშაობენ, აერთიანებენ თავიანთ განსხვავებულ უნარ-ჩვევებს, ნიჭს და იყენებენ ერთმანეთის ძლიერ მხარეებს ამოცანის შესასრულებლად. ჯგუფური სამუშაო:

- ხელს უწყობს პასუხისმგებლობის განვითარებას. როდესაც ხალხი გრძნობს, რომ მათი შექმნილი მათვე ეკუთვნით, უფრო დაინტერესებული არიან შედეგით და ზრუნავენ წარმატების მიღწევაზე.
- ავითარებს კომუნუკაციის უნარს. ადამიანს სჭირდება მოუსმინოს, გაიგოს რას ამბობენ სხვები, რეაგირება მოახდინოს სხვების იდეებზე და გამოთქვას თავისი აზრი.

- ავითარებს თანამშრომლობას. ხალხი მალევე აცნობიერებს, რომ როდესაც ისინი თანამშრომლობენ საერთო მიზნის მისაღწევად, უფრო კარგი შედეგი აქვთ, ვიდრე მაშინ როცა ეჯიბრებიან ერთმანთს.
- ავითარებს გადაწყვეტილების მიღების უნა-ჩვევებს კონსენსუსის საფუძველზე. მონაწილეები სწრაფად ხვდებიან, რომ საუკეთესო გზა გადაწყვეტილებების მისაღებად არის მათ ხელთ არსებული მთელი ინფორმაციის შესწავლა და ყველასათვის დამაკმაყოფილებელი გადაწყვეტილების მიღების მცდელობა. თუ ვინმე გრძნობს, რომ გამოთიშულია გადაწყეტილების მიღების პროცესიდან, შეუძლია შეწყვიტოს ჯგუფის მუშაობა და პატივი არ სცეს ჯგუფის მიერ მიღებულ გადაწყვეტილებებს.

ჯგუფური მუშაობის მეთოდები

სახელმძღვანელოს მე-2 თავში არსებობს მითითება ისეთ ტექნიკაზე, როგორიცაა "გონებრივი შტურმი" და "სახეობრივი თამაში". ქვემოთ მოყვანილი შენიშვნები განმარტავს ამ ტერმინებს და იძლევა რამდენიმე ზოგად რეკომენდაციას მათი გამოყენების შესახებ.

მიაქციეთ ყურადღება, რომ წარმატებული ჯგუფური მუშაობა უნდა იყოს ორიენტირებული კონკრეტულ ამოცანაზე. ასეთი ამოცანა შეიძლება იყოს მკაფიოდ ჩამოყალიბებული შეკითხვა, რომელსაც პასუხი უნდა გაეცეს ან მკაფიოდ ფორმულირებული პრობლემა, რომელიც მოითხოვს გადაწყვეტას.

გონებრივი შტურმი

გონებრივი შტურმი არის გზა ახალი საგნის გასაცნობად, შემოქმედებითი პროცესისათვის გზის გასახსნელად და ბევრი იდეების სწრაფი ტემპით წაარმოქმნისათვის. ეს შეიძლება გამოყენებულ იქნას სპეციფიკური პრობლემის გადასაწყვეტად ან შეკითხვისთვისთვის პასუხის გასაცემად.

ინსტრუქციები:

- გადაწყვიტეთ რომელ საკითხზე გსურთ იფიქროთ და ჩამოაყალიბეთ ისეთი შეკითხვის სახით, რომელსაც ბევრი შესაძლო პასუხი ექნება.
- დაწერეთ ეს შეკითხვა ყველასათვის ადვილად დასანახ ადგილზე.
- სთხოვეთ მონაწილეებს შემოგთავაზონ თავიანთი იდეები და ჩამოწერონ ისინი ყველასათვის დასანახ ადგილზე, მაგალითად დაფაზე. ეს უნდა იყოს გამოხატული ერთი სიტყვით ან მოკლე ფრაზით.
- შეწყვიტეთ ფიქრი, როცა იდეები ამოგეწურებათ და შემდეგ
- გადახედეთ ყველა შემოთავაზებულ წინადადებებს და მოითხოვეთ კომენტირება

ყურადღება მიაქციეთ შემდეგ პუნქტებს:

- ჩაიწერეთ ყველა ახალი წინადადება. ხშირად, ყველაზე შემოქმედებითი წინადადებები განსაკუთრებით სასარგებლო და საინტერესოა!
- არავინ არ უნდა იმსჯელოს, ან გააკეთოს კომენტარები დაწერილის შესახებ, სანამ ის არ არის დასრულებული; არ გაიმეორონ უკვე გამოთქმული იდეები.

- მოუწოდეთ ყველას თავისი წვლილი შეიტანოს
- გამოთქვით საკუთარი აზრი მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ეს საჭიროა ჯგუფის წასახალისებლად
- თუ წინადადება არ არის ნათელი, მოითხოვეთ განმარტება.

კედელზე წერა

ეს არის გონებრივი შტურმის ერთ-ერთი ფორმა. მონაწილეები წერენ თავიანთ აზრებს პატარა ფურცლებზე, რომლებიც უნდა მიაეკრას კედელზე. ამ მეთოდის უპირატესობა არის ის, რომ ადამიანს შეუძლია თავისთვის წყნარად იფიქროს, სანამ სხვების აზრი მასზე გავლენას მოახდენს. შედეგად ფურცლები შეიძლება გადანაცვლდეს და დაჯგუფდეს მსგავსი იდეების მიხედვით.

დისკუსია

დისკუსია კარგი საშუალებაა ხელმძღვანელისთვის და მონაწილეებისთვის საკითხებისადმი მათი დამოკიდებულებების გასარკვევად. ეს ძალიან მნიშვნელოვანია ადამიანის უფლებათა შესახებ განათლების სფეროში, რადგანაც ფაქტების ცოდნასთან ერთად მონაწილეებს ასევე ესაჭიროებათ საკითხების გაანალიზება. სიახლეები, პლაკატები და კონკრეტული მაგალითები საუკეთესო ინსტრუმენტია დისკუსიის სტიმულირებისათვის. დაიწყეთ შეკითხვით "რას ფიქრობთ ... შესახებ?".

მსჯელობა წყვილებად

ეს მეთოდი სასარგებლოა, თუკი მთლიანი ჯგუფის დისკუსიის შედეგად არ ჩნდება იდეები. სთხოვეთ მონაწილეებს იმსჯელონ საკითხის შესახებ წყვილად ერთი ან ორი წუთის განმავლობაში და შემდეგ გაუზიარონ დანარჩენებს თავიანთი აზრები. მალე შეამჩნევთ რომ ჯგუფში ცოცხალი ატმოსფერო შეიქმნება და იდეებიც მრავლად გაჩნდება.

მუშაობა მცირე ჯგუფებში

ეს არის მთლიანი ჯგუფის მუშაობის საპირისპირო. ეს მეთოდი ხელს უწყობს ყველას მონაწლეობას და აყალიბებს თანამშრომლობის პრინციპზე დაფუძნებულ გუნდს. პატარა ჯგუფის მოცულობა დამოკიდებული იქნება ისეთ პრაქტიკულ ასპექტებზე როგორიცაა, მაგალითად, მონაწილეების საერთო რაოდენობა და სავარჯიშოების შესასრულებელ ფართობზე. პატარა ჯგუფი შეიძლება შედგებოდეს 2 ან 3 ადამიანისაგან, მაგრამ საუკეთესო შემთხვეაა 6-8 წევრი. პატარა ჯგუფების მუშაობა შეიძლება გაგრძელდეს 15 წუთი, ერთი საათი ან მთელი დღე ამოცანის სირთულიდან გამომდინარე.

მონაწილეებისათვის უბრალოდ თქმა, რომ "იმსჯელონ საკითხის შესახებ" იშვიათად არის პროდუქტიული. მსჯელობის საგნის მიუხედავად, გადამწყვეტი ყველა შემთხვევაში არის სამუშაოს მკაფიოდ განსაზღვრა და მონაწილეების ორიენტირება იმაზე,, რომ იმუშაონ მიზნის მისაღწევად და შედეგები აცნობონ ჯგუფს. მაგალითად, დასვით ამოცანა ისეთი პრობლემის სახით, რომელიც მოითხოვს გადაწყვეტას, ან შეკითხვის სახით, რომელიც პასუხს მოითხოვს.

რეიტინგი

ეს საინტერესო მეთოდია, როცა გჭირდებათ რამე სპეციფიური ინფორმაციის მიწოდება, ან კონკრეტული დისკუსიების სტიმულირება პატარა ჯგუფებში.

თქვენ დაგჭირდებათ, მოამზადოთ განცხადებების ბარათების ერთი პაკეტი თითოეული მცირე ჯგუფისათვის. ყოველ კომპლექტში უნდა იყოს 9 ბარათი. მოამზადეთ 9 მოკლე, მარტივი საკითხთან დაკავშირებული განცხადება, რომელზეც მსჯელობა გსურთ და დაწერეთ ერთი განცხადება ერთ ბარათზე. ჯგუფებმა უნდა იმსჯელონ ამ განცხადებებზე და შემდეგ დაახარისხონ ისინი მნიშვნელობის მიხედვით. ეს შეიძლება გაკეთდეს საფეხურებრივი (კიბე) ან მრავალწახნაგის (ბრილიანტი) პრინციპით. საფეხურებრივ დახარისხებაში ყველაზე მნიშვნელოვანი განცხადება თავსდება თავში, მის ქვემოთ მნიშვნელობით მომდევნო განცხადება და ა.შ. ყველაზე ნაკლებად მნიშვნელოვან განცხადებამდე, რომელიც ბოლო საფეხურზე თავსდება.

მრავალწახნაგოვან დახარისხებაში მონაწილეები მართავენ მოლაპარაკებას, რომელია ყველაზე მნიშვნელოვანი განცხადება. შემდეგ ორი ყველაზე მნიშვნელოვანი განცხადება, შემდეგ სამი საშუალო მნიშვნელობის და ა.შ. როგორც ეს ნაჩვენებია დიაგრამაზე. მრავალწახნაგოვანი დახარისხება ხშირად უფრო მისაღები მეთოდია, ვინაიდან საკითხები იშვიათად არის ერთმნიშვნელოვანი და ცალსახა. ეს მეთოდი ნაკლებად ხელოვნურია და შესაბამისად უფრო მისაღები მონაწილეებისათვის. კონსენსუსის მისაღწევად ის უკეთეს საშუალებებს იძლევა. ასეთი მეთოდით დახარისხების ერთ-ერთი ვარიანტია 8 განცხადების დაწერა და ერთი ცარიელი ბარათის დატოვება, რათა თვით მონაწილეებმა შეავსონ.

ალმასისებრი რანჟირება



სახეობრივი თამაშები

ეს არის მოკლე დრამა, რომელსაც ასრულებენ მონაწილეები. თუმცა მონაწილეები ხშირად ეყრდნობიან თავიანთ პირად ცხოვრებისეულ გამოცდილებას თამაშის დროს, ეს ძირითადად არის იმპროვიზებული. ის მიზნად ისახავს ისეთი სიტუაციების შექმნას, ან მოვლენების გათამაშებას, რომელიც არ არის ნაცნობი მონაწილეებისათვის. სახეობრივ თამაშს შეუძლია გააუმჯობესოს სიტუაციის გაგება და თანაგრძნობა წარმოშვას მონაწილეებს შორის.

- სახეობრივი თამაში განსხვავდება სიმულაციისგან იმით, რომ თუმცა ეს უკანასკნელი შეიძლება შედგებოდეს მოკლე დრამებისაგან, ისინი ჩვეულებისამებრ წინასწარ არის დაწერილი და არ გულისხმობს იმპროვიზაციის იგივე ხარისხს.
- როლების შესრულების დადებითი მხარე არის ის, რომ ისინი ახდენენ რეალური ცხოვრების იმიტირებას. მათ შეიძლება წამოჭრან საკითხები, რომლებზეც არ არსებობს მარტივი პასუხები, მაგალითად, პერსონაჟის სწორი ან არასწორი საქციელის შესახებ. საკითხში უფრო ღრმად ჩახედვისათვის მოსახერხებელი მეთოდია როლების გაცვლა მონაწილეებს შორის.

როლების თამაშის დროს გათვალისწინებული უნდა იყოს მონაწილეების გრძნობები. პირველ რიგში მნიშვნელოვანია, რომ თამაშის დასრულების შემდეგ, მათ ჰქონდეთ საკმარისი დრო როლიდან გამოსვლისათვის. მეორე, ყველამ პატივი უნდა სცეს პიროვნების გრძნობებს და ჯგუფის სოციალურ სტრუქტურას, მაგ. ინვალიდებთან დაკავშირებით როლების გათამაშების დროს უნდა გავითვალისწინოთ, რომ მონაწილეთა შორის შესაძლოა რომელიმე ინვალიდი იყოს (შესაძლოა ერთი შეხედვით ეს შეუმჩნეველი იყოს), ან ყავდეთ ინვალიდი ნათესავი, ან ახლო მეგობარი. მათ გული არ უნდა ეტკინოთ და არ უნდა გახდნენ იძულებული სააშკარაოზე გამოიტანონ თავიანთი პრობლემა, ან გაირიყონ. თუ ასე მოხდება, ამას სერიოზული ყურადღება მიაქციეთ (ბოდიში მოიხადეთ,

გადააამისამართეთ საკითხი და განიხილიეთ მაგალითის სახით, და ა.შ). ასევე ერიდეთ სტერეოტიპებს. როლის თამაში, მონაწილეების თამაშის, ან იმიტირების "უნარის" საშუალებით, ააშკარავებს, რას ფიქრობენ ისინი სხვების შესახებ. ეს ხდის ამ სავარჯიშოს ძალიან სახალისოს. ასევე კარგი იქნება თუ ყოველთვის განიხილავთ საკითხს ანალიზის დროს და იკითხავთ – "თქვენი აზრით, ეს ადამიანი ნამდვილად ისეთია, როგორიც თქვენ განასახიერეთ?". ყოველთვის დიდი საგანმანათლებლო მნიშვნელობა აქვს მონაწილეების მიერ იმის გაცნობიერებას, რომ საჭიროა ინფორმაციის მუდმივი, კრიტიკული გადაფასება. ამდენად, შეგიძლიათ კითხოთ მათ სად მოიპოვეს ინფორმაცია, რომელზეც ააგეს თავისი პერსონაჟის ხასიათი.

სიტუაციის მოდელირება

სიტუაციის მოდელირება შეიძლება განხილულ იქნას, როგორც განვრცობილი სახეობრივი თამაში, რომელშიც ჩართულია ყველა. ის საშუალებას აძლევს მონაწილეებს, გამოსცადონ რთული სიტუაციები უსაფრთხო ატმოსფეროში. სიმულაცია ყოველთვის მოითხოვს ემოციური დაძაბვის გარკვეულ დონეს, რაც ამ მეთოდს ძალიან ძლიერ ინსტრუმენტად აქცევს. მონაწილეები სწავლობენ არა მხოლოდ თავით და ხელებით, არამედ გულითაც.

სიმულაციის შემდეგ გამოკითხვა განსაკუთრებით მნიშვნელოვანია. მონაწილეებმა უნდა იმსჯელონ თავიანთ გრძნობებზე, რატომ გადაწყვიტეს ამა თუ იმ ქმედების განხორციელება, რა უსამართლობა იგრძნეს და რამდენად მისაღები იყო მოცემული პრობლემის გადაწყვეტა. უნდა დაეხმაროთ, რომ შეძლონ პარალელების გავლება მათ მიერ განცდილ და რეალურ სიტუაციებს შორის.

სურათები: ფოტოები, ნახატები, ნახაზები, კოლაჟები

"სურათი ამბობს ათას სიტყვას". ვიზუალური გამოსახულებები ძლიერი იარაღია როგორც ინფორმაციის მიწოდების ასევე ინტერესის სტიმულირებისათვის. გახსოვდეთ, რომ ხატვა ასევე არის თვითგამოხატვის და კომუნიკაციის მნიშვნელოვანი საშუალება, არა მხოლოდ მათთვის ვისაც ვიზუალური აზროვნების სტილი ახასიათებს, არამედ მათთვისაც, ვინც არასაკმარისად ძლიერია ვერბალური გამოხატვის ფორმებში. იდეები დასურათებული სავარჯიშოებისათვის მოცემულია 163 გვერდზე "დასურათებულ თამაშებთან" ერთად.

რჩევები ვიზუალური მასალის შეგროვებისათვის

- სურათები იმდენად მძლავრი ინსტრუმენტია, რომ ხელმძღვანელებისათვის კარგი იქნებოდა შეექმნათ საკუთარი კოლექცია. ფოტოების შეგროვება შეიძლება აურაცხელი წყაროებიდან, მაგ. გაზეთები, ჟურნალები, პლაკატები, ტურისტული ბროშურები, და მისალოცი ბარათები.
- ამოჭერით სურათები, დაადეთ ბარათს და გადააკარით გამჭირვალე ლამინირებული ფურცელი, რათა ბარათები იყოს გამძლე და ნორმალურად წარმოსაჩენი. კოლექცია უფრო მეტად დაემსგავსება კომპლექტს თუ ყველა ბარათი ერთი ზომის იქნება. 4 არის იდეალური ფორმატი, მაგრამ 5 შეიძლება პრაქტიკულ კომპრომისად ჩაითვალოს.
- კარგი იქნება, თუ ყველა სურათს უკანა მხრიდან დანომრავთ და მიუთითებთ წყაროს, ორიგინალის სათაურს, ან რამე სხვა სასარგებლო ინფორმაციას. ამგვარად მონაწილეები მხოლოდ ვიზუალურ მხარეს მიაქცევენ ყურადღებას და არა სხვა დეტალებს.

- კოლექციის შექმნის დროს ეცადეთ თქვენი არჩევანი იყოს მრავალფეროვანი. გაითვალისწინეთ სქესი, რასა, უნარი და უუნარობა, ასაკი, ეროვნება, და კულტურა სუბკულტურების ჩათვლით. ეცადეთ შეაგროვოთ სურათები ჩრდილოეთიდან, სამხრეთიდან, აღმოსავლეთიდან და დასავლეთიდან, სხვადასხვა ბუნებრივი და სოციალური გარემოდან და კულტურებიდან. ასევე გახსოვდეთ იმ გავლენის შესახებ, რომელსაც კონკრეტული სურათები ახდენენ მათი ზომებისა და ფერების შედეგად. ამ ეფექტმა შეიძლება დაამახინჯოს სურათის აღქმა, ასე რომ ეცადეთ შექმნათ თანაბარი ზომის, ჰომოგენური სურათების კომპლექტი.

ფილმები, ვიდეო და რადიო დადგმები

ფილმები, ვიდეო და რადიო დადგმები ძლიერი ინსტრუმენტია ადამიანის უფლებების სფეროში განათლებისათვის და პოპულარულია ახალგაზრდებში. ფილმის ნახვის შემდეგ გამართული დისკუსია კარგ საფუძველს შექმნის შემდგომი მუშაობისათვის. სადისკუსიო თემა არის მონაწილეების პირველი რეაქცია ფილმზე, რამდენად "სწორი" იყო ეს რეალურ ცხოვრებასთან მიმართებაში, იყვნენ თუ არა პერსონაჟები რეალისტური, თუ ეს იყო მცდელობა რომელიმე პოლიტიკური ან მორალური შეხედულების დამკვიდრებისა.

გაზეთები, რადიო, ტელევიზია, ინტერნეტი

მედია არის უტყუარი წყარო კარგი სადისკუსიო მასალისათვის. ყოველთვის საინტერესოა მსჯელობა მასალის შინაარსისა და მისი შემოთავაზების გზების, მიკერძოებისა და სტერეოტიპების შესახებ.

ფოტოგრაფირება და ფილმების გადაღება

პორტატული ვიდეოკამერების ტექნოლოგიები დღესდღეობით ყველასათვის ადვილად მისაწვდომს და შესაძლებელს ხდის სურათებისა და ფილმების გადაღებას. ახალგაზრდების მიერ შექმნილი სურათები და ფილმები საუკეთესოდ აჩვენებს მათ შეხედულებებს, დამოკიდებულებებს და წარმოადგენს ბრწყინვალე საჩვენებელ მასალას. ვიდეო წერილები კარგად ნაცადი გზაა ბარიერებისა და პრეკონცეფციების წინააღმდეგ. ისინი საშუალებას აძლევს ისეთ ადამიანებს, რომლებიც სხვაგვარად არსოდეს შეხვდებოდნენ პირისპირ, "ისაუბრონ" და გაუზიარონ ერთმანეთს თავიანთი ხედვა ცხოვრებისა და მათთვის მნიშვნელოვანი მოვლენების შესახებ.

ზოგადი რეკომენდაციები სავარჯიშოების შესასრულებლად

თანა-ხელმძღვანელობა

თუ ეს შესაძლებელია, ყოველთვის უხელმძღვანელეთ ჯგუფს ვინმესთან ერთად. ამ მიდგომას პრაქტიკული უპირატესობა აქვს, რადგანაც პატარა ჯგუფების მუშაობაში დახმარებაზე და ინდივიდუალური მოთხოვნების დაკმაყოფილებაზე პასუხისმგებლობას გაიზიარებს 2 ადამიანი. როცა სემინარი მიყავს 2 ადამიანს, უფრო ადვილია ტემპისა და რიტმის შეცვლა იმისათვის რომ კურსი საინტერესო და მონაწილეების მუდმივი ყურადღების ცენტრში იყოს. ორ ხელმძღვანელს

შეუძლია ერთმანეთის დახმარება, როდესაც მოვლენები ისე არ ვითარდება როგორც დაგეგმილი იყო. ასევე ბევრად უფრო ეფექტურია ვინმესთან ერთად საკითხის განხილვა ვიდრე ამის მარტო გაკეთება. კიდევ უფრო უკეთესი მეთოდი, ვიდრე 2 ხელმძღვანელის ერთად მუშაობაა, არის გუნდის ჩამოყალიბება, შესაძლებელია თვით აზალგაზრდების ჩართვით.

დროის მენეჯმენტი

ყურადღებით დაგეგმეთ და ეცადეთ ზედმეტად არ გადატვირთოთ პროგრამა გამოყოფილ დროში. თუ სავარჯიშო მოითხოვს მეტ დროს, ვიდრე თქვენ გეგმავდით ეცადეთ შეამოკლოთ ის რათა საკმარისი დრო დაგრჩეთ დისკუსიისთვის (იხ. შენიშვნები სასწავლო ციკლზე, გვ. 48). მეორეს მხრივ, თუ დრო ბევრი გაქვთ, ნუ ეცდებით დისკუსიის გახანგრძლივებას, გააკეთეთ შესვენება ან შემოიტანეთ რამე ენერგიული სწრაფი სავარჯიშო გასახალისებლად.

შექმენით კეთილგანწყობილი გარემო

მონაწილეები თავს უნდა გრძნობდნენ თავისუფლად განხილვისა და შესწავლის, ინტერაქტივისა და აზრთა გაზიარების პროცესში. იყავით მეგობრული, უშუალო, წამახალისებელი და გამოავლინეთ იუმორის გრძნობა, არ გამოიყენოთ ჟარგონები ან სიტყვები, რომელიც მონაწილეებს არ ესმით.

დააწესეთ მუშაობის ძირითადი წესები

მნიშვნელოვანია, რომ ყველა მონაწილეს ესმოდეს ძირითადი წესები ინტერაქტიული და ექსპერიმენტული სავარჯიშოებისათვის. მაგ. ყველამ უნდა აიღოს თავის წილი პასუხისმგებლობა თითოეულ სემინარზე, ყველას უნდა ჰქონდეს შესაძლებლობა, რომ იქნას მოსმენილი, მიეცეს ლაპარაკისა და მონაწილეობის საშუალება. არავინ არ უნდა იგრძნოს ზეწოლა, რომ თქვას რამე ისეთი, რაც მისთვის უხერხულია. ეს ძირითადი წესები შეიძლება გააცნოთ და შეათანხმოთ მონაწილეებთან პირველივე შეხვედრაზე კლასთან ან ჯგუფთან.

მიეცით ნათელი ინსტრუქციები

ყოველთვის დარწმუნდით რომ ყველამ გაიგო ინსტრუქციები და იციან, რა უნდა გააკეთონ. უმარტივესი გზა არის შეკითხვების მოსმენა და ყველაზე მნიშვნელოვანი პუნქტების ჩამოწერა. ნუ შეგეშინდებათ შეკითხვების, ისინი ძალიან სასარგებლოა და გაძლევთ თქვენ (და ჯგუფს) შესაძლებლობას ნათელი მოჰფინოთ საკითხებს. შეკითხვების არარსებობა ხშირად არის ზოგადი გაურკვევლობის ნიშანი („არ მინდა დავსვა შეკითხვა, რადგან ჩემს გარდა, მგონი, ყველამ გაიგო").

დახმარება დისკუსიების ჩატარებაში

დისკუსია არის ადამიანის უფლებების განათლების პროცესის ცენტრალური ნაწილი. მიაქციეთ განსაკუთრებული ყურადღება და დარწმუნდით, რომ ჯგუფის ყველა წევრს აქვს მონაწილეობის საშუალება, თუ მას ამის სურვილი გააჩნია. გამოიყენეთ ჯგუფისათვის ნაცნობი სიტყვები, ფრაზები და ენა, განმარტეთ მათთვის უცნობი სიტყვები.

სთხოვეთ მონაწილეებს შემოგთავაზონ თავიანთი აზრები. დარწმუნდით, რომ ლოკალური და გლობალური ასპექტები დაბალანსებულია და ახალგაზრდები

ნათლად ხედავენ, რომ კონკრეტული საკითხი პირდაპირ კავშირშია მათ ცხოვრებასთან.

ანალიზი და შეფასება

მიეცით მონაწილეებს საკმარისი დრო სავარჯიშოს დასამთავრებლად და, თუ საჭიროა, როლიდან გამოსასვლელად, ვიდრე გადახვიდოდეთ მსჯელობაზე იმის შესახებ, თუ რა მოხდა და რა ისწავლეს მათ. ყოველი სავარჯიშოს ბოლოს დაუთმეთ დრო საუბარს იმის შესახებ თუ რა ისწავლეს მონაწილეებმა და რა კავშირს ხედავენ ისინი სავარჯიშოსა და თავიანთ ცხოვრებას შორის, თავიანთ საზოგადოებასთან და ფართო სამყაროსთან. გამოცდილება გააზრების გარეშე ნაკლებად ეფექტურია.

ჩვენ გთავაზობთ გაიაროთ ანალიზისა და შეფასების პროცესი თანმიმდევრულად ისეთი შეკითხვების დასმით, როგორიცაა:

- რა მოხდა სავარჯიშოში და რას ნიშნავდა ეს მათთვის
- რა გაიგეს ახალი საკუთარი თავის შესახებ
- რა გაიგეს სავარჯიშოში განხილული საკითხის შესახებ
- როგორ შეუძლიათ განაგრძონ მუშაობა და გამოიყენონ ის, რაც უკვე ისწავლეს.

მიმოხილვა

ძალიან მნიშვნელოვანია სამუშაოს და სწავლის მიმოხილვა პერიოდულად. ეს შეიძლება გაკეთდეს დღის ბოლოს, სემინარების დროს ან 2-3 გაკვეთილის, ან შეხვედრების სერიის ბოლოს. შეიძლება აღმოაჩინოთ, რომ მიმოხილვა ჯგუფისთვის მოსაწყენია, განსაკუთრებით მაშინ, თუ მას წინ უსწრებდა ხანგრძლივი დისკუსია. გახსოვდეთ, რომ არ არის აუცილებელი წარმართოთ მიმოხილვა დისკუსიის სახით. შეგიძლიათ რაიმე სხვა მეთოდის გამოყენება მაგ. მიმიკები, ხატვა, ძერწვა და ა.შ.

თანახელმძღვანელებმა უნდა გამონახონ დრო დასვენების, განტვირთვისა და ჩატარებული მეცადინეობის მიმოხილვისათვის. ისაუბრეთ შემდეგ საკითხებზე:

- როგორ წარიმართა სავარჯიშო, თქვენი აზრით: მომზადება, დროის ლიმიტის დაცვა, და ა.შ.
- რა ისწავლეს მონაწილეებმა და მიღწეულ იქნა თუ არა მიზნები
- რა არის შედეგები: როგორ მოიქცევა ჯგუფი ამიერიდან ანალოგიურ რეალურ სიტუაციაში
- თქვენ თავად რა გაიგეთ ახალი განხილული საკითხის და ხელმძღვანელობის შესახებ

როცა მეცადინეობა მოულოდნელ ხასიათს იღებს

სავარჯიშოები იშვიათად მიმდინარეობს ზუსტად ისე, როგორც თქვენ მოელოდით, ან ისე, როგორც ისინი წარმოდგენილი და აღწერილია ამ სახელმძღვანელოში. ეს ერთდროულად საინტერესოც არის და რთულიც. თქვენ უნდა მოახდინოთ რეაგირება მიმდინარე პროცესზე და სწრაფად მიიღოთ გადაწყვეტილებები.

დრო

შეიძლება მოხდეს ისე რომ, სავარჯიშომ გაიტაცოს მონაწილეები და დრო სწრაფად ამოიწუროს. მოეთათბირეთ მონაწილეებს, შეწყვიტოთ სავარჯიშო, გააგრძელოთ კიდევ 5 წუთი, თუ რამე სხვა გადაწყვეტა მოუძებნეთ პრობლემას.

ენერგიის ამოწურვა

ზოგჯერ, განსაკუთრებით ხანგრძლივი სემინარის დროს, საჭიროა "ენერჯაიზერის" გამოყენება ან შესვენება.

რთული განხილვები

ზოგჯერ დისკუსიები ჩიხში შედის. თქვენ მოგიწევთ მიზეზის პოვნა, რომელიც შეიძლება ბევრი იყოს – მაგ. თემა უკვე ამოწურულია, ან ძალიან ემოციურია. მოგიწევთ გადაწყვიტოთ, "შემოაგდოთ" შეკითხვა, შეცვალოთ ამოცანა თუ გააგრძელოთ. არასოდეს არ იფიქროთ, რომ ვალდებული ხართ პასუხი გასცეთ მონაწილეების ყველა შეკითხვას, ან პრობლემას. ჯგუფმა თვითონ უნდა იპოვოს პასუხები ერთმანეთისთვის მოსმენისა და აზრთა გაზიარების საშუალებით. რასაკვირველია, მათ შეიძლება გკითხონ თქვენი აზრი, ან რჩევა, მაგრამ გადაწყვეტილება ჯგუფმა უნდა მიიღოს.

გამოხმაურება

გამოხმაურება არის ვინმეს ნათქვამზე ან საქციელზე კომენტარის გაკეთება. ის შეიძლება იყოს პოზიტიური, ან კრიტიკული, ნეგატიური დატვირთვით. გამოხმაურების გაკეთება და მიღება არის უნარი და თქვენ უნდა დაეხმაროთ ჯგუფის წევრებს მის განვითარებაში. ძალიან ხშირად გამოხმაურება მიიღება, როგორც დესტრუქციული კრიტიკა მაშინაც კი, თუ ეს არ იყო ავტორის განზრახვა. გამოხმაურებასთან დაკავშირებული სიტყვა-გასაღები არის "პატივისცემა" და "არგუმენტები".

გამოხმაურების მიწოდების დროს მნიშვნელოვანია სხვების პატივისცემა, აქცენტის გაკეთება მათ ნათქვამზე, ან საქციელზე და თქვენი შეხედულების დასასაბუთებლად არგუმენტების მოყვანა. უმჯობესია თქვათ: "მე კატეგორიულად არ ვეთანხმები რაც თქვენ ამ წუთში თქვით. რადგან.. . " ვიდრე "როგორ შეიძლება იყოთ ასეთი სულელი, ვერ ხედავთ, რომ ?". უარყოფითი გამოხმაურება ადვილად სტკენს გულს ადამიანს.

თქვენი, როგორც ხელმძღვანელის ფუნქციაა, იპოვოთ გზები იმის უზრუნველსაყოფად, რომ მონაწილეების გამოხმაურება იყოს კონსტრუქციული. მაგ.

- იწყებენ კომენტარის გაკეთებას პოზიტიური განაცხადით
- პატივს სცემენ სხვებს და არ აკეთებენ შეურაცმყოფელ შენიშვნებს
- აქცენტს აკეთებენ საქციელზე და არა პიროვნებაზე
- ხსნიან თავიანთი ნათქვამის მიზეზებს
- პასუხისმგებლობას იღებენ საკუთარ მოსაზრებებზე "მე მგონი...", "ჩემი აზრით..." ფრაზების გამოყენებით.

გამოხმაურების მიღება ძნელია, განსაკუთრებით როდესაც არსებობს უთანხმოება. თქვენი როლია დაეხმაროთ მონაწილეებს ისწავლონ თავიანთი გამოცდილებიდან, იგრძნონ მხარდაჭერა და არ იყვნენ დათრგუნულები. მოუწოდეთ მათ, ყურადღებით მოისმინონ კომენტარი საკუთარი თავისა და პოზიციის დაუყოვნებლივ დაცვის გარეშე. ძალიან მნიშვნელოვანია, მონაწილეებმა გაიგონ ზუსტად რას გულისხმობს გამოხმაურების ავტორი და ყურადღებით შეაფასონ რა ითქვა, ვიდრე მიიღებდნენ ან უარყოფდნენ მას.

წინააღმდეგობა მონაწილეების მხრიდან

ინტერაქტიულ სავარჯიშოებში ჩართვა ძალიან მომთხოვნია და როცა თქვენ იყენებთ განსხვავებულ მეთოდებს მაგ. კამათი, ხატვა, სახეობრივი თამაშები,

გარდაუვალი იქნება ის ფაქტი, რომ ყველა სავარჯიშო ყოველთვის არ იქნება მისაღები თითოეული მონაწილისათვის. თუ მონაწილეს შეუძლია დამაჯერებლად ახსნას რატომ არ მოსწონს ესა თუ ის სავარჯიშო, მაშინ თქვენ შეძლებთ მოაგვაროთ პრობლემა დიალოგისა და მოლაპარაკების საშუალებით, მისი მოთხოვნების გათვალისწინებით.

"წინააღმდეგობის" ქვეშ ჩვენ ვგულისხმობთ საქციელს, რომელიც განზრახ დესტრუქციულია. ყველა ხელმძღვანელს ერთხელ მაინც აქვს გამოცდილი მონაწილეთა მხრიდან წინააღმდეგობა. ის შეიძლება გამოიხატოს სხვადასხვა ფორმით. ახალგაზრდამ, რომელიც არაა დარწმუნებული თავის თავში, შეიძლება სკამი ააჭრაჭუნოს, ლაპარაკი დაუწყოს გვერდით მჯდომს. უფრო დახვეწილი გზა არის უმნიშვნელო შეკითხვების დასმა, ყველაფრის მასხრად აგდება. კიდევ ერთი "მეთოდი", რომელსაც მოწინააღმდეგეები მიმართავენ, არის "ხელმძღვანელის ჩაგდება". მათ შეიძლება თქვან მსგავსი რამ – "თქვენ არ გესმით ეს, თქვენ დიდი ხნის წინ იყავით ახალგაზრდა", ან "რატომ გვაქვს მხოლოდ განხილვები, ჩავატაროთ უფრო მეთი თამაშები". "წინააღმდეგობის" მესამე ტიპი არის სწავლისთვის თავის არიდება. მათ შეიძლება თქვან: "ხო მაგრამ ".

რა თქმა უნდა საუკეთესო გზაა წინააღმდეგობისთვის თავის არიდება. მაგ.:

- ყურადღება მიაქციეთ ჯგუფის ყველა წევრს და ყველა ემოციას, რომელიც შეიძლება აღძრას კონკრეტულმა სავარჯიშომ, ან - როლმა სახეობრივ თამაშში.
- დაარწმუნეთ ყველა, რომ არავინ აძალებს ვინმეს თქვას ან გაამჟღავნოს ის, რისი თქმა ან გამჟღავნებაც არ სურს.
- მიეცით მონაწილეებს დრო "მოთელვისათვის" სავარჯიშოს წინ და დაწყნარებისთვის - მის შემდეგ.
- არ დაგავიწყდეთ, რომ უნდა გამოყოთ საკმარისი დრო დისკუსიისა და შედეგების შეჯამებისათვის, რათა ყველამ იგრძნოს, რომ მათი აზრი და მონაწილეობა ფასეული იყო.

თქვენ თავად მოგიწევთ, აირჩიოთ რთული სიტუაციის მოგვარების საუკეთესო გზა, მაგრამ გახსოვდეთ, რომ ჩვეულებრივ, საუკეთესო გზა პრობლემის გადასაჭრელად არის მისი სააშკარაოზე გამოტანა და მთელი ჯგუფის ჩართვა გადაწყვეტილების პოვნაში. არ ჩაერთოთ ხანგრძლივ დისკუსიაში, ან კამათში ჯგუფის რომელიმე ცალკეულ წევრთან. ამან შეიძლება გამოიწვიოს სხვა მონაწილეების განაწყენება, ან იმედგაცრუება და მათი ინტერესის დაკარგვა.

ჯგუფში არსებული კონფლიქტების მართვა

ჯგუფში შეიძლება წარმოიშვას კონფლიქტები. ეს ბუნებრივია და თქვენი როლი არის დაეხმაროთ მონაწილეებს მათ დარეგულირებაში. კონფლიქტები შეიძლება აღმოცენდეს თუ მონაწილეები დაძაბულად გრძნობენ თავს ემოციებთან და მორალურ ფასეულობებთან დაკავშირებულ საკითხებში, თუ მათ არა აქვთ საკმარისი კომპეტენცია ჯგუფური მუშაობისათვის ან თუ აქვთ რადიკალურად განსხვავებული მიდგომა საკითხის ან სხვადასხვა ფასეულობების მიმართ. ეცადეთ შეინარჩუნოთ სიმშვიდე და არ ჩაერთოთ კონფლიქტში.

- გახსოვდეთ კონფლიქტი შეიძლება იყოს სასარგებლო და შემოქმედებითი თუ მას სათანადოდ წარმართავთ.
- საკმარის დროს დაუთმობთ გამოკითხვას და დისკუსიას. თუ საჭიროა გამოყავით დამატებითი დრო.

- დაეხმარეთ მონაწილეებს პოზიციების, ინტერესების და შეხედულებების გარკვევაში
- შეარბილეთ დაძაბულობა ჯგუფში. მაგ. თხოვეთ ყველას დასხდნენ ან ილაპარაკონ მცირე ჯგუფებში 3 წუთის განმავლობაში ან თქვით რაიმე ისეთი, რაც გამოასწორებს სიტუაციას.
- მოუწოდეთ ყველას აქტიურად მოუსმინონ ერთმანეთს.
- აქცენტი გააკეთ იმაზე, რაც აერთიანებს და არა იმაზე, რაც აშორებს მონაწილეებს.
- ეძებეთ კონსენსუსი. დაეხმარეთ მონაწილეებს დაინახონ საერთო ინტერესები იმის ნაცვლად, რომ წავიდნენ კომპრომისებზე და დათმონ თავიანთი პირვანდელი პოზიციები.
- ეძებეთ გადაწყვეტილებები, რომელთაც შეუძლიათ პრობლემის გადაჭრა და არ შეიცავს ახალი კონფლიქტის შექმნის საფრთხეს.
- თხოვეთ კონფლიქტის მონაწილეებს თავიანთი აზრი გამოთქვან სხვა დროს კერძო საუბრებში.

თუკი წამოიჭრება უფრო სერიოზული და ღრმა პრობლემები, ალბათ უკეთესი იქნება თუ გადადებთ მათ გადაწყვეტას და დაელოდებით უფრო ხელსაყრელ შემთხვევას პრობლემასთან დასაბრუნებლად. ამასობაში შეიძლება იფიქროთ როგორ მიუდგეთ პრობლემას სხვა კუთხიდან, მაგალითად, ისეთი მოკლე თამაშის შესრულებით, როგორიცაა "მუშტი და ხელის გული" (გვ. 73). კონფლიქტის გადაწყვეტის გადადებით თქვენ აძლევთ დროს კონფლიქტის მონაწილეებს სიტუაციის გასაანალზებლად და ახალი მიდგომებისა და გადაწყვეტილებების საპოვნელად.

ჯგუფში წამოჭრილი კონფლიქტები და მათი გადაჭრის გზები შეიძლება გამოყენებულ იქნას საკითხის გააზრების, მისი მიზეზების გაგების და კონფლიქტების სირთულის წარმოდგენისათვის რეალურ სამყაროში. საწინააღმდეგოც შეიძლება მოხდეს: საერთაშორისო კონფლიქტების განხილვამ შეიძლება წარმოდგენა შექმნას ლოკალურ კონფლიქტებზე.

დამატებითი ინფორმაცია კონფლიქტების მენეჯმენტის შესახებ იხილეთ სავარჯიშოში "ითამაშე!" (გვ. 196).

ეფექტური სასწავლო ჯგუფების ჩამოყალიბების მეთოდები და ხერხები

ჩვენ აღვწერეთ ჯგუფური მუშაობა და მისი როლი ემპირიულ სწავლებაში. აქ კი ჩვენ აღვწერთ რამოდენიმე ზოგად სავარჯიშოს I დონეზე, რომელიც სპეციფიკურად ავითარებს ჯგუფური სამუშაოს უნარჩვევებს. ეს სავარჯიშოები წარმოადგენს კარგ "ლოკომოტივს" და სახელმძღვანელოს; სხვა სავარჯიშოებთან ერთად ეფექტური მეთოდია ადამიანის უფლებების საკითხების წამოსაჭრელად. კარგი იქნება თუ ზოგჯერ ხელმძღვანელიც შეუერთდება ჯგუფს ამ თამაშების შესრულებაში კონტაქტების დასამყარებლად. პასუხისმგებლობა, კომუნიკაცია და თანამშრომლობა – არის ძირითადი უნარები კარგი ჯგუფური სამუშაოსთვის.

SeuerTdiT xazs

ეს სავარჯიშო ძალიან მარტივია, მაგრამ შეიცავს ყველა თვისებას და პროცედურას, რათა დაეხმაროს მონაწილეებს ისწავლონ პასუხისმგებლობის საკუთარ თავზე აღება ჯგუფში. ეს კარგი სავარჯიშოა ურთიერთობების გასაუმჯობესებლად.

სირთულე: დონე I **ჯგუფის წევრების რაოდენობა**: ნებისმიერი **დრო**: 15 წუთი და მეტი

ინსტრუქციები

1. თხოვეთ ჯგუფს დაეწყონ მწკრივში სიმაღლის მიხედვით, ისე რომ ყველაზე დაბალი მონაწილე წინ მოხვდეს და ყველაზე მაღალი უკან. მათ არ უნდა ილაპარაკონ, მაგრამ შეუძლიათ იკონტაქტონ ბგერების, მინიშნებების და მიმიკის გამოყენებით.
2. როდესაც დაეწყობიან მწკრივში გადაამოწმეთ რომ თანმიმდევრობა ზუსტადაა დაცული.
3. გაიმეორეთ სავარჯიშო და თხოვეთ მონაწილეებს დაეწყონ მწკრივში სხვადასხვა კრიტერიუმების მიხედვით, რომლებიც სახალისოს გახდის თამაშს, მაგრამ არავითარ შემთხვევაში სახიფათოს. მაგ. შეიძლება ეს კრიტერიუმები იყოს ასაკი, დაბადების თვე (იანვარი ან დეკემბერი), ფეხსაცმლის ზომა, და ა.შ.

ანალიზი და შეფასება

ეცადეთ დაეხმაროთ ჯგუფს იმის გაანალიზებაში თუ როგორ იმუშავეს მათ ერთად და რა არის კარგი ჯგუფური მუშაობა. სავარაუდო შეკითხვებია:

- რა პრობლემები გქონდათ ორგანიზების დროს?
- რამ შეანელა ჯგუფის მუშაობა?
- ოყო ლიდერი საჭირო? ვინმეს ჰქონდა ლიდერის ფუნქცია? როგორ იყვნენ ისინი არჩეული?
- რა პასუხისმგებლობა ეკისრებოდა ჯგუფის თითოეულ წევრს პრობლემის გადაწყვეტაში?
- როგორ შეუძლია ჯგუფს მომავალში უფრო სწრაფად გადაჭრას პრობლემა?

gaagrZele, gismenT

ეს სავარჯიშო აქცენტს აკეთებს მოსმენის უნარჩვევებზე, მაგრამ ასევე ხელს უწყობს ლოგიკური აზროვნების განვითარებას და აზრის თავდაჯერებულად გამოთქმას.

სირთულე: დონე I **ჯგუფის წევრების რაოდენობა**: ნებისმიერი **დრო**: 35 წუთი

ინსტრუქციები

1. ჩაატარეთ გონებრივი შტურმი თემაზე: რას ნიშნავს იცოდე მოსმენა.
2. თხოვეთ მონაწილეებს დაჯგუფდნენ სამად: ერთი იყოს სპიკერი, ერთი მსმენელი და ერთიც დამკვირვებელი.
3. უთხარით სპიკერს, რომ მას 5 წუთი აქვს იმისათვის, რომ მსმენელს გაუზიაროს თავისი პირადი აზრი მათთვის საინტერესო საკითხის შესახებ (მაგ. კაცობრიობის წინააღმდეგ ჩადენილი დანაშაულისათვის სიკვდილით დასჯა, სიტყვის თავისუფლების შეზღუდვა ან რაიმე სხვა თემა რაც მოითხოვს აღწერას, ანალიზს და აზრის ჩამოყალიბებას.)
4. მსმენელმა უნდა მოისმინოს და გააცნობიეროს საკითხის არსი, რატომ არის ის მნიშვნელოვანი სპიკერისთვის და რაში მდგომარეობს წარმოდგენილი შეხედულებები.

5. დამკვირვებელი თვალს ადევნებს რამდენად აქტიურია მსმენელის მოსმენის უნარჩვევა. მათ არ უნდა მიიღონ მონაწილეობა დისკუსიაში, ყურადღებით უნდა დააკვირდნენ დისკუსიას და თავი შეიკავონ რჩევებისაგან ვიდრე სავარჯიშოს დრო არ ამოიწურება.
6. 5 წუთის გასვლის შემდეგ შეწყვიტეთ თამაში და თხოვეთ დამკვირვებელს გამოთქვას თავისი აზრი. ასე გააგრძელეთ მანამ სანამ ყველა მონაწილეს არ ექნება საშუალება იყოს სპიკერი, მსმენელი და დამკვირვებელი.

ანალიზი და შეფასება

იმსჯელეთ სავარჯიშოს შესახებ. ზოგიერთი სასარგებლო შეკითხვა შეიძლება იყოს:

- გამოხატეს თუ არა სათანადოდ სპიკერებმა თავისი აზრი და გრძნობები საკითხის შესახებ, იყო თუ არა მათთვის სასარგებლო ისეთ პიროვნებასთან საუბარი, რომელსაც გააჩნდა აქტიური მოსმენის უნარჩვევები?
- როგორ იგრძნეს მათ თავი მსმენელის როლში? იყო ძნელი გესმინა და არ შეგეწყვეტინებინა რათა გამოგეთქვა კომენტარი ან საკუთარი აზრი?

რჩევები ხელმძღვანელებისათვის

ჯგუფი შეიძლება დასაწყისში შეჩერდეს შემდეგ საკითხებზე, იმედია სავარჯიშოს ბოლოს ისინი შეძლებენ ყველა ამ პუნქტის და დამატებით სხვების ჩამოთვლას:

კარგი მსმენელი:

- გამოხატავს პატივისცემას, თვალებში უყურებს სპიკერს და არ აკეთებს ზედმეტ მოძრაობებს.
- აჩვენებს, რომ ყურადღებით უსმენს და ამას გამოხატავს თავის დაკვრით ან ფრაზით: ”გააგრძელეთ გისმენთ”.
- არ აწყვეტინებს
- არ ჩქარობს პაუზების შევსებას და აძლევს მოსაუბრეს ფიქრის და საუბრის გაგრძელების დროს.
- არ ცვლის საუბრის თემას კომენტარების ან განსხვავებული აზრის გამოთქმის გზით.
- იყენებს შემხვედრ შეკითხვებს რათა გაამხნევოს მოსაუბრე, რათა ამ უკანასკნელმა გააგრძელოს საუბარი ან გააკეთოს დასკვნები.
- ავჯამებს ან იმეორებს სპიკერის შენიშვნებს დროდადრო, რათა აჩვენოს რომ ყველაფერი გასაგებია.
- რეაქციას იძლევა იმ გრძნობებზე, რომელიც შეიძლება იდგეს მოსაუბრის სიტყვების უკან და აჩვენებს, რომ ესმის მისი.

adamianebis manqana

ეს უსიტყვო სავარჯიშოა იმის საჩვენებლად თუ როგორ შეუძლიათ ჯგუფის წევრებს ერთმანეთს უპასუხონ და გააერთიანონ მათი ინდივიდუალური წვლილი ერთ მთლიანობად

სირთულე: დონე I **ჯგუფის წევრების რაოდენობა:** 6 ან მეტი **დრო:** 15 წუთი

ინსტრუქციები

1. თხოვეთ მონაწილეებს დადგნენ წრეში

2. აუხსენით მათ, რომ ერთად უნდა ააგონ ერთი უზარმაზარი მექანიკური მანქანა მხოლოდ მათი სხეულების საშუალებით
3. თხოვეთ ერთერთს დაიწყოს. ის ირჩევს რაიმე მარტივ განმეორებად მოძრაობას როგორიცაა მაგალითად ხელის რიტმული აწევ-დაწევა. ამავე დროს ისინი გამოსცემენ რაიმე დამახასიათებელ ბგრებს, მაგ. გრძელი სტვენა.
4. თხოვეთ მეორე მონაწილეს გამოვიდეს და დადგეს ახლოს ან შეეხოს პირველს. ის თვითონ ირჩევს საკუთარ მოძრაობას და ხმას. მაგ. შეიძლება ირწეოდეს და ამბობდეს ჩქ, ჩქ. ამასთანავე ინარჩუნებს ტემპს და რიტმს პირველის შესაბამისად.
5. თხოვეთ სხვა მოხალისეებსაც სათითაოდ შემოგიერთდნენ. მათ შეუძლიათ მიებან მანქანის ნებისმიერ ნაწილს და დაუმატონ მას თავისი საკუთარი მოძრაობა და ბგერები.
6. საბოლოოდ მთელი ჯგუფი უნდა იყოს ურთიერთდაკავშირებული, იმოძრაონ მრავალი ურთიერთდაკავშირებული გზით და წარმოქმნან მრავლნაირი ბგერები.
7. როდესაც ყველა ჩაერთვება და მანქანა შეუფერხებლად იმუშავებს, თქვენ შეგიძლიათ "უდირიჟოროთ" მათ რათა შეანელოთ ან აჩქაროთ, უფრო ხმამაღალი ან ხმადაბალი გახადოთ მანქანის მუშაობა.

ანალიზი და შეფასება

თქვენ შეგიძლიათ ჰკითხოთ ჯგუფს:

- რა მსგავსებას ხედავენ ისინი "მანქანასა" და ეფექტურ სასწავლო ჯგუფს შორის?
- რა უნარჩვევები დასჭირდათ მათ? პასუხისმგებლობა? მოსმენისა და პასუხის გაცემის ჩვევები? თანამშრომლობა? კიდევ რა?

muSti da xelis guli

ეს სავარჯიშო სასარგებლოა თანამშრომლობის განვითარებისათვის

სირთულე: დონე 2 **ჯგუფის წევრების რაოდენობა**: 8 და მეტი **დრო**: 40 წუთი

ინსტრუქციები

1. დახაზეთ ქულების ცხრილი დაფაზე
2. თხოვეთ მონაწილეებს დაჯგუფდნენ წყვილებად; ერთი იყოს A, მეორე B.
3. ირივე მათგანი ხელებს იწყობს ზურგს უკან და ერთად ითვლიან სამამდე.
4. სამ დათვლაზე მათ ერთდროულად უნდა წამოიღონ ხელი წინ და აჩვენონ ან მუშტი ან ხელის გული.
5. თხოვეთ წყვილებს ჩაწერონ ქულები
6. ითამაშეთ 10 რაუნდი
7. სავარჯიშოს ბოლოს დაწერეთ დაფაზე თითოეული წყვილის როგორც ინდივიდუალური ასევე შეჯამებული ქულები

ანალიზი და შეფასება

შეკითხვები რომელიც შეიძლება დასვათ არის შემდეგი:

- ვინ მიიღო ყველაზე მაღალი ქულა წყვილებს შორის? როგორ ითამაშეთ იმისთვის რომ მოგეგოთ?
- ვის აქვს ყველაზე დაბალი ქულა? როგორი შეგრძნება გაქვთ? რა მოხდა?
- ჰქონდა რაიმე შეთანხმებას ადგილი წყვილებს შორის იმაზე თუ როგორ ეთანამშრომლათ? თუ ასე იყო ვინმემ დაარღვია შეთანხმება? რატომ? როგორი იყო თქვენი პარტნიორის რეაქცია?
- შეადარეთ იმ ჯგუფების ჯამური ქულები, რომლებშიც მონაწილეები თანამშრომლობდნენ იმ ჯგუფებთან, რომლებშიც ეჯიბრებოდნენ ერთმანეთს. იყო რაიმე უპირატესობა თანამშრომლობაში? თუ კი რა იყო კონკრეტულად? (ჯამური ქულები? კარგი შეგრძნება? მეგობრებად დარჩენა?)

დისკუსიის წარმართვის ჩვევების განვითარების მეთოდები და ხერხები

დისკუსიები ასევე წარმოადგენს საშუალებას მოსმენის, მორიგეობით საუბრისა და სხვა ჯგუფური უნარების გავარჯიშებისათვის, რომლებიც მნიშვნელოვანია სხვების უფლებების პატივისცემის თვალსაზრისით. იმისათვის რომ ყველას მიეცეს მონაწილეობის საშუალება ჯგუფი უნდა იყოს მართვადი რაოდენობის. თუ თქვენი ჯგუფი ძალიან დიდია მაგ. 15-20 კაცი, უკეთესი იქნება მისი მცირე ჯგუფებად დაყოფა დისკუსიების დროს. ინტერაქტიულობისა და მონაწილეობის სტიმულირების მიზნით სასურველია დასვათ მონაწილეები წრეში ან ნახევარწრეში სადაც მათ შეუძლიათ უყურონ ერთმანეთს. ზოგადი მიმართულებები, რომლებზეც უნდა იმსჯელონ და შეთანხმდნენ ჯგუფის წევრები შეიძლება მოიცავდეს:

- ყოველთვის სათითაოდ უნდა ლაპარაკობდნენ
- განსჯითი ხასიათის კომენტარები ან დაცინვა დაგმობილია
- ყველა პიროვნებამ უნდა იმსჯელოს თავისი შეხედულებიდან და გამოცდილებიდან გამომდინარე და არ განაზოგადოს აზრი სხვების სახელით, ანუ გამოიყენოს "მე" განცხადებები.
- გახსოვდეთ რომ სავარაუდოდ არსებობს ერთზე მეტი "სწორი" პასუხი
- შეთანხმდით რომ დაიცავთ კონფიდენციალურობა მგრძნობიარე საკითხებზე საუბრის დროს
- ყველას აქვს უფლება შეინარჩუნოს დუმილი და არ მიიღოს რაიმე საკითხის გარშემო გამართულ დისკუსიაში მონაწილეობა თუ მათ ამის სურვილი აქვთ.

შესაძლოა გამოგადგეთ შემდეგი სტრატეგია:

mikrofoni

ეს ეფექტურია იმ ჯგუფებში რომლებსაც უჭირთ მოსმენა

ინსტრუქციები

ჯგუფი ზის წრეში. მაგნიტოფონის (ან რაიმე მსგავსი საგნის) ძველი მიკროფონი გადააწოდეთ წრეში. მხოლოდ იმ მონაწილეს აქვს ლაპარაკის უფლება, რომელსაც მიკროფონი უჭირავს. დანარჩენებმა უნდა უსმინონ და უყურონ მოსაუბრეს. როდესაც ის საუბარს მორჩება მიკროფონი გადაეცემა მომდევნო მონაწილეს, რომელსაც სურს აზრის გამოთქმა.

dilema TamaSebi

ეს სასარგებლოა მონაწილეების წახალისებისათვის რათა მათ გამოთქვან თავიანთი აზრი, მოუსმინონ სხვებს და შეცვალონ შეხედულება ახალი გააზრების ფონზე. ეს შეიძლება სხვადასხვა გზით მოხდეს.

ინსტრუქციები

1. მოამზადეთ 3-4 წინააღმდეგობრივი განცხადება იმ საკითხთან დაკავშირებით, რომელზეც მუშაობთ, მაგ. "არ უნდა არსებობდეს არავითარი შეზღუდვა სიტყვის თავისუფლებაში".
2. გაავლეთ ხაზი იატაკზე ცარცით ან თოკით
3. განმარტეთ, რომ ხაზის მარჯვენა მხარე წარმოადგენს განცხადებასთან დათანხმებას ხოლო მარცხენა დაუთანხმებლობას. ხაზთან დაშორების მანძილი აჩვენებს თანხმობის ან დაუთანხმებლობის ძალას, რაც უფრო შორს ვართ ხაზისგან მით უფრო მეტად ვეთანხმებით ან არ ვეთანხმებით განაცხადს. ოთახის კედლები არის საზღვარი! ხაზზე დგომა ნიშნავს, რომ პიროვნებას არა აქვს ჩამოყალიბებული აზრი.
4. წაიკითხეთ პირველი განცხადება
5. თხოვეთ მონაწილეებს დადგნენ ხაზის იმ წერტილში, რომელიც გამოხატავს მათ აზრს განცხადებასთან დაკავშირებით.
6. ახლა კი თხოვეთ მათ ახსნან რატომ დგანან იქ სადაც დგანან.
7. მიეცით ყველა მსურველს ლაპარაკის საშუალება. შემდეგ იკითხეთ აქვს თუ არა ვინმეს პოზიციის შეცვლის სურვილი.
8. როდესაც ყველა ვინც ეს საჭიროდ ჩათვლა გადაადგილდება, თხოვეთ მათ ახსნან ამის მიზეზები
9. დასვით რაიმე სხვა შეკითხვებიც.

კოლექტიური გადაწყვეტილების მიღების ჩვევების განვითარების მეთოდები და ხერხები

კოლექტიური გადაწყვეტილების მიღება კონსენსუსის საფუძველზე ხანგრძლივი პროცესია და მონაწილეებისაგან მოითხოვს კომუნიკაციის კარგ ჩვევებს, მგრძნობიარობას სხვების მოთხოვნების მიმართ, ფანტაზიას, ნდობას და მოთმინებას. მხოლოდ ამის შემდეგ შეძლებენ მონაწილეები საკითხის გულწრფელად განხილვას, ცენზურისა და გაკრიტიკების და დაცინვის შიშის გარეშე აზრის გამოთქმას და აზრის თავისუფლად შეცვლას რაციონალური არგუმენტირების შედეგად.

კონსენსუსის მისაღწევად შრომა ნიშნავს მონაწილეებმა გააცნობიერონ აზრთა მთელი სპექტრი ჯგუფში და ყურადღებით განიხილონ ყველა ჯგუფში არსებული აზრი, რათა მიღწეულ იქნას საერთო ინტერესების საფუძველზე ურთიერთშეთანხმებული გადაწყვეტილებების მიღება. კონსენსუსისა და გადაწყვეტიების მიღების მიღწევა არ არის ადვილად სახელმძღვანელო.

გადაწყვეტილების მიღების პროცესი შეიძლება დამთავრდეს სხვადასხვაგვარად:

- ერთი მხარე არწმუნებს მეორეს. ეს რასაკვირველია, არის ის რასაც უმეტესობ ათვლის რომ ხდება, როდესაც მათ ხმების უმრვლესობა აქვთ. მაგრამ ეს შეიძლება თავისუფლად იყოს ასევე რაიმე მნიშვნელოვანი შეხედულების უგულვებელყოფა. როდესაც კონსენსუსი მიიღწევა დარწმუნების ხარჯზე ეს ნიშნავს, რომ თითქმის ჯგუფში ყველა ეთანხმება იმ აზრს რომ არგუმენტები ერთ-ერთი შეხედულების გასამყარებლად არის

შეუვალი და აბსოლუტური. და ამიტომაც ისინი თმობენ თავიანთ ადრინდელ პოზიციას და ემხრობიან არგუმენტირებულ აზრს.

- ერთი მხარე ნებდება. ზოგჯერ მონაწილეები ფიქრობენ რომ ეს არ ღირს ენერგიის ხარჯვად და უარყოფენ თავიანთ პოზიციას. სხვაგვარად მოაზროვნეთა პოზიცია უმნიშვნელოვანესია შემოქმედებითი გადაწყვეტილების მიღებისათვის. ხშირად ერთი ადამიანი ფლობს ძირითად ინფორმაციას, რომელიც შეიძლება აღმოჩნდეს გადამწყვეტი. მონაწილეებს უნდა შეეძლოთ აზრის შეცვლა თავისუფლად როგორც კი ახალი ინფორმაცია გახდება მათთვის ცნობილი. როდესაც მუშაობა მიმართულია კონსენსუსის მიღწევისაკენ მონაწილეებს უნდა ჰქონდეთ თავისუფლება განიხილონ მთელი რიგი პოზიციები და არ უნდა შეექმნათ ისეთი გრძნობა თითქოს თავის მხარეს ღალატობენ თუკი ისინი აზრს იცვლიან.
- ორივე მხარე პოულობს ახალ ალტერნატივას. უთანხმოება შეიძლება ზოგჯერ გადაილახოს თუ მონაწილეები შეწყვეტენ იმ თავიანთი პოზიციების დაცვას და ეცდებიან გამონახონ ალტერნატიული გადაწყვეტა, რომელიც დააკმაყოფილებს ორივე მხარეს. ხშირად არცერთ ჯგუფს არ უწევს რაიმეს დათმობა და ორივეს რჩება შეგრძნება რომ მათ "გაიმარჯვეს".
- ჯგუფი გადაიაზრებს საკითხს. კონსენსუსის გულწრფელ ძებნას ხშირად მიყავს მონაწილეები იმის გააზრებამდე, რომ კონფლიქტი გამოწვეულია სემანტიკური სირთულეებით ან მეორე მხარის პოზიციის არასწორი გაგებით. ზოგჯერ ორივე მხარე ხვდება, რომ მათ მწვავედ დააფიქსირეს თავისი პოზიცია და რადგანაც ისინი მიილტვიან კონსენსუსისკენ არბილებენ თავიანთ შეხედულებებს და პოულობენ საკითხის იმგვარად დანახვის გზას, რომელიც ორივე მხარისათვის მისაღებია.
- ყველა მხარე თმობს ცოტას. ზოგჯერ როდესაც მონაწილეები აკვირდებიან რა აქვთ საერთო ისინი შეიძლება მივიდნენ გადაწყვეტილებამდე, რომელიც აკმაყოფილებს ორივე მხარის მოთხოვნათა უმეტესობას უფრო მეტად ვიდრე ერთი მხარის ყველა მოთხოვნას, ხოლო მეორისას კი არც ერთს.
- ორივე მხარე თანხმდება შესვენებაზე. ზოგჯერ პროცესში ჩართული ყველა მხარე თანხმდება, რომ მათ არა აქვთ საკმარისი ინფორმაცია რათა მიიღონ გონივრული გადაწყვეტილება, ან ისინი მეტისმეტად განაწყენებული არიან იმისათვის, რომ მივიდნენ რეალურ გადაწყვეტილებამდე. ამ შემთხვევაში მათ შესაძლოა არჩიონ საკითხის გადადება ვიდრე არ მოიპოვებენ საკმარის ცოდნას და ინფორმციას რაციონალური გადაწყვეტილების მისაღებად.

kvanZebi

ეს სავარჯიშო კარგი "ლოკომოტივი" და "ენერგეტიკა". ის მოიცავს თანამშრომლობის და გადაწყვეტილების მიღების უნარ-ჩვევებს.

სირთულე: დონე I **ჯგუფის წევრების რაოდენობა**: 10 -20 **დრო**: 10 წუთი

ინსტრუქციები

თხოვეთ ყველა მონაწილეს დადგნენ წრეში ერთმანეთის მხარდამხარ და ხელები დაიჭირონ წინ გაწვდილი.

- ახლა ისინი უნდა მიწვდნენ სხვა მონაწილეების ხელებს ისე, რომ თითოეულს ეჭიროს 2 დანარჩენი მონაწილის ხელი. არ შეიძლება ვინმე უშუალოდ გვერდით მდგომის ხელის დაჭერა. (შედეგად მიიღება ხელებისგან გაკეთებული დიდი კვანძი!)

- თხოვეთ მონაწილეებს გახსნან კვანძი ისე, რომ არ გაუშვან ერთმანეთს ხელი.
- შენიშვნა: მათ მოუხდებათ გაძვრენ ერთმანეთის ხელების ქვეშ ან გადააბიჯონ მათ. ეს ცოტაოდენ მოთმინებას მოითხოვს მაგრამ შედეგი გასაოცარი იქნება - 1 ან 2 დიდი წრე.

ანალიზი და შეფასება

- შეგიძლიათ კითხოთ ჯგუფს როგორ იმუშავეს ერთად იმისათვის, რომ გაეხსნათ კვანძი.
- იყო თუ არა ეს დემოკრატიული პროცესი?
- რამდენი გზა არსებობდა გადაწყვეტილებამდე მისასვლელად?
- ყველამ გამოთქვა წინადადებები თუ ერთმა ადამიანმა აიღო ლიდერის ფუნქციები და წარმართა კვანძის გახსნა?

wertilebi iatakze!

ეს არის ენერგეტიკული თამაში, რომელიც მოიცავს თანამშრომლობას და გადაწყვეტილების ჯგუფურ მიღებას. ის ასევე არის კარგი "ლოკომოტივი" და "ენერგეტიკი".

სირთულე: დონე I **ჯგუფის წევრების რაოდენობა**: 6-25 **დრო**: 15 წუთი

ინსტრუქციები

1. აუხსენით ჯგუფს, რომ ამ თამაშში სხეულის 9 "წერტილი" უნდა შეეხოს იატაკს: 2 ფეხი, 2 ხელი, 2 იდაყვი, 2 მუხლი და 1 შუბლი.
2. თხოვეთ მონაწილეებს განლაგდნენ ოთახის შუაგულში. გამოაცხადეთ რაიმე ციფრი 1-დან 9-მდე და აუხსენით თითოეულ მოთამაშეს, რომ ისინი უნდა შეეხონ იატაკს გამოცხადებული რაოდენობის წერტილებით. გაიმეორეთ სავარჯიშო კიდევ 2-ჯერ.
3. თხოვეთ მონაწილეებს იპოვონ პარტნიორი. გამოაცხადეთ რიცხვი 2-დან 18-მდე. მონაწილეთა წყვილებმა უნდა იმუშაონ ერთად რათა იატაკს შეახონ წერტილების ზუსტი რაოდენობა. გაიმეორეთ სავარჯიშო კიდევ 2-ჯერ.
4. გაიმეორეთ თამაში 4 წევრისაგან შემდგარ ჯგუფთან, შემდეგ 8, შემდეგ 16 ვიდრე ყველა არ ჩაერთვება და არ იმუშავებს ერთად.

რჩევები ხელმძღვანელს

შეგიძლიათ მონაწილეებს ნება დართოთ იკონტაქტონ მხოლოდ მინიშნებებით და მიმიკით.

როდესაც 4 წევრი ერთად თამაშობს ყველაზე დაბალი ციფრი შეიძლება იყოს 2. ასეთ შემთხვევაში 2 მონაწილე დგას ცალ ფეხზე!

როდესაც 4 ადამიანი თამაშობს ყველაზე დაბალი პრაქტიკული ციფრი იქნება 4. (ყველაზე მაღალი კი იქნება 4x9=36).

თითოეულ რაუნდში გამოცხადებული უმაღლესი რიცხვი არ უნდა აღემატებოდეს ჯგუფის წევრების რაოდენობას 9-ზე გამრავლებულს.

duetidan kvartetamde

ეს სავარჯიშო მოიცავს დისკუსიისა და მოლაპარაკების პროცესს.

სირთულე: **დონე I** **ჯგუფის წევრების რაოდენობა:** 4 და მეტი **დრო:** 45 წუთი

ინსტრუქციები

1. თხოვეთ ჯგუფს დაეწყონ წყვილებად ამოცანის შესასრულებლად, რომელიც მოიცავს მსჯელობისა და გადაწყვეტილების მიღებას. მაგალითად, ჯგუფი უნდა შეთანხმდეს: ექსკურსიაზე გასვლის თარიღის, ადამიანის უფლებების განმარტების ან ადამიანის უფლებებათაგან 3 ყველაზე მნიშვნელოვანის ამორჩევის შესახებ.
2. გამოყავით 10 წუთი ამ ეტაპისთვის.
3. შემდეგ თხოვეთ წყვილებს შექმნან 4 კაციანი ჯგუფი და გაიმეორონ პროცესი.
4. შენიშვნა: თუ ამ სავარჯიშოს იყენებთ პრაქტიკულ საკითხებზე კოლექტიური გადაწყვეტილების მიღებისათვის, მაგ. ექსკურსიის მოწყობა, მაშინ უნდა გააგრძელოთ სავარჯიშო და შეასრულოთ ახალი რაუნდები 8 და 16 წევრიან ჯგუფებში სანამ ყველა არ გაერთიანდება ერთ დიდ ჯგუფში და არ მიიღწევა კონსენსუსი, რომელიც საუკეთესოდ აკმაყოფილებს ყველას მოთხოვნებს. თუ ამ მეთოდს იყენებთ ადამიანის უფლებების განმარტების განსახილველად, ჩაატარეთ პლენარული სხდომა მას შემდეგ, რაც 4 კაციანი ჯგუფები დაასრულებენ დისკუსიას. ეს თავიდან აგაცილებთ სავარჯიშოს განმეორებით გამოწვეულ ერთფეროვნებას და მის მოსაწყენად გადაქცევას.

გამოკითხვა და ანალიზი

გადაწყვეტილების მიღების პროცესის ბუნების შესახებ მსჯელობისათვის შემოთავაზებული კითხვებია:

- მეთოდს დიდი დრო სჭირდება. ღირდა შედეგი ამად?
- იგრძნო თუ არა ყველამ თავი პროცესში ჩართულად და მოსმენილად გადაწყვეტილების მიღების დროს (მაშინაც კი თუ საბოლოო გადაწყვეტილება არ იყო მათთვის ყველაზე სასურველი ვარიანტი).
- არსებობდა უმცირესობათა რაიმე მოთხოვნები, რომლებიც ვერ აისახა სათანადოდ? (მაგ. ექსკურსიის თარიღთან დაკავშირებით).

ანალიტიკური თამაშები

ტრეინინგის ან ნებისმიერი სასწავლო პროგრამის დროს მნიშვნელოვანია განვლილისათვის პერიოდულად თვალის გადავლება. ქვემოთ მოყვანილი სავარჯიშოები შეიძლება გამოყენებულ იქნას ნებისმიერ დროს. ისინი მონაწილეებს სთავაზობენ სახალისო გზას თავიანთი გამოცდილების საფუძველზე სწავლისათვის. ეს სავარჯიშოები ეყრდნობა ხატვის, ძერწვის და თხრობის მეთოდებს.

bolo TamaSi

ეს შეიძლება იყოს გამოხმაურების მიღების ძალიან სწრაფი გზა. რაც უფრო მეტ რაუნდებს თამაშობთ მით მეტ გამოხმაურებას იღებთ.

სირთულე: დონე I **ჯგუფის წევრების რაოდენობა:** ნებისმიერი **დრო:** 3-4 წუთი თითო რაუნდზე

ინსტრუქციები

1. თხოვეთ მონაწილეებს დასხდნენ წრეში
2. მოკლედ შეახსენეთ რა აქვთ გაკეთებული
3. აირჩიეთ ქვემოთ მოყვანილი განცხადებებიდან ერთი წყვილი
4. თხოვეთ წრეში მსხდომთ რიგ-რიგობით დააბოლოონ განცხადება. არავითარი კომენტარი ან დისკუსია არ დაიშვება.
5. დაამატეთ რაუნდები თუ დრო გრჩებათ ან თუ უფრო მეტი გამოხმაურების მიღება გსურთ.

განცხადებების ნიმუშები:

- ყველაზე კარგი სავარჯიშოში იყო... და ყველაზე ცუდი იყო...
- ყველაზე საინტერესო იყო... ყველაზე მოსაწყენი იყო...
- რაც ყველაზე მეტად არ მომეწონა არის... რაც ყველაზე მეტად მომეწონა არის...
- ყველაზე სახალისო იყო... ყველაზე სერიოზული იყო...
- მე ვისურვებდი რომ ყოფილიყო მეტი... და ნაკლები...
- ყველაზე მეტად რისი გაკეთებაც მომეწონა... ყველაზე ნაკლებად რისი გაკეთება არ მომეწონა...
- ყველაზე თავდაჯერებულად ვიგრძენი თავი როდესაც... ყველაზე ნაკლებად თავდაჯერებულად კი როდესაც...

maRla da dabla

ეს მეთოდი ძალიან სწრაფია და იყნებს პანტომიმას

სირთულე: დონე I **ჯგუფის წევრების რაოდენობა:** ნებისმიერი **დრო:** 5 წუთი

მომზადება

მოიფიქრეთ 3 ან 4 შეკითხვა ჯგუფისთვის. მაგ. "მოგეწონათ სავარჯიშო?" ან "ისწავლეთ რაიმე ახალი?"

ინსტრუქციები

1. ხმამაღლა წაიკითხეთ პირველი შეკითხვა.
2. თხოვეთ ჯგუფს მოიფიქრონ პასუხი და შემდეგ მთელი სხეულით გამოხატონ როგორი შეგრძნება აქვთ. თუ ისინი მტკიცედ ეთანხმებიან განცხადებას მაშინ ხელები უნდა ასწიონ რაც შეიძლება მაღლა და შეიძლება ფეხის წვერებზეც კი დადგნენ. ხალხი, რომელიც კატეგორიულად არ ეთანხმება უნდა ჩაჯდეს ან დაწვეს კიდეც იატაკზე. ზოგიერთმა მონაწილემ შეიძლება რაიმე გარდამავალი პოზიციაც კი გამონახოს თავიანთი პასუხის გამოსახატავად.
3. სთხოვეთ ჯგუფს მოდუნდეს და წაიკითხეთ მომდევნო შეკითხვა.

Sexedulebebi

ამ სავარჯიშოში მოძრაობა ერწყმის მსჯელობის შესაძლებობას

სირთულე: დონე I **ჯგუფის წევრების რაოდენობა:** 10 და მეტი **დრო:** 10 წუთი

მომზადება მოამზადეთ 3 ან 4 შეკითხვა, მაგ. "მოგეწონათ სავარჯიშო?" ან "ისწავლეთ რაიმე ახალი?"

ინსტრუქციები

1. დაარქვით დარბაზის ოთხ კედელს სახელები: "დიახ", "არა", "არ ვიცი", და "რაღაც მინდოდა მეთქვა" 4 განსხვავებული შეხედულების წარმოსადგენად.
2. დასვით პირველი შეკითხვა სავარჯიშოსთან დაკავშირებით და სთხოვეთ მონაწილეებს დადგნენ იმ კედელთან, რომელიც მათ პასუხს შეესაბამება.
3. მიეცით საშუალება მათ ვისაც რაღაცის თქმა სურთ გამოხატონ თავისი აზრი. მხოლოდ მეოთხე " რაღაც მინდოდა მეთქვა" კედელთან მდგომებს აქვთ ლაპარაკის უფლება.

amindis prognozi

ეს სავარჯიშო იყენებს "ამბის თხრობის" მეთოდს. ის შეიძლება გამოყენებულ იქნას სავარჯიშოს ბოლოს მიმოხილვის სახით. ალტერნატივის სახით მისი გამოყენება შეიძლება ასევე გრძელი პროგრამის ბოლოს რათა მონაწილეებს მიეცეთ საშუალება გადახედონ განვლილ გზას და შემდეგ გაიხედონ წინ მომავლისაკენ.

სირთულე: დონე I **ჯგუფის წევრების რაოდენობა:** 6 + **დრო:** 45 წუთი

მომზადება

ფურცლები და პასტები სურვილისამებრ

ინსტრუქციები

1. მიეცით მონაწილეებს 5-10 წუთი მიმდინარე დღეზე /ტრეინინგზე /პროექტზე /სამუშაოზე ფიქრისათვის, რომელშიც ჩართული ხართ და თხოვეთ კითხონ საკუთარ თავს: "მომწონს რაც აქამდე იყო? რას მაძლევს ეს ყველაფერი და იქნება კი ეს წარმატებული?"
2. შემდეგ სთხოვეთ მათ სათითაოდ გამოხატონ თავიანთი განწყობა ამინდის მოვლენების სახით.

რჩევები ხელმძღვანელებს

- თუ მონაწილეებს დასჭირდებათ ილუსტრირება იმისა თუ რას გულისხმობთ, თქვენ შეგიძლიათ თქვათ: "ჩემი დღე დილიდან იყო ნაცრისფერი და ღრუბლიანი... შემდეგ დამჭირდა ქოლგის გამოყენება რათა თავი დამეცვა კოკისპირული წვიმისაგან... მაგრამ ბევრი თქვენგანი დამეხმარა ქოლგის დაჭერაში... ძლიერი წვიმები მოსალოდნელია ხვალისთვისაც, მაგრამ ველოდები, რომ მომავალი კვირა ნათელი და მზიანი იქნება ". ეს შეიძლება ნიშნავდეს იმას, რომ თქვენ დაიწყეთ არც ისე დარწმუნებულმა, შემდეგ მდგომარეობა კიდევ უფრო გაუარესდა და თქვენ მოხარული იყავით მონაწილეების მხარდაჭერის გამო. დარწმუნებული არ ხართ არც უახლოეს გეგმებში/დაუყოვნებლივ შედეგებში მაგრამ ფიქრობთ, რომ საბოლოოდ მიზანს მიაღწევთ.
- დრო მოცემულია 10-12 წევრისაგან შემდგარი ჯგუფისათვის. უფრო დიდ ჯგუფებს მეტი დრო ესაჭიროებათ.

ვარიანტები

- მონაწილეებმა სიტყვიერი აღწერის ნაცვლად შეიძლება დახატონ საკუთარი ამინდის პროგნოზი

- შეგიძლიათ ამ სავარჯიშოს ძირითადი იდეა გამოიყენოთ თქვენი პროექტის გასაანალიზებლად. თითქოს თქვენ აკეთებდეთ კომენტარს ფეხბურთის ან კრიკეტის მატჩზე, ან რაიმე სხვა რელევანტურ მოვლენაზე.

pirvel gverdze

ეს იდეა იმაში მდგომარეობს, რომ ჯგუფმა მოამზადოს ყვითელი გაზეთის პირველი გვერდის მაკეტი, სტატიების სათაურები რეზიუმირებას უკეთებს ჯგუფის საქმიანობასთან დაკავშირებულ ნააზრევს და შეგრძნებებს.

სირთულე: დონე 2 **ჯგუფის წევრების რაოდენობა:** 8 + **დრო:** 45 წუთი

მომზადება

დაგჭირდებათ A3 ზომის თაბახის ფურცელი და მარკერები ყველა მცირე ჯგუფისათვის.

ინსტრუქციები

1. სთხოვეთ მონაწილეებს დანაწილდნენ მცირე 3- 4 წევრიან ჯგუფებში.
2. სთხოვეთ იმსჯელონ იმაზე რასაც აკეთებენ, რა შედეგი მიიღეს მათ სავარჯიშოდან ან პროგრამიდან და იფიქრონ მთავარ ძირითად თემებზე და პრობლემებზე.
3. თითოეული ჯგუფი უნდა შეთანხმდეს 5 ან 6 "ამბავზე". ერთობლივად უნდა მოიფიქრონ სათაური თითოეული ამბისათვის და სურვილისამებრ დაუმატონ საქმის არსის ამსახველი რამდენიმე წინადადება. მათ არ მოეთხოვებათ ამბის სრული აღწერა. ფოტო მასალის დართვა კარგია იდეაა, მაგრამ არა აუცილებელი.
4. გამოფინეთ პირველი გვერდები
5. პრეზენტაცია და დისკუსია სურვილისამებრ

zurgCanTa

სავარჯიშო მოიცავს ხატვას და შემოქმედებით მიდგომას

სირთულე: დონე I **ჯგუფის წევრების რაოდენობა:** ნებისმიერი **დრო:** 40 წუთი
მასალა: ფურცლები და ფერადი ფანქრები.

ინსტრუქციები

1. ეს არის სემინარის ან კურსის დასასრული. სთხოვეთ მონაწილეებს დახატონ საკუთარი თავი ზურგჩანთით სახლისაკენ მიმავალი. ზურგჩანთაში აწყვია ყველაფერი რისი სახლში წაღებაც მათ უნდათ.
2. უნდა გაიხსენონ ყველაფერი რაც ისწავლეს და რაც უნდათ, რომ მათთან დარჩეს. ამ ნივთებს შორის შეიძლება იყოს წიგნები ან სურათები, გრძნობები, ხალხი, იდეები, სამყაროს ახლებური ხედვა, მათ მიერ სირთულეების გადალახვის დროს შეძენილი ძლიერი მხარეები, ან ფასეულობები.
3. მათ ასევე შეიძლება გამოსახონ საგნები, რომლებიც დაბლა აწყვია – რისი დატოვებაც მათ წასულში უნდათ. ეს შეიძლება იყოს ცუდი ჩვევები, ძველი იდეები, სირთულეები, ცუდი საკვები, უძილობა – ან ნებისმიერი მსგავსი რამ.

გამოყენებული ლიტერატურა და რეკომენდირებული საკითხავი

შენიშვნები

1 *ამონარიდები და ციფრები კვლევიდან "ახალგაზრდების მდგომარეობისა და ევროპის ახალგაზრდული პოლიტიკის შესწავლა", რომელიც განხორციელდა ევროკომისიისათვის IARD - ის მიერ 2001 წ. იანვარში, მილანში.*

2 *წყარო: ევრობარომეტრი 47.1, ახალგაზრდების დამოკიდებულება ევროკავშირის მიმართ, ევროკომისია 1998*

3 *ახალგაზრდების საკითხებზე პასუხისმგებელი ევროპის მინისტრების მე-5 კონფერენციის დასკვნითი დეკლარაცია, ბუქარესტი. "ახალგაზრდები: მომავალი ევროპის აქტიური მოქალაქეები", 1998, აპრილი*

4 *"განათლება – შინაგანი საგანძური" იუნესკოს მოხსენება 21 საუკუნის განათლების შესახებ, 1996.*

Tavi 2

49 praqtikuli savarjiSo da meTodi adamianis uflebaTa Sesaswavlad

savarjiSoebis sia

		დონე	სიღარიბე	პირადების უსაფრთხოება	გენდერული თანასწორობა	გლობალიზაცია	მოქალაქეობა	დემოკრატია	ბავშვები	დისკრიმინაცია და ქსენოფობია	ჯანმრთელობა	მსოფლიო და ძალადობა	განათლება	ადამიანის ზოგადი უფლებები	ეკოლოგია	მასმედია	სოციალური უფლებები	სპორტი	გვერდი
Electioneering	აირჩიე!	2					✓	✓						✓					87
A tale of two cities	ამბავი ორი ქალაქის შესახებ	3					✓								✓		✓		90
Ashique's story	აშიკის ისტორია	3				✓			✓								✓		102
Children's rights	ბავშვთა უფლებები	2							✓				✓	✓					107
Garden in a night	ბაღი ერთ ღამეში	3					✓				✓				✓				112
Right's bingo	"ბინგოს" უფლებები!	1		✓					✓					✓					117
The scramble for wealth	ბრძოლა სიმდიდრისა და ძალაუფლებისთვის	3	✓	✓		✓													120
Take a step forward	გადადგი ნაბიჯი წინ	2	✓							✓				✓					126
Education for all?	განათლება ყველასათვის?	2				✓	✓						✓						132
Different wages	განსხვავებული ხელფასები	2			✓					✓							✓		138
Do we have alternatives?	გვაქვს რაიმე ალტერნატივა?	3							✓	✓		✓							143
A glossary of globalization	გლობალიზაციის ლექსიკონი	3				✓							✓				✓		147
Heroines and heroes	გმირები	2			✓		✓			✓									150
Let every voice be heard	"დაე ყველას აზრი იყოს მოსმენილი!"	3					✓		✓				✓						154
See the ability	დავინახოთ საკუთარი შესაძლებლობები	3								✓							✓	✓	158
Picture games	დასურათებული თამაშები	1								✓				✓		✓			164
Who are I?	ვინ ვართ მე?	2			✓		✓			✓									172
Power station	ელექტროსადგური	2					✓					✓		✓					175
The language barier	ენობრივი ბარიერი	2		✓						✓			✓						179
Just a minute	ერთი წუთით!	2				✓								✓				✓	182
Let's talk about sex!	ვისაუბროთ სექსზე!	4			✓					✓	✓								186
"Draw the word" game	თამაში "დახატე სიტყვა"	1					✓							✓		✓			191
Path ti Equality-land	თანასწორობის ქვეყნისაკენ მიმავალი გზა	3			✓					✓			✓						194
Play the game!	ითამაშე!	3										✓		✓				✓	198
Act it out	ინსცენირება	2					✓		✓					✓					203
The impact of the Internet	ინტერნეტის ზეგავლენა	4				✓								✓		✓			206
Making links	კავშირების დამყარება	4					✓	✓						✓					215
Makah whaling	მაკა – ვეშაპებზე მონადირე	4				✓								✓	✓				219
To vote or not to vote	მივცეთ თუ არა ხმა?	4					✓	✓						✓					230
Front page	პირველი გვერდი	3				✓									✓	✓			237
Trade Union meeting	პროფკავშირების შეხვედრები	3					✓	✓									✓		243
Responding to racism	რასიზმის მოგერიება	3								✓			✓	✓					249
When tomorrow comes	როცა დადგება ხვალინდელი დღე	3		✓								✓				✓			256
Where do you stand?	სად დგახართ?	2	✓				✓							✓					261
Work and babies	სამსახური და ბავშვები	2			✓					✓							✓		265
Domestic affairs	საშინაო საქმეები	3			✓						✓	✓							269
Money to spend	სახარჯი ფული	2		✓								✓		✓					276
Horoscope of poverty	სიღარიბის ჰოროსკოპი	3	✓			✓											✓		282
The Web of life	სიცოცხლის ქსელი	2				✓								✓	✓				288
Sport for all	სპორტი ყველასათვის	2								✓	✓							✓	292
Fighters for rights	უფლებებისათვის მებრძოლები	2					✓							✓		✓			296
Beware we are wathing	ფრთხილად, ჩვენ ყველაფერს ვხედავთ	4				✓	✓										✓		302
All equal all different	"ყველა თანასწორი – ყველა განსხვავებული"	2				✓				✓				✓					306
Can I come in?	შეიძლება შემოვიდე?	3		✓						✓		✓							310
Our futures	ჩვენი მომავლის ვარიანტები	2							✓					✓	✓				317
Living in a perfect world	ცხოვრება სრულყოფილ სამყაროში	3									✓	✓			✓				321
Violence in my life	ძალადობა ჩემს ცხოვრებაში	3		✓								✓		✓					328
Access to medicaments	წამლების ხელმისაწვდომობა	4				✓				✓	✓								331
	ადამიანის უფლებათა კალენდარი																		338

airCie

როგორ შეგიძლიათ სხვების დარწმუნება?

თემები ადამიანის ზოგადი უფლებები, დემოკრატია, მოქალაქეობა

სირთულე დონე 2

მონაწილეთა რაოდენობა ნებისმიერი

ხანგრძლივობა 45 წუთი

მიმოხილვა დისკუსიაზე დამყარებული სავარჯიშო, რომელიც ეხება:
- უფლემემსა და მოვალეობებს დემოკრატიულ საზოგადოებაში

დისკუსიის დემოკრატიული ფორმა

შესაბამისი უფლებები
- დემოკრატიულ პროცესებში მონაწილეობის უფლება
- აზრისა და სიტყვის თავისუფლება

მიზნები დემოკრატიული საზოგადოების ზოგიერთი წინააღმდეგობრივი ასპექტების განხილვა
- მოსმენის, დისკუსიისა და სხვათა დარწმუნების უნარ-ჩვევების ჩამოყალიბება და განვითარება
- ღია სივრცე

მასალა ბარათი (4) და ფერადი პასტები ჩანიშვნისათვის
- დასაწებებელი ლენტი
- პატარა ბარათები და პასტები ჩანაწერების გასაკეთებლად (არჩევითი)

მომზადება გააკეთეთ 2 ტრაფარეტი წარწერით "ვეთანხმები" და "არ ვეთანხმები" და დააწებეთ თითოეული მათგანი გრძელი კედლის ბოლოებში. კედლის გასწვრივ საკმარისი ადგილი უნდა იყოს მონაწილეებისათვის სწორ ხაზში დასადგომად.
- ოთახის ცენტრში დადგით 2 სკამი, დაახლოებით 50 სმ-ის დაშორებით და მათ გარშემო დატოვეთ ადგილი, რათა მონაწილეებმა თავისუფლად იმოძრაონ.

ინსტრუქციები

1. მიუთითეთ კედლის ორივე ბოლოში დაწებებულ ტრაფარეტებზე და განმარტეთ, რომ აპირებთ განცხადების ხმამაღლა წაკითხვას, რომელსაც მონაწილეები შეიძლება მეტ-ნაკლებად დაეთანხმონ, ან არ დაეთანხმონ.
2. ამოირჩიეთ ქვემოთ მოცემული გამონათქვამების სიიდან ერთ-ერთი და წაუკითხეთ ჯგუფს.
3. სთხოვეთ მონაწილეებს განლაგდნენ კედლის გასწვრივ ორ წარწერას შორის იმის მიხედვით, თუ რამდენად ეთანხმებიან ან არ ეთანხმებიან გამონათქვამს, რომლებიც უნდა დადგნენ კედლის რომელიმე მხარეს, წარწერის შესაბამისად, ხოლო დანარჩენები სადღაც შუაში, ამ ორ წერტილს შორის.
4. როდესაც მონაწილეები განლაგდებიან კედლის გასწვრივ, სთხოვეთ კედლის ბოლოებში მდგომ ორ მონაწილეს დასხდნენ ოთახის ცენტრში მდგომ სკამებზე. ამის შემდეგ ყველა უნდა შეგროვდეს სკამების გარშემო

Temebi



demokratia

moqalaqeoba

adamianis zogadi uflebebi

sirTule

done 1
done 2
done 3
done 4

monawileTa raodenoba



nebismieri

dro



45 wuTi

და განლაგდნენ იმ პიროვნების უკან, რომლის აზრსაც "ყველაზე მეტად" ეთანხმებიან, ან დადგნენ ცენტრში, თუ არა აქვთ მკაფიოდ ჩამოყალიბებული აზრი.

5. მიეცით სკამებზე მსხდომ ორ მონაწილეს თითო წუთი, რათა განმარტონ მიზეზები, თუ რატომ ეთანხმებიან ან არ ეთანხმებიან გამონათქვამს. არავინ არ უნდა შეაწყვეტინოს, ან დაეხმაროს მათ. ყველამ უნდა უსმინოს ჩუმად.
6. ერთი წუთის გასვლის შემდეგ, სთხოვეთ მათ, ვისაც არ ჰქონდა გადაწყვეტილი სად უნდა დამდგარიყვნენ, გადაინაცვლონ ან ერთი, ან მეორე სპიკერის უკან, რადგან არ შეიძლება, ვინმეს დარჩეს ჩამოუყალიბებელი აზრი. შედეგად უნდა შეიქმნას განცხადების "მომხრეთა" ერთი ჯგუფი და "მოწინააღმდეგეთა" ერთი ჯგუფი. მიეცით ერთმანეთისაგან დაშორებულ ორივე ჯგუფს 10 წუთი თავიანთი პოზიციების დამცავი არგუმენტების მოსაფიქრებლად და სპიკერის ასარჩევად, რომელიც წარმოადგენს ამ არგუმენტებს მსმენელის წინაშე.
7. 10 წუთის გასვლის შემდეგ მოიწვიეთ ჯგუფები და სთხოვეთ სპიკერებს დაიკავონ ოთახის ცენტრში მდგომი სკამები, ხოლო "მხარდამჭერები" განლაგდნენ მათ უკან.
8. მიეცით ორივე სპიკერს 3 წუთი თავიანთი არგუმენტების წარმოსადგენად. ამ დროის გასვლის შემდეგ მხარდამჭერებს შეუძლიათ შეიცვალონ აზრი და გადავიდნენ ოპოზიციური ჯგუფის მხარეს, თუ მათი არგუმენტები უფრო დამაჯერებელი იყო.
9. მიეცით ჯგუფებს დამატებითი 5 წუთი არგუმენტენებზე სამუშაოდ და მესამე სპიკერის ასარჩევად. ანალოგიურად, ამ დროის გასვლის შემდეგ მიეცთ მონაწილეებს საშუალება შეიცვალონ პოზიციები თუ ამის სურვილი აქვთ.
10. შეკრიბეთ ჯგუფი ანალიზისათვის.

ანალიზი და შეფასება

განიხილეთ, როგორ მიმდინარეობს და რა მიზანი აქვს დისკუსიას და რითი ფასდება პლურალისტული საზოგადოება. ეცადეთ არ დაუბრუნდეთ საკითხის გარშემო დისკუსიას.

- შეიცვალა ვინმემ აზრი დისკუსიის მიმდინარეობის დროს? თუ კი, რა არგუმენტებმა შეაცვლევინეს აზრი?
- ფიქრობენ მონაწილეები, რომ არგუმენტების გარდა მათზე გავლენა მოახდინა სხვა ფაქტორებმაც, მაგალითად, თანამონაწილეების ზეწოლამ, ემოციურმა გამოსვლამ ან მეტოქეობის გრძნობამ?
- ჰქონდა თუ არა რაიმე აზრი სავარჯიშოს მათთვის, ვინც არ შეიცვალა საკუთარი აზრი? შეუძლიათ წარმოიდგინონ რაიმე არგუმენტი, რომელსაც შეეძლო მათთვის აზრის შეცვლა?
- რატომ აქვთ ადამიანებს განსხვავებული აზრი? როგორ უნდა დარეგულირდეს ეს დემოკრატიული საზოგადოებაში?
- ნიშნავს დემოკრატია ყველა აზრის მიმართ შემწყნარებლობას?

რჩევები ხელმძღვანელებს

ღირშესანიშ
თარიღი
24 ოქტომბერი
გაერთიანებული
ორგანიზაციის დ

ამ სავარჯიშოს პირველი ნაწილი, როდესაც მონაწილეები განლაგდებიან კედლის გასწვრივ, არ უნდა გაგრძელდეს რამოდენიმე წუთზე მეტ ხანს. ამ ნაწილის მიზანია გაარკვიოს მონაწილეების "საწყისი პოზიციები" და მისცეს მათ პოზიციების შედარების საშუალება

სავარჯიშოს მიზანი, მოცემულ საკითხებზე მსჯელობასთან ერთად, არის კომუნიკაციის და არგუმენტაციის უნარჩვევების განვითარება და დახვეწა. ამდენად მონაწილეებს უნდა მოუწოდოთ იფიქრონ არა მარტო მათი აზრის შინაარსსა და წარდგენაზე, არამედ არგუმენტაციის ფორმასა და მანერაზეც, რომელიც ყველაზე მეტად დამაჯერებელი იქნება მეორე მხარისათვის. მათი მიზანია რაც შეიძლება მეტი ხალხი გადაიყვანონ თავიანთ "პარტიაში". უნდა გამოიყენონ "გამოსვლებს" შორის პაუზები, რათა გადახედონ ოპოზიციის პოზიციას და მოიფიქრონ მათი შესუსტების გზები.

შემოთავაზებული გამონათქვამების გარდა, შეიძლება დამატებით მოამზადოთ სხვა სადისკუსიო თემები, რასაც ასევე წარმატებულად გამოიყენებთ დისკუსიისათვის. მნიშვნელოვანია ისეთი განცხადების არჩევა, რომელიც ჯგუფში აზრთა სხვადასხვაობას გამოიწვევს.

შენიშვნა: ერთი გამონათქვამის შესახებ მსჯელობას დისკუსიის სხვადასხვა რაუნდებში დასჭირდება დაახლოებით 30 წუთი. თუ მეტი გამონათქვამის გამოყენება დაგჭირდებათ, შესაბამისად დროც მეტი უნდა გამოიყოს.

რეკომენდირებულია მოქნილად მიუდგეთ მეცადინეობათა ეტაპების თანმიმდევრობას იმის გათვალისწინებით, თუ რამდენად ძლიერი ან სუსტია ჯგუფი, რამდენად ცხარედ მიმდინარეობს დისკუსია. მაგალითად,

- არ შემოიფარგლოთ მხოლოდ სამი რაუნდით, რათა რაც შეიძლება მეტ მონაწილეს მიეცეს აზრის გამოთქმის შესაძლებლობა.
- თუ ეს სავარჯიშო ადრეც გაქვთ შესრულებული ამ ჯგუფთან – ან, თუ არ გაქვთ, შეგიძლიათ შემოიტანოთ მოულოდნელობის ელემენტები. მაგალითად, პირველ რაუნდში სპიკერად შეგიძლიათ აირჩიოთ ბოლოდან მესამე მონაწილე.
- რაუნდებს შორის ერთ-ერთი შესვენების დროს შეიძლება სთხოვოთ თითოეული სპიკერის "მხარდამჭერებს" იმუშაონ ოპონენტი სპიკერის ჯგუფთან – სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, მოამზადონ არგუმენტები იმ პოზიციის საწინააღმდეგოდ, რომელიც თავად მათ გააჩნიათ. ეს კარგი მეთოდია მონაწილეების მიერ საწინააღმდეგო აზრის გააზრებისათვის და შეიძლება გამოცოცხლებაც შეიტანოს სავარჯიშოს შესრულებისას, განსაკუთრებით მაშინ, თუ მონაწილეები არ იცვლიან პირვანდელ პოზიციებს.

შეიძლება ნება დართოთ სპიკერებს თან იქონიონ ბარათის ზომის ფურცლები მოკლე ჩანაწერების გასაკეთებლად, რათა გაიხსენონ სხვადასხვა არგუმენტები მსჯელობის დროს.

შეგიძლიათ წამოჭრათ საკითხი, იმის შესახებ, შეზღუდული უნდა იყოს, თუ არა "პლურალიზმი" ან აზრის გამოთქმის თავისუფლება შემწყნარებლურ საზოგადოებაში: მაგალითად, ფაშისტური ან ნაციონალისტური დემონსტრაციები უნდა იყოს ნებადართული?

წინადადებები გაგრძელებისათვის





თუ დაინტერესებული ხართ, რომ გააგრძელოთ მუშაობა აზრის ფო
და მისი შეცვლის თემაზე, განსაკუთრებით მედიის გავლენის შედეგად, შ
გადახედოთ სავარჯიშოს 235 გვერდზე "პირველი გვერდი".

იდეები ქმედებისათვის

თუ ჯგუფისათვის აირჩევთ გამონათქვამებს ხმის მიცემის
მომდევნო მეცადინეობებზე შეგიძლიათ ჩაატაროთ სავარჯიშო "მი
არა ხმა?" გვერდი 228.

gancxadebebi diskusiisaTvis

- არჩევნებში მონაწილეობა ჩვენი ზნეობრივი ვალია.
- უნდა დავემორჩილოთ ყველა კანონს, თუნდაც უსამართლოს.
- დემოკრატიულ საზოგადოებაში ძალაუფლება გააჩნიათ მხოლოდ პოლიტიკოსებს.
- "ხალხს ისეთი ლიდერი ყავს, როგორსაც იმსახურებს".
- მოქალაქეების ვალია გააკონტროლონ მთავრობის ყოველდღიური მოქმედება.

ambavi ori qalaqis Sesaxeb

გსმენიათ რაიმე ლეგოლანდიის შესახებ? ეს პატარა პლასტმასის აგურებისაგან აგებული ქალაქია დანიაში. ახლა კი შანსი გაქვთ ესტუმროთ ექვალენდიას და ეგოლენდიას!

თემები სოციალური უფლებები, მოქალაქეობა, ეკოლოგია

სირთულე დონე 3

მონაწილეთა რაოდენობა 4-10

ხანგრძლივობა 90 წუთი

მიმოხილვა სამაგიდო თამაში, სადაც მოთამაშეები ირჩევენ ქალაქს, რომელშიც ისინი ისურვებდნენ ცხოვრებას და მისი კომფორტულობით დატკბობას. განსახილველი საკითხები მოიცავს:

- სოლიდარობა საზოგადოებაში
- გადასახადების გადახდის შედეგები
- დემოკრატიის ფასეულობები ადგილებზე

შესაბამისი უფლებები

- სოციალური უზრუნველყოფის უფლება
- საკუთრების უფლება
- ჯანსაღი გარემო-პირობების უფლება

მიზნები

- საზოგადოების მიმართ პასუხისმგებლობის გრძნობის განვითარება
- საზოგადოებრივ ცხოვრებაში სოციალური დაცვის მნიშვნელობის გააზრება
- სოლიდარობისა და პასუხისმგებლობის გრძნობის დამკვიდრების ხელშეწყობა

მასალა

- სამაგიდო თამაშის ერთი ასლი (სათამაშო დაფა)
- A3 ზომის მუყაოს ან ქაღალდის ფურცელი
- 1 კამათელი
- თანაბარი რაოდენობის 2 ფერის ქაღალდის სამაგრი (მაგ. წითელი და ლურჯი). ყველა მოთამაშეს უნდა ქონდეს საკმარისი რაოდენობის სამაგრები
- ფურცლები და კალმები
- წამზომი
- პროექტორი და სლაიდი თამაშის წესებით (შეძლებისდაგვარად)

მომზადება

- წაიკითხეთ ინსტრუქციები, რათა გაეცნოთ სათამაშო დაფას, შესაცვლელ ბარათებსა და თამაშის წესებს
- გამოჭერით ბარათები 2 ფურცლიდან. ბარათები რომ არ აირიოს, ჩაალაგეთ ისინი ცალ-ცალკე კონვერტში და დააწერეთ A და B (ფურცლების დარჩენილი 2 ასლი გამოიყენეთ ცნობარისათვის "ქალაქის საბჭოს" სხდომებზე)
- სათამაშო დაფის ასლი დააწებეთ მუყაოზე ან მყარ ქაღალდზე, რათა დიდხანს გაგიძლოთ
- აირჩიეთ სამი მონაწილე ბანკირების როლების შესასრულებლად. ყოველ ქალაქს სჭირდება ერთი ბანკირი. საჭიროა აგრეთვე, თამაშის ბანკირი. დაურიგეთ ბანკირებს მათ წინაშე დასმული ამოცანების სია. სთხოვეთ ბანკირებს დაიმაგრონ ემბლემები, რათა თამაშის დროს შესაძლებელი იყოს მათი ამოცნობა.
- დანარჩენი მონაწილეები გაყავით 2 თანაბრად ჯგუფად. ერთს დაურიგეთ წითელი სამაგრები, ხოლო მეორეს - ლურჯი.
- სთხოვეთ თითოეულ მოთამაშეს გააკეთოს თავისთვის "ჩიპი": პატარა ფურცელზე დაწეროს სახელი, დაახვიოს მილისებურად და დაამაგროს მისთვის განკუთვნილი ფერის სამაგრით.
- დაბეჭდეთ ფული! გააკეთეთ 339 გვერდზე მოთავსებული ბანკნოტების ასლები და დაჭერით. თითოეული მოთამაშისათვის დაგჭირდებათ ფულის ერთი კომპლექტი.

ინსტრუქციები

1. განმარტეთ, რომ ეს სავარჯიშო მაგიდის თამაშია და აჩვენეთ მონაწილეებს სათამაშო დაფა. უჩვენეთ მარშრუტი ჯერ A ხოლო შემდეგ B ქალაქისაკენ. აღნიშნეთ ამ ორი ქალაქის გადაკვეთის ადგილი და კვადრატები, სადაც ხალხი იღებს ხელფასს, იხდის გადასახადებს, და საიდან შეიძლება სხვა ქალაქში "გადასახლება".
2. განმარტეთ თამაშის წესები (იხ. დასარიგებელი მასალა). დარწმუნდით, რომ ყველამ გაიგო წესები. გადაწყვიტეთ როდის უნდა დასრულდეს თამაში.
3. სთხოვეთ ბანკირებს დაიმაგრონ საიდენტიფიკაციო ემბლემები, რათა მოთამაშეებმა იცოდნენ, ვის გადაუხადონ გადასახადები.
4. დაიწყეთ თამაში! დასრულების შემდეგ გადადით ანალიზზე და შეფასებაზე.

ანალიზი და შეფასება

დაიწყეთ თამაშის პროცესის მიმოხილვით და შემდეგ განიხილეთ მონაწილეებთან ერთად, ვინ რა ისწავლა.

- მოეწონათ მონაწილეებს თამაში? კონკრეტულად რა მოეწონათ და რა არ მოეწონათ?
- ხომ არ მიიჩნიეს მოთამაშეებმა უსამართლობად, რომ თამაშის დასაწყისში, ზოგი მათგანი მეტ გადასახადებს იხდიდა სხვებთან შედარებით? რჩებიან თუ არა იგივე აზრზე თამაშის დასრულების შემდეგ?
- როგორ ჩაიარა ქალაქის საბჭოს სხდომებმა? გადაწყვეტილებების მიღების პროცესი დემოკრატიული იყო?
- რა აზრის არიან ის მონაწილეები, რომლებიც არ ეთანხმებოდნენ ქალაქის საბჭოს მიერ მიღებულ გადაწყვეტილებებს?
- ვინ გადასახლდა ერთი ქალაქიდან მეორეში? რატომ?
- ქალაქის საბჭოს სხდომებზე ვინმემ გაიღო ფული საკუთარი ჯიბიდან საზოგადოების სოციალური კეთილდღეობის გაუმჯობესების მიზნით? რატომ მოიქცნენ ასე?
- თამაშის დასაწყისში სოციალური პირობები A და B ქალაქებში ერთნაირი იყო? როგორ განვითარდა მოვლენები შემდეგ? შეიმჩნეოდა რაიმე განსხვავება? კონკრეტულად რა?
- რომელ ქალაქში ამჯობინებთ ცხოვრებას? რატომ?
- ღირს უფრო მაღალი გადასახადების გადახდა იმისათვის, რომ გაუმჯობესდეს საზოგადოებრივი ცხოვრების დონე? იქნებ გირჩევნიათ შეაგროვოთ მთელი ხელფასი და იყიდოთ თქვენთვის საჭირო და სასურველი ნივთები?
- რა მდგომარეობა იყო თამაშის ბოლოს ორ ქალაქში? აღმოჩნდნენ ისინი საბოლოოდ თანასწორობის სამყაროში ანუ ექვალანდიაში თუ სამყაროში, სადაც ხალხი ეგოისტი და ინდივიდუალისტია, ანუ ეგოლანდიაში?
- როგორ შეაფასებდით თქვენ საზოგადოებას 10 ბალიანი სისტემით, სადაც 1 უკიდურესი ეგოლანდია ხოლო 10 უკიდურესი ექვალანდი?

რჩევები ხელმძღვანელებს

თამაში საკმაოდ ადვილია, ვინც მაგიდის თამაშებსაა შეჩვეული, მაგრამ მაინც იზრუნეთ წესების დეტალურ განმარტებაზე და აუხსენით ჯგუფს, როგორ უნდა ითამაშონ.

თამაში საუკეთესოდ მიმდინარეობს მაქსიმუმ 10 წევრიან ჯგუფში, რომლებიც მოქალაქეების როლს ასრულებენ. თამაშის დასაწყისში თითოეულ ქალაქში უნდა იყოს მოქალაქეების თანაბარი რაოდენობა. თუ გყავთ მაგალითად 16 მონაწილე შეგიძლიათ დანიშნოთ 2 –2 ბანკირი. თუ ჯგუფი უფრო დიდია, უკეთესი იქნება ორი თამაშის ჩატარება. ასეთ შემთხვევაში არ დაგავიწყდეთ მასალების ორ ასლად დამზადება. აუცილებლად გყავდეთ თანახელმძღვანელი, რომელიც წარმართავს მეორე თამაშს!

ერთი რჩევაც: ვიდრე თამაშს ჯგუფთან ჩაატარებთ, ითამაშეთ ის მეგობრებთან და მეზობლებთან ერთად. ამის შემდეგ უფრო გაგიადვილდებათ ინსტრუქციების მიცემა და თამაშის შეუფერხებლად წარმართვა.

შენიშვნა: მოთამაშეებს, რომლებიც პასუხს აგებენ გადასახადების აკრებაზე და განაგებენ ქალაქის ფონდებს თამაშში ეწოდებათ "ბანკირები". რეალურად ბანკირი არ ასრულებს ამ ფუნქციებს. ეს ტერმინი შემოტანილია იმიტომ, რომ ის გამოყენებულია ბევრ სამაგიდო თამაშში. თუ ფიქრობთ, რომ "ბანკირი" არ არის

შესაფერისი სახელი, სანაცვლოდ შეარჩიეთ რაიმე სხვა, მაგალითად, "ფინანსური ადმინისტრატორი".

წინადადებები გაგრძელებისათვის

რატომა არ უნდა შესთავაზოთ მონაწილეებს განავითარონ თავიანთი იდეები და მოიფიქრონ, როგორი შეიძლება იყოს მათი მომავლის ექვალანდია? იხილეთ სავარჯიშო "ჩვენი მომავალი", გვერდი 315.

თამაშის წესები

მოთამაშეების რაოდენობა: 7-დან 13-მდე. სამი ადამიანი ასრულებს ბანკირის როლს. თამაშის დასაწყისში თითოეულ ქალაქში უნდა იყოს მოთამაშეების თანაბარი რაოდენობა.

თამაშის მიზნები: გამარჯვებულია ის მოთამაშე რომელსაც თამაშის ბოლოს ყველაზე მეტი ფული აქვს.

როგორ ვითამაშოთ

1. მიეცით სამ მონაწილეს ბანკირის როლი: ერთი A ქალაქის ბანკირი, მეორე B ქალაქის და მესამე თამაშის ბანკირი.
2. მოთამაშეების ნახვარს აქვს წითელი "ჩიპები", მეორე ნახევარს - ლურჯი.
3. დასაწყისში მოთამაშეები გაყოფილნი არიან ორ თანაბარ ჯგუფად. ყოველ ჯგუფს ყავს თანაბარი რაოდენობით "წითელი" და "ლურჯი" მოთამაშეები. ერთი ჯგუფი იმოგზაურებს A ქალაქში, მეორე კი B ქალაქში.
4. ყველა მოთამაშე იწყებს კვადრატიდან "სტარტი და ხელფასი"
5. თამაშის განმავლობაში მონაწილეს შეუძლია შეიცვალოს ქალაქი მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ის გაჩერდება კვადრატში "შეცვლის შანსი".
6. ყველა მოთამაშე იწყებს მისი ფერისათვის შესაბამისი ხელფასით:
   - ლურჯი მოთამაშეები: 500 ერთეული.
   - წითელი მოთამაშეები: 100 ერთეული.
7. ააგდეთ კამათელი, რათა გადაწყვიტოთ, ვინ დაიწყებს თამაშს. თამაშს იწყებს ის, ვისაც ყველაზე მაღალი ქულა აქვს. შემდეგ ყოველი მოთამაშე რიგრიგობით ისვრის კამათელს წრეში საათის ისრის საწინააღმდეგო მიმართულებით.
8. თითოეული მოთამაშე ჯერის მიხედვით აგდებს კამათელს და წინ მიიწევს თავისი ქალაქის მარშრუტით, კამათელზე გამოსახული ციფრის შესაბამისი კვადრატების რაოდენობით. ბოლო კვადრატზე მოთამაშე დებს "ჩიპს", ხმამაღლა კითხულობს ინსტრუქციებს და მოქმედებს მის შესაბამისად.
9. შენიშვნა: მოთამაშე, რომელიც ინსტრუქციების შესაბამისად უნდა დაბრუნდეს უკან, ჩერდება როდესაც მიაღწევს დანიშნულების კვადრატს, მაგრამ უკვე აღარ ასრულებს ამ კვადრატის ინსტრუქციებს.
10. თუ მოთამაშემ უნდა გადაიხადოს, მაგრამ არა აქვს საკმარისი ფული, ის რჩება კვადრატზე და ხდება "მათხოვარი".
11. ერთიდაიგივე კვადრატი ერთდროულად შიძლება დაიკავოს ორმა ან მეტმა მოთამაშემ.

განსაკუთრებული კვადრატები

გადასახადების გადახდა

ყოველთვის, როდესაც მოთამაშე გაივლის "გადასახადების" კვადრატს, ის ვალდებულია გადაიხადოს გადასახადები. (მოთამაშეები იხდიან გადასახადებს ამ კვადრატის გადაკვეთისას მაშინაც კი, თუ ისინი იქ არ ჩერდებიან). გადასახადის რაოდენობა დამოკიდებულია მოთამაშის ხელფასზე და მის ქალაქზე.

ქალაქი A 40 % თუ ხელფასი არის 500 ან მეტი
10 % თუ ხელფასი არის 100 ან ნაკლები

ქალაქი B 10 % ხელფასის მიუხედავად

შენიშვნა:

უმუშევარი პიროვნება, რომელიც არ ღებულობს უმუშვრობის დახმარებას, არ იხდის გადასახადებს.

უმუშევარი, რომელიც იღებს დახმარებას, იხდის მის 10% მიუხედავად იმისა, თუ რომელ ქალაქს მიეკუთვნება.

გადასახადების გადახდა ხდება შესაბამისი ქალაქის ბანკირისათვის. (ექვალანდიის მოთამაშეები უხდიან ამ ქალაქის ბანკირს, ხოლო ეგოლანდიის მოთამაშეები ეგოლანდიის ბანკირს).

ხელფასი

ყოველთვის, როდესაც მოთამაშე გაივლის კვადრატს "სტარტი და ხელფასი" (არ არის აუცილებელი კვადრატზე გაჩერება, საკმარისია მხოლოდ მისი გავლა), ის იღებს შესაბამის ხელფასს თამაშის ბანკირისაგან.

თუ მოთამაშე უმუშევარია და, თუ ქალაქს აქვს სოციალური დაზღვევის სისტემა, ის თამაშის ბანკირისაგან ღებულობს უმუშევრობის დახმარებას.

ცვლილების შანსი

ნებისმიერი მოთამაშე, რომელიც შეჩერდება კვადრატზე "ცვლილების შანსი", უნდა დაფიქრდეს შეიცვალოს თუ არა ქალაქი (ექვალნდიიდან ეგოლანდიაში გადასვლა ან პირიქით). ერთი ქალაქიდან მეორეში გადასასვლელად საკმარისია მოთამაშემ გამოუცხადოს თავისი გადაწყვეტილება დანარჩენ მონაწილეებს და ბანკირებს. შემდეგ სვლაზე ისინი უხვევენ გზიდან და გაემართებიან ახალი ქალაქისაკენ.

მოთამაშე, რომელიც იცვლის ქალაქს, ინარჩუნებს წინა ქალაქში დანიშნულ ხელფასს, მაგრამ გადასახადებს იხდის ახალი ქალაქის საგადასახადო სისტემის შესაბამისად.

ქალაქის საბჭოს სხდომები

ყველა მოთამაშე ესწრება ქალაქის საბჭოს შეკრებებს. სხდომა შესაძლებლობას იძლევა შეიცვალოს ქალაქის პოლიტიკის კურსი, (თუ ამის აუცილებლობა არსებობს).

შეხვედრა შეიძლება შედგეს გადასახადების ყოველ მე-5 გადახდაზე. ქალაქის ბანკირები აწარმოებენ აღრიცხვას, რამდენმა ადამიანმა გაიარა გადასახადების გადახდის კვადრატი მათ ქალაქში. როცა ყოველი მე-5 გადამხდელი გაივლის კვადრატს, ბანკირი იწვევს სხდომას.

კრების ჩატარების საკითხს წყვეტენ ქალაქის მოთამაშეები.

ქალაქის საბჭოს სხდომის დროს თამაში წყდება და თამაშის გასაგრძელებლად მეორე ქალაქის მოთამაშეებიც ელოდებიან შეხვდრის დასრულებას.

მოთამაშეებს 5 წუთი აქვთ ქალაქის საჭიროებების განსაზღვრისათვის და პოლიტიკაში ცვლილებების შეტანისათვის. ცვლილებების ვარიანტები აღნიშნულია შესაცვლელ ბარათებზე და მოქალაქეებს შეუძლიათ დაეყრდნონ შესაცვლელი ბარათების ფურცლის ასლს "დღის წესრიგის" საკითხების გასაცნობად (ანუ გაეცნონ ვარიანტებს, რომელიც მათ შეუძლიათ აირჩიონ).

ქალაქის პოლიტიკაში ცვლილებების შესატანად მოთამაშეებმა უნდა შეიძინონ შესაცვლელი ბარათი ქალაქის გადასახადებიდან შემოსული თანხით. ფასი მითითებულია თითოეულ ბარათზე. ქალაქის საბჭოს შეუძლია მხოლოდ ისეთი გადაწყვეტილების მიღება, რომელზეც ხელი მიუწვდება. ქალაქის ბანკირი უხდის კუთვნილ თანხას თამაშის ბანკირს. ბარათების შეძენა შეზღუდულია მხოლოდ ქალაქის ფინანსური შესაძლებლობებით.

ფინანსური სიძნელეებისას ქალაქის საბჭოს შეუძლია უკანვე მიყიდოს ერთი ან რამდენიმე შესაცველელი ბარათი თამაშის ბანკირს. "ხელახალი შესყიდვის" ფასი საწყისი ღირებულების 50%-ით განისაზღვრება.

მდიდარ მოქალაქეებს შეუძლიათ შეიტანონ ფული ქალაქის ფონდში, რათა შესაძლებელი გახდეს შესაცვლელი ბარათების ყიდვა.

ბანკირი აწებებს ბარათებს სათამაშო დაფის შესაბამის კვადრატებში.

შესაცვლელი ბარათები

ქალაქის პოლიტიკის საკითხები, რომელიც ქალაქის საბჭოს შეუძლია მიიღოს საბჭოს სხდომებზე, განაწილებულია სულ 17 შესაცვლელ ბარათზე. შესაცვლელი ბარათების შეძენა ხდება ქალაქის ბანკირთან ბარათზე დაბეჭდილი ფასის მიხედვით. ბარათის შეძენის შემდეგ, ქალაქის ბანკირი აწებებს ბარათს (ბარათებს) დაფის იმ კვადრატზე, რომელზეც მოქალაქეები შეთანხმდნენ.

ნებისმიერი კვადრატი შეიძლება "შეიცვალოს". კურსის შეცვლის დროს თუ შესაბამის კვადრატზე მოთამაშეა გაჩერებული, იგი მოქმედებს წინა ინსტრუქციებით. ახალი წესები ძალაში შედის მხოლოდ მომდევნო მოთამაშისათვის, რომელიც შეჩერდება ამ კვადრატში.

ქალაქის საბჭოს სხდომაზე მოქალაქეებს/მოთამაშეებს, ქალაქის პოლიტიკის განსაზღვრისას, შეუძლიათ შეიძინონ ერთი ან რამდენიმე ბარათი. თითოეული ბარათის საფასური უნდა ანაზღაურდეს.

ღატაკი

მოთამაშე, რომელსაც არა აქვს გადასახადების ან სხვა ხარჯების დაფარვისათვის საჭირო თანხა, რჩება კვადრატში, რომელზეც ეს-ესაა შეჩერდა და ხდება "ღატაკი". თუ ქალაქში არსებობს უსახლკაროთა თავშესაფარი, ღატაკმა, თუ სურვილი აქვს, კვადრატის ნაცვლად შეუძლია თავშესაფარში გაათიოს ღამე, მაგრამ ეს არ ათავისუფლებს მას გადასახადებისა და ვალებისაგან.

ღატაკს შეუძლია თხოვოს ფული ნებისმიერ მოთამაშეს, რომელიც მის კვადრატში მოხვდება. თითოეული მოთამაშე თავად წყვეტს მისცემს თუ არა ფულს ღატაკს. ვალების დასაფარად საკმარისი თანხის შეგროვების შემდეგ, „ღატაკი" დაელოდება თავის ჯერს, გაისტუმრებს გადასახადებს, ააგდებს კამათელს და მიიწევეს წინ. „ღატაკი" აგდებს კამათელს ერთი ჯერის გამოტოვებით. მას აქვს შანსი:

თუ მოუვიდა 6	სანაგვე ყუთში იპოვოს 50 ერთეული
თუ მოუვიდა 5	შეაგროვოს 20 ცარიელი ლუდის ბოთლი, ჩააბაროს მინის ტარის მიმღებ პუნქტში – თუ ასეთი პუნქტი არსებობს ქალაქში! და მიიღოს 50 ერთეული.
თუ მოუვიდა 4	მიიღოს 10 ერთეული პირველივე გამვლელისაგან, რომელიც გადაკვეთს მის კვადრატს.
თუ მოუვიდა 3	დათვრეს და გამოტოვოს თავისი შემდეგი რიგი.
თუ მოუვიდა 2	გაეღვიძოს პარკში და სკამის ქვეშ იპოვოს 10 ერთეული. თუ ქალაქმა მოახერხა ბაღის კეთილმოწყობა, პოულობს 20 ერთეულს.
თუ მოუვიდა 1	გახდეს ძარცვის მსხვერპლი. მოუწევს მომდევნო შემოწირულობის ქალაქის ბანკირისათვის გადაცემა.

ღატაკს მოგებას უხდის იმ ქალაქის ბანკირი, რომელშიც ღატაკი ცხოვრობს.

როდის მთავრდება თამაში?

მოთამაშეები თამაშის დაწყებამდე განსაზღვრავენ როდის უნდა დასრულდეს თამაში. მათ შეუძლიათ აირჩიონ ერთ-ერთი ვარიანტი:

- მას შემდეგ, რაც პირველი მოთამაშე დაასრულებს 20 წრეს.
- შეთანხმებული დროის ამოწურვის შემდეგ, მაგალითად 45 სათამაშო წუთი.

შენიშვნა: თამაში ავტომატურად დასრულდება, თუ რომელიმე ქალაქი გაკოტრდება.

გამარჯვებულია ის მოთამაშე, რომელსაც თამაშის დამთავრების შემდეგ ყველაზე მეტი ფული აღმოაჩნდება.

დამატებითი ინფორმაცია

evropis socialuri uzrunvelyofis kodeqsi

ევროპის საბჭოს სოციალური უზრუნველყოფის ევროპული კოდექსი ძალაში შევიდა 1968 წელს, ხოლო 2001 წლის ივლისში მისი რატიფიცირება მოხდა 18 წევრი სახელმწიფოს მიერ. კოდექსი უზრუნველყოფს სოციალური დაცვის ფართო სპექტრს შემდეგი გარანტიების ჩათვლით:

- სამედიცინო მომსახურება ზოგადი თერაპიული, სპეციალიზირებული და სასწრაფო დახმარების ჩათვლით;
- უმუშევრობის დახმარება;
- მოხუცებულობის დახმარება;
- ინვალიდობის დახმარება.

ebeli masala

ვლელი ბარათები

პარკის კეთილმოწყობა, საცურაო აუზისა და ბავშვების სათამაშო მოედნის აგება ღირებულება: 200 ერთ.	პარკის დასუფთავება ღირებულება: 100 ერთ.	გზები შეკეთებულია სრულად. გადაინაცვლეთ სამი კვადრატით წინ. ღირებულება: 400 ერთ.	გზებს არა უშავს, ორმოები ამოვსებულია. მხოლოდ ქალაქის საბჭოს შემდეგ სხდომამდე გაძლებს. ღირებულება 200 ერთ.	თქვენ გათავისუფლებული ხართ სამსახურიდან! უმუშევრობის ფონდი გადაგიხდით ხელფასის 30%-ს. ამ შემთხვევაში ქალაქს უნდა ქონდეს 1 000 ერთ. სარეზერვო ფონდი
სკოლების გაფიცვა დამთავრდა. ითამაშეთ თავიდან! გაზრდილი ხელფასების ხარჯი: 400 ერთ.	გაიხსნა ახალი კინო და თეატრი. ღირებულება: 400 ერთ.	მამათქვენი პენსიაზე გავიდა და ღებულობს პენსიას. საპენსიო სისტემის სქემის შექმნის ღირებულება იქნება 400 ერთ.	თქვენ გსურთ წიგნების კითხვა და ახლა უკვე ბიბლიოთეკაც არსებობს! გადააგდეთ კამათელი კიდევ ერთხელ. ბიბლიოთეკის ღირებულება: 200 ერთ.	არავითარი ქუჩის ბავშვები ამიერიდან! უპატრონო ბავშვთა სახლი აგებულია. ღირებულება: 200 ერთ.
თქვენ ავად გახდით. სახელმწიფო საავადმყოფო მთლიანად სუბსიდირებულია. გადაიხადეთ მხოლოდ 10 ერთ. საავადმყოფოს ღირებულება: 600 ერთ.	თქვენ ავად გახდით. სახელმწიფო საავადმყოფო არ არის სუბსიდირებული გადაიხადეთ 30 ერთ. საავადმყოფოს სუბსიდიების ღირებულება: 400 ერთ.	პლაჟზე შესვლა უფასოა! მხოლოდ ისიამოვნეთ. სუბსიდიის ღირებულება: 100 ერთ.	ტრანსპორტის პრობლემები გამარტივებულია ველოსიპედის ტრასის წყალობით. ღირებულება: 150 ერთ.	ნაგვის გადამამუშავებელი სისტემა აადვილებს ნაგვის გატანას გადაინაცვლეთ სამი კვადრატით წინ. ნაგვის გადამამუშავებელი სისტემის ღირებულება: 150 ერთ.
თქვენ იურიდიული პრობლემები გაქვთ. მიაკითხეთ უფასო იურიდიული დახმარების სამსახურს გადაინაცვლეთ 2 კვადრატით წინ. ღირებულება: 200 ერთ.	არავითარი უსახლკარო ხალხი ქალაქში! ახალი თავშესაფარი გახსნილია. თავშესაფრის ღირებულება: 200 ერთ.			

dasarigebeli masala

ქალაქის ბანკირის ამოცანათა სია

სახელმძღვანელო ადამიანის უფლებათა განათლების სფეროში ახალგაზრდების მონაწილეობით . ევროპის საბჭო

თავდაპირველად არც ერთ ქალაქს არა აქვს ფული. შემოსავლები უნდა შეგროვდეს მოთამაშ
შესაბამისი კვადრატების გადაკეთისას გადახდილი გადასახადების შედეგად.

1. ქალაქის ბანკირები თავის უწყისებში აწარმოებენ აღრიცხვას რამდენმა მოთამაშე
“გადასახადების” კვადრატი და ყოველი მეხუთე გადამხდელის გავლის შემდეგ იწვევენ
კრებას.
2. ქალაქის ბანკირები კრებენ გადასახადებს ქალაქის ყოველი მოთამაშისაგან, როდესა

ebeli masala

ის ბანკირის ბარათი-როლი

სახელმძღვანელო ადამიანის უფლებათა განათლების სფეროში ახალგაზრდების მონაწილეობით . ევროპის საბჭო

ის დასწყისში მთელი ფული აქვს თამაშის ბანკირს. მან უნდა:

ეზრუნველყოს თამაშის შეუფერხებლად წარმართვა

- დაიწყოს თამაში
- უზრუნველყოს წესების დაცვა
- დანიშნოს თარიღი ქალაქის საბჭოს სხდომებისთვის. ისინი უნდა გარძელდეს მაქსიმუმ 5 წუთი და
- დაასრულოს თამაში, როდესაც შეთანხმებული დრო ამოიწურება ან პირველი მოთამაშე შესარულებს

სახელმძღვანელო ადამიანის უფლებათა განათლების სფეროში ახალგაზრდების მონაწილეობით . ევროპის საბჭო

aSikis istoria

ბავშვების იძულებითი შრომა შემოსავლის წყაროს ოჯახებისა და თემისათვის. აკრძალეთ ეს და ყველაზე მეტად ბავშვები დაზარალდებიან. ნამდვილად ასეა?

bavSvebi

socialuri uflebebi

dlobalizacia




5 da meti


90 wuTi

თემები	ბავშვები, სოციალური უფლებები, გლობალიზაცია
სირთულე	დონე 3
მონაწილეთა რაოდენობა	5 და მეტი
ხანგრძლივობა	90 წუთი
მიმოხილვა	მცირე ჯგუფებში ტარდება დისკუსია ქვემოთ ჩამოთვლილი საკითხების შესწავლის მიზნით: ▪ ბავშვთა შრომის რეალობა ▪ ბავშვების სამუშაო ძალად გამოყენების მიზეზები და მისი აღმოფხვრის გზები
შესაბამისი უფლებები	▪ შრომისა და ექსპლუატაციის საზიანო ფორმებისაგან დაცვის უფლება ▪ განათლების უფლება ▪ თამაშისა და დასვენების უფლება
მიზნები	▪ ინფორმირებულობის ამაღლება ბავშვთა შრომის პრობლემის შესახებ ▪ პრობლემის სირთულის მიმართ კრიტიკული აზროვნების განვითარება ▪ სამართლიანობისა და პასუხისმგებლობის გრძნობის განვითარება პრობლემის გადასაჭრელი გზების ძიების პროცესში
მასალა	▪ „აშიკის ცხოვრების ფაქტების“ ასლი; თითოეულ მოთამაშეს ერთი ასლი ▪ კალმისტრები და მარკერები ▪ A3 ზომის ქაღალდის ფურცლები ან დაფის ფურცლები
მომზადება	▪ დაამზადეთ ცხრილის “იდეები გადაწყვეტილების საპოვნელად” ასლები A3 ზომის ფურცლებზე ან დაფის ფურცლებზე. გააკეთეთ ერთი ასლი მცირე ჯგუფისათვის და ერთი პლენარული სხდომისათვის ▪ შეისწავლეთ ქვემოთ მითითებული ინფორმაცია ჯგუფისთვის სავარჯიშოს გაცნობის მიზნით.

ინსტრუქციები

1. განუმარტეთ მონაწილეებს, რომ სავარჯიშო რეალურ ისტორიას ასახავს, კერძოდ, პაკისტანელი ბიჭის, აშიკის მუშაობის ამბავს. თამაშის მიზანია - აშიკის მდგომარეობის შეცვლისათვის შესაძლო გზების პოვნა.
2. “მოთელვისათვის” შეასრულეთ “მოგონილი ამბის თხრობის” ერთი რაუნდი. მოიკრიბეთ ფანტაზია და მოიფიქრეთ/მოყევით ერთი დღის

ისტორია აშიკის ცხოვრებიდან. მიმართეთ წრეში მსხდომ თითოეულ მოთამაშეს დაამატოს ერთი წინადადება.

3. დაყავით მოთამაშეები მცირე ჯგუფებად, თითოეულში მაქსიმუმ 5 მონაწილით. დაურიგეთ ყველას აშიკის ცხოვრების ფაქტების ფურცლის ასლი. გამოყავით 5 წუთი კითხვისა და კომენტარებისათვის.
4. მიეცით თითოეულ ჯგუფს "იდეები გადაწყვეტილებისათვის" ტექსტის ასლი. განმარტეთ, რომ მათი ამოცანაა მოიფიქრონ აშიკის და სხვა დაქირავებული ბავშვების პრობლემების გადაჭრის გზები. შესაბამის სვეტებში უნდა ჩამოწერონ შესაძლო ღონისძიებები, რომელთა განხორციელება გადაწყვეტდა პრობლემას "ერთ დღეში", "ერთ თვეში", და "მომავალში". მოთამაშეებს 30 წუთი აქვთ ამ ამოცანის შესრულებისათვის და მომხსებლის დასახელებისათვის.
5. პლენარულ სხდომაზე, სთხოვეთ თითოეულ მონაწილეს გამოთქვას აზრი ყოველი სვეტის შესახებ. შეაჯამეთ იდეები დაფაზე. სურვილის შემთხვევაში მიეცით იდეების განხილვის საშუალება, მაგრამ გახსოვდეთ დროის შეზღუდვა.
6. ცხრილის შევსების შემდეგ, ჩაატარეთ საერთო ანალიზი და შეაჯამეთ შედეგები.

ანალიზი და შეფასება

დისკუსიის დიაპაზონი დამოკიდებულია მონაწილეთა ერუდიციაზე, მაგრამ ეცადეთ გაარკვიოთ, როგორც მათი შეხედულებები ბავშვთა შრომის შესახებ, ასევე მათი იდეები აღნიშნული პრობლემის გადასაწყვეტად.

- რა ინფორმაცია ჰქონდათ მონაწილეებს ბავშვთა შრომის შესახებ, ამ სავარჯიშოს შესრულებამდე? როგორ შეიტყვეს ამის შესახებ? ინფორმაციის რომელი წყაროებიდან?
- არსებობს ბავსტა შრომის შემთხვევები მათ ქვეყანაში/ქალაქში? რა სამუშაოს ასრულებენ ბავშვები და რატომ მუშაობენ ისინი?
- უნდა იმუშაონ, თუ არა ბავშვებმა? უნდა ჰქონდეთ არჩევანის უფლება იმუშაონ, თუ არა?
- „ბავშვთა შრომა ქმნის შემოსავლის წყაროს ოჯახებისა და საზოგადოებისათვის. აკრძალეთ ეს და ყველაზე მეტად ბავშვები დაზარალდებიან." როგორია თქვენი დამოკიდებულება ამ გამონათქვამის მიმართ?
- რა სარგებლობა მოაქვს ჩვენთვის, როგორც მომხმარებლისათვის, ბავშვთა შრომას?
- გაგიჭირდათ ბავშვთა შრომის პრობლემის გადასაჭრელი შესაძლო ღონისძიებების მოფიქრება? სამი სვეტიდან ("ერთ დღეში", "ერთ თვეში", და "მომავალში"), რომელი იყო უფრო რთული შესავსები? რატომ?
- ბავშვთა შრომის პრობლემას მიძღვნა უამრავი დეკლარაცია და კონფრენცია, როგორც ცალკეულ ქვეყნებში, ასევე საერთაშორისო დონეზე. რატომ რჩება ის კვლავ ასეთ ფართომასშტაბიან პრობლემად მთელ მსოფლიოში?

- ვის უნდა დაევალოს პრობლემის გადაჭრა? (აიღეთ განსხვავებული ფერის მარკერი და შეიტანეთ პასუხი ცხრილში).
- შეგვიძლია რიგით მოქალაქეებს, ამ პრობლემის გადაწყვეტაში დახმარება? როგორ და როდის?

რჩევები ხელმძღვანელებს

ღირშესანიშნავი თარიღი

2 დეკემბერი
მონობის გაუქმებისათვის ბრძოლის საერთაშორისო დღე

თუ მონაწილეებს მწირი ინფორმაცია აქვთ ბავშვთა შრომის შესახებ, გააცანით მათ სავარჯიშო ბავშვთა შრომის ფაქტებისა და შედეგების შესახებ. ინტერესის გაძლიერების მიზნით, ქვემოთ წარმოდგენილი სტატისტიკური მონაცემები შეთავაზეთ მოკლე ვიქტორინის ფორმით.

ჯგუფს შეიძლება გაუჭირდეს პირველი ორი სვეტისათვის იდეების მოფიქრება (“ერთ დღეში” და “ერთ თვეში”), რამაც შეიძლება წარმოშვას უმწეობისა და იმედგაცრუების გრძნობა. შეგიძლიათ მათი გამხნევება შემდეგი განცხადების წაკითხვით:

“*ამოცანა რთულია, მაგრამ არა იმდენად, რომ გადაულახავი და დაუძლეველი აღმოჩნდეს. ბავშვთა შრომის პრობლემას განვითარებული ქვეყნებიც ვერ ასცდნენ. ეს ადასტურებს, რომ პრობლემის გამომწვევი მიზეზი რესურსების დეფიციტი კი არა, რეალური ძალისხმევის ნაკლებობა. ასე გაგრძელება დაუშვებელია.*

უზენაესი სასამართლოს გადაწყვეტილებიდან მ.ს. მეხტა ტამილნადუს შტატის და სხვათა წინააღმდეგ საქმესთან დაკავშირებით, ინდოეთი, 1986.

ჩვეულებისამებრ, მონაწილეები აცნობიერებენ, რომ ეფექტური და პერსპექტიული გადაწყვეტილებების მისაღებად, პირველ რიგში, საჭიროა მიზეზების გარკვევა. მიზეზების გაანალიზების შემდეგ, გადაწყვეტილებები ხშირად თვალნათლივ იკვეთება. თუმცა, შეიძლება, ამის მითითება მოგიწიოთ ზოგიერთ ჯგუფებთან, განსაკუთრებით, თუ ისინი სირთულეებს აწყდებიან გადაწყვეტილებების ძიებისას.

შეიძლება პროვოცირება გაუკეთოთ იდეებს შემდეგი წინადადებების შეთავაზებით:

- სიღარიბის დაძლევა, რათა ბავშვებს არ მოუხდეთ მუშაობა.
- უფროსების ხელფასების გაზრდა, რათა ნაკლები საჭიროება იყოს ბავშვების სამუშაო ძალად გამოყენებისათვის.
- განათლების განვითარება, რათა იგი უფრო მიმზიდველი და აქტუალური გახდეს ბავშვებისათვის.
- ბავშვთა შრომის საერთაშორისო სტანდარტების ჩამოყალიბება.
- ბავშვთა შრომის შედეგად შექმნილი პროდუქციის აკრძალვა.
- საერთაშორისო დონეზე შემუშავდეს შრომის მინიმალური სტანდარტები, როგორც მსოფლიო სავაჭრო ორგანიზაციაში წევრობის პირობა.

გამოიყენეთ ნებისმიერი მიმდინარე ლოკალური ან გლობალური სიახლე /ინფორმაცია ბავშვთა შრომის გამოყენების შესახებ, რათა სავარჯიშო იყოს აქტუალური და საინტერესო.

ვარიანტები

თუ გსურთ მონაწილეების ცოდნის გაღრმავება ბავშვთა შრომის გამოყენების კონცეფციასთან დაკავშირებით, შეგიძლიათ სავარჯიშოს დაწყებამდე ჩაატაროთ ვიქტორინა. ვიქტორინის ნახვა შეგიძლიათ შრომის საერთაშორისო ორგანიზაციის

(http://us.ilo.org/ilokidsnew/whatis.html) და iunisefis ვებგვერდებზე (www.unicef.org/aclabour/quiz.htm)

წინადადებები გაგრძელებისათვის

მოიპოვეთ დამატებითი ინფორმაცია ბავშვთა შრომისგამოყენების წინააღმდეგ მიმართული ახალგაზრდული კამპანიის შესახებ, მაგალითად, "ბავშვებს შეუძლიათ გაათავისუფლონ ბავშვები" - ბავშვთა უფლებების ფონდი, რომელიც დააარსა 12 წლის კანადელმა ბიჭმა www.icomm.ca/freechild/

დამატებითი ინფორმაცია

მეხუთე თავში, ბავშვებისა და მათი სოციალური უფლებების საინფორმაციო განყოფილებაში, მოყვანილია სტატისტიკა ბავშვთა შრომის, საერთაშორისო სამართლის, ბავშვთა შრომის ექსპლუატაციის შედეგად წარმოებული პროდუქციის, ბავშვების სამუშაო ძალად გამოყენებისა და ბავშვზე მისი გავლენის შესახებ.

ბავშვთა შრომის პრობლემის მაშტაბურობაზე მიუთითებს ამ საკითხზე არსებული უზარმაზარი ინფორმაცია. ამ თვალსაზრისით საინტერესო ინტერნეტ გვერდებს მიეკუთვნება შრომის საერთაშორისო ორგანიზაცია (hwww.ilo.org), iunisefi (www.unicef.org) და ორგანიზაცია "გადაარჩინეთ ბავშვები" (www.savethechildren.org.uk).

dasrigebeli masala

faqtebi aSikis cxovrebidan

იდეები გადაწყვეტილების საპოვნელად

რა უნდა მოვიმოქმედოთ, რომ დავეხმაროთ აშიკს და სხვა ბავშვებს?

ერთი დღის შემდეგ?	ერთი კვირის შემდეგ?	მომავალში?

bavSvTa uflebebi

ბავშვი სითამამის გარეშე გავს უვარსკვლავო ცას

თემები ბავშვები, ადამიანის ზოგადი უფლებები, განათლება

სირთულე დონე 2

მონაწილეთა რაოდენობა ნებისმიერი

ხანგრძლივობა 60 წუთი

მიმოხილვა ბავშვთა უფლებების კონვენციის განხილვის სტიმულირების მიზნით სავარჯიშო იყენებს ბარათების მრავალწახნაგოვანი (ბრილიანტის) დახარისხების მეთოდს. დისკუსია შეეხება შემდეგ საკითხებს:

- ადამიანის ძირითადი უფლებები და კონვენციით განსაზღვრული ბავშვის სპეციფიური უფლებები
- კონვენციით განსაზღვრული მოვალეობები და პასუხისმგებლობები
- როგორ დავიცვათ უფლებები

შესაბამისი უფლებები

- საკუთარ ოჯახში ცხოვრების უფლება
- ეკონომიკური ექსპლუატაციისაგან დაცვის უფლება
- სასამართლო პროცესებზე განსაკუთრებული მოპყრობის უფლება

მიზნები

- ცოდნის გავრცელება ბავშვთა უფლებების კონვენციის შესახებ
- ინფორმაციის კრიტიკული ანალიზისა და მისი რეალობასთან შედარების უნარ-ჩვევების განვითარება
- სამართლიანობის, პასუხისმგებლობის, სოლიდარობისა და თანასწორუფლებიანობის გრძნობის სტიმულირება

მასალა

- ბარათი-გამინათქვამები – თითო კომპლექტი თითოეული მცირე ჯგუფისათვის
- დიდი ზომის ფურცელი კედელზე გასაკრავად
- მარკერები
- საკმარისი სივრცე, რათა მცირე ჯგუფებმა იმუშაონ დამოუკიდებლად

მომზადება

- მიმართეთ ბავშვთა უფლებების კონვენციის შემოკლებულ ვარიანტს 514 გვ-ზე. ჩამოწერეთ კონვენციის მუხლები დიდი ზომის ფურცელზე კედელზე გასაკრავად.
- გადახედეთ ქვემოთ მოყვანილ ბარათ-გამონათქვამებს და დაეყრდენით კონვენციას. გადაწყვიტეთ, დისკუსიის დროს რომელი მუხლები უფრო მეტ ინტერესს აღძრავს კონკრეტულ ჯგუფში. იფიქრეთ, რომელი საკითხებია აქტუალური ჯგუფის წევრებისათვის და რომელი საკითხებია საკამათო
- მოამზადეთ ბარათების კომპლექტები. ჩადეთ თითოეული კომპლექტი ცალკე კონვერტში, რათა ერთმანეთში არ აირიოს!

თემები

bavSvebi

adamianis zogadi uflebebi

ganaTleba

სირთულე

done 1
done 2
done 3
done 4

მონაწილეთა რაოდენობა



nebismieri

ხანგრძლივობა

60 wuTi

ინსტრუქციები

1. დაიწყეთ ბავშვთა უფლებების კონვენციის მოკლე მიმოხილვით. იკითხეთ, რა იციან მონაწილეებმა კონვენციის შესახებ. მიუთითეთ კედელზე გაკრულ ფირცელზე და ჩაიკითხეთ ძირითადი მუხლები.
2. თხოვეთ მონაწილეებს დაეწყონ 3-4 კაციან მცირე ჯგუფებად. გადაეცით კონვერტები ბარათი-გამონათქვამებით.
3. განმარტეთ ბრილიანტის დახარისხების პროცედურის არსი. თითოეულმა ჯგუფმა უნდა იმსჯელოს 9 გამონათქვამზე და გაიაზროს, რამდენად აქტუალურია თითოეული მათგანი მათ ცხოვრებაში. ამის შემდეგ, უნდა განათავსონ ეს განცხადებები ბრილიანტის დაახარისხების პრინციპით, ანუ მათი მნიშვნელობის მიხედვით. უნდა დადონ ყველაზე მნიშვნელოვანი გამონათქვამი მაგიდაზე, მას ქვემოდან ამოუდონ ნაკლებად მნიშვნელოვანი ორი მომდევნო გამონათქვამი. ამ ორი გამონათქვამის ქვემოთ უნდა მოათავსონ კიდევ უფრო ნაკლებად მნიშვნელოვანი გამონათქვამი. მეოთხე რიგშიც, ამავე პრინციპით დაიდება ორი ბარათი, ხოლო მეხუთე რიგში ერთი გამონათქვამი, რომელიც მათი აზრით ყველაზე ნაკლებ მნიშვნელოვანია. ამრიგად, ბარათების წყობა მიიღებს ბრილიანტის ფორმას.
4. მიეცით ჯგუფს 25 წუთი მსჯელობისა და ბარათების თანმიმდევრობით განლაგების მოსაფიქრებლად.
5. როდესაც ჯგუფები შეასრულებენ ამოცანას, მიეცით მონაწილეებს საშუალება, რომ დაათვალიერონ ოთახი და გაეცნონ სხვა ჯგუფების "რანჟირების" შედეგებს. შემდეგ მოიწვიეთ პლენარული სხდომა ანალიზის ჩასატარებლად.

ანალიზი და შეფასება

მიიწვიეთ თითოეული ჯგუფი ცალ-ცალკე, რათა წარმოადგინონ დისკუსიის შედგები. ამის შემდეგ, დააზუსტეთ, რამდენად მოეწონათ მონაწილეებს სავარჯიშო და რა ცოდნა შეიძინეს. გამოიყენეთ კითხვები:

- რას იძლევა ცალკეული ჯგუფების განხილვების შედეგების შედარება? რა მსგავსება და განსხვავებაა მათ შორის?
- რატომ აქვთ სხვადასხვა ადამიანებს სხვადასხვა პრიორიტეტები?
- სხვების მოსმენის შემდეგ გაუჩნდა თუ არა რომელიმე ჯგუფს სურვილი გადახედონ თავიანთ გადაწყვეტილებებს ბარათების დახარისხებასთან დაკავშირებით? რომელი არგუმენტები იყო ყველაზე დამაჯერებელი?
- რომელი უფლებები არ არის დაცული თქვენ საზოგადოებაში და რატომ?
- არის ისეთი უფლებები, რომელიც კონვენციაში არაა შეტანილი და თქვენ კი ფიქრობთ, რომ უნდა იყოს?
- ფიქრობთ, რომ ბავშვებს ჭირდებათ კონვენცია? რატომ?
- თუკი ბავშვებს აქვთ კონვენცია, რატომ არ უნდა ქონდეთ ის 18-დან 30 წლამდე ახალგაზრდებს?
- რა სპეციფიურ უფლებებს უნდა შეიცავდეს ასეთი კონვენცია ახალგაზრდებისათვის?
- ერთია ბავშვთა უფლებების განსაზღვრა კონვენციაში, მაგრამ, რამდენად რეალური, რომ მათ პრეტენზია განაცხადონ თავიანთი უფლებების შესრულებაზე?
- ზოგადად, როგორ მოითხოვენ ადამიანები თავიანთი უფლებების დაცვას?

- თუ საკუთარი უფლებების დაცვის ერთ-ერთი საშუალება დემოკრატიულ პროცესებში მონაწილეობაა, რა უნდა მოიმოქმედონ მონაწილეებმა სახლში, სკოლაში, კლუბში, რომ დაიცვან თავისი უფლებები?
- ვის უნდა მიმართონ ბავშვებმა საზოგადოებაში, თუ მიაჩნიათ, რომ მათი უფლებები სერიოზულად ირღვევა?

რჩევები ხელმძღვანელებს

დამატებითი ინფორმაცია ბრილიანტის დახარისხების შესახებ მოცემულია 67 გვ.ზე I თავში "როგორ ვისარგებლოთ კომპასით". აუხსენით ჯგუფებს, რომ ბარათების დახარისხებისას არ არსებობს ერთადერთი სწორი და/ან მცდარი გზა. მათ უნდა გაიაზრონ, რომ სხვადასხვა ხალხს სხვადასხვა გამოცდილება გააჩნიათ. შესაბამისად, პრიორიტეტებიც განსხვავებულია და მათ პატივისცემით უნდა მოეკიდონ. და მაინც, მონაწილეები უნდა ეცადონ მცირე ჯგუფებში მიაღწიონ კონსენსუსს ბარათების თანმიმდევრობასთან დაკავშირებით. ბოლოსდაბოლოს, რეალურ ცხოვრებაში, პრიორიტეტები და გადაწყვეტილებები თითოეული ადამიანის ინტერესებიდან უნდა გამომდინარეობდეს.

ვარიანტები

ბავშვთა უფლებების კონვენციის მუხლებით შევსებული ცხრა ბარათის ნაცვლად ჯგუფს დაურიგეთ რვა ბარათი, ხოლო ერთი ბარათი დაიტოვეთ ცარიელი, რათა თავად ჯგუფის წევრებმა შეავსონ იგი.

ჩააწყვეთ ბარათი-გამონათქვამები ქუდში. სთხოვეთ მონაწილეებს რიგრიგობით ამოიღონ თითო ბარათი და ისაუბრონ მის შესახებ ერთი წუთის განმავლობაში. დამატებითი ინფორმაცია იხილეთ სავარჯიშოში "ერთი წუთით!" (გვ. 180)

თხოვეთ ჯგუფებს დაწერონ მოკლე ისტორია ან წარმოადგინონ შერჩეულ მუხლთან დაკავშირებული ინციდენტის მოკლე როლური გათაშება. კიდევ ერთი ალტერნატივაა ისტორიების/როლური გათამაშების გამოყენება მედიის ინფორმაციებზე დაყრდნობით: რაიმე ფილმში ან თეატრში მოსმენილი, ნანახი ან წიგნში თუ ჟურნალში წაკითხული ისტორიები. როლების გათამაშება შეიძლება განვითარდეს ისე, რომ მონაწილეებმა თავდაპირველად წარმოადგინონ რაიმე ეპიზოდი და გადავიდნენ გამოსავლის იმპროვიზირებულ ძიებაზე, ან მსგავსი ინციდენტებისა თუ ზოგადად ადამიანის უფლებების დარღვევების თავიდან აცილების გზებზე.

წინადადებები გაგრძელებისათვის

მოიწვიეთ ჯგუფთან სასაუბროდ ბავშვთა უფლებების კონვენციაში კარგად გარკვეული პრიოვნება, მაგალითად, ბავშევების დახმარების სამსახურის ხელმძღვანელი, ბავშვების ფსიქოლოგი ან წარმომადგენელი ომბუდსმენის ოფისიდან. საუბრის წინ, ჩაატარეთ გონებრივი შტურმი ბავშვის უფლებების შესაძლო დარღვევებზე. მაგალითად, ცუდი მოპყრობა, სექსუალური ექსპლუატაცია, ბავშვებისადმი მოზრდილთა ვალდებულებების იგნორირება და დაცინვა. გაარკვიეთ სპიკერთან, ვის ევალება ადგილობრივ მოსახლეობაში ბავშვებზე მზრუნველობა და ვის ეკისრება პასუხისმგებლობა. მაგალითად, მშობლებს, პოლიციას, დახმარების სამსახურებს, სოციალურ მუშაკებს და ა.შ. ითხოვეთ რჩევა, როგორ უნდა იმოქმედოს ბავშვის უფლებათა დარღვევის მოწმემ იმ შემთხვევაში, როდესაც, მისი

ღირშესანიშნავი თარიღი

20 ნოემბერი
ბავშვთა საერთაშორისო დღე

მეზობელი ცუდად ეპყრობა თავის ბავშვებს. ასეთ საკითხებს ტაქტიანი, ფრთხილი და ფაქიზი მიდგომა ესაჭიროება.

ბავშვები და ახალგაზრდები ხშირად გრძნობენ თავს დისკრიმინირებულად. თუ ჯგუფს სურვილი აქვს განიხილოს დისკრიმინაციის საკითხები, შეუძლიათ შეასრულონ სავარჯიშო "ყველა თანასწორი, ყველა განსხვავებული" (გვ. 304).

იდეები მოქმედებისათვის

განიხილეთ სკოლის მენეჯმენტი, პოლიტიკა და სასწავლო პროგრამა, რათა გაარკვიოთ, როგორ ასრულებს სკოლა თავის მოვალეობებსა და ვალდებულებებს ბავშვთა უფლებების კონვენციის მიმართ. მაგალითად, სკოლა უზრუნველყოფს განათლებას, რომელიც მიმათულია ბავშვის პიროვნების, ნიჭისა და უნარ-ჩვევების განვითარებისაკენ, თუ მთელი ყურადღება გადატანილი აქვს გამოცდებისათვის მომზადებაზე? თავისუფლად გამოთქვამენ მოსწავლეები აზრს იმ საკითხებთან დაკავშირებით, რომლებიც მათ კეთილდღეობას ეხება? ექცევა სათანადო ყურადღება მოსწავლეების აზრს? სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, არსებობს სკოლის საბჭო? თუ არსებობს, რამდენად ეფექტურია ის? სკოლის დისციპლინა შესაბამისობაშია ბავშვის ღირსების დაცვასთან? როგორ რეაგირებს სკოლა რასისტულ ინციდენტებზე და სისასტიკის ფაქტებზე? იმსჯელეთ, რა საშუალებები არსებობს მდგომარეობის გაუმჯობესებისათვის და რა ზომები უნდა იქნას მიღებული ამ საკითხების მოსაგვარებლად. მაგალითი იხილეთ 341 გვერდზე - "მოქმედებაზე გადასვლა" და დაგეგმეთ პროექტი. იყავით ფრთხილად და არ იჩქაროთ. ზედმეტად არ გაანაწყენოთ მასწავლებლები, განსაკუთრებით, თუ ისინი ისედაც გსაყვედურობენ რომ მათ კომპეტენციაში იჭრებით!

დამატებითი ინფორმაცია

კონვენციის სრული ტექსტი, iunisefis ყოველწლიურად გამოქვეყნებული შესაბამისი დოკუმენტები მსოფლიოს ბავშვთა მდგომარეობაზე და ბავშვთა უფლებებთან დაკავშირებული სხვა პუბლიკაციები და გამოცემები იხილე მეხუთე თავის გამოყენებული ლიტერატურის სიაში, რომელიც შეიცავს ბაზისურ ინფორმაციას ბავშვთა პრობლემატიკის შესახებ (გვ. 405).

dasarigebeli masala

ბარათი-გამონათქვამები

გააკეთეთ ჩამოთვლილი მუხლების ასლები, ამოჭერით ისინი და გააკეთეთ ბარათი-გამონათქვამები

ბავშვს უფლება აქვს, თავისუფლად გამოთქვამს თავისი შეხედულებები ნებისმიერ საკითხზე, რომელიც მას ეხება, ამასთან, ბავშვის შეხედულებებს სათანადო ყურადღება ეთმობა მისი ასაკისა და სიმწიფის შესაბამისად. ბავშვს უფლება აქვს თავისუფლად გამოთქვას თავისი აზრი.

პატივისცემით უნდა მოვეპყროთ ბავშვის უფლებას აზრის, სინდისისა და რელიგიის თავისუფლებაზე. ბავშვს უფლება აქვს კავშირისა და მშვიდობიანი შეკრებების თავისუფლებაზე.

არც ერთ ბავშვი არ უნდა იყოს მის პირად ცხოვრებაში, ოჯახურ საქმეებში, ან პირად მიმოწერაში უნებლიე ან უკანონო ჩარევის საგანი. ბავშვი დაცული უნდა იყოს მის ღირსებაზე და რეპუტაციაზე უკანონო თავდასხმისაგან.

მშობლებს აქვთ უპირატესი პასუხისმგებლობა ბავშვის გაზრდასა და განვითარებაზე.

ბავშვს აქვს განათლების უფლება. სახელმწიფომ უნდა გახადოს დაწყებითი განათლება სავალდებულო, ხელმისაწვდომი და უფასო ყველასათვის. სკოლის დისციპლინა უნდა განხორციელდეს ბავშვის ღირსების დაცვის შესატყვისი გზით. განათლება მიმართული უნდა იყოს ბავშვის პიროვნების, ნიჭისა და უნარის, ადამიანის უფლებების და ძირითადი თავისუფლებების პატივისცემის განვითარებისაკენ, თავისუფალ საზოგადოებაში პასუხისმგებლობის, მშვიდობის, მეგობრობის, გაგების, შემწყნარებლობის და თანასწორობის გრძნობით ცხოვრების და გარემოს დაცვის მიმართ პატივისცემის გრძნობის განვითარებისაკენ.

ბავშვს აქვს დასვენების და გართობის, თამაშის, სოციალურ ცხოვრებაში და ხელოვნების სფეროში თავისუფალი მონაწილეობის უფლება.

ბავშვი დაცული უნდა იყოს ეკონომიკური ექსპლოატაციისაგან და ისეთი სამუშაოს შესრულებისაგან, რომელიც საზიანოა მისი სიცოცხლისა და განვითარებისათვის. ბავშვი დაცული უნდა იყოს სექსუალური ექსპლოატაციის ყველა ფორმისაგან და სექსუალური ძალადობისაგან, პროსტიტუციისა და სხვა უკანონო სექსუალურ გარყვნილებაში, პორნოგრაფიის ინდუსტრიაში და ა.შ. გამოყენებისაგან

სახელმწიფომ უნდა მიიღოს ყველა პრაქტიკული ზომა შეიარაღებული კონფლიქტების მსხვერპლი ბავშვების ზრუნვასა და დაცვაზე.

ყველა ბავშვს, რომელსაც ბრალად ედება დანაშაულის ჩადენა უნდა მიეცეს უდანაშაულობის პრეზუმფციის გარანტია ვიდრე არ დადასტურდება მისი ბრალეულობა, უნდა სარგებლობდეს იურიდიული დახმარებით სასამართლო განხილვების დროს, არ უნდა აიძულონ მისცეს ჩვენება ან აღიაროს დანაშაული, პატივისცემით უნდა მოეკიდონ მის პირად ცხოვრებას, და მოეპყრონ ასაკის, მდგომარეობების და კეთილდღეობის შესაბამისად. არც სიკვდილით დასჯა და არც სამუდამო პატიმრობა გათავისუფლების შესაძლებლობის გარეშე არ უნდა იყოს გამოტანილი ბავშვების მიერ ჩადენილი დანაშაულისათვის 18 წლის ასაკის ქვემოთ.

baRi erT RameSi

შეძლებდით ბაღის გაშენებას ერთ ღამეში?



თემები ეკოლოგია, მოქალაქეობა, ჯანმრთელობა

სირთულე დონე 3

მონაწილეთა რაოდენობა 6 და მეტი

ხანგრძლივობა 180 წუთი

მიმოხილვა შემოქმედებითი სავარჯიშო, რომელიც იყენებს ხატვას და მოდელირებას, რათა შეისწავლოს:

- ძალები, რომლებიც განსაზღვრავენ განვითარებას;
- რამდენად აკმაყოფილებს, ან არ აკმაყოფილებს ლოკალური კეთილმოწყობა ადგილობრივი ადამიანების მოთხოვნილებებს;
- როგორ მიიღება გადაწყვეტილებები ლოკალური განაშენიანების შესახებ.

შესაბამისი უფლებები

- გადაწყვეტილების მიღების პროცესებში მონაწილეობის უფლება;
- საზოგადოების კულტურულ ცოვრებაში მონაწილეობის უფლება;
- დასვენებისა და გართობის უფლება.

მიზნები

- გაგება, რომ მშენებლობის გეგმების რელიზაციის რეზულტატები ყოველთვის არაა გარდაუვალი;
- ადგილობრივ თვითმმართველობასა და პერსპექტიული მშენებლობის გეგმების შემუშავებაში მონაწილეობისათვის საჭირო უნარ-ჩვევების განვითარება;
- შემოქმედებითი მიდგომის, ჯგუფური მუშაობის უნარ-ჩვევების, თანამშრომლობისა და სხვების პატივისცემის გრძნობის განვითარება.

მასალა

- ადგილობრივი (ახლანდელი და წარსული) რუქები და ფოტოები;
- უბნის მსხვილმასშტაბიანი რუქა, რომელზეც ნაჩვენებია თქვენს მიერ არჩეული ადგილი;
- პასტები და ფურცლები ესკიზების შესაქმნელად;
- მოდელების შესაქმნელი მასალები. მაგალითად, პატარა ყუთები, ხელსახოცები, საღებავები, თასმები, შალი, ღვინის ბოთლის საცობები, მუყაოს მილები, ალუმინის ფოლგა, კვერცხის ჩასაწყობი ფირფიტები, და სხვა საშინაო "ხარახურა" – მავთულები, ქვები, ქერქები, ნიჟარები, და ა.შ.
- წებო და წებოვანი ლენტი;

- საღებავები და ფუნჯები;
- მყარი მუყაოს დაფა, ან ფანერა მაკეტების ფუნდამენტის გასაკეთებლად.

მომზადება

I ნაწილისათვის. მშენებლობა: როგორ და რატომ

- შეკრიბეთ იმ ქალაქის, ან რეგიონის ადრინდელი და ამჟამინდელი რუქები და ფოტოები, რომელშიც თქვენ ცხოვრობთ.
- განსაზღვრეთ შესაძლო ადგილები, რომლებზეც ჯგუფმა უნდა იმუშაოს. მოიძიეთ ლოკალურ მიდამოებში არის თუ არა ადგილები, რომლებიც კეთილმოწყობას საჭიროებს.

II ნაწილისათვის. მშენებლობის გეგმის შედგენა:

- შეაგროვეთ ინფორმაცია იმ ადგილზე, რომელიც ჯგუფმა აირჩია სამუშაოდ. მაგალითად, საგაზეთო სტატიები და ადგილობრივი საბჭოს სხდომების ოქმები.
- თუ აპირებთ მაკეტის შექმნას "ხარახურის" გამოყენებით, დარწმუნდით, რომ საკმარისი მასალა გაქვთ. დაიწყეთ პატარა კოლოფების, ტუალეტის ქაღალდის დასახვევი რგოლებისა და მსგავსი ნივთების შეგროვება სავარჯიშოს ჩატარებამდე გარკვეული დროით ადრე.

ინსტრუქციები

ეს სავარჯიშო გაყოფილია 2 ნაწილად: I ნაწილი "მშენებლობა: რატომ და როგორ" ტარდება დისკუსიის ფორმით იმ ძალების შესახებ, რომლებიც მართავენ ცვლილებებს. II ნაწილში "მშენებლობის გეგმის შედგენა" მონაწილეები ადგენენ განვითარების პროექტს თავიანთ ლოკალურ გარემოში და აგებენ მის მაკეტს.

I ნაწილი. მშენებლობა – რატომ და როგორ

1. გააცანით მონაწილეებს ადგილობრივი მშენებლობის განვითარების ისტორია. გამოიყენეთ რუქები და ფოტოები დისკუსიის სტიმულირებისათვის იმის შესახებ, თუ როგორ განვითარდა ადგილობრივი გარემო ბოლო 50-100 წლის განმავლობაში. ისაუბრეთ პოლიტიკური, ეკონომიკური და სოციალური ძალების შესახებ, რომლებმაც განაპირობეს ეს ცვლილებები. იყო ეს ცვლილებები პოზიტიური? ვისთვის და რატომ?
2. სთხოვეთ ჯგუფს დაასახელონ ცვლილებები, რომლებიც მათ თვალწინ განხორციელდა. მაგალითად, შენობების გაფართოება, სუპერმარკეტებისა და საცხოვრებელი სახლების აგება. ვინ ისარგებლა ამ პროექტების განხორციელების შედეგად და როგორ. მაგალითად, აშენდა იაფი საცხოვრებელი სახლები ადგილობრივი მოსახლეობისათვის, თუ ფინანსური კომპანიების ინვესტიციები დაიხარჯა მდიდრული აპარტამენტებისა და სადღესასწაულო შენობების ასაგებად?
3. გადახედეთ თქვენი რეგიონის მსხვილმაშტაბიან რუქას და შეარჩიეთ ადგილი, სადაც ყველა მონაწილე მოისურვებს მუშაობას.

ნაწილი II. მშენებლობის გეგმების შედგენა

1. გაშალეთ მსხვილმაშტაბიანი რუქა იმ ადგილის საჩვენებლად, რომელიც თქვენ აირჩიეთ სამუშაოდ. დარწმუნდით რომ ყველა იცნობს ამ ადგილს, და თუ საჭიროა მოინახულეთ ის.
2. მიმოიხილეთ მოცემული ადგილის განაშენიანების არსებული გეგმები. ამისათვის ისარგებლეთ ადგილობრივი საგაზეთო მასალების ინფორმაციით ან ადგილობრივი საბჭოს სხდომების ოქმებით. იმსჯელეთ, ვის შემოაქვს სხვადასხვა წინადადებები და რა დაინტერესება აქვთ მათ?
3. იფიქრეთ მოცემული ადგილის განვითარების ყველა შესაძლო გზებზე. იყავით რაც შეიძლება შემოქმედებითი.
4. დაიყავით მცირე 4-5 წევრიან მცირე ჯგუფებად, რათა მოკლედ განიხილოთ სხვადასხვა ვარიანტების დადებითი და უარყოფითი მხარეები.
5. შემდეგი ამოცანა თითოეული ჯგუფისათვის არის კონსენსუსამდე მისვლა, კერძოდ, როგორ განვითარდეს შერჩეული ადგილი, შეიქმნას დიზაინი და შემდეგ მისი მაკეტი.
6. როდესაც ყველა მაკეტი მზად იქნება, მიეცით თითოეულ ჯგუფს საშუალება წარმოადგინოს თავისი მოდელი და განმარტოს თავისი გეგმები.

ანალიზი და შეფასება

განიხილეთ თითოეული ჯგუფის მიერ გაწეული სამუშაო. ყველა მინაწილე თვლის, რომ აქტიურად იყო პროცესში ჩართული? როგორ ხდებოდა გადაწყვეტილებების მიღება? ამის შემდეგ გადადით უშუალოდ გეგმების განხილვაზე.

- რა ძირითადი კრიტერიუმებით ხელმძღვანელობდით, როდესაც ღებულობდით გადაწყვეტილებას არჩეული ადგილის კეთილმოწყობის შესახებ? მაგალითად, ხარჯი, დრო, ძალისხმევა, მოგება, ადგილობრივი მოთხოვნილებები, – რომელ მადგანს ენიჭებოდა უპირატესობა?
- ითვალისწინებდა დასახული გეგმები ხალხის ინტერესებსა და ეკოლოგიურ პირობებს? რამდენად მტკიცე იყო ეს პროცესი?
- აკმაყოფილებდა გეგმა თითოეული ადგილობრივი მოსახლეს ინტერესებს? მაგალითად, ინვალიდების, ბავშვების, სხვადასხვა უმცირესობების ინტერესებს?
- რა რესურსები იქნება საჭირო გეგმების განხორციელებისათვის?
- შეძლებისდაგვარად გამოიყენებოდა განახლებადი რესურსები მათი რეალიზაციისათვის?
- რამდენად მომჭირნედ ხდებოდა არაგანახლებადი ბუნებრივი რესურსების გამოყენება?
- როგორ გავლენას მოახდენს პროექტის განხორციელება ეკოსისტემაზე ზოგადად? მაგალითად, გათვალისწინებული იყო ველური ბუნების შენარჩუნება, ხეების დარგვა?
- რა ნარჩენებს ტოვებს ახალი პროექტის მშენებლობა და რა ბედი ეწევა ამ ნარჩენებს?

რჩევები ხელმძღვანელებს

სავარჯიშო ვარაუდობს, რომ ახალგაზრდების უმეტესობა ცხოვრობს ქალაქში ან ქალაქის გარეუბნებში. სამშენებლო ადგილის შერჩევა დამოკიდებული უნდა

ღირშესანიშნავი თარიღი

5 ივნისი
გარემოს დაცვის საერთაშორისო დღე

იყოს თქვენს ადგილმდებარეობაზე და თქვენ ჯგუფზე. ყველა ადგილს აქვს განვითარების პოტენცია! იდეაში ჯგუფმა თავად უნდა ჩაატაროს გამოკვლევები და მიიღოს გადაწყვეტილება. თუმცა, ზოგიერთ შემთხვევებში, მაგალითად, სკოლებში, შეიძლება არსებობდენ სასწავლო პროგრამული შეზღუდვები. ასეთ შემთხვევაში გადაწყვეტილებას იღებს ხელმძღვანელი.

შერჩეულ ადგილზე ასაშენებელი ნაგებობების ვარიანტები შეიძლება მოიცავდეს სავაჭრო ცენტრს, დასვენებისა და გართობის ცენტრს, სკოლის საერთო საცხოვრებელს, მანქანების სადგომს, გამწვანებას, სათამაშო მოედანს, სპორტულ მოედანს, ვარდების ბაღს ხანშიშესულებისათვის, ზოოპარკს, გასართობ პარკს, ბოულინგის ღია მოედანს და ა.შ. მოუწოდეთ მონაწილეებს მხედველობაში მიიღონ საზოგადოების სხვადასხვა ფენების ინტერესები.

ვარიანტები

შგიძლიათ აირჩიოთ რაიმე ფანტასტიკური სცენარი. მაგალითად, რის დანახვას ისურვებდით იმ ადგილზე, სადაც ახლა ქალაქის მერიაა, საბჭოს ადმინისტრაციული შენობა, საავადმყოფო, ან სხვა დაწესებულება დგას? თუ თქვენ ცხოვრობთ სოფლად, როგორ გამოიყენებდით უპატრონო ცარიელი კარიერებს, ან მაღაროელების მიერ მიტოვებულ შახტებს?

წინადადებები გაგრძელებისათვის

მეტი ინფორმაცია მოიპოვეთ საბჭოს გეგმების შესახებ იმ ადგილის განვითარებასთან დაკავშირებით, რომელიც თქვენ აირჩიეთ სამუშაოდ. გამოთქვით აზრი ამ გეგმების შესახებ და წერილობით აცნობეთ ის საბჭოს ან ადგილობრივ გაზეთს. გაარკვიეთ, როგორ ხდება დაგეგმარების გადაწყვეტილებების მიღება იმ ქალაქში ან სოფელში სადაც თქვენ ცხოვრობთ. რა გავლენა აქვთ ადგილობრივ მცხოვრებლებს გადაწყვეტილებების მიღებაზე? როგორ შეიძლება ახალგაზრდებს ჰქონდეთ უფრო დიდი გავლენა იმ გადაწყვეტილებების მიღებაში, რომელიც უშუალოდ მათ ეხებათ? თუ ჯგუფი დაინტერესდა ლოკალური გადაწყვეტილებების მიღებასთან დაკავშირებული საკითხების შესწავლით შეუძლიათ შეასრულონ სავარჯიშო "მივცეთ თუ არა ხმა?" (გვ. 228).

იდეები ქმედებისათვის

დაესწარით ადგილობრივი საბჭოს დაგეგმარების სხდომას და წვლილი შეიტანეთ დაგეგმვის პროცესში.

მონაწილეობა მიიღეთ ეკოლოგიის დღისადმი მიძღვნილ ზეიმში. თქვენ ქვეყანაში ეკოლოგიის დღესთან დაკავშირებული საქმიანობის შესახებ ინფორმაციის მისაღებად ესტუმრეთ ვებგვერდს: www.unep.org

დამატებითი ინფორმაცია

ამ სავარჯიშოს იდეა დაიბადა პროექტიდან "Have på en nat" (ბაღი ერთ ღამეში), რომელიც 1996 წლის ფესტივალის "კოპენჰაგენი – კულტურის ქალაქი" პროგრამის ნაწილი იყო. ახალგაზრდების ჯგუფი, რომლებიც წარმოადგენდნენ ორგანიზაცია "დღის წესრიგი 21"-ის ადგილობრივ ეკოლოგიურ განყოფილებას **„Økologiskeigangsaettere"**-ს, ბაღის ასაშენებლად ორი წლის განმავლობაში ატარებდნენ მოსამზადებელ სამუშაოებს მიტოვებულ ადგილას ქალაქის ცენტრში, მართალია, მთლად ერთ ღამეში არა, მაგრამ რამოდენიმე დღეში. ახალგაზრდებმა გადაწყვიტეს, რომ 300 კვ. მეტრის ფართობზე გააშენებდნენ საზოგადოებრივ ბაღს.

მათ შეისწავლეს დურგლების, სანტექნიკოსების, კალატოზებისა და მებაღეების ხელობები; ჩაატარეს წინასწარი სამუშაოები, რათა საჭირო მომენტში გაეშენებინათ ბაღი პრაქტიკულად „ერთ ღამეში“. ბაღში თითოეულისთვის მოიძებნა გასაკეთებელი საქმე: ვიწრო ბილიკები გარს უვლიდნენ გამწვანებულ გაზონებზე დარგულ ხეებს, ბუჩქებს, ყვავილებისა და ბოსტნეულის კლუმბებს. ბაღმა იარსება 2001 წლის აპრილამდე, ვიდრე ქალაქის საბჭომ არ გამოითხოვა ეს ადგილი საცხოვრებელი სახლის ასაშენებლად.

`bingos~ uflebebi!

რა ვიცით ადამიანის უფლებების შესახებ

თემები ადამიანის ზოგადი უფლებები, ბავშვები, პიროვნების უსაფრთხოება

სირთულე დონე 1

მონაწილეთა რაოდენობა 8 და მეტი

დრო 40 წუთი

მიმოხილვა ეს არის მარტივი ვიქტორინა და ვარიაცია თამაშზე "ბინგო!" სადაც მონაწილეები ერთმანეთს უზიარებენ თავიანთ ცოდნასა და გამოცდილებას ადამიანის უფლებების შესახებ

შესატყვისი უფლებები ადამიანის ნებისმიერი უფლება

მიზნები
- ცოდნა, რომ ადამიანის უფლებები აქტუალურია ყველასათვის და ყველგან
- მოსმენის უნარ-ჩვევების განვითარება
- სხვა ადამიანების და მათი აზრის პატივისცემის დამკვიდრება

მასალა
- ვიქტორინის ფურცლის ერთი ასლი და ერთი კალმისტარი თითოეული მონაწილისათვის
- დიდი ზომის ფურცელი და მარკერები

მომზადება
- გააკეთეთ ვიქტორინის ასლი დიდი ზომის ფურცელზე

გაეცანით ადამიანის უფლებათა საყოველთაო დეკლარაციაში ჩამოთვლილ ძირითად უფლებებს (გვ. 508) და ბავშვთა უფლებების კონვენციას (გვ. 514).

ინსტრუქციები

1. დაარიგეთ ვიქტორინის ფურცლები და კალმისტრები
2. განმარტეთ, რომ მონაწილეებმა უნდა იპოვონ პარტნიორი და დაუსვან მათ ერთი შეკითხვა ვიქტორინის ფურცლიდან. პასუხის სიტყვა-გასაღებები მოცემული უნდა იყოს შესამაბის გრაფაში.
3. შემდეგ წყვილი შორდება ერთმანეთს და ეძებენ ახალ პარტნიორებს.
4. თამაშის მიზანია არა მხოლოდ პასუხის გაცემა თითოეულ გრაფაში დასმულ შეკითხვაზე, არამედ სხვადასხვა მონაწილეების პასუხების მიღება თითოეულ შეკითხვაზე.
5. ვინც პირველი მიიღებს ყველა პასუხს ყველა შეკითხვაზე და დაიძახებს "ბინგო!", ჩაითვლება გამარჯვებულად.

თემები

adamianis zogadi uflebebi

bavSvebi

pirovnuli usafrTxoeba

სირთულე

done 1
done 2
done 3
done 4

მონაწილეთა რაოდენობა



8 da meti

ხანგრძლივობა

40 wuTi

ღირშესანიშნავი თარიღი

8 მაისი
წითელი ჯვრისა და წითელი ნახევარმთვარის საერთაშორისო დღე

6. შემდეგ გადადით დისკუსიაზე. აიღეთ შეკითხვა პირველი გრაფიდან და სთხოვეთ მოთამაშეებს რიგრიგობით გააცნონ ჯგუფს მათ მიერ მიღებული პასუხები. ჩამოწერეთ სიტყვა-გასაღებები დაფის დიდ ფურცელზე. ამ ეტაპზე ნებადართულია მოკლე კომენტარები.
7. როდესაც ცხრილი შეივსება, დაუბრუნდით პასუხებს და უფრო ამომწურავად განიხილეთ თითოეული გრაფა.

ანალიზი და შეფასება

- იყო ყველა შეკითხვა ადამიანის უფლებებთან დაკავშირებული? კერძოდ რომელ უფლებებთან?
- რომელი შეკითხვა იყო ყველაზე ძნელად საპასუხო? რატომ?
- რომელი შეკითხვები იყო ყველაზე წინააღმდეგობრივი? რატომ არის უფლებები წინააღმდეგობრივი?
- საიდან იცოდნენ მონაწილეებმა ადამიანის უფლებებისა და მათი დარღვევების შესახებ? ენდობიან ისინი ინფორმაციის წყაროს?

რჩევები ხელმძღვანელებს

თავისუფლად შეცვალეთ ნებისმიერიე შეკითხვა, რათა მიუსადაგოთ სავარჯიშო ჯგუფის ინტერესებს და დონეს. თითოეულ შეკითხვაზე მონაწილეების პასუხების ჩაწერის დროს ჩაიწერეთ მხოლოდ სიტყვა-გასაღები. ცხრილის არსი მდგომარეობს მოგვიანებით დისკუსიის გაადვილებაში. ყოველი რაუნდის შემდეგ მოკლედ შეეხეთ ნებისმიერ შეკითხვას განმარტების თაობაზე, ან განსხვავებულ ინტერპრეტაციებს. გამოყავით ნებისმიერი საკითხი, რომელიც მოითხოვს უფრო ღრმა ანალიზს და შეთანხმდით, რომ ამ პუნქტს სავარჯიშოს ბოლოს დაუბრუნდებით.

სავარაუდოდ მონაწილეები მოიყვანენ მაგალითებს, რომელთა შესახებ შეიძლება არ ფლობდეთ ინფორმაციას იმის გამო, რომ ისინი ან ბუნდოვანია ან კერძო შემთხვევებია. ამას არ უნდა მიექცეს ყურადღება. არავინ არ იცის ყველაფერი! თქვენ შეგიძლიათ კითხოთ მონაწილეებს, საიდან აქვთ ეს ინფორმაცია და იმსჯელოთ მის საიმედოობაზე და აუთენტიკურობაზე. ეს, ჭეშმარიტად, საუკეთესო საშუალებაა შეაჩვიოთ მონაწილეები ინფორმაციის კრიტიკულად მიღებას, როგორც ერთ-ერთი ძირითად პრინციპს.

ზოგიერთი პასუხი წინააღმდეგობრივი იქნება. მაგალითად, ვინმემ შეიძლება გამოთქვას აზრი, რომ აბორტი სიცოცხლის უფლების წართმევაა. ჯგუფის ერთი ნაწილი, შეიძლება, მტკიცედ დაეთანხმოს ამ აზრს, ხოლო მეორე ნახევარი ასეთივე კატეგორიულობით არ დაეთანხმოს. პირველი, რისი სწავლაც აქედან შეიძლება ისაა, რომ მნიშვნელოვანია ნებისმიერი საკითხის დანახვის მცდელობა ყველა მხრიდან: ეცადეთ გაარკვიოთ, რატომ აქვთ მონაწილეებს ის აზრი, რომელიც აქვთ? ინტერესებისა და უფლებების კონფლიქტი ყოველთვის არსებობს (ამ შემთხვევაში კონფლიქტს ადგილი აქვს დედისა და დაუბადებელი ბავშვის ინტერესებსა და უფლებებს შორის). როგორი განსხვავებულიც არ უნდა იყოს აზრები და უფლებების ინტერპრეტაცია ხალხი ყოველთვის პატივისცემით უნდა ეკიდებოდეს განსხვავებულ აზრს. ისინი შეიძლება არ დაეთანხმონ მათ შეხედულებებს, მაგრამ აუცილებლად პატივი უნდა სცენ პიროვნებას.

მეორე გაკვეთილი ამ სავარჯიშოდან ისაა, რომ უნდა ვერკვეოდეთ ადამიანის უფლებებში იმიტომ, რომ ისინი წინააღმდეგობრივია. არ არსებობს ერთმნიშვნელოვანი და სამუდამო გადაწყვეტილება მათი ინტერპრეტაციისა და

გამოყენების შესახებ. მათი გადაფასება და განვითარება უნდა ხდებოდეს მუდმივად და უწყვეტად. მაშასადამე, ყველა პასუხისმგებელია იყოს ადამიანის უფლებათა დაცვისა და დამკვიდრების პროცესის განუყოფელი ნაწილი.

წინადადებები გაგრძელებისათვის

აიღეთ ერთი ან ორი პასუხი, რომლებმაც აზრთა სხვადასხვაობა გამოიწვია და განიხილეთ რეალური ცხოვრებისეული დილემები, რომლებიც წამოიჭრება ადამიანის უფლებათა პატივისცემის კულტურის ჩამოყალიბების მცდელობის დროს.

კიდე ერთი გზა ადამიანის უფლებათა საკითხების განხილვისათვის არის ვიზუალური გამოსახულებების გამოყენება. გაარკვიეთ, როგორ ხედავენ მონაწილეები ადამიანის უფლებებს "რას ხედავთ" (გვ. 163) სავარჯიშოს საშუალებით. სავარჯიშომ შეიძლება გამოიწვიოს დისკუსია მრავალი საკითხის გარშემო. მაგ. სტერეოტიპები, ჩვენი წარმოსახვის შექმნა სამყაროს შესახებ, დისკრიმინაცია.

dasarigebeli masala

ვიქტორინის შეკითხვები

დოკუმენტის დასახელება, რომელშიც დეკლარირებულია ადამიანის უფლებები	განსაკუთრებული უფლება, რომელიც ყველა ბავშვს უნდა გააჩნდეს	წითელი ჯვრის მონათესავე ორგანიზაცია
უფლება რომელიც თქვენს ქვეყანაში ზოგიერთებს წართმეული აქვთ	უფლება რომელიც პირადად თქვენ წაგართვეს	ადამიანის უფლებებისათვის მებრძოლი ორგანიზაცია
მოვალეობა, რომელიც ყველას გვაკისრია ადამიანის უფლებების დაცვის თვალსაზრისით.	დისკრიმინაციის მაგალითი	უფლება, რომელსაც ზოგჯერ ქალებს ართმევენ
ადამიანის უფლებებისათვის მებრძოლი პიროვნება	სიცოცხლის უფლების დარღვევა	პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობის უფლების დარღვევის მაგალითი

brZola simdidirisa da ZalauflebisaTvis

ცხოვრების მანძილზე ზოგი იბრძვის ოცნებების ასრულებისათვის, ხოლო ზოგი სიმდიდრისა და ძალაუფლებისათვის.

ТЕМЕБИ

siRaribe

pirovnuli usafrTxoeba

globalizacia

СИРТУЛЕ

done 1
done 2
done 3
done 4

МОНА�წИЛЕТА РАОДЕНОБА



8 _ 25

ХАНГРДЛИВОБА

90 wuTi

კეთილდღეობის ტაბულა

დიდი სიმდიდრე და ძალაუფლება (6 ან მეტი მონეტა	საშუალო სიმდიდრე და ძალუფლება (3-დან 5 მონეტამდე	უმნიშვნელო სიმდიდრე და ძალაუფლება (2 და ნაკლები მონეტა)

თემები	სიღარიბე, პიროვნების უსაფრთხოება, გლობალიზაცია
სირთულე	დონე 3
მონაწილეთა რაოდენობა	8 – 25
ხანგრძლივობა	90 წუთი
მიმოხილვა	სავარჯიშო გამოხატავს სიმდიდრისა და ძალაუფლებისათვის ბრძოლას და წარმოაჩენს მსოფლიოში არსებულ უთანასწორობას. მთავარი საკითხები, რომლებსაც ის შეეხება არის: ▪ უთანასწორობა სიმდიდრის გადანაწილებაში ▪ ძალაუფლების დისბალანსი და მისი შედეგები ▪ სიღარიბის უსამართლობა
შესაბამისი უფლებები	▪ ღირსებისა და უფლებებით თანაბრად სარგებლობის უფლება ▪ განათლების უფლება ▪ ჯანმრთელობის, კვებისა და თავშესაფრის უფლება
მიზნები	▪ ცოდნის გაღრმავება სიმდიდრისა და ძალაუფლების შედეგად წარმოშობილი უსამართლობის შესახებ ▪ სიღარიბის მიზეზებისა და შედეგების კრიტიკულად გააზრება ▪ ადამიანური ღირსებისა და სამართლიანობის დამკვიდრება
მასალა	▪ 120 მონეტა ▪ 3-4 წყვილი წინდა ▪ 2 დიდი ზომის ფურცელი და მარკერები ▪ კალმისტრები და ფურცლები ▪ ღია სივრცე
მომზადება	▪ გადაიკითხეთ ინსტრუქციები, რათა სრული წარმოდგენა გქონდეთ სავარჯიშოზე. მიაქციეთ ყურადღება, რომ თამაში დაყოფილია 3 ნაწილად: ნაწილი I - ბრძოლა (10 წუთი); ნაწილი II – ქველმოქმედება (10 წუთი); და ნაწილი III – ეკონომიკური სამართლიანობის უზრუნველყოფა (40 წუთი); ეს სრული ამბავია თამაშის ბოლოს

ბრძოლა სიმდიდრისა და ძალაუფლებისათვის

КОМПАСИ

- გადაინახეთ 20 მონეტა
- აირჩიეთ სამი მონაწილე იმიგრანტების როლის შესასრულებლად
- გააკეთეთ კედლის ცხრილი მოთამაშეების სიმდიდრის აღწერისათვის

(იხ. ილუსტრაცია)

- მოამზადეთ ცხრილი სათაურით "საპატიო ქველმოქმედნი"

ინსტრუქციები

განმარტეთ, რომ სავარჯიშო ეფუძნება სიტუაციის ინსცენირებას. მოთამაშეებმა უნდა გადაინაწილონ მთელი მსოფლიოს სიმდიდრე და ძალაუფლება.

ნაწილი I: ბრძოლა (10 წუთი)

1. განმარტეთ, რომ თამაშის მიზანია, რაც შეიძლება მეტი მონეტების შეგროვება. არსებობს მხოლოდ ერთი წესი – არც ერთი მონაწილე არ უნდა შეეხოს სხვა მოთამაშეს (ამისთვის შეგიძლიათ დააწესოთ ჯარიმა, მაგალითად, 1 მონეტის გადახდა).
2. სთხოვეთ ყველას, იმიგრანტების როლების შემსრულებლების გამოკლებით, დასხდნენ იატაკზე დიდ წრეში (ისე რომ საკმარისი ადგილი იყოს თამაშისათვის)
3. აიღეთ გადანახული 20 მონეტა და გაუნაწილეთ ნებისმიერ 4 ან 5 მონაწილეს
4. მიეცით 4 სხვა მონაწილეს თითო წყვილი წინდა. აუხსენით, რომ უნდა წამოიცვან წინდები ხელზე და ასე ჰქონდეთ მთელი თამაშის განმავლობაში. გადადეთ თამაშის დასრულებამდე მონეტებისა და წინდების განაწილების პრინციპის განმარტება.
5. თანაბრად მიმოფანტეთ 100 მონეტა წრის შუაგულში.
6. სიტყვაზე "დაიწყეთ" მონაწილეებმა უნდა შეაგროვონ რაც შეიძლება მეტი მონეტა. ეს, ალბათ, 2 წუთზე მეტ ხანს არ გაგრძელდება.
7. მას შემდეგ, რაც ყველა მონეტა შეგროვდება, სთხოვეთ მონაწილეებს აცნობონ თავიანთი ქონების შესახებ ჯგუფის დანარჩენ წევრებს. კეთილდღეობის ცხრილში ჩაწერეთ თითოეული მონაწილის სახელი და მათ მიერ მოპოვებული მონეტების რაოდენობა.
8. შეახსენეთ ჯგუფს, რომ მონეტები განასახიერებენ მათ ამქვეყნიურ სიმდიდრეს და ძალაუფლებას. ჯგუფის მიერ მოპოვებული მონეტების რაოდენობაზე იქნება დამოკიდებული მათი მოთხოვნილებებისა (მაგალითად, დაწყებითი განათლება, ნორმალური კვება, ჯანმრთელობის დაცვა, ნორმალური საცხოვრებელი პირობები) და სურვილების (მაგალითად, უმაღლესი განათლება, მანქანები, კომპიუტერები, სათამაშოები, ტელევიზორები და სხვა ფუფუნების საგნები) დაკმაყოფილება. ამრიგად, თუ მოთამაშეებს აქვთ::
   - 6 ან მეტი მონეტა – მონაწილეები შეძლებენ დაიკმაყოფილონ ძირითადი "მოთხოვნილებები" და "სურვილების" უმრავლესობა.
   - 3-დან 5 მონეტამდე – მონაწილეებს შესაძლებლობა ექნებათ დააკმაყოფილონ ძირითადი მოთხოვნილებები.
   - 2 ან ნაკლები მონეტა – მონაწილეებს მოუხდებათ ბრძოლა არსებობისათვის ავადმყოფობების, განათლების ნაკლებობის, არასათანადო კვებისა და თავშესაფრის არქონის გამო.

ნაწილი II: ქველმოქმედება (10 წუთი)

1. უთხარით მოთამაშეებს, რომ შეუძლიათ გაუნაწილონ თავიანთი მონეტები სხვებს, თუ მათ ამის სურვილი აქვთ. თუმცა ამის გაკეთება არ არის

გლობალური გაყოფა

განვითარებად ქვეყნებში 10-დან 1 ბავშვი იღუპება ვიდრე ის 5 წლის ასაკს მიაღწევს. შედარებისათვის აშშ-ში 165-დან 1 ბავშვი იღუპება 5 წლის შესრულებამდე. 1998 წელს განვითარებად ქვეყნებში მოლიანი 625 მილიონიდან 130 მილიონი ბავშვი ვერ შევიდა დაწყებით სკოლაში, აქედან 73 მილიონი გოგონა იყო.
(iunisefi)
მსოფლიო მოსახლეობის უმდიდრესი ნაწილი რომელიც 1/5-ს შეადგენს მოიხმარს მოლიანი პროდუქციისა და სერვისების კოლოსალურ 86 % მაშინ როდესაც უღარიბესი 1/5 ნაწილი მოიხმარს 1%-ს.

სიცოცხლის მოსალოდნელი ხანგრძლივობა დაბადებისას 1995- 2000 წლებში

ჩვილის დაბადებისას სიცოცხლის ხანგრძლივობა იმის მაჩვენებელია, თუ რამდენი წელი შეიძლება იცოცხლის ახალშობილმა, თუკი მისი სიცოცხლის განმავლობაში სიკვდილიანობის დონე ივივე იქნება, რაც მისი დაბადების დროს იყო.

გაერო განვითარების პროგრამის 2001 წლის მოხსენება:
იაპონია: 80.5
ნორვეგია: 78.1
ირლანდია: 76.1
საბერძნეთი: 78.0
ჩეხეთის რესპუბლიკა: 74.3
რუსეთის ფედერაცია: 66.1
მალდივის კუნძულები: 65.4
სამხრეთ აფრიკა: 56.7
ეკვატორიული გვინეა: 50.0
ზიმბაბვე: 42.9
ზამბია: 40.5
სიერა ლეონე: 37.3

სიცოცხლის მოსალოდნელი ხანგრძლივობის უმაღლეს და უდაბლეს მაჩვენებლებს შორის განსხვავება არის 43.2 წელი!

სავალდებულო. განუმარტეთ, რომ ვინც მოწყალებას გასცემს ქველმოქმედის წოდებას დაიმსახურებს და მისი სახელი ჩაიწერება "საპატიო ქველმოქმედთა" სიაში.

2. მიეცით მონაწილეებს 3-4 წუთი მონეტების გასანაწილებლად, თუ ამის სურვილი აქვთ.
3. იკითხეთ ვინ გასცა მოწყალება და რა რაოდენობით. ჩაწერეთ მათი სახელები "საპატიო ქველმოქმედთა" სიაში.
4. იკითხეთ, თუ შეიცვალა ვინმემ კატეგორია მონეტების მიღების, ან გაცემის შემდეგ და ცვლილებები დააფიქსირეთ ცხრილში ისრების საშუალებით.

ნაწილი III: ეკონომიკური სამართლიანობის უზრუნველყოფა (40 წუთი).

1. დაყავით მოთამაშეები 3 ჯგუფად მონეტების რაოდენობის მიხედვით (დიდი სიმდიდრე, საშუალო სიმდიდრე და უმნიშვნელო სიმდიდრე).
2. შეიყვანეთ თითოეულ ჯგუფში ერთი იმიგრანტი. მიაქციეთ ყურადღება მათ რეაქციებს ამა თუ იმ ჯგუფში მოხვედრასთან დაკავშირებით. დისკუსია ამ საკითხის გარშემო გამართეთ ანალიზზე გადასვლის მომენტისათვის.
3. დაარიგეთ ფანქრები და კალმისტრები. თითოეულ ჯგუფს მიეცით დავალება შეიმუშაონ მონეტების (მსოფლიო სიმდიდრე) სამართლიანი გადანაწილების თავიანთი გეგმა, რათა შემცირდეს ბზარი სიმდიდრისა და ძალაუფლების სხვადასხვა კატეგორიებს შორის. თითოეული ჯგუფის მოქმედების გეგმამ უნდა:
   - აჩვენოს, რისი გაკეთებაა საჭირო (თუკი ამის საჭიროება არსებობს),
   - აღწეროს რის გაკეთებას გეგმავს ჯგუფი და რატომ,
   - განმარტოს, რატომ დაამკვიდრებს სამართლიანობის სწორედ მისი გეგმა.
4. მიეცით ჯგუფებს 10 წუთი გეგმის შესამუშავებლად. განმარტეთ, რომ გეგმა არ უნდა იყოს ძალზე დეტალური. აქცენტი უნდა გაკეთდეს ზოგიერთ ღონისძიებაზე, რომლებიც მათ დაეხმარებათ სიღარიბის პრობლემის გადაჭრაში.
5. თითოეულმა ჯგუფმა უნდა აირჩიოს წარმომადგენელი, რომელიც აუხსნის დანარჩენებს გეგმის არსს და პასუხს გასცემს შეკითხვებს. ჩამოწერეთ შემოთავაზებული გეგმები დიდი ზომის ფურცელზე.
6. გამოაცხადეთ, რომ გეგმის შერჩევა მოხდება კენჭისყრით. ხმები განაწილდება შემდეგნაირად:
   - თითოეული მონაწილეს ჯგუფიდან "დიდი სიმდიდრე და ძალაუფლება" ექნება 5 ხმა,
   - თითოეული მონაწილეს ჯგუფიდან "საშუალო სიმდიდრე და ძალაუფლება" – 2 ხმა,
   - თითოეული მონაწილე ჯგუფიდან "მცირე სიმდიდრე და ძალაუფლება" – ნახევარი ხმა.
7. ჩაატარეთ კენჭისყრა. ჩამოწერეთ ყველა გეგმისათვის მიცემული ხმების რაოდენობა დიდ ფურცელზე. გამოაცხადეთ რომელმა გეგმამ გაიმარჯვა.
8. განახორციელეთ გამარჯვებული გეგმა და საჭიროების შემთხვევაში გადაანაწილეთ სიმდიდრე.

ანალიზი და შეფასება

დაიწყეთ მოკლე გამოკითხვით სავარჯიშოს შესახებ, როგორ მოეწონათ ის მონაწილეებს. შემდეგ გადადით განხილვაზე, რა მოხდა და რა ისწავლეს მონაწილეებმა. დისკუსიის წარმართვისათვის გამოიყენეთ შეკითხვები:

- რა გრძნობები აღძრა მოთამაშეებში მონეტების მოპოვებისა და განაწილების მეთოდებმა? თვლიან, რომ სამართლიანად მოექცნენ?
- რატომ გასცა ზოგიერთმა მონაწილემ მონეტები? პატივისათვის? დამნაშავედ იგრძნეს თავი? რაიმე სხვა მოსაზრებით?
- რას გრძნობდნენ მოთამაშეები, რომლებმაც თამაშის II ნაწილში მიიღეს მონეტები? მადლიერებას? გრძნობდნენ შემწყნარებლურ დამოკიდებულებას დონორების მხრიდან?
- რას იტყვით წინდებიანი მონაწილეების შესახებ? რა ტიპის ადამიანებს წარმოადგენენ ისინი? რომელ ჯგუფში აღმოჩნდნენ საბოლოოდ?
- რისი თქმა შეიძლება სამ "იმიგრანტზე", რომლებიც გადანაწილდნენ ჯგუფებში? თვლიან, რომ სამართლიანად მოექცნენ? როგორ ფიქრობთ, ის, რაც მათ შეემთხვათ, არის იმ შემთხვევების მსგავსი, რაც რეალურად ემართებათ ადამიანებს მთელ მსოფლიოში? რომელ ადამიანებს? ჩვენი ბედი მხოლოდ შემთხვევაზეა დამოკიდებული?
- რა განსხვავებები არსებობდა სამართლიანი გადანაწილების შემოთავაზებულ გეგმებს შორის? რამდენად შეესაბამებოდა თითოეული ჯგუფის მიერ წარმოდგენილი გეგმა ამ ჯგუფის კეთილდღეობის დონეს?
- რატომ ჰქონდა ზოგიერთ მოთამაშეს მეტი ხმის უფლება, ვიდრე დანარჩენებს? რამდენად ზუსტად წარმოადგენდა ეს მსოფლიოში ძალაუფლების გადანაწილების რეალურ სურათს?
- ირღვევა ადამიანის უფლებები სიმდიდრისა და ძალაუფლების მსგავსი არათანაბარი გადანაწილების შედეგად? თუ ირღვევა, რომელი უფლებები?
- ვინ ითვლება "შეძლებულ" და "უპოვარ" ადამიანად მსოფლიოში, თქვენს ქვეყანაში, თქვენს მხარეში? როგორ აღმოჩნდნენ ამ მდგომარეობაში?
- უნდა აწუხებდეთ თუ არა "შეძლებულებს" "უპოვართა" ბედი? რა მიზეზით? უსაფრთხოების, ეკონომიკური, მორალური/რელიგიური თუ პოლიტიკური მიზეზით? რატომ უნდა დაეხმარონ მატერიალურად შეძლებული ადამიანები ხელმოკლე ადამიანებს? გადაჭრის ეს გზა სიღარიბის პრობლემას?
- რისი გაკეთება შეუძლიათ ხელმოკლე ადამიანებს თავიანთი მდგომარეობის გასაუმჯობესებლად? რა ზომებს ღებულობენ ღარიბები მთელ მსოფლიოში და კონკრეტულად თქვენ ქვეყანაში სიმდიდრისა და ძალაუფლების უთანასწორო გადანაწილების შესამცირებლად?
- ფიქრობთ, რომ მსოფლიოში უნდა მოხდეს სიმდიდრისა და ძალაუფლების ხელახალი გადანაწილება? რატომ კი, ან რატომ არა? თუ კი, როგორ გესახებათ ამის მიღწევა? რა პრინციპებით იხელმძღვანელებდით ამ ცვლილებების შემუშავების დროს?
- შესაძლებელია, რომ ადამიანის უფლებების დაცვის აუცილებლობა გახდეს სიმდიდრის ახლებური გადანაწილების წინაპირობა?

რჩევები ხელმძღვანელებისათვის

ამ სავარჯიშოს მიზანია უკეთ გააცნოს მონაწილეებს მსოფლიოში სიმდიდრისა და ძალაუფლების უთანასწორო გადანაწილება, მაგრამ არსებობს საფრთხე, რომ შესაძლოა, მხოლოდ განამტკიცოს არსებული უთანასწორობა. ამდენად, ყურადღება უნდა მიაქციოთ ჯგუფის სოციალურ და ეკონომიკურ შემადგენლობას და ამის გათვალისწინებით წარმართოთ დისკუსია.

ეცადეთ ახალგაზრდები ისე გაიტაცოს თამაშმა, რომ რეალურად "იმოქმედონ", თითქოს, მონეტები მართლაც მთელი მათი სიმდიდრე იყოს. უთხარით, რომ შეუძლიათ დაიტოვონ მონეტები და შესვენების დროს ამ ფულით "იყიდონ" სასმელი ან ნამცხვარი.

ხაზი გაუსვით, რომ, თუ ისინი გასცემენ რამოდენიმე მონეტას, ისევე, როგორც რეალურ ცხოვრებაში, დაკარგავენ სიმდიდრისა და გავლენის ნაწილს და ზოგიერთ პრივილეგიას, რომელიც სიმდიდრეს მოაქვს.

თუ მეტისმეტად ცხელა იმისათვის, რომ წინდები ატარონ, გამოიყენეთ სხვა საშუალება, რათა აშკარა გახდეს ზოგიერთი მოთამაშის მეტი სიმდიდრე და ძალაუფლება სხვებთან შედარებით. მაგალითად, ზოგიერთი მონაწილეს შეიძლება ნება დართოთ თამაშს შეურთდეს დაწყებიდან 15-30 წამის შემდეგ. შეიძლება მოთამაშეებს შეუკრათ ერთი ხელი და დაუმაგროთ ზურგზე – თუ ისინი ცაციები არიან მოუწევთ მარჯვენა ხელით თამაში და პირიქით.

ანალიზისა და შეფასებისათვის გამოყენებული კითხვები რთული და კომპლექსურია და მოსალოდნელია, რომ გამოიწვიოს ხანგრძლივი დისკუსია. თუ დრო ცოტა გაქვთ, ან ჯგუფი დიდია, შეიძლება დაანაწილოთ შეკითხვები მცირე ჯგუფებში. ჯგუფები კომბინირებული უნდა იყოს, ანუ შედგებოდეს ყველა ქონებრივი სტატუსის მქონე მოთამაშეებისგან. ყურადღება მიაქციეთ, რომ ქვეჯგუფებში განხილულმა კითხვებმა გაიჟღერონ პლენარულ სხდომაზეც. ამგვარად, თითოეულ მონაწილეს მიეცემა საშუალება მოისმინოს და გაიაზროს ყველა განხილული საკითხი.

შენიშვნა: ეს სავარჯიშო ადაპტირებულია წიგნის "ეკონომიკური და სოციალური სამართლიანობა ადამიანის უფლებათა თვალსაწიერიდან" მასალებზე დაყრდნობით (1999, მინესოტას უნივერსიტეტი, ადამიანის უფლებათა რესურსცენტრი)

წინადადებები გაგრძელებისათვის

შეგიძლიათ გააგრძელოთ თემის განხილვა, ან თხოვოთ მონაწილეებს დაწერონ ანგარიში. შეთავაზეთ სავარაუდო თემები:

- **რა გავლენას ახდენს სიმდიდრე და ძალაუფლება ადამიანის უფლებების პატივისცემაზე და ადამიანურ ღირსებაზე?**
- **არსებობენ პასუხისმგებლობები, რომლებიც ასოცირდება სიმდიდრესა და ძალაუფლებასთან?**

ჯგუფმა შეიძლება მოისურვოს სიღარიბის თემაზე მუშაობის გაგრძელება და განიხილოს ზოგიერთი მისი შედეგი "სიღარიბის ჰოროსკოპის" შესრულების საშუალებით. (გვ. 280).

იდეები მოქმედებისათვის

დაუკავშირდით იმ ორგანიზაციებს, რომლებიც მუშაობენ თქვენი საზოგადოების არაპრივილეგირებულ, დაუცველ ფენებთან, რათა გაერკვეთ მათ მოთხოვნილებებში. შემდეგ გააგრძელეთ პროექტის დაგეგმარება მათთვის დახმარების გაწევის მიზნით.

ზოგჯერ უბრალოდ ინფორმაციის გავრცელება პრობლემატური საკითხის შესახებ, ცვლილებისაკენ წინგადადგმული ნაბიჯია. ამდენად, შეიძლება ურჩიოთ მონაწილეებს, წამოჭრან სიმდიდრის გადანაწილების საკითხი მშობლებთან და მეგობრებთან.

gadadgi nabiji win

„ყველაფერი იწყება სხვა ადამიანის უფლებებიდან
და ჩემი უსასრულო მოვალეობიდან პატივი ვცე მათ“
ემანუელ ლევინა

თემები

diskriminacia

siRaribe

adamianis zogadi uflebebi

სირთულე

done 1
done 2
done 3
done 4

მონაწილეთა რაოდენობა



10 _ 30

ხანგრძლივობა

60 wuTi

თემები დისკრიმინაცია და ქსენოფობია, სიღარიბე, ადამიანის ზოგადი უფლებები

სირთულე დონე 2

მონაწილეთა რაოდენობა 10 – 30

ხანგრძლივობა 60 წუთი

მიმოხილვა ჩვენ ყველა თანასწორუფლებიანები ვართ, მაგრამ ზოგი სხვაზე მეტად თანასწორუფლებიანია. ამ სავარჯიშოში მონაწილეები თავის თავზე განიცდიან, როგორია საზოგადოებაში სხვის ადგილზე ყოფნა. განსახილველი საკითხები:

- სოციალური უთანასწორობა, რომელიც ხშირად დისკრიმინაციისა და სოციალური გაუცხოების წყაროა
- თანაგრძნობა და მისი საზღვრები

მიზნები

- განსხვავებული ადამიანების მიმართ თანაგრძნობის დამკვიდრება
- ყურადღების გამახვილება შესაძლებლობების უთანასწორობაზე საზოგადებაში
- გაგების გრძნობის გამოწვევა გარკვეული სოციალური უმცირესობების ან კულტურული ჯგუფების წევრობის მიმართ.

მასალა

- ბარათი-როლები
- ღია სივრცე (კორიდორი, დიდი ოთახი ან ეზო)
- მაგნიტოფონი ან მუსიკალური ცენტრი და წყნარი, დამამშვიდებელი მუსიკა.

მომზადება

- წაიკითხეთ სავარჯიშო ყურადღებით. გადახედეთ “სიტუაციების და მოვლენების” სიას და მიუსადაგეთ ის ჯგუფს, რომელთანაც თქვენ მუშაობთ.
- დაამზადეთ ბარათი-როლები, თითოეული მონაწილისათვის. გააკეთეთ “სიტუაციების და მოვლენების” ადაპტირებული ასლი ხელით ან ასლის გადამღები აპარატით. დაჭერით ის ცალკე გრაფებად და გადაკეცეთ ამოჭრილი ფურცელი ისე რომ ტექსტი არ ჩანდეს.

ინსტრუქციები

1. შექმენით მყუდრო გარემო წყნარი მუსიკის ფონზე, ან თხოვეთ მონაწილეებს დაიცვან სიჩუმე.
2. დაურიგეთ თითო მონაწილეს თითო ბარათი-როლი და განუმარტეთ შეინახონ ისე, რომ არავინ დაინახოს მათი როლები.
3. თხოვეთ მოთამაშეებს დასხდნენ (სასურველია იატაკზე) და წაიკითხონ თავიანთი როლები.
4. თხოვეთ დაიწყონ როლში შესვლა. დახმარებისთვის წაიკითხეთ ქვემოთ მოყვანილი შეკითხვებიდან რამოდენიმე, თითოეული შეკითხვის შემდეგ გააკეთეთ პაუზა, რათა მოთამაშეებს ჰქონდეთ დრო დაფიქრდნენ და წარმოიდგინონ საკუთარი თავი და ცხოვრება მოცემულ როლში.
   - როგორი ბავშვობა გქონდათ? როგორ სახლში ცხოვრობდით? რა თამაშებს თამაშობდით? სად მუშაობდნენ თქვენი მშობლები?
   - როგორია ამჟამად თქვენი ყოველდღიური ცხოვრება? როგორია თქვენი სოციალური გარემო? რას აკეთებთ დილით, შუადღეს, საღამოს?
   - რა სახის ცხოვრებას ეწევით? სად ცხოვრობთ? რა შემოსავალი გაქვთ ყოველთვიურად? რას აკეთებთ თავისუფალ დროს? როგორ ატარებთ არდადეგებს?
   - რა გხიბლავთ და რისი გეშინიათ?
5. ახლა თხოვეთ მოთამაშეებს შეინარჩუნონ აბსოლუტური სიმშვიდე და როგორც სასტარტო ხაზზე, ისე განლაგდნენ ერთმანეთის გვერდიგვერდ.
6. უთხარით მონაწილეებს, რომ აპირებთ სიტუაციებისა და მოვლენების სიის ხმამაღლა წაკითხვას. თითოეულ გამონათქვამზე ყოველი დადებითი პასუხის გაცემის შემთხვევაში მათ უნდა გადადგან ერთი ნაბიჯი წინ. წინააღმდეგ შემთხვევაში ისინი გაუნძრევლად რჩებიან ადგილზე.
7. წაიკითხეთ სიტუაციები სათითაოდ. გამონათქვამებს შორის გააკეთეთ პაუზები: მიეცით მოთამაშეებს დრო ნაბიჯის წინ გადმოსადგმელად და გარშემო თვალის მოსავლებად, რათა შეადარონ საკუთარი და სხვების პოზიციები.
8. საბოლოოდ, სთხოვეთ ყველას დაიმახსოვრონ თავისი პოზიციები. შემდეგ მიეცით ორიოდე წუთი როლიდან გამოსვლისათვის, ვიდრე პლენარულ სხდომაზე შეიკრიბებოდეთ შედეგების შესაჯამებლად.

ანალიზი და შეფასება

დაიწყეთ სავარჯიშოს ზოგადი მიმოხილვით და ეცადეთ გაარკვიოთ, როგორია მონაწილეების შთაბეჭდილებები და გრძნობები. შემდეგ გადადით წამოჭრილი საკითხების განხილვაზე და ნასწავლის შეჯამებაზე.

1. როგორი შეგრძნება გეუფლებოდათ მოთამაშეებს ერთი ნაბიჯით წინ წაწევის ან ადგილზე გაჩერების დროს?
2. რა მომენტში შეამჩნიეს მათ, ვინც ხშირად დგამდა ნაბიჯს წინ, რომ სხვები არ მიჰყვებოდნენ მათ ტემპს?
3. დარჩა ვინმეს ისეთი შთაბეჭდილება, რომ იყო მომენტები, როდესაც მათი ძირითადი უფლებების უგულვებელყოფა ხდებოდა?
4. შეუძლიათ მონაწილეებს გამოიცნონ ერთმანეთის როლები? (დისკუსიის ამ ეტაპზე ნება დართეთ მოთამაშეებს გაამჟღავნონ თავიანთი როლები)
5. რამდენად ძნელი, ან იოლი იყო ამა თუ იმ როლის შესრულება? როგორი წარმოუდგენიათ მათ ის ადამიანი, ვის როლსაც ასრულებდნენ?

ესანიშნავი თარიღი

8 დეკემბერი
მიგრანტების
ორისო დღე

6. არის თუ არა სავარჯიშო გარკვეულწილად საზოგადოების სარკე? რა სახით?
7. ადამიანის რომელი უფლებები დადგა კითხვის ნიშნის ქვეშ თითოეული როლის შესრულების დროს? შეუძლია ვინმეს თქვას, რომ მისი უფლებები არ იყო დაცული, ან, რომ მათთვის არ იყო ეს უფლებები ხელმისაწვდომი?
8. რა შეიძლება იყოს საზოგადოებაში უთანასწორობის წინააღმდეგ გადადგმული პირველი ნაბიჯები?

რჩევები ხელმძღვანელებს

თუ ამ სავარჯიშოს შენობის გარეთ ატარებთ, დარწმუნდით, რომ ყველა მონაწილეს ესმის თქვენი ხმა, განსაკუთრებით მაშინ, თუ ჯგუფი დიდია. შესაძლოა თანახელმძღვანელების დახმარებაც დაგჭირდეთ თქვენი განცხადებების ყველა მონაწილემდე მისატანად.

თამაშის დასაწყისში, წარმოსახვის ეტაპზე, შესაძლოა ზოგიერთმა მოთამაშემ განაცხადოს, რომ ძალიან ცოტა რამ იცის იმ ადამიანის ცხოვრების შესახებ, ვისი როლიც უნდა შეასრულოს. აუხსენით, რომ ამას არა აქვს განსაკუთრებული მნიშვნელობა, მათ შეუძლიათ საკუთარი ფანტაზიის გამოყენება და თამაში შეძლებისდაგვარად.

თამაშის ზემოქმედება იმაში მდგომარეობს, რომ თვალნათლივ ჩანს მონაწილეების შორის მანძილის ზრდა, განსაკუთრებით თამაშის ბოლოს, როდესაც დისტანცია ძალიან დიდია მათ შორის, ვინც ხშირად გადადგა ნაბიჯი წინ და ვინც ადგილზე რჩებოდა. ამ ეფექტის გასაძლიერებლად მნიშვნელოვანია როლების ადაპტირება ისე, რომ აისახოს მონაწილეების ცხოვრების რეალიები. ამავე დროს, ამის გაკეთება ისე მოახერხეთ, რომ მხოლოდ მინიმალური რაოდენობის მონაწილეებს ჰქონდეთ ნაბიჯის წინ გადადგმის საშუალება (ანუ "დიახ" პასუხის გაცემის საშუალება). ეს წესი უნდა დაიცვათ მაშინაც, როდესაც დიდ ჯგუფთან მუშაობთ და ბევრი როლების გამოგონება გიხდებათ.

ანალიზისა და შეფასების დროს მნიშვნელოვანია იმის გარკვევა, საიდან იცოდნენ მონაწილეებმა იმ პერსონაჟის შესახებ, რომლის როლიც შეასრულეს. ეს მათი პირადი გამოცდილების შედეგი იყო, თუ ინფორმაციის სხვა წყაროების გავლენა (ახალი ამბები, წიგნები და ანეკდოტები)? დარწმუნებული არიან, რომ ის ინფორმაცია, რაც პერსონაჟების შესახებ გააჩნიათ საიმედოა? ამ გზით თქვენ შეგიძლიათ აჩვენოთ, როგორ მკვიდრდება ცნობიერებაში სტერეოტიპები და პრეკონცეფციები.

სავარჯიშო განსაკუთრებით აქტუალურია სხვადასხვა თაობის უფლებებსა (სამოქალაქო და პოლიტიკური, ერთის მხრივ, და სოციალური, ეკონომიკური და კულტურული – მეორეს მხრივ) და მათ ხელმისაწვდომობას შორის პარალელების გავლების თვალსაზრისით. სიღარიბისა და სოციალური მარგინალიზაციის პრობლემები არ არის მხოლოდ უფლებების პრობლემა, თუმცა ეს უკანასკნელი მწვავედ დგას, მაგალითად, ლტოლვილებისა და თავშესაფრის მაძიებლების წინაშე. ძალიან ხშირად პრობლემა მდგომარეობს ამ უფლებებისადმი ეფექტური მიდგომის არარსებობაში.

ვარიანტები

dasarigebeli masala

ეფექტური გზაა თავდაპირველად მცირე ჯგუფებში მუშაობა და შემდეგ ყველა მონაწილის შეკრება პლენარულ სხდომაზე აზრთა გაზიარებისათვის. თუ ამ გზას აირჩევთ, თანახელმძღვანელების დახმარება თითქმის აუცილებელია. სცადეთ ამ მეთოდის გამოყენება მცირე ჯგუფებში და დაიწყეთ ანალიზის II ნაწილით – ანუ როცა როლები გამჟღავნებულია. თხოვეთ მონაწილეებს დაფიქრდნენ, ვის აქვს მათ საზოგადოებაში უფრო მეტი ან ნაკლები შანსები და შესაძლებლობები, და რა ნაბიჯების გადადგმაა შესაძლებელი და აუცილებელი უთანასწორობის პრობლემის გადასაჭრელად? ან თხოვეთ მონაწილეებს განიხილონ ერთი პერსონაჟის მაგალითი და განსაზღვრონ რისი გაკეთება შეიძლება მისთვის, ანუ რა მოვალეობები და პასუხისმგებლობები აკისრიათ ამ პიროვნების მიმართ პირადად მათ, საზოგადოებას და მთავრობას.

წინადადებები გაგრძელებისათვის

იმ სოციალური კონტექსტიდან გამომდინარე, რომელშიც თქვენ მუშაობთ, შეიძლება მოისურვოთ ზოგიერთი კულტურული და სოციალური უმცირესობების დამცველი ჯგუფების წარმომადგენლების მიწვევა მოთამაშეებთან სასაუბროდ. გაარკვიეთ, რისთვის იბრძვიან ისინი მოცემულ მომენტში და როგორ შეგიძლიათ თქვენ და ახალგაზრდებს მათი დახმარება. ასეთი შეხვედრა კარგი შესაძლებლობაა ზოგიერთი იმ სტერეოტიპისა და პრეკონცეფციის განსახილველად, რომლებიც დისკუსიის დროს წამოიჭრა.

თუ ჯგუფი მოისურვებს მეტი ინფორმაციის მიღებას განათლების სფეროში არსებული უთანასწორობის და ამ პრობლემის წინააღმდეგ მიღებული ზომების შესახებ, მიმართეთ სავარჯიშოს "განათლება ყველასათვის?" (გვ. 130).

იდეები ქმედებისათვის

ისარგებლეთ წინა თავში მოცემული იდეებით. მოიფიქრეთ, როგორ შეგიძლიათ თქვენ და თქვენ ჯგუფს, სოციალურ და კულტურულ უმცირესობებთან მომუშავე ჯგუფებისა და ორგანიზაციების დაეხმარება და თქვენი იდეების ცხოვრებაში გატარება.

ბარათი-როლები

თქვენ ხართ უმუშევარი მარტოხელა დედა	თქვენ ხართ პარტიის ახალგაზრდული ორგანიზაციის პრეზიდენტი (თქვენი პარტია ამჟამად ხელისუფლების სათავეშია)
თქვენ ხართ ადგილობრივი ბანკის მენეჯერის ქალიშვილი	თქვენ ხართ ჩინელი იმიგრანტის ვაჟი რომელსაც სწრაფი კვების წარმატებული ბიზნესი აქვს.
თქვენ ხართ არაბი მუსულმანი გოგონა რომელიც ცხოვრობს თავის ღრმად რელიგიურ მშობლებთან	თქვენ ხართ ამერიკელი ელჩის ქალიშვილი და ცხოვრობთ იმ ქვეყანაში სადაც მამათქვენია წარგზავნილი
თქვენ ხართ არმიის ჯარისკაცი რომელიც იხდის სავალდებულო სამხედრო სამსახურს	თქვენ ხართ წარმატებული იმპორტ-ექსპორტის კომპანიის მფლობელი
თქვენ ხართ ახალგაზრდა ინვალიდი კაცი რომელსაც მხოლოდ ინვალიდის ეტლით შეუძლია გადაადგილება	თქვენ ხართ ფეხსაცმელების ქარხნის პენსიონერი მუშა
თქვენ ხართ 17 წლის ბოშა გოგონა რომელსაც არ დაუმთავრებია დაწყებითი სკოლა	თქვენ ხართ ახალგაზრდა ნარკომანი მხატვრის მეგობარი გოგონა
თქვენ ხართ შიდსის ვირუსით ინფიცირებული საშუალო ასაკის მეძავი	თქვენ ხართ 22 წლის ლესბოსელი
თქვენ ხართ სკოლის უმუშევარი მასწავლებელი და თავისუფლად ვერ ფლობთ იმ ქვეყნის ახალ სახელმწიფო ენას რომელშიც თქვენ ცხოვრობთ	თქვენ ხართ აფრიკული წარმოშობის მოდელი
თქვენ ხართ 24 წლის ლტოლვილი ავღანეთიდან	თქვენ ხართ 27 წლის უსახლკარო ახალგაზრდა კაცი
თქვენ ხართ არალეგალური იმიგრანტი მალიდან	თქვენ ხართ შორეული მთიანი სოფლის ფერმერის 19 წლის ვაჟი

გადადგი ნაბიჯი წინ

სიტუაციები და მოვლენები

წაიკითხეთ შემდეგი სიტუაციები ხმამაღლა. თითოეული სიტუაციის წაკითხვის შემდეგ მიეცით მონაწილეებს დრო გადადგან ნაბიჯი წინ და მიმოიხედონ რათა დააკვირდნენ რამდენად შორს წავიდნენ სხვებთან შედარებით.

- თქვენ არასოდეს დამდგარხართ რაიმე ფინანსური სირთულეების წინაშე.
- თქვენ ნორმალური საცხოვრებელი გაქვთ ტელეფონის ხაზით და ტელევიზორით
- თქვენ ხედავთ რომ თქვენ მშობლიურ ენას, რელიგიას და კულტურას პატივს ცემენ იმ საზოგადოებაში რომელშიც ცხოვრობთ.
- თქვენ გრძნობთ რომ თქვენ აზრს სოციალურ და პოლიტიკურ საკითხებზე აფასებენ და თქვენ გისმენენ
- სხვები აზრს გეკითხებიან სხვადასხვა საკითხებთან დაკავშირებით.
- თქვენ არ გეშინიათ რომ პოლიცია გაგაჩერებთ
- თქვენ იცით ვის მიმართოთ რჩევისა და დახმარებისათვის თუ დაგჭირდათ
- თქვენ არასოდეს განგიცდიათ დისკრიმინაცია თქვენი წარმომავლობის გამო
- თქვენ გაქვთ ადექვატური სოციალური და სამედიცინო დაცვა
- თქვენ შეგიძლიათ დასასვენებლად წასვლა წელიწადში ერთხელ.
- თქვენ შეგიძლიათ მოიპატიჟოთ მეგობრები სადილზე სახლში
- თქვენ საინტერესო ცხოვრება გაქვთ და კარგ მომავალს ელოდებით
- თქვენ გრძნობთ რომ შეგიძლიათ ისწავლოთ და ემსახუროთ თქვენს მიერ არჩეულ პროფესიას.
- თქვენ არ გეშინიათ ქუჩაში ან მედიის მხრიდან თავდასხმის ან შეურაცყოფის.
- თქვენ შეგიძლიათ მონაწილეობა მიიღოთ ეროვნულ ან ადგილობრივ არჩევნებში
- თქვენ შეგიძლიათ იზეიმოთ ყველაზე მნიშვნელოვანი რელიგიური დღესასწაულები თქვენ ნათესავებთან და ახლო მეგობრებთან ერთად.
- თქვენ შეგიძლიათ მონაწილეობა მიიღოთ საერთაშორისო სემინარში საზღვარგარეთ
- თქვენ შეგიძლიათ წახვიდეთ კინოში ან თეატრში სულ მცირე კვირაში ერთხელ.
- თქვენ არ გაშინებთ თქვენი ბავშვების მომავალი
- თქვენ შეგიძლიათ იყიდოთ ახალი ტანსაცმელი სულ მცირე 3 თვეში ერთხელ.
- თქვენ შეგიძლიათ შეიყვაროთ თქვენი რჩეული
- თქვენ გრძნობთ რომ თქვენი კომპეტენცია დაფასებულია და პატივს ცემენ იმ საზოგადოებაში რომელშიც ცხოვრობთ.
- თქვენ შეგიძლიათ გამოიყენოთ და ისარგებლოთ ინტერნეტით.

ganaTleba yvelasaTvis?



თემები განათლება, გლობალიზაცია, მოქალაქეობა

სირთულე დონე 2

მონაწილეთა რაოდენობა 6 - 30

ხანგრძლივობა 90 წუთი

მიმოხილვა ამ სავარჯიშოს მონაწილეები ეძებენ დაწყვილებულ ბარათებს და უფიქრდებიან საგანმანათლებლო შესაძლებლობების უთანასწორობას მთელ მსოფლიოში და შესაძლებლობას მივაღწიოთ "განათლებას ყველასათვის".

შესაბამისი უფლებები
- განათლების უფლება
- პიროვნების სრულად განვითარების უფლება
- თანასწორობის უფლება სქესისა და სოციალური სტატუსის მიუხედავად

მიზნები
- განათლების განხილვა ადამიანის უფლებების ჭრილში
- მსოფლიოში ხარისხიანი განათლების მიღების შესაძლებლობის კრიტიკულად ანალიზი
- პასუხისმგებლობის გრძნობის სტიმულირება მიზნის - "განათლება ყველასათვის" მისაღწევად.

მასალა
- ბარათების კომპლექტი 3-4 წევრიანი ჯგუფისათვის
- თითოეული 3-4 წევრიანი ჯგუფისათვის 2 მაგარი ფურცელი ან თხელი მუყაო (A4 ზომის) და წებო (არ არის აუცილებელი, მაგრამ სასურველია)
- მაკრატელი
- ფურცლები და კალმისტრები II ნაწილში ჩანაწერების გასაკეთებლად.

მომზადება
- გაეცანით ბარათების შინაარსს
- გააკეთეთ სათამაშო ბარათების ასლები და გამძლეობისთვის დააწებეთ ისინი მაგარ ფურცელზე. ამოჭერით 40 ბარათი. კარგად აურიეთ, რათა შეწყვილებული ბარათები ერთად არ მოხვდნენ.

ინსტრუქციები

სავარჯიშო გაყოფილია 2 ნაწილად: I ნაწილი, თამაში მეხსიერების განვითარებისათვის და II ნაწილი, საკითხების გაშუქება.

ნაწილი I. თამაში მეხსიერების განვითარებისათვის (10 წუთი)

1. განმარტეთ რომ სულ 20 შეწყვილებული ბარათი არსებობს. თითოეული წყვილი შედგება დასურათებული ბარათისა და განცხადება-ბარათისაგან. სავარჯიშოს ამოცანაა წყვილების მაქსიმალური რაოდენობის გამოცნობა და მათი ერთად დალაგება. ბარათებზე მოცემული ტექსტები ეხება ან მსოფლიო განათლების ფორუმის ამოცანებს, რომლებიც ითვალისწინებენ

მიზნის - "განათლება ყველასათვის" განხორციელებას, ან ადამიანის ზოგად უფლებებსა და განათლებას.

2. აუხსენით მონაწილეებს თამაშის წესები. მოთამაშეებმა უნდა შექმნან მცირე, 3-4 წევრიანი ჯგუფები და დააწყონ ბარათები პირით იატაკზე. მონაწილეები მორიგეობით ატრიალებენ 2 ბარათს. თუ ერთ-ერთი (ან ორივე) ბარათი განცხადება-ბარათია, მოთამაშე მთელ ჯგუფს ხმამაღლა უკითხავს ტექსტს. თუ ბარათები შეწყვილებულია მოთამაშე ინახავს მათ და კიდევ ერთ სვლას აკეთებს. თუ ბარათები არაა შეწყვილებული, მაშინ მოთამაშე ატრიალებს მას პირით დაბლა ზუსტად იმ ადგილზე აწყობს სადაც მანამდე იდო. მომდევნო სვლას აკეთებს შემდეგი მოთამაშე და ატრიალებს 2 ბარათს. ეს სავარჯიშო მეხსიერების თამაშია, რადგანა მონაწილეებმა უნდა დაიმახსოვრონ სად რა ბარათი დევს, რათა შეძლონ წყვილების ამორჩევა.
3. მოგებულია ის მოთამაშე, რომელსაც თამაშის ბოლოს ყველაზე მეტი დაწყვილებული ბარათი აქვს.

ნაწილი II. საკითხების გაშუქება (60 წუთი)

1. ჩამოწერეთ განსახილველი საკითხების სია. თხოვეთ მოთამაშეებს წაიკითხონ სათაურები მათი განცხადება-ბარათიდან (და არა მთლიანი განცხადება) და დაწერეთ ისინი დაფაზე.
2. შეთავაზეთ ჯგუფს გამოყოს 4-დან 6-მდე მათთვის ყველაზე საინტერესო საკითხი.
3. დაყავით ჯგუფი 4-5 წევრიან ქვეჯგუფებად. თხოვეთ თითოეულ ქვეჯგუფს აირჩიოს 2 საკითხი, რომელზე მსჯელობაც ყველაზე მეტად სურთ. (ეცადეთ მოაწყოთ ისე რომ 2-მა სხვადასხვა ჯგუფმა ისაუბროს ერთსა და იმავე საკითხზე, რათა მეტი იდეები დაიბადოს. ეს ნიშნავს, რომ ქვეჯგუფებს მოუხდებათ მოილაპარაკონ, თუ რომელ საკითხებზე უნდა იმსჯელონ).
4. როდესაც შეთანხმდებიან და აირჩევენ საკითხებს, მიეცით ჯგუფს 20 წუთი, მათ მიერ არჩეული ორი საკითხის განსახილველად. ბარათის შინაარსიდან გამომდინარე დისკუსიის მიმართულება მცირედ განსხვავებული იქნება. თუ ბარათზე მოცემულია შეკითხვა, მას პასუხი უნდა გაეცეს. თუ მასზე განცხადებაა, მონაწილეებმა უნდა მოამზადონ კრიტიკული კომენტარი.
5. 20 წუთის შემდეგ მოიწვიეთ მონაწილეები პლენარულ სხდომაზე მოხსენების გასაკეთებლად. განიხილეთ თითოეული საკითხი რიგრიგობით. მიეცით ჯგუფს სულ 5 წუთი კომენტარებისათვის და გამოყავით არა უმეტეს 5 წუთისა შეკითხვებისათვის.
6. მას შემდეგ, რაც ყველა ჯგუფი გააკეთებს მოხსენებას, გადადით ანალიზზე და შეფასებაზე.

ანალიზი და შეფასება

თქვენ უკვე უკან მოიტოვეთ საკმაოდ ნაყოფიერი დისკუსია მოცემული საკითხების გარშემო, ასე რომ ახლა შეუდექით თავად თამაშის შეფასებას და გაარკვიეთ რა ისწავლეს მონაწილეებმა.

- მოეწონათ მოთამაშეებს მეხსიერების თამაში?
- კარგი შესავალი იყო განათლების საკითხებზე მსჯელობის დასაწყებად?

- როგორ წარიმართა დისკუსიები ჯგუფში? ყველამ იგრძნო, რომ მათ ჰქონდათ მონაწილეობის მიღების საშუალება?
- ძალიან ბევრი პრობლემა დაგროვდა? არის "განათლება ყველასათვის" შესაძლებელი?
- რა შეგიძლიათ გააკეთოთ თქვენ, თქვენმა ჯგუფმა, საზოგადოებამ "განათლება ყველასათვის" მიზნის მისაღწევად თქვენ ქვეყანაში და/ან განვითარებად ქვეყნებში?

ღირშესანიშნავი თარიღი

8 იანვარი
განათლების მსოფლიო დღე

რჩევები ხელმძღვანელებს

ამ მეთოდის გამოყენების დანიშნულებაა შემოიტანოს სიხალისის ელემენტი დისკუსიისათვის საჭირო ინფორმაციის მოპოვების პროცესში.

ეს საკმაოდ მარტივი სავარჯიშოა სახელმძღვანელოდ. უბრალოდ წაიკითხეთ ყველა ბარათი სავარჯიშოს დაწყებამდე. გადაამოწმეთ, რომ კარგად იცით რომელი ბარათი რომელთან წყვილდება, რათა თამაშის დროს შეგეძლოთ მიმართულების მიცემა და დადასტურება, რომ წყვილები სწორადაა შერჩეული. თამაშის წესების განმარტების დროს, შეგიძლიათ ინსტრუქციების ილუსტრირება ერთ-ერთი წყვილი ბარათის ჩვენებით.

ზოგიერთი ბარათი შეიცავს აბრევიატურებს მაგ. WEF (მსოფლიო განათლების ფორუმი). მონაწილეებისათვის თამაშის გაცნობის დროს აუცილებლად ახსენით რას ნიშნავს ეს ასოები (ქვემოთ იხ. "დამატებითი ინფორმაცია")

მონაწილეების ყურადღება მიაქციეთ იმ ფაქტს, რომ ბარათების 1/3 შეიცავს "განათლება ყველასათვის" მიზნებთან დაკავშირებულ განცხადებებს რომელიც გააკეთა მსოფლიო განათლების ფორუმმა 2000 წ. აპრილში დაკარში, სენეგალი. დანარჩენი ბარათები ეხება ადამიანის უფლებების და განათლების საკითხებს ან ამოცანებს, რომელთა გადაწყვეტაც აუცილებელია რათა მიღწეულ იქნას ხარისხიანი განათლების უზრუნველყოფა ყველასათვის.

ვარიანტები

თუ II ნაწილის შესასრულებლად საკმარისი დრო აღარ დაგრჩათ, შეგიძლიათ გამოიყენოთ სავარჯიშოში - "ერთი წუთით" (გვ. 180) შემოთავაზებული მეთოდი. თხოვეთ მონაწილეებს აირჩიონ ერთ-ერთი საკითხი თავიანთი ბარათიდან და ისაუბრონ მის შესახებ 1 წუთის განმავლობაში დაყოვნების ან გამეორების გარეშე. ეს კარგი არჩევანია, თუ ხედავთ, რომ ჯგუფს ესაჭიროება ზეპირი მეტყველების და პრეზენტაციის უნარ-ჩვევების გაუმჯობესება.

წინადადებები გაგრძელებისათვის

ზოგიერთი საკითხი, რომელიც წამოიჭრება მეხსიერების თამაშში, შეიძლება გაგრძელდეს სხვა სავარჯიშოებში. მაგალითად თუ გაინტერესებთ განათლების და სხვა სოციალური მოთხოვნების დაფინანსების საკითხები და მისი შედარება შეიარაღებაზე გამოყოფილ სახსრებთან, შეგიძლიათ შეასრულოთ სავარჯიშო "სახარჯო ფული" (გვ. 274), ბავშვების სამუშაო ძალად გამოყენების და განათლების მიუწვდომლობის საკითხები შეგიძლიათ განიხილოთ "აშიკის ისტორიის" (გვ. 100) მაგალითზე.

იდეები მოქმედებისათვის

ბარათები ნათელს ფენს უამრავ პრობლემას, რომელიც ხელს უშლის პროექტის - "განათლება ყველასათვის" განხორციელებას. ჯგუფმა შემდგომი

კვლევისათვის უნდა აირჩიოს ერთ-ერთი ამ პრობლემათაგან, რათა იპოვოს პრობლემის გადაჭრის გზები და საბოლოოდ იმოქმედოს მათ შესაბამისად. ამ საკითხებში რჩევების მისაღებად მიმართეთ მე-3 თავს - "მოქმედებაზე გადასვლა".

რატომა არ უნდა მიწეროთ წერილი პარლამენტარებს და კითხოთ მათ, რას აკეთებს თქვენი ქვეყანა იმ მიზნების მისაღწევად, რომლებიც დაისვა განათლების მსოფლიო ფორუმზე?

damatebiTi informacia

განათლების უფლება ერთერთი აღიარებული სოციალური და ეკონომიკური უფლებაა. მაგრამ, როდესაც სახელმწიფოები ერთის მხრივ აღიარებენ და მზადყოფნას აცხადებენ ყველასათვის უფასო დაწყებითი განათლების უზრუნველყოფაზე, მეორეს მხრივ რეალობა აჩვენებს, რომ უფასო განათლება არის არა ყველასათვის, არამედ რჩება მხოლოდ უმცირესობის პრივილეგიად.

ამ პრობლემის გასადაჭრელად 2000 წელს საერთაშორისო საზოგადოებრიობა შეიკრიბა სენეგალში განათლების მსოფლიო ფორუმზე. კონფერენციის მიზანი იყო 1990-იან წლებში მიღწეული პროგრესის განხილვა დაწყებითი განათლების უზრუნველყოფასთან დაკავშირებით და ახალი ძალების მოკრება "განათლება ყველასათვის" მისაღწევად. 164 ქვეყნის დაახლოებით 1100-მა წარმომადგენელმა მიიღო დაკარის ჩარჩო-მოქმედების გეგმა, რომელიც ითვალისწინებდა 2015 წლისათვის ხარისხიანი დაწყებითი განათლების უზრუნველყოფას ყველასათვის. იუნესკოს დაეკისრა მთელი პასუხისმგებლობა მსოფლიოს ყველა საერთაშორისო მონაწილის კოორდინირებასა და გლობალური მოძრაობის მყარ განვითარებაზე.

აღიარებული იქნა, რომ სხვადასხვა ქვეყნები სხვადასხვა პრობლემების წინაშე დგანან. მაგალითად, ზოგიერთ ქეყანას არა აქვს საკმარისი რესურსები, ზოგს კი არ გააჩნია პოლიტიკური ნება. კონფერენციის ერთ-ერთი შედეგი იყო იმის აღიარება, რომ "განათლება ყველასათვის" მიზნის მისაღწევად და შესანარჩუნებლად საჭიროა ქვეყნებს შორის ფართო პარტნიორული ურთიერთობების დამყარება, რომელსაც ზურგს გაუმაგრებს რეგიონალურ და საერთაშორისო ორგანიზაციებსა და ინსტიტუტებს შორის თანამშრომლობა.

ამ შეხვედრის დროს ხაზი გაესვა 21 საუკუნეში განათლების სასიცოცხლო მნიშვნელობას მყარი განვითარების, მშვიდობის, საზოგადოების ეფექტური საქმიანობის და ძლიერი ეკონომიკის შექმნისათვის.

განათლების მსოფლიო ფორუმის შედეგი, რომელიც განსაკუთრებული აღნიშვნის ღირსია, იყო სპეციფიური მიზნების დასახვა გარკვეული ვადების ფარგლებში და იმ მოქმედებების აღწერა, რომელიც ყველა დონეზე უნდა განხორციელდეს, რათა მიღწეულ იქნას მიზანი - განათლება ყველასათვის. იქნება თუ არა ეს მიზნები მიღწეული, ხოლო მოქმედებები ცხოვრებაში გატარებული, დამოკიდებულია, თუ რამდენად ექნება ყველა პიროვნებას საზოგადოების ყველა დონეზე შეგნებული "განათლება ყველასათვის" მნიშვნელობა და იბრძოლებენ თუ არა ისინი მის მისაღწევად.

ინფორმაციის წყარო: „iunesko: განათლება ყველასათვის. განათლების მსოფლიო ფორუმის დასკვნითი მოხსენება, 2000 წ."

ფული და განათლება

რესურსების ნაკლებობა მთავარი საფრთხეა "განათლება ყველასათვის". ფინასური საშუალე-ბების გარეშე მთავრობები ვერ შეასრულებენ თავიანთ დანაპირებს "განათლება ყველასათვის" პროექტთან დაკავშირებით. ეს ასევე არის სტანდარტების საკითხიც. მასწავლებლების დაბალი ანაზღაურება და სასწავლო მასალების სიმცირე ასევე ხელს უშლის განათლების ხარისხს. რესურსების გარეშე განათლებას აზრი არა აქვს. არ არის ფული, ე.ი. არ არის განათლებაც! ეთანხმებით ამ აზრს?

გლობალიზაცია და განათლება

ვინც ფიქრობს რომ გლობალიზაციას მხოლოდ პროგრესი მოაქვს განათლებისათვის ახალი ტექნოლოგიების შემოტანის საშუალებით, ცდება! ვაჭრობის ლიბერალიზაციის სწრაფი ტემპის შედეგებმა და გლობალიზაციისათვის დამახასიათებელმა სტრუქტურული მოწყობის საჭიროებამ საფრთხე შეუქმნა რამოდენიმე ქვეყნის, უპირატესად კი განვითარებადი ქვეყნების ბიუჯეტის საშემოსავლო ნაწილს. ასეთ პირობებში ძირითადი დარტყმა განათლების დაფინანსებაზე მოდის.

კვება და განათლება

განვითარებად ქვეყნებში მტკიცედ სჯერათ რომ საკვები და განათლება ურთიერთდაკავშირე-ბულია: მშიერ სტუდენტს არ შეუძლია ადექვატურად კონცენტრირება.
მშობლები ხშირად იყენებენ საკვებს როგორც სტიმულს ბავშვების სკოლაში გასაგზავნად. ბავშვებს რომ არ კვებავდნენ სკოლაში მაშინ მათ სკოლის ნაცვლად სამუშაოდ გაუშვებდნენ.

განათლება და ინტერნეტი

ბევრ ქვეყნებში საინფორმაციო ტექნოლოგიები გადაიქცა განათლების პროცესის ცენტრალურ ნაწილად. მას უდიდესი მნიშვნელობა ენიჭება სამეცნიერო და საშინაო სამუშაოებისათვის. ბევრი ეთანხმება იმ აზრს რომ ინტერნეტმა ახალი გზები გახსნა განათლებისათვის მაგრამ მან ასევე გადაკეტა ზოგიერთი გზა. უფსკრული განვითარებად და განვითარებულ ქვეყნებს შორის კიდევ უფრო გაიზარდა. ბევრ ქვეყნებში არათუ კომპიუტერი, ელექტროენერგიაც კი არა აქვთ.

განათლება და ალკოჰოლი

ბევრ სკოლაში/უნივერსიტეტში ალკოჰოლის მოხმარება დიდ პრობლემას წარმოადგენს. ის ხელს უშლის სტუდენტებს სწავლაში და ზრდის ძალადობის შემთხვევებს.
სკოლების უმრავლესობაში აკრძალულია ალკოჰოლის შეტანა სკოლების ტერიტორიაზე მაგრამ როგორც ჩანს ეს არაა ეფექტური.
როგორ ფიქრობთ რა უნდა გაკეთდეს ამ პრობლემის გადასაჭრელად?

საუნივერსიტეტო (უმაღლესი და დიპლომის შემდგომი განათლება)

ადამიანის უფლებების კანონის მიხედვით სახელმწიფოები ვალდებული არიან უზრუნველყონ მხოლოდ უფასო დაწყებითი განათლება. მათი ვალდებულება არ ვრცელდება უმაღლეს ან დიპლომის შემდგომ განათლებაზე.
უნდა გავრცელდეს თუ არა სახელმწიფოს ვალდებულება საუნივერსიტეტო დონეზე? თუ კი, არის თუ არა ეს მოთხოვნა რეალისტური?

მასწავლებლები და განათლება

მასწავლებლების /ლექტორების დონე ზოგჯერ პრობლემას წარმოადგენს. მათ შეიძლება არ ჰქონდეთ საკმარისი გამოცდილება ან წვრთნა რათა იყვნენ უმაღლესი კატეგორიის პედაგოგები. არსებობს მოწოდება რომ დაწესდეს მინიმალური მოთხოვნები მასწავლებლებისათვის/ლექტორებისათვის
როგორიცაა მასწავლებლის დიპლომი სკოლის მასწავლებლებისათვის და დოქტორის ხარისხი უნივერსიტეტის ლექტორებისათვის. არის ეს მოთხოვნები რეალისტური თუ ისინი მხოლოდ გაზრდიან მასწავლებლების დეფიციტის პრობლემას?

განათლება და ეკოლოგია

ევროპული ქვეყნების მოსახლეობის უმრავლესობის ცხოვრების სტილი არამდგრადია. იმისათვის რომ ხალხმა გააკეთოს გაზრებული არჩევანი თავის ცხოვრების სტილის შეცვლის შესახებ მათ უნდა გაითვალისწინონ ეკოლოგიური ურთიერთკავშირები, ეკონომიკა, პოლიტიკა და ისტორია. მათ ესაჭიროებათ კულტურათაშორისი უნარჩვევები და პასუხისმგებლობისა და ზრუნვის ფასეულობები. როგორ ჩართავდით მდგრადი განვითარების საკითხებს განათლების პროგრამაში?

უფასო განათლება

მთავრობებს ევალებათ უზრუნველყონ უფასო დაწყებითი განათლება ყველასათვის. მაგრამ რეალობა სხვაგვარია: ბევრ ქვეყნებში თუ ოჯახს არა აქვს საშუალება გადაიხადოს სწავლის საფასური ან /და შეიძინოს სასწავლო მასალები ბავშვებს სკოლაში ვერ გაუშვებენ.

დისციპლინა და განათლება

სკოლები და უნივერსიტეტები სხვადასხვა ქვეყნებში სხვადასხვა საშუალებებს იყენებენ დისციპლინის დასამყარებლად. ეს მეთოდები მოიცავს ფიზიკურ დასჯას, მეცადინეობიდან გაგდებას, დამატებით სამუშაოს, გარიცხვას და მონაწილეობას სკოლის ან კოლეჯის საბჭოში. თქვენი აზრით რა არის საუკეთესო მიდგომა საგანმანათლებლო სისტემაში დისციპლინის დასმყარებლად?

ქალები და განათლება
განვითარებად ქვეყნებში სკოლებში დადიან გოგონების 78% მაშინ როდესაც ეს მაჩვენებელი ბიჭების შემთხვევაში 86%.
სკოლის გარეთ დარჩენილი ბავშვების დაახლოებით 60 % გოგონები არიან.
მსოფლიო განათლების ფორუმის ერთერთი მიზანი არის გენდერული დისბალანსის აღმოფხვრა პირველადი და მეორადი განათლების სისტემაში 2005 წლისათვის და განათლების სფეროში გენდერული თანასწორობის მიღწევა 2015 წლისათვის.

მშვიდობა და განათლება
"მშვიდობა იწყება სახლში"
საგანმანათლებლო ინსტიტუტები ხშირად სტუდენტების მეორე სახლად არის მიჩნეული. თუ ეს ასეა, მაშინ მშვიდობის შესახებ განათლება უნდა იყოს ფორმალური განათლების პროგრამის ნაწილი და მას ასევე ყურადღება უნდა მიექცეს არაფორმალიზებულ სექტორში. როგორ ჩართავდით განათლებას მშვიდობის შესახებ ფორმალურ სასწავლო პროგრამაში?

განათლება და თანასწორუფლებიანობა
სკოლამდელი განათლების ზღვრები მერყეობს თითქმის 100%-დან (ბერმუდაში, მალაიზიაში, ბელგიაში და შვეიცარიაში) 2 ან ნაკლებ პროცენტამდე (საომარი მოქმედებების და ეკონომიკური პრობლემების მქონე ქვეყნებში).
მსოფლიო განათლების ფორუმის ერთერთი მიზანი არის ყველა ახალგაზრდისა და ზრდასრული მოქალაქის განათლების მოთხოვნილების დაკმაყოფილება სათანადო სასწავლო და ცხოვრებისეული უნარჩვევების პროგრამებში ჩართვის თანასწორი შესაძლებლობების მიცემის საშუალებით.

სპორტი და განათლება
ა) სპორტი არ უნდა იყოს სავალდებულო მთელი სკოლის პერიოდში. თუ დრო არ რჩება სხვა საგნებისათვის მათ უნდა მიენიჭოთ უპირატესობა სპორტთან შედარებით.
ბ) სპორტი მუდმივად უნდა იყოს წარმოდგენილი მთელი სკოლის პერიოდში. ის ასწავლის ბევრ ისეთ რაღაცას, რაც სხვა საგნებს არ შეუძლიათ, როგორიცაა თანამშრომლობა. სულისა და სხეულის ჰარმონიული განვითარება.
თქვენ რომელ განცხადებას ეთანხმებით?

განათლება და შეიარაღება
მიუხედავად იმისა რომ განათლება და შეიარაღება განიხილება როგორც 2 სხვადასხვა სფერო, რეალურად ისინი მჭიდრო კავშირში არიან. ბევრ მაღალი დონის შეიარაღების ქვეყანაში ბიუჯეტის დიდი ნაწილი გამოყოფილია შეიარაღების ხარჯებზე და საკმარისი ფინანსები აღარ რჩება სოციალური სექტორისათვის, განსაკუთრებით კი განათლებისათვის.

სოციალური გაუცხოება და განათლება
ყველა ვერ იქნება ჩართული სახელმწიფო საგანმანათლებლო სისტემაში. ქუჩის ბავშვები, ღარიბი ბავშვები, სრულ განაკვეთზე მომუშავე ბავშვები ჩვეულებრივ არ არიან უზრუნველყოფილი სახელმწიფო სასკოლო სისტემის მიერ. რუმინეთში ფონდი "უკან, სკოლისაკენ" ზრუნავს სახლელმწიფო სისტემის გარეთ დარჩენილ ბავშვებზე – აძლევს მათ განათლების შანსს და უკეთესი სამუშაოს შოვნის შესაძლებლობას ცხოვრების მოგვიანებით ეტაპებზე.

განათლება და უმცირესობები
უმცირესობების ჩარიცხვა სკოლებში უნივერსიტეტებში საერთო პრობლემაა მრავალკულტურული საზოგადოებებისათვის. ამასთანავე პიროვნების დისკრიმინაციის შემთხვევები, რელიგიური და ენობრივი განსხვავებები ბევრ პრობლემას უჩენს განათლების სისტემას. როგორ მოახდენდით სისტემისა და სასწავლო პროგრამის ადაპტაციას ისე, რომ მან დააკმაყოფილოს უმცირესობების უფლებები?

უწყვეტი განათლება
მოზრდილების განათლება დიდი პრობლემას წარმოადგენს იმ ქვეყნებში სადაც დაწყებითი განათლებაც კი არ არის. მსოფლიო განათლების ფორუმის ერთერთი მიზანი არის 2015 წლისათვის მოზრდილთა განათლების დონის გაუმჯობესება 50%-ით.
ბევრი ევროპული ქვეყანას აქვს აღებული ვალდებულებები "უწყვეტი განათლების" მიმართულებით. მიუხედავად ამისა ისინი ვერ ახერხებენ ადექვატური განათლების მიწოდებას მოზრდილებისათვის. როგორ ფიქრობთ რა უნდა იყოს მთავრობის საგანმანათლებლო პროგრამის პრიორიტეტები?

ადამიანის უფლებათა შესახებ განათლება
ადამიანის უფლებათა შესახებ განათლება ფორმალურ, არაფორმალურ და არაფორმალიზებულ სექტორებში მთავრობის მოვალეობად ითვლება. მაშინ რატომ უნდა აიღონ სამოქალაქო საზოგადოებაში არასამთავრობო ორგანიზაციებმა ის პასუხისმგებლობები რაც წესით მთავრობას ეკისრება?

შიდსი/HIV ინფექცია
" პირველი მოსაგები ბრძოლა შიდსის წინააღმდეგ ომში არის სიჩუმის კედლის დანგრევა და მისი გარემომცველი სტიგმის/ლაქის მოცილება ". (კოფი ანანი). საჭიროა დაირღვეს სიჩუმე დისკრიმინაციისათვის ბოლოს მოსაღებად და მისი შემდგომი გარცელების შესაჩერებლად. შიდსი/ IV კრიზისი უნდა მოთავსდეს ეროვნული საგანმანათლებლო დღის წესრიგის ცენტრში. რა შეიძლება გაკეთდეს შიდსი/ IV ინფექციასთან საბრძოველად საგანმანათლებლო ინსტიტუტებში?

gansxvavebuli xelfasebi

თანაბარი ანაზღაურება ერთგვარი სამუშაოსთვის!

თემები

socialuri uflebebi

genderuli Tanasworoba

diskriminacia

სირთულე

done 1
done 2
done 3
done 4

მონაწილეთა რაოდენობა



4 da meti

ხანგრძლივობა

60 wuTi

თემები სოციალური უფლებები, გენდერული თანასწორობა, დისკრიმინაცია და ქსენოფობია

სირთულე დონე 2

მონაწილეთა რაოდენობა 4 და მეტი

ხანგრძლივობა 90 წუთი

მიმოხილვა ეს არის სიმულირებული სიტუაცია, რომელიც მონაწილეებს აყენებს შრომის ბაზრის რეალობის წინაშე და ეხება შემდეგ საკითხებს:

- განსხვავებული ხელფასები ერთიდაიგივე სამუშაოს შესრულებისთვის
- სამსახურეობრივი დისკრიმინაცია
- ახალგაზრდა თანამშრომლებისათვის დაბალი ანაზღაურების პოლიტიკა

შესატყვისი უფლებები

- სამართლიანი ანაზღაურების უფლება
- ერთგვარი სამუშაოსათვის თანაბარი ანაზღაურების უფლება
- უფლება, რომ პიროვნება არ იყოს დისკრიმინირებული სქესისა და ასაკის საფუძველზე

მიზნები

- მონაწილეებისათვის შრომის ბაზრის რეალიების გაცნობა.
- გაანალიზება, არის თუ არა დაშვებული დისკრიმინაცია სქესისა და ასაკის საფუძველზე
- სოლიდარობის, თანასწორუფლებიანობისა და სამართლიანობის დამკვიდრება

მასალა

- "მუშების ხელფასების ტარიფების" ერთი ასლი
- თითო სამკერდე ყოველი მონაწილისთვის.
- კალმისტრები
- ფული. შეგიძლიათ გამოიყენოთ ევროს ნიმუშები

მომზადება

- მოამზადეთ სამკერდეები, რომელზეც მითითებული უნდა იყოს მუშების სქესი და ასაკი. დაეყრდენით მუშების ხელფასების ტარიფების სიას
- მოიფიქრეთ, რა სახის სამუშაო უნდა შეასრულონ მონაწილეებმა. შეაგროვეთ ყველანაირი ინსტრუმენტები, რომლებიც შეიძლება მოთამაშეებს დასჭირდეთ.

ინსტრუქციები

1. აუხსენით მონაწილეებს, რომ ისინი არიან მუშები და მოუწევთ გარკვეული სამუშაოს შესრულება მათი დამქირავებლისათვის (თქვენთვის!) სანერვიულო არაფერია, მათი შრომა ანაზღაურებული იქნება.
2. დაურიგეთ თითოეულ მონაწილეს თითო სამკერდე.
3. განმარტეთ ამოცანის არსი და გადაამოწმეთ, გაიგო თუ არა ყველამ რა უნდა გააკეთოს.
4. სთხოვეთ მონაწილეებს დაიწყონ მუშაობა!
5. ამოცანის შესრულების შემდეგ, სთხოვეთ მონაწილეებს ჩადგნენ რიგში ანაზღაურების მისაღებად. გადაუხადეთ თითოეულს მათი ასაკისა და სქესის შესაბამისად მუშების ხელფასების ტარიფების სიის მიხედვით. ფული გადათვალეთ ხმამაღლა, რათა ყველამ გაიგონოს ვის რამდენი გადაუხადეს.
6. თუ მონაწილეები უკმაყოფილებას გამოთქვამენ, ან შეკითხვებს დასვამენ, მოიყვანეთ მოკლე "მიზეზები", მაგრამ ერიდეთ დისკუსიაში ჩაბმას.
7. დაეყრდენით საკუთარი მსჯელობის უნარს იმის გადასაწყვეტად, თუ რა ზღვრამდე შეგიძლიათ მიხვიდეთ, მაგრამ, როგორც კი იგრძნობთ, რომ სიტუაცია იძაბება, მაშინვე შეჩერდით. ყველას მიეცით დრო დამშვიდებისა და როლიდან გამოსვლისათვის. შემდეგ დასხედით წრეში ანალიზის გასაკეთებლად.

ანალიზი და შეფასება

დისკუსია დაყავით ეტაპებად. დაიწყეთ თავად მოდელირებული სიტუაციის მიმოხილვით:

- როგორი შეგრძნება გქონდათ, როდესაც უფრო მეტი (ან ნაკლები) ანაზღაურება მიიღეთ, ვიდრე სხვა მუშებმა, მაშინაც კი, როდესაც ყველა ერთიდაიმავე სამუშაოს ასრულებდა?
- რატომ მიიღო ზოგმა მუშამ უფრო მეტი (ან ნაკლები) ანაზღაურება სხვებთან შედარებით? რატომ მოხდა ასე?
- როგორი გრძნობა გქონდათ, როდესაც უფრო მეტი ანაზღაურება მიიღეთ ვიდრე სხვა მუშებმა? და როდესაც უფრო ნაკლები ანაზღაურება მიიღეთ ვიდრე სხვა მუშებმა?
- აქვს ასეთი სახის დისკრიმინაციას ადგილი თქვენი ქვეყნის სამუშაო ბაზარზე?

შემდეგი საუბარი შეეხება ანაზღაურებას სქესის მიხედვით:

- შეიძლება ქალისა და მამაკაცის მიერ ერთნაირი სამუშაოს შესრულებისთვის, სხვადასხვა ანაზღაურება გამართლებული იყოს? რატომ? რატომ არა? როდის?
- თუ მამაკაცი უკეთ ასრულებს სამუშაოს ვიდრე ქალი? არის ეს საკმარისი მიზეზი იმისათვის, რომ ქალს ნაკლები გადაუხადონ?
- თუ მამაკაცი უფრო კვალიფიციურია ვიდრე ქალი, ნიშნავს თუ არა ეს, რომ მამაკაცს მეტი უნდა გადაუხადონ?
- ფიქრობთ, რომ არსებობს სამუშაო, რომელიც მხოლოდ მამაკაცმა უნდა შეასრულოს? რატომ? რატომ არა? თუ კი, რომელია ეს სამუშაო?
- ფიქრობთ, რომ არსებობს სამუშაო, რომელიც მხოლოდ ქალმა უნდა შეასრულოს? რატომ? რატომ არა? თუ კი, რომელია ეს სამუშაო?

- ფიქრობთ, რომ პოზიტიური დისკრიმინაცია შეიძლება გამართლებული იყოს სოციალური დამოკიდებულებების შესაცვლელად?

ბოლოს, გადადით ანაზღაურებაზე ასაკის მიხედვით:

- არსებობს თუ არა თქვენ ქვეყანაში სხვადასხვა ანაზღაურების პოლიტიკა სხვადასხვა ასაკის მიხედვით? თუ არა, ფიქრობთ, რომ უნდა იყოს?
- რა არის ასეთი სახის პოლიტიკის გატარების ლოგიკური საფუძველი, განსაკუთრებით ახალგაზრდების შემთხვევაში?
- როგორია თქვენი აზრი ასეთი პოლიტიკის მიმართ? სწორია? არ არის სწორი? საჭიროა? არ არის საჭირო? განმარტეთ მიზეზები.

ღირშესანიშნავი თარიღი

1 მაისი
მშრომელთა საერთაშორისო სოლიდარობის დღე

რჩევები ხელმძღვანელებს

დიდი შანსია, რომ თქვენ მოგიხდებათ ამ სავარჯიშოს ადაპტირება. თუ გსურთ, რომ დაამატოთ, ან ამოშალოთ სიიდან ზოგიერთი მუშა, გადაამოწმეთ, რომ ამით არ არღვევთ სქესისა და ასაკობრივი კატეგორიების ბალანსს. თუ ჯგუფი დიდია, ან გინდათ დისკუსიაში ჩაღრმავება დისკრიმინაციის ორი სხვადასხვა ტიპის გარშემო, კარგი იქნებოდა ჯგუფის ორ ქვეჯგუფად გაყოფა. ამის შემდეგ, ერთ ჯგუფს შეიძლება დაევალოს სქესის საფუძველზე არსებული დისკრიმინაციის, ხოლო მეორეს - ასაკობრივ საფუძველზე არსებული დისკრიმინაციის შესახებ მსჯელობა.

რა სახის ამოცანებია შესაფერისი ამ სავარჯიშოსათვის? ყველა მუშას უნდა დაევალოს ერთნაირი სამუშაოს შესრულება. ამასთანავე, აირჩიეთ ისეთი საქმე, რომელსაც რამოდენიმე ადამიანი გააკეთებს ერთსა და იმავე დროს, რათა სხვებისთვის მოსაწყენი არ გახდეს "მუშების" ცქერა. იფიქრეთ შემდეგ საკითხებზე:

- თუ სავარჯიშოს ჩატარება გინდათ შენობის გარეთ, გაძლევთ სეზონი ამის საშუალებას?
- გაქვთ საკმარისი სივრცე?
- შეძლებენ სხვადასხვა ასაკის და სქესის მონაწილეები თანაბრად დაძლიონ მოცემული სამუშაო?
- არის ის უსაფრთხო?
- ხომ არ იგრძნობენ მონაწილეები თავს უხერხულად, ან ხომ არ იტყვიან უარს სავარჯიშოს შესრულებაზე ეთიკური მოსაზრებების გამო?
- რა დრო დასჭირდება სავარჯიშოს?
- ესაჭიროება მას ბევრი უნარ-ჩვევების ქონა?
- როგორ შეიძლება გაიმეოროთ სავარჯიშო თავიდან რამდენჯერმე?

სამუშაოს ნიმუშები:

- დაფის გაწმენდა და მასზე მოცემული ფრაზის აკურატულად დაწერა.
- წიგნების თაროდან გადმოლაგება და ყუთში ჩაწყობა. ყუთის გადატანა ოთახის მეორე მხარეს, წიგნების ამოლაგება და სხვა თაროზე დალაგება.
- ქაღალდის თვითმფრინავის ან ქუდის გაკეთება.
- სამი სხვადასხვა სახეობის ფოთლის შეგროვება და მათი დაწებება ფურცელზე
- სიტყვის განმარტების მოძებნა და მისი ჩაწერა. (თუ აირჩევთ ადამიანის უფლებებთან დაკავშირებულ სხვადასხვა სიტყვებს, თამაშის ბოლოს თქვენ ხელთ შეგრჩებათ მოკლე ტერმინოლოგიური ლექსიკონი!)

ანაზღაურების გაცემის დროს, როდესაც განსხვავებული ხელფასების გამო მოგიხდებათ განმარტებების გაკეთება, თქვენ მოგიწევთ "მიზეზების" მოფიქრება. ისინი შეიძლება დაუკავშიროთ რეალურ ფაქტებს ან უბრალოდ მოიფიქროთ სასაცილო პასუხები. მაგალითად:

- ვინც ფეხი წამოკრა ღებულობს ნაკლებს
- ვინც იღიმებოდა და ბედნიერი ჩანდა ღებულობს მეტს
- დღეს სამშაბათია!

ქვემოთ მოყვანილი და მეხუთე თავში მოწოდებული დამატებითი ინფორმაცია მოგცემთ უფრო მეტი იმპროვიზაციის საშუალებას დისკუსიის დროს.

ვარიანტები

თუ გრძნობთ, რომ ამ სავარჯიშოს შესრულება სიტუაციის მოდელირების ფორმით მიუღებელია შეგიძლიათ მოახდინოთ ინფორმაციის ადაპტირება ისე, რომ გამოიყენოთ მხოლოდ დისკუსიისათვის. შეგიძლიათ გააკეთოთ "ანკეტა" თითოეული მუშის შესახებ სამუშაოს, ასაკის, სქესისა და ანაზღაურების მითითებით. ასევე შეგიძლიათ დაამატოთ სხვა დეტალებიც, როგორიცაა – განათლება და სამუშაო გამოცდილება. შეგიძლიათ წარმოადგინოთ სხვადასხვა მუშის რამოდენიმე კონკრეტული შემთხვევის დეტალური განხილვა. თუმცა, უნდა გახსოვდეთ, რომ მხოლოდ დისკუსია ვერ გამოიწვევს ისეთ ძლიერ ემოციურ რეაქციას, როგორსაც მოახდენს სიტუაციის მოდელირების.

წინადადებები გაგრძელებისათვის

თუ ჯგუფს მოეწონა როლების შესრულება და მოისურვებს პროფკავშირების როლის განხილვას მუშათა უფლებების დაცვაში სამართლიანი ანაზღაურებისა და პირობების მოთხოვნით, შეგიძლიათ შესთავაზოთ მათ სავარჯიშო "პროფკავშირების შეხვედრები" (გვ. 241).

დამატებითი ინფორმაცია

არათანაბარი ანაზღაურების საკითხი განსხვავებულად დგას სხვადასხვა ქვეყნებში; განსხვავებები შეინიშნება იმისდა მიხედვით, ეხება ეს ასაკობრივ თუ სქესობრივ დისკრიმინაციას. გენდერული დისკრიმინაცია სხვა არაფერია, თუ არა ქალების დისკრიმინაციის ფაქტი. ქალები ისტორიულად განიცდიდნენ ჩაგვრას სოციალურ, პოლიტიკურ და ეკონომიკურ სფეროებში. ქალების მიმართ სამსახურებრივი დისკრიმინაციის მაგალითებს ეკუთვნის დისკრიმინაცია ვაკანტურ ადგილებზე კანდიდატურის შერჩევისა და ინტერვიუს დროს, დისკრიმინაცია დაწინაურების დროს და ასევე ფაქტი, რომ მათი საშუალო ხელფასი უფრო დაბალია, ვიდრე მამაკაცების. ერთნაირი სამუშაოს შესრულებისთვის ქალებისთვის უფრო ნაკლების გადახდა, ვიდრე მამაკაცებისთვის, წარმოადგენს სამართლიანი ანაზღაურების უფლების დარღვევას.

ასევე ახალგაზრდებმაც, როგორც მუშახელმა, უნდა მიიღონ სამართლიანი ანაზღაურება. თუმცა, ამ შემთხვევაში სიტუაცია რთულია და განსხვავებულია სხვადასხვა ქვეყნებში. უმუშევრობის რაოდენობა ახალგაზრდებში უფრო მაღალია, ვიდრე უფროს თაობებში.

თუმცა, თანაბარ ანაზღაურებაზე თანაბარი სამუშაოს პრინციპი, ზოგადად დაცულია. ახალგაზრდებისათვის გადახდა, ხშირად, სპეციფიურია და ბევრი ქვეყნების პოლიტიკა დასაშვებად მიიჩნევს მათთვის უფროსებზე ნაკლები ანაზღაურების გადახდას ერთნაირი სამუშაოს შესრულებისას. ეს პოლიტიკა გამართლებულია ორი მიზეზის გამო. ერთის მხრივ, მისი მიზანია შეაჩეროს ახალგაზრდების გასვლა სამუშაო ბაზარზე და გაუღვიძოს მათ ინტერესი სწავლისა და კარგი განათლებისადმი. მეორეს მხრივ, დამქირავებელი დაინტრესებული უნდა იყოს, რომ სამუშაოდ აიყვანოს ახალგაზრდები შესაბამისი

სამართლიანი ანაზღაურების უფლება

საერთაშორისო პაქტი ეკონომიკური, სოციალური და კულტურული უფლებების შესახებ, მუხლი 7.

ამ პაქტის მონაწილე სახელმწიფოები აღიარებენ თითეული ადამიანის უფლებას, ჰქონდეს შრომის სამართლიანი და ხელსაყრელი პირობები, რაც, კერძოდ, გულისხმობს:

ა). ანაზღაურებას, რომელიც მშრომელს უზრუნველყოფს სულ მცირე:

1). სამართლიანი ხელფასითა და ტოლფასოვანი შრომისათვის თანაბარი ანაზღაურებით რაიმე ნიშნით განსხვავების გარეშე, კერძოდ, ქალებისათვის ქმნის შრომის ისეთი პირობების გარანტიას, რომელიც მამაკაცის შრომის პირობებზე უარესი არ იქნება,

ევროპის სოციალური ქარტია
მუხლი 7 (5)

ახალგაზრდა მუშების და შეგირდების მიერ სამართლიანი ანაზღაურების ან სხვა შესაბამისი დამატებების მიღების უფლება

მუხლი 7 (5)
მომსახურე ქალთა დისკრიმინაციისაგან დაცვა მომსახურე მამაკაცთა და ქალთა შრომის ანაზღაურების სფეროში.

გამოცდილებისა და პროფესიული ჩვევების გარეშე, მითუმეტეს, მოზარდები, რომელთაც სკოლა მიატოვეს და წინააღმდეგ შემთხვევაში "ქუჩაში დაიკარგებოდნენ", ხიფათს გადაეყრებოდნენ და სახელმწიფოს ტვირთად დააწვებოდნენ. ახალგაზრდების უმუშევრობის შემცირების მიზნით ამ სახის პოლიტიკის წარმატებით გატარება, ყოველ ქვეყანაში განსხვავებულია.

სოციალური უფლებების ევროპული კომისია (ევროპული სოციალური ქარტიის აღმასრულებელი სტრუქტურა) არ განიხილავს ახალგაზრდების დაბალ ანაზღაურებას სამართლიანი ანაზღაურების პრინციპის დარღვევად, თუკი ეს განსხვავება მიზანშეწონილია და მისი დაბალანსება სწრაფად ხდება. მაგალითად: 15-16 წლის ახალგაზრდებისათვის უფროსების საწყის ხელფასზე 30%-ით დაბალი ხელფასი მისაღებად არის მიჩნეული. მაგრამ 16-18 წლის ახალგაზრდებისათვის განსხვავება არ უნდა აღემატებოდეს 20%-ს.

ახალგაზრდების ხელფასები ყოველთვის არაა დაბალი. რეალურად არსებობს ბევრი კარგი განათლების მქონე ახალგაზრდა, რომლებიც გამოიმუშავებენ ბევრ ფულს - ზოგის თვალსაზრისით მეტისმეტად ბევრსაც კი! მაგალითად, ახალგაზრდები ძალზე წარმატებულად მუშაობენ ახალ ტექნოლოგიებზე დაფუძნებულ დარგებში და ღებულობენ ბევრად უფრო მაღალ ანაზღაურებას, ვიდრე საპენსიო ასაკს მიღწეული ადამიანები.

dasarigebeli masala

მუშათა ხელფასების ტარიფები სქესისა და ასაკის მიხედვით

	სქესი	ასაკი	ანაზღაურება ევრო-ვალუტაში
1.	მამაკაცი	35 წლის	100
2.	ქალი	16 წლის	30
3.	მამაკაცი	22 წლის	70
4.	ქალი	32 წლის	90
5.	მამაკაცი	16 წლის	50
6.	ქალი	19 წლის	60
7.	მამაკაცი	26 წლის	100
8.	მამაკაცი	20 წლის	70
9.	ქალი	24 წლის	80
10.	მამაკაცი	37 წლის	100
11.	ქალი	17 წლის	30
12.	ქალი	23 წლის	80

gvaqvs raime alternativa?

"ჩვენ გვადარდებს რა დადგება ჩვენი შვილისგან ხვალ, მაგრამ გვავიწყდება რომ ის დღეს უკვე წარმოადგენს ვიღაცას".

სტაცია ტაუშერი

თემები მშვიდობა და ძალადობა, ბავშვები, დისკრიმინაცია და ქსენოფობია

სირთულე დონე 3

მონაწილეთა რაოდენობა 9 - 24

ხანგრძლივობა 90 წუთი

მიმოხილვა სავარჯიშო არის როლური გათამაშება, რომელიც ეხება შემდეგ საკითხებს:
- პიროვნებათაშორისი ძალადობა
- დაცინვა

შესაბამისი უფლებები
- თავისუფალი და უსაფრთხო ცხოვრების უფლება
- დისკრიმინაციისაგან თავის დაცვის და ღირსების უფლება
- ბავშვებს აქვთ უფლება დაცული და დაფარული იყვნენ საზიანო ქმედებისა და პრაქტიკისაგან, მაგ. ფიზიკური და მენტალური ძალადობისგან

მიზნები
- დაცინვის მიზეზებისა და შედეგების შესახებ ცოდნის გაღრმავება
- პრობლემის გადაჭრის გზების განხილვა
- დაცინვის ობიექტების მიმართ თანაგრძნობის გაჩენა

მასალა
- გასათამაშებელი სცენარების როლები (თითო სცენა თითო ჯგუფზე)
- "დაცინვის ისტორიების" ფურცლის ერთი ასლი

მომზადება
- მოამზადეთ ოთახი, რათა მონაწილეებს საკმარისი ადგილი ჰქონდეთ როლების შესასრულებლად.

ინსტრუქციები

1. გააცანით ჯგუფს სავარჯიშო. განმარტეთ, რომ მათ უნდა იმუშაონ მცირე ჯგუფებში დაცინვის თემასთან დაკავშირებული მოკლე სცენების გასათამაშებლად.



2. თუ საჭიროა, მიუძღვენით მოკლე მსჯელობა იმის გარკვევას, იცის თუ არა ყველამ რა არის დაცინვა და, რომ ის შეიძლება მოხდეს ნებისმიერ სკოლაში ან კოლეჯში, კლუბში თუ სამსახურში.
3. დაყავით მონაწილეები სამ ქვეჯგუფად და გაუნაწილეთ თითო სცენა თითო ჯგუფს. მიეცით მათ 15 წუთი რეპეტიციისა და როლების მომზადებისათვის.
4. როდესაც მზად იქნებიან, სთხოვეთ ჯგუფებს სათითაოდ წარმოადგინონ თავიანთი სცენები
5. შემოინახეთ კომენტარები სცენების წარმოდგენის დამთავრებამდე და შემდეგ შეიკრიბეთ პლენარულ სხდომაზე დისკუსიისათვის.

ანალიზი და შეფასება

დაიწყეთ როლების შესრულების მიმოხილვით.

- საიდან აქვთ ჯგუფებს მასალა, რომელზეც ააგეს თავის როლები? ეს იყო მოთხრობებიდან და ფილმებიდან გადმოტანილი მასალა, თუ საკუთარი გამოცდილების შედეგი?
- იყო სცენები რეალისტური?
- I სცენაში - რა რეპლიკები იყო კონსტრუქციული და რა დაეხმარა სიტუაციის გამოსწორებას და პირიქით, რა იყო ხელის შემშლელი?
- II სცენაში - რამდენად ადვილი იყო გულწრფელი საუბარი მეგობართან, რომელსაც ასევე ახასიათებეს დამცინავი დამიკიდებულება სხვებისადმი. ზოგადად, როგორ სტრატეგიას შეიძლება ჰქონდეს დადებითი გავლენა და როგორს უარყოფითი?
- III სცენაში - რამდენად ადვილია გულწრფელი საუბარი მეგობართან, რომელსაც დასცინეს? რა არის ისეთი გადაწყვეტილების პოვნის საუკეთესო გზა, რომელიც მისაღები იქნება დაცინვის მსხვერპლისათვის?

სთხოვეთ სამ მონაწილეს ხმამაღლა წაიკითხონ სამი „დაცინვის ისტორია“. მოითხოვეთ ზოგადი კომენტარები ამ „ისტორიების“ შესახებ და შემდეგ გადადით დაცინვის მიზეზების და მისი აღმოფხვრის გზების განხილვაზე.

- როგორ გგონიათ, როგორი შეგრძნება ეუფლება ადამიანს, რომელსაც დასცინიან?
- პიროვნება, რომელსაც დასცინიან, არის ამაში დამნაშავე?
- ცდილობენ დამცინავი ადამიანები რაიმეს დამტკიცებას სხვების შეურაცხყოფის საშუალებით?
- არის დაცინვა ძალადობის ფორმა?
- არის დაცინვა ძალასუფლებასთან დაკავშირებული?
- არის დაცინვა გარდაუვალი?
- თუკი თქვენს მეგობარს დასცინიან, ჩააყენებდით თუ არა კომპეტენტურ პირებს საქმის კურსში მაშინაც კი, თუ მეგობარმა საიდუმლოდ გაგანდოთ თავისი პრობლემა?
- რა არის ყველაზე მთავარი პრეკონცეფციები იმ ხალხის მიმართ, რომელსაც დასცინიან?
- ვის ეკისრება პასუხისმგებლობა დაცინვის პრობლემის გაკონტროლებაზე?

რჩევები ხელმძღვანელებისათვის

დაცინვა შეიძლება იყოს პირდაპირი და არაპირდაპირი. პირდაპირი დაცინვა გულისხმობს ისეთ საქციელს, როგორიცაა დამცინავი სახელების დარქმევა,

გამოჯავრება, ხელის კვრა, დარტყმა ან თავდასხმა, ჩანთის ან სხვა ნივთების წართმევა, რელიგიის, კანის ფერის, ინვალიდობის ან ჩვევების გამო ვინმეზე თავდასხმა ან მუქარა. არაპირდაპირი დაცინვა შეიძლება იყოს ჭორების გავრცელება მსხვერპლის სოციალური იზოლაციის მიზნით. ასეთი ქცევები უმეტესად ინიცირებულია ერთი, ან რამდენიმე ადამიანის მიერ, რომელიმე სპეციფიური მსხვერპლის ან მსხვერპლთა წინააღმდეგ. როგორც პირდაპირი, ასევე არაპირდაპირი დაცინვის დროს, ძირითადი კომპონენტი არის ფიზიკური ან ფსიქოლოგიური დაშინება, რაც დროში სისტემატურად მეორდება და ქმნის უწყვეტი ძალადობის, ან შეურაცყოფის ნაკადს.

თუ თქვენ მუშაობთ გაჭირვებულთა დახმარების ჯგუფთან ან კლუბში, კოლეჯსა თუ სამსახურებრივ ადგილებში, შესაძლოა მოისურვოთ ისეთი სცენების არჩევა, რომელიც მიესადაგება კონკრეტულ სიტუაციას. გახსოვდეთ, რომ თქვენივე ჯგუფის ახალგაზრდებს შეიძლება თავად ჰქონდეთ დაცინვის პირადი გამოცდილება. ჩამოაყალიბეთ ჯგუფები და დაანაწილეთ სცენები შესაბამისად.

რჩევები გაგრძელებისათვის

გაარკვიეთ, არსებობს თუ არა რაიმე ადგილობრივი პროგრამა, რომელიც ამზადებს მასწავლებლებს (ახალგაზრდა მოხალისეებს) კონფლიქტების მოსაგვარებლად. სთხოვეთ ამ პროგრამების სპიკერს, გაესაუბროს ჯგუფს და განიხილეთ თქვენს სკოლაში, კოლეჯში, ან კლუბში მსგავსი მედიატორების სისტემის შექმნის შესაძლებლობა.

ჯგუფმა შეიძლება მოინდომოს დაცინვის საწინააღმდეგო პოლიტიკის შემუშავება თავისი სკოლისათვის, ან ორგანიზაციისათვის. სავარჯიშოში „რასიზმის მოგერიება“ (გვ. 247) შემოთავაზებული მეთოდი ანტირასისტული პოლიტიკის შემუშავების შესახებ, რელევანტურია დაცინვის საწინააღმდეგო პოლიტიკის შესაქმნელად.

თუ ჯგუფს მოეწონა როლების შესრულება და მოისურვებს კონფლიქტების მენეჯმენტის საკითხებში უფრო ღრმად ჩახედვას, შეუძლიათ შეასრულონ სავარჯიშო „ითამაშე!“ (გვ. 196).

იდეები გაგრძელებისათვის

იპოვეთ ჯგუფი, ან ასოციაცია, რომელიც თქვენს ქვეყანაში დაცინვის პრობლემებზე მუშაობს და შესთავაზეთ მხარდაჭერა.

თუ განსაკუთრებულად შემოქმედებითი ჯგუფი გყავთ, ურჩიეთ მათ საკუთარი სცენარების დაწერა და შემდეგ მათი დადგმა წარმოდგენისათვის.

ჯგუფის წევრებმა შეიძლება წარმართონ, ან ორგანიზება გაუკეთონ თვიანთ სკოლებში, ან დასახლებაში დებატებს დაცინვის თემაზე.

მეგობრებთან ერთად ჩამოაყალიბეთ ჯგუფი თქვენს სკოლაში, ან დასახლებაში, რათა დაეხმაროთ დაცინვის ობიექტებს.

dasarigbeli masala

სიუჟეტები როლებისათვის

სიუჟეტი 1

სტუდენტი მიმართავს ადმინისტრაციის კომპეტენტურ პირებს და ცდილობს აუხსნას მათ, რომ მის ერთ-ერთ კლასელს დასცინიან. დირექტორი ავტორიტარული და კონსერვატორული პიროვნებაა, ფიქრობს, რომ მორალური სტანდარტები დაეცა და საშინელი ახალგაზრდობა წამოვიდა. კლასის ხელმძღვანელს არ უნდა პასუხისმგებლობის აღება. სხვა მასწავლებლები ვერ აფასებენ პრობლემას სათანადოდ და არ ცნობენ დაცინვის ფაქტს. ადგილობრივი ორგანოების დახმარების სამსახურის წარმომადგენილი შეშფოთებულია, მაგრამ მეტისმეტად გადატვირთულია იმისათვის, რომ დაუყოვნებლივ ჩაერიოს.

სიუჟეტი 2

სტუდენტების ჯგუფი ცდილობს გონს მოიყვანოს მეგობარი, რომელიც დასცინის მათზე უმცროს სტუდენტს

სიუჟეტი 3

სტუდენტები შეკრებილები არიან და საუბრობენ მეგობარზე, რომელსაც დასცინის უფროსი სტუდნტების ჯგუფი. მათ უნდათ დაეხმარონ მეგობარს და მოიფიქრონ ამისათვის შესაფერისი ყველა შესაძლო გადაწყვეტილება.

რეალური ამბები

ამბავი 1

‘მე 12 წლის ვარ და მეზიზღება სკოლაში სიარული იმიტომ რომ არავის არ ვუყვარვარ. ბავშვები გამუდმებით რაღაც სახელებს მარქმევენ. მბობენ რომ მახინჯი და მსუქანი ვარ და რომ ჩემ მშობლებს უნდა რცხვენოდეთ ჩემნაირი შვილი რომ ჰყავთ. ჩემი საუკეთესო მეგობარიც აღარ მელაპარაკება და იმ ბავშვებსაც კი დაუმეგობრდა რომლებიც მე დამცინიან. უკვე ისიც მეზიზღება. საშინელ სიმარტოვეს ვგრძნობ და მეშინია რომ ის რასაც ისინი ჩემ მშობლებზე ამბობენ მართალი არ იყოს.”

როზანა

ამბავი 2

“წელს ახალ კოლეჯში დავიწყე სწავლა და პირველივე დღიდან შევამჩნიე რომ ზოგიერთი გოგო რაღაც დამცინავად მიყურებდა. შემდეგ გავაცნობიერე, რომ ისინი ეჭვიანობდნენ ჩემზე, რადგანაც ბიჭების უმრავლესობა ძალინ მეგობრულად იყო განწყობილი ჩემდამი. ახლა სხვა კოლეჯში მინდა გადასვლა იმიტომ რომ ხშირად ვღებულობ მუქარის ბარათებს. სახლშიც მირეკავენ და შეურაცყოფას მაყენებენ. რამდენჯერმე წიგნებიც კი მომპარეს. გასულ კვირას ტუალეტში რომ შევედი 3 გოგო შემომყვა. მიყვიროდნენ, დანით მემუქრებოდნენ, ქუჩის ქალი მიწოდეს და მითხრეს რომ სადმე სხვაგან გადავსულიყავი სასაწავლებლად. ამის ატანა უკვე აღარ შემიძლია. მეშინია და ძალიან ვბრაზდები. ვცადე დირექტორთან დალაპარაკება მაგრამ ის ნაკლებად დაინტერესდა ჩემი პრობლემით. არ ვიცი როგორ მოვიქცე.”

ლიზბეტი

ამბავი 3

“ჩემმა საუკეთესო მეგობარმა მითხრა რომ ჩვენი სკოლის რამოდენიმე მოსწავლე მას აწუხებდა. რადგანაც მინდოდა რომ მას დავხმარებოდი, გადავწყვიტე წავსულიყავი და დავლაპარაკებოდი მათ. მაგრამ ამის შემდეგ ისინი ზუსტად მეც იგივენაირად მექცევიან. ახლა უკვე ჩვენ ორივეს დაგვცინიან: ბინძურ ხუმრობებს იგონებენ ჩვენზე და ცემით გემუქრებიან. ორივემ გადავწყვიტეთ არავის ვუთხრათ არაფერი, რადგანაც გვეშინია რომ კიდევ უარესი შეიძლება მოხდეს თუ ვინმეს ვუამბობთ ამის შესახებ”.

ანდრეი

globalizaciis terminologiuri leqsikoni

... დაპატარავებული მსოფლიო – ინტერნეტი - საერთაშორისო სავალუტო ფონდი – ვაჭრობა – აგრესიული დემონსტრაციები... რა ასოციაციები გიჩნდებათ სიტყვა "გლობალიზაციის" ხსენებისას?

თემები სოციალური უფლებები, გლობალიზაცია, განათლება

სირთულე დონე 3

მონაწილეთა რაოდენობა ნებისმიერი

ხანგრძლივობა 90 წუთი

მიმოხილვა ესაა ინფორმაციის მოძიების სავარჯიშო მანიფესტაციების, გლობალიზაციის მიზეზებისა და შედეგების შესახებ, რომელიც მოითხოვს კრიტიკულ აზროვნებას.

შესაბამისი უფლებები
- მუშაობის უფლება
- ცხოვრების ისეთი პირობების უფლება, რომელიც უზრუნველყოფს შესაბამის კეთილდღეობასა და ჯანმრთელობას.
- განათლების უფლება

მიზნები
- ცოდნისა გაღრმავება მანიფესტაციების, გლობალიზაციის მიზეზებისა და შედეგების შესახებ

მასალა
- ლექსიკონები (სულ ცოტა 4 ცალი)
- A3 და A4 ზომის ფურცლები
- ლენტი და მაკრატელი
- სხვადასხვა ფერის კალმისტრები და მარკერები
- სხვადასხვა ბეჭდვითი მასალა, ჟურნალები, ბუკლეტები კოლაჟების გასაკეთებლად
- ხელმისაწვდომი ინფორმაციის წყარო (ბიბლიოთეკა, ინტერნეტი)
- ასლის გადამღები აპარატი (არ არის აუცილებელი)
- სტეპლერი, ფურცლის გასახვრეტი მოწყობილობა, ასაკინძი თასმები, სწრაფჩამკერი.

მომზადება
- შეაგროვეთ რაც შეიძლება მეტი ინფორმაცია გლობალიზაციის შესახებ. თუ საჭიროა, გამოიყენეთ ინტერნეტ ბმულები და დამატებითი ინფორმაციაში მითითებულ წყაროები გლობალიზაციის თემაზე.
- შეაგროვეთ გაზეთები, ჟურნალები, ბუკლეტები, ბროშურები, კალენდრები და მისალოცი ბარათები, საიდანაც ამოიჭრება საილუსტრაციო მასალა

ინსტრუქციები

ATTAC - მოქალაქეების დახმარების მიზნით ფინანსური ოპერაციების დაბეგვრის ასოციაციის აბრევიატურაა.
IMF ნიშნავს საერთაშორისო სავალუტო ფონდს.
CCC აღნიშნავს კამპანიას სუფთა ტანსაცმლისათვის

1. განმარტეთ, რომ ამ სავარჯიშოს მიზანია განმარტებითი ლექსიკონის, ან გლობალიზაციასთან დაკავშირებული ტერმინების, ფაქტებისა და პიროვნებების რესურს-ფაილის შექმნა.
2. "მოთელვისათვის" ითამაშეთ "სიტყვა-ასოციაციების" ერთი რაუნდი. სთხოვეთ მონაწილეებს თქვან ნებისმიერი სიტყვა, რომელიც მოაფიქრდებათ გლობალიზაციაზე ფიქრის დროს.
3. იფიქრეთ ტერმინოლოგიურ ლექსიკონში შესატანი შესაძლო ვარიანტების შესახებ. მაგალითად,
   - ისეთი საერთაშორისო სიტყვების, ტერმინებისა და აბრევიატურების განმარტებები, როგორებიცაა ATTAC, IMF, CCC;
   - გლობალიზაციის მთავარი ასპექტები;
   - გლობალიზაციასთან ასოცირებული ადამიანები/პიროვნებები და/ან ანტიგლობალიზაციის აქტივისტები;
   - მოვლენების, შეხვედრების, საპროტესტო აქციების, კონფერენციების და ა.შ. დასახელებები, ჩატარების ადგილები და თარიღები;
   - ტრანსნაციონალური საწარმოებისა და საერთაშორისო ორგანიზაციების გლობალიზაციასთან დაკავშირებული კონკრეტული მაგალითები;
   - ილუსტრაციები;
   - ციტატები.
4. აჩვენეთ მონაწილეებს შეგროვებული მასალები და აღნიშნეთ, რომ უფლება აქვთ სურვილისამებრ შეარჩიონ ლიტერატურა და გამოიჩინონ შემოქმედებითი მიდგომა. მასალა შეუძლიათ წარმოადგინონ ნებისმიერი ფორმით! მაგალითად, პლაკატის ან ბუკლეტის ფორმით.
5. საკუთარი ლექსიკონების შესაქმნელად მონაწილეები დაყავით პატარა 3-4 კაციან ჯგუფებად
6. ლექსიკონზე მუშაობის დამთავრების შემდეგ, სთხოვეთ თითოეულ ჯგუფს წარმოადგინონ თავიანთი ნამუშევარი პლენარულ სხდომაზე.

ანალიზი და შეფასება

დაიწყეთ სავარჯიშოს მოკლე მიმოხილვით. მოეწონათ ის მონაწილეებს? შემდეგ გადადით იმსჯელეთ იმის შესახებ, თუ რა გაიგეს მოთამაშეებმა ახალი.

- რა იყო ყველაზე მოულოდნელი ინფორმაცია, რომელსაც მონაწილეები წააწყდნენ? რატომ?
- იყო თუ არა მოიძიებული ინფორმაციები ურთიერთშესატყვისი? არსებობდა წინააღმდეგობები და შეცდომები?
- რა არის გლობალიზაციის დადებითი და უარყოფითი მხარეები?
- უნდა ავარიდოთ გლობალიზაციას თავი?
- რაში მდგომარეობს გლობალიზაციის შედეგები?
- ხედავთ გლობალიზაციის გავლენას თქვენს ყოველდღიურ ცხოვრებაში?
- შეუძლია გლობალიზაციას ხელი შეუწყოს ადამიანის უფლებების დაცვას?
- რა როლი უნდა შეასრულონ ახალგაზრდულმა ორგანიზაციებმა გლობალურ პროცესებში?

ღირშესანიშნავი თარიღი

8 სექტემბერი
წერა-კითხვის საერთაშორისო დღე

სავარჯიშო დაასრულეთ გონებრივი შტურმის გამეორებით და სთხოვეთ ჯგუფს დაამატონ ახალი სიტყვები და ცნებები, რომელიც აითვისეს სავარჯიშოს შესრულების დროს.

რჩევები ხელმძღვანელებს

მნიშვნელოვანია, შეძლებისდაგვარად ფართო სპექტრის ლიტერატურის შეგროვება, რათა მონაწილეებმა მიიღონ მაქსიმალური მოცულობის ინფორმაცია. მაგალითად, ინფორმაციის წყარო შეიძლება იყოს ჟურნალ-გაზეთებში დაბეჭდილი სტატიები, რადიო, ინტერნეტი, ვიდეომასალა, პლაკატები, ბუკლეტები, ბროშურები, და სიმღერებიც კი.

მეტისმეტი მნიშვნელობა არ უნდა მიანიჭოთ საბოლოო დოკუმენტის ხარისხს. ძირითადი აქცენტი უნდა გაკეთდეს იმ ურთიერთმოქმედებაზე, რომელიც არსებობს მონაწილეებსა და ინფორმაციის ძიებისა და კრიტიკული შეფასების შესწავლის პროცესს შორის. ჯგუფისთვის სავარჯიშოს გაცნობის დროს, ხაზი გაუსვით, რომ მონაწილეებმა მკაფიოდ და ლაკონურად უნდა წარმოადგინონ საკუთარი კონცეფციები.

წინადადებები გაგრძელებისათვის

თუ მონაწილეები მოისურვებენ დამატებითი ინფორმაციის მიღებას გლობალიზაციისა და ინტერნეტის როლის შესახებ ადამიანის უფლებათა დამკვიდრებაში, შეუძლიათ გამოიყენონ სავარჯიშო "ინტერნეტის ზეგავლენა" (გვ. 204).

იდეები მოქმედებისათვის

სკოლაში ნებისმიერ კლასს შეუძლია ერთიანი ძალებით შექმნას განმარტებითი ლექსიკონი სპეციალურად სკოლის ბიბლიოთეკისათვის, რომელიც ყველასათვის ხელმისაწვდომი იქნება. ახალგაზრდების ჯგუფს შეუძლია გააერთიანოს სკოლის პროექტთან თავიანთი ინფორმაცია და დაამზადოს ერთობლივი პლაკატი.

gmirebi

ლომებს რომ ლაპარაკი შეეძლოთ, მონდირეები ვერასოდეს გახდებოდნენ
გმირები

თემები გენდერული თანასწორობა, დისკრიმინაცია და ქსენოფობია, მოქალაქეობა

სირთულე დონე 2

მონაწილეთა რაოდენობა ნებისმიერი

ხანგრძლივობა 60 წუთი

მიმოხილვა ეს სავარჯიშო მოიცავს ინდივიდუალურ, მცირე და ერთიან ჯგუფებთან მუშაობას, გონებრივ შტურმს და დისკუსიას შემდეგი საკითხების გარშემო:

- გმირები, როგორც სოციალიზაციის და კულტურის სიმბოლოები
- გმირების სტერეოტიპული სახეები

შესაბამისი უფლებები

- უფლებებისა და ღირსების თანასწორობა
- თავისუფლებების უფლება განურჩევლად გენდერული განსხვავებებისა

მიზნები

- მსჯელობა ისტორიის სწავლების შესახებ, საერთო ისტორიული მოვლენებისა და ამ მოვლენებთან დაკავშირებული გმირების სხვადასხვა კუთხით შეფასება
- გმირების, როგორც მისაბაძი მაგალითების, მნიშვნელობის კრიტიკული შეფასება და განხილვა, თუ როგორ დამკვიდრდნენ ჩვენს ისტორიაში, კულტურასა და ყოველდღიურ ცხოვრებაში გენდერული სტერეოტიპები.

მასალა

- კალმისტრები და ფურცლები (ერთი წითელი და ერთი ლურჯი კალმისტარი თითოეულ მონაწილეზე. არა სავალდებულო, მაგრამ სასურველი)
- ფურცლებიანი დაფა და მარკერები

ინსტრუქციები

1. მიეცით მონაწილეებს 5 წუთი მოფიქრებისათვის, რათა დაასახელონ მათი საყვარელი ეროვნული გმირები (ისტორიული და თანამედროვე).
2. დაურიგეთ მონაწილეებს ფურცლები და კალმისტრები და სთხოვეთ, დახაზონ ორი სვეტი. პირველ სვეტში წითელი ფანქრით უნდა ჩაწერონ 3-4 ისტორიული გმირი ქალის სახელი, მოკლედ აღწერონ ვინ იყვნენ ისინი და რა გააკეთეს თავიანთი სამშობლოსათვის. ფურცლის ბოლოში უნდა ჩამოწერონ გმირი ქალების პიროვნული თვისებებისათვის დამახასიათებელი საკვანძო სიტყვები.

3. გაიმეორეთ პროცესი (ლურჯი ფანქრით) 3-4 გმირი მამაკაცისათვის, ჩაწერეთ ეს ინფორმაცია II სვეტში.
4. სთხოვეთ მონაწილეებს დანაწილდნენ 5-7 წევრიან მცირე ჯგუფებად და უთხრან ერთმანეთს, ვინ აირჩიეს თავის გმირებად. სთხოვეთ ჯგუფებს კენჭისყრის გზით, აირჩიონ 4 გმირი ქალი და 4 გმირი მამაკაცი.
5. შემდეგ მოთამაშეები შეიკრიბეთ პლენარულ სხდომაზე და ჩამოწერეთ თითოეული ჯგუფის გმირების სახელები დაფაზე ორ სვეტად. დაუმატეთ პიროვნული თვისებების დამახასიათებელი საკვანძო სიტყვები.
6. განიხილეთ პიროვნული თვისებების სია, იმსჯელეთ გმირების, როგორც მისაბაძი მაგალითების როლზე და განსაზღვრეთ, რა ხარისხით განეკუთვნებიან ისინი გენდერულ სტერეოტიპებს. შემდეგ შეაჯამეთ შედეგები.

უკრაინელთა ერთ-ერთი ჯგუფის ნამუშევარი, რომელიც მათ შეასრულეს მეორე ეტაპზე

გმირი ქალები	**გმირი მამაკაცები**
თავადი ოლღა, კიევის რუსეთის პირველი ქრისტიანი	თავადი ვლადიმერი – რომელმაც გააქრისტიანა კიევის რუსეთი
თურქების მიერ ტყვედ შეპყრობილი ახალგაზრდა ქალი როკსალანა. იგი ცხოვრობდა ხანის ჰარამხანაში. იყენებდა თავის მდგომარეობას პოლიტიკაზე გავლენის მოსახდენად.	ჰეტმან მაზეპა, დამოუკიდებლობისათვის მებრძოლი
პოეტი ქალი ლესია უკრაინკა, რომელიც წერდა უკრაინის თვითმყოფადობაზე და ქალების ემანსიპაციაზე	პოეტი ტარას შევჩენკო, უმღეროდა და ადიდებდა თავისუფლებას
ძლიერი გამჭრიახი რბილი ქალური გავლენიანი ლამაზი	ძლიერი გავლენიანი მამაცი გამბედავი მოუდრეკელი შემტევი

ანალიზი და შეფასება

დაიწყეთ სავარჯიშოს მიმოხილვით და გაარკვიეთ, რა ისწავლეს ახალგაზრდებმა გმირების შესახებ. შემდეგ გადადით ზოგად მსჯელობაზე სტერეოტიპების შესახებ და გაარკვიეთ რა გავლენას ახდენენ ისინი ადამიანების წარმოდგენებზე და მოქმედებებზე. მონაწილეებს დაუსვით შეკითხვები:

- ვინ არიან გმირები? (ჩვეულებრივი ქალები და მამაკაცები? მეფეები?) რა გააკეთეს მათ? (იბრძოლეს? ლექსები დაწერეს?) როგორ გაიგეს მონაწილეებმა მათ შესახებ?
- რა მსგავსებები და განსხვავებები იყო გმირი ქალებისა და მამაკაცების დახასიათების სიებს შორის?
- რა ფასეულობებს განასახიერებენ გმირები? არის ეს ფასეულობები ერთიდაიგივე ორივესათვის, თუ განსხვავდებიან?

ღირშესანიშნავი თარიღები

8 მარტი
ქალთა საერთაშორისო დღე

3 ნოემბერი
მამაკაცების საერთაშორისო დღე

- როგორ ესმით მონაწილეებს სიტყვა "სტერეოტიპი?" რამდენად შეესაბამებიან სტერეოტიპები სინამდვილეს? სტერეოტიპი ყოველთვის ნეგატიურია?
- თქვენ პირადად და თქვენი საზოგადოების წარმომადგენლებს გაქვთ ზოგადი სტერეოტიპები და წარმოდგენები ქალებისა და მამაკაცების შესახებ?
- ზღუდავს ეს წარმოდგენები მონაწილეებს? როგორ?
- ასახავს თუ არა სავარჯიშოს შედეგად შექმნილი სიები იმ შტრიხებს, რომლებსაც ზოგჯერ ეროვნულ ნიშნებს უწოდებენ?
- რამდენადაა სოციალური და კულტურული ბარიერები სტერეოტიპული აზროვნების შედეგი?
- რა გზით ართმევს გენდერული სტერეოტიპები ადამიანებს მათ უფლებებს?
- სტერეოტიპული წარმოდგენები ხშირად ქმნის ბარიერს, როგორც ქალების, ასევე მამაკაცებისათვის და ზღუდავს მათ ცხოვრებისეულ არჩევანსა და შესაძლებლობებს? რა გენდერული ბარიერები შეხვედრიათ მონაწილეებს პირადად? სად – სკოლაში, სახლში, კლუბში თუ სამსახურში?
- როგორ შეიძლება ამ ბარიერების გადალახვა? შეუძლიათ შეიმუშაონ რაიმე სტრატეგია კულტურული ნორმებისაგან და მამაკაცური, ან ქალური დამკვიდრებული ფასეულობებისაგან თავის დასაღწევად?

რჩევები ხელმძღვანელებს

ეს სავარჯიშო განსაკუთრებით შეესაბამება პოლიკულტურულ გარემოს, რადგანაც კულტურული კომპონენტი შეიძლება გახდეს დომინანტური. ინსტრუქციების მეხუთე პუნქტის შესაბამისდ, თქვენ უნდა მოისმინოთ ყველანაირი მოსაზრება მცირე ჯგუფებისაგან და ჩამოწეროთ დაფაზე. თუ ვინმე შემოგთავაზებთ ტერმინს "მამაკაცური" ან "ქალური", ამ ეტაპზე უნდა მიიღოთ, მაგრამ დაუბრუნდით მათ განხილვისათვის ანალიზის ფაზაში და სცადეთ ამ სიტყვების მნიშვნელობის გარკვევა.

ვარიანტები

ახალგაზრდებთან მუშაობის დროს თქვენ, ალბათ, მოისურვებთ გმირების განსხვავებულ ტიპებთან შეხებასაც. მაგალითად, კომიქსები, წიგნებისა და ფილმების პერსონაჟები, კინოს, სპორტისა და პოპ-მუსიკის ვარსკვლავები. სხდომა დაიწყეთ კომიქსებით და ჩაატარეთ გონებრივი შტურმი პერსონაჟების დამახასიათებელ თვისებებზე. კიდევ ერთი ვარინტი: კედელდე დაკიდეთ სპორტის და პოპ-ვარსკვლავების პლაკატები და სთხოვეთ მონაწილეებს დააწერონ რეპლიკები ან მიახატონ რაიმე. იმ შემთხვევაში, თუ დათანხმდებით, რომ შეკითხვაზე "ვინ არის თქვენი გმირი ქალი და მამაკაცი?" მიიღოთ განუსაზღვრელი პასუხები, წინ მრავალი საინტერესო და მოულოდნელი სიურპრიზი გელოდებათ, რაც დაგეხმარებათ ნაყოფიერი დისკუსიის ჩატარებაში.

წინადადებები გაგრძელებისათვის

თუ მონაწილეებს სურვილი გაუჩნდებათ გაეცნონ ადამიანის უფლებებისათვის მებრძოლ გმირებს, შესთავაზეთ მათ სავარჯიშო "უფლებებისათვის მებრძოლები" (გვ. 294).

იდეები მოქმედებისათვის

დადეთ პირობა, რომ ყოველდღიურ ცხოვრებაში მეტ ყურადღებას მიაქცევთ სტერეოტიპებს, განსაკუთრებით კი მათ, რომლებსაც როგორც სხვები, ასევე ჩვენც (შეიძლება უნებლიედ!) მივყავართ პრეკონცეფციების ჩამოყალიბებამდე.

დამატებითი ინფორმაცია

სტერეოტიპი არის განზოგადება, რომლის დროსაც ჯგუფის ერთი ნაწილისათვის დამახასიათებელი თვისებები მიეწერება და ვრცელდება მთელ ჯგუფზე. მაგალითად, იტალიელებს უყვართ ოპერა, რუსებს – ბალეტი, მოტოციკლეტებზე ამხედრებული შავი ტყავის ქურთუკიანი ახალგაზრდები სახიფათონი არიან, ხოლო ყველა შავკანიანი წარმოშობით აფრიკელია.

სიტყვებმა „სქესი“ და „გენდერი“ შეიძლება არეულობა გამოიწვიონ. „სქესი“ გულისხმობს ბიოლოგიურ განსხვავებას ქალებსა და მამაკაცებს შორის, რომლებიც უნივერსალურები არიან და ცვილებებს არ ექვემდებარებიან. სიტყვა „გენდერი” სოციალურ ატრიბუტებს მიეკუთვნება, რომლებსაც ადამიანი სოციალიზაციის პროცესში იძენს განსაზღვრულ საზოგადოებაში ცხოვრების მანძილზე.

ამგვარად, *გენდერი* განეკუთვნება სოცალურად განპირობებულ ატრიბუტებს, როლებს, მოქმედებებს, ვალდებულებებსა და მოთხოვნილებებს, რომელიც დაკავშირებულია მამაკაცურ (მასკულინური) და ქალურ (ფემინინური) წარმოდგენებთან განსაზღვრულ საზოგადოებაში, დროის განსაზღვრულ მონაკვეთში.

ინფორმაციის წყარო: გაერის განვითარების პროგრამა (UNDP), გენდერი განვითარების პროგრამაში, სასწავლო და საინფორმაციო პაკეტი, გენდერის ძირითადი მიმართულების პროგრამა და პროექტის ძირითადი პუნქტები.

ganaTleba

moqalaqeoba

bavSvebi

სირთულე

done 1
done 2
done 3
done 4

done 3

მონაწილეთა რაოდენობა


8-50

ხანგრძლივობა


115 wuTi

`dae yvelas azri iyos mosmenili!“

„ასწავლო ნიშნავს გჯეროდეს ცვლილებების“ პაოლო ფრეირე

თემები განათლება, მოქალაქეობა, ბავშვები

სირთულე დონე 3

მონაწილეთა რაოდენობა 8 – 50

ხანგრძლივობა 115 წუთი

მიმოხილვა ეს არის სავარჯიშო, რომელიც მიმდინარეობს დისკუსიის ფორმით მცირე ჯგუფებში და პლენარულ სხდომაზე შემდეგი საკითხების გარშემო:

- რა არის განათლება და, როგორ აკმაყოფილებს, ან არ აკმაყოფილებს იგი ხალხის მოთხოვნილებებს?
- გადაწყვეტილების მიღების პროცესში მონაწილეობა

შესატყვისი უფლებები

- განათლების უფლება;
- აზროვნების თავისუფლებისა და აზრის გამოთქმის უფლება;
- საკუთარი ქვეყნის მართვაში მონაწილეობის უფლება.

მიზნები

- განათლების სისტემაზე დაფიქრება და შეფასება, თუ რამდენად აკმაყოფილებს ის ხალხის მოთხოვნილებებს.
- თანამშრომლობის უნარ-ჩვევების განვითარება; გადაწყვეტილებების დემოკრატიულად მიღების პროცესებში მონაწილეობა სკოლებისა და კლუბების დონეზე.
- სამართლიანობის ხელშეწყობა და ხალხის ჩართვა მიმდინარე პროცესებში.

მასალა

- 4 დიდი ზომის ფურცელი და კალმისტრები ოთხ კაციანი ჯგუფისათვის.
- ფურცლები ჩანაწერების გასაკეთებლად, აუცილებლობის შემთხვევაში

ინსტრუქციები

სავარჯიშო გაყოფილია ორ ნაწილად: ნაწილი I (35 წუთი) – მსჯელობა ვის როგორი განათლება ესაჭიროება; ნაწილი II (60 წუთი) – დემოკრატიული მექნიზმების განვითარების გზების განხილვა, რაც ადამიანებს აძლევს აზრის გამოთქმის საშუალებას განათლების შესახებ.

ნაწილი I. რა სახის განათლება გვესაჭიროება? (35 წუთი)

1. დაიწყეთ მოკლე ზოგადი მიმოხილვით, რას გულისხმობენ მონაწილეები ტერმინში “განათლება”. მათ უნდა ესმოდეთ, რომ განათლების მიღება ადამიანის უფლებაა.
2. იფიქრეთ განათლების ყველა დადებითი და უარყოფითი მხარეების შესახებ და მიაქციეთ ყურადღება დაფაზე ჩამოწერილ სიტყვა-გასაღებებს.

3. სთხოვეთ მონაწილეებს დაწყვილდნენ. მიეცით მათ 15 წუთი განათლების უფლების შესაფასებლად – ვინ ღებულობს გადაწყვეტილებებს, თუ რა და როგორ უნდა ისწავლოს ხალხმა.
4. დაუბრუნდით პლენარულ სხდომას და სთხოვეთ მონაწილეებს კომენტარების გაკეთება ჩატარებული მუშაობის შთაბეჭდილებების შესახებ.

ნაწილი II. დემოკრატიული სისტემების განვითარება, რომელიც ადამიანებს აძლევს აზრის გამოხატვის საშუალება იმ განათლების შესახებ, რომელსაც ღებულობენ (60 წუთი)

1. სთხოვეთ მონაწილეებს დაბრუნდნენ თავის პარტნიორებთან და იმსჯელონ, როგორ ხდება გადაწყვეტილების მიღება მათ სკოლებში, კოლეჯებში ან კლუბებში. მაგალითად, ვინ იღებს გადაწყვეტილებას რა უნდა ისწავლებოდეს და რა ღონისძიებები უნდა ჩატარდეს? როგორ ხდება სკოლის, კლუბის ან კოლეჯის მართვა? როგორ მიიღება საბიუჯეტო და ფინანსური გადაწყვეტილებები? როგორ ხდება პოლიტიკის შემუშავება და შეთანხმება? რამდენად არის გათვალისწინებული ახალგაზრდების აზრი?
2. სთხოვეთ მონაწილეებს შეერთდნენ 4 კაციან ჯგუფებად. შეახსენეთ, რომ მათ აქვთ განათლების უფლება და უფლება ჩაერთონ იმ გადაწყვეტილების მიღების პროცესში, რომლებიც უშუალოდ მათ ეხებათ.
3. სთხოვეთ თითოეულ ჯგუფს, იფიქრონ დემოკრატიულად არჩეული ორგანოს დადებით და უარყოფით ასპექტებზე, ადგილობრივ დონეზე მათ განათლებასთან დაკავშირებული გადაწყვეტილებების მისაღებად. ასეთი სტრუქტურა შეიძლება იყოს სტუდენტური საბჭო სკოლაში, ან კოლეჯში, გამგეობა ახალგაზრდულ ჯგუფში, ან ორგანიზაციაში.
4. ჰკითხეთ ჯგუფს, როგორი იქნებოდა საბჭოს, ან გამგეობის საუკეთესო ფორმა, რომელიც მაქსიმალურად დააკმაყოფილებდა მათ მოთხოვნას პირადი განათლების შესახებ აზრის გამოთქმასთან დაკავშირებით.
5. შემდეგი ეტაპი დამოკიდებულია ჯგუფის შემადგენლობაზე. თუ მათ სკოლაში, ან კლუბში არ არსებობს საბჭო, მაშინ უნდა მოიფიქრონ რა სახის საბჭოს შექმნა სურთ და, როგორ უნდა მოხდეს მისი დაფუძნება. თუ ჯგუფს უკვე აქვს საბჭო, ან გამგეობა, მაშინ უნდა იმსჯელონ მისი მუშაობის პრინციპებზე და შეიმუშაონ მუშაობის გაუმჯობესების გეგმა. განმარტეთ SWOT ანალიზის არსი და მიეცით ჯგუფს 30 წუთი მოქმედების გეგმის შემუშავებისა და ფურცელზე, ან დაფაზე გადატანისათვის.
6. შეიკრიბეთ პლენარულ სხდომაზე და სთხოვეთ ჯგუფს შეაჯამონ შედეგები.

ანალიზი და შეფასება

ბევრი აზრი უკვე გამოთქმული იქნება წინა დისკუსიების სხვადასხვა ეტაპებზე. და მაინც, დაუთმეთ დრო სავარჯიშოს განხილვას მთლიანობაში, ზოგადი საგანმანათლებლო მომენტების გააზრებისა და შემდეგი მოქმედებების დასაგეგმად.

- მოეწონათ მონაწილეებს სავარჯიშო? იყო ის სასარგებლო? რატომ? რატომ არა?
- რატომ ჩამოყალიბდა გადაწყვეტილებათა მიღების ამგვარი სტრუქტურა? როგორია ისტორიული პრეცედენტები? ასრულებდნენ ეს სტრუქტურები თავის ფუნქციებს წარსულში? რატომ არ არის ის ადექვატური ამჟამად?

- რატომ არის საჭირო გადაწყვეტილების მიღების სტრუქტურებისა და პროცედურების რგულარული გადასინჯვა?
- რა განსხვავებაა ჯგუფების მიერ შემოთავაზებულ სამოქმედო გეგმებს შორის?
- რა დრო, ენერგია და ფულია საჭორი გეგმების განსახორციელებლად?
- რამდენად რეალური იყო გეგმები? (მიაქციეთ ყურადღება: ვრცელი გეგმები კარგია, მაგრამ საჭიროა მიზნისაკენ ნაბიჯ-ნაბიჯ სვლა!)

რჩევები ხელმძღვანელებს

ჯგუფის ხასიათიდან გამომდინარე მოგიწევთ განსაზღვროთ, როგორი გზა იქნება საუკეთესო ამ სავარჯიშოების ადამიანის უფლებებთან, უფრო ზუსტად, განათლებისა და განათლების პროცესებში გადაწყვეტილებათა მიღების უფლებასთან დასაკავშირებლად. ამისათვის, შეიძლება, მონაწილეებს სთხოვოთ პირადი ცოდნის გაზიარება, ან თავად გაუზიაროთ საწყისი ინფორმაცია.

SWOT-ის ანალიზი აღწერილი და განმარტებულია მესამე თავში - "მოქმედებაზე გადასვლა".

წინადადებები გაგრძელებისათვის

მიეცით მონაწილეებს საშუალება იმუშაონ ამ სავარჯიშოს ჩატარების პროცესში ჩამოყალიბებული იდეების განვითარებაზე და მესამე თავში ("მოქმედებაზე გადასვლა" გვ. 341) მიღებულ რჩევებზე დაყრდნობით, ეცადონ სიტყვის მეტი თავისუფლება მოიპოვონ თავიანთ სკოლებში, კოლეჯებსა და კლუბებში გადაწყვეტილებების მიღებისას.

თუ მონაწილეებს მოეწონა განსჯა იმ განათლების შესახებ, რომელსაც ღებულობენ, შეიძლება მოეწონოს სამაგიდო თამაში "ამბავი ორი ქალაქის შესახებ" (გვ. 89), რომელიც განიხილავს სასურველ ქალაქში ცხოვრების საკითხებს.

იდეები ქმედებისათვის

მონაწილეები შეიძლება დაფიქრდნენ თავიანთ რეგიონში არსებულ სხვა სტუდენტურ საბჭოებთან დაკავშირებაზე და ინფორმაციის გაცვლაზე ეროვნულ ან საერთაშორისო დონეზე.

დამატებითი ინფორმაცია

რა დანიშნულება უნდა ჰქონდეს სკოლის საბჭოს?

სკოლის საბჭოს ევალება მისცეს სტუდენტებს საშუალება, თავისუფლად გამოთქვან აზრი სკოლის საქმიანობასთან დაკავშირებით, რომელიც უშუალოდ ეხებათ. საბჭოს დაარსებისათვის და მისი ეფექტური მუშაობისათვის მრავალი მიზეზი არსებობს.

უპირატესობა მოსწავლეებისათვის /სტუდენტებისათვის

სკოლის საბჭოში მონაწილეობა ხელს უწყობს მოსწავლეების ცოდნისა და პიროვნების განვითარებას, რადგან:

- საბჭო ხელს უწყობს მოქალაქეობის, პოლიტიკური ქმედებების და დემოკრატიული დამოკიდებულებების სწავლებას;
- საბჭო ხელს უწყობს პიროვნების მორალური ფასეულობებისა და სოციალური ნდობის განვითარებას;

- სტუდენტები უფლებამოსილნი არიან გადაამოწმონ ხელმძღვანელი პირების მიერ მიღებული გადაწყვეტილებები;
- სტუდენტები სწავლობენ სამართლიანი გადაწყვეტილების მიღებას, პირადი პასუხისმგებლობის ხარჯზე;
- სტუდენტები ეცნობიან ცხოვრებისეულ რეალიებს, მაგალითად, როგორ იმუშაონ შეზღუდული დაფინანსების და ადმინისტრაციის გულგრილი დამოკიდებულების პირობებში.

პრაქტიკული სარგებელი

- მენეჯმენტის დემოკრატიული სტილი უკეთ მუშაობს, ვიდრე ავტოკრატული სისტემები, რადგან ისინი უფრო ეფექტურია, როდესაც წახალისებულია მოსწავლეების პასუხისმგებლობის გრძნობა
- საბჭო ხელს უწყობს თანამშრომლობას, ენერგიის მობილიზებას, და გაუცხოების შემცირებას.
- საბჭოს შეუძლია გააუმჯობესოს ატმოსფერო სკოლაში: მასწავლებლებს უფრო ენდობიან, სკოლის მოთხოვნებს გაცილებით სამართლიანი საფუძველი აქვს.
- გარე სოციალური და პოლიტიკური ზეწოლის შედეგად არსებული ნებისმიერი შეზღუდვის მიუხედავად, სტუდენტთა საბჭო უნდა იყოს მასწავლებლების პერსონალის კეთილი ნებისა და გარკვეული ფასეულობების მიმართ თავდადების საუკეთესო დემონსტრირება.

davinaxoT sakuTari SesaZleblobebi

მნიშვნელოვანია დავინახოთ საკუთარი უნარი და არა უუნარობა!

თემები

diskriminacia

socialuri uflebebi

\sporti

სირთულე

done 1
done 2
done 3
done 4

done 3

მონაწილეთა რაოდენობა



6-36

ხანგრძლივობა

120 wuTi

თემები დისკრიმინაცია და ქსენოფობია, სოციალური უფლებები, სპორტი

სირთულე დონე 3

მონაწილეთა რაოდენობა 6 – 36

ხანგრძლივობა 120 წუთი

მიმოხილვა პრაქტიკული სავარჯიშო მოწოდებულია, რომ გამოიწვიოს თანაგრძნობა ინვალიდების მიმართ. განხილულ საკითხებს შორისაა:

- პრობლემები, რომლებსაც ინვალიდები აწყდებიან საზოგადოებაში ინტეგრირების დროს
- ინვალიდების უფლებები, როგორც ადამიანის ძირითადი უფლება

შესაბამისი უფლებები

- დისკრიმინაციისაგან დაცვის უფლება
- თანაბარი ღირსებები და თანაბარი უფლებები
- სოციალური უზრუნველყოფის უფლება

მიზნები

- ინვალიდების ყოველდღიური პრობლემების გაცნობიერება
- ინვალიდების საჭიროებებში ღრმად ჩახედვისა და მათზე რეაგირების უნარ-ჩვევების განვითარება
- ინვალიდებისადმი თანაგრძნობისა და სოლიდარობის გრძნობის გაღვივება

მასალა

შესავლისათვის:

- ფურცელი და კალმისტარი თითოეული მონაწილისათვის

II ნაწილისათვის, თითოეულ წყვილს

- პოლიეთილენის პარკი, რომელშიც დევს კომბოსტოს ან სალათის ფოთოლი, ფანქარი, ცარცი, ხის ფოთოლი, ფერადი ფურცელი და ერთი ბოთლი ან ქილა გამაგრილებელი სასმელი
- თვალის ასახვევი ნაჭერი
- ფურცელი და კალმისტარი

III ნაწილისათვის, თითოეულ წყვილს

- ბარათი – როლი
- ფურცელი და კალმისტარი

IV ნაწილისათვის

- ერთი ინვალიდის ეტლი 8 მონაწილეზე

- ხელოვნური დაბრკოლებების შექმნისათვის საკმარისი ადგილი (სასურველია კიდევ ერთი ოთახი, მაგრამ არა აუცილებელი). ალტერნატიული ვარინტი შეიძლება იყოს სავარჯიშოს სუფთა ჰაერზე ჩატარება.

- დაბრკოლებები, მაგალითად, მაგიდა და სკამები, ხის დაფები, ძველი გაზეთების გროვა, და ა.შ.
- დიდი ზომის ფურცელი, ან დაფა და მარკერები
- საათი ან წამზომი

მომზადება

- მოამზადეთ ბარათი-როლები. გამოიყენეთ შემოთავაზებული სიტუაციები, ან გამოიგონეთ ისინი თქვენ თვითონ.
- თუ შესაძლებელია, მოამზადეთ მეორე ოთახიც დაბრკოლებებიანი "ტრასის" გასაკეთებლად. ან, კიდევ უკეთესი, გადით შენობიდან სუფთა ჰაერზე, სადაც უფრო რთული "ტრასის" შექმნა იქნება შესაძლებელი. თუ შენობაში დარჩენას გადაწყვეტთ, გამოიყენეთ მაგიდები და სკამები ვიწრო გასასვლელების გასაკეთებლად და ხის ფიცრები, ან იატაკზე დაყრილი ძველი გაზეთების გროვა კი სეგიცვლით ბუნებრივ დაბრკოლებებს.

ინსტრუქციები

სავარჯიშო ტარდება ოთხ ნაწილად: ნაწილი I - შესავალი, ნაწილი II - თვალახვეული სეირნობა, ნაწილი III - ჟესტების ენა და ნაწილი IV – რბოლა ინვალიდების ეტლით.

ნაწილი I. შესავალი (10 წუთი)

1. განმარტეთ, რომ სავარჯიშოში ძირითადი ყურადღება დაეთმობა ინვალიდობის სამ ფორმას: სიბრმავეს, ყრუ-მუნჯობას და დამბლას.
2. სთხოვეთ მონაწილეებს, დაფიქრდნენ რამდენიმე წუთი, როგორ მოპყრობას ისურვებდნენ, ან არ ისურვებდნენ ინვალიდები რომ ყოფილიყვნენ. დაწერონ რამოდენიმე საკვანძო სიტყვა.
3. შემდეგ, სთხოვეთ დაწერონ, ყველაზე მეტად რისი შეეშინდებოდათ, ინვალიდად ყოფნის შემთხვევაში.
4. როდესაც ყველაფერი შესრულდება, სთხოვეთ მონაწილეებს გადაატრიალონ ფურცლები და მოემზადონ "რეალობაში შესაბიჯებლად".

ნაწილი II. თვალახვეული სეირნობა

1. სთხოვეთ მონაწილეებს დაწყვილდნენ. დაურიგეთ მათ თვალის ასახვევი ნაჭრები. წყვილიდან ერთი უნდა იყოს ინვალიდი, ხოლო მეორე დამხმარე. ამ უკანასკნელის მოვალეობაა მუდმივად უზრუნველყოს მისი პარტნიორის უსაფრთხოება. მათ მხოლოდ "დიახ" ან "არა" უნდა უპასუხონ უსაფრთხოებასთან დაკავშირებულ მარტივ შეკითხვებს.
2. სთხოვეთ დამხმარეებს გაიყვანონ პარტნიორები 5 წუთით სასეირნოდ (კიბეებზე ასვლა-ჩასვლის ჩათვლით და, თუ შესაძლებელია ქუჩაშიც გავიდნენ).
3. ოთახში დაბრუნების შემდეგ, სთხოვეთ დამხმარეებს მიიყვანონ თავიანთი პარტნიორები სკამთან. მაგრამ სკამზე სიურპრიზია! პოლიეთილენის პარკი! რა არის მასში?
4. "ბრმებმა" უნდა გამოიცნონ რა არის ჩანთაში. დამხმარემ კი უნდა ჩაიწეროს მათ მიერ გამოცნობილი საგნების დასახელებები.
5. ამის შემდეგ, ნება დართეთ "ბრმებს" მოიხსნან თვალებზე ახვეული ნაჭრები და დაათვალიერონ პარკში ჩაწყობილი ნივთები. სთხოვეთ

პარტნიორებს სწრაფად მიმოიხილონ ამ პერიოდში მიღებული გამოცდილება და სიურპრიზები.

6. მიეცით მონაწილეებს რამოდენიმე წუთი როლიდან გამოსასვლელად და შემდეგ გადადით III ნაწილზე.

ნაწილი III. ჟესტების ენა

1. უთხარით პარტნიორებს გაცვალონ ადგილები: ახლა დამხმარე ხდება "ინვალიდი" ანუ მუნჯი, ხოლო პარტნიორი - ფიზიკურად ჯანმრთელი დამხმარე.
2. მიეცით თითო ბარათი-სიტუაცია თითოეულ ინვალიდს. მათ არ უნდა აჩვენონ ბარათი თავიანთ პარტნიორებს. მიეცით დამხმარეებს ფურცელი და კალმისტარი.
3. განმარტეთ, რომ მუნჯმა მოთამაშეებმა უნდა აუხსნან თავიანთი პრობლემა დამხმარეებს. მათ არა აქვთ ლაპარაკის, წერის ან ხატვის უფლება. დამხმარეებმა კი უნდა დაწერონ რა გაიგეს, რა პრობლემის ახსნას ცდილობდა მუნჯი.
4. როდესაც "მუნჯი" მოთამაშეები შეძლებისდაგვარად გადასცემენ ინფორმაციას, მათ უნდა აჩვენონ ბარათი-როლი თავიანთ დამხმარეებს. სთხოვეთ წყვილებს, მოკლედ განიხილონ თავიანთი ზრახვები, პრობლემები და იმედგაცრუება.

ნაწილი IV. დაბრკოლებების ტრასის გავლა ინვალიდის ეტლით

1. უჩვენეთ მონაწილეებს დაბრკოლებების ტრასა. განმარტეთ, რომ მოგებულია ის, ვინც ყველაზე სწრაფად გაივლის ტრასას. დაბრკოლებებთან შეჯახებაზე დაწესებულია ჯარიმა.
2. დააფიქსირეთ შედეგები დიდი ზომის ფურცელზე.
3. როდესაც ყველა მონაწილე შეასრულებს სავარჯიშოს ამ ნაწილს, გამოაცხადეთ მოკლე შესვენება და შემდეგ გადადით ანალიზზე და შეფასებაზე

ანალიზი და შეფასება

პლენარული სხდომა დაიწყეთ მეორე, მესამე და მეოთხე ნაწილების მიმოხილვით და შემდეგ სცადეთ გაარკვიოთ რა იცოდნენ მონაწილეებმა სავარჯიშოს საწყის ფაზაში, და რა ისწავლეს სავარჯიშოდან პირადი გამოცდილებეის შედეგად.

1. დაიწყეთ II ნაწილის განხილვით. კითხეთ ორივეს – "ბრმას" და დამხმარეს როგორი იყო მათი რეაქციები და სთხოვეთ უპასუხონ შემდეგ კითხვებს:
   - რა შეგრძნება ჰქონდა თითოეულ მათგანს სავარჯიშოს შესრულების დროს?
   - რა იყო ყველაზე რთული? სასაცილო? საშიში?
   - რამდენად რთული იყო პარტნიორის ნდობა და ნდობის მოპოვება?
   - რამდენად ზუსტად შეძლეს ინვალიდებმა პარკში მოთავსებული ნივთების გამოცნობა? რომელ გრძნობათა ორგანოებს დაეყრდნენ ყველაზე მეტად? რამდენმა გაბედა ბოთლის/ქილის გახსნა და სასმელის გასინჯვა?
2. შემდეგ გააგრძელეთ III ნაწილის განხილვით, ჟესტების ენა:
   - რა შეგრძნება ჰქონდა თითოეულ მათგანს სავარჯიშოს შესრულების დროს?
   - რა იყო ყველაზე რთული? სასაცილო? საშიში?

- ეუფლებოდათ თუ არა სასოწარკვეთილების გრძნობა, როდესაც მათ მინიშნებებს ვერ გებულობდენ?
- გრძნობდნენ უხერხულობას, როდესაც ჟესტების ენას ვერ გებულობდნენ?

3. შემდეგი განხილვა ეთმობა ეტლებით რბოლას:
   - როგორი შეგრძნება ჰქონდათ მონაწილეებს მოძრაობის შეზღუდვის გამო?
   - რა იყო ყველაზე რთული? სასაცილო? საშიში?
4. ახლა კი დაუბრუნდით. სავარჯიშოს შესავალში მონაწილეებისათვის დასმულ შეკითხვებს, სთხოვეთ თითოეულ მონაწილეს წაიკითხოს თავისი ჩანაწერები
   - სავარჯიშოს განმავლობაში დადასტურდა მათი რომელიმე შიში?
   - როგორ ცდილობდნენ მონაწილეები თავიანთი პარტნიორების დახმარებას?
   - როგორ ღებულობდნენ დახმარებას?
   - რამდენად ადვილია შეაფასო, რა სახის დახმარებას ელოდებიან შენგან და რა უნდა გასცე?
5. რისი ეშინოდათ ყველაზე მეტად მონაწილეებს ინვალიდად ყოფნასას? რას ეფუძნებოდა მონაწილეების შიშები? დაუფლებიათ მათ როდესმე ინვალიდობის შიში, მაგალითად, ავტოავარიის ან ავადმყოფობის შედეგად?
6. რა იყოს ყველაზე გასაკვირი, რაც მონაწილეებმა შეიტყვეს სავარჯიშოს დროს?
7. მათ ნაცნობებში არის ვინმე ბრმა, ყრუ-მუნჯი ან ინვალიდის ეტლზე მიჯაჭვული? როგორია ამ ადამიანების სოციალური მდგომარეობა? როგორ რეაგირებენ საზოგადოების წევრები მათზე?
8. გადახედეთ გარემოს შენობაში და ახლომახლო ქუჩებში, რამდენად "კეთილგანწყობილია" ის ინვალიდების მიმართ?
9. რა შეიძლება და რა უნდა გაკეთდეს იმისათვის, რომ უზრუნველყოფილი იყოს ინვალიდების თანასწორუფლებიანობა და ღირსება?
10. მიეკუთვნება ინვალიდების უფლებები ადამიანის უფლებათა საკითხებს? ადამიანის უფლებათა საყოველთაო დეკლარაციაში ჩამოყალიბებული უფლებებიდან, რომელია ყველაზე მნიშვნელოვანი ინვალიდებისათვის?
11. რა შეუძლია თქვენს სკოლას, ასოციაციას ან ადგილობრივ ახალგაზრდულ ჯგუფს გააკეთოს ინვალიდების თანასწორუფლებიანობისა და ღირსების დასაცავად?

რჩევები ხელმძღვანელებს

IV ნაწილში არ გააკეთოთ დაბრკოლებების ტრასა მეტისმეტად გრძელი. მის გასავლელად საკმარისი უნდა იყოს 2-3 წუთი, მითუმეტეს, თუ მხოლოდ 2-3 ეტლი გაქვთ, რადგანაც მონაწილეებს მოუწევთ ცდა და, შეიძლება, მობეზრდეთ სავარჯიშო. შეგიძლიათ ალტერნატიულ იმპროვიზაციებს მიმართოთ მონაწილეებისათვის ფიზიკური შეზღუდვების შექმნის მიზნით. მაგალითად, შესთავაზეთ მათ იარონ უკუღმა ჩაცმული უზარმაზარი რეზინის ჩექმებით.

როგორ წარიმართება სავარჯიშო, დამოკიდებულია თავად ჯგუფზე. დარწმუნდით, რომ ყველას აქვს შეგნებული, რომ მათ მოუწევთ "რეალობის" სხვადასხვა მომენტების პირადად განცდა, რაც მათ საშუალებას მისცემს იგრძნონ, თუ რას ნიშნავს ინვალიდობა და რეაგირება მოახდინონ მასზე. განმარტეთ, რომ სავარჯიშოს მიზანია არაა ვინმეს დაცინვა, ან დამატებითი

სტრესისა თუ დაბნეულობის შექმნა. მათ უნდა ითამაშონ "ბუნებრივად" და დაიცვან ზომიერება. დაარწმუნეთ მონაწილეები, რომ მოუხედავად გარკვეულ მომენტებში დაუფლებული შიშისა და უხერხულობის გრძნობისა, საზიანო ან სახიფათო არაფერი შეემთხვევათ.

თუ დრო არა გაქვთ ყველა "რეალობის ინსცენირებისათვის", შეასრულეთ ერთი ან ორი. სავარჯიშოში წარმოდგენილ ყველა განცდებს შორის, ყველაზე რთული და მძიმე, ალბათ, "ბრმის" როლის შესრულებაა. ამდენად, თუ მხოლოდ ერთი ნაწილის ინსცენირებას აპირებთ, რეკომენდირებულია სწორედ ამ ნაწილის შესრულება. მონაწილეებს გააცვლევინეთ ერთმანეთში როლები, რათა ორივემ გამოსცადოს ინვალიდობის გრძნობა. გახსოვდეთ, რომ ამ შემთხვევაში საჭიროა გამოსაცნობი ნივთების მეორე კომპლექტი.

სავარჯიშო სერიოზულია, მაგრამ უნდა მოელოდეთ ბევრ სასაცილო სიტუაციას. დაე ასე იყოს. თავი ვალდებულად ჩათვალეთ ჩაერიოთ ან კომენტარი გააკეთოთ მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ხედავთ, რომ ვინმეს ფიზიკური საფრთხე შეექმნა, ან მონაწილეები დამცინავ შენიშვნებს აკეთებენ ინვალიდების მისამართით. ამ საკითხებზე, შეიძლება, ყურადღება გაამახვილოთ ანალიზისა და შეფასების ნაწილშიც კონკრეტული შეკითხვების საშუალებით. მაგალითად, რა შემთხვევაში დასცინის ხალხი ინვალიდებს? ვინ აკეთებს ამას და რატომ? რა შემთხვევაშია დასაშვები ინვალიდებზე ხუმრობა? როგორ ხედავენ ისინი ზღვარს კარგ იუმორსა და შეურაცყოფას შორის?

ვარიანტები

შეგიძლიათ მოახდინოთ ბევრი სხვა სახის ინვალიდობის სიმულაცია, ნაკლებად თვალშისაცემი ინვალიდობის ჩათვლით. მაგალითად, სწავლასთან დაკავშირებული ან მეტყველების სირთულეები, იქიდან გამომდინარე, თუ რა არის ყველაზე ახლოს თქვენი ჯგუფის რეალობასთან. კიდევ ერთი ვარიანტია ასაკობრივი ინვალიდობის ინსცენირება. ამან შეიძლება ხელი შეუწყოს ახალგაზრდების შეგნების ამაღლებას მოხუცების მიმართ და მათთვის ღირსეული ცხოვრების პირობების არსებობას ან არარსებობას.

წინადადებები გაგრძელებისათვის

თუ ბავშვებთან მუშაობთ კარგი იქნებოდა გადაგეხედათ ბავშვთა უფლებების კონვენციის 23 მუხლისათვის, რომელიც აცხადებს, რომ ინვალიდ ბავშვებს აქვთ საგანგებო ზრუნვის, განათლებისა და წვრთნის უფლება, რაც დაეხმარება მათ სრულყოფილი და ღირსეული ცხოვრების პირობების შექმნაში. შეგიძლიათ სთხოვოთ ჯგუფს გაიკითხონ ნაცნობებში (ოჯახის ჩათვლით) ინვალიდების არსებობის შესახებ. შეუძლიათ დაინტერესდნენ რა მომსახურეობაზე და დახმარებებზე მიუწვდებათ ხელი ამ ადამიანებს. არიან ინვალიდი ბავშვები მათ სკოლაში, ახალგაზრდულ ჯგუფში ან ასოციაციაში? შეუძლიათ ამ ბავშვებს ისევე მოიქცნენ, როგორც ყველა დანარჩენი? თუ არა, რატომ?

თუ ჯგუფი მოისურვებს გაიგოს როგორ დაუპირისპირდნენ ისეთი სახის დისკრიმინაციის პრობლემებს, როგორიცაა რასობრივი დისკრიმინაცია, შეუძლიათ შეასრულონ სავარჯიშო "რასიზმის მოგერიება" (გვ. 247).

იდეები მოქმედებისათვის

ჯგუფმა შეიძლება აღმოაჩინოს დაუცველი მოქალაქეების ჯგუფი და გაარკვიოს, რითი შეუძლიათ მათი დახმარება. იდეებისა და რჩევებისათვის მიმართეთ სახელმძღვანელოს მესამე თავს - "მოქმედებაზე გადასვლა" (გვ. 341). მნიშვნელოვანია იმ ორგანიზაციებთან ერთად მუშაობა, რომლებიც ჩართულნი არიან ინვალიდობის პრობლემებში. დახმარება განახორციელეთ იმ საჭიროებების უზრუნველყოფით, რომლებსაც თავად ინვალიდები ასახელებენ პრიორიტეტულად.

დამატებითი ინფორმაცია

სხვადასხვა ქვეყნებში ინვალიდების უფლებებზე ზრუნვა და მათი დაცვა ერთმანეთისაგან განსხვავებულია. ამის მიზეზად ეკონომიკური პრობლემები სახელდება, მაგრამ რეალური მიზეზი უფრო მეტად დაკავშირებულია თანასწორუფლებიანობისა და სოციალური სოლიდარობის მიმართ სერიოზული დამოკიდებულების არარსებობსთან. მაგალითად, სასმენი აპარატის ღირებულება შეიძლება იყოს ან არ იყოს დაფარული სოციალური დაცვის სისტემის მიერ. დამატებითი სპეციალური სატელეკომუნიკაციო ტექნოლოგიები შეიძლება უზრუნველყონ ან არ უზრუნველყონ ყრუებისათვის, და თუ ვინმეს დასჭირდება ელექტრონული ეტლი, ზოგჯერ საზოგადოება, ან მთავრობა იხდის მის საფასურს.

ინვალიდების მიმართ დისკრიმინაციის შესახებ ინფორმაცია იხილეთ 440 გვერდზე, - დისკრიმინაციისა და ქსენოფობიის შესახებ შემოთავაზებულ ბაზისურ ინფორმაციაში. ინფორმაცია პარალიმპიური თამაშების შესახებ მოცემულია სპორტისა და ადამიანის უფლებების ბაზისურ ინფორმაციაში 492 გვერდზე.

შენიშვნა: ეს სავარჯიშო შემოგვთავაზა დოქტორ მონიკა მადაიმ, უნგრული არასამთავრობო ორგანიზაციის, "საერთო ბედის", პრეზიდენტმა. („კიოზოშ შორშ"), რომელიც მუშაობს ინვალიდების სოციალური ინტეგრაციის საკითხებზე. ის ასევე არის უნგრეთის ინვალიდთა საქმეების ეროვნული საბჭოს წევრი, რომელიც წარმოადგენს უნგრეთს Rehabilitataion International-ში, ის ასევე არის ახალგაზრდული პროგრამების საერთაშორისო ინსტრუქტორი. თავად დაბადებიდან ინვალიდია.

dasarigebeli masala

სიტუაცია 1

სცადეთ უსიტყვოდ აუხსნათ თქვენს მეგობარს, რომ თქვენ ძალადობის მსხვერპლი გახდით. ახალგაზრდა „სკინჰედების" ჯგუფი თავს დაგესხათ პარკში, წაგართვათ ჩანთა და გცემათ. ჰკითხეთ მეგობარს სად არის პოლიციის განყოფილება.

თქვენ არა გაქვთ რაიმეს თქმის, დაწერის ან დახატვის უფლება.

სიტუაცია 2.

თქვენ კაფეში ხართ, შეიძლება იყოს ეს სკოლაში ან ევროპული ახალგაზრდობის ცენტრში არსებული კაფე. აუხსენით მზარეულს, რომ თქვენ არ ჭამთ სპაგეტს "ბოლონიეზ"-ის სოუსით, რადგანაც ვეგეტარიანელი ხართ. თქვენ არა თუ ხორცს მიირთმევთ, არამედ რძის ყველანაირ პროდუქტზეც უარს ამბობთ (ანუ რძე, კვერცხი ან ყველი).

თქვენ არა გაქვთ რაიმეს თქმის, დაწერის ან დახატვის უფლება.

თემები

adamianis uflebebi

media

diskriminacia

სირთულე



done 1

მონაწილეთა რაოდენობა


nebismieri

ხანგრძლივობა

30 wuTi

თემები ადამიანის ზოგადი უფლებები, მედია, დისკრიმინაცია და ქსენოფობია

სირთულე დონე 1
ნებისმიერი

მონაწილეთა რაოდენობა ნებისმიერი

ხანგრძლივობა 30 წუთი

მიმოხილვა ვიზუალურ გამოსახულებებთან მუშაობა შემოქმედებითი და სახალისოა. ის კარგი "ყინულმჭრელია" კონტაქტების დამყარებისას და, ამავე დროს, აქვს საკუთარი ღირსებები. ეხება შემდეგ საკითხებს:

- სტერეოტიპები
- რამდენად თავისებურად აღიქვამს თითოეული პიროვნება სამყაროს
- როგორი ვიზუალური სახეების გამოყენებაა შესაძლებელი ინფორმაციისა და დეზინფორმაციისათვის

შესაბამისი უფლებები

- ნებისმიერი: იმ სურათებიდან და საკითხებიდან გამომდინარე, რომლებსაც აირჩევთ განსახილველად.

მიზნები

- ადამიანის უფლებების აქტუალობაზე ყურადღების გამახვილება ყოველდღიურ ცხოვრებაში
- "ვიზუალური განათლების", მოსმენისა და კომუნიკაციის უნარ-ჩვევების განვითარება
- ადამიანური ღირსების მიმართ პატივისცემისა და თანაგრძნობის განვითარება.

1. ras xedavT?

მასალა

- ფოტოების კომპლექტი
- მუყაოს ქაღალდი, წებო, წებოვანი ლენტი (სურვილის მიხედვით)
- დაფა, დიდი ზომის ფურცლები, მარკერები
- კედლის ცხრილი ადამიანის უფლებათა საყოველთაო დეკლარაციის მუხლების ჩამონათვალით (ტექსტი გადმოტანილია 458 გვერდზე მოცემული დეკლარაციის შემოკლებული ვარიანტიდან)

მომზადება

- შეაგროვეთ სხვადასხვა ქვეყნის მოქალაქეების, სხვადასხვა გარემოში გადაღებული 25 ფოტო.
- დააწებეთ ფოტოები მუყაოს ქაღალდზე და დაფარეთ წებოვანი ლენტით მეტი გამძლეობისათვის (სურვილის მიხედვით)
- დანომრეთ ფოტოსურათები

ინსტრუქციები

1. გაშალეთ ოთახში ფოტოები მაგიდებზე.
2. სთხოვეთ მონაწილეებს იმუშაონ ინდივიდუალურად.

3. წაიკითხეთ ადამიანის უფლებათა საყოველთაო დეკლარაციის ერთი მუხლი და დაწერეთ დაფაზე/დიდ ფურცელზე.
4. სთხოვეთ მონაწილეებს დაათვალიერონ ფოტოები და აირჩიონ ერთ-ერთი, რომელიც, მათი აზრით, ყველაზე უკეთ ასახავს წაკითხულ მუხლს.
5. სთხოვეთ თითოეულ მონაწილეს რიგრიგობით ახსნან რომელი ფოტო აირჩიეს და რატომ.
6. მიაქციეთ ყურადღება, რომელი ფოტოები იყო არჩეული; დაწერეთ ნომრები დაფაზე.
7. გაიმეორეთ ეს 4-5 რაუნდად სხვადასხვა მუხლის გამოყენებით ადამიანის უფლებათა საყოველთაო დეკლარაციიდან. (აირჩიეთ სამოქალაქო და პოლიტიკური, სოციალური და ეკონომიკური უფლებების კომბინაციები).

ანალიზი და შეფასება

დაიწყეთ თავად სავარჯიშოს მიმოხილვით და, შემდეგ, გადადით მსჯელობაზე, თუ რა ისწავლეს ახალგაზრდებმა.

- იყო, თუ არა, სხვადასხვა უფლებების წარმოსადგენად ფოტოების არჩევა რთული? სხვადასხვა რაუნდებში მონაწილეებმა აირჩიეს სხვადასხვა ფოტოები, თუ მათ ჩათვალეს რომ პირველმა ან მეორე ფოტომ მთლიანად ამოწურა მათი სათქმელი?
- აირჩიეს სხვადასხვა მონაწილეებმა ერთიდაიგივე ფოტოები სხვადასხვა რაუნდში, თუ ძალიან განსხვავებული აზრები ჰქონდათ უფლებების ვიზუალურ ასახვასთან დაკავშირებით? რას გვეუბნება ეს თითოეული ჩვენგანის მიერ დანახულ სამყაროზე?
- განიხილეთ დაფაზე წარმოდგენილი ცხრილი. რომელ ფოტოებს ირჩევდნენ ყველაზე ხშირად? რა იყო განსაკუთრებული ამ ფოტოებში? რატომ ირჩევდნენ ამ ფოტოებს ყველაზე ხშირად? ჰქონდა რაიმე მნიშვნელობა ფერს ან ზომას, თუ გადამწყვეტი მნიშვნელობა ფოტოზე აღბეჭდილ გამოსახულებას ენიჭებოდა?
- იყო რომელიმე კონკრეტული ფოტო არჩეული რამოდენიმე უფლების საილუსტრაციოდ?
- იყო შემთხვევები, როცა ვინმე არ ეთანხმებოდა რომელიმე მონაწილის ინტერპრეტაციას კონკრეტულ სურათთან დაკავშირებით?
- იყო ისეთი ფოტოები, რომლებიც არასოდეს აურჩევიათ? მიუხედავად ამისა, შეიძლებოდა მათი გამოყენება ადამიანის უფლებათა საილუსტრაციოდ? კონკრეტულად რომელი უფლების? მონაწილეებმა უნდა განმარტონ თავიანთი არჩევანის მიზეზები.
- იცოდნენ მოთამაშეებმა, რომ მინიჭებული ჰქონდათ ის უფლებები, რომლებსაც სავარჯიშო შეეხო? თუ არა, კონკრეტულად რომელი უფლება იყო ასეთი?
- როგორ იყენებს და, როგორ მანიპულირებს მედია ფოტოებით? აირჩიეთ რომელიმე მიმდინარე მოვლენა და გაანალიზეთ, როგორა წარმოდგენილი გაზეთებში და ტელევიზიაში. როგორ იყო წარმოდგენილი მათთან დაკავშირებული უფლებები?

რჩევები ხელმძღვანელებს

არავითარი შეზღუდვა არ არსებობს, ერთიდაიგივე ფოტო რამდენჯერმე შეიძლება იყოს არჩეული. რომელიმე კონკრეტული გამოსახულება შეიძლება

არჩეული იქნას რამდენჯერმე ერთ რაუნდშიც და სხვადასხვა რაუნდებშიც. სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, ის შეიძლება ასახიერებდეს ერთ რომელიმე მუხლს ადამიანთა ერთი ჯგუფისათვის, ან სხვა მუხლებს ადამიანთა მეორე ჯგუფისათვის.

ფოტოების საკუთარი კოლექციის შესაქმნელად, დამატებითი ინფორმაციისათვის მიმართეთ სახელმძღვანელოს ნაწილს "როგორ ვისარგებლოთ კომპასით" (გვ. 46). სურათები შეგიძლიათ შეაგროვოთ ფერადი ჟურნალებიდან, ტურისტული ბროშურებიდან, ძველი კალენდრებიდან, და საფოსტო ბარათებიდან. ფოტოებს არ უნდა ახლდეს რაიმე ტექსტი. შეგიძლიათ ჩაინიშნოთ სურათებზე გაკეთებული მინაწერები, ან რაიმე თანმხლები ინფორმაცია, რათა უპასუხოთ შეკითხვებს. ფოტოები უნდა ასახავდნენ "მიწიერი ცხოვრების" მრავალმხრივ ასპექტებს, სხვადასხვა ასაკის, კულტურისა და შესაძლებლობების მქონე ადამიანების ინდივიდუალურ და ჯგუფურ გამოსახულებებს. უნდა ასახავდეს მრეწველობასა და სოფლის მეურნეობას, სოფლისა და ქალაქის ცხოვრებას, ადამიანებს დასვენებისა და მუშაობის პროცესში. ფოტოების დანომვრის დროს, არ ეცადოთ მათ დაწყობას რაიმე თანმიმდევრობით. დანომვრის დანიშნულება მხოლოდ და მხოლოდ ფოტოებთან მუშაობის გაადვილებაა.

თუ რამდენად დაგჭირდებათ მონაწილეებისათვის დახმარების გაწევა სურათების ანალიზის პროცესში, დამოკიდებული იქნება ჯგუფის "ვიზუალური აღქმის" უნარზე. შესაძლოა, საჭიროდ ჩათვალოთ სავარჯიშოს დაწყება ერთი ან ორი სურათის ერთობლივი ანალიზით. "დამატებით ინფორმაციაში" შემოთავაზებული შეკითხვები, შესაძლოა, გამოყენებულ იქნას სახელმძღვანელოდ.

ვარიანტები

სთხოვეთ მონაწილეებს აირჩიონ ერთი ფოტო, რომელიც მათი აზრით ყველაზე კარგად ასახავს ადამიანის უფლებების არსს. როდესაც ყველა გააკეთებს თავის არჩევანს, სთხოვეთ განმარტონ მიზეზები.

იდეები გაგრძელებისათვის

იქირავეთ ფოტოაპარატი, ან შეიძინეთ ერთჯერადი ფოტოაპარატი, რათა გადაიღოთ ფოტოები პროექტისათვის "ადამიანის უფლებებათა ხედვა" თქვენ საზოგადოებაში.

ვიზუალური გამოსახულებები იქმნება არა მარტო სურათებიდან, არამედ სიტუაციებიდან და მოვლენებიდან გამომდინარე. დაე, თქვენმა ჯგუფმა „დაინახოს" დისკრიმინაციის პრობლემა სავარჯიშოს - "გადადგი ნაბიჯი წინ" საშუალებით (გვ. 124).

იდეები მოქმედებისათვის

გააკეთეთ პროექტისათვის "ადამიანის უფლებათა ხედვა" გადაღებული ფოტოების გამოფენა. შეგიძლიათ ისარგებლოთ პლაკატების შექმნის იდეებით, რომლებიც შემოთავაზებულია პლაკატების გამოფენის ორგანიზების ნაწილში - "სხვა დასურათებული თამაშები".

დამატებითი ინფორმაცია

"ვიზუალური აღქმა" არის უნარი, რომელსაც სჭირდება სწავლა და, რომელიც მოითხოვს განვითარებას. წერა-კითხვის დაუფლებაში იგულისხმება ანბანის ასოების

ამოცნობის და დაწერილი სიტყვის წაკითხვის უნარი. თუმცა ტერმინის მნიშვნელობა ამით არ ამოიწურება. იგი მოიცავს აგრეთვე, ანალიზის, ცნობიერებისა და ტექსტის სრული ინტერპრეტაციის უნარს. ანალოგიურად, "ვიზუალურ აღქმაში" იგულისხმება გამოსახულების "წაკითხვის" უნარი. სურათის ამგვარი "წაკითხვისათვის" აუცილებელია იცოდეთ ვინ შექმნა ეს გამოსახულება და, რატომ შექმნა სწორედ ასეთი, ანუ რა ამოძრავებდა ავტორს. გარდა ამისა, ყურადღება უნდა მიაქციოთ ფოტოსურათის ემოციურ ზემოქმედებას, მის გავლენას საგნისადმი თქვენს დამოკიდებულებაზე. 79 გვერდზე გამოსახული "უფლებებისათვის მებრძოლთა" ფოტოების დათვალიერებისას, შეგიძლიათ დასვათ კითხვები:

ფოტოკამერის ობიექტი: ვინ, რა, სად და როდის?

- ვინ არის გამოსახული სურათზე; რა ასაკის, სქესის, ჯანმრთელობისა და ქონებრივი სტატუსის მქონეა ეს პიროვნება?
- რაზე მეტყველებს მათი პოზა და სახის გამომეტყველება?
- იცის პიროვნებამ, რომ მას სურათს ულებენ? ბუნებრივად უჭირავს თავი, თუ პოზიორობს? ფოტოსურათის ფონი ჰარმონიულად ერწყმის ადამიანის გამოსახულებას, თუ კონტრასტს ქმნის მასთან?
- რას აკეთებენ ისინი? ჩვეულებრივ საქმიანობენ თუ რაიმე განსაკუთრებულს აკეთებენ?
- რა შთაბეჭდილებას ახდენს ეს პიროვნება თქვენზე? დადებითს თუ უარყოფითს? თანაუგრძნობთ ამ ადამიანს, თუ გულგრილი ხართ მის მიმართ?

კონტექსტი

- სად დაიბეჭდა სურათი პირველად? გაზეთში, ჟურნალში თუ ტურისტულ ბროშურაში? სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, ის გამოიყენეს ინფორმაციისათვის, გაყიდვისათვის თუ პროპაგანდისათვის? თუ კიდევაა რაიმე სხვა?
- არის სურათი დასათაურებული, ან ახლავს რაიმე ტექსტური ინფორმაცია, რომელიც მიანიშნებს რისი გადმოცემა სურდა ავტორს?

ტექნიკური დეტალები

- ფერადია სურათი თუ შავ-თეთრი? ფერი გავლენას ახდენს თქვენს აღქმის უნარზე? შთაბეჭდილება უფრო ძლიერი იქნებოდა, სურათი რომ დიდი ზომის ყოფილიყო?
- შთამბეჭდავია ის რაკურსი, რომლითაც სურათია გადაღებული?
- რა სპეცეფექტები იყო გამოყენებული, მაგალითად, რბილი განათება ან ფოკუსირება? რატომ?
- არის გამოსახულება რეტუშირებული? ცრუობს სურათი? გამოსახულება ასახავს იმას, რაც რეალურად იყო ფოტოგრაფის წინაშე სურათის გადაღების მომენტში, თუ კომპიუტერის საშუალებითაა დამუშავებული? (მაგალითად, იმისათვის, რომ ობიექტი გამოიყურებოდეს უფრო ეფექტურად?)

ვინ გადაიღო ფოტო?

- რა ურთიერთობა აქვთ ფოტოგრაფსა და მის ობიექტს?
- სიმპატიით არის ფოტოგრაფი განწყობილი ობიექტების მიმართ?

- ფოტო პროფესიონალურია, თუ მოყვარულის გადაღებულია?
- რატომ უნდოდა ფოტოგრაფს სურათის გადაღება? რა იყო მისი მოტივაცია?
- რისი თქმა უნდოდათ მათ ჩვენთვის ამ ფოტოთი?

დასკვნისათვის, რა ვიზუალური სიმბოლოები და სტერეოტიპები გამოიცანით ფოტოზე? მაგალითად, მარტინ ლუთერ კინგი, როგორც პოლიტიკური ფიგურა, რომელიც თავის ხალხს მიუძღვება, ან ნგავანგ სანგდროლი, როგორც ტიბეტელი გლეხი? რატომ აირჩიეს ამ სახელმძღვანელოს რედაქტორებმა ეს ფოტოები სავარჯიშოში გამოსაყენებლად? რა შთაბეჭდილებას ახდენს სურათები მასზე გამოსახული პიროვნებების მიმართ თქვენს დამოკიდებულებაზე? ამატებენ ისინი რაიმეს იმ აზრს, რომელიც თქვენ შეგექმნათ მათ შესახებ, ტექსტის წაკითხვის დროს? როგორ? რატომ?

ინფორმაციის წყარო: ინფორმაცია ადაპტირებულია წიგნიდან "FOCUS FOR CHANGE" (კლასობრივი, გენდერული და რასობრივი უთანასწორობა და მედია საერთაშორისო კონტექსტში) "FOCUS FOR CHANGE"., 1992 (London Street №103, Reading , Berkshere RGI 4QA, England)

2. ras xedavT panCos naxatebSi?

მასალა/მომზადება

- გააკეთეთ სახელმძღვანელოში მოცემული (იხილე თავი 5) პანჩოს ყველა ილუსტრაციების ასლები. თუ შესაძლებელია გაადიდეთ ისინი
- გააკეთეთ ფოტოების ასლების მეორე კომპლექტი, თითოეული ორივე ჯგუფისათვის

ინსტრუქციები

1. სთხოვეთ მონაწილეებს დაიყონ მცირე ჯუფებად
2. მიეცით თითოეულ ჯგუფს პანჩოს ილუსტრაციების კომპლექტი და სთხოვეთ მათ დააკვირდნენ ყველა ფოტოს და, შემდეგ, აირჩიონ მათგან ერთ-ერთი, რომელიც, რაიმე მიზეზით, ყველაზე მეტად მოეწონათ.
3. მას შემდეგ, რაც ყველა გააკეთებს თავის არჩევანს, რიგრიგობით უნდა ახსნან ამის მიზეზი, შემდეგი დეტალების დაზუსტებით:
   - რას ეუბნება მათ ეს კარიკატურა.
   - რატომ აირჩიეს კონკრეტულად ეს სურათი.
   - როგორ ეხმიანება ის მათ პრობლემებს და რეალობას.
   - რა კავშირს ხედავენ ისინი ამ სურათებსა და ადამიანის უფლებებს შორის.
4. თითოეული მონაწილის გამოსვლის შემდეგ, ჯგუფის დანარჩენმა წევრებმა უნდა გააკეთონ კომენტარები.
5. როდესაც ყველა გამოთქვამს აზრს, მოიწვიეთ მონაწილეები პლენარულ სხდომაზე.

ანალიზი და შეფასება

სთხოვეთ თითოეულ ჯგუფს მოკლე კომენტარის გაკეთება თავიანთი ზოგადი შთაბეჭდილებების შესახებ და გააგრძელეთ იმ შეკითხვებით, რომლებიც აღწერილი იყო პირველ დასურათებულ თამაშში, “რას ხედავთ?” (გვ. 162).

რჩევები ხელმძღვანელებს

პანჩოს ილუსტრაციების გამოყენება შეგიძლიათ სხვაგვარადაც. მაგალითად, სთხოვეთ მონაწილეებს გააკეთონ მინაწერები, ან ამოშალეთ რეპლიკის ტექსტები და, სთხოვეთ, თავად დაწერონ ისინი. მიაქციეთ მონაწილეების ყურადღება მხატვრის საავტორო უფლებების მნიშვნელოვნებას.

3. suraTis nawilebi

მასალა/მომზადება

- ამოიარჩიეთ სურათები, რომლებიც გამოხატავენ უბრალო სიტუაციას. გაჭერით ისინი ორ ნაწილად ისე, რომ მნახველმა სრულიად განსხავავებულად წარმოიდგინოს სიტუაცია. ჩადეთ სურათების კომპლექტები ცალ-ცალკე კონვერტებში. თითოეულ მონაწილეზე დაგჭირდებათ თითო კომპლექტი.

ინსტრუქციები

1. სთხოვეთ მონაწილეებს დაწყვილდნენ
2. მიეცით თითოეულ წყვილს 2 კონვერტი

3. უთხარით, რომ მორიგეობით გახსნან კონვერტები და თავიანთ პარტნიორებს მისცენ კონვერტიდან ამოღებული სურათის ერთი ნაწილი. ამის შემდეგ პარტნიორმა უნდა თქვას, როგორ ფიქრობს, რა ხდება სურათზე, ვინ არის ობიექტი და რას აკეთებს ის.
4. შემდეგ პირველმა მონაწილემ უნდა გადასცეს მას მეორე ნაწილი და კითხოს, თუ რა ხდება სურათზე ახლა, როდესაც უკვე სრული გამოსახულება აქვს ხელთ.
5. გადადით მოკლე ანალიზზე:
   - რა სიურპრიზები შეგხვდათ?
   - რამდენად ხშირად ეთანხმებიან ადამიანები ფოტოზე მოცემულ გამოსახულებას და ავიწყდებათ, რომ ეს მხოლოდ ერთი კადრია?

რჩევები ხელმძღვანელებს

თქვენ შეგიძლიათ ამ სავარჯიშოს, როგორც „ყინულმჭრელის“ გამოყენება. შეგიძლიათ უფრო შორს წახვიდეთ და სთხოვოთ წყვილებს გაცვალონ სურათები და გაიმეოროთ სავარჯიშო კიდევ ერთხელ. გაუადვილდათ თუ არა მონაწილეებს სავარჯიშოს ხელმეორედ შესრულება, თუ უფრო რთული აღმოჩნდა? რატომ?

4. minawerebi fotosuraTebze

მასალა/მომზადება

- დანომრილი სურათები
- თითო ფურცელი და პასტა მონაწილეზე
- მაკრატელი და ლენტი
- დიდი ზომის ფურცლები (A3) ან დაფის ფურცლები. ფურცლები დაგჭირდებათ იმდენი, რამდენი სურათიც გაქვთ.

ინსტრუქციები

1. გაშალეთ ფოტოები მაგიდაზე და სთხოვეთ მონაწილეებს ცალკე, ან წყვილებად გააკეთონ მინაწერები თითოეული ფოტოსათვის, რაც შეიძლება ლამაზი ხელწერით, რადგანაც ბოლოს მოუხდებათ მისი ამოჭრა და ფოტოებზე მიკვრა.
2. როდესაც ყველაფერი მზად იქნება, აიღეთ სურათები სათითაოდ და სთხოვეთ მოხალისეებს წაიკითხონ თავიანთი მინაწერები.
3. მიაწებეთ სურათი დიდ ფურცელზე და სთხოვეთ მონაწილეებს გარშემო მიაკრან თავიანთი მინაწერები რათა საბოლოოდ შეიქმნას პლაკატი.
4. მიაკარით პლაკატები კედელზე.
5. გადადით სხვადასხვა სურათებისა და მინაწერების მოკლე მიმოხილვაზე
   - რამდენად რთული იყო მინაწერების გაკეთება?
   - რის მიხედვით არის მინაწერები კარგი?
   - თუკი სურათი ცვლის ათას სიტყვას, რაღა საჭიროა მინაწერები?

რჩევები ხელმძღვანელებს

ღირშესა
თარიღი
21 მარტი
პოეზიის
საერთაშორ

ფერადი ფურცლებისა და კალმისტრების გამოყენება პლაკატებს უფრო მიმზიდველს გახდის. თითოეული სურათისათვის რამოდენიმე განსხვავებული მინაწერის გაკეთების მეთოდი საინტერესოა და ხელს უწყობს იდეების მრავალფეროვნებას. მონაწილეები ერთვებიან და ემზადებიან საინტერესო დისკუსიისათვის. მინაწერები იდეალური საშუალებაა იმის დემონსტრირებისათვის, რომ თითოეული პიროვნება სამყაროს თავისებურად ხედავს, რაც პატივისცემას იმსახურებს.

5. personaJTa replikebi

მასალა/მომზადება

- თითო სურათი თითო წყვილისათვის (2-მა ან მეტმა წყვილმა უნდა მიიღოს ერთიდაიგივე სურათი)
- ერთი ფურცელი და კალმისტარი ორ ადამიანზე
- წებო

ინსტრუქციები

1. სთხოვეთ მონაწილეებს დაწყვილდნენ. გადაეცით მათ სურათები, ფურცლები და კალმისტრები
2. სთხოვეთ მათ გაანალიზონ ვინ, რა, როდის, სად, და როგორაა გამოსახული ფოტოზე.
3. უთხარით დააწებონ სურათი ფურცელზე და პერსონაჟებისათვის დაწერონ რეპლიკები.
4. სთხოვეთ მონაწილეებს ერთმანეთს გააცნონ თავიანთი ნამუშევარი და შემდეგ გადადით მოკლე ანალიზზე:
   - რამდენად რთული იყო სურათის ანალიზი და რეპლიკების დაწერა?
   - იმ წყვილებისათვის, რომლებსაც ერთი და იგივე სურათი ჰქონდათ – რა განსხვავება და მსგავსებაა თქვენს მიერ გაკეთებულ ანალიზში?
   - რა სტერეოტიპები აღმოაჩინეს მონაწილეებმა ფოტოებზე და რეპლიკებში?

რჩევები ხელმძღვანელებს

არ არის აუცილებელი შემოფარგლოთ ჯგუფი ადამიანების ფოტოსურათებით. რატომაც არ უნდა ჩართოთ ცხოველების სურათები? ეს განსაკუთრებით ნაყოფიერი იქნება თუ გსურთ, რომ ჯგუფმა ისაუბროს სტერეოტიპების შესახებ. შეგიძლიათ დაიწყოთ იმაზე მითითებით, რომ ცხოველების სტერეოტიპები ხშირად გამოიყენება მულტფილმებში/კარიკატურებში და შემდეგ მიეცით ჯგუფს საშუალება გადახედონ სტერეოტიპების მაგალითებს თავიანთ სურათებსა და რეპლიკებში.

vin varT me?

მე ისეთი ვარ, როგორიც მე ვარ, შენ ხარ ისეთი, როგორიც შენ ხარ, ის არის ისეთი, როგორიც ის არის,... მაგრამ ერთად, ჩვენ ბევრი საერთო გვაქვს!

თემები

genderuli Tanasworoba

diskriminacia

moqalaqeoba

სირთულე

done 1
done 2
done 3
done 4

done 2

მონაწილეთა რაოდენობა



8 da meti

ხანგრძლივობა



25 wuTi

თემები	გენდერული თანასწორობა, დისკრიმინაცია და ქსენოფობია, მოქალაქეობა
სირთულე	დონე 2
მონაწილეთა რაოდენობა	8 და მეტი
ხანგრძლივობა	25 წუთი
მიმოხილვა	ეს სავარჯიშო მოიცავს წყვილებად მუშაობას (buzz groups), გონებრივ შტურმს, ხატვას და ჯგუფურ დისკუსიას პიროვნულობის განსხვავებული მხარეების შესასწავლად
შესაბამისი უფლებები	▪ პატივისა და ღირსების თანასწორობა, დისკრიმინაციისაგან დაცვის უფლება ▪ სიცოცხლის, თავისუფლებისა და პიროვნული უსაფრთხოების უფლება
მიზნები	▪ საკუთარი და სხვების ინდივიდუალურობა გაცნობიერება ▪ რა გვაერთიანებს სხვა ადამიანებთან ▪ სოლიდარობისა და პატივისცემის დამკვიდრება
მასალა	▪ ფერადი კალმისტრები და მარკერები, თუ შესაძლებელია სხვადასხვა ფერის კალმისტარი ყველა მონაწილისათვის ▪ ერთი ფურცელი თითოეული მონაწილისათვის ▪ დაფის ფურცლები და მარკერები

ინსტრუქციები

1. მოთელვისათვის, სთხოვეთ მონაწილეებს დაწყვილდნენ და შექმნან სადისკუსიო ჯგუფები (buzz groups). სთხოვეთ თავი წარმოიდგინონ უცნობებად და გაეცნონ ერთმანეთს.
2. სთხოვეთ მონაწილეებს, იმსჯელონ, რისი ცოდნაა საინტერესო და მნიშვნელოვანი პიროვნების შესახებ, რომელსაც პირველად ხვდებიან და იფიქრეთ შესაბამისი ინფორმაციის ზოგად კატეგორიებზე. მაგალითად, სახელი, ასაკი, სქესი, ეროვნება, ოჯახის როლი, რელიგია, გენდერული სტატუსი, ეთნიკური წარმომავლობა, სამსახური/სწავლა, მუსიკალური გემოვნება, ჰობი, სპორტი, ზოგადი სიმპატიები და ანტიპატიები, და სხვ.
3. ახლა განმარტეთ, რომ მონაწილეებმა უნდა გაარკვიონ, რა აქვთ საერთო სხვა წევრებთან. დაარიგეთ ფურცლები და კალმისტრები და განმარტეთ, რომ პირველ ეტაპზე, თითოეულმა მათგანმა უნდა გამოხატოს თავისი პიროვნება ნახატის საშუალებით. უნდა წარმოიდგინონ საკუთარი თავი ვარსკვლავებად, რომელთა პიროვნული ასპექტები სინათლეს ასხივებენ საზოგადოებაში. სთხოვეთ მონაწილეებს მოიფიქრონ მათი პიროვნულობის

8-დან 10-მდე ყველაზე მნიშვნელოვანი ასპექტი და დახატონ პირადი ვარსკვლავი.

4. განუმარტეთ მონაწილეებს ჩამოიარონ ოთახში და შეადარონ თავიანთი ვარსკვლავები. როდესაც შეხვდებიან ვინმეს, რომელთანაც საერთო აქვთ ღიმილი ან სხივი, იქვე უნდა მიაწერონ ამ პიროვნების სახელი. (მაგალითად, თუ ჯენს და პარვეზს ორივეს აქვთ "რეპერის" ღიმილი, ორივემ უნდა დაწეროს ერთმანეთის სახელი ღიმილის გასწვრივ). ამოცანის შესასრულებლად გამოყავით 15 წუთი.
5. შეიკრიბეთ პლენარულ სხდომაზე და ჰკითხეთ მონაწილეებს, რამდენად ინდივიდუალური იყო თითოეული მათგანი. შეიძლება იკითხოთ:
   - რომელი პიროვნული ასპექტები იყო საერთო მონაწილეებისათვის და რომელი უნიკალური?
   - რამდენად მსგავსნი და განსხვავებულები არიან ჯგუფის წევრები?
6. და ბოლოს, იფიქრეთ ჯგუფთან ერთად პიროვნულობის იმ ასპექტებზე, რომლებსაც ხალხი ირჩევს და იძენს ცხოვრების მანძილზე და, რომელიც თანდაყოლილია. ჩამოწერეთ დასახელებული ასპექტები ორ სვეტად დაფაზე.

ანალიზი და შეფასება

ახლა გადადით მსჯელობაზე, თუ რა შეიტყვეს მონაწილეებმა ახალი საკუთარი თავის და ერთმანეთის შესახებ და რა კავშირი აქვს ამას ადამიანის უფლებებზე? იმსჯელეთ შემდეგ საკითხებზე:

- რა შეიტყვეს მონაწილეებმა ახალი საკუთარი თავის შესახებ? ძნელი მოსაფიქრებელი იყო მათი ინდივიდუალურობის ყველაზე მნიშვნელოვანი ასპექტები?
- მონაწილეები გაკვირვებული დარჩნენ ვარსკვლავების შედარების შედეგად? ჰქონდათ უფრო მეტი, ან ნაკლები საერთო თვისებები, ვიდრე მოელოდნენ?
- როგორი შთაბეჭდილება მოახდინა მონაწილეებზე ჯგუფის მრავალფეროვნებამ? მათი აზრით გახადა ამან ჯგუფში ყოფნა უფრო საინტერესო, თუ უფრო გაართულა ერთობლივი მუშაობა?
- არსებობდა რომელიმე მონაწილის პიროვნულობის ისეთი ასპექტები, რომელზეც მონაწილეებს დაბეჯითებით შეეძლოთ ეთქვათ "მე ასეთი არა ვარ"? მაგალითად, მე არა ვარ ფეხბურთის ფანი, ან ტექნო მუსიკის ფანი, ძაღლების მოყვარული, ჰომოსექსუალი ან ქრისტიანი.
- როგორ ყალიბდება პიროვნულობა? რომელი ასპექტებია სოციალურად კონსტრუირებული და რომელი თანდაყოლილი, ან უცვლელი?
- კერძოდ, გენდერულ საკითხებთან მიმართებაში, რომელი ასპექტებია სოციალურად კონსტრუირებული და, რომელი თანდაყოლილი ან უცვლელი. დაწერეს მონაწილეებმა სიტყვები – "ბიჭი" ან "გოგო"? რა ასოციაციებს იწვევს ეს სიტყვები? ასოციაციები მსგავსია ორივე სქესისთვის ან ყველა გოგოსთვის და ბიჭისთვის?
- როგორია ადამიანთა შეფასების ხარისხი ინდივიდულური თვისებების მიხედვით და, როგორი სხვადასხვა ჯგუფებთან კუთვნილების მიხედვით?
- რა აზრის არიან მონაწილეები საკუთარი პიროვნული თვისებების არჩევის თავისუფლების შესახებ? რა არის ამის შედეგები მათთვის და მათი საზოგადოებისათვის, განსაკუთრებით, ადამიანის თანასწორობისა და პატივის უფლებებთან მიმართებაში?

ღირშესანიშნავი თარიღი

7 აგვისტო
ტრანსგენდერული უფლებებისა და განათლების საერთაშორისო დღე

რჩევები ხელმძღვანელებს

ამ სავარჯიშოს სახელწოდება არ არის არასაწორი! ის გათვლილია მონაწილეების დასაბნევად.

"მოთელვის" ეტაპზე, შეიძლება, ზოგიერთ მონაწილეს მისცეთ გარკვეული რჩევები აზროვნების სწორ კალაპოტში გადასაყვანად. შეიძლება, მაგალითად მოიყვანოთ საკუთარი თავი, ან გამოგონილი პიროვნება, მაგალითად, ოლენა, ქალი, უკრაინელი, დედა, ცოლი, მასწავლებელი, მოგზაური, მუსიკის მოყვარული.

ყველა მონაწილისათვის სხვადასხვა ფერის კალმისტრის მიცემა მიანიშნებს, რომ ყველა ადამიანი უნიკალურია და, რომ ჯგუფი შედგება პიროვნებების მთელი ცისარტყელისაგან. (ანალოგია შეიძლება გაკეთდეს სამხრეთ აფრიკასთან, რომელიც საკუთარ თავს უწოდებს "ერ-ცისარტყელას", ანუ სხვადასხვა ფერის ადამიანებისაგან შემდგარ ერს). თუ დიდი ჯგუფი გყავთ და ორ, ან მეტ მონაწილეს უხდება ერთი და იგივე ფერის კალმისტრით სარგებლობა, მაშინ სთხოვეთ გამოიყენონ წერის განსხვავებული სტილი.

სურვილისამებრ, შეგიძლიათ სავარჯიშო უფრო გაართულოთ და შესთავაზოთ მონაწილეებს დახატონ პირადი ვარსკვლავები უფრო გრძელი, ან მოკლე სხივებით, იმის მიხედვით, რამდენად საზოგადოდ, ან ინდივიდუალურად მიიჩნევენ პიროვნულობის ამა თუ იმ ასპექტს. გრძელი სხივი უფრო ღრმად აღწევს საზოგადოებაში და, ამდენად, უფრო მეტად საზოგადოა.

დასკვნითი გონებრივი შტურმის ჩატარებისას, შესაძლოა აღინიშნოს ქვემოთ ჩამოთვლილი ასპექტები (მეექვსე საფეხურზე):

- ინდივიდუალური ასპექტები, რომლის არჩევაც თავად შემიძლია: სახელი, მეგობარი, სამსახური, პოლიტიკური პარტიის წევრობა, საყვარელი მუსიკა, ჩაცმის სტილი, ფეხბურთის გუნდი, საცხოვრებელი ადგილი.
- თანდაყოლილი ინდივიდუალური ასპექტები: სქესი, ასაკი, სიმაღლე, თვალის ფერი.
- ინდივიდუალურობის ზოგიერთი ასპექტი, ალბათ, გამოიწვევს აზრთა სხვადასხვაობას, მაგალითად., ეროვნულობა, გენდერი და სექსუალური ორიენტაცია, რელიგია, უმცირესობათა ჯგუფის წევრობა.

დისკუსიის პროცესში ინდივიდუალურობის ჩამოყალიბების შესახებ, სოციალურად კონსტრუირებული ასპექტებისა და მემკვიდრეობით მიღებული, ან შეძენილი ასპექტების შესახებ, შეიძლება წარმოიშვას წინააღმდეგობები, განსაკუთრებით, თუ ეს ეხება რელიგიურ და გენდერულ ასპექტებს. ალბათ, ღირს ჰკითხოთ მონაწილეებს აღზრდის პროცესის შესახებ და, როგორ შეიცვალა წლების განმავლობაში მათი ინდივიდუალურობის გარკვეული ასპექტები. შესაძლოა, ის ასპექტებიც კი, რომლებიც მათ უცვლელი ეგონათ.

შეიძლება, მოისურვოთ დისკუსიიდან დასკვნების გამოტანა. მაგალითად, ჩვენ ყველა ადამიანები ვართ, მონიჭებული გვაქვს უფლებებ, რომელთა ჩუქება, ან წართმევა შეუძლებელია, რასის, კანის ფერის, საკუთრების, დაბადების ადგილის ან რაიმე სხვა სტატუსის მიუხედავად.

წინადადებები გაგრძელებისათვის

სავარჯიშო შეიძლება გამოყენებული იყოს სხვა დისკუსიების შესავლისათვის. მაგალითად, ადამიანის უფლებათა უნივესალობის საკითხები, დისკრიმინაცია და ქსენოფობია, ბავშვის უფლებები, მოქალაქეობა.

თუ ჯგუფს სურვილი აქვს უფრო ღრმად ჩაწვდეს პიროვნულობისა და გენდერულ საკითხებს, შესაძლოა, მოეწონოთ სავარჯიშო „გმირები" (გვერდი 148).

eleqtrosadguri

დაე, ამ ელექტროსადგურმა გამოიმუშავოს დადებითი და შემოქმედებითი ენერგია!

თემები მშვიდობა და ძალადობა, მოქალაქეობა, ადამიანის ზოგადი უფლებები.

სირთულე დონე 3

მონაწილეთა რაოდენობა 10 და მეტი

ხანგრძლივობა 90 წუთი

მიმოხილვა ძალაუფლება ხშირად ასოცირდება ძალადობასთან. სავარჯიშოში შემოქმებებითი ჯგუფური მუშაობის ჩარჩოებში ბანიხილება თემები:

- ძალადობა საზოგადოებაში და
- ძალადობის პრობლემების გადაჭრის გზები

შესაბამისი უფლებები

- პიროვნული უსაფრთხოების უფლება
- დისკრიმინაციისაგან დაცვის უფლება
- პირადი ცხოვრების, ღირსებისა და პატივის დაცვის უფლება

მიზნები

- ცნობიერების განვითარება ძალადობის გამოხატულებისა და მათი გამომწვევი მიზეზების შესახებ
- თანამშრომლობისა და ჯგუფური მუშაობის უნარ-ჩვევების განვითარება
- ძალადობის პრობლემების შემოქმედებითი გადაწყვეტის გზების ძიებაზე პასუხისმგებლობის აღება.

მასალა

- შალის გრძელი ნაჭერი, ან ოთახის სიგრძის თოკი
- მაკრატელი
- A4 ზომის ფურცლები – 6 ცალი თითო მონაწილეზე საკმარისი უნდა იყოს.
- ერთი მარკერი თითოეული მონაწილისათვის.
- ზარი (არჩევითი)
- 2 ოთახი (არაა აუცილებელი, მაგრამ სასურველია)

მომზადება

- მოაწყვეთ ერთი ოთახი "ელექტროსადგურად". გაათავისუფლეთ სივრცე შუაგულში. გადაჭიმეთ თოკი მთელ ოთახში და მაგრად მიამაგრეთ მისი ბოლოები. ეს წარმოადგენს ელექტრო კაბელს. ის იატაკიდან 1 მეტრის სიმაღლეზე უნდა გადიოდეს. არ დაჭიმოთ ის მეტისმეტად (დენის გამორთვის ყოველი შემთხვევის მერე კაბელის შეკეთების მიზნით კვანძების შესაკვრელად დაგჭირდებათ, რომ ის ცოტა მოშვებული იყოს)
- შეიძლება კარებზე მიამაგროთ წარწერა: "ელექტროსადგური".



ინსტრუქციები

ეს სავარჯიშო სრულდება ორ ნაწილად: ნაწილი I - გონებრივი შტურმი ძალადომის გამოვლინებების ჩამონათვალის შესადგენად (10 წუთი) და ნაწილი II - ელექტროსადგურში მუშაობა (60 წუთი).

ნაწილი I. გონებრივი შტურმი ძალადობის გამოვლინებების ჩამონათვალის შესადგენად

1. სთხოვეთ მონაწილეებს მოიფიქრონ ძალადობის რა გამოვლინებები არსებობს მათ საზოგადოებაში (სკოლაში, ახალგაზრდულ კლუბში, კოლეჯში, უბანში, და ა.შ.). ნათლად განმარტეთ, რომ საკითხი არ ეხება სერიოზული ძალადობის ფაქტებს, მაგალითად, ტერორიზმს ან გენოციდს. მონაწილეებს საქმე ექნებათ ძალადობის იმ გამოვლინებებზე, რომლებსაც ხვდებიან ყოველდღიურ ცხოვრებაში, მაგალითად, ხულიგნობა, დაცინვა, სიტყვიერი შეურაცხყოფა, სარკაზმი, უადგილო ხუმრობა და ა.შ.
2. სთხოვეთ მონაწილეებს გამოიყენონ მარკერები და წერონ დიდი ასოებით. უნდა გამოიყენონ საკვანძო სიტყვები, ან მოკლე ფრაზები და თითოეული იდეა დაწერონ ცალკე ფურცელზე.
3. შეაგროვეთ ფურცლები და შეამოწმეთ, თუ მეორდება რომელიმე გამონათქვამი. გამეორების შემთხვევაში დაიტოვეთ მხოლოდ ერთი ფურცელი, დანარჩენები გადაყარეთ.
4. ვიდრე შემდეგი ნაწილისათვის ემზადებით, მიეცით მონაწილეებს 5 წუთიანი შესვენება. დაკეცეთ ფურცლები და ჩამოკიდეთ ისინი ”დენის კაბელზე”. ფურცლები ერთმანეთისგან დაშორებული უნდა იყოს დაახლოებით ნახევარი მეტრით. მათი მიმაგრება საჭიროა თოკზე, რომ არ გაიშალოს.

ნაწილი II. ელექტროსადგურში

1. მიიწვიეთ მონაწილეები ”ელექტროსადგურში”, სადაც უნდა იმუშაონ ტექნიკურ პერსონალად.
2. დაყავით მონაწილეები ორ ჯგუფად.
3. განუმარტეთ, რომ ეს ელექტროსადგური გამოიმუშავებს ”უარყოფით ენერგიას” და, ვინაიდან ”უარყოფითი ენერგია” ძალიან მძიმეა, კაბელი ხშირად ზიანდება (თქვენი ამოცანაა, გაითამაშოთ ამგვარი ავარია, რისთვისაც უნდა გადაჭრათ თოკი ორ ”პრობლემატურ” ქაღალდის ფურცელს შორის). მონაწილეებმა უნდა გამოასწორონ მდგომარეობა და “დადებითი ენერგიით” დამუხტონ კაბელი.
4. განმარტეთ, რომ, როდესაც კაბელის დაზიანება გარდაუვალია, სინათლე ციმციმს დაიწყებს და ისინი გაიგონებენ გამაფრთხილებელ სიგნალს. როგორც კი ელექტროენერგიის მიწოდება შეწყდება, ყველა ჯგუფიდან ერთი წევრი უნდა გაიქცეს კაბელისაკენ. თითოეული მათგანი ხელს სტაცებს მავთულის გაწყვეტილ ბოლოს, რომელსაც ისინი კვლავ ერთად შეკრავენ ”ელექტროენერგიის მიწოდების დროებით აღდგენის” მიზნით.
5. თითოეულმა ტექნიკურმა თანამშრომელმა, თავისუფალი ხელით უნდა აიღოს გაწყვეტილ კაბელთან ყველაზე ახლოს დამაგრებული ფურცელი და ხმამაღლა წაიკითხოს ინფორმაცია.
6. ამ მომენტიდან ორივე ჯგუფი პასუხისმგებელია დენის მიწოდების აღდგენაზე. მიეცით მათ 5 წუთი ამ ორი პრობლემის აღმოსაფხვრელი წინადადებების მოსამზადებლად.

ღირშესანიშნავი თარიღი

20 თებერვალი
არძალადობრივი წინააღმდეგობის დღე

7. ამის შემდეგ, ჯგუფები ერთმანეთს უზიარებენ და მსჯელობენ საკუთარ წინადადებებზე და თანხმდებიან თითოეული პრობლემის გადაჭრის გზებზე, რომლებიც შემდეგ დაიწერება სუფთა ფურცელზე და გადაეცემა ტექნიკურ თანამშრომლებს.
8. ტექნიკური პერსონალი აერთებენ "კაბელის" ბოლოებს და გადაბმის ადგილებში ამაგრებენ "გადაწყვეტილებების" ფურცლებს, რათა კაბელში დენმა უკვე მუდმივად იდინოს და არა დროებით.
9. მიაკარით კედელზე "ძალადობის გამოვლინებების" ამსახველი ორი გამოყენებული ფურცელი ისე, რომ შეიძლებოდეს მათი წაკითხვა.
10. გადაჭერით "კაბელი" სხვა ადგილას და გაიმეორეთ შეკეთების პროცედურა. თამაში დასრულდება, როდესაც ყველა "ძალადობის გამოვლინების" ფურცელი მოიხსნება მავთულიდან და შეიცვლება "გადაწყვეტილებების" ფურცლებით.
11. ბოლოს კი, შეაგროვეთ ყველა "გადაწყვეტილების ფურცლები", მოხსენით ისინი მავთულიდან და მიაკარით კედელზე "ძალადობის გამოვლინებების" ფურცლების გვერდით.

ანალიზი და შეფასება

დაიწყეთ ანალიზი სავარჯიშოს მიმოხილვით და შემდეგ გადადით მსჯელობაზე ძალადობის თითოეული გამოვლინებისა და შემოთავაზებული გადაწყვეტილებების შესახებ:

- როგორ გრძნობდნენ მონაწილეები თავს სავარჯიშოს შესრულების პროცესში? მოეწონათ? რატომ? რატომ არა?
- რა არის ძალადობის გამოვლინებების მიზეზები?
- შემოთავაზებული გადაწყვეტილებები და მოქმედებები რეალური იყო? უახლოეს მომავალში? შორეულ მომავალში?
- რა პრობლემებს ან წინააღმდეგობას შეიძლება წააწყდნენ მონაწილეები ამ გადაწყვეტილებების განხორციელების პროცესში?
- როგორ შეუძლიათ ახალგაზრდებს წინ აღუდგნენ ძალადობას, ან იბრძოლონ მის წინააღმდეგ?
- ადამიანის რომელი უფლებები ირღვევა ძალადობის შედეგად?

რჩევები ხელმძღვანელებს

პირველი ნაწილისათვის ანუ გონებრივი შტურმისათვის დაგჭირდებათ დაახლოებით 10 წუთი, ელექტროსადგურში მუშაობისათვის, დაახლოებით 60 წუთი, 20 წუთი კი ანალიზისა და შეფასებისათვის.

სცადეთ, ამ სავარჯიშოს შესრულება საკმაოდ სწრაფად. არ მისცეთ ახალგაზრდებს მოწყენის საშუალება.

თუ მონაწილეებს დასჭირდებათ დამატებითი განმარტება, როგორ მოიფიქრონ იდეები ან დევიზები პრობლემის გადასაჭრელად (ინსტრუქციები, პუნქტი 6) შეგიძლიათ, მოიყვანოთ შემდეგი მაგალითი. თუ ერთ ფურცელზე წერია "დაცინვა", ხოლო მეორეზე "ძალადობა ტელევიზიაში", ერთმა ჯგუფმა, შეიძლება, გამოთქვას აზრი სკოლებში სემინარების ჩატარების თაობაზე, რომელიც მიეძღვნება დაცინვის წინააღმდეგ ბრძოლას და ძალადობის ამსახველი ფილმების ჩვენების აკრძალვას ღამის 11 საათამდე. მეორე ჯგუფმა, შეიძლება, შემოგთავაზოთ მათი თანატოლი მედიატორების ტრენინგები დაცინვის წინააღმდეგ საბრძოლველად და საღამოს 9 საათი უნდა იყოს გამყოფი ზღვარი; ამ დრომდე ძალადობის ამსახველი ფილმები

არ უნდა იქნას ნაჩვენები. ამის შემდეგ, ორივე ჯგუფი განიხილავს შემოთავაზებულ წინადადებებს და ახდენს მათ კომბინირებას, ან შესაბამის ცვლილებას, ვიდრე მას „გადაწყვეტილების“ ფურცელზე დაწერენ. ყოველ ჯგუფს შეუძლია ორი, ან მეტი წინადადების შემოთავაზება, მაგრამ ერთი წინადადებაც საკმარისია.

თუ ჯგუფი პატარაა, შეიძლება შექმნათ "გადაუდებელი დახმარების ტექნიკური პერსონალის ჯგუფი". ორ ჯგუფთან მუშაობის იდეა იმაში მდგომარეობს, რომ ხშირად, ერთიდაიმავე პრობლემაზე მონაწილეები სხვადასხვა გადაწყვეტილებებს იღებენ, რაც აფართოებს არჩევანის შესაძლებლობას.

63 გვერდზე შემოთავაზებული სავარჯიშო "ადამიანების მანქანა", წარმოადგენს კარგ, თანამშრომლობაზე დამყარებულ „მოთელვის" საშუალებას.

მასში გამოყენებული მეთოდი შეიძლება ადაპტირებულ იქნას ნებისმიერი საკითხის განხილვისათვის, რომელიც მიმართულია პრობლემების განსაზღვრისა და გადაწყვეტილებების პოვნისაკენ.

წინადადებები გაგრძელებისათვის

„ელექტროსადგურში“ მუშაობის პროცესში, შეიძლება, შევეხოთ გენდერულ საკითხებს ან დისკრიმინაციის პრობლემებს. თუ ასე არ მოხდება, თქვენ შეგიძლიათ დაინტერესდეთ პიროვნულობის, ღირსებისა და პატივის თანასწორობის საკითხებით. ასეთ შემთხვევაში გადახედეთ სავარჯიშოს "ვინ ვართ მე?" (გვ. 170)

იდეები მოქმედებისათვის

იმუშავეთ ამ სავარჯიშოში წამოჭრილ რომელიმე პრობლემაზე. მაგალითად, თუ ჯგუფის მიერ შერჩეულ იქნა დაცინვის პრობლემა, შესაძლოა, გამოითქვას ამავე ჯგუფის სკოლაში სემინარის ჩატარების წინადადება და შეიტანონ ისინი სკოლის, კლასის, ან ასოციაციის საბჭოს მომავალი სხდომის დღის წესრიგში.

შენიშვნა: "ელექტროსადგური" შეიქმნა დარიუშ გრჟემნის მიერ შემოთავაზებული სავარჯიშოს ბაზაზე. დარიუშ გრჟემნი არის ბავშვებისა და ახალგაზრდების ასოციაციის (შანსი) წარმომადგენელი, გლოგოვი, პოლონეთი.

enobrivi barieri

შეგიძლიათ პასუხი გასცეთ ამ შეკითხვებს? დააკმაყოფილებენ თქვენს შუამდგომლობას თავშესაფარის მიღების შესახებ?

თემები დისკრიმინაცია და ქსენოფობია, პიროვნული უსაფრთხოება, განათლება

სირთულე დონე 2

მონაწილეთა რაოდენობა ნებისმიერი

ხანგრძლივობა 30 წუთი

მიმოხილვა ეს არის თავშესაფარის მოთხოვნის პროცესში ლტოლვილების წინაშე არსებული პრობლემების ინსცენირება. წამოჭრილი პრობლემები მოიცავს:

- ლტოლვილთა გამოუვალ სიტუაციას და ემოციურ მდგომარეობას.
- ენობრივი ბარიერის გადალახვას
- განაცხადის შეტანის დროს განცდილ დისკრიმინაციას

შესაბამისი უფლებები

- თავშესაფარის ძებნისა და მიღების უფლება
- ეთნიკური და ეროვნული წარმომავლობის საფუძველზე დისკრიმინაციისაგან დაცვის უფლება

მიზნები

- საიმიგრაციო ორგანოების მიერ თავშესაფარის მაძიებელთა დისკრიმინირების შემთხვევების შესახებ ინფორმირება
- ლინგვისტური და კულტურათაშორისი განათლების მნიშვნელობის დემონსტრირება
- თანაგრძნობის გაჩენა თავშესაფარის მოთხოვნის პროცესში ლტოლვილთა მიერ განცდილი იმდეგაცრუების და გულისტკივილის გაგების გზით.

მასალა

- ერთი "თავშესაფარის მოთხოვნის განაცხადის" ასლი თითოეული მონაწილისათვის
- ერთი პასტა თითოეული მონაწილისათვის

მომზადება მოაწყვეთ ოთახი „კაბინეტის" მსგავსად, თქვენ დაჯექით მაგიდასთან და შეასრულეთ ბიუროკრატი ოფიციალური პირის როლი.

ინსტრუქციები

1. სთხოვეთ მონაწილეებს შემოვიდნენ „კაბინეტში", მაგრამ არ მიესალმოთ არავის და არ შეიმჩნიოთ რომელიმეს იქ ყოფნა. არ განმარტოთ რა შეიძლება მოხდეს შემდეგში.
2. მოიცადეთ რამოდენიმე წუთი დანიშნული საწყისი დროიდან და, შემდეგ დაურიგეთ თითოეულ მონაწილეს ერთი „თავშესაფარის მოთხოვნის განაცხადი" და კალმისტარი

თემები

diskriminacia

pirovnuli usafrTxoeba

ganaTleba

სირთულე

done 1
done 2
done 3
done 4

done 2

მონაწილეთა რაოდენობა


nebismieri

ხანგრძლივობა

30 wuTi

ღირშესანიშნავი თარიღი

26 ივნისი
გაეროს წესდების დღე

21 თებერვალი
მშობლიური ენის საერთაშორისო დღე

3. უთხარით, რომ 5 წუთი ეძლევათ ანკეტის შესავსებად, მაგრამ მეტი არაფერი თქვათ. უგულვებელჰყავით ყველა კითხვა და პრეტენზია. თუ მაინც მოგიხდებათ კომუნიკაცია, ილაპარაკეთ უცხო ენაზე (ან გამოგონილ ენაზე) და გამოიყენეთ ჟესტიკულაცია. ყველანაირი კომუნიკაცია დაიყვანეთ მინიმუმამდე. გახსოვდეთ, რომ ლტოლვილების პრობლემა თქვენ არ გაწუხებთ, თქვენ მხოლოდ გევალებათ ანკეტების დარიგება და შევსებული ანკეტების შეგროვება!
4. ნებისმიერ დაგვიანებულ პირს გულცივად შეხვდით (მაგ. თქვენ დაიგვიანეთ. აიღეთ და შეავსეთ ეს ფორმა. მხოლოდ რამოდენიმე წუთი დაგრჩათ ამის გასაკეთებლად)
5. როდესაც 5 წუთი ამოიწურება, შეკრიბეთ ანკეტები ღიმილისა და რაიმე პერსონალური კონტაქტების გარეშე.
6. ამოიკითხეთ სახელები შევსებული ანკეტებიდან და სთხოვეთ გამოძახებულ პირს წინ გამოვიდეს. ჩაიხედეთ ანკეტაში და გააკეთეთ რაიმე შენიშვნა მაგ. "თქვენ არ უპასუხეთ 8 პუნქტს" ან "პასუხი 6 შეკითხვაზე მიუღებელია. თქვენ უარს მიიღებთ თავშესაფარზე". სთხოვეთ მას გავიდეს. არ შეხვიდეთ რაიმე დისკუსიაში. ამის შემდეგ პირდაპირ გადადით შემდეგი განმცხადებლის გამოძახებაზე.
7. გაიმეორეთ ეს პროცესი რამდენჯერმე. ყველა ანკეტის გადახედვა საჭირო არ არის, მხოლოდ იქამდე გააგრძელეთ ეს პროცედურა, ვიდრე მონაწილეები მიხვდებიან რა ხდება.
8. ბოლოს შეწყვიტეთ როლის თამაში და მოიწვიეთ მონაწილეები მომხდარის შესახებ მსჯელობისათვის.

ანალიზი და შეფასება

დაიწყეთ მონაწილეების შთაბეჭდილებებისა და შეგრძნებების გარკვევით და შემდეგ გადადით მომხდარის და ნასწავლის განხილვაზე.

- რას გრძნობდნენ მონაწილეები გაურკვეველი ანკეტის შევსების დროს?
- იყო ეს თავშესაფარის ძიების პროცედურის რეალისტური ინსცენირება?
- ფიქრობთ, რომ თქვენს ქვეყანაში თავშესაფარის მაძიებლებს სამართლიანად ეპყრობიან განაცხადის შევსების პროცესში? რატომ? რატომ არა?
- რა შედეგი შეიძლება მოჰყვეს ლტოლვილისათვის თავშესაფარზე უარის თქმას?
- აღმოჩენილან როდესმე მონაწილეები ისეთ სიტუაციაში, როდესაც არ იცოდნენ ენა, რომელზეც ოფიციალური პირი, მაგალითად, პოლიციელი, ან ბილეთების კონტროლიორი ესაუბრებოდა მათ? როგორი იყო მათი შეგრძნებები?

რჩევები ხელმძღვანელებს

სახელმძღვანელოდ საკმაოდ ადვილი სავარჯიშოა: ძირითადი მოთხოვნაა როლის "მკაცრად" შესრულება – თქვენ უნდა იყოთ სერიოზული, მკაცრი და ბიუროკრატიული. ლტოლვილების მდგომარეობა თქვენი პრობლემა არ არის. თქვენ აქ თქვენი სამუშაოს შესასრულებლად ხართ. საქმე ისაა, რომ ბევრს არ უნდა მათ ქვეყანაში ლტოლვილების ყოფნა. საიმიგრაციო სამსახურის თანამშრომლებს ნაბრძანები აქვთ გაფილტრონ ლტოლვილები და შესვლის ნება მისცენ მხოლოდ მათ, ვისაც აქვს პირადობის დამადასტურებელი საბუთი და სწორად ავსებს ანკეტას. ლტოლვილები ხშირად ცუდად ფლობენ სხვა ქვეყნის ენას და

უძნელდებათ ანკეტების შევსება. ამასთანავე, ისინი დათრგუნულ და სტრესულ მდგომრეობაში არიან. მათთვის განსაკუთრებით რთულია იმის გაგება რა ხდება, რადგან, ხშირად, გაუგებარი მიზეზების გამო იღებენ უარს განაცხადზე.

წინადადებები გაგრძელებისათვის

თუ გინდათ გაეცნოთ ლტოლვილების ქვეყანაში შესვლისათვის ნების დართვის, ან უარის თქმის არგუმენტებს იხ. სავარჯიშო "შეიძლება შემოვიდე?" (გვ. 308).

დამატებითი იდეები ლტოლვილების შესახებ სავარჯიშოების შესასრულებლად შეგიძლიათ იხილოთ გაეროს ლტოლვილთა უმაღლესი კომისარიატის ვებგვერდზე: www.unhcr.ch

იდეები გაგრძელებისათვის

ჯგუფმა, შეიძლება, მოიწვიოს საიმიგრაციო სამსახურის თანამშრომელი თავისი სამუშაოს სირთულეებზე და პრობლემებზე სასაუბროდ. კიდევ ერთი ალტერნატივაა თავად საიმიგრაციო სამსახურში ვიზიტის ორგანიზება და თავშესაფარის მაძიებელთა განაცხადებების განხილვის პროცესზე დაკვირვება. ჯგუფის წევრები, შეიძლება, გაესაუბრონ თავშესაფარის მაძიებლებს და საიმიგრაციო სამსახურის წარმომადგენლებს შექმნილი სიტუაციის შესახებ მათი აზრის გასარკვევად და პროცედურული უსამართლობის ან დარღვევების შესახებ საკითხების წამოსაჭრელად. ეს ინფორმაცია შემდგომში შეიძლება გამოყენებულ იქნას ლტოლვილების მხარდამჭერი კამპანიისათვის, ან საიმიგრაციო განყოფილებისათვის, ან გაეროს ლტოლვილთა უმაღლესი კომისიარიატისათვის გადასაცემად

დამატებითი ინფორმაცია

ლტოლვილების შესახებ ინფორმაცია და მონაცემები იხ. სავარჯიშოს "შეიძლება შემოვიდე?" დამატებითი ინფორმაციის ნაწილში (გვ. 308).

dasarigebeli masala

თავშესაფარის მაძიებელთა ანკეტა

1. Családi és utónév
2. Дата і месца нараджэння
3. Viimeisin osoite
4.
5.
6. Başvuran kişiye eşlik eden refakatçi veya yakiniarinin isimleri
7. Meio e local de entrada no país
8. Ghaliex titlob ghall-azilju?
9. Свидетельство преследований, на основании которых составлено заявление
10. Avez-voui déjà présenté une demande d'asyle auparavant? Veuillez donner des détails sur les pays, les dates et les motifs.
11. Dali imate rodnini ili poznanici vo ovaa zemja? Ako imate, navedete gi iminjata i adresite.
12. ما هي اللغات التي تتكلمها

erTi wuTiT!

ისაუბრეთ "მხოლოდ ერთი წუთი" – არავითარი შეყოვნება, არავითარი გამეორება!

თემები სპორტი, გლობალიზაცია, ადამიანის ზოგადი უფლებები

სირთულე დონე 2

მონაწილეთა რაოდენობა ნებისმიერი

ხანგრძლივობა 40 წუთი

მიმოხილვა ამ სავარჯიშოში მონაწილეებმა უნდა შეძლონ, რომ ილაპარაკონ სწრაფად და საზრიანად ერთი წუთის განმავლობაში სპორტსა და ადამიანის უფლებებს შორის ირსებული ურთიერთობების შესახებ.

შესატყვისი უფლებები ყველა

მიზნები
- სპორტისა და ადამიანთა უფლებების პრობლემების შესახებ ცოდნის გაზიარება
- გაცნობიერება, რომ ადამიანის ყველა უფლება ერთმანეთთანაა დაკავშირებული და შეადგენენ ერთ განუყოფელ მთლიანობას.
- პირადი მოსაზრების დამაჯერებლად გამოხატვის ჩვევის განვითარება

მასალა
- თითო განცხადება თითო მონაწილისათვის
- ქუდი
- წამზომიანი საათი ან ქრონომეტრი

მომზადება
- გააკეთეთ დასარიგებელი მასალის ასლი და ამოჭერით განცხადებები
- დაკეცეთ ამოჭრილი ფურცლები და ჩააწყვეთ ისინი ქუდში.

თემები

sporti

globalizacia

adamianis uflebebi

სირთულე

done 1
done 2
done 3
done 4

done 2

მონაწილეთა რაოდენობა



nebismieri

ხანგრძლივობა

40 wuTi

ინსტრუქციები

1. სთხოვეთ მონაწილეებს დასხდნენ წრეში.
2. ჩამოატარეთ ქუდი წრეში. სთხოვეთ ყველა მონაწილეს, არ ჩაიხედონ ქუდში და მორიგეობით ამოიღონ იქიდან ერთი ფურცელი.
3. ამის შემდეგ, მონაწილეებს მიეცით 5 წუთი ერთწუთიანი გამოსვლის მოსამზადებლად, რათა პაუზის გარეშე ისაუბრონ ფურცელზე დაწერილი განცხადების შესახებ. წესების მიხედვით იკრძალება შეყოვნება და ნათქვამის გამეორება.
4. სთხოვეთ წრეში მსხდომთ თანმიმდევრობით წარმოთქვან "სიტყვა".
5. თითოეული "სიტყვის" შემდეგ, გამოყავით 2-3 წუთი, მოკლე კომენტარების გასაკეთებლად. თუ მონაწილეებს ბევრი სათქმელი აქვთ, ჩაინიშნეთ თემა და შეთანხმდით, რომ მას თამაშის ბოლოს დაუბრუნდებით.
6. როდესაც ყველას გამოსვლა დასრულდება, დაუბრუნდით და დაასრულეთ ყველა დისკუსია, რომლის შეწყვეტაც მოგიხდათ.

7. ამის შემდეგ გადადით ანალიზზე და შეფასებაზე.

ანალიზი და შეფასება

დაიწყეთ სავარჯიშოს მიმოხილვით, შემდეგ ისაუბრეთ წამოჭრილი საკითხების გარშემო.

- რთული იყო კონკრეტულ თემაზე ერთი წუთის განმავლობაში შეუჩერებლად ლაპარაკი?
- სასაუბროდ რომელი თემა იყო ყველაზე რთული და რატომ?
- რომელი განცხადებები იყო ყველაზე საკამათო და რატომ?
- რომელმა ინფორმაციამ გამოიწვია გაკვირვება მონაწილეთა შორის?

რჩევები ხელმძღვანელებს

სავარჯიშო აქვს რამდენიმე დონე, და შესაძლებელია შეკითხვების სხვადასხვაგვარად ინტერპრეტირება. მთავარია, რომ სავარჯიშო შეესაბამებოდეს იმ ახალგაზრდების მომზადების დონეს, რომლებიც სავარჯიშოს ასრულებენ. შესაძლოა გამოიყენოთ რომელიმე არაერთგვაროვანი გამონათქვამი, დისკუსიის გაღრმავების მიზნით. მაგრამ, ფრთხილად იყავით: მონაწილეებმა შესაძლოა თქვენი ჩანაფიქრი ახსნან, როგორც სიგნალი „სწორი პასუხის“ ძიებისაკენ.

თუ ფიქრობთ, რომ ქვემოთ მოყვანილი განცხადებები თქვენ ჯგუფს არ აინტერესებს მოიგონეთ სხვები.

წაახალისეთ გაუბედავი მონაწილეები ისაუბრონ, შესთავაზეთ მათ ილაპარაკონ მხოლოდ ნახევარი წუთი, ან სულ 20 წამი. მიეცით საშუალება, რომ გამოსვლის წინ ჯერ მეგობარს გაესაუბრონ ან მოგვიანებით გამოვიდნენ სალაპარაკოდ.

ვარიანტები

შეგიძლიათ მცირე ჯგუფში შეასრულოთ ორი, ან მეტი რაუნდი. მონაწილეები იღებენ ერთ ფურცელს თითოეულ რაუნდში. თუ ჯგუფში 15 წევრზე მეტია, დაყავით ისინი ორ ქვეჯგუფად.

განცხადებების ქუდიდან აღების მეთოდი შეიძლება გამოყენებულ იქნას ნებისმიერ თემაზე მუშაობის დროს.

წინადადებები გაგრძელებისათვის

თუ მონაწილეებს სურთ გააგრძელონ სპორტის თემა და თავს ენერგიულად გრძნობენ, შესთავაზეთ სავარჯიშო “სპორტი ყველასათვის” (გვ. 290).

თუ რომელიმე სხვა თემამ გამოიწვია განსაკუთრებული ინტერესი, გადახედეთ სავარჯიშოების სარჩევს (გვ. 84) ამ თემასთან დაკავშირებული სავარჯიშოს შესარჩევად.

იდეები მოქმედებისათვის

აირჩიეთ ერთ-ერთი საკითხი სამუშაოდ და შეათანხმეთ მომდევნო სამოქმედო ეტაპი. შეიმუშავეთ შერჩეულ საკითხზე სამუშაო პროექტი. დაუკავშირდით ადგილობრივ ორგანიზაციას, რომელიც ამ სფეროში მუშაობს. გამოიყენეთ პროექტი, რათა მონაწილეებმა გაიფართოვონ ცოდნა და იფიქრონ, ჯგუფური მუშაობისა და იდეების პრაქტიკული განხორციელების რომელი უნარ-ჩვევები შეიძინეს.

ღირშესანიშნავი თარიღი

7 აპრილი
ჯანდაცვის საერთაშორისო დღე

დამატებითი ინფორმაცია

"როგორ უნდა ითამაშოთ: სპორტის წვლილი ადამიანის უფლებების დამკვიდრებაში". სიდნეის კონფერენცია, 1–3 სექტემბერი, 1999 წელი: www.hrca.org.au/#sport_and_human_rights

dasarigebeli masala

განცხადებების ფურცელი

სპორტი და ადამიანის ზოგადი უფლებები

ფიქრობთ, რომ რონალდო კარგი საგანგებო წარმომადგენელი იქნება „ცვლილების ძალა: შიდსის საწინააღმდეგო საერთაშორისო კამპანია ახალგაზრდების მონაწილეობით“?

სპორტი და ადამიანის ზოგადი უფლებები

საერთაშორისო დონის სპორტსმენებმა უნდა დაიცვან ქცევის კოდექსი. ისინი ვინც დაარღვევენ კოდექსს, მაგ. სპორტული მოვლენის გამოყენება პოლიტიკური განცხადებისათვის, ჯარიმდებიან. არის ეს აზრის თავისუფლად გამოთქმის უფლებაზე პიროვნებისათვის უარის თქმა?

სპორტი და ადამიანის ზოგადი უფლებები

პოლიციას აქვს უფლება არ გაუშვას ფეხბურთის მოყვარულები, რომლებსაც ისინი საეჭვოდ მიიჩნევენ სხვა ქვეყნებში მატჩებზე დასასწრებად. არის ეს მათთვის დაკანონებული გზით თავისუფლად გადაადგილების უფლების და კავშირის თავისუფლების წართმევა?

სპორტი და ბავშვები

რას ეტყოდით ამბიციურ მშობლებს და მწვრთნელებს, რომლებიც აიძულებენ ბავშვებს საათობით ივარჯიშონ? ვის უნდა ჰქონდეს უფლება გადაწყვეტილება მიიღოს ახალგაზრდის ჯანმრთელობაზე და მათი თავისუფალი დროის გატარებაზე?

სპორტი და მოქალაქეობა

ბევრი ადამიანი იბადება ერთ ქვეყანაში, მაგრამ შემდეგ ხდებიან სხვა ქვეყნის მოქალაქეები და სახლდებიან იქ. მიუხედავად ამისა, ისინი რჩებიან თავიანთი დაბადების ქვეყნის ეროვნული გუნდის მხარდამჭერებად მათი ახალი სამშობლოს გუნდის ნაცვლად. რომელ გუნდს უნდა დაუჭირონ მათ მხარი?

სპორტი და დისკრიმინაცია

რამდენად აბათილებენ პარალიმპიური თამაშები ინვალიდების მიმართ არსებულ პრეკონცეფციებს?

სპორტი და დისკრიმინაცია

არის ათლეტების სექსუალური შემოწმება საჭირო სამართლიანი თანასწორი შეჯიბრის უზრუნველსაყოფად. თუ ეს ადამიანის ღირსებისა და პირადი ცხოვრების უფლების მეტისმეტად უხეში დარღვევაა?

სპორტი და განათლება

ფიქრობთ, რომ ფიზიკური კულტურის გაკვეთილები სავალდებულო უნდა იყოს ფორმალური განათლების პროცესში?

სპორტი და სოციალური უფლებები

ფიქრობთ, რომ პროფესიონალ სპორტსმენები სხვა მშრომელების მსგავსად უნდა სარგებლობნენ პროფკავშირების შექმნის და სამსახურიდან არასამართლიანად განთავისუფლებისაგან დაცვის უფლებით?

სპორტი და ეკოლოგია

გოლფის კურსებს ხშირად აკრიტიკებენ როგორც ხალხის ასევე გარემოს მიმართ „არაკეთილგანწყობისათვის“, რადგანაც ისინი ხშირად მიმდინარეობს იმ მოედნებზე რომლებსაც ხალხი იყენებდა ფერმერობისა და მეტყევეობისათვის. მათ მოსაწყობად ასევე საჭიროა ბევრი წყალი, ხოლო შესანარჩუნებლად საჭიროა ჰერბიციდები, და პესტიციდები. აქცევს ეს ყველაფერი გოლფს ადამიანის უფლებათა სფეროში შემავალ ერთ-ერთ პრობლემად?

სპორტი და გლობალიზაცია

სპორტული ფეხსაცმელი და ინვენტარი იაფად მზადდება აღმოსავლეთ ევროპაში და შორეულ აღმოსავლეთში შრომის ექსპლოატაციის შედეგად. მუშებს სურვილი აქვთ შეინარჩუნონ სამუშაო და ამიტომაც არ აცხადებენ ბოიკოტს. რა შეგვიძლია გავაკეთოთ ჩვენ, მომხმარებლებმა, რათა არ ვიყოთ მათი ექსპლოატაციის მონაწილენი?

სპორტი და პიროვნული უსაფრთხოება

ჩინეთი ცნობილია ადამიანის უფლებების დარღვევით. უნდა ყოფილიყო ეს ქვეყანა 2008 წლის ოლიმპიადის მასპინძლად არჩეული?

სპორტი და ჯანმრთელობა

რა უნდა გაკეთდეს ადგილობრივ დონეზე სპორტის სფეროში აკრძალული მედიკამენტების გამოყენებასთან საბრძოლველად?

სპორტი და მედია

ფიქრობთ, რომ რომელიმე კონკრეტულ ტელეკომპანიას აქვს უფლება იყიდოს რომელიმე სპორტული მოვლენის ექსკლუზივი?

სპორტი და მშვიდობა

რამდენად უწყობს ხელს შეჯიბრებითი ხასიათის სპორტი ადამიანებს შორის თანამშრომლობისა და გაგების დამკვიდრებას?

სპორტი და სიღარიბე

ფიქრობთ, რომ თქვენი ქვეყნის პოლიტიკოსები იყენებენ სპორტს ან სპორტულ მოვლენებს ხალხის ყურადღების გადასატანად პოლიტიკური და ეკონომიკური საკითხებიდან?

სპორტი და სიღარიბე

ბევრ ქვეყანაში სპორტი და განსაკუთრებით ფეხბურთი სთავაზობს ადამიანებს „პასპორტს სიღარიბიდან თავის დასაღწევად“. ამდენად ღარიბმა ქვეყნებმა უნდა დაუთმონ თუა არა უფრო მეტი ყურადღება ფეხბურთს?

visaubroT seqsze!

„გაიგე, პიტერი გეი ყოფილა?“

თემები ჯანდაცვა, დისკრიმინაცია და ქსენოფობია, გენდერული თანასწორობა

სირთულე დონე 4

მონაწილეთა რაოდენობა 10 და მეტი

ხანგრძივობა 60

მიმოხილვა სავარჯიშოში გამოყენებულია "აკვარიუმის" მეთოდი, საზოგადოების სექსუალობასთან, ჰომოფობიის ჩათვლით, დამოკიდებულების ანალიზისათვის.

შესატყვისი უფლებები
- ქორწინებისა და ოჯახის შექმნის უფლება
- დისრიმინაციისაგან დაცვისა და თანასწორი მოპყრობის უფლება
- სიტყვის თავისუფლებისა და ასოციაციების თავისუფლების უფლება

მიზნები
- სექსუალობასთან დაკავშირებული საკითხებისა და უფლებების განხილვა, ჰომოსექსუალიზმის ჩათვლით
- ამ თემაზე საუბრისას, პირადი მოსაზრების დამაჯერებლად გამოხატვის ჩვევის განვითარება

მასალა
- 3 სკამი
- 2 ხელმძღვანელი
- საკმაოდ დიდი ოთახი მონაწილეების თავისუფლად გადაადგილებისათვის
- დაფა, ან დიდი ზომის ფურცელი და მარკერები
- ქაღალდის პატარა ფურცლები და კალმისტრები
- ქუდი

მომზადება
- გაითვალისწინეთ, რომ ბევრ ქვეყანაში სექსუალობა დელიკატურ საკითხად ითვლება და, ამდენად მზად იყავით მეთოდოლოგიის, ან თემის შესაცვლელად (ან ორივეს შესაცვლელად).
- ამოარჩიეთ რამოდენიმე ადამიანი, რომლებიც თავისუფლად საუბრობენ თავიანთ სექსუალობაზე, ჰეტეროსექსუალიზმის, ჰომოსექსუალიზმის, ბისექსუალიზმისა და ტრანსსექსუალი ქალებისა და მამაკაცების ჩათვლით.

თემები

jandacva

diskriminacia

genderuli Tanasworoba

სირთულე

done 1
done 2
done 3
done 4

done 4

მონაწილეთა რაოდენობა



10 da meti

ხანგრძლივობა

60 wuTi

ინსტრუქციები

1. შექმენით სათანადო ატმოსფერო. განმარტეთ, რომ ადამიანების უმრავლესობა სექსუალობას განიხილავს პირადულ საკითხად. სექსუალური ორიენტაციის ნიადაგზე დისკრიმინაციისაგან დაცვის უფლება ადამიანის ფუნდამენტური უფლებაა და ევროპის ქვეყნების უმეტესობაში

დაცულია კანონმდებლობით. ეს სავარჯიშო სექსუალობის, კერძოდ კი ჰომოსექსუალობის მიმართ დამოკიდებულებების ანალიზის საშუალებას იძლევა. მოთელვისათვის გაიხსენეთ ცნობილი ადამიანები, რომლებიც თავისუფლად ლაპარაკობენ თავიანთი სექსუალობის შესახებ.

2. დაარიგეთ პატარა ფურცლები და კალმისტრები და სთხოვეთ მონაწილეებს დაწერონ ნებისმიერი შეკითხვა, რომელიც მათ გაუჩნდებათ ჰომოსექსუალობასთან ან ზოგადად სექსუალობასთან დაკავშირებით, და ჩადონ ეს ფურცლები ქუდში. შეკითხვები უნდა იყოს ანონიმური.
3. განმარტეთ, რომ სავარჯიშო განიხილავს დამოკიდებულებას სექსუალობის, კერძოდ კი ჰომოსექსუალობის მიმართ. ყველას შეუძლია თავისუფლად გამოთქვას როგორც ტრადიციული, ასევე არატრადიციული აზრი, ან აზრი, რომელიც ეწინააღმდეგება საზოგადოებრივ ნორმებს. მონაწილეებს შეუძლიათ წარმოადგინონ შეხედულებები, რომლებსაც ისინი ეთანხმებიან, ან არ ეთანხმებიან დაცინვის ან შეურაცხყოფის შიშის გარეშე.
4. მოათავსეთ 3 სკამი ნახევარწრეში ჯგუფის წინ. ისინი განკუთვნილია სამი მოსაუბრისათვის, რომლებიც ”აკვარიუმში” არიან. დანარჩენი ჯგუფი დამკვირვებლებს წარმოადგენენ.
5. განმარტეთ, დასაწყისისათვის ”აკვარიუმში” სასაუბროდ მოიწვევთ ორ მოხალისეს. თუ რაღაც მომენტში, ვინმეს სურვილი გაუჩნდება შემოგიერთდეთ, მათ შეუძლიათ ამის გაკეთება. მაგრამ, ვინაიდან აკვარიუმში მხოლოდ სამი თევზისთვის არის ადგილი, ვიღაცამ ადგილი უნდა დაუთმოს მას. ვისაც სურვილი აქვს ჩაერთოს საუბარში, უნდა გამოვიდეს წინ და ფრთხილად შეეხოს მხარზე ”მოსაუბრეს”. ეს ორი ადამიანი ცვლიან ადგილებს და ყოფილი მოსაუბრე ხდება დამკვირვებელი.
6. წაახალისეთ მონაწილეები გამოვიდნენ საკუთარი აზრის გამოსათქმელად, მაგრამ ასევე გამოთქვან განსხვავებული აზრი, რომლებსაც ისინი შესაძლოა არ იზიარებდნენ. ამრიგად, შეიძლება გამოითქვას საკამათო, ”პოლიტიკურად არაკორექტული” ან წარმოუდგენელი იდეები, რაც ხელს შეუწყობს მოცემული თემის სხვადასხვა შეხედულებების თვალსაზრისით განხილვას.
7. დაუშვებელია შეურაცხმყოფელი, ან დამამცირებელი კომენტარები ჯგუფის წევრების მიმასამართით.
8. სთხოვეთ მოხალისეს ამოიღოს შეკითხვიანი ფურცელი ქუდიდან და დაიწყოს მასზე მსჯელობა. დისკუსია გაგრძელდეს, ვიდრე მონაწილეები არ ამოწურავენ საკითხს და არ გამეორდება ერთი და იგივე მომენტები.
9. შემდეგ, სთხოვეთ სამ მოხალისეს, იმსჯელონ მომდევნო საკითხზე და დაიწყეთ საუბრის შემდეგი რაუნდი იგივე წესების დაცვით.
10. განიხილით იმდენი საკითხი, რამდენსაც საჭიროდ მიიჩნევთ. თუმცა, მხედველობაში მიიღეთ სავარჯიშოსათვის განკუთვნილი დრო და ჯგუფის ინტერესი. ანალიზისა და შეფასების დაწყებამდე გამოაცხადეთ მოკლე შესვენება, რათა მონაწილეებმა დაისვენონ ”აკვარიუმიდან” გამოსვლის შემდეგ. ეს განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ცხარე დისკუსიის შემდეგ.

ანალიზი და შეფასება

განიხილეთ, როგორ გრძნობდენ მონაწილეები თავს ”აკვარიუმში” და მის გარეთ. ამის შემდეგ, მიმოიხილეთ განხილვისას გამოთქმული სხვადასხვა შეხედულებები და ბოლოს, ისაუბრეთ იმის სესახებ, თუ რა ისწავლეს მონაწილეებმა თამაშის პროცესში:

- იყო ვინმე შოკირებული ან გაკვირვებული, რომელიმე გამოთქმული აზრის გამო? კერძოდ რომელი? რატომ?
- რამდენად თავისუფლად საუბრობს ხალხი თავის სექსუალურობაზე თქვენს ქვეყანაში?
- ზოგიერთი ჯგუფი უფრო გახსნილია, ვიდრე სხვები? რატომ?
- რომელი ძალების ზემოქმედების შედეგად ვითარდება ჩვენი სექსუალობა?
- რაზეა დამყარებული ადამიანების ზნეობრივი შეხედულებები სექსუალობის შესახებ?
- განსხვავდება მონაწილეების დამოკიდებულება სექსუალობის მიმართ მათი მშობლებისა და წინაპრების დამოკიდებულებებისაგან? თუ განხვავდება, რითი? რატომ?
- ზოგიერთ ქვეყანაში კანონები და ზეწოლა საზოგადოების მხრიდან კონფლიქტში შედიან ადამიანის პატივისცემისა და ღირსების, პარტნიორის ამორჩევის, თავისუფალი ქორწინებისა და სხვა უფლებასთან. რა გზით შეიძლება ასეთი კონფლიქტების მოგვარება?

რჩევები ხელმძღვანელებს

არ დაივიჭყოთ სოციალური კონტექსტის სესახებ, რომელშიც მუშაობთ, და შესაბამისად მოახდინეთ სავარჯიშოს ადაპტირება. ამ სავარჯიშოს მიზანია მონაწილეების მიერ საკუთარი აზრის გამოთქმა საკუთარ სექსუალობასთან და საზოგადოებაში დამკვიდრებულ ნორმებთან დაკავშირებით; მოუწოდეთ მათ გამოიჩინონ თავდაჯერება საკუთარი აზრის გამოთქმის დროს. ამასთანავე, გამოიჩინონ შემწყნარებლობა განსხვავებული აზრის მქონე ხალხის მიმართ. სავარჯიშოს მიზანი არ არის ამა თუ იმ აზრის მიღება, ისევე, როგორც კონსენსუსის მიღწევა.

სავარჯიშოს დაწყებამდე რეკომენდირებულია მოემზადოთ და წაიკითხოთ ძირითადი ინფორმაცია გენდერული საკითხების, დისკრიმინაციასა და ქსენოფობიის შესახებ. იფიქრეთ, რა საკითხები შეიძლება წამოიჭრას. ზოგიერთი ხშირად დასმული შეკითხვა და განსახილველი თემებია:

- რა არის სექსუალობა?
- რა განსხვავებაა ჰეტეროსექსუალ, ჰომოსექსუალ, ლესბოსელ, ბისექსუალ, და ტრანსსექსუალ ადამინებს შორის?
- არის ჰომოსექსუალობა დაავადება?
- როგორ ხდება ადამიანი ჰომოსექსუალი ან ლესბოსელი?
- რა შეიძლება ითქვას Sidsით დაავადების რისკის შესახებ?
- ზოგიერთ ქვეყანაში ჰომოსექსუალიზმი მიღებულია საზოგადოებაში და პარტნიორებს შეუძლიათ იქორწინონ, ხოლო ზოგიერთ ქვეყანაში – ეს დანაშაულია და სიკვდლით ისჯება.
- როგორია ჰომოსექსუალების სქესობრივი ურთიერთობა?

თქვენთვის, როგორც ხელმძღვანელებისათვის, მნიშვნელოვანია ისაუბროთ თქვენ პირად ფასეულობებზე და რწმენაზე, თუ რა არის მისაღები თქვენთვის, თქვენი ოჯახისათვის; გახსოვდეთ, რომ ეს ღირებულებები აისახება ყველაფერში რასაც გააკეთებთ და იტყვით (ან არ გააკეთებთ და დუმხართ). პრინციპიალურად მნიშვნელოვანია, რომ აღიაროთ საკუთარი ზნეობრივი ღირებულებები და ცრურწმენები და გაიაზროთ ამ ფასეულობების წარმომავლობა, რათა დაეხმაროთ მონაწილეებს შეიცნონ თავიანთი ზნეობრივი ღირებულებების წარმომავლობა.

გონებრივი შტურმი, რომელიც ეძღვნება იმ ცნობილ ადამიანებს, ვინც ღიად საუბრობენ საკუთარ სექსუალურობაზე, მიზნად ისახავს გაუღვიძოს მონაწილეებს

ღირშესანიშნავი თარიღი

29 დეკემბერი
ბიოლოგიური მრავალფეროვნების საერთაშორისო დღე

სექსუალურობის საკითხებზე თავისუფლად მსჯელობის სურვილი. ამავე დროს, ისეთი ცნებების დაზუსტება, როგორებიცაა ჰომოსექსუალისტები, ლესბოსელები, ჰეტეროსექსუალები, ბისექსუალები და ტრანსექსუალები. (იხილეთ დამატებითი ინფორმაცია 407 გვერდზე).

ამ სავარჯიშოში თქვენ მეტად მნიშვნელოვანი როლი გეკისრებათ – თქვენ უნდა განსაზღვროთ საერთო განწყობილება. სავარჯიშოს შესრულება შეიძლება დაიწყოთ ორი ხელმძღვანელის საუბრით. მაგალითად, ერთ-ერთმა თქვენთაგანმა შეიძლება იკითხოს: "გაიგე, პიტერმა გამოაცხადა, რომ ის ჰომოსექსუალისტია?" მეორემ კი შეიძლება უპასუხოს: „არა, ამას ვერასოდეს ვიფიქრებდი, ის საერთოდ არ ჰგავს ცისფერს". ამგვარად, თქვენ მიანიშნებთ, რომ საუბარია საერთო ნაცნობზე, ამიტომ ესაა განხილვა შინაურ ადამიანებს შორის და ადა არა თეორიული დისკუსია. ეს დაგეხმარებათ დაიწყოთ განხილვა, რა იციან მონაწილეებმა ჰომოსექსუალიზმის შესახებ და როგორია მათი დამოკიდებულება ამ საკითხის მიმართ.

იმედია, რომელიმე დამკვირვებელი სწრაფად შეგცვლით, რაც საშუალებას მოგცემთ დისკუსია მხოლოდ მოთამაშეების მონაწილეობით გააგრძელოთ. მაგრამ უნდა გააგრძელოთ მონაწილეობა, როგორც დამკვირვებელმა და შეინარჩუნოთ შესაძლებლობა კვლავ ჩაერთოთ მოსაუბრის როლში. ეს გაძლევთ შანსს, შეუმჩნევლად წარმართოთ განხილვის მიმდინარეობა, ან შეთავაზოთ ახალი მიმართულება, ან ტაქტიანად გამოიყვანოთ საუბრიდან ის მონაწილე, რომელიც არ იცავს თამაშის წესებს.

სურვილისამებრ შეგიძლიათ შემოიტანოთ წესი, რომ ერთი კონკრეტული საკითხის წამოჭრა შეიძლება მხოლოდ ერთხელ. ეს თავიდან აგაცილებთ გაუთავებელ დისკუსიას შეზღუდული თემების ირგვლივ და ხელს შეუშლის ერთიდაიმავე პოპულარული ცრურწმენების გამეორებას.

ვარიანტები

სხვა თემები, რომლებიც შეიძლება შეთავაზოთ განსახილველად:

- ქორწინების ასაკი (ან სქესობრივი კავშირის დამყარებაზე თანხმობის განცხადების ასაკი): უნდა იყოს განსხვავებული ჰომოსექსუალებისათვის?
- ბავშვის აყვანა და ქორწინება: უნდა მიეცეთ თუ არა ქორწინების უფლება ჰომოსექსუალთა წყვილებს? ბავშვის აყვანის უფლება? რატომ/რატომ არა?
- მართალია, რომ ჰომოსექსუალებში მეტი უფრო დიდი რისკის ქვეშ არიან?

წინადადებები გაგრძელებისათვის

თუ მონაწილეები დაინტერესებული არიან დისკრიმინაციის სხვა ასპექტებითაც, მათ შორის ტრანსსექსუალების სპორტულ შეჯიბრებში მონაწილეობის უფლებით, შეიძლება მოისურვონ სავარჯიშოს შესრულება"ერთი წუთით!" (გვ. 180).

მოქმედებაზე გადასვლა

დაუკავშირდით თქვენ ქვეყანაში არსებულ ჰომოსექსუალისტების ან ლესბოსელების საზოგადოებას. მათ შესახებ ინფორმაციის მოპოვება მოქმედებაზე გადასვლის ერთ-ერთი გზაა. მოიწვიეთ მათი წარმომადგენელი ჯგუფთან სასაუბროდ, რათა გაარკვიოთ რომელი საკითხები და უფლებებია ყველაზე მწვავე თქვენ ქვეყანაში.

დამატებითი ინფორმაცია

სექსუალურობა ადამიანის ცხოვრების განუყოფელი ნაწილია. სექსუალური ცხოვრება გავლენას ახდენს ჩვენს პიროვნებაზე და ყოფაქცევის მახასიათებლებზე – სოციალურ, პიროვნულ, ემოციურ, ფსიქოლოგიურ, – რომლებიც თავს იჩენენ სხვებთან ურთიერთობის დროს. სექსუალურობა ყალიბდება სქესობრივი და გენდერული ნიშან-თვისებების, აგრეთვე, მთელი რიგი რთული ზემოქმედებების შედეგად და განიცდის დინამიურ ცვლილებას მთელი ცხოვრების მანძილზე.

ინფორმაციის წყარო: ASPA ინფორმაციული ტექნოლოგიების პროექტი www.aspa.asn.au

სექსუალური მრავალფეროვნება და ადამიანის უფლებები

ტრადიცული თვალსაზრისით ეს ორი საკითხი თითქოს ერთმანეთთან კავშირში არაა. შეიძლება კამათი იმის შესახებ, რომ პირველი დაკავშირებულია პირად და ინდივიდუალურ არჩევნათან, მეორე კი საზოგადოებრივი სფეროს იურიდიულ და პოლიტიკურ სტრუქტურებთან, რომელიც ფუნქციონირებს მოქალაქეობასთან კავშირში. და მაინც, ბოლოდროის ისტორიულმა, ანთროპოლოგიურმა და სოციოლოგიურმა კვლევებმა აჩვენა, რომ სექსუალური თვითმყოფადობა და სექსუალური ლტოლვის გამოხატვის სხავდასხვა ფორმები, სხვადასხვა ეპოქებისა და კულტურების ფარგლებში ითვლებოდა და ითვლება საზოგადოებრივი წესრიგის პოტენციურად დამანგრეველ ძალებად. ერთ სიტუაციაში ერთნაირი, ან გაურკვეველი სქესობრივი ლტოლვის გამოხატულებები არღვევენ ტრადიციულ მორალურ და რელიგიურ ნორმებს, ხოლო მეორეში ისინი ითვლებიან ფსიქიურ დაავადებად.

სექსუალურ მრავალფეროვნებასა და ადამიანის უფლებებს შორის ურთიერთკავშირს საფუძვლად უდევს ჰეგემონიიის ძალა, რომელიც მუდმივად მოქმედებს ადამიანის უფლებებით თანაბარი სარგებლობის წინააღმდეგ. ამ ძალას წარმოადგენს ინსტიტუციონალური ჰიპოთეზა, რომ მხოლოდ ჰეტეროსექსუალური დამოკიდებულებაა სექსუალური ლტოლვის გამოვლენის ”ბუნებრივად დაკანონებული” და, ამდენად, ”ნორმალური” გზა. მარგინალიზაციის ამ პროცესს წითელ ხაზად გასდევს მოსაზრება, რომ ჰეტეროსექსუალიზმი არის ”ბუნებრივი” და, მაშასადამე, მორალურად მისაღები, მაშინ, როცა სექსუალური ლტოლვის გამოვლენის სხვა ფორმები - ”არაბუნებრივია” და, შესაბამისად, მორალურად მიუღებელი.

ინფორმაციის წყარო: ადაპტირებულია ჰომოსექსუალისტთა და ლესბოსელთა უფლებების დაცვის კომისიის ვებგვერდიდან: www.iglhrc.org

TamaSi "daxate sityva"

მხატვრების გარდა, სხვებსაც აქვთ უფლებები!

თემები დამიანის ზოგადი უფლებები, მედია, მოქალაქეობა

სირთულე დონე 1

მონაწილეთა რაოდენობა 8 და მეტი

ხანგრძლივობა 45 წუთი

მიმოხილვა ეს არის გუნდური თამაში, რომელშიც მონაწილეებმა უნდა მოუხმონ თავიანთ შემოქმედებით უნარს ადამიანის უფლებათა საკითხებთან დაკავშირებული სიტყვის დასახატად.

შესატყვისი უფლებები
- აზროვნებისა და აზრის გამოთქმის თავისუფლება
- აზროვნების თავისუფლება
- ღირსებისა და უფლებების თანასწორობა

მიზნები
- ცოდნის განვითარება ადამიანის უფლებათა საყოველთაო დეკლარაციის შესახებ
- გუნდის ჩამოყალიბება, ცოდნის განვითარება შემოქმედებითი აზროვნებისა და ვიზუალური გამოსახულებების გამოყენების შესახებ

მასალა
- ადამიანის უფლებათა საყოველთაო დეკლარაციის ტაბულა
- დიდი ზომის ფურცლები და მარკერი ქულების ჩასაწერად
- A4 ზომის ფურცლები და კალმისტრები ჯგუფის მიერ ნახატების შესასრულებლად. ერთი ფურცელი ერთი ჯგუფისათვის თამაშის ყოველ რაუნდში.
- წებოვანი ლენტი ან ჭიკარტი ნახატების გამოსაფენად

მომზადება
- მიმართეთ 508 გვერდს ადამიანის უფლებათა საყოველთაო დეკლარაციის შემოკლებული ვარიანტისათვის და გააკეთეთ მისი ასლი დიდი ზომის ფურცელზე
- შეარჩიეთ უფლებები, რომლებზეც გსურთ, რომ ჯგუფმა იმუშაოს და გააკეთეთ მათი სია თამაშში გამოყენებისათვის.



სტრუქციები

1. სთხოვეთ მონაწილეებს დაიყონ მცირე, 4-5 წევრიან ჯგუფებად და შეარჩიონ სახელი თავიანთი გუნდისათვის
2. განმარტეთ, რომ მათ მოუხდებათ გუნდებში მუშაობა. თქვენ, გუნდის ერთ-ერთ მონაწილეს დასახატად მისცემთ რომელიმე მუხლს ადამიანის უფლებათა საყოველთაო დეკლარაციიდან. გუნდის დანარჩენმა წევრებმა

ღირშესანიშნავი თარიღი

10 დეკემბერი
ადამიანის უფლებათა დღე

უნდა გამოიცნონ, რომელი უფლებაა დახატული. ქულა ეწერება იმ გუნდს, რომელიც პირველად გამოიცნობს. მოგებულია ის გუნდი, რომელსაც თამაშის ბოლოს ყველაზე მეტი ქულა აქვს.

3. განუმარტეთ გუნდებს, აიღონ რამოდენიმე ფურცელი და ფანქარი და დასხდნენ სადმე ოთახში. გუნდები უნდა მიმოიფანტონ ოთახში ისე, რომ არ ესმოდეთ ერთამანეთის ლაპარაკი.
4. გამოიძახეთ ერთი წევრი თითოეული გუნდიდან. მიეცით თქვენი სიიდან ერთი უფლება, მაგალითად, "წამებისაგან დაცვა" ან "სიცოცხლის უფლება".
5. უთხარით, დაუბრუნდნენ ჯგუფებს და დახატონ მიცემული კონკრეტული უფლება, ხოლო გუნდის დანარჩენმა წევრებმა, გამოიცნონ, რა უფლებაა დახატული. მათ მხოლოდ ვიზუალური გამოსახულებების დახატვის უფლება აქვთ. ციფრების ან სიტყვების დაწერა არ შეიძლება. ლაპარაკი მხატვარსაც ეკრძალება, გარდა სწორი პასუხის დადასტურების შემთხვევისა.
6. ჯგუფის დანარჩენმა ნაწილმა უნდა დაასახელოს მხოლოდ გამოცნობილი ვარიანტები. მათ არაა აქვთ შეკითხვების უფლება
7. ყოველი რაუნდის შემდეგ, მიუხედავად იმისა, დასრულდა თუ არა თამაში, სთხოვეთ "მხატვრებს" დაწერონ სურათზე უფლების სახელწოდება, და გადადონ სურათი გვერდზე
8. დაიწყეთ მეორე რაუნდი. გამოიძახეთ დასახატად ახალი მონაწილეები და დაუსახეთ მათ სხვა უფლებები. შეასრულეთ 7-8 რაუნდი. ყველა რაუნდში სხვადასხვა მონაწილეებმა უნდა დახატონ ნახატი. ეცადეთ ყველას მისცეთ საშუალება თუნდაც ერთხელ მაინც დახატონ.
9. დასასრულ, სთხოვეთ ჯგუფებს, გააკრან კედელზე თავიანთი სურათები, რათა მოხდეს სხვადასხვა ინტერპრეტაციებისა და სხვადასხვა უფლებების ვიზუალურ გამოსახულებებს შორის შედარება და მათი განხილვა.

ანალიზი და შეფასება

დაიწყეთ სავარჯიშოს მიმოხილვა და შემდეგ განიხილეთ რა იციან მონაწილეებმა ადამიანის უფლებათა შესახებ:

- ადამიანის უფლებების გამოსახვა იმაზე რთულია, თუ მარტივი, ვიდრე მონაწილეები მოელოდნენ?
- რის მიხედვით ირჩევდნენ მონაწილეები უფლებათა გამოსახვის ხერხებს? საიდან აიღეს ვიზუალური გამოსახულებები?
- რა განსხვავება და მსგავსებაა თითოეული უფლების ვიზუალურ გამოსახულებებს შორის? რამდენი განსხვავებული გზაა ერთი და იგივე კონცეფციის გამოსახვისა და ინტერპრეტაციისათვის?
- მას შემდეგ რაც ყველა სურათი განიხილება, იკითხეთ, რამდენად ბევრი, ან ცოტა იცოდნენ მონაწილეებმა ადამიანის უფლებათა შესახებ?
- ფიქრობენ, რომ ადამიანის უფლებები რაიმე კავშირშია მათ ცხოვრებასთან? კერძოდ, რომელი უფლებები?

რჩევები ხელმძღვანელებს

ვიდრე ამ სავარჯიშოს შესრულებას დაიწყებდეთ, უნდა გადაიკითხოთ ადამიანის უფლებათა საყოველთაო დეკლარაცია (გვ. 508) და გაეცნოთ, რა იგულისხმება ადამიანის უფლებებში; მაგალითად, რომ უფლებების დაცვა

გარანტირებულია საერთაშორისო დონეზე, დაცულია კანონით და ორიენტირებულია ადამიანის ღირსებაზე. ისინი იცავენ, როგორც ცალკეულ პიროვნებებს, ასევე ადამიანთა ჯგუფებს. მათი ხელყოფა დაუშვებელია. დეკლარაცია თანაბრად ვრცელდება ყველა ადამიანზე. უფლებები ურთიერთდამოკიდებული და უნივერსალურია.

უნდა მოიფიქროთ, როგორ გამოიყენოთ ტაბულა. თუ მონაწილეები ცუდად იცნობენ ადამიანის უფლებათა საყოველთაო დეკლარაციას, უმჯობესია ტაბულის გამოყენება მეცადინეობის დაწყებამდე, რათა მოთამაშეებს გარკვეული მინიშნებები მისცეთ იმის შესახებ, თუ რა უნდა გამოიცნონ! თუ მონაწილეები კარგად არიან გაცნობიერებულნი, მაშინ ტაბულა გამოიყენეთ თამაშის ბოლოს, დისკუსიის სტიმულირებისათვის იმ უფლებების გარშემო, რომლებიც არ იყო დახატული.

გახსოვდეთ, მონაწილეები, რომლებიც თვლიან, რომ ხატვა არ შეუძლიათ, ამ სავარჯიშოს ზედმეტად რთულად მიიჩნევენ. დაარწმუნეთ ისინი, რომ არ ეძებთ მათ ნამუშევრებში ხელოვნების ნიმუშებს და შესთავაზეთ, დახატონ ისე, როგორც შეუძლიათ. შედეგით, შესაძლოა, თვითონვე დარჩნენ გაკვირვებული!

გამოიყენეთ ადამიანის უფლებათა საყოველთაო დეკლარაციის შემოკლებული ვარიანტი (გვ. 508) დასახატი უფლებების ამოსარჩევად. შესთავაზეთ შემდეგი უფლებები: სიცოცხლის უფლება, წამებისაგან დაცვა, ობიექტური გასამართლების უფლება, დისკრიმინაციისაგან დაცვა, პირადი ცხოვრების უფლება, განათლების უფლება, მონობისაგან დაცვა, თავისუფალი კავშირის უფლება, აზრის გამოთქმის თავისუფლება, ეროვნული კუთვნილების უფლება, ფიქრისა და რელიგიის თავისუფლება, ხმის უფლება, მუშაობის უფლება, ჯანმრთელობის უფლება, საკუთრების უფლება, ქორწინებისა და ოჯახის შექმნის უფლება და მეუღლის არჩევის უფლება.

ვარიანტები

თუ ჯგუფი 8-ზე ნაკლები წევრისაგან შედგება, შეიძლება სავარჯიშო შეასრულოთ მცირე ჯგუფებად დაყოფის გარეშე, სთხოვეთ რომელიმე მონაწილეს დახატოს პირველმა, ხოლო, ვინც პირველი მონაწილის ნახატს გამოიცნობს, ხატავს შემდეგ რაუნდში და ა.შ

იდეები გაგრძელებისათვის

ჯგუფმა შეიძლება მოისურვოს ინვალიდების უფლებებთან დაკავშირებული ზოგიერთი საკითხის გარკვევა სავარჯიშოს "დვინახოთ საკუთარი შესაძლებლობები" (გვ. 156) გამოყენებით.

Tanasworobis qveynisken mimavali gza

"დაბრკოლება არის გზა"
ძენ-ბუდისტური ანდაზა

genderuli Tanasworoba

diskriminacia

ganaTleba

done 1
done 2
done 3
done 4
done 3


4 da meti


90 wuTi

თემები — გენდერული თანასწორობა, დისკრიმინაცია და ქსენოფობია, განათლება

სირთულე — დონე 3

მონაწილეთა რაოდენობა — 4 და მეტი

ხანგრძლივობა — 90 წუთი

მიმოხილვა — ეს სავარჯიშო გულისხმობს მცირე ჯგუფებში მუშაობას, ფანტაზიის და ხატვის უნარ-ჩვევების გამოყენებით განიხილავს გენდერული თანასწორობისა და ქალების წინააღმდეგ დისკრიმინაციის საკითხებს

შესაბამისი უფლებები
- სქესობრივ და გენდერულ საფუძველზე დისკრიმინაციისაგან დაცვის უფლება
- მომავალი მეუღლეების თავისუფალი და სრული თანხმობის საფუძველზე ქორწინების უფლება
- მშობიარობამდე და მის შემდეგ დედებზე განსაკუთრებული მზრუნველობის უფლება

მიზნები
- გენდერული ბალანსისა და თანასწორობის მიზნების გაგების გაღრმავება და შესაბამისი დაფასება
- ფანტაზიისა და შემოქმედებითი უნარის განვითარება მომავლის განჭვრეტისათვის
- სამართლიანობისა და პატივისცემის დამკვიდრება

მასალა
- A4 ზომის ფურცელი და 1 ფანქარი თითოეული მცირე ჯგუფისათვის
- დიდი ზომის ფურცლები (A3) ან დაფის ფურცლები თითოეული მცირე ჯგუფისათვის
- სხვადასხვა ფერის მარკერები, საკმარისი რაოდენობით მცირე ჯგუფებისათვის
- რუქა, სასურველია ტურისტული ან რაიმე სხვა სახის, რომელზეც ნაჩვენებია ადგილმდებარეობის ფიზიკური მახასიათებლები მაგ. მთები, მდელოები, მდინარეები, ტყეები, სოფლები, ხიდები და ა.შ.

მზადება — გაეცანით რუქას და გამოყენებულ სიმბოლოებს

ინსტრუქციები

1. განმარტეთ, რომ ამ სავარჯიშოში მონაწილეებმა უნდა დახატონ გამოგონებული რუქა თანასწორობის ქვეყნისაკენ გასამგზავრებლად, სადაც არსებობს ნამდვილი გენდერული თანასწორობა. ასეთი ქვეყანა იარსებებს მომავალში, მაგრამ ამჟამად მხოლოდ მონაწილეების წარმოსახვაში არსებობს.

2. ჰკითხეთ მონაწილეებს, იციან თუ არა რაიმე ხალხური გადმოცემა, ან ისტორია, რომელშიც ზნეობრივი მეტაფორები მოცემულია გმირის მოგზაურობის მაგალითზე. ისაუბრეთ, როგორ შეიძლება ბნელი ტყე გამოყენებული იყოს, როგორც ბოროტების მეტაფორა, ხოლო წითელი, ან ვარდისფერი ვაშლი, როგორც ცდუნების სიმბოლო. მოგზაურის ზნეობრივი ძლიერება, შეიძლება მინიშნებული იყოს სწრაფი მდინარის გადაცურვით, სიკეთე კი, მომაკვდავი ცხოველის გადარჩენით.
3. მოკლედ მიმოიხილეთ რუქა. მიუთითეთ, როგორაა გავლებული კონტურები, როგორაა გამოსახული მთები და მდინარეები, ჭაობები, შენობები და ელექტროგადამცემი მავთულები.
4. სთხოვეთ მონაწილეებს დაიყონ 3-5 წევრიან მცირე ჯგუფებად. დაურიგეთ პატარა ზომის ფურცლები და პასტები, მიეცით დაახლოებით 15 წუთი ხანმოკლე ფიქრისათვის შემდეგ 3 საკითხზე:
   - როგორ წარმოუდგენიათ თანასწორობის ქვეყანა?
   - რა დაბრკოლებებს შეიძლება წააწყდნენ თანასწორობის ქვეყნისაკენ მიმავალ გზაზე?
   - როგორ გადალახავენ ამ დაბრკოლებებს?
5. დაურიგეთ დიდი ზომის ფურცლები და მარკერები. სთხოვეთ თითოეულ ჯგუფს შეადგინონ თავიანთი წარმოსახვითი რუქა და წარმოადგინონ აწმყოსა და მომავლის ლანდშაფტი ერთად და მათ შორის გამავალი გზა. უნდა შექმნან საკუთარი სიმბოლოები ამ გზაზე არსებული გეოგრაფიული წარმონაქმნების შემხვედრი დაბრკოლებებისა და ობიექტების აღნიშვნისათვის
6. მიეცით ჯგუფებს 40 წუთი რუქების შესადგენად. შეახსენეთ, რომ უნდა დაურთონ გამოყენებული სიმბოლოების ახსნა.
7. შეკრიბეთ ჯგუფები პლენარულ სხდომაზე და სთხოვეთ მონაწილეებს წარმოადგინონ თავიანთი რუქები.

ანალიზი და შეფასება

დაიწყეთ სხვადასხვა ჯგუფების ერთობლივი მუშაობისა და მათ მიერ გადაწყვეტილებების მიღების გზების მიმოხილვით, როგორ იღებდნენ გადაწყვეტილებებს რა გამოესახათ რუქაზე და, როგორ შეადგინეს რუქა. ისაუბრეთ, როგორი შეიძლება იყოს თანასწორობის ქვეყანა რეალურად და რა დაბრკოლებები შეიძლება არსებობდეს.

- მოეწონათ მონაწილეებს სავარჯიშო? რატომ?
- სამი საკითხიდან, რომელი იყო ყველაზე ადვილი მოსაფიქრებლად? ყველაზე რთული? რატომ?
- რა იყო თანასწორობის ქვეყნის მთავარი მახასიათებლები?
- რა ძირითადი დაბრკოლებები უშლის ხელს ამჟამინდელ საზოგადოებებს იდეალურ თანასწორობის ქვეყნად გადაქცევაში?
- რა უნდა შეიცვალოს იმისათვის, რომ შეიქმნას საზოგადოება, სადაც გენდერული თანასწორობა რეალობაა?
- არის პოზიტიური დისკრიმინაციის პოლიტიკა გამართლებული, როგორც მოკლევადიანი ზომები გენდერული თანასწორობის უფრო მაღალი ხარისხის მიღწევისათვის?
- მსოფლიოს ყველა ქვეყნებს შორის თქვენი ქვეყანა რომ შეგეფასებინათ მამაკაცებისა და ქალებისათვის თანაბარი შესაძლებლობების მიცემის თვალსაზრისით, რა ადგილს მისცემდით მას 10 ბალიან შკალაზე, სადაც 1

ძალიან უთანასწოროა ხოლო 10 თითქმის იდეალურ თანასწორობას უდრის.

- კიდევ რომელი ჯგუფებია დისკრიმინირებული თქვენ ქვეყანაში? როგორ აისახება ეს? ადამიანის რომელი უფლებები ირღვევა კონკრეტულად?
- როგორ შეიძლება გაძლიერდეს არაპრივილეგირებული ჯგუფების შესაძლებლობები მათი უფლებების დაცვის მიზნით?
- რა როლს ასრულებს განათლება აქტიური მოქმედებების შესაძლებლობების გაძლიერებაში?

რჩევები ხელმძღვანელებს

თუ მონაწილეები შეყოვნდებიან თავისი იდეების გამოხატვაზე, შეგიძლიათ დაეხმაროთ შემდეგი იდეის შეთავაზებით: დახატეთ ქალი, რომელიც იყენებს განათლების ხიდს ადვოკატობის მსურველი ქალების მიმართ პრეკონცეფციების მდინარის გადასალახად. სხვა მაგალითი შეიძლება იყოს კაცი, რომელიც სიამოვნებით მუშაობს მცირეწლოვანი ბავშვების აღმზრდელად. რასაკვირველია, მოგიწევთ მოიფიქროთ გენდერული სტერეოტიპირების მაგალითები, რომლებიც ასახავენ თქვენი საზოგადოების რეალობას!

ვარიანტები

ჯგუფებმა, შეიძლება, შექმნან ლადშაფტების მოდელები "ხარახურის" გამოყენებით. ამ შემთხვევაში უნდა გქონდეთ პატარა ყუთების, მილების, ქაღალდების, ქვების, თოკებისა და შალის, სკრეპების და სხვა მსგავსი ნივთების კარგი კოლექცია. ასევე, წებო და მუყაოს ქაღალდი მოდელების ფუნდამენტის მოსამზადებლად.

აწმყოდან მომავალში მიმავალი გზის რუქის შედგენის მეთოდი, შეიძლება, მიესადაგოს საკითხების უმრავლესობას, თუკი გსურთ მონაწილეები თავისუფლად და შემოქმედებითად მიუდგნენ პრომბლემების გადასაწყვეტი გზების ძიებას.

იდეები გაგრძელებისათვის

უფრო ღრმად შეისწავლეთ გენდერული, ან სხვა საკითხები, რომლებიც სავარჯიშოს მსვლელობის დროს წამოიჭრა. მაგალითად, შესაძლოა, მოიძიოთ ლიტერატურა ადგილობრივ ბიბლიოთეკაში, ან ინტერნეტში, ან სთხოვოთ თქვენს საზოგადოებაში რომელიმე კონკრეტული ჯგუფის უთანასწორობის საკითხებზე მომუშავე ორგანიზაციის წარმომადგენელს გეწვიოთ და გაესაუბროს თქვენს ჯგუფს.

ალტერნატიული ვარიანტი არის დისკრიმინაციისა და მყარი განვითარების კონტექსტში კულტურული იდენტიფიკაციის უფლების საკითხების განხილვა სავარჯიშოს "მაკა - ვეშაპებზე მონადირე" საშუალებით (გვ. 217).

იდეები მოქმედებისათვის

გადახედეთ საკუთარ სკოლას, კლუბს, ან სამუშაო ადგილს თანასწორი გენდერული შესაძლებლობების თვალსაზრისით, იმსჯელეთ პოლიტიკის გატარების გზებზე, არის თუ არა საჭირო რაიმე ცვლილებები, ან დამატებითი ძალისხმევა თქვენი ორგანიზაციის თანასწორობის ქვეყნის დონემდე ასაყვანად.

დამატებითი ინფორმაცია

ამ სავარჯიშოს საფუძველს წარმოადგენს კონცეფცია „უფლებამოსილების გაფართოება“. მისი გადათარგმნა და ზოგჯერ განმარტება თვით ინგლისურ ენაზეც კი, საკმაოდ რთულია! „უფლებამოსილების გაფართოება“ (empowerement) არის, როგორც საშუალება, ასევე შედეგი იმ პედაგოგიური მოდელისა, რომელსაც „განმანთავისუფლებელ“ განათლებას უწოდებენ .

„უფლებამოსილების გაფართოება“ ოქსფამის მიერ შემოთავაზებული ერთ-ერთი განმარტების მიხედვით არის:

„უფლებამოსილების გაფართოება“ გულისხმობს ჩაგვრის ისეთი ფორმების დაგმობას, რომლებიც თავიანთი საზოგადოების ფარგლებში მილიონობით ადამიანს აიძულებს შეასრულოს თავისი დანიშნულება უთანასწორო პირობებში, ან ადამიანის უფლებების დარღვევით.

iTamaSe!

„სიცოცხლე ჰგავს თამაშს, რომელშიც ღმერთი ბანქოს ჭრის, ეშმაკი არიგებს და ჩვენ კი კოზირებს ჩავდივართ“
იუგოსლავიური თქმულება

sporti

mSvidoba da Zaladoba

adamianis uflebebi

done 1
done 2
done 3
done 4
done 3


10-15


45 wuTi

თემები სპორტი, მშვიდობა და ძალადობა, ადამიანის ზოგადი უფლებები

სირთულე დონე 3

მონაწილეთა რაოდენობა 10 – 15

ხანგრძლივობა 45 წუთი

მიმოხილვა ეს არის ბანქოს თამაშზე აგებული სიტუაცია, რომელშიც ყველა მოთამაშე არ თამაშობს “პატიოსნად”. სავარჯიშოში განიხილება კონფლიქტური სიტუაციები და მათი მოგვარების გზებს.

შესაბამისი უფლებები
- გადაწყვეტილებების მიღების პროცესში მონაწილეობის უფლება.
- ღირსებისა და უფლებების თანასწორობა
- კანონით გათვალისწინებული სამართლიანი მოპყრობის უფლება

მიზნები
- პრობლემების ამოცნობის სწავლა და მათი წარმოშობის კერის პოვნა
- კონფლიქტების დარეგულირების უნარ-ჩვევების განვითარება
- მონაწილეობის, თანამშრომლობის და სხვების პატივისცემის მნიშვნელობის თვალსაჩინოება.

მასალა
- სტანდარტული სათამაშო ბანქოს დასტა
- როლების ბარათები

მომზადება
- გაეცანით ქვემოთ მოცემულ ინფორმაციას კონფლიქტების დარეგულირების შესახებ და გააცნობიერეთ თამაშის პროცესი
- დაამზადეთ თითოეული ბარათი-როლის ერთი ასლი; გადაწერეთ ან გაამრავლეთ ასლის გადამღებ აპარატზე.
- ცალ-ცალკე და სხვებისაგან მალულად აირჩიეთ ოთხი მონაწილე სპეციალური როლების შესასრულებლად. დაურიგეთ მათ ბარათი-როლები და გააფრთხილეთ მათ, რომ როლები საიდუმლოდ უნდა შეინახონ.

ინსტრუქციები

1. შეკრიბეთ მონაწილეები და შეთავაზეთ ბანქოს თამაშში. აირჩიონ მარტივი და ყველასათვის ნაცნობი თამაში, მაგალითად, ”დურაკა” ან ”ლოთი”
2. გადაამოწმეთ, რომ ყველამ იცის თამაშის წესები; თუ ვინმემ არ იცის, მოკლედ განუმარტეთ (ამავე დროს, ”წესების ამხსნელს” მიეცით საშუალება ითამაშოს თავისი როლი).

3. დაიწყეთ თამაში, დაე იგი რაც შეიძლება დიდხანს გაგრძელდეს (მონაწილეები თავად შეეცადონ ჩამოაყალიბონ საკამათო სიტუაციების განმუხტვის მექანიზმი. ჩაერიეთ მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ მონაწილეები არ იჩენენ ინიციატივას ან, თუკი სიტუაცია დაიძაბება. თქვენი ჩარევა უნდა იყოს რაც შეიძლება ტაქტიანი და შეძლებისდაგვარად, მხოლოდ თამაშის მიმდინარე რაუნდის დასრულების შემდეგ).
4. თამაშის დასრულების შემდეგ, მიეცით მონაწილეებს დამშვიდებისა და როლიდან გამოსვლის საშუალება და გადადით შედეგების შეჯამებაზე.

ანალიზი და შეფასება

თამაშის განმავლობაში კამათის დარეგულირების მცდელობებმა უკვე გამოიწვია არაერთი დისკუსია. ამჯერად მონაწილეებს მიეცით საშუალება, რომ გამოხატონ შთაბეჭდილებები სავარჯიშოს შესახებ და მოყვენ, რა გაიგეს ახალი შუამავლობის და კონფლიქტების მოგვარების შესახებ.

- მოეწონათ მონაწილეებს სავარჯიშო? რა ხდებოდა თამაშის მსვლელობისას?
- ოთხ მონაწილეს ჰქონდა განსაკუთრებული როლი; ვინ იყვნენ ისინი და რა როლებს ასახიერებდნენ?
- რა მოხდა თამაშის ჩაშლის პირველი მცდელობის შემდეგ? თითოეულმა მოთამაშემ რიგრიგობით გამოთქვას აზრი, რა შეამჩნია და როგორი იყო მისი რეაქცია?
- როგორ ჩაისახა კონფლიქტების დარეგულირების იდეა? როგორ მოხდა მათი რეალიზება?
- ხომ არ იწვევდა მოთამაშეებში სასოწარკვეთილებას ხელმძღვანელის მოქმედებები, რომელიც შუამავლობას ცდილობდა, იმის მაგივრად, რომ ჩარეულიყო და აეხსნა, როგორ უნდა წარმართულიყო თამაში?
- შეუძლიათ მონაწილეებს გამოყონ კონფლიქტის მოგვარების ეტაპები?
- რეალურ ცხოვრებაში რა დადებითი და უარყოფითი მხარეები აქვს კონლიქტის მოგვარებას დიალოგის, და არა დიქტატურის გზით?

რჩევები ხელმძღვანელებს

თუ მონაწილეები თავად ცდილობენ კონფლიქტის მოგვარების გზების პოვნას, ეცადეთ თქვენი ჩარევა მინიმუმამდე დაიყვანოთ. ბოლოსდაბოლოს სწორედ ესაა სავარჯიშოს ამოცანა და, თუ მონაწილეები შეძლებენ დამოუკიდებლად შეიძინონ ამგვარი უნარ-ჩვევები, ეს შესანიშნავი იქნება! თუ ასე მოხდება, თქვენ მხოლოდ მათი ამ მცდელობების შეფასება მოგიწევთ შედეგების შეჯამების პროცესში.

თამაშის მიმდინარეობისას, შეეცადეთ დაეხმაროთ მონაწილეებს საკუთარი მეთოდებისა და გადაწყვეტილებების ძიებაში. ამისათვის, დაეყრდენით კონფლიქტების მოგვარების წესებს ანუ ეგრეთ წოდებულ ”პრინციპიალურ მოლაპარაკებებს”, რომლებიც შეიცავენ სამ ძირითად ეტაპს:

1. კონფლიქტის არსის გაცნობიერება
   - *ნუ იკამათებთ პოზიციების შესახებ* (ამ შემთხვევაში არა არის საჭირო კამათი, თუ ვინაა მართალი და ვინ მტყუანი).
   - *განსაზღვრეთ პრობლემა* (დააზუსტეთ, რა მოხდა)

- *განაცალკევეთ ადამიანი პრობლემისაგან* (არ მისცეთ მონაწილეებს ერთმანეთის შეურაცხყოფის საშუალება. ყურადღება გაამახვილეთ იმ მოქმედებებზე, რომლებმაც წარმოშვეს პრობლემა).

ა. დაშვებული შეცდომების დიაგნოსტიკა და შესაძლო გადაწყვეტილების ძიება.

- *ყურადღება გაამახვილეთ საერთო ინტერესებზე, და არა სხვადასხვა პოზიციებზე.* ანუ, ეძებეთ საერთო დასაყრდენი. (უნდათ ბანქოს თამაში, თუ არა?)
- *მოიფიქრეთ მდგომარეობიდან გამოსავალი, რომელიც ყველასთვის მისაღებია.* შესთავაზეთ გადაწყვეტილებები, რომლებიც ყველას დააკმაყოფილებს და ყველასთვის სამართლიანი იქნება (მაგალითად, თამაშის უკანასკნელი რაუნდის გადათამაშება. იკითხეთ, იქნებ ღირდეს წესების გადახედვა? საჭიროა ამაზე მსჯელობა? იქნებ, საჯარიმო სანქციები დააწესოთ? არის სხვა იდეები?).

3. შესაფერისი გადაწყვეტილებების რეალიზება

- *დაჟინებით მოითხოვეთ ობიექტური კრიტერიუმები* (ამ შემთხვევაში დააზუსტეთ წესები და საჯარიმო სანქციები).
- *მონაწილეობა.* მიაღწიეთ, რომ მოკამათეებმა თავად მიიღონ მონაწილეობა პრობლების მოგვარებაში და თავის თავზე აიღონ პასუხისმგებლობა. თუ გადაწყვეტილება თავსმოხვეულია ვინმეს მიერ, მათ წარმატების ნაკლები შანსი ექნებათ; უმჯობესია, თუ მხარეები თავად იქნებიან ყველასთვის მისაღები გადაწყვეტილებების ძიების პროცესის სრულუფლებიანი მონაწილეები.

გახსოვდეთ, მიუხედავად იმისა, რომ კონფლიქტების მოგვარების პროცესი მოიცავს სამ ეტაპს, ერთი ეტაპის მეორისგან გამიჯვნა პრაქტიკულად შეუძლებელია, ხოლო მთელ რიგ ასპექტებში, მათი სრული თანხვედრა გარდაუვალია!

არ შეგაშინოთ იმან, რომ ამ სავარჯიშოში ხელმძღვანელს მოეთხოვება განსაკუთრებული სახის ჩვევები: არაა აუცილებელი გქონდეთ კონფლიქტების მოგვარების სპეციალისტის დიპლომი; არ შეშინდეთ, თუ ვერ შეძლებთ ყველა იმ კონფლიქტის მოგვარებას, რომლებსაც მუშაობისას წააწყდებით. საკუთარი ოსტატობის განვითარებისათვის, ცადეთ გონებაში ჩაატაროთ ექსპერიმენტი. საკუთარი გამოცდილებიდან გაიხსენეთ კონფლიქტური სიტუაციები და შეეცადეთ გააანალიზოთ ისინი ზემოთ აღწერილი ”სამი ეტაპის” სქემის მიხედვით.

ვარიანტები

თუ ჯგუფში 15-ზე მეტი მონაწილეა, შეგიძლიათ დაყოთ ის ქვეჯგუფებად და ერთდროულად ჩაატაროთ ორი ან სამი თამაში. ამის გაკეთება მხოლოდ იმ შემთხვევაშია შესაძლებელი, თუ გყავთ ასისტენტები. ალტერნატიული ვარიანტის სახით, შეიძლება ჯგუფის რომელიმე წევრისათვის დამკვირვებლის სტატუსის შეთავაზება. მათ შეუძლიათ გამოვიდნენ ან დამკვირვებლების როლში, რომლებიც შედეგების შეჯამებისას გაიზიარებენ შთაბეჭდილებებს თამაშის მსვლელობის შესახებ, ან შუამავლების როლში. ამ შემთხვევაში, საჭირო გახდება მათი წინასწარი მომზადება ამ როლისათვის.

კო მაგრამ, რატომ მაინცდამაინც ბანქო? სავარჯიშოს საფუძვლად შეიძლება გამოვიყენოთ ბილიარდი, ან სხვა თამაშები.

წინადადებები გაგრძელებისათვის

თუ ჯგუფი მოისურვებს, შეიძლება გავარჯიშება ”პრინციპიალური მოლაპარაკებების” ჩატარებაში. შეთავაზეთ სავარჯიშო ”დაე ყველას აზრი იყოს მოსმენილი!” (გვ. 152). სავარჯიშო ეხება სკოლებში ან კლუბებში წარმომადგენლობითი სტრუქტურის შექმნას.

იდეები მოქმედებისათვის

ანგარიში გაუწიეთ პიროვნულ განვითარებას. ურჩიეთ მონაწილეებს არ დაივიწყონ ”სამი ეტაპის” მეთოდი, თუ ისინი კონფლიქტური სიტუაციის პირისპირ აღმოჩნდებიან, ვინც არ უნდა იყოს დაპირისპირებული მხარე: მასწავლებელი, მშობელი, თუ მეგობრები. დროდადრო ჩაატარეთ შეხვედრები გამოცდილების გაზიარებისა და მონაწილეების უნარ-ჩვევების ჩამოყალიბების პროგრესზე დაკვირვებისათვის.

დამატებითი ინფორმაცია

კონფლიქტი – მოვლენა, რომელიც დამახასიათებელია ადამიანური ურთიერთობების ყველა დონისათვის, პიროვნებებს შორის ურთიერთობებიდან დაწყებული საერთაშორისო ურთიერთობებით დამთავრებული.

კონფლიქტის მოგვარება – კომპლექსური მიდგომა, რომლის საფუძველია კონფლიქტში მონაწილე მხარეების მიერ თავიანთი პრობლემების მოგვარებაზე ერთობლივი პასუხისმგებლობის აღება. კონფლიქტის მოგვარება გულისხმობს კონფლიქტის წყაროების აღმოჩენას, აგრეთვე მხარეების ქცევის წესების შეცვლას, რაც ძალადობაზე და აგრესიულობაზე უარის თქმით გამოიხატება; ასევე სტრუქტურების ცვლილებას კონფლიქტის ექსპლუატაციის შესაძლებლობაზე უარის თქმის გამოხატულებით. ტერმინი მიეკუთვნება, როგორც ასეთი ცვლილებების განხორციელების პროცესს (რეალურს ან მომწიფების პროცესში მყოფს), ასევე მის შედეგს.

კონფლიქტის მოგვარების პროცესი მოწოდებულია, უპირველეს ყოვლისა, უარყოფითი ემოციური ენერგიის გასაფანტად, რომელიც მხარეებს არ აძლევს დიალოგის საშუალებას, და, მეორე მხრივ, მისცეს კონფლიქტის მონაწილეებს მოაგვარონ განხეთქილება და გადალახონ მათ შორის არსებული წინააღმდეგობები, რათა გადავიდნენ ურთიერთმისაღები გადაწყვეტილებების ძიებაზე, რომელიც აღმოფხვრის კონფლიქტის მიზეზებს. უკანასკნელ წლებში, ამ სფეროს სპეციალისტებმა დაიწყეს ახალი ტერმინის გამოყენება - ”კონფლიქტის ტრანსფორმაცია”, როგორც კონფლიქტის მოგვარების გრძელვადიანი და ღრმა სტრუქტურული, ფსიქოლოგიური და კულტურული ასპექტები. ამრიგად, კონფლიქტის ტრანსფორმაცია შეიძლება განხილულ იქნას, როგორც ცვლილების ყველაზე ღრმა დონე კონფლიქტის დარეგულირების პროცესში.

დამატებითი ინფორმაციის მოძიება კონფლიქტების მოგვარების დახელოვნებაში შეგიძლიათ ვებ-საიტზე: **www.brad.ac.uk/acad/confres**, სადაც ასევე მოცემულია მარტივი, უფასო და ძალიან კარგი თვითმასწავლებელი. როჯერ ფიშერის და უალიამ იურის („Getting to Yes” by Roger Fisher and William Ury, Arrow Books, 1987) წიგნი ”როგორ მივაღწიოთ პასუხს „დიახ”, კლასიკური ნამუშევარია ამ თემაზე და ძალიან ადვილი და გასართობი საკითხვია.

კონფლიქტი არის: ადამიანთა სხვადასხვა ჯგუფების მიზნების შეუთავსებლობა ან შეუთანხმებლობა. ტერმინი მომდინარეობს ლათინური სიტყვიდან ”*conflictus*” რაც ნიშნავს ”შეჯახებას” და აღნიშნავს როგორც პროცესს, ასევე მდგომარეობას”. კონფლიქტი გულისხმობს ორი ან მეტი ადამიანის ბრძოლას რაიმე ფასეულობების

ან ძალაუფლებისათვის, ან დეფიციტური რესურსების გამო შეჯიბრს". (მური, 1986)

კონფლიქტების მოგვარება დამყარებულია თანამშრომლობაზე.

ის აქცენტირებულია სუბიექტურ აღქმებზე და გრძელვადიან მიდგომებზე, რომლებიც მიმართულია კონფლიქტის მიზეზების აღმოფხვრისაკენ. და მხარეთა შორის ურთიერთობას გაუმჯობესებისაკენ, რათა შექმნას მათთვის მომგებიანი სიტუაცია, ყოველგვარი იძულების გარეშე.

dasarigebeli masala

ბარათი როლები

წესების გამომგონებელი

თქვენ ცდილობთ შექმნათ ახალი წესები თამაშისათვის. თქვენ არ მსჯელობთ და არ უთანხმებთ მათ ჯგუფის სხვა წევრებს – უბრალოდ მოქმედებთ საკუთარი ინიციატივით! რა თქმა უნდა, ეს წესები თქვენ ინტერესებს ემსახურება!

წესები, რომლებსაც თქვენ ადგენთ შეიძლება მნიშვნელოვანი ან უმნიშვნელო იყოს, მაგრამ ამის მიუხედავად თქვენ უნდა იყოთ პრინციპული და დაბეჯითებით ამტკიცოთ თქვენი სიმართლე და მოითხოვოთ თქვენს მიერ გამოგონებული თამაშის წესების დაცვა.

ბრალმდებელი

თქვენ ხართ ადამიანი ვინც მუდმივად შლის თამაშს სხვების დადანაშაულებით, რომ ისინი არ იცავენ წესებს, წელავენ დროს, არასწორად ჭრიან კარტს ან რაიმე ამდაგვარი.

თქვენ ნამდვილად მოგწონთ ყველაფრის არევა, მცირედი ჩხუბიც არ იქნებოდა ურიგო. ასე რომ, უბრალოდ ეცადეთ თითი გაშვიროთ უდანაშაულო ხალხზე.

თაღლითი

თქვენ მუდმივად იტყუებით თამაშის დროს. იღებთ ზედმეტ ბანქოს დროდადრო, იწერთ უფრო მეტ ქულებს თქვენთვის და ნაკლებს სხვებისთვის.

ეცადეთ დაიწყოთ მოტყუება ფარულად. დააყოვნეთ ცოტა ვიდრე თქვენი ტყუილები გახდება უფრო აშკარა და პროვოკაციული. დასაწყისში უნდა უარყოთ ყველანაირი ბრალდება მაგრამ თანდათან უნდა მოიფიქროთ როგორ წარმართოთ თქვენი როლის თამაში იმ გადაწყვეტილებებისა და მსჯელობის მიხედვით, რომლებსაც ადგილი ჰქონდა კონფლიქტის მოგვარების პროცესში.

წაგებული

არავითარ შემთხვევაში არ მოიგოთ თამაში. ითამაშეთ რაც შეიძლება ცუდად ყველა რაუნდში. მაგრამ ამავე დროს უნდა გაითამაშოთ პერსონაჟი, რომელსაც უყვარს მოგება თუ არ იგებთ გამოდიხართ წყობიდან, და ამბობთ ან აკეთებთ ყველაფერს, რათა მოგებულებმა თავი ძალიან ცუდად იგრძნონ. (მაგ. მოისვრით კარტს ან ღრიალებთ).

inscenireba

მაჩვენეთ რას გუსლიხმობთ ადამიანის უფლებებში

თემები ადამიანის ზოგადი უფლებები, ბავშვები, მოქალაქეობა

სირთულე დონე 2

მონაწილეთა რაოდენობა 9 და მეტი

ხანგრძლივობა 90 წუთი

მიმოხილვა ეს სავარჯიშო მონაწილეებს სთავაზობს განახორციელონ დადგან თეატრალური სცენა, რათა შეაგულიანოს ისინი:

- გადახედონ თავიანთ საერთო წარმოდგენებს ადამიანის უფლებათა შესახებ
- შეეცადონ იპოვონ სხვადასხვა გზები ამ წარმოდგენების გამოხატვის გადმოსაცემად.

შესაბამისი უფლებები

- ყველა

მიზნები

- მონაწილეების ცოდნის გარკვევა ადამიანის უფლებებთან დაკავშირებით
- კულტურათაშორისი და კომუნიკაციის უნარ-ჩვევების განვითარება
- თანამშრომლობისა და შემოქმედებითი ჩვევების განვითარება

მასალა

- რეკვიზიტი: კოსტუმები, სათამაშოები, საყოფაცხოვრებო ნივთები, და ა.შ.
- ფურცლები, ფერადი მარკერები, ფერადი ცარცები
- წებო, თოკი და მუყაო

ინსტრუქციები

1. განმარტეთ, რომ სავარჯიშოს მიზანია ადამიანის უფლებათა საერთო იდეის ან კონცეფციის თეატრალური ხელოვნების ხერხებით გადმოცემა, რომელიც გასაგები იქნება სხვადასხვა კულტურის მქონე და სხვადასხვა ენებზე მოლაპარაკე ადამიანებისათვის.
2. განუმარტეთ, რომ არ უნდა გამოიყენონ სიტყვები: ეს უნდა იყოს პანტომიმა, თუმცა, სურვილისამებრ, შეუძლიათ გამოიყენონ ზოგიერთი მასალა ან რეკვიზიტი.
3. სთხოვეთ მონაწილეებს დაიყონ მცირე 4-6 წევრიან ჯგუფებად და მიეცით თითოეულ ჯგუფს დიდი ზომის ფურცელი და მარკერების ან ფერადი ცარცების კომპლექტი.
4. მიეცით ჯგუფს 10 წუთი, რათა განსაზღვრონ ადამიანის უფლებებთან დაკავშირებული თავიანთი იდეები, და შემდეგ დაასახელონ 2-3 ძირითადი იდეა, რომელთა წარმოდგენასაც აპირებენ პანტომიმაში.
5. ამის შემდეგ მიეცით ჯგუფს 30 წუთი პანტომიმის მომზადებისათვის და რეპეტიციისათვის. აუხსენით, რომ ეს ჯგუფური დავალებაა, სადაც თითოეულმა მონაწილემ თავისი როლი უნდა შეასრულოს.

სანიშნავი თარიღი

დეკემბერი უფლებათა დღე



6. როდესაც 30 წუთი ამოიწურება, შეკრიბეთ ჯგუფი ერთად, რათა თითოეულმა ჯგუფმა შეძლოს დანარჩენების წარმოდგენის ნახვა.
7. ყოველი წარმოდგენის შემდეგ გამოყავით რამოდენიმე წუთი კომეტარებისა და დისკუსიისათვის.
8. სთხოვეთ მაყურებელს შემოგთავაზონ ნანახის თავიანთი ინტერპრეტაცია და ეცადონ განსაზღვრონ ძირითადი იდეები, რის წარმოდგენასაც ცდილობდნენ იდეების ავტორები.
9. შემდეგ მიეცით ჯგუფს საშუალება განმარტონ მომენტები, რომლებიც არ ასახულა ინსცენირებისას. გაიმეორეთ ეს თითოეული წარმოდგენის შემდეგ.

ანალიზი და შეფასება

ახლა მიმოიხილეთ თავად სავარჯიშო.

- როგორ მოეწონათ მონაწილეებს ის? იყო ის იმაზე მეტად ან ნაკლებად რთული ვიდრე მათ თავიდან წარმოედგინათ? რა იყო ყველაზე რთული ასპექტები ან ყველაზე რთული საკითხები წარმოსადგენად?
- შეიტყვეს მონაწილეებმა რაიმე ახალი ადამიანის უფლებების შესახებ?
- იყო მსგავსებები ან განსხვავებები ჯგუფებს შორის? იყო რაიმე ფუნდამენტური უთანხმოება ადამიანის უფლებების იდეასთან დაკავშირებით? რატომ?

რჩევები ხელმძღვანელებს

იმ შემთხვევეის გარდა თუ მონაწილეები აბსოლუტურად არ იცნობენ ადამიანის უფლებების კონცეფციას, უფრო საინტერესოა ამ სავარჯიშოს შესრულება ხელმძღვანელის მინიმალური დახმარების ფონზე. ძირითადი მიზანი არის შთაბეჭდილების და წარმოდგენის შექმნა იმაზე თუ რა შეისწავლეს მონაწილეებმა ცხოვრების მანძილზე ადამიანის უფლებების შესახებ. ამ საკითხზე საუბარი ჯგუფთან ძალიან მნიშვნელოვანია ვიდრე ისინი მუშაობას დაიწყებენ რათა მათ შეზღუდულად არ იგრძნონ თავი ადამიანის უფლებების შესახებ არაზუსტი წარმოდგენის გამო.

ნათლად აუხსენით, რომ მათი ამოცანა არის ზოგადად ადამიანის უფლებების აღწერა და არა კონკრეტულად ერთი ან ორი უფლების ილუსტრირება. მათ შეიძლება გადაწყვიტონ ერთი რომელიმე უფლების შერჩევა ზოგადი საკითხების წარმოსაჩენად, მაგრამ უნდა ახსოვდეთ, რომ მათ ევალებათ იმის ჩვენება თუ რა არის საერთო ადამიანის სხვადასხვა უფლებებისათვის. მეცადინეობის ბოლოს მაყურებელმა უნდა შეძლოს კითხვაზე პასუხის გაცემა (ან მიუახლოვდეს პასუხს) "რა არის ადამიანის უფლებები"?

არ მისცეთ ნება მათ ვინც ფიქრობს, რომ ცუდად შეუძლია როლის შესრულება აქტიურად არ ჩაერთოს თამაშში! განმარტეთ, რომ უამრავი როლია შესასრულებელი ყველასთვის და რომ ამ როლების წარმოდგენა უნდა იყოს მთელი ჯგუფისთვის სასიამოვნო. რამოდენიმე არაორდინალურმა რეკვიზიტმა (ნებისმიერი რამ ტაფიდან დაწყებული, სათამაშო მანქანებით, ქუდებით, ბალიშებით, ქვებით, ნაგვის ყუთით და ა.შ. დამთავრებული) შეიძლება სიცოცხლე შთაბეროს წარმოდგენას და ხელი შეუწყოს შემოქმედებითი იდეების დაბადებას.

ვარიანტები

შესაძლოა ამ სავარჯიშოს შესრულება მოინდომოთ ხატვის გამოყენებით: სთხოვეთ მონაწილეებს წარმოადგინონ პლაკატი – კვლავ სიტყვების გამოყენების გარეშე - ადამიანის უფლებების შესახებ ძირითადი იდეების ასახვისათვის.

სავარჯიშო ასევე შეიძლება შესრულდეს ნაკლებად წარმოდგენითი ხასიათის სტილში და უფრო მეტად იმისათვის, რომ მოახდინოს მონაწილეების აზრების ორგანიზება და ნათლად ჩამოყალიბება მას შემდეგ რაც ისინი შეასრულებენ სახელმძღვანელოში შემოთავაზებულ ზოგიერთ სავარჯიშოს ან განახორციელებენ დამოუკიდებელ კვლევას.

წინადადებები გაგრძელებისათვის

გადახედეთ ადამიანის უფლებების შესახებ შექმნილ პიესებს ან ლიტერატურის სხვა ნაწარმოებს და მოაწყვეთ დრამატული წარმოდგენის ორგანიზება ადგილობრივი საზოგადოების წევრების მონაწილეობით.

თუ ჯგუფი მოისურვებს გააგრძელოს ამ კუთხით მუშაობა და გადახედოს ზოგიერთ კონკრეტულ ადამიანის უფლებას, რატომაც არ უნდა შესთავაზოთ მათ ბავშვთა უფლებების კონვენცია და 105 გვერდზე მოცემული სავარჯიშოს "ბავშვთა უფლებების" შესრულება.

იდეები მოქმედებისათვის

შესაძლოა თქვენ თავად დადგათ მიმოდრამა ან ჯგუფის მიერ დადგმული წარმოდგენა შესთავაზოთ გარეშე მაყურებელს. თუ პლაკატის შექმნის ვარიანტს აირჩევთ მოაწყვეთ შექმნილი პლაკატების გამოფენა. ორივე იდეა წარმატებით შეიძლება იქნას გამოყენებული "ადამიანის უფლებათა დღის" აღსანიშნავად.

internetis zegavlena

ჰებისმიერ მოწინავე ტექნოლოგიაში წინასწარაა ჩადებული
პოლიტიკური ან სოციალური განზრახვა



თემები	მედია, გლობალიზაცია, ადამიანის ზოგადი უფლებები
სირთულე	დონე 4
მონაწილეთა რაოდენობა	8 –50
ხანგრძლივობა	180 წუთი
მიმოხილვა	ეს სავარჯიშო მოიცავს, როგორც მცირე ჯგუფებში მუშაობას ასევე პლენარულ სხდომებს შემდეგი საკითხების გასაანალიზებლად: ▪ ინტერნეტისა და ციფრული "წყალგამყოფის" მომავალი ▪ ინტერნეტის გამოყენება ადამიანის უფლებების დამკვიდრებისათვის.
შესაბამისი უფლებები	▪ ადამიანის ყველა უფლება
მიზნები	▪ ყურადღების გამახვილება მსოფლიოში ინტერნეტის გამოყენებისა და ინფორმაციის ხელმისაწვდომობის შედეგებზე. ▪ ფანტაზიისა და კრიტიკული აზროვნების უნარ-ჩვევების განვითარება ▪ სოლიდარობისა და სამართლიანობის გრძნობის დამკვიდრება ადამიანის უფლებათა სფეროში მოღვაწე ადამიანების მიმართ
მასალა	▪ დასარიგებელი მასალის ასლები ▪ დიდი ზომის ფურცლები და მარკერები ყველა ჯგუფისათვის ▪ სივრცე მცირე ჯგუფების მუშაობისა და პლენარული სხდომებისათვის.

ინსტრუქციები

ეს სავარჯიშო სრულდება სამ ნაწილად: ნაწილი I – შესავალი (10 წუთი), ნაწილი II – ინტერნეტის გავლენის პროგნოზირება (60 წუთი) და ნაწილი III, როგორ შეიძლება ინტერნეტის გამოყენება ადამიანის უფლებების დამკვიდრებისათვის (90 წუთი).

ნაწილი 1. შესავალი (10 წუთი)

1. გააცანით სავარჯიშო მონაწილეებს და განმარტეთ, რომ მისი შესრულებისათვის საჭიროა ფანტაზიისა და კრიტიკული აზროვნების უნარი. მათი ამოცანა იქნება ინტერნეტის და ახალი საინფორმაციო ტექნოლოგიების გავლენის შეფასება ჩვენ ცხოვრებაზე და ადამიანის უფლებების სფეროში მუშაობაზე.
2. სწრაფი „მოთელვისა" და ზოგადი ინფორმაციის მიწოდების მიზნით წარუდგინეთ ჯგუფს რამოდენიმე ძირითადი ფაქტი ინტერნეტის შესახებ და შემდეგ სთხოვეთ მათ ისაუბრონ წყვილებად ინტერნეტით სარგებლობის თავიანთი პირადი გამოცდილების და მისი გამოყენების

დადებით და უარყოფითი მხარეების შესახებ. ამისათვის გამოყავით დაახლოებით 10 წუთი.

ნაწილი 2. ინტერნეტის გავლენის პროგნოზირება (60 წუთი)

1. დაარიგეთ № 1 დასარიგებელი მასალის ასლები, „6 ვარიანტი ინტერნეტის გავლენის პროგნოზირებისათვის". განმარტეთ, რომ გადაწყვეტილებების პოლარიზების მიზნით სცენარები დაწერილია საკმაოდ უკიდურეს ფორმებში.
2. სთხოვეთ თითოეულ წყვილს გადაწყვიტოს რომელ სცენარს უფრო მეტი ალბათობა აქვს ახდენის და რომელს ნაკლები. მიეცით მათ ამ ამოცანის შესასრულებლად 15 წუთი.
3. სთხოვეთ მონაწილეებს შეიკრიბონ პლენარულ სხდომაზე თავიანთი გადაწყვეტილებების შესახებ კომენტარების გასაკეთებლად. ეცადეთ შეაჯამოთ დისკუსია შემდეგი საკითხების შესახებ:
   - ყველაზე რეალური სცენარი
   - ადამიანის უფლებების კავშირი საინფორმაციო ტექნოლოგიებთან, მაგ. აზრის გამოთქმის თავისუფლება.
   - ციფრული გამყოფი
4. სთხოვეთ 1 ან 2 მონაწილეს დაფაზე ჩამოწერონ ძირითადი პუნქტები.

ნაწილი 3. როგორ შეიძლება ინტერნეტის გამოყენება ადამიანის უფლებების დამკვიდრებისათვის (90 წუთი).

1. დაყავით მონაწილეები 5 ჯგუფად a – e. დაურიგეთ მათ მასალა. ყოველ მონაწილეს a ჯგუფში უნდა ჰქონდეს "a ჯგუფის მასალის" ასლი "მომავლის სცენარი: პესიმისტური თვალთახედვა", b ჯგუფის ყველა წევრმა უნდა მიიღოს "b ჯგუფის მასალის" ასლი "მომავლის სცენარი: ოპტიმისტური თვალთახედვა", და ა.შ.
2. მიეცით მათ 20 წუთი მასალის გასაცნობად და ზოგადი კომენტარების ურთიერთგასაზიარებლად.
3. სთხოვეთ მათ განიხილონ ფირცელზე მოცემული ინფორმაცია I ნაწილის ინტერნეტის გავლენის შესახებ დისკუსიის შედეგებთან მიმართებაში. მათ განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიაქციონ სამუშაოს ამ ნაწილს რადგანაც ის სთავაზობს მონაწილეებს სავარჯიშოს III ნაწილთან დაკავშირებულ აქტუალურ ინფორმაციას.
4. დაყავით მონაწილეები ახალ ჯგუფებად. თითოეულ ჯგუფში უნდა იყოს 5 წევრი: ერთი a ყოფილი ჯგუფიდან, მეორე b ჯგუფიდან, და ა.შ.
5. ყველა ამ ახალი ჯგუფის ამოცანაა გადაწყვიტონ რა არის ინტერნეტის სამი ყველაზე მნიშვნელოვანი უპირატესობა ან გამოყენება ადამიანის უფლებების დამკვიდრებისათვის.
6. შესთავაზეთ მათ დაიწყონ ინფორმაციის გაცვლის რაუნდით და პირველებმა აზრი გამოთქვან g, d, და e ჯგუფების წევრებმა. (ანუ ჯგუფებმა, რომლებსაც აქვთ ინფორმაცია არასამთავრობო სექტორის მუშაობის შესახებ.) და დაასრულონ a და b ჯგუფის წევრებმა. ამის შემდეგ თქვენ უკეთ შეგეძლებათ ინტერნეტით სარგებლობის განსაზღვრა და ამოცანის გადაჭრა ადამიანის უფლებების დამკვიდრების საქმეში.
7. მათ ასევე უნდა დანიშნონ მომხსენებელი, რომელიც შედეგებს ჩამოწერს დაფაზე დასკვნითი პლენარული სხდომისათვის. მიეცით მონაწილეებს 35 წუთი ამ ფაზის დასრულებისათვის.

8. მოიწვიეთ მონაწილეები პლენარულ სხდომაზე თავიანთი მუშაობის გამოცდილების გაზიარებისათვის.

ანალიზი და შეფასება

დაიწყეთ თავად სავარჯიშოს და მოთამაშეების მონაწილეობის მიმოხილვით. შემდეგ გაარკვიეთ რა ისწავლეს მათ.

- რა ცოდნა გააჩნდათ მონაწილეებს ინტერნეტის შესახებ თავიდანვე? რამდენად ხშირად სარგებლობენ ისინი ინტერნეტით? რისთვის იყენებენ ისინი ინტერნეტს?
- იყო რაიმე ''ციფრული გამყოფი'' მონაწილეებს შორის? რა გავლენას ახდენდა ეს მოთამაშეების უნარზე მონაწილეობა მიეღოთ სავარჯიშოში? იგრძნეს ზოგიერთებმა თავი გარიყულად რადგანაც ისინი არ თვლიდნენ საკუთარ თავს საკმაოდ კომპეტენტურად იმისათვის, რომ წვლილი შეეტანათ სავარჯიშოში?
- განიხილავდნენ სხვები ამ გამოცდილების სიმწირეს ჯგუფის მუშაობაში დაბრკოლებად?
- რა არის ისეთ ჯგუფში მუშაობის უპირატესობა, რომელშიც ხალხს განსხვავებული გამოცდილება და დამოკიდებულება აქვთ საკითხის მიმართ?
- რა იყო ყველაზე საინტერესო რაც მონაწილეებმა შეიტყვეს ადამიანის უფლებების სფეროში მოღვაწე არასამთავრობო სექტორის შესახებ? იყო რაიმე მოულოდნელობა?
- საერთო ჯამში გადაწონის თუ არა ინტერნეტით სარგებლობის დადებითი მხარეები მის უარყობით მხარეებს ადამიანის უფლებების პროპაგანდის თვალსაზრისით?
- რა უნდა გაკეთდეს უარყოფითი მხარეების გამოსასწორებლად?

რჩევები ხელმძღვანელებს

სავარჯიშოს დაწყებამდე შეაფასეთ რამდენად ერკვევიან მონაწილეები ინტერნეტში რათა შეძლოთ სავარჯიშოს დონისა და ზოგადი მიდგომის შერჩევა.

ანალიზის დროს კარგია ახალი საინფორმაციო ტექნოლოგიების ხელმისაწვდომობის როგორც გლობალურ ასევე ადგილობრივ საკითხებზე ყურადღების გამახვილება და ეცადეთ, რომ მათ ვისაც ნაკლებად ან არ აქვთ ინტერნეტით სარგებლობის საშუალება გამოხატონ თავიანთი აზრები და გრძნობები. ციფრულ გამყოფთან დაკავშირებული შეკითხვების მიზანი და სხვადასხვა გამოცდილების მქონე მონაწილეებთან მუშაობის უპირატესობა არის მათი წახალისება გადაწყვეტილებების მიღების პროცესში განიხილონ სხვადასხვა საკითხები.

ვარიანტები

შეგიძლიათ განავრცოთ სავარჯიშო და მასში ჩართოთ კონსენსუსის მიღწევის საკითხები შემდეგი გზით:

1. I ნაწილის მე-4 ეტაპის შემდეგ (წყვილებად მუშაობა) სთხოვეთ თითოეულ წყვილს შეუერთდეს სხვა წყვილს და 4 წევრიან ჯგუფში ერთმანეთს შეადარონ თავიანთი არჩევანი მივიდნენ კონსენსუსამდე იმის შესახებ თუ რომელი სცენარის მიხედვით უფრო მეტად და რომლის მიხედვით უფრო ნაკლებად სავარაუდოა მოვლენების განვითარება.

სთხოვეთ თითოეულ ოთხეულს რამოდენიმე წინადადება დაამატონ სცენარს, რომელიც მათი აზრით ყველაზე მეტად სავარაუდოა რომ განხორციელდეს ამ სცენარის რეალიზაციის პოტენციური შედეგების შესახებ ადამიანის უფლებებთან მიმართებაში (მაგ: აზრის გამოთქმის უფლება). ამ სამუშაოს აზრი მდგომარეობს, რომ კონსენსუსამდე ყველაზე სწრაფად მისულმა ჯგუფებმა, უნდა გააგრძელონ არჩეულ სცენარზე ერთად ფიქრი და გაითავისონ ის შემდეგ საფეხურზე გადასვლამდე. (15წთ)

2. ახლა სთხოვეთ თითოეულ ოთხეულს შეუერთდნენ სხვა ოთხეულს და 8 წევრიანი ჯგუფში შეადარონ თავიანთი ვარიანტები კონსენსუსამდე მისვლის მცდელობით თუ რომელი სცენარით უფრო მეტად და რომლით უფრო ნაკლებად სავარაუდოა მოვლენების განვითარება. სთხოვეთ თითოეულ ჯგუფს დანიშნონ თავის წარმომადგენელი (15 წთ). 15 წუთის გასვლის შემდეგ გააგრძელეთ 5 საფეხურზე აღწერილი წესების მიხედვით ე.ი. მოისმინეთ ჯგუფის მოხსენება პლენარულ სხდომაზე.
3. სხდომაზე სთხოვეთ მონაწილეებს წაიკითხონ დამატებული ძირითადი წინადადებები, რომლებიც ეხება ადამიანის უფლებების საკითხებს და განმარტონ თავიანთი არჩევანის ძირითადი მიზეზები. მოუწოდეთ მონაწილეებს (და არა მარტო მომხსენებლებს):
   - ისაუბრონ სხვადასხვა ჯგუფების მიერ გაკეთებული არჩევანის მსგავსებებზე და განსხვავებებზე
   - არჩევანის მამოძრავებელი მოტივები
   - ადამიანის უფლებათა საკითხების კავშირი ინტერნეტთან.
   - არჩეული სცენარის(ების) რეალური შედეგები
4. ასევე სთხოვეთ მონაწილეებს ისაუბრონ თავიანთი მუშაობის შესახებ.
   - შეიცვალეს მონაწილეებმა აზრი სხვადასხვა მოლაპარაკებების პროცესში?
   - იყო რთული უფრო დიდ ჯგუფებში მუშაობა?
   - ვის მხარეს იყო უპირატესობა (მაგ. ინტერნეტის გამოცდილი/გამოუცდელი მომხმარებლები)"
   - შეეძლოთ მონაწილეებს თავისუფლად გამოეთქვათ თავიანთი აზრი ინტერნეტის მოხმარების კომპეტენციის მიუხედავად?

წინადადებები გაგრძელებისათვის

მოუწოდეთ მონაწილეებს დაათვალიერონ მასალაზე "არასამთავრობო სექტორის პროფილი" მითითებული ვებგვერდები და ინტერნეტბმულები

ამის შემდეგ მათ შეუძლიათ იფიქრონ მომავალი პროექტის მომზადებაზე

(ა) გამოიყენონ არსებული ინტერნეტ რესურსები მათ უბანში ადამიანის უფლებათა საკითხების შესახებ ინფორმირების გაზრდისათვის

(ბ) იპოვონ ინტერნეტის გამოყენების ახალი გზები ადამიანის უფლებათა საკითხების პროპგანადის მიზნით.

(გ) შექმნან თავიანთი საკუთარი ვებგვერდები და დაუკავშირდნენ სხვა ახალგაზრდულ ჯგუფებს.

თუ მონაწილეებს დაინტერესებთ ინტერენეტით სარგებლობის კონკრეტული მაგალითების ადამიანის უფლებათა დაცვის სფეროში მიმართეთ სავარჯიშოს "როცა დადგება ხვალინდელი დღე" (გვ. 254). ამ სავრჯიშოში, რომელიც, ეძღვნება სიცოცხლის უფლებას, გამოყენებულია სიკვდილმისჯილის მიერ შექმნილი ვებ-გვერდის მასალა.

იდეები მოქმედებისათვის

გამოიყენეთ სავარჯიშოში შემუშავებული იდეები შემდგომი ქმედებისათვის, ან აირჩიეთ მასალაზე ”არასამთავრობო სექტორის პროფილი” მითითებულ ვებგვერდებზე და ინტერნეტბმულებზე შემოთავაზებული უამრავი შესაძლებლობებიდან ერთ-ერთი

დამატებითი ინფორმაცია

გაეროს განვითარების პროგრამის 2001 წლის ”ადამიანის განვითარების შესახებ მოხსენება” აქცენტს აკეთებს ციფრულ გამყოფზე და მისი მოპოვება შეიძლება www.undp.org ვებგვერდზე.

dasarigebeli masala

ინტერნეტის ზემოქმედების პროგნოზირების ექვსი შესაძლო ვარიანტი

1. msoflio ukeTesi gaxdeba! 2010 წლისათვის მოსფლიოს ყველა მცხოვრები ჩართული იქნება ინტერნეტი უსარგებლოს გახდის მაღაზიებს, ოფისებს და ბიზნეს მივლინებებს. ეს დაზოგავს იმდენ ფუ ყველაფერს – ეკონო გახდება ომებს ბოლო დაედება. ყველა ფერება ბუღალტერს.

2. msoflio uaresi gaxdeba! 2010 წლისათვის მსოფლიოს ყველა მცხოვრები ჩართული იქნება ქსელ განვითარებული კაპიტალისტური საზოგადოების გარეთ მცხოვრები მილიონობით ადამიანი, რომელთა ყოველდღიურად იზრდება კვლავ სიღარიბეში იცხოვრებს. შედეგად გამოწვეული არასტაბილურობა მსოფლიო ომებს ან ბოლოს ვინმე გამოიყენებს ბირთვული ბომბის რეცეპტს – რომელიც ინტერნეტ განთავსებული. ყველა დაიღუპება.

3. adamianebi daipyroben internets. 2010 წლისათვის ინტერნეტ ტრაფიკის მოცულობა ნათელი ნიშ

ჯგუფი a. მომავლის სცენარი: პესიმისტური თვალთახედვა

ნილ პოსტმანი, ”5 მოსაზრება ტექნოლოგიური ცვლილებების შესახებ”.

პირველი, ჩვენ ყოველთვის ვიღებთ ტექნოლოგიების საფასურს, რაც უფრო მაღალია ტექნოლოგიის დონე, მით უფრო მაღალია ფასი.

მეორე, ყოველთვის არსებობენ გამარჯვებულები და დამარცხებულები, და რომ გამარჯვებულები მუდმივად ცდილობენ დაუმტკიცონ დამარცხებულებს რომ ისინი ნამდვილად გამარჯვებულები არიან.

მესამე, ყველა მაღალ ტექნოლოგიაში ჩადებულია ეპისტემოლოგიური, პოლიტიკური და სოციალური პრეკონცეფციები. რომ ზოგჯერ მიკერძოება ძალიანაც ხელსაყრელია ჩვენთვის, ზოგჯერ კი არა. ბეჭდვითმა პრესამ სრულად გაანადგურა ორატორული ტრადიციები, ტელეგრაფმა დაიპყრო სივრცე, ტელევიზიამ დააკნინა სიტყვა, კომპიუტერი ალბათ გამოიწვევს საზოგადოებრივი ცხოვრების დეგრადაციას. და ა.შ.

მეოთხე, ტექნოლოგიური ცვლილება არ არის დანამატი, მას ეკოლოგიური ხასიათი აქვს, რაც ნიშნავს რომ ის ცვლის ყველაფერს და ამდენად ძალიან მნიშვნელოვანია იმისათვის რომ მთლიანად ბილ გეითსის ნებაზე იყოს მიშვებული

და მეხუთე, ტექნოლოგიას აქვს მითად გადაქცევის ტენდენცია; ე.ი. შეუძლია იყოს აღქმული საგანთა ბუნებრივი წყობის ნაწილად და ამდენად აქვს ტენდენცია უფრო მეტი კონტროლი მოიპოვოს ჩვენ ცხოვრებაზე ვიდრე ეს ჩვენ გვსურს.

(ნაწყვეტი კონფერენციაზე წარმოთქმული სიტყვიდან, ”ახალი ტექნოლოგიები და პიროვნება: რწმენის გამოხატვა ახალ ათასწლეულში” დენვერი,

b. მომავლის სცენარი: ოპტიმისტური თვალთახედვა

ი, ”ინტერნეტი როგორც დამხმარე მოქალაქეთა საქმიანობაში”

ით დაინტერესებული ხალხისათვის მე ვფიქრობ სცენარი ოპტიმისტურია. ისევე როგორც ნებისმიერი დიდი ლება და მიღწევა ინტერნეტი ქმნის შესაძლებლობებს მაგრამ ასევე მოაქვს დანაკარგები. შედეგად ჩვენ ავთ ბეჭდვითი მედიის გარკვეულ დანაკარგებს. მე ფვიქრობ ეს არის რევოლუცია, რომლის შედეგებზე ნის მოსახდენად ადამიანებს უზარმაზარი შესაძლებლობები აქვთ, რადგანაც არსებობს შესაძლებლობა ხალხმა ერად თქვას თავისი ... [illegible] ... ინფორმაციას ... [illegible] ... ინფორმაციის ... [illegible] ... ინსტიტუტები, ... [illegible] ... ესი მაგრამ აქ ასე არ ხდება.

-ერთი იმედი ინტერნეტთან დაკავშირებით არის, რომ ის გახდება დამხმარე მოქალაქეების საქმიანობაში და ვანს სხვაგვარ დემოკრატიამდე. მე ფვიქრობ ეს საკმაოდ მნიშვნელოვანია ჩვენთვის თუ გვინდა, რომ არ ოდოს სოციალური დაყოფა განსაკუთრებით მომდევნო 10 წლის განმავლობაში ვიდრე რევოლუცია ნელ-ნელა ს ფეხს დანარჩენ მსოფლიოს. ჩვენ უნდა ვიმუშაოთ ერთად არა მხოლოდ ეროვნულ დონეზე, არამედ ლურად რათა გამოვძერწოთ ამ კონკრეტული რევოლუციის მომავალი.

ჯგუფი g. არასამთავრობო სექტორის პროფილი: საერთაშორისო ამნისტია

1961 წ. დაარსებული საერთაშორისო ამნისტია (www.amnesty.org) იბრძვის ყველა სინდისის პატიმრის განთავისუფლებისათვის; უზრუნველყოფს სამართლიან და სწრაფ სასამართლო პროცესებს პოლიტპატიმრებისათვის, იბრძვის სიკვდილით დასჯის, წამებისა და პატიმართა მიმართ სხვა სასტიკი მოპყრობის წინააღმედგ; ასევე უპირისპირდება პოლიტიკური მკვლელობებსა და ”გაქრობებს”, ადამიანის უფლებებს დარღვევებს, მთავრობების ან ოპოზიციიური ჯგუფების მიერ. საერთაშორისო ამნისტიას ყავს დაახლოებით მილიონი წევრი და მხარდამჭერი მსოფლიოს 162 ქვეყანასა და ტერიტორიულ ერთეულში. მისი საქმიანობა მოიცავს სახალხო დემონსტრაციებს და ოფიციალური წერილების გაგზავნას, ადამიანის უფლებების სფეროში განათლებას და საქველმოქმედო კონცერტებს, ინდივიდუალურ მიმართვებს და გლობალურ კამპანის რომელიმე კონკრეტულ საკითხთან დაკავშირებით.

ის არის მიუკერძოებელი და დამოუკიდებელი ნებისმიერი მთავრობისაგან, პოლიტიკური ან რელიგიური მრწამსისაგან. საერთაშორისო ამნისტია ძირითადად ფინანსდება საწევრო გადასახადებით და ხელმომწერებისაგან შემოწირული თანხებით. მისი ვებგვერდი მკითხველს სთავაზობს საკამპანიო სახელმძღვანელოს, სამართლიანი სასამართლო პროცესის სახელმძღვანელოს და კამპანიებში მონაწილეობის მიღების შესაძლებლობას, რეგისტრაციას მობილური ტელეფონით სასწრაფო შეტყობინების მიღებისათვის (მოკლე ტექსტური შეტყობინების სახით) და საფოსტო ბარათების გაგზავნას წამების აღმოსაფხვრელად.

საერთაშორისო ამნისტიის მუშაობის მაგალითი

1960იანი წლების ბოლოს გარკვეული შეცდომების დაშვებისა და შესაბამისი უარყოფითი გამოხმაურების შემდეგ საერთაშორისო ამნისტიამ შემოიღო ახალი წესი, რომ ორგანიზაციაში მომუშავე ხალხს უნდა ემუშავათ მხოლოდ მათი ქვეყნების გარეთ განხილულ საქმეებზე. საერთაშორისო ამნისტიის სამუშაოს უდიდეს ნაწილს კვლავ მოხალისეები ასრულებენ. ისინი საპროტესტო წერილებს წერენ მთავრობებს, რომლებიც არღვევენ ადამიანის და მათი ოპოზიციური ჯგუფების უფლებებს, მათი დაპატიმრების, შეურაცყოფის, მუქარის, ფიზიკური ძალადობის, წამების, ”გაქრობის” ან პოლიტიკური მკვლელობების გზით. ისინი ინფორმაციას ავრცელებენ საზოგადოებრივი შეკრების ადგილებზე სინდისის პატიმრებისა და ადამიანის უფლებების შესახებ. ისინი იყენებენ თავიანთ ამოუწურავ ინტელექტს და ფანტაზიას.

საერთაშორისო ამნისტია არასოდეს მიიჩნევს პატიმრის განთავისუფლებას საკუთარ დამსახურებად, რადგანაც ის ბევრი ფაქტორის თავმოყრის შედეგია და არა ნაკლებად იმ ქმედებებისა, რომლებსაც დიდი რისკის ფასად ახორციელებენ ოჯახები და მეგობრები. და მაინც, ბევრ განთავისუფლებულ პატიმარს უთქვამს, რომ საერთაშორისო ამნისტიის გამოხმაურება და წერილები ძალიან მნიშვნელოვანი იყო.

1977 წელს საერთაშორისო ამნისტიას მიენიჭა ნობელის მშვიდობის პრემია მისი მოღვაწეობისათვის. მისმა ”ადექი ხელი მოაწერე” კამპანიამ, რომელიც ადამიანის უფლებების საყოველთაო დეკლარაციის 50-ე წლისთავს მიეძღვნა 13 მილიონი ხელმოწერა შეაგროვა დეკლარაციის მხარდასაჭერად. 2001 წ. საერთაშორისო ამნისტიის ვებგვერდმა „შეწყდეს წამება” მოიპოვა ალტერნატიული ელ-ფოსტის საუკეთესო გამოყენებისათვის”. (www.stoptorture.org).

ჯგუფი d. არასამთავრობო სექტორის პროფილი: ”დერეჩოს ჰიუმან რაიტს” (www.derencos.org)

დარეჩოს ადამიანის უფლებები, ალბათ ადამიანის უფლებების პირველი ინტერნეტ ორგანიზაცია დაარ
წ. დაძმობილებულ ესპანურ ორგანიზაციასთან ქუიპო იზკორ ერთად დარეჩოსმა ნათლად გააცნობ
ინტერნეტს აქვს პოტენცია იყოს ყველაზე მძლავი ინსტრუმენტი ადამიანის უფლებების დარღვევის წ
ბრძოლაში ადამიანის უფლებათა ელ. ფოსტის მისამართების სიას, გამოსცემს ინტერნეტ ჟურნალს ადამიანის
ადამიანის უფლებათა ელ. ფოსტის მისამართების სიას, გამოსცემს ინტერნეტ ჟურნალს ადამიანის
შესახებ და მუშაობს უგზოუკვლოდ დაკარგულთა ხსოვნისათვის და იღწვის მათი და მათი ოჯახებ

e. არასამთავრობო სექტორის პროფილი: Human Rights Watch
hrw.org)

ანის უფლებების დამკვირვებლები არის დამოუკიდებელი, არასამთავრობო ორგანიზაცია, რომელიც
ბა კერძო პირების და ფონდების შემონაწირებით მთელი მსოფლიოს მასშტაბით. ორგანიზაცია დაარსდა
ლს ჰელსინკის დამკვირვებლების სახელწოდებით (ახლა Human Rights Watch/Helsinki) როგორც პასუხი
ზე მხარი დაეჭიროს ადამიანის უფლებათა გაერთიანებულ ერებს ადამიანის უფლებათა მონიტორინგით ვგულისხმობ
, ვარშავასა და პრაღაში, რომლებიც მიზნად ისახავდნენ ჰელსინკის ეპოქალურ ხელშეკრულებასთან
უფლებათა შესაბამისობის მონიტორინგს. ის არ ღებულობს არანაირ პირდაპირ თუ არაპირდაპირ
ბო დაფინანსებას. Human Rights Watch იღწვიან ბოლო მოეღოს უფლებების დარღვევის ფართო სპექტრს
ლების გარეშე, წამების, არაკანონიერი დაპატიმრების, აზრის თავისუფლების, ასოცირების, რელიგიის,
ის, ძალადობის და რასობრივ, გენდერულ, ეთნიკურ და რელიგიურ საფუძველზე დისკრიმინაციის ჩათვლით.
an Rights Watch აქვეყნებს ინფორმაციას უფლებათა დარღვევის შესახებ რათა შეარცხვინოს მთავრობები

kavSirebis damyareba

რა არის სამოქალაქო საზოგადოება - ვინ რას აკეთებს ასეთ საზოგადოებაში და ვისთვის?

თემები მოქალაქეობა, დემოკრატია, ადამიანის ზოგადი უფლებები

სირთულე დონე 4

მონაწილეთა რაოდენობა 8-20

ხანგრძლივობა 90 წუთი

მიმოხილვა ეს სავარჯიშო ეყრდნობა დემოკრატიულ საზოგადოებაში მოქალაქეების, მთავრობის, არასამთავრობო ორგანიზაციებისა და მედიის უფლებებისა და მოვალეობების განსაზღვრას მოლაპარაკების გზით.

შესაბამისი უფლებები
- ხმის მიცემის უფლება, ქვეყნის მართვაში მონაწილეობა და ქვეყნის სამსახურში ყოფნა.
- ინფორმაციისა და აზრის გამოხატვის თავისუფლება
- საზოგადოების წინაშე მოვალეობები

მიზნები
- ცოდნის განვითარება უფლებებსა და მოვალეობებს შორის კავშირების შესახებ
- დემოკრატიის სხვადასხვა სექტორებს შორის არსებული რთული ურთიერთკავშირების გააზრება
- თანამშრომლობისა და სამოქალაქო პასუხისმგებლობის გრძნობის განვითარება

მასალა
- A3 ზომის ფურცელი, ან დაფის ფურცელი ყოველი მონაწილისათვის
- 2 სხვადასხვა ფერის მარკერი (მაგ. მწვანე და წითელი) თითოეული ჯგუფისათვის
- თოკის, ან ძაფის გორგალი (სასურველია მწვანე)
- წებოვანი ლენტი (სკოტჩი) თითოეული ჯგუფისათვის
- მაკრატელი

მომზადება დაჭერით თოკის 1,5 სმ. სიგრძის დაახლოებით 24 ზოლი



ინსტრუქციები

1. განმარტეთ, რომ სავარჯიშოს მიზანია დემოკრატიული საზოგადოების ოთხ სექტორს შორის არსებული სხვადასხვა კავშირების „რუქის“ დახაზვა
2. დაყავით მონაწილეები ოთხი, თანაბარი ზომის, ჯგუფად დემოკრატიის 4 სექტორის წარმოსადგენად: მთავრობა, არასამთავრობო სექტორი, მედია და სამოქალაქო საზოგადოება.
3. დაურიგეთ ჯგუფებს დიდი ზომის ფურცლები და მარკერები და განუმარტეთ, რომ 10 წუთის განმავლობაში მოიფიქრონ რა როლს ასრულებს მათი სექტორი დემოკრატიულ საზოგადოებაში, ანუ რა არის მისი ძირითადი ფუნქციები. დიდი ზომის ფურცელზე, წითელი მარკერის გამოყენებით უნდა ჩამოწერონ 5 ყველაზე მნიშვნელოვანი ფუნქცია.

4. შეკრიბეთ ჯგუფები ერთად თავიანთი იდეების წარმოსადგენად. მიეცით მოსაზრებების რეაქციების ურთიერთგაზიარების საშუალება. კითხეთ, ეთანხმებიან თუ არა 4 სექტორის ძირითად ფუნქციებს. მიეცით ჯგუფებს საშუალება შეცვალონ თავიანთი სიები, თუ ამის სურვილი გაუჩნდათ კომენტარების მოსმენის შემდეგ.
5. კვლავ განაცალკევეთ 4 ჯგუფი და სთხოვეთ მოიფიქრონ, რას მოითხოვენ თითოეული სექტორისაგან, რათა განახორციელონ საკუთარი ფუნქციები, ანუ რა მოთხოვნებს უყენებენ თითოულ სექტორს. უნდა ჩამოწერონ ეს მოთხოვნები სიის სახით ცალკე სვეტში, მწვანე მარკერის გამოყენებით. მიეცით 15 წუთი ამ ამოცანის შესასრულებლად.
6. როდესაც დრო თითქმის ამოიწურება, სთხოვეთ ჯგუფებს განსაზღვრონ დაახლოებით 6 პრიორიტეტული მოთხოვნა და მიეცით თითოეულ ჯგუფს დასაწებელი ლენტა და ძაფის 6 ცალი გადანაჭრელი ამ მოთხოვნების წარმოსადგენად.
7. დაარიგეთ „თამაშის წესების“ ასლები, გადახედეთ მას და დარწმუნდით, რომ ყველას ესმის რა უნდა გააკეთონ შემდეგ ეტაპზე. სთხოვეთ ჯგუფებს გამოიტანონ ფურცლები ოთახის შუაგულში და განალაგონ ისინი კვადრატულად ერთმანეთისგან დაახლოებით 1 მ-ის დაშორებით. (იხ. დიაგრამა) სთხოვეთ თითოეული ჯგუფის წევრებს, დადგნენ თავიანთ „კუთხესთან“ ახლოს.
8. ახლა იწყება მოლაპარაკებების სერია. თითოეული რაუნდისათვის უნდა გამოყოთ 10 წუთი. შეახსენეთ მონაწილეებს, რომ, როდესაც მოთხოვნა მიღებულია 2 ფურცელი უნდა შეერთდეს ძაფის ნაჭრით და დამაგრდეს წებოვანი ლენტით, მეორე მხარის მიერ შესაბამისი პასუხისმგებლობის აღების აღსანიშნავად.
9. პროცესის დასასრულს, 4 სეტორი დაკავშირებული უნდა იყოს ერთმანეთთან ძაფის ერთმანეთში გადახლართული რთული ქსელით. გადადით ანალიზზე და შეფასებაზე, ვიდრე მონაწილეები ჯერ კიდევ სხედან სქემის გარშემო.

ანალიზი და შეფასება

სთხოვეთ მონაწილეებს დააკვირდნენ მათ მიერ შექმნილ ქსელს და იმსჯელონ სავარჯიშოს შესახებ.

- სირთულესთან იყო დაკავშირებული მთავრობის, არასამთავრობო ორგანიზაციების, მედიისა და მოქალაქეების ფუნქციების განსაზღვრა დემოკრატიულ საზოგადოებაში?
- იყო რაიმე უთანხმოებები ჯგუფის შიგნით, თუ რა მოთხოვნები უნდა ყოფილიყო მიღებული და უარყოფილი?
- თქვენი მოთხოვნებიდან, რომელი იყო უარყოფილი სხვა ჯგუფების მიერ? რატომ მოხდა ასე? ფიქრობთ, რომ მსგავსი შემთხვევები პრობლემას შექმნიდნენ რეალურ ცხოვრებაში?
- იყო ისეთი პასუხისმგებლობები, რომლებიც ადრე მიუღებელი იყო, მაგრამ სავარჯიშოს შედეგად მიღებული იქნა? როგორია მათ მიმართ დამოკიდებულება ახლა?
- ეუბნება სავარჯიშო მონაწილეებს რაიმეს ახალს დემოკრატიული საზოგადოების შესახებ, რაც არ იცოდნენ მანამდე? ჰქონდა რაიმე მოულოდნელობას ადგილი?

რჩევები ხელმძღვანელებს

ინსტრუქციების მე-4 პუნქტში, მას შემდეგ, რაც ჯგუფები შეადგენენ ფუნქციების თავ-თავიანთ ცხრილებს, დიდი დრო არ დახარჯოთ დისკუსიაზე მთელი ჯგუფის მონაწილეობით. უფრო მეტად, ეს უნდა გამოიყენოთ, როგორც სტიმული მცირე სამუშაო ჯგუფის შემდგომი მუშაობისათვის. ჯგუფებმა, შეიძლება, მოისურვონ სხვა ჯგუფის ფუნქციების ჩანიშვნა.

როდესაც ისინი შეადგენენ თავიანთი მოთხოვნების სიას (მე-5 პუნქტი), სთხოვეთ მათ არ წამოაყენონ არარეალური მოთხოვნები სხვა სექტორის მისამართით. ეს პასუხისმგებლობები მისაღები უნდა იყოს და ამდენად, მოთხოვნები არ უნდა იყოს უსამართლო, ან არარაციონალური.

ჯგუფების მოლაპარაკება არ უნად ატარებდეს შეჯიბრის ხასიათს და ამ ეტაპმა არ უნდა წაიღოს დიდი დრო. ხაზი გაუსვით, რომ ჯგუფებმა ერთმანეთი უნდა განიხილონ თანამშრომლობის ასპექტში: სავარჯიშოს მიზანია ისეთი საზოგადოების ფორმირება, რომელშიც ყველა სექტორი მუშაობს ერთად ყველასათვის დამაკმაყოფილებელ პირობებში. ასე რომ, შეთანხმებები უნდა იყოს შედარებით სწრაფი: უთხარით ჯგუფებს, მიიღონ მოთხოვნები, თუ ისინი რაციონალურია, ან წინააღმდეგ შემთხვევაში, უარყონ ისინი და შემოინახონ მოგვიანებით ეტაპებზე განსახილველად.

ვარიანტები

სავარჯიშო უნდა იყოს გამარტივებული, ან გართულებული, საზოგადოების სხვადასხვა სექტორების რაოდენობის ცვლილების შედეგად. მაგალითად, შეიძლება მოისურვოთ დაამატოთ „ბიზნესი“, „უმცირესობები“ ან „არაპრივილეგირებული ჯგუფები“. თუმცა, ეს ბევრად უფრო გაართულებს მოლაპარაკების პროცესს და ამიტომაც, შეიძლება, არ მოსთხოვოთ ყველა ჯგუფს მოთხოვნების ურთიერთგაცვლა. შეიძლება, ასევე, გამოიყენოთ ახალგაზრდებისათვის აქტუალური სხვადასხვა კატეგორიები – მაგალითად, შეცვალეთ „მოქალაქეები“ „ახალგაზრდებით“, ხოლო „მთავრობა“ – „სკოლით“.

სავარჯიშოს გამარტივება შეიძლება 1, ან მეტი ჯგუფის მოშორებით: მაგალითად, შესაძლოა, მხოლოდ „მოქალაქეებთან“ და „მთავრობასთან“ მუშაობა. ეს ვარიანტი სასურველია, თუ ჯგუფი მცირეა. ასევე, შეიძლება, სავარჯიშოს შესრულება სქემის აგების გარეშე: მოლაპარაკების პროცესში ვინმემ პირველი ჯგუფიდან უნდა დაიჭიროს ძაფის ერთი ბოლო და შესთავაზოს მეორე ბოლო ვინმე სხვას მეორე ჯგუფიდან. თუ მონაწილეები ამგვარად დაიჭერენ ძაფებს მთელი თამაშის განმავლობაში, მათი „საზოგადოება” თამაშის ბოლოს აღმოჩნდება ფიზიკურად დაკავშირებული!

წინადადებები გაგრძელებისათვის

ჯგუფმა, შეიძლება, განავრცოს სქემა საზოგადოებაში სხვადასხვა ჯგუფების ჩართვის გზით. (იხ. ვარიანტები). სესაძლოა, მოისურვონ რუქის გადატანა სხვა ფურცელზე უფრო მკაფიო გამოსახულებისათვის და ამის შემდეგ გაავლონ კავშირების ამსახველი ხაზები სხვადასხვა ფერის მარკერებით. მაგალითად, წითელი მთავრობისათვის, ყვითელი მედიისათვის, მწვანე არასამთავრობო სექტორისათვის, და ა.შ. იფიქრეთ, რომელი კავშირი არაა კარგად განვითარებული საზოგადოებაში და რა უნდა გაკეთდეს ამის გამოსასწორებლად.

თუ ჯგუფი მოისურვებს უფრო პრაქტიკულ პროექტებზე მუშაობას, რომელიც მოიცავს კავშირებს და თანამშრომლობას ადგილობრივ მთავრობას, არასამთავრობო

საზოგადოებებსა და მედიას შორის, შესთავაზეთ მათ სავარჯიშო ”ბაღი ერთ ღამეში” (გვ. 110).

dasarigebeli masala

თამაშის წესები

1. სავარჯიშოს მიზანი – ყველა სექტორმა უნდა მიაღწიოს, რომ სხვა სექტორებმა მიიღონ მათი მოთხოვნები
2. მოლაპარაკებები იმართება სამ რაუნდად სექტორების წყვილებს შორის
   - რაუნდი I: მოქალაქეები აწარმოებენ მოლაპარაკებას არასამთავრობო სექტორთან; მედია – მთავრობასთან
   - რაუნდი II: მოქალაქეები აწარმოებენ მოლაპარაკებას მედიასთან: არასამთავრობო სექტორი – მთვარობასთან
   - რაუნდი III: მოქალაქეები მთავრობასთან; მედია – არასამთავრობო სექტორთან
3. წყვილები თავად ღებულობენ გადაწყვეტილებას, რომელი წარმოადგენს პირველი საკუთარ მოთხოვნებს, შემდეგ კი ცვლიან როლებს
4. მოთხოვნები უნდა იყოს მკაფიო და ნათელი, სასურველია, განიმარტოს, რატომაა კონკრეტულად ამ მოთხოვნის შესრულება აუცილებელი მომთხოვნი მხარის ეფექტურად ფუნქციონირებისათვის.
5. ვიდრე გადაწყვეტდეთ, როგორ მოიქცევით, მიიღებთ, თუ უარს ეტყვით მოთხოვნაზე, აუცილებელია მოიფიქროთ: რამდენად სამართლიანი ის და რამდენად შესრულებადია.
6. თუ მეორე მხარე უარს ამბობს მოთხოვნის შესრულებაზე, თოკის ნაჭერი გადადეთ გვერდით, ხოლო თუ ის ღებულობს ამ მოთხოვნას, თოკით ხდება შესაბამის ფურცლების დაკავშირება. იქვე მოთხოვნის მიმღები მხარე ჩაინიშნავს თავის ფურცელში კონკრეტულად რომელი მოთხოვნა იყო შესრულებული.
7. იგივე პროცედურა მეორდება რაუნდის დასრულებამდე
8. მუშაობა გრძელდება, ვიდრე კავშირები არ გაიბმება ყველა მოქმედ სექტორს შორის



maka – veSapebze monadire

”როგორც არ უნდა შეალამაზოთ – ვეშაპებზე ნადირობა მკვლელობაა, ხოლო მკვლელობა ცუდია”. მწვანეთა მოძრაობა

თემები ეკოლოგია, გლობალიზაცია, ადამიანის ზოგადი უფლებები

სირთულე დონე 4

მონაწილეთა რაოდენობა 14 და მეტი

ხანგრძლივობა 150 წუთი

მიმოხილვა ეს სავარჯიშო მოიცავს მცირე ჯგუფებში მუშაობას, როლების გათამაშებას, დისკუსიას და კონსენსუსის მიღწევას შემდეგ საკითხებზე:

- ზღვის რესურსების მდგრადი გამოყენება
- ადგილობრივი ხალხების კულტურის შენარჩუნებისა და განვითარების უფლება.

შესაბამისი უფლებები

- კულტურულ ცხოვრებაში მონაწილეობის უფლება
- ხალხის უფლება თავისუფლად განკარგონ თავიანთი ბუნებრივი რესურსები.
- ბუნებრივი რესურსების მოპოვებისა და გამოყენების უფლება

მიზნები

- განვითარებისა და კულტურული ცხოვრების უფლებასა და გარემოს დაცვას შორის არსებული წინააღმდეგობის შესწავლა
- კულტურათაშორისი უნარ-ჩვევების განვითარება და პრეკონცეფციებზე მსჯელობა.
- კულტუროლოგიური განსხვავებების მიმართ მიუკერძოებელი მიდგომის ჩამოყალიბება.

მასალა

- დასარიგებელი მასალა
- კალმისტრები და ფურცლები ჯგუფისათვის ჩანაწერების გასაკეთებლად.

მომზადება

- ყურადღებით წაიკითხეთ დასარიგებელი მასალა მოცემულ საკითხებთან დაკავშირებული ინფორმაციის გასაცნობად. ამის შემდეგ თქვენ საშუალება გექნებათ პასუხები გასცეთ შეკითხვებს თუ საჭიროა.
- გააკეთეთ თითოეული ბარათი-როლის ასლი ყველა ჯგუფისათვის. თითოეული მონაწილეს უნდა ჰქონდეს საკუთარი ბარათი-როლი.



ინსტრუქციები

სავარჯიშო გაყოფილია ორ ნაწილად: ნაწილი 1 (30 წუთი) - სავარჯიშოს და მასში განხილული ეკოლოგიური და კულტუროლოგიური საკითხების შესავალი. ნაწილი 2 (90 წუთი) - სხდომის ინსცენირება, რომელიც განიხილავს მაკას ტომების ვეშაპებზე ნადირობის საერთაშორისო კომისიაში შეტანილ საჩივარს ვეშაპებზე ნადირობის აღდგენის მოთხოვნით. აუცილებლად მოიტოვეთ დრო სავარჯიშოს შემდეგ დისკუსიისათვის, ანალიზისა და განხილვისათვის.

ნაწილი 2. ეკოლოგიური და კულტუროლოგიური საკითხების შესავალი (30 წუთი)

1. განმარტეთ, რომ ეს სავარჯიშო ეხება ეკოლოგიურ და კულტუროლოგიურ უფლებებს. ის ემყარება მაკას ტომების მოთხოვნას საერთაშორისო ვეშაპებზე ნადირობის კომისიის მიმართ ვეშაპებზე ნადირობის აღდგენასთან დაკავშირებით და მათ მიმართ გარემოს დამცველებისა და სხვა ძალების დაპირისპირებას.
2. უამბეთ მონაწილეებს მაკას შესახებ. (იხ. დასარიგებელი მასალა)
3. ახლა წარმოადგინეთ ამ სავარჯიშოში განხილული საკითხები. სთხოვეთ მონაწილეებს მიუთითონ თავიანთი პასუხები შემდეგ შეკითხვებზე „მაღლა ან დაბლა“ პოზიციით (ამ მეთოდის გამოყენებისათვის იხ. გვ.69). წაიკითხეთ შემდეგი განცხადებები სათითაოდ:
   „ხალხის წეს-ჩვეულებებს პატივი უნდა ვცეთ თუ ისინი არ ეწინააღმდეგებიან ადამიანის უფლებებს“
   „ჩვენ პატივი უნდა ვცეთ ხალხის უფლებას თავისუფლად აირჩიონ თავიანთი საკვები, იყვნენ მკაცრი ვეგეტარიანელები, უბრალოდ ვეგეტარიანელები თუ ჭამონ ხორცი“.
   „საკვები უნდა იყოს ეკოლოგიურად არასაზიანო მეთოდებით დამზადებული“
   „მეცხოველეობა არ უნდა იყენებდეს სასტიკ მეთოდებს როგორიცაა ინტენსიური ზრდა ან დაკვლის სასტიკი ხერხები“
   კულტუროლოგიური ტრადიციები ძალიან მნიშვნელოვანია ხალხისათვის და პატივი უნდა ვცეთ.“
   „ვეშაპებზე ნადირობა დაუშვებელია, თუნდაც კულტუროლოგიური გამართლების შემთხვევაში“.

ნაწილი 2. (90 წუთი) სხდომის ინსცენირება, რომელიც განიხილავს მაკას ტომების ვეშაპებზე ნადირობის საერთაშორისო კომისიაში შეტანილ საჩივარს ვეშაპებზე ნადირობის აღდგენის მოთხოვნით..

1. შეახსენეთ ჯგუფს, რომ მაკას ტომებმა მიმართეს საერთაშორისო ვეშაპებზე ნადირობის კომისიას ვეშაპებზე ნადირობის აღდგენასთან დაკავშირებით და რომ რამოდენიმე გარემოს დამცველთა ჯგუფი ეწინააღმდეგება მათ მოთხოვნას. ეს არის გამოგონილი ორგანიზაციის სიმულირებული შეხვედრა. ორგანიზაციის სახელია Crest (რომელიც არის შემდეგი ინგლისური სიტყვების აბრევიატურა კულტურა, უფლებები, ეკოლოგია, სიმდგრადე და საუბარი). Crest არის დამოუკიდებელი ორგანიზაცია, რომელიც ეკოლოგიურ საკითხებს განიხილავს ადამიანის უფლებათა პერსპექტივიდან. ისინი ცდილობენ გაგების დამკვიდრებას დიალოგის გზით. სიმულცია არის Crest-ის მიერ ორგანიზებული შეხვედრა 4 ჯგუფს შორის:
   - მაკას ტომები, რომლებიც წარმოადგენენ თავიანთ საჩივარს ვეშაპებზე ნადირობის აღდგენასთან დაკავშირებით.
   - უკიდურესი ჩრდილოეთის ალიანსი, რომელიცწ არმოადგენს ვეშაპებზე და სელაპებზე მონადირე ორგანიზაციების გაერთიანებას. ის მოწოდებულია სანაპირო კულტურების მომაალის დაცვისა და უზრუნველყოფისათვის და ზღვის ძუძუმწოვრების რესურსების მდგრადი გამოყენებისათვის. ეს ორგანიზაცია მხარს უჭერს მაკას ტომებს.

- ზღვის დარაჯი, ორგანიზაცია, რომელიც იძიებს და დოკუმენტლურად აფიქსირებს საზღვაო ველური ბუნების სახეობების მოპყრობის და რეგულირების საერთაშორისო კანონმდებლობის დარღვევას. ეს ორგანიზაცია არ უჭრს მხარს მაკას მოთხოვნას
- მწვანეთა მოძრაობა, ეკოლოგიური აქტივისტები, რომლებიც ეწინააღმდეგებიან ვეშაპებზე ნადირობას.

2. Crest მედიატორის როლს ასრულებს ამ ჯგუფებს შორის. მსჯელობა წარიმართება 4 საკითხის გარშემო:
   - უნდა იყოს თუ არა ვეშაპებზე ნადირობა ნებადართული?
   - არსებობს ვეშაპებზე ნადირობის, როგორც კულტუროლოგიური ტრადიციის რაიმე განსაკუთრებული შემთხვევა?
   - თუ ვეშაპებზე ნადირობა განხორციელდება, რა მასშტაბით უნდა მოხდეს ეს?
   - რეგულირების რა სახის რეჟიმებია საჭირო?
3. სთხოვეთ 2 მოხალისეს წარმოადგინონ **Crest** და დანარჩენები კი დაყავით 4 მცირე თანაბარ ჯგუფად. დაარიგეთ ბარათი-როლები. ჯგუფებს 30 წუთი აქვთ ინფორმაციაზე მსჯელობისა და მაკას მოთხოვნასთან დაკავშირებით თავიანთი პოზიციების დასაცავად მომზადებისათვის.
4. როდესაც ჯგუფები მზად იქნებიან მოიწვიეთ ისინი პლენარულ სხდომაზე. სთხოვეთ **Crest** წარმომადგენელ წყვილს მოაწყონ სიმულირებული შეხვედრა, რომელიც დაახლოებით 60 წუთს უნდა გაგრძელდეს. შეხვედრის მიზანია ინფორმაციის გაცვლა და გაზიარება, წარმოდგენილი საკითხების განხილვა და ზემოთ ჩამოთვლილ 4 პუნქტთან დაკავშირებით შეთანხმების მიღწევა.
5. შეხვედრას ხსნის **Crest** ადამიანის უფლებებთან და დისკუსიის ეკოლოგიურ ხასიათთან დაკავშირებული მოკლე განცხადებით. ამის შემდეგ მაკას ტომების წარმომადენლები განმარტავენ თავიანთ პოზიციას და იწყება განხილვა.
6. დისკუსიის ბოლოს გადადით ანალიზზე და შეფასებსაზე.

ანალიზი და შეფასება

სთხოვეთ ჯგუფებს იმსჯელონ დისკუსიის პროცესზე და იმაზე იყო თუ არა შესაძლებელი კონსენსუსამდე მისვლა.

- იყო განსხვავებული როლების შესრულება რთული?
- რა იყო ყველაზე საინტერესო რაც მონაწილეებმა შეიტყვეს?
- რა იყო საუკეთესო არგუმენტი? ემოციური თუ რაციონალური, ლოგიკური არგუმენტები?
- რამდენად რთული იყო არგუმენტის მეორე მხარის დანახვა? რამდენად რთული იყო მისი მიღება?
- რეალურ ცხოვრებაში რამდენად რთულია სხვა ხალხების კულტურული ტრადიციების მიღება რომლებიც მონაწილეების აზრით უხეში, გაუგებარი ან არაეთიკურია?
- რა ეტაპზე ხდება კულტუროლოგიური კონფლიქტი დისკრიმინაცია?
- რამდენად რთულია იყო გახსნილი კულტუროლოგიური განსხვავებების მიმართ?
- გლობალიზაციას გარდაუვლად მივყავართ კულტურული თავისებურებების დაკარგვამდე? ნიშნავს კულტურის შეცვლა მის დაკარგვას?

- უნდა განვიხილოთ კულტუროლოგიური ცვლილება მსოფლიოს შეცვლის პოზიტიურ პროცესად?
- კონფლიქტური უფლებებთან დაკავშირებული იურიდიული პრეტენზიები ძირითადად განიხილება სასამართლოში. არის ეს უფლებების საკითხების გადაწყვეტის სამართლიანი გზა?
- რომელი უნდა იყოს პრიორიტეტული – ადამიანების მიერ საკვების და სიცოცხლის უფლების მოთხოვნა თუ გარემოს დაცვა და სახეობების შენარჩუნება?

დაასრულეთ სხდომა "მაღლა თუ დაბლა" კიდევ ერთი რაუნდით, რათა გაარკვიოთ შეიცვალეს თუ არა მონაწილეებმა დამოკიდებულებები ვეშაპებზე ნადირობასთან დაკავშირებით. გაიმეორეთ იგივე შეკითხვები, რომელებიც 1 ნაწილში დასვით.

რჩევები ხელმძღვანელებს

ამ სავარჯიშოში განხილული საკითხების სირთულე ნიშნავს, რომ ის ყველაზე შესაფერისია მომწიფებული ჯგუფისათვის, რომლებსაც მსჯელობის კარგი უნარჩვევები აქვთ. ასათვისებელია დიდი მოცულობის ინფორმაცია და ბარათი-როლების ტექსტები გათვლილია ადამიანის უფლებების და ეკოლოგიური ტერმინოლოგიის ცოდნის გარკვეულ დონეზე. შესაძლოა მოისურვოთ სავარჯიშოს წარმართვა 2 სხდომაზე და მისცეთ ჯგუფს დრო შუალედებს შორის წაიკითხონ როლ-ბარათებზე მოცემული ინფორმაცია და იფიქრონ წამოჭრილ საკითხებზე.

ამ სავარჯიშოს ერთი მნიშვნელოვანი მიზანი არის დაუპირისპირონ ახალგაზრდები თავიანთ საკუთარ კულტუროლოგიურ ხედვას და საშუალება მისცეს მათ გადახედონ თავიანთ დამოკიდებულებას ველური ბუნების რაციონალურ გამოყენებასთან მიმართებაში. ვეშაპებზე ნადირობა ბევრისთვის არის ემოციური საკითხი, რომლის შესახებაც მათ ხშირად გააჩნიათ მტკიცე შეხედულებები. ეს მას აქცევს სამუშაოდ საინტერესო, მაგრამ რთულ საკითხად. მეორე მიზანი არის კონსენსუსის მიღწევის გზების შემუშავება, და ამიტომაც სავარჯიშო აგებულია შეხვედრაზე, რომელზეც მედიატორის როლს ასრულებს გამოგონილი ორგანიზაცია Crest. სავარჯიშოს შესრულებამდე შეიძლება მოისურვოთ კონსენსუსის მიღწევის შესახებ შემოთავაზებული ინფორმაციის ხილვა 66 გვ.ზე.

შეიძლება საჭირო იყოს გადამოწმება სრულად ესმით თუ არა მონაწილებს როლურ ბარათებზე მოცემული ზოგიერთი ტერმინის და კონცეფციის მნიშვნელობა. მაგ.

აბორიგენები

არ არსებობს რაიმე მყარი ან მუდმივი საზღვარი, რომელიც საშუალებას მოგვცემს არაორაზროვნად განვსაზღვროთ რას ნიშნავს აბორიგენები. ზოგადად, შეიძლება ითქვას, რომ ისინი არიან იმ ხალხის შტამომავლები, რომლებმაც დაიპყრეს ეს მიწები კოლონიზატორების მისვლამდე და სახელმწიფო საზღვრების დადგენამდე. ისინი ყოველთვის განცალკევებული არიან სახელმწიფოსგან და ხშირად ინარჩუნებენ ტომური ცხოვრების სტილს.

პრევენციული პრინციპი

ეს პრინციპი აცხადებს, რომ "როდესაც რაიმე საქმიანობა საფრთხეს უქმნის ადამიანის ჯანმრთელობას პრევენციული ზომები უნდა იქნას მიღებული მაშინაც კი თუ მიზეზ-შედეგობრივი კავშირი არ არის მეცნიერულად შესწავლილი". ის

გულისხმობს გაურკვეველ შემთხვევებში ქმედების განხორციელებას; რისკის შემქმნელთა წინააღმდეგ მტკიცებულებების მოძიება, პოტენციურად საზიანო საქმიანობის ალტერნატივების მოფიქრება, და ინტერაქტიული გადაწყვეტილებების მიღების მეთოდები.

მდგრადობა

1989 წელს გაეროს ეკოლოგიისა და განვითარების კომისიამ, რომელსაც „ბრუნდტლანდის მოხსენებას“ უწოდებენ განსაზღვრა მდგრადი განვითარება როგორც ”განვითარება, რომელიც აკმაყოფილებს თანამედროვეობის მოთხოვნებს და ამავე დროს საფრთხეს არ უქმნის მომავალი თაობების უნარს დააკმაყოფილოს მათი მოთხოვნები.” “მდგრადი გამოყენება” არის ტერმინი, რომელიც მისაღებია მხოლოდ განახლებადი რესურსების შემთხვევაში: ის ნიშნავს რესურსების იმ სიხშირით გამოყენებას რისი აღდგენის უნარიც მათ აქვთ. არსებობს საერთაშორისო შეთანხმება მსოფლიოს ბუნებრივი რესურსების რაციონალური გამოყენების პრიციპთან დაკავშირებით, რომელიც ემყარება მეცნიერულ მტკიცებულებებს და ობიექტურ მონაცემებს.

ვარიანტები

თუ ჯგუფი მცირეა შეგიძლიათ იმუშაოთ 2 ჯგუფთან, მაკა და უკიდურესი ჩრდილოეთ ალიანსი ერთ მხარეს და მწვანეთა მოძრაობა და ზღვის დარაჯი მეორე მხარეს.

ალტერნატიული გზა არის ამ სავარჯიშოს შესრულება კომისიის მოსმენის სახით. თითოეული ჯგუფის წარმოდგენა დაავალეთ თითო მონაწილეს: მაკა, უკიდურესი ჩრდილოეთ ალიანსი, მწვანეთა მოძრაობა და ზღვის დარაჯი. სთხოვეთ მათ წარმოადგინონ თავიანთი პოზიციები და შემდეგ გადადით ადგილიდან შეკითხვების დასმაზე. ბოლოს ჩაატარეთ კენჭისყრა 4-ივე საკითხთან დაკავშირებით. ამ გზით თქვენ დააფიქრებთ მონაწილეებს ადამიანის უფლებების, კულტუროლოგიური და ეკოლოგიური ასპექტების შესახებ, მაგრამ ნაკლებად იქნება წარმოდგენილი კონსენსუსის მიღწევის ელემენტი.

წინადადებები გაგრძელებისათვის

გლობალიზაცია იყო ამ სავარჯიშოში წარმოდგენილი ერთ-ერთი საკითხი. თუ ჯგუფი დაინტერესდება გლობალიზაციის სხვა ასპექტებითაც შეიძლება მოისურვონ სავარჯიშოს “გლობალიზაციის ტერმინოლოგიური ლექსიკონი” შესრულება (გვ. 145).

იდეები მოქმედებისათვის

მხარი დაუჭირეთ აბორიგენ ხალხს მათ მიერ შექმნილი პროდუქციის ყიდვით. ბევრი ხელნაკეთი ნივთები, რომლებიც იყიდება “სამართლიანი ვაჭრობის” მაღაზიებში დამზადებულია აბორიგენების მიერ. შემდეგში სუვენირები და საჩუქრები თქვენი ახლობლებისათვის შეიძინეთ ასეთ მაღაზიებში.

დამატებითი ინფორმაცია

- www.highnorth.no - უკიდურესი ჩრდილოეთ ალიანსის საიტი.
- www.seashephard.com - საერთაშორისო ზღვის დარაჯის საიტი.
- www.iwcoffice. org - ვეშაპებზე ნადირობის საერთაშორისო კომისიის საიტი.

- http://content.lib.washington.edu/aipnw/renker/contemporary.html - მაკას ტომების შენარჩუნების საიტი.
- www.greenpeace. org - მწვანეთა მოძრაობის საიტი.

dasarigebeli masala

მაკას ხალხები (რომლებსაც ასევე მაკას ან მაკას ტომებს ეძახიან) ცხოვრობენ ოლიმპიის ნახევარკუნძულის უკიდურეს ჩრდილოეთ-დასავლეთით მდებარე რეზერვაციაში, აშშ-ს ვაშინგტონის შტატში. ამჟამად რეზერვაციის ფართობი 27, 000 აკრია. 1999 წ. ივლისში ტომების აღწერამ აჩვენა, რომ მაკას ტომში ოფიციალურად არის 1214 წევრი, თუმცა რეზერვაციაში ამჟამად მხოლოდ 1079 ცხოვრობს. რეზერვაციაში უმუშევრების საშუალო დონე არის 59% და თითქმის რეზერვაციაში მცხოვრები ოჯახების 49%-ის შემოსავალი კლასიფიცირდება ფედერალური სიღარიბის ზღვრის ქვემოთ და საცხოვრებელი სახლების 59% ითვლება სუბსტანდარტულად.

ამ დამთრგუნველი აღწერის მიუხედავად ტრადიციები ძალიან ძლიერია და ბევრი მაკას ტომის ახალგაზრდა კოლეჯის დასრულების შემდეგ ბრუნდება რეზერვაციაში მაკას ხალხების სასარგებლოდ ადგილობრივ კლინიკებში და საზოგადოებრივ სკოლებში მუშაობისათვის.

ინფორმაციის წყარო: http://content.lib.washington.edu/aipnw/renker/contemporary.html

ბარათი როლები

CREST–ის როლური ბარათი

თქვენი პოზიცია ვეშაპებზე ნადირობის მიმართ ნეიტრალურია. თქვენი როლია წარმოადგინოთ ძირითადი ინფორმაცია ადამიანის უფლებებსა და ეკოლოგიური კანონმდებლობის საკითხებთან დაკავშირებით და შეასრულოთ მედიატორის როლი ჯგუფებს შორის. თქვენი, როგორც მედიატორის როლი არის უზრუნველყოთ დისკუსიის ფოკუსირება ძირითად ამოცანაზე და გაფანტოთ გაუგებრობები და არასწორი კონცეფციები. თქვენ უნდა დაეხმაროთ ჯგუფებს დათმონ განსხვავებები და სანაცვლოდ ეძებონ რა აქვთ საერთო, რათა მიაღწიონ კონსენსუსს შემდეგ საკითხებთან დაკავშირებით:

- უნდა იყოს თუ არა ვეშაპებზე ნადირობა ნებადართული?
- არსებობს ვეშაპებზე ნადირობის, როგორც კულტუროლოგიური ტრადიციის რაიმე განსაკუთრებული შემთხვევა?
- თუ ვეშაპებზე ნადირობა განხორციელდება, რა მასშტაბით უნდა მოხდეს ეს?
- რეგულირების რა სახის რეჟიმებია საჭირო?

თავდაპირველად მიესალმეთ ყველას. განსაზღვრეთ დისკუსიის ჩარჩოები, დაახლოებით 2 წუთი მოანდომეთ სცენის მომზადებას მოკლედ ჩამოთვალეთ ადამიანის ძირითადი უფლებების და გარემოს დაცვის ასპექტები, რომლებიც კავშირშია განსახილველ საკითხთან. თუ სურვილი გაქვთ მოიყვანეთ ციტატები ქვემოთ წარმოდგენილი ნაწყვეტებიდან. ასევე უნდა მიუთითოთ, რომ ზოგი მორალური შეხედულებებიდან გამომდინარე ეწინააღმდეგება ვეშაპებზე ნადირობას.

შემდეგ ზოგადი მსჯელობის გახსნამდე სთხოვეთ მაკას ტომებს განმარტონ, რა მიზეზების გამო უნდათ ვეშაპებზე ნადირობის განახლება. 40 წუთიანი დისკუსიის შემდეგ დაიწყეთ შედეგების შეჯამება.

უკიდურესი ჩრდილოეთ ალიანსის ბარათი როლი

უკიდურესი ჩრდილოეთ ალიანსი არის ორგანიზაცია, რომელშიც შედის კანადის, გრენლანდიის, კუნძულების, ისლანდიის და ნორვეგიის ვეშაპებზე და სელაპებზე მონადირეთა ორგანიზაციები, და ასე რიგი ადგილობრივი საზოგადოებები. უკიდურესი ჩრდილოეთ ალიანსი მუშაობს სანაპირო კულ შენარჩუნებისათვის და იბრძვის ზღვის, ძუძუმწოვართა რესურსების რაციონალური გამოყენებისა

სავარჯიშოში თქვენ უნდა გამოიყენოთ ადამიანის უფლებების და ეკოლოგიის საკითხების საკუთარი გაითვალისწინოთ შემდეგი ციტატები და ინფორმაცია უკიდურესი ჩრდილოეთ ალიანსის ვებგვერდიდან:

“მაკას ტომები ვეშაპებზე ნადირობენ 2 000 წლის განმავლობაში ვიდრე ეს თეთრი იმპერიალისტები არ და გადაწყვიტეს ვეშაპების ხელში ჩაგდება რადგანაც მისი ცხიმი და ა.შ. ძალიან მნიშვნელოვანი იყო შემდეგ მათ გაძარცვეს ეს რესურსი და მაკას აღარ შეეძლო საკუთარი ტრადიციის გაგრძელ მოთმინებით ელოდნენ როდის აღდგებოდა ეს რესურსი. ეს უკვე მოხდა. მაგრამ ახლა თეთრკანიანე

ტომების ბარათი როლი

როლია წარმოადგინოთ ჩრდილოეთ ამერიკის ჩრდილო-დასავლეთ სანაპიროზე მცხოვრები ინდიელთა ტომის
საქმე. ამ სავარჯიშოში უნდა გამოიყენოთ თქვენი ცოდნა ადამიანის უფლებების და ეკოლოგიური საკითხების
ბ და ასევე დაეყრდნოთ შემდეგ ციტატებს და ინფორმაციას მაკას ვებგვერდიდან:

ამერიკელი ადამიანი უფლებათა გაფართოების სფეროში ამჟამინდელის მონაწილეობით . ევროპის საბჭო

70 წელი გავიდა ვეშაპებზე ნადირობის ბოლო შემთხვევიდან, მასთან დაკავშირებული ცერემონიები,
ლები, სიმღერები და ლეგენდები შემოინახა და დღემდე თაობიდან თაობას გადაეცემა. ამჟამად ზოგიერთი
ღი მაკა თავს ირჩენს ორაგულზე და წყნარი ოკეანის მახვილთევზაზე თევზაობით და მათი ადგილობრივი
ეობის ქარხნისათვის მიყიდვით, მაგრამ ნადავლის მეგობრებისა და ოჯახის წევრებისათვის გაზიარების ძველი
ჯერ კიდევ ცოცხალია“.

გაანადგურა ვეშაპების მარაგი იყო ევროპელებისა და ამერიკელების მიერ განხორციელებული ვეშაპებზე

ზღვის დარაჯის და ვეშაპებისა და დელფინების კონსერვაციის საზოგადოებ ბარათი-როლი

ზღვის დარაჯის საერთაშორისო ორგანიზაცია არის არა-კომერციული არასამთავრობო ორგანიზაცია, იძიებს და დოკუმენტალურად ასაბუთებს ზღვის ველური ბუნების სახეობების მარეგულ ხელშეკრულებების და საერთაშორისო კანონმდებლობის დარღვევის ფაქტებს. ვეშაპებისა და დე კონსერვაციის საზოგადოება არის მსოფლიოს ერთ-ერთი ყველაზე აქტიური საქველმოქმედო საზ რომელიც ემსახურება ვეშაპების, დელფინების და ზღვის ღორების კონსერვაციას და გადარჩენას.

თქვენი როლია წარმოადგინოთ იმ ხალხის შეხედულებები, რომლებიც დაინტერესებული არიან ბუ ველური რესურსების დაცვით. უნდა გამოიყენოთ ადამიანის უფლებების და ეკოლოგიური საკითხების ქვემოთ მოყვანილი ციტატები და ინფორმაცია ზღვის დარაჯისა და ვეშაპებისა და დელფინების კონ

თა მოძრაობის ბარათი-როლი

მოძრაობის მხარდამჭერები მთელ მსოფლიოში ატარებენ კამპანიას და ავრცელებენ თავიანთ შეხედულებებს
ი მსოფლიოსმიღწევისათვის.

ვკიშოში უნდა გამოიყენოთ ადამიანის უფლებების და ეკოლოგიური საკითხების ცოდნა და ქვემოთ
ლი ციტატები დაეხმარება ადამიანებს. განათლების სფეროში ახალგაზრდების მონაწილეობით . ევროპის საბჭო
ბ არ უნდა შეალამაზოთ, ვეშაპებზე ნადირობა არის მკვლელობა და მკვლელობა ცუდია. დიახ, ვეშაპები არ
ადამიანები, მაგრამ არიან ისინი რამით ადამიენებზე ნაკლები? აზროვნების წესი, რომელიც ზეიმობს ვეშაპის
ს არაფრიტ განსხვავდება აზროვნების წესისაგან, რომელიც დასაშვებად მიიჩნევს „არასრულფასოვანი“
ების გენოციდს. ჩვენ გვჯერა, რომ ტერმინი „ადამიანის უფლებები“ ზედაპირულად გამოხატავს ამ ცნების
და იძლევა შოვინიზმის საფუძველს სხვა სახეობებთან მიმართებაში. უფრო ღრმა გაგებით ვეშაპები და სხვა
ბიარე ძუძუმწოვრები ასევე უფლებამოსილი არიან ადამიანის უფლებებზე ან უკიდურეს შემთხვევაში

mivceT Tu ara xma?

ყველა ხმა მნიშვნელოვანია



თემები	დემოკრატია, მოქალაქეობა, ადამიანის საერთო უფლებები
სირთულე	დონე 4
მონაწილეთა რაოდენობა	ნებისმიერი
ხანგრძლივობა	270 წუთი (3 ნაწილად)
მიმოხილვა	ეს სავარჯიშო გვთავაზობს საზოგადოების წევრების გამოკითხვას პრობლემის შესწავლის მიზნით: ▪ არჩევნებში ხმის მიცემა ▪ სამოქალაქო აქტივობა
შესაბამისი უფლებები	▪ ქვეყნის მართვაში მონაწილეობის უფლება ▪ დემოკრატიულ არჩევნებში მონაწილეობის უფლება ▪ აზრის გამოთქმის თავისუფლება
მიზნები	▪ არჩევნებში საკუთარი ხმის გამოყენების შესაძლებლობის დაფასება ▪ ინფორმაციის მოძიებისა და კრიტიკული შეფასების უნარ-ჩვევების განვითარება ▪ დემოკრატიულ საზოგადოებაში ყველა მოქალაქის პიროვნული წვლილის დაფასება
მასალა	▪ გამოკითხვის ფურცლები 1 და 2, ერთი კომპლექტი ერთ წყვილზე ▪ I ჩანართის ასლი, გამოკითხვის ჩატარებასთან დაკავშირებული შენიშვნები, ერთი კომპლექტი ერთ წყვილზე ▪ პასტები ან ფანქრები ყველასთვის ▪ A3 ზომის ფურცლები ან დაფის ფურცლები და მარკერები ▪ წებოს ლენტა
მომზადება	▪ გააკეთეთ II ჩანართი და გამოკითხვის ფურცლის ნიმუშის ასლი დიდი ზომის ფურცელზე ინსტრუქციების გაცემისას გამოიყენეთ თვალსაჩინოების ნიმუშად ▪ დაფაზე გააკეთეთ გამოკითხვის ფურცლის ასლი 1 და 2 შედეგების შესაჯამებლად ▪ შეადგინეთ სავარჯიშოს გრაფიკი I ნაწილისათვის დაგჭირდებათ 60 წუთი (გამოკითხვის შესავალი), მინიმუმ 120 წუთი II ნაწილისათვის (გამოკითხვის პროცესი) და 90 წუთი III ნაწილისათვის – (შედეგების ანალიზი, დასკვნა და გამოკითხვა).

ინსტრუქციები

ნაწილი 1: გამოკითხვის შესავალი

1. განმარტეთ, რომ პირველი სხდომის მიზანია მოამზადოს ჯგუფი საზოგადოებაში გამოკითხვის ჩასატარებლად მათ მიერ ხმის მიცემის ან არ მიცემის მიზეზების გასარკვევად.
2. ჰკითხეთ მონაწილეებს აპირებენ თუ არა საპარლამანეტო ან ადგილობრივ არჩევნებში მონაწილეობის მიღებას როგორც კი შემდეგი (პირველივე) შესაძლებლობა მიეცემათ ამისთვის. სთხოვეთ მათ ხელის აწევით გამოხატონ თავიანთი აზრი, შემდეგ კი დაყავით ჯგუფი იმისდამიხედვით თუ ვინ აპირებს არჩევნებაში მონაწილეობის მიღებას – (ა) და ვინ არ აპირებს – (ბ). „არ ვიცი“ შეიძლება მოხვდეს ნებისმიერ ჯგუფში რათა დაბალანსდეს ჯგუფების წევრთა რაოდენობა რამდენადაც ეს შესაძლებელია.
3. სთხოვეთ თითოეულ ჯგუფს შეადგინონ დიდი ზომის ფურცელზე იმ მიზეზების სია, რომლებიც განაპირობებენ მათ არჩევნებში მონაწილეობას ან არ მონაწილეობას, მიეცით მათ დაახლოებით 15 წუთი სიების მოსამზადებლად.
4. შეკრიბეთ ჯგუფები და სთხოვეთ ა და ბ ჯგუფის წარმომადგენლებს გააცნონ დანარჩენებს მათი სიები. ბოლოს გამოყავით დრო მოკლე დისკუსიისთვის და სიებში დამატებითი წინადადებების შესატანად თუ ასეთი იქნება.
5. დაარიგეთ გამოკითხვის ფურცლის ასლები. დაეყრდენით დიდი ზომის ასლს, რომელიც თქვენ მოამზადეთ. დარწმუნდით, რომ მონაწილეებმა იციან, რომ I ნაწილი არის იმათი პასუხების დაფიქსირებისათვის რომლებიც ხმის მიცემას არ აპირებენ, ხოლო II ნაწილი ხმის მიმცემთა პასუხების დასაფიქსირებლად. მიუთითეთ, რომ შეკითხვები ერთმანეთის მსგავსია 2 შეკითხვის გამოკლებით, რომელიც ორივე ნაწილში სხვადასხვაა. გადაიკითხეთ შეკითხვები და დარწმუნდით, რომ ისინი ნათლადაა ჩამოყალიბებული.
6. ახლა განმარტეთ პასუხების დაფიქსირების მეთოდი. აჩვენეთ ჯგუფს ნიმუში (იხ. დასარიგებელი მასალა) და განმარტეთ როგორ უნდა მოხდეს „5-შტრიხის “ მეთოდის გამოყენება რაოდენობის აღრიცხვის მიზნით.
7. დაარიგეთ გამოკითხვის ჩასატარებელი ინსტრუქციის ასლები, თითო ასლი თითო წყვილისათვის. გადახედეთ მას და ისაუბრეთ:
   - როგორ უნდა მოხდეს გამოკითხულთა შემთხვევითი შერჩევის უზრუნველყოფა
   - რამდენი ადამიანი უნდა გამოკითხოს თითოეულმა წყვილმა? (რაც მეტი მით უკეთესი!)
   - სად და როდის ჩატარდება გამოკითხვა
   - როდის დასრულდება გამოკითხვა?
   - უკან დაბრუნებისა და შედეგების განხილვის დრო
8. თუ ყველამ მკაფიოდ გაიგო თავიანთი ამოცანის არსი გადადით II ნაწილზე – გამოკითხვა!

ნაწილი 2. შედეგების ანალიზი

ახლა გამოკითხვა უკვე დასრულებულია. ჯგუფები ხვდებიან ერთმანეთს შედეგების შედარების, ანალიზისა და განხილვისათვის. ამისათვის უნდა გამოყოთ 60 წუთი.

1. სთხოვეთ წყვილებს შეაჯამონ თავიანთი შედეგები თითოეულ გრაფაში და გააერთიანონ 2 დიდ ცხრილში. ამგვარად ხდება ყველა ჯგუფის ინფორმაციის შედარება და შესაძლებელი ხდება ჯამური რიცხვის

გამოთვლა მთელი ჯგუფისათვის. მათ ასევე შეუძლიათ დააფიქსირონ „მიზეზები“, რომლებიც გამოკითხულებმა დაასახელეს. თუ ერთიდაიგივე მიზეზი რამდნჯერმე იქნა დასახელებული დააფიქსირეთ რამდენჯერ გამეორდა ის კვლავ „5-შტრიხის“ მეთოდის გამოყენებით.

2. როდესაც ინფორმაცია სრულად შეიკრიბება სთხოვეთ მონაწილეებს გამოთვალონ შემდეგი სტატისტიკური მაჩვენებლები:
   - გამოკითხულთა სრული რიცხვი
   - ამომრჩეველთა და არა-ამომრჩეველთა პროცენტული შემადგენლობა გამოკითხულთა მთლიან რაოდენობაში
   - გამოკითხულთა შორის ქალებისა და მამაკაცების პროცენტული შემადგენლობა.
   - ყველა ასაკობრივ ჯგუფში გამოკითხულთა პროცენტული შემადგენლობა.
   - ასაკობრივი ჯგუფი ამომრჩეველთა ყველაზე მცირე რაოდენობით
   - ასაკობრივი ჯგუფი ამომრჩეველთა ყველაზე დიდი რაოდენობით
   - ხმის არ მიცემის ყველაზე ხშირად დასახელებული მიზეზი
   - ხმის მიცემის ყველაზე ხშირად დასახელებული მიზეზი
   - უმრავლესობის (ნებისმიერი ჯგუფიდან) მიერ დასახელებული მიზეზები დაკავშირებული იყო ხალხთან თუ პარტიებთან.

ახლა გადადით იმის განხილვაზე რამდენად მოეწონათ მონაწილეებს გამოკითხვის ჩატარება, როგორი იყო მათი მოლოდინი და რა ისწავლეს მათ.

ანალიზი და შეფასება

შედეგების განხილვის ზოგად ნაწილში შესაძლოა მოინდომოთ სხვადასხვა საკითხებთან შეხება, მაგ.

- როგორი შეგრძნება ჰქონდა ჯგუფს გამოკითხვის ჩატარების პროცესში? ზოგადად, იყვნენ ადამიანები მზად გამოკითხვის პუნქტების საპასუხოდ?
- იყო რთული გამოკითხვის ჩატარება? მოეწონათ მათ ეს პროცესი?
- შეძლო ჯგუფმა შეექმნა მთლიანი მოსახლეობის “წარმომადგენლობითი” ნიმუში? რა სირთულეები ახლდა ამ ამოცანას?
- რა პრობლემები არსებობს ჯგუფის შედეგებიდან დასკვნების გამოტანისათვის? როგორ შეიძლება მათთვის თავის არიდება?
- იყო ისეთი სტატისტიკური მონაცემები, რომლებმაც განსაკუთრებით გააკვირვა ჯგუფი?
- იყო გამოკითხვის შედეგები მოულოდნელი რაიმე თვალსაზრისით?
- შეესაბამებოდა თუ არა ხალხის მიერ გაცემული პასუხები ჯგუფის წევრების განწყობას? ფიქრობთ, რომ თქვენი ჯგუფი არის მთლიანი მოსახლეობის “წარმომადგენლობითი” ასახვა?
- შეცვლიდნენ რაიმეს თავიდან რომ ჩაეტარებინათ გამოკითხვა?
- იძლევა თუ არა თქვენი გამოკითხვის შედეგები არჩევნების მოდელის რეალისტურ სურათს თქვენ საზოგადოებაში? რატომ? რატომ არა?
- სტატისტიკა ხშირად განიხილება როგორც ფაქტები არგუმენტების გასამყარებლად. რამდენად ფრთხილი უნდა იყვნენ მონაწილეები სტატისტიკის მიმართ?
- რა აზრის არის ჯგუფი ახლა არჩევნებში მონაწილეობის მიღების აუცილებლობის ან არმიღების შესახებ? შეიცვალა ვინმემ აზრი (რომელიმე მიმართულებით) თუ კი, რომელი არგუმენტის ზეგავლენით?

ღირშესა
თარიღი

თქვენს ქვ
მიცემის სა
უფლების
დღე

რჩევები ხელმძღვანელებს

ნაწილი I, გამოკითხვის დაგეგმვის დროს საფუძველი უნდა მომზადდეს რეალური გამოკითხვისათვის II ნაწილში. თქვენ დასაწყისშივე შეგიძლიათ განაცხადოთ სავარჯიშოს მიზნის შესახებ, რომელიც მდგომარეობს დემოკრატიულ პროცესებში ახალგაზრდების მონაწილეობის მნიშვნელოვნების გააზრებაში. ამ ასპექტის ხაზგასმა რეკომენდირებულია ხმის მიცემის აუცილებლობაში მათი "დარწმუნების" მცდელობის ნაცვლად. განმარტეთ, რომ თქვენ გსურთ ჯგუფის ყველა წევრმა თვითონ მიიღოს გადაწყვეტილება სხდომის ბოლოს, მაგრამ ამისათვის მნიშვნელოვანია მათ მიერ არსებული განსხვავებული მიზეზების შეფასება.

ეცადეთ მაქსიმალურად ობიექტურად იმსჯელოთ მიზეზებზე, რომელთა მიხედვით მონაწილეები აძლევდნენ ან არ აძლევდნენ ხმას (4 პუქტი) არ ეცადოთ "ხმის მიმცემების" წახალისებას, რათა მათ გავლენა მოახდინონ "არა ხმის მიმცემებზე". არ დახარჯოთ მეტისმეტად დიდი დრო დისკუსიაზე, ის მხოლოდ გამოკითხვისათვის სცენის მოსამზადებლად არის გამიზნული.

გამოკითხვის მეთოდებზე მსჯელობის დროს (7 პუნქტი) უნდა გაითვალისწინოთ ის სირთულეები, რომლებსაც ჯგუფი შეიძლება შეხვდეს ასეთი გამოკითხვის ჩატარების პროცესში. ზოგიერთ საზოგადოებაში ხალხმა შეიძლება უხერხულად იგრძნოს თავი ქუჩაში უცნობების მიერ გამოკითხვის დროს. ასეთ შემთხვევაში შესაძლოა უმჯობესი იყოს მეგობრებისა და ნაცნობების გამოკითხვა.

ძალიან მნიშვნელოვანია შეაფასოთ რა მოცულობის ინფორმაციის ანალიზის უნარი აქვს ჯგუფს. არ შეაგროვოთ ინფორმაციის ისეთი რაოდენობა, რომ ჯგუფი ჩაეფლოს გამოთვლებში. თუ ეს დიდი ჯგუფია, მაშინ თითოეულმა წყვილმა უნდა გამოკითხოს იმაზე ნაკლები რაოდენობის ხალხი, ვიდრე გამოკითხავდა მცირე ჯგუფის შემადგენლობაში.

წინადადებები გაგრძელებისათვის

გაეცანით დემოკრატიის შესახებ ბაზისურ მასალებში მოცემულ ინფორმაციას 434 გვ-ზე და გაარკვიეთ, როდის მიეცათ თქვენ ქვეყანაში ქალებს ხმის მიცემის უფლება. ასევე შეგიძლიათ გაარკვიოთ, რომელ ჯგუფებს (მაგ. ბავშვები, იმიგრანტები, პატიმრები, და ა.შ.) არა აქვთ დღესდღეობით ხმის მიცემის უფლება თქვენ ქვეყანაში. იმსჯელეთ მათ გამომწვევ მიზეზებზე და სამართლიანობაზე.

დემოკრატიულ საზოგადოებაში ხალხს ბევრი შესაძლებლობა აქვს იმოქმედოს იმ საკითხებთან მიმართებაში, რომელიც უშუალოდ ეხებათ მათ. სავარჯიშო "ელექტროსადგური" (გვ. 173) მონაწილეებს საშუალებს აძლევს იპოვნონ სოციალური ცვლილებების განხორციელების გზები.

იდეები ქმედებისათვის

მოაწყვეთ იმ დღის საზეიმო აღნიშვნა, როდესაც ქალებს თქვენ ქვეყანაში ხმის უფლება მიეცათ.

თუ თქვენ საზოგადოებაში იპოვით ჯგუფებს, რომლებსაც არა აქვთ ხმის მიცემის უფლება და თუ ჩათვალეთ, რომ ეს უსამართლობა იყო მიწერეთ წერილი თქვენი პარლამენტის დეპუტატებს და გამოხატეთ თქვენი ჯგუფის შეშფოთება. ეცადეთ შეაგროვოთ რაც შეიძლება მეტი ხელმოწერები.

rekomendaciebi gamokiTxvis CaCasatareblad

გამოსაკითხი ხალხის შერჩევა

1. აირჩიეთ პოტენციური გამოსაკითხი ხალხი შემთხვევით: სხვა სიტყვებით, თქვენ არ უნდა "შეარჩიოთ" ხალხი გამოკითხვაში მონაწილეობისათვის იმიტომ, რომ ისინი არიან ახალგაზრდები, მოხუცები, ქალები, და ა.შ. ეცადეთ თავი აარიდოთ მიკერძოებას.
2. ჰკითხეთ პიროვნებას, რომლის გამოკითხვაც გინდათ ხომ არ არის წინააღმდეგი უპასუხოს რამოდენიმე შეკითხვას, წარუდგინეთ მას საკუთარი თავი და აუხსენით, რომ მათი ვინაობა ანონიმური იქნება და გამოკითხვის შედეგები არ გამოქვეყნდება რადგანაც ისინი ერთი კონკრეტული ჯგუფისთვის კეთდება.

გამოკითხვის შედეგების ჩაწერა და აღნუსხვა

თუ პიროვნება გთანხმდებათ ინტერვიუზე და გამოკითხვაში მონაწილეობაზე, მაშინ კითხეთ მათ მისცეს თუ არა ხმა ბოლო არჩევნებში. თუ პასუხი არის "არა" მაშინ შეავსეთ ფურცელი I, არა-ხმის მიმცემის ფურცელი, თუ პასუხი არის "დიახ" მაშინ შეავსეთ ფურცელი 2, "ხმის მიმცემის" ფურცელი.

1. კითხვა I: გამოკითხულებმა უნდა დაასახელონ თავიანთი ასაკი თუ მათ ამის სურვილი აქვთ. წინააღმდეგ შემთხვევაში აღნიშვნა უნდა გაკეთდეს ბოლო სვეტში.
2. კითხვა 2: აჩვენეთ გამოკითხულებს პასუხების შესაძლო ვარიანტები და სთხოვეთ აირჩიონ ერთ-ერთი. თუ მათ სხვა მიზეზი აქვთ, დაწერეთ ის „d" სვეტში. შენიშვნა: განსხვავება b-სა და g-ს შორის არის ის, რომ b –ში აღნიშნული მიზეზი მოიცავს კონკრეტულ ადამიანს, ხოლო g – პარტიას.
3. აღნიშვნა უნდა იყოს მკაფიო, რათა მოგვიანებით ადვილად მოხდეს მათი დათვლა. ერთ ფურცელზე უნდა დაფიქსირდეს რაც შეიძლება მეტი ადამიანის პასუხი. თითოეული შეკითხვის გასწვრივ თითოეული გამოკითხულისათვის უნდა გაკეთდეს მხოლოდ ერთი აღნიშვნა.

dasarigebeli masala

გამოკითხვის ფურცელი

1: ვინც არჩევნებში მონაწილეობა არ მიიღო

სახელმძღვანელო ადამიანის უფლებათა განათლების სფეროში ახალგაზრდების მონაწილეობით . ევროპის საბჭო

კითხვა 1. რომელ ასაკობრივ ჯგუფს მიეკუთვნებით? (არჩევითი)

	25 წლამდე	25 - 40	40 - 60	60-ზე მეტი	პასუხს თავი აა
mamakacebi qalebi					

xvo baraTis Sevsebis nimuSi

კითხვის ბარათი 1: ვინც არჩევნებში მონაწილეობა არ მიიღო

ვა 1. რომელ ასაკობრივ ჯგუფს მიეკუთვნებით? (არჩევითი)

	25 წლამდე	25 - 40	40 - 60	60-ზე მეტი	პასუხს თავი აარიდა
	სახელმძღვანელო ადამიანის უფლებათა განათლების სფეროში ახალგაზრდების მონაწილეობით . ევროპის საბჭო				
makacebi	𝍸 𝍸 ||	𝍸 𝍸 ||	𝍸 𝍸 ||	𝍸 𝍸 ||	||
ebi	𝍸 𝍸 ||	𝍸 𝍸 ||	𝍸 𝍸 ||	𝍸 𝍸 ||	||

pirveli gverdi

“ახალი ამბების გავრცელება ნიშნავს მათ გამრავლებას”
ტიბეტური თქმულება

თემები მედია, გლობალიზაცია, ეკოლოგია

სირთულე დონე 3

მონაწილეთა რაოდენობა 10 - 24

ხანგრძლივობა 180 წუთი

მიმოხილვა

- ჟურნალისტების ჯგუფის მუშაობის სიმულაცია, რომელებიც გაზეთის პირველ გვერდს ამზადებენ დასაბეჭდად. პატარა ჯგუფებში მუშაობისას მონაწილეები განიხილავენ შემდეგ საკითხებს:
- მიკერძოება, სტერეოტიპების შექმნა და ობიექტურობა მედიაში
- იმიჯები და მედიის როლი ადამიანის უფლებების საკითხების გადაწყვეტაში

შესაბამისი უფლებები

- თავისუფალი აზროვნების, ფიქრისა და აზრის გამოხატვის უფლება
- პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობის უფლება
- განვითარების, სოცოცხლისა და ჯანმრთელობის უფლება

მიზნები

- იმიჯზე მუშაობის პროცესის საშუალებით ადამიანის უფლებათა საკითხებისადმი დაინტერესების სტიმულირება
- მედიის როლისა და მისი მიდგომის განხილვა ადამიანის უფლებათა საკითხებისადმი
- კომუნიკაციისა და თანამშრომლობის უნარჩვევების განვითარება

მასალა

- დიდი ოთახი 2-3 მცირე ჯგუფისა და პლენარული სხდომის მუშაობისათვის საკმარისი ადგილით.
- გაზეთებიდან ამოღებული 40 ფოტო
- პასტები და ფურცლები ჩანაწერების გასაკეთებლად
- დიდი ზომის (3) ფურცლები ან ფურცლებიანი დაფა და მარკერები
- მაკრატელი და წებო ყველა ჯგუფისათვის
- დიდი მაგიდები გაზეთებისა და მასალების სრულად გაშლისათვის



კომპასი პირველი გვერდი

სათითაოდ. ამდენად თქვენ მოგიწევთ რამოდენიმე გაზეთის ყიდვა საიდანაც ფოტოები შეარჩიეთ ან მათი გამრავლება ქსეროქსის საშუალებით.

- ფოტოების ერთი კომპლექტი გაშალეთ მაგიდაზე.

ინსტრუქციები

1. გააცანით სავარჯიშო მონაწილეებს. განმარტეთ, რომ ეს არის ერთი საღამოს ინსცენირება გაზეთის რედაქციის ცხოვრებიდან სადაც ჟურნალისტების ჯგუფი მუშაობს გაზეთის პირველი გვერდის აწყობაზე. თუმცა ეს გაზეთები ადგილობრივია და ემსახურება ადგილობრივ მოსახლეობას, თითოეულ მათგანის პოლიტიკა არის მკითხველების ინფორმირება მიმდინარე გლობალურ საკითხებზე ადამიანის უფლებების ჩათვლით.
2. დაყავით მონაწილეები 8 კაციან მცირე სამუშაო ჯგუფებად. ყველა მათგანმა უნდა წარმოიდგინოს, რომ ისინი სარედაქციო კოლეგიის წევრები არიან, რომლებიც მუშაობენ სხვადასხვა გაზეთების რედაქციებში. მათი ამოცანაა აწყონ და დააკაბადონონ ხვალინდელი დილის გამოცემის პირველი გვერდი.
3. სთხოვეთ თითოეულ ჯგუფს აირჩიოს სახელი თავის გაზეთისათვის
4. პლენარულს სხდომაზე მოკლედ შეეხეთ ტიპიური პირველი გვერდის დამახასიათებელ შტრიხებსა და დაკაბადონების წესებს.
5. აჩვენეთ მონაწილეებს მაგიდაზე გაშლილი ფოტოები. სთხოვეთ მათ ჩუმად შემოუარონ მაგიდას და არანაირი კომენტარები არ გააკეთონ ამ ეტაპზე.
6. შემდეგ დასვით სარედაქციო ჯგუფები სამუშაოდ. ყველა მათგანს დაურიგეთ ფურცლები და ფანქრები, წებო და მაკრატელი, მაგრამ ფოტოები ჯერ არა.
7. ახსენით წესები. მათ 1 საათი ეძლევათ 4 ან 5 ახალი ამბის შესარჩევად, რომელთა შესახებაც სურთ რეპორტაჟის გაეკეთება, სათაურების დასარქმევად, ფოტოების ასარჩევად და დიზაინის მოსაფიქრებლად. აუხსენით მათ, რომ დიდი სტატიების დაწერა საჭირო არაა: სათაურები და ქვესათაურები სრულიად საკმარისია. მათ აქცენტი უნდა გააკეთონ იმ ეფექტზე, რომელსაც I გვერდი ახდენს, და არა მთელი იტორიის გადმოცემაზე. ურჩიეთ მათ რომ დაიწყონ იმ თემების ან საკითხების განხილვით, რომლის ჩართვაც სურთ რეპორტაჟში. უთხარით, რომ 10 წუთში ისინი მიიღებენ ფოტოებს "ბეჭდვის განყოფილებიდან".
8. დაახლოებით 10 წუთის მუშაობის შემდეგ დაურიგეთ ჯგუფებს გაზეთებიდან შეგროვებული ფოტოების კომპლექტები.
9. როდესაც ჯგუფებს მზად ექნებათ თავიანთი პირველი გვერდები ისინი უნდა წარუდგინონ საზოგადოებას. ამის შემდეგ გადადით ანალიზზე და შეფასებაზე.

ანალიზი და შეფასება

დაიწყეთ თავად სავარჯიშოს მიმოხილვით და შემდეგ გადადით მედიის, ადამიანის უფლებების და მათი დაცვის საკითხებზე.

- როგორ გაუკეთა ჯგუფებმა ორგანიზება სამუშაოს? როგორ მიიღეს მათ გადაწყვეტილება სამუშაოს სტილის, გასაშუქებელი მასალების შესახებ? ყველას ჰქონდა მონაწილეობისა და წვლილის შეტანის საშუალება?
- როგორ აირჩიეს მოთამაშეებმა სამუშაო თემები და საკითხები? რა იყო უფრო მაპროვოცირებელი თემა თუ ფოტო? ანუ პირველად მათ საკითხი შეარჩიეს და შემდეგ იპოვეს შესაფერისი ფოტო ილუსტრაციისათვის თუ რომელიმე კონკრეტული ფოტო გახდა მათი შთაგონების წყარო და შემდეგ მასზე ააგეს ამბავი?

- რა საკითხები ან თემები იყო წარმოდგენილი? იყო რომელიმე დაკავშირებული ადამიანის უფლებებთან? იყო რაიმე ისეთი საკითხი, რომლის გაშუქებაც ვინმეს უნდოდა მაგრამ იძულებული იყო გადაეფიქრა?
- რამდენად გავს სხვადასხვა გაზეთების სხვადასხვა პირველი გვერდები ერთმანეთს? იყო ერთიდაიგივე ფოტოები და თემები გამოყენებული?
- გამოიყენეს სხვადასხვა ჯგუფებმა ერთი და იგივე გამოსახულება განსხვავებული ხედვით?
- როგორ გებულობენ ახალ ამბებს? გაზეთებიდან, ტელევიზიიდან, რადიოს თუ ინტრენეტის საშუალებით? რატომ ინტერესდებიან ან არ ინტერესდებიან ახალი ამბებით?
- ამ ინსცენირების დროს სცადეს მათ მოეხდინათ ისეთი პირველი გვერდის იმიტირება როგორც ეს რეალურ ცხოვრებაშია? თუ სურვილი ჰქონდათ სხვაგვარად გაეკეთებინათ ის? რა იყო განსხვავება?
- რა სახის ახალი ამბები ჭარბობს მედიაში, რეალურ ცხოვრებაში?
- ზოგადად რამდენად კარგად შუქდება ადამიანის უფლებათა საკითხები ახალ ამბებში?
- მედიის შესახებ მსჯელობის ერთ-ერთი უმთავრესი პუნქტი არის "ობიექტურობა". ფოქრობენ მონაწილეები, რომ ახალი ამბების ობიექტურად გადმოცემა შესაძლებელია?
- ადამიანის რომელი უფლებები იყო გაშუქებული მათ პირველ გვერდებზე?
- რა წარმოდგენა აქვთ მონაწილეებს მსოფლიოს სხვა ქვეყნების ახალგაზრდების შესახებ?
- არის რაიმე მნიშვნელოვანი თემა ფოტოების კომპლექტიდან გამოტოვებული?

რჩევები ხელმძღვანელებს

ამ სავარჯიშოსთვის ფოტოების არჩევისას ეცადეთ ფართო სპექტრის გამოსახულებები აარჩიოთ და თავი აარიდოთ სტერეოტიპებს. ახალი ამბები ხშირად გადაჭედილია ომის, მკვლელობის და სხვა უბედურებების თემებით და უფრო იშვიათად შეიცავს პოზიტიურ ინფორმაციას. (აფრიკაში უფრო მეტი ხდება ვიდრე უბრალოდ ომი და შიმშილი!) დაე თქვენს მიერ შერჩეულმა ფოტოებმა მისცეს მონაწილეებს საშუალება თანაბრად ამოკრიფონ "კარგი" და "ცუდი" ამბები. ეცადეთ წარმოადგინოთ ფართო გეოგრაფიული არეალი, გენდერული ბალანსი, ახალგაზრდების ფოტოები, და ახალგაზრდების ყოველდღიური ცხოვრებისათვის აქტუალური საკითხები, მათ მიერ ცხოვრების შეცვლის პოზიტიური შემთხვევების ჩათვლით. ჩართეთ ცხელ-ცხელი ამბები და ცნობილ პიროვნებებთან დაკავშირებული ფოტოები, ასევე მრავალკულტურულ საზოგადოებასა და გლობალურ სმაყაროში ცხოვრების ამსახველი კადრები. ქვემოთ მოყვანილი სია მოგაწვდით კონკრეტულ იდეებს (სია ემყარება გამოსახულებების ჩამოთვლას სავარჯიშოდან "ახალი ამბების ქარხანა", რომელიც მოყვანილია ქვემოთ "ვარიანტების" ნაწილში.)

ყვანი – ქალი;	პლაჟის გამყიდველი;	დემონსტრაცია ფილიპინებში;
;	აზიის ბაზრობა;	გაეროს ჯარები
რების ჯგუფი რომელიღაც	მარტოხელა ქალი;	იუგოსლავიაში;
ოფლიოს ქვეყნიდან;	ბარაკები ბრიუსელში;	საბრძოლო თვითმფრინავი;
ე მომუშავე ქალები;	გადავსებული სანაგვე ყუთი;	პარტიზანი;
ობის დახმარება ;	კონსერვის ქილების დახარისხება;	2 მკვდარი ჯარისკაცი;

აფრიკელი მაღაროელი მუშა;	შავკანიანი ბიჭი გიტარით;	მარცვლეულის ზვინები;
პესტიციდები;	როკ-ვარსკვლავი;	ქალების კრება;
ჰამბურგერის რესტორანის რეკლამა;	შტატის პოლიცია;	ოხახის დაგეგმვა;
გამომშრალი მიწა;	გრაფიტი;	შიდსის პრევენცია;
წყალში მოთამაშე ბავშვები;	პარლამენტი;	ხალხის ბრბო;
მანქანის რეცხვა;	ნარკოტიკები;	საზოგადოებრივი ტრანსპორტი;
ნავთობის წვის სცენა;	ლტოლვილთა ბანაკი;	მანქანების გამოფენა;
მწვანეთა მოძრაობა;	ბავშვები თავშესაფრის მაძიებელთა ცენტრში;	საგზაო მოძრაობის საცობი;
ქარხნის გამონაბოლქვი;	ფეხბურთელი;	ახალგაზრდა კაცი
ალკოჰოლის რეკლამა;	"საერთაშორისო ამნისტიის" აქცია;	მიკროფონით ხელში;
კოკა-კოლას რეკლამა;		მობილური ტელეფონი;

სავარჯიშოს გაცნობის და ტიპიური პირველი გვერდის შრტიხებისა და დაკაბადონების შესახებ საუბრის დროს მონაწილეების ყურადღება უნდა მიაქციოთ როგორი ფონტით ეწყობა სათაურები მკითხველის ყურადღების მისაპყრობად და როგორ ხდება შემდეგ ამბის მოწოდება. თავიდან რამოდენიმე პატარა სვეტში კეთდება ლიდი (ამბის მოკლე რეზიუმე) და შემდეგ მოდის სრული ტექსტი ჩვეულებრივი პატარა შრიფტით. იმსჯელეთ, როგორ გამოიყენება ფოტოები გადმოცემული ამბის გამყარებისა და მკითხველის მიზიდვისათვის. ასევე მიუთითეთ რას გადმოსცემს სურათი! ისაუბრეთ, თუ როგორ არის სურათი დამონტაჟებული ფოტოგრაფის ან სურათის რედაქტორის მიერ, რათა მკითხველმა თვალი მიაპყროს იმას, რისი ჩვენებაც მათ ამ ფოტოთი სურდათ. ასევე მიუთითეთ როგორ კეთდება მინაწერები ფოტოზე.

ვარიანტები

ამ სავარჯიშოს გაცნობის კიდევ ერთი ალტერნატიული გზა არის რადიო ან სატელევიზიო პროგრამის წარმოდგენა. თუ სატელევიზიო გადაცემაზე მუშაობას აირჩვთ რეკომენდირებულია სლაიდების ჩვენება (დიაპოზიტივები) ჩაბნელებულ ოთახში რათა შექმნათ ტელევიზორის ყურების "შთაბეჭდილება". არსებობს ამ სავარჯიშოსთვის სპეციალურად მომზადებული სლაიდების კომპლექტი, რომლის გამოტანაც შეიძლება "კულტურათაშორისი სწავლების ევროპული ფედერაციის" არქივიდან.

წინადადებები გაგრძელებისათვის

განიხილეთ ჯგუფების მიერ ახალი ამბებისათვის შერჩეული უფლებების სხვადასხვა ასპექტები. მაგ. როგორი მიდგომა არსებობს მათ მიმართ თქვენ ქვეყნებში?

მონაწილეებს შეუძლიათ დაუკავშირდნენ ადგილობრივ გაზეთებს ან ტელე და რადიო სადგურებს და გაესაუბრონ ჟურნალისტებს მათი მუშაობის და ჟურნალისტური ობიექტურობის შესახებ, ასევე ესაუბრონ გლობალური და ადამიანის უფლებათა საკითხების გაშუქების გზებზე.

ღირშესა
თარიღი

3 მაისი
პრესის თა
საერთაშორ

თუ ჯგუფს მოეწონა სავარჯიშო, რომელიც მოითხოვდა სწრაფი აზროვნების უნარს, მათ შეუძლიათ ასევე შეასრულონ "ერთი წუთით!" (გვ. 180), რომელიც შეეხება სპორტისა და ადამიანის უფლებათა საკითხების ურთიერთდამოკიდებულებას.

იდეები მოქმედებისათვის

ბევრი ადგილობრივი რადიო სადგურები უთმობენ ეთერს საზოგადოებრივ ჯგუფებს საკუთარი გადაცემის გასაკეთებლად. დაამუშავეთ ჯგუფის პროექტი და შექმენით რადიოგადაცემა მათთვის საინტერესო საკითხების შესახებ მაგ. სათაურით "იფიქრე გლობალურად, იმოქმედე ლოკალურად".

დამატებითი ინფორმაცია

ზოგიერთი საწყისი წერტილი სავარჯიშოში განხილულ საკითხებზე მსჯელობისათვის:

ა) მედია

1. ახალგაზრდები, ისევე როგორც უფროსები მუდმივად ექცევიან სხვადასხვა მედია ორგანიზაციების არხებით მოწოდებული ინფორმაციის ნაკადის გავლენის ქვეშ. შეგვიძლია ვკითხოთ საკუთარ თავს: რაში ვიყენებთ ამ ინფორმაციას? ნიშნავს ეს, რომ ჩვენ ყველა უკეთესად ინფორმირებულები ვართ?
2. მედია დღითიდღე უფრო კომერციული ხდება და აზრის გამარტივება, სტერეოტიპების შექმნა და სენსაციებზე ნადირობა შემაშფოთებელ სახეს იღებს. ხარისხიანი ახალი ამბების მიღება თანდათან რთულდება.
3. ხარისხიანი ახალი ამბების მიღების პრობლემა ყველაზე მწვავედ ეხება უთანასწორობის საკითხების ასახვას, განსაკუთრებით როდესაც განვითარებად ქვეყნებზეა ლაპარაკი. არა-დასავლური ახალი ამბები ხშირად დანახული და მოწოდებულია მხოლოდ დასავლური თვალით, რის შედეგადაც ინფორმაცია ხშირად არის ნეგატიური და დამთრგუნველი.

ბ) ადამიანის უფლებათა საკითხები

ადამიანის უფლებათა საკითხების შესახებ საზოგადოების ინფორმირებისათვის მედიის უდიდესი მნიშვნელობა ცალსახაა. მაგრამ ჩვენ ყურადღება უნდა მივაქციოთ როგორ ხდება საკითხის დასმა და რა მოტივაცია დგას მის უკან. ყველამ კრიტიკულად უნდა შეხედოს რა მოგვეწოდება და რა არ მოგვეწოდება მედიის საშუალებით და რა კუთხით ხდება ინფორმაციის და ფაქტების გადმოცემა. მაგ. სხვადასხვა გაზეთებში სხვადასხვა პოლიტიკურო მოსაზრებებიდან გამომდინარე ომში მებრძოლები შეიძლება აღწერილ იქნან თავისუფლებისათვის მებრძოლებად ან ტერორისტებად. განსხვავებული კულტურის ხალხები შეიძლება ასახული იქნან არაობიექტურად. მაგ. ინუიტები შეიძლება წარმოდგენილი იყვნენ როგორც ეგზოტიკური, მამაცი ხალხი, რომლებიც იბრძვიან თავის ტრადიციების – "იგლუში" ცხოვრების – შენარჩუნებისათვის, მაგრამ როდესაც საუბარი შეეხება ვეშაპებზე ნადირობას, მათ უკვე "მკვლელებად" მოიხსენიებენ.

გ) საქმისადმი ერთგულება

ინსცენირებისათვის შეკრებილ ზოგიერთ ფოტოს შეუძლია ასახოს შესაძლებლობები, რომლებიც ხალხს, განსაკუთრებით კი ახალგაზრდებს ეძლევათ

რეალური საქმისადმი თავდადების გამოსაჩენად. ჩვენი, როგორც მასწავლებლების, ახალგაზრდული მუშაკების და ა.შ. სურვილია მოვახდინოთ ახალგაზრდების მოტივირება უკეთესი მსოფლიოს შესაქმნელად. ჩვენ საკუთარ თავს ვეკითხებით: რა არის საუკეთესო გზა ახალგაზრდების წასახალისებლად და მათ საქმეში ჩასართავად, შეიძლება დავსვათ კითხვა, არის თუ არა არსებული შესაძლებლობები მართლაც მიმზიდველი მათთვის. ზოგიერთი მინიშნება პასუხებზე შესაძლოა ვიპოვოთ სლაიდებზე, რომლებსაც მონაწილეები აირჩევენ.



profkavSirebis Sexvedrebi

კარგი დღიური მუშაობა კარგ დღიურ ანაზღაურებას იმსახურებს.

თემები	სოციალური უფლებები, დემოკრატია, მოქალაქეობა
სირთულე	დონე 4
მონაწილეთა რაოდენობა	10 – 15
ხანგრძლივობა	120 წუთი
მიმოხილვა	დამსაქმებლებისა და თანამშრომლების შეხვედრის ინსცენირება პროფკავშირების წარმომადგენლების თანდასწრებით, ხელფასებზე და სამუშაო პირობებზე მოლაპარაკების მიზნით. განხილული საკითხები მოიცავს: ▪ პროფკავშირების როლი ▪ კოლექტიური სამსახურებრივი შეთანხმება ▪ მუშაკთა უფლებები
შესაბამისი უფლებები	▪ კოლექტიური მოლაპარაკებების უფლება ▪ ასოციაციის და კავშირის, კონკრეტულად პროფკავშირების შექმნისა და მასში გაწევრიანების უფლება ▪ სამსახურიდან უსამართლოდ განთავისუფლებისაგან დაცვის უფლება
მიზნები	▪ პროფკავშირების როლის გააზრება ▪ კონსენუსის გზით გადაწყვეტილებების მიღების უნარჩვევების განვითარება ▪ საზოგადოებრივ ცხოვრებაში აქტიური მონაწილეობისათვის ხელშეწყობა, პასუხისმგებლობის და სოლიდარობის გრძნობის განვითარება
მასალა	▪ I დასარიგებელი მასალის ასლები „სიტუაცია“, თითო ერთ მონაწილეზე ▪ II დასარიგებელი მასალის ასლები „ლეიბორისტული ტერმინოლოგიის მოკლე განმარტებითი ლექსიკონი“, თითო ერთ მონაწილეზე ▪ საიდენტიფიკაციო ბაჯები (არჩევითი) ▪ ფურცლები, ფერადი მარკერები და პასტები (არჩევითი) ▪ ორი ოთახი (სასურველი მაგრამ არჩევითი)

კომპასი — პროფკავშირების შეხვედრები

მომზადება	გადაიკითხეთ სავარჯიშო დასარიგებელი მასალის ჩათვლით რათა სავარჯიშოს მიმდინარეობის პროცესში მზად იყოთ ნებისმიერი მონაწილისათვის დახმარების გასაწევად. ▪ მოაწყვეთ ოთახი. წრეში დადგით 6 სკამი მოლაპარაკებაში მონაწილე მხარეების წარმომადგენლებისათვის და შეხვედრის

თავმჯდომარისათვის. მათ უკან დადგით დამატებით სკამები დანარჩენი მონაწილეებისათვის.

ინსტრუქციები

1. წარადგინეთ სავარჯიშო. განმარტეთ, რომ ეს არის ერთის მხრივ დამქირავებლების და მეორეს მხრივ თანამშრომლების და პროფკავშირების წარმომადგენლების შეხვედრის სიმულაცია. მისი მიზანია მომსახურეთა ხელფასების და სამუშაო პირობების შესახებ შეთანხმების მიღწევა კოლექტიური მოლაპარაკების გზით.
2. მოთელვისათვის სთხოვეთ ჯგუფს მოიფიქროს სცენაზე წარსადგენი კომპანიის სახელი და მოღვაწეობის სფერო. ეს შეიძლება იყოს რეალურად არსებული ან გამოგონებული კომპანია, რომელიც აწარმოებს რეალურ ან გამოგონებულ პროდუქციას. ასევე კარგი იქნება დაარქვან სახელი პროფკავშირებსაც.
3. ახლა დაყავით მონაწილეები 2 ჯგუფად 2:1 შეფარდებით. უფრო მცირე ზომის ჯგუფი არის დამსაქმებელთა ჯგუფი, ხოლო უფრო დიდი ჯგუფი თანამშრომლები და მათი პროფკავშირების წარმომადგენლები.
4. გაანაწილეთ I დასარიგებელი მასალის ასლები ”სიტუაცია” და II დასარიგებელი მასალის ასლები ”ლეიბორისტული ტერმინოლოგიის მოკლე განმარტებითი ლექსიკონი”. მიეცით მონაწილეებს 10 წუთი მასალის გასაცნობად და შემდეგ გადაამოწმეთ, რომ ყველამ გაიგო მიწოდებული ინფორმაცია.
5. მოკლედ ჩამოაყალიბეთ როგორ უნდა წარიმართოს ინსცენირება:. დამსაქმებლებმა, რომლებიც კრების მოწვევის ინიციატორები არიან, პირველებმა უნდა ჩამოაყალიბონ თავიანთი წინადადებები შემდეგ კი პროფკავშირები და თანამშრომლების წარმომადგენლები გამოთქვამენ თავიანთ მოსაზრებებს. ამის შემდეგ ყველა მხარე ჩაერთვება მოლაპარაკებაში შეთანხმების მიღწევის მიზნით.
6. სთხოვეთ მონაწილეებს შეათანხმონ შეხვედრის პროცედურები მაგ, მოლაპარაკებების მიმდინარეობის პროცესში უნდა იყოს თუ არა სიტყვით გამოსვლის ლიმიტი თითოეული მონაწილისათვის – მაქსიმუმ 2 წუთი? რამდენ ხანს უნდა გაგრძელდეს შეხვედრა მთლიანობაში? საჭიროა თუ არა მოკლე შესვენებების გამოცხადების პროცედურა რათა წარმომადგენლებს შეეძლოთ თავიანთ წარმგზავნელებთან კონსულტირება და ა.შ. კიდევ ვის აქვს გამოსვლის უფლება? თუ ეს მხოლოდ წარმომადგენლებს შეუძლიათ?
7. ახლა სთხოვეთ მონაწილეებს დაბრუნდნენ თავიანთ 2 ჯგუფში მომზადებისათვის (30 წუთი). დამსაქმებლებმა უნდა აირჩიონ 2 წარმომადგენელი და სხდომის ხელმძღვანელი. მუშაკებმა და პროფკავშირების წარმომადგენლებმა უნდა აირჩიონ 2 წარმომადგენელი. ამის შემდეგ ორივე ჯგუფმა უნდა:
   - შეიმუშაოს ახალი წინადადებები შეხვედრაზე წარსადგენად
   - განსაზღვროს თავიანთი უფლებამოსილება მოლაპარაკების პროცესში.
   - შეთანხმდნენ პირობებზე ანუ ყველაზე ცუდ, ნაკლებად მისაღებ ვარიანტზე, რომელსაც უკიდურეს შემთხვევაში
8. როდესაც ჯგუფები მზად იქნებიან მოიწვიეთ მონაწილეები დასხდნენ 5 სკამზე შიდა წრეში, დანარჩენები კი მათ გარშემო. სთხოვეთ თავმჯდომარეს გახსნას სხდომა.

9. როდესაც შეხვედრა დასრულდება გამოაცხადეთ მოკლე შესვენება როლიდან გამოსასვლელად და შემდეგ გადადით ანალიზსა და შეფასებაზე.

ანალიზი და შეფასება

დაიწყეთ მოკლე მიმოხილვით თუ როგორ მოეწონათ მონაწილეებს სავარჯიშო და შემდეგ იმსჯელეთ რა მოხდა და რა შეიტყვეს მათ:

- როგორ ითანამშრომლა 2-მა ჯგუფმა თავიანთი საწყისი წინადადებების მოსამზადებლად? ძნელი იყო თუ ადვილი?
- თავიანთი წინადადებების პირვანდელ ვარიანტზე მუშაობის დროს ჯგუფებმა მხოლოდ თავიანთი პირადი ინტერესები გაითვალისწინეს თუ მთლიანად კომპანიის?
- შეიმუშავეს ჯგუფებმა მოლაპარაკების ტაქტიკა?
- როგორ წარიმართა სხდომა? მიეცა ყველა მსურველს აზრის გამოთქმის საშუალება?
- შეძლეს მხარეებმა მისულიყვნენ ურთიერთმისაღებ გადაწყვეტილებამდე?
- პროფკავშირების წევრობა არის ადამიანის აღიარებული უფლება. რამდენად მნიშვნელოვანია ეს უფლება? როგორი იქნებოდა ამ უფლების არქონის შედეგები?
- რა იციან მონაწილეებმა პროფკავშირების შესახებ, რას წარმოადგენს ის და რა საქმიანობას ეწევა?
- რამდენად ძლიერია პროფკავშირები თქვენ ქვეყანაში? და რაც შეეხება დამსაქმებლებს, არსებობს თუ არა მათი ორგანიზაციებიც?
- მიეკუთვნება მონაწილეთაგან ვინმე პროფკავშირებს? რატომ? რა არის ამის დადებითი და უარყოფითი მხარეები?

რჩევები ხელმძღვანელებს

ამ სავარჯიშოს დაწყებამდე მხედველობაში უნდა მიიღოთ საზოგადოების აზრი და თქვენ ქვეყანაში არსებული ზოგადი დამოკიდებულებები პროფკავშირების მიმართ. მაგ. პოსტ-კომუნისტურ საზოგადოებებში ამ საქმიანობის მიმართ შეიძლება არსებობდეს წარსული დროებიდან მემკვიდრულად გადმოყოლილი გარკვეული წინააღმდეგობა, რადგანაც პროფკავშირები განიხილებოდა როგორც ”კომუნიზმის სკოლა”. ამ შემთხვევაში შეიძლება უკეთესი იყოს სავარჯიშოს დაწყება იმ იმიჯისა და სტერეოტიპების განხილვით, რომელიც მონაწილეებს გააჩნიათ პროფკავშირების მიმართ. ასევე შეგიძლიათ სთხოვოთ მონაწილეებს დაუკავშირდნენ ადგილობრივ პროფკავშირებს ინფორმაციისათვის და მოიკვლიონ შრომასთან დაკავშირებული საკითხები მათ ქვეყანაში. ასევე შეიძლება მიუთითოთ პროფკავშირების მნიშვნელობაზე და აქტუალობაზე მომსახურეთა უფლებების დაცვის საკითხში მიუხედავად მასთან ასოცირებული ნებისმიერი პოლიტიკური სისტემისა.

ჯგუფის შემადგენლობიდან გამომდინარე შესაძლოა დაგჭირდეთ მათთვის დამატებითი რეკომენდაციების მიცემა კოლექტიური მოლაპარაკების საკითხთან დაკავშირებით. შესაძლოა მოისურვოთ მონაწილეებისათვის რამოდენიმე რჩევის მიცემა იმის შესახებ თუ რა უნდა გაითვალისწინონ მათ თავიანთი პოზიციებისა და წინადადებების ჩამოყალიბების დროს, მაგ. :

- იქნებოდნენ თანამშრომლები თანახმა უარი ეთქვათ ხელფასის მომატების მოთხოვნაზე ყველა მომსახურისათვის სამსახურის შენარჩუნების სანაცვლოდ?

ასანიშნავი თარიღი

1 მაისი
მშრომელთა
ალიდარობის
ორისო დღე

- მშრომელთა რომელი კატეგორიის განთავისუფლება იქნებოდა მისაღები თუ შტატების შემცირება გარდაუვალია?
- არის შემოთავაზებული წინადადებები რეალისტური? შეუძლია კომპანიას გაუძლოს ეკონომიკურ ტვირთს?

საურველია შეხვედრები და მოლაპარაკებები წარიმართოს თავის გზით! თუ დისკუსიის განმავლობაში მშრომელები და პროფკავშირები გადაწყვეტენ მიაღწიონ თავიანთ მიზანს გაფიცვებით შეგიძლიათ მოამარაგოთ ისინი ფურცლებით და პასტებით პიკეტებზე გამოსატანი პლაკატების მოსამზადებალად. თუ დამქირავებლები მომსახურეებს არ დართავენ საწარმოში შესვლის ნებას ანუ მოაწყობენ ლოქაუთს, მათთვის მზად უნდა გქონდეთ მეორე ოთახი.

ევროპის ქვეყნების უმრავლესობას აქვს კოლექტიური მოლაპარაკებების მარეგულირებელი კანონები. თქვენ შესაძლოა მოისურვოთ ამგვარი კანონმდებლობების მოძიება და ზოგიერთი მნიშვნელოვანი მუხლების ასლების გაკეთება, რათა მონაწილეებს დაეხმაროთ სრული მასშტაბით მოახდინონ ამ სავარჯიშოს რეალიზაცია.

ვარიანტები

მოლაპარაკებების კიდევ ერთი მაგალითი, რომელიც მოითხოვს მოლაპარაკებას მონაწილეთა უფლებებთან დაკავშირებით, შეიძლება

იყოს სკოლის კრება მოწვეული ”პრობლემატური” სტუდენტის საკითხის გადასაწყვეტად. შეხვედრა შეიძლება შედგეს ერთი მხრივ სტუდენტსა და მის მშობლებს და მეორეს მხრივ კლასის ხელმძღვანელს/დამრიგებელს, სკოლის ადმინისტრაციის წარმომადგენლებს და მშობელთა კომიტეტს შორის.

წინადადებები გაგრძელებისათვის

მოიწვიეთ პროფკავშირების წარმომადგენელი ჯგუფთან სასაუბროდ. პროფკავშირების ტელეფონის ნომრები მითითებული იქნება ადგილობრივ სატელეფონო ცნობარებში. ზოგადად პროფკავშირები მონდომებული არიან დაუახლოვდნენ ახალგაზრდებს და ეს კარგი შესაძლებლობა იქნება თქვენთვის!

თუ ჯგუფს მოეწონება აღნიშნულ იდეებზე მსჯელობა მათ შეიძლება სიამოვნებით შეასრულონ სავარჯიშო ”სად დგახარ?”, რომელშიც მონაწილეებმა უნდა დაიცვან თავიანთი პოზიციები ადამიანის საკითხების მთელი სპექტრის გარშემო.

მოქმედებაზე გადასვლა

ადგილობრივ პროფკავშირებთან ერთად შეიმუშავეთ პროექტი ახალგაზრდებში პროფკავშირული მოძრაობის განვითარების მიზნით.

დამატებითი ინფორმაცია

ახალგაზრდებისა და პროფკავშირების წევრობის შესახებ ინფორმაცია მოცემულია სოციალური უფლებების ბაზისური ინფორმაციის ნაწილში 486 გვ-ზე.

შენიშვნა: ეს სავარჯიშო შეიქმნა დიდი ბრიტანეთის პროფკავშირებთან GMO, ევროპის პროფკავშირების კოლეჯთან (ETUCO) და ახალი ტექნოლოგიების გავლენის სფეროში მშრომელთა ტრეინინგის ევროპულ ასოციაციასთან (AFETT) თანამშრომლობის საფუძველზე

gebeli masala

ცია

შრომითი ტერმინების მოკლე განმარტებითი ლექსიკონი

ვითარდება სხდომაზე დამსაქმებლების, თანამშრომლების, და შირების მონაწილეობით. მათი მცდელობა შეთანხმებას მიაღწიონ

კოლექტიური მოლაპარაკება: მოლაპარაკების პროცესი, რომელშიც მომსახურეების

ხელფასის მომატებასთან დაკავშირებით ჩიხშია შესული.

ქარხანა მუშაობს 24 საათი, წელიწადში 365 დღე. მისი სამუშაო ძალის რაოდენობა მთლიანობაში თანამშრომლებიდან დაწყებული ხელმძღვანელობით დამთავრებული 1 000 –ია.

ყველა მშრომელი პროფკავშირების წევრები არიან.

კომპანია ამჟამად ფინანსურ და ეკონომიკურ სიძნელებეს განიცდის, თუმცა გაბანკროტების საფრთხის წინაშე არ დგას. მოგება ყოველთვის მაღალი იყო, მაგრამ მან კლება იწყო გასულ წელს, მას შემდეგ რაც მთლიანად ამ სექტორში აღინიშნა დაღმასვლა. გასული სამი წლის განმავლობაში სუფთა ხელფასებმა მოიკლო 3 %-ით ხოლო პერსონალი შემცირდა 10 %-ით.

მუშები მოითხოვენ ხელფასის ზრდას ინდუსტრიის სხვა სფეროებში მატების ანალოგიურად.

თავის მხრივ ხელმძღვანელობა აცხადებს, რომ ხელფასების ზრდა შტატების შემცირებას გამოიწვევს. ის თანამშრომლებს და პროფკავშირებს შემდეგი ვარიანტის განხილვას სთავაზობს:

- ერთი წლის განმავლობაში ხელფასების გაზრდა 4%-ით ინდივიდუალური კონტრაქტების მიხედვით (წლიური ინფლაცია ამჟამად შეადგენს 2%-ს).
- გადახდა საათობრივი გამომუშავების საფუძველზე და არა დღეობრივ ან კვირეულ გამოთვლებზე დაყრდნობით და სამუშაო დროის გადაჭარბებით მუშაობის გაუქმება.
- შტატების შემცირება (პერსონალის 10% ით შემცირება ძირითადად სტაჟიორების, ნახევარ განაკვეთზე და დროებით შტატზე დაკავებული თანამსრომლების ხარჯზე, შემდეგი პრინციპით: ”ვინც ბოლო შემოდის, პირველი გადის”), სამსახურის ნებაყოფლობით დატოვება.

ხელმძღვანელთა შემოთავაზება უარყოფილ იქნა მუშაკთა გენერალური ასამბლეის მიერ, რომლებიც შეშფოთებული იყვნენ, რომ ეს შემოთავაზება კიდევ უფრო გააუარესებდა მათ მდგომარეობას (ამ მომენტისათვის მომსახურეთა 40% -ის ხელფასის ძირითადი ნაწილი დამატებითი სამუშაოს ანაზღაურებისაგან შედგება). პროფკავშირებმა და მომსახურეებმა კონტრწინადადება შესთავაზეს:

- ხელფასების 9%-ით გაზრდა 2 წლის განმავლობაში
- პრემიები და დამატებითი სამუშაოს ანაზღაურება დარჩეს უცვლელად
- შტატების რაოდენობის შენარჩუნება და ნებისმიერი იძულებით განთავისუფლებული თანამშრომლის გადამზადების ხარჯების ანაზღაურება.
- მოთხოვნების დაუკმაყოფილებლობის შემთხვევაში მოეწყობა გაფიცვები.

კონტრწინადადება უარყოფილ იქნა ხელმძღვანელობის მიერ, რომლებიც ამტკიცებდნენ, რომ პროფკავშირებისა და მომსახურეების წინადადებები ვერ გადაჭრიდა პრობლემას, რომლის წინაშეც იდგა კომპანია.

მოლაპარაკებები უკვე 2 თვეა გრძელდება.

ამჟამინდელი შეხვედრა მოეწყო კომპანიის პლიტიკის საფუძველზე, რომლის მიხდვითაც თუ შეთანხმების მიღწევა ვერ ხერხდება 2 თვის პერიოდში უნდა მოხდეს სპეციალური კრების მოწვევა ყველა მხარის მონაწილეობით. ზუსტად ასეთი შეხვედრაა ამ ინსცენირების საფუძველი. 2-ვე მხარეს მოეთხოვება შეიმუშაონ ახალი წინადადებები, რომელიც რეალისტური საფუძველი იქნება ურთიერთდამაკმაყოფილებელი შეთანხმების მისაღწევად.

სულ მოლაპარაკების მაგიდასთან უნდა ისხდეს 7 ადამიანი: 2 ხელმძღვანელობის წარმომადგენელი, 1 (მომსახურეების მიერ დანიშნული) სხდომის თავმჯდომარე, და 4 პროფკავშირების წარმომადგენელი. რამდენადაც ეს არის სპეციალური ღია გენერალური სხდომა ყველა მომსახურეს შეუძლია დასწრება.

წარმომადგენლები და დამსაქმებლები კოლექტიურად ეძებენ ისეთი საკითხების შეთანხმების და გადაწყვეტის გზებს, როგორიცაა ხელფასი და სამუშაო პირობები.

ლოქაუთი: ლოქაუთი არის დამქირავებლის ძალაუფლების გამოყენების ერთ-ერთი ყველაზე რადიკალური საშუალება. ის უარს ეუბნება მომსახურეებს სამუშაო ადგილებზე დაშვებაზე, ე.ი. ის პირადპირი მნიშვნელობით უკეტავს მათ შესასვლელ კარს, რათა აიძულოს ისინი მიიღონ ადმინისტრაციის მოთხოვნები.

შემცირება: მომსახურეების შემცირება ნიშნავს მათ გათავისუფლებას სამსახურიდან რადგანაც დამსაქმებელი ღებულობს გადაწყვეტილებას, რომ დახუროს საწარმო. მომსახურეებს უფლება აქვთ მოითხოვონ შემცირების საკომპენსაციო თანხა.

განთავისუფლების დახმარება: თუ სრულ შტატზე მომუშავე თანამშრომელი განთავისუფლებულია უსამართლოდ ან კომპანიის რესტრუქტურიზაციის საფუძველზე, მას აქვს უფლება მიიღოს კომპენსაცია რასაც განთავისუფლების დახმარება ეწოდება. ამ თანხის რაოდენობა გამოითვლება მომსახურის ხელფასზე დაყრდნობით მაგ. 1 კვირის ხელფასი გამრავლებული მუშაობის ყოველ წელზე.

გაფიცვა: გაფიცვის უფლება არის ადამიანის ძირითადი სოციალური უფლება, რომელიც განიხილება როგორც აუცილებელი ელემენტი წარმატებული კოლექტიური მოლაპარაკებისათვის და როგორც დამსაქმებელი-დაქირავებულის უთანასწორო ურთიერთობის შემსუბუქების ინსტრუმენტი. გაფიცვა არის მუშაობაზე უარის თქმა ან სამუშაო პროცესის ჩაშლა მომსახურეების მიერ. მაგრამ მომსახურეებს არ აქვთ უფლება გაიფიცონ როცა მოესურვებათ! გაფიცვის გამოცხადებისთვის უნდა შესრულდეს კანონმდებლობით გათვალისწინებული გარკვეული პირობები, რომლებიც სხვადასხვა ქვეყნებში სხვადასხვაგვარია.

პროფკავშირები: პროფკავშირები არის ასოციაცია, რომელიც არსებობს მომსახურეების უფლებების დასაცავად, ხელფასისა და სამუშაო პირობების ჩათვლით. პროფკავშირები ძირითადად წარმოადგენს მომსახურეების ინტერესებს დამსაქმებლებთან მოლაპარაკებების დროს. ბევრ ქვეყანაში პროფკავშირები გაერთიანებულია კონფედერაციების სახით.



rasizmis mogerieba

სკოლაში ყველა წევრს ეკისრება პასუხისმგებლობა რასისტული აგრესიის ძალადობისგან და რასისტული ინციდენტების წინააღმდეგ ბრძოლაზე.

თემები	განათლება, დისკრიმინაცია და ქსენოფობია, ადამიანის ზოგადი უფლებები.
სირთულე	დონე 3
მონაწილეთა რაოდენობა	4 – 50
ხანგრძლივობა	120 წუთი
მიმოხილვა	სავარჯიშოში გამოყენებულია როლების გათამაშება და განხილულია კრიტიკული შემთხვევები, რათა მოახდეს მონაწილეთა პროვოცირება ცოდნის დემონსტრირების, კულტურული განსხვავებების გამოვლენის მიზნით. ტარდება დისკუსია და იწერება კოლექტიური მიმართვები თემებზე: ▪ პიროვნული კულტურული ჩარჩოებიდან გამოსვლის სირთულეები ▪ რასიზმი, სტერეოტიპები და კულტურული განსხვავებები. როგორ ვებრძოლოთ რასიზმს სკოლებში ან სხვა საგანმანათლებლო ინსტიტუტებში. ღირსებისა და უფლების თანასწორობა ▪ დისკრიმინაციისაგან დაცვის უფლება ▪ ფიქრის, სინდისისა და რელიგიური აღმსარებლობის თავისუფლება. დაინტერესება პრობლემით – „ადამიანის უფლებები და რასიზმი“
შესაბამისი უფლებები	▪ დემოკრატიული აქტივობის, კომუნიკაციისა და თანამშრომლობის უნარჩვევების განვითარება ▪ პასუხისმგებლობის, სამართლიანობისა და სოლიდარობის გრძნობის დამკვიდრება
მიზნები	დიდი ფურცლები ან დაფის ფურცლები და მარკერები ▪ 4 მოხალისე როლური გათამაშების წარმოსადგენად ▪ ბარათი როლი სერიოზული ინციდენტის და ხლემძღვანელისათვის განსაზღვრული მითითებების აღწერით, დასარიგებელი მასალა 1 ▪ პოლიტიკა და რეკომენდაციები სკოლისათვის (ან ორგანიზაციისათვის) რასისტულ ინციდენტებთან დაკავშირებით.
მასალა	▪ დასარიგებელი მასალა 2–ის ასლები, „ზოგიერთი პრაქტიკული შენიშვნები განხილვისათვის“, ჩამოწერეთ ეს შენიშვნები დიდი ზომის ფურცელზე ან აჩვენეთ ეკრანზე (არჩევითი). მიმოიხილეთ დასარიგებელი მასალა 1-ში წარმოდგენილი კრიტიკული ინციდენტი და თუ საჭიროა მიუსადაგეთ ის თქვენ კონკრეტულ სიტუაციას.
მომზადება	▪ აირჩიეთ 4 მოხალისე და სთხოვეთ მათ მოემზადონ კრიტიკულ ინციდენტზე დაფუძნებული ძალიან მოკლე როლური გათამაშებისათვის.

ინსტრუქციები:

ეს სავარჯიშო მიმდინარეობს 2 ნაწილად: ნაწილი 1, მიმოხილვა: რას გულისხმობს ტერმინი ”რასიზმი”?, ნაწილი II, სკოლებში (კლუბებში ან

ორგანიზაციებში) რასისტული ინციდენტების წინააღმდეგ მიმართული პოლიტიკის შემუშავება.

ნაწილი I. მიმოხილვა: რას გულისხმობს ტერმინი „რასიზმი“?

1. დაიწყეთ სავარჯიშო რასიზმის შესახებ ფიქრით. შესაძლოა გამოიწვიოთ მონაწილეები მოახდინონ რასიზმზე რეაგირება რასისტული ანეკდოტების მოყოლით და რასიზმის შესახებ მათი აზრის გამოკითხვით. ჩამოწერეთ მათი პასუხები დიდი ზომის ფურცელზე ან დაფაზე.
2. რასისტული ინციდენტები და პოტენციური კულტურათაშორისი გაუგებრობები ხდება ყოველდღიურად. იმსჯელეთ თუ რა სახის ყოველდღიურ ინციდენტებს და ქცევას გამოყოფენ მონაწილეები როგორც რასისტულს.
3. ახლა იმუშავეთ კონკრეტულ კრიტიკულ ინციდენტზე. დაარიგეთ პასტები და ფურცლები. სთხოვეთ მონაწილეებს ყურადღებით ადევნონ თვალყური როლურ გათამაშებას და ყოველი შესვენების დროს ჩამოწერონ რამოდენიმე სიტყვა-გასაღები, რომელიც შეაჯამებს მათ პასუხებს. მოუწოდეთ მოხალისეებს გაითამაშონ როლები.
4. გააკეთეთ მონაწილეების კომენტარების მოკლე ანალიზი:
   - რა დაწერეს მონაწილეებმა პირველი შესვენების დროს? რამ მიიყვანა მონაწილეები ამ დასკვნამდე?
   - რა დაწერეს მონაწილეებმა მეორე შესვენებაზე? რამ მიიყვანა მონაწილეები ამ დასკვნამდე?
   - რა გააცნობიერეს მონაწილეებმა საბოლოოდ? და რის საფუძველზე?

ღირსესანიშნავი თარიღი

21 მარტი
რასობრივი დისკრიმინაციის ლიკვიდაციისათვის ბრძოლის საერთაშორისო დღე

ნაწილი II. სკოლებში (ან კლუბებში ან ორგანიზაციებში) რასისტული ინციდენტების წინააღმდეგ მიმართული პოლიტიკის შემუშავება.

1. გააცანით მონაწილეებს შემდეგი ამოცანა – სკოლების კლუბების ან ორგანიზაციებისათვის რასისტული ინციდენტების წინააღმდეგ მიმართული პოლიტიკის შემუშავება.
2. მოაწყვეთ მოკლე მსჯელობა მათ სკოლებში ან კლუბებში სხვადასხვა „მოქმედი პირების“ შემადგენლობის განსაზღვრის მიზნით. მაგ. სკოლის შემთხვევაში ესენი იქნებიან: მოსწავლეები/სტუდენტები, მასწავლებლები, კლასის დამრიგებლები, დირექტორი, ტექნიკური პერსონალი, ლაბორანტები, ბიბლიოთეკარები, სასკოლო ავტობუსების მძღოლები, დაცვა და ა.შ.
3. შემდეგ სთხოვეთ მონაწილეებს დაიყონ მცირე 4-5 წევრიან ჯგუფებად და განიხილონ ჩამოთვლილი კატეგორიების მოვალეობები და პასუხისმგებლობი რასისტულ ინციდენტებთან მიმართებაში. მიზანი არის მიმართულებების შემუშავება როგორ უნდა დაუპირისპირდნენ ეს ადამიანები ამგვარ ინციდენტებს. მიეცით ჯგუფს 30 წუთი დისკუსიისა და დაფაზე ძირითადი პუნქტების ჩამოწერისათვის.
4. სთხოვეთ მონაწილეებს შეიკრიბონ პლენარულ სხდომაზე მათ მიერ შესრულებული სამუშაოს მოსახსენებლად. ხელმძღვანელმა უნდა შეაჯამოს პუნქტები და სთხოვოს მონაწილეებს შეადარონ ისინი იმ პოლიტიკას ან მიმართულებებს, რომლებიც უკვე არსებობს მათ სკოლებში.
5. ახლა მოუწოდეთ ჯგუფს გააგრძელოს მუშაობა ერთი ასპექტის (ნაბიჯის ან ზომის) შემუშავებისათვის. მაგ. თუ საჭიროა სკოლის ზოგადი განცხადება რასიზმის და დისკრიმინაციის შესახებ დაავალეთ ამის დაწერა ერთ ჯგუფს. ჯგუფებმა ასევე უნდა იმსჯელონ მათი შედეგების

პლენარულ სხდომაზე წარმოდგენის გზებზე, მაგ. არა მხოლოდ წერილობითი განცხადებების, არამედ ვიზუალური გამოსახულებების, კოლაჟების და სკულპტურების გამოყენებაზეც თავიანთი გრძნობების უკეთ გადმოსაცემად.

6. პლენარულ სხდომაზე სთხოვეთ ჯგუფებს წარმოადგინონ თავიანთი შედეგები და იმსჯელონ თავიანთი იდეების განხორციელების გზებზე.

ანალიზი და შეფასება

დაიწყეთ თავად სავარჯიშოს მიმოხილვით და შემდეგ იმსჯელეთ რა ისწავლეს მონაწილეებმა და რა უნდა გააკეთონ შემდეგ.

- რამდენად გავრცელებულია რასიზმი სკოლაში ან კლუბში და საზოგადოებაში ზოგადად?
- რომელი ჯგუფები ზარალდება ყველაზე მეტად? რატომ? იყვნენ იგივე ჯგუფები რასიზმის ობიექტი 20 ან 50 წლის წინ?
- სავარჯიშოს შესრულების შედეგად შეიცვალა მონაწილეების წარმოდგენა იმის შესახებ თუ რას წარმოადგენს რასისტული ინციდენტი? როგორ? დაასახელეთ მაგალითები.
- ვის ეკისრება პასუხისმგებლობა თქვენ სკოლაში (ან ორგანიზაციაში) რასისტული ინციდენტების თავიდან აცილებაზე?
- გაიხსენეთ კრიტიკული ინციდენტი. რა უნდა გაეკეთებინათ მასწავლებლებს, აბდალას მამას და კლასის ხელმძღვანელს საკითხის სამართლიანად გადაწყვეტისათვის?
- რასისტული ინციდენტების წინააღმდეგ საბრძოლველი პოლიტიკის არსებობა მნიშვნელოვანია, მაგრამ უკეთესი ხომ არ იქნებოდა ის საერთოდ არ ყოფილიყო საჭირო? რა შეიძლება და რა უნდა გაკეთდეს რასისტული ქცევის მიზეზების აღმოსაფხვრელად როგორც სკოლაში ასევე საზოგადოებაში ზოგადად?

რჩევები ხელმძღვანელებს

გაითვალისწინეთ ჯგუფის შემადგენლობა და მოახდინეთ სავარჯიშოს ადაპტირება შესაბამისად. მონაწილეები უფრო აქტიურად ჩაერთვებიან პროცესში თუ მათთვის აქტუალურ საკითხებს შეეხებით. მეორეს მხრივ მზად უნდა იყოთ იმ ემოციების საპასუხოდ, რომელიც შეიძლება წარმოიშვას სავარჯიშოს შედეგად. მნიშვნელოვანია ყურადღება მიაქციოთ იმ მონაწილეების გრძნობებს, რომლებიც თავად თვლიან თავს დისკრიმინირებულად სკოლაში. შესაძლოა კარგი იდეა იყოს ერთ კონკრეტულ კრიტიკულ ინციდენტზე აქცენტირების ნაცვლად შეკრიბოთ სხვადასხვა მაგალითები და შეაფასოთ ისინი განსხავებული რაკურსებით. ეს მიდგომა საშუალებას მოგცემთ გაითვალისწინოთ სხვადასხვა ძალების ურთიერთობა; მაგალითად, რასიზმის გავლენა თანატოლებზე, და რასიზმი, რომელიც მომდინარეობს მასწავლებლისგან ან დირექტორისგან.

თუ გსურთ დასაწყისიდანვე იყოთ მაპროვოცირებელი და გამოიყენოთ რასისტული ანეკდოტი უნდა აირჩიოთ ისეთი, რომ არ შეეხოს თქვენ კლასის ან ახალგაზრდული ჯგუფის რომელიმე წევრს. ყველა ქვეყანაში არსებობს სხვა ეროვნების ხალხის გაშარჟების ტრადიცია. შესაძლოა დისკუსია დაიწყოთ ჯგუფისათვის ასეთი 1 ან 2 ხუმრობის მოყოლის თხოვნით. შემდეგ შეგიძლიათ გადახვიდეთ რასისტული და არა-რასისტული ხუმრობების გამყოფი ხაზის შესახებ საუბარზე. მაგ. არის ანეკდოტები პაკისტანელების ან თურქების შესახებ

ნაციონალისტური ან რასისტული? ამან შეიძლება მიგიყვანოთ რასისტული ხუმრობის და რასისტული ინციდენტის განმარტებამდე (იხ. ქვემოთ "დამატებით ინფორმაციაში").

შეიძლება მოხდეს ისე, რომ II ნაწილის ბოლოს 4 ეტაპის დასკვნები არ იყოს მონაწილეებისათვის საკმარისი საფუძველი 5 ეტაპზე გადასასვლელად. ასეთ შემთხვევაში შეიძლება გამოიყენოთ დასარიგებელი მასალა 2 "ზოგიერთი პრაქტიკული შენიშვნა განხილვისათვის" და მოუწოდოთ ჯგუფებს განავითარონ პირველი 4 საფეხური.

ვარიანტები

სავარჯიშო შეიძლება იქნას ადაპტირებული ისეთი საკითხის განსახილველად როგორიცაა დაცინვა. თუ ეს საკითხი წამოიჭრება შეიძლება მოისურვოთ სავარჯიშოს "გვაქვს რაიმე ალტერნატივა?" (გვ. 141) შესრულება, ვიდრე გადახვიდოდეთ დაცინვის საწინააღმდეგო პოლიტიკის შემუშავებაზე.

წინადადებები გაგრძელებისათვის

რეგულარულად მიმოიხილეთ საკითხი, მაგ. 1-ხელ ან 2-ჯერ წელიწადში. პოლიტიკა უნდა გადაიხედოს რათა უზრუნველყოფილი იქნას მისი მიზნებთან შეასაბამისობა. საზოგადოების ცვლილებასთან ერთად პოლიტიკას სჭირდება განახლება, რათა კვლავ აკმაყოფილებდნენ ცვალებადი პირობების მოთხოვნებს.

ჯგუფმა შეიძლება მოინდომოს განიხილოს როგორ შემოდის რასიზმის ასპექტები კომერციულ გადაწყვეტილების მიღების პროცესში. სავარჯიშო "წამლების ხელმისაწვდომობა" 329 გვ-ზე განიხილავს სხვადასხვა საკითხებს რასიზმის ჩათვლით, რომელიც განიხილებოდა 1990 წლის სასამართლო პროცესზე სამხრეთ აფრიკის მთავრობასა და შიდსის სამკურნალო პრეპარატების მწარმოებელ კომპანიებს შორის.

იდეები მოქმედებისათვის

გააგრძელეთ პოლიტიკაზე მუშაობა თქვენ სკოლაში ან ორგანიზაციაში და უზრუნველყავით მათი განხორციელება. ჯგუფი შეიძლება ასევე შეუერთდეს ანტი-რასისტულ პროექტებს სხვა ქვეყნებში. მაგ. ბელგიაში განხორციელებულ პროგრამას "სკოლები რასიზმის გარეშე", რომელიც მოითხოვს, რომ სულ მცირე სკოლის კოლექტივის 60%-მა ხელი მოაწეროს და განახორციელოს ერთობლივი ანტი-დისკრიმინაციული დეკლარაცია (www.schoolwithoutracism-europe.org).

დამატებითი ინფორმაცია

rasizmis ganmarteba

რასიზმი ზოგადად შედგება ქცევის, სიტყვების ან ქმდებისაგან, რომელიც ანიჭებს ან ართმევს პრივილეგიებს ადამიანებს მათი კანის ფერის, კულტურის ან ეთნიკური წარმომავლობის ნიადაგზე. მისი ფორული ფორმები ისევე საზიანოა, როგორც მისი აშკარა გამოხატულება.

ინსტიტუციონალური რასიზმი არის კოლექტივის მიერ უარის თქმა უზრუნველყლოს სათანადო და პროფესიული სერვისი ადამიანებისათვის მათი კანის ფერის, კულტურის ან ეთნიკური წარმომავლობის გამო. ეს შეიძლება აისახოს პროცედურებში, დამოკიდებულებებში და ქცევაში, რომელიც საბოლოოდ იძლევა დისკრიმინაციას უსაფუძვლო პრეკონცეფციების, უცოდინრობის, დაუფიქრებლობის, და რასისტული სტერეოტიპების ხარჯზე რაც არაპრივილეგირებულ მდგომარეობაში აყენებს ეთნიკური უმცირესობებს. რასისტულ აგრსიას და ინციდენტებს შეიძლება ადგილი ჰქონდეს ნებისმიერ ინსტიტუტში სხვადასხვა ეთნიკური წარმომავლობის სტუდენტების რაოდენობის მიუხედავად.

რასისტული ინციდენტი არის ნებისმიერი ინციდენტი, რომელიც აღიქმება რასისტულად მსხვერპლის ან ნებისმიერი სხვა პიროვნების მიერ.

ra saxis incidentebi SeiZleba CaiTvalos rasistulad?

ფიზიკური ზიანი: წარმოადგენს უმცირესობათა ჯგუფებში შემავალი როგორც ბავშვების ასევე მოზრდილების ძალადობრივი თავდასხმის ან ფიზიკური დაშინების შედარებით ნათელ მაგალითებს და ასევე „ნაკლები“ დაშინების ინციდენტებს, რომელთა დაგროვებამ შეიძლება გამოიწვიოს კუმულაციური ეფექტი.

სიტყვიერი შეურაცყოფა: შეურაცმყოფელი სახელების დარქმევა უმცირესობის ჯგუფების წარმომადგენლებისათვის ან რაიმე დაცინვა პიროვნების კულტურის მიმართ (მაგ. მუსიკა, ჩაცმა, ან დიეტა) შეიძლება იყოს ყველაზე ნათელი მაგალითი. შესაძლოა არსებობდეს სიტყვიერი შეურაცყოფის სხვა ფორმებიც, მასწავლებლების, მოსწავლეების, სტუდენტების და სკოლის/საგანმანათლებლო დაწესებულების სხვა წევრის მონაწილეობით, რომლებიც ნაკლებად გამოკვეთილია, როგორიცაა შენიშვნები რასისტული ქვეტექსტებით, რომელიც შეურაცყოფს პიროვნებას.

თანამშრომლობაზე უარის თქმა და უპატივცემულობა: უმცირესობათა წარმომადგენელ მოსწავლეებთან, სტუდენტებთან, მასწავლებლებთან, მწვრთნელებთან, ახალგაზრდული ორგანიზაციების ლიდერებთან, და სხვ. სკოლის/საგანმანათლებლო დაწესებულების წევრთან თანამშრომლობაზე ან მათ პატივისცემაზე უარის თქმა შეიძლება წარმოადგენდეს რასისტულ ინციდენტს თუ არსებობს რასისტული მოტივაციის მტკიცებულება ან „მსხვერპლი“ აღიქვამს რასიმზს მოტივად. უპატივცემულობა ასევე შეიძლება იყოს უყურადღებობა მაგ. თუ მასწავლებელი ან მწვრთნელი იჩენს მოსწავლის კულტურის უცოდინარობას იმგვარად, რომ მსხვერპლი თავს გრძნობს შეურაცყოფილად ან უხერხულად.

სხვა შემთხვევები: რასისტული ხუმრობები და რასისტული ტერმინოლოგიის გამოყენება, რასისტული ნიშნების, ბაჯების, მაისურების და ა.შ ტარება, რასისტული წარწერები, რასისტული ლიტერატურის ან პლაკატების გავრცელება, რასისტული ან ფაშისტური ორგანიზაციების არსებობა სკოლაში ან მის ახლომახლოს ან სტერეოტიპების გავრცელება, რომლებიც იწვევენ დისკრიმინაციას.

ბევრი რასისტული ინციდენტი ნაკლებად გამოხატულია. ასეთი ფარული ქმედებები ხშირად ყველაზე ძნელად დასაფიქსირებელი და მოსაგვარებელია. ბევრი რასისტული ინციდენტი სტუდენტების და მოსწავლეების მონაწილეობით არ მოხდება მასწავლებლების ან მწვრთნელების თანდასწრებით. ამდენად მნიშვნელოვანია სკოლებმა შეიმუშაონ სტრატეგია რათა უზრუნველყონ, რომ სკოლის ყველა წევრი მგრძნობიარე იყოს ასეთი ინციდენტების მიმართ და პასუხისმგებლობას აიღოს მათ დაფიქსირებასა და მათ წინააღმდეგ ბრძოლაზე.

i praqtikuli momenti ganxilvisaTvis anti-rasistuli politikis SemuSavebasTan TebaSi

ი აგრესიის და რასისტული ინციდენტების განხილვის დროს აუცილებელია მთელი სკოლის (ორგანიზაციის) პოლიტიკის შემუშავებაში და განხორციელებაში. მნიშვნელოვანია ,რომ რასისტული ინციდენტების მიმართ ა მიესადაგებოდეს ზოგად სასკოლო/ორგანიზაციულ პოლიტიკას და პრაქტიკას. საკითხი უნდა ჩაითვალოს

”განსაკუთრებულად მაგრამ არა იზოლირებულად”. ზოგიერთი პრაქტიკული მომენტი განხილვისათვის არის:

- პოლიტიკის მკაფიოდ ჩამოყალიბება, და დემონსტრირება, რომ არავითარი რასისტული ინციდენტები ან რასისტული აგრესია არ იქნება შეწყნარებული
- სკოლის (ორგანიზაციის) პოლიტიკაში მკაფიოდ უნდა იყოს ჩამოყალიბებული რა პროცედურები უნდა შესრულდეს, როდესაც რასისტული ინციდენტს ექნება დგილი
- მთელი სკოლის ჩართვა ასეთი ინციდენტების წინააღმდეგ მიმართული პროცესებისა და შეთანხმებული ქმედებების ჩათვლით უნდა გავრცელდეს სკოლის ყველა წევრზე: დირექტორი, პედაგოგიური კოლექტივი, ტექპერსონალი, მშობლები, მოსწავლეებს, სტუდენტებს და ვიზიტორები.
- უნდა არსებობდეს მკაფიო გააზრება, რომ სკოლის ყველა წევრი ვალდებულია დააფიქსიროს და ებრძოლოს რასობრივ აგრესიას და რასისტულ ინციდენტებს.
- უნდა არსებობდეს ერთიანი მიდგომა, რათა პროცესში ჩართულმა ყველა წევრმა იცოდეს რა მოეთხოვება.
- ყველას უნდა ესმოდეს, რომ ინციდენტზე პასუხის გაცემა უნდა მოხდეს დაუყოვნებლივ როგორც კი ის აღმოცენდება ან დაფიქსირდება.
- ნებისმიერი ქმედებები გაგრძელებისათვის უნდა განხორციელდეს შეთანხმებული დროის ფარგლებში.

(ინფორმაციის წყარო: www.northants-ecl.gof.uk/apps/ips/msc/rig/hme.asp)

dasarigebeli masala:

კრიტიკული შემთხვევა – ბარათი - როლი

მოახდინეთ ძალიან მოკლე როლური გათამაშება შემდეგ ინციდენტზე დაყრდნობით. ის წარმოდგენილი უნდა იყოს 3 მოკლე სცენად როგორც ქვემოთ არის ნაჩვენები. შესვენებების დროს ხელმძღვანელ(ებ)მა უნდა სთხოვონ დამკვირვებლებს დაწერონ რას ფიქრობენ მომხდარის შესახებ.

სცენა 1. 2 მასწავლებელი საუბრობს სამასწავლებლოში.

გასული თვის განმავლობაში ქურდობის რამოდენიმე შემთხვევას ჰქონდა ადგილი სკოლაში. ახლა ისევ ფული დაიკარგა. დირექტორს გადაწყვეტილი აქვს ბოლომდე ჩაეძიოს შემთხვევას და ცდილობს გაარკვიოს სხვა მასწავლებლებთან ერთად ვინ არის ქურდი. აბდალა, მოსწავლე რომლის ოჯახიც წარმოშობით ჩრდილოეთ ამერიკიდანაა ეჭვმიტანილია სულ მცირე ამ ბოლო ინციდენტში.

სცენა 2. საუბარი აბდალას მამასა და დირექტორს შორის. დირექტორი იბარებს აბდალას მამას შეხვედრაზე. შედეგად ის სრულად ანაზღაურებს დაკარგულ თანხას.

სცენა 3. 2 მასწავლებელი ისევ საუბრობს სამასწავლებლოში
ის, რომ აბდალას მამამ აანაზღაურა დანაკარგი განიხილება როგოც აბდალას დანაშაულის აღიარება. მაგრამ მოგვიანებით ისინი პოულოენ მტკიცებულებას, რომ აბდალას არავითარი საერთო არ ქონდა ამ ქურდობასთან.

კრიტიკული შემთხვევა - რჩევები ხელმძღვანელებს

მოხალისეებმა შეასრულონ თავიანთი როლები. შესვენების დროს დასვით შეკითხვები და სთხოვეთ დაკმვირვებლებს ჩამოწერონ რამოდენიმე სიტყვა-გასაღები, რომელიც აჯამებს მათ პასუხს წარმოდგენის ამ ეტაპზე.

სცენა 1: გასული თვის განმავლობაში ქურდობის რამოდენიმე შემთხვევას ქონდა ადგილი სკოლაში. ახლა ისევ ფული დაიკარგა. დირექტორს გადაწყვეტილი აქვს ბოლომდე ჩაეძიოს შემთხვევას და ცდილობს გაარკვიოს სხვა მასწავლებლებთან ერთად ვინ არის ქურდი. აბდალა მოსწავლე რომლის ოჯახიც წარმოშობით ჩრდილოეთ ამერიკიდანაა ეჭვმიტანილია სულ მცირე ამ ბოლო ინციდენტში.

I შესვენება: პირველი შეკითხვა დამკვირვებლებს: თქვენ რომ დირექტორი ყოფილიყავით როგორ მოიქცეოდით?

სცენა 2. დირექტორი იბარებს აბდალას მამას შეხვედრაზე. შედეგად ის სრულად ანაზღაურებს დაკარგულ თანხას.

მეორე შესვენება. მეორე შეკითხვა დამკვირვებლებს: ფიქრობთ, რომ პრობლემის გადაწყვეტა დამაკმაყოფილებელი იყო?

სცენა 3. ის, რომ აბდალას მამამ გადაიხადა დანაკარგი განიხილება როგორც აბდალას დანაშაულის აღიარება. მაგრამ მოგვიანებით ისინი პოულობენ მტკიცებულებას, რომ აბდალას არავითარი საერთო არ ქონდა ამ ქურდობასთან.

მესამე შესვენება. მესამე შეკითხვა დამკვირვებლებს: რას ფიქრობთ ახლა?

roca dadgeba xvalindeli dRe

"თუ სხვებს გაასამართლებ ისე, როგორც შენ გავასამართლა ამ სისტემამ, არაფრით არ ხარ იმათზე უკეთესი, ვინც შენ სიკვდილი მოგისაჯა" – დუაით ადანანდუსი



თემები პიროვნული უსაფრთხოება, მედია, მშვიდობა და ძალადობა.

სირთულე დონე 3

მონაწილეთა რაოდენობა ნებისმიერი

ხანგრძლივობა 60 წუთი

მიმოხილვა სავარჯიშო იყენებს საინფორმაციო ფურცლებს და დისკუსიას შემდეგი საკითხების განსახილველად:

- დამნაშავეების უფლებები
- სიკვდლით დასჯა
- საზოგადოების დაცვა დამნაშავეებისაგან

შესაბამისი უფლებები სიცოცხლის უფლება

- სასტიკი, არაადამიანური ან დამამცირებელი მოპყრობისაგან დაცვის უფლება

მიზნები ჩვენი პრეკონცეფციების გამოკვლევა დამნაშავეებთან მიმართებაში და სიკვდილით დასჯის ზოგიერთი შედეგზე მსჯელობა

- საკუთარი მოსმენის და მიღებული ინფორმაციის „ინტერპრეტაცირების" უნარის შემოწმება.
- ადამიანური ღირსებისა და სამართლიანობის გრძნობის დამკვიდრება

მასალა დასარიგებელი მასალის „როცა დადგება ხვალინდელი დღე" ერთი ასლი თითო მონაწილისათვის.

- ფურცელი და ფანქარი ჯგუფის ყველა წევრისათვის.

ინსტრუქციები

I ეტაპი

1. წაუკითხეთ ჯგუფს სავარჯიშოს - „როცა დადგება ხვალინდელი დღე" I ნაწილი ხმამაღლა. როდესაც კითხვას დაასრულებთ მიეცით მონაწილეებს დაახლოებით 5 წუთი ყველა ძირითადი პუნქტის გასახსენებლად და საკუთარი სიტყვებით მათ დასაწერად. შემდეგ სთხოვეთ გაცვალონ ფურცლები მეზობლებთან, წაიკითხონ ერთამენთის ჩანაწერები და გააკეთონ კომენტარები.
2. სთხოვეთ მოხალისეებს წაიკითხონ თავიანთი ჩანაწერები. შემდეგ იმსჯელეთ ვერსიებს შორის არსებულ განსხვავებებზე: ახსოვდათ ზოგიერთებს უფრო მეტი დეტალები, ვიდრე დანარჩენებს? ზოგიერთმა თავად გამოიგონა ისეთი დეტალები, რომლებიც ორიგინალში არ იყო ნახსენები?
3. კითხეთ მონაწილეებს როგორი იყო მათი რეაქცია ამბის მიმართ: როგორ ფიქრობენ ვინ იყო ამბის მთხრობელი? რა მოხდა?

II ეტაპი.

1. წაიკითხეთ ამონაჭრელი გაზეთიდან და დუათის მონაყოლის 2 ნაწილი.

2. ახლა მიეცით წყვილებს საშუალება იმსჯელონ ახალი ინფორმაციის შესახებ 10-15 წუთის განმავლობაში თავიანთ პარტნიორებთან. დაურიგეთ „მათ როცა დადგება ხვალინდელი დღე"-ის ასლები იმ შემთხვევაში თუ სურვილი აქვთ კვლავ გადახედონ ტექსტს.
3. შემდეგ სთხოვეთ მათ იფიქრონ შემდეგ 2 საკითხზე:
   - შეიცვალეს მათ აზრი დუაითის ან ნანონის შესახებ რიდესაც შეიტყვეს, რომ სიკვდილმისჯილთა რიგებში იყვნენ? როგორ? რატომ?
   - როგორ ფიქრობენ რას გულისხმობდა დუაითი, როდესაც ამბობდა *"თუ სხვებს გაასამართლებ ისევე როგორც შენ ამ სისტემამ გაგასამართლა, არაფრით არ გამოდიხარ იმაზე უკეთესი ვიდრე ისინი ვინც შენ სიკვდილი მოგისაჯა"* ეთანხმებით მას?
4. გამოაცხადეთ საკითხი ღია დისკუსიის საგნად და მოითხოვეთ კომენტარები სხვადასხვა წყვილებისაგან ამ საკითხებთან დაკავშირებით.

ანალიზი და შეფასება

ეს სავარჯიშო შეიძლება გამოყენებულ იქნას მთელი რიგი საიტერესო და მნიშვნელოვანი საკითხების წამოსაჭრელად, რომლებმაც შეიძლება შეადგინონ შემდგომი სავარჯიშოების ან დისკუსიების საგანი. თუმცა რეკომენდირებულია, რომ ანალიზის დროს არ დაშორდეთ იმ საკითხებს, რომლებიც ჯგუფებმა უკვე განიხილეს ნაცვლად იმისა, რომ წამოჭრათ სრულიად ახალი საკითხები (იხ. ქვემოთ ნაწილში რჩევები ხელმძღვანელებს)

- შეიტყვეთ რაიმე ახალი საკუთარი თავის შესახებ ამ სავარჯიშოდან? გაიძულათ მან გადაგეხედათ თქვენი რომელიმე ადრინდელი აზრის ან რწმენისათვის?
- როგორ ფიქრობთ რის ილუსტრირებას ისახავდა მიზნად სავარჯიშო? იყო მისი მცდელობა წარმატებული, თუ არა რატომ?
- რას გეუბნებათ სავარჯიშო, თუ საერთოდ რამეს გეუბნებათ სიცოცხლის უფლების შესახებ? იყო კიდევ რაიმე სხვა უფლებები რომლებიც წამოიჭრა დისკუსიის დროს?

ჩაინიშნეთ ეს საკითხები დიდი ზომის ფურცლებზე ან დაფაზე შემდეგში გამოყენების მიზნით.

რჩევები ხელმძღვანელებს

პირველი დისკუსიის დროს (I ნაწილის წაკითვის შემდეგ) მნიშვნელოვანია, რომ არანაირი მინიშნება არ გააკეთოთ ამ 2 პერსონაჟის მდგომარეობაზე: ეცადეთ ათქმევინოთ მონაწილეებს მათი შთაბეჭდილებები პერსონაჟების შესახებ, მაგრამ არ მიანიშნოთ, რომ რაიმე კონკრეტული მიზეზი გაქვთ ამისთვის. მიზანი არის 2-ივე პერსონაჟის ადამიანური თვისებების შესწავლა მათი ახალანდელი მდგომარეობის ან წარსულის ცოდნის გარეშე.

I ეტაპის ბოლოს მონაწილეების მიერ ჩანაწერების გაცვლის მიზანი არის წარმოდგენის შექმნა სხვადასხვა პიროვნებების მიერ ერთი და იმავე ინფორმაციის დამახსოვრებისა და აღქმის განსხვავებული გზების შესახებ. მნიშვნელოვანია ხაზი გაესვას, რომ ამას არ უნდა მიეცეს „ტესტის" სახე, რათა მონაწილეებმა არ დაიმორცხვონ თავიანთი ჩანაწერების გამო. არამედ ეს უნდა იყოს განსხვავებული შეხედულებების ჩვენების გზა. სცადეთ კომენტარი სთხოვოთ იმ მონაწილეებს, რომელთა ჩანაწერები რადიკალურად განსხვავდებოდა მათი მეზობლისაგან. ჰკითხეთ

ეროვნული

თარიღი

26 ივნისი
წამების მსხვერპლთა მხარდაჭერის საერთაშორისო დღე

რატომ შეიძლებოდა მომხდარიყო ასე – მაგ. რატომ დაამახსოვრდა ზოგიერთი ინფორმაცია რამოდენიმე მონაწილეს დანარჩენებს კი ის გამორჩათ.

სავარჯიშო ალბათ მეტისმეტად ბევრ საკითხს წამოჭრის 1 სხდომისათვის. ამიტომაც შეეცადეთ შეინარჩუნოთ მსჯელობის კურსი და არ მისცეთ მონაწილეებს სიკვდილით დასჯის შესახებ დებატებით გაიტაცების საშუალება. ეცადეთ აქცენტირება მოხდეს 2 შემდეგ საკითხზე:

1. რა ხარისხით ვართ ჩვენ, სახელმწიფო მიდრეკილნი „განვსაჯოთ“ ადამიანები მათი საქციელის (რაც გვჯერა რომ ჩაიდინეს) საფუძველზე. ალბათ ამას გულისხმობს დუაითი, როდესაც ამბობს, რომ არ შეიძლება სხვების განსჯა ისე, როგორც სახელმწიფომ განსაჯა ის (და ნანონი). სახელმწიფომ ეფექტურად ჩამოწერა ისინი როგორც ადამიანები, (როგორც სახელმწიფოს სჯერა) მათ მიერ წარსულში ჩადენილი საქციელის საფუძველზე.
2. თუმცა ეგრეთ წოდებული „მძიმე დამნაშავე“ ფლობს და ინარჩუნებს ადამიანურ თვისებებს – მათ ახასიათებთ არა მხოლოდ „ზრუნვა და თანაგრძნობა“, რომელზეც დუაითი ლაპარაკობს არამედ „სასოწარკვეთა და დეპრესია“, რომელსაც ნანონი აღწერს როგორც პატიმრობის შედეგს.

„სიცოცხლის უფლების“ შესახებ მსჯელობის დროს დისკუსია წარმართეთ ისე, რომ გარკვიოთ კვლავ აქვს თუ არა ამ ორ ადამიანს სიცოცხლის უფლება – თუ არა როგორ „კარგავს“ ზოგიერთი ამ უფლებას. აქვს მაგ. ვინმეს უფლება სიცოცხლის უფლება წაართვას სხვა მოქალაქეებს, მაშინაც კი თუ მათ დანაშაული ჩაიდინეს?

წინადადებები გაგრძელებისათვის

გააგრძელეთ სავარჯიშოს ბოლოს წამოჭრილი საკითხების განხილვა. მოაწყვეთ ფორმალური დებატები ან გამოიყენეთ ‘‘არჩევნების’’ მეთოდი. შეიძლება განიხილოთ შემდეგი თემები:

- სასჯელის საკითხები: რა არის დამნაშავეების დაპატიმრების და/ან მათი დასჯის მიზანი? ეს უპირატესად მიმართულია საზოგადოების დაცვისაკენ, დამნაშავეების ქცევის შეცვლისაკენ თუ ეს არის რევანში/სამაგიეროს გადახდა?
- სიკვდლით დასჯა: რა არის სიკვდლით დასჯის საწინააღმდეგო და მხარდამჭერი არგუმენტები?
- ერის უსაფრთხოება პიროვნების უსაფრთხოების წინააღმდეგ: რა არის ის ზღვარი, რომელიც დასაშვებია სახელმწიფოსათვის მისი ყველაზე საშინელი დამნაშავეების ან ტერორისტების მოპყრობისათვის? მაგ. შეიძლება იყოს ადამიანის წამება გამართლებული ‘‘ერის უსაფრთხოების’’ საფუძველზე?

ეწვიეთ ნანონის პირად ვებგვერდს: http://home4.inet.tele.dk/lepan/lene/nanon.htm. სიმღერები ყოველთვის იყო მძლავრი იარაღი ადამიანების მიერ უფლებებისათვის ბრძოლაში.

იდეები მოქმედებისათვის

იხ. კანადის სიკვდილით დასჯის მოწინააღმდეგეთა კოალიციის ვებგვერდი და წაიკითხეთ პატიმრების წერილები (www.ccadp.org). შემდეგ მისწერეთ წერილი რომელიმე სიკვდილმისჯილს (კანადის სიკვდილით დასჯის მოწინააღმდეგეთა

კოალიციის ვებგვერდზე არის ინფორმაცია როგორ დაამყაროთ მიმოწერა ან დაუკავშირდეთ საერთაშორისო ამნისტიის ადგილობრივ ასოციაციას).

შენიშვნა: „როცა დადგება ხვალინდელი დღე“ - სრული ტექსტი შეგიძლიათ იხ. კანადის სიკვდილით დასჯის მოწინააღმდეგეთა კოალიციის ვებ-გვერდზე.

dasarigebeli masala

ამონარიდი გაზეთიდან

ჰანსტვილი – 2 ოქტომბერი, 1997. ბრალდებული მძარცველის სასჯელი აღსრულებაში იქნა მოყვანილი ოთხშაბათს საღამოს. მან 9 წლის წინ ცეცხლსასროლი იარაღით მოკლა სან ანტონიოს ბიზნესმენი, რომელიც ცდილობდა მის შეჩერებას ბანკიდან გაქცევის დროს. 41 წლის ადანანდუსს სიკვდილი მიესაჯა ვერნონ ჰანანის მკვლელობისათვის, რომელიც 1988 წ. 28 იანვარს მკერდში იქნა დაჭრილი ადანანდუსთან სან ანტონიოს ჩრდილოეთ მხარეს მდებარე ბანკის ფოიეში შებრძოლების დროს.

დადგება ხვალინდელი დღე. ნანონ უილიამსი

სახელმძღვანელო ადამიანის უფლებათა განათლების ევროპაში ახალგაზრდების მონაწილეობით . ევროპის საბჭო

დანანდუსის სიკვდილიდან მეორე დღეს ცხოვრებას სულ სხვაგვარი თვალით შევხედე და დავიწყე იმისგან
ვებული, ვიდრე ის იყო ან შესაძლოა იმისაგან განსხვავებული როგორიც მინდოდა რომ ყოფილიყო.
ს დასაწყისი იყო, ვიწექი და ისევ ვფიქრობდი მეგობარზე, რომელიც ღიმილით ამსუბუქებდა შემოკლებული
ს სიმძიმეს და საშინელ ტკივილს ვგრძნობდი. როდესაც ფრთხილად მივედი კარებთან და ქვემოდან
ურებული გაზეთი ავიღე იქ მისი ისტორია ეწერა.
ობდი და ვიცოდი, რომ მას ვეღარასოდეს ვნახავდი და ისეთი შეგრძნება მქონდა თითქოს ვიღაც

sad dgaxarT?

არის სოციალური და ეკონომიკური უფლებები ფუფუნება, რომლებიც მხოლოდ მდიდარი ქვეყნების მოქალაქეებისათვისა მისაწვდომი?



თემები ადამიანის ზოგადი უფლებები, მოქალაქეობა, სიღარიბე.

სირთულე დონე 2

მონაწილეთა რაოდენობა ნებისმიერი

ხანგრძლივობა 50 წუთი

მიმოხილვა სავარჯიშო-დისკუსია, რომელიც განიხილავს:

- ადამიანის ღირსებისათვის საჭირო ბაზისურ ელემენტებს

სამოქალაქო და პოლიტიკური, სოციალური და ეკონომიკური უფლებების შედარებითი მნიშვნელობა

მთავრობის ვალდებულებები სოციალური და ეკონომიკური უფლებების რეალიზაციასთან დაკავშირებით.

ყველა

ერთის მხრივ სამოქალაქო და პოლიტიკურ და მეორეს მხრივ სოციალურ და ეკონომიკურ უფლებებს შორის განსხვავების გააზრება

- უფლებების დაცვასთან დაკავშირებული ზოგიერთი რთული საკითხების განხილვა

შესაბამისი უფლებები

- დისკუსიისა და არგუმენტაციის უნარჩვევების განვითარება

მიზნები

მასალა

განცხადებების ფურცლის 1 ასლი

- დიდი ზომის ფურცლები ან დაფის ფურცლები, პასტები
- თოკი ან ცარცი (არჩევითი)

ადამიანის უფლებათა დეკლარაციის ადაპტირებული ტექსტის ასლი (გვ. 508) (არჩევითი)

მომზადება მოამზადეთ 2 პლაკატი ერთი წარწერით – „ვეთანხმები“, მეორე – „არ ვეთანხმები“ და მიაწებეთ ისინი ოთახის საწინააღმდეგო ბოლოებში რათა ხალხმა შეძლოს მათ შორის სწორ ხაზზე განლაგება. (შესაძლოა მოისურვოთ ცარცით ხაზის გავლება მათ შორის ან თოკის გაბმა).

ინსტრუქციები

1. დაიწყეთ ძალიან მოკლე შესავლით ერთის მხრივ სამოქალაქო და პოლიტიკურ და მეორეს მხრივ სოციალურ და ეკონომიკურ უფლებებს შორის განსხვავებების შესახებ

2. იფიქრეთ 5 წუთი სხვადასხვა უფლებების შესახებ, რომლებიც თითოეულ ამ კატეგორიაში ხვდება. ჩამოწერეთ უფლებები დაფაზე შესაბამისი სათაურების ქვეშ: სამოქალაქო და პოლიტიკური, სოციალური და ეკონომიკური უფლებები.
3. განმარტეთ, რომ ახლა აპირებთ განცხადებების სერიის წაკითხვას, რომელთაც მონაწილეებს შეუძლიათ მეტ-ნაკლებად დაეთანხმონ.
4. მიუთითეთ 2 უკიდურეს წერტილზე – პლაკატებზე წარწერით "ვეთანხმები" და "არ ვეთანხმები". განმარტეთ, რომ მონაწილეებს შეუძლიათ დაიკავონ ნებისმიერი წერტილი წარმოსახვითი ხაზის გასწვრივ. მაგრამ მათ უნდა სცადონ დადგნენ რაც შეიძლება ახლოს იმ ხალხთან, ვინც მათ აზრს იზიარებს. ვიდრე მონაწილეები თავიანთ ადგილებს ეძებენ ნებადართულია მოკლე დისკუსია!
5. წაიკითხეთ განცხადებები თანმიმდევრობით. ცვალეთ რიტმი: ზოგი უნდა წაიკითხოთ სწრაფად, ზოგის წაკითხვის დროს კი უნდა გააკეთოთ მცირე პაუზები, რათა შესაძლებელი იყოს მოკლე დისკუსია.
6. მოახდინეთ დისკუსიისა და აზრის გამოთქმის სტიმულირება. სთხოვეთ უკიდურესად დაცილებულ წერტილებში მდგომთ განმარტონ, რატომ აირჩიეს ეს წერტილები. ჰკითხეთ ცენტრში მდგომთ ნიშნავს თუ არა მათი პოზიცია მყარი აზრის ან ცოდნის ნაკლებობას.
7. მიეცით მონაწილეებს საშუალება შეიცვალონ პოზიციები ერთმანეთის კომენტარების მოსმენის შემდეგ.
8. როდესაც განცხადებების მოსმენა დამთავრდება შეკრიბეთ ჯგუფი ანალიზისათვის.

ანალიზი და შეფასება

დაიწყეთ სავარჯიშოს მიმოხილვით, შემდეგ კი გაარკვიეთ რა ისწავლეს მონაწილეებმა.

- იყო რაიმე შეკითხვები, რომლებზეც მონაწილეებს გაუჭირდათ პასუხის გაცემა, რადგან ძნელი იყო საკუთარი აზრის ჩამოყალიბება ამ საკითხზე ან კითხვა ცუდად იყო ფორმულირებული?
- რატომ შეიცვალეს მონაწილეებმა პოზიციები დისკუსიის დროს?
- გააკვირვა მონაწილეები საკითხების გარშემო უთანხმოების ხარისხმა?
- აქვს რაიმე მნიშვნელობა ჩვენს მიერ ადამიანის უფლებების საკითხების შესახებ შეუთანხმებლობას?
- ფიქრობთ, რომ არსებობს „სწორი" და „არასწორი" პასუხები სხვადასხვა განცხადებებზე თუ ეს უბრალოდ პირადი აზრის შედეგია?
- შეიძლება როდესმე გახდეს შესაძლებელი, რომ ყველამ მიაღწიოს შეთანხმებას ადამიანის უფლებების შესახებ?
- არსებობს ფუნდამენტური განსხვავება ადამიანის უფლებათა (პირველ) 2 თაობას შორის: სამოქალაქო და პოლიტიკურ, სოციალურ და ეკონომიკურ უფლებებს შორის? შესაძლებელია ითქვას, რომელია მათგან უფრო მნიშვნელოვანი?
- გვჭირდება რაიმე სხვა უფლებებიც? შესაძლებელია არსებობდეს მესამე თაობის უფლებები?

რჩევები ხელმძღვანელებს

ეს სავარჯიშო მოიცავს ადამიანის ყველა უფლებას, მაგრამ ძირითადი აქცენტი სოციალურ და ეკონომიკურ უფლებებზე კეთდება. მაგ. მუშაობის და დასვენების უფლება, ჯანდაცვის და ელემენტარული საცხოვრებელი პირობების უფლება (მუხლები 16, 22-29 ადამიანის უფლებების უნივერსალური დეკლარაცია).

ქვემოთ მოყვანილი განცხადებები გათვლილია ზოგიერთი დებატების განსახილველად, რომლებიც ერთის მხრივ ეხება სამოქალაქო და პოლიტიკურ უფლებებს შორის განსხვავებას და მეორეს მხრივ სოციალურ და ეკონომიკურ უფლებებს შორის. საჭირო არ არის სავარჯიშოს დასაწყისიდანვე დეტალებში ჩაღრმავება, რადგანაც ბევრი საკითხი დისკუსიის განმავლობაში წამოიჭრება.

მარამ არსებობს 2 მომენტი, რომლებზეც ალბათ ღირს ყურადღების შეჩერება შესავლის დროს. პირველი, მარტივი დაყოფა, რომ სამოქალაქო და პოლიტიკური უფლებები არის ის მორალური მოთხოვნები, რომელსაც ჩვენ ვუყენებთ მთავრობებს სამოქალაქო და პოლიტიკურ საკითხებთან დაკავშირებით – როგორიცაა სამართლიანი გასამართლების, ხმის მიცემის, აზრის გამოთქმის და ა.შ. უფლება. სოციალური და ეკონომიკური უფლებები კი არის ის მოთხოვნები, რომლებიც დაკავშირებულია სოციალურ და ეკონომიკურ საკითხებთან – როგორიცაა უსახლკარობა, არაადექვატური ჯანდაცვა, სიღარიბე, და ა.შ. უფლებათა პირველ ჯგუფს ასევე პირველი თაობის უფლებებს უწოდებენ, ხოლო მეორე ჯგუფის უფლებებს – მეორე თაობის უფლებებს, იმ ქრონოლოგიური თანმიმდევრობიდან გამომდინარე, რომლის მიხედვითაც მოხდა მათი აღიარება ადამიანების მიერ როგორც ადამიანის საყოველთაო უფლებებისა.

მეორე მომენტი არის ის, რომ ზოგიერთები ფუნდამენტურ განსხვავებებს ხედავენ სხვადასხვა ტიპის უფლებებს შორის. ბევრი აცხადებს, რომ სოციალური და ეკონომიკური უფლებები ნაკლებად მნიშვნელოვანია ან/და მათი უზრუნველყოფა უფრო რთულია ვიდრე სამოქალაქო და პოლიტიკური უფლებებისა. სხვები არ ეთანხმებიან ამ აზრს. ამ დებატების შესახებ ინფორმაცია შეგიძლიათ იხ. 4 თავში.

ფიქრის დროს შესაძლოა მოისურვოთ მონაწილეებისათვის ადამიანის უფლებათა საყოველთაო დეკლარაციის გამარტივებული ტექსტის ასლების დარიგება, რაც დაეხმარება მათ შესაბამისი ინფორმაციის გახსენებაში ან თქვენ თვითონ წაიკითხეთ ზოგიერთი მუხლი და სთხოვეთ მონაწილეებს დაალაგონ ისინი შესაბამის კატეგორიებში. 16 და 22-29 მუხლები ზოგადად ითვლება სოციალურ-ეკონომიკურ უფლებებთან დაკავშირებულ პუნქტად.

შესაძლოა მოისურვოთ სავარჯიშოს პოზიციების შერჩევის და შეცვლის ნაწილის შედარებით სწრაფად შესრულება, სხვადასხვა განცხადებებს შორის დისკუსიისათვის მცირე დროის გამოყოფა და შემდეგ აირჩიოთ 2 ან 3 განცხადება და უფრო დეტალურად იმსჯელოთ მასზე მთელ ჯგუფთან ერთად. მაგრამ ზოგჯერ კარგი იქნება სავარჯიშოს შეწყვეტა გარკვეულ მომენტში, რათა მონაწილეებს საშუალება მისცეთ გამოთქვან საკუთარი აზრი ზოგიერთ განცხადებებზე და გამოხატონ საკუთარი პოზიციები სხვების აზრის გათვალისწინებით.

ვარიანტები

შეადგინეთ დამატებითი განცხადებები ან სთხოვეთ ჯგუფის წევრებს თავად მოიგონონ ისინი.

ღირშესანიშნავი თარიღი

5 დეკემბერი
ეკონომიკური და სოციალური განვითარების მოხალისეთა საერთაშორისო დღე

წინადადებები გაგრძელებისათვის

მოაწყვეთ ფორმალური დებატები ერთ-ერთი საკითხის გარშემო და სთხოვეთ მონაწილეებს წინასწარ მოამზადონ არგუმენტები, ხოლო დებატების ბოლოს ჩაატარონ კენჭისყრა. შეგიძლიათ დასასწრებად მოიწვიოთ სხვა ახალგაზრდებიც ან საზოგადოების წევრე,,ბი.

ადამიანის უფლებების შესახებ ცოდნა მნიშვნელოვანია, მაგრამ თუ გვინდა, რომ უფლებები დაცული იყოს ასევე გადამწყვეტია აქტიური მოქალაქეობა. შეიძლება მოისურვოთ სავარჯიშოს ”აირჩიე” შესრულება (გვ. 85), რომელიც განიხილავს, თუ როგორ უნდა დაარწმუნოთ სხვები საკუთარი აზრის სისწორეში.

იდეები მოქმედებისათვის

დაუკავშირდით ადგილობრივ ორგანიზაციას, რომელიც მოღვაწეობს ადამიანის უფლებების ან სოციალური უზრუნველყოფის სფეროში და გაარკვიეთ, რა წვლილის შეტანა შეგიძლიათ.

დამატებითი ინფორმაცია

სახელმძღვანელოს თავი 4 შეიცავს ძირითად ინფორმაციას სხვადასხვა თაობის უფლებებზე ”მესამე თაობის” უფლებების შესავლის ჩათვლით.

dasarigebeli masala

განცხადებების ჩამონათვალი

- უფრო მნიშვნელოვანია გქონდეს ჭერი თავზე, ვიდრე ამბობდე რაც მოგესურვება
- ადამიანებს აქვთ ვალდებულება იმუშაონ, მაგრამ არა უფლება
- ნებისმიერი მთავრობის ძირითადი პასუხისმგებლობა არის ყველა მოქალაქის საკმარისი საკვებით უზრუნველყოფა
- ”დასვენებისა და გართობის” უფლება არის ფუფუნება, რომელიც მხოლოდ მდიდარ ქვეყნებს აქვთ.
- ის, რომ ადამიანებმა არ იშიმშილონ არის არა მთავრობის, არამედ თავად ხალხის საზრუნავი.
- საერთაშორისო საზოგადოებრიობას არ აქვს უფლება მიგვითითოს როგორ მოვეპყროთ ჩვენ საკუთარ მოქალაქეებს.
- ღარიბმა ქვეყნებმა უნდა უზრუნველყონ ცხოვრების ელემენტარული სტანდარტები ყველასათვის, ვიდრე დაიწყებდნენ ფიქრს მოქალაქეების პოლიტიკურ და სამოქალაქო უფლებებზე.
- უკიდურესი ეკონომიკური უთანასწორობა არის ძირითადი უფლებების დარღვევა.
- სოციალური და ეკონომიკური უფლებები გამოხატავს მომავლის იდეალს მაგრამ დღეს მსოფლიო მზად არაა მათ უზრუნველსაყოფად.
- თუკი უფლებების გარანტირება არ ხერხდება, მაშინ მათ არსებობას აზრი არა აქვს.

samsaxuri da bavSvebi

აპირებთ სამსახურის დაწყებას? მაშინ არ გააჩინოთ შვილი!

თემები სოციალური უფლებები, გენდერული თანასწორობა, დისკრიმინაცია და ქსენოფობია

სირთულე დონე 2

მონაწილეთა რაოდენობა 10 -25

ხანგრძლივობა 90 წუთი

მიმოხილვა

ეს არის როლური გათამაშება, რომელიც ეხება შემდეგ საკითხებს

- სამსახურში რეპროდუქციული უფლებები
- ქალების სამსახურებრივი დისკრიმინაცია

ქალის უფლება რეპროდუქციული არჩევანის გაკეთებისათვის

შესაბამისი უფლებები

- სამსახურიდან ორსულობის, სადეკრეტო შვებულების და ქორწინების სტატუსის საფუძვლეზე განთავისუფლებისაგან დაცვის უფლება

თანაბარი სამუშაო შესაძლებლობების და ანაზღაურების უფლება

ქალების რეპროდუქციული უფლებების შესახებ წარმოდგენის შექმნა

- მონაწილეებისათვის შესაძლებლობის მიცემა იგრძნონ რას ნიშნავს იყო დისკრიმინირებული
- თანასწორობის, სამართლიანობის და პასუხისმგებლობის განვითარება

მიზნები

დიდი ზომის ფურცელი, დაფის ფურცელი ან დაფა

- სივრცე მცირე ჯგუფების მუშაობისა და როლური გათამაშებისათვის
- დეკორაცია როლების შესრულებისათვის, მაგიდა და სკამები, პასტა და ფურცელი

გააკეთეთ სცენარის ასლი დაფაზე, დიდი ზომის ფურცელზე ან დაფის ფურცელზე

მასალა

მომზადება

ინსტრუქციები

1. განმარტეთ, რომ ეს სავარჯიშო მოიცავს როლურ გათამაშებას ქალების რეპროდუქციული უფლებების შესახებ სამსახურთან მიმართებაში. იფიქრეთ ქალების რეპროდუქციული უფლებების თემაზე, რათა მონაწილეებმა გაიაზრონ საკითხის არსი.
2. დაყავით მონაწილეები მცირე ჯგუფებად (მაქსიმუმ 5 წევრი)
3. წაიკითხეთ შემდეგი ძირითადი სცენარი როლური გათამაშებისათვის:
   "მარია თითქმის ერთი წელია უმუშევარია და მონდომებით ეძებს სამსახურს. 10 დღის წინ მან გაირა გასაუბრება მისი ოცნების სამსახურში მიღებასთან დაკავშირებით – ეს ზუსტად ის იყო რასაც

ეძებდა! ყველაფერი კარგად მიდიოდა და მას შესთავაზეს მუშაობის დაწყება. კომპანიამ სთხოვა შეხვედროდა კადრების განყოფილების თანამშრომელს ბ-ნ ვლადსტოკს კონტრაქტის გასაფორმებლად".

4. მან ინტერვიუს დროს უკვე გაარკვია თავის ყველა მოვალეობა, პასუხისმგებლობა და სხვა სამსახურთან დაკავშირებული საკითხები. ის ის იყო კონტრაქტზე ხელი უნდა მოეწერა, როდესაც ბ-ნმა ვლადსტოკმა განაცხადა კონტრაქტის ერთ-ერთი პირობა: მას წერილობითი ხელწერა უნდა მიეცა, რომ მომავალი 2 წლის განმავლობაში შვილს არ გააჩენდა".
5. მიეცით მცირე ჯგუფებს 20 წუთი ამ ისტორიის დასასრულის მოფიქრებისა და გათამაშებისათვის. სცენა უნდა დაიწყოს მარიასა და ბ-ნ ვლადსტოკს შორის შეხვედრით და არ უნდა გაგრძელდეს 5 წუთზე მეტს.
6. მოიწვიეთ თითოეული მცირე ჯგუფი თავიანთი დადგმის წარმოსადგენად. კომენტარები შემოინახეთ ანალიზისათვის.

ანალიზი და შეფასება

დაიწყეთ თითოეული მცირე ჯგუფის კომენტარების მოსმენის რაუნდით მათ მიერ დადგმული წარმოდგენების შესახებ და ასევე მოისმინეთ სხვების შეფასებები. შემდეგ ისაუბრეთ შედეგებზე და იმსჯელეთ, რა უნდა გაკეთდეს ასეთი სახის დისკრიმინაციის წინააღმდეგ.

- გააკვირვა ვინმე ამ სიტუაციამ? ხდება მსგავსი შემთხვევები თქვენს ქვეყანაში?
- როგორ მივიდნენ ჯგუფები სიტუაციის მომავალი განვითარების შესახებ გადაწყვეტილებამდე?
- იყო დასასრულის შემოთავაზებული ვარიანტები რეალისტური? რა იყო მარიას მიერ სიტუაციის ფლობის ძლიერი და სუსტი მხარეები? ასეთ სიტუაციებში რამდენად რთულია იყო დამაჯერებელი და არა აგრესიული ან მორჩილი?
- თქვენ ქვეყანაში რა სამსახურებრივი უფლებები აქვთ ქალებს ორსულობის პერიოდში?
- რატომ უნდა კომპანიას ასეთი პირობა მოახვიოს თავს მარიას? არის ეს სამართლიანი? რატომ? რატომ არა?
- იყო ადამიანის რომელიმე უფლება დარღვეული? თუ კი რომელი?
- მარია რომ კაცი ყოფილიყო მოხდებოდა თუ არა იგივე? რატომ? რატომ არა?
- რა განსხვავებაა ამ საკითხისადმი მამაკაცებისა და ქალების მიდგომაში?
- როგორ ფიქრობთ რა უნდა გაკეთდეს ქალების რეპროდუქციული უფლების დასაცავად?

რჩევები ხელმძღვანელებს

ჯგუფიდან გამომდინარე შესაძლოა მოისურვოთ მისი მცირე შერეული ან მხოლოდ ერთი სქესის (ე.ი. მხოლოდ ქალებისაგან ან კაცებისაგან) მონაწილეებისაგან შემდგარ ჯგუფებად დაყოფა. მხოლოდ ერთი სქესის მონაწილეებისაგან შემდგარი ჯგუფის არჩევა ხშირად იწვევს უფრო პროვოკაციულ დასარულს და უფრო ნაყოფიერ დისკუსიას. მონაწილეები შესაძლოა არ იცნობდნენ ტერმინს "რეპროდუქციული უფლებები" და შესაძლოა დასჭირდეთ თქვენი დახმარება სრული წარმოდგენის შესაქმნელად. ეცადეთ ალაპარაკოთ მონაწილეები შემდეგ საკითხებზე:

ღირშესანიშნავი თარიღი

15 მაისი
ოჯახების საერთაშორისო დღე

- სასურველი და სასიამოვნო სექსუალური ურთიერთობა ინფექციის ან რაიმე დაავადების გადადების შიშის გარეშე.
- შვილის გაჩენის არჩევანი
- ოჯახის დაგეგმვის სამსახურის დახმარება, რომელიც მოიცავს აბორტის შესაძლებლობას ქალებისადმი პატივსცემისა და გულთბილი დამოკიდებულების შენარჩუნებით და კონფიდენციალურობის გარანტიით.
- სექსის შესახებ განათლება

გახსოვდეთ, რომ ანალიზის ნაწილში დასმული შეკითხვა – დაირღვა თუ არა ადამიანის უფლებები – გამოიწვევს აზრთა სხვადასხვაობას აბორტისა და ქალების არჩევანის უფლებებთან მიმართებაში, განსაკუთრებით ეს ეხება აბორტს, რომელიც წინააღმდეგობაში მოდის ნაყოფის სიცოცხლის უფლებასთან. ეს ძალიან მნიშვნელოვანი თემაა და განსაკუთრებულ კავშირშია ადამიანის უფლებათა სფეროში განათლებასთან, რადგანაც ის მოითხოვს მონაწილეებისაგან გახსნილობას, სტერეოტიპების და პრეკონცეფციების უკუგდებას და კრიტიკული აზროვნების უნარჩვევების გამოყენებას. ეს ადამიანის უფლებათა შინაგანი სირთულის ძალიან კარგი ილუსტრაციაა. თუკი ეს საკითხი წამოიჭრება შეიძლება იფიქროთ მის ცალკე განხილვაზე სხვა დროს.

ვარიანტები

მონაწილეების მცირე ჯგუფებად დაყოფის ნაცვლად შესაძლოა აირჩიოთ 2 მოხალისე მარიასა და ბ-ნი ვლადსტოკის როლებისათვის, ხოლო დანარჩენები დატოვოთ დამკვირვებლებად. შემდეგ შეიგიძლიათ დროდადრო შეწყვიტოთ პრეზენტაცია და სთხოვოთ დამკვირვებლებს კომენტარი გააკეთონ და გამოიცნონ როგორ განვითარდება მოვლენები. ალტერნატიული ვარიანტი არის დამკვირვებლების და როლების შემსრულებლების მიერ ადგილების გაცვლა, მოვლენების სხვა კუთხით წარმოჩენა და შესაბამისად მათი განვითარების კურსის შეცვლა. როლების შესრულების მეთოდების შესახებ დამატებითი ინფორმაციისათვის იხ. გვ. 55, ნაწილი I.

რატომაც არ უნდა დაუმატოთ სხვა პერსონაჟები? დასაშვებია ეს იყოს მარიას ქმარი, რომელიც შეიძლება იყოს პროფკავშირების წარმომადგენელი, და სცენარმა შეიძლება გადაინაცვლოს კადრების განყოფილების ფარგლებს გარეთ.

თავისუფლად იგრძენით თავი პერსონაჟების სახელების შეცვლაში თქვენ ქვეყანაში გავრცელებული სახელებით.

წინადადებები გაგრძელებისათვის

ჯგუფმა შესაძლოა გამოიკვლიოს თქვენს ქვეყანაში რეპროდუქციული უფლებების დაცვის საკითხი. ამის შემდეგ შეუძლიათ გაესაუბრონ როგორც ქალებს ასევე მათ დამსაქმებლებს იმის შესახებ თუ როგორ მუშაობს კანონმდებლობა პრაქტიკაში. ასევე შეუძლიათ ამ სფეროში ევროპული კანონის გავლენის შესწავლა მათ ეროვნულ კანონმდებლობაზე და მათ ქვეყანაში არსებული სქესობრივი განათლების შესახებ მსჯელობა. მოიცავს ის რეპროდუქციული უფლებების ყველა ასპექტს?

თუ გსურთ სამსახურეობრივი დისკრიმინაციის სხვა ტიპების განხილვა შეგიძლიათ შეასრულოთ სავარჯიშო „განსხვავებული ხელფასები“ (გვ. 136).

იდეები მოქმედებისათვის

წამოჭერით რეპროდუქციული უფლებების საკითხები სკოლის ან ასოციაციის საბჭოში.

დამატებითი ინფორმაცია

კონვენციის – „ნებისმიერი სახის დისკრიმინაციის აღმოფხვრა ქალების წინააღმდეგ“ – როლის შესახებ

სამოქალაქო საკითხების გარდა კონვენცია ასევე დიდ ყურადღებას უთმობს ქალების ყველაზე მნიშვნელოვან საფიქრალს, კერძოდ მათ რეპროდუქციულ უფლებებს. პრეამბულა ამზადებს ნიადაგს შემდეგი განცხადებით: „ქალების როლი შთამომავლობის გაგრძელებაში არ უნდა გახდეს დისკრიმინაციის საფუძველი“. კავშირი დისკრიმინაციასა და ქალების რეპროდუქციულ როლს შორის არის კონვენციის მუდმივი ზრუნვის საგანი. მაგ. მე-5 მუხლში ის იცავს „დედობის, როგორც სოციალური ფუნქციის ადექვატურ გაგებას“ და მოითხოვს სრულ პასუხისმგებლობას ბაშვების აღზრდაზე ორივე სქესის მშობლების მიერ. შესაბამისად, დედობის დაცვა და ზრუნვა ბავშვების აღზრდაზე აღიარებულია ძირითად უფლებებად და შეტანილია კონვენციის ყველა ნაწილში, რომელიც ეხება დასაქმებას, ოჯახის შესახებ კანონს, ჯანდაცვას ან განათლებას. საზოგადოების პასუხისმგებლობა ვრცელდება სოციალური სერვისების უზრუნველყოფაზე, განსაკუთრებით საბავშო დაწესებულებებში რაც საშუალებას აძლევს ოჯახის წევრებს შეუთავსონ ოჯახური მოვალეობები სამსახურს და საზოგადოებრივ ცხოვრებაში მონაწილეობას. დედობის დასაცავად რეკომენდირებულია სპეციალური ზომების მიღება და „რომელიც არ ითვლება დისკრიმინაციულად“ (მუხლი 4). „კონვენცია ასევე აკანონებს ქალების რეპროდუქციული არჩევანის უფლებებს. უფრო ზუსტად ეს არის ადამიანის უფლებების ერთადერთი პუნქტი, რომელიც ეხება ოჯახის დაგეგმვას. ის აცხადებს, რომ მხარეები ვალდებული არიან ჩართონ ოჯახის დაგეგმარების შესახებ ინფორმაცია საგანმანათლებლო პროცესში (მუხლი 10, თ) და შეიმუშაონ საოჯახო კოდექსი, რომელიც უზრუნველყოფს ქალების უფლებას „თავისუფლად მიიღონ გადაწყვეტილება შვილების საურველი რაოდენობის და განსაზღვრონ მათ დაბადებას შორის ინტერვალები, მათთვის ხელმისაწვდომი იყოს ინფორმაცია, განათლება და საშუალებები, რომლებიც მათ დაეხმარება ამ უფლებების რეალიზებაში“ (მუხლი 16, ე).

saSinao saqmeebi

„(...) პოლიცია ყოველთვის გვიან მოდის, თუ საერთოდ მოდის“
ტრეისი ჩაპმენი

თემები
გენდერული თანასწორობა, მშვიდობა და ძალადობა, ჯანმრთელობა

სირთულე
დონე 3

მონაწილეთა რაოდენობა
6 – 30

ხანგრძლივობა
120 წუთი

მიმოხილვა
სავარჯიშო ეძღვნება საოჯახო ძალადობას, როგორც ძალადობის ყველაზე გავრცელებულ და ყველაზე ნაკლებად გახმაურებულ ფორმას.

შესაბამისი უფლებები
ძალადობისაგან, წამებისაგან და დამამცირებელი მოპყრობისაგან დაცვის უფლება
- თანასწორობისა და დისკრიმინაციისაგან დაცვის უფლება
- კანონის მიერ თანაბარი დაცულობის უფლება (ან სასამართლოებში სამართლიანი მოპყრობის უფლება)

მიზნები
ყურადღების გამახვილება საოჯახო ძალადობაზე და ქალების უფლებების დარღვევაზე
- ადამიანის უფლებათა დარღვევის ანალიზისა და მსჯელობის უნარ-ჩვევების განვითარება
- თანაგრძნობისა და თვითდაჯერებულობის გაჩენა საოჯახო ძალადობის წინააღმდეგ გამოსვლისათვის.

მასალა
დიდი ზომის ფურცლები ან დაფა და პასტები ან მარკერები ფიქრისა და ჯგუფების მუშაობისათვის.
- აირჩიეთ ქვემოთ მოყვანილი ერთი ან რამდენიმე „დანაშაულის მოწმის ჩვენება“ ან დაწერეთ თავად. გააკეთეთ საკმარისი ასლები ყველა მონაწილისათვის.
- „სახელმძღვანელო ჯგუფური დისკუსიის ჩატარებისათვის“ ასლები (ერთი თითოეული მცირე ჯგუფისათვის).

მომზადება
შეაგროვეთ ინფორმაცია არსებული ცენტრების და ორგანიზაციების შესახებ, რომლებიც აქტიურად უჭერენ მხარს საოჯახო ძალადობის მსხვერპლთ და გაარკვიეთ რა ძირითადი პრობლემებია ამ სფეროში თქვენ საზოგადოებაში ან რეგიონში.
- ყურადღებით განიხილეთ საკითხები, რომელბზეც გსურთ მუშაობა მონაწილეების პირადი გამოცდილების გათვალისწინებით.

ინსტრუქციები

1. მოამზადეთ ჯგუფი სავარჯიშოსათვის – სთხოვეთ მათ იფიქრონ თემაზე „ძალადობის ყველაზე გარცელებული ფორმები ჩვენს რეგიონში”. ჩაიწერეთ ყველაფერი, რასაც მონაწილეები იტყვიან მაგრამ ამ ეტაპზე არაფერზე იმსჯელოთ. დაფა მოათავსეთ ისეთ ადგილას, რომ ყველა კარგად დაინახოს. ”(10 წუთი)



2. სთხოვეთ მონაწილეებს დაიყონ 2-6 წევრიან ჯგუფებად. უნდა იყოს სულ მცირე 3 ჯგუფი.
3. დაარიგეთ ''დანაშაულის მოწმის ჩვენების'' ასლები. სულ 3 განსხვავებული ბარათი/შემთხვევაა, მაგრამ ერთიდაიგივე შემთხვევა შეიძლება მიეცეს ერთზე მეტ ჯგუფს. ასევე დაარიგეთ „სახელმძღვანელო ჯგუფური დისკუსიის ჩატარებისათვის" ასლები.
4. მიეცით მონაწილეებს 5 წუთი ჩვენებების წასაკითხად. ხაზი გაუსვით, რომ მათი მსჯელობა უნდა ემყარებოდეს კონკრეტულ შემთხვევებს. მონაწილეებს უნდა ესმოდეთ, რომ ამ საკითხების შესახებ მსჯელობა შეიძლება იყოს ძალიან პირადი და არავინ არ უნდა იგრძნოს რაიმე ზეწოლა რათა თქვას იმაზე მეტი ვიდრე ეს თავად სურს.
5. მიეცით მონაწილეებს 1 საათი ჯგუფური სამუშაოსათვის.
6. დასასრულს, შეიკრიბეთ პლენარულ სხდომაზე და გადადით ანალიზზე და შეფასებაზე.

ანალიზი და შეფასება

დაიწყეთ მოკლე მიმოხილვით როგორ წარიმართა ჯგუფის მუშაობა. რამდენად რეალისტური იყო დანაშაულის მოწმეთა ჩვენებები და რამდენად ცხოვრებისეული იყო სავარჯიშოში მოყვანილი სიტუაციები? თუ სხვადასხვა ჯგუფები მუშაობდნენ სხვადასხვა შემთხვევებზე მიეცით მათ საშუალება გაანალიზონ სხვადასხვა დანაშაულები. შემდეგ გადაიტანეთ საუბარი სოციალური რეალობის სფეროში.

- რამდენად გავრცელებულია საოჯახო ძალადობა თქვენ საზოგადოებაში და თქვენ ქვეყანაში ზოგადად?
- ადამიანის რომელი უფლებები ირღვევა ამ შემთხვევაში?
- რა არის საოჯახო ძალადობის მიზეზები?
- რატომ არის, რომ უფრო ხშირია კაცების ძალადობის შემთხვევები ქალების მიმართ ვიდრე პირიქით?
- როგორ შეიძლება ბოლო მოეღოს საოჯახო ძალადობას? რა უნდა /შეიძლება გაკეთონ:
  - საზოგადოებრივმა ორგანოებმა?
  - ადგილობრივმა საზოგადოებრიობამ?
  - ხალხმა?
  - მეგობრებმა და მეზობლებმა?
- შეადარეთ შედეგები და დისკუსიის დროს წამოჭრილი საკითხები სავარჯიშოს საწყის ეტაპზე შედგენილ სიას. იყო საოჯახო ძალადობა შეტანილი სიაში? თუ არა რატომ?
- ქალების წინააღმდეგ ძალადობის კიდევ რა ფორმები დაფიქსირდა დისკუსიის დროს? დაამატეთ ისინი სიას.

იკითხეთ, უნდა თუ არა ვინმეს ამ საკითხებზე დამატებით მუშაობა და გაარკვიეთ, როგორ სურთ მათ მუშაობის გაგრძელება ან ქმედების განხორციელება.

რჩევები ხელმძღვანელებს

გახსოვდეთ, განსახილველი საკითხების დელიკატურობის და ანონიმურობის უფლების შესახებ (ზოგიერთ მონაწილეს შესაძლოა ჰქონდეს საოჯახო ძალადობის პირადი გამოცდილება). გარკვევით ახსენით, რომ არავინ არ უნდა იგრძნოს ზეწოლა, რათა თქვას იმაზე მეტი ვიდრე სურს. თავისუფლად შეცვალეთ სავარჯიშო ჯგუფის შემადგენლობის მიხედვით.

ღირშესანიშნავი თარიღი

25 ნოემბერი
ქალების წინააღმდეგ ჩადენილი ძალადობის ლიკვიდაციის საერთაშორისო დღე

ამ სავარჯიშოს ეწოდება "საშინაო საქმეები", რადგანაც ქალების წინააღმდეგ ძალადობის აქტების უმრავლესობა ხდება სახლში ან პარტიორებს შორის. საოჯახო ძალადობის ერთ-ერთი ყველაზე გავრცელებული ფორმა არის ფიზიკური ძალადობა სწორედ ამიტომ იყო *"დანაშაულის მოწმეთა ჩვენებები" შერჩეული. ყველა შემთხვევა დაფუძნებულია რეალურ ამბავზე, რომელიც შეემთხვათ რეალურ მსხვერპლთ რეალური დანაშაულის პსოცესში.* შესაძლოა მოისურვოთ ზოგიერთი დეტალის შეცვლა ან ზოგიერთი კონკრეტული შემთხვევის ჩანაცვლება რათა სავარჯიშო უფრო აქტუალური გახადოთ თქვენი ჯუფისა და მონაწილეების პრობლემებისათვის.

მონაწილეების აზრი განსხვავებული იქნება ძალადობის აქტის მათეულ აღქმასთან დაკავშირებით. ქალების წინააღმდეგ ძალადობის აღმოფხვრის შესახებ დეკლარაცია, რომელიც გაეროს გენერალურმა ასამბლეამ 1993 წელს მიიღო განმარტავს ქალების წინააღმდეგ ძალადობას როგორც "გენდერული ძალადობის ნებისმიერ აქტს, რომელიც იწვევს ან შესაძლოა გამოიწვიოს ფიზიკური, სექსუალური, ფსიქოლოგიური ზიანი ან ტანჯვა ქალში, ან ამგვარი აქტებით მუქარას, ძალდატანებას ან თავისუფლების შეზღუდვას საზოგადოებრივ ან პირად ცხოვრებაში." ეს ტერმინი მოიცავს მაგრამ არ შემოიფარგლება "ფიზიკური, სექსუალური, და ფსიქოლოგიური ძალადობით, რომელსაც ადგილი აქვს ოჯახში ცემის, ოჯახში მდედრობითი სქესის ბავშვების მიმართ სექსუალური ძალადობის, მზითვთან დაკავშირებული ძალადობის, ცოლ-ქმრული გაუპატიურების, ქალის გენიტალიის დაზიანების და სხვა ქალებისათვის მტკივნეული ტრადიციული პრაქტიკების ჩათვლით; ასევე არა ცოლ-ქმრული ძალადობა და ექსპლოატაციასთან დაკავშირებული ძალადობა; ფიზიკური, სექსუალური და ფსიქოლოგიური ძალადობა, რომელსაც ადგილი აქვს ფართო საზოგადოებაში გაუპატიურების, სექსუალური ძალადობის, სექსუალური შეურაცყოფის და სამსახურში, საგანმანათლებლო ინსტიტუტში ან ნებისმიერ სხვა ადგილას დაშინების ჩათვლით; ტრეფიკინგი ქალებში ან ძალდატანებითი პროსტიტუცია, და სახელმწიფოს მიერ ჩადენილი ან დაშვებული ფიზიკური, სექსუალური და ფსიქოლოგიური ძალადობა, სადაც არ უნდა ხდებოდეს ის".

თუ გიძნელდებათ ადგილობრივი ცენტრების შესახებ ინფორმაციის მოპოვება იხ. ცენტრების მონაცემთა ბაზა ძალადობის წინააღმდეგ ევროპის საინფორმაციო ცენტრის ვებგვერდზე: www.wave-network.org

მამაკაც მონაწილეებს შესაძლოა მკვეთრი რეაქცია ჰქონდეთ სავარჯიშოზე ან რომელიმე დისკუსიაზე. მნიშვნელოვანია გახსოვდეთ, რომ სავარჯიშოს მიზანი არ არის მამაკაცებმა ან ბიჭებმა დამნაშავედ იგრძნონ თავი იმისათვის რაც სხვა მამაკაცებმა ჩაიდინეს. მაგრამ მნიშვნელოვანია აღიარება ან მსჯელობა, რომ მამაკაცები არიან პატრიარქალური ჩაგვრითი სისტემის ნაწილი და ამდენად გარკვეულ როლს ასრულებენ მასში. ამ კონტექსტში ასევე საინტერესოა ქალების წინააღმდეგ პირდაპირი ან არაპირდაპირი ძალადობის შედეგების განხილვა.

შეასაძლოა მოისურვოთ გაკვეთილის დასრულება წუთიერი დუმილით საოჯახო ძალადობის მსხვერპლთა ხსოვნის პატივსაცემად. ეს შთამბეჭდავი გზაა სავარჯიშოს დასრულებისათვის და თანაგრძნობისა და სოლიდარობის გრძნობის გაჩენისათვის.

ვარიანტები

ქალების წინააღმდეგ ძალადობის მრავალი ფორმა არსებობს. (იხ. ქვემოთ ”დამატებითი ინფორმაციის ნაწილში). შეგიძლიათ თავადვე მოიგონოთ შემთხვევები ამ საკითხის სხვა ასპექტების განხილვისათვის.

წინადადებები გაგრძელებისათვის

ჯგუფს შეუძლია დაუკავშირდეს ადგილობრივ პოლიციას და გაარკვიოს როგორ იქცევიან ისინი როდესაც ზარი შემოდის საოჯახო ძალადობასთან დაკავშირებით. კიდევ ერთი შესაძლებლობა არის უახლოეს ქალთა დახმარების ცენტრთან ან ორგანიზაციასთან დაკავშირება და მათი წარმომადგენლის მოწვევა ადგილობრივ საზოგადოებაში მომხდარ ფაქტებსა და ციფრებზე სასაუბროდ.

კიდევ ერთი თითქმის ტაბუდადებული თემა ბევრ ქვეყანაში არის სექსუალობა და განსაკუთრებით კი ჰომოსექსუალობა. თუ ჯგუფს ამ საკითხების განხილვის სურვილი აქვს შეუძლიათ გადახედონ სავარჯიშოს ”ვისაუბროთ სექსზე” (გვ. 184).

ქმედებაზე გადასვლა

დაუკავშირდით ადგილობრივ ქალთა თავშესაფარს, საინფორმაციო ცენტრს ან ორგანიზაციას, რომელიც მუშაობს ქალების უფლებებზე და გაარკვიეთ რა პრობლემები აქვთ მათ და როგორ შეგიძლიათ დაეხმაროთ.

დამატებითი ინფორმაცია

უნივერსალური გამოწვევა ადამიანის უფლებებისათვის

ქალების და ახალგაზრდა ქალების უფლებები ადამიანის უფლებების განუყოფელი და ინტეგრალური ნაწილია. მიუხედავად ამისა ეს არ ნიშნავს, რომ ისინი რაიმე თვალსაზრისით წმინდა ან ავტომატურად გარანტირებულია. პირიქით, ქალების წინააღმდეგ ძალადობა არის უზარმაზარი მასშტაბის პრობლემა. კერძოდ კი ახალგაზრდა

ქალების უფლებების დარღვევის უფრო დიდი საფრთხე არსებობს ვიდრე მამაკაცებისა. ”ქალებისა და გოგონების წინააღმდეგ ძალადობა არის ჯანმრთელობისა და ადამიანის უფლებების დაცვის უდიდესი პრობლემა. სულ ცოტა 5 –იდან 1 –ს მსოფლიოს ქალთა მოსახლეობიდან ცხოვრების გარკვეულ ეტაპზე განცდილი აქვს მამაკაცის (ების) მხრიდან ფიზიკური ან სექსუალური ძალადობა. ბევრი ქალი ორსულებისა და გოგონების ჩათვლით არის სასტიკი განმეორებითი თავდასხმების ობიექტი.

მსოფლიოს მასშტაბით გამოთვლილია, რომ ქალების წინააღმდეგ ძალადობა არის სიკვდილიანობის და რეპროდუქციული ასაკის ქალებს შორის სიკვდილიანობის ისეთივე გავრცელებული მიზეზი როგორიცაა კიბო, და ჯანმრთელობის გაუარესების უფრო დიდი მიზეზი ვიდრე საგზაო ავარიები და მალარია ერთად აღებული. ახალგაზრდა ქალების წინააღმდეგ ძალადობის პრობლემა გლობალურია და არ გააჩნია საზღვრები, ამის ნათელი მაგალითია ტრეფიკინგი. ”მსოფლიოში არ არსებობს თუნდაც ერთი ქვეყანა სადაც ქალების წინააღმდეგ ძალადობას ადგილი არა აქვს”. არ არსებობს სფერო არცერთი ქალის ცხოვრებაში, რომლეშიც ის არ მდგარა მუქარის ან ძალადობის რეალური აქტების პირისპირ. ქალების წინააღმდეგ ძალადობას არ გააჩნია გეოგრაფიული საზღვრები, ასაკობრივი შეზღუდვა, კლასობრივი მახასიათებლები, რასა, კულტურული თავისებურებები და ვლინდება სხვადასხვა ფორმებით”.

ქალების წინააღმდეგ ძალადობა ასევე არის მკვეთრად პოლიტიკური პრობლემა, რადგანაც სერიოზულ დაბრკოლებას წარმოადგენს ქალებსა და მამაკაცებს შორის თანასწორობისათვის და ამკვიდრებს უთანასწორობას[3]. ის ასევე მკვეთრად პოლიტიკურია იმ თვალსაზრისითაც, რომ უდიდეს პრობლემას უქმნის დემოკრატიას რამდენადაც როგორც ეს ევროსაბჭოს რეზოლუციაშია დაფიქსირებული "უთანასწორობა და დისბალანსი ქალებსა და მამაკაცებს შორის ადამიანის უფლებათა სფეროში არ შეესაბამება ჭეშმარიტი დემოკრატიის პრინციპებს" [4].

ძალადობა სიცოცხლის სხვადასხვა ეტაპებზე

Zaladoba qalebis winaaRmdeg sicocxlis ganmavlobaSi

ფაზა	*ძალადობის ტიპი*
დაბადების წინა პერიოდი	სექს-სელექტიური აბორტი; ბავშვის დაბადებაზე ორსულობის პერიოდში ცემის შედეგები
ადრეული ასაკი	მდედრობითი სქესის ბავშვების მოკვლა, ფიზიკური, სექსუალური და ფსიქოლოგიური ძალადობა;
ბავშვობა	ბავშვების ქორწინება; ქალის გენიტალიის დაზიანება, ფიზიკური, სექსუალური და ფსიქოლოგიური ძალადობა, ინცესტი; ბავშვთა პროსტიტუცია და პორნოგრაფია
მოზრდილობა და ზრდასრულობის პერიოდი	ძალადობა პაემანზე (მაგ. მჟავას შესხმა და პაემანის დროს გაუპატიურება), სექსი ეკონომიკური წნეხის ქვეშ (მაგ. სკოლის მოსწავლე გოგონების სექსი „მაგარ ბიძებთან" სწავლის საფასურის გადახდის სანაცვლოდ); ინცესტი, სექსუალური ძალადობა სამსახურში; გაუპატიურება; სექსუალური ძალადობა; ძალდატანებითი პროსტიტუცია და პორნოგრაფია; ტრეფიკინგი ქალებით; პარტნიორული ძალადობა; ცოლ-ქმრული გაუპატიურება; მზითვთან დაკავშირებული ძალადობა და მკვლელობა; პარტნიორული მკვლელობა; ფსიქოლოგიური ძალადობა; ინვალიდი ქალების მიმართ სასტიკი მოპყრობა; ძალდატანებითი ორსულობა
მოხუცებულობა	ქვრივების ძალდატანებითი სუიციდი ან მკვლელობა ეკონომიკური მიზეზების გამო, სექსუალური, ფიზიკური და ფსიქოლოგიური ძალადობა.

ინფორმაციის წყარო: ქალების წინააღმდეგ ძალადობის საინფორმაციო პაკეტი – მსოფლიოს ჯანდაცვის ორგანიზაცია, 1997

ზოგიერთი ციფრი პრობლემის მასშტაბის ასახვისათვის

ქალების წინააღმდეგ ძალადობის, განსაკუთრებით კი საოჯახო ძალადობის ამსახველი ციფრები შეიძლება განმაცვიფრებელი იყოს ამ პრობლემის მასშტაბური და საყოველთაო ხასიათიდან, ასევე მისი მოჩვენებითი შეუმჩნევლობიდან გამომდინარე. ევროპაში ყოველდღიურად 5-დან 1 ქალია ძალადობის მსხვერპლი. ევროპაში ყოველწლიურად უფრო მეტი ქალი იღუპება ან სერიოზულად ზიანდება საოჯახო ძალადობის შედეგად ვიდრე კიბოს ან საგზაო შემთხვევების შედეგად[5]. ყოველ წელს 14, 500 რუსი ქალი იღუპება საოჯახო ძალადობის შედეგად[6].

1999 წელს ევროპის ქალთა ლობის მიერ საოჯახო ძალადობის შესახებ ჩატარებულმა გამოკვლევამ ცხადყო, რომ ევროკავშირში 4-დან 1 ქალი განიცდის ძალადობას რაიმე ფორმით პარტნიორის მხრიდან. ძალადობის ყველა აქტის 95%-ს ადგილი აქვს ოჯახში. ფინეთში ჩატარებულმა კვლევამ (1998) აჩვენა რომ ზრდასრული ქალების 52% იყო ძალადობის ან ფიზიკური ან სექსუალური მუქარის მსხვერპლი 15 წლიდან და რომ 20% ბოლო წლის განმავლობაში მოხდა. პორტუგალიაში ჩატარებულმა გამოკვლევამ (1997) გამოააშკარავა, რომ დიდი ქალაქების გარეუბნებში მცხოვრები ქალების 53.3%, ქალაქში მცხოვრები ქალების 55.4% და სოფელში მცხოვრები ქალების 37.9% იყო ძალადობის მსხვერპლი.

ძალადობის აქტების 43% მოხდა ოჯახში. ბელგიაში ჩატარებულმა კვლევამ (1998) კი აჩვენა რომ ქალების 68% ფიზიკური და სექსუალური ძალადობის მსხვერპლი იყო.

საოჯახო ძალადობა

ქალების უფლებების დარღვევა არ ხდება მხოლოდ ომის დროს. ეს პირველ რიგში ხდება სახლში. „სწორედ ძალადობის პირადული ხასიათი ხდის ჩარევას და ქმედებას ასე რთულს“.[8]

კვლევები მუდმივად ადასტურებს, რომ ქალები უფრო მეტად ხდებიან დაზიანების, გაუპატიურების, ან მკვლელობის მსხვერპლი ახლანდელი ან ყოფილი პარტნიორების მხრიდან ვიდრე ნებისმიერი სხვა პიროვნება[9]. საოჯახო ძალადობა გავლენას ახდენს არა მხოლოდ ქალზე, არამედ ბავშვებზეც, განსაკუთრებით მაღალი შემთხვევებია გოგონებში და ახალგაზრდა ქალებში.

უტყვი მოწმეების გამოფენა

ეს სავარჯიშო ინსპირირებული იყო საოჯახო ძალადობის თემისათვის მიძღვნილი გამოფენით და ქალების მკვლელობით, რომელიც განიხილებოდა ევროპის ახალგაზრდულ ცენტრში ბუდაპეშტში NANE-ს ქალთა უფლებების ასოციაციის მიერ (ბუდაპეშტი, უნგრეთი) მათ შორის იყო ესტერის და კატის ისტორიები. გამოფენა მიზნად ისახავდა მოსახლეობის ინფორმირებას საოჯახო ძალადობის მასშტაბებისა და სისასტიკის და მკვლელობის შესახებ, რომელზეც მოკლული ქალები - „უტყვი მოწმეები“ მოგვითხრობდნენ.

უტყვი მოწმეების იდეა დაიბადა მინესოტაში, აშშ, ამჟამად მთელი ქვეყნის მასშტაბით არის გავრცელებული და წარმოადგენს იმ მოძრაობის ნაწილს, რომელიც მიზნად ისახავს საშინაო მკვლელობის დასრულებას 2010 წლისათვის. უტყვი მოწმეების გამოფენის მოწყობა შეიძლება იყოს ძალიან პრაქტიკული და ეფექტური გზა თქვენს საზოგადოებაში, ქალაქში ან რეგიონში საოჯახო ძალადობის პრობლემასთან საბრძოლველად. არსებობს წიგნები თუ როგორ უნდა იპოვოთ მოწმეები და როგორ მოაწყოთ გამოფენა, მაგ. წიგნი სახელწოდებით „შედეგები“, რომელიც მოგვითხრობს აშშ-ში კამპანიის პირველ წლებზე და მოჰყავს მთელი რიგი ისტორიები, რომლებიც შეიძლება მაგალითად იქნას გამოყენებული. მისი ვებგვერდის მისამართია: www.silentwitness.net. ის ასევე იძლევა იმ საერთაშორისო ორგანიზაციების ვრცელ სიას, რომლებმაც უკვე მოაწყვეს ასეთი გამოფენები.

შენიშვნა: კატისა და ესტერის შემთხვევები მოთხრობილია კრისტინ მორვაის მიერ წიგნში „ტერორი ოჯახში – ცოლის ცემა და კანონი“. კოშუტ კიადო, ბუდაპეშტი, 1998.

დამატებითი წყაროები ინტერნეტში:

ქალები ძალადობის წინააღმდეგ ევროპაში ქსელის ვებგვერდი: www.wave-network.org

ევროპული ქალთა ლობი: www.womenlobby.org სადაც ასევე შეგიძლიათ შეუკვეთოთ მოხსენება ”დაფარული მონაცემების გამოაშკარავება საოჯახო ძალადობის შესახებ ევროკავშირში”

კამპანია „თეთრი ლენტი“ – ”კაცების უდიდესი ძალისხმევა წერტილი დაესვას კაცების ძალადობას ქალების წინააღმდეგ”. www.whiteribbon.ca

ევროპრო-ფემ, ევროპის პრო ფემინისტური კაცების ქსელი არის მამაკაცების მიერ დაარსებული ორგანიზაციების და პროექტების ქსელი, რომელიც ეხება მამაკაცების დომინირებას, ძალადობას და ჩაგვრას ქალების წინააღმდეგ www.europefem.org

ბევრი სტატისტიკური მონაცემი აღებულია ინგრიდ რამბერგის მოხსენებიდან ”ძალადობა ახალგაზრდა ქალების წინააღმდეგ ევროპაში”. ევროსაბჭო, 2001 – იხ. ვებგვერდზე www.coe.int/hre.

[1] *ევროპის ქალთა ლობი*
[2] *საინფორმაციო პაკეტი „ქალების წინააღმდეგ ძალადობა“ – მსოფლიოს ჯანდაცვის ორგანიზაცია, 1997* www.who.int
[3] *ფაქტების ფურცელი. “ძალადობა ქალების წინააღმდეგ“. აქცია განხორციელებულია ევროსაბჭოს მიერ. თანასწორობის განყოფილება მამაკაცებსა და ქალებს შორის, II, ევროსაბჭო 2001*
[4] *რეზოლუცია 1216 (2000) მოღვაწეობა გაეროს 4-ე საერთაშორისო კონფერენციის შემდეგ ქალების მდგომარეობის შესახებ (პეკინი 1995). ევროსაბჭოს საპარლამენტო ასამბლეა*
[5] *რეკომენდაცია 1450 (2000) ძალადობა ქალების წინააღმდეგ ევროპაში. ევროსაბჭოს საპარლამენტო ასამბლეა*
[6] *იუნისეფის მოხსენება გარდამავალ ქვეყნებში ქალების მდგომარეობის შესახებ, 1999 წ. სექტემბერი*
[7] *ევროპის ქალთა ლობი*
[8] *საოჯახო ძალადობის ლიკვიდაცია: ქმედებები და ზომები. ბუქარესტის (რუმინეთი) ფორუმის შედეგები, 26 -28 ნოემბერი, 1998. მამაკაცებსა და ქალებს შორის თანასწორობის მაკოორდინებელი კომიტეტი (/ ჩ (99) 1) ევროსაბჭოს 2000, გვ 13*

dasarigebeli masala

მოწმის ჩვენების ოქმი 1

ესთერი

1995 წლის ნოემბერში ესტერის ქმარი სახლში მსუბუქად ნასვამი დაბრუნდა და აღმოაჩინა, რომ ესტერი და მათი ქალიშვილი ამ დროს მეზობელთან იყვნენ. მან უბრძანა ორივეს დაუყოვნებლივ დაბრუნებულიყვნენ სახლში. როდესაც ისინი შემოვიდნენ ოთახის კარი ჩაკეტა და ქალიშვილს უთხრა: "სალაპარაკო მაქვს დედეშენთან". აიღო ნაჯახი, ცოცხი და დანა.

დაიწყო კამათი თავის ცოლთან და ჩხუბი, რომ მას არ ქონდა სარეცხი დარეცხილი, საჭმელი მომზადებული და სხვა საშინაო საქმეები გაკეთებული. მთელი ამ დროის განმავლობაში სცემდა ცოლს, მუშტებს ურტყამდა სახეში და თავში, ბლუჯად აგლიჯავდა თმებს და წიხლებს ურტყამდა. შემდეგ წელს ზემოთ შემოაგლიჯა ტანსაცმელი და საწოლზე დააგდო რათა კიდევ გაეგრძელებინა მისი ცემა.

ეს ყველაფერი მოხდა მათი 8 წლის გოგონას თვალწინ, რომელიც ევედრებოდა მამას შეჩერებულიყო. ის მართლაც გაჩერდა. გადააგდო ესტერი საწოლიდან და დაიძინა.

იმ ღამეს ესტერი გარდაიცვალა.

მოწმის ჩვენების ოქმი 2

კატი

კატი ცდილობდა თავი დაეღწია თავის საქმროს, რომელიც თანდათან აგრესიული ხდებოდა. მან იპოვა ბინა სხვა ქალაქში, მაგრამ ის კვლავ აგრძელებდა კატისთვის რეკვას და მუქარას. კატის მენტალური მდგომარეობა გაუარესდა.

ერთ დღეს საქმრომ მიაკითხა სამსახურის შემდეგ, რათა იძულებიტ დაებრუნებინა უკან. მან წაიყვანა კატი ახლომდებარე ტყეში სადაც ცდილობდა დაეხრჩო პულოვერით. შემდეგ დღეს კატიმ უთხრა თავის კოლეგებს, რომ ეშინოდა ერთ დღეს საქმრო მართლაც დაახრჩობდა მას.

4 დღის შემდეგ საქმრომ ცოტა დალია. კვლავ მიაკითხა სამსახურის შემდეგ კატის და როდესაც გამოვიდა ცემა დაუწყო. საღამოს გადაწყვიტა რომ ნათესავებთან უნდა წასულიყვნენ სტუმრად. გზად მანქანა რამდენჯერმე გააჩერეს. კატიმ როცა დაინახა რა დღეშიც იყო, დათანხმდა სექსზე მაგრამ ის მეტისმეტად მთვრალი იყო.

კატიმ უთხრა საქმროს, რომ აღარ აინტერესებდა ის. რამაც ძალიან გააბრაზა. მოიხსნა გრძელი ტყავის ქამარი და დაახრჩო.

შემდეგ გადაათრია გვამი ორმოში და ხეების ტოტებით გადაფარა.

მოწმის ჩვენების ოქმი 1

Z

Z არის ქალი, რომელიც თქვენ უბანში ცხოვრობს; ის გათხოვილია და 2 პატარა შვილი ჰყავს. ზოგჯერ მისი ქმარი ბრაზდება და ცემს მას, უმეტესად ხელებით და მუშტებით. მაგრამ ამ ბოლო დროს ქმრის და იატაკის საწმენდი ჯოხის გამოყენებაზეც გადავიდა. 2 თვის წინ ბოთლი გადაამტვრია თავზე. Z-ს უნდა წავიდეს სახლიდან, მაგრამ ქმარი ემუქრება რომ მოკლავს თუ „ამას გაიფიქრებს მაინც". მას 2 პატარა ბიჭი ჰყავს და საშინელ შიშს გვრის იმაზე ფიქრიც კი, რომ შეიძლება მათი დატოვება მოუხდეს.

გუშინ ადგილობრივ საავადმყოფოს მიაკითხა გატეხილი ცხვირის და ჩალურჯებების გამო, რომლის მიზეზადაც მან კიბიდან ჩამოვარდნა დაასახელა.

სახელმძღვანელო ჯგუფური დისკუსიისათვის

I დანაშაულის ანალიზი (20 წუთი)

1. რას ფიქრობთ ამ კონკრეტულ დანაშაულზე?
2. სად შეიძლებოდა ეს დანაშაული მომხდარიყო? შეიძლებოდა ეს ყოფილიყო თქვენი უბანი?
3. რატომ მოხდა დანაშაული?
4. არსებობს რაიმე გამართლება ასეთი დანაშაულისათვის?
5. როგორ შეეძლო მსხვერპლს თავის დაცვა?

II – სოციალურ რეალობაში გადატანა (40 წუთი)

1. იცით ან გსმენიათ რაიმე საოჯახო ძალადობის შესახებ ამ ბოლო დროს?
2. რა ფორმებს იღებს საოჯახო ძალადობა ჩვენს საზოგადოებაში?
3. რა უნდა გააკეთოს მსხვერპლმა თუ მას დახმარება ესაჭიროება?
4. უნდა ჩაერიოს თუ არა პოლიცია თუ გაიგებენ ასეთი ძალადობის შესახებ თუ ეს არის საშინაო საქმეებში ჩარევა და მათ უმჯობესია "დრო მისცენ ჭრილობების მოშუშებისათვის"?
5. რა არის ქალის ძალა ასეთ შემთხვევებში? კაცის?
6. იცით ისეთი საოჯახო ძალადობის შემთხვევები, როდესაც მსხვერპლი მამაკაცია?
7. როგორ უნდა აღმოიფხვრას და შეწყდეს საოჯახო ძალადობა?
8. რა უნდა/შეიძლება გაკეთოს:
   - სახელმწიფო ორგანოებმა?
   - ადგილობრივმა ორგანოებმა?
   - ხალხმა?
   - მეგობრებმა და მეზობლებმა?

saxarjo fuli

ომის დროს ბომბებს პური ჯობია

თემები ადამიანის პიროვნული უსაფრთხოება, მშვიდობა და ძალადობა, ადამიანის ზოგადი უფლებები.

სირთულე დონე 2

მონაწილეთა რაოდენობა ნებისმიერი

ხანგრძლივობა 90 წუთი

მიმოხილვა ამ სავარჯიშოში მცირე ჯგუფები იყენებენ სახარჯო ბარათებს ოჯახის ბიუჯეტის განხილვის და შედგენის მიზნით. განხილული საკითხები მოიცავს:

- ზღვარი „სურვილებსა“ და „საჭიროებებს“ შორის
- სახელმწიფო ხარჯები და მილიტარიზაცია
- შესაძლებლობები რომლებიც „მშვიდობის დივიდენდებიდან“ შეიძლება გამოინახოს

შესაბამისი უფლებები სოციალური და ეკონომიკური უფლებები როგორიცაა ჯანმრთელობა, კვება და განათლება.

- ჯანმრთელ და სუფთა გარემოში ცხოვრების უფლება.
- პიროვნული უსაფრთხოების უფლება

მიზნები პირად და ოჯახის მოთხოვნილებებზე საუბარი, და პრიორიტეტების მიხედვით მათი განსაზღვრა

- დემოკრატიული გადაწყვეტილების მიღების უნარ-ჩვევების განვითარება
- სამართლიანობისა და პასუხისმგებლობის გრძნობის დამკვიდრება

მასალა „სახარჯო ბარათის“ ასლები (ერთი კომპლექტი თითო ჯგუფისათვის)

- კონვერტები ერთი თითო ჯგუფისათვის
- მაკრატელი
- დასაწებელი ლენტი ან წებო კედლის ცხრილებზე ბარათების მისაკრავად (ერთი თითო ჯგუფისათვის)
- დიდი ზომის ფურცლები (3) ან დაფა კედლის ცხრილების გასაკეთებლად (ერთი ფურცელი თითო ჯგუფისათვის)

მომზადება მშობლის როლური ბარათის 1 ასლი
ცხრილი 3 –ის ასლი
გააკეთეთ სახარჯო სიის ასლი. დაჭერით ისინი „სახარჯო ბარათებად“ და ჩაწყვეთ კონვერტებში. თითოეული ჯგუფისთვის დაგჭირდებათ ბარათების ერთი კომპლექტი.

- გააკეთეთ მსოფლიო შეიარაღებაზე დანახარჯების ცხრილის და მისი ალტერნატიული ვარიანტის ასლები 421 გვ-ზე (თავი 5) დიდი ზომის ფურცელზე ან ეკრანზე, ან გააკეთეთ თითო ასლი ყველა მონაწილისათვის.
- მოაწყვეთ ოთახი ისე, რომ მონაწილეებს შეეძლოთ მცირე ჯგუფებში მუშაობა.

სავარჯიშოს დაწყებამდე შეუმჩნევლად აირჩიეთ ერთი მონაწილე, რომელიც შეასრულებს „განსაკუთრებული მშობლის“ როლს ერთ-ერთ ოჯახში. უთხარით მას შეინახოს ეს „საიდუმლოდ“ და მიეცით „მშობლის ბარათი-როლის“ ასლი. ერთ ჯგუფში/ოჯახში უნდა იყოს მხოლოდ ერთი „განსაკუთრებული მშობელი“ ჯგუფის წევრების რაოდენობის მიუხედავად.

- გააკეთეთ ეკრანზე გამოსახული მონაცემთა ცხრილების ასლები ან სლაიდები, რომლის გამოყენებაც შეიძლება მოისურვოთ.

ინსტრუქციები:

1. განმარტეთ, რომ მონაწილეებმა უნდა იმუშაონ მცირე ჯგუფებში, რომლებიც სხვადასხვა ოჯახებს წარმოადგენენ. თითოეული ოჯახის მიზანი არის მომავალი თვისათვის მათი ხარჯების ბიუჯეტის შედგენა.
2. დაყავით მონაწილეები მცირე ჯგუფებად (სასურველია თითოეულ ჯგუფში იყოს არა უმეტეს 5 წევრისა). ყოველი ჯგუფში უნდა იყოს მამა, დედა და ბავშვი(ები). სთხოვეთ მონაწილეებს შეთანხმდნენ ვინ რა როლს შეასრულებს და შემდეგ ერთად მოიფიქრონ ოჯახის გვარი.
3. ყველა ჯგუფს მიეცით თითო კონვერტი, რომელიც შეიცავს სახარჯო ბარათს და ერთი დიდი ზომის ფურცელი
4. განმარტეთ, რომ სახარჯო ბარათებზე წარმოდგენილია ის პუნქტები, რომლებიც განხილულ უნდა იქნას მომავალი თვის ბიუჯეტის შედგენის დროს. განხილული უნდა იქნას მხოლოდ ეს პუნქტები. მათი ფასი მითითებულია ყველა ბარათზე და შეცვლა არ შეიძლება.
5. მათი ბიუჯეტი არის 10 000 (ათი ათასი) ასე რომ თითოეულ ოჯახს მოუხდება აირჩიოს რა უნდა შეიტანონ და გამორიცხონ ბიუჯეტიდან
6. განმარტეთ, რომ ბიუჯეტი სასურველია შეთანხმებული იქნას დემოკრატიული კონსულტაციების გზით და რომ მათ უნდა მიამაგრონ არჩეული სახარჯო ბარათები დიდი ზომის ფურცლებზე რათა საბოლოოდ შეიქმნას კედლის ცხრილი.
7. ჯგუფებს 20 წუთი აქვთ გადაწყვეტილების მისაღებად და თავიანთი კედლის ცხრილების მოსამზადებლად.
8. მიეცით მონაწილეებს 10 წუთი სხვადასხვა ბიუჯეტების დათვალიერებისათვის და მოფიქრებისათვის თუ რომელი ოჯახის ბიუჯეტია ყველაზე მისაღები და რომლის ყველაზე ნაკლებად მისაღები.
9. შეიკრიბეთ პლენარულ სხდომაზე და დაიწყეთ გაანალიზება.

ანალიზი და შეფასება

სთხოვეთ თითოეულ ჯგუფს რიგ-რიგობით გააკეთონ კომენტარები სავარჯიშოს შესახებ. შემდეგ გამოიყენეთ შემდეგი შეკითხვები დისკუსიის გაგრძელებისათვის:

- როგორ მიიღეს ოჯახებმა გადაწყვეტილება ბიუჯეტთან დაკავშირებით? იყო ეს დემოკრატიული?
- რა კრიტერიუმებს საფუძველზე იღებდნენ გადაწყვეტილებებს?
- როგორ შეუთანხმეს ჩაცმის, საკვების და საცხოვრებლის მოთხოვნილებები უსაფრთხოების მოთხოვნილებას და დასვენების სურვილს? რომელ სოციალურ და ეკონომიკურ ფაქტორებს იღებდნენ მხედველობაში?
- რა სოციალური და ეკონომიკური ფაქტორები იყო მნიშვნელოვანი?

- როგორი შეგრძნება ჰქონდათ მონაწილეებს როდესაც პუნქტი, რომელიც მათ მნიშვნელოვნად მიაჩნდათ დანარჩენების მიერ გამოირიცხა ბიუჯეტიდან?
- რომელი ბიუჯეტი იყო ყველაზე მისაღები და რომელი ყველაზე ნაკლებად მისაღები? რატომ?
- არსებობს პარალელები ოჯახის ბიუჯეტსა და მსოფლიოს სახელმწიფოების ბიუჯეტებს შორის? შეიძლება მათი შედარება?
- რომელი სია არის ყველაზე ახლოს სახელმწიფოს ბიუჯეტთან?
- იდეალურ შემთხვევაში რომელი სიები ასახავს სახელმწიფო ბიუჯეტს?

ახლა აჩვენეთ ჯგუფს ცხრილი "მსოფლიოს მილიტარიზაციის ხარჯები და მისი ალტერნატივა".

- რას ფიქრობენ მონაწილეები რეალური სრული ბიუჯეტის შესახებ რომელიც გათვლილია სამხედრო მოწყობილობებზე, შეიარაღებაზე, და სხვა სამხედრო მიმართულებებზე?
- რატომ ხარჯავენ სახელმწიფოები მთელ მსოფლიოში ამდენს შეიარაღებაზე?
- არის ეს ხარჯები გამართლებული? ამის საფუძველზე გახდა მსოფლიო უფრო უსაფრთხო და მშვიდობიანი ადგილი?
- რა გავლენა აქვს ბიუჯეტის ასეთ განაწილებას ხალხის სოციალური და ეკონომიკურ უფლებებზე? გარემოზე?
- როგორ შეგვიძლია სიტუაციის შეცვლა? სმენია ვინმეს რაიმე "სამხედრო კონვერსიაზე" ან "დემილიტარიზაციის ფონდზე?" თუ არა როგორ ფიქრობთ რატომ არის ასეთი მწირი ინფორმაცია ახალ ამბებში მათ შესახებ?

რჩევები ხელმძღვანელებს

ოჯახის ტრადიციული გაგება განსხვავებულია სხვადასხვა ქვეყნებში. ამიტომაც მიეცით მონაწილეებს საშუალება ჩართონ ოჯახში ბებიები და ბაბუები ან სხვა ნათესავები თუ საჭიროდ მიაჩნიათ.

"განსაკუთრებული მშობლის" არსებობას 2-მაგი დანიშნულება აქვს: პირველი დისკუსიის სტიმულირება განსაკუთრებით იმ ქვეყნებში სადაც დემოკრატიის ტრადიცია ძლიერია და მეორე – მრავალფეროვნების უზრუნველყოფა, რათა შესაძლებელი გახდეს ბიუჯეტების შედარება და განხილვა. უნდა გახსოვდეთ, რომ "ოჯახის სხვა წევრები" შეიძლება განაწყენდნენ ან გაბრაზდნენ კიდეც მშობლის დამოკიდებულების გამო. მათი დაბნევა შეიძლება იმანაც გამოიწვიოს, რომ მათ არ იციან, რომ ეს გათამაშება როლის მიხედვით ხდება! წინასწარ უნდა მოემზადოთ ფაქტისათვის, რომ შესაძლოა ჯგუფში შეიქმნას პრობლემები, რომლებიც მოითხოვს თქვენ ჩარევას. ეცადეთ ჯგუფმა ისე გააგრძელოს თამაში, რომ ბოლომდე ვერ მიხვდნენ "განსაკუთრებული" პერსონაჟის არსებობას. ამავე დროს თუ ფიქრობთ, რომ ეს როლი ქმნის ძალიან ბევრ სირთულეს ან ვერ მოერგება თქვენ სიტუაციას მაშინ გამოტოვეთ ის სავარჯიშოდან.

თავისუფლად მოახდინეთ სახარჯო სიის ადაპტირება თუ ხედავთ, რომ არ ასახავს ოჯახურ რეალობას თქვენს რეგიონში ან ქვეყანაში. თუმცა აუცილებლად ჩართეთ ზოგიერთი "უსაფრთხოების" და „ფუფუნების" ნივთები, ისე რომ მონაწილეებს მოუხდეთ არჩევანის გაკეთება აუცილებლად და ნაკლებად საჭირო ნივთებს შორის

ვარიანტები

ბარათების გამოყენების ალტერნატივა არის უბრალოდ ფურცლის გამოყენება სიის სახით და სთხოვეთ ოჯახებს/ჯგუფებს აღნიშნონ თავიანთი არჩევანი. ასეთ შემთხვევაში სთხოვეთ ოჯახებს/ჯგუფებს ჩამოწერონ თავიანთი ბიუჯეტი დიდი ზომის ფურცელზე, რომელიც ყველასათვის დასანახად უნდა იყოს გამოტანილი.

წინადადებები გაგრძელებისათვის

ჯგუფმა შეიძლება გარკვეული დადებითი ცვლილებების ძიება დაიწყოს მაგ. დემილიტარიზაციის ფონდის შექმნა, ან განთავსება იმ ქვეყნებში, რომლებსაც არ გააჩნიათ ჯარები და სამხედრო შეიარაღება (როგორიცაა კოსტა რიკა).

თუ მოისურვებთ ომის შედეგების, განსაკუთრებით კი ლტოლვილების პრობლემის განხილვას, შეიძლება დაგაინტერესოთ სავარჯიშომ "შეიძლება შემოვიდე" (გვ. 308).

იდეები მოქმედებისათვის

რატომაც არ უნდა იმსჯელოთ დემილიტარიზაციის საკითხებზე? რაც უფრო მეტი ადამიანი იქნება პრობლემის შესახებ ინფორმირებული, მით უფრო მეტი შეძლებს მთავრობაზე ზეწოლის მოხდენას ცვლილებების განხორციელების მიზნით. გაარკვიეთ თქვენი ქვეყნის ბიუჯეტის რა ნაწილი იხარჯება სამხედრო და სოციალურ საჭიროებებზე. ჯგუფს შეუძლია მისწეროს თავისი ქვეყნის პარლამენტის დეპუტატებს და მოსთხოვოს მათ ცვლილებების განხორციელება.

ასევე არსებობს უამრავი შესაძლებლობა შეუერთდეთ ბევრ დემილიტარიზაციის კამპანიას, რომლებიც ეწყობა მთელი მსოფლიოს მასშტაბით, როგორიცაა ახალგაზრდული და სტუდენტური კამპანია ბირთვული განიარაღებისათვის (http://youthstudentend.org.uk) და Pax Cristi International (www.paxchristi.net). ან თავად წამოიწყეთ კამპანია თქვენსავე ჯგუფში და რესურსად გამოიყენეთ ზემოთ ჩამოთვლილი ორგანიზაციების მსგავსნი.

დამატებითი ინფორმაცია

საერთაშორისო შეიარაღების ინდუსტრია სერიოზულ ზიანს აყენებს ადამიანის პიროვნულ უსაფრთხოებას, რადგანაც ძირითადი ყურადღება და შესაბამისად რესურსები გადააქვს ადამიანის ძირითადი უფლებებიდან. მთავარი არგუმენტი, სამხედრო სფეროზე რესურსების გამოყოფის დასაბუთებისთვის არის სახელმწიფოს ტერიტორიისა და მოსახლეობის უსაფრთხოების დაცვა. მაგრამ არიან ადამიანები ნამდვილად დაცულნი თუკი ვერ ღებულობენ განათლებას, ჯანმრთელობის დაცვის მომსახურებას და საკვებს? ასახავს სამხედრო დანახარჯები მოსახლეობის ინტერესებს თუ მხოლოდ სახელმწიფოს ინტერესებს?

კიდევ ერთი დამატებითი პრობლემა არის ის, რომ სახელმწიფოს ინვესტიცია მის უსაფრთხოებაში (და როგორც ამტკიცებენ ხალხის უსაფრთხოებაში) არის მანკიერი წრე. ყველა სახელმწიფო ცდილობს ჰქონდეს უკეთესი და უკეთესი შეიარაღება სხვა ქვეყნების სამხედრო ძალისათვის გადასაჭარბებლად. ამას "იარაღის კროსსაც" ეძახიან.

ცივი ომის დასრულების შემდეგ 10 წლიანი პერიოდის განმავლობაში ხდებოდა სამხედრო დანახარჯების შემცირება. რადგან დემილიტარიზაციის პროცესის შესაბამისად სახელმწიფო პოლიტიკას უნდა უზრუნველეყო "მშვიდობის დივიდენდის" ანუ სამხედრო ბიუჯეტიდან დაზოგილი ფულის გამოყენება პიროვნულ უსაფრთხოებაზე, მაგ. განათლებაზე ან ჯანდაცვაზე გამოყოფილი ბიუჯეტის გაზრდა. რეალურად კი ეს იშვიათად თუ მოხდა სადმე რადგანაც

ღირშესანიშნავი თარიღი

სექტემბრის მეორე კვირის სამშაბათი
მშვიდობის დღე

"მშვიდობის დივიდენდის" უმეტესი ნაწილი დაიხარჯა ეროვნული ვალის შემცირებაზე.

ამჟამად სამხედრო ხარჯები კვლავ იზრდება, დაწყებული 1999 წლიდან და გაგრძელდა 2000 წელსაც. ეს პარადოქსული ჩანს, რადგანაც უსაფრთხოება მსოფლიოს ბევრ ქვეყანაში მნიშვნელოვნად გაუმჯობესდა. ალბათ მიზეზი ის არის, რომ ქვეყნებმა, რომლებიც უზარმაზარ თანხებს ხარჯავდნენ თავდაცვისათვის მიიღეს ან გამოაცხადეს თავდაცვის პროგრამები მზარდი ბიუჯეტით.

მშვიდობის აქტივისტები და კამპანიის მონაწილეები ათწლეულების განმავლობაში ამტკიცებენ, რომ სასიცოცხლო მნიშვნელობა აქვს სამხედრო პროგრამების ტრანსფორმირებას სამოქალაქო სფეროში. მათ მიერ მოყვანილია მთელი რიგი მიზეზები:

- თავისთავად შეიარაღების ინდუსტრიის ამორალობა და მისი დესტრუქციული შესაძლებლობები
- იარაღის გავრცელების მზარდი საშიშროება
- შეიარაღების ინდუსტრიის უუნარობა აკონტროლოს საკუთარი ნაწარმი და მისი პროდუქციის გამოყენებების შესაძლებლოები
- ინდუსტრიის მემკვიდრული მფლანგველობის თვისება და რესურსებისა და სამეცნიერო კადრების არასწორად გამოყენების სკანდალური შემთხვევები, ასევე
- პოტენციალი, რომელსაც კონვერსია გამოათავისუფლებდა

მე-5 თავში მშვიდობისა და ძალადობის შესახებ ძირითადი ინფორმაციაში გვ-418 მოყვანილია სტატისტიკური მონაცემები და ცხრილები, რომლებიც აქტუალურია ამ სავარჯიშოსთვის.

dasarigebeli masala

სახარჯო ბარათები

საკვები (2 000)	სწავლის (სკოლის/უნივერსიტეტის) გადასახადი (2 000)	საოჯახო სამედიცინო დაზღვევა (1 000)
ახალი მანქანა (4 000)	სპორტული დარბაზის ყოველთვიური გადასახადი (300)	თოჯინები და თამაშები (200)
კომპიუტერი (800)	ლატარია (100)	სახლის შეკეთება (400)
სიგნალიზაცია (1 500)	ტანსაცმელი (400)	ცხოველების საკვები (100)
წყლის გადასახადი (200)	გაწვრთნილი ძაღლი დაცვისათვის (400)	მედიკამენტები (300)
ტრანსპორტი (ბენზინი, ავტობუსის და მატარებლის ბილეთის ხარჯები) (400)	ქირა ან იპოთეკური გადასახადი (2 500)	დაბადების დღის საჩუქარი დედისათვის (400)
სარეცხი მანქანის შეკეთება (200)	სასკოლო/საუნივერსიტეტო სახელმძღვანელოები ერთი თვისათვის (300)	პირადი იარაღი (400)
სათევზაო მოწყობილობა (200)	ახალი ელექტრონული მოწყობილობები სახლისათვის (100)	ელექტროენერგიის გადასახადი (200)
გასაშლელი სკამის ახალი მოდელი (700)	თავდაცვის კურსი დედისა და ქალიშვილისათვის (ებისათვის) (300)	თავისუფალი დროის გატარება (კინო თეატრი, გასართობი პარკი) (200)
მანქანის სიგნალიზაცია (300)	გამოსასვლელი დღეები სანაპირო სახლში (400)	პირადი დაცვის მოწყობილობა (მაგ. ცრემლსადენი გაზი და შოკი) (100)
ოჯახური სადილი რესტორანში (100)	ტელეფონის ქვითარი (300)	ფინანსური დახმარება ბებიებისა და ბაბუებისათვის ან სხვა ნათესავებისათვის (200)
ახალგაზრდული ბანაკი (200)		

მშობლის ბარათი როლი

ავტორიტარული მშობლის ბარათი როლი

თქვენ ხართ ოჯახის მარჩენალი და ამის გამო ფიქრობთ, რომ მეტი უფლებები გაქვთ ფულის ხარჯვის საკითხებთან დაკავშირებით ვიდრე თქვენს მეუღლეს ან ბავშვებს. ბოლოსდაბოლოს ეს თქვენ ხართ ვისაც ფული შემოაქვს ოჯახში!

თქვენ ღრმად ხართ დარწმუნებული რომ ქალაქში, რომელშიც თქვენ ცხოვრობთ კანონისა და წესრიგის ნაკლებობის პრობლემა მწვავედ დგას. დღევანდელ ცხოვრებაში ეს ძალიან საშიშია! ამდენად თქვენთვის პირველი რიგის პრიორიტეტი არის თქვენი ოჯახის, სახლისა და საკუთრების დაცვა და უსაფრთხოება.

siRaribis horoskopi

შეგიძლიათ მომავლის განჭვრეტა? რას მოუტანს მომავალი წელი ამინას ან მიშას?

თემები სიღარიბე, გლობალიზაცია, სოციალური უფლებები.

სირთულე დონე 3

მონაწილეთა რაოდენობა 15 – 21

ხანგრძლივობა 60 წუთი

მიმოხილვა ეს სავარჯიშო აერთიანებს შემოქმედებითი კომპოზიციის ცოდნას და სიღარიბის შედეგებთან დაკავშირებულ უნარ-ჩვევებს, ასევე ღარიბების მიერ ზოგიერთი სასიცოცხლო უნარის შესაძლებლობების დაკარგვასთან

შესაბამისი უფლებები
საკვებისა და საცხოვრებლის ქონის უფლება
- ჯანმრთელობის უფლება
- მუშაობის უფლება

მიზნები
ფიქრი ღარიბების შეზღუდულ შესაძლებლობებზე და სიძნელეებზე, რომლებსაც ისინი აწყდებიან იმ შესაძლებლობების გამოყენების მცდელობის დროს, რომლებიც მათ გააჩნიათ
- სიღარიბის მანკიერი წრის გააზრება
- სოციალური სამართლიანობის, ადამიანური ღირსებისა და პასუხისმგებლობის დამკვიდრება

მასალა
12 ბარათი- ჰოროსკოპი
- 12 ბარათი ცხოვრებისეული ისტორიებით
- ერთი ფურცელი და პასტა ყველა მონაწილისათვის
- დიდი ზომის ფურცელი ან დაფა
- მარკერები ან ცარცი
- დასაწებელი ლენტი

მომზადება
გააკეთეთ ჰოროსკოპისა და სიცოცხლის ბარათების ასლები და ამოჭერით
- გააკეთეთ ბარათების 3 კომპლექტი ისე რომ მთლიანობაში იყოს 4 ბარათი ცხოვრებისეული ისტორიებით შესაბამისი ბარათი – ჰოროსკოპებით თითოეულ კომპლექტში. ჩადეთ თითოეული კომპლექტი კონვერტში, რათა ისინი არ აირიოს.

ინსტრუქციები

1. გააცანით სავარჯიშო მონაწილეებს. მოკლედ ისაუბრეთ ზოგადად ჰოროსკოპებზე. კითხულობენ მონაწილეები მათ? სჯერათ მათ ჰოროსკოპების? რა სახის ინფორმაციას იძლევა ჰოროსკოპები ჩვეულებისამებრ?
2. დაყავით მონაწილეები 3 მცირე ჯგუფად და თითოეულს მიეცით სიცოცხლის ბართების ერთი კომპლექტი შესაბამის ბარათ-ჰოროსკოპებთან ერთად.
3. მიეცით ჯგუფებს 20 წუთი მათ ბარათებზე აღწერილი 4 სიცოცხლისათვის ჰოროსკოპების შესადგენად. უნდა გამოიყენონ ფანტაზია, ინტუიცია და ზოგადი ცოდნა რათა იწინასწარმეტყველონ რა მოხდება ამ

ადამიანების ცხოვრებაში მომავალ წლებში. ხაზი გაუსვით, რომ არ არსებობს სწორი და არასწორი პასუხები, მაგრამ მონაწილეები უნდა ეცადონ გააკეთონ პროგნოზი რეალობის ფარგლებში.

4. როდესაც დაასრულებენ მოიწვიეთ მონაწილეები პლენარულ სხდომაზე. სთხოვეთ ჯგუფებს სათითაოდ წარმოადგინონ თავიანთი ნამუშევრები. თავიდან მათ უნდა წაიკითხონ ბარათებზე არსებული ცხოვრებისეული ისტორიები რათა ყველა გაეცნოს სხვადასხვა პერსონაჟებს, შემდეგ კი მათ უნდა წაიკითხონ მათ მიერ შედგენილი ჰოროსკოპები.
5. საბოლოოდ მიაკარით ბარათები და პროგნოზები დიდი ზომის ფურცელზე კედლის ცხრილის გასაკეთებლად

ღირშესანიშნავი თარიღი

17 ოქტომბერი
სიღატაკის აღმოფხვრის საერთაშორისო დღე

ანალიზი და შეფასება

მსჯელობის დასაწყისში სთხოვეთ თითოეულ ჯგუფს განმარტოს როგორ გადაწყვიტეს თავიანთი პერსონაჟების მომავალი. შემდეგ გადადით სიღარიბის განსაზღვრაზე და ბოლოს იმსჯელეთ სიღარიბის შედეგებზე.

- რა წარმოდგენა აქვთ მონაწილეებს ღარიბების შესახებ? მათ საკუთარ ქვეყნებში და განვითარებად ქვეყნებში? არის ეს სტერეოტიპები? რამდენად საფუძვლიანია მათი წარმოდგენა? საიდან ღებულობენ მონაწილეები ინფორმაციას?
- რას გულისხმობენ მონაწილეები ტერმინში "სიღარიბე"?
- შეიძლება ვინმე ჩაითვალოს "მდიდრად" ერთ ქვეყანაში და "ღარიბად" სხვა ქვეყანაში? სხვა სიტყვებით არის სიღარიბე შეფარდებითი?
- თქვენს საზოგადოებაში რატომ არის ზოგი მდიდარი და ზოგი ღარიბი?
- რა არის სიღარიბიდან მთავარი გამოსავალი? როგორც თქვენ ქვეყანაში ასევე ერითრეაში, მსოფლიოს ერთ-ერთ უღარიბეს ქვეყანაში? მდიდარი ბიძის ყოლა? ლატარიის ბილეთით მოგება? განათლების მიღება? ჯანმრთელობა? საჭირო ადამიანების ნაცნობობა? ბევრი შრომა? კიდევ რა?
- რამდენად ადვილია ღარიბი ადამიანებისათვის სიღარიბის წრის გარღვევა? სხვა სიტყვებით, რამდენად ძნელია ღარიბ ოჯახში დაბადებული ადამიანისათვის არ დარჩეს ღარიბად როცა გაიზრდება?
- რა შესაძლებლობები ეძლევათ ადამიანებს გამდიდრების შემთხვევაში?
- რა შესაძლებლობები აქვთ ღარიბ ადამიანებს?
- არის ადამიანი საკუთარ სიღარიბეში დამნაშავე? თუ ეს მისი ბედია? არის ეს განპირობებული სოციალური, ეკონომიკური და პოლიტიკური ძალებით?
- სიღარიბე მჭიდროდ არის დაკავშირებული ცუდ ჯანმრთელობასთან, შიმშილთან და ცუდ კვებასთან, განათლების ნაკლებობასთან, დაბალი დონის პროფესიონალიზმთან და უმუშევრობასთან? ეს უბრალო დამთხვევაა თუ ეს ყველაფერი ლოგიკურ ურთიერთკავშირშია? თუ ასეა რა კავშირია მათ შორის?
- ზოგადად, როგორ ეპყრობიან ადამინები ღარიბებს?
- რა სახის პოლიტიკური და სოციალური პროგრამები ქმნის საუკეთესო პირობებს ყველა მოქალაქისათვის?
- რამდენად არის თქვენ ქვეყანაში განათლება გასაღები სიღარიბის შემცირებისათვის?
- მსოფლიოს თითქმის ყველა ქვეყანაში იზრდება უფსკრული მდიდრებსა და ღარიბებს შორის. ასევე იზრდება უფსკრული ქვეყნებს შორის. რა გავლენას ახდენს ეს ევროპაზე?

- აქვს რაიმე მნიშვნელობა ამ უფსკრულის ზრდას? თუ მონაწილეები ფიქრობენ რომ აქვს, ვინ არის პასუხისმგებელი მის შემცირებაზე?
- რა შეუძლიათ გააკეთონ ინდივიდუალურმა პირებმა, ჯგუფებმა, ადგილობრივმა საზოგადოებებმა და ერებმა ამ უფსკრულის შესავსებად?

რჩევები ხელმძღვანელებს

ნათლად განუმარტეთ მონაწილეებს, რომ ეს გამოგონილი ჰოროსკოპებია და საჭირო არ არის იყო ასტროლოგი ან იცოდე ზოდიაქოს ნიშნების ზოგადი დახასიათება. უბრალოდ საჭიროა სიცოცხლის ბარათებზე მოცემულ დეტალებზე აქცენტის გაკეთება და საკუთარ ზოგად განათლებაზე და ისტორიის, ეკონომიკის და სოციოლოგიის ცოდნაზე დაყრდნობა. ჰოროსკოპ-ბარათებზე მითითებული პუნქტი "სიყვარული" ეხება არა მარტო სასიყვარულო ცხოვრებას, არამედ მეგობრებთან და ოჯახის წევრებთან ურთიერთობას.

ვარიანტები

შეგიძლიათ გააკეთოთ სიცოცხლის ისტორიების ადაპტირება ან შეცვალოთ ყველა ან ზოგიერთი მათგანი სხვა თქვენი აზრით უფრო საინტერესო და აქტუალური ისტორიებით. ასევე შეგიძლიათ შეცვალოთ ეს ისტორიები თქვენს მიერ გაგონილი ან ნანახი ნამდვილი ამბებით, რომელიც თქვენ ქვეყანაში ან საზოგადოებაში მოხდა.

წინადადებები გაგრძელებისათვის

ხშირად ქალი ერთადერთი მარჩენალია ოჯახში, იმის გამო რომ ის მარტოხელა დედაა ან იმის გამო რომ მისი ქმარი უმუშევარია. მაგრამ ხშირად ადგილი აქვს ქალების სამსახურებრივ დისკრიმინაციას და თუ სოციალური დაცვის დეფიციტიც აღინიშნება ხშირად მეტისმეტად რთულია ერთდროულად ოჯახის მოვალეობების და სამსახურის შეთავსება. თუ ჯგუფი დაინტერესებულია ამ საკითხებით შეუძლიათ შეასრულონ სავარჯიშო "სამსახური და ბავშვები" 254 გვ-ზე.

იდეები ქმედებისათვის

შესთავაზეთ მხარდაჭერა ღარიბების პრობლემებზე მომუშავე არასამთავრობო ორგანიზაციას ან ასოციაციას. შეგიძლიათ იპოვოთ ადგილობრივი ჯგუფები და გაარკვიოთ რა პრობლემები აქვთ მათ. შემდეგ შეიმუშავეთ პროექტი ამ მიზნით ფინანსური სახსრების მოძიებისათვის

dasarigebeli masala

ბარათები ცხოვრებისეული ისტორიებით

მარია, მარტოხელა დედა სამი შვილით ცხოვრობს პორტუგალიაში, მადეირას ღარიბ უბანში. მისმა ბოლო პარტნორმა სულ ახლახანს მიატოვა. ის მუშაობს შინამოსამსახურედ მდიდარ ოჯახში, მაგრამ რამდენ ხანს შეიძლება გაგრძელდეს ასე? ცოტა ხნის წინ ვიღაცამ ბეჭედი მოპარა მდიდარ დიასახლისს და მას ერთ-ერთ მოსამსახურეზე აქვს ეჭვი. ძნელია კონკრეტული დამნაშავის პოვნა და ამიტომაც აპირებენ ყველა მოსამსახურის განთავისუფლებას და მათ შეცვლას სხვებით. მარია **თხის რქის ზოდიაქოს** მიეკუთვნება

ამინა თურქეთიდანაა. ცხოვრობს ქვეყნის ერთ პატარა უღარიბეს სოფელში. ის 12 წლისაა და მისი მშობლები – ძალიან ღარიბი გლეხები – საუბრობენ მისთვის საქმროს მოძებნაზე. მაგრამ მას არ უნდა გათხოვება; ამის ნაცვლად მას გადაწყვეტილი აქვს გაიქცეს სახლიდან და დედაქალაქში წავიდეს სადაც უფრო ნათელი მომავლის იმედი აქვს. ამინა **ტყუპების** ზოდიაქოს მიეკუთვნება

მიშა ტომსკიდანაა, ციმბირიდან. უკვე რამდენიმე წელია ის უმუშევარია და არ იცის რა იღონოს. მისი ცოლი მძიმე ავადმყოფია და მთელ დღეს საწოლში ატარებს. მას 4 შვილი ჰყავს 20, 18, 10, და 8 წლის. ამათგან 2 უმცროსი ინვალიდია. მიშა **ქალწულის** ზოდიაქოს ნიშნის ქვეშ არის დაბადებული.

იური ცხოვრობს მშობლებთან და 3 უმცროს ძმასთან ერთად ტომსკში, ციმბირში. ის 20 წლისაა და ჰოკეის საუკეთესო მოთამაშეა. მისი ბიძა, რომელიც ამერიკაში ცხოვრობს შეპირდა, რომ ეცდება მოიპოვოს სტიპენდია მისთვის ამერიკის კოლეჯში სასწავლებლად. იურის მამა, მიშა უკვე რამდენიმე თვეა უმუშევარია და ამ მომენტისათვის ერთადერთი შემოსავლის წყარო ოჯახისათვის არის იურის შემთხვევითი სამუშაოები. იურიმ არ იცის რა გააკეთოს. დედამისი ავად არის, მისი 2 უმცროსი ძმა ინვალიდია და მთელი ოჯახი მასზეა დამოკიდებული. იური **კიბორჩხალას** ზოდიაქოს ნიშნის ქვეშ არის დაბადებული

ბენჯეტი ახალგაზრდა შვედი "სკინჰედია". ის უკვე 2-ჯერ დააპატიმრეს ამ წლის განმავლობაში ჩადენილი ხულიგნობისათვის. ის უკვე 2 წელია უმუშევარია და ამის მიუხედავად ყველა შემოთავაზებაზე უარს ამბობს. ამჯობინებს დრო გაატაროს თავისი ძაღლის – პიტბულტერიერის გაწვრთნაში, ივარჯიშოს ათლეტიზმში და იყოს ქუჩაში ძმაკაცებთან ერთად, რომლებიც რამოდენიმე რასისტულ ინციდენტში არიან გარეული.

ბენჯეტი **ვერძის** ზოდიაქოს ნიშნის ქვეშ არის დაბადებული.

რიკარდო მარტო ცხოვრობს ბარსელონაში, ესპანეთში, პატარა ბინაში რომლის გასახადსაც ძლივს იხდის. ის ავად იყო რამდენიმე თვის განმავლობაში და ღებულობს მთავრობისაგან სოციალურ დახმარებას. ის უბრალო სამუშაოების შესრულებით ირჩენდა თავს. მისმა ცოლმა როდესაც გაიგო რომ შიდსით იყო დაავადებული ბავშვები წაიყვანა და მიატოვა. ის **სასწორის** ზოდიაქოს ნიშნის ქვეშ არის დაბადებული

აბდული მრავალი წლის წინ მავრიტანიიდან საფარანგეთის დედაქალაქში – პარიზში ჩამოვიდა სამსახურის საძებნელად. პირველ ხანებში მარტო იყო, მაგრამ მოგვიანებით შეძლო ცოლის, 4 შვილის და მშობლების ჩამოყვანა. ისინი ყველა ერთ ბინაში პარიზის ღარიბ უბანში ცხოვრობენ. რაღაც პერიოდში ყველაფერი კარგად მიდიოდა, განსაკუთრებით როდესაც აბდულის ცოლმა ტყუპები გააჩინა, მაგრამ რთული აღმოჩნდა ბავშვების გაზრდა მავრიტანიულ ტრადიციებზე. ტყუპები ახლა 12 წლის არიან. სკოლაში უამრავი პრობლემები აქვთ და ხშირად არ ემორჩილებიან მშობლების ნებას. ცოტა ხნის წინ აბდულმა დაკარგა სამსახური ზოგადი ეკონომიკური კრიზისის გამო. აბდული **ლომის** ზოდიაქოს ნიშნის ქვეშ არის დაბადებული.

ტყუპები **მოტკარი და ოულდი** დაიბადნენ პარიზში, საფრანგეთში. ისინი აბდულის, ემიგრანტი მუშის შვილები არიან, რომელიც წარმოშობით მავრიტანიიდან არის. მთელი ოჯახი, მათი მშობლები, 4 უფროსი ძმა და მათი ბებია-ბაბუა, ყველა ერთად ცხოვრობს ერთ ბინაში პარიზის ღარიბ უბანში. ტყუპები ახლა 12 წლის არიან და სკოლაში ბევრი პრობლემები აქვთ. ისინი უარს ამბობენ სწავლაზე, ხშირად აცდენენ გაკვეთილებს და პარიზის გარეუბნებში მეგობრებთან ერთად დახეტიალობენ და უარს აცხადებენ დაემორჩილონ მშობლების ნებას, რომლებთანაც ხშირად მოსდით უთანხმოება, ზოგჯერ კი ჩხუბიც. სკოლიდან მოდის ამბები, რომ ისინი თანდათან უფროდაუფრო აგრესიულები ხდებიან. მოტკარი და ოულდი **მერწყულის** ზოდიაქოს ნიშნის ქვეშ არიან დაბადებული.

20 წლის **კრისტას** ნაქირავები აქვს პატარა ბინა პრაღის ღარიბ გარეუბანში და ოცნებობს გერმანიაში ცხოვრებაზე. მან წაიკითხა განცხადება ბერლინში სამსახურთან დაკავშირებით. დარეკა საკონტაქტო ნომერზე და შეხვდა ადამიანს, რომელიც შეპირდა მას სიღარიბიდან თავის დაღწევაში დახმარებას და უთხრა, რომ ის ადვილად იპოვიდა სამსახურს ბერლინში. მან გადაწყვიტა ენდოს ამ კაცს და გამოიყენოს გერმანიაში წასვლის შანსი. კრისტა **მშვილდოსნის** ზოდიაქოს ნიშნის ქვეშ არის დაბადებული.

ჯეინი ხანში შესული ქვრივია, რომელიც შოტლანდიაში ცხოვრობს. მისი ქმარი ალკოჰოლიკი იყო და თითქმის არასოდეს მუშაობდა. ის თავს ირჩენს მცირე პენსიით მაგრამ ახლა უკვე მკურნალობა სჭირდება, რადგან ჯანმრთელობის მდგომარეობა მკვეთრად გაუუარესდა. ჯეინი **თევზების** ზოდიაქოს ნიშნის ქვეშ არის დაბადებული.

ბელა ცხოვრობს თავის დასთან ანჟელიკასთან ერთად პალერმოში, იტალიაში. მათი მშობლები გარდაიცვალენ როდესაც გოგონები 16 წლის და 17 წლის იყვნენ, რაც იმას ნიშნავდა რომ მათ სწავლისთვის თავი უნდა დაენებებინათ და ემუშავათ. ახლა ისინი 22 და 23 წლის არიან. ბელა 2 ადგილზე მუშაობს, დღის განმავლობაში შინამოსამსახურედ, ხოლო ღამით საავადმყოფოში დამლაგებლად. ის ასევე ზრუნავს ანჟელიკაზე, რომელიც ნარკომანია. ბელას არ უნდა მიატოვოს და, რადგანაც იცის რამდენი ტანჯვა აქვს მას გადატანილი მკაცრი მამისაგან. ბელას პრობლემებს უქმნის მისი ფიცხი ხასიათი, რომლის გაკონტროლებაც უჭირს და რის გამოც მან უკვე ორჯერ დაკარგა სამსახური. ბელა **კუროს** ზოდიაქოს ნიშნის ქვეშ არის დაბადებული.

ანჟელიკა ცხოვრობს თავის დასთან ბელასთან ერთად პალერმოში, იტალიაში. მათი მშობლები გარდაიცვალენ როდესაც გოგონები 16 წლის და 17 წლის იყვნენ, რაც იმას ნიშნავდა რომ მათ სწავლისთვის თავი უნდა დაენებებინათ და ემუშავათ. ახლა ისინი 22 და 23 წლის არიან. ბელა 2 ადგილზე მუშაობს და ზრუნავს ანჟელიკაზე, რომელიც ნარკომანია. ანჟელიკა ხშირად პარავს ფულს დას ნარკოტიკების შესაძენად. ის ხან ანებებს თავს ნარკოტიკების მოხმარებას ხან ისევ თავიდან იწყებს მაგრამ თავის მიდრეკილების კონტროლი ძალიან უჭირს. ანჟელიკა **მორიელის** ზოდიაქოს ნიშნის ქვეშ არის დაბადებული.

ბარათი ჰოროსკოპები მომავალი წლისათვის

ვერძი (ბენგტი) (21 მარტი - 21 აპრილი) სიყვარული სამსახური ჯანმრთელობა	**სასწორი** (რიკარდო) (23 სექტემბერი – 22 ოქტომბერი) სიყვარული სამსახური ჯანმრთელობა
კურო (ბელა) (22 აპრილი – 21 მაისი) სიყვარული სამსახური ჯანმრთელობა	**მორიელი** (ანჟელიკა) (23 ოქტომბერი – 22 ნოემბერი) სიყვარული სამსახური ჯანმრთელობა
ტყუპები (ამინა) (22 მაისი – 21 ივნისი) სიყვარული სამსახური ჯანმრთელობა	**მშვილდოსანი** (კრისტინა) (23 ნოემბერი – 21 დეკემბერი) სიყვარული სამსახური ჯანმრთელობა
კიბორჩხალა (იური) (22ივნისი – 22 ივლისი) სიყვარული სამსახური ჯანმრთელობა	**თხის რქა** (მარია) (22 დეკემბერი – 20 იანვარი) სიყვარული სამსახური ჯანმრთელობა
ლომი (აბდული) (23 ივლისი – 22 აგვისტო) სიყვარული სამსახური ჯანმრთელობა	**მერწყული** (მოტკარი და ოულდი) (21 იანვარი – 19 თებერვალი) სიყვარული სამსახური ჯანმრთელობა
ქალწული (მიშა) (23 აგვისტო – 22 სექტემბერი) სიყვარული სამსახური ჯანმრთელობა	**თევზები** (ჯეინი) (20 თებერვალი – 20 მარტი) სიყვარული სამსახური ჯანმრთელობა

sicocxlis qseli

ხალხი არსებობს არა გარემოს საზღვრებს მიღმა, არამედ მის განუყოფელ ნაწილს წარმოადგენენ

თემები

ekologia

globalizacia

adamianis zog. uflebebi

სირთულე

done 1
done 2
done 3
done 4

done 2

მონაწილეთა რაოდენობა



10 da meti

ხანგრძლივობა

30 wuTi

თემები	ეკოლოგია, გლობალიზაცია, ადამიანის ზოგადი უფლებები.
სირთულე	დონე 2
მონაწილეთა რაოდენობა	10 და მეტი
ხანგრძლივობა	30 წუთი
მიმოხილვა	სავარჯიშოში მონაწილეები ფიქრობენ განსაზღვრონ კავშირები საკვების გლობალურ ქსელში. ისინი განიხილავენ შემდეგ საკითხებს: ▪ სულიერისა და უსულოს ერთმანეთთან დამოკიდებულება ▪ ადამიანის ყოველგვარი საქმიანობის გარდაუვალ გავლენას გარემოზე და მის შედეგებს
შესაბამისი უფლებები	საკუთრების ფლობის უფლება ▪ უფლება ჯანმრთელ გარემო პირობებზე ▪ განვითარების უფლება
მიზნები	▪ სულიერისა და უსულო საგნების ურთიერთდამოკიდებულების გაგება ▪ ადამიანის საქმიანობის გავლენის შეფასება ეკოსისტემაზე ▪ სასიცოცხლო ფასეულობების მიმართ პატივისცემის დამკვიდრება.
მასალა	თოკის ან მყარი შალის გორგალი. ▪ მაკრატელი

ინსტრუქციები

ეს სავარჯიშო გაყოფილია 2 ნაწილად: I – სიცოცხლის ქსელის აგება, II – მისი დესტრუქცია.

ნაწილი 1

1. სთხოვეთ მონაწილეებს დადგნენ წრეში.
2. განმარტეთ, რომ მათ უნდა ააგონ სიცოცხლის ქსელის მოდელი.
3. დაიწყეთ თამაში თქვენ. ხელში დაიჭირეთ თოკის გორგალი და დაასახელეთ რაიმე ბოსტნეულის სახელი, მაგ. კომბოსტო.
4. თოკის ერთი ბოლო დაიჭირეთ ხელში ხოლო გორგალი გადაუგდეთ წრეში მდგომ რომელიმე მონაწილეს, რომელმაც უნდა დაიჭიროს ის! ახლა უკვე გადაჭიმულია სწორი ხაზი თქვენ შორის.
5. ამ პიროვნებამ უნდა დაასახელოს ცხოველი, რომელიც იკვებება კომბოსტოთი მაგ. მუხლუხო. მან უნდა დაიჭიროს თოკი და გორგალი გადაუგდოს წრეში მდგომ მესამე მონაწილეს.

6. ამ მესამემ კი უნდა მოიფიქროს ცხოველი, რომელიც ჭამს მუხლუხოებს, მაგ. ჩიტი, ან თუ ეცოდინებათ ჩიტების სახეობები დაასახელონ რომელიმე მაგ. შაშვი, შემდეგ ისინი გადაუგდებენ გორგალს მე-4 მონაწილეს.
7. გააგრძელეთ თამაში ისე, რომ გორგალმა იტრიალოს წრეში ვიდრე არ შეიქმნება ურთიერთგადახლართული ბადე, რომელიც განასახიერებს „სიცოცხლის ქსელს“.

ნაწილი 2

1. აიღეთ მაკრატელი და სთხოვეთ მონაწილეებს დაასახელონ კონკრეტული მაგალითები, რა აზიანებს სიცოცხლის ქსელს მაგ. ფერმებზე გამავალი ავტომაგისტრალების მშენებლობა ან ვირთევზების მტაცებლური ჭერა.
2. თითოეული მაგალითის დასახელებისთანავე გაჭერით ქსელში გაბმული თოკი.

ანალიზი და შეფასება

დაიწყეთ მონაწილეების გამოკითხვით თუ როგორ გრძნობდნენ თავს ქსელის დაშლის დანახვაზე და შემდეგ გადადით ამ პროცესში ჩართული საკითხების და გარემოს დაცვის ზომების შესახებ.

- რა გრძნობა დაგეუფლათ როდესაც ხედავდით ქსელის თანდათანობით რღვევას?
- იყო ადვილი ცხოველების და მცენარეების დასახელება სხვადასხვა საკვებ ქსელში? რამდენად კარგად ერკვევიან მონაწილეები ბუნების ისტორიაში?
- ვის ეკისრება პასუხისმგებლობა გარემოს დაცვაზე?
- ბუნების ბალანსი მიიღწევა განსხვავებული ფაქტორების რთული შეთანხმებით და ძნელია იწინასწარმეტყველო რა იქნება რომელიმე კონკრეტული ქმედების გლობალური შედეგები. მაშინ როგორ შეიძლება გადაწყვეტილებების მიღება დედამიწის რესურსების გამოყენების შესახებ? მაგ. როგორ შეუძლია ხალხს მიიღოს გადაწყვეტილება გაკაფონ თუ არა ტყე რათა გათავისუფლებული მიწის ნაკვეთი გამოიყენონ მარცვლეულის დასათესად?
- ეკონომიკური, სოციალური და კულტურული უფლებების საერთაშორისო შეთანხმების 2 მუხლი აცხადებს, რომ ”ყველა ადამიანს შეუძლია თავისი მიზნების მისაღწევად თავისუფლად განკარგოს საკუთარი ბუნებრივი სიმდიდრე და რესურსები”. ნიშნავს ეს რომ ხალხს აქვს უფლება გამოიყენოს გარემო?
- ჩვენ დამოკიდებული ვართ გარემოზე საკვებისა და სუფთა ჰაერის უზრუნველყოფის თვალსაზრისით. ჯანმრთელი გარემოს გარეშე ჩვენ ვერ ვიცოცხლებთ, ეს სიცოცხლის წინაპირობაა. მაშასადამე არის თუ არა ჩვენი უპირველესი მოვალეობა პატივი ვცეთ გარემოს, რაც შესაბამისად ზღუდავს ჩვენს უფლებას გამოვიყენოთ ის? (ანალოგიურად ჩვენ ვალდებული ვართ პატივი ვცეთ სხვების უფლებებს და თავისუფლებებს ჩვენი საკუთარი უფლებების შეზღუდვის ხარჯზე).

დასასრულისთვის იფიქრეთ გარემოს დაცვის მიმართულებით განხორციელებული წარმატებული ქმედებების შესახებ. მდგომარეობა არც ისე უიმედოა! მთელ მსოფლიოში უამრავი აქტიური ადამიანია, რომლებიც ცდილობენ უზრუნველყონ მდგრადი გარემო პირობების შენარჩუნება მომავალი თაობებისათვის.

რჩევები ხელმძღვანელებს

საკვების ყველა ჯაჭვმა უნდა მოახდინოს რეალური და შესაძლო ურთიერთობების ილუსტრირება. მაგ. ბალახი-ცხვარი-ადამიანი. ან პლანქტონი-ვეშაპი, ან პლანქტონი-ქაშაყი-ღორი (ღორებს ხშირად აჭმევენ თევზის ფხვნილით) – ადამიანი-ვეფხვი! გახსოვდეთ, რომ როდესაც ცხოველი კვდება ბაქტერიები ალპობენ მის სხეულს ხოლო გამოთავისუფლებული მინერალებით მცენარეები იკვებებიან. აგვარად, სიცოცხლის ციკლი თავიდან იწყება. მილიარდობით ასეთი ციკლები არის ურთიერთგადაჯაჭვული სიცოცხლის ქსელის შესაქმნელად.

ეცადეთ მონაწილეებმა მოიფიქრონ რაც შეიძლება მეტი საკვების ჯაჭვები. მოიფიქრეთ ტყის, მთის, ბრის, ჭაობის, ტბის, მდინარის და ზღვის მცხოვრებთა მაგალითები. შეიძლება მოისურვოთ ჩარევა და თქვათ რაიმე მსგავსი: ”ახლა მინერალები ჩაირეცხება ზღვაში და ზღვის ფიტოპლანქტონები (მცენარეული პლანქტონები) იყენებენ მათ.” ან იმისათვის, რომ გადაიტანოთ საუბარი საზღვაოდან ხმელეთის ეკოსისტემაზე შეიძლება თქვათ: ”ახლა თოლია, რომელმაც ზღვის ნაპირზე შეჭამა კიბორჩხალა გაფრინდა ზღვიდან შორს, ფერმაში რაიმე გემრიელის მოსაძებნად, სადაც ის დაიღუპა”. თუ მონაწილე ვერ შეძლებს შემდეგი რგოლის მოფიქრებას შესთავაზეთ კითხონ ჯგუფის სხვა წევრებს.

II ნაწილში როდესაც თოკს გადაჭრით, გადაჭერით ის შემთხვევით ქსელის სხვადასხვა ნაწილებში. პირველი რამდენიმე გადაჭრა არ შეიტანს დიდ ცვლილებებს რადგანაც ძაფები გადახლართულია ერთმანეთში და ეს მეტნაკლებად იჭერს ბადეს შეკრულ მდგომარეობაში. მაგრამ როდესაც გააგრძელებთ თოკის ჭრას ქსელი თანდათან დაირღვევა და საბოლოოდ იატაკზე დარჩება ძაფების ნაკუწები, გარშემო მდგომი ადამიანებით, რომლებსაც ხელთ უჭირავთ ძაფების პატარა, უსარგებლო მონაკვეთები.

სავარჯიშოს მე-2 ნაწილში თქვენ მზად უნდა იყოთ გარკვეული წინააღმდეგობრივი პასუხებისათვის შეკითხვაზე: ”რა აზიანებს ქსელს?” ზოგმა მონაწილემ, მაგ. ვეგეტარიანელებმა, შეიძლება თქვან, რომ ხორცის მჭამელი ხალხი აზიანებს მას. თქვენ უნდა მიიღოთ ეს შეხედულება და ჰკითხოთ სხვა მონაწილეებს აზრი. თუმცა ფრთხილად უნდა იყოთ, რომ არ წამოიწყოთ დიდი დებატები ამ ეტაპზე. პირველ რიგში დაასრულეთ თამაში და შემდეგ დაუბრუნდით ამ საკითხებს ანალიზისა და შეფასების ნაწილში.

ეცადეთ არ შეფერხდეთ დისკუსიაზე, არამედ მიყევით სავარჯიშოს მიზანს – ადამიანის საქმიანობა გავლენა გარემოზე.

დარღვეული ქსელი ძალიან შტამბეჭდავი სანახაობაა. ამდენად მნიშვნელოვანია მოიტოვოთ თუნდაც ცოტა დრო დაფიქრებისათვის ან დისკუსიისათვის იმ პროგრესთან დაკავშირებით, რომელსაც ადგილი აქვს გარემოს დაცვის თვალსაზრისით. ასევე უნდა დაამატოთ პუნქტები კიდევ რა შეიძლება გაკეთდეს მონაწილეების შესაძლებლობების ჩათვლით. გლობალური მდგომარეობა ნამდვილად დამთრგუნველია, მაგრამ მნიშვნელოვანია მონაწილეებმა არ იგრძნონ თავი უმწეოდ ამ პრობლემის წინაშე.

შეიძლება მოისურვოთ 430 გვ-ზე დამატებითი ინფორმაციის წაკითხვა ვოდრე დასვამდეთ შეკითხვებს ადამიანის უფლებებსა და ეკოლოგიას შორის არსებული კავშირების შესახებ.

ამ სავარჯიშოს შესრულება კარგია სამეცნიერო ჯგუფთან, რომელიც შეისწავლის საბუნებისმეტყველო საგნებს.

წინადადებები გაგრძელებისათვის

ეს სავარჯიშო შეიძლება გამოყებულ იქნას ადამიანის უფლებებისა და ეკოლოგიის შესახებ დებატების დასაწყებად. მაგ. არის თუ არა კარგი იდეა არსებობდეს ადამიანის უფლება გარემოზე, ისევე როგორც არსებობს ადამიანის სხვა უფლებები? აქვს თუ არა გარემოს რაიმე სხვა ღირებულებაც მისი უტილიტარული ღირებულების გარდა? აქვს აზრი ცხოველებისათვის უფლებების მიცემას?

რესურსების გამოყენების მდგრადი განვითარება მოითხოვს პოლიტიკურ ნებას, დროს, ენერგიას და ფულს. იფიქრეთ რამდენად მეტს გააკეთებს ყველა ქვეყანა ეკოლოგიური განათლების, სამეცნიერო კვლევის, და გარემოს პრაქტიკული დაცვის სქემების განვითარების თვალსაზრისით თუ კოლოსალურ თანხებს არ დახარჯავენ შეიარაღებაზე და მილიტარიზაციაზე. თუ ჯგუფი მოისურვებს ამ საკითხებში ღრმად ჩახედვას შეუძლიათ შეასრულონ სავარჯიშო "სახარჯო ფული" (გვ. 274).

იდეები მოქმედებისათვის

ჩაერთეთ ადგილობრივ ეკოლოგიურ პროექტებში. დაუკავშირდით Youth and Environment Europe (YEE), რომელიც აერთიანებს 40-ზე მეტ რეგიონალურ და ეროვნულ თვითმმართველ ახალგაზრდულ ორგანიზაციებს ჩართულს ბუნების და გარემო პირობების კვლევასა და კონსერვაციაში მთელი ევროპის მასშტაბით. www.ecn.cz/yee/

დაუკავშირდით ადგილობრივ ეკოლოგიურ ორგანიზაციას და კითხეთ როგორ შეგიძლიათ გახდეთ "გარემოს მიმართ მეგობრულად განწყობილი" მომხმარებელი.

დამატებითი ინფორმაცია

ბუნებაში ყველაფერი ურთიერთდაკავშირებულია. ყველა ცოცხალი და არა-ცოცხალი ორგანიზმი დაკავშირებულია ციკლების სახით, მაგ. ნახშირორჟანგის ციკლი და წყლის ციკლი. საკვების ჯაჭვებიც ამ ციკლების ნაწილია. საკვების ჯაჭვი იწყება როდესაც მცენარე იყენებს მზის სინათლეს, ნიადაგის მინერალებს, და წყალს საკუთარი საკვების შესაქმნელად, რომელიც აძლევს მათ სიცოცხლისა და ზრდის ენერგიას. როდესაც მცენარე. მაგ. კომბოსტო გამოიყენება საკვებად, მის ფოთლებში აკუმულირებული ენერგია და მინერალები გადადის და მოიხმარება მაგ. მუხლუხოს მიერ, რომელიც ამით იზრდება და ცოცხლობს. თავის მხრივ როდესაც ეს ცხოველები იჭმება სხვის მიერ ენერგია და მინერალები ვრცელდება სხვებზე საკვების ჯაჭვის საშუალებით. როდესაც ჯაჭვის ბოლოში მყოფი ცხოველი კვდება მისი ორგანიზმი განიცდის ლპობას და მას "ჭამენ" ბაქტერიები. მინერალები, რომლებიც იყვნენ ამ ორგანიზმში შეიწოვენა მცენარეების მიერ და ახალი კვების ჯაჭვი იღებს სათავეს.

ღირშესანიშნავი თარიღები

22 მარტი
წყლის რესურსების საერთაშორისო დღე

22 აპრილი
დედამიწის დღე

sporti yvelasaTvis

“თამაში ცუდია თუ არავინ იგებს”
იტალიური ანდაზა

თემები სპორტი, დისკრიმინაცია და ქსენოფობია, ჯანმრთელობა

სირთულე დონე 2

მონაწილეთა რაოდენობა 8+

ხანგრძლივობა 120 წუთი

მიმოხილვა ეს არის მაღალენერგიული სავარჯიშო. მონაწილეები იყენებენ ფანტაზიას და შემოქმედებით უნარს ახალი თამაშების მოსაგონებლად. განხილული საკითხები მოიცავს:

- თამაშის წესებს, მათ დასაბუთებას და მონიტორინგს
- ადამიანის უფლებათა იდეას, როგორც ცხოვრების წესს
- დისკრიმინაციას სპორტში

შესაბამისი უფლებები ჯანმრთელობის უფლება

- ღირსების და უფლებების თანასწორობა

მიზნები სპორტული ღონისძიებებიდან გამორიცხვის სოციალური და პოლიტიკური მიზეზების შესახებ ინფორმირება

- ჯგუფური მუშაობისა და თანამშრომლობის უნარჩვევების და შემოქმედებითი აზროვნების განვითარება
- მონაწილეების წახალისება იფიქრონ ადამიანის უფლებებზე როგორც ცხოვრებისეული თამაშის პატიოსან წესებზე.

მასალა თითოეული 4-წევრიანი ჯგუფისათვის დაგჭირდებათ ერთი კომპლექტი:

- 4 დიდი ნაგვის კალათი
- 1 მსხვილი თოკის გორგალი
- 2 ფეხბურთის ზომის ბურთი
- 2 გაზეთი
- 1 ცარცის ნატეხი
- მაკრატელი

ინსტრუქციები

1. უამბეთ მონაწილეებს “სპორტი ყველასათვის” მოძრაობის შესახებ. და უთხარით რომ ათასწლეულის აღსანიშნავად ეროვნული სპორტის საბჭომ გადაწყვეტა ჩაატაროს შეჯიბრი ახალი თამაში გამოგონებაში, რომელიც ყველას შეუძლია ითამაშოს.
2. სთხოვეთ მონაწილეებს დაიყონ 4-წევრიან ჯგუფებად
3. განმარტეთ, რომ ყველა ჯგუფს აქვს 20 წუთი მიცემული ინსტრუმენტების საშუალებით ახალი თამაშის შესაქმნელად. თამაშის მიზნების და წესების დადგენა დამოკიდებულია თითოეულ ჯგუფზე.
4. მიეცით მონაწილეებს საშუალება ითამაშონ ერთმანეთის გამოგონილი თამაშები.

ანალიზი და შეფასება

დაიწყეთ მიმოხილვით თუ როგორ ურთიერთობდნენ მონაწილეები სხვადასხვა ჯგუფებში და მოეწონათ თუ არა მათ სავარჯიშო. შემდეგ გადადით მონაწილეების მიერ გამოგონებული თამაშების და თამაშის წესების განხილვაზე და ბოლოს ისაუბრეთ რეალურ ცხოვრებაში სპორტისა და თამაშების შესახებ.

- იყო რთული თამაშის გამოგონება?
- როგორ მუშაობდნენ ჯგუფები? დემოკრატიულად თუ მხოლოდ ერთი პიროვნება ღებულობდა ყველა გადაწყვეტილებას?
- იყო თუ არა ჯგუფში სამუშაო განაწილებული? ანუ იყო ერთი პიროვნება იდეების მომწოდებელი, მეორე ამ იდეების პრაქტიკაში განმახორციელებელი, მესამე იწყებდა თამაშს და ა.შ.?
- რომელი თამაში მოეწონათ მონაწილეებს ყველაზე მეტად? რა არის საჭირო თამაში რომ კარგი გამოვიდეს?
- რომელმა ჯგუფებმა ჩათვალეს საჭიროდ წესების შეცვლა მას შემდეგ რაც გამოსცადეს თამაში სხვებთან ერთად? რატომ დასჭირდათ მათ წესების შეცვლა და როგორ გააკეთეს ეს? (იყო პროცესი განხორციელებული მთელი ჯგუფის, მხოლოდ რამდენიმე ინდივიდის თუ მხოლოდ ერთი პიროვნების მიერ?)
- რამდენად მნიშვნელოვანია ნათელი მიზნის და სამართლიანი წესების ქონა რათა ყველამ იგრძნოს რომ შეუძლიათ მონაწილეობა?
- ყველამ ჩათვალა შესაძლებლად სრულად მონაწილეობა თუ ვინმემ ჩათვალა რომ რაიმე უპირატესობა ჰქონდა ან არ ჰქონდა?
- რეალურ ცხოვრებაში როგორ ხდება გარკვეული ჯგუფების გამორიცხვა სპორტული ღონისძიებებიდან? გარიცხვის რომელი ფორმაა ადამიანის უფლებათა დარღვევა?
- ადამიანის უფლებათა საყოველთაო დეკლარაციის მუხლები განხილული უნდა იქნას როგორც პლურალისტულ საზოგადოებაში ცხოვრების წესები. არის ეს წესები კარგი? მაგ. არის ისინი უნივერსალურად მისაღები ყველა მოთამაშისათვის (ყველასათვის მთელ მსოფლიოში?) არის წესები საკმარისი თუ მეტისმეტად ბევრია? არის წესები სამართლიანი? ყველა მოთამაშე (ყველა ქვეყანა) იცავს წესებს?

რჩევები ხელმძღვანელებს

ეცადეთ ჯგუფები იყოს ”შერეული”, მაგ. დაბლები და მაღლები, სათვალეებიანი და უსათვალო მონაწილეები, სხვადასხვა სქესის, ასაკის, ათლეტური შესაძლებლობების, და ა.შ.

ჯგუფიდან გამომდინარე შეიძლება დაგჭირდეთ სავარჯიშოს დაწყება ფიქრის პორცესით ზოგადად თამაშების შესახებ. მაგ, განმარტეთ, რომ თამაშს უნდა ჰქონდეს მკაფიო მიზანები და წესები.

შეიძლება დაგჭირდეთ გარკვეული შეზღუდვების დაწესება, მაგ. გარკვეული ადგილმდებარეობის შერჩევა თამაშისათვის ან მისი დასრულება 20 წუთის შემდეგ. თუ აღმოაჩენენ ხარვეზებს თამაშის პროცესში მიეცით თამაშის შემქმნელებს მისი შეცვლის საშუალება.

დისკუსია შეიძლება დაუკავშირდეს ადამიანის უფლებებს მრავალი გზით. შეიძლება განიხილოთ განსხვავებები და მსგავსებები წესებსა და ადამიანის უფლებებს შორის. კარგი წესები ადამიანის უფლებების მსგავსად არსებობს იმისათვის, რომ უზრუნველყოფილი იქნას თამაშის სამართლიანად წარმართვა

ღირშესანიშნავი თარიღი

10 ოქტომბერი
ფსიქიური ჯანმრთელობის საერთაშორისო დღე

მოთამაშეთა ერთი ჯგუფისათვის მეორეზე ძალაუფლების გამოყენების შეზღუდვით. წესები თანაბრად უნდა ვრცელდებოდეს ყველა მოთამაშეზე, ისევე როგორც ადამიანის საყოველთაო უფლებები. ბევრი წესი უფლებასთან ერთად მოვალეობასაც განსაზღვრავს, მაგ. ფეხბურთელს უფლება აქვს ფეხი დაარტყას ბურთს მაგრამ არა მეტოქეს. წესების დარღვევის შემთხვევაში ინიშნება საჯარიმო.

წესების შეცვლის პროცესი შეიძლება შევადაროთ რეალურ ცხოვრებაში კანონების შეცვლას. იცვლება ისინი ბრძანებულების საფუძველზე, კანონმდებლების მიერ თუ ხალხის მიერ რეფერენდუმის გზით, ან იქნებ არასამთავრობო სექტორთან კონსულტაციების შედეგად თუ კიდევ რაიმე სხვა?

ანალიზის დროს მონაწილეებმა შეიძლება განაცხადონ, რომ გამორიცხვა და დისკრიმინაცია არც ისე დიდი პრობლემაა რადგანაც ადამიანები ჩვეულებრივ იმ სპორტს ირჩევენ, რომელისთვისაც უფრო კარგი მონაცემების აქვთ. მაგ. მაღლები თამაშობენ კალათბურთს და ნაკლებად ათლეტურები ბილიარდს ან ჭადრაკს. და მაინც არსებობს პრობლემა რომ თუ მხოლოდ იმედისმომცემი ახალგაზრდები მიიქცევენ მთელ ყურადღებას შეჯიბრებზე გამოსვლის დროს და მიიღებენ ყველა საშუალებას მაშინ ისინი ვინც გასართობად მისდევს სპორტს ნაკლები ყურადღება დაეთმობათ. ზოგიერთი სპორტში არ მიიღებიან მსურველები ქონებრივი სტატუსის საფუძველზე, რადგანც ძვირადღირებული სპორტული ინვენტარი და წვრთნაა საჭირო.

შეიძლება მოისურვოთ ჯგუფთან საუბარი ქუჩის სპორტის პროექტის შესახებ, რომელიც არის ბალკანეთის ახალგაზრდების მიერ წამოწყებული ინიციატივა და ამკვიდრებს შემწყნარებლობას და ადამიანის უფლებებს. (იხ. დამატებითი ინფორმაცია სპორტისა და ადამიანის უფლებების შესახებ 492 გვ-ზე)

ვარიანტები

თუ ამ სავარჯიშოს გამოყენება გსურთ უპირატესად ჯგუფური მუშაობის უნარჩვევების განვითარების მიზნით შეგიძლიათ სთხოვოთ ერთ ჯგუფს გამოიგონოს თანამშრომლობაზე დამყარებული თამაში, ხოლო მეორეს კონკურენტული თამაში. ანალიზის დროს შეგიძლიათ შეადაროთ რამდენად სასიამოვნო იყო თითოეული თამაში

წინადადებები გაგრძელებისათვის

თუ ჯგუფი დაინტერესებულია თანასწორობასთან დაკავშირებული სხვა საკითხების გარკვევით შეიძლება მოისურვონ სავარჯიშოს „თანასწორობის ქვეყნისაკენ მიმავალი გზა“ შესრულება (გვ. 192), რომელიც განიხილავს გენდერული თანასწორობის საკითხებს.

იდეები მოქმედებისათვის

მოაწყვეთ „სპორტის საყოველთაო დღე“. მოიწვიეთ ახალგაზრდები სხვა კლუბებიდან თქვენს მიერ გამოგონებული თამაშების სათამაშოდ. ჯგუფმა უნდა გადაწყვეტოს როგორ გახადოს თამაში მაქსიმალურად ხელმისაწვდომი ყველასათვის.

დამატებითი ინფორმაცია

,,სპორტი ყველასათვის'' არის მოძრაობა, რომელიც ამკვიდრებს ოლიმპიურ იდეალს, რომ სპორტი არის ყველა ინდივიდის უფლება მათი რასის, სოციალური კლასისა და სქესის მიუხედავად. ეს მოძრაობა ამკვიდრებს სპორტულ ღონისძიებებს, რომელიც ყველა ასაკის, სქესის, და სოციალური და ეკონომიკური სტატუსის ხალხს შეუძლია შეასრულოს. www.olympic.org/ioc/e/org/sportall

uflebebisaTvis mebrZolebi

„ესაა იდეალი, რომლისთვისაც ღირს სიცოცხლე და ბრძოლა.“
ნელსონ მანდელა



თემები ადამიანის ზოგადი უფლებები, მედია, მოქალაქეობა.

სირთულე დონე 2

მონაწილეთა რაოდენობა ნებისმიერი

ხანგრძლივობა 60 წუთი

მიმოხილვა ეს სავარჯიშო იყენებს საინფორმაციო ბარათებს ადამიანის უფლებებისათვის მებრძოლთა შესახებ ინტერესის გასაღვივებლად. განიხილული საკითხები მოიცავს:

- პოლიტიკური რეპრესია
- 20-ე საუკუნის ადამიანის უფლებათა აქტივისტები
- უფლებებისათვის ბრძოლა სხვადასხვა ქვეყნებში

შესაბამისი უფლებები

- აზროვნებისა და აზრის გამოთქმის თავისუფლება
- სამართლიანი გასამართლების უფლება
- წამებისაგან დაცვის უფლება

სხვადასხვა ქვეყნებში ადამიანის უფლებებისათვის მებრძოლთა შესახებ ინფორმირება

მიზნები

- ინფორმაციის შეკრებისა და დამუშავების, თანამშრომლობის და ჯგუფური მუშაობის უნარჩვევების განვითარება
- ადამიანის უფლებების მიმართ პატივისცემის, პასუხისმგებლობის და ცნობისმოყვარეობის გრძნობის სტიმულირება

მასალა

30 ბართის კომპლექტი თითოეული მცირე ჯგუფისათვის

- მაკრატელი
- კონვერტები
- არჩევითი: წებო და მყარი ქაღალდის ნაჭრები ბარათების დასაწებებლად

მოაწყვეთ ოთახი ისე, რომ მონაწილეებმა შეძლონ მცირე ჯგუფებში მუშაობა

მომზადება

- გააკეთეთ დასარიგებელი ბარათების ასლები რათა თითოეული ჯგუფისთვის იყოს ერთი კომპლექტი.
- დაჭერით 30 ბარათის თითოეული კომპლექტი, აურიეთ ისინი რათა დაირღვეს თანმიმდევრობა და ჩადეთ კონვერტში. მნიშვნელოვანია, რომ კომპლექტები ერთმანეთად არ შეეიროს!

ინსტრუქციები

1. სთხოვეთ მონაწილეებს დაიყონ მცირე ჯგუფებად (3 ან 4 მონაწილე თითოეულ ჯგუფში) და დაურიგეთ თითოეულ ჯგუფს ბარათების ერთი კომპლექტი
2. სთხოვეთ მათ დააწყონ ბარათები სახით იატაკზე
3. განმარტეთ, რომ ბარათებზე აღწერილია მოვლენები და ფაქტები 6 ადამიანის უფლებათა აქტივისტის ცხოვრებიდან. თითოეული ჯგუფის ამოცანაა სწორად შეუსაბამონ ეს მოვლენები შესაბამის პერსონაჟს და ამდენად ჩამოაყალიბონ თითოეული მონაწილის მოკლე აღწერა.
4. განმარტეთ, რომ თითოეული პერსონაჟის მონაცემები აღწერილია 5 ბარათზე (ანუ ერთი ბარათი a კომპლექტიდან, ერთი b-დან, ერთი g-დან, ერთი d-დან, და ერთ e-დან).
5. სთხოვეთ ჯგუფს ამოირჩიონ ერთ ჯერზე ერთი ბარათი სანამ ისინი არ გათავდება.
6. მიეცით მონაწილეებს რამოდენიმე წუთი თავიანთი ბარათების ჩუმად წასაკითხად.
7. შემდეგ სთხოვეთ შეუდგნენ საქმეს... მიეცით თითოეულ ჯგუფს საშუალება შეიმუშაონ საკუთარი სტრატეგია პერსონაჟების შესაქმნელად. მათ ამ ეტაპისთვის დასჭირდებათ 15-20 წუთი.
8. შეკრიბეთ ყველა ერთად და სთხოვეთ თითოეული ჯგუფის წარმომადგენელს წარადგინოს ერთ-ერთი პერსონაჟი თავის საკუთარი სიტყვებით. შემდეგ იგივე გაიმეორეთ სხვა ჯგუფთან რათა თითოეული პერსონაჟი სრულად იქნას წარმოდგენილი და თითოეულმა ჯგუფმა შეამოწმოს, რომ სწორად აქვთ ''ნაწილები'' შეერთებული.

ანალიზი და შეფასება

1. რამდენად ადვილი იყო სავარჯიშო და რომელი სტრატეგიები იქნა გამოყენებული სხვადასხვა ჯგუფების მიერ თავიანთი ბარათების ასაწყობად?
2. რომელი პერსონაჟის შესახებ ჰქონდათ მონაწილეებს გაგონილი მანამდეც და რომელი იყო მათთვის ახალი? რატომ იყო ზოგიერთი პერსონაჟი უფრო ნაცნობი ვიდრე სხვები?
3. გააკვირვა მონაწილეები რომელიმე ინფორმაციამ? რა იყო მათთვის ყველაზე შთამბეჭდავი?
4. სთხოვეთ მონაწილეებს აირჩიონ ციტატა, რომელიც ყველაზე ახლოს არის მათთან: როგორ მოიქცეოდნენ თავად იგივე სიტუაციაში რომ აღმოჩენილიყვნენ?
5. რა ზომები შეიძლებოდა მიეღოთ მონაწილეებს?

რჩევები ხელმძღვანელებს

არსებობს უზარმაზარი ინფორმაცია თითოეული ამ პერსონაჟის შესახებ, ხოლო მოწოდებული მოკლე ბიოგრაფიები იძლევა ძალიან ზედაპირულ (და სუბიექტურ) შეხედულებას ამ თემაზე. არსებობს აგრეთვე ასეულობით სხვა აქტივისტებიც, რომლებიც ასევე შეიძლებოდა მოხვედრილიყვნენ ამ სიაში – შერჩეული პერსონაჟები წარმოდგენილია უბრალოდ ნიმუშის ''სახით'' ზოგადი წარმოდგენის შესაქმნელად და მონაწილეებისათვის ტემის გასაცნობად.

ღირშესანიშნავი თარიღი

10 დეკემბერი
ადამიანის უფლებათა დღე

წინადადებები გაგრძელებისათვის

რეკომენდირებულია ამ სავარჯიშოს გაგრძელების სახით მონაწილეებს ურჩიოთ მოიპოვონ ინფორმაცია ადამიანის უფლებათა სხვა აქტივისტების შესახებ, რათა წარმოდგენა შეექმნათ იმ ადამიანებზე, რომლებსაც ისტორიის მანძილზე თავის წვლილი შეჰქონდათ ადამიანის უფლებებისათვის ბრძოლაში. ჯგუფმა შეიძლება დაიწყოს ადამიანის უფლებათა აქტივისტების საკუთარი ”პორტრეტების გალერეის” შექმნა. ამ სავარჯიშოში წარმოდგენილი 6 ადამიანი შეიძლება გამოყენებული იქნას ამ მიმართულებით გადადგმულ პირველ ნაბიჯად: ფოტოები შეიძლება მიაკრან ბარათებზე ციტატებთან და მოკლე ბიოგრაფიებთან ერთად და გამოფინონ ოთახში. ჯგუფის თითოეულ წევრს შეიძლება სთხოვოთ მოიძოინ ინფორმაცია სხვა აქტივისტების შესახებ და დაამატონ ის პორტრეტების გალერეას. აქ წარმოდგენილი 6-ივე ადამიანი იყო სამოქალაქო და პოლიტიკური უფლებებისათვის მებრძოლი, მაგრამ თქვენ შეიძლება მოისურვოთ უფლებების სპქტრის განვრცობა და ჩართოთ მასში სოციალური და ეკონომიკური უფლებებიც. სამოქალაქო საზოგადოებაში არსებობს აზრის გამოთქმის და უფლებებისათვის ბრძოლის რამოდენიმე არხი. თუ გსურთ უფრო დაწვრილებით გადახედოთ ამ საკითხებს შეგიძლიათ შეასრულოთ სავარჯიშო ”კავშირების დამყარება” (გვ. 213).

იდეები მოქმედებისათვის

მოიპოვეთ ინფორმაცია ზოგიერთი დღევანდელი პოლიტპატიმრის ან აქტივისტის შესახებ – მაგ. რომლებსაც საერთაშორისო ამნისტია ”სინდისის პატიმრებს” უწოდებს. დაწერეთ წერილი ან მოაწყვეთ საინფორმაციო კამპანია რათა საზოგადოებას მიაწოდოთ ინფორმაცია ამ პატიმრის შესახებ და მოახდინოთ ზეწოლა შესაბამის პირებზე ამ პატიმრების განთავისუფლების მიზნით.

დამატებითი ინფორმაცია

სასარგებლო ვებ-საიტები, რომლებზეც განტავსებულია ინფორმაცია ადამიანის უფლებათა სფეროს აქტივისტების შესახებ:
www.speaktruthtopower.org
www.universalrights.net/heroes
www.globalyouthconnect.org
www.hrw.org

საერთაშორისო ამნისტიის დიდი ბრიტანეთის განყოფილებამ შექმნა ადამიანის უფლებათა დამცველების საკუთარი ისტორიული კედლის პლაკატი, რომელიც შეგიძლიათ შეუკვეთოთ მათ ვებგვერდზე:
www.amnesty.org.uk

dasarigebeli masala

ბარათები დისკუსიისათვის

a

„მე ვიბრძოდი თეთრკანიანების დომინირების წინააღმდეგ და მე ვიბრძოდი შავკანიანების დომინირების წინააღმდეგაც. მე ვიცავდი დემოკრატიული და თავისუფალი საზოგადოების იდეალს, რომელშიც ყველა ადამიანი ცხოვრობს ერთად ჰარმონიულად და თანასწორად. ამ იდეალისთვის ღირს რომლისთვისაც სიცოცხლე და ბრძოლა. მაგრამ თუ საჭირო იქნება მე მზად ვარ ამ დეალისთვის მოვკვდე"

ნელსონ მანდელა

a

"გარკვეული მტკივნეული მაგრამ ამავე დროს დამამშვიდებელი შეხვედრების დროს, მე თვალნათლივ დავინახე უეცრად სულის სიღრმიდან როგორ ამოხეთქა ყვირილმა: "ეს ჩემი ბრალია" და ამ ყვირილით როგორ აღიდგინა პაციენტმა უფლება საკუთარი თავისთვის ადამიანი ეწოდებინა".

ევგენია გინზბურგი

b

დაიბადა უმტატას ახლომდებარე სოფელში და 76 წლის ასაკში პირველ დემოკრატიულ არჩევნებში არჩეულ იქნა სამხრეთ აფრიკის რესპუბლიკის პრეზიდენტად. ამ მომენტამდე და მას შემდეგაც მისი ცხოვრების მიზანი იყო

b

დაიბადა რუსეთში 1906 წ. და გარდაიცვალა მოსკოვში 1977წ. სტალინის რეჟიმის მიერ გაყალბებულ სასამართლო პროცესზე ტერორისტის იარლიყის მიკვრამდე წყნარად მუშაობდა მასწავლებლად და ჟურნალისტად. 18 წელი გაატარა

g

აპარტეიდის წინააღმდეგ ბრძოლა, რომელიც წარმოადგენდა თეთრკანიანთა ყოფილი მთავრობის მიერ დამკვიდრებულ რასისტულ სისტემას შავკანიანი მოსახლეობის უმრავლესობის ჩაგვრის რასისტულ სისტემას. მან გადაიტანა რეპრესიის მრავალი ფორმა: მიტინგების აკრძალვა, მალვაში ყოფნა, და ბოლოს

g

ციმბირის საპატიმრო ბანაკებში უკიდურეს პირობებში, რადგანაც უარი განაცხადა დაედანაშაულებინა სხვები იმაში, რაც არასოდეს ჩაუდენიათ. პირველი წელი გაატარა იზოლირებულ პატიმრობაში ბნელ კამერაში, აკრძალული ჰქონდა ლაპარაკი, გასეირნება, სიმღერა, და დაწოლაც კი დღის განმავლობაში.

d

პატიმრობა, და სამუდამო პატიმრობის მისჯა 44 წლის ასაკში. მომდევნო 28 წელი მან გაატარა ციხეში, ოჯახისგან და შვილებისგან შორს.

d

მოგვიანებით ის ერთ-ერთი პატიმრის დახმარებისთვის დასაჯეს და ციმბირის ერთი შრომა-გასწორებითი კოლონიიდან გადაიყვანეს მეორეში საიდანაც ცოტა თუ ბრუნდებოდა ცოცხალი.

e

e



a

”მე ვოცნებობ, რომ ერთ დღეს ეს ერი აღსდგება და განახორციელებს თავისი კრედოს ჭეშმარიტ დანიშნულებას. „ჩვენ ვიცით, რომ ყველა ადამიანი შექმნილია თანასწორად“ მე ვოცნებობ, რომ ჩემი 4 შვილი ერთ დღეს იცხოვრებს სახელმწიფოში, სადაც ისინი არ იქნებიან შეფასებული კანის ფერის, არამედ მათი პიროვნული თვისებების მიხედვით“.

მარტინ ლუთერ ქინგი

a

„არა-ძალადობა არის უდიდესი ძალა, რომელიც კაცობრიობის განკარგულებაშია. ის კიდევ უფრო ძლევამოსილია ვიდრე ყველაზე უფრო ძლევამოსილი განადგურების იარაღი შექმნილი ადამიანის გონების მიერ“.

მაჰათმა განდი

b

დაიბადა 1929 წ. ატლანტაში, ჯორჯიას შტატში, როდესაც მოქმედი კანონის მიხედვით შავკანიანებს უნდა დაეკავებინათ სპეციალურად მათთვის განკუთვნილი ადგილები ავტობუსებში, თეატრებში და კინოებში, წყალი უნდა დაელიათ ცალკე შადრევნებიდან. 28 წლის ასაკში ის გახდა თანა-დამაარსებელი

b

დაიბადა 1869 წ. ინდიელი მშობლების ოჯახში, რომლებიც ცხოვრობდნენ გუჯარატში როდესაც ინდოეთი ჯერ კიდევ ბრიტანეთის იმპერიის კოლონია იყო. ის უძღვებოდა ამოუკიდებლობისათვის ბრძოლას და არასოდეს უღალატია თავის მყარი რწმენისათვის

g

შავკანიანთა ეკლესიის ორგანიზაციის, რომელიც მოუწოდებდა რასობრივი სეგრეგაციის წინააღმდეგ მიმართული მშვიდობიანი გამოსვლების, დემონსტრაციების და

ბოიკოტებისაკენ. ორგანიზაციამ მონაწილეობა მიიღო ბირმინჰემის საპროტესტო აქციაში, ალაბამაში, რომლის დროსაც ასობით მომღერალი ბავშვით

g

არა-ძალადობრივი პროტესტსა და რელიგიური შემწყნარებლობაში, მიუხედავად მრავალგზის დაპატიმრებისა და სასჯელის მოხდისა. როდესაც ინდოელები ერთმანეთის ან ბრიტანეთის მმართველობის წინააღმდეგ ძალადობას იყენებდნენ, ის შიმშილობდა სანამ ძალადობა არ დასრულდებოდა. ის წინ მიუძღოდა 241 მილის მანძილზე გავლილ მარშს ინდოეთის ტერიტორიაზე და

d

აივსო ქუჩები მხადაჭერის ნიშნად. ქუჩებში გამოყვანილ იქნა პოლიცია ძაღლებით და მეხანძრეები ბრანდსპოიტებით. ის დაპატიმრებული იქნა.

d

დაარწმუნა მისი მომხრეები სამაგიეროს გადახდის გარეშე მიეღოთ პოლიციის და ჯარისკაცების სისასტიკე. მან ციხეში გაატარა თავისი სიცოცხლის 2338 დღე, რომელსაც დაუღალავად უძღვნიდა მშვიდობას.

e

e



a

„ჩვენ არ ვცდილობთ გავანადგუროთ ან დავანგრიოთ სამხედრო რეჟიმი; ეს ისინი გვემუქრებიან. რომ გაგვანადგურებენ ჩვენ მაგრამ... ჩვენი მოძრაობის მიზანი არის შეექმნათ საზოგადოება, რომელიც უსაფრთხოებას სთავაზობს მთელ ხალხს სამხედროების ჩათვლით.

აუნ სან სუ ჩჟი

b

დაიბადა 1945 წ. ბირმაში. ის იყო კოლონიური მმართველობის წინააღმდეგ მებრძოლი, დამოუკიდებლობისათვის ბრძოლაში მოკლული ეროვნული გმირის შვილი. გახდა დემოკრატიისათვის ბრძოლის ცნობილი ლიდერი

g

სასტიკი სამხედრო რეჟიმის წინააღმდეგ და კინაღამ მოკლა ჯარის ნაწილმა, რომელსაც უბრძანეს მისთვის დაემიზნებინათ იარაღი. მისჯილი ჰქონდა შინაპატიმრობა 6 წლის განმავლობაში რაიმე დანაშაულში ბრალდების გარეშე და იზოლირებული იყო მთელი გარე სამყაროსაგან. განთავისუფლების შემდეგაც კი მთავრობამ

d

აუკრძალა მას ენახა თავისი მომაკვდავი მეუღლე. 2001 წ. ის კვლავ გამოკეტეს საკუთარ ბინაში მკაცრი კონტროლის ქვეშ და გადაუჭრეს ტელეფონის ხაზები.

e

a

„რა სამწუხაროა, ამ სევდიან სიმღერას ვუგზავნი მათ, ვინც პატიმრებს ეხმარება. ეს გრძნობები ამ ბნელ ჟამს – არასოდეს დამავიწყდება საშინელი წამებები. და არ მოუწევს არცერთ მოაზროვენ არსებას გადაიტნოს ცემი ამჟამინდელი წამება.

ნგავანგ სანგდროლი

b

არის ბუდისტი მონაზონი, რომელსაც სჯერა, რომ ტიბეტი უნდა გათავისუფლდეს ჩინეთისაგან და რომელიც პირველად 10 წლის ასაკში იქნა დაპატიმრებული ჩინეთის ხელისუფლების მიერ. მისი ერთადერთი დანაშაული იყო მონაწილეობა

g

ტიბეტის თავისუფლებისათვის ორგანიზებულ მშვიდობიან დემონსტრაციაში. ხელმეორედ დაპატიმრებულ იქნა 15 წლის ასაკში და მიესაჯა 3 წლით თავისუფლების აღკვეთა. პირველად სასჯელი გაუგრძელდა ციხეში თავისუფლებისადმი მიძღვნილი სიმღერის შესრულების გამო, შემდეგ კი 8 წლის მერე კვლავ გაუგრძელდა სასჯელი რადგან ის

d

ციხის ეზოში წვიმაში მდგომი ყვიროდა ”თავისუფლება ტიბეტს”. დღეს მას აწუხებს თირკმელები იმ წამების შედეგად, რომელიც გადაიტანა.

e



frTxilad, Cven yvelafers vxedavT!

არ არსებობს უფრო უხეში შეცდომა, ვიდრე არ გააკეთო არაფერი, რადგან მიგაჩნია, რომ მხოლოდ ცოტას გაკეთება შეგიძლია.

თემები

globalizacia

socialuri uflebebi

moqalaqeoba

სირთულე

done 1
done 2
done 3
done 4

done 4

მონაწილეთა რაოდენობა


nebismieri

ხანგრძლივობა


150 wuTi

თემები გლობალიზაცია, სოციალური უფლებები, მოქალაქეობა.

სირთულე დონე 4
ნებისმიერი

მონაწილეთა რაოდენობა 150 წუთი

ხანგრძლივობა ამ სავარჯიშოში მონაწილეები გეგმავენ საზოგადოების ინფორმირებისაკენ მიმართულ კამპანიას ტრანსნაციონალური კომპანიების მიერ რელოკაციის შედეგებთან დაკავშირებით.

მიმოხილვა ყველა ადამიანის უფლება ისარგებლოს სამართლიანი და ხელსაყრელი სამუშაო პირობებით.

შესაბამისი უფლებები
- პროფკავშირების შექმნის უფლება
- სოციალური დაზღვევის უფლება

ტრანსნაციონალური კომპანიების რელოკაციით გამოწვეული ადგილობრივი და გლობალური შედეგების გაანალიზება

მიზნები
- ადამიანის უფლებათა სფეროში აქტივობის დამკვიდრება
- შემოქმედებისა და ფანტაზიის უნარის სტიმულირება

წებოვანი ფურცლები, რომლისგანაც მონაწილეებს შეუძლიათ გააკეთონ იარლიყები და პატარა დასაწებელი ფურცლები კამპანიის ლოზუნგების გასაკეთებლად.

მასალა
- დიდი ზომის ფურცლები ან დაფის ფურცლები პლაკატების გასაკეთებლად
- 4 ზომის ფურცლები ბროშურების გასაკეთებლად (სასურველია ფერადი ფურცლები)
- ლენტი და წებო
- ფერადი მარკერები და ფანქრები
- მაკრატელი
- გაზეთები, ჟურნალები, ბროშურები, და სხვა ბეჭდვითი მასალა სურათების წყაროდ გამოყენებისათვის

მომზადება გააკეთეთ ფაქტობრივი ცნობების და კამპანიის მიზნების ასლები, ერთი თითოეული მონაწილისათვის.

ინსტრუქციები

1. განმარტეთ, რომ ეს სავარჯიშო შეეხება გლობალიზაციას და განსაკუთრებული აქცენტი გაკეთებულია ტრანსნაციონალური კომპანიების რელოკაციის პრაქტიკაზე.
2. ჰკითხეთ მონაწილეებს რა იციან უკვე ამ თემაზე და მათი აზრით როგორ არის ეს გაშუქებული მედიაში.
3. იფიქრეთ, რა არის საჭირო კარგი სარეკლამო კამპანიისათვის?
4. დაყავით მონაწილეები მცირე 3-4 წევრიან ჯგუფებად
5. მოიყვანეთ აღმოსავლეთ ევროპის სუფთა ტანსაცმლის კამპანიის მაგალითი, როგორც ნიმუში კამპანიისა, რომელიც ცდილობს ინფორმაცია მიაწოდოს მოსახლეობას გლობალიზაციის შედეგების შესახებ და დაურიგეთ მათ ფაქტობრივი ცნობები.
6. მოაწყვეთ სცენა სავარჯიშოსთვის. უთხარით ჯგუფს, რომ მათ უნდა წარმოიდგინონ რომ არასამთავრობო ორგანიზაციამ, აღმოსავლეთ ევროპის სუფთა ტანსაცმლის კამპანიამ ეს-ესაა მიიღო გრანტი ევროსაბჭოსგან. მაშინ როდესაც მანამდე ფინანსური პრობლემების გამო მას უხდებოდა მცირე მასშტაბის სამუშაობის შესრულება სულ რამდენიმე ქვეყანაში. ახლა კი კამპანიის დირექტორთა საბჭომ გადაწყვიტა განაახლოს და განავრცოს ის ევროპის მასშტაბით. ორგანიზაციას სურვილი აქვს დაიქირავოს ჯგუფი კონსულტანტებად.
7. დაარიგეთ კამპანიის მიზნების ასლები (დასარიგებელი მასალა 2). განმარტეთ, რომ კამპანიამ გთხოვათ თქვენ გაავრცელოთ ეს ძირითადი ინფორმაცია.
8. ყველა მცირე ჯგუფმა უნდა შეიმუშაოს წინადადებები მათ ქვეყანაში კამპანიის გავრცელებისათვის. თავდაპირველად მათ უნდა შექმნან მოკლე პროექტი და მოხაზონ წინადადებები მთელი კამპანიისათვის. შემდეგ უნდა დააზუსტონ დეტალები, როგორ უნდა შეასრულონ პირველი მიზანი, ანუ როგორ მიაწოდონ ინფორმაცია საზოგადოებას. დეტალური შემოთავაზება უნდა მოიცავდეს:
   - ჩასატარებელი ღონისძიებების გრაფიკს
   - შემოთავაზებული ღონისძიებების სიას (კონცერტები, ტელე და რადიო პროგრამები, ქუჩის სპექტაკლები, ბროშურები, და ა.შ.)
   - ღონისძიებების ჩატარების ადგილები (სკოლები, საზოგადოებრივი თავშეყრის ადგილები და ა.შ.)
   - საჭირო თანამშრომელთა რაოდენობა
   - საცდელი მასალა (პლაკატები და ა.შ.)
9. ხაზი გაუსვით, რომ შემოთავაზებული პროექტი უნდა იყოს მკაფიო და ზუსტი. უთხარით მონაწილეებს, რომ არასამთავრობო ორგანიზაცია ღიაა ყველა შემოთავაზებისთვის განსაკუთრებით კი შემოქმედებითი წინადადებებისთვის, მაგრამ ისინი მოითხოვენ რომ ჯგუფმა დააკმაყოფილოს ის მოთხოვნები, რომლებიც კამპანიის მიზნებშია აღწერილი და დაასაბუთონ რა საშუალებით აპირებენ მათ მიღწევას. მოგვიანებით მათ მოუწევთ ამ წინადადებების წარდგენა არასამთავრობო ორგანიზაციის წარმომადგენლებისათვის, რათა მათ რეკომენდაცია გაუწიონ აღმოსავლეთ ევროპის სუფთა ტანსაცმლის კამპანიის წინაშე. მათ 60 წუთი აქვთ პროექტის მოსამზადებლად.
10. როდესაც პროექტების მომზადება დასრულდება მოაწყვეთ პრეზენტაცია.
11. გახსენით პლენარული სხდომა მსჯელობისათვის.

ანალიზი და შეფასება

დაიწყეთ მოკლე მიმოხილვით, როგორ წარიმართა სავარჯიშო. სთხოვეთ თითოეულ ჯგუფს გააკეთოს კომენტარი თუ როგორ მოხდა ამოცანების ორგანიზება, და როგორ იმუშავეს მათ ერთად. ყველა იყო ჩართული პროცესში? ყველას ჰქონდა შეგრძნება რომ მონაწილეობდნენ? შემდეგ გადადით გლობალიზაციის საკითხების განხილვაზე და რა ისწავლეს მონაწილეებმა?

- რა არის კომპანიის რელოკაციის დადებითი და უარყოფითი შედეგები? ადგილობრივი დასაქმების დონეზე? ეროვნულ ეკონომიკაზე? გლობალურ ეკონომიკაზე?
- აქვთ მუშებს რაიმე რეალური არჩევანი სამუშაოს პირობების მიღებასთან დაკავშირებით თუ არა?
- ვინ აგებს პასუხს ამ სიტუაციაზე?
- რა შეიძლება და უნდა იყოს გაკეთებული თავიანთი უფლებების შესახებ დასაქმებულთა ინფორმირებისათვის?
- არის შემოთავაზებულის მსგავსი კამპანიები სასარგებლო? რატომ?
- რის მიხედვით არის კამპანია წარმატებული?
- ფიქრობთ, რომ ორგანიზაციები, რომლებიც მუშაობენ დასაქმებულთა უფლებების სფეროში, როგორიცაა არასამთავრობო ორგანიზაციები, პროფკავშირები, გაეროს სააგენტოები, ანტი-გლობალისტური ორგანიზაციები, ცვლიან რეალურად რაიმეს?

რჩევები ხელმძღვანელებს

ინფორმაცია ტრანსნაციონალური კომპანიების რელოკაციის შესახებ იხ. გლობალიზაციის ძირითადი ინფორმაციის ნაწილში. ვიდრე ამ სავარჯიშოს შესრულებას დაიწყებდეთ, შეამოწმეთ არსებობს თუ არა აღმოსავლეთ ევროპის სუფთა ტანსაცმლის კამპანიის ფილიალი ან მსგავსი ორგანიზაცია თქვენს ქვეყანაში.

სავარჯიშოს ერთ-ერთი მიზანი არის მონაწილეთა შემოქმედებითი უნარის სტიმულირება. ამდენად, ხაზი უნდა გაუსვათ, რომ მათ თავისუფლად უნდა იგრძნონ თავი ნებისმიერი სახის კამპანიის ახალი სტრატეგიების "გამოგონებაში" და ყოველთვის ახსოვდეთ, რომ უნდა დააკმაყოფილონ არასამთავრობო ორგანიზაციის მიერ წამოყენებული მოთხოვნები.

ინსტრუქციების **მე-10** პუნქტში, ე.ი. როცა ჯგუფები წარმოადგენენ თავიანთ ნამუშევარს თქვენ შეგიძლიათ შეასრულოთ აღმოსავლეთ ევროპის სუფთა ტანსაცმლის კამპანიის კომისიის წევრის როლი. თუმცა რეკომენდირებულია, რომ იპოვოთ სხვა ხალხი, რომლებიც არ იყვნენ ჯგუფის მუშაობაში ჩართული. ეს სავარჯიშოს უფრო საინტერესოს ხდის და იძლევა დისკუსიის გახსნის საშუალებას, განსაკუთრებით თუ შესაძლებელია მოიწვიოთ ვინმე არასამთავრობო ორგანიზაციიდან, ვინც მუშაობს გლობალიზაციის საკითხებზე, ან არის კამპანიის მონაწილე.

თუ შეგიძლიათ „ექსპერტების" მოწვევა, კარგი იქნება სავარჯიშოს შესრულება 2 მეცადინეობაზე. პირველი გამოიყენეთ კამპანიის მასალებისათვის, ხოლო მეორე დისკუსიისათვის.

წინადადებები გაგრძელებისათვის

დაუკავშირდით აღმოსავლეთ ევროპის სუფთა ტანსაცმლის კამპანიას და განავითარეთ სამუშაო, რომელიც ჯგუფმა დაიწყო.

თუ ჯგუფს სურვილი აქვს გააგრძელოს სოციალურ და სამსახურებრივ უფლებებზე მუშაობა შეუძლიათ შეასრულონ სავარჯიშო „აშიკის ისტორია“ (გვ. 100), რომელიც განიხილავს ბავშვების სამუშაო ძალად გამოყენების საკითხებს.

dasarigebeli masala

ფაქტობრივი ცნობები: აღმოსავლეთ ევროპის სუფთა ტანსაცმლის კამპანია

აღმოსავლეთ ევროპის სუფთა ტანსაცმლის კამპანია არის ქსელი, რომელიც შეიქმნა ნიდერლანდებში 1990 წ. და მიზნად ისახავდა სამუშაო პირობების შექმნას სპორტის ტანსაცმლის გლობალურ ინდუსტრიაში. ახლა უკვე აღმოსავლეთ ევროპის სუფთა ტანსაცმლის კამპანია დაახლოებით 10 აღმოსავლეთ ევროპის ქვეყანაში არსებობს, სადაც თითოეული მათგანი არის მომხმარებელთა ორგანიზაციების, პროფკავშირების, ადამიანის უფლებების და ქალთა უფლებების ორგანიზაციების, მკვლევარების, სოლიდარული პასუხისმგებლობის ორგანიზაციების და აქტივისტების კოალიცია.

უდიდესი სამსახურებრივი პრობლემებია:

- დაბალი ანაზღაურება
- შრომითი ურთიერთობების მოუწესრიგებლობა, (არავითარი კონტრაქტი, არარეგულარული სამუშაო ადგილები, იძულებითი და აუნაზღაურებელი გადაჭარბებით მუშაობა, და ა.შ.)
- ორგანიზებაზე უარის თქმა (მუშათა აქტივისტების დაშინება)

კამპანიის მიზნები

კამპანიის მიზნები უნდა იყოს:

- ფართო საზოგადოების ინფორმირება მიმდინარე მოვლენების შესახებ, რათა მოპოვებული იქნას მხარდაჭერა კამპანიისათვის.
- კონკრეტული მაგალითების საფუძველზე გლობალიზაციის იმ შედეგების ჩვენება, რომლებიც არღვევს ადამიანის უფლებებს.
- კომპანიებზე ზეწოლის განხორციელება, რათა გაუმჯობესდეს მუშების უფლებების პატივისცემა მათ უფლებებზე ინფორმაციის გავრცელების საშუალებით.

ადამიანების, ორგანიზაციების და ინსტიტუტების ქსელის ამოქმედება, რომლებიც იბრძვიან ამავე მიზნებისათვის.

`yvela Tanaswori – yvela gansxvavebuli~

"ყველა ადამიანი უნივერსალურად თანასწორუფლებიანია და სპეციფიურად განსხვავებული. უნივერსალური თანასწორუფლებიანობა და სპეციფიური განსხვავება პატივისცემას მოითხოვს".

თემები

ადამიანის ზოგადი უფლებები, დისკრიმინაცია და ქსენოფობია, გლობალიზაცია

სირთულე

დონე 2

მონაწილეთა რაოდენობა

6 – 60

ხანგრძლივობა

40 წუთი

მიმოხილვა

ეს არის მოკლე ვიქტორინის მსგავსი საკმაოდ პროვოკაციული სავარჯიშო, რაც მას თავისთავად საინტერესოს ხდის, მაგრამ ამავე დროს ის წარმოადგენს ფართო დისკუსიის საფუძველს ჯგუფისათვის.

შესაბამისი უფლებები

თანაბარი ღირსების უფლება

- უფლებებისა და თავისუფლებების უფლება რასობრივი, კანის ფერის, რელიგიური, სქესობრივი და ნებისმიერი სხვა სახის შეზღუდვების გარეშე.
- მოქალაქეობის უფლება

მიზნები

ადამიანის უფლებების უნივერსალობის განხილვა

- მონაწილეების მიერ საკუთარი ეთნოცენტრიზმის გააზრება და პრეკონცეფციების დანახვა საკუთარ თავში და სხვებში.
- ინფორმაციის დამოუკიდებელი და კრიტიკული აღქმის უნარ-ჩვევების განვითარება.

მასალა

დასარიგებელი ტექსტობრივი მასალა

- დიდი ზომის ფურცელი (3), ან დაფის ფურცელი და მარკერები (არჩევით)

გააკეთეთ დასარიგებელი მასალის ერთი ასლი ყოველი მონაწილისათვის. ალტერნატიული ვარიანტი არის მისი დაწერა დაფაზე, ან ეკრანზე ჩვენება. (დარწმუნდით, რომ ყველა ხედავს მას)

მომზადება





ინსტრუქციები

1. აუხსენით მონაწილეებს, რომ ეს სავარჯიშო არის ვიქტორინის მსგავსი მაგრამ მისი მიზანი არ არის გამარჯვებულის ან დამარცხებულის გამოვლენა – ეს მხოლოდ საწყისი წერტილია
2. დაარიგეთ ან აჩვენეთ ეკრანზე ციტატები. მიეცით მონაწილეებს 5 წუთი მათ წასაკითხად.
3. შემდეგ სთხოვეთ მათ ინდივიდუალურად გადაწყვიტონ:
   ა. პირველი ტექსტის წყარო; რომელი წიგნიდან ან დოკუმენტიდან არის ნაწყვეტი ამოღებული?
   ბ. რომელი ქვეყნიდან/რეგიონიდან არის მეორე ტექსტის ავტორი?
4. როდესაც ყველას მზად ექნება პასუხები, სთხოვეთ მონაწილეებს დაიყონ მცირე, დაახლოებით 3-წევრიან ჯგუფებად. მიეცით მათ 20 წუთი გაანალიზონ და იმსჯელონ თავიანთ არჩევანზე. მათ უნდა

იფიქრონ შემდეგ საკითხებზე და თუ შესაძლებელია იპოვონ კოლექტიური პასუხი:

- რატომ აირჩიეს ზუსტად ეს პასუხი და არა სხვა?
- რას ამბობენ ეს ტექსტები მათი ავტორების შესახებ?
- რას ფიქრობენ ამ ტექსტების შესახებ?

5. როდესაც ჯგუფები მორჩებიან მსჯელობას, შეიკრიბეთ პლენარულ სხდომაზე და შეკრიბეთ პასუხები ა) შეკითხვაზე თითოეული ჯგუფიდან. სთხოვეთ ჯგუფებს განმარტონ ამგვარი პასუხის მიზეზები. შემდეგ გაიმეორეთ პასუხების შეგროვების პროცედურა ბ) შეკითხვაზე.
6. გაამჟღავნეთ ავტორი, ესპანელი საიდ-ალ-ანდალუზი და გადადით ანალიზზე და შეფასებაზე.

ანალიზი და შეფასება

დაიწყეთ თავად სავარჯიშოს მოკლე მიმოხილვით და შემდეგ, თუ ფიქრობთ, რომ ჯგუფი მზადაა ამისათვის, გააცანით მათ პრეკონცეფციებისა და ეთნოცენტრიზმის არსი. იმსჯელეთ შემდეგ საკითხებზე (პლენარულ სხდომაზე, ან თუ საჭიროა, მცირე ჯგუფებში).

- გააკვირვა მონაწილეები ავტორის წარმოშობამ?
- როგორ მიიღეს მონაწილეებმა დამოუკიდებელი გადაწყვეტილება? უბრალოდ ცდილობდნენ გამოეცნოთ? ინტუიციით? თუ რეალურად იცოდნენ ავტორი?
- შეიცვალეს მონაწილეებმა აზრი თავიანთი არჩევანის შესახებ მცირე ჯგუფებში დისკუსიის შედეგად? რამ შეაცვლევინა მათ აზრი? უბრალოდ ზეწოლამ? მყარმა არგუმენტებმა?
- როგორ იცავდნენ მონაწილეები თავიანთ არჩევანს მცირე ჯგუფებში დისკუსიის დროს? მყარად იდგნენ თავიანთ პოზიციებზე თუ მერყეობდნენ?
- რატომ აღწერს ჩრდილოელ ხალხს ავტორი იმგვარად, როგორც ეს ტექსტშია?
- რა მინიშნებებს იძლევა მეორე ტექსტი ავტორის, მისი შეხედულებებისა და კულტურის შესახებ?
- რამდენად არის ავტორის შეხედულება მისი ეთნოცენტრისტული ან პრეკონცეფციული აზროვნების შედეგი? ან იქნება სამართლიანი თუკი ვიტყვით, რომ გარკვეულ დროს ჩრდილოეთ ევროპის კულტურები ნაკლებად „ცივლიზებული“ იყო ვიდრე ავტორის კულტურა?
- შეუძლიათ მონაწილეებს მოიყვანონ მაგალითები, საკუთარი გამოცდილებიდან ან წაკითხული წიგნებიდან? როგორი შეიძლება იყოს შეგრძნება როდესაც ნაკლებად სრულფასოვან ადამიანად გთვლიან?
- რა შედეგები მოჰყვება, როდესაც ადამიანები არ ფასდებიან საკუთარი ღირსებების შესაბამისად? შეუძლიათ გაიხსენონ მაგალითები ისტორიიდან? აწმყოდან?
- რა უნდა გავაკეთოთ, რომ პრეკონცეფციების შედეგებს დავუპირისპირდეთ?
- არსებობენ მონაწილეების ქვეყნებში, ან რეგიონებში ხალხი, რომლებიც ასევე არიან პრეკონცეფციის ობიექტი? ვინ არის ეს ხალხი?

რჩევები ხელმძღვანელებს

ნაწყვეტები ამოღებულია ანდალუზიის ქალაქ კორდოვას (ამჟამინდელი ესპანეთი) ცნობილი სწავლულის წიგნიდან. საიდ-ალ-ანდალუზი დაიბადა 1029

ქრისტეს შობამდე. იგი სახელგანთქმული იყო თავის სიბრძნითა და ცოდნით. მისთვის ცივილიზაცია და მეცნიერება მჭიდროდ იყო დაკავშირებული წმინდა ყურანის ცოდნასთან. ის განსწავლული იყო არა მხოლოდ რელიგიაში, არამედ ასევე ბრწყინვალედ იცოდა არაბული ლიტერატურა, მედიცინა, მათემატიკა, ასტრონომია და სხვა მეცნიერებები.

საჭიროა გავიხსენოთ, რომ ამ დროს ხმელთაშუა ზღვის აუზი და, განსაკუთრებით, მის გარშემო არსებული არაბული სამეფოები, წარმოადგენდა „ცივილიზაციის" ცენტრს. „ჩრდილოეთში", როგორც საიდი მას უწოდებს ცოდნა ისეთივე მაღალ დონეზე არ იყო ჩრდილოეთ ევროპაში, როგორც არაბულ სამყაროში, სპარსეთში, ჩინეთში და ინდოეთში.

გახსოვდეთ, რომ ჯგუფიდან გამომდინარე შეიძლება დაგჭირდეთ მონაწილეებისთვის გარკვეული ინფორმაციის მიწოდება თუ როგორ წაიკითხონ ტექსტები უფრო კრიტიკულად. შესაძლოა მიუთითოთ, რომ მეორე ტექსტი ფაქტიურად ბევრს ამჟღავნებს ავტორის მისი გარეგნობის, კულტურის შესახებ, მაგ. რომ მას უნდა ჰქონოდა ხვეული თმა და მუქი ფერის კანი. კრიტიკული კითხვის უნარი გულისხმობს არა მხოლოდ ტექსტის შინაარსის გაგებას, არამედ მისი კონტექსტის შესახებ დაფიქრებას, ვინ არის ავტორი, და რატომ წერს ასე და არა სხვაგვარად. ამის გაცნობიერება არის მნიშვნელოვანი ნაბიჯი იმის გასაგებად თუ როგორ უნდა მოხდეს ნებისმიერი სახის ტექსტის (ისტორია, ახალი ამბები, პოემები, სიმღერები, და ა.შ.) წაკითხვა და იმ ფასეულობების გააზრება, რომელსაც ისინი ატარებენ.

ეთნოცენტრიზმის საკითხის გაცნობის ერთ-ერთი გზა არის მონაწილეებისათვის მითითება, რომ ავტორი –ხვეული თმებით და მუქი კანით არის „უცხოს" კარგი მაგალითი, ანუ ადამიანის, რომელსაც ევროპელთა უმრავლესობა არ ჩათვლითა ნორმალურად. ასევე მნიშვნელოვანია დისკუსიის საშუალებით დაეხმაროთ მონაწილეებს გაიაზრონ, რომ კულტუროლოგიური განსხვავება ხალხს არ ხდის სხვებთან შედარებით „უკეთესს" ან „უარესს". ასევე უნდა მიუთითოთ, რომ ძნელია არ განსაჯო სხვები პრეკონცეფციების გარეშე, რადგანაც ჩვენ „ნორმის" ჩვენეულ, ჩვენი კულტურიდან გამომდინარე ხედვას ვეყრდნობით. ამის შეფასება – ჩვენი საკუთარი ეთნოცენტრიზმის – არის მნიშვნელოვანი ნაბიჯი სხვებში მათი შეცნობისა და აღიარებისაკენ და სხვა კულტურის ხალხებთან წარმატებული ურთიერთობისაკენ.

სავარჯიშოს დასასრულს მოიტოვეთ დრო წამოჭრილი საკითხების და იდეების შემდგომი განხილვისათვის. მაგ. თქვენ შეიძლება მოისურვოთ გაანალიზება ან მსჯელობა ისტორიის სწავლების შესახებ და რეალურად რამდენად ბევრს (ან ცოტას) ვსწავლობთ ჩვენ ევროპაში სხვა კულტურების შესახებ.

შენიშვნა: ნაწყვეტები ამოღებულია „ერების კატეგორის წიგნიდან - მეცნიერება შუასაუკუნეების სამყაროში". ავტორი საიდ ალ-ანდალუზი, თარგმანი სემა'ან ი. სალემი და ალოკ კუმარი. ტეხასის უნივერსიტეტის გამოცემა, ოსტინი 1991.

წინადადებები გაგრძელებისათვის

თუ სურვილი გაქვთ უფრო ღრმად ჩაიხედოთ ადამიანის უფლებათა უნივერსალობაში შეგიძლიათ გამოიყენოთ სავარჯიშო „ინსცენირება" (გვ. 201),

რომელიც დამყარებულია შემოქმედებით მიდგომასა და სასცენო ხელოვნების ელემენტებზე.

dasarigebeli masala

ვიქტორინა „ყველა თანასწორი – ყველა განსხვავებული:

1. რა არის შემდეგი ტექსტის წყარო? რა წიგნიდან ან დოკუმენტიდან არის ნაწყვეტი?

"ყველა ადამიანი მთელ დედამიწაზე აღმოსავლეთიდან დასავლეთისაკენ, ჩრდილოეთიდან სამხრეთისაკენ წარმოადგენს ერთ ჯგუფს; (ისინი) სამი ნიშნის მიხედვით განსხვავდებიან: ქცევა, გარეგნობა და ენა."

ამოირჩიეთ ერთ-ერთი შემდეგი შესაძლო პასუხებიდან:

- იუნესკოს დეკლარაცია რასიზმის შესახებ, 1978
- ❑ "ყველა თანასწორი – ყველა განსხვავებული" ახალგაზრდული კამპანია, ევროსაბჭო, 1996.
- ჰეროდოტეს "ისტორია", 440 ჩვ.წ.ა.
- ❑ საიდ ალ-ანდალუზი, 1029 ჩვ.წ.ა.
- ინდური ვედები, დაახ. 1.000 ჩვ.წ.ა.
- ❑ არცერთი ზემოთ ჩამოთვლილი

2. რომელი ქვეყნიდან/რეგიონიდან არის ამ ტექსტის ავტორი?

" (ევროპის) უკიდურეს ჩრდილოეთში მცხოვრებლებს ტანჯავს მზის სიშორე. მათი ჰაერი ცივია და მათი ცა ღრუბლიანი. შედეგად, მათი ტემპერამენტი ცივია და მათი ქცევა უხეში. ამის გამო მათი სხეულები დიდი ზომისაა, კანის ფერი თეთრი და მათი თმა სწორი. მათ დაკარგეს შორსმჭვრეტელობის უნარი და აღქმის სიმკვეთრე. მათ სრულიად დაეუფლა უმეცრება და სიზარმაცე, და დაღლილობამ და სულელურმა აზრებმა შეიპყრო".

ამოირჩიეთ ერთ-ერთი შემდეგი შესაძლო პასუხებიდან:

❑ ჩინეთი ❑ ევროპა ❑ ინდოეთი ❑ აფრიკა ❑ სპარსეთი ❑ არცერთი ზემოთ ჩამოთვლილი

მუხლი 1 ადამიანთა უფლებებისა და მოვალეობების ახალგაზრდების მიერ შემოთავაზებული დეკლარაცია. დეკლარაცია შეიქმნა 80 სხვადასხვა ეროვნების წარმომადგენელი 500 ახალგაზრდის მიერ სტრასბურგში ევროპის სასახლეში ორგანიზაცია „ უმაინს სსოციეს" („ასოცირებული ხალხი") და 1989 წლის 26 აგვისტოს დეკლარაციის ასოციაციის ინიციატივით (89). www.humains-associes.org

SeiZleba Semovide?

ლტოლვილებო, წადით სახლში! წავიდოდნენ რომ შეეძლოთ

თემები

adamianis usafrTxoeba

diskriminacia

mSvidoba da Zaladoba

სირთულე

done 1
done 2
done 3
done 4

done 3

მონაწილეთა რაოდენობა



6-20

ხანგრძლივობა

60 wuTi

თემები

ადამიანის პირადი უსაფრთხოება, დისკრიმინაცია და ქსენოფობია, მშვიდობა და ძალადობა

სირთულე

დონე 3

მონაწილეთა რაოდენობა

6 - 20

ხანგრძლივობა

60 წუთი

მიმოხილვა

ეს არის ლტოლვილთა ჯგუფის როლური გათამაშება, რომლებიც ცდილობენ გაიქცნენ სხვა ქვეყანაში. და ეხება:

- ლტოლვილების უფლებებს
- თავშესაფრის მიცემის, ან მასზე უარის თქმის სოციალურ და ეკონომიკურ არგუმენტებს
- სხვა ქვეყანაში დევნისაგან თავშესაფრის ძიების და მიღების უფლება

შესაბამისი უფლებები

გაუსახლებლობის უფლება (ლტოლვილების უფლება, არ იყვნენ დეპორტირებულები თავიანთ ქვეყანაში, სადაც მათ ემუქრებათ დევნა ან სიკვდილი)

- დისკრიმინაციისაგან დაცვის უფლება

მიზნები

- ცოდნის გაღრმავება ლტოლვილებისა და მათი უფლებების შესახებ

თავშესაფრის მიცემის, ან მასზე უარის თქმის სოციალური და ეკონომიკური არგუმენტების გააზრება

- სოლიდარობის გამოხატვა იმ ადამიანების მიმართ, ვისაც მოულოდნელად მოუხდა საკუთარი სახლის მიტოვება

მასალა

ბარათი-როლები

ცარცი, ან ავეჯი სასაზღვრო-მაკონტროლირებელი პუნქტის გასაკეთებლად

- კალმისტრები
- ფურცლები
- გაავრცელეთ საინფორმაციო ფურცელი ყველა მონაწილისათვის.
- მოამზადეთ როლი-ბარათების ასლები საიმიგრაციო ოფიცრის, ლტოლვილისა და დამკვირვებლისათვის.

მომზადება

მოამზადეთ სცენა როლების შესრულებისათვის. მაგალითად, გაავლეთ ხაზი იატაკზე საზღვრის იმიტირებისათვის, ან დააწყვეთ ავეჯი ისე, რომ ფიზიკურად შეიქმნას საზღვარი, იქვე განთავსებული სასაზღვრო პოსტით. საიმიგრაციო სამსახურის თანამშრომელთათვის დადგით მაგიდა და გააკეთეთ საზღვრის გადაკვეთის, საბაჟო გადასახადებისა და სხვა პროცედურების აღმნიშვნელი წარწერები.

ინსტრუქციები

1. განმარტეთ, რომ ეს არის ლტოლვილთა ჯგუფის როლური გათამაშება, რომლებიც ტოვებენ თავინათ სამშობლოს და უსაფრთხოების მოსაპოვებლად სურთ შეაღწიონ სხვა ქვეყანაში.
2. გაარკვიეთ, რა იციან მონაწილეებმა ლტოლვილების შესახებ. ჩამოწერეთ პუნქტები დიდი ზომის ფურცლებზე ან დაფაზე, რათა მოგვიანებით გამოიყენოთ დისკუსიის მსვლელობისას.
3. მონაწილეებს აჩვენეთ მოქმედების ადგილი (ოთახი) და წაიკითხეთ შემდეგი ტექსტი: “X და Y ქვეყნებს შორის საზღვარზე ბნელი, ცივი და ნესტიანი ღამეა. ლტოლვილების დიდი ჯგუფი ჩამოვიდა X ქვეყნიდან ომისაგან თავის დასაღწევად. მათ უნდათ ქვეყანაში შეღწევა. ლტოლვილები დაღლილები, მშივრები და გაყინულები არიან. ფული არა

ღირშესა
თარიღი

20 ივნისი
ლტოლვილ
საერთაშორ

აქვთ და პასპორტების გარდა, არავითარი დოკუმენტი არ გააჩნიათ. ქვეყნის საიმიგრაციო სამსახურის წარმომადგენლები განსხვავებული აზრის არიან - ზოგი თანახმაა საზღვრის გადაკვეთის ნება დართოს ლტოლვილებს, ზოგი კი არა. ლტოლვილები სასოწარკვეთილები არიან და სხვადასხვა არგუმენტს იშველიებენ საიმიგრაციო სასმასხურის თანამშრომლების დასარწმუნებლად."

4. დაყავით მონაწილეები თანაბარ ჯგუფებად. ერთი ჯგუფი წარმოადგენს X ქვეყნის ლტოლვილებს, მეორე ქვეყნის საიმიგრაციო სამსახურის თანამშრომლებს, ხოლო მესამე, – დამკვირვებელთა ჯგუფია.
5. უთხარით "ლტოლვილებს" და "საიმიგრაციო სამსახურის თანამშრომლებს", განსაზღვრონ თითოეული მონაწილის როლი და მოიფიქრონ შესაბამისი არგუმენტები. დაურიგეთ მასალა და მიეცით 15 წუთი მოსამზადებლად.
6. დაიწყეთ როლის შესრულება. დაეყრდენით საკუთარი განსჯის უნარს თამაშის დასრულების დროის შერჩევისათვის, მაგრამ დაახლოებით 10 წუთი საკმარისი დრო იქნება.
7. მიეცით მონაწილეებს 5 წუთი კომენტარების მოსამზადებლად.

ანალიზი და შეფასება

თავდაპირველად სთხოვეთ დამკვირვებლებს წარმოადგინონ თავიანთი მოსაზრებები თამაშის შესახებ მთლიანობაში. ამის შემდეგ, მოისმინეთ თავად მოთამაშეების კომენტარები, – თუ როგორ გრძნობდნენ თავს ლტოლვილის, ან საიმიგრაციო სამსახურის თანამშრომლის როლის შესრულების დროს და გადადით საკითხების ზოგად მიმოხილვაზე, გაარკვიეთ, თუ რა ისწავლეს მონაწილეებმა.

- რამდენად სამართლიანი იყო ლტოლვილების მიმართ მოპყრობა?
- ადამიანის უფლებათა საყოველთაო დეკლარაციის 14 მუხლისა და 1951 წლის ლტოლვილების სტატუსის კონვენციის მიხედვით ლტოლვილებს აქვთ დაცვის უფლება. მიეცათ ლტოლვილებს თავიანთი დაცვის უფლება? რატომ? რატომ არა?
- ყველა ქვეყანას უნდა ჰქონდეს უფლება უარი უთხრას ლტოლვილებს მიღებაზე?
- როგორ მოიქცეოდით საიმიგრაციო სამსახურის თანამშრომელი რომ ყოფილიყავით? და თუკი გეცოდინებოდათ, რომ მათ სიკვდილი მოელოდათ თავის ქვეყანაში?
- რა სახის პრობლემებს აწყდებიან ლტოლვილები თქვენ ქვეყანაში შემოსვლის შემდეგ?
- რა უნდა გაკეთდეს ზოგიერთი იმ პრობლემის გადასაჭრელად, რომელიც დაკავშირებულია ლტოლვილების მიღებასთან?
- არიან ქვეყნის შიგნით ადგილნაცვალი პირები თქვენ ქვეყანაში? ან მეზობელ ქვეყანაში?
- რა შეიძლება და რა უნდა გაკეთდეს პირველ რიგში იმისათვის, რომ ადამიანები არ იქცნენ ლტოლვილებად?

რჩევები ხელმძღვანელებს

გამოიყენეთ "გონებრივი შტურმის" მეთოდი იმის გასარკვევად, თუ რა იციან მონაწილეებმა ლტოლვილების არსებობის მიზეზების შესახებ, რა აიძულებს მათ დატოვონ სამშობლო, საიდან მოდიან და საით მიდიან. ეს დაგეხმარებათ

გადაწყვიტოთ, როგორ წარმართოთ ანალიზი და შეფასება და რა სახის დამატებითი ინფორმაცია შეიძლება დაგჭირდეთ ამ ეტაპზე.

მოიფიქრეთ, როგორ მოიქცევით, თუ ჯგუფის რომელიმე წევრი ლტოლვილი აღმოჩნდება. შესაძლოა ისინი არ უნდა დაესწრონ ლტოლვილების სცენის გათამაშებას, თუკი მეტისმეტად მწარე და მტკივნეული მოგონობები და გამოცდილება აქვთ.

არ არის აუცილებელი სამივე ჯგუფი თანაბარი იყოს. მაგალითად, შეგიძლიათ აირჩიოთ მხოლოდ სამი, ან ოთხი დამკვირვებელი, ხოლო დანარჩენებს მისცეთ აქტიური თამაშის საშუალება.

შეიძლება გადაწყვიტოთ დამკვირვებელებისათვის დამატებითი ინფორმაციის ასლების მიცემა, რათა გაეცნონ ლტოლვილების უფლებებს, ვიდრე დანარჩენები ემზადებიან როლების გათამაშებისათვის.

მოქმედება ხდება ბნელ, ცივ და ნესტიან ღამეს. ასე რომ, იქნებ ჯობია ჩააქროთ სინათლე და გააღოთ ფანჯრები როლების გათამაშების დროს? ლტოლვილების ჯგუფში მეტი დამაჯერებლობის შეტანისათვის საზღვარზე შეგიძლიათ გააკეთოთ წარწერები უცხო (ან გამოგონებულ) ენაზე. არ დაგავიწყდეთ მოკლედ გააცნოთ მეორე ჯგუფის საიმიგრაციო სამსახურის წარმომადგენელებს წარწერების შინაარსი!

შენიშვნა: ეს სავარჯიშო ადაპტირებული იქნა წიგნიდან "პირველი ნაბიჯები": ადამიანის უფლებათა განათლების სახელმძღვანელოს დაწყებითი კურსი, საერთაშორისო ამნისტია, ლონდონი, 1997. ციტატა: "ლტოლვილებო წადით სახლში! წავიდოდნენ რომ შეეძლოთ" იყო გაეროს ლტოლვილთა უმაღლესი კომისარიატის კამპანიის ლოზუნგი.

ვარიანტები

თავდაპირველად შეასრულეთ როლების გათამაშება, მაგრამ, ამჯერად, "ლტოლვილებსა" და "საიმიგრაციო სამსახურის თანამშრომლებს" გააცვლევინეთ როლები. დამკვირვებლებს დაუმატეთ ერთი დავალება: მათ უნდა შენიშნონ ნებისმიერი განსხვავება პირველ და მეორე გათამაშებას შორის, განსაკუთრებით, ის ცვლილებები, რომლებიც ლტოლვილების უფლებების უკეთესად დაცვას უზრუნველყოფს.

შეასრულეთ კიდევ ერთი როლების გათამაშება X ქვეყნის ლტოლვილების დასახმარებლად გაეროს ლტოლვილთა უმაღლესი კომისარიატის მიერ გამოგზავნილი ოფიციალური ჯგუფის მონაწილეობით. კლასმა შეიძლება მოინდომოს საკითხში უფრო ღრმად ჩახედვა და გაეროს ლტოლვილთა უმაღლესი კომისარიატის როლის გარკვევა (www.unhcr.ch) და შემდეგ "ოფიციალური მოხსენების" დაწერა შემდეგი პუნქტების გაშუქებით:

- არგუმენტები, რომლებმაც ყველაზე მეტად დაარწმუნეს საიმიგრაციო სამსახურის წარმომადგენლები ლტოლვილების ქვეყანაში შეშვების საჭიროებაში
- საიმიგრაციო სამსახურის წარმომადგენლების ნებისმიერი არასწორი საქციელი
- რეკომენდაციები რა უნდა გააკეთოს Y ქვეყანამ ლტოლვილების უფლებების დასაცავად.

იდეები გაგრძელებისათვის

მოიძიეთ ინფორმაცია თქვენ ქვეყანაში არსებული ლტოლვილების, განსაკუთრებით კი მათი ყოველდღიური ცხოვრების რეალობის შესახებ.

მონაწილეებს შეუძლიათ დაუკავშირდნენ ადგილობრივ ლტოლვილთა ასოციაციას და გაესაუბრონ თანამშრომლებსა და ლტოლვილებს.

თუ გსურთ შეასრულოთ სავარჯიშო, რომელიც ასახავს მოვლენებს მას შემდეგ, რაც ლტოლვილებმა საზღვარი გადაკვეთეს და აკეთებენ განაცხადს თავშესაფრის მოთხოვნით, შეგილიათ შეასრულოთ სავარჯიშო "ენობრივი ბარიერი" (გვ. 177).

იდეები მოქმედებისათვის

დაუკავშირდით ადგილობრივ და ეროვნულ ორგანიზაციებს რომლებიც მუშაობენ თქვენი ქვეყნის მიერ შეფარებული ლტოლვილების საკითხებზე და გადახედეთ, რით შეგიძლიათ დაეხმაროთ მათ. მაგალითად, შეიძლება სჭირდებათ ხალხი ლტოლვილთათვის სასიცოცხლო მნიშვნელობის ნივთების შესაგროვებლად.

დამატებითი ინფორმაცია

ყოველწლიურად, მილიონობით ადამიანს უხდება თავიანთი სახლებისა და ქვეყნის დატოვება, ომებისა და დევნის შედეგად. ეს ხალხი ხდებიან ლტოლვილები. მათ უხდებათ სამშობლოსა და ქონების დატოვება. ამ გადაადგილების დროს, ხშირად, ხდება ოჯახის წევრების განცალკევება. ზოგიერთი ლტოლვილი ველარასოდეს უბრუნდება მშობლიურ კერას.

ლტოლვილების უმრავლესობა თავშესაფარს მეზობელ ქვეყნებში ეძებს. ხანმოკლე პერიოდში ლტოლვილთა დიდი რაოდენობით მოზღვავებას, მასიური დენა ეწოდება. სხვა ლტოლვილებს კი მოუხდებათ დიდი მანძილის გადალახვა უსაფრთხოების ძიებაში და თავიანთი მშობლიური მიწიდან დაშორებულ აეროპორტებსა და საზღვაო პორტებში გაჩერება.

1951 წ. გაერომ მიიღო კონვენცია ლტოლვილების სტატუსის შესახებ, რომელსაც დღეისათვის მსოფლიოს ქვეყნების ნახევარზე მეტი შეუერთდა. არსებობს, ასევე, გაეროს ლტოლვილთა უმაღლესი კომისარიატი, რომელიც აკონტროლებს კონვენციის განხორციელებას და დახმარებას უწევს ლტოლვილებს, ძირითადად ჰუმანიტარული სახის დახმარებას.

კონვენციის თანახმად, ლტოლვილია ის პიროვნება, ვინც დატოვა სამშობლო და არ შეუძლია უკან დარუნება, ვინაიდან შიშობს, რომ იქ მოელის დევნა რასობრივი, რელიგიური, ეროვნული, რომელიმე სოციალური ჯუფის წევრობის ან პოლიტიკური მოსაზრებების გამო. ლტოლვილების დაცვის ძირითადი მექანიზმია უფლება, არ მოხდეს მათი დაბრუნედა საკუთარ ქვეყნებში, სადაც არსებობს დევნისა და სიკვდილის რისკი. ეს პრინციპი ვრცელდება მაშინაც, როდესაც მთავრობას სურს ლტოლვილები გაგზავნოს რომელიმე მესამე ქვეყანაში, საიდანაც ისინი შეიძლება დააბრუნონ სამშობლოში.

მთავრობების მოვალეობაა მოისმინონ ლტოლვილების პრეტენზიები, რომლებიც ეძებენ თავშესაფარს. ეს პრინციპი ეხება ყველა სახელმწიფოს, მიუხედავად იმისა, აქვს თუ არა ქვეყანას 1951 წლის კონვენცია რატიფიცირებული. ეს კონვენცია აცხადებს, რომ ლტოლვილები დაცულნი უნდა იყვნენ დისკრიმინაციისაგან და სრული უფლებებით უნდა სარგებლობდნენ იმ ქვეყნებში, სადაც უსაფრთხოდ გრძნობენ თავს.

თუმცა ქვეყნებს შორის არსებობს უთანხმოება იმის შესახებ, თუ ვინ არის "ნამდვილი" ლტოლვილი. მდიდარი ქვეყნები, ხშირად, აცხადებენ, რომ ლტოლვილები არ არიან ჩაგვრის მსხვერპლნი, მათ უბრალოდ უნდათ უკეთესად ცხოვრება. ასეთ ხალხს "ეკონომიკურ მიგრანტებს" ეძახიან. მთავრობები, ხშირად,

ამტკიცებენ, რომ ლტოლვილების შეშფოთება და შიში უმეტესწილად გადაჭარბებულია, ან არ შეესაბამება რეალობას.

ltolvilTa raodenoba mTel msoflioSi

რეგიონი (2000 წ. 1 იანვარს)	**ლტოლვილთა რაოდენობა**
აფრიკა	3 523 250
აზია	4 781 750
ევროპა	2 608 308
ლათინური ამერიკა და კარიბის აუზის ქვეყნები	61 200
ჩრდილოეთ ამერიკა	636 300
ოკეანეთი	64 500
სულ	11 675 380

ინფორმაციის წყარო: ლტოლვილების რაოდენობა, 2000 წლის გამოცემა, გაეროს ლტოლვილთა უმაღლესი კომისარიატის ბეჭდვი

სახელმძღვანელო ადამიანის უფლებათა განათლების სფეროში ახალგაზრდების მონაწილეობით . ევროპის საბჭო

ltolvilTa ZiriTadi jgufebis warmomavloba 1999 wels

ქვეყანა	ქვეყნები, რომლებიც უზრუნველყოფენ ლტოლვილების თავშესაფარს	ლტოლვილთა რაოდენობა
ლტოლვილთა წარმომავლობა	*რომელ ქვეყნებში მიდიან?*	
ავღანეთი	ირანი/პაკისტანი/ინდოეთი	2 562 000
ერაყი	ირანი/საუდის არაბეთი/სირია	572 500
ბურუნდია	ტანზანია/კონგოს დემოკრ. რ.	525 700
სიერა ლეონე	გვინეა/ლიბერია/გამბია	487 200
სომალი	ეთიოპია/კენია/იემენი/ჯიბუტი	451 600
ბოსნია ჰერცოგოვინა	იუგოსლავია/ხორვატია/სლოვაკეთი	448 700
ანგოლა	ზამბია/ კონგოს დემოკრატიული	350 600
ხორვატია	რესპუბლიკა/კონგო	340 400
	იუგოსლავია/ბოსნია-ჰერცოგოვინა	

წყარო: ლტოლვილების რაოდენობა, 2000 წლის გამოცემა, გაეროს ლტოლვილთა უმღლესი კომისარიატი ბეჭდვითი მასალა

qveynis SigniT gadanacvlebuli pirebi

ყველა პიროვნება, ვისაც მოუხდა საკუთარი ოჯახის დატოვება, არ მიდის სხვა ქვეყანაში. მათ ქვეყნის შიგნით გადანაცვლებული პირები ეწოდებათ და წარმოადგენენ გადანაცვებული პირების ყველაზე სწრაფად მზარდ ჯგუფს მთელ მსოფლიოში. ევროპაში ქვეყნის შიგნით გადანაცვლებული პირების რიცხვი (3 252 300) გაცილებით მაღალია, ვიდრე ლტოლვილების რაოდენობა (2 608 380) და ძირითადად კონცენტრირებული არიან ბოსნია-ჰერცოგოვინასა და ყოფილ საბჭოთა კავშირის ქვეყნებში. ლტოლვილებისაგან განსხვავებით მათ არ იცავს საერთაშორისო კანონმდებლობა და არც სხვადასხვა დახმარების მიღების უფლება აქვთ. დაწყებულია ფართო საერთაშორისო დებატები იმის გასარკვევად, თუ რა არის ქვეყნის შიგნით გადანაცვლებული პირებისათვის დახმარების აღმოჩენის საუკეთესო გზა და ვინ აგებს პასუხს მათ კეთილდღეობაზე. გაეროს ლტოლვილთა უმაღლესი კომისარიატი, გაეროს გენერალური მდივნის მოთხოვნის შემთხვევვაში, გარკვეულ დახმარებას აღმოუჩენს ქვეყნის შიგნით გადანაცვლებული პირების გარკვეულ ჯგუფებს.

beli masala

ლტოლვილის ბარათი-როლი

ლტოლვილის არგუმენტები და არჩევანი

უნდა მოამზადოთ საკუთარი არგუმენტები და სტრატეგია; თქვენი გადასაწყვეტია არგუმენტები ჯგუფურად წარმოადგინოთ თუ ინდივიდუალურად. ინდივიდუალური არგუმენტაცია გულისხმობს პასუხისმგებლობას

შეგიძლიათ გამოიყენოთ ეს არგუმენტები და ასევე მოიფიქროთ საკუთარი:

- ჩვენ გვაქვს უფლება მივიღოთ თავშესაფარი
- ჩვენი შვილებს შიათ. თქვენ მორალური პასუხისმგებლობა გაკისრიათ ჩვენ დახმარებაზე
- თუ უკან დაბრუნდებით მოგვკვლავენ
- ჩვენ ფული არა გვაქვს
- სხვაგან წასასვლელი არ გაგვაჩნია
- ჩემ ქალაქში მე ექიმი ვიყავი
- ჩვენ ვითხოვთ თავშესაფარს ვიდრე დაბრუნება უსაფრთხო იქნება
- თქვენმა ქვეყანამ სხვა ლტოლვილებს მისცა თავშესაფარი

როლების გათამაშებამდე იფიქრეთ შემდეგ ვარიანტებზე:

- გაიყოფით თუ ამას საიმიგრაციო სამსახურის თანამშრომელი მოითხოვს?
- დაბრუნდებით სახლში თუ ისინი ეცდებიან უკან გაგაგზავნონ?

თქვენ მოგიწევთ ლტოლვილთა შერეული ჯგუფების როლის შესრულება, ასე რომ, მოსამზადებელ პერიოდში ყველა მონაწილემ უნდა აირჩიოს ასაკი, სქესი, ოჯახური სტატუსი, პროფესია, ქონებრივი სტატუსი, რელიგია და თან წამოღებული ქონება.

საიმიგრაციო სამსახურის თანამშრომლის ბარათი-როლი

საიმიგრაციო სამსახურის თანამშრომლის არგუმენტები და არჩევანი

უნდა მოამზადოთ არგუმენტები და ჩამოაყალიბოთ სტრატეგია; უნდა გადაწყვიტოთ, არგუმენტებს ჯგუფის სახელით წარმოადგენთ თუ თითოეული მონაწილე აიღებს პირად პასუხისმგებლობას თავისი დასკვნების წარმოდგენით.

შეგიძლიათ გამოიყენოთ ჩამოთვლილი არგუმენტები ან მოიფიქროთ საკუთარი:

- ისინი სასოწარკვეთილნი არიან: ჩვენ არ შეგვიძლია მათი უკან გაგზავნა
- თუ უკან დავაბრუნებთ ჩვენ პასუხისმგებელი ვიქნებით მათ დაპატიმრებაზე, წამებაზე ან სიკვდილზე.
- ჩვენი მორალური ვალია ლტოლვილების მიღება
- მათ არ გააჩნიათ ფული და ამიტომაც დასჭირდებათ სახელმწიფოს მხარდაჭერა. ჩვენ ქვეყანას ამის საშუალება არა აქვს.
- შეუძლიათ დაამტკიცონ რომ ნამდვილად ლტოლვილები არიან? თუ უბრალოდ უკეთესი ცხოვრების საძიებლად არიან წამოსული?
- ჩვენი ქვეყანა მათი ქვეყნის სამხედრო და საქმიანი პარტნიორია. არ შეიძლება, რომ შეგვამჩნიონ მათ დახმარებაში.
- შესაძლოა მათ გააჩნიათ გამოცდილება, რომელიც ჩვენ გვესაჭიროება?
- ჩვენ ქვეყანაში უკვე საკმარისად არიან ლტოლვილები. ჩვენ საკუთარ ხალხს უნდა მივხედოთ. ისინი უმჯობესია სხვა უფრო მდიდარ ქვეყანაში წავიდნენ.
- თუ მათ შემოვუშვებთ, სხვებიც მოითხოვენ შემოსვლას
- მათ არ იციან ჩვენი ენა, აქვთ სხვა რელიგია და განსხვავებული საკვები. ისინი ვერ შეძლებენ ჩვენ საზოგადოებაში ინტეგრირებას.
- ისინი შექმნიან პოლიტიკურ პრობლემას
- მათ შორის შეიძლება იმალებოდნენ ტერორისტები ან ომის დამნაშავეები

როლების გათამაშებამდე იფიქრეთ შემდეგ ვარიანტებზე:

- მისცემთ ყველა ლტოლვილს საზღვრის გადაკვეთის უფლებას?
- მხოლოდ ზოგიერთებს მისცემთ საზღვრის გადაკვეთის უფლებას?
- დაყოფთ მათ ასაკობრივ, პროფესიული და ქონებრივი სტატუსის ჯგუფებად?

თუ მოიქცევით სხვაგვარად?

დამკვირვებლის ბარათი – როლი

თქვენ გევალებათ თამაშის დაკვირვება. მისი დასრულების შემდეგ მოგთხოვენ ზოგადი კომენტარის გაკეთებას. აირჩიეთ ვინმე ჯგუფიდან თქვენს წარმომადგენლად.

დაკვირვების პროცესში სხვა მომენტებს შორის ყურადღება უნდა მიაქციოთ შემდეგს:

- როგორც ლტოლვილების ასევე საიმიგრაციო სამსახურის თანამშრომლების მიერ შესრულებულ სხვადასხვა როლებს
- არგუმენტებს, რომლებსაც ისინი იყენებენ და მათი წარმოდგენის გზებს
- ადამიანის და ლტოლვილების უფლებების დარღვევებს.

თქვენი გადასაწყვეტია თუ როგორ ჩაინიშნავთ და შეამჩნევთ ამ ყოველივეს. მაგალითად, შეიძლება გაიყოთ 2 ქვეჯგუფად: ერთი ჯგუფი დააკვირდება საიმიგრაციო სამსახურის მუშაობას, ხოლო მეორე ლტოლვილებს.

Cveni momavlis variantebi

ჩვენი პროგრესი განისაზღვრება არა იმით, თუ რამდენად გავზარდეთ მდიდართა ქონება, არამედ იმით, თუ რამდენად დავეხმარეთ ღარიბებს
ფრანკლინ რუზველტი

თემები
ბავშვები, ეკოლოგია, ადამიანის ზოგადი უფლებები

სირთულე
დონე 2

მონაწილეთა რაოდენობა
15 – 20

ხანგრძლივობა
60 წუთი

მიმოხილვა
ამ სავარჯიშოში მონაწილეები ხატავენ, ფიქრობენ და მსჯელობენ მათი თაობის მომავალთან დაკავშირებული საკუთარი იმედებისა და შეშფოთების შესახებ. განხილულ საკითხებს შორის არის:
- ეკოლოგიის საკითხები, რომელიც გავლენას ახდენს მომავალ თაობებზე
- ახალგაზრდები და ოჯახი
- საზოგადოებრივი ცხოვრება

შესაბამისი უფლებები
აზროვნებისა და ინფორმაციის მიღების უფლება
- ბავშვის ინტერესების სასარგებლოდ ყოველგვარი აზრის გამოთქმის უფლება
- ღირსეული ცხოვრების პირობების უფლება

საზოგადოებრივი ცხოვრების, უფლებებისა და პასუხისმგებლობების შესახებ ცოდნის გაღრმავება

მიზნები
- ღიად მსჯელობის, გუნდური მუშაობის და საკუთარი ხედვის ჩამოყალიბების უნარ-ჩვევების განვითარება
- სამყაროს, როგორც განვითარებადი და უსასრულო შესაძლებლობების წყაროს ხედვა, რომელშიც ყველა ახალგაზრდას შეუძლია შეიტანოს დადებითი ან უარყოფითი წვლილი.

მასალა
ფურცლები ჩანაწერებისათვის
- დიდი ზომის ფურცლები საბოლოო გადაწყვეტილებისათვის
- საღებავები, ფანქრები და მარკერები
- მასალა კოლაჟებისათვის, ფერადი ფურცლები, ილუსტრირებული ჟურნალები, ტოტები, ბრინჯი, ლობიოს მარცვლები, დამჭკნარი ფოთლები, ნიჟარები, და ა.შ.
- წებო

სურათები ან ფოტოები თუ როგორ გამოიყურებოდა უბანი/ქალაქი 10-20 წლის წინ. (არჩევითი).



ინსტრუქციები

1. გააცანით მონაწილეებს დროში ცვალებადობის არსი. სთხოვეთ მათ გაიხსენონ როგორ გამოიყურებოდა მათი სახლები და ქუჩები მათ ბავშვობაში და როგორ შეიცვალა ისინი დროთა განმავლობაში. გადაკეთდა სპორტული დარბაზის რომელიმე ოთახი ან დაიდგა იქ ახალი ავეჯი? არის ახალი შენობები უბანში? სთხოვეთ მონაწილეებს იფიქრონ რატომ შეიცვალა ეს ყველაფერი და ვინ მიიღო გადაწყვეტილება თუ რა უნდა განახლებულიყო და როგორ?
2. სთხოვეთ მონაწილეებს იფიქრონ, რა ცვლილებებს განახორციელებდნენ მათი ნება რომ იყოს?
3. ახლა დააკავშირეთ ეს გადაწყვეტილებების მიღებასთან, რომელიც გავლენას ახდენს სხვა ადამიანებზე და მათ უფლებებზე. ფიქრობენ მონაწილეები, რომ ადამიანის უფლებები მყარ საფუძველს იძლევა გადაწყვეტილებების მიღებისათვის? მომავალში ადამიანის უფლებები იქნება უფრო მეტად ან ნაკლებად საინტერესო ფაქტორი მათთვის, ვინც გადაწყვეტილებებს იღებს? რატომ?
4. უთხარით ჯგუფს, რომ მათთვის ეს არის მომენტი, როდესაც შეუძლიათ იფიქრონ და ზეგავლენა მოახდინონ საკუთარი მომავალზე.
5. სთხოვეთ მონაწილეებს დაიყონ 3-4 წევრიან ჯგუფებად
6. დაურიგეთ მათ ფურცლები და პასტები და სთხოვეთ გააკეთონ მომავლის იდეალური უბნის/ ქალაქის გეგმა ან მონახაზი. მათ სრული თავისუფლება აქვთ. ზღვარი მხოლოდ მათ საკუთარ ფანტაზიაში შეიძლება იყოს.
7. როდესაც თითოეული ჯგუფი შეათანხმებს პროექტს, ის უნდა გადაიტანონ დიდი ზომის ფურცელზე და დაასრულონ საღებავებისა და კოლაჟის მასალების გამოყენებით.
8. როდესაც სამუშაო დასრულდება, სთხოვეთ თითოეულ ჯგუფს რიგ-რიგობით წარმოადგინონ თავიანთი გეგმა და ახსნან საიდან დაებადათ ეს იდეები და როგორ განავითარეს ისინი. გამოყავით დრო მოკლე შეკითხვებისა და პასუხებისათვის ყველა პრეზენტაციის შემდეგ მაგრამ ზოგადი დისკუსია მოიტოვეთ ანალიზის ეტაპისათვის.

ანალიზი და შეფასება

დაიწყეთ მიმოხილვით თუ როგორ მუშაობდნენ მონაწილეები ჯგუფებში, როგორ მიიღეს გადაწყვეტილებები და როგორ წარმართეს მუშაობა.

- ყველას ჰქონდა მონაწილეობის მიღების და პროცესში წვლილის შეტანის საშუალება? როგორ გამოიყენეს სხვადასხვა მცირე ჯგუფებმა თითოეული წევრის ნიჭი?
- როგორ გრძნობდნენ თავს თავიანთი გეგმების შესახებ კომენტარების მოსმენის დროს?
- როგორ გრძნობდნენ თავს გეგმების შესახებ კომენტარების გაკეთების დროს?
- იქნებოდნენ მზად წასულიყვნენ კომპრომისზე და დაეთმოთ რომელიმე თავიანთი იდეალი ჯგუფის ან კლასის ერთიანი პროექტის შემუშავების მიზნით, რომლიც დააკმაყოფილებდა ყველა წევრის სურვილს და მისწრაფებას?
- მოეწონათ მონაწილეებს ”თავიანთი მომავლის არქიტექტორებად” ყოფნა?

- ფიქრობენ, რომ მათი იდეალები როდესმე პრაქტიკაში განხორციელდება? რატომ? რატომ არა?
- ფიქრობენ, რომ უფროსები მზად იქნებიან მათი გეგმების განსახილველად? რატომ? რატომ არა?
- რა იყო ყველაზე დიდი სიურპრიზი სხვათა გეგმებში?
- რა იქნებოდა მათი, როგორც მოქალაქეების უფლებები მომავალში?
- რა იქნებოდა მათი, როგორც მოქალაქეების მოვალეობები მომავალში?
- რა ნაბიჯები შეუძლიათ გადადგან ახალგაზრდებმა რათა ზეგავლენა მოახდინონ დემოკრატიულ პროცესებზე, რომელიც აყალიბებს მათ ცხოვრებას და მომავალს?

რჩევები ხელმძღვანელებს

ამ სავარჯიშოს სათაური არის ”ჩვენი მომავალის ვარიანტები”. მრავლობითი რიცხვის გამოყენების მიზანი არის ხაზგასმა, რომ მომავალი არ არის წინასწარ დაგეგმილი, არამედ ჩვენ თავად ვქმნით მას. ამდენად არსებობს მომავლის ბევრი შესაძლო ვარიანტი და ახალგაზრდების ვალია შექმნან მომავალი, რომელიც ასახავს მათ იდეალებს და მისწრაფებებს.

ცვლილების არსის განსამტკიცებლად შესაძლოა მოისურვოთ ძველი ფოტოგრაფიების ჩვენება – როგორ გამოიყურებოდა ადგილობრივი გარემო 10 ან 20 წლის წინ. თქვენ ასევე შეგიძლიათ სთხოვოთ მათ იფიქრონ გლობალურ ცვლილებებზე. მაგალითად, მათ უნდა იფიქრონ იმ ფაქტის შესახებ, რომ 30 წლის წინ ინტერნეტი ფანტაზიის სფეროს მიეკუთვნებოდა, მაგრამ რამოდენიმე წელში ინტერნეტში ჩართული იქნება მსოფლიოს ყველა სკოლა და ბიბლიოთეკა.

თუ მონაწილეები დარწმუნებული არ არიან როგორი შეიძლება იყოს მომავლის ქალაქი დაუსვით მათ შემდეგი შეკითხვები:

- ვინ იცხოვრებს ამ ქალაქში? იქ დაბადებული ხალხი თუ ახალი ჩამოსულები? რა ასაკის იქნებიან ისინი? იცხოვრებენ ოჯახებში?
- როგორი იქნება მათი ყოველდღიური ცხოვრება? სად იყიდიან პროდუქტებს? რა ტრანსპორტს გამოიყენებენ?
- რა სახის სოციალური მომსახურება (საავადმყოფოები, სტომატოლოგიური კლინიკები და ა.შ) დასჭირდებათ მათ?
- როგორი იქნება მათი სკოლები?
- როგორი იქნება მათი სოციალური ცხოვრება? რას გააკეთებენ ისინი თავისუფალ დროს?
- ეყოლებათ შინაური ცხოველები?
- რა სახის სამუშაოს შეასრულებენ?
- რა სახის ახალი ტექნოლოგური მიღწევები შეიძლება იყოს?
- რაც შეეხება ეკოლოგიას? ბუნებრივ გარემოს?

ვარიანტები

ალტერნატიული მეთოდი არის “მომავლის ბორბლი”-ის იდეის გამოყენება. მონაწილეებმა უნდა იმუშაონ მცირე ჯგუფებში, თითოეული ჯგუფი განიხილავს ერთ საკითხს (მაგ. განათლება, ოჯახი, საზოგადოება, დასაქმება, ან ჯანმრთელობა) და ამ პრობლემის შესახებ გამოსახავს მომავლის ბორბალს.. მაგ. ეკოლოგიის ბორბლის ცენტრში მოთავსებული იქნება ყველაფერი რაც მნიშნელოვანია, ხოლო პრობლემის კონცენტრულ წრეებში ნაკლებ მნიშვნელოვანი, მნიშვნელოვნების შემცირების მიხედვით. „სპიცები“ ბორბალს ყოფს სექტორებად, რომლებშიც

ღირშესანიშნავი თარიღი

12 აგვისტო
ახალგაზრდების საერთაშორისო დღე

მონაწილეებს შეუძლიათ ჩაწერონ ისეთი პუნქტები როგორიცაა მაგ: „სუფთა ჰაერი“, „ელექტრომობილი“, „ბევრი ხეები“, „სუფთა მდინარეები“, ჰუმანური მეცხოველეობის ფერმები“.

წინადადებები გაგრძელებისათვის

მოიპოვეთ დამატებითი ინფორმაცია ადგილობრივი განვითარების დაგეგმვის პროცესებზე და მათზე გავლენის მოხდენის გზებზე. ჩაერთეთ სკოლაში, კლუბში ან ასოციაციაში გადაწყვეტილებების მიღების პროცესში, დაესწარით საბჭოს სხდომებს, ან სულაც კენჭი იყარეთ არჩევნებში. არსებობს სხვა სავარჯიშოებიც, რომლებიც სასარგებლო იქნება მომავლის ვარიანტების განხილვისათვის. მაგ. “გზა თანასწორობის ქვეყნისაკენ” განიხილავს როგორ შეიძლება გენდერული თანასწორობის მიღწევა, ხოლო “ინტერნეტის გავლენა” განიხილავს ახალი ტექნოლოგიების მომავალ სცენარს.

ჩვენ მომავალზე ოცნებისას, შეგვიძლია უმალვე დავიწყოთ უფრო სამართლიანი საზოგადოების მშენებლობა. თუ ჯგუფი მოისურვებს განიხილოს დაცინვის საკითხი და ნახოს თუ როგორ უნდა განვითარდეს სხვების მიმართ თანაგრძნობის და პატივისცემის გრძნობა შეუძლიათ შეასრულონ სავარჯიშო “გვაქვს რაიმე ალტერნატივა?” (გვ. 141).

იდეები მოქმედებისათვის

მიიტანეთ გეგმა ადგილობრივ საბჭოში და ნახეთ შეძლებთ თუ არა მათ ჩართვას. თქვენი გეგმა შეიძლება გამოყენებულ იქნას ქალაქის/სოფლის დაგეგმვაში.

cxovreba srulyofil samyaroSi

Si vis pacem, para pacem (ლათ. თუ გსურს მშვიდობა ემზადე მისთვის)

თემები მშვიდობა და ძალადობა, ჯანმრთელობა, ეკოლოგია

სირთულე დონე 3

მონაწილეთა რაოდენობა 15 – 30

ხანგრძლივობა 90 წუთი

მიმოხილვა ეს სავარჯიშო იწყება ანდაზების და ბრძნული გამონათქვამების ვიქტორინით, რომლებიც ასახავს მშვიდობის სხვადასხვა ასპექტებს და საშუალებას აძლევს მონაწილეებს იმსჯელონ:

- მშვიდობის მნიშვნელობაზე
- ადამიანის შინაგან მშვიდობაზე, მშვიდობაზე სხვებთან ურთიერთობაში და გარემოსთან მიმართებაში.
- მშვიდობიანი ქცევის ჩამოყალიბება

შესაბამისი უფლებები მშვიდობის უფლება

- სიცოცხლის უფლება
- უფლება ჯანმრთელ გარემოზე

მიზნები მშვიდობის სხვადასხვა განზომილებების ურთიერთდამოკიდებულების შეგრძნება

- მშვიდობის სხვადასხვა მნიშვნელობაზე მსჯელობა და როგორ რეალიზდება ის ჩვენს ყოველდღიურ ცხოვრებაში.
- პატივისცემის, სოლიდარობისა და პასუხისმგებლობის დამკვიდრება

მასალა ერთი დიდი ზომის ფურცელი (3) ან დაფა

- ფერადი მარკერები
- ვიქტორინის ფურცლები, და პასტები, ერთი თითოეულ მცირე ჯგუფზე
- სადისკუსიო რეკომენდაციები, ერთი თითოეულ მცირე ჯგუფზე
- 1 და 2 ჩანართის ასლები, ერთი თითოეულ მცირე ჯგუფზე

გადაიტანეთ 1 ჩანართის ასლი დიდი ზომის ფურცელზე. გააკეთეთ ის რაც შეიძლება დიდი ზომის



მომზადება

ინსტრუქციები

ეს სავარჯიშო 2 ნაწილად სრულდება: ნაწილი I – მშვიდობის ბორბლის შევსება (25 წუთი) და ნაწილი II საუბარი მშვიდობაზე (30 წუთი)

ნაწილი I. მშვიდობის ბორბლის შევსება (25 წუთი)

1. პლენარულ სხდომაზე აჩვენეთ მონაწილეებს თქვენს მიერ დახაზული ცარიელი მშვიდობის წრის ან ბორბლის ასლი და მიუთითეთ განყოფილებები: მშვიდობა თქვენში, მშვიდობა სხვებთან და მშვიდობა ბუნებაში. უთხარით მათ, რომ შევსებული ბორბალი წარმოადგენს იდეალური მშვიდობის მიღწევას. მის შესავსებად მონაწილეებმა უნდა

სანიშნავი თარიღი

21 ივნისი
იდობისა და
ლოცვის
ორისო დღე

იპოვონ 21 „საყოველთაო ჭეშმარიტების სიტყვა“, რომელიც შეესაბამება მშვიდობიანი ცხოვრების 21 სექტორს. ეს გამოტოვებული სიტყვები შეიძლება ნაპოვნი იქნას მთელ მსოფლიოში გავრცელებულ ბრძნულ გამონათქვამებსა და ანდაზებში.

2. სთხოვეთ მონაწილეებს დაიყონ 3 ჯგუფად და მიეცით თითოეულ ჯგუფს პასტები, ცარიელი ბორბლის ასლი და ვიქტორინის ფურცლის ასლი. შეახსენეთ მათ, რომ უნდა იპოვონ გამოტოვებული სიტყვები ყველა ანდაზაში. სიტყვები არის მინიშნებები იმ ფასეულობებზე, რომლებიც შეესაბამება მშვიდობის წრის სხვადასხვა სექტორებს.
3. როდესაც დაასრულებენ შეკრიბეთ ყველა ერთად პლენარულ სხდომაზე. სთხოვეთ მონაწილეებს თავის სურვილისამებრ წაიკითხონ შევსებული ანდაზები სათითაოდ. შეამოწმეთ სწორია თუ არა ისინი და სთხოვეთ მკითხველს აიღოს ფერადი ფანქარი და დაწეროს ეს სიტყვა მშვიდობის წრის დიდ გამოსახულებაში.
4. გაიმეორეთ იგივე ყველა ანდაზისათვის ვიდრე ბორბალი არ შეივსება და მშვიდობა არ მიიღწევა.

ნაწილი II. საუბარი მშვიდობაზე (30 წუთი)

1. სთხოვეთ მონაწილეებს დაუბრუნდნენ თავიანთ ქვეჯგუფებს. დაურიგეთ მათ სადისკუსიო რკომენდაციები თითო ყველა ჯგუფს. სთხოვეთ მათ იმსჯელონ მათ სადისკუსიო რეკომენდაციებში მოცემულ საკითხებზე და ამავე დროს ყურადღება მიაქციეთ მშვიდობის ბორბლის შესაბამის სექტორთან ასოცირებულ ფასეულობებს. მათ უნდა სცადონ მივიდნედ კონსენსუსამდე მოცემულ საკითხთან დაკავშირებით და მზად იყვნენ დისკუსიის შედეგების მოსახსენებლად.
2. ბოლოს ყველა შეკრიბეთ პლენარულ სხდომაზე და სთხოევთ ყველა ჯგუფს გააკეთოს მოხსენება.

ანალიზი და შეფასება

დაიწყეთ მშვიდობის ბორბალზე და წარმოდგენილი ფასეულობების უნივერსალობაზე მსჯელობით. შემდეგ გადადით სავარჯიშოს II ნაწილის მიმოხილვაზე.

ნაწილი I

- რამდენად რთული იყო გამოტოვებული სიტყვების გამოცნობა? რამდენი ანდაზა ან გამონათქვამი იცოდნენ მონაწილეებმა თავიდანვე? ეს „სიბრძნის სიტყვები“ რეალურად არის მართლაც აქტუალური ჩვენს დღევანდელ ცხოვრებაში?
- წარმოადგენს სიტყვები წრის ცნტრში უნივერსალურ ფასეულობებს?
- არიან ისინი თანაბრად მნიშვნელოვანი ყველა კულტურისათვის? რომელია ყველაზე მნიშვნელოვანი თქვენი კულტურისათვის?
- არის რაიმე სხვა ძირითადი ფასეულობები, რომლებიც წარმოდგენილი არაა?

ნაწილი II

სთხოვეთ თითოეული ჯგუფის ერთ წარმომადგენელს გააკეთოს ძალიან მოკლე რეზიუმე მათ სადისკუსიო რეკომენდაციებში მოცემული შეკითხვების შესახებ. შემდეგ შესთავაზეთ მონაწილეებს რიგ-რიგობით უპასუხონ შემდეგ კითხვებს:

- იყო ყველა განხილულ საკითხზე კონსენსუსის მიღწევა ადვილი?

- რომელი შეკითხვები იყო ყველაზე წინააღმდეგობრივი? რატომ?
- რა არის მათი აზრი წინააღმდეგობრიობის შესახებ?
- რატომ აქვთ მონაწილეებს სხვადასხვა აზრი მშვიდობასთან დაკავშირებულ საკითხებზე?
- ხალხი ხშირად უკავშირებს ადამიანის შინაგან მშვიდობას რელიგიას. რატომ ხდება ასე?
- აუცილებელია იყოს ადამიანი რელიგიური რათა მათ გააჩნდეთ შინაგანი მშვიდობისათვის საჭირო ფასეულობები?
- რა კავშირია მათ მიერ განხილულ საკითხებსა და ადამიანის უფლებებს შორის?
- არის მშვიდობა აუცილებელი წინაპირობა ადამიანის უფლებების კულტურის არსებობისათვის თუ ვიდრე ხალხი მშვიდობას მიაღწევს საჭიროა ადამიანის უფლებების პატივისცემა?

რჩევები ხელმძღვანელებს

ამ სავარჯიშოში წამოჭრილი საკითხების შესახებ დამატებითი ინფორმაცია მოცემულია მშვიდობისა და ძალადობის შესახებ ძირითადი ინფორმაციის ნაწილში 469 გვ.ზე. ეს დაგეხმარებათ პლენარულ სხდომაზე დისკუსიის წარმართვაში. ეცადეთ გამოკვეთოთ ურთიერთდამოკიდებულება მშვიდობის 3 განზომილებას შორის. არ შეგაშინოთ წინააღმდეგობებმა, თავისი ბუნებით ეს წინააღმდეგობრივი საკითხია. პირიქით, მოიყვანეთ ამ საკითხების საწინააღმდეგო და მომხრე არგუმენტები და ხაზი გაუსვით, რომ მათი განხილვა შეუძლებელია შავ-თეთრ ფერებში და რომ მათზე ერთმნიშვნელოვანი პასუხები არ არსებობს.

თუ ჯგუფში არის 18-ზე მეტი წევრი უკეთესია გააორმაგოთ მცირე ჯგუფების რაოდენობა და 3 დიდი ჯგუფის ნაცვლად 6 პატარა ჯგუფთან იმუშაოთ. არ დაგავიწყდეთ მასალის დამატებითი ასლების გაკეთება.

ვარიანტები

სავარჯიშოს პირველი ნაწილი ანუ მშვიდობის ბორბლის შევსება შეგიძლიათ მთლიანი ჯგუფის მონაწილეობით. წაიკითხეთ ანდაზები სათითაოდ და სთხოვეთ მათ შემოგთავაზონ გამოტოვებული სიტყვების ვარიანტები. ამ შემთხვევაში აღნიშნეთ სიტყვები პირდაპირ დიდი ზომის ფურცელზე და გააკეთეთ შევსებული ბორბლის ასლები მონაწილეებისათვის რათა დაეყრდნონ მათ II ნაწილში.

წინადადებები გაგრძელებისათვის

ამ სავარჯიშოში მოპოვებული ცოდნის საშუალებით ჯგუფმა შეიძლება მოისურვოს თავიანთი ცხოვრების არამშვიდობიანი სიტუაციების განხილვა და შეიმუშაონ პრაქტიკული სტრატეგია ადამიანთა შორის დამკვიდრებულ ძალადობასთან გასამკლავებლად. იხ. სავარჯიშო „ძალადობა ჩემს ცხოვრებაში“ (გვ. 326).

დამატებითი ინფორმაცია

ამ სავარჯიშოში გამოყენებული მშვიდობის ბორბლის იდეა აღებულია წიგნიდან „მშვიდობიანი ცხოვრების ხელოვნება: მშვიდობის ახალი გააზრება“, პიერ ვეილი, ერეპარი, არგენტინა, 1995წ. („El Arte de Vivir en Paz, hacia una nueva conciencia de Paz,“ Errepar, Argentina, 1995).

არსებობს მშვიდობის წრის ინტერპრეტაციის ბევრი ხერხი. შემდეგი შენიშვნები შეიძლება დაგეხმაროთ დისკუსიის წარმართვაში შემდეგი საკითხების გარშემო:

მშვიდობის ბორბლის ცენტრში არის უსასრულობა, არ არსებობს დასაწყისი და დასასრული.

ცენტრალური წრის ყველა სიტყვა წარმოადგენს ფასეულობებს და ქცევის ნორმებს ან მდგომარეობას, რომელიც უნდა არსებობდეს ჩვენი ცხოვრების ყველა შესაბამის სექტორში. მაგ. სხვებთან და საზოგადოებასთან მშვიდობის დასამკვიდრებლად აუცილებელია მივაღწიოთ მშვიდობას ეკონომიკაში, საზოგადოებრივ ცხოვრებაში და კულტურაში.

გონება, სხეული და ემოციები არის საკუთარ თავთან ურთიერთობის და სულიერი მშვიდობის ძირითადი ნაწილი. შინაგანი სიმშვიდის მისაღწევად გვჭირდება სიბრძნე, სიყვარული, მოთმინება, თანაგრძნობა, და სიხარული და ჯანმრთელი სხეული.

მშვიდობის მესამე განზომილება არის გარემო პირობები, ანუ მშვიდობა ბუნებაში.

ის აისახება სამ განზომილებაში: ჩვენ გვჭირდება ცოდნა, რათა ვიყოთ ინფორმირებული, სიცოცხლის პატივისცემა და სუბტსტანციასთან ჰარმონია (ნივთები – ბუნება, ხეები, ყვავილები, ცხოველები, და ა.შ).

dasarigebeli masala

სქემა 1. მშვიდობის ბორბალი



რინის ფურცელი

ანდაზებში და ციტატებში ჩასვით გამოტოვებული სიტყვები. ნაპოვნი სიტყვების საშუალებას მოგცემთ
ით შესაბამისი სექტორები
, რომლებიც უნდა შეუსამაბოთ არის: სილამაზე, სხეული, თანაგრძნობა, თანამშრომლობა, კულტურა,
ბიკა, ემოციები, ეკოლოგია, მოთმინება, ჰარმონია, ჯანმრთელობა, ინდივიდუალობა, ინფორმაცია, სიხარული,
�liანობა, ცოდნა, სიცოცხლე, სიყვარული, გონება, პატივისცემა, სოციალური ცხოვრება, საზოგადოება,
ფარობა, სუბსტანცია, ჭეშმარიტება, კეთილდღეობა და სიბრძნე.

1. გამოცდილება არის _____ დედა

2. სახელმძღვანელო ადამიანის უფლებათა განათლების სფეროში ახალგაზრდების მონაწილეობით . ევროპის საბჭო

_____ იქ სიბნელე არ არის (ბურუნდიული ანდაზა)

_____ და გამძლეობას მაგიური ძალა აქვს, რომლის წინაშეც სიძნელეები ქრება და
ებები იხსნება. (ჯონ კვინსი ადამსი)

_____ შეიძლება ამოიგდოს გულიდან, მაგრამ ღმერთი არასოდეს გააკეთებს ამას (უილიამ კაუპერი)

ვერს შეპირდები როდესაც სავსე ხარ _____ ით, არ უპასუხო წერილებს როდესაც სავსე ხარ
ბით (ჩინური ანდაზა)

სადისკუსიო რეკომენდაციები

სადისკუსიო რეკომენდაცია: საკუთარ თავთან მშვიდობში ყოფნა (ჯგუფი 1)

1. რას ნიშნავს საკუთარ თავთან მშვიდობში ყოფნა?

სადისკუსიო რეკომენდაცია: მშვიდ ბუნებასთან (ჯგუფი 3)

1. აფასებს საზოგადოება გარემო პირობებს?

Zaladoba

afrTxoeba

is uflebebi

one 1
one 2
one 3
one 4
one 3

ebismieri

60 wuTi

2. ჩვენი ყოველდღიური ცხოვრებიდან რომელი სიტყვა ან საქციელი მიგვანიშნებს, რომ „ვომობთ“ საკუთარ თავთან და შინაგანი მშვიდობის ნიშანწყალიც კი არ გვეტყობა?
3. არსებობს კავშირი სხეულს, გონებასა და ემოციებს შორის? რა სახის კავშირია ეს?
4. როგორ შეგვიძლია ჩამოვაყალიბოთ თვისებები, რომელიც დაგვეხმარება საკუთარ თავთან მშვიდობის დამყარებაში?
5. არის შესაძლებელი დადებითი ურთიერთობის ქონა სხვებთან თუ არ გვაქვს მშვიდობა საკუთარ თავთან?

2. რას ნიშნავს იცხოვრო ბუნებასთან ჰარმონიაში?
3. ვისი ვალია გარემოზე ზრუნვა?
4. მომავალში რამდენად მეტი ომი გაიმართება ძირითადი ბუნებრივი რესურსებისათვის (მაგ. წყალი) სხვა მიზეზით წარმოებულ ომებთან შედარებით (მაგ ეთნიკური, კულტურული, ან რელიგიური დაპირისპირება)?
5. ფიქრობთ, რომ ბუნებასთან მშვიდობიანი ცხოვრების ხელოვნება აქტუალურია საყოველთაო მშვიდობის დამყარებისათვის?

სადისკუსიო რეკომენდაცია: მშვიდობა სხვებთან (ჯგუფი 2)

1. ჩვენ – როგორც ადამიანებს გვაქვს შესაძლებლობა ვიცხოვროთ მშვიდობაში სხვებთან?
2. ნიშნავს ომის არარსებობა, სხვებთან მშვიდობიან თანაცხოვრებას?
3. შეგვიძლია ვისწავლოთ როგორ ვიყოთ უფრო მშვიდობიანი სხვებთან მიმართებაში ჩვენ ყოველდღიურ ცხოვრებაში? როგორ?
4. რა საფუძველი არსებობს იმედისათვის რომ მომავალში მშვიდობიანი მსოფლიო იარსებებს?
5. შეიძლება ომით მიყენებული ჭრილობების დავიწყება რათა ადამიანებმა კვლავ მშვიდობიანად იცხოვრონ?

viqtorinis pasuxebi

სექტორები: 1. სიბრძნე. 2. ა) სიყვარული, ბ) მოთმინება, გ) თანაგრძნობა, დ) სიხარული. 3. ჯანმრთელობა. 4. ცოდნა. 5. პატივისცემა. 6. ჰარმონია. 7. კეთილდღეობა. 8. თანამშრომლობა. 9. ა) სილამაზე, ბ) ჭეშმარიტება, გ) სოლიდარობა, დ) სამართლიანობა. 10. კულტურა. 11. სოციალური ცხოვრება. 12. ეკონომიკა. 13. სუბსტანცია. 14. სიცოცხლე. 15. ინფორმაცია. 16. სხეული. 17. ემოციები. 18. გონება. 19. ეკოლოგია. 20. ინდივიდი. 21. საზოგადოება.

შევსებული სქემა



Zaladoba Cems cxovrebaSi

“იცხოვრეთ სამი პრინციპით: პატივისცემა საკუთარი თავის მიმართ/პატივისცემა სხვების მიმართ და / პასუხისმგებლობა ყველაფრისათვის რასაც აკეთებთ. დალაი ლამა

თემები მშვიდობა და ძალადობა, პიროვნული უსაფრთხოება, ადამიანის ზოგადი უფლებები.

სირთულე დონე 3

მონაწილეთა რაოდენობა ნებისმიერი

ხანგრძლივობა 60 წუთი

მიმოხილვა ეს არის სავარჯიშო – დისკუსია, რომელშიც მონაწილეები განიხილავენ პიროვნებეთაშორისი ძალადობის საკუთარ გამოცდილებას.

შესაბამისი უფლებები
- სიცოცხლის, თავისუფლების და უსაფრთხოების უფლება
- აზროვნების, სინდისისა და რელიგიის თავისუფლების უფლება

მიზნები
- უნარი მოახდინო საკუთარი თავის იდენტიფიკაცია არა მარტო როგორც ძალადობის ობიექტის, არამედ როგორც ძალადობის წყაროს?
- უნარჩვევების განვითარება ძალადობის დადებითი გზით დარეგულირებისათვის. შემწყნარებლობისა და პასუხისმგებლობის ფასეულობების განვითარება.

ინსტრუქციები

1. განმარტეთ, რომ მონაწილეებისათვის ეს არის პიროვნებათაშორისი ძალადობის შესახებ პირადი გამოცდილებიდან აზრებისა და გრძნობების გაზიარების შესაძლებლობა. მათ უნდა გაიხსენონ შემთხვევები როდესაც სხვები მიმართავდნენ მათზე ძალადობას და როდესაც თავად ძალადობდნენ სხვებზე.
2. დარწმუნდით, რომ ყველამ იცის და ყველას ესმის ინტერქატიული ჯგუფის მუშაობის პრინციპები: რომ ყველას იმსახურებს პატივისცემით მოპყრობას, რომ თითოეული მათი ნათქვამი თავდაჯერებულია და რომ არავინ არ უნდა გრძნობდეს ზეწოლას თქვას რაიმე ისეთი რაც მისთვის არასასიამოვნოა.
3. იფიქრეთ სიტყვა ”ძალადობაზე” და სთხოვეთ მათ მოიყვანონ ყოველდღიური ძალადობის მაგალითები, მაგ. სიტყვიერი შეურაცყოფა, დაცინვა, სარკაზმი, ურიგოდ წასვლა, უტაქტო ქცევა, ბავშვის ცემა, ყაჩაღობა, წვრილმანი ქურდობა ან ჯიბის ქურდობა, ვანდალიზმი და ა.შ.
4. სთხოვეთ ყველას 5 წუთით დაფიქრდნენ პირად შემთხვევებზე როცა:
   ა) ვინმემ იძალადა მათზე
   ბ) მათ თავად მიმართეს ძალადობას სხვებზე
   გ) გახდნენ ძალადობის მოწმე მაგრამ არ ჩაერიენ.

ანალიზი და შეფასება

დაიწყეთ მოკლე დისკუსიით თავად სავარჯიშოს გარშემო და იმსჯელეთ იყო თუ არა ის რთული და თუ იყო რატომ. შემდეგ გადადით სხვადასხვა ა), ბ), და გ) სიტუაციების მიზეზებისა და შედეგების აანლიზზე. სთხოვეთ მოხალისეებს შემოგთავაზონ თავიანთი გამოცდილება დისკუსიის თემად. ათქმევინეთ მათ რა

მოხდა და რას გრძნობენ ახლა ამის გამო. შემდეგ კი გახსენით დისკუსია ყველასათვის.

1. რატომ ჰქონდა ძალადობას ადგილი?
2. როგორ მოიქცეოდნენ ჯგუფის სხვა წევრები მსგავს სიტუაციაში?
3. რატომ მოიქეცით ასე?
4. როგორ მოიქცეოდით სხვაგვარად? აქვს ჯგუფს რაიმე მოსაზრებები?
5. რას გააკეთებდა ნებისმიერი მათგანი ინციდენტის თავიდან ასაცილებლად?
6. გ) შემთხვევაში რატომ არ ჩაერიენ ისინი?
7. რა იყო ინციდენტის მიზეზები?
8. რამდენი შემთხვევა იყო გაუგებრობის შედეგი, რამდენი წყენის, ეჭვიანობის და რამდენი კულტურულოგიური და ტრადიციული განსხვავებების, რწმენის ან აზრის სხვადასხვაობის?
9. როგორ ესმით მონაწილეებს სიტყვა ”შემწყნარებლობა“? როგორ განმარტავენ მას?
10. სწორია, რომ ადამიანები სრულად შემწყნარებლები უნდა იყვნენ ყველაფრის მიმართ რასაც სხვები ამბობენ ან აკეთებენ?
11. რატომ არის შემწყნარებლობა ძირითადი ფასეულობა ადამიანის უფლებების დამკვიდრების საქმეში?

რჩევები ხელმძღვანელებს

მზად იყავით სიურპრიზებისათვის და იმათ გასამხნევებლად ვინც ეს სავარჯიშო რთულად მიიჩნია ან გულთან ახლოს მიიტანა. თქვენ ვერ გეცოდინებათ ყველას წარსული ან აწმყო ან ის რაც მათ ოჯახებში ხდება. შესაძლოა ზოგიერთ მონაწილეს ჰქონდეს მწარე გამოცდილება სხვადასხვა ფორმის ძალადობასთან დაკავშირებით. ხაზი გაუსვით, რომ ამ სავარჯიშოს მიზანია ძალადობის საწინააღმდეგო უნარჩვევების განვითარება, მისი მიზეზების გააზრების, გრძნობებისა და ემოციების აღიარების და თავდაჯერებულად მოქმედების გზით, რათა მოხერხდეს სიტუაციის კონტროლი და ვიპოვოთ არა-ძალადობრივი გზები ძალდობაზე საპასუხოდ. უთხარით მონაწილეებს ახსოვდეთ ადამიანის უფლებათა საყოველთაო დეკლარაციის მუხლი 1: ”ყველა ადამიანს დაბადებიდანვე აქვს თავისუფალი და თანასწორი ღირსება და უფლებები. თუ სხვებისგან მოველით ამ მუხლის შესრულებას მაშინ ჩვენ თვითონაც უნდა შევასრულოთ ის. თუ ჯგუფში 10-ზე მეტი წევრი გყავთ შეგიძლიათ დაყოთ ისინი მცირე ჯგუფებად.

ვარიანტები

ეს კარგი დრამა-სავარჯიშოა. სთხოვეთ 2, 3 ან 4 მონაწილეს სწრაფად გაითამაშონ ინციდენტი. დანარჩენი ჯგუფი დამკვირვებელია. შემდეგ შეგიძლიათ პერიოდულად შეაწყვეტინოთ გათამაშება და ინტერვალებში სთხოვოთ აუდიტორიას გამოთქვან საკუთარი აზრი თუ როგორ უნდა განვითარდეს სცენარი. კიდევ ერთი ალტერნატივა არის აუდიტორიის პირდაპირი ჩარევა და შემსრულებლების ნაცვლად მათ მიერ ალტერნატიული დასასრულის მოგონება.

წინადადებები გაგრძელებისათვის

მოიძიეთ ინფორმაცია ორგანიზაციების შესახებ, რომლებიც ეხმარებიან ძალადობის მსხვერპლთ, მაგ. ცხელი ხაზები ან მსხვერპლთა მხარდამჭერი ქსელები. ასევე მოიძიეთ სხვა ორგანიზაციები, რომლებიც ამკვიდრებენ გაგებას და შემწყნარებლობას საზოგადოებაში. თუ მშვიდობის და ძალადობის თემის

გაგრძელების სურვილი გაქვთ შეგიძლიათ შეასრულოთ სავარჯიშო ”ცხოვრება სრულყოფილ სამყაროში” (გვ. 319). იხილეთ პასუხები მშვიდობის ბორბლის შესავსებად!

იდეები მოქმედებისათვის

დაუკავშირდით ორგანიზაციას, რომელიც იღწვის საზოგადოებაში მშვიდობისა და არა-ძალადობის დასამკვიდრებლად და გაარკვიეთ როგორ შეგიძლიათ მათ მუშაობაში ჩართვა.





wamlebis xelmisawvdomoba

„მდგომარეობის შეცვალა უკეთესობისაკენ მხოლოდ დაინტერესებული მოქალაქეების გლობალური ერთობლივი ძალისხმევითაა შესაძლებელი“.
ზაკი ახმატი, მკურნალობის მხარდამჭერი მოძრაობის კამპანია

თემები	ჯანმრთელობა, გლობალიზაცია, დისკრიმინაცია და ქსენოფობია
სირთულე	დონე 4
მონაწილეთა რაოდენობა	16 – 40
ხანგრძლივობა	190 წუთი
მიმოხილვა	ეს სავარჯიშო არის 2001 წელს სამხრეთ აფრიკაში შემდგარი "შიდსის სამკურნალო წამალთან" დაკავშირებული სასამართლო პროცესის ინსცენირება. სავარჯიშოში განხილულია საკითხები: ▪ შიდსი/HIV ინფექცია და წამლების ხელმისაწვდომობა ▪ უფლებების არსობრივი კონფლიქტურობის დაძლევა. სიცოცხლისა და ღირსების უფლება ▪ კერძო საკუთრების უფლება წარმოდგენის შექმნა ადამიანის უფლებათა საკითხების სირთულის შესახებ გადაწყვეტილების მიღების სხვადასხვა გზების შედარება (კონკურენციული მიდგომა, კონსენსუსზე დამყარებული მიდგომა)
შესაბამისი უფლებები	
მიზნები	▪ კომუნიკაციისა და თანამშრომლობის უნარჩვევების განვითარება
მასალები	▪ დაფა გადასაშლელი ფურცლებით და კალმისტრები ▪ ბარათი-როლები სასამართლო პროცესის ინსცენირებისათვის ▪ ინსტრუქციები მცირე ზომის ჯგუფებისათვის, თითო ეგზემპლარი ყველა მონაწილისათვის ▪ მცირე ბარათები (10 X 6 სმ.) ერთი წითელი და ერთი მწვანე ბარათი თითო მონაწილეზე.
მომზადება	სივრცე პლენარული სხდომისა და მცირე ჯგუფების მუშაობისათვის. პირველი ნაწილისათვის: გააკეთეთ საცდელი ბარათი-როლების ასლები. თქვენ დაგჭირდებათ ერთი ბარათი-როლი თითოეული მონაწილისათვის მეორე ნაწილისათვის: ▪ გააკეთეთ მცირე ჯგუფების სამუშაო ინსტრუქციების ასლები თითო ყველა მონაწილისათვის ▪ მოამზადეთ ერთი წითელი და ერთი მწვანე ბარათი თითოეული მონაწილისათვის

ინსტრუქციები

ეს სავარჯიშო სრულდება 2 ნაწილად. I ნაწილი არის სასამართლო პროცესის ინსცენირება, ხოლო II კონსენსუსის მიღწევის ეტაპი.

ნაწილი I. სასამართლო პროცესი (ხანგრძლივობა 65 წუთი)

1. მოამზადეთ სცენა. შიდსი/HIV სერიოზული ეპიდემიაა მთელს მსოფლიოში, მაგრამ განსაკუთრებით შემაშფოთებელ გავრცელების ხარისხს მან აფრიკაში მიაღწია. ეს ძალზე დიდი პრობლემაა სამხრეთ აფრიკისათვის, სადაც მილიონობით ღარიბი ადამიანი იტანჯება და იღუპება ამ დაავადებისაგან, რადგანაც ხელი არ მიუწვდებათ ძვირადღირებულ

მედიკამენტებზე. მათი ერთადერთი ალტერნატივაა ამ წამლების შედარებით იაფი სუროგატების გამოყენება, რასაც კატეგორიულად ეწინააღმდეგებიან წამყვანი ფარმაცევტული კომპანიები. ისინი ცდილობენ თავიანთი საავტორო უფლებების დაცვას და ამდენად გაერთიანებული ძალებით იბრძვიან, რათა აღკვეთონ ნებისმიერი სახელმწიფოს მიერ მათი პროდუქციის დაუპატენტებელი ანალოგების წარმოება და გაყიდვა დაბალ ფასებში. მათ სარჩელი შეიტანეს სამხრეთ აფრიკის მთავრობის წინააღმდეგ, რომელიც ავრცელებს და ყიდის შიდსი/HIV ინფექციის სამკურნალო იაფფასიან მედიკამენტებს.

2. განმარტეთ, რომ მონაწილეებს მოუხდებათ სამხრეთ აფრიკაში გამართული შიდსის სამკურნალო წამალთან დაკავშირებული სასამართლო პროცესის ინსცენირებაში ჩართვა. საკითხი შემდეგნაირად დგას: არის თუ არა საკუთრების უფლება მყარი არგუმენტი ადამიანთა ჯგუფის სიცოცხლისა და ღირსების უფლების წინააღმდეგ?
3. დაყავით მონაწილეები 4 თანაბარ ჯგუფად, რომლებიც წარმოადგენენ Pharma Inc-ს, სამხრეთ აფრიკის მთავრობას, მკურნალობის მხარდამჭერი მოძრაობის კამპანიას და მოსამართლეებს.
4. დაურიგეთ შესაბამის ჯგუფებს სასამართლო პროცესის ბარათი-როლები.
5. მიეცით ჯგუფებს 25 წუთი თავიანთი ბარათი-როლების წაკითხვისა და პროცესზე წარსადგენი არგუმენტებისა და შეკითხვების მომზადებისათვის. თითოეულმა ჯგუფმა უნდა აირჩიოს წარმომადგენელი, რომელიც გამოვა ჯგუფის სახელით და ერთი, ან ორი პიროვნება, რომელიც ზურგს გაუმაგრებს სპიკერებს და დაეხმარება პროცესზე დასმულ შეკითხვებზე პასუხის გაცემაში.
6. როდესაც ჯგუფები მზად იქნებიან, მოიწვიეთ მონაწილეები პლენარულ სხდომაზე. ამავე დროს, ისინი თავიანთი ჯგუფების შემადგენლობაში უნდა დარჩნენ.
7. ახლა კი Pharma Inc-ს, სამხრეთ აფრიკის მთავრობას და მკურნალობის მხარდამჭერი მოძრაობის კამპანიას, ეძლევათ 5 წუთი თავიანთი პოზიციების წარმოსადგენად და მათთვის საინტერესო ნებისმიერი კითხვების წამოსაჭრელად. მოსამართლეებმა უნდა წარადგინონ ჯგუფები რიგ-რიგობით.
8. თავად მოსამართლეებს 10 წუთი აქვთ ჯგუფების მიერ დასმულ შეკითხვებზე პასუხის გასაცემად და სხვადასხვა არგუმენტებისა და პოზიციების შესაჯამებლად.

ნაწილი II. კონსენსუსის მიღწევის ეტაპი (100 წუთი)

1. სთხოვეთ მონაწილეებს დაიყონ მცირე 4-წევრიან ჯგუფებად. ყოველ ჯგუფში უნდა იყოს Pharma Inc-ის, აფრიკის მთავრობისა და მკურნალობის მხარდამჭერი მოძრაობის კამპანიის ყოფილი წევრი და ერთი ყოფილი მოსამართლე.
2. დაარიგეთ მცირე ჯგუფების სამუშაო ინსტრუქციების ასლები. გადაამოწმეთ, რომ ყველას ესმის რა უნდა გააკეთოს და როგორ უნდა გამოიყენონ მწვანე და წითელი ბარათები. ჯგუფებს 30 წუთი აქვთ კონსენსუსის მიღწევისათვის, თუ როგორ გადაწყდეს კონფლიქტური უფლებების საკითხი.
3. ყველა მოიწვიეთ პლენარულ სხდომაზე და სთხოვეთ მოახსენონ ჯგუფს მათი დისკუსიის შედეგები. მიეცით

ღირშესანიშნავი თარიღი

1 დეკემბერი
შიდსის საერთაშორისო დღე

თითოეულ ჯგუფს 5 წუთი მოხსენებისათვის. ჩაინიშნეთ ძირითადი გადაწყვეტილებები და საკითხები დაფაზე.

4. როდესაც ყველა ჯგუფი წარადგენს თავიანთ პოზიციას გადადით გადაწყვეტილების მიღების პროცესთან დაკავშირებულ დისკუსიაზე. შეიძლება დასვათ შემდეგი შეკითხვები:
   - რამდენად ადვილი იყო კონსენსუსის მიღწევა?
   - რა არის ამ მიდგომის სუსტი და ძლიერი მხარეები?
   - იგრძნობოდა თუ არა დაძაბულობა შეთანხმებული გადაწყვეტილების მიღებისას და სეეცადეთ მის განხილვაში ჯგუფის ყველა წევრის ჩართვას შორის.
   - რა იყო ყველაზე მწვავე საკითხი?
5. შესაძლოა მოისურვოთ ამ სავარჯიშოს დასრულება 2001 წ. 19 აპრილის სასამართლოს გადაწყვეტილებიდან ნაწყვეტის წაკითხვით. "იაფფასიანი მედიკამენტების (...) ხელმისაწვდომობის გაადვილება (...)ღირსეული მიზანია, შიდსი/HIV ინფექციის ეპიდემიის თვალსაზრისით უმაღლესი რანგის კონსტიტუციური მოვალეობაა, დაკავშირებული სახელმწიფოს ვალდებულებასთან უზრუნველყოს პატივისცემა, დაცვა და რეალიზება ძირითადი უფლებებისა, რომელიც მოიცავს ღირსეული ცხოვრების უფლებას (მიღებული როგორც ყველა დანარჩენ უფლებათა საფუძველი) (..). მომჩივანთა მიერ კანონის მისამართით წამოყენებული პრეტენზია უსაფუძვლოა.

ანალიზი და შეფასება

შეფასება დაიწყო II ნაწილში დისკუსიის დროს. შესთავაზეთ მონაწილეებს აზრი გამოთქვან მთლიან პროცესზე და განსაზღვრონ სასამართლო პროცესთან დაკავშირებული ადამიანის უფლებების ძირითადი პრობლემები. ძირითადი კითხვები შეიძლება მოიცავდეს:

- გაუგიათ მონაწილეებს რაიმე ამ პროცესის შესახებ მანამდე?
- რა იყო მათი თავდაპირველი ვარაუდები?
- შეიცვალა თუ არა მათი თავდაპირველი ვარაუდები სავარჯიშოს მსვლელობის პროცესში?
- რა განსხვავებას ხედავენ მონაწილეები გადაწყვეტილების მიღების ორ მეთოდს შორის, კერძოდ, კონკურენტულ და კონსენსუსის მიღწევის მეთოდებს შორის? რომელი უფრო დამაკმაყოფილებელ შედეგს იძლევა? როგორ განსაზღვრავთ წარმატებულ გადაწყვეტილებას?
- ადამიანის უფლებების რა ძირითად პრობლემებს შეეხო სასამართლო პროცესი?
- რა კავშირი არსებობს ამ საკითხებსა და მონაწილეების სოციალურ რეალობებს შორის?
- რა გავლენას ახდენს ეს ხალხზე თქვენს ქვეყანაში?

რჩევები ხელმძღვანელებს

ამ სავარჯიშოსათვის დიდი დრო დაგჭირდებათ, რადგანაც საკითხები რთულია და მონაწილეები ღრმად უნდა დაფიქრდნენ მათ შესახებ. მიაქციეთ ყურადღება,

რომ აუცილებელი არ არის ორივე ნაწილის ერთ დღეს ჩატარება, მათი წარმართვა შეიძლება 2 სხვადასხვა სესიაზე.

წითელი და მწვანე ბარათების გამოყენება ეხმარება ხალხს იმის გარკვევაში, თუ რა უშლის და რა უწყობს ხელს გადაწყვეტილების მიღებას. იდეალურ შემთხვევაში II ნაწილის ბოლოს ყველა მონაწილე ასწევს მწვანე ბარათს, რაც ნიშნავს, რომ ყველა ეთანხმება საერთო გადაწყვეტილებას.

II ნაწილში ზოგიერთმა ჯგუფმა შეიძლება მიაღწიოს კონსენსუსს, ზოგმა კი ვერა. დისკუსიის პროცესში უნდა ეცადოთ გაარკვიოთ კონსენსუსის მეთოდით გადაწყვეტილების მიღების სუსტი და ძლიერი მხარეები. სთხოვეთ ჯგუფებს, რომლებმაც მიაღწიეს კონსენსუსს, რომ წარმოადგინონ არა მხოლოდ მათი საბოლოო პოზიცია, არამედ ძირითადი არგუმენტებიც მათ სასარგებლოდ. სთხოვეთ ჯგუფებს, რომლებიც ვერ მივიდნენ კონსენსუსამდე, განსაზღვრონ, რა აახლოებდათ მათ და რამ შეუწყო ხელი მათ დაშორებას? შენიშვნა: დამატებით ინფორმაციას კონსენსუსის მიღწევის შესახებ იხილავთ I თავში 66 გვ-ზე.

მნიშვნელოვანია შეისწავლოთ ადგილობრივ მოსახლეობაში შიდსი/HIV ინფექციით დაავადებულების რეალური მდგომარეობა და სავარჯიშო მიუსადაგოთ საკითხებს, რომლებიც მათ ეხებათ.

შენიშვნა: ფარმაცევტული კომპანიების კოალიციის სახელწოდება Pharma Inc გამოგონილია სპეციალურად ამ სავარჯიშოსათვის.

წინადადებები გაგრძელებისათვის

იმსჯელეთ თქვენს ქვეყანაში ადამიანის სიცოცხლისა და ღირსების უფლებათა შესახებ ჯანდაცვის საკითხებთან მიმართებაში.

მოიპოვეთ ინფორმაცია ჯანდაცვისა და ადამიანის უფლებათა სფეროში მთელ მსოფლიოში. ეწვიეთ წამყვანი არასამთავრობო ორგანიზაციების და საერთაშორისო ორგანიზაციების (WHO) ვებ-გვერდებს ან მოიპოვეთ მათი ბეჭდვითი გამოცემები (MSF, TAC, Christian Aid).

მოიძიეთ ინფორმაცია იმ ღონისძიებების შესახებ, რომლებიც ტარდება ჯანმრთელობის დაცვის მიზნით და ჩამოწერეთ ისინი დაფაზე.

მკურნალობის მხარდამჭერი მოძრაობის კამპანია აწარმოებს ძალზე წარმატებულ კამპანიას. სამწუხაროდ ყველა კამპანია ვერ აღწევს დასახულ მიზნებს. ამისათვის ბევრი მიზეზი არსებობს, მაგრამ ერთ-ერთი მიზეზი, შეიძლება იყოს ცუდი ორგანიზება და არაფექტური რეკლამირება. ჯგუფს შეუძლია ღრმად ჩაიხედოს ამ საკითხებში და განავითაროს უნარ-ჩვევები ეფექტური კამპანიის საწარმოებლად "ფრთხილად, ჩვენ ყველაფერს ვხედავთ!" სავარჯიშოს საშუალებით (გვ. 300).

იდეები გაგრძელებისათვის

გაარკვიეთ, ვინ ზრუნავს ჯანდაცვის საკითხებზე თქვენს რეგიონში და როგორ შეგიძლიათ წვლილის შეტანა.

დამატებითი ინფორმაცია

ეს სავარჯიშო დამყარებულია სამხრეთ აფრიკის რესპუბლიკის უმაღლეს სასამართლოში 2001 წ. შესულ სარჩელზე. სამხრეთ აფრიკის რესპუბლიკის ფარმაცევტული მწარმოებლების ასოციაციამ, საქმე აღძრა სამხრეთ აფრიკის რესპუბლიკისა და საქმეში ჩართულ სხვა სუბიექტების წინააღმდეგ, მათ შორის, მკურნალობის მხარდამჭერი მოძრაობის კომპანიის წინააღმდეგ. სარჩელი შიდსი/HIV ინფექციის სამკურნალო წამლებზე მათი პატენტების იგნორირებისათვის და დაუპატენტებელი იაფფასიანი წამლების იმპორტირებისათვის შიდსი/HIV ინფექციით დაავადებული მილიონობით ადამიანის მკურნალობის მიზნით.

მოსამართლეებს მოუხდათ ორი მხარის სხვადასხვა ინტერესებისა და უფლებების დაბალანსება. ერთის მხრივ, სამხრეთ აფრიკის ფარმაცევტული მწარმოებლების ასოციაცია მოითხოვდა საკუთრების უფლების, თანასწორი პირობების და ვაჭრობის თავისუფალი არჩევანის, პროფესიისა და ბიზნენის უფლების დაცვას, ხოლო მეორე მხრივ მთავრობა და მკურნალობის მხარდამჭერი მოძრაობის კამპანია აცხადებდა, რომ სახელმწიფოს ვალი იყო პატივი ეცა, დაეცვა და შეესრულებინა მისი მოქალაქეების ძირითადი უფლებები ღირსებისა და სიცოცხლის შესახებ.

თავის ისტორიულ გადაწყვეტილებაში სასამართლომ დაასკვნა, რომ საკუთრების უფლება უფრო დაბალი რანგის იყო, ვიდრე ადამიანის ძირითადი უფლებები ღირსებისა და სიცოცხლის შესახებ, და ამდენად, ის უნდა შეზღუდულიყო. შედეგად წამლების მწარმოებლებმა უარი თქვეს სარჩელზე. ამ გადაწყვეტილებას ფართო საზოგადოება მიესალმა და შეფასდა, როგორც "ნამდვილი ტრიუმფი და დავითის გამარჯვება გოლიათზე, არამარტო სამხრეთ აფრიკაში, არამედ ბევრი სხვა განვითარებადი ქვეყნების ხალხებისათვის, რომლებიც იბრძვიან ჯანმრთელობის უფლების მოსაპოვებლად". (არასამთავრობო ორგანიზაციების ერთობლივი პრეს რეილიზი, 19 აპრილი, 2001 წ) "ეს არის ღარიბების იშვიათი და ძალზე მნიშვნელოვანი გამარჯვება მძლავრ მრავალეროვნულ კომპანიებზე! მაგრამ, ამჟამად ჩვენი მიზანია, ვიმუშაოთ წამლების მწარმოებლებთან და მთავრობასთან ერთად, რათა მივაწოდოთ წამლები მათ, ვისაც ჭირდება" (კევინ ვოტკინსი, ოქსფამი)

შიდსი და გლობალიზაციის ტენდენციები

მდიდარ ქვეყნებში მცხოვრებ შიდსით ინფიცირებულ პაციენტებს შეუძლიათ უფრო კარგად და დიდხანს სიცოცხლე ანტირეტროვირუსული წამლების წყალობით, რომლებსაც სახელმწიფო მათ უფასოდ აძლევს. სამხრეთის ქვეყნებში კი შიდსით ინფიცირებული ხალხი მეტად იტანჯება და შედარებით ადრე იღუპება, რადგან შიდსის საწინააღმდეგო მკურნალობა მათთვის მიუწვდომელია. განვითარებად ქვეყნებში წლიური საშუალო ჯანმრთელობის ხარჯები ერთ სულ მოსახლეზე შეადგენს დაახლოებით 10 დოლარს, მაშინ, როდესაც სამმაგი თერაპია განვითარებული ქვეყნების პაციენტებისათვის აღწევს 10 000 –დან 15 000 მდე დოლარს წელიწადში.

სიღარიბე, განათლების დაბალი დონე და სოციალური უთანასწორობა აჩქარებს ეპიდემიის გავრცელებას, მაგრამ უპირველეს ყოვლისა პრობლემა პოლიტიკურია და ეხება მთავრობებს, საერთაშორისო ორგანიზაციებს და ფარმაცევტულ კომპანიებს. ეფექტურობის გაზრდის მიზნით შიდსის წინააღმეგ ბრძოლა მოითხოვს ძირითადი საერთაშორისო მექანიზმებისა და ორგანიზაციების ჩართვას, ამათგან უმნიშვნელოვანესია IMF - საერთაშორისო სავალუტო ფონდი, WTO - მსოფლიო სავაჭრო ორგანიზაცია, TRIPS - ინტელექტუალური საკუთრების უფლების სავაჭრო ასპექტები, GATS - გენერალური შეთანხმება ვაჭრობასა და სერვისზე, და დავების გადაწყვეტის ორგანიზაცია, რომელიც ფატქიურად ასრულებს WTO-ს ტრიბუნალის ფუნქციებს.

dasarigebeli masala

როლური ბარათები სასამართლო პროცესის ინსცენირებისათვის

როლური ბარათი: Pharma Inc

თქვენ წარმოადგენთ PPharma Inc –ის უფროსი ხელმძღვანელი პირების ჯგუფს. თქვენი კომპანია არის მსოფლიოს ერთერთი წამყვანი წამლის მწარმოებელი. თქვენ ნაყიდი გაქვთ შიდსის/HIV ინფექციის სამკურნალო ძირითადი მედიკამენტების კომერციული გამოყენების უფლება. თქვენ უნდა შეინარჩუნოთ კომპანიის მოგების დონე და ასევე გაახაროთ თქვენი აქციონერები. ამდენად თქვენ გსურთ დაიცვათ კომპანიის უფლება დააწესოს გასაყიდი ფასები საკუთარ პროდუქციაზე მეცნიერული კვლევის, წარმოების და კომპანიის თანამშრომლების ხელფასებზე გაწეული ხარჯების გათვალისწინებით. აგვარად, თუკი სხვა ფირმას ექნება საშუალება გააკეთოს თქვენი პროდუქციის ასლი და გაყიდოს უფრო დაბალ ფასებში ეს საფრთხეს შეუქმნის კომპანიის მოგებას და მდგრადობას. ამიტომაც თქვენ უნდა გაერთიანოთ ძალები სხვა წამყვან ფარმაცევტულ კომპანიებთან რათა წინ აღუდგეთ ნებისმიერი სახელმწიფოს მცდელობას გააკეთოს თქვენი პროდუქციის ასლი და გაყიდოს უფრო დაბალ ფასებში. თქვენ გადაწყვეტილი გაქვთ სარჩელი შეიტანოთ ასეთი სახელმწიფოს წინააღმდეგ თუ საჭირო გახდება. სამხრეთ აფრიკის მთავრობის წინააღმდეგ უკვე შეტანილი გაქვთ მსგავსი ხასიათის სარჩელი.

უნდა მოამზადოთ არგუმენტები თქვენი პოზიციის დასაცავად. თქვენ გეძლევათ 5 წუთი სასამართლო პროცესზე არგუმენტების წარსადგენად.

როლური ბარათი: სამხრეთ აფრიკის მთავრობა

თქვენ ხართ სამხრეთ აფრიკის მთავრობის უმაღლესი ოფიციალური პირები. თქვენი მთავრობა ცდილობს რეაგირება მოახდინოს ფარმაცევტული კომპანიების მოთხოვნაზე, რომლებმაც სარჩელი შეიტანეს თქვენ წინააღმდეგ. Pharma Inc ცდილობს წინ აღუდგეს ნებისმიერი სახელმწიფოს მცდელობას გააკეთოს მისი პროდუქციის ასლი და გაყიდოს უფრო დაბალ ფასებში ანუ შეამციროს მისი პროდუქციის საცალო ფასი. პრინციპში თქვენ ეთანხმებით Pharma Inc-ის პოზიციას.

თუმცა სახალხო მოძრაობა, რომელსაც ხელმძღვანელობს *მკურნალობის მხარდამჭერი მოძრაობის* კამპანია აცხადებს, რომ სახელმწიფოს კონსტიტუციური ვალდებულება არის უზრუნველყოს იაფფასიანი წამლების ხელმისწვდომობა, განსაკუთრებით შიდსი/HIV ინფექციის ეპიდემიის გათვალისწინებით. თქვენ რეაგირება მოახდინეთ საზოგადოების პოლიტიკურ ზეწოლაზე და გაეცით იაფფასიანი კოპირებული წამლების იმპორტირების ნებართვა ისეთი ქვეყნებიდან როგორიცაა ინდონეზია.

უნდა მოამზადოთ არგუმენტები თქვენი პოზიციის დასაცავად. თქვენ გეძლევათ 5 წუთი სასამართლო პროცესზე არგუმენტების წარმოსადგენად.

როლური ბარათი: მკურნალობის მხადამჭერი მოძრაობის კამპანია

თქვენ ხართ სამხრეთ აფრიკის მკურნალობის მხადამჭერი კამპანიის აქტივისტთა ჯგუფი. კამპანია აცხადებს, რომ სახელმწიფო პასუხისმგებელია იაფფასიანი მედიკამენტების ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფაზე განსაკუთრებით შიდსი/HIV ინფექციის ეპიდემიის გათვალისწინებით. მთავრობამ მოახდინა რეაგირება და დაიწყო იაფფასიანი წამლების იმპორტირება.

თქვენ ასევე აცხადებთ, რომ სახელმწიფოს ვალია ფინანსური დახმარება გაუწიოს შიდსი/HIV დაავადების წინააღმდეგ მებრძოლ პირებს და ორგანიზაციებს.

მაგრამ სამხრეთ აფრიკის მთავრობას მოუხდა სასამართლოს წინაშე წარდგომა ფარმაცევტული კომპანიების სარჩელის საფუძველზე, რომლებიც ცდილობენ წინ აღუდგენ თავიანთი პროდუქციის კოპირებას და იაფ ფასებში გაყიდვას. ამიტომაც თქვენ გადაწყვეტილი გაქვთ მხარი დაუჭიროთ მთავრობას და დაიცვათ სახელმწიფოს როლი იაფფასიანი წამლების უზრუნვეყოფაში.

უნდა მოამზადოთ არგუმენტები თქვენი პოზიციის დასაცავად. თქვენ გეძლევათ 5 წუთი სასამართლო პროცესზე არგუმენტების წარმოსადგენად

როლური ბარათი: მოსამართლეები

თქვენ ხართ მოსამართლეების ჯგუფი, რომლებიც განიხილავენ წამყვანი ფარმაცევტული კომპანიების სარჩელს სამხრეთ აფრიკის მთავრობის წინააღმდეგ, ეს კომპნიები ცდილობენ შეაჩერონ თავიანთი პროდუქციის კოპირება და იაფ ფასებში გაყიდვა. სამხრეთ აფრიკის მკურნალობის მხადამჭერი კამპანიის აქტივისტთა ჯგუფი იცავს მთავრობის პოზიციას.

თქვენი როლი მდგომარეობს მოიწვიოთ სამივე მხარე რათა წარმოადგინონ თავიანთი პოზიციები. გამოსვლების ბოლოს არ უნდა გააკეთოთ რაიმე დასკვნა ან გამოიტანოთ განაჩენი. თქვენი ამოცანა არის დააზუსტოთ პოზიციები და შეაჯამოთ არგუმენტები ათი მოთხოვნების მხარდასაჭერად.

ძირითადი პრობლემა ადამიანთა უფლებების კონფლიქტური პრეტენზიების გადაჭრა. მოპასუხე (მთავრობა და სამხრეთ აფრიკის მკურნალობის მხადამჭერი კამპანია) მოითხოვს სიცოცხლის და ღირსების უფლების დაცვას, ხოლო მოსარჩელე (PPharma Inc) მოითხოვს საკუთრების უფლების დაცვას. სასამართლოს ოფიციალური ოქმებში ეს შემდეგი სახით არის ფორმულირებული: "სიცოცხლისა და ღირსების უფლება არის ადამიანის ყველაზე მნიშვნელოვანი უფლება და ყველა სხვა პირადი უფლების სათავე. ადამიანის უფლებებზე დაფუძნებული საზოგადოების სამსახურში ყოფნა გვავალდებულებს დავაყენოთ ეს 2 უფლება დანარენებზე მაღლა. და ეს სახელმწიფოს მიერ დემონსტრირებული უნდა იქნას მის ყოველ ქმედებაში, მის მიერ დამნაშავეების დასჯის ჩათვლით".

საწინააღმდეგო:

"საკუთრების უფლება დაცულია სამხრეთ აფრიკის კონსტიტუციის 25 ნაწილით, რომელიც აცხადებს: საკუთრება 25 (1): არავის არ შეიძლება ჩამოერთვას საკუთრება გარდა ზოადი კანონდებლბით განსაზღვრული შემთხვევებისა, და არავითარი კანონი არ ითვალისწინებს ქონების თვითნებურ ჩამორთმევას".

უნდა მოამზადოთ შეკითხვები სამივე მხარისათვის. თქვენ გეძლევათ 10 წუთი შეკითხვების დასმისათვის და პასუხების მოსენისათვის.

ინსტრუქციები მცირე ჯგუფებისათვის მე-2 ნაწილში

თქვენ ხართ 4 ადამიანისგან შემდგარი ჯგუფი, თითოეული წერი წარმოადგენს 4 განსხავებულ მხარეს:

- Pharma Inc
- სამხრეთ აფრიკის მთავრობა
- მკურნალობის მხარდამჭერი კამპანიის წარმომადგენელი აქტივისტები
- მოსამართლეების ჯგუფი, რომლებიც განიხილავენ წამყვანი ფარმაცევტული კომპანიების სარჩელს

ინსტუქციები

1. ყველა პიროვნებამ რიგ-რიგობით უნდა წარმოადგინოს საკუთარი თავი და მხარე, რომელსაც ის წარმოადგენს, ანუ როლი, რომელსაც ის ასრულებს.
2. შემდეგ თითოეულმა პიროვნებამ უნდა გამოთქვას თავისი მოსაზრება სასამართლოს ბოლოს შექმნილ სიტუაციასთან დაკავირებით. ვინც ფიქრობს, რომ ადვილი იქნება გადაწყვეტილების პოვნა უნდა ასწიოს მწვანე ბარათი, ხოლო ვინც ფიქრობს, რომ ეს რთული იქნება ასწიოს წითელი ბარათი.
3. ახლა თქვენი ამოცანა არის მიხვიდეთ დამაკმაყოფილებელ გადაწყვეტილებამდე, რომელიც ემყარება 4 მხარეს შორის მიღწეულ კონსენსუსს. დისკუსია უნდა წარმართოთ რაუნდებად. მოსამართლე თავმჯდომარეობს დისკუსიას და საკუთარ პოზიციას აფიქსირებს ბოლოს.
   - პირველი რაუნდი: დააფიქსირეთ თქვენი პოზიცია
   - მეორე რაუნდი: წარმოადგინეთ თქვენი იდეები პრბლეათა გადაწყვეტის შესახებ
   - მესამე რაუნდი: მოილაპარაკეთ სხვადასხვა გადაწყვეტილებების შესახებ.
4. ყურადღებით მოუსმინოთ ერთმანეთს. ყველა რაუნდის ბოლოს უნდა ასწიოთ შესაბამის ფერის ბარათი, რათა დააფიქსიროთ თქვენი აზრი დამაკმაყოფილებელი გადაწყვეტილების მიღებასთან დაკავშირებით.
5. კონსენსუსის ძიების პროცესის ბოლოს აირჩიეთ ერთი პიროვნება, რომელიც პლენარულ სხდომაზე გააკეთებს მოხსენებას შედეგების შესახებ.

adamianis uflebaTa kalendari

შემდეგი კალენდარი არის პირველი მცდელობა იმ დღეების სიის შედგენისა, როდესაც მთელ მსოფლიოში აღნიშნავენ ადამიანის უფლებებს, ღირშესანიშნავი თარიღები მოიცავს: გაეროს მიერ ოფიციალურად გამოცხდებულ საერთაშორისო თარიღებს, არასამთავრობო ორგანიზაციების მიერ აღიარებულ საერთაშორისო დღეებს, ისტორიული მოვლენების იუბილეებს და ადამიანის უფლებათა დამცველი ზოგიერთი ცნობილი პიროვნებების დაბადების დღეებს. ეს არ უნდა მივიღოთ როგორ სრულყოფილი ან დასრულებული სია, არამედ როგორც ახალგაზრდებთან მუშაობის საწყისი ნაბიჯი. მესამე ნაწილში სავარჯიშოები ჩამოთვლილია ჯვარედინი შედარებისთვის.

შეიძლება გაკეთდეს კალენდრის ასლი და გაკეთდეს პლაკატად, რათა ჩამოიკიდოს კედელზე ადამიანის უფლებათა სფეროსთან დაკავშირებული

ინტერესის სტიმულირებისათვის. მითუმეტეს, რომ ის კარგ მითითებას იძლევა მათი სპექტრისა და განსხვავებების შესახებ. მონაწილეები შეიძლება მოიწვიოთ იმსჯელონ შერჩეულ საკითხებზე და ასევე მოიპოვონ ადგილობრივი და ეროვნული ღირშესანიშნავი თარიღები, რომლებიც შეიძლება დაუმატოთ კალენდარს რათა შექმნათ წყარო, რომლსაც უფრო ინდივიდუალური ხასიათი ექნება.

მე-3 ნაწილში მოყვანილ ყველა სავარჯიშოს აქვს თავის ღირშესანიშნავი თარიღი. ამდენად შესაძლებელია კალენდრის გამოყენება როგორც ინსტრუმენტის ადამიანის უფლებათა სფეროში განათლების წლიური პროგრამის შესადგენად. ყოველი კვირის ან თვის საწყისი წერტილი შეიძლება იყოს "თემატური" სავარჯიშო. მაგ. 3 მაისს პრესის თავისუფლების საერთაშორისო დღეს შეგიძლიათ შეასრულოთ სავარჯიშო "პირველი გვერდი" (გვ. 217) ან 25 ნოემბერს ქალების მიმართ ძალადობის აღმოფხვრის საერთაშორისო დღეს შეგიძლიათ შეასრულოთ სავარჯიშო "საშინაო საქმეები" (გვ.134). ალტერნატიული ვარიანტი არის ჯგუფის მიერ "ქმედებაზე გადასვლა" და იმ ღონისძიებებში ჩართვა, რომლებსაც სხვა ორგანიზაციები აწყობენ ამავე თარიღის აღსანიშნავად მაგ. 22 აპრილს გარემოს დამცველთა ჯგუფთან ერთად დედამიწის დღის აღნიშვნა.

რადგანაც ადამიანის უფლებების გაგება იცვლება და ვითარდება ყოველწლიურად ასევე უნდა შეიცვალოს ეს კალენდარიც. თქვენთვის – ამ სახელმძღვანელოს მომხმარებლებისათვის – გამოწვევა არის იპოვოთ ადამიანის უფლებებისადმი მიძღვნილი ზეიმის ახალი გზები ყოველ დღე მთელი წლის განმავლობაში.

თარიღი	**აღნიშვნა**	**სავარჯიშო**
8 იანვარი	მწიგნობრობის საერთაშორისო დღე	განათლება ყველასათვის
20 თებერვალი	არაძალადობრივი წინააღმდეგობის დღე	ელექტროსადგური
21 თებერვალი	მშობლიური ენის საერთაშორისო დღე (iunesko)	ენობრივი ბარიერი
8 მარტი	ქალთა საერთაშორისო დღე	გმირები
21 მარტი	პოეზიის საერთაშორისო დღე	დასურათებული თამაშები
21 მარტი	რასობრივი დისკრიმინაციის აღმოფხვრის საერთაშორისო დღე	უარი რასიზმს
22 მარტი	წყლის საერთაშორისო დღე	სიცოცხლის ქსელი
23 მარტი	მეტეოროლოგიის საერთაშორისო დღე	
24 მარტი 7 აპრილი	ტუბერკულოზის საერთაშორისო დღე ჯანმრთელობის საერთაშორისო დღე	ერთი წუთით
8 აპრილი	ბოშათა საერთაშორისო დღე	გადადგი ნაბიჯი წინ
22 აპრილი	დედამიწის დღე	სიცოცხლის ქსელი

23 აპრილი	წიგნისა და საავტორო უფლებების საერთაშორისო დღე (იუნესკო)	
30 აპრილი	ჰოლოკოსტის მემორიალური დღე	
1 მაისი	მშრომელთა საერთაშორისო დღე	განსხვავებული ხელფასები, საუბარი პროფკავშირებთანს
3 მაისი	პრესის თავისუფლების საერთაშორისო დღე	პირველი გვერდი
8 მაისი	წითელი ჯვრისა და წითელი ნახევარმთვარის საერთაშორისო დღე	„ბინგოს“ უფლებები
15 მაისი	ოჯახების საერთაშორისო დღე	სამსახური და ბავშვები
17 მაისი	ტელეკომუნიკაციების საერთაშორისო დღე	ინტერნეტის გავლენა
31 მაისი	თამბაქოს საწინააღმდეგო საერთაშორისო დღე	
4 ივნისი	აგრესიის მსხვერპლი უდანაშაულო ბავშვების საერთაშორისო დღე.	რა ალტერნატივები გაგვაჩნია?
5 ივნისი	ეკოლოგიის საერთაშორისო დღე	ბაღი ერთ ღამეში
15 ივნისი	წარმოების საერთაშორისო დღე	
17 ივნისი	გაუდაბნოებისა და გვალვის წინააღმდეგ ბრძოლის საერთაშორისო დღე	
20 ივნისი	ლტოლვილთა საერთაშორისო დღე	შეიძლება შემოვიდე?
21 ივნისი	მშვიდობისა და შემწყნარებლობის საერთაშორისო დღე	ყველა თანასწორი, ყველა განსხვავებული
26 ივნისი	ნარკომანიისა და უკანონო ტრაფიკინგის საწინააღმდეგო საერთაშორისო დღე	
26 ივნისი	წამების მსხვერპლთა მხარდაჭერის გაეროს საერთაშორისო დღე	როცა დადგება ხვალინდელი დღე
26 ივნისი	გაეროს წესდების დღე	ენობრივი ბარიერი
ივლისის პირველი შაბათი	კოოპერატივების საერთაშორისო დღე	ვითამაშოთ!
11 ივლისი	მსოფლიოს მოსახლეობის დღე	
6 აგვისტო	ჰიროსიმას დღე (მოიხსენიებს პირველი ატომური დაბომბვის მსხვერპლთ, რომელსაც ადგილი ჰქონდა ჰიროსიმაში, იაპონიაში 1945 წ).	
7 აგვისტო	ტრანსგენდერული საერთაშორისო უფლებებისა და განათლების დღე	ვინ ვართ ჩვენ?
9 აგვისტო	აბორიგენთა საერთაშორისო დღე	მაკა – ვეშაპაებზე მონადირე
12 აგვისტო	ახალგაზრდობის საერთაშორისო დღე	ჩვენი მომავლის ვარიანტები
23 აგვისტო	მონობით ვაჭრობის და მისი გაუქმების მოსახსენიებელი საერთაშორისო დღე (იუნესკო)	
21 სექტემბერი	მშვიდობის დღე	სახარჯო ფული
8 სექტემბერი	განათლების/მწიგნობრობის საერთაშორისო დღე (იუნესკო)	გლობალიზაციის ტერმი-ნოლოგიური ლექსიკონი
16 სექტემბერი	ოზონის შრის დაცვის საერთაშორისო დღე	
7 ოქტომბერი	მსოფლიო ჰაბიტატის დღე (ქალაქები ბარაკების გარეშე)	ორი ქალაქის ამბავი
ოქტომბრის მეორე ოთხშაბათი	ბუნებრივი კატასტროფების შემცირების საერთაშორისო დღე	
1 ოქტომბერი	მოხუცთა საერთაშორისო დღე	
1 ოქტომბერი	მუსიკის საერთაშორისო დღე	ერთი მსოფლიო, ერთი სიმღერა
5 ოქტომბერი	მასწავლებელთა საერთაშორისო დღე (იუნესკო)	დაე, ყველა ხმა იყოს გაგონილი
10 ოქტომბერი	მენტალური ჯანმრთელობის საერთაშორისო დღე	სპორტი ყველასათვის
16 ოქტომბერი	კვების საერთაშორისო დღე	სპორტი ყველასათვის
17 ოქტომბერი	სიღარიბის შემცირების საერთაშორისო დღე	ბრძოლა უფლებისა და ძალაუფლებისათვის
24 ოქტომბერი	ინფორმაციის განვითარების საერთაშორისო დღე	ყურადღებით, ჩვენ ყველაფერს ვხედავთ!
24 ოქტომბერი	გაეროს დღე	ამოირჩიე!
3 ნოემბერი	მამაკაცთა საერთაშორისო დღე	გმირები
9 ნოემბერი	„ბროლის ღამე“, ფაშიზმისა და ანტი-სემიტიზმის საწინააღმდეგო საერთაშორისო დღე.	
9 ნოემბერი	1989 ბერლინის კედლის დაცემა	თანამშრომლობის კვანძები
11 ნოემბერი	მშვიდობისა და მეცნიერების საერთაშორისო დღე	სიღარიბის ჰოროსკოპი

16 ნოემბერი	შემწყნარებლობის საერთაშორისო დღე (იუნესკო)	ძალადობა ჩემს ცხოვრებაში
20 ნოემბერი	ბავშვთა საყოველთაო დღე	ბავშვთა უფლებები
21 ნოემბერი	ტელევიზიის საერთაშორისო დღე	დასურათებული თამაშები
25 ნოემბერი	ქალების მიმართ ძალადობის აღმოფხვრის საერთაშორისო დღე	თანასწორობის ქვეყნისაკენ მიმავალი გზა
29 ნოემბერი 1 დეკემბერი	პალესტინის ხალხის მიმართ სოლიდარობის საერთაშორისო დღე შიდსის საერთაშორისო დღე (მსოფლიო ჯანდაცვის ორგანიზაცია)	მედიკამენტების ხელმისაწვდომობა
2 დეკემბერი	მონობის გაუქმების საერთაშორისო დღე	აშიკის ამბავი
3 დეკემბერი	ინვალიდების საერთაშორისო დღე	საკუთარი შესაძლებლობების დანახვა
5 დეკემბერი	ეკონომიკური და სოციალური განვითარების საერთაშორისო მოხალისის დღე	სად დგახარ შენ?
10 დეკემბერი	ადამიანის უფლებათა დღე (1948)	თამაში „დახატე სიტყვა“ ინსცენირება „როცა ხვალინდელი დღე დადგება“
18 დეკემბერი	ემიგრანტთა საერთაშორისო დღე	
29 დეკემბერი	ბიომრავალფეროვნების საერთაშორისო დღე	
?	დღე როდესაც ხმის უფლება საყოველთაო გახდა თქვენს ქვეყანაში	ვაძლევთ თუ არა ხმას?


500
500
500
500
500
500
100
100
100
100
100
100
100
100
100
50
50
50
50
50
50
50
50
50
10
10
10
10
10
10
10
10
10
10
10
10
10
10
10

Tavi 3

moqmedebaze gadasvla

3 Tavis Sinaarsi

მოქმედებაზე გადასვლა *345*
აქტივობის აუცილებლობა *345*
ზოგიერთი მარტივი ნაბიჯი აქტივობისაკენ *346*
გაარკვიე; მიყევი მოვლენებს კვალდაკვალ *346*
გახადე საკითხები საჯარო *348*
გააერთიანე ძალები სხვა ორგანიზაციასთან *350*
შედეგების მიღება! *352*
მოქმედების გეგმის შედგენა *353*
სად დგახართ? *354*
რაში მდგომარეობს მიზანი? *355*
როგორ მივაღწიოთ მიზანს? *356*

moqmedebaze gadasvla

aqtivobis aucilebloba

ადამიანის უფლებათა სფეროში განათლება ნაწილობრივ შეეხება ადამიანის უფლებათა მიმართ პატივისცემის განვითარებას. მაგრამ ის არ შემოიფარგლება მხოლოდ ამ ამოცანით, რადგანაც იმისდამიუხედავად რამდენად ვცემთ ჩვენ, ჩვენი კოლეგები და მეგობრები პატივს ადამიანის უფლებებს, ჩვენ ვცხოვრობთ სამყაროში, რომელიც სავსეა ადამიანის უფლებათა დარღვევის შემთხვევებით. სამწუხაროდ ჩვენ არ შეგვიძლია ამ დარღვევების შეჩერება უბრალოდ განათლების საშუალებით – ყოველ შემთხვევაში ახლო მომავალში.

ამას ახალგაზრდებიც ხედავენ, რამაც ზოგჯერ შეიძლება ჩაშალოს კიდეც ჩვენი საგანმანათლებლო მცდელობები. ბოლოს და ბოლოს რა საჭიროა ადამიანის უფლებათა საყოველთაო დეკლარაციის ცოდნა თუ მას არავინ აქცევს ყურადღებას რეალურ სამყაროში? რა საჭიროა უფლებათა დარღვევის აღიარება თუ არ არსებობს რაიმე რისი გაკეთებაც ჩვენ შეგვიძლია მათ აღმოსაფხვრელად?

ახალგაზრდებისათვის მოწოდება იმოქმედონ ადამიანის უფლებათა დარღვევის წინააღმდეგ მნიშვნელოვანია არა მარტო იმიტომ, რომ მათ რეალურად შეუძლიათ ცვლილების შეტანა სამყაროში, არამედ იმიტომაც, რომ მათ სურთ ამის გაკეთება. გაცნობიერება იმისა, რომ მათ ქმედებებს რეალურად შეუძლიათ მდგომარეობის შეცვლა მათ ძალასა და მხნეობას შემატებს, გარდა ამისა ადამიანთა უფლებების გაგებას ცხოვრებისეული შინაარსით გაამდიდრებს, რასაც ვერცერთი სავარჯიშო ან გაკვეთილი ვერ შეძლებდა.

“რასაც თქვენ აკეთებთ შეიძლება საშინლად უმნიშვნელოდ გეჩვენებოდეთ, მაგრამ ძალზე მნიშვნელოვანია რომ ამის მიუხედავად თქვენ გააგრძელოთ მისი კეთება”.

მაჰათმა განდი

რა მეთოდები შეგვიძლია გამოვიყენოთ?

ამ თავის მე-2 ნაწილი ეძღვნება კონკრეტულ ქმედებებს, რომელიც შეგიძლიათ თქვენ ჯგუფთან ერთად განახორციელოთ. ამ შესავლის შემდეგ ჩვენ განვიხილავთ ზოგიერთ მარტივ ნაბიჯს აქტივობისაკენ: მარტივი ქმებების მთელი რიგი, რომელთაც შეიძლება ეფექტური შედეგები მოგვიტანოს. ისინი 4 ქვეთავადაა ჩამოყალიბებული:

1. ინფორმაციის შეკრება
2. საზოგადოების ყურადღების მიქცევა პრობლემურ საკითხებზე
3. არსებულ ორგანიზაციებთან დაკავშირება
4. შედეგების მიღწევა!

ეს კატეგორიები უფრო საორგანიზაციო მიზნებისთვის არის გათვალისწინებული, ვიდრე რაიმე კონკრეტული თანმიმდევრობის აღსანიშნავად. თუმცა ყოველი მომდევნო კატეგორია უფრო მეტ აქტივობას მოითხოვს. ეს არ უნდა იყოს გაგებული რიგიდულად რადგანაც ბევრი შემოთავაზებული ქმედება ფაქტობრივად ერთზე მეტ კატეგორიას მიეკუთვნება. მნიშვნელოვანია, რომ მათი განხორციელება შესაძლებელია ერთმანეთისგან დამოუკიდებლად და შედარებით ნაკლებ მომზადებას მოითხოვს.

შემოთავაზებული წინადადებები თავისთავად არ არის რადიკალური და შესაძლებელია რომ ბევრ მათგანს თქვენ უკვე ახორციელებთ კიდეც მუშაობის დროს – პლაკატების მომზადება, საკითხებზე დებატების გამართვა, კულტურული ღონისძიებების ორგანიზება, სხვადასხვა ორგანიზაციებთან შეხვედრა, წერილების დაწერა და ა.შ. მაგრამ ამ ერთი შეხედვით მარტივ მეთოდებს ასევე პროფესიონალებიც იყენებენ და საკმაოდ წარმატებულადაც.

“ვინც ბოროტებას უბრძოლველად ეგუება, ფაქტიურად, მისი მხარდამჭერია”.

მარტინ ლუთერ კინგი

"თუ შენ ყვირიხარ "წინ" ზუსტად უნდა იცოდე რა მიმართულებით უნდა წახვიდე. რატომ ვერ ხვდები, რომ წინააღმდეგ შემთხვევაში შენი მოწოდება ეხება როგორც ბერს, ასევე რევოლუციონერსაც და ისინი სრულიად საპირისპირო მიმართულებით იმოძრავებენ"
ანტონ ჩეხოვი

ფაქტობრივად თითქმის ნებისმიერი მეთოდის გამოყენება შეიძლება. თქვენი მუშაობა ჯგუფთან შეფასდება როგორც სოციალურად აქტიური თქვნს მიერ დასახული მიზნების და კლასგარეშე, რეალურ პირობებში ჩატარებული სამუშაობის შედეგად.

დაგეგმვა

ამ თავის მესამე ნაწილი ეხება ეფექტურ დაგეგმარებას. რა თქმა უნდა დაგეგმვა პირველი ეტაპია და რასაც არ უნდა აკეთებდეთ ის აუცილებლად მოითხოვს წინასწარ დეტალურ დაგეგმვას. მაგრამ ეს ნაწილი შემოთავაზებულია არა იმდენად თქვენ დასხმარებლად რომელიმე სავარჯიშოს შესრულებაში, არამედ თქვენი აქტივობის სტრატეგიული მიდგომის შემუშავებისათვის, მას შემდეგ რაც მონაწილეები უფრო ღრმად გაერკვევიან საკითხთა არსში. და როდესაც ჯგუფი მზად იქნება უფრო სისტემატური მიდგომის განხორციელებისათვის, მაშინ ალბათ სასარგებლო იქნება დაგეგმვის სავარჯიშოების გადახედვა და ზოგიერთი მათგანის დამუშავება. სავარჯიშოები დაეხმარება ჯგუფს უფრო ზუსტად და მკაფიოდ განსაზღვრონ და ჩამოაყალიბონ

ის მიზნები, რომელთა მიღწევაც მათ სურთ და რაც უფრო უკეთ შეეძლებათ ამის გაკეთება მით უფრო მაღალი იქნება მათი წარმატების შანსი.

მიეცით ჯგუფს საშუალება გამოთქვან საკუთარი მოსაზრებები და იდეები, რომლებიც შესაძლოა უკეთ შეესაბამება მათ უნარჩვევებს და ამდენად უფრო მეტი შანსია რომ უკეთესი შედეგი მოიტანოს.

zogierTi martivi nabiji aqtivobisaken

გაარკვიე; მიყევი მოვლენებს კვალდაკვალ

არავის შეუძლია რაიმეს გაკეთება თუ არ იცის რა ხდება მის გარშემო. ინფორმაციის მიღება ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ნაბიჯია ეფექტური აქტივობისაკენ, რადგანაც სწორედ მიღებული ინფორმაციის საფუძველზე ვსაზღვრავთ თუ რისი გაკეთება შეგვიძლია. მაგრამ არ ჩათვალოთ ინფორმაციის მოძიება აუცილებლად მშრალ და სტატიკურ საქმედ. ჩვენ მთლიანად გარემოცული ვართ ინფორმაციით და უნდა გამოვიყენოთ შემოქმედებითი უნარი რათა ვისარგებლოთ სხვადასხვა წყაროებით.

გაარკვიეთ რა ხდება ლოკალურ დონეზე

- გადახედეთ ადგილობრივ და ეროვნულ პრესას უფლებების დარღვევის შესახებ სტატიების აღმოსაჩენად
- დაუკავშირდით სტატიებში მოხსენიებულ პირებს იმ ისტორიებთან დაკავშირებით, რომლებიც განსაკუთრებით გაინტერესებთ ან გაწუხებთ: შესაძლოა ვინმე უკვე იღებს გარკვეულ ზომებს ამ ამბავთან დაკავშირებით?
- გააკეთეთ სხვადასხვა შემთხვევების კედლის კოლაჟი და ერთმანეთს დაუკავშირეთ ერთსადაიმავე ისტორიასთან დაკავშირებული ამბები; მიადევნეთ თვალი როგორ განვითარდება მოვლენები.
- თქვენ ჯგუფთან ერთად იმსჯელეთ საკითხების გადაწყვეტის შესაძლო გზების შესახებ.
- გაესაუბრეთ უმცირესობათა ან არაპრივილეგირებულ ჯგუფებს და გაარკვიეთ რა პრობლემები აწუხებთ მათ.

? სად რა ხდება?

როგორი მდგომარეობაა თქვენს ქვეყანაში სხვა ქვეყნებთან შედარებით?

- გაარკვიეთ რომელ საერთაშორისო ხელშეკრულებებზე აქვს თქვენს ქვეყანას ხელი მოწერილი და რას ეხება ეს ხელშეკრულებები?
- გაარკვიეთ აქვთ თუ არა საერთაშორისო ადამიანის უფლებათა სფეროში მოღვაწე არასამთავრობო ორგანიზაციებს (როგორიცაა საერთაშორისო ამნისტია, ადამიანის უფლებათა ლიგების საერთაშორისო ფედერაცია, ან Human Rights Watch) ახალი ინფორმაცია თქვენი ქვეყნის შესახებ ან რაიმე პრეტენზია თქვენი ქვეყნისადმი
- გაარკვიეთ რას აკეთებს მთავრობა ამასთან დაკავშირებით.
- გაარკვიეთ ადამიანის უფლებათა დარღვევების წინააღმდეგ მებრძოლი რომელი არასამთავრობო ორგანიზაცია არსებობს თქვენს ქვეყანაში

გაარკვიეთ რა ხდება მსოფლიოში

- მოიფიქრეთ ადამიანის უფლებებთან დაკავშირებული რომელი საკითხები გაწუხებთ ყველაზე მეტად და გაარკვიეთ მსოფლიოს რომელ ნაწილშია ეს უფლებები განსაკუთრებული საფრთხის ქვეშ.
- აღნიშნეთ ამ უფლებების დარღვევები მსოფლიოს რუქაზე.
- აიღეთ რომელიმე კონკრეტული ქვეყანა ან რეგიონი (არა თქვენი საკუთარი) და განსაზღვრეთ ამ რეგიონში უფლებების დარღვევის ძირითადი წყაროები.
- გაარკვიეთ, რომელი ორგანიზაციები ზრუნავენ ამ პრობლემების გადაწყვეტაზე და დაუკავშირდით მათ დამატებითი ინფორმაციის მისაღებად.
- გადახედეთ საერთაშორისო არასამთავრობო ორგანიზაციების და სამთავრობათაშორისო ორგანიზაციების (ევროსაბჭო, გაერო, გაეროს განვითარების პროგრამა, გაეროს ლტოლვილთა უმაღლესი კომისარიატი, და ა.შ.) ვებგვერდების პუბლიკაციებს

მოქმედება

მაგალითი: ჩაატარეთ გამოკითხვა თქვენს უბანში.

გამოკითხვა შეიძლება იყოს მნიშვნელოვანი გზა ადგილობრივ საზოგადოებასთან კონტაქტების დასამყარებლად თუ თქვენ მართლა გინდათ ეფექტური ქმედების განხორციელება. შეგიძლიათ დააკვირდეთ როგორ რეაგირებს ხალხი კონკრეტულ საკითხებზე; ეს კი დაგეხმარებათ მიიღოთ გადაწყვეტილება ქმედების განხორციელების გზების შესახებ, რომლებიც განსაკუთრებით საჭირო და პრაქტიკულია თქვენს საზოგადოებაში. ხალხთან საუბარი ასევე კარგი გზაა იმ სამუშაოს საჯაროდ გახდისათვის, რომელსაც თქვენ აკეთებთ, სხვების ინფორმირების და დამატებითი მხარდაჭერის მოპოვებისთვის. ნებისმიერი გამოკითხვა ასევე შეიძლება შერწყმული იყოს უფრო კონკრეტულ ქმედებებთან.

? რამდენად კარგად იცნობთ თქვენი საზოგადოების წევრების აზრს?

ვინ შეიძლება გამოკითხოთ?

გამოკითხვა შეიძლება ჩატარდეს...

- იმ ხალხს შორის, რომელსაც პირადად იცნობთ – თქვენი მეგობრები და ოჯახის წევრები
- თქვენ სკოლაში – მოსწავლეები ან მასწავლებლები (ან ორივე)
- ქუჩაში
- უმცირესობის ჯგუფებში, ან სხვა არაპირივილეგირებულ წრეებში
- სხვა ახალგაზრდულ ჯგუფებში
- ბიზნეს წრეებში
- საფოსტო ყუთებში ანკეტების ჩაგდებით (და დაბრუნდით მოგვიანებით მათ შესაგროვებლად).

რა შეიძლება გამოვიკვლიოთ?

გამოკითხვის ჩასატარებლად შეგიძლიათ აირჩიოთ შემდეგი თემები, მაგ გადახედეთ სავარჯიშოს "მივცეთ თუ არა ხმა" 122 გვ-ზე სპეციფიური გამოკითხვის ჩატარებისათვის საჭირო დეტალების გასაცნობად.

- გაარკვიეთ რა იციან სხვებმა ადამიანის უფლებათა შესახებ:
- იციან მათ საკუთარი უფლებები კანონდამცავი ორგანიზაციების მიერ მათი დაკავების შემთხვევაში?
- იციან მათ ანტი-დისკრიმინაციული კანონმდებლობის
- შესახებ?
- იციან მათ [მაგ.] რაიმე კონკრეტული კანონი,
- რომელიც განიხილება მოცემული მომენტისათვის
- პარლამენტში?
- იციან მათ რა ზომების მიღება შეუძლიათ საკუთარი
- უფლებების დარღვევის შემთხვევაში?
- გაარკვიეთ რა არის მათთვის მნიშვნელოვანი:
- ადამიანთა უფლებების რომელი ასპექტები არის ყველაზე მნიშვნელოვანი მათ ყოველდღიურ ცხოვრებაში?
- მათი აზრით, სად ირღვევა უფლებები ყველაზე სერიოზულად?
- აწუხებთ მათ [მაგ] დარღვევის რომელიმე კონკრეტული საკითხი?
- როდესმე უმოქმედიათ რომელიმე კონკრეტული შემთხვევის საპასუხოდ?
- გაარკვიეთ იქნება თუ არა ხალხი მზად იმოქმედოს, თუკი დაირღვევა მათი რომელიმე ძირითადი უფლება?:
- გააკეთებენ ისინი რამეს ამ საკითხის მიმართ
- თავიანთი უკმაყოფილების გამოსახატავად?
- არიან ისინი მზად ქუჩის აქციებში მონაწილეობის მისაღებად?
- იქნებიან ისინი მზად ხელი მოაწერონ რაიმე პეტიციას?
- იქნებიან ისინი მზად მიწერონ (ხელი მოაწერონ) წერილი მთავრობის პირს?

? რომელი საკითხები გაწუხებთ თქვენ? იქნებოდით თქვენ მზად გაგეკეთებინათ რაიმე ამ პრობლემების გადასაჭრელად?

გახადეთ მოვლენები საჯარო

აქტივიზმის წარმატების საფუძველი არის რაოდენობა. პოლიტიკოსებს მთელ მსოფლიოში უხდებათ რაოდენობის გათვალისწინება, რადგანაც არცერთი ინდივიდი არ არის უფრო ძლიერი, ვიდრე დიდი რაოდენობით მასები. ამდენად, რაც უფრო მეტ ხალხს მიიზიდავთ, მით უფრო მაღალი იქნება წარმატების მიღწევის შანსი.

რეკლამა კარგი რეკლამაა

მაგრამ ადამიანები ძალიან დაკავებულები არიან და ყოველთვის არ აქვთ სურვილი დრო დაუთმონ საქმეს, რომელსაც თითქოს არავითარი კავშირი აქვს უშუალოდ მათ ცხოვრებასთან. ასე რომ შეიძლება პირველ რიგში დაგჭირდეთ მათი ინფორმირება და დაინტერესება; თქვენი ქმედების ორიგინალური და ენერგიული ხასიათი აიძულებს მათ მოგაქციონ ყურადღება. ზოგჯერ იუმორის საშუალებით სცადეთ შეაჩეროთ და მიიქციოთ მათი ყურადღება – და ეცადეთ მათი შოკირებაც კი. თქვენ მთელი ყურადღება უნდა მიიპყროთ!

- გააკეთეთ პლაკატი, ან პლაკატების სერია რათა მიაპყროთ ყურადღება რომელიმე კონკრეტულ საკითხს. მოაწყვეთ გამოფენა და მოიწვიეთ მეგობრები და ოჯახის წევრები მის დასათვალიერებლად
- შექმენით ვებგვერდი ადამიანის უფლებათა სფეროში თქვენი ჯგუფის მუშაობის შესახებ ინფორმაციის გამოსაქვეყნებლად
- დაარსეთ ინტერნეტ–ფორუმი და უთხარით მეგობრებს ამის შესახებ. ეცადეთ ჩართოთ სხვადასხვა ქვეყნების წარმომადგენლები.
- მოამზადეთ ვიდეო ფილმი ან თეატრალური წარმოდგენა ადამიანის უფლებათა თემაზე (იხ. სავარჯიშო "ინსცენირება" 170 გვ-ზე)
- დაწერეთ სიმღერა, მუსიკალური კომპოზიცია, ან სცენარი და შეასრულეთ ის!
- მოაწყვეთ საჯარო დებატები ადამიანის უფლებათა საკითხების გარშემო და მოიწვეთ მეგობრები მასში მონაწილეობის მისაღებად.
- მოამზადეთ საინფორმაციო ბუკლეტი ადამიანის უფლებათა შესახებ; დაარიგეთ ისინი ქუჩებში, ან ჩააგდეთ საფოსტო ყუთებში.
- დაწერეთ სტატია ადგილობრივი (ეროვნული) გაზეთისათვის.
- ჩაერთეთ თავადაც ადამიანის უფლებათა შესახებ განათლების სფეროში. დაუკავშირდით სხვა ახალგაზრდულ ჯგუფებს ან ადგილობრივ სკოლებს და გაარკვიეთ სურთ თუ არა მათ რომ ესაუბაროთ თქვენი საქმიანობის შესახებ.

"ჩემთვის ადამიანის უფლებათა სფეროში განათლება არის როდესაც მე ვმუშაობ ახალგაზრდა გეებთან და ლესბოსელებთან, ვესაუბრები მათ ცხოვრების, მათი გრძნობების და ნორმის საკითხების შესახებ"

მარტინ კრაიჩიკი, მოხალისე ადამიანის უფლებათა სფეროში განათლებასთან დაკავშირებული ფორუმის მონაწილე

მოქმედება

მაგალითი: ეცადეთ დააინტერესოთ პრესა

? იქნება თქვენს მიერ ორგანიზებული მოვლენა საინტერესოა სხვა ადამიანებისთვის? როგორ შეიძლება დაინტერესოთ ისინი ამ ინფორმაციის წაკითხვით?

თუ თქვენ გეგმავთ რაიმე ღონისძიების ჩატარებას ეცადეთ გამოიყენოთ ადგილობრივი პრესა და რადიო და ტელემაუწყებლობა მათი რეკლამირებისათვის. ყოველთვის უმჯობესია დაწეროთ რისი თქმა გინდათ, რადგანაც ამით დაზოგავთ ჟურნალისტის დროს. უფრო დიდი შანსია რომ ჟურნალისტებმა გამოიყენონ თქვენი წერილობითი მასალა თუ მას მაგიდაზე დაუდებთ, ვიდრე მოვიდნენ თქვენთან ინტერვიუს ასაღებად. ეს ასევე უზრუნველყოფს ინფორმაციის სიზუსტეს.

დაიმახსოვრეთ:

- ჩანაწერი უნდა იყოს მოკლე და მარტივი, თავი აარიდეთ ჟარგონებს და აბრევიატურებს.
- დაწერეთ მოკლე, მკაფიო სათაური, რომელიც კარგად ასახავს საკითხის არსს
- პირველმა აბზაცმა უნდა გააცნოს მკითხველს ძირითადი დეტალები: ვინ, რა, როდის, სად და რატომ.

- მეორე აბზაცში უფრო დეტალურად აღწერეთ თქვენი საქმიანობა.
- მესამე აბზაცში შეიძლება მიაწოდოთ ნებისმიერი დამატებითი ინფორმაცია
- არ დაგავიწყდეთ პრეს-რელიზის ბოლოში „დაწვრილებითი ინფორმაციისთვის საკონტაქტო ნომრის“ მითითება
- დაბეჭდეთ ის მხოლოდ ერთ ფურცელზე და სტრიქონებს შორის გამოიყენეთ ორმაგი ინტერვალი.

გააერთიანეთ ძალები სხვა ორგანიზაციასთან

ჩაატარეთ თქვენს ქვეყანაში (ან რეგიონში) მოღვაწე არასამთავრობო ორგანიზაციების გამოკითხვა

- ჩვეულებრივ ამის გარკვევა შეგიძლიათ ადგილობრივ ორგანოებში ან შესაბამის სამინისტროში არა-კომერციული ორგანიზაციების რეგისტრაციის სიის მოპოვების საშუალებით. ასევე სცადეთ ინტერნეტში ან ადგილობრივ ბიბლიოთეკაში ინფორმაციის მოპოვება. თუ იცით ისეთი ორგანიზაცია, რომელიც ამ სფეროში მუშაობს ისინი ყოვლეთვის შეძლებენ დაგაკავშირონ სხვა მსგავს ორგანიზაციებთან.
- არ დაგავიწყდეთ გაარკვიოთ რომელი საერთაშორისო არასამთავრობო ორგანიზაციები მუშაობენ თქვენ ქვეყანაში ან რომელი ინტერესდება თქვენი ქვეყნით.
- გახსოვდეთ, გადახედეთ იმ ორგანიზაციებსაც რომლებიც აუცილებელი არ არის საკუთარ თავს „ადამიანის უფლებათა დამცველებს“ უწოდებდნენ. შეხედეთ ადამიანის უფლებებს ფართო გაგებით და ჩართეთ ჯგუფები, რომლებიც შესაძლოა მუშაობენ ინვალიდების, დაბალშემოსავლიანი ოჯახების, საოჯახო ძალადობის მსხვერპლთა ან ეკოლოგიურ საკითხებზე.

იქნებ მოახერხოთ რომელიმე არასამთავრობო ორგანიზაციის წარმომადგენელთან შეხვედრა და საუბარი მათი საქმიანობის შესახებ, ან მოიწვიეთ ისინი თქვენ ჯგუფთან სასაუბროდ.

- გააკეთეთ თქვენს რეგიონში მომუშავე სხვადასხვა არასამთავრობო ორგანიზაციების ცხრილი: ჩამოწერეთ უფლებები, რომლებზეც ისინი მუშაობენ, რა მეთოდებს იყენებენ, მათი გეოგრაფიული გავრცელების არეალი და თანამშრომლებისა და მოხალისეების რაოდენობა.

ორგანიზაცია	თანამშრომლების (მოხალისეების) რაოდენობა	უფლებების ტიპები	მეთოდები	მართვის სფერო	სამუშაო მოხალისეებისათვის
„Greenia“	5 (6)	ეკოლოგიური	კამპანია, განათლება	ადგილობრივი	მასობრივი პროტესტები
Amnesty International	2 (12)	სამოქალაქო და პოლიტიკური	ლობირება, კამპანია, წერილები	საერთაშორისო	წერილების წერა
“Woman are Right!”	10 (8)	ქალთა უფლებები	განათლება, ლტოლვილი ქალები	ეროვნული	ბუკლეტების გავრცელება

შესთავაზეთ ადგილობრივ ორგანიზაციას მოხალისედ მუშაობა

ბევრ ორგანიზაციას ჰყავს მოხალისეთა გუნდი, და მათ შესაძლოა შემოგთავაზონ საკუთარი გამოცდილება მოხალისედ მუშაობის სანაცვლოდ. ახალგაზრდებს მიეცემათ საშუალება იმუშაონ ამ სფეროს პროფესიონალ აქტივისტებთან და შეიძინონ მათთვის საჭირო სამუშაო გამოცდილება, ისევე როგორც მესამე სექტორის შესახებ უფრო ღრმა წარმოდგენა.

თუმცა უნდა გახსოვდეთ რომ ზოგიერთი ორგანიზაცია ფრთხილობს მოხალისეთა მიღების დროს სულ მცირე დასაწყისში მაინც, მოხალისეების საქმეში გარკვევას შეიძლება დასჭირდეს ორგანიზაციის მუდმივი პერსონალის დროის ნაწილი. ასე რომ, ვიდრე მიმართავდეთ ამ ორგანიზაციებს მოხალისეებმა უნდა იფიქრონ შემდეგი საკითხების შესახებ:

- შეგიძლიათ დაუთმოთ დრო მოხალსედ მუშაობას?
- რამდენად გულმოდგინედ შეგიძლიათ იმუშაოთ? შეგიძლიათ მისცეთ ორგანიზაციას გარანტია, რომ თქვენ საიმედო მოხალისე იქნებით?
- რა პროფესიული უნარ-ჩვევები გაგაჩნიათ? რის შეთავაზებას შეძლებთ ორგანიზაციისთვის?
- რა საქმიანობას ეწევა ორგანიზაცია? დაინტერესებული ხართ ამ საკითხებით?
- რისი მიღწევა გსურთ ამით? გიმსჯელიათ ორგანიზაციასთან ამის შესახებ?

შეუერთდით ადამიანის უფლებათა სფეროში მოღვაწე ადგილობრივ ჯგუფს ან დაარსეთ საკუთარი.

„ამნისტია შთააგონებს ჩვენს მუსიკას.. მუსიკა შორს იჭრება და ადამიანებამდე აღწევს, ჩვენი იდეა კი ნათელია : თქვენ შეგიძლიათ დაწეროთ წერილი ან ღია ბარათი გაგზავნოთ. და რაც უფრო მეტს გასცემთ მით მეტად აგინაზღაურდებათ"

bono, U2 ჯგუფის მუსიკოსი

საერთაშორისო ამნისტია არის საწევრო ორგანიზაცია, რომელიც მუდმივ თანამშრომლებთან ერთად ეყრდნობა ათასობით მოხალისის მუშაობას მთელ მსოფლიოში. თქვენი ჯგუფის წევრები შეიძლება დაინტერესდნენ მასში გაწევრიანებით ან გადაწყვიტონ საკუთარი საინიციატივო ჯგუფის დაარსება. თქვენ მიიღებთ გარკვეულ მასალას და მხარდაჭერას ორგანიზაციისგან და სანაცვლოდ თქვენგან მოითხოვენ კამპანიაში და აქციების ლობირებაში დახმარებას.

დამატებითი ინფორმაციის მისაღებად დაუკავშირდით თქვენ ქვეყაანში არსებულ საერთაშორისო ამნისტიის განყოფილებას თუ ასეთი არსებობს. ან დაუკავშირდით საერთაშორისო სამდივნოს ლონდონში, ესტონის ქუჩა, WCIX, დიდი ბრიტანეთი ან ესტუმრეთ მათ ვებგვერდს: www.amnesty.org

ადამიანის უფლებათა ლიგების საერთაშორისო ფედერაცია იყო პირველი ადამიანის უფლებათა სფეროში მოღვაწე ორგანიზაცია, რომელიც შეიქმნა (1922 წ) და მისი მიზანია ადამიანის უფლებათა საყოველთაო დეკლარაციაში და სხვა საერთაშორისო დოკუმენტებში განსაზღვრული უფლებების დაცვა. 86 ქვეყნის 105-ზე მეტი ორგანიზაცია ძირითადად წარმოადგენს გამოცდილებისა და სოლიდარობის ქსელს, რომელიც აფიქსირებს ბევრ ქვეყანაში არსებულ დარღვევებს და რომელიც აბსოლუტურ ნდობას იმსახურებს.

შეიძლება თქვენ დაიწყოთ გარკვევით არის თუ არა ადამიანის უფლებათა ლიგების საერთაშორისო ფედერაციაში გაწევრიანებული ადამიანის უფლებათა დაცვის საზოგადოება თქვენს ქვეყანაში და სთხოვოთ მათ მასალების ან გარკვეული მოსაზრებების მოწოდება თქვენი ქვეყნის შესახებ. www.fidh.org ვებგვერდზე შეგიძლიათ იპოვოთ ეროვნული საზოგადოებების მისამართები და გადახედოთ გამოქვეყნებულ მოხსენებებს.

მოიპოვეთ დაფინანსება ერთ-ერთი არასამთავრობო ორგანიზაციისათვის

ერთ-ერთი გზა ადამიანის უფლებათა დამცავი ორგანიზაციის დახმარებისა – რომელზეც ისინი ალბათ უარს არ იტყვიან – არის მათი საქმიანობისთვის ფულის შეგროვება. რაიმე საქველმოქმედო ღონისძიების ჩატარებამდე აუცილებლად უნდა დაუკავშირდეთ არასამთავრობო ორგანიზაციას და აცნობოთ თქვენი გადაწყვეტილების შესახებ და როგორ პირებთ ამის გაკეთებას. სთხოვეთ მათ რჩევა. ზოგიერთ ორგანიზაციას მკაცრი წესები აქვს დაფინანსების მოპოვებსთან დაკავშირებით და შესაძლოა არ მიიღონ რომელიმე კონკრეტული გზით შეგროვებული ფული.

იფიქრეთ თქვენი ჯგუფის შესაძლებლობებზე და თქვენი საზოგადოების ფარგლებში ფულის შეგროვების ყველაზე ეფექტურ გზებზე. იფიქრეთ არსებულ შესაძლებლობებზე და იმსჯელეთ ჯგუფის წევრებთან ერთად რისი გაკეთება გაახარებდათ მათ ყველაზე მეტად.

? შეძლებდით ამ მეთოდების გამოყენებას თქვენი ჯგუფის საქმიანობისთვის ფულის შესაგროვებლად?

- დასპონსორებული ღონისძიების ჩატარება (სირბილი, ცურვა, და ა.შ.)
- თქვენი საკუთარი პროდუქციის დამზადება და გაყიდვა (მაგ. სუვენირები)
- დისკოთეკის ან სხვა კულტურული ღონისძიების ორგანიზება, რომელზე დასასწრებადაც გაიყიდება ბილეთები
- საქველმოქმედო ბაზარი, მეორადი მოხმარების ნივთების გაყიდვა, ბაზრობა და ა.შ.
- კერძო პირებისათვის მიმართვა ქველმოქმედების გაწევის მიზნით
- ლატარიის მოწყობა
- შესთავაზეთ საქველმოქმედო ორგანიზაციას დახმარება, მათ მიერ სახსრების შეგროვების მიზნით ორგანიზებულ რომელიმე ღონისძიებაში

შედეგების მიღება!

ეს ნაწილი განიხილავს ისეთ ქმედებათა მთელ რიგს, რომლებსაც სპეციფიკური მიზანი აქვთ და რომლებსაც ზოგადად სწრაფი შედეგები მოაქვთ. ისინი ძირითადად "ერთჯერადი" აქციებია და ამიტომაც დაგჭირდებათ განსაკუთრებით ყურადღებით იყოთ ჯგუფთან ერთად მათი დაგეგმვის დროს. აქცია, რომელიც არ აღწევს სასურველ სპეციფიკურ შედეგებს შეიძლება იყოს ძალიან დამთრგუნველი. ამიტომაც დარწმუნებული უნდა იყოთ რომ ყოველი ნაბიჯი წინასწარ გათვლილი და მოფიქრებულია. გადახედეთ ნაწილს "ორგანიზება" რაც დაგეხმარებათ მოქმედების გეგმის შედგენაში.

თქვენი მცდელობების შერწყმა რეკლამირების გარკვეულ ფორმებთან გაზრდის შედეგებს.

მაგალითები:

- მოაწყვეთ ქუჩის აქცია – რათა ყურადღება მიაპყროთ ადამიანის უფლებათა საკითხებს. ხალხს შეიძლება აწუხებდეს რომელიმე ახალი კანონის მიღების საკითხი: ქარხნის აშენების გეგმა კონსერვაციის ზონაში, ცნობილი კომპანიის მიერ წარმოებული არაეთიკური ბიზნეს საქმიანობა, უმცირესობათა უფლებების გარკვეული დარღვევები, ადგილობრივი საბჭოს გადაწყვეტილება დახურონ საზოგადოებრივი დაწესებულებები და ა.შ. იფიქრეთ რა გზით შეგიძლიათ თქვენი იდეების გავრცელება და ვინ იქნება თქვენი აუდიტორია.

"ნუ დაელოდებით ლიდერთა მითითებებს, იმოქმედეთ დამოუკიდებლად, იმოძრავეთ ერთი ადამიანიდან მიერისაკენ."

დედა ტერეზა

- მოაწყვეთ "საჯარო მოსმენა". ცვლილების განხორციელების ერთ-ერთი გზა არის დარწმუნდეთ, რომ ადამიანები გისმენენ რას ამობობთ თქვენ. მოსმენაზე გავლენიანი ადგილობრივი პირები როგორიცაა საბჭოს წევრები, ბიზნესმენები, სკოლის ადმინისტრაცია, და საზოგადოებრივი ლიდერები სხედან კომისიაში და პასუხობენ ახალგაზრდების კომისიის შეკითხვებს. მოიფიქრეთ ვისი მოწვევა გინდათ უფროსების კომისიაში შესაყვანად და გაუგზავნეთ მათ შესაბამისი მოწვევა. იმსჯელეთ ვინ გინდათ იყოს ახალგაზრდების კომისიაში და მოიფიქრეთ შეკითხვების სია, რომლის დასმაც გინდათ მათთვის.
- გაუმჯობესეთ ადგილობრივი გარემო. იფიქრეთ რა სახის გარემო გჭირდებათ და იმსჯელეთ რა გზით შეგიძლიათ შეიტანოთ ამაში თქვენი წვლილი. დასაწყისისათვის დაასუფთავეთ ტერიტორია, დარგეთ ხეები და ყვავილები, გაწმინდეთ არხები და ტბები, ამით თქვენ შეგიძლიათ მიაღწიოთ სასურველ შედეგს მინიმალური რესურსების ფასად. მაგრამ შეიძლება გქონდეთ უფრო მასშტაბური გეგმაც: იფიქრეთ თქვენ პროექტში საზოგადოების სხვა წევრების ჩართვაზე ან თქვენი წინადადებების ადგილობრივ საბჭოში წარდგენაზე.
- შესთავაზეთ დახმარება გაჭირვებული მოსახლეობის ჯგუფებს ან წევრებს – ეს შეიძლება იყოს მოხუცებულთა, ინვალიდების, დაბალშემოსავლიანი ოჯახების, უმცირესობების და ა.შ. დახმარება. შეიძლება მოისურვოთ ფულის შეგროვება რაიმე სპეციფიკური მიზნით მაგ. მათთვის ტანსაცმლით ან საკვებით დახმარება; დახმარება მათი პრობლემების მიმართ ყურადღების მიპყრობაში; მთავრობის მხრიდან მათი ინტერესების ლობირებაში დახმარება, ან უბრალოდ მათთვის კომპანიისა და მორალური მხარდაჭერის შეთავაზება.
- მიწერეთ წერილი სამთავრობო ოფიციალურ პირებს, თქვენი უბნის დეპუტატს, სახელმწიფოს მეთაურს, ბიზნეს წრეებს, პრესას, ან სხვა დაინტერესებულ მხარეებს, სადაც დააფიქსირებთ თქვენ პოზიციას ადამიანის უფლებათა საკითხების შესახებ. ეს არის საერთაშორისო ამნისტიის ყველაზე პრიორიტეტული საკამპანიო მეთოდი და ეფექტური გზა გააგებინოთ ამ საკითხზე პასუხისმგებელ პირებს, რომ საზოგადოება შეშფოთებულია ამ საკითხის გამო.
- დარწმუნდით, რომ პიროვნებისათვის სათანადო მიმართვის ფორმა გაქვთ შერჩეული
- დაიწყეთ საკითხის ძირითადი არსით განცხადებით
- განმარტეთ, ვინ ხართ და ვის წარმოადგენთ
- მიუთითეთ რატომ არის თქვენი ადრესატი პასუხისმგებელი ამ საკითხზე.
- მოიყვანეთ მაქსიმუმ 3 პუნქტი, და გაამყარეთ თითოეული მათგანი მკაფიო არგუმენტებით.
- გაიმეორეთ საკითხის ძირითადი არსი წერილის ბოლოს.
- მიუთითეთ, რა ქმედება გინდათ განახორციელოს თქვენმა ადრესატმა.

moqmedebis gegmis Sedgena

ზოგადად კარგი აქტივობა მოითხოვს კარგ დაგეგმვას. ეს არ ნიშნავს, რომ თქვენ უნდა დაიწყოთ ზოგადი გეგმის შედგენით – თუ რა თქმა უნდა ნათელი წარმოდგენა გაქვთ თქვენი მიზნების შესახებ, შეგიძლიათ სცადოთ ამ თავის ნებისმიერი წინადადების გამოყენება შედარებით ნაკლები მომზადების ფონზე. თუმცა ჯგუფთან ერთად დაგეგმვაზე მუშაობა დაგეხმარებათ ზუსტად განსაზღვროთ

"ბედნიერება დამოკიდებულია თავისუფლებაზე და თავისუფლება დამოკიდებულია სიმამაცეზე"

თუკიდიდე

"ჩი ვენ ცი ყოველთვის სამჯერ ზომავდა სანამ გაჭრიდა. ორიც საკმარისი იქნებოდა".

კონფუცი

თუ რა გინდათ გააკეთოთ და რისი შესაძლებლობა გაქვთ და არ არის საუკეთესო გზა შედეგების მიღწევისათვის. თუკი უფრო მასშტაბური მიზნები გაქვთ უმჯობესი იქნება დაიწყოთ სწორედ დაგეგმვით, რადგანაც ქმედება რომელიც არ აღწევს სასურველ შედეგებს შეიძლება დამთრგუნველი იყოს მონაწილეებისათვის. თქვენი პირველივე აქცია აუცილებლად წარმატებული უნდა იყოს.

ეცადეთ თქვენ ჯგუფთან ერთად იმუშაოთ ქვემოთ ჩამოთვლილ 4 ეტაპად:

1. შეაფასეთ თქვენი სიტუაცია, თქვენი ძლიერი და სუსტი მხარეები, შჭ თ-ის ანალიტიკური მეთოდის გამოყენებით.
2. გადაწყვიტეთ რა პრობლემას გინდათ შეეხოთ და რა შედეგები გინდათ მიიღოთ.
3. იფიქრეთ რა არის საუკეთესო გზა ამ შედეგების მისაღწევად თქვენი ჯგუფის რესურსების გათვალისწინებით.
4. იმოქმედეთ!

"ჭეშმარიტი ცოდნა არის ვიცოდეთ ჩვენი უცოდინრობის ზღვარი"

კონფუცი

სად დგახართ?

SWOT ანალიზი არის თქვენი ჯგუფის დახასიათების და ჯგუფის გარეთ არსებული გარკვეული გარემოებების შეფასების ეფექტური გზა, რამაც შეიძლება გავლენა მოახდონოს თქვენ შესაძლებლობებზე.

SWOT-is analizi (magaliTi)

რა არის თქვენი ჯგუფის ძლიერი მხარეები?

- ის მრავალრიცხოვანია!
- დრო ჩვენს განკარგულებაშია – და ჩვენ გვინდა გავაკეთოთ რაიმე
- მიშას მამა პოლიტიკოსია
- ჩვენ გვაქვს შეხვედრის ადგილი ქალაქის ცენტრში
- გაბრიელას კარგი ორატორული ნიჭი აქვს
- ბოიკას კომპიუტერი აქვს

რა არის ჯგუფის სუსტი მხარეები?

- ძალიან ბევრი ლიდერები!
- ფული არ გვაქვს
- ძალიან ცოტა გოგონები
- მსგავსი არაფერი გაგვიკეთებია წარსულში
- ზოგიერთი ჩვენგანი ცენტრიდან ძალიან შორს ცხოვრობს
- ჩვენ ყოველთვის არ გამოგვდის კარგი ჯგუფური მუშაობა

რა შესაძლებლობები არსებობს ჯგუფის გარეთ?

- ახალ ამბები ბევრ ინფორმაციას გადმოსცემს ადამიანის უფლებების შესახებ
- არჩევნები ახლოვდება
- გარკვეული გრანტებია გამოყოფილი ლტოლვილების პროექტების დასაფინანსებლად
- მეზობელ ქალაქში არსებობს საერთაშორისო ამნისტიის ჯგუფი
- ჩვენ გვაქვს ქალაქის საბჭოს ახალი დარბაზი, რომელიც კარგი იქნებოდა თეატრალური ღონისძიების მოსაწყობად.

რა გარეშე საფრთხეები არსებობს ჩვენი აქტივისტე-ბისათვის?

- ეკონომიკური სიტუაცია არამყარია
- ზოგიერთ ჩვენგანს გამოცდა აქვს ჩასაბარებელი
- ქალაქის საბჭო იმუქრება, რომ აკრძალავს საზოგადოებრივ მიტინგებს.
- ლტოლვილების მიერ ადგილობრივი სამუშაოების დაკავების გამო არსებობს ცუდი განწყობა
- ძალიან ცივა იმისათვის რომ გარეთ რაიმე ღონისძიება ჩატარდეს

აბრევიატურა SWOT ნიშნავს:

ძალა (Strengths): რისი გაკეთება შეუძლია თქვენ ჯგუფს კარგად

სისუსტე (Weakneses): რისი გაკეთებაც თქვენ ჯგუფს არც ისე კარგად შეუძლია

შესაძლებლობები (Opportunities): შესაძლებლობები ჯგუფის გარეთ, რომლის გამოყენებაც თქვენ სასარგებლოდ შეგიძლიათ

საფრთხე (Threats): ჯგუფის გარეთ არსებული ფაქტორები, რომლებსაც შეუძლიათ ხელი შეგიშალონ თქვენ საქმიანობაში.

დაყავით ჯგუფი 4 მცირე სამუშაო ჯგუფად და დაანაწილეთ მათ შორის ძლიერი და სუსტი მხარეების, შესაძლებლობებისა და საფრთხის სიების შედგენა. შემდეგ კვლავ შეკრიბეთ მთელი ჯგუფი და ნახეთ ეთანხმება თუ არა ჯგუფი მათი კოლეგების მიერ გაკეთებულ ანალიზს.

ზემოთ მოყვანილი დიაგრამა არის დასრულებული ანალიზის ერთი მაგალითი და შეიძლება სასარგებლო აღმოჩნდეს თქვენთვის ახალი იდეების წამოჭრის თვალსაზრისით. მაგრამ ძალიან ნუ მიეჯაჭვებით მას. თქვენი ჯგუფი უნიკალურია და თქვენ სხვა ძლიერი (სუსტი) მხარეები გექნებათ, რომლის გარკვევაც თქვენ თავად უნდა შეძლოთ.

რაში მდგომარეობს მიზანი?

რა საკითხების განხილვა გსურთ? არის რაიმე მკაფიო უსამართლობის კონკრეტული შემთხვევები, რომელსაც გინდათ დაუპირისპირდეთ თუ ეს იქნება ზოგადი ხასიათის პროტესტი ადამიანის უფლებათა დარღვევების წინააღმდეგ?

დასაფიქრებელი საკითხები

თუ ჯგუფს უკვე ნამუშევარი აქვს ამ სახელმძღვანელოს ზოგიერთ სავარჯიშოზე მათ შეიძლება უკვე ჩამოყალიბებული ჰქონდეთ მთელი რიგი იდეები. თუ თქვენ მხოლოდ ახლა იწყებთ მუშაობას შეიძლება უკარნახოთ მათ ზოგიერთი ქვემოთ მოყვანილი (ან თქვენი საკუთარი) მოსაზრება. ეცადეთ მისცეთ მათ გარკვეული ინფორმაცია თითოეული ამ საკითხის გარშემო და შემდეგ სთხოვეთ დამოუკიდებლად გააგრძელონ კვლევა მომავალ შეხვედრამდე, რომელზეც უნდა მიიღოთ გადაწყვეტილებები პრიორიტეტების შესახებ.

პრობლემების სიის ნიმუში:

- სიკვდილით დასჯა ჩემს ქვეყანაში
- შიდსი აფრიკის კონტინენტზე
- ძველი ბირთვული ელექტროსადგური
- ლტოლვილების მიმართ უარყოფითი დამოკიდებულება
- ბავშვების სამუშაო ძალად გამოყენება
- პრესის თავისუფლება სხვა ქვეყანაში/ ჩემს ქვეყანაში
- უმცირესობათა მშობლიურ ენაზე განათლების მიღების უფლება
- საოჯახო ძალადობა

? თქვენ საზოგადოებაში რომელი ჯგუფები ზარალდება ყველაზე მეტად უფლებების დარღვევით?

თუ ჯგუფი მზადაა და თქვენ უკვე დეტალურად გაიარეთ ზოგიერთი საკითხები შეგიძლიათ დაიწყოთ პრობლემების სიის შედგენა: რომელი საკითხები აწუხებთ მონაწილეებს ყველაზე მეტად?

სცადეთ დაიყვანოთ სია 3-4 საკითხამდე – რომლებიც შესაძლოა ყველაზე მწვავედ აღიქმება და რეალისტურია ჯგუფის მიერ გადაჭრის თვალსაზრისით. თქვენ უნდა იმსჯელოთ სხვადასხვა არჩევანის შესახებ, მაგრამ იმ შემთხვევაში თუ ჯგუფს გაუჭირდება შეთანხმების მიღწევა გააკეთეთ საბოლოო არჩევანი კენჭისყრის გზით. მიეცით 3 ხმა თითოეულ ჯგუფს, რომელიც შეუძლიათ გამოიყენონ თავიანთი სურვილისამებრ: ე.ი. შეუძლიათ მისცენ ხმა 1 საკითხს 3-

"რა შესანიშნავია, რომ არავინ არის იძულებული დაყოვნდეს თუნდაც ერთი წამი, სანამ მსოფლიოს გაუმჯობესებას დაიწყებდეს"

ანა ფრანკი

"ჭკვიანი კაცი არის არა ის, ვინც იძლევა სწორ პასუხებს, არამედ ის, ვინც სწორად სვამს შეკითხვებს".

კლოდ ლევი-სტროსი

"ხეებს და ქვებს შეუძლიათ გასწავლონ ის რასაც ვერასოდეს ისწავლით ოსტატებისგან"

წმ. ბერნარდ კლერვოსელი (1100 ს)

ჯერ; ან მისცენ თითო ხმა სამ საკითხს, ან 2 საკითხს. შემდეგ დაამატეთ სიას ის საკითხი, რომელმაც ყველაზე მეტი ხმა მიიღო.

თქვენი მიზნების დაზუსტება

შეიძლება სასარგებლო იყოს იმ "პრობლემის ხის" შექმნა, რომელთა განხილვაც თქვენ გადაწყვიტეთ. ამან შეიძლება ხელი შეუწყოს ყურადღების კონცენტრირებას თქვენი პრობლემის ძირეულ მიზეზებზე და დაგეხმარებათ გაიგოთ სპეციფიკური პრომბლემის შეამადგენელი ყველა კომპონენტი. შემდეგ შეიძლება გადაწყვიტოთ რომ უფრო ეფექტური იქნება გადახედოთ ერთ-ერთ "ძირეულ" პრობლემას, და არა ყველა მათგანს.

- დაიწყეთ დიდი ზომის ფურცელზე იმ პრობლემის ჩაწერით, რომლის გადაწყვეტაც გინდათ
- მის ქვემოთ ჩამოწერეთ ყველა ფაქტორები, რომლებიც ზეგავლენას ახდენენ ამ პრობლემაზე და დააკავშირეთ ისინი ისე რომ შეიქმნას თქვენი საწყისი პრობლემის ფესვები.
- აიღეთ თითო ფესვი ერთ ჯერზე, იფიქრეთ მის მიზეზებზე და ჩამოწერეთ ის ფაქტორები, რომლებიც ზეგავლენას ახდენენ ამ პრობლემაზე.
- ასე გააგრძელეთ თითოეული ფესვის ანალიზი, სანამ ზღვარს არ მიაღწევთ: ხეს შეიძლება უფრო ღრმად ჰქონდეს ფესვები გადგმული ვიდრე თქვენ ფიქრობთ.
- ასევე შეიძლება მოისურვოთ ხის "ტოტების" განვრცობა იგივე სტილში: ეს იქნება თქვენი საწყისი პრობლემის სიმპტომები. შეიძლება აღმოაჩინოთ, რომ ის რაც თქვენი მთავარი საფიქრალი იყო დასაწყისში ფაქტობრივად არის სხვა ხის ფესვი ან ტოტი.
- როდესაც დაასრულებთ კარგად დააკვირდით თქვენ ხეს. უნდა დაიწყოთ პირველ რიგში იმ პრობლემასთან ბრძოლა, რომელიც თავიდანვე განსაზღვრეთ თუ რომელიმე მასზე მოქმედ ფაქტორთან? დაგეხმარათ ეს ხე პრობლემის გადაჭრის გზების მოფიქრებაში?

როგორ მივაღწიოთ მიზანს?

სტრატეგიის აგება

მას შემდეგ რაც გამოიკვეთება თქვენი ჯგუფის შესაძლებლობების ნათელი სურათი და განსაზღვრავთ პრობლემის სფეროს, რომლის წინააღმდეგაც აპირებთ ბრძოლას მზად იქნებით გადახვიდეთ შემდეგ ეტაპზე და მოიფიქროთ რა არის საუკეთესო საშუალება თქვენი პრობლემის მოსაგვარებლად.

თქვენ უნდა იფიქროთ:

1. სპეციფიკურ პრობლემაზე, რომელსაც გინდათ შეეხოთ: *რა იყო „პრობლემის ხის" სავარჯიშოს შედეგი?*
2. შერჩეული აუდიტორიის საშუალებით *ვისზე აპირებთ გავლენის მოხდენას?*
3. რა ცვლილებების შეტანას ისურვებდით თქვენი მიზნობრივი ჯგუფის შიგნით: *მოიფიქრეთ რა გინდათ რომ მათ გააკეთონ ან იფიქრონ თქვენი ქმედების შედეგად?*
4. როგორ შეიძლება განხორციელდეს ეს ცვლილებები: *იფიქრეთ რამ შეიძლება მოახდინოს გავლენა თქვენს მიზნობრივ ჯგუფზე*
5. რა მეთოდების გამოყენება შეიძლება ამ ცვლილებების გატარების მიზნით: *იფიქრეთ I ნაწილში აღწერილ ქმედების სხვადასხვა ფორმაზე და*

"მიზანი ყოველთვის არ არის დასახული იმისათვის რომ მიღწეულ იქნას არამედ იმისათვის რომ არსებობდეს სამიზნე წერტილი"

ჟოზეფ ჟუბერი

დაუმატეთ მას თქვენი საკუთარი მეთოდები. რომელია ყველაზე მისაღები მეთოდი კონკრეტულ გარემოებებში გამოყენებისათვის?

იმუშავეთ 3.517 გვერდზე მოცემული გეგმის სხვადასხვა ეტაპებზე (დიაგრამა 2) და განიხილეთ ყოველი ეტაპი ჯგუფში. საჭიროა ჯგუფში არსებობდეს შეთანხმება თქვენი გეგმის თითოეულ კომპონენტზე: თუ ზოგიერთი წევრი უკმაყოფილო დარჩება, თქვენ შესაძლოა დაკარგოთ ჯგუფის ზოგიერთი მნიშვნელოვანი რესურსი.

ორგანიზება

ბოლოს, ვიდრე პრაქტიკული საქმე დაიწყება თქვენ დაგჭირდებათ სამოქმედო გეგმის შედგენა ორგანიზაციული საკითხების გადასაწყვეტად. თუ ამას ვერ შეძლებთ შეიძლება აღმოაჩინოთ, რომ ზოგიერთი მნიშვნელოვანი ამოცანა გადაუჭრელი დარჩა და ამას შეიძლება სერიოზული გავლენა ჰქონდეს იმ მიზანზე, რომელზეც ასე მონდომებით მუშაობდით.

თქვენ უნდა გადაწყვიტოთ:

- რა ამოცანები უნდა შესრულდეს?
- ვინ უნდა აიღოს სხვადასხვა ამოცანების შესრულება საკუთარ თავზე?
- როდის უნდა შესრულდეს ისინი?

1. ყველაფერი უნდა ჩამოწეროთ, რათა გქონდეთ შესაძლებლობა შეამოწმოთ თუ როგორ სრულდება თქვენი გეგმა. დაგჭირდებათ 2 დიდი ზომის ფურცელი და მარკერი.
2. დარწმუნდით, რომ ყველას ესმის იმ საკითხის არსი, რომელზეც აპირებთ მსჯელობას. აირჩიეთ ერთი პიროვნება, რათა აწარმოოს ჩანაწერები. დაწერეთ სათაური ფურცლის თავში. მოიფიქრეთ ყველა სამუშაოს სია, რომელიც უნდა შესრულდეს და დაწერეთ ის დიდი ზომის ფურცელზე რათა ყველამ შეძლოს მისი დანახვა.
3. თუ თქვენ აკეთებთ ღინისძიების ორგანიზებას კარგად მოიფიქრეთ ის, წარმოიდგინეთ რა შეიძლება მოხდეს იმ დღეს და გადაამოწმეთ, გაქვთ თუ არა ყველაფერი გათვალისწინებული.
4. ახლა გადახედეთ სიას და გადაწვიტეთ: რა უნდა გაკეთდეს დაუყონებლივ, რა უახლოეს მომავალში და რა მოგვიანებით. აღნიშნეთ ეს ყოველი პუნქტის გასწვრივ და მიუწერეთ მათ დ (დაუყონებლივ), უ (უახლოეს მომავალში), ან მ (მოგვიანებით).
5. გამოიყენეთ მეორე ფურცელი "გადაწყვეტილების ფურცლად". ჩამოთვალეთ ყველა შესასრულებელი ამოცანა თანმიმდევრულად მარცხენა მხარეს და შემდეგ სვეტში მიაწერეთ ვინ აპირებს თითოეული მათგანის შესრულებას. დაბოლოს, მესამე სვეტში მიაწერეთ სამუშაოს შესრულების საბოლოო ვადები.
6. გაანაწილეთ სამუშაო: არ დაუტოვოთ ყველაფერი გასაკეთებლად 1 ან 2 ადამიანს. იფიქრეთ რა შეიძლება მოხდეს ისინი რომ ავად გახდნენ ან სხვა საქმით გადაიტვირთონ!

ქვემოთ მოყვანილია მაგალითი როგორი შეიძლება იყოს გადაწყვეტილებების ფურცელი.

გადაწყვეტილებების ფურცელი

მოვლენა: ქუჩის აქცია უმცირესობათა უფლებებთან დაკავშირებით		
ამოცანა	**შემსრულებელი**	**შესრულების ვადა**
გააკეთეთ ბუკლეტები დასარიგებლად	სალი, ჯონი, ნატალი, ბენი	სხდომა 10 და 17 სექტემბერი
დააბეჭდინეთ ისინი	რუმენი, ბენი	20 სექტემბრის შემდეგ
გააკეთეთ ბანერები/პლაკატები, ლოზუნგები	ყველა	ერთი კვირა დაწყებული 24 სექტემბრიდან
იყიდეთ მასალა ბანერებისათვის და ა.შ.	შილა, კარენი, ივანი	ერთი კვირა დაწყებული 17 სექტემბრიდან
დააინტერესეთ სხვა ხალხიც	შიალ, მოკა, ტანია	ერთი კვირა დაწყებული 17 სექტემბრიდან
დაუკავშირდით ადგილობრივ საბჭოს	დამიენი, სიუ	ვადა მოგვიანებით დაზუსტდება
გააფრთხილეთ პოლიცია	დამიენი, სიუ	
ეცადეთ დაესწროს ადგილობრივი გავლენიანი პირები		
მიაწოდეთ ინფორმაცია უმცირესობათა ჯგუფებს		
დაეწრეთ გამოსვლის ტექსტი		
გაუკეთეთ ორგანიზება მცირე შესვენებებს ბუტერბროდებით და გამაგრილებელი სასმელებით		
დაასუფთავეთ ქუჩა აქციის შემდეგ		

diagrama 2

პროგრამის დაგეგმვა

რომელ პრობლემას გსურთ შეეხოთ?

- ადამიანები არ მოითხოვენ თავიანთი უფლებების დაცვას
- ის რომ წამება არსებობს
- ის რომ X არის სინდისის პატიმარი ....ში
- ის რომ არაკანონიერად აქვს ძალაუფლება მოპოვებული
- ის რომ ეთნიკური უმცირესობა განიცდის დისკრიმინაციას
- რომ მთავრობა ვაჭრობს მასობრივი განადგურების იარაღით

ვინ არის თქვენი აუდიტორია?

- ახალგაზრდები
- ჩვენი ადგილობრივი საზოგადოების რეზიდენტები
- დედები
- პოლიტიკოსები
- ბიზნეს წრეები
- საერთაშორისო საზოგადოებრიობა

რა ცვლილებებია მოსალოდნელი თქვენი აზრით?

- აზროვნების შეცვლა მიზნობრივ ჯგუფში,
- საზოგადოებრივი აზრის შეცვლა
- ახლადშეძენილი უნარ-ჩვევები
- სხვა მონაწილეების უფრო აქტიური ჩართვა
- გაშუქება პრესით
- ახალი კანონმდებლობა
- ომბუცმენის ინსტიტუტი
- ბრძოლა უსამართლობასთან
- დებატები საკითხის გარშემო

როგორ შეიძლება განხორციელდეს ცვლილება?

- არგუმენტი/გადარწმუნება
- ქმედებისაკენ მოწოდება შოკირების ან შეშინების საშუალებით
- სამართლებრივი არხებით
- არჩევნები/რეფერენდუმი
- ინფორმირებულობის გაზრდით
- საკუთარი უფლებების გააზრება მიზნობრივი ჯგუფების მიერ
- ინფორმაცია კონკრეტული შემთხვევის შესახებ
- საზოგადოებრივი ზეწოლა, ლობირება, საერთაშორისო ზეწოლა

რომელ საშუალებებს გამოიყენებთ აუდიტორიაზე ზეგავლენის მოსახდენად?

- მესიჯი პრესას
- ინტერნეტში
- კამპანია, საზოგადოებრივი ღონისძიებები
- საფოსტსო წერილები, ბუკლეტები, პლაკატები
- სარეკლამო განცხადებები ან საინფორმაციო კლიპები
- სტატიები, სტატისტიკური მონაცემები
- ქუჩის დემონსტრაციები
- ტრეინინგ კურსები, სადებატო პროგრამა, სემინარები
- წერილები მთავრობას

Tavi 4

damatebiTi informacia
adamianis uflebebis Sesaxeb

4 Tavis Sinaarsi

ადამიანის უფლებათა არსი *363*
ისტორიული მიმოხილვა *365*
ადამიანის უფლებები მსოფლიოს სხვადასხვა კუთხეში *368*
როგორ ვისარგებლოთ ჩვენი უფლებებით? *369*
დილემები და ადამიანის უფლებების არასწორი გამოყენება *371*
კვლავ გამოცანები *372*
ადამიანის უფლებათა ევოლუცია *374*
რა უფლებებს ვფლობთ? *374*
ადამიანის უფლებათა სამართლებრივი დაცვა *381*
ძირითადი საერთაშორისო დოკუმენტები *382*
ადამიანის უფლებათა დაცვის უზრუნველყოფა *386*
საკამარისია თუ არა ეს? *391*
აქტიურობა და არასამთავრობო ორგანიზაციების როლი *392*
წარმატებულ აქციათა მაგალითები *395*
კითხვები და პასუხები *399*
შეკითხვები *401*

adamianis uflebaTa arsi

ra aris adamianis uflebebi

გამოცანა

ადამიანის უფლებები ჯავშანივითაა: ის გიცავთ თქვენ; ისინი წესებივით მოქმედებს რადგანაც ის გეუბნებათ თქვენ როგორ მოიქცეთ; და ისინი მოსამართლეებივით არიან რადგანაც შეგიძლიათ მიმართოთ მათ. ისინი აბსტრაქტულია – ემოციების მსგავსად; და ემოციების მსგავსად ისინი ეკუთვნის ყველას და არსებობენ ყველაფრის მიუხედავად.

ისინი ბუნებას ჰგავს, რადგანაც შეიძლება ხელყოფილ იქნას; და ისინი ჰგავს სულს რადგანაც ისინი არ შეიძლება განადგურდეს. დროის მსგავსად, ისინი ჩვენ ყველას ერთნაირად გვეხება – მდიდრებს და ღარიბებს, მოხუცებს და ახალგაზრდებს, მაღლებს და დაბლებს. ისინი პატივს გვცემენ ჩვენ და გვავალებენ პატივისცემით მოვეკიდოთ სხვებს. სიკეთის, ჭეშმარიტებისა და სამართლიანობის მსგავსად ჩვენ ვერ ვთანხმდებით მის განსაზღვრებაზე მაგრამ ჩვენ ვაღიარებთ მას როდესაც ვხედავთ.

? შეგიძლიათ განმარტოთ რას ნიშნავს ადამიანის უფლებები?

საიდან იღებს სათავეს ადამიანის უფლებები?

„ადამიანის უფლებები არის ის, რასაც ვერავინ წაგართმევს“

რენე კასენი

უფლება არის მოთხოვნა, რომელსაც ჩვენ სამართლიანად ვაცხადებთ. მე მაქვს უფლება ჩემს სავაჭრო კალათში ჩაწყობილ პროდუქტზე თუ გადახდილი მაქვს ამისთვის. მოქალაქეებს აქვთ უფლება აირჩიონ პრეზიდენტი, თუ მათი ქვეყნის კონსტიტუცია არის ამის გარანტი და ბავშვს აქვს უფლება წაიყვანონ ზოოპარკში თუ მშობლები შეჰპირდნენ რომ წაიყვანენ. ადამიანებს შეიძლება ჰქონდეთ იმედი იმ შემთხვევაში, თუ ამის პირობებს და გარანტიებს მეორე მხარე იძლევა.

მაგრამ ადამიანის უფლებები მცირედ განსხვავებული მოთხოვნებია, რადგანაც ისინი არ არის დამოკიდებული მეორე მხარის დაპირებებზე და გარანტიებზე. ადამიანის სიცოცხლის უფლება არ არის დამოკიდებული ვინმეს დაპირებაზე რომ არ მოკლავს მას: მისი სიცოცხლე შეიძლება იყოს სხვაზე დამოკიდებული, მაგრამ მისი სიცოცხლის უფლება არა. ადამიანების სიცოცხლის უფლება შეიძლება დამოკიდებული იყოს მხოლოდ ერთ რამეზე: ისინი ადამიანები არიან.

ადამიანის უფლებათა აღიარება ნიშნავს იმის აღიარებას, რომ ყველა უფლებამოსილია განაცხადოს: მე მაქვს ეს უფლებები, იმისდამიუხედავად რას გააკეთებთ ან იტყვით თქვენ, იმიტომ, რომ მე ადამიანი ვარ ისევე როგორც თქვენ.

რატომ არ უნდა არსებობდეს მყარი საფუძველი ამ განაცხადისთვის? რას ეყრდნობა ის? და რატომ უნდა დავიჯეროთ რომ მართლაც ასეა?

ეს განაცხადი საბოლოო ჯამში ზნეობრივი ხასიათის მატარებელია და ეყრდნობა ზნეობრივ ფასეულობებს. ჩემი უფლება სიცოცხლეზე რეალურად ნიშნავს, რომ არავის აქვს უფლება წამართვას სიცოცხლე; ეს უბრალოდ დაუშვებელია. ამგვარი ფორმულირების შემთხვევაში მოთხოვნას არ სჭირდება განსაკუთრებული საფუძველი. ალბათ ყველა მკითხველი ეთანხმება ამ აზრს. ყველა ჩვენგანი საკუთარი შემთხვევიდან გამომდინარე ვაღიარებთ, რომ არსებობს ჩვენი სიცოცხლის და პიროვნების გარკვეული ასპექტები, რომლებიც ხელშეუხებელი უნდა იყოს რადგანაც ისინი უმნიშვნელოვანესია ჩვენი პიროვნებისთვის, ჩვენი მეობის შეცნობისათვის. ის უმნიშვნელოვანესია ჩვენი ადამიანობისთვის და

"ადამიანს უბრალოდ სჭირდება არჩევანის თავისუფლება,. რაც არ უნდა ღირდეს ეს თავისუფლება და სადაც არ უნდა მივყავდეთ მას"

თეოდორ დოსტოევსკი

პიროვნული ღირსებისთვის. ადამიანის უფლებები უბრალოდ ამ გაგებას ინდივიდუალური დონიდან პლანეტაზე არსებული ყველა ადამიანის დონემდე განავრცობს. თუ მე შემიძლია განვაცხადო პრეტენზია ამ უფლებებზე, მაშინ ყველას შეუძლია იგივე გააკეთოს.

? რატომ არის დაუშვებული ვინმეს სიცოცხლის უფლების დარღვევა? რატომ არის დაუშვებული ვინმესთვის სიცოცხლის წართმევა? არის ეს კითხვები ერთი და იგივე?

ძირითადი ღირებულებები

ამდენად, ადამიანის უფლებათა იდეის ცენტრში არსებობს 2 მთავარი ღირებულება. პირველი ადამიანური ღირსება და II თანასწორობა. ადამიანის უფლებები შეიძლება იქნას გაგებული როგორც ღირსეული ცხოვრებისათვის საჭირო ძირითადი სტანდარტების განმსაზღვრელი; და მათი უნივერსალობა გამომდინარეობს იმ ფაქტიდან, რომ სულ მცირე ამ თვალსაზრისით, ყველა ადამიანი თანასწორუფლებიანია. ჩვენ არ შეგვიძლია და არ უნდა მოვახდინოთ ვინმეს დისკრიმინაცია.

ეს 2 რწმენა და ფასეულობა რეალურად არის ის, რაც ყველას მოეთხოვება ადამიანის უფლებათა იდეის სამსახურში ჩასადგომად და საეჭვოა ვინმე არ ეთანხმებოდეს მათ. ამიტომაც ღებულობს ეს იდეა მხარდაჭერას ყველა განსხვავებული კულტურების მხრიდან მთელ მსოფლიოში, ყველა ცივილიზებული მთავრობის მხრიდან და ყველა უდიდესი რელიგიის მხრიდან. თითქმის საყოველთაოდ აღიარებულია, რომ სახელმწიფოს ძალაუფლება არ შეიძლება იყოს შეუზღუდავი და თვითნებური. ის უნდა იყოს შეზღუდული სულ მცირე იმ მინიმალური მოთხოვნების დაკმაყოფილების აუცილებლობით, რომლებიც მისი იურისდიქციის ფარგლებში მყოფ ყველა პირს მისცემს საშუალებას იცხოვროს ადამიანური ღირსების შეგრძნებით. ბევრი სხვა ფასეულობა შეიძლება გამომდინარეობდეს ამ ორი ფუნდამენტური ფასეულობიდან და შეიძლება ხელი შეუწყოს ადამიანების და საზოგადოებების თანაცხოვრების უფრო ზუსტ განსაზღვრას. მაგ:

თავისუფლება: რადგანაც ადამიანის ნება არის ადამიანური ღირსების მნიშვნელოვანი ნაწილი. ჩვენი ნების წინააღმდეგ რაიმეს გაკეთება ამცირებს ადამიანის ღირსებას

სხვების პატივისცემა: რამდენადაც ვინმეს მიმართ პატივისცემის ნაკლებობა არ იძლევა საშუალებას სათანადოდ შეაფასოს მათი ინდივიდუალობა და ადამიანური ღირსება.

არადისკრიმინაციული დამოკიდებულება: რადგანაც ადამიანის ღირსების თანასწორობა ნიშნავს, რომ ჩვენ არ უნდა განვსაჯოთ ადამიანები არა-რელევანტური ფიზიკური (ან სხვა) მახასიათებლების საფუძველზე.

შემწყნარებლობა: რადგანაც არატოლერანტულობა ნიშნავს, რომ არ არსებობს პატივისცემა განსხვავების მიმართ. და თანასწორუფლებიანობა არ ნიშნავს იდენტურობას ან ერთფეროვნებას.

სამართლიანობა: რადგანაც ადამიანები იმსახურებენ სამართლიან მოპყრობას.

პასუხისმგებლობა: რადგანაც სხვების უფლებების პატივისცემა იწვევს პასუხისმგებლობას საკუთარი ქმედების მიმართ.

"ზნეობრივი ფასეულობები ქარივით უხილავია: მხოლოდ ფოთლების რხევის მიხედვით შეგიძლია თქვა, რომ ქარია. ფასეულობებს კი ადამიანთა ქცევის მიხედვით იაზრებ"

ევა ანჩელი

ადამიანის უფლებათა დამახასიათებელი ნიშნები

ფილოსოფოსებმა უნდა გააგრძელონ ადამიანის უფლებათა ბუნების შესახებ კამათი, მაგრამ საერთაშორისო საზოგადოებრიობას ჩამოყალიბებული აქვს ძირითადი პრინციპების კომპლექტი, რომელზეც სახელმწიფოები შეთანხმებული არიან და რომელსაც ისინი უნდა დაემორჩილონ. ამ პრინციპების მიხედვით:

1. **ადამიანის უფლებები განუყოფელია.** ეს ნიშნავს, რომ თქვენ არ შეიძლება დაკარგოთ ისინი, რადგანაც ისინი დაკავშირებულია ადამიანის არსებობის ფაქტთან. კონკრეტულ სიტუაციებში ზოგი – თუმცა არა ყველა – შეიძლება შეჩერდეს ან შეიზღუდოს. მაგ. თუ ვინმეს ბრალი ედება რაიმე დანაშაულში მისი თავისუფლება შეიძლება წართმეულ იქნას. ან სამოქალაქო არეულობის დროს მთავრობას შეუძლია გამოაცხადოს კომენდანტის საათი, რომელიც ზღუდავს გადაადგილების თავისუფლებას.
2. **ისინი განუყოფელია, ურთიერთდამოკიდებული და ურთიერთდაკავშირებული** ეს ნიშნავს, რომ განსხვავებული ადამიანის უფლებები არსობრივად დაკავშირებულია და არ შეიძლება განიხილებოდეს ერთმანეთისგან დამოუკიდებლად. ერთი უფლებით სარგებლობა დამოკიდებულია სხვა ბევრი უფლების განხორციელებაზე და არც ერთი უფლება არ არის უფრო მნიშვნელოვანი ვიდრე დანარჩენი სხვა.
3. **ისინი საყოველთაოა,** რაც ნიშნავს, რომ ისინი ყველა ადამიანს თანაბრად ეხება მთელ მსოფლიოში ყოველგვარი დროის ლიმიტის გარეშე. ყველა ინდივიდი უფლებამოსილია ისარგებლოს მისი უფლებებით რასობრივი, კანის ფერის, სქესობრივი, ენობრივი, რელიგიური, პოლიტიკური ან სხვა სახის, ეროვნული ან სოციალური წარმომავლობის, დაბადების ან სხვა სტატუსის მიუხედავად.

უნდა აღვნიშნოთ, რომ ადამიანის უფლებათა უნივერსალობა არანაირად არ ემუქრება ინდივიდების ან სხვა კულტურების მდიდარ მრავალფეროვნებას. მრავალფეროვნება მაინც შეიძლება არსებობდეს მსოფლიოში სადაც ყველა თანასწორია, და თანასწორად იმსახურებს პატივისცემას.

istoriuli mimoxilva

აზრი, რომ ადამიანები მუდმივად ფლობენ თვიანთ უფლებებს, დაფუძნებულია უამრავ კულტურულ და უძველეს ტრადიციებზე. უამრავი ცნობილი მმართველების და აღიარებულ კანონთა კრებულების მაგალითზე კაცობრიობის ისტორიიდან ჩვენ შეგვიძლია დავინახოთ რომ ადამიანის უფლებები არ არის არც „დასავლეთის გამოგონება“ და არც 20 საუკუნის მიღწევა.

უძველესი ისტორია

ჰამურაბის კანონები ბაბილონში (ერაყი, 2000 წ. ჩვ.წ.ა) იყო პირველი წერილობითი იურიდიული დოკუმენტი, რომელიც შექმნა ბაბილონის მეფემ. ის პირობას იძლეოდა „რომ სამართალი იბატონებდა სამეფოში, გაანადგურებდნენ ბოროტებას და ძალადობას, არ მისცემდნენ ძლიერებს სუსტების დაჩაგვრის უფლებას.... გაანათლებდნენ ქვეყანას და იზრუნებდნენ ადამიანების კეთილდღეობაზე“.

გადმოცემის მიხედვით, ძველი ეგვიპტის ფარაონი (2000 წ. ჩვ.წ.ა) უბრძანებდა თავის ქვეშევრდომებს, რომ „როდესაც მთხოვნელი გაკითხავთ ზემო ან ქვემო ეგვიპტიდან, ... კანონის შესაბამისად ყველაფერი გააკეთეთ იმისათვის, რომ ტრადიცია და ყველა ადამიანის უფლება იყოს დაცული“.

“სამყარო სამ ბურჯს ეყრდნობა: ჭეშმარიტებას, განსჯას და მშვიდობას”

თალმუდი

ადამიანს აქვს ბუნებისაგან მინიჭებული აბსოლუტური თავისუფლება, თანასწორობა და დამოუკიდებლობა და ის არ შეიძლება დაემორჩილოს სხვა ადამიანის პოლიტიკურ ძალაუფლებას საკუთარი თანხმობის გარეშე.

ჯონ ლოკი

კიროსის ქარტია (ირანი, 570 წ. ჩვ.წ.ა) დაწერილ იქნა სპარსეთის მეფის მიერ მისი სამეფოს ხალხისათვის და აღიარებდა თავისუფლებას, უსაფრთხოებას, გადაადგილების თავისუფლებას და ზოგიერთ სოციალურ და ეკონომიკურ უფლებას.

? თქვენი ქვეყნის ისტორიიდან რომელი ფიგურები ამკვიდრებდნენ ან იბრძოდნენ ადამიანის უფლებებისათვის?

ინგლისის თავისუფლების დიდი ქარტია და ბილი უფლებებზე

1215 წ. ინგლისურმა არისტოკრატიამ და სასულიერო პირებმა გაილაშქრეს მეფე იოანე I-ის მიერ ძალაუფლების ბოროტად გამოყენების წინააღმდეგ და აიძულეს მეფე დათანხმებოდა თავისუფლებათა დიდი ქარტიის (Magna Charta) შექმნას და დამორჩილებოდა მას. თუმცა მეფე არ იცავდა მას, მაგრამ დიდ ქარტიას ხშირად მიმართვადნენ თავიანთი უფლებების დასაცავად. ის ჩამოთვლის უფლებათა მთელ რიგს როგორიცაა ყველა თავისუფალი მოქალაქის უფლება ჰქონდეთ და მემკვიდრეობით მიიღონ და გადასცენ საკუთრება და გათავისუფლდნენ ზედმეტი გადასახადებისაგან. ის ამკვიდრებდა შესაბამის სასამართლო პროცედურას და კანონის წინაშე თანასწორობის პრინციპებს. მეფე ჯეიმს II კანონის დარღვევის გამო მოქალაქეებმა ტახტიდან ჩამოაგდეს 1688 წ. 1689 წ. კი პარლამენტმა გამოსცა კანონი, რომელიც აცხადებდა, რომ აღარ დაუშვებდა სამეფო ჩარევას თავის საქმეებში. ეს დოკუმენტი ცნობილია უფლებათა ბილის სახელწოდებით. იგი უკრძალავდა მონარქებს შეეჩერებინათ კანონის მოქმედება პარლამენტის თანხმობის გარეშე, გამოაცხდა პარლამენტის წევრების თავისუფალი არჩევნები და სიტყვის თავისუფლება პარლამენტში, რომელიც არ უნდა დამდგარიყო კითხვის ნიშნის ქვეშ სასამართლოში ან სხვა ნებისმიერ ადგილას.

ბუნებითი უფლებების წარმოშობა

ევროპაში 17-ე და 18-ე საუკუნეების განმავლობაში მთელმა რიგმა ფილოსოფოსებმა შემოგვთავაზეს „ბუნებითი უფლებების“ კონცეფცია. ეს იყო უფლებები, რომლებიც მიეკუთვნებოდა პიროვნებას რადგანაც ის იყო ადამიანი და არა იმიტომ, რომ ის იყო რომელიმე კონკრეტული ქვეყნის მოქალაქე ან რომელიმე რელიგიის ან ეთნიკური ჯგუფის წარმომადგენელი. აზრი, რომ ამ ბუნებითმა უფლებებმა უნდა მისცეს ადამიანებს გარკვეული იურიდიული უფლებები უფრო ფართოდ იქნა აღიარებული და მან თავი იჩინა სხვადასხვა ქვეყნების კონსტიტუციებში.

ადამიანისა და მოქალაქის უფლებათა საფრანგეთის დეკლარაცია (1789)

1789 წ. ფრანგებმა დაამხეს მონარქია და დაამყარეს პირველი ფრანგული რესპუბლიკა. რევოლუციის შედეგად შეიქმნა დეკლარაცია, რომელიც დაიწერა სასულიერო პირების, არისტოკრატიის და უბრალო მოქალაქეების წარმომადგენლების მიერ, ამგვარად ისინი ახდენდნენ ცნობილ განმანათლებელთა – ვოლტერი, მონტესკიე, ენციკლოპედისტების და რუსოს იდეების რეალიზებას. დეკლარაცია აკრიტიკებდა მონარქიის პოლიტიკურ და სამართლებრივ სისტემებს და „თავისუფლება, საკუთრება, უსაფრთხოება და ჩაგვრისადმი შეწინააღმდეგება“ განსაზღვრული იყო, როგორც ადამიანის ბუნებითი უფლებები. მან შეცვალა მონარქიის დროს არსებული არისტოკრატიული პრივილეგიების სისტემა კანონის წინაშე თანასწორობის პრინციპით.

აშშ-ს დამოუკიდებლობის დეკლარაცია, კონსტიტუცია და უფლებათა ბილი (1791)

1776 წ. ჩრდილოეთ ამერიკაში ბრიტანეთის კოლონიების უმრავლესობამ აშშ-ს დამოუკიდებლობის დეკლარაციაში გამოაცხადა დამოუკიდებლობა ბრიტანეთის იმპერიისაგან. დეკლარაცია მეტწილად დამყარებული იყო ლოკისა და მონტესკიეს „ბუნებითი უფლებების" თეორიაზე. მან სული შთაბერა საფრანგეთის რევოლუციას და სამხრეთ ამერიკაში ესპანური მმართველობის წინააღმდეგ აჯანყებას. მოგვიანებით აშშ-ს კონსტიტუციაში შეტანილ იქნა ცვლილებები და მთავრობა გახდა ცენტრალიზებული, მაგრამ მისი ძალაუფლება საკმაოდ შეზღუდული იყო ინდივიდუალური თავისუფლების გარანტირების მიზნით. აშშ-ს კონსტიტუციის 20 შესწორება შეადგენს ამერიკის უფლებათა ბილს.

ადრეული საერთაშორისო შეთანხმებები

19-ე და 20-ე საუკუნებში ადამიანის უფლებათა მთელი რიგი საკითხები წინა პლანზე წამოვიდა და საერთაშორისო დონეზე კითხვის ნიშნის ქვეშ დააყენა ისეთი საკითხები როგორიცაა მონობა, ბატონ-ყმობა, არაადამიანური სამუშაო პირობები და ბავშვების შრომა. დაახლოებით ამავე პერიოდში მიღებულ იქნა პირველი საერთაშორისო შეთანხმება ადამიანის უფლებათა შესახებ.

„არა კაც კლა".

ბიბლია

- მონობა არაკანონიერი გახდა ინგლისში და საფრანგეთში დაახლოებით 19-ე ს-ის დასაწყისში და 1814 წ. ბრიტანეთის და საფრანგეთის მთავრობებმა ხელი მოაწერეს პარიზის ხელშეკრულებას თანამშრომლობის შესახებ მონებით ვაჭრობის წინაღმდეგ. 1890 წ. ბრიუსელის კონფერენციაზე ხელი მოეწერა მონობის ამკრძალავ აქტს, რომელიც მოგვიანებით რატიფიცირებული იქნა 18 ქვეყნის მიერ.
- ჟენევის პირველი კონვენციები (1864 –დან 1929 წ-მდე) მოასწავებდა სახელმწიფოებს შორის ადრეული თანამშრომლობის ახალი სფეროს დაწყებას რათა დამყარებულიყო კანონის უზენაესობა ომის წარმოების შესახებ. კერძოდ, კონვენციებმა შექმნა სტანდარტები ავადმყოფი და დაჭრილი ჯარისკაცების მოსავლელად.

? რაგორ ფიქრობთ, რატომ არ დაკმაყოფილდნენ ზოგიერთი ქვეყნები მხოლოდ საკუთარი კანონების შემუშავებით და რატომ გაჩნდა საერთაშორისო ხელშეკრულებების არსებობის აუცილებლობა?

XX საუკუნე

სამთავრობო ძალებისაგან ადამიანების უფლებების დაცვის იდეა თანდათან ფართო აღიარებას პოულობს. ამ უფლებების წერილობით სისტემაში მოყვანის მნიშვნელობა უკვე აღიარებულია ზოგიერთი სახელმწიფოს მიერ და ამგვარად, ზემოთაღწერილი დოკუმენტები გახდა წინამორბედი ადამიანის უფლებების ბევრი თანამედროვე ხელშეკრულებებისათვის. თუმცა, ადამიანის უფლებები საერთაშორისო არენაზე ძირითადად II მსოფლიო ომის მოვლენებმა გამოიყვანა.

I მსოფლიო ომის შემდეგ შექმნილი ერთა ლიგა იყო სამთავრობათაშორისო ორგანიზაცია, რომელიც ცდილობდა დაეცვა ადამიანის უფლებათა ძირითადი სტანდარტები, მაგრამ მხოლოდ II მსოფლიო ომში ჩადენილი სასტიკი წამების შემდეგ და მეტწილად მათ შედეგად შეიქმნა საერთაშორისო სამართლის ინსტიტუტი. ამ მოვლენებმა საერთაშორისო კონსენსუსი გახადა როგორც

აუცილებელი ასევე საჭირო რათა საერთაშორისო დონეზე დარეგულირებულიყო ადამიანის უფლებათა დაცვა და სისტემაში მოყვანა.

1945 წ. 26 ივნისს ხელმოწერილი გაეროს წესდება ასახავდა ამ თვალსაზრისს. წესდება აცხადებს, რომ გაეროს ძირითადი მიზანი არის "მომავალი თაობების დაცვა ომის საშინელებისაგან" და "რწმენის განმტკიცება ადამიანის ძირითად უფლებებში, ადამიანის პიროვნულ ღირსებასა და ქალებისა და მამაკაცების თანასწორუფლებიანობაში".

ადამიანის უფლებათა საყოველთაო დეკლარაცია შეიქმნა გაეროს ადამიანის უფლებათა კომისიის მიერ და მიღებულ იქნა გენერალური ასამბლეის მიერ 1948 წლის 10 დეკემბერს. მას შემდეგ მისი პრინციპების დასაცავად ასევე შეიქმნა მთელი რიგი ძირითადი დოკუმენტები და შეთანხმდა საერთაშორისო საზოგადოებრიობის მიერ. დამატებითი ინფორმაცია ზოგიერთი ამ საერთაშორისო ხელშეკრულებების შესახებ შეგიძლიათ იხილოთ ქვემოთ მოყვანილ თავში ადამიანის უფლებების და ძირითადი თავისუფლებების შესახებ ევროპული კონვენციის ჩათვლით.

adamianis uflebebi msoflios sxvadasxva kuTxeSi

"და იბრძოლე ღვთის გზით მათთან ვინც გებრძვის შენ. მაგრამ არასოდეს დაესხა თავს: ღმერთს არ უყვარს თავდამსხმელები."

ყურანი

მსოფლიოს ზოგიერთ რეგიონში დაარსებულია ადამიანის უფლებათა დაცვის საკუთარი სისტემები, რომლებიც არსებობს გაეროს სისტემის პარალელურად. დღეისათვის რეგიონალური სისტემები არსებობს ევროპაში, ამერიკის ქვეყნებში, აფრიკასა და არაბულ სახელმწიფოებში მაგრამ ჯერ კიდევ არ არის აზია-წყნარი ოკეანის რეგიონში. თუმცა მსოფლიოს ამ ნაწილის ქვეყნების უმრავლესობას რატიფიცირებული აქვს გაეროს ძირითადი ხელშეკრულებები და კონვენციები – რაც ნიშნავს რომ ისინი ეთანხმებიან ზოგად პრინციპებს და თავს ცნობენ ადამიანის უფლებათა საერთაშორისო სამართლის სუბიექტებად.

ადამიანისა და ხალხებთა უფლებების აფრიკული ქარტია ძალაში შევიდა 1985 წ. ოქტომბერში და რატიფიცირებულ იქნა 40-ზე მეტი სახელმწიფოს მიერ. წესდება საინტერესოა მთელი რიგი თავისებურებების გამო რითაც ის განსხვავდება მსოფლიოს სხვა მხარეებში მიღებული ხელშეკრულებებისაგან.

- ევროპული და ამერიკული კონვენციებისაგან განსხვავებით აფრიკული ქარტია მოიცავს როგორც სოციალურ, ეკონომიკურ და კულტურულ, ასევე სამოქალაქო და პოლიტიკურ უფლებებს.
- აფრიკული ქარტია უფრო შორს მიდის და ინდივიდუალურ უფლებებთან ერთად უზრუნველყოფს ხალხის კოლექტიურ უფლებებს.
- ქარტია ასევე აღიარებს, რომ ინდივიდებს უფლებებთან ერთად აქვთ მოვალეობები და ჩამოთვლის კიდეც სპეციფიურ ვალდებულებებს, რომელიც ინდივიდს გააჩნია მისი ოჯახის, საზოგადოების, სახელმწიფოს და საერთაშორისო საზოგადოებრიობის წინაშე.

? თქვენი აზრით რატომ არის მოვალეობები შეტანილი ადამიანის უფლებათა ქარტიაში? ფიქრობთ, რომ ისინი შეტანილი უნდა იყოს ადამიანის უფლებათა ყველა დოკუმენტში?

"ომები გაგრძელდება მანამ სანამ კაცობრიობა არ შეამჩნევს, რომ ადამიანური ბუნება იდენტურია იმისდა მიუხედავად თუ დედამიწის რომელ წერტილში ვიმყოფებით".

პიერ დაკო, ფსიქოლოგი

არაბულ სამყაროში ამჟამად არსებობს ადამიანის უფლებათა რეგიონალური კომისია შეზღუდული ძალაუფლებით. რომელიც აღიარებს ადამიანის უფლებათა არაბული ქარტია, რომლის საფუძვლეზეც უნდა შექმნას რეგიონალური სისტემა. ეს დოკუმენტი აფრიკული ქარტიის მსგავსად მოიცავს სოციალურ-ეკონომიკურ

უფლებებს, სამოქალაქო-პოლიტიკურ უფლებებს და ასევე "არაბი ხალხის კოლექტიური უფლებების" სიას.

არსებობს მოწოდებები ამგვარი სისტემის დაარსების შესახებ აზია-წყნარი ოკეანის რეგიონში, მაგრამ ჯერ-ჯერობით არანაირი ფორმალური შეთანხმება არ არის მიღებული. ამ რეგიონში 1993 წ. არასამთავრობო ორგანიზაციების შეხვედრის შედეგად მიღებულ იქნა ადამიანის უფლებათა ბანგკოკის არასამთავრობო ორგანიზაციების დეკლარაცია, რომელიც აცხადებს:

"ჩვენ შეგვიძლია ვისწავლოთ სხვადასხვა კულტურებისგან პლურალისტული თვალსაზრისით. .... ადამიანის საყოველთაო უფლებებს ფესვები გადგმული აქვს ბევრ კულტურაში... ჩვენ ვადასტურებთ ადამიანის უფლებათა უნივერსალობის საფუძველს, რომელიც მთელი კაცობრიობის დაცვის საშუალებას იძლევა.. კულტუროლოგიური პლურალიზმის დაცვა არ გულისხმობს ტოლერანტულ დამოკიდებულებას იმ კულტურების მიმართ, რომლებიც აკნინებენ საყოველთაოდ აღიარებულ ადამიანის უფლებებს ქალების უფლებების ჩათვლით. რადგანაც ადამიანის უფლებები არის საყოველთაო ზრუნვის საგანი და საყოველთაო ფასეულობა ამ უფლებების დაცვა არ უნდა იქნას განხილული ეროვნულ სუვერენიტეტში ჩარევად".

rogor visargebloT Cveni uflebebiT?

ადამიანის უფლებები არსებობს ჩვენთვის. როგორ უნდა გამოვიყენოთ ისინი? ნათელია, რომ უბრალოდ მათი არსებობა არ არის საკმარისი ადამიანის უფლებათა დარღვევების აღმოსაფხვრელად, რადგანაც ჩვენ ყველამ ვიცით, რომ ისინი ირღვევა ყოველდღე, დედამიწის ყველა წერტილში. რეალურად შეუძლიათ მათ რაიმეს შეცვლა? როგორ შეგვიძლია მათი გამოყენება?

? იცით რა უფლებები გაქვთ თქვენ?

ამ სახელმძღვანელოს მთელი რიგი თავები განიხილავს ამ პრობლემის სხვადასხვა ასპექტებს.

თქვენი უფლებების აღიარება.

შემდეგ ნაწილში ჩვენ განვიხილავთ უფლებათა სხვადასხვა ტიპებს, რომლებიც საერთაშორისო სამართლით არის დაცული. თუ ჩვენ გვეცოდინება ადამიანის არსებობის რომელი სფეროები შეესაბამება ადამიანის უფლებათა საერთაშორისო სამართლის ნორმებს და გვეცოდინება სახელმწიფო კანონმდებლობით აღიარებული ვალდებულებები მაშინ შეგვეძლება განვახორციელოთ ზეწოლა სხვადასხვა გზით. ეს ნაწილი აჩვენებს, რომ უსამართლობის თითქმის ყველა სფერო დაკავშირებულია ადამიანის უფლებებთან: მცირე მასშტაბის სიღარიბიდან დაწყებული ეკოლოგიური ზიანით, ჯანმრთელობით, სამუშაო პირობებით, პოლიტიკური რეპრესიებით, ხმის უფლებით, გენური ინჟინერიით, უმცირესობათა საკითხებით, ტერორიზმით და გენოციდით დამთავრებული..... და მთელი რიგი პრობლემური საკითხების რიცხვი დღემდე იზრდება.

ადამიანის უფლებების კანონმდებლობის გამოყენებასთან დაკავშირებული ზოგიერთი საკითხი პირდაპირ არის განხილული "შეკითხვები და პასუხები"-ს ნაწილში. ის მოკლე პასუხს იძლევა ზოგიერთ ზოგად კითხვაზე, რომლებიც ხშირად ისმება ადამიანის უფლებებთან მიმართებაში.

ამასთანავე, მე-5 თავის ყველა ნაწილი უფრო დეტალურად განიხილავს სახელმძღვანელოს თემებს. თუ დაინტერესებული ხართ გაარკვიოთ როგორ შეიძლება უკეთ იყოს დაცული რომელიმე კონკრეტული უფლება, მაგალითად,

"ეროვნული და რეგიონალური თავისებურებების მნიშვნელობა და სხვადასხვა ისტორიული, კულტუროლოგიური და რელიგიური ფონი მუდმივად უნდა იქნას გათვალისწინებული, ამვე დროს სახელმწიფოს მოვალეობაა მისი პოლიტიკური, ეკონომიკური და კულტურული სისტემის მიუხედავად განავითაროს და დაამკვიდროს ადამიანის ყველა უფლება და ძირითადი თავისუფლება".

ვენის დეკლარაცია (1993)

"ჩვენ ყველა და განსაკუთრებით მე პასუხს ვაგებთ ყველაფერზე და ყველაზე"

თეოდორ დოსტოევსკი

"ჩემთვის სიკვდლით დასჯა არის ბარბაროსული და უზნეო ინსტიტუტი, რომელიც ძირს უთხრის საზოგადოების მორალურ და სამართლებრივ საფუძვლებს. მე დარწმუნებული ვარ, რომ სისასტიკე მხოლოდ სისასტიკეს ბადებს".

ანდრეი სახაროვი

ჯანმრთელობის, განათლების, და სამართლიანი სამუშაო პირობების უფლება, ძალიან დაგეხმარებათ ამ საკითხებთან დაკავშირებული ძირითადი ინფორმაციის შესწავლა.

სამართლებრივი მექანიზმების გამოყენება

ჩვენ განვიხილავთ სამართლებრივ მექანიზმებს, რომლებიც არსებობს ხალხის ინტერესების სხვადასხვა სფეროების დასაცავად. ჩვენ ევროპელებს განსაკუთრებით გაგვიმართლა ყოველ შემთხვევაში ზოგიერთი უფლების თვალსაზრისით, რადგანაც გვაქვს მუდმივმოქმედი სასამართლო, რომელიც განიხილავს უფლებების დარღვევებთან დაკავშირებულ საჩივრებს – ეს არის ევროპის ადამიანის უფლებათა სასამართლო. მაშინაც კი როდესაც საჩივრები არ მიეკუთვნება ევროპის სასამართლოს იურისდიქციას. არსებობს სხვა მექანიზმები სახელმწიფოების პასუხისმგებლობის საკითხის დაყენებისათვის მათი ქმედებების გამო და მათი იძულებისათვის შეასრულონ თავიანთი ვალდებულებები ადამიანის უფლებათა შესახებ შეთანხმებების შესაბამისად. ის, რომ არსებობს სამართლებრივი ნორმები, ძალიან გვეხმარება მაშინაც კი, როცა ყოველთვის არ არსებობს სამართლებრივი მექანიზმები, რომლებიც აიძულებენ სახელმწიფოებს მათ შესრულებას.

ლობირება, კამპანია და აქციები

? ყოფილხართ როდესმე ჩართული რაიმე კამპანიაში ან აქციაში ადამიანის უფლებათა სფეროში?

მნიშვნელოვან როლს სახელმწიფოებზე ზეწოლის განხორციელებისათვის ასრულებენ ასოციაციები, არასამთავრობო ორგანიზაციები, საქველმოქმედო ორგანიზაციები, და სხვა სამოქალაქო საინიციატივო ჯგუფები. ეს წარმოადგენს აქტიურობის და არასამთავრობო ორგანიზაციების როლის შესახებ სახელმძღვანელოს ნაწილის ძირითად თემას. ასეთი ასოციაციების როლი განსაკუთრებით აქტუალურია უბრალო ადამინებისათვის არა მხოლოდ იმიტომ, რომ ასეთი ასოციაციები ხშირად განიხილავენ ინდივიდუალურ შემთხვევებს, არამედ იმიტომაც, რომ ისინი წარმოადგენს საშუალებას ჩვეულებრივი ხალხისთვის, რათა ადამიანები ჩაერთონ ადამიანის უფლებების დაცვაში. ბოლოსდაბოლოს, ასეთი ასოციაციები ჩვეულებრივი ხალხისაგან შედგება. ჩვენ ასევე უნდა განვიხილოთ როგორ მოქმედებენ ისინი ადამიანის უფლებების გაუმჯობესებისათვის და წარმატებული საქმიანობის ზოგიერთი მაგალითი.

მიიღე მონაწილეობა

მე-3 თავი, „მოქმედებაზე გადასვლა", აღწერს თუ როგორ შეიძლება მიღებულ იქნას ზომები ყოველდღიურ ცხოვრებაში და გვთავაზობს ქმედებათა მაგალითების მთელ რიგს თუ როგორ შეგიძლიათ ჩაერთოთ მასში. ახალგაზრდულ ჯგუფებს აქვთ უზარმაზარი პოტენციალი სახელმწიფოებზე და საერთაშორისო ორგანიზაციებზე გავლენის მოხდენისათვის და იმის უზრუნველსაყოფად, რომ ადამიანის უფლებათა დარღვევის შემთხვევები საზოგადოების სამსჯავროზე იქნას გამოტანილი. ამ ნაწილში მოყვანილმა მაგალითებმა უნდა შემოგთავაზოთ კონკრეტული ზომები, რომელთა მიღებაც შეიძლება თქვენი ჯგუფის მიერ და ასევე უფრო ღრმად ჩაგახედებთ არასამთავრობო ორგანიზაციების ყოველდღიურ მუშაობაში.

"ყველა სული საკუთარი ქმედებებისა ტყვეა"

ყურანი

dilemebi da adamianis uflebebis araswori gamoyeneba

როგორ უნდა მოვიქცეთ როდესაც ერთი ჯგუფის უფლებების დაცვა განაპირობებს სხვა ჯგუფის უფლებების შეზღუდვას? ზოგჯერ ადამიანის უფლებები გამოიყენება ისეთი ქმედებების გასამართლებლად, რომლებიც ზნეობრივი თვალსაზრისით თავად დგას კითხვის ნიშნის ქვეშ. ხალხმა და მთავრობებმაც კი შეიძლება განაცხადონ, რომ ისინი იცავენ ადამიანის უფლებებს მაგრამ ფაქტობრივად ქმედებები, რომლებსაც ისინი ახორციელებენ თავად არღვევს ფუნდამენტურ უფლებებს. ყოველთვის ადვილი არ არის ასეთი შემთხვევების განსჯა. განიხილეთ შემდეგი მაგალითები.

უფლებათა კონფლიქტები

2001 წლის 11 სექტემბერს ამერიკაში მომხდარი ტერორისტული აქტის ფონზე ბევრი მთავრობა ზღუდავს ზოგიერთ ძირითად თავისუფლებებს რათა შეებრძოლონ ტერორიზმის საფრთხეს. დიდ ბრიტანეთში შემოღებულია ახალი კანონი, რომელიც ეწინააღმდეგება ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის 5 მუხლს, რომელიც იცავს ადამიანებს თვითნებური დაკავებისა და დაპატიმრებისაგან. ეს კანონი საშუალებას აძლევს მთავრობას იზოლირებაში მოაქციოს ხალხი ბრალდებისა და გასამართლების გარეშე უბრალოდ ეჭვის საფუძველზე.

? შესაძლებელია უმცირესობათა უფლებების შეზღუდვა ეროვნული უსაფრთხოების სახელით? თუ შესაძლებელია, უნდა არსებობდეს თუ არა რაიმე ზღვარი?

აშშ-ს უზენაესმა სასამართლომ განაცხადა, რომ ფაშისტური ჯგუფების მიერ ებრაულ დასახლებებში მოწყობილი დემონსტრაციები არის თავისუფალი თვითგამოხატვის კანონიერი ფორმები. უნდა მოხდეს თუ არა ასეთი ჯგუფების შეჩერება რათა არ შეიმუშაონ დოქტრინა, რომელიც მიგვიყვანს მთელი ერის განადგურებამდე? თუ ეს მიუღებელი შეზღუდვაა თვითგამოხატვის უფლების თვალსაზრისით?

კულტურული ტრადიციები

გარიგებით ქორწინება ფართოდ მიღებული ტრადიციაა ბევრ კულტურაში: ხშირად ძალიან ახალგაზრდა ასაკში ქალი ვალდებულია ცოლად გაჰყვეს ოჯახის მიერ შერჩეულ მამაკაცს. უნდა აიკრძალოს თუ არა ასეთი პრაქტიკა ახალგაზრდა გოგონების დაცვის მიზნით? თუ ეს იქნება სხვადასხვა კულტურული ტრადიციების უპატივცემულობა?

სხვა მაგალითი შეიძლება იყოს დღემდე არსებული ქალთა განკვეთის პრაქტიკა ბევრ ქვეყანაში, ან "ღირსების დასაცავი" ქალებისა და გოგონების მკვლელობა. ათასობით ადამიანი იტანჯება ასეთი პრაქტიკის შედეგების გამო და უმრავლესობა მათ აუცილებლად ჩათვლის ადამიანის უფლებების სერიოზულ დარღვევად. არის ქალების განკვეთის მიღება კულტურათაშორისი განსხვავება, რომელიც მოთმინებით უნდა "ავიტანოთ"?

? უნდა მიეცეს თუ არა კულტურულ ფასეულობებს საშუალება ადამიანის უფლებებების უნივერსალობაზე მაღლა დადგეს?

"ყოველთვის როდესაც უსამართლოდ იქცევიან, მებადება შეგრძნება, რომ სამართალს არც არასოდეს უარსებია"

ხოსე სარამაგო

სიკეთის სახელით

ზოგჯერ საერთაშორისო საზოგადოებრიობის მიერ გამოიყენება სანქციები იმ რეჟიმების დასასჯელად, რომლებიც სისტემატურად არღვევენ ადამიანის უფლებებს. სანქციები კრძალავს ვაჭრობას დამრღვევ ქვეყანასთან რათა მოახდინონ ზეწოლა მთავრობაზე მისი ქმედებების შესაცვლელად. ზოგიერთი ქვეყანა სრულად იქნა იზოლირებული საერთაშორისო საზოგადოების მიერ: სამხრეთ აფრიკა წლების განმავლობაში იყო იზოლირებული აპარტეიდის სისტემის გამო, დღეს კი კუბა და ერაყი ვერ ახორციელებენ ვაჭრობას მსოფლიოს უდიდეს ნაწილთან. ეჭვგარეშეა, რომ ასეთი სანქციების გავლენას გრძნობენ ჩვეულებრივი მოქალაქეებიც მაგრამ განსაკუთრებით მწვავედ გრძნობენ საზოგადოების დაუცველი ფენები. არის ეს მისაღები გზა ადამიანის უფლებების დარღვევის წინააღმდეგ ბრძოლისათვის სხვა მთავრობის მიერ?

თუმცა გაეროს მიერ არ იყო ოფიციალურად სანქცირებული ნატოს მიერ წარმოებული კოსოვოს დაბომბვები ბევრმა გაამართლა ეთნიკური ალბანელების დაცვის პოზიციიდან გამომდინარე და გენოციდის ჩამდენის გასამართლების თვალსაზრისით. ამ სამხედრო აქციამ ასობით ათასი ადამიანი აქცია ლტოლვილად, დაახლოებით 500 პირდაპირი მსხვერპლი გახდა და განადგურდა სერბული ინფრასტრუქტურა. ამას აგრეთვე მოჰყვა პრეზიდენტ მილოშევიჩის ჩამოგდება და მისი წარდგენა საერთაშორისო სასამართლოს წინაშე. იგივე ქმედება განხორციელდა ავღანეთში ტერორისტული ქსელის განადგურების მიზნით, რომელიც მიჩნეული იყო 2001 წლის 11 სექტემბრის მოვლენების მიზეზად. შეიძლება ასეთი აქციები გამართლებულ იქნას მათი საბოლოო შედეგის გამო თუკი ამავე დროს იწვევენ დიდი რაოდენობით მსხვერპლს?

? შეიძლება ადამიანის უფლებების დაცვა გამოყენებულ იქნას სამხედრო კამპანიის საწარმოებლად?

2001 წლის აპრილში გაეროს ადამიანის უფლებათა კომისიამ უარყო აზრი, რომ ტერორიზმთან ბრძოლას შეუძლია ოდესმე გაამართლოს ადამიანის უფლებების მსხვერპლად შეწირვა. 2001/24 რეზოლუციამ დაგმო ჩეჩნეთის კონფლიქტთან დაკავშირებული ტერორისტული შეტაკებები და ჩეჩენი სამხედრო ძალების მიერ განხორციელებული ჰუმანიტარული სამართლის დარღვევები, ისევე როგორც ზოგიერთი მეთოდი, რომელსაც ხშირად იყენებდნენ რუსეთის ფედერალური ძალები ჩეჩნეთში. რეზოლუციამ მოუწოდა შეექმნათ ნაციონალური კომისია მიუღებელი ქმედებების გამოკვლევის მიზნით რუსეთში.

kvlav gamocanebi

წინა ნაწილში წამოჭრილ საკითხთაგან ყველაზე არ არსებობს ერთმნიშვნელოვანი პასუხები. ისინი დღესაც კი ცხარე კამათის საგნად რჩებიან. ასეთი დებატები გარკვეული თვალსაზრისით მნიშვნელოვანია. ისინი არიან როგორც პლურალისტური მიდგომის მაჩვენებელი, რომელიც ფუნდამენტურია ადამიანის უფლებათა იდეისათვის, ასევე მაჩვენებელია იმ ფაქტის, რომ ადამიანის უფლებები არ არის მეცნიერება ან მყარად ჩამოყალიბებული ”იდეოლოგია”, არამედ ზნეობრივი და იურიდიული აზროვნების განვითარებადი სფერო. ჩვენ ყოველთვის არ უნდა მოველოდეთ ერთმნიშვნელოვან პასუხებს – ნაწილობრივ იმის გამო, რომ ეს საკითხები რთულია და ასევე იმის გამო, რომ არ არსებობენ ექსპერტები, რომლებიც უფლებამოსილი არიან თქვან საბოლოო სიტყვა და გადაწყვიტონ ყველა საკითხი.

თუმცა ეს არ ნიშნავს, რომ არ არსებობს პასუხები საერთოდ და არ არსებობს შეთანხმებები. ასეთი სფეროები მრავლად არსებობს და მათი რიცხვი

ყოველდღიურად იზრდება. მონობის საკითხი გარკვეულ ეტაპზე დისკუსიის საგანი იყო, ამჟამად კი მონობისაგან თავისუფლება საყოველთაოდ აღიარებულია როგორც ადამიანის ფუნდამენტური უფლება. ქალების განკვეთას თუმცა კვლავ იცავს ზოგიერთი კულტურა ფართოდ არის დაგმობილი როგორც ადამიანის უფლების დარღვევა. სიკვდილით დასჯის უფლება, როგორც ჩანს, იქცევა საკითხად – ყოველ შემთხვევაში ევროპაში – რომლის გაუქმებისთვისაც იღწვიან ევროპის საბჭოს წევრი ქვეყნები.

ასე რომ, დარწმუნებული უნდა ვიყოთ, რომ ამ საკითხებიდან ბევრს მოეძებნება გადაწყვეტა. მანამდე კი ჩვენ შეგვიძლია ვიკამათოთ და გავაკეთოთ დასკვნები უფრო წინააღმდეგობრივ საკითხებზე 2 ფუნდამენტურ ფასეულობაზე დაყრდნობით: თანასწორობა და ადამიანის ღირსება. თუ რაიმე ქმედება ეპყრობა ინდივიდს როგორც ნაკლები ადამიანური ღირსების მქონეს, ეს ეწინააღმდეგება ადამიანის უფლებათა იდეას.

გამოყენებული ლიტერატურა

ევროპა, ახალგაზრდობა, ადამიანის უფლებები. ადამიანის უფლებათა კვირეულზე იელ ოჰანას (რედ) მიერ გაკეთებული მოხსენება. ევროპული ახალგაზრდობის ცენტრი. ბუდაპეშტი, 2000

Garzon Valdes "Confusiones acerca de la relevancia moral de la diversidad cultural" CLAVES de Razon Practica, No. 74, Madrid , Julio/ Agasto, 1997

ადამიანის უფლებები, ძირითადი სახელმძღვანელო გაეროს თანამშრომლებისათვის, ადამიანის უფლებათა უმაღლესი კომისარიატი. გაერო. ჟენევა

ლ. ლევინი ადამიანის უფლებები, კითხვები და პასუხები, იუნესკო, პარიზი, 1996

adamianis uflebaTa evolucia

„ადამიანის ყველა უფლება არის უნივერსალური, განუყოფელი, ურთიერთდამოკიდებული და ურთიერთდაკავშირებული“

ვენის დეკლარაცია 1993წ.

დაპირებები, დაპირებები

ჩვენმა ლიდერებმა ჩვენი სახელით უზარმაზარი დაპირებები დადეს. მათ მიერ ხელმოწერილი ყველა გარანტია რომ შესრულდეს ჩვენი ცხოვრება მშვიდობიანი, უსაფრთხო, ჯანმრთელი და კომფორტული იქნებოდა. ჩვენი იურიდიული სისტემები იქნებოდა სამართლიანი და უზრუნველყოფდა თანაბარ დაცვას ყველასათვის; ჩვენი პოლიტიკური პროცესები იქნებოდა გამჭირვალე და დემოკრატიული და მოემსახურებოდა ხალხის ინტერესებს.

მაშინ რა არის დაბრკოლება? ერთ-ერთი დაბრკოლება არის ის, რომ პოლიტიკოსები ჩვეულებრივი ადამიანები არიან და როგორც ყველა, ისინიც ხშირად ზედმეტად დამთმობები არიან, მითუმეტეს თუკი იციან რომ ეს გამოუვათ. ასე რომ ჩვენ ზუსტად უნდა ვიცოდეთ რა პირობებს დებენ ჩვენი სახელით და დავრწმუნდეთ რომ ისინი სრულდება.

? ყოველთვის ასრულებთ თქვენს დაპირებებს? მაშინაც კი თუ არავინ გახსენებთ მათ შესახებ?

ra uflebebs vflobT?

ჩვენ ვიცით, რომ უფლებამოსილი ვართ გვქონდეს ადამიანის ყველა უფლება. ადამიანის უფლებათა საყოველთაო დეკლარაცია, ევროპის ადამიანის უფლებათა კონვენცია და სხვა საერთაშორისო ხელშეკრულებები მოიცავს უფლებათა ფართო სპექტრს. ასე რომ, ჩვენ უნდა განვიხილოთ ისინი იმ თანმიმდევრობით, რომლითაც განვითარდნენ და აღიარებულ იქნენ საერთაშორისო საზოგადოების მიერ. ამ უფლებების კლასიფიცირების ”ნორმალური” გზა არის მათი დაწყობა ”პირველ, მეორე და მესამე თაობის უფლებებად”. ასე რომ, ამ ეტაპზე ჩვენ გამოვიყენებთ ამ კლასიფიკაციას მაგრამ როგორც მოგვიანებით ვნახავთ ის შეზღუდულია და ზოგჯერ შეიძლება შეცდომაშიც კი შეგვიყვანოს.

პირველი თაობის უფლებები (სამოქალაო და პოლიტიკური უფლებები)

ეს უფლებები წარმოიშვა თეორიის სახით მე-17 და მე-18 საუკუნეებში და ძირითადად ეყრდნობოდა პოლიტიკურ მოსაზრებებს. თანდათანობით ასევე დაიწყეს იმის აღიარება, რომ არსებობდა გარკვეული პუნქტები, რომლის შესრულებაც შეუძლებელია მივანდოთ ძლევამოსილ სახელმწიფოებს და რომ ხალხს უნდა ჰქონოდა გარკვეული ზეგავლენის მოხდენის საშუალება პოლიტიკაზე, რომელიც უშუალოდ ეხებოდა მათ.

ორ ცენტრალურ იდეას წარმოადგენდა პირადი თავისუფლების იდეა და სახელმწიფოს ძალადობისაგან ინდივიდის დაცვის იდეა.

- **სამოქალაქო** უფლებები იძლევა ფიზიკური და მორალური ხელშეუხებლობის მინიმალურ გარანტიას და საშუალებას აძლევს ინდივიდებს გააჩნდეთ საკუთარი სინდისისა და რწმენის თავისუფლება: მაგ. თანასწორობისა და თავისუფლების უფლება, აღმსარებლობის და საკუთარი აზრის გამოთქმის უფლება, წამებისა და სიკვდილისაგან დაცვის უფლება.
- **იურიდიული** უფლებები ჩვეულებრივ ასევე ”სამოქალაქო” უფლებებად კლასიფიცირდება. ისინი უზრუნველყოფენ პროცესუალურ დაცვას მათთვის ვინც იურიდიულ და პოლიტიკურ ინსტიტუტებთან არის შეხებაში: მაგალითად, თვითნებური დაპატიმრებისა და დაკავებისაგან დაცვა,

“პატიმრობა არაა პრობლემა. პრობლემაა არ დანებდე”.

ნაზიმ ჰიკმეტი

უდანაშაულობის პრეზუმფცია, ვიდრე სასამართლო არ დაადასტურებს ბრალეულობას და გასაჩივრების უფლება.

- **პოლიტიკური უფლებები** საჭიროა საზოგადოებრივ ცხოვრებაში მონაწილეობის მისაღებად: მაგ. ხმის მიცემის უფლება, პოლიტიკურ პარტიებში გაწევრიანების უფლება, თავისუფლად შეკრების და მიტინგებზე დასწრების უფლება, საკუთარი აზრის გამოხატვის და ინფორმაციის მიღების უფლება.

კატეგორიები არ არის ერთმნიშვნელოვანი, არამედ არის ერთ-ერთი უფლებათა კლასიფიცირების განსხვავებულ მეთოდებს შორის. უფლებათა უმეტესობა ერთზე მეტ კატეგორიაში ხვდება. მაგ. საკუთარი აზრის გამოხატვის უფლება არის როგორც სამოქალაქო, ასევე პოლიტიკური უფლება. ის მნიშვნელოვანია როგორც პოლიტიკურ ცხოვრებაში მონაწილეობის მიღების, ასევე ჩვენი პიროვნული თავისუფლებისათვის.

? არის ყველა პოლიტიკური უფლება ამასთანავე სამოქალაქო უფლებაც?

დღეისათვის სამოქალაქო და პოლიტიკური უფლებები დეტალურად არის აღწერილი საერთაშორისო პაქტში სამოქალაქო და პოლიტიკური უფლებების შესახებ და ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა ევროპის კონვენციაში. ტრადიციულად, ეს უფლებები ითვლება – ყოველ შემთხვევაში დასავლეთში – ყველაზე მნიშვნელოვნად თუ არა, ადამიანის ერთადერთ ჭეშმარიტ უფლებად. მომდევნო ნაწილში ჩვენ ვნახავთ, რომ ეს შეხედულება მცდარია.

ცივი ომის განმავლობაში საბჭოთა კავშირის რესპუბლიკებს მკაცრად აკრიტიკებდნენ სამოქალაქო და პოლიტიკური უფლებების უგულვებელყოფის გამო. ეს ქვეყნები კი თავის მხრივ კრიტიკით პასუხობდნენ დასავლურ დემოკრატიას ძირითადი სოციალური და ეკონომიკური უფლებების იგნორირებისათვის. ამ საკითხს შემდეგში კვლავ განვიხილავთ. ორივე მხარის კრიტიკაში იყო სიმართლის ელემენტები.

მეორე თაობის უფლებები (სოციალური, ეკონომიკური და კულტურული უფლებები)

ეს უფლებები ეხება ადამიანების თანაცხოვრებას და თანამშრომლობას და ბაზისურ სასიცოცხლო მოთხოვნებს. ისინი ემყარება თანასწორობაზე, ძირითად სოციალურ და ეკონომიკურ კეთილდღეობაზე, მომსახურებებზე და შესაძლებლობებზე გარანტირებულ ხელმისაწვდომობის იდეებს. ისინი თანდათან გახდა საერთაშორისო აღიარების საგანი ინდუსტრიალიზაციის ადრეული ეტაპის და მუშათა კლასის ზრდასთან ერთად. ამან ბუნებრივად მიგვიყვანა ახალ მოთხოვნებამდე და ახალ იდეებამდე ღირსეული ცხოვრების შესახებ. ხალხმა გააცნობიერა, რომ ადამიანის ღირსება მოითხოვდა იმაზე მეტს, ვიდრე უბრალოდ პოლიტიკური და სოციალური უფლებებით გარანტირებული ჩაურევლობა.

- **სოციალური უფლებები** არის უფლებები, რომლებიც აუცილებელია საზოგადოებრივ ცხოვრებაში სრულყოფილი მონაწილეობისათვის. ისინი მოიცავენ სულ მცირე განათლების, ოჯახის შექმნისა და შენარჩუნების უფლებას მაგრამ ამასთანავე ხშირად "სამოქალაქოდ" ჩათვლილ ბევრ უფლებასაც: მაგ. გართობის, ჯანმრთელობის დაცვის, და პირადი ცხოვრების და დისკრიმინაციისაგან დაცვის უფლებები.
- **ეკონომიკური უფლებები** ჩვეულებრივ მოიცავს შრომის, საცხოვრებლის, და მოხუცებულთა და ინვალიდებისათვის პენსიის უფლებას. ეკონომიკური

განვითარების უფლება არის ადამიანის ხელშეუხებელი უფლება, რომლის საშუალებითაც ყველა ადამიანი, პიროვნება და ხალხი უფლებამოსილია მონაწილეობა მიიღოს, წვლილი შეიტანოს და ისარგებლოს ეკონომიკური, სოციალური, კულტურული და პოლიტიკური პროგრესით სადაც ყველა ადამიანის უფლება და ძირითადი თავისუფლება სრულად იქნება რეალიზებული. "

მუხლი 1, გაეროს დეკლარაცია განვითარების უფლების შესახებ

უფლებები ასახავს იმ ფაქტს, რომ მატერიალური უსაფრთხოების გარკვეული მინიმალური დონე საჭიროა ადამიანის ღირსებისათვის და ასევე ფაქტს, რომ სათანადო დასაქმების ან საცხოვრებელი პირობების ნაკლებობა შეიძლება ფსიქოლოგიურად დამრთგუნველი იყოს.

- **კულტურული უფლებები** უკავშირდება საზოგადოების კულტურულ ცხოვრებას და მათ ხშირად უფრო ნაკლები ყურადღება ექცევათ ვიდრე სხვა უფლებებს. ისინი მოიცავს საზოგადოების კულტურულ ღონისძიებებში თავისუფლად მონაწილეობის უფლებას და შესაძლოა განათლების უფლებასაც. მაგრამ სხვა ბევრი უფლებები, რომლებიც ოფიციალურად არ არის კლასიფიცირებული "კულტურულ უფლებებად" გადამწყვეტი მნიშვნელობისაა უმცირესობებისათვის თვით საზოგადოების ფარგლებში, რათა შეინარჩუნონ თავიანთი თვითმყოფადი კულტურა: მაგ. დისკრიმინაციისაგან დაცვის და კანონის თანასწორობის უფლება.

? არის სხვადასხვა კულტურული ჯგუფების უფლებები შეზღუდული თქვენს საზოგადოებაში? რომელი რელიგიური დღესასწაულები არის ეროვნული მნიშვნელობის?

სოციალური, ეკონომიკური და კულტურული უფლებები ჩამოყალიბებულია საერთაშორისო პაქტში ეკონომიკური, სოციალური და კლუტურული უფლებების შესახებ და ასევე ევროპის სოციალურ ქარტიაში.

არსებობს მეტ-ნაკლებად მნიშვნელოვანი უფლებები?

სოციალურმა და ეკონომიკურმა უფლებებმა მძიმე დრო გამოიარეს სამოქალაქო და პოლიტიკური უფლებების თანასწორად აღიარების გზაზე. ამას ჰქონდა როგორც იდეოლოგიური ასევე პოლიტიკური მიზეზები. თუმცა ჩვეულებრივი მოქალაქისათვის ნათელია, რომ ისეთი რამ როგორიცაა მინიმალური სტანდარტის საცხოვრებელი პირობები და დასაქმების რაციონალური პირობები არის ფუნდამენტური მნიშვნელობის ადამიანის ღირსებისათვის, პოლიტიკოსები ჯერ კიდევ არ არიან მზად მსგავსი აღირებისათვის. ეჭვგარეშეა, რომ აღნისნულის ერთ-ერთი მიზეზი არის ის, რომ ბაზისური სოციალური და ეკონომიკური უფლებების მთელ მსოფლიოში ყველას უზრუნველყოფა მოითხოვს რესურსების მასიურ გადანაწილებას. პოლიტიკოსებმა კი კარგად იციან, რომ ამგვარ პოლიტიკას არ მოაქვს ამომრჩევლების ხმები.

შესაბამისად ისინი გვთავაზობენ მთელ რიგ თავის გასამართლებელ მიზეზებს იმის ასახსნელად თუ რატომ არ არის მეორე თაობის უფლებები პრიორიტეტული. პირველი პრეტენზია, რომელიც ხშირად ცხადდება არის ის, რომ სოციალური და ეკონომიკური უფლებები არ არის რეალისტური და რეალიზებადი, ყოველ შემთხვევაში მოკლე პერიოდში, და ამიტომ ისინი თანდათანობით უნდა განვახორციელოთ. ეს არის მიდგომა, რომელიც მიღებულია ეკონომიკური, სოციალურ და კულტურული უფლებების საერთაშორისო პაქტშიც კი: მთავრობებმა უბრალოდ უნდა აჩვენონ, რომ ისინი ღებულობენ ზომებს ამ ამოცანების გადასაჭრელად სამომავლოდ გარკვეული პერიოდისთვის. თუმცა საკითხი ნამდვილად გახსნილია დებატებისათვის და ირკვევა, რომ თითქოს უფრო მეტად ეფუძნება პოლიტიკურ მოსაზრებებს ვიდრე რაიმე სხვას. ბევრი დამოუკიდებელი კვლევა აჩვენებს, რომ მოსფლიოში საკმარისი რესურსები არსებობს და საკმარისი გამოცდილება რათა დაკმაყოფილდეს ყველას ბაზისური მოთხოვნები თუ ამისკენ ერთობლივი ძალისხმევა იქნება მიმართული.

„პირველ რიგში კუჭი, შემდეგ კი მორალი".

ბერტოლდ ბრეხტი

ემილ ანრიო 1889-1961წ.

მეორე პრეტენზია არის ის, რომ არსებობს ფუნდამენტური თეორიული განსხვავება პირველ და მეორე თაობის უფლებებს შორის: პირველი ტიპის უფლებები მოითხოვს მთავრობებისაგან უბრალოდ თავი შეიკავონ გარკვეული საქმიანობისაგან (ეს არის ე.წ. "ნეგატიური უფლებები"); ხოლო მეორე ტიპის უფლებები მოითხოვს მთავრობის პოზიტიურ ჩარევას (ეს არის "პოზიტიური უფლებები"). ამ არგუმენტის მიხედვით არარელისტურია მოელოდე მთავრობისაგან პოზიტიურ ქმედებებს ახლო მომავალში და რომ შესაბამისად ისინი არ არიან ვალდებული რაიმე ზომები მიიღონ. ვინმეს მიმართ რაიმე ვალდებულების არსებობის გარეშე არ შეიძლება არსებობდეს რაიმე უფლება ამ სიტყვის სრული მნიშვნებლობით.

მაგრამ ამგვარი არგუმენტაციის შემთხვევაში არსებობს 2 ძირითადი გაუგებრობა.

პირველი, სამოქალაქო და პოლიტიკური უფლებები არავითარ შემთხვევაში არ არის სუფთად ნეგატიური. მაგ. იმისათვის რომ მთავრობამ უზრუნველყოს წამებისაგან დაცვა არ არის საკმარისი, რომ ოფიციალურმა პირებმა უბრალოდ თავი შეიკავონ ხალხის წამებისაგან! ჭეშმარიტი თავისუფლება ამ სფეროში მოითხოვს შემოწმებისა და კონტროლის რთული სისტემის არსებობას: პოლიციური სისტემები, იურიდიული მექანიზმები, ინფორმაციის თავისუფლება და ხელმისაწვდომობა თავისუფლების აღკვეთის ადგილებში, და კიდევ უამრავის რამ. იგივე ეხება ხმის უფლების უზრუნველყოფას და სხვა პოლიტიკურ და სამოქალაქო უფლებებს. სხვა სიტყვებით, ეს უფლებები ნეგატიური ქმდებისაგან თავის შეკავების გარდა მთავრობის მხრიდან მოითხოვს პოზიტიურ ქმედებას.

? რა პოზიტიური ქმედება უნდა განახორციელოს მთავრობამ იმისათვის, რომ უზრუნველყოს ჭეშმარიტად თავისუფალი და სამართლიანი არჩევნები?

მეორე, სოციალური და ეკონომიკური უფლებები სამოქალაქო და პოლიტიკური უფლებების მსგავსად ასევე მოითხოვს, რომ მთავრობებმა თავი შეიკავონ კონკრეტული საქმიანობისაგან: მაგ. მისცეს კომპანიებს დიდი საგადასახადო შეღავათები, ან წაახალისოს იმ სფეროების განვითარება, რომლებიც უკვე ფლობენ შედარებით უპირატესობას, ან დააწესოს სავაჭრო ტარიფები რომლებიც აზარალებს განვითარებად ქვეყნებს – და ა.შ.

ფაქტობრივად, სხვადასხვა ტიპის უფლებები ბევრად უფრო მჭიდროდ არის დაკავშირებული ერთმანეთთან ვიდრე ამაზე მათი სახელწოდებები მიუთითებს. ეკონომიკური უფლებები ერწყმის პოლიტიკურ უფლებებს; სამოქალაქო უფლებები ხშირად განუყოფელია სოციალური უფლებებისაგან. დასახელებები შეიძლება სასარგებლო იყოს ზოგადი სურათის წარმოსადგენად, მაგრამ მათ ასევე შეიძლება შეცდომაში შეგვიყვანოს. სხვადასხვა პირობებში თითქმის ყველა უფლება შეიძლება მიეკუთვნოს თითქმის ყველა კატეგორიას.

მესამე თაობის უფლებები (კოლექტიური უფლებები)

საერთაშორისო დონეზე აღიარებული ადამიანის უფლებების სია არ არის უცვლელი. თუმცა ადამიანის უფლებათა საყოველთაო დეკლარაციაში ჩამოთვლილი არც ერთი უფლება არ დამდგარა კითხვის ნიშნის ქვეშ მისი არსებობის

...დამიანს აქვს
...ნაწილეობდეს
...როგრესში და
...ლობდეს მისი
...სიკეთით."

*...ს უფლებათა
... დეკლარაცია
... 27 მუხლი*

დაახლოებით 50 წლის მანძილზე ახალმა ხელშეკრულებებმა და დოკუმენტებმა დააზუსტა და შემდგომი განვითარება მისცა ამ დოკუმენტის ორიგინალში ჩამოყალიბებულ ზოგიერთ ბასიზურ კონცეფციას.

ეს დამატებები იყო მთელი რიგი ფაქტორების შედეგი: ნაწილობრივ ისინი განპირობებული იყო ადამიანის ღირსების შესახებ წარმოდგენის ცვლილებით, ნაწილობრივ ეს იყო პასუხი ტექნოლოგიურ მიღწევებზე და ხშირად კი ეს იყო ახალი საფრთხის აღმოცენების შედეგი. ახალი სპეციფიკური კატეგორიის უფლებების შემთხვევაში, რომელიც შემოთავაზებული იყო როგორც მესამე თაობის უფლებები ეს იყო სხვადასხვა სახის დაბრკოლებების უფრო ღრმა გააზრების შედეგი, რომლებიც შეიძლება დადგეს პირველი და მეორე თაობის უფლებების რეალიზების გზაზე. გლობალიზაციის მზარდმა პროცესმა ასევე გამოათავისუფლება რესურსები, რომლებიც შეიძლება გამოყენებულ იქნას ამ დაბრკოლებების მოსახსნელად.

? რა არის მთავარი დაბრკოლება რაც ხელს უშლის ადამიანის უფლებების დაცვას განვითარებად ქვეყნებში? რომელი უფლებებია ყველაზე დიდი საფრთხის ქვეშ?

მესამე თაობის უფლებების საფუძველს წარმოადგენს სოლიდარობის იდეა. და ეს უფლებები მოიცავს საზოგადოების ან ხალხის კოლექტიურ უფლებებს – როგორიცაა მდგრადი განვითარების, მშვიდობის, ან ჯანსაღი გარემოს უფლება. მსოფლიოს უმეტეს ნაწილში ისეთი პირობები როგორიცაა უკიდურესი სიღატაკე, ომი, ეკოლოგიური და ბუნებრივი კატასტროფები იწვევს მცირე პროგრესს ადამიანის უფლებების დაცვის თვალსაზრისით. ამის გამო ბევრმა ადამიანმა გაიაზრა, რომ საჭიროა ადამიანის უფლებების ახალი კატეგორიის აღიარება: ეს უფლებები უზრუნველყოფდა სათანადო პირობებს საზოგადოებებისათვის, განსაკუთრებით განვითარებად ქვეყნებში, რათა დაეცვათ უკვე აღიარებული პირველი და მეორე თაობის უფლებები.

სპეციფიკური უფლებები, რომლებიც ყველაზე ხშირად არის მოხსენიებული მესამე თაობის უფლებების კატეგორიაში არის განვითარების, მშვიდობის, ჯანსაღი გარემოს, კაცობრიობის საერთო მემკვიდრეობის გაზიარების, კომუნიკაციის, და ჰუმანიტარული დახმარების უფლება.

თუმცა არსებობს დავა უფლებათა ამ ახალი კატეგორიის შესახებ. ზოგიერთი ექსპერტი ეწინააღმდეგება იდეას, რომ კოლექტიურ უფლებებს შეიძლება ეწოდოს "ადამიანის უფლებები". ადამიანის უფლებებს განმარტების მიხედვით ფლობენ ინდივიდები, და ისინი განსაზღვრავენ ინდივიდუალური ინტერესების სფეროს, რომელსაც პრირიტეტი უნდა მიენიჭოს საზოგადოების ან სოციალური ჯგუფების ინტერესებთან შედარებით. ამისგან განსხვავებით კოლექტიური უფლებებს ფლობენ საზოგადოებები ან სულაც მთლიანად სახელმწიფოები.

კამათი იმდენად შეეხება არა იმას, არსებობს თუ არა ეს უფლებები, არამედ უნდა იყოს თუ არა ისინი კვალიფიცირებული როგორც ადამიანის უფლებები. ეს კამათი სცილდება უბრალო ვერბალური დებატების ფარგლებს, რადგანაც ზოგიერთი შიშობს, რომ ასეთმა ტერმინოლოგიურმა ცვლილებამ შეიძლება "გამართლება" მოუძებნოს გარკვეულ რეპრესიულ რეჟიმებს, რომლებიც უარს ეუბნება ადამიანებს ინდივიდუალურ უფლებებზე კოლექტიური უფლებების სახელით. მაგ. სამოქალაქო უფლებების მკვეთრი შეკვეცა "ეკონომიკური განვითარების" უზრუნველყოფის მიზნით. არსებობს კიდევ ერთი შიში, რომელიც ხშირად გამოითქმება: რადგანაც მესამე თაობის უფლებების დაცვას უზრუნველყოფს

არა სახელმწიფო არამედ საერთაშორისო საზოგადოებრიობა შეუძლებელია პასუხისმგებლობის გარანტირება. ვინ ან რამ უნდა აგოს პასუხი კავკასიაში ან პალესტინაში მშვიდობის არსებობაზე?

მიუხედავად ამისა, რაც არ უნდა გადავწყვიტოთ დავარქვათ მათ არსებობს ზოგადი შეთანხმება, რომ ეს სფეროები მოითხოვს შემდგომ შესწავლას და ყურადღებას საერთაშორისო საზოგადოებრიობის მხრიდან. ზოგიერთი კოლექტიური უფლება უკვე აღიარებულია კონკრეტულად ადამიანის და ხალხის უფლებების აფრიკული ქარტიის მიერ. თავად ადამიანის უფლებათა საყოველთაო დეკლარაცია მოიცავს თვითგამორკვევის უფლებას, განვითარების უფლება კი ჩამოყალიბებული იყო 1986 წლის გაეროს გენერალური ასამბლეის დეკლარაციაში.

მეცნიერული პროგრესი

კიდევ ერთი სფერო, სადაც ახალი უფლებების აღიარება მოხდა არის სამედიცინო მეცნიერება. ახალმა სამეცნიერო მიღწევებმა წამოჭრა მთელი რიგი ადამიანის უფლებებთან დაკავშირებული საკითხები, კერძოდ, გენური ინჟინერიის, ორგანოებისა და ქსოვილების ტრანსპლანტაციის სფეროში. მეცნიერულ-ტქნიკური პროგრესის შედეგად წამოიჭრა სიცოცხლის ბუნებასთან დაკავშირებული საკითხები. დროის ამ გამოწვევაზე ევროსაბჭომ რეაგირება მოახდინა ახალი საერთაშორისო ხელშეკრულების სახით: ადამიანის უფლებათა დაცვის კონვენცია და ადამიანის ღირსება ბიოლოგიისა და მედიცინის გამოყენებასთან მიმართებაში (ამიერიდან, ის მოიხსენიება როგორც ოვიედოს კონვენცია). ეს ხელშეკრულება ძალაში შევიდა 1999 წ. დეკემბერში.

ეს კონვენცია ხემლოწერილ იქნა ევროპის საბჭოს 30 წევრი სახელმწიფოს მიერ და რატიფიცირებული იქნა 10 -ის მიერ. ის შეიცავს რეკომენდაციებს წინა ნაწილში წამოჭრილი ზოგიერთი პრობლემატური საკითხის შესახებ. ქვემოთ მოყვანილია ყველაზე აქტუალური მუხლების რეზიუმე:

- პიროვნების წინაღმდეგ ნებისმიერი ფორმის დისკრიმინაცია მათი გენეტიკური მემკვიდრეობის საფუძველზე აკრძალულია
- პროგნოზული სახის გენეტიკური ტესტები შეიძლება განხორციელდეს მხოლოდ სამედიცინო მიზნებისათვის და არა მაგალითად იმ ფიზიკური მახასიათებლების განსაზღვრისათვის, რომელიც ბავშვს ექნება მოგვიანებით.
- ჩარევა რომელიც მიზნად ისახავს ადამიანის გენის მოდიფიცირებას შეიძლება განხორციელდეს მხოლოდ პრევეციული, დიაგნოსტიკური, ან თერაპიული მიზნებით.
- სამედიცინო ჩარევის შედეგად გამრავლება არ არის დაშვებული თუ ეს მიზნად ისახავს მომავალი ბავშვის სქესის განსაზღვრას.

ცოცხალი ადამიანის სხეულიდან ორგანოს ან ქსოვილის ამოღება ტრანსპლანტაციისათვის შეიძლება განხორციელდეს მხოლოდ რეციპიენტის მკურნალობის მიზნებით (მუხლი 21 – ფინანსური მოგების აკრძალვა).

"ნებისმიერი ჩარევა, რომელიც ცდილობს შექმნას მეორე ცოცხალი თუ მკვდარი ადამიანის გენეტიკურად მსგავსი ადამიანი აკრძალულია".

ადამიანის უფლებათა და ადამიანის ღირსების დაცვის კონვენციის დამატებითი პროტოკოლი \პარიზი 1998

ბიოტექნოლოგია

გენური ინჟინერია არის ორგანიზმის მემკვიდრული ნიშან-თვისებების შეცვლის მეთოდი წინასწარგანსაზღვრული გზით მისი გენეტიკური მასალის შეცვლის

საშუალებით. ამ სფეროში მიღწეულმა პროგრესმა გამოიწვია ინტენსიური კამათი მთელი რიგი ეთიკური და ადამიანის უფლებების საკითხების გარშემო. მაგ უნდა იყოს თუ არა ნებადართული უჯრედების შეცვლა თუკი ეს იწვევს მუდმივ გენურ ცვლილებას მთელ ორგანიზმში და მომდევნო თაობებში. ან უნდა იყოს თუ არა ნებადართული ინდივიდუალური გენიდან კლონური ორგანიზმის რეპროდუქცია ადამიანის შემთხვევაში თუკი ეს ნებადართულია თაგვებსა და ცხვრებში.

ბიოსამედიცინო პროგრესმა ასევე შესაძლებელი გახადა ზრდასრული და ნაყოფის ორგანოების და ქსოვილების გადანერგვა ერთი სხეულიდან მეორეში. გენური ინჟინერიის მსგავსად ეს იძლევა უზარმაზარ პოტენციალს ზოგიერთი ადამაინის სიცოცხლის გაუმჯობესებისათვის და გადარჩენისთვისაც კი – მაგრამ დაფიქრდით ზოგიერთი პრობლემატურ საკითხზე, რომელიც გამოწვეულია ამ პროგრესით:

- თუ სიცოცხლე შეიძლება იქნას გადარჩენილი ან გაუმჯობესებული მკვდარი სხეულიდან გადანერგილი ორგანოს საშუალებით უნდა იქნას თუ არა ეს მცდელობა ყოველთვის განხორციელებული? თუ გარდაცვლილიც იმსახურებს პატივისცემას?
- როგორ უნდა ვუზრუნველყოთ, რომ ყველას თანაბარი შანსი ჰქონდეს ტრანსპლანტატის მიღებაზე როდესაც ორგანოები შეზღუდული რაოდენობით არსებობს?
- უნდა არსებობდეს თუ არა კანონები, რომლებიც დაარეგულირებს ორგანოებისა და ქსოვილების კონსერვაციას?
- თუ სამედიცინო ჩარევა გავლენას ახდენს ინდივიდის გენზე და ეს საფრთხეს უქმნის ინდივიდის სიცოცხლეს ან სიცოცხლის ხარისხს უნდა იყოს თუ არა ეს კომპენსირებული? იქნება მკვლელობა დასაშვები თუ პიროვნება ისედაც კვდება? თუკი ეს ადამიანი გარდაიცვლება, რამდენად სწორი იქნება ბრალდების წაყენება მკვლელობის მუხლით?

adamianis uflebaTa samarTlebrivi dacva

ჩვენ უკვე ვიცით, რომ ადამიანის უფლებები განუყოფლად ყველა ადამიანის კუთვნილებაა. მაგრამ როგორ ვისარგებლოთ ამ უფლებებით? სად ვიპოვოთ

“კანონი არ ცვ
მაგრამ ის ნამ
ზღუდავს უგუ

მარტინ ლუთე

დადასტურება, რომ ისინი ოფიციალურად არის აღიარებული სახელმწიფოს მიერ? როგორ ხორციელდება ეს უფლებები?

ადამიანის უფლებები აღიარებულია შეთანხმებებთ

სახელმწიფოები იკრიბებიან საერთაშორისო დონეზე, რათა შეიმუშაონ ხელშეკრულებები ადამიანის უფლებების საკითხზე. ეს შეთანხმებები ადგენს სახელმწიფოთა ქცევის ობიექტურ სტანდარტებს და უწესებს მათ გარკვეულ ვალდებულებებს ინდივიდების მიმართ. ეს ვალდებულებები 2 სახის შეიძლება იყოს: იურიდიულად სავალდებულო ან არასავალდებულო.

სავალდებულო დოკუმენტს, რომელსაც ხშირად ხელშეკრულებას, კონვენციას, ან პაქტს უწოდებენ წარმოადგენს სახელმწიფოების მზადყოფნას განახორციელონ უფლებები ნაციონალურ დონეზე. სახელმწიფოებმა უნდა გამოხატონ ინდივიდუალური მზადყოფნა და ეს შეიძლება გაკეთდეს ხელშეკრულების რატიფიცირების ან მასთან მიერთების გზით. (დოკუმენტზე უბრალოდ ხელის მოწერა არ ხდის მას სავალდებულოს.) სახელმწიფოებს ზოგადად უფლება აქვთ თავი შეიკავონ ან გააკეთონ დოკუმენტის ზოგიერთი დებულებისგან განთავისუფლების შესახებ დათქმა. ამ პრაქტიკის მიზანია რაც შეიძლება მეტმა სახელმწიფომ მოაწეროს დოკუმენტს ხელი. ბოლოს და ბოლოს ჯობია სახელმწიფო პირობას დებდეს, რომ დაიცავს ადამიანის ზოგიერთ უფლებას ვიდრე არც ერთს! თუმცა ეს მექანიზმი ხანდახან შეიძლება დაირღვეს და გამოყენებულ იქნას როგორც ადამიანის ძირითადი უფლებებზე უარის თქმის საფუძველი და მისცეს სახელმწიფოს საშუალება გაექცეს საერთაშორისო მეთვალყურეობას ზოგიერთ სფეროში.

? როგორ ფიქრობთ რატომ არიან მზად სახელმწიფოები, რომელშიც ადამიანების უფლებების დაცვა ნაკლებად არის უზრუნველყოფილი ხელი მოაწერონ ადამიანის უფლებათა საერთაშორისო ხელშეკრულებებს?

განსხვავებით სავალდებულო დოკუმენტებისაგან, არასავალდებულო დოკუმენტი არის უბრალო დეკლარაცია ან სახელმწიფოების პოლიტიკური შეთანხმება, რომ ყველაფერი გაკეთდება დასახული მიზნების მისაღწევად, თუმცა ამისათვის არ არსებობს არანაირი საკანონმდებლო ვალდებულება. ეს ნიშნავს, რომ არ არსებობს პრაქტიკულად განხორციელების რაიმე ოფიციალური (ან საკანონმდებლო) მექანიზმები.

? რა ფასი აქვს უბრალოდ "დაპირებას" სამართლებრივი ნორმების შესრულების შესახებ, როდესაც ეს არ არის გამყარებული იურიდიული მექანიზმებით? თუ ეს უკეთესია, ვიდრე არაფერი?

გაეროს დეკლარაცია ანუ არასავალდებულო დოკუმენტი ჩვეულებრივ არის გაეროს გენერალური ასამბლეის შეხვედრის ან კონკრეტულ თემაზე ჩატარებული კონფერენციის შედეგი. ყველა სახელმწიფო უბრალოდ გაეროს წევრობის ან კონფერენციაზე დასწრების გამო ითვლება დეკლარაციის მომხრედ. ადამიანის უფლებების აღიარება ასევე შეიძლება მოხდეს ეროვნულ დონეზე როგორც სახელმწიფოსა და ხალხის შეთანხმების შედეგი. როდესაც ადამიანის უფლებების აღიარება ხდება ეროვნულ დონეზე ისინი ხდება სახელმწიფოს უპირატესი ვალდებულება მისი ხალხის მიმართ.

ZiriTadi saerTaSoriso dokumentebi

ადამიანის უფლებების მნიშვნელობა თანდათან უფრო მეტ აღიარებას და უფრო მეტ მხარდაჭერას პოულობს. ეს უნდა განვიხილოთ არა მხოლოდ როგორც ადამიანის უფლებების დამცველთა გამარჯვება, არამედ ზოგადად ხალხის. ასეთი წარმატების შედეგია ადამიანის უფლებათა დოკუმენტების დიდი და რთული ინსტიტუტის და მათი განხორციელების მექანიზმების ჩამოყალიბება.

ადამიანის უფლებათა დოკუმენტები ჩვეულებრივ კლასიფიცირდება 3 ძირითად კატეგორიაში: გეოგრაფიული (რეგიონალური ან უნივერსალური), გათვალისწინებული უფლებების კატეგორიის მიხედვით და პიროვნებების ან ჯგუფების სპეციფიკური კატეგორიის მიხედვით, რომლებზეც ვრცელდება ეს უფლებები.

გაეროს ფარგლებში არსებობს 100-ზე მეტი ადამიანის უფლებებთან დაკავშირებული დოკუმენტი და თუ ამას დავამატებთ რეგინალურ დონეზე არსებულ სხვადასხვა დოკუმენტსაც ეს რიცხვი ბევრად უფრო გაიზრდება. სახელმძღვანელოში ჩვენ ვერ განვიხილავთ ყველა ამ დოკუმენტს და ამიტომაც ეს ნაწილი შეეხება ყველაზე მნიშვნელოვან დოკუმენტებს:

- დოკუმენტები, რომლებიც ფართოდ არის აღიარებული და რომლებმაც შექმნეს საფუძველი ადამიანის უფლებათა სხვა დოკუმენტებისათვის
- ძირითადი ევროპული დოკუმენტები
- დოკუმენტები, რომლებიც ეხება სახელმძღვანელოში განხილულ გლობალურ საკითხებს.

უფლებათა საერთაშორისო ბილი

ყველაზე მნიშვნელოვანი გლობალური ადამიანის უფლებათა დოკუმენტი არის 1948 წ. გაეროს გენერალური ასამბლეის მიერ მიღებული ადამიანის უფლებათა საყოველთაო დეკლარაცია. მან იმდენად ფართო აღიარება მოიპოვა, რომ მისი საწყისი არასავალდებულო ხასიათი შეიცვალა და ახლა ხშირად ეყრდნობიან, როგორც საერთაშორისო სამართლის იურიდიულად სავალდებულო დოკუმენტს.

ადამიანის უფლებათა საყოველთაო დეკლარაცია შედგება პრეამბულისა და 30 მუხლისაგან, რომლებიც აყალიბებენ ადამიანის უფლებებს და ძირითად თავისუფლებებს, რომელიც გააჩნია ყველა ქალს და კაცს მთელ დედამიწაზე რაიმე დისკრიმინაციის გარეშე. ის უზრუნველყოფს როგორც სამოქალაქო ასევე პოლიტიკურ, სოციალურ, ეკონომიკურ და კულტურულ უფლებებს.

სამოქალაქო და პოლიტიკურ უფლებების საერთაშორისო პაქტი და საერთაშორისო პაქტი ეკონომიკური, სოციალური და კულტურული უფლებების შესახებ ძალაში შევიდა 1976 წელს და წარმოადგენენ ძირითად, იურიდიულად სავალდებულო დოკუმენტებს მსოფლიოს მასშტაბით. ადამიანის უფლებათა საყოველთაო დეკლარაციასთან ერთად ისინი ქმნიან უფლებათა საერთაშორისო ბილს. თითოეული მათგანი, როგორც მათი სახელებიც მიუთითებს, მიეკუთვნება უფლებათა სხვადასხვა კატეგორიას.

საერთაშორისო პაქტი სამოქალაქო და პოლიტიკური უფლებების შესახებ მოქმედებას იწყებს როგორც კი სახელმწიფო შეუაერთდება მას, ხოლო საერთაშორისო პაქტი ეკონომიკური, სოციალური და კულტურული უფლებების შესახებ შეიძლება განხორციელდეს ეტაპობრივად. (ამასთან, სახელმწიფოებ კისრულობენ ვალდებულებას განავითარონ პოლიტიკა და კანონმდებლობა, რომელიც ხელს შეუწყობს უფლებების სრულ რეალიზაციას) განსხვავება იმით

აიხსნება, რომ ეკონომიკური, სოციალური და კულტურული ულებები არ შეიძლება განხორციელდეს მომენტალურად.

? ფიქრობთ რომ სწორია სამოქალაქო და პოლიტიკური უფლებების დაუყოვნებელი განხორციელება ხოლო სოციალური და ეკონომიკური უფლებების კი ეტაპობრივად?

ევროპული დოკუმენტები

მსოფლიოს ხუთიდან ოთხ რეგიონში, შექმნილია ადამიანის უფლებათა დამცავი სისტემები. ამერიკის კონტინენტზე მოქმედებს ამერიკის სახელმწიფოების ორგანიზაცია და მთავარი სავალდებულო დოკუმენტი არის 1969 წლის ამერიკული კონვენცია ადამიანის უფლებების შესახებ. აფრიკაში არსებობს 1986 წ. აფრიკის კავშირის (ყოფილი აფრიკული ერთობის ორგანიზაცია) ფარგლებში მიღებული ადამიანისა და ხალხის უფლებების აფრიკული ქარტია. აზიის კონტინენტზე არავითარი რეალური სისტემა დღემდე არ არის განვითარებული და ერთადერთი რეგიონალური ადამიანის უფლებათა დოკუმენტი არის არასავალდებულო აზიური დეკლარაცია ადამიანის უფლებათა შესახებ. რა მდგომარეობაა ევროპაში? ევროპას, რა თქმა უნდა, აქვს ადამიანის უფლებათა დაცვის კარგად ჩამოყალიბებული სისტემა ევროპის საბჭოს ფარგლებში.

? როგორ ფიქრობთ რატომ ჩათვალეს სხვადასხვა რეგიონებმა საჭიროდ საკუთარი ადამიანის უფლებათა სისტემების ჩამოყალიბება?

ევროპაში ადამიანის უფლებათა დაცვის ძირითადი დოკუმენტია ევროპული კონვენცია ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვის შესახებ (ის ასევე ცნობილია როგორც ევროპული კონვენცია ადამიანის უფლებათა შესახებ). მიღებულია ევროსაბჭოს ყველა წევრი სახელმწიფოს მიერ, რადგანაც წარმოადგენს გაწევრიანების ძირითად პირობას. მიღებულ იქნა 1950 წ. მაგრამ ძალაში შევიდა მხოლოდ სამი წლის შემდეგ. მოიცავს სამოქალაქო და პოლიტიკურ უფლებებს და მთავარი უპირატესობა არის მისი რეალიზაციის მექანიზმი – ევროპის ადამიანის უფლებათა სასამართლო. ამ სასამართლოთი და მისი პრაქტიკით აღფრთოვანებულია მთელი მსოფლიო და მას ხშირად მიმართავს გაერო, მრავალი ქვეყნის კონსტიტუციური სასამართლო და სხვა რეგიონალური სისტემები.

ისევე როგორც გაეროს სისტემაში, ევროპაშიც სოციალური და ეკონომიკური უფლებები განიხილება ცალკე დოკუმენტში. ევროპის სოციალური ქარტია (შესწორებული) არის იურიდიულად სავალდებულო დოკუმენტი. იგი შეიცავს უფლებებს, რომლებიც ევროპელებს უზრუნველყოფს სათანადო ცხოვრების დონით. ქარტია 2001 წლისათვის ხელმოწერილი იყო 32 წევრი-სახელმწიფოს მიერ და მათგან 12 რატიფიცირებული ჰქონდა ის.

"მე ჩემს თავს ყველა უცნობის თვალებში ვხედავ".

როჯერ უოტერსი

sabWos ZiriTadi instrumentebi da meqanizmebi adamianis uflebaTa sferoSi



სპეციფიური ჯგუფების დაცვა

ინდივიდების ძირითადი უფლებების დაცვასთან ერთად ზოგიერთი ადამიანის უფლებათა დოკუმენტი აღიარებს სპეციფიური ჯგუფების უფლებებს. ეს სპეციალური დაცვა საჭირო გახდა გარკვეული ჯგუფების მიმართ დისკრიმინაციის ადრეული შემთხვევების გამო და იმ არაპრივილეგირებული და დაუცველი პოზიციების გამო, რომელიც ზოგიერთ ჯგუფებს უჭირავთ საზოგადოებაში. იმ ჯგუფების მაგალითები რომლებმაც მიიღეს სპეციალური დაცვა არის:

უმცირესობები

უმცირესობები დაცულნი არიან:

- გაეროს დონეზე 1992 წელს მიღებული ეროვნული, ეთნიკური, რელიგიური ან ლინგვისტური უმცირესობების წარმომადგენელი პიროვნებების უფლებების დეკლარაციით და უმცირესობათა დამცველი და დისკრიმინაციის ამკრძალავი ქვეკომისიის საშუალებით.
- ევროპის დონეზე სავალდებულო დოკუმენტით – ჩარჩო კონვენცია ეროვნული უმცირესობების დაცვისათვის, რომელმაც დაარსა

დამოუკიდებელი ექსპერტების მონიტორინგის ჯგუფი: ჩარჩო კონვენციის მრჩეველთა კომიტეტი

- ევროპის უსაფრთხოებისა და თანამშრომლობის ორგანიზაციაში განსაკუთრებული ადგილის მინიჭებით – უმაღლესი კომისარი ეროვნული უმცირესობების საქმეში, და შესაბამისი ევროპის უშიშროებისა და თანამშრომლობის ორგანიზაციის დოკუმენტებით.

ბავშვები

მათი ძირითადი დაცვა უზრუნველყოფილია გაეროს დონეზე 1990 წლის ბავშვთა უფლებების კონვენციის სახით, რომელიც არის ყველაზე ფართო მაშტაბით რატიფიცირებული კონვენცია (აშშ-ს და სომალის გამოკლებით). აფრიკის დონეზე აფრიკული ქარტია ბავშვის უფლებებისა და კეთილდღეობის შესახებ უზრუნველყოფს ბავშვთა ძირითადი უფლებების დაცვას კონტინენტზე არსებული სიტუაციის სპეციფიკური ფაქტორების გათვალისწინებით. ის ძალში შევიდა 1999 წელს.

ლტოლვილები

ლტოლვილების უფლებები განსაკუთრებულად არის გარანტირებული 1951 წლის ლტოლვილთა სტატუსის კონვენციაში და გაეროს ლტოლვილთა უმაღლესი კომისარიატის მიერ. ერთადერთი რეგიონალური სისტემა სპეციფიური დოკუმენტით ლტოლვილთა დაცვის შესახებ არის აფრიკაში, რომელმაც 1969 წ. მიიღო ლტოლვილთა სპეციფიკური ასპექტების მარეგულირებელი კონვენცია, მაგრამ ევროპაში ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენცია ასევე გვთავაზობს გარკვეულ დამატებით დაცვას.

ქალები

მსოფლიოში სქესთა შორის თანასწორობის დამყარების მიზნით 1979 წელს გაერომ მიიღო კონვენცია ქალების მიმართ დისკრიმინაციის ნებისმიერი ფორმის აღმოფხვრის შესახებ, როგორც სპეციალური დოკუმენტი, რომელიც იცავს ქალთა უფლებებს.

სხვა ჯგუფები

ჯგუფები, როგორიცაა მშრომელები და პატიმრები ასევე იმყოფებიან სპეციალური დაცვის ქვეშ მათი დაუცველი პოზიციის გამო, რომელიც ადვილად ექვემდებარება ხელყოფას. სხვა ჯგუფები მაგ. აბორიგენები არც ისე იღბლიანები აღმოჩნდნენ, მათ ვერ მიიღეს სპეციფიური დაცვა და როგორც ჯგუფი წლების განმავლობაში იბრძვიან თავიანთი უფლებებისათვის.

? შეგიძლიათ დაასახელოთ თქვენი საზოგადოების ჯგუფები, რომლებსაც ესაჭიროებათ სპეციალური დაცვა?

ბრძოლა რასიზმისა და შეუწყნარებლობის წინაღმდეგ

რასიზმისა და შეუწყნარებლობის საწინაღმდეგო ევროპული კომისია არის მექანიზმი, რომელიც დარსდა 1993 წ. ევროპის საბჭოს წევრი სახელმწიფოების მთავრობის მეთაურების სამიტზე. რასიზმისა და შეუწყნარებლობის საწინაღმდეგო ევროპული კომისიის ამოცანა არის ებრძოლოს რასიზმს, ქსენოფობიას, ანტისემიტიზმს და შეუწყნარებლობას მთლიანად ევროპის დონეზე, მათ შორისაა

adamianis uflebaTa evropis konvenciis oqmi #12

რასიზმისა და შეუწყნარებლობის წინააღმდეგ ევროპის კომისიის ახალი ოქმი მიღებულ იქნა 2000 წ.: ოქმი №12. ამ მომენტისათვის მასზე ხელი მოწერილი აქვს 27 სახელმწიფოს და რატიფიცირებულია 2-ის მიერ. ის ძალაში შევა 10 რატიფიკაციის შემდეგ. მისი ძირითადი აქცენტი არის დისკრიმინაციის აკრძალვა. რასიზმისა და შეუწყნარებლობის წინააღმდეგ ევროპის კომისია უკვე იძლევა დისკრიმინაციისაგან დაცვის გარანტიას (მუხლი 14) მაგრამ ეს არა-ადექვატურად ითვლება სხვა საერთაშორისო დოკუმენტების დებულებებთან შედარებით როგორიცაა ადამიანის უფლებების საყოველთაო დეკლარა-ცია და საერთაშორისო პაქტი სამოქალაქო და პოლიტიკური უფლებების შესახებ. ძირითადი მიზეზი არის, ის რომ მუხლი 14 სხვებისაგან განსხვავებით არ შეიცავს დისკრიმინაციის დამოუკიდებელ აკრძალვას. ანუ ის კრძალავს დისკრიმინაციას მხოლოდ "უფლებებით და თავისუფლებებით" სარგებლო-ბის საფუძველზე, რომელიც ჩამოყალიბებულია კონვენციაში. როდესაც ეს პროტოკოლი ძალაში შევა დისკრიმინაციის აკრძალვას მიეცემა "დამოუკიდებელი სიცოცხლე" სხვა დებულებებისაგან განსხვავებით.

ადამიანის უფლებათა დაცვაც. რასიზმისა და შეუწყნარებლობის საწინაღმდეგო კომისიის ქმედება მოიცავს ყველა საჭირო ზომას ძალადობის, დისკრიმინაციის და პრეკონცეფციების წინააღმდეგ ბრძოლისათვის, რომელსაც ხვდებიან პიროვნებები ან პიროვნებათა ჯგუფები განსაკუთრებით რასობრივი, კანის ფერის, ენობრივი, რელიგიური, ეროვნული და ნაციონალური ან ეთნიკური წარმომავლობის ნიადაგზე.

რასიზმისა და შეუწყნარებლობის საწინაღმდეგო კომისიის წევრები მათი მთავრობების მიერ დანიშნულები არიან მათი ფუნდამენტური ცოდნის საფუძველზე შეუწყანერბლობასთან ბრძოლის სფეროში. ისინი დასახელებული იყვნენ პიროვნული პასუხისმგებლობის ბაზაზე და მოქმედებენ მთავრობისაგან დამოუკიდებლად.

რასიზმისა და შეუწყნარებლობის საწინაღმდეგო კომისიის ძირითადი პროგრამა შედგება:

- ინდივიდუალური მუშაობა თითოეულ წევრ ქვეყანაში, სიტუაციის ღრმა ანალიზის და კონკრეტული წინადადებების შემუშავების, მათგან გამომდინარე შემდგომი ქმედებების ჩათვლით.
- მუშაობა ზოგად თემებზე (მაგალითების შეგროვება და გავრცელება რასიზმისა და შეუწყნარებლობის წინაღმდეგ კომისიის სპეციფიურ თემებზე დადებითი ხასიათის მუშაობის საილუსტრაციოდ და ზოგადი რეკომედაციების მიღება)
- საზოგადოებასთან დაკავშირებული საქმიანობა ინფორმირებულობის ამაღლების ჩათვლით და საინფორმაციო სესიები წევრ ქვეყნებში, კოორდინაცია ეროვნულ და ადგილობრივ არასამთავრობო ორგანიზაციებთან, ანტირასისტული შეხედულებების გავრცელება და საგანამანათლებლო მასალის შექმნა.

adamianis uflebaTa dacvis uzrunvelyofa

როგორ უნდა მივაღწიოთ დამცავი მექანიზმების ამუშავებას? ვინ ან რა უზრუნველყოფს, რომ სახელმწიფოებმა შეასრულონ ეს ვალდებულებები? მთავარი სამეთვალყურეო ორგანოები არიან კომისიები ან კომიტეტები და სასამართლოები, ყველა მათგანი შედგება დამუკიდებელი წევრებისაგან – ექსპერტების ან მოსამართლეებისაგან – რომლებიც არ წარმოადგენენ ერთ რომელიმე სახელმწიფოს. ამ ორგანოების მიერ გამოყენებული ძირითადი მექანიზმები არის:

1. საჩივარი (ინდივიდის, ჯგუფის ან სახელმწიფოს მიერ აღძრული)
2. სასამართლო საქმეები
3. მოხსენების წარდგენის პროცედურები

რადგანაც ყველა ადამიანის უფლებათა დოკუმენტი ან რეგიონალური სისტემა არ იყენებს ერსთა და იმავე პროცედურებს ადამიანის უფლებათა დამკვიდრებისათვის რამოდენიმე მაგალითი დაგვეხმარება დავაზუსტოთ რას გულისხმობს ეს პროცედურები.

საჩივრები

საჩივარი სახელმწიფოს წინააღმდეგ აღიძრება კომისიის ან კომიტეტის წინაშე რასაც ნახევრადიურდიულ პროცედურას უწოდებენ. ამის შემდეგ სამთვალყურეო ორგანო ღებულობს გადაწყვეტილებას და სახელმწიფოებმა უნდა შეასრულონ ის, თუმცა ამისათვის არ არსებობს არანაირი იურიდიული პროცედურა. ხშირად საჭიროა სახელმწიფომ გააკეთოს შესაბამისი განცხადება ან არჩევითი პროტოკოლის რატიფიკაცია მის მიერ სარჩელთა სისტემის აღიარების

აღსანიშნავად. გაეროს ფარგლებში არსებული ადამიანის უფლებათა კომიტეტი და რასობრივი დისკრიმინაციის აღმოფხვრის კომიტეტი და ამერიკის სახელმწიფოების ორგანიზაციის ფარგლებში არსებული ადამიანის უფლებათა ინტერამერიკული კომისია არის იმ ორგანოთა მაგალითები რომლებიც იხილავენ საჩივრებს.

? უნდა არსებობდეს თუ არა იურიდიული მექანიზმი ადამიანის უფლებათა სტანდარტებთან შესაბამისობის განსამტკიცებლად? რა სანქციები შეიძლება არსებობდეს?

სასამართლო საქმეები

კონკრეტულად ადამიანის უფლებათა განხოციელების მიზნით დამკვირვებელი ორგანოების სახით არსებობს მხოლოდ 2 მუდმივმოქმედი სასამართლო: ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლო და ადამიანის უფლებათა ინტერ-ამერიკული სასამართლო. მაგრამ ასევე დაარსებულია ახალი საერთაშორისო სასამართლო წესდება უკვე რატიფიცირებულია 60 სახელმწიფოს მიერ. ეს სასამართლო - საერთაშორისო სისხლის სამართლის სასამართლო - გაასამართლებს პირებს, რომლებსაც ბრალად ედებათ კაცობრიობის წინაშე დანაშაულის ჩადენა, გენოციდი და ომის დროს ჩადენილი დანაშაულები. ამ თვალსაზრისით ის განსხვავდება და ავსებს ევროპულ და ინტერ-ამერიკულ სასამართლოებს, რომლებიც განიხილავენ სახელმწიფოების წინააღმდეგ აღძრულ საჩივრებს.

მოხსენებები და განხილვები

ადამიანის უფლებათა დოკუმენტების უმრავლესობა მოითხოვს სახელმწიფოებისაგან მოხსენებების წარდგენას. მოხსენებები შედგენილია თავად სახელმწიფოების მიერ დამკვირვებელთა ორგანოს მოთხოვნების შესაბამისად და მოიცავს ზოგად ინფორმაციას უფლებათა ფუნქციონირების შესახებ ეროვნულ დონეზე. მოხსენებები განიხილება საჯაროდ და ჩვეულებრივ არასამთავრობო ორგანიზაციები აქტიურ როლს ასრულებენ ამ ეტაპზე, კერძოდ აკეთებენ ალტერნატიულ მოხსენებას სახელმწიფოსთან ერთად. მაგალითად, საერთაშორისო პაქტიები ადმიანის უფლებების შესახებ და კონვენცია ქალების მიმართ ნებისმიერი ფორმის დიკრიმინაციის აკრძალვის შესახებ, არის ის დოკუმენტები, რომლებიც მოითხოვენ მოხსენებების წარდგენას.

ამ მექანიზმთაგან უმრავლესობა არსებობს კონკრეტული ადამიანის უფლებათა დარღვევების თავიდან აცილების მიზნით. წამებისა და არაადამიანური, დამამცირებელი მოპყრობისაგან დაცვის კონვენცია (1987) განსხვავებული სახისაა. ის დამყარებულია წამებისა და არაადამიანური და დამამცირებელი მოპყრობისაგან დაცვის ევროპული კომიტეტის წევრების ვიზიტებზე დამნაშავეთა დაკავების ადგლებში – მაგ. ციხეები, და მცირეწლოვანების დაკავების ადგილები, პოლიციის განყოფილებები, საჯარისო ყაზარმები და ფსიქიატრიული საავადმყოფოები. წამებისა და არაადამიანური და დამამცირებელი მოპყრობისაგან დაცვის კომიტეტის წევრები სწავლობენ დაკავებულთა მიმართ მოპყრობას და თუ საჭიროა რეკომენდაციას იძლევიან გაუმჯობესებისათვის რათა მოხდეს წესების დაცვა წამების და არაადამიანური მოპყრობის ლიკვიდაციის თვალსაზრისით.

ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლო

სტრასბურგის ევროპული სასამართლო ცნობილია მთელი რიგი მიზეზების გამო, მაგრამ ყველაზე მეტად ალბათ იმის გამო, რომ მან სიცოცხლე და მნიშვნელობა შემატა ადამინის უფლებების შესახებ ევროპული კონვენციის ტექსტს. მისი ერთ-ერთი უპირატესობა არის სავალდებულო იურისდიქციის სისტემა, რაც ნიშნავს რომ როგორც კი სახელმწიფო მოახდენს მის რატიფიცირებას ან შეუერთდება მას ის ავტომატურად დაექვემდებარება ევროპის სასამართლოს იურისდიქციას. ამდენად ამ სასამართლოში ადამიანის უფლებათა დარღვევის შემთხვევაში სახელმწიფოს წინააღმდეგ შეიძლება შეტანილი იქნას სარჩელი რატიფიკაციის მომენტიდან.

მისი წარმატების კიდევ ერთი მიზეზი არის სასამართლოს გადაწყვეტილებების იურიდიული ძალა. სახელმწიფოები უნდა დაემორჩილონ საბოლოო გადაწყვეტილებას. ამაზე დაკვირვებას აწარმოებს ევროსაბჭოს მინისტრთა კომიტეტი.

ევროპის სასამართლოში აღძრული ნებისმიერი საქმის განხილვის დროს პროცედურა ასევე მოიცავს მეგობრული გადაწყვეტის შესაძლებლობას მხარეებს შორის მედიატორობის საფუძველზე.

სასამართლომ ასევე შეძლო განვითარებულიყო დროში. 1959 წ. მისი დაარსების შემდეგ ის იყო მხოლოდ არამუდმივმოქმედი სასამართლო, რომელიც მუშაობდა ადამიანის უფლებათა ევროპის კომისიასთან ერთად. მის მიერ განხილული საქმეების ზრდასთან ერთად საჭირო გახდა მუდმივმოქმედი სასამართლოს არსებობა და ის დაარსდა კიდეც 1998 წ. ეს წინსვლა წარმოადგენს სასამართლოს წარმატების ნათელ დადასტურებას. ხალხმა იცის, რომ ის არსებობს და შესწევს უნარი ჩაერიოს როდესაც მათი ძირითადი უფლებები ხელყოფილია.

ადამიანის უფლებათა ევროპის სასამართლოს მნიშვნელოვანი საქმეები

ქვემოთ მოყვანილია ზოგერთი მნიშვნელოვანი საქმეები, რომლებიც განხილული იყო ევროპის სასამართლოს მიერ.

- *სორინგი დიდი ბრიტანეთის წინააღმდეგ* (ივნისი 1989): საქმე ეხებოდა ამ პიროვნების ექსტრადიციას მკვლელობის ბრალდებასთან დაკავშირებით აშშ-ში, სადაც ეს დანაშაული სიკვდილით ისჯება. სასამართლომ ჩათვალა რომ მისი გაგზავნა აშშ-ში იქნებოდა წამებისაგან დაცვის, არაადამიანური და დამამცირებელი მოპყობის ან დასჯის წინააღმდეგ ჩადენილი ქმედება (ევროპის კონვენცია, მუხლი 3,). ამ გადაწყვეტილების ერთ-ერთი შეეგი იყო ის, რომ ევროსაბჭოს წევრი ქვეყნებში პიროვნებების დაცვა გასცდა ევროპის ფარგლებს. ეს პრინციპი ასევე გამეორდა სხვა შემთხვევებშიც როგორიცაა ჯაბარი თურქეთის წინააღმდეგ, (ივლისი 2000) და მან ასევე დაიცვა თავშესაფრის მთხოვნელები მათ ქვეყნებში დაბრუნებისაგან სადაც მათ სიცოცხლეს საფრთხე ემუქრებოდა.
- *ტაირერი დიდი ბრიტანეთის წინააღმდეგ* (მარტი 1978): ამ შემთხვევაში სასამართლომ გადაწყვიტა, რომ ფიზიკური დასჯა არასრულწოვანი დამნაშავეებისთვის ეწინააღმდეგებოდა ადამიანის უფლებების შესახებ ევროპის კონვენციას, რადგანაც ის არღვევდა წამებისაგან, დამამცირებელი ან არაადამიანური მოპყრობის ან დასჯისაგან დაცვის უფლებას, რომელიც გარანტირებულია მესამე მუხლით. სასამართლოს სიტყვებით: "მისი დასჯა – როდესაც ის განიხილება როგორც ობიექტი ადმინისტრაციის ხელში არის შეურაცყოფა ზუსტად იმ საკითხში, რაც წარმოადგენს მუხლი 3-ის

"არც ადამიანთა გულებში და არც საზოგადოებაში არ დაისადგურებს მშვიდობა ვიდრე სიკვდილი არ გამოცხადდება კანონგარეშედ"

ალბერ კამიუ

ძირითად მიზანს, კერძოდ პიროვნების ღირსებისა და ფიზიკური სიჯანსაღის დაცვა". ეს საქმე კარგი მაგალითია იმის საილუსტრაციოდ, რომ კონვენცია ცოცხალი ორგანიზმია და სასამართლო ფეხს უწყობს ჩვენი საზოგადოების ფასეულობების ცვლილებას.

- *კოკინაკისი* საბერძნეთის წინააღმდეგ (აპრილი 1993): ეს იყო საინტერესო შემთხვევა, რომელიც ეხებოდა კონფლიქტს სხვადასხვა ხალხის უფლებებს შორის. ის დამყარებული იყო პროზელიტიზმის საკითხზე და განიხილებოდა არღვევს თუ არა რელიგიის სწავლება (გარანტირებული კონვენციის 9 მუხლით) სხვა პიროვნების უფლებას რელიგიის თავისუფლებაზე. სასამართლომ საჭიროდ ჩათვალა მკვეთრად გაემიჯნა სწავლება, ქადაგება თუ ამორალური და მაცდუნებელი გზებით ადამიანის დარწმუნება რელიგიის შეცვლის სარგებლობაში (როგორიცაა სოციალური ან მატერიალური პრივილეგიების დაპირება, ძალადობის ან "ტვინის გამორეცხვის" მეთოდების გამოყენება).

ევროპის ადამიანის უფლებათა კონვენცია

კონტროლის მექანიზმი



კონცეფცია და დიზაინი: პ. დრჟემჩევსკი. გრაფიკა: პუბლიკაციების განყოფილება, ადამიანის უფლებათა გენერალური დირექტორატი

adamianis uflebaTa evropuli sasamarTlo: cifrebi da faqtebi

- 43 მოსამართლე. საშუალოდ 180 სატელეფონო ზარი და 800 წერილი იყო მიღებული ყოველდღიურად 2001 წლის განმავლობაში
- 19815 საქმე ელოდებოდა განხილვას 2002 წლის იანვრის დასაწყისში
- საჩივრებმა მოიმატა 523%-ით ყოველწლიურად 1990 წლიდან 2000 წლამდე; 1990 წ. სასამართლომ მიიღო 1657 განაცხადი, 2000 წ. კი 10 486.
- 2000 წ. სასამართლომ გამოიტანა 889 განაჩენი რაც ნიშნავს დღეში 2-ზე მეტი საქმის განხილვას (დასვენების დღეების და დღესასწაულების ჩათვლით!).

ევროპის სასამართლო აწარმოებს მოსმენებს ნებისმიერ ევროპის კინვენციით გარანტირებულ უფლებებთან დაკავშირებით როგორიცაა სიცოცხლის უფლება, სამართლიანი სასამართლო განხილვის უფლება, და აზრის გამოთქმის თავისუფლება. მაგრამ რადგანაც ის დაარსებულია უშუალოდ II მსოფლიო ომის შემდგომ პერიოდში, ამიტომ ექსკლუზიურ აქცენტს აკეთებს სამოქალაქო და პოლიტიკურ უფლებებზე. შედეგად მას აკლია სამოქალაქო, სოციალური და უმცირესობების უფლებების შემთხვევების განხილვის კომპეტენცია. ამ შეზღუდვების მიუხედავად ის ფართოდ არის აღიარებული.

? განიხილებოდა თუ არა ევროპულ სასამართლოში რომელიმე საქმე თქვენი ქვეყნის წინააღმდეგ?

ადამიანის უფლებათა ევროპის სასამართლო, ევროპის სასამართლო, საერთაშორისო სასამართლო: რა განსხვავებაა მათ შორის?

ხშირად არსებობს გაურკვევლობა ადამიანის უფლებათა ევროპის სასამართლოს, ევროპის სასამართლოს, და საერთაშორისო სასამართლოს როლების გარშემო. ფაქტობრივად სამივე ორგანო ძალიან განსხვავებულია მათი გეოგრაფიული იურისდიქციის და იმ საქმეების ტიპების მიხედვით, რომლებსაც ისინი განიხილავენ. ევროპის სასამართლო არის ევროკავშირის ორგანო. ეს არის სასამართლო, რომლის ძირითადი მოვალეობა არის უზრუნველყოს საზოგადოებრივი კანონის ერთგვაროვანი ინტერპრეტირება და გამოყენება თითოეულ წევრ ქვეყანაში. ის ემყარება საზოგადოებრივ კანონს და არა ადამიანის უფლებათა კანონმდებლობას, მაგრამ ზოგჯერ საზოგადოებრივმა კანონმდებლობამ შეიძლება მოიცვას ადამიანის უფლებათა საკითხებიც. ცნობილი შემთხვევა იყო ბოსმანის საქმე, რომელიც განიხილა ევროპის სასამართლომ და ეხებოდა საფეხბურთო გუნდებს შორის ტრანსფერის წესებს. გადაწყდა, რომ ისინი არ შეესაბამებოდა რომის ხელშეკრულების შინაარსს კონკურენციის წესების და მომსახურეების თავისუფალ გადაადგილების შესახებ.

საერთაშორისო სასამართლო არის გაეროს ძირითადი სასამართლო ორგანო. მას აქვს ორმაგი როლი: სახელმწიფოების მიერ აღძრული საკანონმდებლო დავების გადაწყვეტა საერთაშორისო ნორმებთან შესაბამისობაში და კვალიფიციური რჩევის მიცემა იურიდიულ საკითხებთან დაკავშირებით. მხოლოდ სახელმწიფოს შეუძლია აღძრას საქმე სხვა სახელმწიფოს წინააღმდეგ და ჩვეულებრივ ეს დავა ეხება სახელმწიფოებს შორის დადებულ ხელშეკრულებებს. ხელშეკრულება შეიძლება ეხებოდეს ძირითად ურთიერთობებს სახელმწიფოებს შორის (მაგ. კომერციული ან ტერიტორიული) ან შეიძლება უკავშირდებოდეს ადამიანის უფლებათა საკითხებს.

? როგორ ეხმარება ეს განსხვავებული იურიდიული მექანიზმები ჩვეულებრივ მოქალაქეს?

ადამიანის უფლებათა კომისარი

ევროპის საბჭოში კომისრის თანამდებობის შექმნის შესახებ გადაწყვეტილება მიიღეს სახელმწიფოს მეთაურთა სამიტზე სტრასბურგში 1997 წ. ოქტომბერში. ამ დამოუკიდებელი ინსტიტუტის მიზანი არის როგორც ადამიანის უფლებათა არსის დამკვიდრება, ასევე ამ უფლებების ეფექტური დაცვა და სრულად სარგებლობა

ევროპის საბჭოს წევრ ქვეყნებს შორის. კომისარი ირჩევა საპარლამენტო ასამბლეის მიერ 6 წლიანი ვადით ხელახალი არჩევის უფლების გარეშე.

კომისარიატი არის არაიურიდიული ინსტიტუტი, მისი საქმიანობა განიხილება როგორც დამატებითი, შემავსებელი ევროპისსაბჭოს სხვა ინსტიტუტებისათვის, რომლებიც აქტიურად ამკვიდრებენ ადამიანის უფლებებს. კომისარმა უნდა შეასრულოს თავის მოვალეობები სრული დამოუკიდებლობისა და მიუკერძოებლობის პრინციპით და ამავე დროს პატივი სცეს ადამიანის უფლებათა ევროპის კონვენციის ან სხვა ევროპის საბჭოს ადამიანის უფლებათა დოკუმენტების ფარგლებში არსებულ სხვადასხვა დამკვირვებელი ორგანოების კომპეტენციას.
ადამიანის უფლებათა კომისრის ძირითადი მიზნები არის:

- წევრ ქვეყნებში ადამიანის უფლებათა შესახებ განათლებისა და ინფორმირებულობის გაზრდა
- წევრი სახელმწიფოების კანონში შესაძლო ხარვეზების აღმოჩენა ადამიანის უფლებებთან შესატყვისობის თვალსაზრისით.
- ადამიანის უფლებათა ეფექტური დაცვის და სრულად სარგებლობის ხელის შეწყობა როგორც ეს ჩამოყალიბებულია ევროპის საბჭოს სხვადასხვა დოკუმენეტებში.

კომისარს შეუძლია იმოქმედოს ex officio ნებისმიერ საკითხზე მისი კომპეტენციის ფარგლებში. თუმცა მას არ შეუძლია განიხილოს ინდივიდუალური საჩივრები, კომისარმა შესაძლოა იმოქმედოს ადამიანის უფლებათა დამკვიდრების კონტექსტში, მიიღოს ზომები ნებისმიერი ინფორმაციის საფუძველზე, რომელიც დაკავშირებულია ადამიანის უფლებების დაცვის ასპექტებთან, როგორც აღნიშნულია ევროსაბჭოს დოკუმენტებში.

ასეთი ინფორმაცია და მოთხოვნები შესაბამისი ზომების მიღების შესახებ შეიძლება წარდგენილ იყოს მთავრობების, ეროვნული პარლამენტის, ეროვნული ომბუდსმენის, ან მსგავსი ინსტიტუტების, ასევე პიროვნებებისა და ორგანიზაციების მიერ.

aris es sakmarisi?

ბევრი ამტკიცებს, რომ შესაბამისი კანონქმედების მექანიზმების არარსებობის გამო მსოფლიოში ხშირად ორღვევა ადამიანის უფლებები. ხშირად კონკრეტული სახელმწიფოების გადასაწყვეტად რჩება შეასრულებენ თუ არა მიღებულ რეკომენდაციებს. ბევრ შემთხვევაში იქნება თუ არა გარანტირებული ინდივიდის ან ჯგუფის უფლება დამოკიდებულია საერთაშორისო საზოგადოებრიობის ზეწოლაზე და მეტწილად არასამთავრობო ორგანიზაციების მუშაობაზე. ეს სიტუაცია დამაკმაყოფილებელზე ბევრად ნაკლებია რადგანაც დიდი ხნის ლოდინი შეიძლება დაგვჭირდეს ვიდრე ადამიანის უფლებების დარღვევები მიაღწევს გაეროს ან ევროსაბჭოს ყურამდე.

რა შეიძლება გაკეთდეს ამის გამოსასწორებლად? პირველ რიგში აუცილებელია სახელმწიფოებმა ეროვნულ დონეზე უზრუნველყონ ადამიანის უფლებათა დაცვა და შეიმუშაონ სათანადო მექანიზმი ნებისმიერი ძალადობის წინააღმდეგ. ამავე დროს ზეწოლა უნდა განხორციელდეს სახელმწიფოებზე რათა მათ აღიარონ ის მექანიზმები, რომლებიც ითვალისწინებენ სამართლებრივი სანქციების გამოყენებას.

aqtiuroba da arasamTavrobo organizaciebis roli

„ჩვენ ბევრის გაკეთება მოგვიხდა რათა ამისთვის მიგვეღწია. ამას დასჭირდა ჩვენი ორგანიზაციის მიერ მოწყობილი რამოდენიმე დემონსტრაცია და პატიმრობაში ყოფნაც კი, ... კონგრესზე სანამ სიტყვას მოგვცემდნენ მე მომიწია მივვარდნოდი მაგიდას კონგრესში... სიტყვისათვის 5 წუთი გამომყვეს.“

(ჩერი ჰონკალა, პირველი ადამიანი, რომელიც ცხოვრობდა აშშ-ში სახელმწიფო დახმარებით და რომელიც წარსდგა კონგრესის წინაშე და წარმოადგინა სახელმწიფო დახმარებით მცხოვრები ადამიანის უფლებების დაცვის კენსიგტონის კავშირი.)

რა არის არასამთავრობო ორგანიზაცია?

“ადექი, ფეხზე დადექი, დაიცავი შენი უფლებები”

ბობ მარლი

ტერმინი არასამთავრობო ან უფრო ზუსტად არაკომერციული ჩვეულებრივ გამოიყენება ორგანიზაციათა სპექტრის აღსანიშნად, რომლებიც ქმნიან სამოქალაქო საზოგადოებას. ასეთი ორგანიზაციები ზოგადად ხასიათდებიან იმით, რომ თავის არსებობის მიზნად მათ დასახული აქვთ არა კომერციული მოგება არამედ რაღაც ხსვა. თუმცა ეს „რაღაც სხვა“ შეიძლება გულისხმობდეს უამრავ მიზნებს, სრულიად განსხვავებულ ინიციატივებს და ქმედებებს. არასამთავრობო ორგანიზაციები შედგება როგორც მცირე საინიციატივო ჯგუფებისაგან, რომლებიც შესაძლოა დაკავშირებული იყოს გარემოს დაცვის ან ადამიანის უფლებების დარღვევების კონკრეტულ საკითხებთან, ასევე საგანმანათლებლო საქველმოქმედო ორგანიზაციებისაგან განათლების სფეროში, ქალთა თავშესაფრები, კულტურული ასოციაციები, რელიგიური ორგანიზაციები, იურიდიული ფონდები, ჰუმანიტარული დახმარების პროგრამები – ამ სიის გაგრძელება კიდევ შეიძლება – უზარმაზარი საერთაშორისო ორგანიზაციების ჩამოთვლით თავის ასობით და ათასობით ფილიალებით ან წევრებით მსოფლიოს სხვადასხვა ნაწილში.

ამ ნაწილში ჩვენ მოკლედ განვიხილავთ ამ ორგანიზაციების მიერ შესრულებულ მნიშვნელოვან როლს, რაც დღესაც გრძელდება მსოფლიოში ადამიანის უფლებათა დაცვის თვალსაზრისით. კონკრეტული მოქალაქეების ღირსების დაცვის სხვადასხვა მცდელობების თითქმის ყველა ეტაპზე, როდესაც მათ საფრთხეს უქმნის სახელმწიფო ძალაუფლება, არასამთავრობო ორგანიზაციები ასრულებენ გადამწყვეტ როლს:

- იბრძვიან ადამიანის უფლებათა კონკრეტული დარღვევების წინააღმდეგ
- სთავაზობენ უშუალო დახმარებას მათ, ვისი უფლებებიც დაირღვა
- ლობირებას უწევენ ეროვნული და საერთაშორისო კანონმდებლობის ცვლილებებს.
- ხელს უწყობენ ამ კანონების შინაარსობრივ დახვეწას
- ამკვიდრებენ ადამიანის უფლებათა მიმართ პატივისცემას მოსახლეობაში.

“მსოფლიო სახიფათო ადგილია საცხოვრებლად! არა იმდენად იმათ გამო ვინც ბოროტებას ჩადის, არამედ იმათ გამო ვინც უყურებს მათ და საშუალებას აძლევს ასე მოიქცნენ”

ალბერტ აინშტაინი

არასამთავრობო ორგანიზაციების წვლილი მნიშვნელოვანია არა მხოლოდ მიღწეული შედეგების თვალსაზრისით და შესაბამისად იმ ოპტიმიზმის გამო, რომელიც ადამიანებს გაუჩნდათ მთელ მსოფლიოში ადამიანის უფლებათა დაცვის საფუძველზე, არამედ იმის გამოც, რომ არასამთავრობო ორგანიზაციები პირდაპირი მნიშვნელობით წარმოადგენენ ინსტრუმენტს, რომლის გამოყენებაც შეუძლიათ ინდივიდებს მთელ მსოფლიოში. ისინი იმართებიან და კოორდინირებული არიან – ისევე როგორც ბევრი სხვა ორგანიზაციები – კერძო პირების მიერ, მაგრამ მათი ძალა ასევე განპირობებულია საზოგადოების სხვა წევრების მიერ

გამოვლენილი მხარდაჭერით მათი საქმიანობისადმი. ეს ფაქტი ანიჭებს მათ უდიდეს მნიშვნელობას იმ პირებისათვის, რომლებსაც სურთ წვლილი შეიტანონ მსოფლიოში ადამიანის უფლებათა დაცვის გაუმჯობესების საქმეში.

არასამთავრობო ორგანიზაციების ტიპები

"ღმერთი გვაძლევს ხელებს, მაგრამ ჩვენს მაგივრად ის არ ააშენებს ხიდებს"

არაბული ანდაზა

1993 წლის გაეროს კონფერენციას ადამიანის უფლებათა შესახებ, რომელიც ცნობილია როგორც ვენის კონფერენცია, 841 არასამთავრობო ორგანიზაცია დაესწრო მთელი მსოფლიოდან, რომელთაგან ყველა აცხადებდა, რომ მუშაობს ადამიანის უფლებათა სფეროში. რიცხვი თავისთავად შთამბეჭდავია, თუმცა ის მთელ მსოფლიოში ადამიანის უფლებათა სფეროში მოღვაწე არასამთავრობო ორგანიზაციების სრული რაოდენობის მხოლოდ მცირე ნაწილს ასახავდა.

ყველაზე აშკარად გამოხატული "ადამიანის უფლებათა ორგანიზაციები" იხრებიან სამოქალაქო და პოლიტიკური უფლებების დაცვისაკენ. მათგან ყველაზე ცნობილი, ყოველ შემთხვევაში საერთაშორისო არენაზე, ალბათ Human Right Watch და საერთაშორისო ამნისტიაა, რომელთაგან ორივე მთელი მსოფლიოს მასშტაბით ფუნქციონირებს. თუმცა როგორც უკვე ვნახეთ სამოქალაქო და პოლიტიკური უფლებები მხოლოდ ერთ-ერთი კატეგორიაა საერთაშორისო საზოგადოებრიობის მიერ აღიარებული სხვადასხვა ადამიანის უფლებებს შორის, ხოლო ახალი უფლებების აღიარება დღემდე კვლავ გრძელდება. თუ ამ ყველაფერს გავითვალისწინებთ და აღნიშნულ სიაში ჩავრთავთ არასამთავრობო ორგანიზაციებს, რომლებიც იბრძვიან სიღარიბის, ძალადობის, რასიზმის, ჯანმრთელობის პრობლემების, უსახლკარობის, და ეკოლოგიური პრობლემების წინააღმდეგ, მეტი რომ აღარ ჩამოვთვალოთ, ადამიანის უფლებათა სფეროში ამა თუ იმ ფორმით ჩართული არასამთავრობო ორგანიზაციების რაოდენობა ასებს და ათასებს მიაღწევს მთელი მსოფლიოს მასშტაბით.

2001 წლის გენერალურ ასამბლეაზე საერთაშორისო ამნისტიამ მოახდინა მისი მანდატის რეფორმირება მასში ეკონომიკური და სოციალური უფლებების და განვითარების უფლების შესატანად, თავის მიზნებსა და ზრუნვის სფეროში მათი ჩართვის მიზნით.

? იცით რომელიმე არასამთავრობო ორგანიზაცია, რომელიც იბრძვის თქვენ ქვეყანაში ადამიანის უფლებებისათვის?

როგორ ახდენენ ისინი ზეგავლენას პროცესებზე?

არასამთავრობო ორგანიზაციებმა შეიძლება სცადონ სხვადასხვა ეტაპზე ან დონეზე ადამიანის უფლებების დაცვის სფეროში ჩართვა და მათ მიერ გამოყენებული სტრატეგიები განსხვავებული იქნება მათი მიზნების ხასიათიდან გამომდინარე – მათი სპეციფიურობის ან ზოგადი ხასიათის მიხედვით. ისინი შეიძლება იყოს უფრო ზოგადი ან უფრო კონკრეტული, მოკლევადიანი ან გრძელვადიანი, ადგილობრივი, ეროვნული ან საერთაშორისო მასშტაბის და ა.შ..

ა. პირდაპირი დახმარება

პირდაპირი დახმარების შეთავაზება ადამიანის უფლებათა დარღვევის მსხვერპლთათვის განსაკუთრებით დამახასიათებელია სოციალურ და ეკონომიკურ უფლებების სფეროში მომუშავე არასამთავრობო ორგანიზაციებისათვის. ასეთი დახმარება შეიძლება მოიცავდეს ჰუმანიტარული დახმარების სხვადასხვა ტიპებს, ახალი უნარ-ჩვევების განვითარების მიზნით ტრეინინგების ჩატარებას. ალტერნატიული ვარიანტი არის იურიდიული დახმარების აღმოჩენა ან

"შეიძლება სახალისო იყოს მიწერო ხალხს რომლებიც ხელმძღვანელობენ ავტორიტარულ ან რეპრესიულ რეჟიმებს, აწარმოო მიწერ-მოწერა დიქტატორთან და უბრალოდ გული შეუწუხო მას ამ წერილების წერით"

სტინგი

კონსულტაციის გაწევა პრეტენზიის წარდგენის შესახებ იქ სადაც უფლება კანონით არის დაცული.

თუმცა ბევრ შემთხვევებში პირდაპირი დახმარება ძალადობის მსხვერპლისათვის ან არ არის შესაძლებელი ან არ წარმოადგენს ორგანიზაციის რესურსების გამოყენების საუკეთესო გზას. ასეთ შემთხვევებში და ეს ალბათ შემთხვევათა უმრავლესობაა, არასამთავრობო ორგანიზაციებმა ფართოდ უნდა განიხილონ პრობლემა და იფიქრონ ძალადობის გამოსწორების სხვა გზებზე ან სხვა მსგავის დარღვევების პროფილაქტიკისათვის მომავალში.

ბ. ზუსტი ინფორმაციის შეგროვება

თუკი არსებობს ფუნდამენტური სტრატეგია, რომელიც საფუძვლად უდევს არასამთავრობო ორგანიზაციების აქტივიზმს ეს ალბათ არის უსამართლობის ჩამდენთა გამოაშკარავების მცდელობა. მთავრობები ხშირად გაურბიან ვალდებულებებს საერთაშორისო ხელშეკრულებით, რადგანაც მათი პოლიტიკის გავლენა უბრალოდ ცნობილი არ არის ფართო საზოგადოებისათვის. ამ ინფორმაციის მოპოვება და მისი გამოყენება მთავრობების "სააშკარაოზე გამოტანის" მიზნით ძირითადი ელემენტია მათი პასუხისმგებლობის საკითხის დაყენებისათვის და ის ხშირად გამოიყენება არასამთავრობო ორგანიზაციების მიერ. ისინი ცდილობენ ზეწოლა მოახდინონ ხალხზე ან მთავრობაზე იმ მიზეზის გამოაშკარავების საშუალებით, რომელიც გამოიწვევს ადამიანებში სამართლიანობის შეგრძნებას და აქცევს მას საჯარო განხილვის საგნად.

ორი ყველაზე ცნობილი მაგალითი იმ ორგანიზაციებისა, რომლებმაც სახელი გაითქვეს თავიანთი ობიექტური მონიტორინგით და მოხსენებებით არის საერთაშორისო ამნისტია (იხ. გვ XX დამატებითი ინფორმაციისათვის) და წითელი ჯვრის საერთაშორისო კომიტეტი. ორივე ორგანიზაცია სარგებლობს მაღალი ავტორიტეტით არა მხოლოდ ფართო საზოგადოებრიობის თვალში, არამედ გაეროს დონეზეც, სადაც მათ მოხსენებებს ითვალისწინებენ იმ მთავრობებზე მონიტორინგის განხორციელების ოფიციალური პროცესის განმავლობაში, რომლებმაც თანხმობა განაცხადეს ყოფილიყვნენ საერთაშორისო ხელშეკრულებების სუბიექტები.

გ. კამპანიის და ლობირების წარმოება

ლობირება არის ზოგადი ტერმინი, რომელიც აღნიშნავს ეროვნულ ან საერთაშორისო სუბიექტებზე ზეწოლის განხორციელების სხვადასხვა გზებს რათა მოხდეს პოლიტიკის ცვლილება. აქაც არსებობს უამრავი ფორმები და კონკრეტული არასამთავრობო ორგანიზაცია შეეცდება შეარჩიოს ყველაზე შესაფერისი დასახული მიზნების, მისი "სამიზნე" ობიექტის ბუნების და რა თქმა უნდა მის ხელთ არსებული რესურსების გათვალისწინებით. ზოგიერთი გავრცელებული ფორმა აღწერილია ქვემოთ:

- წერილის მიწერის კამპანია არის მეთოდი, რომელსაც ძალიან ეფექტურად იყენებს საერთაშორისო ამნისტია და სხვა არასამთავრობო ორგანიზაციები. ხალხი და ორგანიზაციები "ბომბავენ" სამთავრობო ოფიციალურ პირებს მთელ მსოფლიოში არსებული მათი ათასობით წევრის მიერ მიწერილი წერილებით.
- ქუჩის აქციები ან დემონსტრაციები და ჩვეულებრივ მათ მიმართ გამოჩენილი მედიის დაინტერესება, შეიძლება გამოყენებულ იქნას როდესაც ორგანიზაციებს სურთ საზოგადოების მხარდაჭერის მოპოვება ან

საზოგადოების თვალთახედვის არეში რაიმეს გამოტანა მთავრობის "შერცხვენის" მიზნით.

- მედია ხშირად ასრულებს მნიშვნელოვან როლს ლობირებაში და ახლა უკვე მნიშვნელოვნად იზრდება ინტერნეტის როლი.
- მხარდამჭერი დემონსტრაციების ან სახალხო მღელვარების გარდა არასამთავრობო ორგანიზაციები შეიძლება ჩაერთონ პირად შეხვედრებში ან ოფიციალური პირების ბრიფინგებში. ზოგჯერ უბრალო მუქარა, რომ საკითხი გამოტანილი იქნება საზოგადოების სამსჯავროზე შეიძლება საკმარისი იყოს პოლიტიკის შესაცვლელად როგორც ეს მოხდა ქვემოთ მოყვანილ ამბავში.

ზოგადად, რაც უფრო მეტია საზოგადოების ან სხვა გავლენიანი სუბიექტების მხარდაჭერა (მაგ სხვა ქვეყნის მთავრობები) უფრო მეტია ალბათობა, რომ კამპანია მიაღწევს თავის მიზანს. მაშინაც კი როდესაც ისინი პირდაპირ არ იყენებენ ამ მხარდაჭერას არასამთავრობო ორგანიზაციებს უბრალოდ მითითებით, რომ შესაძლებელია დიდი სახალხო მოძრაობის მობილიზება მთავრობის წინააღმდეგ შეუძლიათ უზრუნველყონ მათი მოსაზრებების გათვალისწინება.

? ყოფილა თქვენს ქვეყანაში ფართომასშტაბიანი კამპანიები? რა იყო შედეგი?

დ. შორსმიმავალი განათლება.

ბევრი ადამიანის უფლებათა დამცველი არასამთავრობო ორგანიზაცია ასევე ეწევა საგანმანათლებლო ან საინფორმაციო საქმიანობას, როგორც მათი სრული მოღვაწეობის ერთ-ერთ მცირე ნაწილს. იმის გააზრება, რომ მათი მხარდაჭერის არსი დევს ფართო საზოგადოების მხარდაჭერაში არასამთავრობო ორგანიზაციები ხშირად ცდილობენ გაავრცელონ ცოდნა ადამიანის უფლებათა შესახებ საზოგადოების წევრებს შორის. ამ საკითხების და მათი დაცვის მეთოდების უფრო ღრმად ცოდნა უზუნველყოფს მათ დაცვას და ეს თავის მხრივ ზრდის კონკრეტულ შემთხვევაში მხარდაჭერის მობილიზების ალბათობას ადამიანის უფლებათა დარღვევის წინააღმდეგ. ეს ზუსტად ის მხარდაჭერა ან პოტენციური მხარდაჭერაა, რომელიც საფუძვლად უდევს არასამთავრობო სექტორის წარმატებას ადამიანის უფლებათა გაუმჯობესების სფეროში.

"ადამიანის უფლებათა სფეროში განათლება არის ცხოვრების სტილი. ჩვენ ამას ვაკეთებთ ბოლო რამოდენიმე წლის განმავლობაში და არც ვიცოდით, რომ ყველა ჩვენი საქმიანობა უკავშირდებოდა ადამიანის უფლებათა შესახებ განათლებას.

ალექსანდრა ვიდანოვიჩი, Open Club Nis , იუგოსლავიის ფედერალური რესპუბლიკა, ადამიანის უფლებათა სფეროში განათლების ფორუმის მონაწილე.

warmatebul aqciaTa magaliTebi

ოჯახური ძალადობა რუსეთში

არსებობს სხვადასხვა მონაცემები რუსეთში ოჯახური ძალადობის დონის შეფასებასთან დაკავშირებით, მაგრამ ზოგიერთი მონაცემის მიხედვით იმ ოჯახების რიცხვი, რომლებსაც გამოცდილი აქვთ ძალადობის ეს ფორმა მერყეობს 30-40%-ს შორის. 1995 წელს პეკინის ქალთა კონფერენციის შემდეგ გამოქვეყნდა პირველი სანდო სტატისტიკური მონაცემები, რომლის მიხედვითაც ყოველწლიურად 14500 ქალს კლავენ მათი ქმრები, და დაახლოებით 5000 ხვდება საავადმყოფოში. საჭირო აღმოჩნდა დიდი ძალისხმევა რათა უბრალოდ მომხდარიყო ამ პრობლემის აღიარება რუსეთში მაგრამ წარმატების უდიდესი ნაწილი არის არასამთავრობო ორგანიზაციების მუშაობის შედეგი, რომელსაც ANNA-ს უწოდებენ, და რომელიც არის რუსეთის ქალთა კრიზის-ცენტრის ასოციაციის დამფუძნებელი წევრი.

ორგანიზაცია დაარსა ქალთა უფლებების წამყვანმა აქტივისტმა მარინა პისკლაკოვამ. 1993 წლის ივლისში ის მარტო მუშაობდა და "ცხელი ხაზის"

"მე არ შემეძლო მეთქვა "არა"; იქ იმდენი ქალი იყო".

მარინა პისკლაკოვა

"მე არა ვარ
ული პიროვნება.
ერი ქალი ჩემს
ვეს გააკეთებდა.
ნობ... მე რაღაც
აწყისის წინაშე
თისათვის დიდი
წინაშე, ახალი
ულების წინაშე.
ლა ლაპარაკობს
ალადობაზე. და
იდევაც აკეთებს
აღაცას ამასთან

საშუალებით ეხმარებოდა უიმედო სიტუაციაში მყოფ ქალებს და შემდეგ განავრცო მუშაობა და დაარსა ქვეყანაში პირველი ქალთა კრიზის ცენტრი. ის ლობირებას უწევდა ძალადობის წინააღმდეგ კანონს და მუშაობდა მტრულად განწყობილ ძალოვან ორგანოებთან რათა დახმარება აღმოეჩინა მსხვერპლთათვის, აღმოეჩინა მათთვის დახმარება და აღძრული ყოფილიყო სისხლის სამართლის საქმე დამნაშავეთა წინააღმდეგ. მან დაიწყო მედია კამპანია ქალების წინააღმდეგ ძალადობის გამოსააშკარავებლად და ქალებისათვის მათი უფლებების შესახებ ცოდნის მისაწოდებლად. ახლა ის რეგულარულად გამოდის რადიოთი და ტელევიზიით და ამკვიდრებს ქალთა უფლებების პატივისცემას.

ორგანიზაციამ მიაღწია ოჯახური ძალადობის ტერმინის გაფართოებას მასში ქმრის მიერ გაუპატიურების, მეუღლის ან პარტნიორის მიერ სექსუალური ძალადობის, ფსიქოლოგიური ძალადობის, იზოლაციისა და ეკონომიკური მორჩილების ჩართვით. 1994 წლის ზაფხულისთვის მათთან უკვე გავლილი ჰქონდა ტრინინგები ქალების პირველ ჯგუფს, რომლებსაც უნდა გაეწიათ კონსულტაციები ტელეფონის საშუალებით, ხოლო 1995 წელს მუშაობა დაიწყო რუსეთის სხვა ქალაქებში ადგილობრივი ქალთა ჯგუფებთან, რომლებსაც სურდათ ცხელი ხაზების ან კრიზის-ცენტრების დაარსება. ANNA ხელს უწყობდა ფსიქოლოგიური და იურიდიული დახმარების პროგრამების შემუშავებას საოჯახო ძალადობის მსხვერპლთათვის და 1997 წლის აპრილში ორგანიზაციაში მომუშავე იურისტებმა პირველად აღძრეს საქმე სასამართლოში საოჯახო ძალადობასთან დაკავშირებით და პროცესი მოიგეს, რამაც იურიდიული პრეცედენტი შექმნა მთელ რუსეთში. ახალი ათასწლეულის დასაწყისისათვის მათ უკვე დაარსებული ჰქონდათ 40-ზე მეტი ქალთა კრიზის-ცენტრი მთელი რუსეთის მასშტაბით. ორგანიზაციის ვებგვერდია: www.owl.ru/anna

ეკოლოგიური საფრთხეები შვეიცარიაში

"ქიმიური ინდუსტრიის ტოქსიკური მემკვიდრეობა არ უნდა გახდეს ტვირთი მომავალი თაობებისათვის"

სტეფან ვებერი, მწვანეთა მოძრაობის წევრი

1961 და 1976 წლებს შორის რამოდენიმე ქიმიურმა გიგანტმა 114000 ტონაზე მეტი ტოქსიკური ინდუსტრიული ნარჩენები ჩაცალეს თიხის ყოფილ კარიერში ბონფოლში, ბაზელთან ახლოს შვეიცარიაში. თუმცა დღეს უკვე არაკანონიერი იქნებოდა ნარჩენების ჩაცლა, 1961 წელს კარიერის ავსების დაწყების მომნეტში კანონი არ კრძალავდა ამგვარ ნაგავსაყრელებს. ტოქსიკური ნარჩენები ადგილზე დარჩა და აბინძურებდა გარემომცველ უბნებს ორგანული და არაორგანული ნივთიერებებით.

2000 წლის 14 მაისს დაახლოებით 100 მწვანეთა მოძრაობის წევრმა დაიკავა ბონფოლის ქიმიური ნაგავსაყრელი ბაზელის მახლობლად, შვეიცარიაში და მოითხოვდნენ ქიმიური კომპანიებისაგან რომ გაეწმინდათ გარემო ტოქსიკური ნარჩენებისაგან. აქტივისტებმა განაცხადეს რომ ისინი არ დატოვებდნენ მათ მიერ დაკავებულ ადგილს ვიდრე ქიმიური კომპანიები არ გაწმენდდენ ტერიტორიას ისე, რომ საფრთხე აღარ შექმნოდა ადამიანების ჯანმრთელობას და გარემოს.

ნაგავსაყრელის ტერიტორიის დაკავებამ აიძულა ქიმიური ინდუსტრია შეხვედროდნენ საზოგადოების წარმომადგენლებს და მწვანეთა მოძარობის წევრებს და შედეგად ხელი მოაწერა შეთანხმებას დასუფთავების პირობების შესწავლის შესახებ 2001 წლის თებერვლისათვის და დასუფთავების პროცესის დაწყების შესახებ ამავე წლისათვის. ინდუსტრია ასევე დათანხმდა ჩაერთო ადგილობრივი საზოგადოებრიობა და გარემოს დამცველები სრულად დასუფთავების საქმეში და ინფორმაცია მიეწოდებინა საზოგადოებისათვის მიწის წყლების და სასმელი წყლის დაბინძურების შესახებ, რომელიც გამოიწვიანაგავსაყრელის არსებობამ.

მხოლოდ 2001 წლის 7 ივლისს მწვანეთა მოძრაობამ გაათავისუფლა დაკავებული ადგილი. იხ. მწვანეთა მოძრაობის ვებგვერდი: www.greenpeace.org.

გააკეთე შეჯამება

Development Initiatives for Social and Human Action (DISHA)
სოციალური და ჰუმანური მოქმედების ინიციატივის განვითარება

"პირობები უბრალოდ მონური იყო. არ არსებობდა ადმიანური ღირსება ან კანონის დაცვა"

მ.დ. მისტრი, DISHA -ს დირექტორი

DISHA დაარსდა 1990-იანი წლების დასაწყიში ინდოეთის შტატ გუჯარატში, რათა დაეცვა დაახლოებით 80000 ადგილობრივი მცხოვრებლის უფლება, რადგანაც ტყე მათთვის არსებობის ძირითადი საშუალება იყო. ის იყენებდა ინფორმაციის მიღების უფლებას რათა გაეანალიზებინა ბიუჯეტები და ხარისხი რომლითაც გამოყოფილი თანხები შეესაბამება საჯარო განცხადებებს სიღარიბის შემცირებასთან დაკავშირებით.

ორგანიზაციამ დაიწყო სატყეო ნაწილებში მომუშავე ხალხისთვის მინიმალური ხელფასის დანიშვნის საკითხით. DISHA–ს დირექტორმა ასე განმარტა ორგანიზაციის მიდგომა: "როგორც ამ სამუშაოს ნაწილი ჩვენ დავიწყეთ შესწავლა თუ რატომ არ განვითარდა ეს რაიონი და რატომ არ შეიქმნა სამუშაო ადგილები. ჩვენ ვნახეთ რა თანხები იყო სახელმწიფოს მიერ დახარჯული და ასე დაიწყო ჩვენს მიერ სახელმწიფო ბიუჯეტის მონიტორინგი".

1994 წელს DISHA–ს წევრებმა გადაწყვიტეს გაევრცელებინათ მათ მიერ გაკეთებული ანალიზი ყველა პარლამენტში, პრესაში და წამყვანი მოქალაქეების წრეებში. ამან განაპირობა ინფორმაციის ფართოდ გამოყენება და განხილვა.

ორგანიზაციის მიერ მუშაობის დაწყების შემდეგ ადგილობრივი მოსახლეობისათვის გამოყოფილი საბიუჯეტო თანხები მნიშვნელოვნად გაიზარდა: თავიდან ის იყო 12% მაგრამ ახლა უკვე 18%-ს შეადგენს. რამდენადაც მათი კვლევა ასეთი სოლიდური იყო DISHA–მ სწრაფად მოიპოვა პატივისცემა როგორც ორგანიზაციამ "რომელიც არა მარტო გაჰყვირის ლოზუნგებს და აწყობს გამოსვლებს, არამედ წარმოადგენს ძალიან მყარ არგუმენტებს ფაქტების და ციფრების საფუძველზე. ახლა უკვე ხალხი მოგვმართავს ჩვენ ბიუჯეტის შესახებ ინფორმაციის მისაღებად – ჩვენ ვართ ერთადერთი ორგანიზაცია ქვეყანაში, რომელიც ანლიზს და შეფასებას უკეთებს ბიუჯეტს".

ბრძოლა ალმასებისათვის

ბრიტანული ორგანიზაცია "Global Witness" მუშაობს ეკოლოგიური ექსპლოატაციასა და ადამიანის უფლებათა შორის კავშირების გამოაშკარავებაზე. ეს არის გარემოს დამცველთა ჯგუფი ლონდონში, რომელმაც დაიწყო მუშაობა 1993 წ. დაქირავებულ ოთახში, რომელშიც მხოლოდ ერთი ნაგავსაყრელზე ნაპოვნი კომპიუტერი ჰქონდათ.

დღეისათვის ორგანიზაცია კვლავ მცირეა და მხოლოდ 9 თანამშრომლისაგან შედგება მაგრამ მისი დამაარსებლები ჩარმენ გუჩი, საიმონ ტეილორი და პატრიკ ელი 4 წლის განმავლობაში ეწეოდნენ კამპანიას ალმასის ინდუსტრიის წინააღმდეგ.

ამ დროის განმავლობაში Global Witness-მა შეძლო გამოევლინა უეჭველი კავშირი ალმასებით არალეგალურ ვაჭრობასა და სისხლიან აფრიკულ ომებს შორის. მან შეაგროვა დასაბუთება რათა დაერწმუნებინა მთავრობები, გაერო და საზოგადოება, რომ არალეგალურად მოპოვებული ალმასები აფრიკის საომარ ზონებში გამოყენებული იყო კონფლიქტების დაფინანსებისათვის, რომელშიც ბავშვები კარგავენ კიდურებს და ათასობით ადამიანი იღუპება

"კამპანიის მწარმოებლები იშვიათად აღწევენ მსგავს წარმატებას ასეთ მოკლე დროში"

გაზეთი Indipendent

ორგანიზაცია მთელი ძალით იბრძოდა რათა "გონს მოგებულიყვნენ" გადაწყვეტილების მიმღებნი, და ქმნიდა კავშირებს სხვა არასამთავრობო ორგანიზაციებთან, რომლებიც მუშაობდნენ ანგოლაში, შემოიკრიბა გავლენიანი პოლიტიკური მხარდამჭერები როგორიცაა კანადის ელჩი რობერტ ფოულერი გაეროს ანგოლის სანქციების კომიტეტის თავმჯდომარე. შედეგად ეს იქცა საერთაშორისო კამპანიად, რომელსაც შესწევდა ძალა შეწინააღმდეგებოდა გლობალურ ბიზნესს.

როდესაც კანადის ელჩმა გაეროში რობერტ ფოულერმა მსოფლიოს ბრილიანტის კონგრესზე ანტვერპენში თავის გამოსვლაში გააკეთა გაფრთხილება ბოიკოტის შესახებ, ალმასების ინდუსტრია უკიდურესად შეშფოთდა. 2000 წლის ივლისში ალმასების გლობალური ინუსტრია ყოველწლიურად 7 მილიარდი აშშ დოლარის ბრუნვით, როგორც ჩანს დარწმუნდა რომ უფსკრულის პირას იყო, დანებდნენ კამპანიის მწარმოებელთა მოთხოვნებს ბრილიანტებით ვაჭრობის სფეროში ფუნდამენტური ცვლილებების გატარების შესახებ.

იხ. მათი ვებ-გვერდი: http://www.globalwitness.org.

გამოყენებული ლიტერატურა

Risse T., Ropp S., Sikkink K., The Power of Human rights, Cambridge University Press, 1999
Forsthe, D., Human rights in Internationak relations, Cambridge University Press, 2000, www.speaktruth.org
Hijab, Nadia, Human Rights and Human Development: learning from Those Who Act, HDRO Background paper, 2000

kiTxvebi da pasuxebi

? რა არის ადამიანის უფლებები?

ადამიანის უფლებები არის მორალური უფლებამოსილება, რომელიც მსოფლიოს ყველა ინდივიდს გააჩნია უბრალოდ იმ ფაქტის გამო, რომ ის არის ადამიანი. ჩვენი უფლებების მოთხოვნის დროს ჩვენ მივმართავთ საკუთარ მთავრობას მორალური პოზიციიდან: თქვენ არ გაქვთ ამის გაკეთების უფლება, რადგანაც ეს არის ჩემი მორალური სფეროს და ღირსების ხელყოფა. არავის – არც ერთ პიროვნებას, არც ერთ მთავრობას არ შეუძლია ჩვენთვის ადამიანის უფლებების წართმევა.

? საიდან მოდის ეს უფლებები?

ისინი სათავეს იღებენ იმ ფაქტიდან, რომ ჩვენ ვართ არა მხოლოდ ფიზიკური პირები არამედ მორალური და სულიერი არსებები. ადამიანის უფლებები საჭიროა, რათა დაცული იყოს ყველა პიროვნების არსი, თითოეული მათგანი უზრუნველყოფილი იყოს ღირსეული ცხოვრების პირობებით, ცხოვრება, რომელიც ადამიანმა დაიმსახურა.

? რატომ უნდა სცეს ყველამ პატივი ამ უფლებებს?

ძირითადად იმიტომ, რომ ყველა არის ადამიანი და მაშასადამე არის ზნეობრივი არსება. ადამიანების უმრავლესობა თუკი მივუთითებთ, რომ ისინი ხელყოფენ ვინმეს პირად ღირსებას, ისინი შეეცდებიან თავი შეიკავონ ამისგან. ზოგადად ადამიანებს არ უნდათ რაიმე დაუსაონ სხვებს. თუმცა პიროვნების სინდისის მიერ დაწესებული მორალური სანქციების გარდა მსოფლიოს ბევრ ქვეყანაში არსებობს კანონმდებლობა, რომელიც ავალდებულებს მთავრობებს პატივი სცენ სხვა მოქალაქეების ძირითად ადამიანის უფლებებს მაშინაც კი როდესაც მათ ამის სურვილი არა აქვთ.

? ვინ ფლობს ადამიანის უფლებებს?

აბსოლუტურად ყველა. კრიმინალები, სახელმწიფოს მეთაურები, ბავშვები, კაცები, ქალები, აფრიკელები, ამერიკელები, ევროპელები, ლტოლვილები, უმუშევრები, დასაქმებულები, ბანკირები, ქველმოქმედები, მასწავლებლები, მოცეკვავეები, ასტრონავტები...

? კრიმინალები და სახელმწიფოს მეთაურებიც კი?

აბსოლუტურად ყველა. კრიმინალები და სახელმწიფოს მეთაურებიც ადამიანები არიან. ადამიანის უფლებების ძალა დევს ზუსტად იმ ფაქტში, რომ ადამიანური ღირსების ფლობის თვალსაზრისით ისინი ყველასათვის თანაბრად ვრცელდება. ზოგი შეიძლება არღვევდეს სხვების უფლებებს ან საფრთხეს უქმნიდეს საზოგადოებას და შესაბამისად მათი უფლებები უნდა შეიზღუდოს გარკვეული სახით რათა დაცული იქნას სხვების უფლებები, მაგრამ მხოლოდ გარკვეული საზღვრების ფარგლებში. ეს საზღვრები განისაზღვრება როგორც ადამიანური ღირსების არსებობის მინიმუმი.

? ვინ ზრუნავს ადამიანის უფლებებზე?

ჩვენ ყველამ უნდა ვიზრუნოთ. არსებობს კანონმდებლობა როგორც ეროვნულ ასევე საერთაშორისო დონეზე, რომლებიც აწესებს შეზღუდვებს მთავრობების ქმედებებზე მათი მოქალაქეების მიმართ. მაგრამ თუ არავინ მიუთითებს, რომ მათი

ქმედებები არღვევს საერთაშორისო ნორმებს მთავრობებმა შეიძლება დაუსჯელად გააგრძელონ მათი ხელყოფა. როგორც ინდივიდებმა, ჩვენ არა მხოლოდ პატივი უნდა ვცეთ სხვების უფლებებს ჩვენ ყოველდღიურ ცხოვრებაში არამედ თვალყური უნდა ვადევნოთ როგორც საკუთარ, ასევე სხვა მთავრობებს. დამცავი სისტემები არსებობს ყველა ჩვენგანისათვის თუ ჩვენ გამოვიყენებთ მათ.

? როგორ შემიძლია დავიცვა ჩემი უფლებები?

სცადეთ დააფიქსიროთ და მიაქციოთ სხვების ყურადღება იმ ფაქტს, რომ ისინი ირღვევა. მოითხოვეთ თქვენი უფლებების დაცვა. მიახვედრეთ მოწინააღმდეგე მხარე, რომ თქვენ იცით, რომ მას არა აქვს უფლება ასე მოგექცეთ. მიუთითეთ ადამიანის უფლებათა საყოველთაო დეკლარაციის, ადამიანის უფლებების შესახებ ევროპის კონვენციის ან სხვა საერთაშორისო დოკუმენტების შესაბამის მუხლებზე. თუ თქვენსავე ქვეყანაში არსებობს კანონი, ასევე მიუთითეთ მასზეც. უთხარით სხვებს ამის შესახებ: აცნობეთ პრესას, მისწერეთ თქვენს დეპუტატს პარლამენტში და სახელმწიფოს მეთაურს, მიაწოდეთ ინფორმაცია ნებისმიერ არასამთავრობო ორგანიზაციას, რომელიც ჩართულია ადამიანის უფლებათა დაცვის სფეროში. ჰკითხეთ მათ რჩევა. გაესაუბრეთ ადვოკატს, თუ ამის შესაძლებლობა გექნებათ. დარწმუნდით, რომ თქვენმა მთავრობამ იცის რა ზომების მიღებას აპირებთ. მიახვედრეთ ისინი, რომ თქვენ არ აპირებთ დათმობაზე წასვლას. აჩვენეთ მათ ის მხარდაჭერა, რომლის მოპოვებაც შეგიძლიათ. საბოლოო ჯამში, თუ ყველაფერი ეს არ გაჭრის, შეგიძლიათ მიმართოთ სასამართლოს.

? როგორ უნდა მივმართოთ ევროპის სასამართლოს?

ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვის ევროპის კონვენცია შეიცავს პროცედურებს ინდივიდუალური სარჩელებისათვის და ასევე ერთი სახელმწიფოს მიერ მეორის წინააღმდეგ აღძრული სარჩელებისათვის. თუმცა არსებობს საქმის წარმოებაში მიღების მკაცრი კრიტერიუმები, ვიდრე საქმის განხილვა შედგება. მაგალითად, ევროპის სასამართლოში სარჩელის აღძვრამდე თქვენ უნდა დაამტკიცოთ, რომ თქვენი სარჩელის განხილვა უკვე განხორციელდა თქვენი ქვეყნის სასამართლოს მიერ (უზენაესი სასამართლოს ჩათვლით!). თუ გსურთ სცადოთ და დარწმუნებული ხართ, რომ აკმაყოფილებთ შესაბამის მოთხოვნებს, მაშინ შეგიძლიათ შეიტანოთ სარჩელი და შეავსოთ ოფიციალური ფორმა (ფორმა გაიცემა ევროპის სასამართლოს სამდივნოს მიერ). მაგრამ რეკომენდირებულია მიიღოთ იურიდიული კონსულტაცია ან არასამთავრობო ორგანიზაციების რჩევები ამ სფეროში, რათა დარწმუნებული იყოთ, რომ თქვენ საქმის მოგების რეალური შანსი გაქვთ. გახსოვდეთ, რომ ეს შეიძლება იყოს რთული და ხანგრძლივი პროცესი ვიდრე საბოლოო განაჩენი იქნება გამოტანილი.

? ვისგან უნდა დავიცვა ჩემი უფლებები?

საერთაშორისო დოკუმენტებში ჩამოთვლილი ადამიანის თითქმის ყველა ძირითადი უფლების დაცვა უნდა მოსთხოვოთ თქვენ მთავრობებს ან სახელმწიფოს ოფიციალური პირებს. ადამიანის უფლებები იცავენ თქვენს ინტერესებს სახელმწიფოსაგან, ასე რომ მათი დაცვა უნდა მოსთხოვოთ სახელმწიფოს ან მის წარმომადგენლებს. თუ ხედავთ რომ თქვენი უფლებები ირღვევა მაგ. თქვენი უფროსის ან მეზობლის მიერ თქვენ ვერ მიმართავთ ადამიანის უფლებათა საერთაშორისო კანონმდებლობას, თუკი საქმეში არ არის რაიმე ისეთი, რაც თქვენს მთავრობას უნდა გაეკეთებინა თქვენი უფროსის ან მეზობლის ამგვარი ქცევის აღმოსაფხვრელად.

? არის ვინმე ვალდებული დაიცვას ჩემი უფლებები?

დიახ. უფლება აზრს მოკლებულია ვინმეს მხრიდან შესაბამისი პასუხისმგებლობის ან ვალდებულების აღების გარეშე. ყველა პიროვნებას გააჩნია მორალური ვალდებულება არ ხელყოს თქვენი ღირსება, მაგრამ თქვენი მთავრობა, რომელსაც ხელი აქვს მოწერილი საერთაშორისო შეთანხმებებზე ღებულობს არა მხოლოდ ზნებორივ, არამედ იურიდიულ პასუხისმგებლობასაც.

? ადამიანის უფლებები პრობლემა მხოლოდ არადემოკრატიულ ქვეყნებშია?

არ არსებობს მსოფლიოში რომელიმე ქვეყანა, რომელსაც არ გააჩნია ადამიანის უფლებების დარღვევის ფაქტები დღესაც კი. შეიძლება არსებობდეს უფრო ხშირი დარღვევები ზოგიერთ ქვეყანაში ვიდრე სხვებში ან შეიძლება ეხებოდეს მოსახლეობის უფრო დიდ ნაწილს, მაგრამ ნებისმიერი ცალკეული დარღვევა არის პრობლემა, რომელიც არ უნდა ხდებოდეს და რომელსაც უნდა მივხედოთ. ინდივიდი, რომლის უფლებებიც ირღვევა რომელიმე ერთ-ერთ დემოკრატიულ სისტემაში ვერ დამშვიდდება იმ ფაქტით, რომ ზოგადად მის ქვეყანაში უკეთესი მდგომარეობაა ადამიანის უფლებების დაცვის სფეროში ვიდრე მსოფლიოს სხვა ქვეყნებში.

? შეიმჩნევა პროგრესი ადამიანის უფლებათა დარღვევის შემცირების მხრივ?

არსებობს დიდი პროგრესი - თუმცა ზოგჯერ ის ჰგავს წყლის წვეთს ოკეანეში. გაიხსენეთ მონობის გაუქმება, ქალებისათვის ხმის მიცემის უფლება, ქვეყნები, რომლებმაც გააუქმეს სიკვდილით დასჯა, სინდისის პატიმრების გათავისუფლება საერთაშორისო ზეწოლის შედეგად, აპარტეიდის რეჟიმის დამხობა სამხრეთ აფრიკაში, საქმეები, რომლებიც განხილულ იქნა ევროპის სასამართლოში და რომლებიც შეიცვალა მათ შედეგად. გაიხსენეთ ფაქტი, რომ საერთაშორისო კულტურის ეტაპობრივი ცვლილებები ნიშნავს რომ ყველაზე ავტორიტარული რეჟიმებიც კი იძულებული არიან ანგარიში გაუწიონ ადამიანის უფლებებს, რათა მიაღწიონ აღიარებას საერთაშორისო დონეზე. მიღწეულია ბევრი დადებითი შედეგი განსაკუთრებით გასული 50 წლის განმავლობაში, მაგრამ კიდევ ბევრი რამ გასაკეთებელია.

CamWreli SekiTxvebi

? როგორ შეგვიძლია ვთქვათ, რომ ადამიანის უფლებები საყოველთაოა, როდესაც მთელ მსოფლიოში არსებობს ხალხი რომელთა უფლებებიც ირღვევა?

და მაინც ამ ადამიანებს აქვთ უფლებები. ფაქტი, რომ მათ ამგვარად ეპყრობიან ეწინააღმდეგება არა მხოლოდ ზნეობრივ ნორმებს, არამედ საერთაშორისოდ შეთანხმებულ ნორმებსაც. მათი სახელმწიფო წარმომადგენლები პასუხისმგებელნი არიან საერთაშორისო სამართლის წინაშე და ზოგიერთი ქვეყანა მართლაც "ისჯება" საერთაშორისო საზოგადოებრიობის მიერ სანქციების ან სხვა სამხედრო საშუალებების გამოყენების სახით. თუმცა ასეთი პროცესები ხშირად თვითნებურია და დამოკიდებულია უფრო მეტად სხვა სახელმწიფოების ინტერესებზე ვიდრე დარღვევის ხარისხზე. ჯერ კიდევ არ არსებობს მუდმივმოქმედი საერთაშორისო სისხლის სამართლის სასამართლო რომლის წინაშეც წარსდგებიან და

გასამართლდებიან დამნაშავეები. თუმცა ერთი ასეთი სასამართლო უკვე დაარსების სტადიაშია და ელოდება 60 ქვეყნის მიერ საერთაშორისო სისხლის სამართლის რომის წესდების რატიფიკაციას. ეს იქნება მუდმივმოქმედი სასამართლო, რომელიც გაასამართლებს გენოციდში, ომის დანაშაულებებში და კაცობრიობის წინააღმდეგ ჩადენილ დანაშაულში ბრალდებულებს. ეს მნიშვნელოვანი ნაბიჯია იმის აღიარებისათვის, რომ ადამიანის საყოველთაო უფლებები საჭიროებს განმტიკიცებას, რათა მოხდეს მათი პრაქტიკული გამოყენება.

? რა აზრი აქვს ადამიანის უფლებათა საყოველთაო დეკლარაციის არსებობას თუკი მას არა აქვს იურიდიული ძალა?

მაშინაც კი თუ (ჯერ კიდევ) არ არსებობს საერთაშორისო სასამართლო რომელიც გაასამართლებს მთავრობებს ადამიანის უფლებათა საყოველთაო დეკლარაციის მუხლების შესაბამისად ამ დოკუმენტის ისტორიული მნიშვნელობა უდიდესია და ის დღესაც აგრძელებს ფუნქციონირებას როგორც საფუძველი, რომლის ფონზეც მთავრობები სამართლდებიან საერთაშორისო დონეზე. დღეს მთავრობებმა იციან, რომ თუ ისინი თვითნებურად დაარღვევენ ამ დოკუმენტში ჩამოთვლილ უფლებებს, მათ ემუქრებათ სხვა მთავრობების მიერ დაგმობის საშიშროება და ზოგიერთი სახის სანქციებიც კი. ეს პროცესი არ არის ყოველთვის სრულიად ობიექტური (!) მაგრამ ნამდვილად არის საქმის დასაწყისი. ადამიანის უფლებათა საყოველთაო დეკლარაციამ ასევე შექმნა საფუძველი თითქმის ყველა საერთაშორისო ხელშეკრულებებისათვის, რომლებიც (მეტ-ნაკლებად) იურიდიული ძალის მქონეა.

? რა აზრის აქვს ადამიანის უფლებებს ჩემთვის, როდესაც ჩემი მთავრობა არღვევს უბრალო ხალხის უფლებებს ყოველდღიურად და არ ადარდებს საერთაშორისო საზოგადოებრიობის აზრი

ისევდაისევ, ისინი წარმოადგენს საქმის დასაწყისს. ეს უკეთესია ვიდრე მათი საერთოდ არარსებობა და სწორად შერჩეულ პირობებში და მიდგომაში ისინი შეძლებენ გავლენა მოახდინონ მთავრობაზე და შეცვალონ მისი ზოგიერთი, თუ ყველა არა, ქმედება. როდესაც ხელისუფლების მიერ ჩადენილი დარღვევები განსაკუთრებით მწვავეა ან განსაკუთრებით ხშირი ასეთი ცვლილებები ზოგჯერ აუსრულებელ ოცნებას ჰგავს, მაგრამ ისტორიამ აჩვენა, რომ ეს შესაძლებელია. ასევე დღეს შესაძლებლობები უკეთესია ვიდრე ისინი აქამდე იყო. ცვლილების გატარება შეიძლება ნელი პროცესი იყოს, მაგრამ ფაქტი, რომ ინდივიდებს აქვთ ეს უფლებები და რომ მათი აღიარება თანდათან ფართოვდება მთელ მსოფლიოში – და რომ თუნდაც მცირე შეშფოთების საგანი მაინც არის მთავრობებისათვის – გვაძლევს მძლავრ იარაღს და მნიშვნელოვან სასტარტო პოზიციას.

? თუ მე პატივს ვცემ სხვების უფლებებს ნიშნავს ეს, რომ მათ უნდა მივცე უფლება აკეთონ რაც მოესურვებათ?

თუ მათი სურვილი არაა ხელყონ თქვენი ან სხვების უფლებები. მაგრამ შესაძლოა დაგჭირდეთ ყურადღების კონცენტრაცია რათა მეტისმეტად მომთხოვნი არ იყოთ და არ გადააჭარბოთ თქვენი უფლებების მოთხოვნის საკითხში: შესაძლოა ვინმეს ქცევა მოგეჩვენოთ გამაღიზიანებლად ან არასწორად, მაგრამ ეს არ ნიშნავს თქვენი უფლებების უცილობელ დარღვევას. ამდენად, თუ თქვენ გსურთ სხვებმა მოგცენ უფლება მოიქცეთ როგორც თქვენ გინდათ, თქვენც ასევე უნდა იყოთ შემწყნარებელი სხვათა ქცევის მიმართ.

? ჩემი უფლებების დასაცავად შემიძლია გავაკეთო რაიმე, სხების წინააღმდეგ ძალადობის გამოყენების ჩათვლით?

არა. მაგრამ თუ ეს არის წმინდა თავდაცვის შემთხვევა მაშინ ძალის გამოყენება თქვენს მიმართ არსებული საფრთხის წინააღმდეგ შესაძლოა დასაშვები იყოს. ეს არ არის დასაშვები თქვენს წინააღმდეგ ჩადენილი არასწორი ქმედების გამო "სამაგიეროს გადახდის" მიზნით, არამედ მხოლოდ საკუთარი თავის დაცვის მიზნით შემდგომი ზიანისაგან. წამება არასოდეს არ დაიშვება.

? რატომ უნდა ვცე პატივი სხვების უფლებებს თუკი ისინი არ სცემენ პატივს ჩემს უფლებებს?

ნაწილობრივ იმიტომ, რომ თუ თქვენ არ სცემთ პატივს სხვების უფლებებს შეიძლება თავადვე შეგხვდეთ უსიამოვნება. ნაწილობრივ იმიტომ, რომ ისინი იმსახურებენ პატივისცემას იმ უბრალო მიზეზით, რომ ისინი ადამიანები არიან; ნაწილობრივ კი იმიტომ, რომ თქვენ შეგიძლიათ მისცეთ მაგალითი სხვებს რაც უფრო ზრდის იმის შანსს, რომ შემდგომში ისინიც პატივისცემით მოეკიდებიან თქვენს უფლებებს. თუმცა საბოლოო ჯამში ეს არის დამოკიდებული თქვენზე და იმაზე, თუ როგორი ტიპის ადამიანი გინდათ იყოთ ან როგორი ტიპის მსოფლიოში გინდათ იცხოვროთ. ასე რომ შეგიძლიათ დაფიქრდეთ როგორ დაგახასიათებთ თქვენივე საქციელი თუ იმასვე გააკეთებთ რაც სხვებში არ მოგწონთ. ან დაფიქრდით როგორი იქნება მსოფლიო თუ ყველა დაარღვევს ადმიანის უფლებებს „თვალი თვალის წილ" პრინციპის შესაბამისად..

? რატომ უნდა ჩაითვალოს ისინი ვინც ყველაზე არაჰუმანური ფორმით არღვევს ადამიანის უფლებებს ადამიანის უფლებების სუბიექტად?

ეს ალბათ არის მისაღებად ადამიანის უფლებების თეორიის ყველაზე რთული, მაგრამ ამავე დროს ყველაზე მნიშვნელოვანი ნაწილი. ზოგჯერ შეიძლება გვეჩვენებოდეს, რომ ზოგიერთი ადამიანი იმდენად მოკლებულია ადამიანურ თვისებებს რომ მხოლოდ ბრმა რწმენა თუ გვიბიძგებს დავარქვათ მათ ადამიანები. მნიშვნელოვანი პუნქტები ალბათ შემდეგია:

- **პირველი**, ზოგიერთის მოჩვენებითი არაადამიანურობის მიუხედავად ყველა ინდივიდს გააჩნია რაღაც ადამიანური. მათ ვინმე მაინც უყვართ: დამნაშავეებს უყვართ თავიანთი დედები, შვილები, ქმრები, და ცოლები. დამნაშავეები გრძნობენ ტკივილს, უარყოფას, სასოწარკვეთას და ეჭვიანობენ მათ სურთ იყვნენ დაფასებული, მიღებული, მხადაჭერილი, და გაგებული. თითოეული მათგანი, ფლობს ზოგერთ ამ ემოციებს, თუ მათი უმეტესობა არა. ეს მათ აქცევს ადამიანად და ჩვენი პატივისცემის ღირსად.
- **მეორე**, თუ დამნაშავეებს იგივე ტკივილს მივაყენებთ, რაც მათ მიაყენეს სხვებს ჩვენ არაფერს კარგს არ გავაკეთებთ. ასეთი გრძნობები ჩვენ ნაკლებად ღირსეულს გვხდის პატივისცემის თვალსაზრისით.
- **მესამე**, თუნდაც შემთხვევით დამნაშავე ადამიანის სახით რომ დაიბადოს, თუნდაც ყველანაირი ადამიანური თვისებების გარეშე (მაგრამ ჯერ ასეთი რამ არ მომხდარა) რომელ ჩვენთაგანს შეუძლია თქვას სრული დარწმუნებით, რომ ის არ არის ადამიანი? რა კრიტერიუმების მიხედვით? ალბათ იმის საფუძველზე, რომ მათ არ შეუძლიათ სიყვარული და არ არიან სიყვარულის საგანი? მაგრამ რა მოხდება თუ აღმოჩნდება რომ ჩვენი აზრი მცდარია?

მესამე პუნქტი გვახსენებს, რომ ჩვენ უნდა გავითვალისწინოთ მთლიანად კაცობრიობის წინაშე არსებული რისკი როდესაც ვირჩევთ ზოგიერთ ადამიანს სხვების განმსჯელებად როდესაც ასეთი განსჯის შედეგები არის საშინელი და გამოუსწორებელი. ნამდვილად გვინდა ისეთი მსოფლიო სადაც ასეთი განსჯა ხდება და სადაც ზოგიერთი ადამიანი უბრალოდ არ ითვლება ადამიანად? ზუსტად ამ ტიპის მსოფლიოს მივიღებთ, ადამიანის ყველა უფლებების აბსოლუტური უნივერსალობის გარეშე.

Tavi 5

damatebiTi informacia
sazogado Temebis Sesaxeb

5 Tavis Sinaarsi

ბავშვები 407
განათლება 414
გარემო პირობები 421
გენდერული თანასწორობა 426
გლობალიზაცია 431
დემოკრატია 436
დისკრიმინაცია და ქსენოფობია 442
მედია 460
მოქალაქეობა 466
მშვიდობა და ძალადობა 471
პიროვნების უსაფრთხოება 478
სიღარიბე 484
სოციალური უფლებები 489
სპორტი 495
ჯანმრთელობა 502
შენიშვნები 508

bavSvebi

დღეისათვის მსოფლიოში არსებობს დაახლოებით 2 მილიარდი ბავშვი, 79 მილიონი ევროკავშირში და 25 მილიონი იმ ქვეყნებში, რომლებიც ითვლებიან ევროკავშირში გაწევრიანების კანდიდატებად.

1989 გაერომ მიიღო ბავშვის უფლებათა კონვენცია, რომელიც რატიფიცირებულია ყველა ქვეყნის მიერ აშშ-ს და სომალის გარდა. ეს კონვენცია არის ამ სფეროში მიღებული პირველი სავალდებულო საერთაშორისო დოკუმენტი.

რატომაა ბავშვის უფლებათა კონვენცია ასეთი მნიშვნელოვანი?

კონვენციამ ბევრი რამ შეცვალა ბავშვთა უფლებების დაცვის სფეროში.

1. ის არის მსოფლიოში ყველაზე ფართო მაშტაბით რატიფიცირებული ადამიანის უფლებების დოკუმენტი.
2. კონვენცია ამკვიდრებს „სამი პ-ს“ პრინციპს. პირველ რიგში, იგი ხელს უწყობს მონაწილეობას ბავშვების ასაკის, და ზრდასრულობის მიხედვით – მოვლენებში, რომლებიც გავლენას ახდენს მათ ბედზე, როგორიცაა იურიდიული პროცესები ან გაშვილების პროცესები, რაც უკავსირდება მათ ოჯახებსა და მთლიანად საზოგადოებას. ის ასევე ამკვიდრებს უფლებებს მათი ძალადობის ყველა ფორმისაგან, და ისეთი ქმედებებისაგან დაცვისათვის, რომელიც არღვევს მათ უფლებებს. დაბოლოს, სხვა ნებისმიერი კონვენციის მსგავსად ის უზრუნველყოფს უფლებებს, რომლებიც იცავს პოტენციური ძალადობისაგან.
3. ის ბავშვებს განიხილავს კანონის სუბიექტად და არა ობიექტად. ტრადიციულად მოზრდილთა უდიდესი ნაწილი დარწმუნებულია, რომ ბავშვები უნდა განიხილონ ობიექტებად, რომლებიც უპირობოდ უნდა დაემორჩილონ უფროსებს – მასწავლებლებს, მოძღვარს, მშობლებს, ექიმებს და ა.შ. ამის ნაცვლად კონვენცია ამკვიდრებს იდეას, რომ ბავშვები არიან ადამიანები გარკვეული უფლებებით, რომლებსაც პატივი უნდა სცენ უფროსებმა, საზოგადოებამ და ყველა ორგანიზაციამ, რომლებიც მოღვაწეობენ ბავშვების სფეროში. ბავშვები მათი ასაკის მიუხედავად უფლებამოსილი არიან პატივი სცენ და მოეპყრონ ღირსეულად უბრალოდ იმის გამო რომ ისინი ადამიანები არიან.

“თქვენი შვილები არ არიან თქვენი შვილები. ისინი ეკუთვნიან სიცოცხლის წყურვილს, რომელსაც თვით სიცოცხლე განიცდის. თქვენ შეგიძლიათ დააბინაოთ მათი სხეულები მაგრამ არა მათი სულები რადგანაც მათი სულები ხვალინდელი დღის სახლში ცხოვრობენ, რომელსაც თქვენ ვერ ეწვევით თუნდაც თქვენ ოცნებებში”.

კალილ გილბრანი

Sesatyvisi savarjiSoebi

- *რა ალტერნატივები გვაქვს?*
- *ჩვენი მომავლის ვარინატები*
- *ინსცენირება*
- *აშიკის ისტორია*
- *„ბინგოს“ უფლებები*
- *ბავშვთა უფლებები*
- *დაე, ყველა ხმა იყოს მოსმენილი*

ბავშვის მონაწილეობა

მონაწილეობა აუცილებელია გაეროს ბავშვთა უფლებების კონვენციის პრაქტიკაში გატარების მიზნით; [ის] არის გადამწყვეტი ფაქტორი სოციალური ერთობის მიღწევისა და დემოკრატიულ სისტემაში ცხოვრებისათვის [ის] არის საჭირო პროცესი ბავშვის განვითარებაში..''

4. ბავშვის ინტერესების დაცვა უნდა მართავდეს ბავშვებთან დაკავშირებით მიღებულ ყველა გადაწყვეტილებას – იქნება ეს იურიდიული, ადმინისტრაციული, და ა.შ. ამ კონცეფციის განსაზღვრა რთულია და მისი ზუსტი მნიშვნელობის შესახებ არსებობს წინააღმდეგობრივი მიდგომები. პრაქტიკაში, ეს გულისხმობს, რომ მაგ. მოსამართლემ უნდა გადაწყვიტოს ვის დაეკისროს ბავშვზე მეურვეობა, მათ უნდა შეისწავლონ ბავშვის ცხოვრების და მასთან დაკავშირებული უფროსების რამოდენიმე ასპექტი. ყველა შემთხვევაში ბავშვის ინტერესების დაცვა უფრო მნიშვნელოვანია, ვიდრე ამ საქმესთან დაკავშირებული უფროსების ინტერესების დაცვა.
5. ბავშვთა უფლებების კონვენცია სფეროთა ფართო სპექტრს ეხება – ადმინისტრაციულს, სამართლებრივს, საგანმანათლებლოს, იურიდიულს და ა.შ. სადაც ბავშვის უფლებები დაცული უნდა იყოს. მაგ. ბავშვი, რომლის სათანადო რეგისტრაციაც არ მოხდა დაბადებისთანავე კანონისათვის არ არსებობს. მაშასადამე ისინი არ არსებობს არც სკოლის ადმინისტრაციისათვის, რომლებიც უარს ამბობენ სკოლაში მის მოსწავლედ ჩარიცხვაზე, შედეგად მათ არ შეუძლიათ სკოლაში სიარული. ეს არის გავრცელებული პრობლემა, რომელიც გავლენას ახდენს ათასობით ბავშვზე ბევრ ქვეყანაში. სკოლის ადმინისტრაციის მიერ ბავშვის სკოლაში ჩარიცხვაზე უარის თქმა იმის გამო რომ ''ისინი არ არსებობენ ადმინისტრაციული და სამართლებრივი'' თვალსაზრისით აშკარად არღვევს ბავშვის უფლებას განათლებაზე.

კონვენციას პრაქტიკული გავლენა ჰქონდა ბევრ ქვეყანაში, რომლებსაც ბავშვის უფლებათა კონვენციის რატიფიცირების შედეგად დაეკისრათ ვალდებულება ცვლილებები შეიტანონ ან/და რეფორმირება მოახდინონ არსებული კანონმდებლობის ნაწილში.

? ფიქრობთ, რომ ბავშვები ყოველთვის უპირობოდ უნდა დაემორჩილონ უფროსებს მათთვისვე სასიკეთოდ?

ბავშვების მდგომარეობა: ფაქტები და ციფრები

თუმცა კონვენცია ბავშვების საკეთილდღეოდ გადადგმული უზარმაზარი ნაბიჯია, ფაქტები მოწმობენ, რომ ბავშვთა უფლებები ირღვევა მსოფლიოს უმეტეს რეგიონებში.

ბავშვები ევროპაში...

ვინ არის ბავშვი?

კონვენციის 1 მუხლის თანახმად ''ყველა ადამიანი 18 წლის ასაკამდე არის ბავშვი თუ სხვა, ამ ბავშვის მიმართ მოქმედი კანონმდებლობით ის არ ითვლება სრულწლოვნად უფრო ადრეულ ასაკში.'' ეს ნიშნავს, რომ ნებისმიერი პიროვნება 18 წლის ასაკამდე მოზარდების ჩათვლით დაცულია კონვენციის მიერ.

- აღინიშნება ტრეფიკინგის მსხვერპლი ბავშვებისა და ქალების რიცხვის მკვეთრი ზრდა. გამოთვლების მიხედვით ყოველწლიურად დაახლოებით 120000 ქალი და ბავშვი იყიდება დასავლეთ ევროპაში ცენტრალური და აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნებიდან.
- მოხსენებების მიხედვით ბულგარეთში პროსტიტუცია გახდა ძირითადი შემოსავლის წყარო 14-18 წლის გოგონების დიდი რაოდენობისათვის, ძალიან ხშირად ისინი შეიძლება იყვნენ ორგანიზებული ქსელის ნაწილი. ასევე შემაშფოთებელია ფაქტი, რომ იზრდება ახალგაზრდა მამაკაცი-პროსტიტუტების რიცხვი.
- ესტონეთში პროსტიტუცია რომელშიც ჩართული არიან არასრულწლოვანი გოგონები. აღინიშნება სექს-ტურიზმის საზღვარგარეთული ბაზრის გაფართოება. ლატვიაში ასევე დაფიქსირებულია არასრულწლოვანი გოგონების პროსტიტუციის ფაქტები (8 და 10 წლის ასაკში).

ღირსშესანიშნავი თარიღები

4 ივნისი
აგრესიის მსხვერპლი უდანაშაულო ბავშვების საერთაშორისო დღე

12 აგვისტო
ახალგაზრდობის საერთაშორისო დღე

20 ნოემბერი
ბავშვთა საყოველთაო დღე

- კვლევები აჩვენებს, რომ დიდ ბრიტანეთში არსებობს მრავალი ათასი ქუჩის ბავშვი ძირითადად (თუმცა არა ექსკლუზიურად) დიდ ქალაქებში. ქუჩის ბავშვები თანაბრადაა გაყოფილი გოგონებად და ბიჭებად. გამოთვლების მიხედვით ყოველწლიურად დაახლოებით 40000 ბავშვი გარბის სახლიდან.
- საფრანგეთში ქუჩის ბავშვების ფენომენი მნიშვნელოვან პრობლემას წარმოადგენს 1980-იანი წლებიდან მოყოლებული. ზოგიერთი ორგანო მიიჩნევს, რომ შეიძლება არსებობდეს 10000 ქუჩის ბავშვი თუმცა სხვა გამოთვლების მიხედვით ეს რიცხვი გაცილებით დაბალია.
- ზოგადად, არსებობს უსახლკარო ახალგაზრდების მზარდი რაოდენობა, რომლებიც ქუჩებში ცხოვრობენ აღმოსავლეთ და ცენტრალურ ევროპაში. მხოლოდ ბუქარესტში დაახლოებით 1500 ბავშვი და ახალგაზრდა ცხოვრობს ქუჩაში.
- პოლონეთში და უნგრეთში 15 წლამდე ბავშვების მესამედზე მეტი სიღარიბეში ცხოვრობს. პოლონეთში ჩატარებული ბოლო კვლევის მიხედვით (გაეროს განვითარების პროგრამა, 1999) ბავშვების 60 % ცუდად იკვებება, მათგან 10 % კი მუდმივი შიმშილობის ზღვარზეა. რუსეთის ფედერაციაში 2 წლამდე ასაკის ბავშვთა ზრდის შეჩერება 1992 წელში 9.4 %-დან გაიზარდა 15.2%-ით 1994 წელს.

ბავშვთა სიღარიბის სტატისტიკა ევროპაში



ბავშვები მსოფლიოში

- ყოველწლიურად 10 მილიონზე მეტი ბავშვი 5 წლის ასაკის ქვემოთ იღუპება მიზეზების გამო, რომელთა თავიდან აცილებაც შესაძლებელია.
- 100 მილიონზე მეტი ბავშვი ჯერ კიდევ არ ღებულობს დაწყებით განათლებას, მათგან უმრავლესობა კი გოგონები არიან.
- დაახლოებით 300000 ბავშვი ჩართულია საბრძოლო მოქმედებებში.
- 149 მილიონი ბავშვი ცუდად იკვებება, მათგან ორი მესამედი აზიაზე მოდის.

- მხოლოდ გასული წლის განმავლობაში დაახლოებით 31 მილიონი ლტოლვილი და იძულებით ადგილნაცვალი პირი, ძირითადად ქალები და ბავშვები, ჩათრეული იქნა საომარ კონფლიქტებში და იძულებული იყვნენ დაეტოვებინათ სახლები და გამხდარიყვნენ ლტოლვილები.

ბავშვებთან და მოზარდებთან დაკავშირებული საკითხები ევროპაში

"სული იკურნება ბავშვებთან ყოფნით"

თეოდორ დოსტოევსკი

არსებობს ბავშვის უფლებებთან დაკავშირებული სპეციფიური საკითხები, რომლებიც განსაკუთრებით აქტუალურია ევროპული ინსტიტუტების და ასევე ევროპული მთავრობებისათვის. შედეგად, არსებობს აშკარა ნება იმ ზომების მიღებისათვის, რომლებიც მიმართულია ბავშვთა უფლებების დარღვევის ფენომენისაგან დაცვისათვის.

ევროპაში სექსუალური ტრეფიკინგის, პროსტიტუციის და პორნოგრაფიის ზემოთ მოყვანილი სტატისტიკის ფონზე ევროპის საბჭომ და მისმა წევრებმა მიიღეს რამოდენიმე რეკომენდაცია, მათ შორის:

- რეკომენდაცია 1065 (1987) ბავშვთა ტრეფიკინგის და ბავშვების ექსპლოატაციის სხვა ფორმების შესახებ
- რეკომენდაცია №R (91) 11 სექსუალური ექსპლოატაციის, პორნოგრაფიის, პროსტიტუციის, ბავშვების და ახალგაზრდების ტრეფიკინგის შესახებ
- რეზოლუცია 1099 (1996) ბავშვთა სექსუალური ექსპლოატაციის წინააღმდეგ ბრძოლის შესახებ.

როგორც კი ეს რეკომენდაციები მიიღება, სახელმწიფოები ვალდებულნი არიან მიიღონ პრაქტიკული ზომები მათი განხორციელებისათვის. ასეთი ზომების მაგალითებია:

1. ბელგიის შინაგან საქმეთა სამინისტროს ინიციატივით 1992 წლის 23 ნოემბერს ჟანდარმერიაში არსებულ ტრეფიკინგის წინააღმდეგ ცენტრალურ ოფისში დაარსდა სპეციალური ბავშვებით ვაჭრობის წინააღმდეგ მებრძოლთა განყოფილება. 1995 წლის 11 სექტემბერს იუსტიციის სამინისტრომ ბრძანება გასცა დაკარგული ბავშვების განყოფილების დაარსების შესახებ ამავე ოფისის ფარგლებში. ეს განყოფილება პასუხისმგებელია კოორდინაციისა და პროფესიული მხარდაჭერის უზრუნველყოფაზე იმ შემთხვევებში როდესაც მცირეწლოვანი ბავშვები საეჭვო ვითარებაში იკარგებიან.
2. ლუქსემბურგში პოლიციის სტრუქტურაში დაარსდა მცირეწლოვანთა დაცვის სპეციალური განყოფილება. ლუქსემბურგში პოლიციის განყოფილებებში შექმნილია მცირეწლოვანთა დაცვის განყოფილებები თავიანთი სამეცნიერო-კვლევით ქვეგანყოფილებებში. არსებობს ცხელი სატელეფონო ხაზი ბავშვებისათვის (kannerjugendtelefon).

? რატომ არის რთული ტრეფიკინგის ამ ფორმის აღმოფხვრა?

bavSvTa Sroma aris...

... 15 წლამდე ასაკის ბავშვების მუდმივი შრომა

... სამუშაო, რომელიც ხელს უშლის ბავშვებს სკოლაში სიარულში

... სამუშაო, რომელიც სახიფათოა ბავშვებისათვის და საზიანო მათი ფიზიკური, მენტალური და ემოციური ჯანმრთელობისათვის.

ამ პრაქტიკის მიზეზები ზოგჯერ ძალიან რთულია და მერყეობს ეროვნულ-კულტურული ტრადიციებიდან სიღარიბის სიტუაციამდე, როდესაც მშობლებს და ოჯახს ჭირდებათ ბავშვის მიერ გამომუშავებული ხელფასი.

შედეგების თვალსაზრისით, იმის გარდა, რომ ბავშვებს არა აქვთ სათანადო განათლების მიღების საშუალება და ხდება მათი ფიზიკური და გონებრივი განვითარების დაბრკოლება, ბავშვების სამუშაო ძალად გამოყენებას შეუძლია მიგვიყვანოს ჯანმრთელობის მძიმე პრობლემებადმე როგორიც არის: ძვლოვან-კუნთოვანი სისტემის დაზიანება, ქიმიური ინტოქსიკაცია, ჭრილობა და სხეულის სხვა დაზიანება, რესპირატორული დაავადებები, სერიოზული დამწვრობა და ა.შ.

ბავშვების მიერ დამზადებული პროდუქციის მაგალითებია ხალიჩები, აგურები, ასანთი, შაქარი, ტანსაცმელი, ფეხსაცმელი, სიგარეტი, ფეიერვერკები, სახლები და სხვა ნაგებობები, ფანქრები, ტყავის ნაწარმი. ბავშვებს, როგორც სამუშაო ძალას ასევე იყენებენ მოსავლის აღებისას, ქარხნულ წარმოებაში, მძიმე საგნების გადაზიდვისთვის, მეთევზეობაში და ძირითადი საშინაო მომსახურების შესრულებისათვის.

ინტერნეტი და პორნოგრაფია

ბავშვები შეიძლება დადგნენ დიდი რისკის წინაშე, როდესაც ისინი იყენებენ ინტერნეტს. ზოგიერთი ამ რისკთაგან არის არასათანადო მასალის ნახვა (ძალადობის ამსახველი ფოტოები, რასისტული და ქსენოფობიური პროპაგანდა, და ა.შ.), ასევე არსებობს საშიშროება გახდნენ შეურაცხყოფის და პედოფილური ქმედებების მსხვერპლი. არსებობს მზარდი მტკიცებულებები, რომ არსებობს ბავშვთა პორნოგრაფიის შესახებ ინფორმაციის გაცვლის ქსელები (სახელები, ფოტოები და ა.შ.). ბოლო წლებში ევროპაში და სხვა კონტინენტებზე დაპატიმრებულ იქნა ადამიანები ამგვარი არალეგალური და ამორალური საქმიანობისათვის.

პირებს, რომლებიც მუშაობენ ბავშვებთან, როგორიცაა სოციალური მუშაკები, მასწავლებლები, ფსიქოლოგები, და ა.შ. და ასევე მშობლებს ამგვარ სიტუაციებში ვთავაზობთ შემდეგი ზომების მიღებას:

- *ინდივიდუალური ზომების მიღება* როგორიცაა გაცხადება, ჩივილი, ან ცბობების შეგროვება როდესაც მათთვის ცნობილი გახდება ბავშვის მიმართ ამგვარი რისკის არსებობის ფაქტები ან როდესაც ისინი აღმოაჩენენ არაკანონიერ ან საშიშ ინტერნეტ მასალებს.
- *ბავშვების განათლება* მათთვის ინფორმაციის მიწოდების და მათთან ამ საკითხებზე მსჯელობის გზით.
- *მშობლების განათლება,* რომლებმაც უნდა გააცნობიერონ ინტერნეტით სარგებლობის საფრთხე და მოიპოვონ ინფორმაცია ამ საკითხების შესახებ.

samiti bavSvebisaTvis

ის სექტემბერში მსოფლიო სამიტმა ბავშვებისათვის მიიღო დეკლარაცია ბავშვთა გადარჩენის, დაცვის და

განვითარების შესახებ და ასევე მიიღო დეკლარაციის განხორციელების მოქმედების გეგმა. დაისახა მიზნების მთელი სერია ბავშვთა სიკვდილიანობის, ცუდი კვების, დაწყებითი განათლების ხელმისაწვდომობასთან დაკავშირებით, რომლებიც უნდა შესრულებულიყო 2000 წლისათვის.

? არც ერთი მიზანი არ არის მიღწეული მაგრამ ნიშნავს ეს რომ ეს სამიტი უსარგებლო იყო?

ბევრი არასამთავრობო ორგანიზაცია ერთიანდება ქსელში, რომელიც მონიტორინგს უკეთებს და აფიქსირებს არალეგალური მასალების შემცველ ინტერნეტ გვერდებს[4].

ევროპის საბჭოს კონვენცია კიბერდანაშაულის შესახებ მიღებულ იქნა 2001 წ. 8 ნოემბერს. ძალაში შესვლის შემდეგ ეს კონვენცია იქნება პირველი საერთაშორისო ხელშეკრულება ინტერნეტით და სხვა კომპიუტერული ქსელებით ჩადენილი დანაშაულების შესახებ, კერძოდ კომპიუტერთან და ინტერნეტთან დაკავშირებულ დანაშაულთან ბავშვთა პორნოგრაფიის ჩათვლით. მისი მთავარი მიზანი არის საერთო კრიმინალური პოლიტიკის გატარება, რომელიც მიზნად ისახავს საზოგადოების დაცვას კიბერკრიმინალისაგან განსაკუთრებით სათანადო კანონმდებლობის შექმნის და საერთაშორისო თანამშრომლობის გაძლიერების გზით. კონვენციის მუხლი 9 ეძღვნება ინტერნეტის საშუალებით გავრცელებულ პედოფილიასთან და ბავშვთა პორნოგრაფიასთან ბრძოლას.

? შეგვიძლია მივიღოთ ზომები ბავშვების მიერ ინტერნეტით სარგებლობის გასაკონტროლებლად მათი უფლების შელახვის გარეშე სხვადასხვაგვარი ინფორმაციის და იდეების მოძიების, მიღების და გაცემის შესახებ (მუხლი 13, ბავშვთა უფლებების კონვენცია).

ბავშვთა ომბუდსმენი

ევროპაში ბავშვთა ომბუდსმენის ევროპული ქსელი დაარსდა 1997 წელს. მასში შედიან წარმომადგენლები ავსტრიიდან, ბელგიიდან, დანიიდან, ფინეთიდან, საფრანგეთიდან, უნგრეთიდან, ისლანდიიდან, ლიტვიდან, ყოფილი იუგოსლავიის მაკედონიის რესპუბლიკიდან, ნორვეგიიდან, პორტუგალიიდან, რუსეთის ფედერაციიდან, ესპანეთიდან, შვედეთიდან და უელსიდან. რუსეთის შრომისა და სოციალური განვითარების სამინისტრომ შეიმუშავა საცდელი პროექტი, რომლის მიხედვითაც ბავშვთა წარმომადგენელი დაინიშნა 5 შტატში (ობლასტ). ყველა წარმომადგენელი დაინიშნა განკარგულების საფუძველზე და მინიჭებული აქვთ მანდატი ბავშვების უფლებების დამკვიდრებისა და მათი დაცვისათვის.

სიტყვა "ომბუდსმენი" მოდის სკანდინავიური სიტყვიდან "ombud" რაც ნიშნავს ელჩს, დელეგატეს ან წარგზავნილს. ის აღნიშნავს პიროვნებას, რომელიც განიხილავს გარკვეული ჯგუფისაგან მიღებულ საჩივრებს (ამ შემთხვევაში ბავშვები), ლაპარაკობს ამ ჯგუფის სახელით და ცდილობს გაუმჯობესოს პირობები ჯგუფის წევრებისათვის ისევე როგორც მთლიანად ჯგუფისათვის.

პირველი ბავშვთა ომბუდსმენი დაინიშნა ნორვეგიაში 1981 წელს. ომბუდსმენი არის დამოუკიდებელი, არა-პარტიული წარმომადგენელი, სპიკერი, მსაჯი, რომელიც ამოწმებს ასრულებენ თუ არა სამინისტროები და სხვები მათზე დაკისრებულ მოვალეობებს და სთავაზობს მათ ბავშვებთან დაკავშირებული საკითხების გაუმჯობესებისათვის საჭირო ზომებს. ომბუდსმენი იცავს პატარების საჭიროებებს, უფლებებს, და ინტერესებს, მუშაობს ბავშვის უფლებათა კონვენციის გატარებაზე და მხარს უჭერს მის გავრცელებას. ომბუდსმენი უფლებამოსილია გამოიძიოს, კრიტიკულად შეაფასოს და გამოაქვეყნოს საკუთარი მოსაზრება, მაგრამ არა აქვს უფლება შეცვალოს ადმინისტრაციული ქმედება ან გააუქმოს ადმინისტრაციული გადაწყვეტილებები. ომბუცმენი სამართლებრივი პირებისაგან, მშობლებისა და მეურვეებისაგან დამოუკიდებლად ერევა საქმეში რათა წარმოადგინოს ბავშვის უფლებები ყველა სახის სამოქალაქო და სისხლის სამართლის საქმეებში სადაც ბავშვები პირდაპირ ან არაპირდაპირ არიან ჩართულნი.

ზოგიერთ ქვეყანაში ომბუდსმენი პასუხისმგებელია შეფასების მეთოდების მიღებაზე როგორიცაა "ბავშვზე გავლენის შეფასება" რათა განისაზღვროს და შეფასდეს ბავშვებზე სხვადასხვა საკანონმდებლო ინიციატივების, პროცედურების

და სხვა ზომების ყველა შესაძლო შედეგი. შვედური არასამთავრობო ორგანიზაციის „რადა ბარნენის“ მიხედვით უკვე 20 ქვეყანას ჰყავს დანიშნული ბავშვთა ომბუდსმენი.

saerTaSoriso da regionaluri dokumentebi da bavSvebi

1. ბავშვის უფლებათა კონვენცია, 1989წ.
2. საერთაშორისო დეკლარაცია ბავშვთა გადარჩენის, დაცვის და განვითარებისათვის 1990წ.
3. ბავშვთა გადარჩენის, დაცვის და განვითარების საერთაშორისო დეკლარაციის განხორციელების მოქმედების გეგმა 1990წ.
4. საპარლამენტო ასამბლეის რეკომენდაცია 1460 (2000) ბავშვთა ომბუდსმენის ინსტიტუტის დაარსების შესახებ, ევროპის საბჭო, სტრასბურგი, 2001.
5. ევროპის საბჭოს საპარლამენტო ასამბლეის რეკომენდაცია 1286 (1996), ბავშვთა ინტერესების გათვალისწინებისათვის ევროპული სტრატეგიის შესახებ
6. ბავშვთა უფლებების განხორციელების ევროპული კონვენცია, ევროპის საბჭო, სტრასბურგი 1996წ.

წყაროები

Asquith S, Juvenile Justice and Juvenile Delinquency in Central and Eastern Europe – A Review – Centre for the Child and Society, University of Glasgow. http://eurochild.gla.ac.uk/library/CoELibrary.htm

კვლევითი ჯგუფის საანგარიშო მოხსენება უპატრონო ბავშვთა შესახებ, ევროსაბჭო, სტრასბურგი, 1994წ. აპრილი

Flekkoy, M., A Voice for Children – Speaking as their Ombudsman, UNICEF, 1991

გლობალური მოძრაობა ბავშვებისათვის www.gmfc.org

Human Rights Education Newsletter, # 29, Centre for Global Education, University of York, UK, 2001

Setting up a European Ombudsman for Children, doc. 8552, Council of Europe Parliamentary Assembly, 1999

The State of the World's Children 2000, UNICEF

"Trafficking in women, a comprehensive Eurpean stratagy" , information sheets, European Commission



ganaTleba



"განათლება არის არა უბრალოდ ფულის გამომუშავების წყარო ან ინსტრუმენტი სიმდიდრის მოსახვეჭად. ის არის სულიერ ცხოვრებაში წვდომა, ადამიანის სულის აღზრდა სიმართლის ძიებაში და სიკეთის კეთებაში"

ვიჯაია ლაქშმი პანდიტი

განათლების უფლება როგორც ადამიანის ერთ-ერთი უფლება

ევროპის ადამიანის უფლებების სასამართლოს ერთ-ერთ საქმეში განათლების უფლება განსაზღვრული იყო როგორც "მოცემულ დროში არსებული საგანმანათლებლო ინსტიტუტებში შესვლის და მიღებული განათლებით სარგებლობის უფლება, რაც ნიშნავს მიღებული განათლების ოფიციალური აღიარების მოპოვებას"[16].

ganaTleba

"... არის როგორც ადამიანის უფლება, ასევე სხვა უფლებების გააზრების განუყოფელი ნაწილი. განათლება არის უფლება, რომელიც გვაძლევს დამატებით შესაძლებლობებს და უმთავრესი ინსტრუმენტი, რომლის საშუალებითაც ეკონომიურად და სოციალურად გაუცხოებულ უფროსებს და ბავშვებს შეუძლიათ თავი დააღწიონ სიღარიბეს და მოიპოვონ საშუალება სრულად მიიღონ მონაწილეობა თავიანთ საზოგადოებრივ ცხოვრებაში. განათლებას გადამწყვეტი როლი აქვს ქალების გაძლიერებაში, ექსპლოატაციური და სახიფათო შრომისა და სექსუალური ექსპლოატაციისაგან ბავშვების დაცვაში, ადამიანის უფლებების და დემოკრატიის დამკვიდრებაში, გარემო პირობების დაცვაში და მოსახლების ზრდის კონტროლირებაში. უფროდაუფრო ფართო აღიარებას პოულობს აზრი, რომ განათლება არის სახელმწიფოს მიერ გაკეთებული საუკეთესო ფინანსური ინვესტიცია. მაგრამ განათლების მნიშვნელობა არ შემოიფარგლება მხოლოდ პრაქტიკული მიზნებით: განათლებული, და აქტიური გონება, რომელსაც შეუძლია თავისუფლად და ღრმად იაზროვნოს არის ერთ-ერთი ბედნიერება და ჯილდო ადამიანის არსებობისა[17]."

შესატყვისი სავარჯიშოები

- *გლობალიზაციის ტერმინოლოგიური ლექსიკონი*
- *განათლება ყველასათვის*
- *უარი რასიზმს*
- *ბავშვთა უფლებები*
- *დაე ყველა ხმა იყოს მოსმენილი*
- *გზა თანასწორობის ქვეყნისაკენ*
- *ენობრივი ბარიერი*

განათლების უფლება განიხილება ადამიანის უფლებათა შემდეგ დოკუმენტებში:

- ადამიანის უფლებების საყოველთაო დეკლარაცია (მუხ. 26)
- ევროპის კონვენცია ადამიანის უფლებების და ძირითადი თავისუფლებების შესახებ (მუხ. 2 პროტოკოლი № 1)
- ქალების წინააღმდეგ დისკრიმინაციის ყოველგვარი ფორმის აღმოფხვრის კონვენცია (მუხ. 10)
- კონვენცია ბავშვის უფლებების შესახებ (მუხ-ბი 28 და 29)
- ხალხების და ადამიანის უფლებების აფრიკული ქარტია (მუხ. 17)
- სან-სალვადორის პროტოკოლი ადამიანის უფლებების ამერიკულ კონვენციაზე (მუხ. 13)
- ეკონომიკური, სოციალური და კულტურული უფლებების საერთაშორისო პაქტი (მუხ-ბი 13 და 14). საინტერესოა აღვნიშნოთ, რომ მუხ. 13 არის ხელშეკრულების ყველაზე გრძელი და ფართო სპექტრის დებულება და ის არის ყველაზე ამომწურავი მუხლი განათლების შესახებ ადამიანის უფლებების კანონმდებლობაში.

რა პრობლემებია დღევანდელი საგანმანათლებლო სფეროში?

1996 წელს iuneskos კომისიამ წარმოადგინა 7 ძირითადი წინააღმდეგობრივი ხასიათის მქონე ასპექტი, რომელიც არსებობს მსოფლიოში და გავლენას ახდენს განათლებაზე:

1. წინააღმდეგობა გლობალურსა და ადგილობრივს შორის
2. წინააღმდეგობა საყოველთაოსა და ინდივიდუალურს შორის
3. წინააღმდეგობა ტრადიციასა და თანამედროვეობას შორის
4. წინააღმდეგობა სულიერსა და მატერიალურს შორის
5. წინააღმდეგობა გრძელპერსპექივიან და მოკლეპერსპექტივიან მოსაზრებებს შორის
6. წინააღმდეგობა თანასწორობასა და კონკურენციას შესაძლებლობების შორის
7. წინააღმდეგობა ცოდნის მეტისმეტ განვრცობასა და ადამიანების უნარს შორის აითვისონ ის.

ღირშესანიშნავი თარიღები

8 სექტემბერი
მწიგნობრობის საერთაშორისო დღე

5 ოქტომბერი
მასწავლებელთა საერთაშორისო დღე

iuneskom განმარტა რას უწოდებდა ის განათლების 4 "ნიშანსვეტს", როგორც სტრაგეტიას, რომელსაც შეეძლო გამკლავებოდა ამ პრობლემებს:

1. სწავლა თანაცხოვრებისათვის: კონკრეტულად ეს ნიშნავს რომ განათლებამ უნდა განამტკიცოს სტუდენტებში მათთვის საჭირო უნარჩვევები და შესაძლებლობა რათა აღიარონ თავიანთი ურთიერთდამოკიდებულება სხვებზე; გადაჭრან კონფლიქტები; იმუშაონ და დაგეგმონ სხვებთან ერთად საერთო მიზნები და საერთო მომავალი; პატივი სცენ პლურალიზმს და მრავალფეროვნებას (მაგ. გენდერული, ეთნიკური, რელიგიური და კულტურული); და აქტიური მონაწილეობა მიიღონ საზოგადოების ცხოვრებაში.
2. სწავლა ცოდნისათვის: ეს ნიშნავს, რომ განათლება უნდა დაეხმაროს სტუდენტებს შემეცნების მეთოდების: კომუნიკაციის და ზეპირი მეტყველების, მწიგნობრობის, მათემატიკური აზროვნების და პრობლემის გადაჭრის ხეხების გათავისებაში; შეიძინონ როგორც ზოგადი ფართო განათლება ასევე გარკვეული სფერობის ღრმა ცოდნა, გაიაზრონ უფლებები და პასუხისმგებლობები, და ყველაზე მნიშვნელოვანი ისწავლონ თუ როგორ უნდა ისწავლონ
3. სწავლა მოქმედებისათვის: განათლება უნდა დაეხმაროს სტუდენტებს შეიძინონ პროფესიული უნარჩვევები, ცოდნა სოციალურ და ფსიქოლოგიურ სფეროებში, რაც საშუალებას მისცემს მათ მიიღონ კომპეტენტური გადაწყვეტილებები სხვადასხვა ცხოვრებისეულ სიტუციებში, იფუნქციონირონ სოციალურ და სამუშაო ურთიერთობებში, მონაწილეობა მიიღონ ადგილობრივ და გლობალურ ბაზრებში, გამოიყენონ ტექნოლოგიური ინსტრუმენტები, გამოიყენონ ტექნიკის მიღწევები, დაიკმაყოფილონ ძირითადი მოთხოვნები და გააუმჯობესონ თავიანთი და სხვების ცხოვრების დონე.
4. სწავლა არსებობისათვის: განათლებამ უნდა შეიტანოს წვლილი პიროვნების განვითარებაში და ხალხს მისცეს დამოუკიდებლად მოქმედების, ფხიზელი განსჯის, კრიტიკული აზროვნების და პირადი პასუხისმგებლობის აღების საშუალება. ის მიზნად უნდა ისახავდეს ადამიანური პოტენციალის ყველა ასპექტებს განვითარებას მაგ. მეხსიერება, არგუმენტაცია, ესთეტიკის შეგრძნება, სულიერი

"თუ ფიქრობთ რომ განათლება ძვირადღირებულია, სცადეთ იყოთ გაუნათლებელი".

ანონიმური ავტორი

ღირებულებები, ფიზიკური და კომუნიკაციის უნარჩვევები; ჯანმრთელი ცხოვრების სტილი, სპორტი და დასვენება, პიროვნული კულტურის დაფასება, ეთიკური და ზნეობრივი კოდექსის ფლობა საკუთარი თავის დაცვის გამოხატვის უნარი, ცხოვრებისეული სიმტკიცე.

ფორმალური და არაფორმალური განათლების ურთიერთდამატებითი როლები

ევროპის საგანმანათლებლო პოლიტიკაში არსებობს 2 ძირითადი კონცეფცია: უწყვეტი სწავლება და შემეცნებითი საზოგადოება. იდეა მდგომარეობს ისეთი საზოგადოების შექმნაში, რომელშიც ადამიანებს მთელი სიცოცხლის განმავლობაში მიეცემათ მრავალეფროვანი შესაძლებლობები თავიანთი ცოდნის განვითარებისათვის. მნიშვნელოვანია აღინიშნოს, რომ არსებობს არა მხოლოდ ფორმალური განათლების როლის მზარდი აღიარება არამედ იმ შესაძლებლობებისაც, რომლებსაც გვთავაზობს არაფორმალიზებული განათლება ანუ პროგრამები, რომლებიც არსებობს ფორმალური განათლების სისტემის ფარგლებს გარეთ. ასეთი პროგრამები ხშირად ხორციელდება არასამთავრობო ორგანიზაციების მიერ. მათ შესწევთ უნარი მოიცვან საკითხების ფართო სპექტრი და გამოიყენონ სხვადასხვა მეთოდოლოგია და მოქნილი მიდგომები. ამ ორგანიზაციების მიერ შემუშავებულ პროგრამებს შეუძლია მისცეს განათლება და სხვა უნარ-ჩვევების უზრუნველყოფის მილიონობით ბავშვსა და მოზარდს, რომლებისთვისაც ფორმალური განათლების სისტემა არ არის ხელმისაწვდომი ან მუშაობენ შესაბამისი განათლების გარეშე.

? შეგიძლიათ დაასახელოთ თქვენს საზოგადოებაში არსებული არაფორმალიზებული განათლების პროგრამების მაგალითები?

მე-20 საუკუნეში ევროპაში სახელმწიფო ან კერძო სკოლები ასევე გახდა ძირითადი დაწესებულებები მასიური განათლებისათვის და ფორმალურმა განათლებამ ფართოდ აღიარება მოიპოვა.

ბოლო ათწლეულებში არსებულმა ტენდენციამ გამოიწვია ბაზისური განათლებისათვის გამოყოფილი ბიუჯეტის ზრდა, სავალდებულო სწავლების დაკანონება და მედიაში განათლების და განივთარების საკითხების ფართოდ გაშუქება.

განათლების სფეროს სპეციალისტები საუბრობენ ფორმალური და არაფორმალიზებული განათლებას შორის მჭიდრო კავშირის დამყარებაზეურთიერთობისა და თანამშრომლობის გაღრმავებაზე რაც ხელს შეუწყობს საგანმანათლებლო საქმიანობის სინქრონიზირებას და სასწავლო გარემოს შექმნას, რათა მოსწავლეებს ერთობლივი შესაძლებლობების სრული კომპლექტი შესთავაზონ.

? საერთო ჯამში რა ხარისხით პასუხობენ საგანმანათლებლო სისტემები თანამედროევეობის გამოწვევას?

სამყაროს თანდათანობით გართულებასთან ერთად სასკოლო სისტემებიც უფრო ფართო და რთული გახდა. ამ სისტემებში ჩართული ბავშვების რაოდენობა უფრო სწრაფად გაიზარდა ვიდრე მოსახლეობა: დაწყებითი განათლების სისტემაში გაერთიანებული ბავშვების რაოდენობა 1970 წ-ს 50%-მდე გაიზარდა, 76%-მდე 1990 წელს და 82%-მდე 1995 წელს. სისტემების უმრავლესობა განივრცო და

ადრინდელთან შედარებით უფრო სისტემატურად მოიცვა სკოლამდელი ასაკის ბავშვები, მოზარდები და ზრდასრულები.

evropuli axalgazrduli organizaciebis roli

ევროპის დონეზე ახალგაზრდულმა ორგანიზაციებმა იპოვეს განათლების საკითხების შესახებ საკუთარი აზრის გამოთქმის გზები. ასევე სტუდენტურმა ორგანიზაციებმაც როგორიცაა სტუდენტების ეროვნული კავშირი ევროპაში (ESIB) და ევროპის სკოლის მოსწავლეების კავშირების მაორგანიზებელი ბიურო. (OBESSU), რომელიც ეროვნული სკოლის სტუდენტური ორგანიზაცების და კავშირების უდიდესი ევროპული პლატფორმაა და აქტიურად არის ჩართული ზოგად საშუალო და საშუალო პროფესიულ განათლების სფეროში. ეს ორგანიზაციები ხელს უწყობენ ინფორმაციის, ცოდნის და გამოცდილების გაცვლას ეროვნულ სტუდენტურ ორგანიზაციებს შორის და ისინი თამაშობენ მნიშვნელოვან როლს დისკუსიაში ახალი მიმართულებების შესახებ ევროპაში ფორმალური საგანმანათლებლო სისტემების ფარგლებში.

მწიგნობრობის დონე განვითარებად ქვეყნებში ასევე გაიზარდა - 1970 წელს 43%-დან, 65%-მდე 1990 წელს და 70%-ზე მაღლა 1995 წელს. ასეთი ზრდა უმეტესად არის განათლების ხარისხის გაუმჯობესების, სკოლის მიმართ მთავრობის და საერთაშორისო საზოგადოებრიობის ყურადღების გაზრდის და ოჯახების მიერ საკოლო განათლების უტყუარ ფასეულობად აღიარების შედეგი. განათლება დაფასებულია თავისთავად და ასევე მას განიხილავენ როგორც პანაცეას ნებისმიერი პრობლემისათვის, რომელთავ ყოველდღიურად აწყდებიან ოჯახები.

მაგრამ ამის საპირისპიროდ არსებობს სკოლებში შესვლის დაბრკოლების დამამტკიცებელი გარემოებები მთელ რიგ ქვეყნებში. ზოგიერთი ექსპერტი მიუთითებს, რომ გასული 20 წლის განმავლობაში

> *"ქვეყნების უტესობაში დაწყებითი, საშუალო და უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებში შემსვლელთა რიცხვი შემცირდა. ასევე ყველა ქვეყანაში შემცირდა განათლებაზე დახარჯული თანხები, როგორც მთლიანი შიდა პროდუქციის წილი[19]".*

ამ მოდელებს განსაკუთრებით უარყოფითი შედეგები ჰქონდა საგანმანათლებლო მიღწევებისათვის მწიგნობრობის ჩათვლით იმ ქვეყნებში, რომლებსაც ნაკლებად სწრაფი გაუმჯობესება ჰქონდათ გასული 20 წლის განმავლობაში გასულ 2 ათწელეულთან შედარებით.

globalizacia

გლობალიზაციის ძირითადი ელემენტები, როგორიც არის სელექტიური ვაჭრობის ლიბერალიზაცია, კომპანიების უნარი აწარმოონ ოპერაციები მთელი მსოფლიოს მასშტაბით და გადასახადებისთვის თავის არიდება საფრთხეს უქმნის განათლების გრძელვადიან დაფინანსებას. საგადასახადო პრობლემებმა ზეგავლენა იქონია განათლების სამთავრობო დაფინანსებაზე. განას შემთხვევაში მთავრობამ შეძლო აეკრიფა მთლიანი ეროვნული პროდუქციის გადასახადების 12 % თუ ის დაკარგავდა საგადასახადო შემოსავლების მხოლოდ 10% -ს ანუ მთლიანი ეროვნული პროდუქციის 12%-ს ეს გაუტოლდებოდა დაწყებითი განათლების ბიუჯეტის ნახევარს. ამდენად შემოსავლების აკრეფის უნარის დაცვას სასიცოცხლო მნიშვნელობა აქვს პროგრესის მიღწევის თვალსაზრისით საყოველთაო დაწყებითი განათლების სფეროში20.

ბევრ ცენტრალური ევროპის და აღმოსავლეთ ევროპის ქვეყანაში ეკონომიკური აღმავლობა ჯერ კიდევ არ არის რეალობა. რა არის განათლების შედეგები?

> *"სოციალური დანახარჯების დეცენტრალიზაციას მნიშვნელოვანი გავლენა ჰქონდა განათლების არსებულ რესურსებზე (პოლონეთი, 1999; რუსეთის ფედერაცია, 1999; რუმინეთი 1999) რამოდენიმე*

რი მწარე არის
ოფი ტკბილია"

არისტოტელე

ცენტრალური ევროპის ქვეყანამ შემოიტანა საგანმანათლებლო დაფინანსების და მართვის უფრო მაღალი დეცენტრალიზაცია 1990 წლამდე, მაგრამ რეგიონის დანარჩენ ნაწილში პასუხისმგებლობის გადაცემის მცდელობა ცენტრალური მთავრობიდან ადგილობრივ მთავრობისათვის ჯერ კიდევ სიახლეა.

ამდენად, ადგოლობრივ მმართველობას მიენიჭა მზარდი პასუხისმგებლობა განათლების უზრუნველყოფისათვის დაწებითი სკოლამდელიდან საშუალო სკოლამდე. ბევრ შემთხვევებში სკოლებს თავად მიენიჭათ მნიშვნელოვანი უფლებამოსილება. ხარჯვის პასუხისმგებლობის მიხედვით თუ ვიმსჯელებთ რეგიონები ხშირად განკარგავენ განათლებაზე გამოყოფილი თანხების დიდ ნაწილს და ზოგიერთ ქვეყანაში არსებობს მზარდი უთანასწორობა ქვეყნის სხვადასხვა რეგიონების უნარში საგანმანათლებლო პროგრამების დაფინასების თვალსაზრისით. (პოლონეთი, 1999)

ზოგიერთ შემთხვევაში ადგილობრივი მმართველობა განსაკუთრებით სოფლის რეგიონებში ვერ ღებულობს საკმარის ფინანსებს მათთვის დაკისრებული ახალი ვალდებულებების შესასრულებლად, და მცირე საშულებები გააჩნიათ დამატებითი ფინანსების მოსაპოვებლად. ხშირად მასწავლებლების ხელფასები (რაც წარმოადგენს განათლების ბიუჯეტის ყველაზე მნიშვნელოვან წილს) კვლავ განისაზღვრება ცენტრალური ორგანოების მიერ, რაც სკოლებს უტოვებს შეზღუდულ ავტონომიას საბიუჯეტო გადაწყვეტილებების მიღების თვალსაზრისით.

თუმცა რესურსების წილი, რომელიც იხარჯება განათლებაზე მოდის სახელმწიფო ბიუჯეტიდან მნიშვნელოვნად არის შემცირებული. ეროვნული შემოსავლის და საგადასახადო შემოსავლების შემცირების პირობებში სახელმწიფოს მხარდაჭერა განათლებისადმი რეალურად მკვეთრად შესუსტდა.

გარდამავალ პროცესთან დაკავშირებული სირთულეების მიუხედავად ქვეყნებმა გადადგეს ბევრი კონკრეტული ნაბიჯი საგანმანათლებლო რეფორმებისაკენ. ეს რეფორმები აქცენტირებულია საგანმანათლებლო კანონმდებლობის, სასწავლო პროგრამების დემოკრატიზაციის და მართვისა და დაფინასების დეცენტრალიზაციისაკენ. მაგრამ ზოგიერთ ქვეყანაში ამ რეფორმების პრაქტიკული განხორციელება ნელა და ხშირად პრობლემურად მიმდინარეობს[21]".

"ჩვენ ვიბადებით სუსტები და გვჭირდება ძალა; უმწეონი და გვჭირდება დახმარება; სულელები და გვჭირდება გონება. ყველაფერს რაც დაბადებიდან გვაკლია, ყველაფერს რაც გვჭირდება როდესაც დავვაჟაცდებით განათლებისაგან საჩუქრად ვღებულობთ."

ჟან-ჟაკ რუსო

სამწუხაროდ განათლების მდგომარეობის არსებული მაჩვენებლები მსოფლიოში ნათლად აჩვენებს, რომ ამ სექტორში ბევრად მცირე რესურსების ინვესტირება ხდება. სწრაფად ცვალებად სამყაროში მშობლები და ახალგაზრდები კითხვის ნიშნის ქვეშ აყენებენ სკოლების მიერ შემოთავაზებული განათლების აქტუალობას. ამასთან ერთად მსოფლიოში მეტისმეტად ბევრ სკოლაში აღინიშნება მასწავლებლების გაცდენები, დროის არასწორად გამოყენება და თითოეული მოსწავლის ინტერესებისა და უნარისადმი ზერელე დამოკიდებულება. ამიტომ გასაკვირიც არ არის, რომ ასეთ სკოლებში ბავშვები იღებენ ძალიან მცირე სასარგებლო განათლებას, მათი დროის დიდი ნაწილი იხარჯება მექანიკურ დამახსოვრებაზე და შესაბამისად ბავშვების უმეტესობა უარყოფს იმას, რასაც საგანმანათლებლო სისტემა სთავაზობს. იმ მოსწავლეებს შორის, რომლებიც აგრძელებენ სწავლას, ბევრი ელემენტარულ უნარ-ჩვევებსაც ვერ იძენს

ვიდრე სწრაფი რეაგირების ჯარები".

ედვარდ ევერეტი

ცხოვრებისეულ სიტუაციებში იმ ცოდნის ანალიზისა და გამოყენებისათვის, რომელიც მათ შეიძინეს.

ევროსაბჭოს ექსპერტებმა ჩამოაყალიბეს ახალგაზრდების 3 ძირითადი ჯგუფი, რომლებიც განსაკუთრებით დაუცველი არიან საგანმანათლებლო სისტემის ფარგლებში:

1. ეკონომიკურად გაჭირვებული ოჯახებიდან გამოსული ახალგაზრდები
2. ახალგაზრდები, რომლებსაც ჰყავთ შეზღუდული განათლების მქონე მშობლები
3. ეთნიკური უმცირესობები, იმიგრანტები და პირები, რომლებიც ხშირად იცვლიან საცხოვრებელ ადგილს.

? შეგიძლიათ გამოყოთ რაიმე სხვა ჯგუფი, რომელიც განსაკუთრებით დაუცველია თქვენ საზოგადოებაში და რომელიც არ არის ნახსენები ამ სიაში?

მსოფლიოს ბევრ ქვეყანაში არსებობს გარკვეული სკეპტიციზმი განათლების ფორმალური, უნიფიცირებული სისტემის მიმართ. ხალხი ხედავს მზარდ უთანასწორობას და განსხვავებას ფასებში, ხარისხში, მიღწევებში და სერტიფიცირებაში – და ამას მივყავართ "რწმენის კრიზისამდე" მსოფლიოს დიდ ნაწილის სახელწიფო სკოლებში.

თუ დაწყებითი სკოლის ასაკის ყველა მოსწავლე მიიღებდა მინიმუმ 4 წლიან საფუძვლიან განათლებას მწიგნობრობის პრობლემა გადაიჭრებოდა ერთი თაობის ფარგლებში. მაგრამ დღეს:

1. 125 მილიონი დაწყებითი სკოლის ასაკის ბავშვი არ დადის სკოლაში, მათგან უმეტესობა გოგონებია
2. დამატებით 150 მილიონი ბავშვი შედის დაწყებით სკოლაში მაგრამ ტოვებს მას 4 წლიანი განათლების მიღებამდე. მათი უმრავლესობა ტოვებს სკოლას მანამ, ვიდრე შეისწავლიდეს ელემენტარულ წერა-კითხვას.
3. ტროპიკული აფრიკის და სამხრეთ აზიის დიდ ნაწილში ბავშვებს შეუძლიათ მიიღონ მხოლოდ 4-7 წლიანი განათლება. ინდუსტრიალურად განვითარებულ ქვეყნებში კი ბავშვებს შეუძლიათ მიიღონ 15-17 წლიანი განათლება.
4. დღეისათვის 870 მილიონი ადამიანი წერა-კითხვის უცოდინარია; მათგან 70% ქალია.

? შეგიძლიათ თქვათ, რა მიზეზის გამო არის გაუნათლებელი ქალების რიცხვი ასე მაღალი?

50 წლის წინ ადამიანის უფლებათა საყოველთაო დეკლარაციამ უფასო და სავალდებულო განათლება გამოაცხადა ადამიანის ძირითად უფლებად. 1990 წელს 2 სახელმწიფოს გარდა ყველა ქვეყნის მიერ ხელმოწერილმა ბავშვთა უფლებების კონვენციამ დაადასტურა ეს უფლება როგორც სახელმწიფოს სამართლებრივი ვალდებულება.

ამის შემდეგ ბევრი მაღალი დონის საერთაშორისო ვალდებულება გამოიცა ადამიანის ამ ძირითადი უფლების შესახებ.

განვითარებულმა ქვეყნებმა არაერთხელ აიღეს პასუხისმგებლობა თანამშრომლობის გაფართოებაზე განვითარების სახელით, რათა მიაღწიათ 1990 წლის საერთაშორისო სამიტზე დასახული მიზნებისათვის.

1990 წელს მსოფლიოს მთავრობები შეიკრიბენ საერთაშორისო კონფერენციაზე განათლება ყველასათვის, რომელიც ჩატარდა ჯომტეინში, ტაილანდში. აქ მათ დასახეს მიზნები, რომ ათწლეულის განმავლობაში მსოფლიოს ყველა ბავშვს მიეცემოდა საკუთარი პოტენციალის სრული რეალიზების საშუალება. ეს გულისხმობდა საყოველთაო ხარისხიანი დაწყებითი განათლების ხელმისაწვდომობას და გენდერული უთანასწორობის აღმოფხვრას.

საყოველთაო დაწყებითი განათლების სფეროში სახელმწიფოების და მთავრობები მათ მიერ აღებული უკანასკნელი ვალდებულების შესრულებას მიზნად ისახავენ 2015 წლისათვის. მაგრამ, ამჟამინდელი ტემპით თუნდაც ეს ნაკლებად ამბიციური მიზანი მიუღწევადი იქნება. თუ მთავრობები დაუყონებლივ არ იმოქმედებენ, 2015 წლისათვის 75 მილიონი ბავშვი ვერ მიიღებს ბაზისურ განათლებას.

და მაინც განათლებისადმი მიძღვნილი ბოლო საერთაშორისო სამიტზე (დაკარი, 2000) ხაზგასმული იყო, რომ

> "განათლება არის ადამიანის ფუნდამენტური უფლება. ის არის გასაღები მდგრადი განვითარებისათვის და მშვიდობისა და სტაბილურობისათვის ქვეყნებს შიგნით და მათ შორის და შესაბამისად XXI საუკუნის საზოგადოებრივ და ეკონომიკურ ცხოვრებაში ეფექტური მონაწილეობის უზრუნველყოფის აუცილებელი საშუალება."

წყაროები

სწავლის ხიდების აგება. ახალგაზრდული ფორუმი, ბრიუსელი, 1999. განათლება ყველასათვის – ქვეყნის მოხსენება, 2000. http://www2.unesco.org

კამპანია განათლება ახლა, ოქსფამი www.coa.org.au/oxfam/advocacy/education.

ევროპის ახალგაზრდული მიმართულებები 2000, ევროსაბჭო, 2001

სწავლება: საგანძური იუნესკოს ფარგლებში, პარიზი, 1996

საერთაშორისო განათლების მოხსენება www.unesco.org

garemo pirobebi

შეუძლებებლია გამოყო გარემო – უდაბნოები, ტყეები, ან ქალაქის გარეუბნები ხალხისა და ადამიანის უფლებათა საკითხებისაგან. განსაკუთრებით მათგან, რომლებიც ეხება სოციალურ თანასწორობას და განვითარებას. ეს ეხება არა მხოლოდ აფრიკას, არამედ ყველა რეგიონს ევროპის ჩათვლით. გარემოსა და ადამიანებს შორის არსებობს 2-მხრივი ურთიერთობა: ადამიანის ყველა საქმიანობა გავლენას ახდენს გაერმოზე, ხოლო გარემო გავლენას ახდენს ადამიანის სიცოცხლეზე. ამის ერთ-ერთი მაგალითი არის "სათბურის ეფექტი". ნავთობის, ქვანახშირის და გაზის 300 წლიანმა გამოყენებამ მოსფლიოს ინდუსტრიული განვითარებისათვის საწვავის მიწოდების მიზნით მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანა გლობალურ დათბობაში. შედეგად ბოლო 10 წლის განმავლობაში მოწმე გავხდით კატასტროფული კლიმატური მოვლენებისა, რომლებმაც გავლენა მოახდინა ხალხზე მთელ მსოფლიოში. თუმცა ჩრდილოეთის მდიდარი ქვეყნების მოსახლეობას რომელთაც ყველაზე მეტი პასუხისმგებლობა ეკისრებათ ნახშიროჟანგის მაღალი კონცენტრაციაზე. უკეთ შეუძლიათ დაიცვან თავი "ბუნებრივი კატასტროფებისაგან", ვიდრე სამხრეთის განვითარებად ქვეყნებში მცხოვრებმა ხალხმა. ეს საკითხები ეხება როგორც სამართლიანობის, ასევე ადამიანის უფლებების თემასაც.

გარემოსა და ადამიანის უფლებებს შორის კავშირის სხვა მაგალითები არის:

- ომის დროს ქვეითი ჯარების მიერ დანაღმული სასოფლო სამეურნეო ნაკვეთი, რომელიც იქცევა საფრთხედ ადამიანის უსაფრთხოებისათვის.
- ხალხი, რომელიც სიღარიბის გამო იძულებულია მოიყვანოს მარცვლეული ნაკლებად ნაყოფიერ მიწაზე რასაც მიწის გამოფიტვამდე და უფრო მეტ სიღარიბემდე მივყავართ.
- ბაია მარეს შემთხვევა, რამაც პირველად გამოიწვია მდინარე სამოშის ციანიდით დაბინძურება, შემდეგ კი ტისის, ხოლო საბოლოოდ დუნაისი.

"თუ უდაბნო იზრდება, ტყეები ნადგურდება, უხარისხო კვების პრობლემა მძაფრდება და ქალაქის დასახლებებში ხალხი ძალიან ცუდ პირობებში ცხოვრობს, ეს არ ხდება იმიტომ, რომ რესურსები არასაკმარისია, არამედ ეს ხდება იმ პოლიტიკის გამო, რომელსაც ატარებენ ჩვენი მმართველები, ელიტარული ჯგუფი. ხალხის უფლებებზე და ინტერესებზე უარის თქმა გვიბიძგებს სიტუაციისაკენ სადაც მხოლოდ სიღარიბეს ექნება განვითარების პერპექტივა აფრიკაში... მხოლოდ თავისუფალ ადამიანებს, ადამიანებს, რომლებსაც აქვთ უფლებები, მომწიფებულ და პასუხისმგებლობის გრძნობით განმსჭვალულ მოქალაქეებს, ექნებათ უფლება მიიღონ მონაწილეობა გარემოს განვითარებაში და დაცვაში."

გამომსვლელი, WECD (გაერო ბუნებისა და განვითარების საერთაშორისო კომისია) სახალხო მოსმენაზე, ნაირობი, 23 სექტემბერი, 1986

ჩვენი ეკოლოგიური ბაზა

ჩვენ ვიყენებთ გარემოს განვითარებისათვის საჭირო ნედლეულის მისაღებად და ასევე ვიყენებთ მას როგორც ნაგავსაყრელს ნარჩენებისთვის. მაგრამ ამავე დროს სიცოცხლის შენარჩუნებისათვის მან უნდა უზრუნველგვყოს ჩვენ სტაბილური ტემპერატურით, ჟანგბადით და სუფთა წყლით. პლანეტა, რომელზეც ჩვენ ვცხოვრობთ არ არის უსასრულო, ამ სამყაროში ყველაფერი ერთმანეთთან კავშირშია მაგ. საკვები ჯაჭვების, წყლის მიმოქცევის და მთების საშუალებით. ბუნება თავად ფლობს აღდგენით თვისებებს მაგრამ ამ ციკლების სერიოზული დარღვევა მაგ. დაბინძურების შედეგად, არასტაბილური ფერმერული საქმიანობა, საირიგაციო პროექტები ან უკონტროლო თევზჭერა არღვევს ბუნებრივ ბალანსს.

უკრაინაში მომხდარი ჩერნობილის კატასტროფა, გერმანიის შავ ტყეში ხეების გადაშენება, სამხრეთ ესპანეთში უდაბნოების გაფართოება, ციმბირული წყლულის დაავადება ბრიტანეთში, არალის ზღვის დაშრობა უზბეკეთში და ლისუს კაშხლის პროექტი თურქეთში – ყველფერი ეს არის მაგალითი თუ როგორ აზიანებს ადამიანი განვითარების პროცესში ეკოლოგიურ ბაზას ყოველგვარი ეკონომიკური საქმიანობისა და თავად სიცოცხლისათვის.

მსოფლიო კატასტროფები

სტიქიური კატასტროფა	1996	2000
გრიგალი	62	99
წყალდიდობა	69	153
გვალვა	9	46

? შეგიძლიათ დაასახელოთ კონკრეტული მაგალითები? მაგ. რა გავლენა აქვს გზების მშენებლობის პროექტს ან ინდუსტრიულ მაღაროებს ან სხვა მოვლენებს თქვენს მახლობლად არსებულ გარემოზე?

მდგრადი განვითარების იდეა

1989 წელს გაეროს ბუნებისა და განვითარების საერთაშორისო კომისიამ, რომელსაც ბრანდტლანდის მოხსენებასაც უწოდებენ წარმოადგინა "მდგრადი განვითარების" პრინციპი, რომელიც მან განსაზღვრა როგორც "განვითარება, რომელიც აკმაყოფილებს დღევანდელ მოთხოვნებს და ამავე დროს ეჭვქვეშ არ აყენებს მომავალი თაობების უნარს დააკმაყოფილონ თავიანთი მოთხოვნები". ამას მოჰყვა 1992 წლის რიო-დე-ჟანეიროს დეკლარაცია, რომელიც აცხადებდა: "ადამიანები არიან მდგრადი განვითარების საზრუნავის მთავარი საგანი. მათ აქვთ ჯანმრთელი და პროდუქტიული ცხოვრების უფლება ბუნებასთან ჰარმონიაში".

რეალური და გადაუდებელი პრობლემა არის როგორ გადაიჭრას ადამიანის უფლებათა საკითხები როგორიცაა სიღარიბე, გლობალიზაცია და განვითარების უფლება ისე, რომ არ დაზიანდეს გარემო, რომელიც წარმოადგენს ჩვენ მაცოცხლებელ ძალას.

ერთ-ერთი მიდგომა არის საერთაშორისო შეთანხმებები კონკრეტული საკითხების შესახებ. მაგ. გაეროს 1997 წლის კლიმატის ცვლილების კონფერენციაზე კიოტოში ინდუსტრიულმა ქვეყნებმა აიღეს კონკრეტული პასუხისმგებლობა სათბურის ეფექტის გამომწვევი გამონაბოლქვების შემცირებაზე. იყო ბევრი ლაპარაკი განვითარებული ქვეყნებისსათვის გამონაკლისის დაშვების შესახებ და ბევრი კრიტიკა როგორც საბოლოო ეფექტურობის ასევე საბოლოო ხელშეკრულების სამართლიანობის მიმართ.

ალტერნატიული მიდგომა გამომდინარეობს ადამიანის უფლებების საკითხიდან და გვთავაზობს, რომ ყველა ხელშეკრულების საფუძველს წარმოადგენდეს სამართლიანობისა და თანასწორობის პრინციპები. ზოგიერთი ამტკიცებს რომ ეკოლოგიური საკითხები უკვე საკმარისად არის მოცული ადამიანის უფლებების არსებული კანონმდებლობით მაგ. საკუთრების უფლების, ჯანმრთელობისა და სიცოცხლის უფლების საშუალებით. სხვები კი გამოთქვამენ მოსაზრებებს ახალი ან "განვითარებადი" ეკოლოგიური უფლებების შესახებ..

"გარემოს დაცვის მოძრაობა შეიძლება გაადრჩეს მხოლოდ მაშინ თუ ის იქცევა მოძრაობად სიმართლისათვის. როგორც წმინდა ეკოლოგიური მოძრაობა ის ან დაიღუპება ან დაემსგავსება „ლეღვის ფოთოლს" კორპორაციებისათვის. ნებისმიერი, ვინც გარემოს გულწრფელი დამცველია ვერ შეეგუება ამ როლს, მაგრამ მას ექნება უსაზღვრო შესაძლებლობები თუკი ეკოლოგიურ მიმართულებასთან ერთად შეითავსებს სამართლიანობისათვის ბრძოლას.".

ვანდანა შივა

ღიობესახიძავი თარიღი

5 ივნისი
გარემოს დაცვის საერთაშორისო დღე

22 აპრილი
დედამიწის დღე

ერთ-ერთი მოსაზრების მიხედვით ადამიანის უფლებების არსებულ სიას უნდა დაემატოს ადამიანის ეკოლოგიური უფლება. მაგ. 1994 წლის ადამიანის უფლებების და გარემოს შესახებ დეკლარაციის პროექტი აცხადებს: "ყველა პიროვნებას აქვს უფლება უსაფრთხო, ჯანმრთელ და ეკოლოგიურად მდგრად გარემოზე. ეს უფლება და სხვა ადამიანის უფლებები სამოქალაქო, კულტურული, ეკონომიკური, პოლიტიკური და სოციალური უფლებების ჩათვლით არის საყოველთაო, ურთერთდამოკიდებული და განუყოფელი."

ზოგიერთი ადამიანი, განსაკუთრებით ეკოლოგები, აკრიტიკებენ ადამიანის ეკოლოგიური უფლების მოთხოვნას. ისინი შიშობენ, რომ თუ ადამიანის სოცოცხლე და ჯანმრთელობა გახდება გარემოს დაცვის მიზანი მაშინ გარემო დაცული იქნება მხოლოდ ადამიანის კეთილდღეობის მიზნით, და მხოლოდ იმ ზომით რა ზომითაც ის საჭიროა ადამიანის კეთილდღეობისათვის. სანაცვლოდ, ისინი გვთავაზობენ ადამიანის უფლებებისადმი უფრო ჰოლისტიკურ მიდგომას. ისინი აცხადებენ, რომ ადამიანი არის ბიოსფეროს ნაწილი (სიცოცხლის ქსელი დედამიწაზე) და შესაბამისად მათი ვალი კაცობრიობის წინაშე არის განუყოფელი მათი ვალდებულებისაგან გარემოს დაცვაზე. უფრო ფართო ჩარჩოებში ადამიანის უფლებების დაცვის მოთხოვნებში გაითვალისწინებული უნდა იყოს შინაგანი ფასეულობები და მომავალი თაობების მოთხოვნები, ისევე როგორც სახელმწიფოებისა და ხალხების კონკურენტული ინტერესები.

ზოგი ამტკიცებს რომ ცოცხალი ბუნების ყოველ სახეობას უნდა ჰქონდეს "ცხოველთა უფლებები" ისევე როგორც ხალხს აქვს ადამიანის უფლებები.

იურიდიულად ცხოველებს არა აქვთ უფლებები როგორც ასეთი. თუმცა ისინი ხშირად არიან დაცული კანონის მიერ. მაგ. ბევრ ევროპულ ქვეყანაში არსებობს კანონი, რომელიც იცავს ფერმის ცხოველების კეთილდღეობას და არსებობის პირობებს.

adamianis ekologiuri uflebebi

ადამიანის ეკოლოგიური უფლებები შეიძლება განხილულ იქნას როგორც პასუხი გლობალურ ეკოლოგიურ სიტუაციაზე. ისინი წარმოადგენენ ჩვენი დროის პროდუქტს, ისევე როგორც პოლიტიკური და სამოქალაქო უფლებები იყო წარსულის ისტორიული მოვლენების პროდუქტს.

კიდევ ერთი გზა, რომელზეც კვლავ მიმდინარეობს კამათი არის ადამიანის ეკოლოგიური უფლებების კონცეფცია. მისი მომხრეები ცდილობენ შეათანხმონ ადამიანის უფლებების ფილოსოფია ეკოლოგიურ პრინციპებთან. ადამიანის უფლებები (როგორიცაა ადამიანური ღირსება, თავისუფლება, საკუთრება და განვითარება) უნდა პასუხობდეს იმ ფაქტს, რომ ინდივიდები ფუნქციონირებენ არა მხოლოდ პოლიტიკურ და სოციალურ გარემოში არამედ ბუნებრივ გარემოშიც. ისევე როგორც ყოველმა ადამიანმა პატივი უნდა სცეს თავისივე მსგავსი ადამიანების შინაგან ფასეულობებს, ასევე პატივი უნდა სცეს სხვა ცოცხალი არსებების შინაგან ფასეულობებს (ცხოველები, მცენარეები, და ეკოსისტემა).

ერთ-ერთი უდიდესი პრობლემა, რომელსაც აწყდებიან მასწავლებლები და ახალგაზრდული მუშაკები დღეს არის ხალხის განათლება რათა გაიზრონ ადამიანის ღირსების პატივისცემის და სიცოცხლის მემკვიდრული ფასეულობების ორმაგი კონცეფცია და ის, თუ როგორ იცხოვრონ შესაბამისად. სხვა სიტყვებით, "იაზროვნონ გლობალურად და იმოქმედონ ლოკალურად". და იპოვონ ახალი ცხოვრების სტილი, რომელიც შეიძლება დამკვიდდრდეს მომავალში.

ახალგაზრდების და ახალგაზრდული ორგანიზაციების მონაწილეობა

სკოლები, გარემოს დაცვის არასამთავრობო ორგანიზაციები და სხვა ინსტიტუტები ყველა ქვეყანაში იძლევა შესაძლებლობებს ახალგაზრდებისათვის რათა აქტიურად ჩაერთონ გარემოს დაცვის საკითხებში. ადგილობრივ დონეზე მათ შეუძლიათ გახადონ თავიანთი სახლები, სკოლები, და ახალგაზრდული კლუბები ეკოლოგიურად "კეთილმოწყობილი" და მათ შეუძლიათ ჩაერთონ ადგილობრივ გადაწყვეტილების მიღების პროცესში. რეგიონალურ და ეროვნულ დონეზე მათ შეუძლიათ გავლენა მოახდინონ საზოგადოების გადაწყვეტილებაზე და პოლიტიკურ დებატებზე მაგ. წერილის საშუალებით, სპექტაკლების დადგმით და (მშვიდობიანი) დემონსტრაციებით იმ საკითხებთან დაკავშირებით, რომელიც მათ აწუხებთ. საერთაშორისო და გლობალურ დონეზე მათ შეუძლიათ იქონიონ გავლენა დეკლარაციების საშუალებით როგორიცაა „დედამიწის ქარტია" და საერთაშორისო კამპანიის მწარმოებელი ორგანიზაციების საშუალებით როგორიცაა მწვანეთა მოძრაობა.

ყველა დონეზე ახალგაზრდებს შეუძლიათ მონაწილეობა ინტერნეტ მიმოწერის, კამპანიების და დღესასწაულების აღნიშვნის საშუალებით როგორიცაა გარემოს დაცვის საერთაშორისო დღე და დედამიწის დღე. გარემოს დაცვის საერთაშორისო დღე, 5 ივნისი, გამოცხადდა გაეროს გენერალური ასამბლეის მიერ 1972 წელს. მისი აღნიშვნა მრავალნაირად შეიძლება ქუჩის აქციების, ველოსიპედისტთა პარადის, მწვანეთა კონცერტების, ესეების და პლაკატების სასკოლო კონკურსის საშუალებით, ხეების დარგვით, ნაგვის გადამუშავების და დასუფთავების კამპანიებით. ყოველწლიურად შემოთავაზებულია ახალი თემა, რომელზეც შეიძლება აქცენტის გაკეთება. წარსული თემების მაგალითებიდან შეიძლება დავასახელოთ: "დედამიწაზე სიცოცხლისათვის – გადაარჩინეთ ჩვენი ზღვები", "სიღარიბე და გარემო – მანკიერი წრის გარღვევა" და "ბავშვები და გარემო" (www.unep.org). დედამიწის დღე, რომელიც აღინიშნება 22 აპრილს კოორდინირებულია დედამიწის დღის ქსელით, რომელიც მუშაობს გარემოს დაცვის და ადამიანის უფლებათა დაცვის სხვა ორგანიზაციებთან მაგ. სიერას კლუბი და საერთაშორისო ამნისტია ერთად რათა აწარმოონ საზოგადოებრივი მოძრაობა ადამიანის უფლებების და ეკოლოგიური დარღვევების წინააღმდეგ ზეიმის და საპროტესტო აქციების საშუალებით. www.earthday.net/events/events-europe.stm

ევროპის საბჭოს მუშაობა

ევროსაბჭომ გარემოს დაცვის პროგრამა დაიწყო 1961 წელს. მისი მოღვაწეობა ამ სფეროში აქცენტირდება ბუნების და ლანდშაფტის დაცვაზე. ამჟამად პროგრამა ხორციელდება ევროსაბჭოს კულტურისა და კულტურული და ბუნებრივი მემკვიდრეობის განყოფილების ფარგლებში. მას აქვს 3 ძირითადი მიმართულება: ბიოლოგიური და ლანშაფტური მრავალფეროვნების შენარჩუნების პან-ევროპული სტრატეგია, ევროპის ველური ბუნების და ბუნების შვილთა დაცვის კონვენცია (ბერნის კონვენცია, 1979) და ბიოლოგიური და ლანდშაფტის და ბიოლოგიური მრავალფეროვნების შესახებ ინფორმირებულობის გაზრდა.

გარემოს დაცვის შესახებ ინფორმაცია და განათლება ვრცელდება ევროსაბჭოს გამომცემლობის მიერ. მისი ეროვნული ორგანიზაციების ქსელს ასევე მნიშვნელოვანი წვლილი შეაქვს ბიოლოგიური და ლანდშაფტის მრავალფეროვნების დაცვის საკითხში.

საერთაშორისო შეთანხმებები და დეკლარაციები

ქვემოთ მოყვანილია რამოდენიმე ხელშეკრულება და სხვა დოკუმენტები ეხება განსხვავებულ ასპექტებს: გარემოს და ადამიანის უფლებების საკითხებს და მათგან საინტერესო არის:

1. გარემოსა და ჯანმრთელობის შესახებ 1989 წლის ევროპის ქარტია
2. გაეროს 1992 წლის დეკლარაცია გარემოსა და განვითარების შესახებ.
3. ადამიანის უფლებების და გარემოს დაცვის 1994 წლის დეკლარაციის პროექტი
4. ბისკაიას 1999 წლის დეკლაარცია გარემოზე უფლებების შესახებ
5. 2000 წლის დედამიწის ქარტია

ადამიანური გული, ადამიანის აზროვნების ძალა, ადამიანის სათნოება და ადამიანის პასუხისმგებლობა. ჩვენ კვლავ ვიმყოფებით დესტრუქციული და ამაო რწმენის გავლენის ქვეშ, რომ ადამიანი არის შემოქმედების მწვერვალი და არა მისი ნაწილი და ამდენად მისთვის ყველაფერი ნებადართულია. ჩვენ ჯერ კიდევ არ ვიცით როგორ დავაყენოთ ზნეობა პოლიტიკაზე, მეცნიერებაზე და ეკონომიკაზე მაღლა. ჩვენ ჯერ კიდევ არ შეგვიძლია შევიგნოთ რომ ერთადერთი ჭეშმარიტი საყრდენი ჩვენი ყველა ქმედებისა – თუ ისინი ზნეობრივი უნდა იყოს – არის პასუხისმგებლობა. პასუხისმგებლობა რაღაც უფრო მეტია ვიდრე ჩემი ოჯახი, ჩემი ქვეყანა, ჩემი ფირმა, ჩემი წარმატება. პასუხისმგებლობა ყოფიერების წესრიგის მიმართ, რადგანაც იქ, და მხოლოდდამხოლოდ იქ გველოდება ნამდვილი სამსჯავრო".

ვაცლავ ჰაველი

ინფორმაციის წყაროები:

ა. ბოილი, მ.ა. ანდერსონი, მიდგომები გარემოს დაცვისადმი ადამიანის უფლებების თვალსაზრისით: მიმოხილვა, ჩლარენდონ რესს, ხფორდ, 1996

კ. ბოსელმანი, ადამიანის უფლებები და გარემო, ძირითადი პრინციპების ახლებური განსაზღვრება www.arbld.unimelb.edu.au/envjust/papers/allpapers/bosselmann/home.htm

ზრუნვა დედამიწაზე, კონსერვაციონისტების საერთაშორისო კავშირი (IUCN), გარემოს დაცვის გაეროს პროგრამა, ბუნების საერთაშორისო ფონდი (WWF-UK), www.ciesin.org/IC/iucn/CaringDS.htm

გარემოს დაცვის ევროსაბჭოს პროგრამა, www.nature.coe.int

გარემოს და ადამიანის უფლებების დეკლარაციის პრინციპების პროექტი http://www1.umn.edu.humanrts/instree/1994-dec.htm

„დედამიწის ქარტიის" ინიციატივა, www.earthcharter.org/draft/charter.htm

Worldwatch, www.worldwatch.org

genderuli Tanasworoba

ზოგიერთი ძირითადი კონცეფცია

"ეს მშვენიერი ცხოვრებისეული პოზიცია უნდა იყოს: იყო ახალგაზრდა და წინ გქონდეს მთელი ცხოვრება, რომელიც შეგიძლია დაგეგმო და იოცნებო. უფრო მეტიც, ის თანაბრად მშვენიერი უნდა იყოს როგორც ახალგაზრდა ქალისათვის ასევე ახალგაზრდა მამაკაცისათვის. თუმცა რეალურად ბევრ ახალგაზრდას წართმეული აქვს უფლება დაგეგმონ და იოცნებონ, ისარგებლონ უსაფრთხოებისა და ღირსეული ცხოვრების უფლებით. რეალურად, მნიშვნელოვან ცვლილებას განაპირობებს ბიჭად დაიბადებით თუ გოგოდ. ახალგაზრდა ქალები მათი უფლებების ხელყოფის უფრო მაღალი რისკის ქვეშ დგანან[23]".

თუკი 1970-იან და 1980-იან წლებში ქალთა უფლებების აქტივისტები საუბრობდნენ "განვითარებაში ქალების ინტეგრირებაზე", 1990-იან წლებში აქცენტი გაკეთდა გენდერული საკითხების ინტეგრირებაზე განვითარების პოლიტიკასა და დაგეგმვაში.

დღეს, ორივე ტერმინი "ქალთა უფლებები" და "გენდერული თანასწორობა" გამოიყენება. რას ნიშნავს ეს ტერმინები და რა განსხვავებაა მათ შორის? ფრაზა ქალის ადამიანის უფლებები გამოიყენება რათა აქცენტი გაკეთდეს იმ ფაქტზე, რომ ქალის უფლება ადამიანის უფლებაა, უფლება, რომელიც ქალებს აქვთ რადგან ისინი უბრალოდ ადამიანები არიან. ეს აზრი აერთიანებს ქალთა უფლებების თემას ადამიანის უფლებების მოძრაობაში და ამავდროულად აერთიანებს ადამიანის უფლებების პრინციპებს ქალთა უფლებების მოძრაობაში.

გენდერული თანასწორობა ნიშნავს თანაბარ შესაძლებლობებს, მონაწილეობის და ორივე სქესის გამოჩენას საზოგადოებრივი და პირადი ცხოვრების ყველა სფეროში თანაბარ დონეზე. გენდერული თანასწორობა არ უნდა გავიგოთ როგორც გენდერული მრავალფეროვნების, არამედ პირიქით, როგორც გენდერული უთანასწორობის საწინააღმდეგო. ის მიზნად ისახავს ქალების და მამაკაცების საზოგადოებაში სრული მონაწილეობის წახალისებას. ისევე როგორც ადამიანის უფლებებისათვის, გენდერული თანასწორობისათვისაც საჭირო მუდმივი ბრძოლა, დაცვა და მხარდაჭერა.

ტერმინი "გენდერი" აღნიშნავს ქალებისა და მამაკაცების სოციალურად კონსტრუირებულ როლებს რომელიც მიეწერებათ მათ სქესობრივი ნიშნის მიხედვით. ამდენად გენდერული როლები დამოკიდებულია კონკრეტულ სოციო-ეკონომიკურ, პოლიტიკურ და კულტუროლოგიურ კონტექსტზე და განიცდის სხვადასხვა ფაქტორების გავლენას რასის, ეთნიკურობის, კლასის, სექსუალური ორიენტაციის და ასაკის მიხედვით. გენდერული როლების შესწავლა ხდება და ფართოდ განსხვავდება თითოეული კულტურის ფარგლებში და კულტურებს შორის. პიროვნების ბიოლოგიური სქესისგან განსხვავებით გენდერული როლები შეიძლება შეიცვალოს.

"კამათმა სოციალიზაციისა და სტეროტიპების შესახებ გაამჟღავნა სოციალიზაციის "ძველი" ფორმები, შექმნა სივრცე თვითმყოფადობის და ინდივიდუალობის ახალი ფორმებისათვის. სოციალიზაციის ახალი" ფორმები თავიანთ ადგილს იკავებენ, მაგრამ შეიძლება ჩაანაცვლონ მსგავსი სტერეოტიპული მოლოდინი და წარმოშვან ისეთივე შედეგები, როგორც ადრე. ოჯახის, სკოლისა და

შესატყვისი სავარჯიშოები

- გმირები
- საშინაო საქმეები
- ვინ ვართ ჩვენ?
- ვისაუბროთ სექსზე
- გზა თანასწორობის ქვეყნისაკენ
- სამსახური და ბავშვები
- განსხვავებული ხელფასები

თარიღები

8 მარტი
ქალთა საერთაშორისო დღე

25 ნოემბერი
ქალების მიმართ ძალადობის ლიკვიდაციისათვის ბრძოლის საერთაშორისო დღე

სამსახურის გავლენა შეიძლება აღარ იყოს ისეთი მძლავრი მაგრამ ახალმა საინფორმაციო ტექნოლოგიებმა და კულტურულმა ტრადიციებმა (გამოვლენილმა მუსიკაში, მედიაში და ტელევიზიაში) შეიძლება გააძლიეროს მაამკაცების სოციალური ძალაუფლება და შეინარჩუნოს ქალების დამოკიდებული როლი''

? რამდენად ადვილია მამაკაცებისათვის შეეგუონ ქალების უფლებების აღიარების შედეგად განხორციელებულ ცვლილებებს?

ქალთა უფლებების დარღვევის მაგალითები

საოჯახო ძალადობა

ქალების წინააღმდეგ მიმართული ძალდობის ყველაზე გავრცელებული ფორმა არის საოჯახო ძალადობა. საოჯახო ძალადობა მრავალი წლის მანძილზე ითვლებოდა პირად პრობლემად, რომელშიც სახელმწიფო და საკანონმდებლო სისტემა არ უნდა ჩარეულიყო. და მაინც საოჯახო ძალადობა არ აზიანებს მხოლოდ ქალის ფიზიკურ და ფსიქოლოგიურ ჯანმრთელობას, არამედ ადამიანის უფლებების პირდაპირი დარღვევა და შესაბამისად სისხლის სამართლის დანაშაული.

სტატისტიკა აჩვენებს, რომ ქალები უფრო ხშირად ხდებიან ცემის, თავდასხმის და მკვლელობის ობიექტი მათი პარტნიორების ან ყოფილი პარტნიორების მხრიდან, ვიდრე სხვა რომელიმე ადამიანის მხრიდან.

- ევროპის სხვადასხვა ქვეყნებში 20-დან 50%-მდე ქალები არიან საოჯახო ძალადობის მსხვერპლი.
- საოჯახო ძალადობა გავლენას ახდენს საზოგადოების ყველა სექტორსა და ასაკობრივ ჯგუფზე.
- საოჯახო ძალადობა ვლინდება სხვადასხვა ფორმით: ფიზიკური, სექსუალური, ფსიქოლოგიური და სტრუქტურული.
- 5-დან 1 ქალი ხდება სექსუალური ძალადობის მსხვერპლი ცხოვრების რომელიმე ეტაპზე. მსხვერპლთა ასაკი ვარირებს 2 თვიდან 90 წლამდე.
- მოძალადეთა 98% მამაკაცია, მათგან 50% დაოჯახებულია ან ცხოვრობენ დე ფაქტო ქორწინებაში ან როგორც წყვილები.
- გაუპატიურების 70% წინასწარგანზარახულია და მოხოლოდ მოძალადეთა 3% არის ფსიქიურად გაუწონასწორებელი.
- იზრდება ჯგუფური გაუპატიურების რიცხვი
- ციფრები აჩვენებს ძალიან ახალგაზრდა ასაკის ქალების მიმართ ძალადობის ზრადას

''სტატისტიკა ძალიან დაუნდობელია, იმისდამიუხედავად მსოფლიოს რომელ ნაწილზე ვლაპარაკობთ... არცერთი ქვეყანა ან რეგიონი არ არის გამონაკლისი საოჯახო ძალადობის შემთხვევებისაგან.'' – აცხადებს იუნისეფის მოხსენება ქალებისა და გოგონების მიმართ საოჯახო ძალადობის შესახებ, რომელიც გამოქვეყნდა 2000 წელს, და წარმოადგენს ამ ფენომენის გლობალური განზომილებების განსაზღვრის პირველ მცდელობას.

„ადამიანის უფლებების უთანასწორობა და შეუსაბამობა ქალებსა და მამაკაცებს შორის მიუღებელია ჭეშმარიტი დემოკრატიის პრინციპებისათვის''

ევროსაბჭოს საპარლამენტო ასამბლეა, რეზოლუცია 1216 (2000)

ქალებისა და გოგონების ტრეფიკინგი

ყოველწლიურად მილიონობით მამაკაცი, ქალი და ბავშვი არის მსოფლიო მასშტაბით ტრეფიკინგის მსხვერპლი პირობებში, რომელიც მონობის ტოლფასია. ამ ციფრებს შორის მრავალი ათასი არის ახალგაზრდა ქალი და გოგონა, რომლებიც მოატყუეს, გაიტაცეს, ან გაყიდეს ძალადობრივი პროსტიტუციისა და სექსუალური სერვისების სხვა ფორმებისთვის. ეს პროცესი კიდევ უფრო გაადვილებულია გლობალიზაციის და თანამედროვე ტექნოლოგიების წყალობით. ტრეფიკინგის მიზეზები გამოწვეულია სიღარიბით, უმუშევრობით, და დაბალი დონის განათლებით რაც აიძულებს ხალხს წავიდნენ რისკზე თავიანთი ცხოვრების დონის გაუმჯობესებიასთვის. ერთ-ერთი შემაშფოთებელი ტენდენცია განვითარებულ ქვეყნებში არის "იაფფასიანი და არალეგალური სამუშაო ძალის გამოყენება, ისევე როგორც ქალების და ბავშვების ექსპლოატაცია პროსტიტუციისა და პორნოგრაფიისათვის[25] ".

ადამიანების ტრეფიკინგი სულაც არ არის ახალი ფენომენი, მაგრამ მიამიტი და სასოწარკვეთილი ახალგაზრდა ქალების გაყიდვა სექსუალური ძალადობისათვის იქცა ერთ-ერთ ყველაზე სწრაფად მზარდ დანაშაულად გლობალურ ეკონომიკაში. "ტრაფიკინგის ნაკადი კონკრეტულ განვითარებად ქვეყნებსა (ჩრდილოეთ და ცენტრალური აფრიკა, ლათინური ამერიკა და აზია) და დასავლეთის მიმართულების ქვეყნებს შორის გრძელდება. თუმცა ყველაზე თვალში საცემი ფაქტორი ... არის იმ ქალებისა და ბავშვების რაოდენობის გაზრდა, რომლებიც გაყვანილი იქნა ევროკავშირში ცენტრალური და აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნებიდან. გამოთვლების მიხედვით ყოველწლიურად 120000–მდე ქალი და ბავშვი ხდება ტრეფიკინგის მსხვერპლი დასავლეთ ევროპაში". [26]

უკვე რამდენიმე წელია ქალებისა და ბავშვების ტრეფიკინგი – და ზოგადად ადამიანების –ევროსაბჭოს დღის წესრიგის პრიორიტეტული საკითხია.

ქალის გენიტალიის დაზიანება

მსოფლიოში ყოველწლიურად 2 მილიონ პატარა გოგონას უკეთდება ამგვარი ოპერაცია პლუს 130 მილიონ ქალს უკვე ჩაუტარდა ეს პროცედურა[27]

ქალის გენიტალიის დაზიანების პრაქტიკა ეხება დაახლოებით 130 მილიონ ქალს და გოგონას, ყველაზე ხშირად აფრიკაში. ქალის გენიტალიის დაზიანება არის ქალებისთვის საზიანო კულტუროლოგიური ჩვევა, რომელიც არღვევს ქალების სიცოცხლის უფლებას, სხეულის მთლიანობას, ჯანმრთელობას და სექსუალურობას. რადგანაც ეს უმეტესად ახალგაზრდა გოგონებზე ვრცელდება ქალის გენიტალიის დაზიანება ასევე სერიოზული კითხვის ნიშნის ქვეშ აყენებს ბავშვთა უფლებებს.

კონფლიქტურ რეგიონებში...

ბოლო წლებში ქალების მიმართ ძალადობის შემთხვევები დაფიქსირდა ბოსნიაში, კამბოჯაში, ჩეჩნეთში, ჰაიტში, პერუში, სომალში, სიერა ლეონეში, აღმოსავლეთ და დასავლეთ ტიმორში და მსოფლიოს სხვა კონფლიქტის ზონებში. რაღაც მომენტში საერთაშორისო საზოგადოებრიობას მოუხდება მცირე ზომის სპეციალური საერთაშორისო სისხლის სამართლის ტრიბუნალების ალტერნატიული გზების გამონახვა – როგორიცაა იუგოსლავიაში და რუანდაში. თუმცა ის

"სინანულს გამოთქვამს, რომ გაუპატიურების საომარ დანაშაულად გამოცხადების მიუხედავად ის კვლავ ინარჩუნებს სისტემატურ ხასიათს – და ასეთად რჩებოდა ბოლო კონფლიქტების დროს (კოსოვოსა და ჩეჩნეთში) – როგორც საომარი იარაღი, რომელიც იწვევს არა მხოლოდ ფსიქოლოგიურ ტრამვას, არამედ არასასურველ ორსულობასაც".[28]

? რა უნდა გაკეთდეს ქალებისა და გოგონების მიმართ ძალადობის აღმოფხვრისათვის?

არსებული ადამიანის უფლებებათა საერთაშორისო დოკუმენტები

„ადამიანის უფლებების უთანასწორობა და შეუსაბამობა ქალებსა და მამაკაცებს შორის მიუღებელია ჭეშმარიტი დემოკრატიის პრინციპებისათვის"

ევროსაბჭოს საპარლამენტო ასამბლეა, რეზოლუცია 1216 (2000)

მას შემდეგ, რაც გაერომ ჩაატარა ქალებისადმი მიძღვნილი I საერთაშორისო კონფერენცია (ქალაქ მექსიკოში, მექსიკა, 1975 წ.) მნიშვნელოვანი პროგრესი შეინიშნება ქალებსა და მამაკაცებს შორის თანასწორობის მიღწევის სფეროში.

გაეროს ქალთა განვითარების ფონდი შეიქმნა 1976 წელს ამ სფეროში სიახლისა და ცვლილების დაფინანსების მიზნით. მას შემდეგ მან მხარი დაუჭირა მრავალ პროექტს და ინიციატივას მთელ განვითარებად მსოფლიოში და ამკვიდრებდა ქალთა პოლიტიკური, ეკონომიკური და სოციალური უფლებების გაძლიერებას.

პირველი კანონსავალდებულო საერთაშორისო დოკუმენტი, რომელიც კრძალავდა ქალების მიმართ ძალადობას და აიძულებდა მთავრობებს გადაედგათ ნაბიჯი ქალების თანასწორობისაკენ არის კონვენცია ქალების მიმართ ყველანაირი ფორმის ძალადობის აღმოფხვრის შესახებ ("ქალთა კონვენცია"), ის მიღებულ იქნა 1979 წელს და ძალაში შევიდა 1981 წელს.

კონვენცია მიზნად იასახავს ქალთა დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრას. ეს განსაზღვრულია მუხლი 1-ის მიხედვით როგორც "ნებისმიერი გარჩევა, გარიცხვა ან შეზღუდვა სქესობრივ საფუძველზე რომელის მიზანი ან შედეგიც არის ქალების შემცირება ან გაუქმება მათი ოჯახური მდგომარეობის მიუხედავად მამაკაცებისა და ქალების თანასწორობის, ადამიანის უფლებების და ძირითადი თავისუფლებების საფუძველზე პოლიტიკურ, სოციალურ, კულტურულ, სამოქალაქო და ნებისმიერ სხვა სფეროში". სახელმწიფოები ვალდებული არიან წარადგინონ პერიოდული მოხსენებები მათ მიერ კონვენციის დაცვის შესახებ.

გასული ათწლეულის განმავლობაში შეიქმნა გლობალური მოძრაობა ადამიანის უფლებებათა შეზღუდვების წინააღმდეგ საბრძოლველად, რომლებიც ქალთა უფლებებს განიხილავენ როგორც მეორეხარისხოვანს სხვა უფლებებთან შედარებით.

1999 წელს გაეროს გენერალურმა ასამბლეამ "ქალთა კონვენციას" დაუმატა გაეროს ქალთა დისკრიმინაციის აღმოფხვრის კომისიის მიერ შემუშავებული არჩევითი პრტოკოლი. არჩევითი პროტოკოლი ძალაში შევიდა 2000 წელს. ეს არის მნიშვნელოვანი ნაბიჯი ქალთა უფლებების დაცვაში. ის საშუალებას აძლევს ყველა ქალს ან ჯგუფს ინდივიდუალურად წარადგინონ ბრალდება ადამიანის უფლებების დარღვევის შესახებ პირდაპირ გაეროს ქალთა დისკრიმინაციის აღმოფხვრის კომისიის წინაშე. ეს ასევე აძლევს კომიტეტს საშუალებას დაიწყოს გამოძიება მსოფლიოში ქალთა უფლებების უხეში სისტემატური დარღვევების შემთხვევაში. თუმცა პროტოკოლის ძალაუფლება შეზღუდულია რადგანაც რატიფიკაციის ქვეყნებს აქვთ უფლება უარი უთხრან კომიტეტს აწარმოოს გამოძიება ქალთა უფლებების დარღვევების შესახებ მათ ტერიტორიაზე.

ევროსაბჭოს შემადგენლობაში ქალებისა და მამაკაცების თანასწორობა განიხილება როგორც ადამიანის ფუნდამენტური უფლება და მასზე პასუხისმგებლობა ეკისრება ქალებსა და მამაკაცებს შორის თანასწორობის დამამკვიდრებელ კომისიას. ეს არის მთავრობათაშორისი ორგანო საბჭოს შემადგენლობაში რომელიც ახორციელებს ანალიზს, კვლევებს და შეფასებას, განსაზღვრავს სტრატეგიეს და პოლიტიკურ

მთავარი პრობლემა არის უთანასწორობის გამოყენებული განმარტება ძალიან ვიწროა და ის ყოველთვის არ უზრუნველყოფს დისკრიმინაციისგან დაცვას. მეორე პრობლემა არის ის ფაქტი, რომ ქალებს ტრადიციულად უწევთ მუშაობა ამ საკითხებზე საზოგადოების "ძირითადი ნაკადის" გარეთ. მესამე პრობლემა არის ის, რომ ქალებს სუსტი პოზიცია აქვთ გადაწყვეტილების მიმღებ სტრუქტურებში უმეტეს ქვეყნებში.[29]

ღონისძიებებს და სადაც საჭიროა ღებულობს გადაწყვეტილებას სათანადო სამართლებრივი ინსტრუმენტების შესახებ.

1995 წლის ქალთა მეოთხე საერთაშორისო კონფერენციამ, რომელიც ჩატარდა პეკინში, ჩინეთში ერთად შეკრიბა თითქმის 47000 ქალი და მამაკაცი და დღეისათვის ის არის სამთავრობო და არასამთავრობო ორგანიზაციების უდიდესი შეკრება გაეროს ნებისმიერ კონფერენციაზე. ამ ისტორიული მოვლენის დროს 89 ქვეყანამ ერთხმად მიიღო პეკინის დეკლარაცია და მოქმედების გეგმა. ეროვნული მთავრობებმა საკუთარ თავზე აიღეს გენდერული თანასწორობის დამკვიდრება და მისი შეტანა ყველა სამთავრობო პოლიტიკის და პროგრამის ფორმულირებაში. მათ გამოყვეს შემდეგი 12 საერთო კრიტიკული პრობლემატური სფერო: სიღარიბე, განათლება, ტრეინინგი, ჯანმრთელობა, ქალების მიმართ ძალადობა, შეირაღებული კონფლიქტები, ეკონომიკა, ძალაუფლება, გადაწყვეტილების მიღება, ინსტიტუციონალური მექანიზმები გენდერული თანასწორობისათვის, ადამიანის უფლებები, მედია, გარემო, და ახალგაზრდა გოგონები.

განათლება ... გადაწყვეტილება

ძალიან მნიშვნელოვანი ნაბიჯი იქნებოდა უფლებების აღიარებიდან უფლებების დამკვიდრებაზე გადასვლა. ყველა ადამიანის უფლებების მასწავლებელმა უნდა გაითვალისწინონ ადამიანის უფლებების დელიკატური ბუნება, პატივი სცენ ქალების მოთხოვნილებებისა და რეაქციების ინდივიდუალურ განსხვავებებს. ამგვარი განწყობის გარეშე ადამიანის უფლებების სფეროში განათლება შეიძლება უბრალოდ გახდეს მანიპულაციის ან ქალთა ჩაგვრის კიდევ ერთი ფორმა. განათლება არის გენდერული თანასწორობის დამკვიდრების ძირითადი საშუალება რადგანაც ის ავრცელებს ნორმებს, ცოდნას და უნარჩვევებს.

"გენდერული ძალადობის წინააღმდეგ ბრძოლა და გენდერული თანასოწორობის დამკვიდრება თავიდანვე მოითხოვს განათლებას და საზოგადოების ყველა სექტორის განსაკუთრებით ახალგაზრდა ქალების და მამაკაცების და უმცირესობათა ჯგუფების აქტიურ მონაწილეობას" [30]

? როგორც მასწავლებელი ან ახალგაზრდული ლიდერი აკეთებთ თუ არა აქცენტს გენდერულ საკითხებზე ახალგაზრდებთან მუშაობსი დროს?

გამოყენებული ლიტერატურა

Conell, R.W., Gender an Power, Stanford University Press

Mertus, J., Flowers, N., Dutt, M, Local Action, global change, UNIFEM am Center for Women's Global Leadership, 1999

Williams, s., and athers, The Oxfam gender training manual, Oxfam Publication, 1994

Ramberg, I. Violence against young women in Europe, seminar report, Council of Europe. 2001

ზოგიერთი საინტერესო ვებგვერდი ქალთა საკითხების შესახებ

OECD-DAC Gender, www.oecd.org/dac/gender

United Nations Educational, Scientific an Cultural Organisation (UNESCO), (ganaTlebis mecnierebisa da kulturis gaeros organizacia) www.Unesco.org/gender

United Nations Statistics Division Gender Statistics, (gaeros statistikis ganyofileba, genderuli statistikis qveganyofileba) www.un.org/depts/unsd/gender

United Nations Development Fund for Women, (gaeros qalTa ganviTarebis fondi) (UNIFEM), www.undp.org/unifem

Women Watch, www.un.org/womenwatch

European Women's Lobby (EWL) www.womenlobby.org

Women Against Violence in Europe (Wave network) www.wave-network.org

Men Against Violence Against Women (MAVAW) http://menagainstviolence.tripod.com

Young Women from Minorities (WFM) www.wfmonline.org

globalizacia

ჩვენი სამყარო თანდათან ერთი დიდი ბაზარი ხდება. ზოგი იმასაც ამბობს, რომ ის დიდ სოფლად იქცა.

ჩვენ ყველა ვლაპარაკობთ გლობალიზაციაზე მაგრამ ვიცით რას ნიშნავს ეს ზუსტად?

გლობალიზაცია ნიშნავს პროცესს, რომელიც ხასიათდება:

1. ტელეკომუნიკაციების და საინფორმაციო ტექნოლოგიების გავრცელებით
2. ეროვნული ბარიერების შემცირება ვაჭრობისა და ინვესტიციებისათვის.
3. კაპიტალის დინების გაზრდა და ფინასური ბაზრების ურთიერთდამოკიდებულება.

ნამდვილად, გლობალიზაცია ზრდის ადამიანების მობილურობას თუმცა მიგრაციის კონტროლი უფრო მეტად არის გაძლეირებული ვიდრე ოდესმე (საჰაერო ტრანსპორტი არასოდეს ყოფილა ასეთი მნიშვნელოვანი მსოფლიოს ისტორიაში), გლობალური ალიანსი კომპანიებს შორის უფრო და უფრო გავრცელებული ხდება (იხ. ტელეკომუნიკაციების და საკვების ინდუსტრიების მაგალითები) და შესაძლებელი გახდა კომპიუტერების საშუალებით ურთიერთობა მსოფლიოს თითქმის ყველა ქვეყნის ადამიანებს შორის. და ბოლოს, ბოლოდროინდელმა ფინანსურმა კატასტროფებმა ლათინურ ამერიკასა და აზიაში ნათლად აჩვენა მზარდი ფინანსური და ეკონომიკური ურთიერთდამოკიდებულება.

და რა არის გლობალიზაციის მთავარი პრობლემები?

არსებობს დიდი წინააღმდეგობა გლობალიზაციის არსებული და პოტენციური შედეგების შესახებ. ჩვენ წინაშეა ბევრი დილემა და ბევრ შემთხვევაში არ არსებობს რაიმე ერთმნიშვნელოვანი პასუხი. მისი უარყოფითი გავლენით შეშფოთებული უამრავი სექტორი და ინდივიდი როგორიც არის ადამიანის უფლებათა აქტივისტები, მეცნიერები, ეკონომისტები, მკვლევარები და სოციოლოგები გამოყოფენ ზოგიერთ შემდეგ საკითხს როგორც ძირითად პრობლემას:

შესატყვისი სავარჯიშოები

- ბრძოლა სიმდიდრისა და ძალაუფლებისათვის
- ფრთხილად, ცვენ ყველაფერს ვხედავთ
- ინტერნეტის გავლენა
- ყველა განსხვავებული – ყველა თანასწორი
- გლობალიზაციის ტერმინოლოგიური ლექსიკონი
- სიღარიბის ჰოროსკოპი
- წამლების ხელმისაწვდომობა
- აშიკის ამბავი
- ერთი წუთით!
- განათლება ყველასათვის
- პირველი გვერდი
- სიცოცხლის ქსელი

სამართლიანი ვაჭრობის მოძრაობა

აპირებს მარკირება გაუკეთოს იმ პროდუქციას და საქონელს, რომელიც დამზადებულია სოციალური პრაქტიკის და ადამიანის უფლებების დაცვით. ამგვარად მომხმარებლებს, რომლებიც დაინტერესებული არიან ამგვარი საკითხებით აქვთ შესაძლებლობა გამოხატონ საკუთარი აზრი მსყიდველობითი უნარის გამოყენების საშუალებით.

1. *სახელწიფო სუვერენიტეტის შემცირება:* სადაც მთავრობებს უფროდაუფრო ნაკლები კონტროლი აქვთ ძირითად გადაწყვეტილებეზე რაც გავლენას ახდენს მათ ეკონომიკაზე და შესაბამისად მათი ხალხის კეთილდღეობაზე, უძლიერეს ტრანსნაციონალურ კომპანიებს, მთავრობათაშორის სტრუქტურებს და კერძო ფინანსურ ინსტიტუტებს აქვთ მზარდი ძალაუფლება და ტენდენცია იმოქმედონ იგსევე როგორც მთავრობები. ამიტომაც ამბობენ, რომ სახელმწიფოების სუვერენიტეტი მნიშვნელოვნად შემცირდა და მათი ტრადიციული როლები ხელახლა განისაზღვრება.
2. *"ეკონომიკური აქცენტირება":* ეკონომიკური მოსაზრებები დომინირებს პოლიტიკურ და სოციალურ ინტერესებზე. რამდენადაც კერძო კომპანიები და მთავრობათაშორისი საერთაშორისო და რეგიონალური ორგანიზაციები თანდათან უფრო და უფრო დიდ როლს ასრულებენ ქვეყნების მართვაში და მსოფლიო საქმეებში არსებობს რისკი, რომ ეკონომიკური და ფინანსური ასპექტები წამყვანი გახდება როგორც ამ ორგანიზაციების ერთადერთი საზრუნავი და სხვა მნიშვნელოვანი ასპექტები – სოციალური, ჯანმრთელობის და ეკოლოგიური დაკავშირებული ფუნდამენტური საკითხები იგნორირებული იქნება.
3. *გამჭირვალობისა და პასუხისმგებლობის ნაკლებობა:* მთავრობები, საზოგადოებრივი ინსტიტუტები, ეროვნული საბანკო სისტემა, და ა.შ. რომლებიც ტრადიციულად პასუხს აგებენ მათი ქვეყნების და ხალხის მომავალზე ზოგიერტ სემთხვევაში აღმოაჩენენ, რომ ეს პასუხისმგებლობა მათ წართმეული აქვთ. მათი ბევრი ქმედება და გადაწყვეტილება კონტროლირდება რადგანაც ისინი დემოკრატიული პრინციპების მიხედვით ანგარიშს აბარეებენ ამომრცევლებს, მაგრამ ეს არ ეხება ტრანსნაციონალურ კორპორაციებს და საერთაშორისო და რეგიონალურ ორგანიზაციებს. მაგ. ადამიანის უფლებების დარღვევის შემთხვევაში თითქმის შეუძლებელია მათი პასუხისმგებლობის საკითხის დაყენება და მათი ქმედებების მონიტორინგი. უფრო მეტიც ამ შემთხვევათაგან უმრავლესობაში გამოთქმული იყო შეშფოთება არსებული გადაწყვეტილებების მიღების მექანიზმების გამჭირვალობის ნაკლებობის გამო. მაგ. ზოგიერთ შემთხვევაში მსოფლიო ვაჭრობის ორგანიზაციაში გადაწყვეტილებების მიღება ხდება დახურული კარის მიღმა მრავალმხრივი არაოფიციალური და ოფიციალური მოლაპარაკებების რთული პროცესების გავლის შემდეგ.
4. *"რბოლა ქვემოთ":* ვაჭრობის ლიბერალიზაციის ერთ-ერთი კონკრეტული შტრიხი არის ის, რომ ტრანსნაციონალური კომპანიებში შეინიშნება რელოკაციის ტენდენცია იმ ქვეყნებში, რომლებიც სთავაზობენ უკეთეს პრივილეგიებს, რაც პრაქტიკული თვალსაზრისით ნიშნავს მუშახელის დაბალ ხელფასს, ნაკლებად მკაცრ შრომის კანონმდებლობას, უფრო მოქნილ სამუშაო პირობებს, არარსებულ ან პრაქტიკაში გამოუყენებელ ეკოლოგიურ კანონმდებლობას, უფრო დაბალ გადასახადებს, და ისეთი სოციალური ხარჯების შემცირებას როგორიცაა უმუშევრობის, ჯანმრთელობის და ა.შ. დაზღვევა. ამ პირობებში ადვილია მიხვიდე დასკვნამდე, რომ ამ პრაქტიკის შედეგად ადამიანის უფლებები ირღვევა. ეს ეხება განსაკუთრებით, მაგრამ არა ექსკლუზიურად, მუშახელის ეკონომიკურ და სოციალურ უფლებებს მასპინძელ ქვეყანაში, რომლებიც რთულ სოციალურ და ეკონომიკურ პირობებში იმყოფებიან და საჭიროებენ

"ადამიანის უფლებების დაცვისა და დამკვიდრების ქვეკომიტეტი მოითხოვს ყველა მთავრობისა და ეკონომიკური პოლიტიკის ფორუმისაგან სრულად გაითვალისწინონ საერთაშორისო ადამიანის უფლებების ვალდებულებები და პრინციპები საერთაშორისო ეკონომიკური პოლიტიკის ფორმულირების დროს.

უცხოურ ინვესტიციებს რათა მოახერხონ თავიანთი შერყეული ეკონომიკის აღდგენა.

5. *ჰომოგენიზაცია:* ამტკიცებენ, რომ მხოლოდ ერთ ინტეგრირებულ საზოგადოებაში ცხოვრება ქცევის სტანდარტიზირებული სოციალური და კულტურული მოდელებით გვაიძულებს ვჭამოთ ერთიდაიგივე საკვები, ვუსმინოთ ერთსა და იმავე მუსიკას ან ვუყუროთ იგივე ფილმებს სადაც არ უნდა ვცხოვრობდეთ და რა ეროვნებისაც არ უნდა ვიყოთ. ეს სიტუაცია დააკარგვინებს თვითმყოფადობას თითოეულ ქვეყანას და დააღღვევს ადამიანის უფლებებს საკუთარ კულტურაზე.

ამ კონტექსტში მომხმარებელთა ბოიკოტი ზოგჯერ წარმატებულია არაეთიკური და უკანონო ბიზნესის კორექტირების თვალსაზრისით. ამსათანავე ზოგიერთი კომპანია და ორგანიზაცია ცდილობს შეიმუშაოს ბიზნეს სტრატეგია, რომელიც გადაჭრის გლობალიზაციის პრობლემებს.

უფრო კონკრეტულად, რაც შეეხება ზოგიერთ სამთავრობათაშორისო საერთაშორისო და რეგიონალურ ინსტიტუტებს, რომლებიც ამკვიდრებენ ვაჭრობის ლიბერალიზაციას არის:

- ვაჭრობის მსოფლიო ორგანიზაცია
- საერთაშორისო სავალუტო ფონდი
- მსოფლიო ბანკი
- მსოფლიო ეკონომიკური ფორუმი. (კერძო ორგანიზაცია, რომელიც აერთიანებს 2000 ყველაზე წარმატებულ კომპანიას მსოფლიოში. ისინი ყოველწლიურად იკრიბებიან ქ. დავოსში, შვეიცარიაში.)
- რეგიონალური სავაჭრო ბლოკები როგორიცაა ევროკავშირი, ჩრდილოეთ ამერიკის თავისუფალი ვაჭრობის ხელშეკრულება და აზია წყნარი ოკეანის ეკონომიკური თანამშრომლობა.

? იცით საიდან არის ტანსაცმელი რომელიც გაცვიათ ან საკვები რომელსაც მიირთმევთ?

ადამიანის უფლებების უნივერსალური დეკლარაცია, ეკონომიკური, სოცილური და კულტურული უფლებების საერთაშორისო პაქტი, ევროპის სოციალური ქარტიის შესწორებული ვარიანტი, ისევე როგორც მუშათა ფუნდამენტური სოციალური უფლებების საზოგადოებრივი ქარტია და ევროკავშირის ფუნდამენტური უფლებების ქარტია (თუმცა ეს უკანასკნელი ჯერ არ არის კანონსავალდებულო) არის ზოგიერთი ის საერთაშორისო და რეგიონალური დოკუმენტი, რომლებიც პრაქტიკულად აქტუალურია გლობალიზაციის საკითხთან მიმართებაში. აღსანიშნავია, რომ გაეროს ადამიანის უფლებების დაცვის და დამკვიდრების ქვეკომისიამ და ასევე უმცირესობათა დაცვისა და დისკრიმინაციის პრევენციის ქვეკომისიამ მიიღეს რეზოლუციები ადამიანის უფლებების და გლობალიზაციის შესახებ, პირველმა ვაჭრობის ლიბერალიზაციის და ადამიანის უფლებებზე მისი გავლენის შესახებ (რეზოლუცია 1993/30) და მეორემ ადამიანის უფლებების როგორც ვაჭრობის, ინვესტიციების და ფინასური პოლიტიკის უმთავრესი მიზნის შესახებ (რეზოლუცია 1998/12).

გლობალიზაციის ზოგიერთი სხვა სავარაუდო პოზიტიური ასპექტები

"სოლიდარობა – ხალხთა სათნოებაა"

ერნესტო კარდენალი

1. მოქალაქეობის ხელახლა განსაზღვრა: ყალიბდება მოქალაქეობის ახალი განზომილება, რომელსაც გლობალური მოქალაქეობა ეწოდება. ის ერწყმის მოქალაქეობის ტრადიციულ გაგებას, რომელიც დაკავშირებულია პოლიტიკური და სამართლებრივი უფლებების გამოყენებასთან და ისეთ ვალდებულებეთან როგორიცაა ხმის მიცემა. ნამდვილად, იმისათვის, რომ იყო მსოფლიო მოქალაქე დღეს ნიშნავს იყო უფრო კრიტიკული იმის მიმართ თუ რას მოვიხმართ და რა პირობებში მზადდება პროდუქცია და იყო გაცნობილი გლობალურ საკითხებს როგორიცაა სიღარიბე, რომელიც გავლენას ახდენს მსოფლიოზე, ძალადობაზე ან ეკოლოგიურ პრობლემებზე. ამასთანავე, ზოგი ამტკიცებს, რომ სოციალური და კულტურული გლობალიზაციას აქვს ჰომოგენობის საპირისპირო მნიშვნელობა. და ურთიერტქმედების პროცესის შედეგად ჩამოყალიბდება ახალი წეს-ჩვეულებები და თავისებურებები.
2. მობილურობისა და უფრო სწრაფი კომუნიკაციის გაზრდა: მიუხედავად ღარიბებსა და შეძლებულებს შორის აშკარა ტექნოლოგიური უფსკრულის ზრდისა, რომელიც გლობალიზაციის ერთ-ერთი უდიდესი ნაკლია, საზღვრების გახსნის, ინტერნეტის და სხვა ტექნოლოგიების განვითარების ერთ-ერთი დადებითი შედეგი არის ის, რომ თანდათან ადვილი გახდა ერთი ქვეყნიდან მეორეში მოგზაურობა ან მთელ მსოფლიოში ხალხთან კომუნიკაცია. ეს გვაძლევს საშუალებას ვისწავლოთ ერთმანეთისგან და სხვა კულტურებისგან და გავუზიაროთ ერთმანეთს აზრი, იმედია ამის შედეგად უფრო შემწყნარებელი გავხდებით და უფრო დავაფასებთ სხვა ადამიანებს
3. საზღვრების თანდათანობით გახსნა: ხელი უნდა შეუწყოს ადამიანის უფლებების დამცველი ტრანსნაციონალური და რეგიონალური სამართლებრივი სისტემის შექმნას და განვითარებას რასაც შეუძლია ადამიანის უფლებების დარღვეევების გამოსწორება.

ანტიგლობალიზაციური მოძრაობა

ფინანსური და ეკონომიკური გლობალიზაციაზე პასუხად გლობალიზაციის უარყოფითი შედეგებით შეშფოთებული სამოქალაქო საზოგადოების მნიშვნელოვანი სექტორები აწყობენ მსოფლიო მოძრაობას რათა დაამკვიდრონ როგორც თავად უწოდებენ გლობალიზაციის ჰუმანიზაცია. ეს საერთაშორისო მოძრაობის საზოგადოება, რომელსაც "ანტი-გლობალიზაციურ" მოძრაობას ეძახიან აერთიანებს პროფკავშირებს, გარემოს დამცავ არასამთავრობო ორგანიზაციებს, პოლიტიკოსებს, ადამიანის უფლებებათა აქტივისტებს, მეცნიერებს, ქალთა ორგანიზაციებს და ა.შ. მოკლედ ორგანიზაციების და ინდივიდების დიდ სპექტრს, რომლებიც დაინტერესებული არიან უფრო ობიექტური მსოფლიოს აშენებით, რომელიც მათი მტკიცებით არ შეიძლება არსებობდეს როდესაც ნეო-ლიბერალიზმი, დერეგულაცია და პრივატიზაცია არის ეკონომიკური გლობალიზაციის ძირითადი მამოძრავებელი. ისინი მოუწოდებენ უფრო ადამიანური გლობალიზაციისაკენ. ზოგიერთმა ამ ჯგუფმა არჩია მათი უთანხმოების დემონსტრირება დიდ საპროტესო აქციებში მონაწილეობის საშუალებით დიდი შვიდეული +1 ის და სხვა ორგანიზაციების მიერ მოწყობილი შეხვედრების დროს, რომლებიც მხარს უჭერდნენ ამ ფენომენს. სამწუხაროდ, ყველაზე აშკარა მხარე ასეთი მოვლენების დროს იყო აგრესიული

ინციდენტები, რომლებმაც გამოიწვია დიდი მატერიალური ზარალი. ეს მოძრაობა თანდათან უფრო ორგანიზებული ხდება. დავოსში, შვეიცარიაში მიმდინარე მსოფლიო ეკონომიკური ფორუმის "პარალელურად" მსოფლიო სოციალური ფორუმი შეიკრიბა პორტო ალეგრეში, ბრაზილიაში და ათასობით სამოქალაქო საზოგადოების დელეგატს მისცა საშუალება გაეანალიზებინათ გლობალიზაციასთან დაკავშირებული საკითხები და მათი შედეგები და შეესწავლათ ალტერნატივები. ლოზუნგით "სხვანაირი მსოფლიო შესაძლებელია" უამრავი მნიშვნელოვანი პრობლემიდან, რომელთა გარშემო მიმდინარეობდა მსჯელობა იყო მსოფლიო სავაჭრო ორგანიზაციის რეფორმირების პროცესის, ადამიანის უფლებების დაცვის (განსაკუთრებით ეკონომიკური, სოციალური და ეკოლოგიური უფლებების) და მესამე მსოფლიოს ვალებისგან გათავისუფლების საკითხები.

დასკვნის სახით შეგვიძლია მოვიყვანოთ ციტატაქსავიე გოდინოს გამონათქვამიდან: "გლობალიზაცია არის როგორც კოლექტიური გამოწვევა, ასევე მოწოდება თითოეული ჩვენგანისათვის რათა ვიპოვოთ მსოფლიო მოქალაქედ ყოფნის ახალი გზები".

გლობალიზაციის საკითხებზე მომუშავე ზოგიერთი არასამთავრობო ორგანიზაცია და ინსტიტუტი:

Oxfam, www.oxfam.org
Federation Inernational des Droits de l'Homme, www.fidh.org
International Forum on Globalisatiion, www.ifg.org
Third World Network, www.townside.org.sg
L'observatoire de la Mondilaisation, http://terresacree.org/obsmandi.htm
ATTAC, www.attac.org
World Social Forume, www.forumsocialmundial.orgbr

? იცნობთ რაიმე სხვა ორგანიზაციას ან ინდივიდს თქვენი ქვეყნიდან, რომელიც შეიძლება დაემატოს ამ სიას?

გამოყენებული ლიტერატურა

Birzea, C., Education for democratic citizenship: A lifelong learning perspective, Council for Cultural Co-operation, Strasburg, june 200,p.8-11

Leary, V., "Globalisation and Human Rights", New Dimentions and Challenges, UNESCO, Paris, 1998, pp.165-176

"Mondialisation et droits de l'homme", La Lettre, No.28, Federation International des Droits de l'Homme, Paris, 1999

"Mondialisation et pauvrete", Revue QUART MONDE, No.175, Edition Quart Monde, Paris 2000

Oloca-Onyango, J., Undagama, D., Human rights as the primary objective if internationa trade, investment and finance policy and practice. Working paper submitted in accordance with Sub-Commission resolution 1998/12". Unated Nations, E/CN.4/Sub.2/1999/11.1999

demokratia

"არავინ იბადება კარგ მოქალაქედ, არც ერთი ერი არ იბადება დემოკრატიულად. არამედ ორივე არის პროცესი, რომელიც მთელი ცხოვრების განმავლობაში გრძელდება. ახალგაზრდები ამ პროცესში ჩართული უნდა იყვნენ დაბადებიდვეს"[7]

კოფი ანანი

დემოკრატია აღწერს ადამიანთა ჯგუფისათვის წესების შექმნის სისტემას. ის მოდის ბერძნული სიტყვიდან „demos" – რაც ხალხს ნიშნავს და kratos – ნიშნავს ძალაუფლებას. შესაბამისად, დემოკრატია ხშირად განისაზღვრება როგორც „ხალხის მმართველობა"; სხვა სიტყვებით, ეს არის წესების სისტემა, რომელიც შექმნა ხალხმა და რომელიც ხალხმავე უნდა დაიცვას. შეუძლია ასეთ სისტემას არსებობა და შეიძლება იყოს ის კარგი გზა გადაწყვეტილებების მისაღებად? რატომ დაიბადა ასეთი იდეა თავიდანვე და რატომ ითვლება დღეს, ყოველ შემთხვევაში ბევრი ადამიანის და ქვეყნის მიერ, ერთადერთ სისტემად, რომელიც ჩვენი ყურადღების ღირსია? ნამდვილად აქვს აზრი მმართველობაში ყველას მონაწილეობას?

რატომ დემოკრატია?

არსებობს 2 ფუნდამენტური პრინციპი, რომელიც საფუძვლად უდევს დემოკრატიის იდეას და ხელს უწყობს მისი მოწოდების განმარტებას:

1. პიროვნული დამოუკიდებლობის პრინციპი: არავინ არ უნდა დაემორჩილოს სხვის მიერ თავსმოხვეულ წესებს
2. თანასწორობის პრინციპი: ყველას უნდა ჰქონდეს თანაბარი შესაძლებლობა გავლენა მოახდინოს გადაწყვეტილებეზე, რომლებიც ეხება საზოგადოების წევრებს.

ინტიუტიურად ორივე ეს პრინციპი ყველასათვის მომხიბვლელელია და მმართველობის დემოკრატიული სისტემა არის ერთადერთი, რომელიც თეორიულად მაინც ორივეს ფუნდამენტურად თვლის. სხვა სისტემები როგორიცაა ოლიგარქია, პლუტოკრატია ან დიქტატურა, ჩვეულებრივ ორივე პრინციპს არღვევს: ისინი ძალაუფლებას ანიჭებენ საზოგადოების გარკვეულ (მუდმივ) სექტორს და შემდეგ ეს ხალხი ღებულობს გადაწყვეტილებას დანარჩენი მოსახლეობის სახელით. ასეთ შემთხვევებში არც თანასწორობა არც ინდივიდუალური ავტონომია არ არის დაფასებული.

ზემოთ ხსენებული 2 პრინციპი უზრუნველყოფს დემოკრატიის ზნეობრივ გამართლებას და ჩვენ შეგვიძლია დავინახოთ რომ, ფაქტობრივად ორივე არის ძირითადი ადამიანის უფლებათა პრინციპები. მაგრამ ასევე არსებობს პრაგმატული

შესატყვისი სავარჯიშოები

- *ამოირჩიე ვუყაროთ თუ არა კენჭი?*
- *მოლაპარაკებები პროფკავშირებთან*
- *თანამშრომლობის კვანძები*

მიზეზები, რომელთა საშუალებითაც ხშირად ამტკიცებენ მმართველობის დემოკრატიული სისტემის უპირატესობას სხვა სისტემებთან შედარებით.

1. ხშირად აცხადებენ რომ დემოკრატიულის სისტემა მმართველობის უფრო ეფექტურ ფორმას წარმოადგენს, რადგანაც უფრო დიდი შანსია რომ ხალხმა პატივი სცეს მათ მიერ მიღებულ გადაწყვეტილებებს. ხალხი ჩვეულებისამებრ არ არღვევს მათ „საკუთარ“ წესებს.
2. მოსახლეობის მიერ აღირებაც ასევე უფრო დასაშვებია, რადგანაც გადაწყვეტილებები მიღებულია კონსენსუსის მიღწევის შედეგად სხვადასხვა ფრაქციებს შორის; წესები არ იქნება რეალისტური თუ ისინი მიუღებელია მოსახლეობის დიდი ნაწილისათვის. ამდენად არსებობს შინაგანი კონტროლი იმაზე, თუ რა კანონები უნდა განიხილოს დემოკრატიულად არჩეულმა ხელისუფლებამ.
3. ასევე იგუსხმება, რომ დემოკრატიული სისტემა ააქტიურებს ინიციატივას და ამდენად უფრო მეტად პასუხობს ცვალებად პირობებს პრინციპით „ორი თავი უკეთესია ვიდრე ერთი“.

? გაქვთ რაიმე "მესაკუთრეობის“ შეგრძნება თქვენი ქვეყნის წესების მიმართ? რა შეიძლება იყოს ამის მიზეზი?

კარგი თეორია..

პრაქტიკაში რა თქმა უნდა არ უნდა მოელოდე, რომ საზოგადოების ყველა წევრი წვლილს შეიტანს წესების შექმნის პროცესში და ყველა არც მოინდომებს. ამიტომაც ბევრი ქვეყანა იყენებს სისტემას სადაც მოქალაქეები ნიშნავენ წარმომადგენლებს მათი სახელით გადაწყვეტილების მისაღებად: ეს უფრო წარმომადგენლობითი დემოკრატიაა ვიდრე პირდაპირი. ყველა მოქალაქეს თეორიულად აქვს თანაბარი შესაძლებლობა აირჩიოს პიროვნება, რომელიც მათი აზრით საუკეთესოდ წარმოადგენს მათ ინტერესებს. ამ გზით თანასწორობის პრინციპი დაცულია.

ეს ყოველთვის ასე არ ხდებოდა: დემოკრატიის დაბადების დროს ანტიკურ საბერძნეთში ქალებს და მონებს არ ჰქონდათ ხმის მიცემის უფლება და რა თქმა უნდა არც ბავშვებს. დღეს მსოფლიოს ქვეყნების უმრავლესობაში ქალებს აქვთ ხმის მიცემის უფლება მაგრამ ეს შედარებით გვიან იქნა მიღწეული.

არსებობს საზოგადოების სხვა სექტორებიც, რომლებიც ჩვეულებრივ მოიცავს იმიგრანტებს, პატიმრებს, ბავშვებს, რომლებსაც არა ქვთ ხმის მიცემის უფლება მიუხედავად იმისა რომ ისინი ვალდებული არიან დაემორჩილონ ქვეყნის კანონმდებლობას.

? შეიძლება გამართლებული იყოს საზოგადოების გარკვეული სექტორების გამორიცხვა დემოკრატიული პროცესებიდან?

კონტროლი კანონშემოქმედებით პროცესზე

თუ თანასწორობის პრინციპი დღეს მეტნაკლებად დაცულია ყოველშემთხვევაში ხმის მიცემის უფლებას რაც შეეხება, როგორ მოქმედებს პირველი – დამოუკიდებლობის პრინციპი არსებულ დემოკრატიაში? რამდენად გრძნობენ ინდივიდები ამ საზოგადოებაში რაიმე „მიკუთვნებას“ კანონების მიმართ, რომელიც მათი წარმომადგენლების მიერ არის შექმნილი? აქ პასუხი ნაკლებად ოპტიმისტურია. დიახ, ადამიანების უმეტესობა მსოლფიო დემოკრატიული სისტემების უმეტესობაში აცხადებს, რომ ამ ქვეყნის კანონები „თავს მოხვეულია“

“ერთი ამომრჩევლის ხმა უფრო ძლიერია ვიდრე ტყვია”.

აბრაამ ლინკოლნი

"ორი კომპლიმენტი დემოკრატიას: ერთი იმიტომ, რომ ის აღიარებს მრავალფეროვნებას და 2 იმიტომ, რომ ის დასაშვებად მიიჩნევს კრიტიკას. 2 კომპლიმენტი საკმარისია, რადგანაც მესამისთვის საბაბი არ არსებობს"

ე.მ. ფორსტერი

მმართველების მიერ, რომლებიც არ წარმოადგენენ მათ ინტერესებს. ანუ პირველი პრინციპი უგულვებელყოფილია?

? არის შესაძლებელი წარმომადგენლობითი დემოკრატიის პირობებში ხალხს ჰქონდეს რეალური ძალაუფლება იმ გადაწყვეტილებებზე, რომელიც მათი სახელით მიიღება?

არსებობს მთელი რიგი მოსაზრებები, რომლის მიხედვითაც შეიძლება ითქვას, რომ ხალხს აქვს გარკვეული კონტროლი კანონშემოქმედებით პროცესზე წარმომადგენლობითი დემოკრატიის პირობებში. ისევ და ისევ ჩვენ განვიხილავთ იდეალურ მოდელს, თუმცა ეს ზუსტად არ ასახავს ბევრ ქვეყანაში არსებულ პოლიტიკურ სიტუაციას. ყოველ შემთხვევაში ის გვეხმარება პრობლემური სფეროების განსაზღვრაში და გვთავაზობს მათი გადაჭრის გზებს.

1. მოქალაქეები გავლენას ახდენენ კანონშემოქმედებით პროცესზე, რადგანაც ისინი ირჩევენ წარმომადგენლებს, რომლებიც ქმნიან ამ კანონებს: თეორიულად, არჩევნების დროს მოქალაქეები აკეთებენ არჩევანს მათი ინტერესების სხვადასხვა წარმოამდგენლებს შორის. ამდენად, მათ შეუძლიათ აირჩიონ პიროვნება, რომელიც სთავაზობს მათ ინტერსებთან ყველაზე ახლოს მდგომ პროგრამას.
2. პოლიტიკოსები უნდა იყვნენ თავიდან არჩეული. არჩევნებს შორის პერიოდში კანონშემქმნელები გააცნობიერებენ, რომ მათ შეაფასებენ შემდეგი არჩევნების დროს მათი საქმიანობის მიხედვით და შესაბამისად არ უნდა გამოსცენ კანონები, რომლებიც აშკარად მიუღებელი იქნება მოსახლეობისათვის. ეს არის ტაქტიკური კონტროლის ფორმა.
3. პრინციპში არსებობს უამრავი შესაძლებლობა მოქალაქეებისთვის აქტიურად გამოხატონ თავიანთი უკმაყოფილება კონკრეტული პოლიტიკის ან კანონის მიმართ და ამგვარად შეატყობინონ მათ წარმომადგენლებს მათი პრობლემების შესახებ.
4. აგრეთვე თეორიულად არსებობს შესაძლებლობები მოქალაქეობისთვის მოახდინონ უფრო დადებითი გავლენა საკანონმდებლო პროცესებზე პოლიტიკურ წარმომადგენლებთან კონსულტაციებში ჩართვის გზით ან არასამთავრობო ორგანიზაციების ან სხვა ზეწოლის ჯგუფების და საკონსულტაციო ორგანოების მეშვეობით.
5. საბოლოოდ ყველა ინდივიდს შეუძლია კენჭი იყაროს არჩევნებში თუ ფიქრობენ, რომ არც ერთი კანდიდატი არ წარმოადგენს მის ინტერესებს.

"ხალხის ნება უნდა იყოს სამთავრობო ხელისუფლების საფუძველი; ეს ნება უნდა გამოიხატოს პერიოდულ და გაუყალბებელ არჩევნებში საყოველთაო და თანასწორი ხმის მიცემის გზით ფარული კენჭისყრით ან მისი ექვივალენტური თავისუფალი ხმის მიცემის პროცედურებით"

მუხლი 21, პარაგრაფი iii, *ადამიანის უფლებების საყოველთაო დეკლარაცია*

თავისუფალი და სამართლიანი არჩევნები – მიზნის მიღწევის საშუალება

არჩევნები არის კანონშემქმნელებზე კონტროლის განხორციელების საშაულება და ამომრჩევლები ახორციელებენ კონტროლს ყოველ შემთხვევაში თეორიულად, რათა აიძულონ ან უკიდურეს შემთხვევაში გააცნობიერონ მაინც უცილებლობა ახსოვდეთ თავიანთი ელექტორატი ყველა საქმეში რასაც აკეთებენ. ასეთი მეთოდი აშკარად მოითხოვს სამართლიან არცევნებს და ასევე ძალზე მნიშვნელოვანია, რომ პოლიტიკოსებს სჯეროდეთ რომ მათ პასუხს მოსთხოვს ელექტორატი თუკი ისინი ვერ მოახერხებენ მათი ინტერესების წარმოდგენას. არც ერთი პოლიტიკოსი არ იგრძნობდა ვალდებულებას წარედგინა საკუთარი ინტერესებისაგან განსხვავებული ინტერესები, ელექტორატის მიერ დასჯის საფრთხეს რომ არ გრძნობდეს. სისტემის ეფექტურობა დამოკიდებულია ამ რწმენაზე და შესაბამისად

ღირშესანიშნავი თარიღი

10 დეკემბერი
ადამიანის უფლებათა დღე

დამოკიდებულია ელექტორატზე, რომელიც იყენებს ამ სანქციას დროდადრო ან ყოველ შემთხვევაში ჩანს მზად ამის გასაკეთებლად.

ამდენად „არჩევნები“ შეიძლება საკმაოდ ადვილად იქნას ჩართული პოლიტიკურ სისტემაში, მაგრამ ის ავტომატურად არ იქცევა ჭეშმარიტ დემოკრატიად. სტრუქტურული არჩევნებს წვლილი შეაქვს მხოლოდ იმ დემოკრატიულ სისტემაში, სადაც ელექტორატი იყენებს უფლებას მათი წარმომადგენლების პასუხისმგებლობის საკითხის დასაყენებლად. მაღალი საარჩევნო იდიფერენტულობა დემოკრატიული ქვეყნების უმრავლესობაში 21-ე საუკუნის დასაწყისში საფრთხეს უქმნის კონტროლის ამ სისტემის ეფექტურობას.

ის ასევე კითხვის ნიშნის ქვეშ აყენებს ე.წ. დემოკრატიულად არჩეული მთავრობის ლეგიტიმურობას, რომლებიც ზოგიერთ შემთხვევაში ფაქტობრივად მთლიანი ელექტორატის უმცირესობის მიერ არიან არჩეული.

arCevnebi da indiferentuloba

„სტოკჰოლმი, 17 მაისი ამომრჩეველთა ინდიფერენტულობამ გააუფასურა საამის – შვედეთის ადგილობრივი მოსახლეობა, რომელიც დაკავებული მეირმეობით – პირველი ეროვნული პარლამენტის არჩევნების შემდეგ გამართული დღესასწაული. კვირას დანიშნულ საინაუგურაციო არჩევნებზე მოსული ხალხის რაოდენობა მცირე იყო – 12000 მონაწილეობის უფლების მქონე ადამიანიდან მხოლოდ 50% გამოცხადდა საარჩევნო უბნებში“. ინტერპრესის მესამე მსოფლიოს ახალი ამბების სააგენტო. 1993.

„ქალაქ ვლადივოსტოკში 17 დეკემბრისათვის დანიშნული დუმას არჩევნები დაბრკოლებების წინაშე დგას რადგანაც 12 კანდიდატმა მოხსნა თავის კანდიდადურა წინა არჩევნებში ამომრჩევლების გამოუცხადებლობის გამო.“ Vladivostok Daily, 29 ნოემბერი 2000 წ.

„თუმცა არჩევნების შედეგები გამოხატავს მარცხნივ გადახრას, რაც უფრო დამახასიათებელია პოლიტიკური ატმოსფეროსათვის რუმინეთში არის ამომრჩეველთა რაოდენობა, რომლებიც არ გამოცხადდნენ არჩევნებზე. არჩევნებზე მოსულთა რაოდენობა მთელი დროის განმავლობაში იყო დაბალი სულ რაღაც 44,5% მიიღო მონაწილეობა 1996 წლის 56,4%-თან შედარებით.“ Central Europe Review, 12 ივნისი, 2000

„ბოლო 80 წლის განმავლობაში დიდ ბრიტანეთში არჩევნებში მონაწილეთა რაოდენობა მინიმუმადე დავიდა. ამამრცეველთა მხოლოდ 60%-მა შეიწუხა თავი არჩევნებში მონაწილეობისათვის. ლივერპულის რაიონში რივერსაიდში არცევნებზე მხოლოდ 34,1 % გამოცადდა. ეს ერთ-ერთი ყველაზე დაბალი მაჩვენებელია. გამოკითხვებმა აჩვენა, რომ მოსახლეობის ყველაზე აპათიურად განწყობილ ნაწილს წარმოადგენს 18-25 წლამდე ახალგაზრდები. BBC, 9 ივნისი, 2001წ.

„მაშინ როდესაც 1994 წელს სლოვაკეთის საპარლამენტო არჩევნებში მონაწილეთა რაოდენობა მთლიანად 70% აღემატებოდა, გამოთვლილია რომ 18-25 წლის ამომრჩევლების მონაწილეობა იყო 20%-ზე დაბალი“. Rock volieb, 1998

დემოკრატია რეალურ სამყაროში

არსებობს დემოკრატიის იმდენივე ფორმა რამდენიც დემოკრატიული სახელმწიფო მთელ მსოფლიოში. არც ერთი სისტემა არ არის ერთმანეთის იდენტური და არც ერთი სისტემა არ შეიძლება აღებულ იქნას როგორც დემოკრატიის მოდელი. არსებობს საპრეზიდენტო და საპარლამენტო დემოკრატიები; ფედერალური ან კონფედერალური ან უნიტარული დემოკრატიები. დემოკრატიები, რომლებიც მუდმივად იყენებენ რეფერენდუმს; დემოკრატიები, რომლებიც გულისხმობს უფრო მეტ კონსულტაციებს ან ნაკლებს გარეშე ორგანიზაციებთან. დემოკრატიები, რომლებიც იყენებენ ხმის მიცემის პროპორციულ სისტემას და დემოკრატია რომელიც იყენებს მაჟორიტარულ სისტემას – ან ორივეს კომბინაციას და ა.შ.

თითოეულ ამ სისტემას შეუძლია განაცხადოს პრეტენზია დემოკრატიულობაზე უბრალოდ იმ ფაქტის გამო, რომ ისინი სულ მცირე ნომინალურად დაფუძნებულია

“ჩრდილოეთ ირლანდიაში ჩვენ ვმსჯელობთ უფლებათა ახალი კანონის შესახებ. მე მინდა ამ კანონპროექტში ასახული უფლებები დავუკავშირო ჩვენი კლუბის ახალგაზრდების ცხოვრებას”

ტარა კინი, ჩრდილოეთ ირლანდიის ახალგაზრდული ფორუმი, ადამიანის უფლებების სფეროში განათლების ფორუმის მონაწილე

"დემოკრატია აგებულია თეორიაზე, რომლის მიხდვითაც ჩვეულებრივმა ხალხმა იცის რა სურთ და აქვს უფლება მიიღოს რაც სურს."

ჰ.ლ. მენკენი

ზემოთ ჩამოთვლილ ორ პრინციპზე: ყველა მოქალაქის თანასწორობა და ყველა ინდივიდის უფლება გარკვეული ხარისხის პიროვნულ ავტონომიაზე. აშკარად არარეალისტურია „ავტონომია" გაგებულ იქნას როგორც ინდივიდის უფლება აკეთოს რაც მოესურვება. მაგრამ ყოველ შემთხვევაში სისტემა მოქალაქეებისთვის თანაბარი ხმის მიცემის უფლების საშუალებით აღიარებს, რომ თითოეული ინდივიდს შეუძლია საკუთარი გადაწყვეტილების მიღება და უფლებამოსილია მოითხოვოს ამ გადაწყვეტილების მხედველობაში მიღება. ამის შემდეგ უკვე ბევრია დამოკიდებული ინდივიდუალურად თითოეულ მოქალაქეზე.

მიუხედავად ამისა, თითქმის ყველა ერის მიერ გაკეთებული განაცხადისა „ დემოკრატიულობის" შესახებ ეჭვგარეშეა, რომ ყველა ამჟამად არსებული დემოკრატიული სისტემას შეუძლია იყოს უფრო მეტად დემოკრატიული ვიდრე ამჟამად არის, და ეს ყველა მათგანს ჭირდება.

დემოკრატიის პრობლემები

არსებობს საკმაოდ საყოველთაო შეშფოთება დემოკრატიის სტატუსის გამო 21 საუკუნის დასაწყისში. მეტწილად ეს გამომდინარეობს არჩევნებში მოქალაქეთა დაბალი მონაწილეობიდან, რომელიც მიუთითებს ინტერესის ნაკლებობაზე და მოქალაქეების მხრიდან ჩარევის სურვილის ნაკლებობაზე. ეს ძირს უთხრის დემოკრატიულ პროცესებს.

თუმცა ეს უეჭველად პრობლემას წარმოადგენს არსებობს სხვა კვლევები, რომლებიც მიუთითებენ, რომ სხვადასხვა ფორმით მონაწილეობა ფაქტიურად იზრდება, მაგ. ზეწოლის ჯგუფები, სამოქალაქო ინიციატივები, საკონსულტაციო ორგანოები და ა.შ. მონაწილეობის ეს ფორმები არის ისეთივე მნიშვნელოვანი დემოკრატიის ეფექტური ფუნქციონირებისათვის როგორც ამომრჩეველთა მისვლა არჩევნებზე თუ უფრო მნიშვნელოვანი არა. არჩევნები ბოლოსდაბოლოს არის არასრულყოფილი გზა ხალხის ინტერესების უზრუნველსაყოფად. 4 ან 5 წელი (ინტერვალი არჩევნებს შორის) დიდი დროა იმის საცდელად, რომ დააყენო მთავრობის პასუხისმგებლობის საკითხი. ხალხს კი მოკლე მეხსიერება აქვს.

არსებობს კიდევ 2 პრობლემა, რომლებიც კიდევ უფრო ართულებს წარმომადგენლობითი დემოკრატიის იდეას. და ეს ეხება უმცირესობათა ინტერესებს. პირველი პრობლემა არის ის, რომ უმცირესობათა ინტერესები ხშირად არის წარმოდგენილი საარჩევნო სისტემის საშუალებით: ეს შეიძლება მოხდეს თუ მათი რიცხვი ძალიან მცირეა რაიმე წარმომადგენლობისთვის საჭირო მინიმალური დონის მისაღწევად. ან ეს შეიძლება უფრო ხშირად მოხდეს რადგანაც საარჩევნო სისტემა ხშირად იყენებს პრინციპს: „მოგებულს რჩება ყველაფერი". მეორე პრობლემა არის ის, რომ მაშინაც კი თუ ისინი წარმოდგენილი იქნებიან საკანონმდებლო ორგანოში მათ ეყოლებათ წარმომადგენელთა უმცირესობა, რომელიც შესაბამისად ვერ შეძლებს საჭირო ხმების შეგროვებას უმრავლესობის დასამარცხებლად. ამ მიზეზის გამო დემოკრატიას ხშირად „უმრავლესობის მმართველობას" უწოდებენ.

არ უნდა გვქონდეს იმედი, რომ დემოკრატია თავისთავად გადაჭრის მეორე პრობლემას. შესანიშნავად გვესმის რომ – და მრავალჯერ მომხდარა – უმრავლესობა ღებულობს უმცირესობისათვის საზიანო გადაწყვეტილებას. რაც ნიშნავს, რომ ასეთი გადაწყვეტილების გამართლებად არ შეიძლება იქნას მიჩნეული „ხალხის ნება". უმცირესობათა და უმრავლეოსპბათა ძირითადი ინტერესები შეიძლება დაცული იქნას მხოლოდ ადამიანის უფლებათა პრინციპებთან კავშირში, რომელიც განმტკიცებული იქნება ეფექტური სამართლებრივი მექანიზმებით – რაც არ უნდა იყოს უმრავლესობის სურვილი.

Cven vibrZviT:

თავისუფლებისა და ადამიანის უფლებებისათვის, რათა ყველა ინდივიდს, ქალსა თუ მამაკაცს ჰქონდეს სრული პოლიტიკური უფლებები კლასობრივი, გენდერული, კასტური, რელიგიური ან რასობრივი დისკრიმინაციის გარეშე.

თანასწორობისათვის და ინდივიდებს შორის ნებისმიერი ფორმის დისკრიმინაციის წინააღმდეგ; სოციალური სამართლიანობისათვის, გენდერული თანასწორობისათვის, თანაბარი შესაძლებლობებისათვის და ცოდნის თანაბარი ხელმისაწვდომობისათვის.

დემოკრატიისათვის, რომელიც ეფუძნება თავისუფლებისა და თანასწორობის პრინციპებს და ავტორიტარიზმის, პოპულიზმის, და დიქტატურის წინააღმდეგ, თვითგამორკვევის, თავისუფკლების, და აზრის გამოთქმის უფლებისათვის ყველა ადამიანისათვის.

საყოველთაო სოლიდარობისათვის, რადგანაც ჩვენ გვჯერა კოლექტიური ქმედების შესაძლებლობისა ინდივიდების გათავისუფლების მიზნით

პოლიტიკური გადაწყვეტილებებისათვის პრობლემებთან დაკავშირებით, რადგანაც გვჯერა ადამიანის უნარისა შეცვალოს სამყარო.

გამოყენებული ლიტერატურა

Beetham, D., Democracy and human rights, Polity Press, 1999

დემოკრატიის საერთაშორისო ინსტიტუტი, www.iidemocracy.coe.int

საპარლამენტთაშორისო კავშირი, www.ipu.org

Liphart, A., Patterns if democracy, Yale University Press. 1999

საინფორმაციო ქსელი მოქალაქეობისა და დემოკრატიისათვის ევროპაში „პოლითეა“ (Politeia network for Citizenship and Democracy in Europe) www.politeia.net

Rock Volieb, Slovakia, www.rickvolieb.sk

diskriminacia da qsenofobia

„ცივილიზაცია უნდა შეფასდეს მისი დამოკიდებულების მიხედვით უმცირესობების მიმართ“

მაჰათმა განდი

შესატყვისი სავარჯიშოები

- რა ალტერნატივები გაგვაჩნია
- ყველა თანასწორი – ყველა განსხვავებული
- გმირები
- წამლების ხელმისაწვდომობა
- დასურათებული თამაშები.
- ინსცენირება
- ვინ ვართ ჩვენ
- შეიძლება შემოვიდე?
- უარი რასიზმს
- ვისაუბროთ სექსზე
- გზა თანასწორობის ქვეყნისაკენ
- სამსახური და ბავშვები
- განსხვავებული ხელფასები
- გადადგი ნაბიჯი წინ
- სპორტი ყველასათვის
- საკუთარი შესაძლებლობების დანახვა
- ენობრივი ბარიერი

რა არის დისკრიმინაცია?

არც ადამიანის უფლებების უნივერსალური დეკლარაცია და არც სხვა საერთაშორისო შეთანხმებები არ იძლევიან „დისკრიმინაციის“ ზუსტ განმარტებას, თუმცა რამდენჯერმე ახსენებენ ამ ტერმინს. საერთაშორისო და რეგიონალური ადამიანის უფლებათა დოკუმენტები, რომლებიც ეხებიან დისკრიმინაციის სპეციფიკურ ფორმებს გვთავაზობენ განსხვავებულ განმარტებებს იმის და მიხედვით თუ რა სახის დისკრიმინაციას ეხებიან.

ყველა ფორმის რასობრივი დისკრიმინაციის აღმოფხვრის შესახებ საერთაშორისო კონვენციაში „რასობრივი დიკრიმინაცია“ განმარტებულია როგორც „ნებისმიერი განსხვავება, გამორიცხვა, შეზღუდვა ან უპირატესობის მინიჭება რასის, კანის ფერის, წარმომავლობის, ეროვნული ან ეთნიკური წარმოშობის საფუძველზე, რომელიც მიზნად ისახავს ან შედეგად მოაქვს თანაბარი შესაძლებლობების, ადამიანის უფლებების და ფუნდამენტური თავისუფლებების აღიარების, სარგებლობის და გამოყენების გაუქმებას ან დაბრკოლებას პოლიტიკურ, ეკონომიკურ, სოციალურ ან საზოგადოებრივი ცხოვრების ნებისმიერ სხვა სფეროში“.

ქალების მიმართ დისკრიმინაციის ნებისმიერი ფორმის აღმოფხვრის შესახებ საერთაშორისო კონვენციაში„ქალების მიმართ დისკრიმინაცია“ განმარტებულია როგორც „ნებისმიერი განსხვავება, გამორიცხვა, შეზღუდვა ან უპირატესობის მინიჭება სქესის საფუძველზე, რომელიც მიზნად ისახავს ან შედეგად მოაქვს ქალების მიერ თანაბარი შესაძლებლობების, ადამიანის უფლებების და ფუნდამენტური თავისუფლებების აღიარების, სარგებლობის და გამოყენების გაუქმებას ან დაბრკოლებას პოლიტიკურ, ეკონომიკურ, სოციალურ ან საზოგადოებრივი ცხოვრების ნებისმიერ სხვა სფეროში“.

შეგვიძლია ორივე განმარტებაში გამოვყოთ შემდეგი ელემენტები:

ადამიანის ან ადამიანთა ჯგუფის დისკრიმინაციისათვის არსებობს გარკვეული საფუძველი, მაგ. „რასა“, ან სქესს ან ეთნიკური წარმომავლობა – ის არის შავკანიანია ქალი, ან ბოშა. დისკრიმინირებული პიროვნება ან ჯგუფი, ან პიროვნება, რომელიც დიკრიმინაციას ეწევა ღებულობს ზემოთ ჩამოთვლილ ნიშნებს როგორც პრობლემას. არსებობს ქმდებები რომლებიც კვალიფიცირდება როგორც დისკრიმინაცია; ეს შეიძლება იყოს უარყოფა (არასასურველია შავკანიან პიროვნებასთან მეგობრობა), შეზღუდვა (გეებისათვის დისკოტეკაზე შესვლის აკრძალვა), პიროვნების ან ჯგუფის გამორიცხვა (სამსახურში ქალების დაქირავებაზე უარის თქმა), და ა.შ. ასევე არსებობს შედეგები, რომლებიც შეიძლება იყოს დისკრიმინაციული ქმედებების მიზეზი. ყველაფერმა ამან შეიძლება ხელი შეუშალოს მსხვერპლს ადამიანის უფლებებით და ფუნდამენტური თავისუფლებებით სარგებლობაში.

დისკრიმინაცია შეიძლება მოხდეს პირდაპირი ან არაპირდაპირი გზით. პირდაპირი დისკრიმინაციისათვის დამახასიათებელია პიროვნების ან ჯგუფის დისკრიმინაციის სურვილი, როგორიცაა დასაქმების სამსახური, რომელიც არ ღებულობს ბოშების განცხადებებს ან საცხოვრებელი სახლების მფლობელი კომპანია, რომელიც არ აქირავებს ბინებს იმიგრანტებს. „პირდაპირი დისკრიმინაცია არის, როდესაც ერთ პიროვნებას რასობრივი ან ეთნიკური წარმომავლობის საფუძველზე ნაკლები პატივისცემით ეპყრობიან, ვიდრე ეპყრობიან ან მოეპყრობოდნენ მეორეს ანალოგიურ სიტუაციაში“. [8]

პირდაპირი დისკრიმინაცია დაკავშირებულია პოლიტიკის ან გარკვეული ღონისძიებების ზემოქმედებასთან. მას ადგილი აქვს, როდესაც თითქოსდა ნეიტრალური დებულება, კრიტერიუმი ან პრაქტიკა დე ფაქტოდ აყენებს პიროვნებას ან კონკრეტული უმცირესობის წევრს სხვებთან შედარებით არაპრივილეგირებულ მდგომარეობაში. მაგალითებისათვის შეიძლება მოვიყვანოთ მოთხოვნა, რომლის მიხედვითაც არსებობს სიმაღლის კრიტერიუმები მეხანძრეებისათვის (ამგვარად დისკრიმინაციას განიცდის უფრო მეტი ქალი ვიდრე მამაკაცი), უნივერმაღის განცხადება, რომლის მიხედვითაც სამსახურში არ ღებულობენ გრძელკაბიან ქალებს, სამთავრობო ოფისი ან სკოლის ადმინისტრაცია, რომელიც კრძალავს პირების შესვლას ან დასწრებას თავსაბურავით. ეს წესები თითქოსდა ნეიტრალურია, თუმცა შესაძლოა არაპრივილეგირებულ მდგომარეობაში ჩააყენოს კონკრეტული უმცირესობის ან კონფესიების წევრები, რომლებიც ატარებენ გრძელ კაბებს ან თავსაფრებს.

? გიგრძნიათ როდესმე თავი უსამართლოდ დისკრიმინირებულად?

დისკრიმინაცია პიროვნებებისა და ჯგუფების მიმართ რასობრივი, რელიგიური, სქესობრივი, ეთნიკური წარმომავლობის, ეროვნების ან სექსუალური ორიენტაციის საფუძველზე აკრძალულია ადამიანის უფლებების ბევრი საერთაშორისო დოკუმენტებით და ეროვნული კანონმდებლობების მიხედვით.

თუმცა უმცირესობები ტრადიციულად არიან დისკრიმინაციის საგანი მიუხედავად იმისა, არიან თუ არა ისინი ეროვნული, რელიგიური, კულტურული, ეთნიკური ან სოციალური უმცირესობა.

“ჩემი ცხოვრების მანძილზე მე თავი შევწირე აფრიკელი ხალხების ბრძოლას. ვიბრძოდი თეთრკანიანთა დომინირების წინააღმდეგ და მე ვიბრძოდი შავკანიანების დომინირების წინააღმდეგ. მეშთამაგონებდა დემოკრატიული და თავისუფალი საზოგადოების იდეალები, რომელშიც ყველა პიროვნება ცხოვრობს ჰარმონიულად თანაბარი შესაძლებლობებით. ეს არის იდეა, რომელისთვისაც ვცოცხლობ და იმედი მაქვს მივაღწევ. მაგრამ თუ საჭიროება იქნება მე მზად ვარ ამ იდეალისთვის მოვკვდე”.

ნელსონ მანდელა

samsaxureobrivi diskriminacia

„იკეას ფრანგული ფილიალის თანამშრომელს დაეკისრა ჯარიმა 4572 ევრო კომპანიის მენეჯერებისათვის გაწეული რეკომენდაციისათვის არ დაექირავებინათ შავკანიანი მუშახელი. ბრალდებულ ქალს და ასევე იკეას ფრანგულ ფილიალს მოუწევთ კომპენსაციის ანაზღაურება ჯამში 15240 ევრო იმ სარჩელის საფუძველზე, რომელიც წარდგენილი იქნა 4 პროფკავშირების მიერ „SOS Racisme“ და „Mouvemant contre le Racisme et pour l'Amitie entre les Peuples“-თან ერთად. თანამშრომელმა დაწერა და გაავრცელა წერილი, რომელიც რეკომენდაციას იძლეოდა არ აეყვანათ სამუშაოდ „შავკანიანები“ სარეკლამო კატალოგების სწორად განაწილების ზედამხედველებად“. EFE-ს პრეს რელიზი, 2001 წ. აპრილი.

დისკრიმინაცია, ქსენოფობია და რასიზმი ასევე ფართოდ არის გავრცელებული მსოფლიოს სხვა ნაწილებში: არსებობს დაახლოებით 160 მილიონი დალითი (ხელშეუხებელი) ინდოეთში. კვლევებმა აჩვენა, რომ აშშ-ში სიკვდილით დასჯის განაჩენის გამოტანის დროს რასა გადამწყვეტი ფაქტორია. რუანდაში 1994 წელს 3 თვის განმავლობაში დაახლოებით 1 მილიონი ადამიანი იქნა მოკლული, უმეტესად ტუტსები.

ფართოდ გავრცელებული ფარული თუ ღია ფორმის დისკრიმინაციის უარყოფითმა შედეგმა ზოგიერთი საზოგადოება მიიყვანა პოზიტიური დისკრიმინაცის პრაქტიკის დანერგვამდე. პოზიტიური დისკრმინაცია, როემლიც ასევე ცნობილია როგორც „დადებითი ქმედება“, ნებაყოფლობით ანიჭებს პრივილეგიას კონკრეტულ ჯგუფს, მაგ: ქალები, ინვალიდები ან კონკრეტული ეთნიკური ჯგუფები. ამგვარი პოლიტიკის ძირითადი მიზანი არის დისკრიმინაციის სტრუქტურული ფორმების გადალახვა, რომელიც წინააღმდეგ შემთხვევაში საფრთხეს შეუქმნიდა სპეციფიკურ სოციალურ ჯგუფებს, ჩვეულებრივ უმცირესობებს და წარმომადგენლობით ბალანსის ცვლილებას.

არა-დისკრიმინაცია ევროპის ადამიანის უფლებების კონვენციაში

2000 წლის ივნისში ევროსაბჭოს მინისტრთა საბჭოს კომიტეტის მიერ № 12 პროტოკოლის მიღებამ ევროპის ადამიანის უფლებების კონვენციაზე გააფართოვა კონვენციის კომპეტენცია დისკრიმინაციასთან მიმართებაში. ამჟამად, არა-დისკრიმინაციას ეხება მუხლი 14, რომელიც კრძალავს დისკრიმინაციას მხოლოდ კონვენციით გარანტირებულ უფლებებთან მიმართებაში. პროტოკოლი 12 წარმოადგენს მნიშვნელოვან წინსვლას, რადგანაც ის იძლევა საშუალებას რასიზმისა და დისკრიმინაციის სფეროში გაძლიერებული ქმედებისათვის ზოგადი არადისკრიმინაციული დებულების საშუალებით. ეს პროტოკოლი ძალაში შევა 10 სახელმწიფოს მიერ მისი რატიფიცირების შემდეგ.

ქსენოფობია

ოქსფორდის ინგლისური ენის განმარტებითი ლექსიკონის მიხედვით დისკრიმინაცია არის „პათოლოგიური შიში უცხოელების ან უცხო კულტურის მიმართ“. სხვა სიტყვებით ეს უცხოელების ზიზღს ნიშნავს.

ქსენოფობია არის სოციალურად კონსტრუირებულ სახეებზე ან იდეებზე და არა რაციონალურ ან ობიექტურ ფაქტებზე დაფუძნებული გრძნობა ან აღქმა.

სამყაროს ქსენოფობიურ აღქმას რთული სოციალური და კულტურული ფენომენი დაჰყავს გამარტივებულ კარგ და ცუდ სცენარამდე.

„ჩვენ“ (ადგილობრივები) = მოდელს, ნორმალურს და კარგს, ეტალონს თუ როგორ უნდა გამოიყურებოდეს, გრძნობდეს, ფოქრობდეს ყველა. ამის საწინააღმდეგოდ „ისინი“ (უცხოები) = კანონის დამრღვევებს, საფრთხეს, დაბრკოლებას, მაწანწალას, მოძალადეებს, მძარცველებს, დამპყრობებს და ა.შ. „ჩვენ“ (ადგილობრივები) კარგები ვართ „მათ“ (სხვების) წინააღმდეგ, რომლებიც ცუდები არიან. ნათელია, რომ ჩვენ მნიშვნელობას ვანიჭებთ ჩვენს მიერ სხვების და საკუთარი თავის აღქმას როგორიცაა

„ჩვენ“ = დადებითს და „ისინი“ = უარყოფითს.

ჩვენი, როგორც ინდივიდების და ჯგუფის წევრების, ეთნიკური ჯგუფის, ერის და ა.შ. თვითმყოფადობის შექმნა გულისხმობს საზოგადოების მრავალფეროვნების და ერთი პიროვნების მეორისაგან განსხვავების გააზრებას, რაც თავისთავად არ არის უარყოფითი მოვლენა, რადგანაც მრავალფეროვნება არ აღიქმება საფრთხედ და ამ განსხვავებების აღიარება არ გამოიყენება პოლიტიკური მანიპულაციისთვის. სხვა პიროვნება პირველ რიგში აღქმული უნდა იქნას როგორც ძმა ან და, მეგობარი და არა უცხო, მტერი ან მეტოქე.

უნდა აღინიშნოს, რომ მაშინ როდესაც აღმოსავლეთ ევროპაში ქსენოფობიის ძირითადი ობიექტი არის უმცირესობათა ჯგუფების წევრები, დასავლეთის ბევრ ქვეყანაში ობიექტი არის იმიგრანტები და ლტოლვილები, მათ შორის აღმოსავლეთ ევროპიდან ჩამოსულები.

? შეგიძლიათ დაასახელოთ თქვენ ქვეყანაში დაფიქსირებული ქსენოფობიის უახლესი მაგალითები?

მაშინაც კი თუ უცხოელების შიში – ქსენოფობია – განიხილება მორალურად მიუღებლად და ეწინააღმდეგება ადამიანის უფლებების კულტურას ის არ არის უკანონო და ამდენად არ შეიძლება მისი კანონით დასჯა როგორც ასეთი. შესაბამისად, ჯერ-ჯერობით მხოლოდ ქსენოფობიის მანიფესტაცია ექვემდებარება სანქციებს (რომელიც გამომდინარეობს ქსენოფობიური აღქმიდან და შესაძლოა მიიღოს მიკერძოებული დამოკიდებულების ან ფიზიკური ძალადობის ფორმები, როგორიცაა რასისტული თავდასხმების აქტები, სამსახურებრივი დისკრიმინაცია, სიტყვიერი შეურაცყოფა, ეთნიკური წმენდა, გენოციდი, და ა.შ.) თუკი არსებობს კანონი, რომელიც ამ აქციებს დანაშაულის კვალიფიკაციას ანიჭებს

რასიზმი

რასიზმი შეიძლება განისაზღვროს მრავალგვარად. ერთ-ერთი განმარტება განიხილავს რასიზმს როგორც გააზრებულ ან გაუაზრებელ რწმენას ერთი რასის აღმატებულობის შესახებ მეორის მიმართ. უპირველეს ყოვლისა, ამ განმარტებიდან გამომდინარეობს, რომ „აღმატებულ“ რასას აქვს უფლება გამოიყენოს ძალაუფლება და დომინირებადი იყოს „დაბალი“ რასაზე და მეორე, რასიზმი განაპირობებს ინდივიდების და ჯგუფების დამოკიდებულებას და ქცევას. თუმცა აქ არსებობს პრობლემა, რომ ტერმინი „რასიზმი“ გულისხმობს სხვადასხვა „რასების“ არსებობას.

ბოლო წლებში დამკვიდრდა განსაზღვრება, რომ ფაქტობრივად „რასა“ არის სოციალური კონსტრუქცია და შეუძლებელია ადამიანების კლასიფიცირება რაიმე კატეგორიის მიხედვით გარდა „ადამიანისა“. ამდენად, რასიზმი არსებობს იმისდამიუხედავად რომ „რასა“ არ არსებობს.

ევროპას რასიზმს ხანგრძლივი ისტორია გააჩნია. ისტორიულად „მაღალი“ და „დაბალი“ რასებზე მსჯელობა მიმდინარეობს ბიოლოგიური განსხვავებების საფუძველზე. დარვინის ევოლუციის თეორია ეხება ადამიანებს, რათა მოხდეს მათი კლასიფიცირება „რასის“ მიხედვით. კოლონიალიზმი, როდესაც ევროპული ერები ეწეოდნენ სხვა ერების ექსპლოატაციას შესაძლებელი გახდა ფართოდ გავრცელებული სოციალური დარვინიზმის და სხვა მსგავსი „რასისტული“ თეორიების მიღების შედეგად. „თეთრკანიანის“ ტვირთი გულისხმობდა კოლონიური ევროპის „მოვალეობას“ მოეხდინა სხვა ხალხების „ცივილიზება“. მონობა, რასიზმის მეორე გავრცელებული პრაქტიკა ევროპელ მწარმოებლებსა და

ღირშესანიშნავი თარიღი

23 აგვისტო
მონობით ვაჭრობის მსხვერპლთა მოხსენების და მისი გაუქმების საერთაშორისო დღე

“გამოთვლილია, რომ ჩრდილოეთ ამერიკაში დაახლოებით 12 მილიონი ადგილობრივი ამერიკელი ინდიელი განადგურდა 1600 – 1850 წლებს შორის. სავარაუდოდ 10-დან 20 მილიონამდე შავკანიანი აფრიკელი არის დაღუპული მონობით საერთაშორისო ვაჭრობის 200 წლის განმავლობაში

ღირშესანიშნავი თარიღი

21 მარტი
რასობრივი დისკრიმინაციის აღმოფხვრის საერთაშორისო დღე

მთავრობაში 19 საუკუნის ბოლომდე ასევე ეფუძნებოდა რწმენას რომ მონები მიეკუთვნებოდნენ „დაბალ რასას“.

დღესდღეობით რასისტები აქცენტს უფრო მეტად აკეთებენ კულტურულ განსხვავებებზე, ვიდრე ბიოლოგიურ არასრულფასოვნებაზე. კულტუროლოგიური რასიზმი ეფუძნება რწმენას, რომ არსებობს კულტურათა იერარქიები ან ზოგიერთი კულტურების, ტრადიციების, წეს-ჩვეულებების და ისტორიების შეუთავსებლობას. უცხოელების ან უმცირესობების იზოლაცია ან დისკრიმინაცია მართლდება „შეუთავსებელი კულტურების“, რელიგიების ან „ცივილიზაციების“ უცილობელი შენარჩუნების სახელით.

ძალაუფლება და მისი არასწორად გამოყენება მჭიდროდ არის დაკავშირებული რასიზმთან. რასიზმს ერთსა და იმავე დროს განსაზღვრავენ ძალაუფლების მფლობელები და ის კი განსაზღვრავს ძალაუფლებრივ ურთიერთობას მოძალადესა და მსხვერპლს შორის.

რასიზმის მსვერპლნი უმწეო მდგომარეობაში არიან. პრეკონცეფციები ან უარყოფითი მსჯელობა სხვა პიროვნებებისა და ჯგუფების მიმართ (ამ პიროვნებებისა და ჯგუფების შესახებ მნიშვნელოვანი ცოდნის ან გამოცდილების გარეშე) ასევე დაკავშირებულია რასიზმთან. ამგვარად, რასიზმი შეიძლება გაგებულ იქნას როგორც პრეკონცეფციების პრაქტიკული განხორციელება რეალურ ქმედებაში ან მოპყრობის ფორმად სხვების მიმართ მათი მხრიდან, ვისაც გააჩნია შესაბამისი ძალაუფლება და აქედან გამომდინარე შესწევს უნარი განახორციელოს ეს ქმედებები.

რასიზმი შეიძლება არსებობდეს სხვადასხვა დონეზე.

- *პიროვნული დონე:* ეს ნიშნავს პიროვნულ დამოკიდებულებებს, ფასეულობებს და რწმენებს რომელიმე "რასის" აღმატებულობის შესახებ და სხვა "რასების" არასრულფასოვნების შესახებ.
- *პიროვნებათაშორისი დონე:* ეს ეხება სხვებთან ურთიერთობის ისეთ ფორმას, რომელიც გამოხატავს რწმენას საკუთარი რასის აღმატებულობის შესახებ
- *ინსტიტუციონალური დონე:* ეს ეხება არსებულ კანონებს, წესჩვეულებებს, ტრადიციებს და პრაქტიკას, რომელიც სისტემატურად იწვევს რასობრივ უთანასწორობას და დისკრიმინაციას საზოგადოებაში, ორგანიზაციებში და ინსტიტუტებში.
- *კულტუროლოგიური დონე:* ეს ხება ფასეულობებს და სოციალური ქცევის ნორმებს, რომლებიც ამკვიდრებენ მშობლიურ კულტურულ პრაქტიკებს როგორც ნორმას და ეტალონს, როდესაც სხვა ხალხების კუტლურა არასრულფასოვნად ითვლება.

რასიზმის მანიფესტაციის სხვადასხვა დონე მჭიდროდ არის ურთიერთდამოკიდებული და აქტიურად კვებავენ ერთმანეთს. რასიზმი ასევე თავს იჩენს ფარული და ღია ფორმებით. რასიზმი ყველაზე დახვეწილ და ფარულ ფორმებში ისეთივე სახიფათოა როგორც მისი ღიად გამოხატული ფორმები.

რასიზმის შედეგები როგორც ისტორიული ასევე თანამედროვე მაგალითების მიხედვით არის დამანგრეველი როგორც მსხვერპლისათვის ასევე საზოგადოებისათვის სადაც ამ უსამართლობას აქვს ადგილი. რასიმზი იყო მასობრივი განადგურების, გენოციდის და ჩაგვრის სათავეებთან. მან განაპირობა უმრავლესობების დამორჩილება ერთი მუჭა უმცირესობის კაპრიზებისადმი, რომლებიც ფლობდნენ სიმდიდრეს და ძალაუფლებას. თუმცა უკვე მნიშვნელოვანი პროგრესი იქნა მიღწეული ამ უსამართლობების აღმოსაფხვრელად, მაგრამ

იზოლაციის ფარული და ნაკლებად ფარული ფორმები დღეს კვლავ არსებობს. ისინი ვინც აღქმულია "განსხვავებულად" ან "უცხოდ" აწყდებიან?? თავისუფლებისა და გადაადგილების შეზღუდვებს, აშკარა აგრესიას, შეურაცყოფას ან სოციალურ გაუცხოებას.

ქალაქ ფრანკფურტში/ოდერზე, რომელიც გერმანია-პოლონეთის საზღვარზე მდებარეობს გერმანელი სკინჰედების ჯგუფი ხშირად ემუქრებოდა და თავს ესხმოდა უნივერსიტეტის უცხოელ სტუდენტებს და უცხოელ მუშებს. პოლონეთის მხარეს ფრანკფურტ/ოდერის გარეუბნებში არის ქალაქი სლუბიცე, სადაც ნეოფაშისტების კიდევ ერთი ჯგუფი თავს დაესხა უცხოელებს. ინციდენტის რეპორტაჟის დროს აღნიშნული იყო, რომ მათ დაუწყეს სტუდენტს ცემა მაგრამ როდესაც გაიგეს, რომ ესპანელი იყო ბოდიში მოუხადეს. მათ ის გერმანელი ეგონათ.[9]

რასიზმი და ახალგაზრდობის ძალადობა

რასობრივი სიძულვილით მოტივირებული ახალგაზრდული ძალადობა დღეს რეალობაა ბევრ ევროპულ ქვეყანაში. დაფიქსირებულია უამრავი შემთხვევები ახალგაზრდების ან /და უფროსების შეტაკების, ცემის, მუქარის და ყველაზე ექსტრემალურ შემთხვევებში მკვლელობა მათი ეროვნულობის, გარეგნობის, რელიგიის, კანის ფერის, თმის ან სულაც წვერის საფუძველზე.

რასისტულ ძალადობას აქვს გამოხატვის სხვა უფრო დახვეწილი, მაგრამ უფრო არამკვეთრი საშუალებები. ის მოიცავს განტევების ვაცის ძიების, სეგრეგაციის და დისკრიმინაციის განსხვავებულ ფორმებს. პოლიციის მიერ ხალხის შემოწმება მხოლოდ იმიტომ, რომ მათ აქვთ განსხვავებული გარეგნობა – უფრო მუქი კანის ან თმის ფერი – ასევე არის ჩაგვრის ფორმა.

გაეროს საერთაშორისო კონფერენცია რასიზმის, რასობრივი დისკრიმინაციის, ქსენოფობიის და მათთან დაკავშირებული შეუწყნარებლობის წინააღმდეგ

გაეროს მესამე კონფერენცია აღნიშნული საკითხების შესახებ ჩატარდა დურბანში, სამხრეთ აფრიკაში 2001 წლის 31 აგვისტოდან 7 სექტემბრამდე. ამ კონფერენციამ წარმოშვა ძალიან მნიშვნელოვანი საერთაშორისო მოძრაობა და ბევრი მოლოდინი. მასში მონაწილეობა მიიღეს დაახლოებით 160 სახელმწიფოს და 1500-ზე მეტი არასამთავრობო ორგანიზაციის წარმომადგენლებმა. კონფერენციაზე დომინირებდა 2 საკითხი: პალესტინელების სავალალო მდგომარეობა (სიონიზმის რასისტულ პრაქტიკად კვალიფიცირების მცდელობების ჩათვლით) და მონობის აღიარება კაცობრიობის წინააღმდეგ ჩადენილ დანაშაულად და კომპენსაციის უფლება. საბოლოოდ დასკვნითი ტექსტი დასრულდა 2 საკითხის იმგვარი ფორმულირების აღიარებით, რომელიც მისაღები იყო უმრავლესობისათვის:

> "ჩვენ შეშფოთებული ვართ პალესტინელი ხალხის სავალალო მდგომარეობის გამო უცხოური ოკუპაციის ქვეშ. ჩვენ ასევე ვაღიარებთ პლაესტინელი ხალხის თვითგამორკვევის განუყოფელ უფლებას და დამოუკიდებელი სახელმწიფოს შექმნის უფლებას. ჩვენ ვაღიარებთ უსაფრთხოების უფლებას რეგიონში არსებული ყველა სახელმწიფოსათვის ისრაელის ჩათვლით და მოვუწოდებთ ყველა სახელმწიფოს მხარი დაუჭირონ სამშვიდობო პროცესებს და შეძლებისდაგვარად სწრაფად დაასრულონ".

ასევე ჩართული იყო ბოდიშის მოხდა მონობისათვის, თუმცა ტექსტი არ მიდიოდა იმდენად შორს, რომ შემოეთავაზებინა კომპენსაცია. მონობის და მონობით ვაჭრობის აღიარება კაცობრიობის წინააღმდეგ ჩადენილ დანაშაულად ბევრისთვის იყო ისტორიული მომენტი კაცობრიობის დიდი ნაწილის ღირსების აღდგენისათვის.

? ფიქრობთ, რომ იმ ქვეყნების მთავრობებმა, რომლებაც წარსულში ისარგებლეს მონობისაგან უნდა გადაიხადონ კომპენსაცია?

ზემოთ ხესენებული კონფერენციის წინა დღეებში ოფიციალურ კონფერენციასთან ერთად ჩატარდა არასამთავრობო ფორუმი და საერთაშორისო

ახალგაზრდული ფორუმი. ახალგაზრდული ორგანიზაციების წარმომადგენლები და სამთავრობო დელეგაციების ახალგაზრდობის წარმომადგენლები ასევე მიწვეული იყვნენ მონაწილეობის მისაღებად. დაახლოებით 200 ახალგაზრდა, რომლებიც წარმოადგენდნენ ყველა გეოგრაფიულ რეგიონს შეიკრიბენ რასიზმისა და ქსენოფობიის წინააღმდეგ ბრძოლასთან დაკავშირებული ძირითადი საკითხების შესახებ მსჯელობისათვის.

? რატომ უნდა იყოს რასისტული პროპაგანდა კონტროლირებული ან აკრძალული ინტერნეტში?

იმიგრანტები, ლტოლვილები და თავშესაფრის მაძიებლები

დღეს ევროპაში ბევრი იმიგრანტი, თავშესაფრის მაძიებელი და ლტოლვილი ძალიან რთულ მდგომარეობაშია და ყოველდღიურად ხდებიან მოწმე მათი მთავარი უფლებების და ღირსების ხელყოფისა. ლტოლვილები და თავშესაფრის მაძიებლები ხშირად იძულებული არიან დატოვონ თავიანთი სახლები, ქვეყნები და ოჯახები რათა თავი დააღწიონ ომს, დევნას ან უსაფრთხოების სრულ არარსებობას. თუმცა ლტოლვილების უდიდესი უმრავლესობა მსოფლიოში არ ეძებს თავშესაფარს, ევროპაში ზოგიერთი ადამიანი და ჯგუფი მაინც მოემგზავრება ჩვენი კონტინენტისაკენ. ნაციონალიზმისა და ქსენოფობიის მზარდმა და მძაფრმა გრძნობამ ან ქსენოფობი პოლიტიკოსების შეშფოთებამ ბევრი მთავრობა მიიყვანა ძალიან მკაცრი ზომების მიღებამდე თავშესაფრის მაძიებლების წინააღმდეგ, რომელიც ძირითადად მიზნად ისახავს მათ არდაშვებას თავიანთ ტერიტორიებზე.

თავშესაფრის მაძიებლები და ლტოლვილები შეადგენენ განსაკუთრებით დაუცველ ჯგუფს, რომლის სტატუსიც განსაზღვრული და დაცულია 1951 წლის ჟენევის ლტოლვილთა კონვენციის მიერ. ევროპული ქვეყნების უმეტესობას ამჟამად აქვთ კანონდებლობა, რომელიც უფლებას აძლევს მათ აერპორტებში და სასაზღვრო შემოწმების პუნქტებში ლტოლვილების დაკავებისათვის, ხშირად მათი უფლებების გათვალისწინების გარეშე. არალეგალური იმიგრანტების ან თავშესაფრის მაძიებლების დეპორტაცია, რომელთა განაცხადიც თავშესაფრის მოთხოვნაზე უარყოფილია გავრცელებული პრაქტიკაა და ზოგჯერ არის დამამცირებელი მოპყრობის ფორმა.

? რა ხდება როდესაც ლტოლვილი ეძებს თავშესაფარს თქვენს ქვეყანაში? იცით რა უნდა მოიმოქმედონ მათ?

შენგენის ხელშეკრულებები (1990) უზრუნველყოფს თავისუფალ გადაადგილებას და შეუზღუდავ მოგზაურობას ევროკავშირის 14 წევრი ქვეყნის ყველა საზღვარზე. თუმცა ყოფილი საზღვრების გაუქმების პარალელურად ევროკავშირმა ააგო უფრო "შეუვალი საზღვარი" ევროპის რეგიონის დასაცავად.

ერთიანი ევროპული პოლიტიკის შემუშავება ლტოლვილებისა და მიგრანტების მიმართ ხშირად აღწერილია როგორც "ევროპის ციხესიმაგრის" პოლიტიკა, ნაწილობრივ იმის გამო, რომ ის აქცენტს აკეთებს ლტოლვილების იზოლაციასა და გადაგზავნაზე და ნაწილობრივ იმიტომ, რომ ის არის მაგალითი თუ როგორ შეიძლება ეკონომიკური მიგრაციის შიშმა დაბლოკოს რეალობის აღქმის უანრი და თავშეფარის მაძიებელთა საჭიროებები.

? საიდან არიან თქვენს ქვეყანაში არსებული ლტოლვილები? რატომ არიან ისინი ლტოლვილები?

საკმაოდ მკაცრი და ქსენოფობიური პოლიტიკა, რომელსაც ბევრი ევროპული ქვეყანა ატარებს აიძულებს ბევრ იმიგრანტს მიმართონ არალეგალურ მეთოდებს ევროპაში შესაღწევად. ისინი ხშირად ხდებიან ორგანიზებული ტრეფიკინგის მსხვერპლი. ბევრი მათგანი ვერასოდეს აღწევს ევროპას, ზოგი კი გზაში იღუპება: ზღვაში და ესპანეთის სანაპიროებზე, მიტოვებულ გემებზე და ნავებზე ხმელთაშუა ზღვაში ან მატარებლებში და სატვითო მანქანებში სადაც ისინი უჰაერობისაგან იღუპებიან.

არალეგალური იმიგრაცია ასევე ნიშნავს იაფფასიან მუშახელს ბევრი ინდუსტრიისა და მეწარმისათვის. სიღარიბემ ისეთ ქვეყნებში როგორიცაა მოლდავეთი და უკრაინა გამოიწვია ის, რომ ბევრი ადამიანი სამუშაოს ეძებს დასავლეთ ვროპის ქვეყნებში. რადგანაც ისინი არიან "არალეგალურები" ისინი იძულებული არიან იმუშაონ ძალიან ცუდ პირობებში ძალიან დაბალ ხელფასზე. მათ ხშირად აშანტაჟებენ, ართმევენ პასპორტებს ან ემუქრებიან პოლიციაში დაბეზღებით. ახალგაზრდა ქალებიც ხშირად არიან მსგავს სიტუაციაში როდესაც ეისნი ხდებიან ტრაფიკინგის ობიექტი ოჯახში სამუშაოდ ან იძულებით პროსტიტუციისათვის.

უმეტეს ქვეყნებში არსებობს იმიგრანტების უტილიტარული აღქმა. იმიგრანტი არ არის მიღებული მისი ადამიანური ფასეულობების გამო, რომელსაც შეუძლია წვლილი შეიტანოს საზოგადოების განვითარებაში, ამის ნაცვლად მათ აღიქვამენ მხოლოდ როგორც სამუშაო ძალას, რომლის უკმარისობასაც ისინი განიცდიან.

? ფიქრობთ რომ მხოლოდ მატერიალურად უზრუნველყოფილ ხალხს უნდა მიეცეს თქვენს ქვეყანაში შემოსვლის ნება?

ბევრი ახალგაზრდა, რომლებსაც აქვთ იმიგრანტული წარსული ან წარმომავლობა, ე.წ. მეორე ან მესამე თაობის იმიგრანტები განიცდიან სხვადასხვა ფორმის დისკრიმინაციას ყოველდღიურად, რაც ზოგჯერ გადადის ძაალდობაში, სოციალურ იზოლაციაში და კრიმინალიზაციაში. ფარული რასისტული დისკრიმინაციის ერთ-ერთი ყველაზე გავრცელებული მანიფესტაცია არის ამ ახალგაზრდებისათვის მოთხოვნა "გააკეთონ არჩევანი" მათი მშობლების "კულტურასა" და მათი "მასპინძელი" ქვეყნის კულტურებს შორის. ასეთივე საეჭვო დამოკიდებულება არსებობს სხვა სოციალური და ეთნიკური უმცირესობების თვითმყოფადობის, ლოიალიზმის და პარტიოტიზმის მიმართ.

ანტისემიტიზმი

ანტისემიტიზმი შეიძლება განისაზღვროს როგორც "ებრაელების მიმართ მტრობა როგორც რელიგიური ან უმცირესობათა ჯგუფის მიმართ, რომელსაც ხშირად თან ახლავს სოციალური, ეკონომიკური და პოლიტიკური დისკრიმინაცია"[10] და ეს დღემდე ფართოდ არის გავრცელებული ევროპულ ქვეყნებში. ანტისემიტებმა მოიგონეს ისტორიები ებრაული კონსპირაციის შესახებ, რამაც გაამწვავა ანტისემიტური დამოკიდებულებები არაებრაელ ხალხში მათ წინააღმდეგ, რომელთაგან ყველაზე ცნობილი არის "სიონის ბრძენთა პროტოკოლი" (ფიქტიური შეურაცმყოფელი დოკუმენტი, რომელიც ახდენს ძალადობას პროვოცირებას ებრაელების წინააღმდეგ და რომელიც კვლავ ცირკულირებს ზოგიერთ ევროპულ ქვეყანაში).

მე-19 საუკუნის ბოლოს რუსეთში არსებული ებრაული საზოგადოება რეგულარულად ხდებოდა პოგრომების (რუსული სიტყვა, რომელიც განადგურებას ნიშნავს) მსხვერპლი, რომელიც იყო ადგილობრივი მოსახლეობის ორგანიზებული

ღირშესანიშნავი თარიღები

20 ივნისი
ლტოლვილთა საერთაშორისო დღე

18 დეკემბერი
მიგრანტების საერთაშორისო დღე

"ფასეულობა, რომელიც წარმოადგენს იმიგრანტებთან ჩემი მუშაობის საფუძველს არის ადამიანური ღირსება. ჩვენ ვურჩევთ ახალგაზრდა იმიგრანტებს, რომლებიც მოდიან ჩვენთან გაუზიარონ საკუთარი ისტორია თავიანთ მეგობრებს."

ქ-ნი ჯულია სანოლა, იტალიელი მოხალისე Sud-ში.

ღირშესანიშნავი თარიღები

9 ნოემბერი
„ბროლის ღამის“ აღსანიშნავი დღე. ფაშიზმისა და ანტი-სემიტიზმის წინააღმდეგ ბრძოლის საერთაშორისო დღე

30 აპრილი
ჰოლოკოსტის მემორიალური დღე (იომ ჰა შოა)

სისტემატური დისკრიმინაციული ძალადობრივი აქტები ებრაული საზოგადოების წინააღმდეგ, ხშირად პოლიციის პასიური თანხმობით ან აქტიური მონაწილეობით, წახალისებული მთავრობის ანტისემიტური პოლიტიკის მიერ. ებრაული საზოგადოებაზე თავდასხმები ასევე გავრცელებული იყო სხვა ევროპულ ქვეყნებში მაგ. საფრანგეთისა და ავსტრიის ჩათვლით.

20-ე საუკუნის პირველ ნაწილში ფაშიზმის აღმავლობამ უფრო მეტი უბედურება მოიტანა ბევრი ებრაელისათვის ევროპაში, რადგანაც ანტი-სემიტიზმი ძალაუფლებაში მყოფი იდეოლოგიის ნაწილი გახდა. ფაშისტური რეჟიმები და პარტიები ასევე პირდაპირ ან არაპირდაპირ თანამშრომლობდნენ გერმანიის ფაშისტურ რეჟიმთან ჰოლოკოსტის დროს.

II მსოფლიო ომის დროს გერმანიის ფაშისტური რეჟიმის და მისი მოკავშირეების მიერ განხორციელებული ჰოლოკოსტის დროს რომელიც ასევე ცნობილი იყო როგორც შოა (ებრაული სიტყვა, რომელიც „განადგურებას“ ნიშნავს), დაახლოებით 6 მილიონი ებრაელი მიზანმიმართულად იყო განადგურებული იმ ერთადერთი მიზეზის გამო, რომ ისინი ებრაელები იყვნენ. ჰოლოკოსტი იყო რასისტული და ანტისემიტური პოლიტიკის კულმინაცია, რომელიც დამახასიათებელი იყო ჰიტლერის მთავრობისათვის რომლის შეუბრალებლობაც პირველად გამოვლინდა ე.წ. „ბროლის ღამის“ დროს, 1938 წ-ის 9 ნოემბერს, როდესაც მთელი გერმანია მასობრივმა რეპრესიებმა მოიცვა.

ბოლშევიკური რევოლუციის წარმატების შემდეგ საბჭოთა კავშირში ებრაელთა რეპრესიები შეწყდა, მაგრამ ანტისემიტიზმი სხვა ფორმით გაგრძელდა, ძალით გადასახლების, ქონების კონფისკაციის და საჯარო გასამართლების ჩათვლით. კომუნისტური რეჟიმის დროს ანტისემიტიზმი ხშირად იყო წარმოდგენილი ოფიციალური ანტისიონისტური პოლიტიკის საბურველით.

დრეისათვის ანტი-სემიტიზმი ისევე ცოცხალია როგორც ყოველთვის, თუმცა ხშირად ფარულ ფორმებს იძენს. ჯგუფები, რომლებიც აცხადებენ პრეტენზიას აღმატებულობაზე შეურაცყოფენ ებრაულ სასაფლაოებს, ნეო-ფაშისტური ჯგუფების ქსელები, რომლებიც ხშირად მოიცავენ ახალგაზრდულ ჯგუფებს ღიად აცხადებენ თავიანთი ანტისემიტური შეხედულებების შესახებ და არსებობს ბევრი ინტერნეტ ვებგვერდები და ლიტერატურა, რომელიც ცირკულირებს და ადიდებს ფაშისტურ პროპაგანდას.

რომაფობია

ბოშები (რომლებსაც არასწორად უწოდებენ ბოშებს, სინტების ჩათვლით) ევროპელების მიერ ყოველთვის განიხილებოდნენ როგორც მათგან განსხვავებული ხალხი. ისტორიის დიდი პერიოდის განმავლობაში ისინი მოხეტიალეები იყვნენ, ერთი ადგილიდან გადადიოდნენ მეორეზე როგორც ხელოსნები, მუსიკოსები და მოვაჭრეები. ისტორიის მანძლიზე ისინი იყვნენ ძალადობრივი ასიმილაციის საგანი; ბოშების ენა აკრძალული იყო ზოგიერთ ქვეყანაში და შვილებს ძალით ართმევდნენ მშობლებს. ბოშები მონები იყვნენ ბევრ ქვეყანაში, ბოლო ქვეყანა იყო რუმინეთი სადაც მათი მონობა გაუქმდა 1856 წელს. ბოშებს არასოდეს ჰქონდათ სახელმწიფო და არასოდეს უბრძოლიათ სხვა ხალხის წინააღმდეგ. მე-20 საუკუნის განმავლობაში ისინი ითვლებოდნენ მაწანწალებად და ბევრ ქვეყანაში გამოცემული იყო კანონები, რომლებიც აიძულებდა მათ ერთ ადგილას დასასახლებას.

დღეს, ბოშების საზოგადოება კვლავ არის პირდაპირი თუ არაპირდაპირი დისკრიმინაციის, დევნის და იზოლაციის საგანი ყველა ევროპულ ქვეყანაში.

? რა რაოდენობითაა თქვენს ქვეყანაში ბოშათა საზოგადოება?

ღირშესანიშნავი თარიღი

8 აპრილი
ბოშათა საერთაშორისო დღე

პორაიმოს (ორაჯმოს) ნიშნავს გერმანელი ფაშისტების და მათი მოკავშირეების მიერ ჩადენილ ევროპელი ბოშების და სინტის გენოციდს 1933 და 1945 წლებს შორის. მსხვერპლის დაახლოებითი რაოდენობა სხვადასხვა წყაროების მიხედვით ვარირებს 500000 –დან 2000000-მდე. პორაიმოს შედეგად ევროპაში ბოშებმა დაკარგეს მათი ომამდელი მოსახლეობის დაახლოებით 70%.

აღმოსავლეთ ევროპის კომუნისტური რეჟიმები "ბოშების ემანსიპაციის" ლოზუნგის ქვეშ არღვევდნენ ბოშების ცხოვრების ტრადიციულ გზას. ბოშათა ოჯახი კიდევ უფრო დაიშალა კაპიტალიზმის შემოსვლასთან ერთად – ბოშები ზოგადად არაკვალიფიციურად ითვლებიან მაღალტექნოლოგიური სამუშაოებისათვის და ამგვარად ისინი განწირული არიან ფიზიკური მუშაობისათვის, უმუშევრობისა და სოციალური გაუცხოებისათვის.

დღესისათვის ევროპის ბოშათა მოსახლეობა მთლიანად შეადგენს დაახლოებით 8-12 მილიონს ყველა ევროპული ქვეყნის ჩათვლით. დიდი უმრავლესობა უკვე მუდმივად დასახლებულია, მაგრამ ზოგიერთ დასავლურ ქვეყანაში კვლავ მთლიანად ან ნაწილობრივ მოხეტიალე ცხოვრებას ეწევიან. მაშინ როდესაც ესპანეთსა და პორტუგალიაში მცხოვრებმა ბოშებმა მთლიანად დაივიწყეს საკუთარი ენა (რადგანაც ის აკრძალული იყო და იდევნებოდა) სხვა ბევრ ქვეყანაში ბოშათა ენა კვლავ გამაერთიანებელი კულტუროლოგიური ფაქტორია.

"ბოშები უნდა განადგურდნენ ცეცხლითა და მახვილით"

XVIII საუკუნის ესპანური კანონი

რომაფობია, დისკრიმინაცია და მტრობა ბოშების მიმართ არის ფართოდგავრცელებული რეალობა მთელ ევროპაში. ბოშები არიან შეიარაღებულ კოფლიქტების მიერ დაზარალებულთა შორის ერთ-ერთი პირველი, ისევე როგორც ყოფილი იუგოსლავიის ომში სადაც ცეცხლის ალყაში მოყოლილი ბოშების სავალალო მდგომარეობა უმეტესად იგნორირებული იყო. სხვა უახლესი მაგალითები მოიცავს უკანონოდ მიღებულ ზომებს, მაგ: ბოშების ოჯახებისათვის საკუთრების უფლების არალეგალურად წართმევა "დანაშაულთან ბრძოლის" საფუძველზე (პორტუგალია); დისკრიმინაცია განათლებასთან დაკავშირებით ბოშათა შვილების მიმართ და ძირითადი საზოგადოებრივი სერვისების უზრუნველყოფა (ბრიტანეთის გაერთიანებული სამეფოში და საფრანგეთში მაგ. მომთაბარე ბანაკებისათვის) ან უბრალოდ მათი აღიარებული უფლებების დარღვევა. ბევრ ქვეყანაში ბოშები იყვნენ აგრესიული ფაშისტური და რასისტული ჯგუფების ძალადობის მსხვეპლნი, რომელიც ხშირად მკვლელობით მთავრდებოდა; ბოშა ბავშვებს ზოგჯერ ერთად კრებენ გონებრივად ჩამორჩენილ ბავშვთა სკოლაში. ბოშათა სოფლები ხშირად სეგრეგაციული და იზოლირებულია.

? რა შეგიძლიათ გაიგოთ ბოშების შესახებ ადგილობრივ ახალ ამბებში?

ბევრი ახალგაზრდა ბოშა ბავშვი იზრდება მტრულ სოციალურ გარემოში, სადაც ერთადერთი მხარდაჭერა და აღიარება მათი საკუთარი საზოგადოებიდან ან ოჯახიდან გააჩნიათ. მათ ართმევენ ბევრ ძირითად უფლებას, როგორიცაა განათლება ან ჯანმრთელობა, ან შეზღუდულად სარგებლობენ მათით.

"ინვალიდებს აქვთ დამოუკიდებლობის, სოციალური ინტეგრაციისა და საზოგადოების ცხოვრებაში მონაწილეობის უფლება."

მუხლი 15, ევროპის სოციალური ქარტიის შესწორებული გამოცემა

უფრო დიდი ინფორმირებულობა და შეშფოთება ბოშებთან დაკავშირებით ნელ-ნელა იზრდება. საერთაშორისო დონეზე საერთაშორისო რომანული კავშირი არის ყველაზე წარმომადგენლობითი პოლიტიკური ბოშათა ორგანიზაცია რომელსაც აქვს საკონსულტაციო სტატუსი სხვადასხვა გაეროს სტრუქურებში. ბუდაპეშტში არსებული ევროპის ბოშათა უფლებების ცენტრი არის მთავარი საერთაშორისო ბოშათა ადამიანის უფლებათა ორგანიზაცია, რომლებიც აქტიურად ზრდიან საზოგადოების ინფორმირებულობას, მონიტორინგს და ბოშათა უფლებების დაცვას.

ღირშესანიშნავი თარიღები

10 ოქტომბერი
გონებრივი ჯანმრთელობის საერთაშორისო დღე

3 დეკემბერი
ინვალიდი ადამიანების საერთაშორისო დღე

ინვალიდები და შრომისუუნაროები

ინვალიდობა არის განსაზღვრული როგორც გარემოება, რომელიც უუნაროს ხდის ადამიანს ავადმყოფობის, დაზიანების ან თანდაყოლილი ფიზიკური ნაკლის შედეგად; ეს ტერმინი ასევე გამოიყენება ლეგალური დისკვალიფიკაციის ან უუნარობის აღსანიშნავად.

ტერმინი "ინვალიდობა" მოიცავს სხვადასხვა ფუნქციური შეზღუდვების დიდ რიცხვს, რომელსაც ადგილი აქვს მსოფლიოს ნებისმიერ ქვეყანაში ნებისმიერ მოსახლეობაში. ხალხი შეიძლება იყოს ინვალიდი ფიზიკური, ინტელექტუალური ან სენსორული დეფექტების, სამედიცინო პირობების ან გონებრივი ავადმყოფობის გამო, რომლებიც შეიძლება იყოს დროებითი ან მუდმივი.

ევროკავშირის ფარგლებში უმეტესი ორგანიზაციები, რომლებიც აქტიურად ამკვიდრებენ ინვალიდების უფლებებს შედიან ევროპის ინვალიდთა ფორუმის შემადგენლობაში. ევროსაბჭოს ფარგლებში ქმედებები და პოლიტიკა კოორდინირებულია სოციალური საქმეების გენერალური დირექტორატის მიერ.

ტერმინი "ფიზიკურად ან გონებრივად არასრულფასოვანი" ნიშნავს შესაძლებლობების დაკარგვას ან შეზღუდვას საზოგადოების ცხოვრებაში მონაწილეობის თვალსაზრისით სხვების თანაბარ დონეზე. ის აღწერს დამოკიდებულებას ინვალიდ პიროვნებასა და გარემოს შორის. ორივე ტერმინი ნამდვილად ადექვატურია, მაგრამ აქცენტი, რომელსაც თითოეული მათგანი ატარებს არის მცირედ, მაგრამ მნიშვნელოვნად განსხვავებული.

? როგორ შეუძლია ინვალიდ ხალხს მონაწილეობა მიიღონ თქვენი ორგანიზაციის ღონისძიებებში?

გამოთვლილია, რომ მსოფლიოს მოსახლეობის საშუალოდ 10% ინვალიდია. ევროსაბჭოს 43 წევრი ქვეყნის 80 მილიონიანი მოსახლეობისათვის ეს ნიშნავს დაახლოებით 80 მილიონ ინვალიდ ადამიანს. ბოლო წლებში მრავალ სფეროში მიღწეული პროგრესის მიუხედავად ბევრი ინვალიდი ადამიანი ევროპაში კვლავ დგება თანაბარი შესაძლებლობების და საზოგადოების ცხოვრებაში სრული მონაწილეობის ბარიერების წინაშე, როგორიცაა განათლების დაბალი დონე და პროფესიული ტრეინინგები: მაღალი უმუშევრობის დონე, დაბალი შემოსავალი, ფიზიკური გარემოში არსებული დაბრკოლებები, სოციალური გაუცხოება; შეუწყნარებლობა, კლიშე და სტერეოტიპები; პირდაპირი და არაპირდაპირი დისკრიმინაცია; ძალადობა, ცუდი მოპყრობა და ძალადობა.11 ევრობარომეტრის 2001 წლის გამოკითხვის თანახმად გამოკითხული ხალხის 97% ფიქრობს, რომ გარკვეული ზომები უნდა იქნას მიღებული ინვალიდი ხალხის საზოგადოებაში უკეთესად ინტეგრირებისათვის[12].

ევროკავშირმა 2003 წელი გამოაცხადა ინვალიდი მოქალაქეების ევროპულ წლად.

ra surT invalidebs?

"არაფერი განსაკუთრებული, არაფერი უჩვეულო. ჩვენ გვინდა შეგვეძლოს ჩვენი უბნის სკოლაში სიარული, ვისარგებლოთ საჯარო ბიბლიოთეკით, ვიაროთ კინოში, ავიდეთ ავტობუსში ან წავიდეთ ქალაქის ცენტრში საყიდლებზე, ვესტუმროთ მეგობრებს და ოჯახის წევრებს სხვა ქალაქში ან ქვეყანაში. ჩვენ გვინდა შეგვეძლოს ჩვენი უბნის საარჩევნო უბანში მისვლა, რათა ხმა მივცეთ არჩევნებში სხვა ყველა მოქალაქესთან ერთად. ჩვენ გვინდა შევძლოთ ქორწინება. ჩვენ გვინდა შეგვეძლოს მუშაობა. ჩვენ გვინდა ვუზრუნველყოთ ჩვენი შვილების მომავალი. ჩვენ გვინდა მაღალხარისხიანი, ხელმისაწვდომი სამედიცინო მომსახურება. ჩვენ გვინდა გვიყურებდნენ როგორც ჩვეულებრივ ადამიანებს, როგორც საზოგადოების ნაწილს, და არა რაღაცას გადასამალს, შესაცოდებელს ან სამოწყალოს". ადრიენ რუბინ ბარჰიდტ, 1996 წ. 10 აპრილი[13] .

წყარო: www.disrights.org

ჰომოფობია ან დისკრიმინაცია სექსუალური ორიენტაციის საფუძველზე

ღირშესანიშ
თარიღი

7 აგვისტო
ტრანსგენდერულ
განათლების საე
დღე

ჰომოფობია შეიძლება განისაზღვროს როგორც სიძულვილი გეი ან ჰომოსექსუალი ადამიანების მიმართ ან მათი ცხოვრების სტილის ან კულტურის მიმართ ან ზოგადად განსხვავებული სექსუალური ორიენტაციის ადამიანების მიმართ.

მსოფლიოს ბევრ ნაწილში განსხვავებული (განსხვავებული უმრავლესობისაგან) ორიენტაციის მქონე ინდივიდები არიან დისკრიმინაციის საგანი, რაც ვარირებს შეურაცყოფიდან მკვლელობამდე. ბევრ ქვეყანაში ჰომოსექსუალობის პრაქტიკა ჯერ კიდევ დანაშაულად ითვლება და ზოგიერთ მათგანში სიკვდილით ისჯება. თუმცა, ევროპის ფარგლებში პროგრესი მიღწეულია ცვალებად კანონმდებლობაში ბევრი ადამიანი კვლავ განიხილავს ჰომოსექსუალობას როგორც დაავადებას, ფსიქოლოგიურ დარღვევას ან არაბუნებრივ მდგომარეობას.

ჰომოსექსუალობას სხვადასხვა ადამიანები სხვადასხვაგვარად განმარტავენ. ზოგიერთი ძირითადი განმარტება:

- *ბისექსუალი* ნიშნავს ადამიანს, რომელსაც იზიდავს მისივე და მისი სქესის საპირისპირო პიროვნებები.
- გეი არის ტერმინი, რომელიც გამოიყენება ჰომოსექსუალი მამაკაცების მიმართ. ზოგიერთ წრეებში ის ასევე ნიშნავს ჰომოსექსუალ ქალებს (ლესბოსელებს).
- *ჰომოსექსუალი* ნიშნავს პიროვნებას, რომელსაც მხოლოდ მისივე სქესის ადამიანები იზიდავს.
- *ჰეტეროსექსუალი* ნიშნავს პიროვნებას, რომელსაც იზიდავს მხოლოდ საწინააღმდეგო სქესის წარმომადგენლები.
- *ლესბოსელი* ნიშნავს მდედრობითი სქესის ჰომოსექსუალებს, ანუ ქალებს, რომლებსაც იზიდავენ სხვა ქალები.
- *ტრანსგენდერი* ნიშნავს ადამიანს, რომელსაც აქვს მისი ბიოლოგიური სქესისგან განსხვავებული სქესი (ე.ი. კაცი ქალის სხეულში ან პირიქით).
- *LGBT* აბრევიატურაა, რომელიც ნიშნავს ლესბოსელს, გეის, ბისექსუალს და ტრანსგენდერს.

2001 წელს ივნისში ევროპის პარლამენტისადმი პოლონეთსი არსებული სექსუალური დისკრიმინაციის შესახებ წარდგენილ მოხსენებაში თ 22%-მა განაცხადა, რომ მათ განცდილი ჰქონდათ ფიზიკური შეურაცყოფა და მათგან 77% - ს არასოდეს განუცხადებია ეს პოლიციაში მათი ოჯახებისა და პოლიციის რეაქციის შიშის გამო[14].

დღეს ევროპაში ცხოვრება როგორც თ პიროვნება ვარირებს ძალიან მარტივიდან (უფრო დიდ ქალაქებში დასავლეთ ევროპაში, კარგად განვითარებული სუბკულტურით, ბარებით, კლუბებით და ორგანიზაციებით) შედარებით რთულამდე (დასავლეთ ევროპის პატარა ქალაქებში და ცენტრალური ევროპის დიდ ნაწილში შეხედულებები ჰომოსექსუალობის შესახებ თანდათან იცვლება) და ასევე აშკარად სახიფათომდე (თავდასხმები პოლიციის მხრიდან, ისევე როგორც "ნორმალური" ადამიანების მხრიდან, ასევე დისკრიმინაციული კანონები და სიძულვილით

გამოწვეული დანაშაულები არის ზოგიერთი აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნების რეალობა, მაგ. ბულგარეთი, ალბანეთი, რუმინეთი და მოლდავეთი).

ლესბოსელი და გეი წყვილები მთელ ევროპაში ასევე არიან სამართლებრივი დისკრიმინაციის მსხვერპლი ისეთ სფეროებში როგორიცაა ქორწინების უფლება, ოჯახის შექმნა ან ბავშვების აყვანა (სხვა სიტყვებით მათ არ შეუძლიათ ისარგებლონ იგივე სტატუსით რითიც ჰეტეროსექსუალი წყვილები).

? იცნობთ რომელიმე გეი ან ლესბოსელ წყვილს თქვენს ქვეყანაში?

vardisferi samkuTxedi

ათობით ათასი ჰომოსექსუალი დაიღუპა ფაშისტურ საკონცენტრაციო ბანაკებში. ვარდისფერი სამკუთხედი და ვარდისფერი ფერი ყოველთვის არის ასოცირებული ჰომოსექსუალურ მოძრაობასთან და კულტურასთან, გამომდინარე ვარდისფერი ბაჯებიდან, რომელიც ჰომოსექსუალებს უნდა ეტარებინათ ფაშისტურ საკონცენტრაციო ბანაკებში "სექსუალური გადახრების" გამო.

"ჰომოსექსუალისტების შემთხვევაში ისტორია და გამოცდილება გვასწავლის, რომ ყველაზე მტკივნეული არის არა სიღარიბე ან უუფლებობა, არამედ დაუნახაობა. სურვილის გათელვა, დადანაშაულება გარყვნლებაში, სპონტანური ფიზიკური ლტოლვის გაკიცხვა, სიყვარულის გამოხატვის აკრძალვა, საზოგადოების წევრის თანასწორუფლებიანი მორალური სტატუსის უარყოფა, მხოლოდ იმიტომ, რომ შენ ხარ ისეთი როგორიც ხარ (...)"

მოსამართლე ალბი საქსი, სამხრეთ აფრიკის რესპუბლიკის კონსტიტუციური სასამართლო, 1998წ.

ყველაზე დიდი პრობლემა რასაც LGBT ახალგაზრდები ხვდებიან ერთის მხრივ არის უცხოთა მიერ დისკრიმინაცია, რაც ნიშნავს ძალადობას, შეურაცყოფას, და მომსახურეობაზე უარის თქმას (რესტორნიდან გამოგდება არის გავრცელებული შემთხვევა). მეორეს მხრივ ხშირად არის პრობლემები ოჯახთან და მეგობრებთან, როდესაც ცნობილი ხდება მათი არატრადიციული ორიენტაციის შესახებ. ბევრი ადამიანისათვის ეს ძალიან სერიოზული პრობლემაა და ბევრი თ ახალგაზრდა აყოვნებს მათი სექსუალური ორიენტაციის აშკარად გამოცხადებას უარყოფისა და განდევნის შიშის გამო. სკოლაში თანასკოლელების ძლიერი ზეწოლა ზოგჯერ ცხოვრებას ურთულებს თ სტუდენტებს.

? უნდა იყოს თუ არა გეი და ლესბოსელი წყვილების ქორწინება ნებადართული?

ახალგაზრდები ასევე არიან განსაკუთრებით დაუცველი სამიზნეები ჰომოფობიური ძალადობისა და დისკრიმინაციის. ხშირად მათ უხდებათ გაუმკლავდნენ დანაშაულის გრძნობას და რთულ შეკითხვებს მათი სექსუალური თვითმყოფადობის შესახებ. მათ ეშინიათ უარყოფის ან იმის, რომ მათ ვერ გაუგებენ. უარყოფითი "დამოკიდებულება", რომელსაც ისინი ღებულობენ ცუდ მდგომარეობაში აყენებს მათ საკუთარ თავთან და საზოგადოებასთან. ამასთან ერთად ძალადობა და შეურაცყოფა ბევრ ამთგანს დეპრესიაში აგდებს და თვითმკვლელობამდე მიჰყავს.

რელიგიური დისკრიმინაცია

მრავალფეროვნება ევროპის ფარგლებს შიგნით ყველაზე მეტად რელიგიურ ფორმებში გამოიხატება. ევროპელების უმრავლესობა ქრისტიანია, მაშინაც კი თუ ისინი არ ეწევიან რელიგიურ ცხოვრებას, მაგრამ ეს უმრავლესობა ხშირად "ფარავს" დიდ მრავალფეროვნებას. ევროპა წალეკა კათოლიკეებსა და პროტესტანტებს შორის ომმა, როგორც ადრე კათოლიკებსა და აღმოსავლეთ მართლმადიდებელი ქრისტიანებს შორის ომმა. თითოეული დენომინაციის ქვეშ არსებობს ბევრი განშტოება სხვადასხვა განსხვავებებით, რომლებიც ხშირად შეუმჩნეველია გარეშე პირისათვის, მაგრამ გადამწყვეტია მათთვის ვისაც სჯერა მათი.

მეორე მსოფლიო ომის დროს იეღოვას მოწმეები გაგზავნილ იქნენ საკონცენტრაციო ბანაკებში, რადგანაც მათ უარი განაცხადეს გერმანულ ჯარში სამსახურზე.

თუმცა ქრისტიანული რელიგიის უმცირესობები არსებობენ მთელი ევროპის მასშტაბით, ისტორიულად ისინი იყვნენ (და ზოგიერთ ქვეყანაში კვლავ რჩებიან) დისკრიმინირებულად. მათი რელიგია ან ეკლესია არ არის “აღიარებული” ან არ აქვს იგივე სტატუსი ან უფლებები (მაგ. განათლებაში) როგორიც “ოფიციალურ” ან დომინანტურ ეკლესიას.

ნაწილობრივ ევროპული ინტეგრაციის და თანამშრომლობის პროცესის გამო განსხვავებები ქრისტიანულ დენომინაციებს შორის ნაკლებად მნიშვნელოვანი გახდა სოციო-პოლიტიკური თვალსაზრისით. ზოგიერთი პოლიტიკოსისა და მოაზროვნისათვის ქრისტიანობა უნდა იყოს ევროპული თვითმყოფადობის საფუძველი, ეს არის სახიფათო შეხედულება, რომელიც იგნორირებას უკეთებს მილიონობით არარელიგიურ ან არაქრისტიან ევროპელს.

? რომელი რელიგიური უმცირესობები არსებობენ თქვენს ქალაქში ან საზოგადოებაში? სად იკრიბებიან და ლოცულობენ ისინი?

არაქრისტიანულ რელიგიებს შორის იუდაიზმი ერთ-ერთია, რომელიც მთელი ისტორიის მანძილზე ალბათ ყველაზე ფართოდ იყო დისკრიმინირებული მთელ კონტინენტზე. 15-ე საუკუნეში ესპანეთიდან და პორტუგალიიდან განდევნის შემდეგ, მაგ. ისინი ვინც დარჩნენ ძალით იყვნენ მოქცეული სხვა რელიგიაზე ან მალულად აღიარებდნენ თავიანთ რელიგიას მათი სიცოცხლის საფრთხის ქვეშ დაყენების ხარჯზე. პრეკონცეფციებმა და არასწორმა კონცეფციებმა ებრაული აღმსარებლობის მიმართ უეჭველად შეიტანა წვლილი ანტისემიტური დამოკიდებულებების გაღვივებაში. ასევე ისტორიულად არის გამოყენებული ებრაელების მიმართ დისკრიმინაციის და სეგრეგაციის გასამართლებლად და ალბათ წვლილი შეიტანეს ჰოლოკოსტის მიმართ პასიურ ტოლერანტულობაში ზოგიერთ დომინანტურ ქრისტიანულ საზოგადოებაში.

სხვა მნიშვნელოვანი რელიგიური უმცირესობების თემები ევროპაში მოიცავს ბუდისტებს, ბაჰა’ის, რასტაფარიანებს და სიკხებს. ქვეყანიდან გამომდინარე მათ შეიძლება განიცადონ დისკრიმინაციის სხვადასხვა ფორმები. ბევრ შემთხვევაში რელიგიური დისკრიმინაცია ერწყმის რასიზმს.

ისლამოფობია

არაქრისტიანულ რელიგიებს შორის ისლამი არის ყველაზე მეტად გავრცელებული ევროპაში. ბევრ ქვეყანაში და ასევე ბალკანეთისა და კავკასიის რეგიონებში ეს არის უდიდესი რელიგია და მეორე უდიდესი რელიგია საფრანგეთში, გერმანიაში და სხვა ბევრ ქვეყანაში, როგორც დასავლეთ ასევე აღმოსავლეთ ქვეყნებში.

ლაქა, რომელიც მუსულმანებს მოეცხოთ მთელი მსოფლიოს თვალში აშშ-ზე 2001 წელს განხორციელებული საზარელი ტერორისტული აქტის შემდეგ აჩვენებს რეალურად რამდენად მყიფეა საზოგადოების ურთიერთობები და ჩვენი შემწყნარებლობის გრძნობა. დასავლეთში მცხოვრები მუსულმანები გაოცებული იყვნენ, რომ ხალხი, რომელიც მათ საკუთარი მეგობრები, მეზობლები და თანამოქალაქეები ეგონათ უეცრად მიუტრიალდნენ მათ და დაადანაშაულეს მსოფლიო სავაჭრო ცენტრზე განხორციელებულ თავდასხმაში და რევანშისტულ შეტევებსაც კი ჰქონდა ადგილი უდანაშაულო კაცების, ქალების და ბაშვების მიმართ. განსაკუთრებით შემაშფოთებელია ის ფაქტი, რომ აშშ-ში და ევროპაში თავს ესხმოდნენ ქალებს, რომლრბიც თავსაფრებს ატარებენ.

? რა წარმოდგენა გაქვთ ისლამზე?

ისლამოფობია ანუ ისლამის, მუსულმანების და მათთან დაკავშირებული საქმეების შიში არ არის ახალი ფენომენი. ეს ფაქტობრივად არის პრეკონცეფციების უძველესი ფორმა, რომელიც ბოლო დროს აქტუალური თემა გახდა იმ გამანადგურებელი ეფექტის გამო რაც მას მუსულმანების ცხოვრებაზე აქვს, განსაკუთრებით იმ მუსულმანების, რომლებიც უმცირესობაში არიან საზოგადოებაში სადაც ცხოვრობენ.

ამჟამინდელი სიტუაცია კვებავს ძლიერ და ღრმად ფესვგადგმულ პრეკონცეფციას უმეტეს ევროპულ საზოგადოებებში ისლამთან დაკავშირებით. ზოგიერთი ყველაზე გავრცელებული ფორმა არის მისი როგორც რელიგიის ოფიციალური აღიარების უარყოფა, ნებართვის გაუცემლობა მეჩეთების აგებისათვის ან მუსულმანური რელიგიური ჯგუფებისათვის ან თემისათვის მხარდაჭერზე უარის თქმა.

ისლამის შესახებ უცოდინრობა არის ისლამოფობიის მთავარი მიზეზი. ისლამი ხშირად არის ასოცირებული მხოლოდ ტერორიზმთან და ესქტრემიზმთან. ფაქტობრივად ისლამი არის რელიგია, რომელიც სხვა ბევრი რელიგიის მსგავსად ქადაგებს შემწყნარებლობას, სოლიდარობას და ერთმანეთის სიყვარულს.

? რა შეიძლება გაკეთდეს თქვენს ორგანიზაციაში ან სკოლაში ცოდნის გასაზრდელად და სხვა რელიგიების უკეთ გასაგებად?

სხვა ყველაზე გავრცელებული პრეკონცეფცია ისლამის შესახებ არის მისი ე.წ. "შეუთავსებლობა" ადამიანის უფლებებთან. ეს პრეკონცეფცია ხშირად გამომდინარეობს იმ ქვეყნების რეალობიდან, სადაც ისლამი მთავარი რელიგიაა, განსაკუთრებით არაბულ ქვეყნებში. დემოკრატიის არარსებობა და ადამიანის უფლებათა ფართოდ გავრცელებული დარღვევები განიხილება როგორც ამ "შეუთავსებლობის" მაგალითები. პრეკონცეფცია მდგომარეობს ისლამის, როგორც ერთადერთი მიზეზის განხილვაში, რეალურად კი აღნიშნული რეჟიმების უმრავლესობა უბრალოდ არადემოკრატიულია. ქრისტიანული ქვეყნებს შემთხვევაში ეს იქნებოდა ქრისტიანულ რელიგიებზე პასუხისმგებლოების დაკისრების ექვივალენტური პორტუგალიაში, ესპანეთში ან საბერძნეთში ადრე არსებული დიქტატურაზე და შემდეგ დასკვნის საფუძველი, რომ ქრისტიანობა შეუთავსებელია ადამიანის უფლებებთან და დემოკრატიასთან.

ახალგაზრდები ხშირად იდევნებიან მათ მიერ აშკარად გამოვლენილი ისლამის ერთულების გამო. ზოგიერთ ქვეყანაში მუსულმან გოგონებს ეკრძალებათ სკოლაში თავსაფრების ტარება.

სამართლებრივი ჩარჩოები

მრავალი საერთაშორისო და რეგიონალური დოკუმენტი დისკრიმინაციას განიხილავს ან ზოგადად ან დისკრიმინაციის სპეციფიკურ ფორმებს. ზოგიერთი მაგალითი გაეროს დონეზე მოიცავს:

- ადამიანის უფლებების საყოველთაო დეკლარაცია (1948)
- საერთაშორისო კონვენცია რასობრივი დისკრიმინაციიის ნებისმიერო ფორმის აღმოფხვრის შესახებ (1965)
- კონვენცია ქალების მიმართ დისკრიმინაციიის ნებისმიერო ფორმის აღმოფხვრის შესახებ (1979)
- ინვალიდების უფლებების დეკლარაცია (1975)
- MOT–ის კონვენცია (№169) ადგილობრივი მოსახლეობის და თემური ცხოვრების წესის მიმდევარი ხალხების შესახებ (1989)

ევროსაბჭოს ფარგლებში ადამიანის უფლებების ევროპის კონვენციის გარდა მიღებულ იქნა შემდეგი მნიშვნელოვანი დოკუმენტები:

- რეგიონალური ენების ან ენობრივი უმცირესობების ევროპული ქარტია (1992)
- კონვენცია უცხოელების მონაწილეობის შესახებ ადგილობრივ დონეზე (1992)
- ჩარჩო კონვენცია ნაციონალური უმცირესობების დაცვის შესახებ

დამატებითი ინფორმაცია

რასიზმი და დისკრიმინაცია

- ევროსაბჭოს ევროპის კომისია რასიზმისა და შეუწყნარებლობის წინააღმდეგ www.ecri.coe.int/en/sommaire.htm
- საერთაშორისო ლიგა რასიზმისა და ანტისემიტიზმის წინააღმდეგ (LICRA), საფრანგეთი, www.licra.com
- SOS Racisme (საფრანგეთი), www.sos-racisme.org
- United for Inercultural Action – ევროპის ქსელი მიგრანტებისა და ლტოლვილების მხარდასაჭერად რასიზმის, ნაციონალიზმის და ფაშიზმის წინააღმდეგ www.xs4all.nl/~united/
- ევროპის ქსელი რასიზმის წაინააღმდეგ, www.enar-eu.org/
- ანტირასისტული ინტერნეტ ცენტრი ევროპაში, www.icare.to/
- რასიზმისა და ქსენოფობიის მონიტორინგის ევროპის ცენტრი (EUMC), ევროსაბჭოს დამოუკიდებელი ორგანიზაცია, რომლის მიზანიც არის რასიზმთან, ქსენოფობიასთან და ანტისემიტიზმთან ბრძოლა ევროპაში, www.eumc.eu.int/
- ევროპის უმცირესობები (MoE), http://www-moe-online.com
- უმცირესობების წარმომადგენელი ახალგაზრდა ქალები (WFM), www.wfmonline.org

ბოშები

- ბოშათა უფლებების ევროპის ცენტრი (ERRC), www.errc.org
- ბოშათა საერთაშორისო კავშირი, www.romaniunion.org
- Union Romani (ესპანეთი), www.unionromani.org
- ქსელური ჟურნალი Patrin, www.geocites.com/Paris/5121/patrin.htm

ინვალიდები

- მსოფლიო ინსტიტუტი ინვალიდების საკითხების შესახებ (WID), www.wid.org
- ინავლიდების ევროპის ფორუმი, www.edf-feph.org

იმიგრანტები და ლტოლვილები

- ლტოლვილთა საქმეების გაეროს უმაღლესი კომისარი: www.unhcr.org
- პორტალი მიგრანტების უფლებების დაცვის შესახებ, www.december18.net
- მაღრიბის ქვეყნების მუშათა ასოციაცია საფრანგეთშI, www.atmf.org

- SOLIDAR – არასამთავრობო ორგანიზაციების საერთაშორისო ალიანსი, ისტორიულად დაკავშირებული პროფკავშირულ მოძრაობასთან და თავისუფალი და დემოკრატიული მუშაობის მოძრაობასთან, www.solidar.org
- ევროსაბჭო ლტოლვილთა და იძულებით გადაადგილებულ პირთა საკითხების შესახებ, www.ecre.org/

რელიგია

- გაერთიანებული რელიგიური ინიციატივა, www.uri.org/index.htm
- ბაჰა'ი-ს რწმენა (საიტი Baha'i World), www.bahai,org/
- ისლამის შესახებ – ისლამ 21 პროექტის საიტი, მუსულმანური დიალოგის საერთაშორისო ფორუმი, www.islam21.net/
- ფორუმი ისლამოფობიისა და რასიზმის წინააღმდეგ (დიდი ბრიტანეთი), www.fairuk.org
- სიკჰიზმის შესახებ / სიკჰიზმის ვებგვერდი, www.sikhs.org
- ინდუიზმის შესახებ – ინდუისტური რესურსები ქსელში, www.hindu.org
- ქრისტიანობის შესახებ: ეკლესიათა მსოფლიო საბჭო, ეკლესიათა საეკლესიო თანამეგობრობა ყველა კონტინენტის 120-ზე მეტ ქვეყანაში, აერთიანებს პრაქტიკულად ყველა ქრისტიანულ კონფესიას, www.wcc-coe.org/
- კათოლიკური ეკლესია – ვატიკანის ვებსაიტი, www.vatican.va
- აღმოსავლეთის მართლმადიდებლური ეკლესიების, www.orthodoxinfo.com/
- რუსული მართმალდიდებლური ეკლესია, www.russian-orthodox-hurch.org.ru/
- იუდაიზმის შესახებ – შამაში: ებრაული ქსელური ინფორმაცია და სადისკუსიო კლუბი ინტერნეტში, http://shamash.org/about.shtml

ანტისემიტიზმი

- ანტისემიტიზმი და ქსენოფობია დღეს, რასიზმის, ქსენოფობიის და განსაკუთრებით ანტისემიტიზმის მდგომარეობის ქსელური გამოძიება ყველა ქვეყანაში, www.axt.org.uk
- ლიგა სიცრუის წინააღმდეგ, www.adl.org
- მსოფლიო ევროპის კონგრესი: www.wjc.org.il

ჰომოსექსუალიზმისა და ლესბოსელობის საკითხები

- ლესბოსელებისა და გეების საერთაშორისო ასოციაცია. www.ilga.org
- სტრატეგიული გამოძიებების ინსტიტუტი ჰომოსექსუალიზმისა და ლესბოსელობის სფეროში, www.iglss.org
- "ფაქტები სექსუალური ორიენტაციისა და სექსუალური პრეკონცეფციების შესახებ", http://psychology.ucdavis.edu/rainbow/index.html
- ლესბოსელებისა და გეების საერთაშორისო ახალგაზრდული ასოციაცია (IGLYO), www.iglyo.org

გამოყენებული მასალები

Alaux,J.P., Benot,Y., et Al., Egalite sans frontiere: les immigres ne sont pas une marchandise.Les notes de la Fondasion Copernic, Haut Conseil de la Cooperation International, Editions Syllepses, Paris, 2002

Brander, P., Cardenas, C., Gomes, R., Vicente abad, J, Taylor, M., Education pack "all different – all equal", Council of Europe European Youth Centre Strasburg, 1995

Crimes of Hate, Conspiracy of silence, Amnesty International. London 2001

Liegeois, J-P, Roma, Gypsies, travellers, Council of Europe Press, Strasburg, 1994

Ohana,Y., Participation and citizenship – Training for minoroty yioth projects in Europe, (ed), Council of Europe Publishing, 1998

Patrin Web Journal (www.geocites.com/Paris/5121/)

Symonides, J., Ed., "The sruggle against discrimination", A collection of international instruments adopted by the United nations System, Unesco, Paris, 1996.

Taguieff, P-A., La force du prejuge, Gallimard, Paris, 1987

"Xenophobia in a European context", Mind and human interactin, Vil.9, No1, University of Virginia, 2001



media

თავის ავტობიოგრაფიაში პრეზიდენტი მანდელა იხსენებს, როდესაც იგი შეჩერდა ჩრდილოეთ პოლარული წრის ერთ პატარა ქალაქში გუს ბეიში, სადაც ახალგაზრდა ინიუტების ჯგუფი მივიდა მასთან:

> "... როდესაც ამ ნიჭიერ ახალგაზრდებს ველაპარაკებოდი მე გავიგე რომ მათ ნანახი ჰქონდათ ჩემი სატელევიზიო გამოსვლა და იცნობდნენ სამხრეთ აფრიკაში განვითარებულ მოვლენებს. "VIV ჩ!" თქვა ერთ-ერთმა მათგანმა. ინუიტები არიან აბორიგენები, რომლებსაც ისტორიულად ცუდად ეპყრობოდნენ თეთრკანიანი მოსახლეობა. არსებობდა პარალელები სამხრეთ აფრიკის შავკანიანებსა და ინუიტების შორის. მაგრამ ჩემზე ყველაზე ძლიერი შთაბეჭდილება მოახდინა ფაქტმა, თუ როგორ დაპატარავდა მსოფლიო ჩემს მიერ ციხეში გატარებული ათწლეულების განმავლობაში. ჩემთვის გასაოცარი იყო, რომ „სამყაროს ჭერში" მცხოვრებ თინეიჯერ ინუიტებს შეეძლოთ ენახათ პოლიტპატიმრის განთავისუფლება აფრიკის სამხრეთ ნაწილში. ტელევიზიამ შეკუმშა მსოფლიო და ამ პროცესში ის გახდა უძლიერესი იარაღი უცოდინრობის აღმოფხვრისა და დემოკრატიის დამკვიდრებისათვის."35

პრეზიდენტ მანდელას მიერ აღწერილი ერთი კონკრეტული მაგალითი ნათლად გვიჩვენებს კავშირის სხვადასხვა სახეობების გავრცელების ექსპონენციალურ სისწრაფეს. საუკუნეზე ცოტა მეტი ხნის წინ 1895 წელს მარკონიმ გაგზავნა პირველი შეტყობინება არასაკაბელო კავშირის საშუალებით; 2 ათწლეულით ადრე ედისონმა გამოიგონა ფონოგრაფი. უახლეს ათწლეულებში აღინიშნა ტექნიკური პროგრესი, რომელიც განსაკუთრებით დაჩქარდა რადიოსა და ტელევიზიის გამოგონების და შესაბამისად მათი საშუალებით ტრანსლაციის შემდეგ. თანამდეროვე ტრანსლაციის პროგნოზირება ძნელი იყო 1957 წლის ოქტომბერში, როდესაც საბჭოთა მეცნიერებმა ორბიტაზე პირველი თანამგზავრი სპუტნიკი გაუშვეს, ნახევარმეტრიანი დიამეტრის მეტალის ბურთი, რომელიც შექმნილი იყო დედამიწის მაღალი ატმოსფერული შრეების სიმკვრივის შესასწავლად. ეს მოვლენა გადაიცემოდა რადიოთი და სატელიტი კი გარს უვლიდა დედამიწას მხოლოდ სამი თვის განმვლობაში. 12 წლის შემდეგ აშშ-ში ტელევიზია გადასცემს ჩვენი

შესატყვისი სავარჯიშოები

- *უფლებებისათვის მებრძოლები*
- *ინტერნეტის გავლენა*
- *თამაში „დახატე სიტყვა"*
- *დასურეთებული თამაშები*
- *როცა ხვალ დადგება*
- *პირველი გვერდი*

ღირშესანიშნავი თარიღები

21 ნოემბერი
ტელევიზიის საერთაშორისო დღე

17 მაისი
მსოფლიო ტელეკომუნიკაციების დღე

პლანეტის, როგორც ერთი მთლიანი სხეულის გამოსახულებას და პირველ ადამიანს, რომელმაც ფეხი დადგა მთვარეზე.

დღეს "ერთიანი სამყაროს" და სატელიტური კავშირის იდეამ გადამწყვეტი როლი მთავარი შეიძინა გლობალური და ადგილობრივი საკითხების გადაჭრაში. პირველი საერთაშორისო სატელიტური სისტემა, ინტელსატი 1965 წელს ამოქმედდა. მას შემდეგ ტელეკომუნიკაციის, საინფორმაციო ტექნოლოგიის, და ოპტიკური ელექტრონიკის თანამედროვე საშუალებები გაერთიანდა ტრადიციულად გაგებულ "მასმედიაში" რათა ხალხისთვის მიეცათ მრავალფეროვანის ინსტრუმენტების უპრეცედენტო სპექტრი – მარტივი მობილური ტელეფონიდან ინტრენეტამდე – მათი აღქმის გამდიდრებისათვის, აზრის გამოხატვისათვის, სხვებთან ინტერაქტიული ურთიერთობისათვის, ცვლილებების გაგებისა და მათზე რეაგირებისათვის.

მედიის სფეროში თვით ცვლილების აღქმის კონცეფცია რადიკალურ ტრანსფორმაციას განიცდის: რადიოს 38 წელი დასჭირდა 50 მილიონი რაოდენობით მომხმარებელზე გასავრცელებლად, 13 ტელევიზიას და 16 კომპიუტერს, ინტერნეტს კი მხოლოდ 4 წელი დასჭირდა.

ინფორმაციით გადატვირთული სამყაროს პრობლემები

იუნესკოს კულტურისა და განვითარების კომისია, რომელიც ხელს უწყობს თანამედროვე საკომუნიკაციო ტენდენციების და დასავლეთ კულტურის ცენტრალური როლის ანალიზს გლობალიზაციის პროცესში, აღნიშნავს, რომ ახალი ტექნოლოგიები აქამდე არარსებული მასშტაბის შესაძლებლობებს სთავაზობენ მედიას. ცენზურის ტრადიციული ფორმებით განხორციელება თანდათან რთული გახდა, მედიას შეუძლია გააძლიეროს გლობალური სოლიდარობის გრძნობა და მულტიმედიური ტექნოლოგიები ახალ შემოქმედებით და ინტელექტუალურ ამოცანებს გვთავაზობენ. ასლების გამრავლებისა და გავრცელების სისტემის სიმარტივემ ნებისმიერი მთავრობისათვის ბევრად უფრო რთული გახადა ხალხის მიერ მიღებული და გაგზავნილი ინფორმაციის კონტროლი, რომ აღარაფერი ვთქვათ ცენზურაზე. დღევანდელი მედია ხელს უწყობს საზოგადოებრივ-პოლიტიკურ მოძრაობებს და სამოქალაქო საზოგადოების შექმნას ინფორმირებულობის გაზრდის საშუალებით. ის ასევე აძლიერებს გლობალური სოლიდარობის გრძნობას, რომლის გარეშეც გლობალური ეთიკა ვერ დაიხვეწებოდა. "ადამიანური ტანჯვის მედია-იმიჯები უბიძგებს?? ადამიანებს გამოხატონ თავიანთი შეშფოთება და სოლიდარობა მათგან დაშორებულ ადგილებში მცხოვრები ხალხის მიმართ, წვლილი შეიტანონ მათთვის გასაჭირის შემსუბუქებაში და მთავრობისაგან მოითხოვონ განმარტება და ზომების შესაბამისი მიღება."

ხაზი უნდა გაესვას უარყოფით ასპექტებსაც. ამ მომენტისათვის 100-ზე მეტი ჟურნალისტი არის ციხეში 20-ზე მეტ ქვეყანაში (შესაძლოა ეს რიცხობრივი მონაცემი შემცირებულიც კია) მათი გარანტირებული სიტყვის თვაისუფლების უფლების გამოყენებისათვის, რომ აღარაფერი ვთქვათ მათზე ვინც სიცოცხლე შესწირა საკუთარ პროფესიას.

საშუალებების ხელმისაწვდომობა არის კიდევ ერთი პრობლემა, რომელიც აღნიშვნის ღირსია. როგორ შეიძლება კომუნიკაციურმა რევოლუციამ მიაღწიოს მილიარდობით ადამიანს განვითარებადი ქვეყნების ასობით ათას დასახლებაში ელექტროენერგიის გარეშე? ისინი კვლავ რჩებიან უარქონოებად საინფორმაციო რევოლუციაში. ისინი კი ვისაც ხელი მიუწვდებათ ძირითადად უმცირესობას წარმოადგენენ – განვითარებული ქვეყნების მოქალაქეები და სხვა ქვეყნების დიდ

"ყველას აქვს თავისუფლად აზრის გამოთქმის უფლება; ეს უფლება მოიცავს აზროვნების თავისუფლებას ჩარევის გარეშე და ნებისმიერი მედიის საშუალებით ინფორმაციის და იდეების მოძიებას, მიღებას და გავრცელებას სახელმწიფოებრივი საზღვრების მიუხედავად."

მუხლი 19, ადამიანის უფლებათა საყოველთაო დეკლარაცია

ქალაქებში მცხოვრებლები, რომლებსაც აქვთ საშუალება ჩაერთონ სატელიტური ტელევიზიის მაუწყებლობაში და საერთაშორისო კომპიუტერულ ქსელში.

icodiT rom...

განვითარებადი ქვეყნებისათვის ინფრასტრუქტურის ჯაჭვის ყველაზე სუსტი რგოლი ხშირად არის "უკანასკნელი მილი" ვალუტის გადამცვლელი პუნქტიდან სახლამდე. კომუნიკაციების თვალსაზრისით ზოგიერთი აფრიკული ქვეყანა ნამდვილად ისეთი ღარიბია, რომ ყოველ 1000 კაცზე ერთზე ნაკლები სატელეფონო ხაზია. ან უფრო მკაფიო შედარება რომ მოვიყვანოთ ტოკიოში ან მანჰეტენში უფრო მეტი ტელეფონია ვიდრე მთელ აფრიკაში. 1999 წლის მოხსენება ადამიანის განვითარების საკითხების შესახებ გვთავაზობს სატელეფონო ხაზების, ტელევიზორების, ფაქსების, პერსონალური კომპიუტერების და ინტერნეტ მიმწოდებლების ხელმისაწვდომობის დეტალურ შედარებით ინფორმაციას მთელი მსოფლიოს მასშტაბით. განვითარებულ ქვეყნებში ყოველ 1000 კაცზე საშუალოდ 502 სატელეფონო ხაზი, 595 ტლევიზორი, 45 ფაქსი, 204 კომპიუტერი და 35 ინტერნეტ მიმწოდებელი მოდის, მაშინ როდესაც განვითარებად ქვეყნებში ყოველ 1000 კაცზე საშუალოდ 4 სატელეფონო ხაზი, 36 ტელევიზორი, 0.2 ფაქსი და ხოლო კომიუტერის ან ინტერნეტ მიმწოდებლის რიცხვი თითქმის ნულს უდრის. ამჟამად რადიო ერთადერთ საშუალებად რჩება, რომელიც საკმარისად გავრცელებულია მთელ მსოფლიოში და ასევე პასუხობს ზეპირი მეტყველების კულტურის მოთხოვნებს.

რა გავლენა აქვს ამ სწრაფ ცვლილებებს მსოფლიო მოვლენების ჩვენეულ აღქმაზე?

მედიის ცვალებად ბუნებაში შეიძლება გამოიყოს 3 მნიშვნელოვანი განზომილება: 36

1. ტელეკომუნიკაციების და მედია ტექნოლოგიების სწრაფმა განვითარებამ შეცვალა მედიის ბუნება. როგორც დროის ასევე სივრცის თვალსაზრისით ისინი ხდებიან მიმდინარე მოვლენების განუყოფელი ნაწილი. პირდაპირი ეთერი დამოუკიდებელ მოვლენად იქცა. ამის მაგალითია აშშ-ს ჯარების გადასხმა სომალში და ჰაიტში და მოსკოვის თეთრ სახლსა და ოსტანკინოს სატელევიზიო სადგურზე თავდასხმები.
2. არადემოკრატიულ ქვეყნებში და არაკონსოლიდირებული დემოკრატიის პირობებში პოლიტიკოსებს ძლიერი და გადამწყვეტი გავლენა აქვთ მედიაზე. დემოკრატიულ საზოგადოებებში პოლიტიკოსები ცდილობენ გავლენა მოახდინო მედიაზე, რამდენადაც ეს შესაძლებელია რეკლამირების ღ –ს საშუალებით. მეორეს მხრივ მედიას თავად შეუძლია გადამწყვეტი გავლენის მოხდენა პოლიტიკოსების ქცევასა და გადაწყვეტილებებზე.
3. კომერციალიზაცია თრგუნავს პროგრამების მრავალფეროვნებას, ისევე როგორც უმცირესობების, ალტერნატიული კულტურების და სუბკულტურების საკითხებთან დაკავშირებულ პროგრამებს. უფრო მაღალი მაყურებელთა რეიტინგის ძიება აისახება ახალი ამბების და მიმდინარე მოვლენების გადმოცემაში. საინფორმაციო საშუალებებით ახალი ამბების წარმოდგენა, დოკუმენტური მასალების შერჩევა გამოირჩევა ზედმეტი ბანალურობით, სენსაციურობით და სკანდალურობით. შესაბამისად სერიოზული სიახლეები ნაკლებ ადგილს იკავებს მედიაში. ნაკლები სურვილი არსებობს დაიფაროს საზოგადოებრივი მაუწყებლობების ხარჯები, რომლებიც ამჟამად იძულებული არიან გადავიდნენ კომერციულ საწყისებზე. ამ პროცესში ყველაზე მეტს საზოგადოება კარგავს – ის კარგავს საინფორმაციო წყაროს.

ალტერნატივის საჭიროება

განსაკუთრებით მღელვარების და აგრესიული კონფლიქტების დროს, როგორიცაა მაგ. ბალკანეთის რეგიონში მიმდინარე მოვლენები "ახალმა არხებმა ინფორმაციის თავისუფალი მიწოდებისათვის თავის წვლილი უნდა შეიტანონ პლურალიზმის, ეკონომიკურ და სოციალურ განვითარებაში, დემოკრატიაში და მშვიდობაში... ტრეინინგ პროგრამებმა ჟურნალისტური ეთიკის შესახებ უნდა ასწავლოს ჟურნალისტებს პრეკონცეფციებისა და დისკრიმინაციის მძაფრი აღქმა."

ერთ-ერთმა წამყვანმა ინტრენეტ პორტალმა, რომელიც ავრცელებს ინფორმაციას ადამიანი უფლებების შესახებ One World (www.oneworld.net) შემდეგნაირად შეაჯამა მედიაში არსებული დემოკრატიის ამჟამინდელი 4 პრობლემა:

1. სიტყვის თავისუფლება. როგორც წესი მედიის დემოკრატიულობის შესახებ ბევრი დისკუსია აქცენტს აკეთებს აზრის გამოთქმის თავისუფლებაზე. განსაკუთრებით ცივი ომის წლებში დასავლეთის ქვეყნები საკუთარი მიზნებისათვის ეფექტურად იყენებდნენ საბჭოთა ბლოკში არსებულ სახელმწიფო ცენზურას, რის ანტიპოდადაც ასახელებდნენ თითქოსდა მათთან არსებულ სიტყვის აბსოლუტურ თავისუფლებას. თუმცა ბევრ შემთხვევებში სიტყვის თავისუფლება ჯერ კიდევ არ არის ბოლომდე რეალიზებული მთელ მსოფლიოში. კონკრეტულად ამ თემაზე ყურადღების კონცენტრაციამ დაჩრდილა უამრავი ქვეყნის საინფორმაციო საშუალებებში არსებული დემოკრატიის პრობლემები.

regionaluri enebis an enobrivi umciresobebis (1992) evropis qartiis 11 muxli sainformacio saSualebebis Sesaxeb

მხარეები იღებენ ვალდებულებას, რომ რეგიონალურ ან უმცირესობათა ენებზე მოლაპარაკე მომხმარებლისათვის იმ ტერიტორიებზე, სადაც ამ ენებზე ლაპარაკობენ თითოული ენის სიტუაციიდან გამომდინარე სახელმწიფო ორგანოების კომპეტენციის ფარგლებში, რომლებიც პირდაპირ ან არაპირდაპირ ასრულებენ გარკვეულ როლს ამ სფეროში და აქვთ ძალაუბელება, პატივს სცემენ დამოუკიდებლობის პრინციპს და მედიის ავტონომიურობას;

a. იმ ხარისხით, რა ხარისხითაც რადიო და ტელევიზია ასრულებენ სახელმწიფოებრივი სამსახურის როლს

i) უზრუნველყონ უკიდურეს შემთხვევაში ერთი რადიოსადგურის და ერთი სატელევიზიო არხის ჩამოყალიბება, რომელთა მაუწყებლობაც იქნება რეგიონალურ ან უმცირესობათა ენებზე; ან

ii) ხელი შეუწყონ ან/და მხარი დაუჭირონ უკიდურეს შემთხვევაში ერთი რადიოსადგურის და ერთი სატელევიზიო არხის ჩამოყალიბებას, რომელთა მაუწყებლობაც იქნება რეგიონალურ ან უმცირესობათა ენებზე; ან

iii) მიიღონ შესაბამისი ზომები, რათა ტელერადიომაუწყებლობმა გაითვალისწონონ თავიანთ უწყებაში რეგიონალურ ან უმცირესობათა ენებზე პროგრამების არსებობა.

2. გაიგონებენ თქვენ ხმას? მედიაში დემოკრატია ბევრად მეტს ნიშნავს ვიდრე უბრალოდ "იმის თქმა რაც მოგესურვება". მედიის დემოკრატიულობა ნიშნავს საშუალებას გამოთქვა საკუთარი აზრი ისე, რომ სხებმა გაიგონონ–. მაშინ როდესაც ტექნოლოგიებმა როგორც არასდროს ისე გაადვილა თქვენი საკუთარი ჟურნალის გამოცემა (ან თქვენი საკუთარი ვიდეო ახალი ამბების ჩაწერა) კიდევ უფრო რთული გახდა ამ მასალის თუნდაც ყველაზე მცირე აუდიტორიისთვის მიწოდება. მაშინაც კი თუ თქვენ იპოვით დისტრიბუტორს, რომელიც მას გაავრცელებს ჯერ კიდევ არსებულ მცირერიცხოვან დამოუკიდებელ ორგანიზაციებში, რომლების დათანხმდებიან მის რეალიზაციას, ის ფაქტი რომ თქვენ არ შეგიძლიათ მილიონების დახარჯვა რეკლმაზე

აზრის გამოთქმის თავისუფლება – კიდევ ბევრი რამ არის გასაკეთებელი

"ბევრი ჟურნალისტი მთელ მსოფლიოში ევროპის ჩათვლით კვლავ არიან შეურაცყოფილი, იდევნებიან, და კლავენ საზოგადოებისათვის აქტუალური საკითხების გაშუქების გამო, თქვა ევროსაბჭოს გენერალურმა მდივანმა ვალტერ შვიმერმა პრესის თავისუფლების საერთაშორისო დღის აღსანიშნავად გაკეთებულ მოხსენებაში. (3 მაისი, 2001). 39"

ყოველწლიურად ნიშნავს, რომ მხოლოდ რამოდენიმე ადამიანი თუ გაეცნობა თქვენს გამოცემას.

3. საკუთრების კონცენტრაცია. თავის უფრო დახვეწილ ფორმაში ცენზურა მიიღწევა არა სამართლებრივი რეპრესიის გზით, არამედ მათი შეხედულებების ჰეგემონიის შენარჩუნების იზნით გართიანებული კაპიტალისტური ორგანიზაციების საშულებით. ყველაზე გავლენიანი ახალი მედია ბერკეტები (ეროვნული თუ საერთაშორისო) კვლავ კონცენტრირებულია უმცირესობის ხელში, კერძო მფლობელობაში ან სამთავრობო მონოპოლიაში. ეს ნიშნავს, რომ მედია ბიზნესის უდიდეს ნაწილს ფლობს ინდუსტრიული გიგანტების მცირე რიცხვი. იქნება ეს ინდივიდუალური ქვეყანის თუ თანდათან მზარდი საერთაშორისო მასშტაბით, ეს კარტელები ეფექტურად აკონტროლებენ გამოსახულებებს და ამბებს, რომლის საშუალებითაც ჩვენ აღვიქვამთ სამყაროს. ჭეშმარიტი დემოკრატიული მრავალფეროვნების ნაცვლად ჩვენ გვთავაზობენ ერთიდაიგივე პროდუქციის არასრულ ვერსიას (შეფუთვის მცირე ვარიაციებით).
4. უსაფრთხოება. მრავალფეროვნების ნაკლებობა სერიოზულ შედეგებს იწვევს, რადგანაც თანდათან რთულდება ალტერნატივების შეტანა მედიის ორთოდოქსალურ ნაკადში. რამდენად გაშუქდა ჩრდილოეთ ამერიკის და დასავლეთ ევროპის ასობით ათასი კამპანიის წევრის გამოსვლა მათი ქვეყნების ერაყზე თავდასხმის წინააღმდეგ სპასეთის ყურეში? მედიის შეზღუდული დემოკრატიულობას მივყავართ შეზღუდულ პოლიტიკურ დემოკრატიულობამდე, რადგანაც ალტერნატიული იდეები შეგნებულად არის ჩამოშორებული ხალხის ყურადღებას (განსაკუთრებით თუ მათ შეუძლიათ რეკლამის მომცემთა ინტერესები შელახვა).

sakuTrebis koncentracia

"2 ბირთვული იარაღის მწარმოებელი ქარხანა ფლობს აშშ-ს 2 სატელევიზიო ქსელს – General Electric ფლობს NBC და Westinghouse CBC. კიდევ ერთ ქსელს ფლობს ანიმაციური ფილმების კომპანია – Disney ფლობს ABC", შეშფოთებული აცხადებდა აშშ-ს პრეზიდენტობის კანდიდატი რალფ ნაიდერი. ერთ სარეკლამო ჯგუფს შეუძლია დღეს აითვისოს ბაზრის 40%. საკუთრების კონცენტრაცია იწვევს კულტურული ჰეგემონიის საშიშროებას, რასაც როგორც ამას American On Line (AOL), Time Warner და Turner group კომპანიების შერწყმაც ადასტურებს.

? ფიქრობთ, რომ ხანგრძლივი კომერციული პროპაგანდა მედიის საშუალებით გვართმევს თავისუფალი არჩევანის გაკეთების შესაძლებლობას?

? ფიქრობთ, რომ ახალგაზრდების მიერ ტელევიზიით არასათანადო მასალის ყურება, რომელიც მაგალითად შეიცავს რასისტულ ან ძალადობის სცენებს გავლენას ახდენს მათ აზროვნებასა და დამოკიდებულებაზე?

arasamTavrobo organizaciebi da media

1. Baltic Media Centre (საიფორმაციო საშუალებების ბალტიის ცენტრი) – დამოუკიდებელი არაკომერციული ორგანიზაცია, რომელიც ხელს უწყობს დემოკრატიას, სოციალური განვითარებას და საერთაშორისო თანამშრომლობას მშვიდობის სახელით საკუთარ მუშაობაში საინფორმაციო საშუალებებისთვის აქტიური მონაწილეობისაკენ მოწოდების გზით, www.bmc.dk
2. AIM – Alternativa Informativa Mrea (ალტერნატიული საინფორმაციო ქსელი) – ყოფილი იუგოსლავიის და ბალკანეთის სამხრეთის დამოუკიდებლ ჟურნალისტთა ორგანიზაცია, რომელიც ფასიანი მომსახურეობის სახით ავრცელებს დაწვრილებით ინფორმაციას ადგილობრივ და ინგლისურ ენებზე, www.aimpress.org
3. Reporteures sans Frontiere (ჟურნალისტები საზღვრებს გარეშე) – ორგანიზაცია, რომელიც ავრცელებს ინფორმაციას ჟურნალისტების შესახებ, რომლების აშკარად გამოხატავდნენ საკუთარ მოსაზრებებს და ამის გამო ამჟამად საფრთხეში იმყოფებიან. ის ორგანიზებას უკეთებს პეტიციების შეგროვებას და საფრთხეში მყოფი ჟურნალისტებისათვის შუამდგომლობის დაწერას. დამატებითი ინფორმაცია იხილეთ: www.rsf.fr

გამოყენებული ლიტერატურა

1. მოხსენება ადამიანის განვითარების შესახებ 1999წ-ს, გაეროს განვითარების პროგრამა, www.undp.org
2. მოხსენება ადამიანის განვითარების შესახებ 2001წ-ს, გაეროს განვითარების პროგრამა, www.undp.org www.humanrights.coe.int/media/
3. „ჩვენი შემოქმედი მრავალფეროვნება“, საერთაშორისო კომისიის მოხსენება კულტურისა და განვითარების შესახებ, UNESCO, 1995
4. საერთაშორისო მოხსენება კომუნიკაციისა და ინფორმაციის შესახებ, UNESCO-ს გამოცემა, 1999

moqalaqeoba

მარტივი ხედვა...

მსოფლიოში ადამიანების უმრავლესობა არის ამა თუ იმ სახელმწიფოს მოქალაქე და ეს ანიჭებს მათ გარკვეულ პრივილეგიებს ან უფლებებს. მოქალაქეობა პიროვნებებს ასევე აკისრებს გარკვეულ ვალდებულებებს სახელმწიფოს მიმართ მისი იურისდიქციის ფარგლებში. ამდენად, მოქალაქეები ასრულებენ გარკვეულ ვალდებულებებს სახელმწიფოს წინაშე და სანაცვლოდ მოელიან მათი სასიცოცხლო ინტერესების დაცვას. ყოველ შემთხვევაში, თეორიულად ეს ასე უნდა იყოს.

სირთულეები...

არსებობს 2 ძირითადი საკითხი, რომელიც ართულებს ამ მარტივ განტოლებას:

1. რომელი უფლებების გარანტირება არის სახელმწიფოს ვალდებულება და რა პირობით?
2. რა ემართებათ მოქალაქეებს, რომლებიც ამა თუ იმ მიზეზით არ არიან დაცულები იმ ქვეყნის მიერ რომლის მოქალაქეებიც ისინი არიან?

პირველ შეკითხვაზე პასუხის გასაცემად საჭიროა უფრო მკაფიო წარმოდგენა გვქონდეს რას ნიშნავს იყო მოქალაქე ან მოქალაქეობა. ამას ჩვენ ქვემოთ განვიხილავთ. მეორე შეკითხვაზე პასუხის გასაცემად უნდა განვიხილოთ რატომ არ აქვს ზოგიერთ ადამიანს იმ ქვეყნის მოქალაქეობა სადაც ის ცხოვრობს და რა უნდა გაკეთდეს ამ მიმართულებით. ეს დებატები უბრალოდ დასაწყისია და ამ ნაწილში ჩვენ მხოლოდ გარკვეულ შეკითხვებს დავსვამთ.

რა არის მოქალაქეობა?

ხალხი მსჯელობს მოქალაქეობაზე უკვე ათასობით წელია და დღესაც კი არ არსებობს რაიმე აბსოლუტური შეთანხმება იმაზე თუ რას ნიშნავს ის ზუსტად. კანონიერი მოქალაქეობის კონცეფცია შედარებით მარტივი ჩანს: ის ჩვეულებრივ დაკავშირებულია ნაციონალურ სახელმწიფოსთან და განისაზღვრება ამ

შესატყვისი სავარჯიშოები

- სიმართლისათვის მებრძოლები
- ფრთხილად, ჩვენ ვხედავთ
- ამოირჩიე
- სად დგახართ?
- გმირები
- მივიღოთ თუ არა მონაწილობა არჩევნებში?
- თამაში „დახატე სიტყვას“
- ინსცენირება
- ვინ ვართ ჩვენ?
- განათლება ყველასათვის
- მოლაპარაკებები პროფკავშირებთან
- ორი ქალაქის ამბავი
- დაე ყველა ხმა იყოს მოსმენილი
- ბაღი ერთ ღამეში
- თანამშრომლობის კვანძები
- ელექტროსადგური

სახელმწიფოს კანონის მიხედვით. ალბათ ამიტომაც არის რომ ბევრისთვის მოქალაქეობის იდეა პირდაპირ არის დაკავშირებული პატრიოტიზმთან: "კარგი მოქალაქე" ხშირად განიხილება როგორც "კარგი პატრიოტი".

მაგრამ მოქალაქობის კონცეფცია ბევრად უფრო რთულია ვიდრე უბრალოდ პატრიოტიზმი. როგორც ეს ჩანს ამ იდეის ისტორიული წარმომავლობიდან, რომელიც ჩამოყალიბებულია შემდეგ ნაწილში. კარგი იქნებოდა გვახსოვდეს განსხვავება ერთის მხრივ მოქალაქესა და მეორეს მხრივ სუბიექტს შორის.

? მოქალაქეები ყოველთვის უნდა დაემორჩილონ კანონს?

მოქალაქეობის ისტორიული გააზრება

კარგი იქნება გადავხედოთ მოქალაქეობის იდეის განვითარების მნიშვნელოვან ასპექტებს, რადგანაც ეს დაგვეხმარება გავიაზროთ მისი მნიშვნელობის სხვადასხვა ასპექტები, რომლებიც დღეს ფართოდ განიხილება.

- მოქალაქეობის წარმოშობის კვალს მივყავართ ანტიკურ საბერძნებთამდე, სადაც "მოქალაქეები" იყვნენ ისინი, ვისაც უფლება ჰქონდა მონაწილეობა მიეღოთ სახელმწიფოს საქმეებში. მაგრამ ყველა არ იყო მოქალაქე: ქალები და მონები უბრალო სუბიექტები იყვნენ. მათ ვისაც ჰქონდათ მოქალაქის პრივილეგირებული სტატუსი, მათთვის "სამოქალაქო კეთილისმყოფელი" ან „კეთილსინდისიერი მოქალაქე" ამ კონცეფციის მნიშვნელოვანი ნაწილი იყო. ამ ტრადიციამ მიგვიყვანა იმ მოვალეობების ხაზგასმამდე, რომლებიც მოქალაქეებს უნდა შეესრულებინათ.
- მოქალაქეობის გაიგივება ეროვნულ თვითმყოფადობასთან ბუნებრივად აღმოცენდა იმ ფაქტიდან, რომ მოქალაქის სამართლებრივი სტატუსი ყოველთვის დაკავშირებული იყო ნაციონალურ სახელმწიფოსთან, სწორედ აქედან გამომდინარეობს კავშირი მოქალაქეობასა და პატრიოტიზმს შორის.
- მოქალაქეობის ლიბერალური გააზრება, რომელიც ჩამოყალიბდა XIX საუკუნეში ხაზს უსვამდა უფლებების მნიშვნელობას ყველა მოქალაქისათვის. ამ პრივილეგიის თანდათანობით განვრცობასთან ერთად პოლიტიკური უფლებები და სამართლიანობა მოსახლეობის მზარდი ნაწილისათვის რეალობა გახდა.
- მე-20 საუკუნეში "სოციალური მოქალაქეობის" მხარდამჭერები უფრო შორს წავიდნენ და აღიარეს, რომ სამოქალაქო და პოლიტიკური უფლებები მხოლოდ ნაწილია იმისა, რასაც მოქალაქეები უნდა მოელოდნენ სახელმწიფოსაგან. სოციალურად უზრუნველყოფილი სახელმწიფოს ფორმირება გასულ საუკუნეში დიდად უმადლოდა მოაზროვნეებს, რომლებიც ამტკიცებდნენ, რომ მოქალაქეების უფლებები უნდა გავრცელებულიყო ცხოვრების და მუშაობის პირობებზე და არ უნდა შემოფარგლულიყო მხოლოდ „დიდ პოლიტიკაში" მონაწილეობით.
- "მრავალ მოქალაქეობის" კონცეფცია უკვე საკმაოდ დიდი ხანია არსებობს და საშუალებას იძლევა, რომ ადამიანები ერთდროულად იყვნენ ერთზე მეტი სახელმწიფოს ან სახელმწიფოებრივი წარმონაქმნის მოქალაქეები. მაგ. ევროკავშირის განვითარებასთან ერთად წევრი სახელმწიფოების მოქალაქეები თანდათან უფრო მეტ უფლებებს და მოვალეობებს იღებენ მთლიანად კავშირის მიმართ, ვიდრე ჰქონდათ მხოლოდ მათ სახელმწიფოსთან მიმართებაში.
- მოქალაქეობის კონცეფციის საბოლოო სტანდარტი, რომლის მნიშვნელობაც თანდათანობით იზრდება, მოიცავს განათლების იდეასაც. თუ მოქალაქეობა

"მოქალაქეობა არის რთული და მრავალგანზომილებიანი რეალობა რომელიც უნდა განიხილებოდეს ისტორიულ და პოლიტიკურ კონტექსტში. არ შეიძლება მოქალაქეობაზე საუბარი იზოლირებულად, რადგანაც ამ იდეას მხოლოდ მაშინ აქვს აზრი როდესაც ის კავშირშია საზოგადოების ან პოლიტიკური სისტემის რეალურ მოთხოვნებთან. დემოკრატიული მოქალაქეობა კონკრეტულად ნიშნავს ინდივიდების აქტიურ მონაწილეობას უფლებების და ვალდებულებების სისტემაში, ანუ დემოკრატიულ საზოგადოებაში ბევრი მოქალაქეა."

ტრადიციული გაგებით მოიცავს უფლებებით სარგებლობას და ასევე მოვალეობების შესრულებას, მაშინ შეიძლება განვაცხადოთ, რომ მოქალაქეებად არ იბადებიან, მოქალაქეებად ყალიბდებიან. მაგალითად, ერთგულება და პასუხისმგებლობა არის თვისებები, რომლებიც უნდა ისწავლებოდეს და ყალიბდებოდეს. მაშასადამე, თუ ეს თვისებები ფუნდამენტურია მოქალაქედ ყოფნისათის ამ სიტყვის სრული მნიშვნელობით მაშინ "ნამდვილი" მოქალაქე უნდა აღიზარდოს ამ სიტყვის ფართო მნიშვნელობით.

დღეს უმრავლესობის მიერ მოქალაქეობის გააზრება მოიცავს ზემოთ ჩამოთვლილი 6-ვე კონცეფციის ელემენტებს თუმცა სხვადასხვა პროპორციით. ზოგიერთი ხაზს უსვამს "მოვალეობების" ელემენტს, ზოგი უფრო მეტ მნიშვნელობას ანიჭებს "უფლებებს", "პატრიოტიზმს" ან თვისებებს, რომლებიც უნდა გააჩნდეს "ნამდვილ" მოქალაქეს.

კავშირი ადამიანის უფლებებთან

"ყველა არის ის, რაც ღმერთმა შექმნა და ხშირად ბევრად იმაზე უარესიც"

მიგელ დე სერვანტესი

ჩვენ ვხედავთ, რომ უფლებებიც და მოვალეობებიც მოქალაქეობის იდეის მნიშვნელოვანი ნაწილია მისი არსებობის დასაწყისიდანვე: მოქალაქეებს უნდა გააჩნდეთ გარკვეული ფუნდამენტური უფლებები, და მათ ასევე მოთხოვებათ შეასრულონ გარკვეული მოვალეობები. ადამიანებს ზუსტად ეს "მოვალეობები" ან პასუხისმგებლობები აქვთ მხედველობაში როდესაც ლაპარაკობენ როგორი უნდა იყოს მოქალაქე და როგორ უნდა მოიქცეს ის.

თუმცა თუ ასეთი გაგება მეტისმეტად მკაცრი მოგვეჩვენება ან მეტისმეტად შეზღუდავს ყოველი კონკრეტული მოქალაქის თავისუფლებას და ღირსებას, მაშინ მნიშვნელოვანია გავიხსენოთ, რომ ეს შეზღუდვა არის ადამიანის უფლებათა თეორიის პირდაპირი შედეგი. ისეთი საზოგადოების შექმნა, რომელიც პატივს სცემს ყოველი მოქალაქის ადამიანურ ღირსებას არის მხოლოდ სურვილი, რომელიც გარკვეულ პასუხისმგებლობას გვაკისრებს ყველა ჩვენგანს როგორც მოქალაქეებს.

არსებობს 2 უშუალო კავშირი სამოქალაქო პასუხისმგებლობასა და ადამიანის უფლებათა თეორიას შორის.

1. ფაქტი, რომ ყოველ ინდივიდს გააჩნია ადამიანის ძირითადი უფლებები არავის აძლევს უფლებას მოიქცეს ისე, როგორც მას სურს. მათ აქვთ უფლება მოიქცნენ როგორც სურთ, ვიდრე არ შეეხებიან სხვა ინდივიდების უფლებებს. ამდენად, კარგი მოქალაქის შესახებ ზუსტად შეგვიძლია ვთქვათ, რომ ის მოითხოვს მოქალაქეებისაგან პატივი სცენ სხვების უფლებებს.
2. მეორე მჭიდრო კავშირი ადამიანის უფლებებთან ვლინდება თუ როგორ არის დაკავშირებული მოქალაქეობის კონცეფცია საზოგადოების წევრობასთან. მაგალითად, ჩვენ არ ვსაუბრობთ დაუსახლებელი კუნძულების მოქალაქეებზე, რადგანაც მოქალაქე ბევრად მეტია ვიდრე უბრალოდ რომელიმე ქვეყნის ან რეგიონის მაცხოვრებელი. მოქალაქე ძირითადად არის საზოგადოების წევრი, რომელიც ცხოვრობს ამ რეგიონში; ამდენად, თუ ჩვენ გვაინტერესებს საზოგადოების შექმნა, რომელიც პატივს სცემს ადამიანის უფლებებს, ეს აწესებს კიდევ ერთ დამატებით შეზღუდვას ამ საზოგადოებაში მცხოვრები ინდივიდების ქცევაზე.

"მარტივად რომ ვთქვათ, სუბიექტი ემორჩილება კანონებს, ხოლო მოქალაქე კი ღებულობს მონაწილეობას მათ შექმნასა და შეცვლაში".

ბ. კრიკი

ამდენად, კიდევ ერთი რაც შეგვიძლია ვთქვათ კარგი მოქალაქეობის შესახებ იქნება ის, რომ მოქალაქეობა მოითხოვს ქცევას, რომელიც საზოგადოებას მიიყვანს ადამიანის უფლებების უფრო მეტ პატივისცემამდე.

? რა უნდა გააკეთოს მოქალაქემ როდესაც საზოგადოება ვერ ახერხებს დაიცვას საზოგადოების გარკვეული ნაწილის უფლებები?

მოქალაქეობის პრობლემა

დღეისათვის დებატების უმრავლესობა, რომელიც ეხება მოქალაქეობას აქცენტირებულია მოქალაქეების მონაწილეობის გაზრდის პრობლემაზე და მათ ჩართვაზე დემოკრატიული საზოგადოების პროცესებში. თანდათან უფრო მეტად ხდება გაცნობიერება, რომ მოქალაქეების მიერ პერიოდულად ხმის მიცემა არასაკმარისია იმ პირების პასუხისმგებლობის საკითხის დასაყენებლად, რომლებიც არჩევნებს შორის არსებულ პერიოდში ახორციელებენ მმართველობას, ეს ასევე არასაკმარისია უბრალო მოქალაქეების მიერ საკუთარი უფლებების გასააზრებლად. უფრო მეტიც ხმის მიცემის მოდელებიც კი თავისთავად მიუთითებს პოლიტიკური აპათიის დონეზე მოსახლეობაში, რაც სერიოზულად აზიანებს დემოკრატიის ეფექტურ ფუნქციონირებას. სწორედ ამ პრობლემებით შეშფოთებამ გამოიწვია ევროპის საბჭოს პროგრამის „დემოკრატიული მოქალაქეობის განვითარების“ ჩამოყალიბება.

? არჩევნებში ხმის მიცემის გარდა, მონაწილეობის რა ფორმა არის დაშვებული ჩვეულებრივი მოქალაქეებისთვის?

საკითხების შემდეგი კომპლექტი, რომელსაც დღემდე ნაკლები ყურადღება ექცეოდა მაგრამ რომლის მნიშვნელობაც იზრდება, შეეხება იმ ინდივიდების საკითხებს, რომლებიც ამა თუ იმ მიზეზებით არ იყენებენ მოქალაქეობის ყველა პრივილეგიებს. ამგვარი ვითარების ერთ-ერთი ასპექტი არის ხანგრძლივი დისკრიმინაციის შედეგი საზოგადოების შიგნით: უმცირესობათა ჯგუფებს ხშირად შეიძლება ჰქონდეთ იმ ქვეყნის ფორმალური მოქალაქეობა, რომელშიც ცხოვრობენ, მაგრამ შეიძლება არ ჰქონდეთ საშულება სრულად ჩაერთონ ამ საზოგადოების ცხოვრებაში.

ამ პრობლემის მეორე ასპექტი არის მზარდი გლობალიზაციის შედეგი მუშაობის და მიგრაციის ახალი მოდელების ჩართვით, რასაც მივყავართ იქამდე, რომ ადამიანების დიდი რაოდენობა მთელ მსოფლიოში ცხოვრობს საზღვარგარეთ მაგრამ არა აქვთ საშუალება განაცხადი შეიტანონ ფორმალური მოქალაქეობის მიღებაზე. ასეთი ხალხი შეიძლება იყოს იმიგრანტი მუშახელი, ლტოლვილები, დროებითი მაცხოვრებელები ან ისინი, ვისაც გადაწყვეტილი აქვს მუდმივად დასახლება სხვა ქვეყანაში.

? რა უნდა იყოს მოქალაქეობის მიღების კრიტერიუმები მზარდ მრავალკულტურულ სამყაროში? უნდა იყოს იმიგრანტი მუშახელი უფლებამოსილი ისარგებლოს მოქალაქეობის გარკვეული პრივილეგიებით, რომ აღარაფერი ვთქვათ ფორმალურ მოქალაქეობაზე?

განათლება დემოკრატიული მოქალაქეობისთვის: ევროპის საბჭო და ახალგაზრდები

“ჩემზე დიდი შთაბეჭდილება მოახდინა აქ მყოფი ადამიანის უფლებების ახალგაზრდა აქტივისტების მრავალრიცხოვნებამ. მათი ცოდნა და გამოცდილება მარწმუნებს, რომ ჩვენ უნდა გავაგრძელოთ ადამიანის უფლებების სფეროში განათლების პროგრამა სკოლებში და შევქმნათ უფრო მეტი სკოლისგარეშე სავარჯიშოები მოქალაქეობის სწავლებისათვის”

ქ-ნი მარინა კოვინინა, ადამიანის უფლებების ახალგაზრდული განათლების ფორუმის მონაწილე, 2000

ევროპის საბჭოს მსგავსი დასახელების პროგრამა შეეცადა შეექმნა საფუძველი ევროპაში დემოკრატიული მოქალაქეობის განათლების განსამტკიცებლად. ევროპის საბჭო მოუწოდებს წევრ ქვეყნებს ჩართონ ეს პროგრამა თავიანთ საგანმანათლებლო, აღმზრდელობით, კულტურულ და ახალგაზრდულ პროგრამებში და თავად ევროპის საბჭო აქტიურად მუშაობს ახალი სტრატეგიების და მიდგომების განსაზღვრისა და გავრცელებისთვის.

დემოკრატიული მოქალაქეობის განათლების პროგრამის და დეკლარაციის პროექტში (1999 წ. აპრილი) განსაზღვრულია შემდეგი ძირითადი მახასიათებლები.

განათლება დემოკრატიული განვითარების მიზნით:

- წარმოადგენს უწყვეტი სწავლების ინტერაქტიულ პროცესს, რომელიც იქმნება სხვადასხვა კონტექსტებში.
- ამზადებს ქალებს და მამაკაცებს საზოგადოებრივ ცხოვრებაში აქტიური როლის შესრულებისა და პასუხისმგებლობისათვის მათი და მათი საზოგადოების მომავლის ფორმირებაში.
- მიზნად ისახავს ადამიანის უფლებების კულტურის დამკვიდრებას, რომელიც უზრუნველყოფს ამ უფლებების სრულ პატივისცემას და მათგან გამომდინარე პასუხისმგებლობების გააზრებას.
- ამზადებს ხალხს მრავალკულტურულ საზოგადოებაში ცხოვრებისათვის და განსხვავებების მიმართ ცოდნით, გაგებით, შემწყნარებლობით და ზნეობრივად მიდგომისათვის.
- აძლიერებს სოციალურ ერთობას, ურთიერთგაგებას და სოლიდარობას.
- უნდა მოიცვას ყველა ასაკობრივი ჯგუფი და საზოგადოების სექტორი.

დემოკრატიული მოქალაქეობის შესახებ განათლების ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ნაბიჯი არის ის, რომ მიზნად ისახავს სხვადასხვა ახალგაზრდული ქსელების, პარტნიორობის, ინიციატივების და ა.შ. მხარდაჭერას რათა წაახალისოს ახალგაზრდები სამოქალაქო საზოგადოებაში მონაწილეობისათვის. ახალგაზრდები წარმოადგენენ მიზნობრივი მოსახლეობის მნიშვნელოვანი ნაწილს.

ლიტერატურა

ბ. კრიკი ესეები მოქალაქეობაზე Continuum, 2000

დემოკრატიული მოქალაქეობის შესახებ განათლება (ევროპის საბჭო) www.coe.int/T/E

მოქალაქეობის სწავლების ჟურნალი www.tandf.co.uk/journals/arfax/13621025.html

კ. კენედი (რედ) სამოქალაქო განათლება და თანამედროვე სახელმწიფო, Falmer Press, 1997

დ. ოლივერი, დ. ჰეტერი, მოქალაქეობის საფუძვლები. Harvester Wheatsheaf, 1994

mSvidoba da Zaladoba

რა კავშირია მშვიდობასა და ადამიანის უფლებებს შორის? არის მშვიდობა ადამიანის უფლება?

II მსოლფიო ომის დროს ადამიანის უფლებების მასიური დარღვევები და მშვიდობის სურვილი და საჭიროება იდგა ევროპის საბჭოს შექმნის სათაავეებთან.

ადამიანის უფლებათა კულტურა არის წინაპირობა მშვიდობის მისაღწევად მსოფლიოს ნებისმიერ ქვეყანაში. მშვიდობის უფლება მიეკუთვნება ადამიანის მესამე თაობის უფლებებს ანუ ე.წ. კოლექტიურ უფლებებს.

გაეროს განათლების, სამეცნიერო და კულტურის ორგანიზაცია (იუნესკო) არის წამყვანი ორგანიზაცია, რომელიც აქტიურ როლს ასრულებს ამ უფლების დამკვიდრებაში. ჭეშმარიტად, 1994 წ. იუნესკოს მაშინდელმა გენერალურმა დირექტორმა გამოსცა საერთაშორისო მიმართვა მშვიდობის უფლების, როგორც ადამიანის უფლების დასაარსებლად. 1997 წ. წინადადება მშვიდობის ადამიანის უფლებად გამოცხადების შესახებ წარედგინა იუნესკოს გენერალურ კონფერენციას. წინადადება უარყოფილ იქნა, მაგრამ მშვიდობის უფლება კვლავ რჩება გაეროს დღის წესრიგში. 2001 წ. დასაწყისში ადამიანის უფლებათა კომისიამ მიიღო რეზოლუცია მშვიდობის უფლების დამკვიდრების შესახებ.

? ფიქრობთ, რომ მშვიდობის უფლება უნდა გამოიყოს როგორც დამოუკიდებელი კატეგორია, თუ ის უკვე არის არსებული ადამიანის უფლებათა ნაწილი?

მაშინ რა არის მშვიდობა?

მშვიდობის კონცეფციას გააჩნია მნიშვნელოვანი კულტუროლოგიური განზომილებები. ტრადიციულად აღმოსავლურ კულტურებში მშვიდობას უფრო მეტი საერთო აქვს შინაგან მდგომარეობასთან (მშვიდობა ჩვენს გონებასა და გულში), მაშინ როდესაც დასავლეთ სამყაროში მშვიდობა გაგებულია როგორც ადამიანის გარეთ არსებული მდგომარეობა (ომების ან ძალადობის არარსებობა).

"პური მშვიდობის დროს უკეთესია, ვიდრე ნამცხვარი ომის დროს".

სლოვაკური ანდაზა

შესატყვისი სავარჯიშოები

- რა ალტერნატივები გაგვაჩნია?
- საშინაო საქმეები
- სახარჯო ფული
- ცხოვრება სრულყოფილ სამყაროში
- როცა დადგება ხვალინდელი დღე
- შეიძლება შემოვიდე?
- ძალადობა ჩემს ცხოვრებაში
- ვითამაშოთ?
- ელექტროსადგური

ღირშესანიშნავი თარიღი

ყოველი წლის სექტემბრის მესამე სამშაბათი
მშვიდობის საერთაშორისო დღე

მაგალითად, ინდოეთში სიტყვა მშვიდობა არის "შანტი" და გულისხმობს გონების სრულყოფილ წესრიგს ან გონების მშვიდობას. განდიმ თავის ფილოსოფია და სტრატეგია დაამყარა ე.წ. „ახიმსას" კონცეფციაზე, რაც ნიშნავს ზოგადად ყოველგვარი საზიანოსაგან თავის შეკვებას. მან თქვა: "ახიმსა სიტყვა-სიტყვით ნიშნავს არა-ძალადობას. მაგრამ ჩემთვის მას აქვს უფრო მაღალი, უსასრულოდ მაღალი მნიშვნელობა. ის ნიშნავს, რომ შენ არ შეგიძლია აწყენინო ვინმეს, შენ არ შეგიძლია ბოროტი აზრების თავში გავლება, თუნდაც მათ მიმართ, ვისაც მტრებად მიიჩნევ. ვინც ამ დოქტრინას ასრულებს მისთვის მტრები არ არსებობს." მაიას ტრადიციის მიხედვით მშვიდობა დაკავშირებულია სიმდიდრის ცნებასთან; ის დაკავშირებულია ჩვენი ცხოვრების სხვადასხვა სფეროებს შორის სრულყოფილი ბალანსის იდესათან.

არსებობს მშვიდობის მრავალი განმარტება. ერთ-ერთი მათგანი, რომელმაც ძლიერი გავლენა მოახდინა, არის მსოფლიოში აღიარებული ნორვეგიელი მეცნიერის და ამ სფეროს მკვლევარის ჯონ გალტუნგის მიერ შემოთავაზებული მშვიდობის პოზიტიური და ნეგატიური გაყოფა.

ნეგატიური მშვიდობა ნიშნავს ომის, კონფლიქტის არარსებობას სახელმწიფოებს შორის ან ერთი სახელმწიფოს ფარგლებში, მაგალითად, როგორიცაა ბალკანეთის ომი.

მეორეს მხრივ პოზიტიური მშვიდობა ნიშნავს ომის ან კონფლიქტის არარსებობას, რომელიც ერწყმის თანასწორობას, სამართლიანობას, და განვითარებას.

ჩვენ შეგვიძლია შევაჯამოთ ეს 2 ცნება შემდეგნაიარად:

ომის არარსებობა = უარყოფითი მშვიდობა

ომის არარსებობა + სოციალური სამართლიანობა და განვითარება = პოზიტიური მშვიდობა.

ამგვარად, სოციალური სამართლიანობის მაღალი დონე და ძალადობის მინიმალური დონე ახასიათებს პოზიტიურ მშვიდობას.

მაშინ როდესაც ზოგიერთი ფიქრობს, რომ ომის დასრულების შემდეგ ყველა პრობლემა გადაჭრილია, რეალურად სამუშაოს დიდი ნაწილი კვლავ შესარულებელი რჩება, კერძოდ, ქვეყნის აშენება და სტრუქტურების განვითარება, რომელიც მიგვიყვანს უფრო მეტ სოციალურ სამართლიანობამდე და განვითარებამდე ქვეყანაში მცხოვრები ყველა ადამიანის საკეთილდღეოდ.

ამდენად ჩვენ შეგვიძლია ვთქვათ, რომ მშვიდობა არ არის მხოლოდ განიარაღების საკითხი, არამედ ასევე დაკავშირებულია ხალხის ცხოვრებასთან.

? **ვინ უნდა იყოს პასუხისმგებელი ნებისმიერი ტიპის ძალადობის პრევენციისათვის საჭირო სტრატეგიის განხორციელებაზე თქვენს საზოგადოებაში?**

მიწის დანაღმვის აკრძალვის საერთაშორისო კამპანია არის 1997 წლის ნობელის მშვიდობის პრემიის თანალაურეატი
www.icbi.org

mSvidobis konferencia

1999 წ. მაისში ყველა ასაკის 10000 მშვიდობის აქტივისტი შეიკრიბა ჰააგაში, ჰოლანდიაში ახალი სტრატეგიების შესამუშავებლად, რომელიც უზრუნველყოფდა მშვიდობას 21-ე საუკუნეში. ჰააგის ისტორიული კონფერენციის მოწოდების მონაწილეებში იყვნენ 1 500 ახალგაზრდა 100 სხვადასხვა ქვეყნიდან. კონფერენციის დასასრულს გაეროს გენერალურ მდივანს კოფი ანანს წარედგინა „ჰააგის პროგრამა მშვიდობისა და სამართლიანობისათვის 21-ე საუკუნეში". ამჟამად ის არის 50 პუნქტისაგან შემდგარი გაეროს ოფიციალური დოკუმენტი მთავრობებისა და სამოქალაქო საზოგადოებების გლობალური ქმედებისათვის.

მაგრამ შეგვიძლია კი ვისაუბროთ მშვიდობაზე ძალადობაზე საუბრის გარეშე?

არსებობს ძალადობის ბევრი განმარტება. მათგან ერთ-ერთი განიმარტება, როგორც ძალის გამოყენება – ფარული ან აშკარა – იმ მიზნით, რომ მიიღო ადამიანისაგან ან ჯგუფისაგან ის, რისი მოცემასაც ისინი თავის ნებით არ თანხმდებიან.

არსებობს ძალადობის სხვადასხვა ფორმა. ჩვენ შეგვიძლია განვასხვავოთ პირდაპირი და ირიბი (ანუ სტრუქტურული) ძალადობა:

- პირდაპირი ძალადობა = ფიზიკურ ძალადობას
- ირიბი (ანუ სტრუქტურული) ძალადობა = სიღარიბე, ექსპლოატაცია, სოციალური უსამართლობა, დემოკრატიის არარსებობა, და ა.შ.

ამგვარად, მშვიდობა არსებობს, როდესაც ადგილი არ აქვს პირდაპირ ან ირიბ ძალადობას.

რა არის ძალადობის ფასი?

მშვიდობის არაარსებობის პირობებში კონფლიქტში ჩართული მხარეების ეკონომიური და სოციალური უფლებები დარღვეულია (ქვეყნის განადგურებული ეკონომიკა, არსებობს შავი ბაზარი, სამსახურების ან სახლების დაკარგვა, და ა.შ.), ისევე როგორც მათი სამოქალაქო და პოლიტიკური უფლებები (საფრთხეშია სიცოცხლის უფლება, ასევე წამებისაგან დაცვის უფლება, ან ფიზიკური ჯანმრთელობის უფლება და ა.შ.). კონფლიქტის მოკლე და გრძელპერსპექტივიანი შედეგები ადამიანის უფლებათა დარღვევის თვალსაზრისით დამანგრეველია და ღრმა ჭრილობებს ტოვებენ საზოგადოებაში.

პირდაპირი ძალადობა:

1. ბოსნიასა და ჰერცოგოვინაში 1995 წლის მშვიდობის შესახებ ზოგადი ჩარჩო ხელშეკრულების არსებობის მიუხედავად 850000-დან 1.2 მილიონამდე ადამიანი კვლავ ქვეყნის შიგნით იძულებით გადაადგილებული ან ლტოლვილია; დაახლოებით 17000 ადამიანი უგზო-უკვლოდ დაკარგულად ითვლება.
2. 800000 ადამიანი დაიღუპა 3 თვის განმავლობაში რუანდაში 1994 წლის ომის დროს.
3. I მსოფლიო ომის დროს დაღუპულთა საერთო რაოდენობა იყო 8538315
4. 1990-იან წლებში მთელი მსოფლიოში სამოქალაქო ომმა იმსხვერპლა 5 მილიონი ადამიანი
5. მსოფლიოში 500 მილიონი ცეცხლსასროლი იარაღი მოსახლეობის ხელშია.
6. 1990-იან წლებში ომებმა და შიდა კონფლიქტებმა 50 მილიონი ადამიანი აიძულა გაქცეულიყვნენ თავინათი სახლებიდან.
7. თვეში 800 ადამიანის სიკვდილის მიზეზი ხდება ქვეითი ჯარის საწინააღმდეგო ნაღმები (მიწის ნაღმები).
8. 1995 წ. 53 მილიონი ადამიანი – დედამიწაზე მცხოვრები ყოველი 115 ადამიანიდან ერთი – მოწყვეტილ იქნა მათ სახლებს და ან გადანაცვლებულ იქნა მათივე ქვეყნების შიგნით ან იქცნენ ლტოლვილებად სხვა ქვენებში.

არაპირდაპირი ძალადობა:

1. დაახლოებით 17 მილიონი ადამიანი იღუპება ყოველ წელს მედიკამნეტების ნაკლებობის გამო.
2. დაახლოებით 24000 ადამიანი კვდება ყოველდღიურად შიმშილის შდეგად. ეს არის დაახლოებით 1 ადამიანი ყოველ 3.5 წამში.
3. დღეში 30000 ბავშვზე მეტი იღუპება ძირითადად პრევენცირებადი დაავადებებისაგან.

? **როგორ ფიქრობთ, უნდა არსებობდეს ძალადობის შემზღუდველი წესები სატელევიზიო პროგრამებისათვის?**

prioritetebi saxelmwifo danaxarjebis sferoSi (%-ლი გამოხატულება შიდა საფასო პროდუქტთან მიმართებაში)

ქვეყანა	სახელმწიფო ხარჯები განათლების სფეროში 1995-1997	სახელმწიფო ხარჯები ჯანდაცვის სფეროში 1998	სამხედრო ხარჯები 1999
ანგოლა	6,2 (1985-1987)	5,8	23,5
კოსტა რიკა	5,4	5,2	...
ერითრეა	1,8	...	22,9
ეთიოპია	4,0	1,7	9,0
ნორვეგია	7,7	7,4	2,2
რუსეთის ფედერაცია	3,5	2,5(1990)	3,8
საუდის არაბეთი	7,5	12,8	13,2
თურქეთი	2,2	2,2(1990)	5.0
უკრაინა	5,6	3,6	3,1
გაერთიანებული სამეფო	5,3	5,9	2,5

2000 wlis yvelaze didi samxedro danaxarjebis mqone 6 qveyana [39] (miliard aSS dolarebSi)

ადგილი 2000 (1999)	ქვეყანა	2000	მსოფლიო სამხედრო დანახარჯების წილი (%)
1 (1)	აშშ	180.6	37
2 (7)	რუსეთი	43,9	6
3 (3)	საფრანგეთი	40,4	5
4 (2)	იაპონია	37,8	5
5 (5)	გაერთიანებული სამეფო	36,3	5
6 (4)	გერმანია	33	4

msoflio samxedro danaxarjebi da misi alternatvebi

საერთო სქემა = საერთო წლიური მსოფლიო სამხედრო დანახარჯები 2001 წელს (756 მილიარდი აშშ დოლარი) = 1 მილიარდი აშშ დოლარი
თანხა, რომელიც საჭიროა...

a) mosaxleobis stabilurobisaTvis
10.5 მილიარდი აშშ დოლარი
b) tyeebis gaCexvis SeCereba
7 მილიარდი აშშ დოლარი
g) globaluri daTbobis prevencia
8 მილიარდი აშშ დოლარი
d) toqsikuri wvimebis prevencia
8 მილიარდი აშშ დოლარი
e) jandacvis uzrunvelyofa
15 მილიარდი აშშ დოლარი
v) SimSilisa da uxarisxo kvebis aRmofxvra
19 მილიარდი აშშ დოლარი
z) ozonis Sris rRvevis SeCereba
5 მილიარდი აშშ დოლარი
T) niadagis eroziis prevencia
24 მილიარდი აშშ დოლარი
i) sufTa usafrTxo energiis uzrunvelyofa
განახლებადი ენერგია: 17 მილიარდი აშშ დოლარი
ენერგიის ფექტურობა: 33 მილიარდი აშშ დოლარი
k) uwignurobis aRmofxvra
5 მილიარდი აშშ დოლარი
l) ganviTarebadi qveynebis valebis gauqmeba
30 მილიარდი აშშ დოლარი
m) TavSesafris uzrunvelyofa
21 მილიარდი აშშ დოლარი
n) usafrTxo sufTa wylis uzrunvelyofa
58 მილიარდი აშშ დოლარი



არის ძალადობა ბუნებრივი?

ბევრი დარწმუნებულია, რომ ადამიანები ბუნებით მოძალადეები არიან და რომ შესაბამისად ჩვენ თავიდან ვერ ავიცილებთ ომებს, კონფლიქტებს და ზოგადად ძალადობას ჩვენ ცხოვრებაში და ჩვენ საზოგადოებაში. ამ სფეროს სხვა სპეციალისტები აცხადებენ, რომ ჩვენ შეგვიძლია თავიდან ავიცილოთ ძალადობრივი ფიქრი, აზროვნება, გრძნობა და მოქმედება. 1986 წელს ბევრი ჩრდილოეთის თუ სამხრეთის, აღმოსავლეთ და დასავლეთ ქვეყნის მეცნიერთა მიერ სევილიაში შემუშავებული განცხადება ძალადობის შესახებ ადასტურებს ამას და აცხადებს:

1. "იმის თქმა, რომ ჩვენ მემკვიდრულად ვღებულობთ ომების წარმოების ტენდენციას ჩვენი ცხოველი წინაპრებისაგან, მეცნიერულად არასწორია. ბრძოლა არის სუფთა ადამიანური ფენომენი და არ გვხვდება ცხოველებში.
2. არსებობენ კულტურები, რომლებიც არასოდეს ჩართულან ომებში საუკუნეების განმავლობაში და არსებობენ კულტურები, რომლებიც უფრო ხშირად ომობენ ერთ პერიოდში, ვიდრე სხვა პერიოდში..

ღირშესანიშნავი თარიღი

25 ნოემბერი
ქალების წინააღმდეგ
ძალადობის აღმოფხვრის საერთაშორისო დღე

3. თქმა, რომ ომი ან სხვა ძალადობრივი საქციელი არის გენეტიკურად დაპროგრამებული ადამიანის ბუნებაში, მეცნიერულად არასწორია.
4. თქმა, რომ ადამიანებს აქვთ "მოძალადე" ტვინი, მეცნიერულად არასწორია. ჩვენ მოქმედებას განაპირობებს ჩვენი ქცევა და აყალიბებს ჩვენი გარემოპირობები და საზოგადოება...."

ბევრი ჩვენგანის აგრესიული და ძალადობრივი ქმედება ჩამოყალიბებულია გარემოს და გარემომცველი პირობების ზეგავლენით. ჩვენ ვსწავლობთ ფიქრს, გრძნობას და ქმედებას აგრესიულად და ხშირ შემთხვევებში ძალადობრივად. სადაც არ უნდა ვცხოვრობდეთ ჩვენ ვართ სოციალური და კულტურულოგიური პრესის ქვეშ, რაც გვაიძულებს ვიკითხოთ ძალადობის შესახებ, ვუყუროთ ძალადობას, და ვუსმინოთ ძალადობის შესახებ, თითქმის უწყვეტად. სატელევიზიო პროგრამები, რეკლამები, გზეთები, ვიდეო თამაშები, და ფილმებისა და მუსიკის ინდუსტრია მნიშვნელოვნად უწყობს ხელს ამ სიტუაციას. ბავშვს ზრდასრულ პერიოდამდე მხოლოდ ტელევიზორით უკვე ნანახი აქვს ათასობით მკვლელობა და ძალადობის აქტები. თანამედროვე საზოგადოებები შეგნებულად თუ გაუაზრებლად ამართლებენ ძალადობას. ძალადობა განხილულია როგორც დადებითი ფასეულობა. უმეტეს კულტურებში ძალადობაზე უარის თქმა და ფიზიკური ძალადობისთვის ან კონფრონტაციისთვის თავის არიდება აღიქმება როგორც სისუსტის ნიშანი განსაკუთრებით მამაკაცებისათვის, რომლებიც დიდი ზეწოლის ქვეშ იმყოფებიან თავიანთი თანატოლების მხრიდან ძალიან მცირე ასაკიდან.

? ეთანხმებით განცხადებას, რომ ძალადობა არასოდეს არის გამართლებული თუნდაც ყველაზე აგრესიული ადამიანების მიმართ?

დაშინება არის პიროვნებათაშორისი ძალადობის ერთ-ერთი ფორმა ახალგაზრდებს შორის და აჩვენებს როგორ გამოიყენება ძალადობა, რათა თავი იგრძნო უფრო ძლიერად სხვების დაზარალების ხარჯზე. 2001 წლის გამოკითხვაში ესპანეთის საშუალოს სკოლის მოსწავლეთა თითქმის ნახევარმა აღიარა, რომ იცოდნენ თავიანთი თანატოლების შემთხვევები, რომლებიც დაშინებული იყვნენ მეგობარი სტუდენტების მიერ.

დაშინების გარდა არსებობს პიროვნებათაშორისი ძალადობის ფორმები: ალკოჰოლთან და ნარკოტიკებთან დაკავშირებული ძალადობა, ბანდიტური დაჯგუფებების ძალადობა, იძულებითი პროსტიტუცია, მონობა, ძალადობა სკოლებში, და რასიზმთან დაკავშრებული ძალადობა, ყველა არის პიროვნებათაშორისი ძალადობის გამოვლინება, რომელიც გავლენას ახდენს ჩვენს ან სხვა ბევრი ადამიანის ცხოვრებაზე. ძალადობის ზოგიერთი ეს ფორმა გავლენას ახდენს ახალგაზრდებზე უფრო სპეციფიკურად, მაგალითად, ბანდიტური დაჯგუფებების ძალადობა, სკოლებში ძალადობა, და რასისტული ძალადობა.

? ეთანხმებით აზრს, რომ "ნამდვილი მამაკაცს" არ უნდა ეშინოდეს ძალადობის?

„ზუსტად ისევე, როგორც აზრი ომის შესახებ, მშვიდობაც ადამიანის აზროვნებიდან იღებს სათავეს. ადამიანთა მოდგმამ გამოიგონა ომი, მას მშვიდობის გამოგონებაც შეუძლია. ამაზე პასუხიმგებლობა ყოველ ჩვენგანს ეკისრება." სევილიური განაცხადი ძალადობის შესახებ

სექსუალური შეურაცხყოფა და სექსუალური ძალადობა ბავშვების ან ქალების მიმართ (ან თუნდაც კაცების) ფართოდ გავრცელებული ფენომენია ჩვენს საზოგადოებებში. შემთხვევათა უმეტესობას ადგილი აქვს სახლებში და კერძო ადგილებში და არა ქუჩებში, ბევრის რწმენის საწინააღმდეგოდ. თავდამსხმელებს მსხვერპლი ხშირად იცნობს და ისინი ბოროტად სარგებლობენ ნდობით, რომელსაც ისინი ღებულობენ დანაშაულის ჩადენამდე. მსხვერპლის უმეტესობა არ აცხადებს დანაშაულის შესახებ ან ამას მრავალი წლის შემდეგ აკეთებენ. ამისთვის ბევრი

მიზეზი არსებობს, ხშირად ურთიერთდაკავშირებული, და სიტუაციასთან დაკავშირებული: დამნაშავის ვინაობა, შეურაცხყოფის ბუნება (ხანგრძლივობა და სიხშირე), მსხვერპლის ვინაობა და ა.შ. შეიძლება მოხდეს ისე, რომ მსხვერპლი იყოს ძალიან ახალგაზრდა და არ ესმოდეს რა ხდება ვიდრე ძალიან გვიან არ არის. და /ან მათ ესაჭიროებათ დახმარება და არავინ ჰყავთ ვისაც შეიძლება ენდონ. და /ან ისინი უყვებიან ამ ამბავს ვინმეს, ვისაც არ სჯერა მათი რაც ხშირად საკმაოდ ხდება ბავშვების შემთხვევაში. და/ან ისინი განიცდიან სირცხვილის, დანაშაულის გრძნობას, და/ან ემუქრებიან და ხდება მათი მანიპულირება დამნაშავეების მხრიდან. შემთხვევათა უმრავლესობაში დამნაშავე ოჯახის წევრია.

გამოყენებული ლიტერატურა

დეკლარაცია ხალხთა მშვიდობის უფლების შესახებ, A/RES/39/11, გაეროს გენერალური ასამბლეა, 12 ნოემბერი, 1984წ.

მოხსენება 2000წ-ის სოციალური განვითარების შესახებ, PROOON, Oxford University Press, აშშ

მოხსენება 2000, „საერთაშორისო ამნისტია", Amnesty International Publications, ინგლისი, 2000წ.

სევილიური განაცხადი ძალადობის შესახებ, www.unesco.org/human_rights/hrfv.htm ესპანეთი, 1986

ჯ. ტაილერი, ა. ბერი, (Comp), დროა გავაუქმოთ ომი, მშვიდობისა და სამართლიანობის დამყარების ახალგაზრდული გეგმა, ჰაგის მშვიდობის მოწოდება, Eurpean Youth Foundation, 2001 წ

ადამიანის უფლებათა გაეროს კომისია, რეზოლუცია მშვიდობაზე ერების უფლების დამკვიდრების შესახებ, E/CN.4/RES/2001/69,25 აპრილი 2001წ.

ვ. ფიზასი, მშვიდობისა და კონფლიქტების პრობლემების კვლევის შესავალი, Lerna, ბარსელონა, 1987წ.

ახალგაზრდების ხმები, რომლებიც იკვლევენ პრობლემას „ბავშვები და ომი", www.unicef.org/voy/meeting/war/war-exp2.html, იუნისეფი, მსოფლიო მოხსენება 2001წ., Human Rights Watch, აშშ, 2000წ

pirovnebis usafrTxoeba

"პიროვნული უსაფრთხოების მნიშვნელობა არის "ხალხის უსაფრთხოების " სინონიმი... პიროვნული უსაფრთხოების მიზანი არის ხალხის უსაფრთხოება და გადარჩენა."

დოქტორი სვერ ლოდგაარდი

პიროვნული უსაფრთხოების ცნება საერთაშორისო ლექსიკონში 20-ე საუკუნის ბოლოს გამოჩნდა. მანამდე 300 წლის განმავლობაში მხოლოდ სახელმწიფო უსაფრთხოების იდეა იყო ნაცნობი და მიღებული ცნება. სახელმწიფოები უფლებამოსილი იყვნენ და მათგან მოელოდნენ ტერიტორიული მთლიანობის დაცვას გარეშე საფრთხისაგან და დასაშვები იყო სპეციალური ზომების მიღებაც კი ამ მიზნით, მაგრამ უსაფრთხოების გაგება, ყოველ შემთხვევაში საერთაშორისო დონეზე, არ სცდებოდა სახელმწიფოს საზღვრებს.

უსაფრთხოების კონცეფცია შეიცვალა 1990-ან წლებში და საერთაშორისო საზოგადოებრიობამ გააცნობიერა არა მხოლოდ სახელმწიფოების არამედ ადამიანების დაცვა უსაფრთხოების დაცვის მნიშვნელოვნება. თუნდაც მაშინ როდესაც ეს ეწინააღმდეგებოდა კონკრეტული მთავრობის სურვილებს. რა თქმა უნდა მანამდეც არსებობდა სიტყვა უსაფრთხოების ზოგადი გამოყენება, რომელიც ვრცელდებოდა ადამიანებზე. მაგრამ 1990–იან წლებში რადიკალური ცვლილება მოხდა საერთაშორისო დონეზე: პირველად ისტორიაში ადამიანების დაცვა, რაც ადრე კონკრეტული სახელმწიფოს პირად საქმედ ითვლებოდა გახდა საერთაშორისო საზოგადოებრიობის განხილვის საგანი.

ფორმულირება შეიცვალა, და ასევე ქმედებებიც

კოლექტიური უსაფრთხოების ღონისძიებები, რომელიც მოიცავს ერების კოალიციას და მიმდინარეობს გაეროს ხელმძღვანელობით არ იყო აუცილებლად მიღებული სახელმწოფიების უსაფრთხოების გაძლიერების მიზნით, არამედ ძირითადად ხალხის(ების) უსაფრთხოების სახელით. მოვლენები, რომლებსაც

შესატყვისი სავარჯიშოები

- ბრძოლა სიმდიდრისა და ძალაუფლებისათვის
- სახარჯო ფული
- როცა დადგება ხვალინდელო დღე
- შეიძლება შემოვიდე?
- ძალადობა ჩემს ცხოვრებაში
- ბინგოს უფლებები
- ენობრივი ბარიერი

ადრე ჰუმანიტარულ კატასტროფებს მიაკუთვნებდნენ, ამჟამად უნდა განსაზღვრულიყო მშვიდობისა და უსაფრთხოების თვალსაზრისით. ეს გამოყენებული იყო საერთაშორისო იძულებითი ზომების გასამართლებლად, რომლის ერთ-ერთი პირველი მაგალითიც არის იძულებითი ჰუმანიტარული ზომები სომალიში (1992-93 წლებში), როდესაც გაეროს უშიშროების საბჭომ განსაზღვრა რომ:

"ადამიანური ტრაგედიის მასშტაბი.... წარმოადგენს საფრთხეს საერთაშორისო მშვიდობისა და უსაფრთხოებისათვის".

გაეროს ოპერაცია სომალიში (UN SOM) დაიწყო 1992 წელს მოგადიშუში ცეცხლის შეწყვეტის მონიტორინგის და ჰუმანიტარული დახმარების ტვირთის გასაცილებლად ქალაქის დანიშნულების ადგილებში. მისიის მანდატი და კონტიგენტი მოგვიანებით გაიზარდა, რათა სომალის მთელ ტერიტორიაზე დაცული ყოფილიყო ჰუმანიტარული მანქანების და გამანაწილებელი პუნქტების უსაფრთხოება.

ცვლილების ორი ასპექტი:

ზემოთ მოყვანილი ნაწყვეტი კოსოვოს შესახებ გაეროს რეზოლუციიდან აჩვენებს საკითხების კლასიფიკაციის ორ ფუნდამენტურ ცვლილებას, რომლებიც საფრთხეს წარმოადგენდნენ საერთაშორისო უსაფრთხოებისათვის:

1. მოვლენათა ტიპები, რომლებიც განიხილებოდა როგორც მუქარა უსაფრთხოებისათვის
2. უსაფრთხოების ცნების გაფართოება არა მხოლოდ სახელმწიფოებს შორის კონფლიქტებზე, არამედ შიდა სახელმწიფოებრივ მოვლენებზეც.

"უსაფრთხოება ის პირობაა, რომელიც ყველაფერს შესაძლებელს ხდის."

ემა როტშილდი

gaeros uSiSroebis sabWo

გაეროს წესდების მიზნებისა და პრინციპების და უშიშროების საბჭოს უპირველესი ვალდებულების გათვალისწინებით მსოფლიოში მშვიდობისა და უსაფრთხოების შენარჩუების მიზნით,

განზრახული აქვს მოაგვაროს მძაფრი ჰუმანიტარული სიტუაცია კოსოვოში (იუგოსლავიის ფედერალური რესპუბლიკა), და უზრუნველყოს ყველა ლტოლვილისა და იძულებით გადაადგილებული პირის უსაფრთხო და თავისუფალი დაბრუნება სახლებში,

ასკვნის რა, რომ რეგინონში არსებული სიტუაცია წარმოადგენს საფრთხეს მსოფლიო მშვიდობისა და უსაფრთხოებისათვის ... და მოქმედებს ამ მიზნით გაეროს წესდების VII თავის მიხედვით,

... ღებულობს გადაწყვეტილებას, რომ კოსოვოში განლაგებული და მოქმედი საერთაშორისო უსაფრთხოების ღონისძიებები მოიცავდეს:

1. საომარი მოქმედებების განახლების დაუსვებლობას
2. კოსოვოს განთავისუფლების არმიის დემილიტარიზაციას
3. უაფრთხო გარემოს შექმნას, რომელშიც ლტოლვილები და იძულებით გადაადგილებული პირები შეძლებენ უსაფრთხოდ დაბრუნდნენ სახლებში... და უსაფრთხო გახდეს ჰუმანიტარული ტვირთის დანინულების ადგილზე მიტანა:
4. საზოგადოებრივი წესრიგისა და უსაფრთხოების უზრუნველოფას..."

ნაწყვეტი 1244 (1999 წ.) რეზოლუციიდან. მიღებულია გაეროს უშიშროების საბჭოს მიერ 4011 – შეხვედრაზე, 1999წლის 10 ივნისს.

რამ გამოიწვია ცვლილებები?

უსაფრთხოების არსიდან, რომელიც სახელმწიფოზე იყო აქცენტირებული, იმ მდგომარეობაზე გადასვლა, რომელმაც წინა პლანზე წამოწია ადამიანის ფაქტორი,

მთელი რიგი გარემოებების ზეგავლენით მოხდა. ეჭვგარეშეა, რომ ერთ-ერთი ასეთი გავლენა ცივი ომის დასრულება იყო, რამაც საშუალება მისცა მთავრობებს და ხალხს გამოეაშკარავებინათ მანადმე დაფარული ინტერესები. ერთ-ერთი შედეგი იყო რთული და მანკიერი, ხშირად შიდასახელმწიფოებრივი კონფლიქტები, რომელიც სამოქალაქო მსხვერპლის თვალსაზრისით ახალი ტიპის რეაგირებას მოითხოვდა. თუმცა, ალბათ არსებობდა უფრო მნიშვნელოვანი გავლენა ვიდრე უბრალოდ იმის გააზრება, რომ ხალხის დაცვა ზოგჯერ საერთაშორისო რეაგირებას მოითხოვს.

ბოლოს და ბოლოს ამგვარი გაგება უკვე დიდი ხანია არსებობდა მაგრამ "ჩარევა" იმაში, რაც სუფთად საშინაო საქმედ ითვლებოდა არ იყო მიჩნეული შესაძლებელ ან მისაღებ ქმედებად. თუმცა ახლა ადამიანის უფლებების საკითხებით მზარდმა დაინტერესებამ მთელ მსოფლიოში მიგვიყვანა გამართლების ფორმამდე, რომელმაც თუ საყოველთაო არა, ყოველ შემთხვევაში ფართო აღიარება მოიპოვა: საბოლოო ჯამში, ადამიანის უფლებები განსაზღვრულია ხალხისათვის და არა სახელმწიფოებისათვის, და ფაქტობრივად მსოფლიოს ყველა ქვეყანა გამოხატავს თანხმობას ამ ნორმებზე.

? რამდენად უნდა იყოს სახელმწიფოების საშინაო პოლიტიკა საერთაშორისო საზოგადოებრიობის უსაფრთხოების საგანი

ინდივიდუალური თუ სახელმწიფო ინტერესები?

ადამიანის უფლებების ძირითადი იდეა არის ის, რომ არსებობს ადამიანური ღირსების გარკვეული დონე, რომელიც არ შეიძლება ხელყოფილ იქნას რომელიმე მთავრობის ან პიროვნების მიერ. ამდენად, ადამიანის უფლებების აღიარების გარდაუვალი შედეგი არის საკუთარი სუვერენიტეტის ნაწილობრივი დათმობა, ამ ტერმინის ძველებური გაგებით. საერთაშორისოდ აღიარებული ადამიანის უფლებათა ნორმებზე ხელის მოწერის დროს ისინი შეთანხმდნენ, რომ პიროვნება დაეყენებინათ წინა პლანზე და ამგვარად ისინი უარს ამბობენ შესაძლებლობაზე, გააკეთონ აბსოლუტურად ყველაფერი სახელმწიფოს ინტერესების სახელით.

ეს ზუსტად ის იდეაა, რომელმაც ბოლო 10 წლის განმავლობაში მოიკიდა ფეხი საერთაშორისო უერთიერთობების სფეროში. ამან გამოიწვია არა მხოლოდ გაეროს მისიების რიცხვის ზრდა უფრო ფართო მანდატით ვიდრე მანამდე, არამედ ზეწოლა, რომ დაარსდეს საერთაშორისო მუდმივმოქმედი სისხლის სამართლის სასამართლო, სადაც ადამიანის უფლებათა დამრღვევები გასამართლდებიან ნებისმიერი კონკრეტული სახელმწიფოს ფარგლებს გარეთ.

sisxlis samarTlis saerTaSoriso sasamarTlo

საერთაშორისო საზოგადოება შეიკრიბა რომში, იტალიაში 1998 წ. 15-17 ივნისს რათა დაესრულებინა წესდების პროექტი, რომელიც 60 სახელმწიფოს მიერ რატიფიცირების შემდეგ დააარსებს საერთაშორისო სისხლის სამართლის სასამართლოს. ეს იქნება მუდმივმოქმედი სისხლის სასამართლო, რომელიც გაასამართლებს გენოციდში, საომარ დანაშაულებში და კაცობრიობის წინააღმდეგ ჩადენილ დანაშაულებში ეჭვმიტანილ ინდივიდებს.

მუდმივი დებატები: განთავისუფლება "სურვილისაგან".

პიროვნულ უსაფრთხოებაზე ახლებური აქცენტის გაკეთების დაწყებას ხშირად მივყავართ გაეროს უშიშროების საბჭოს გენერალური მდივნის ბუტროს ბუტროს ღალის მიერ 1992 წ. გამოცხადებული მშვიდობის დღის წესრიგამდე. ეს

დოკუმენტი აცხადებს, რომ უსაფრთხოების წინააღმდეგ მიმართული საშიშროება არ არის მხოლოდ სამხედრო ხასიათის:

„გახლეჩილმა ოზონის შრემ ბევრად უფრო დიდი საფრთხე შეიძლება შეუქმნას მოსახლეობას, ვიდრე ყველაზე მტრულმა ჯარმა. გვალვას და ავადმყოფობას შეუძლია გამოიწვიოს არანაკლები უბედურება, ვიდრე საომარ იარაღს.”

დოკუმნეტში ნათქვამი იყო, რომ ეკოლოგიური არასტაბილურობა, სიღარიბე, შიმშილი და ჩაგვრა არის არა მხოლოდ უსაფრთხოების მწვავე საკითხები, არამედ კონფლიქტების როგორც წყარო ასევე შედეგი.

გაეროს განვითარების პროგრამის ადამიანის განვითარების 1994 წ. მოხსენება აგრძელებდა ამ იდეას უფრო ფართო ინტერპრეტაციით და გვთავაზობდა პიროვნული უსაფრთხოების ცნების 2 ურთიერთდაკავშირებული ნაწილის გამოყოფას:

1. “ჩვენი ყოველდღიური ცხოვრების უეცარი და დამღუპველი დარღვევებისაგან დაცვა” (ცნობილია როგორც „შიშისაგან გათავისუფლება”) და
2. “დაცვა შიმშილის, ავადმყოფობის, დანაშაულის და რეპრესიის მუდმივი მუქარისაგან” (ცნობილია როგორც „გათავისუფლება სურვილისაგან)

მოხსენება კიდევ უფრო ავითარებდა ამ ცნებებს და გამოყო პიროვნული უსაფრთხოების 7 ცალკე კომპონენტი:

- ეკონომიკური უსაფრთხოება (გარანტირებული მინიმალური შემოსავალი)
- საკვების უსაფრთხოება (საკვების ფიზიკური და ეკონომიკური ხელმისაწვდომობა)
- ჯანმრთელობის უსაფრთხოება (ავადმყოფობისა და ინფექციებისაგან შედარებითი დაცულობა)
- ეკოლოგიური უსაფრთხოება (სუფთა წყლით, სუფთა ჰაერით და არადეგრადირებული ნიადაგის სისტემით უზრუნველყოფა).
- პიროვნული უსაფრთხოება (პიროვნების ძალადობისა და მუქარისაგან დაცვა)
- საზოგადოებრივი უსაფრთხოება (კულტურული თვითმყოფადობის უსაფრთხოება)
- პოლიტიკური უსაფრთხოება (ადამიანის ძირითადი უფლებების და თავისუფლებების დაცვა)

თუმცა პიროვნული უსაფრთხოების ეს ფართო კონცეფცია ბევრისათვის კრიტიკის საგანია, რადგანაც მათ სჯერათ, რომ რაც უფრო მეტ კომპონენტებს ჩავრთავთ ამ ცნებაში ის როგორც პოლიტიკური ინსტრუმენტი უფრო ნაკლებად სასარგებლო გახდება. კერძოდ, საერთაშორისო მოძრაობის “პარტნიორობა პიროვნული უსაფრთხოებისათვის” ერთ-ერთი დამაარსებელი, კანადის საგარეო საქმეთა და საერთაშორისო ვაჭრობის სამინისტრო გვთავაზობს ბევრად უფრო ვიწრო განმარტებას: “პიროვნული უსაფრთხოება ნიშნავს ხალხის უსაფრთხოებას როგორც ძალადობრივი, ასევე არა-ძალადობრივი საფრთხისაგან. ის არის სახელმწიფოს მდგომარეობა, რომელიც უზრუნველყოფს რაიმე საფრთხის არარსებობას ადამიანის უფლების, უსაფრთხოების და მათი სიცოცხლისთვისაც კი. იმისათვის, რომ განისაზღვროს რამდენად კანონზომიერად არის ესა თუ ის საკითხი განხილული პიროვნების უსაფრთხოების კონტექსტში, უნდა გავარკვიოთ რა ხარისხით ემუქრება საფრთხე ადამიანის უსაფრთხოებას”.

ახალგაზრდები და პიროვნული უსაფრთხოება

ახალგაზრდული ორგანიზაციები, რომლებიც მონაწილეობენ მშვიდობის, ადამიანის უფლებათა სფეროში განათლების, ეკოლოგიური საკითხების ან შიმშილის აღმოფხვრის პროგრამებსა და აქციებში შეიძლება ითქვას, რომ იღწვიან პიროვნული უსაფრთხოების გაძლიერებისათვის. ისინი მიზნად ისახავენ ისეთი პირობების შექმნას, რომელშიც ხალხი უფრო თავისუფალი იქნება სურვილისა და შიშისაგან.

“...კეთილსინდისიერ ხალხს არ შეუძლია განზე გადგეს და უყუროს სხვა ადამიანების მიმართ სახელმწიფოების მეთაურობით განხორციელებულ სისტემატიური განადგურების საფრთხეს. კეთილსინდისიერ ხალხს უბრალოდ არ შეუძლიათ აიტანონ ეს და არ შეუძლიათ არ მოევლინონ მხსნელებად, თუკი ეს მათ ძალებს არ აღემატება”.

ვაცლავ ჰაველი

? რა არის უსაფრთხოების ცნების გაფართოების დადებითი და უარყოფითი მხარეები, რომელიც მოიცავს "საჭიროებისაგან" და შიშისაგან გათავისუფლებას?

პიროვნული უსაფრთხოების პროგრამა

სხვადასხვა ინტერპრეტაციების, განმარტებების და ხაზგასმის მიუხედავად პიროვნული უსაფრთხოების სხვადასხვა ცნებებს აქვთ საერთო ელემენტები. პიროვნული უსაფრთხოების დღის წესრიგის ცენტრალური მახასიათებლებია:

- აქცენტი სახელმწიფოების უსაფრთხოებიდან გადატანილია ხალხის უსაფრთხოებაზე. რაც პიროვნული უსაფრთხოების ერთ-ერთ ძირითად დამსახურებად ითვლება. როგორც ადრე ვახსენეთ, საუკუნეების მანძილზე უსაფრთხოება განიხილებოდა ძირითადად როგორც ეროვნული ან სახელმწიფოებივი უსაფრთხოება. ამჟამად პიროვნული უსაფრთხოების იდეა იწვევს ხალხს საერთაშორისო დისკუსიაზე და აყენებს პიროვნული და ხალხის და არა მხოლოდ სახელმწიფოს უსაფრთხოების საკითხს.
- ეს გულისხმობს და კიდევ ერთხელ ხაზს უსვამს სახელმწიფოების ვალდებულებას მათი მოქალაქეების უსაფრთხოების დაცვის შესახებ. ხალხის უსაფრთხოებაზე ფოკუსირება ზრდის სახელმწიფოების როლს თვიანთი მოქალაქეების უსაფრთხოების დაცვაში.
- ის აღიარებს ადამიანის უსაფრთხოების ურთიერთდაკავშირებულობას ფაქტთან, რომ ბევრი საკითხი სცდება სახელმწიფოს და სხვა საზღვრებს. პიროვნული უსაფრთხოების ბუნება ხაზს უსვამს დღევანდელ მსოფლიოში ხალხის ურთიერთდამოკიდებულებას და გვახსენებს, რომ ბევრ პრობლემას არა აქვს "პასპორტი" და ვერ შეჩერდება პოლიტიკურ საზღვრებზე. მაგალითად, განვითარებულ ქვეყნებში ქალები და მამაკაცები არ არიან იზოლირებული განვითარებად ქვეყნებში არსებული სიღარიბისაგან, რაც დასტურდება მიგრაციის და დაავადებების მაგალითზე, რომელთათვისაც არ არსებობს საზღვრები. განვითარებადი ქვეყნების მოსახლეობა რისკის ქვეშ არის ჩრდილოეთის ქვეყნების ქარხნების მიერ წარმოშობილი ინდუსტრიული დაბინძურების გამო.
- ის აღიარებს არასამთავრობო სექტორების მნიშვნელობას. მიწის ნაღმების საწინააღმდეგო საერთაშორისო კამპანია ხშირად მოყვანილია, როგორც არასამთავრობო ორგანიზაციების მიერ განხორციელებული ეფექტური ინიციატივა. "სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციები ეძებენ უფრო დიდ შესაძლებლობებს და დიდ პსუხისმგებლობას პიროვნული უსაფრთხოების დამკვიდრებისათვის. ბევრ შემთხვევაში არასამთავრობო ორგანიზაციები ძალიან ეფექტური პარტნიორი აღმოჩნდა ხალხის უსაფრთხოების დაცვის საქმეში" [33]
- ის მოითხოვს, რომ ადამიანის უფლებათა და ჰუმანიტარული უფლებების დარღვევის დამნაშავეებმა პასუხი აგონ. საერთაშორისო სისხლის სამართლის სასამართლოს და ასევე საერთაშორისო სისხლის სამართლის ტრიბუნალის შექმნა ყოფილი იუგოსლავიისა და რუანდასათვის განიხილება როგორც მნიშვნელოვანი წინსვლა პიროვნული უსაფრთხოების დამკვიდრებისათვის.
- ის ხაზს უსვამს უსაფრთხოების საკითხების სირთულეს და განსაკუთრებულ ყურადღებას უთმობს კომპლექსური გადაწყვეტილებების მოძიების აუცილებლობას. პიროვნული უსაფრთხოების სხვადასხვა

გამოყენებას შორის არსებობს შეთანხმება, რომ ის არის მრავალ-ასპექტიანი ცნება, რომელიც მოითხოვს კოორდინაციას და თანამშრომლობას მონაწილეთა ფართო სპექტრს შორის. ერთ-ერთი რეაქცია, რომელსაც ყველაზე დიდი მნიშვნელობა ენიჭება არის "მსუბუქი ძალის" გამოყენება, ანუ დარწმუნების ძალის, რომელიც არ არის კონცენტრირებული საომარ ძალაზე და ტექნიკაზე ("მძლავრი იდეები მძლავრი იარაღის ნაცვლად") [34]

პიროვნული უსაფრთხოება და ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენცია

თავისუფლებისა და უსაფრთხოების უფლება დაცულია ადამიანის უფლებათა ევროპის კონვენციის მე-5 მუხლის მიხედვით და ამ მუხლის მნიშვნელობა სწრაფად გახდა ნათელი ჯერ კიდევ ადრეულ შემთხვევებში, რომლებიც სტრასბურგის სასამართლოში განიხილებოდა. პირველი 10000 განცხადების თითქმის ერთი მესამედი მოდიოდა ინდივიდებზე, რომლებსაც თავისუფლება წაართვეს.

ეს მუხლი ეხება ფიზიკური თავისუფლების დაცვას და კერძოდ კი თვითნებური დაპატიმრების ან დაკავებისგან დაცვას. ის უზრუნველყოფს კონკრეტულ ბაზისურ პროცედურულ უფლებებს როგორიცაა: დაკავების მიზეზის დაუყოვნებლივ შეტყობინება, სასამართლოს წინაშე გათვალისწინებულ დროში წარდგენისა და გასაჩივრების უფლება, რომლის განმავლობაშიც სასამართლოს სწრაფად შეუძლია გადაწყვიტოს დაკავების კანონიერების ან დაპატიმრების აუცილებლობის საკითხები.

მე-5 თავის შემთხვევების მაგალითები, რომლებიც ევროპის ადამიანის უფლებათა სასამართლომ განიხილა მოიცავს:

1. ბოზანო საფრანგეთის წინაღმდეგ, 1986 წ. სასამართლომ დაადგინა, რომ დაპატიმრების და მოსარჩელის საფანგეთიდან შვეიცარიაში დეპორტაციის გარემოებები იყო უკანონო და არ შეესაბამებოდა პიროვნების უსაფრთხოების უფლებას.
2. ბროგანი და სხვები გაერთიანებული სამეფოს წინააღმედგ, 1998 წ. სასამართლომ დაადგინა, რომ ტერორიზმის პრევენციის კანონის თანახმად მოსარჩელეების დაკავებამ 4 დღეზე მეტი ვადით სასამართლოს გადაწყვეტილების გარეშე დაკავების კანონიერების შესახებ დაარღვია მათი უფლება სწრაფად ყოფილიყვნენ წარდგენილი სასამართლოს წინაშე.
3. დე ვილდი, ოომსი და ვერსიპი ბელგიის წინააღმდეგ, 1970/71 წწ. სასამართლომ დაადგინა, რომ მოსარჩელეების მათი მაწანწალობის საფუძველზე დაკავების კანონიერების გასაჩივრების პროცედურა არ აძლევდა მათ გარანტირებულ ხელმისაწვდომობას სასამართლოს დაცვის სფეროში, რათა გაესაჩივრებინათ ხანგრძლივი თავისუფლების აღკვეთა, რომელიც გრძელდებოდა 7 თვიდან 1 წელსა და 9 თვემდე.

გამოყენებული ლიტერატურა

K. Annan, "Two cincepts of sovereignty", 18 September 1999
გაეროს დებულება, www.un.org/peace
www.humansecuritynetwork.org
Lodgaard, S., "Human Security:concept and operationalization", Norvegian Institute of International Affairs, unpublished, 2000
Rotschild, E., "What is security?", DEADALUS, the journal of American Academy of Arts and Sciences, vol. 124, no.3, summer 1995
მოხსენება ადამიანის განვითარების შესახებ 1994წ-ს., გაეროს განვითარების პროგრამა, www.undp.org
კანადის საგარეო საქმეთა და საერთაშორისო ვაჭრობის სამინისტრო, www.dfait-maeci.gc.ca/foreignp/humansecurity

siRaribe

"ჩვენ არ უნდა გადავცეთ მომავალ თაობებს ეგოისტური ევროპა, რომელიც ბრმა და ყრუა სხვების გაჭირვების მიმართ".

ვაცლავ ჰაველი

სიღარიბე არის მსოფლიო პრობლემა და მისი მასშტაბები თანდათანობით იზრდება. არსებული ტენდენციის მიხედვით, ჩვენთ ის ასოცირდება ისეთ ადგილებთან, როგორიცაა ტროპიკული აფრიკა, აზია და ლათინური ამერიკა. მაგრამ სიღარიბე ასევე ახდენს გავლენას მილიონობით ადამიანზე ევროპაში. ევროკავშირის 400 მილიონი მცხოვრებიდან 60 მილიონი ცხოვრობს სიღარიბის ზღვარს ქვემოთ (რომელიც მიჩნეულია, როგორც ქვეყნის საშუალო შემოსავლის 50%) ხოლო 2.7 მილიონი ადამიანი უსახლკაროა. ესპანეთში მოსახლეობის 20% ცხოვრობს სიღარიბის ზღვარს ქვემოთ, ხოლო 4.5% უკიდურეს სიღატაკეში. ბრიტანეთის გაერთიანებულ სამეფოში ბავშვების 1/3 იზრდება სიღარიბეში.

siRaribe gardamaval periodSi

" (...) თითქმის ყველა სოციალისტურმა ქვეყანამ გამოსცადა სიღარიბის დონის მნიშვნელოვანი ზრდა გარდამავალ პერიოდში. და მაინც, სიღარიბე არ არის აბსოლუტუად ახალი ფენომენი და ის არ არის დაკავშირებული მხოლოდ გარდამავალ პროცესთან; სიღარიბე ადრეც არსებობდა საბჭოთა კავშირში და სოციალისტურ რეგიონში, მაგრამ პოლიტიკური და იდეოლოგიური მიზეზების გამო, ის არ იყო აღიარებული. სოციალური ჯგუფი, რომელსაც ადრე სიღარიბე არ ეხებოდა იყო საზოგადოებრივი დაწესებულებების მომსახურე პერსონალი, რომელთა ხელფასები და შემოსავალიც მკვეთრად შემცირდა გარდამავალ პერიდში. ამ რეგიონში უმუშევრობა არის სიღარიბის ერთ-ერთი ძირითადი მიზეზი." გაეროს განვითარების პროგრამა, 2001 წ.

სიღარიბე მსოფლიოში

"მდიდარ ქვეყნებში 100 ბავშვიდან 1%-ზე ნაკლები ვერ აღწევს 5 წლის ასაკს მაშინ, როდესაც უღარიბეს ქვეყნებში ბავშვების ერთი მეხუთედი იღუპება იგივე ასაკამდე. აგრეთვე, მაშინ, როდესაც მდიდარ ქვეყნებში 5 წლის ასაკამდე მთელი ბავშვების 5% იკვებება უხარისხოდ, ღარიბ ქვეყნებში ეს რიცხვი 50%-ს შეადგენს". მსოფლიო ბანკი, 2000წ.

სიღარიბის განსაზღვრება

აბსოლუტური სიღარიბე აფუძვნებს გადარჩენისთვის საჭირო მინიმალურ მოთხოვნებს. ამის მიხედვით იგულისხმება, რომ არსებობს მინიმალური სტანდარტები, რომლის ქვემოთაც ხალხი ხვდება "ღარიბთა" კატეგორიაში. ერთ-ერთი ყველაზე ხშირად გამოყენებული საზომი არის შემოსავლის დონე: როდესაც ადამიანის, ან ოჯახის შემოსავალი გარკვეული დონის, ნორმალური ცხოვრების სტანდარტისათვის მიჩნეული აუცილებელი მინიმუმის ქვემოთაა, ასეთი პიროვნება ან ოჯახი ღარიბად ითვლება.

შედარებითი სიღარიბის ქვეშ კონკრეტული ჯგუფის სტატუსი განისაზღვრება და იზომება სხვებთან შედარებით იგივე გარემოში, საზოგადოებაში ან ქვეყანაში. შესაბამისად, მას, ვინც ღარიბად ითვლება განვითარებულ ქვეყანაში, შეიძლება ჰქონდეს უფრო მაღალი შემოსავალი ვიდრე ნაკლებად განვითარებულ ქვეყანაში შეძლებულად მიჩნეულ ადამიანს. სიღარიბის მნიშვნელობა დამოკიდებულია მსოფლიოს თითოეული ქვეყნის ან რეგიონის ტრადიციებზე, სტანდარტებზე და ფასეულობებზე. ამ თვალსაზრისით, ასევე არსებობს სიღარიბის კულტუროლოგიური განზომილება.

დღესდღეობით ბევრი აღიარებს, რომ სიღარიბე არ მცირდება აუცილებლად ქვეყნის ეკონომიკურ ზრდასთან ერთად. ქვეყნებში, სადაც აღინიშნება ეკონომიკური ზრდა, სიღარიბე არ აღმოიფხვრა. მაგალითად, პოლონეთმა მნიშვნელოვან წარმატებას მიაღწია ეკონომიკურ სფეროში, მაგრამ სიღარიბე მაინც იზრდება. ფართოდ არის აღიარებული, რომ "სიღარიბე არის მრავალგანზომილებიანი ფენომენი, რომელიც შედგება მენტალური, პოლიტიკური, სოციალური და სხვა ასპექტებისაგან", მატერიალურ განზომილებასთან ერთად (ჩვეულებრივ გამოისახება ფულად ერთეულებში). მისი გამომწვევი ფაქტორები შეიძლება იყოს ეკონომიკური, სოციალური, პოლიტიკური ან ეკოლოგიური თავისებურებები. სიღარიბეს აქვს ბევრი სახე: ის შეიძლება იყოს ქალაქის ან სოფლის, მუდმივი ან დროებითი მდგომარეობა. ზოგი ადამიანი შეიძლება ღარიბი იყოს მთელი სიცოცხლის განმავლობაში, როცა სხვებმა შეიძლება თავი დააღწიონ მას. სიღარიბე არ არის სტატიკური მდგომარეობა.

არსებობს სიღარიბის კიდევ მნიშვნელოვანი განზომილება, რომელსაც ხშირად "სიღარიბის ფემინიზაციას" უწოდებენ. ეს ნიშნავს, რომ ღარიბებში ჭარბობენ ქალები, რაც დაკავშირებულია სხვა ფაქტორებთან ერთად პრეკონცეფციებთან ქალებთან მიმართებაში და სიღარიბის გენდერულ ასპექტებთან.

რა კავშირია სიღარიბესა და ადამიანის უფლებებს შორის?

ვენის დეკლარაცია და მოქმედების პროგრამა, რომელიც მიღებულ იქნა 1993 წლის ივნისში ვენის ადამიანის უფლებათა საერთაშორისო კონფერენციაზე, აცხადებს, რომ "ფართოდ გავრცელებული უკიდურესი გაჭირვება ხელს უშლის

შესატყვისი სავარჯიშოები

- *ბრძოლა სიმდიდირისა და ძალაუფლებისათვის*
- *სად დგახართ თქვენ?*
- *სიღარიბის ჰოროსკოპი*
- *გადადგი ნაბიჯი წინ*

"ეკონომიკური ზრდა აფართოებს ადამიანის მოთხოვნების დაკმაყოფილების მატერიალურ ბაზას, მაგრამ მათი დაკმაყოფილების ხარისხი დამოკიდებულია რესურსების გადანაწილებაზე ხალხში და შესაძლებლობების გამოყენებასა და განაწილებაზე, განსაკუთრებით ეს დასაქმებას ეხება".

მორეირა

მეოთხე საერთაშორისო ახალგაზრდული მოძრაობა

არის მეოთხე საერთაშორისო მოძრაობის ნაწილი. ეს ორგანიზაცია იბრძვის სიღარიბის წინააღმდეგ. www.atd-fourthworld.org

ადამიანის უფლებებით სრულად და ეფექტურად სარგელობას ... განსაკუთრებით ეკონომიკური, სოციალური და კულტურული უფლებებით" (მუხლი 14)

მნიშვნელოვანია იმის გაანალიზება, რომ ადექვატური ჯანდაცვის, განათლების, თანასწორობის, თავშესაფრის, და ა.შ. არარსებობა, რაც სიღარიბის და სოციალური გაუცხოების შედეგს წარმოადგენს, აბრკოლებს სამოქალაქო და პოლიტიკური უფლებებით სარგებლობას, რაც, თავის მხრივ, ხელს უშლის ადამიანებს მოითხოვონ თავიანთი ეკონომიკური, სოციალური და კულტურული უფლებების დაცვა. ეს არის ადამიანის უფლებათა განუყოფლობის ნათელი მაგალითი.

saerTaSoriso amnistia da ekonomikuri, socialuri da kulturuli uflebebi

„საერთაშორისო ამნისტიის" საერთაშორისო საბჭოს შეხვედრაზე, რომელიც შედგა 2001 წ. აგვისტოში, შეთანხმდნენ, რომ გაფართოებულიყო ორგანიზაციის მანდატი, რათა მას მოეცვა ადამიანის უფლებების ფართო სპექტრი. ამიერიდან ორგანიზაცია იმუშავებს არა მხოლოდ წამების წინააღმდეგ, ან სინდისის პატიმრების დასაცავად, არამედ ყველა ფორმის დისკრიმინაციის წინააღმდეგ მიუხედავად იმისა, ეხება ეს პოლიტიკურ და სამოქალაქო თუ ეკონომიკურ, სოციალურ და კულტურულ უფლებებს.

ღირშესანიშნავი თარიღები

17 ოქტომბერი
სიღარიბის აღმოფხვრის საერთაშორისო დღე

5 დეკემბერი
ეკონომიკური და სოციალური განვითარების საერთაშორისო მოხალისეობის დღე

გაეროს გენერალური ასამბლეის მიერ 1986 წ. 4 ნოემბერს მიღებული განვითარების უფლების დეკლარაცია არის პირველი საერთაშორისო დოკუმენტი, რომელიც ეხება ექსკლუზიურად განვითარების უფლებას. ის მჭიდროდ არის დაკავშირებული მეორე თაობის ადამიანის უფლებებთან, როგორც ეს აღწერილია ეკონომიკური, სოციალური და კულტურული უფლებების საერთაშორისო პაქტში. განვითარება განმარტებულია პირველ მუხლში, როგორც "გლობალური ეკონომიკური, სოციალური, კულტუროლოგიური და პოლიტიკური პროცესი, რომელიც აუმჯობესებს ხალხის და ყველა ადამიანის კეთილდღეობას მათ განვითარებაში და თავისუფალ გადანაწილებაში თავისუფალ, აქტიურ და მნიშვნელოვან მონაწილეობაზე დაყრდნობით." იგივე დეკლარაციის მუხლი 2 ხაზს უსვამს, რომ "ადამიანი არის განვითარების ძირითადი ობიექტი და იგი განვითარების უფლების აქტიური მოსარგებლე უნდა იყოს".

? ფიქრობთ რომ ყველა ხელშეკრულებას, რომელიც შეთანხმებულია მთავრობების მიერ, შეუძლია შეცვალოს სიღარიბის წინააღმდეგ ბრძოლის ეფექტურობა მთელს მოსფლიოში?

სოციალური განვითარების 1995 წლის მსოფლიო სამიტზე, რომელიც ცნობილია კოპენჰაგენის სამიტის სახელწოდებით, 185 ქვეყანამ იკისრა აბსოლუტური სიღარიბის აღმოფხვრის ვალდებულება და მიიღო კონკრეტული გეგმა და წინადადებები ამ მიზნით. მთავრობების და სახელმწიფოების მეთაურებმა მიიღეს დეკლარაცია და მოქმედების გეგმა, რომელიც ცნობილია, როგორც "კოპენჰაგენი+6" მაგრამ 2001 წლის სექტემბრისათვის არც ერთი მიზანი არ იყო სრულად შესრულებული.

არსებულ საერთაშორისო და რეგიონალურ დოკუმენტებს შეზღუდული გავლენა ჰქონდა სიღარიბის წინააღმდეგ ბრძოლაში. ერთ-ერთი მიზეზი არის ის, რომ ბევრი ასეთი დოკუმენტი არ მოიცავს ამ უფლებების განსამტკიცებელ მექანიზმებს. თუმცა ბოლო 50 წლის განმავლობაში მიღწეული იქნა პროგრესი ადამიანის უფლებათა სისტემის განვითარებაში და საერთაშორისო საზოგადოებამ აღიარა, რომ მდგრადი ადამიანური განვითარება არ არის შესაძლებელი ადამიანის უფლებების პატივისცემის გარეშე, ჯერ კიდევ არ არსებობს მკაფიო კავშირი

სიღარიბესა და ადამიანის უფლებებს შორის. ადამიანის უფლებათა უნივერსალური დეკლარაცია და 2 საერთაშორისო პაქტი ადამიანის უფლებების შესახებ თავის პრეამბულაში ეხება საჭიროებისაგან გათავისუფლებას, ხოლო შეთანხმება ადამიანის უფლებების შესახებ ითვალისწინებენ უფლებებს ადექვატური ცხოვრების პირობების, საკმარისი საკვების, ტანსაცმლის და საცხოვრებლის ჩათვლით.

evropis socialuri qartia

სიღარიბისაგან და სოციალური გაუცხოებისაგან დაცვის უფლების ეფექტურად გამოყენების მიზნით მხარეები იღებენ ვალდებულებას:

ა) მიიღონ ზომები ზოგადი და კოორდინირებული მიდგომის ფარგლებში, რათა ადამიანებისთვის და ასევე მათი ოჯახებისთვის, რომლებიც ცხოვრობენ ან არსებობს რისკი, რომ იცხოვრებენ სიღარიბისა და სოციალური გაუცხოების სიტუაციაში, უზრუნველყონ დასაქმების, საცხოვრებელი პირობების, პროფესიული მომზადების, განათლების, კულტურის და სოციალური და სამედიცინო დახმარების ეფექტური ხელმისაწვდომობა;

ბ) მოხდეს ამ ღონისძიებების გადასინჯვა იმ მიზნით, რომ აუცილებლობის შემთხვევაში მოხდეს მათი ადაპტირება ცვალებად პირობებთან

ევროპის სოციალური ქარტიის შესწორებული გამოცემა, მუხლი 30

დასკვნითი მოსაზრებები

ერთ-ერთი ყველაზე გავრცელებული პრეკონცეფცია, რომელიც ღარიბების შესახებ არსებობს არის ის, რომ ისინი აღმოჩნდნენ ამ სიტუაციაში რადგნაც ასე სურთ, ან იმიტომ, რომ ისინი ზარმაცები და უპასუხისმგებლოები არიან და არ მუშაობენ ისე, როგორც საჭიროა. ეს არის ღარიბებისათვის მთლიანი პასუხისმგებლობის დაკისრების მცდელობა მათი მდგომარეობის გამო. ეს მიდგომა პირდაპირ ეწინააღმდეგება ადამიანის უფლებათა კულტურას, რადგანაც ის ართმევს სოციალურად გაუცხოებულ ხალხს შესაძლელობას იცხოვრონ ღირსეულად და იყვნენ უფლებათა სუბიექტები. გარდა ამისა, ამგვარი მიდგომა ერთმანეთში ურევს სიღარიბის შედეგებს (ანტისოციალური ქმედება, ნარკოტიკების მოხმარება, სამუშაოზე უარის თქმა, ალკოჰოლის გამოყენება, და ა.შ.) და სიღარიბის გამომწვევ რთულ მიზეზებს.

ათასწლეულის დეკლარაციაში (2000 წ. სექტემბერი) საერთაშორისო საზოგადოებამ აიღო ვალდებულება სიღარიბის აღმოფხვრაზე და მიზნად დაისახა 2015 წლისთვის გაენახევრებინა მათი რაოდენობა, ვისი დღიური შემოსავალიც 1 აშშ დოლარზე ნაკლებს შეადგენს

იმისათვის, რომ სიღარიბე აღმოიფხვრას, ჩვენ უნდა ჩავწვდეთ მის ფესვებს და არა უბრალოდ წამიერ მოთხოვნებს. ეს მოითხოვს უდიდეს პოლიტიკურ ძალისხმევას, განსაკუთრებით სახელმწიფოების და საერთაშორისო ორგანიზაციების მხრიდან; ამდენად სიღარიბეს გააჩნია მნიშვნელოვანი პოლიტიკური ასპექტები.

> "სიღარიბის წინააღმდეგ ბრძოლა ღრმად პოლიტიკური საკითხია. სიღარიბე უმეტეს საზოგადოებებში გამოწვეულია ძალაუფლების, სიმდიდრის და შესაძლებლობების უთანასწორო გადანაწილებით." გაეროს განვითარების პროგრამის მოხსენება, 2001 წ.

? თქვენ თუ ეთანხმებით ამ განცხადებას?

სიღარიბესთან დაკავშირებული სოციალური მაჩვენებლების მაგალითები: უმუშევრობა და ახალგაზრდობა აღმოსავლეთ ევროპაში.

აქაც, ისევე როგორც დასავლეთში ახალგაზრდების უმუშევრობის დონე გაცილებით მაღალია ვიდრე უფროსი თაობის. 1999 წ. ცენტრალურ და აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნებში და დსთ-ში (27 ქვეყანა) 15-დან 24 წლამდე 65 მილიონი ახალგაზრდა აღირიცხებოდა. ახალგაზრდების 27% (18 მილიონი) არც სწავლობდა და არც დასაქმებული იყო. ახალგაზრდების უმუშევრობის საშუალო დონე 18 ქვეყნისათვის იყო 30%, რაც ქვეყანაში მთლიანი უმუშევრობის დონეზე 2-ჯერ მეტია. ახალგაზრდების უმუშევრობის დონე განსაკუთრებით მაღალია სამხრეთ-აღმოსავლეთ ევროპაში (71% ყოფილ იუგოსლავიის რესპუბლიკა მაკედონიაში, 61% ყოფილ იუგოსლავიაში და 35% ბულგარეთში), კავკასიაში (46% აზერბაიჯანში, 27% საქართველოში), და ცენტრალურ აზიაში (37% ყირგიზეთში, 33% ტაჯიკეთში). [42]

siRaribesTan brZolis erovnuli programis magaliTebi

ბავშვების სავალალო მდგომარეობა მოლდოვაში შემაშფოთებელია. ბევრი ოჯახის მთავარი შემოსავალი არის ბავშვთა მოკრძალებული დახმარება. ბოლო წლებში შეინიშნება ღარიბი ოჯახების ბავშვების კვების სტანდარტების გაუარესება, რასაც უარყოფითი გავლენა აქვს მათ ჯანმრთელობაზე და განვითარებაზე. შედეგად, მთავრობამ გადაწყვიტა შეემუშავებინა ბავშვთა სიღარიბესთან ბრძოლის სპეციალური პროგრამა როგორც ქვეყნის მოკლევადიანი სიღარიბის შემცირების პროგრამის ნაწილი. ეს ინიციატივა გვთავაზობს ღონისძიებების ფართო სპექტრს, რომელიც მიზნად ისახავს სოციალური დაცვის სისტემის დაარსებას ობოლი და ინვალიდი ბავშვებისათვის და ღარიბი ოჯახის შვილებისათვის.[43]

გამოყენებული ლიტერატურა

Bilan economique et sicial 2000, le Monde, Edition 2001

არჩევანი ღარიბებისათვის, გაეროს განვითარების პროგრამა, ნიუ იორკი, 2001

მოხსენება დამიანის განვითარების შესახებ 2001 წ-ს, გაეროს განვითარების პროგრამა, ნიუ იორკი, 2001

Moreira, C., Eradication of poverty in the world: an assessment on the threshold of the yaer 2000, Socila Watch, www.socwatch,org.uy, Uruguay, 2000

Pettiti, L., Meyer-Bitsch, P., "Human rights and extreme poverty", Human Rights, New Dimentions and Challenges, Ed. J. Symonides, UNESCO, Paris, 1998, pp.157-176

ექსპერტთა სემინარის მოხსენება ადამიანის უფლებების და უკიდურესი სიღარიბის შესახებ, 7-10 თებერვალი 2001წ., E/CN.4/2001/54/Add.1, გაეროს ადამინის უფლებების კომისია, ჟენევა, მარტი 2001წ.

The dimentions af poverty, Social Watch, www.socwatch,orguy, Uruguay, 1997

socialuri uflebebi

ევროპის სოციალური ქარტიის მოკლე მიმოხილვა

თუ ადამიანის უფლებათა ევროპის კონვენცია უზრუნველყოფს სამოქალაქო და პოლიტიკურ უფლებებს, ევროპის სოციალური ქარტია იცავს მოქალაქეების ეკონომიკურ და სოციალურ უფლებებს.

ევროპის სოციალური ქარტია მიღებულ იქნა 1961 წ. ევროპის საბჭოს მიერ და მას დაემატა სამი ოქმი 1988, 1991 და 1995 წწ. ქარტია და მისი 1988 წ. ოქმი უზრუნველყოფს უფლებების მთელ სპექტრს, რომელიც შეგვიძლია დავყოთ ორ კატეგორიად:

- სამუშაო პირობები, რომელიც მოიცავს ძალდატანებითი მუშაობის აკრძალვას, სამსახურებრივი დისკრიმინაციის დაუშვებლობას, პროფკავშირების უფლებებს, ბავშვთა მუშაობის აკრძალვას 15 წლის ასაკამდე და 15-18 წლის მუშახელის უფლებების დაცვას, ემიგრანტი მუშების თანასწორუფლებიანობას და ა.შ.
- სოციალური უფელებები, რომელიც მოიცავს ჯანმრთელობის, სოციალური დაცვის, სამედიცინო დახმარების, მოხუცების უფლებებს და ა.შ.

ევროპის სოციალური ქარტიის შესწორებული ვარიანტი მიღებულ იქნა 1996 წელს, ის ძალაში შევიდა 1999 წ. 1 ივლისს და გარკვეულწილად ცვლის 1961 წლის ქარტიას. ამ ახალ დოკუმენტში შერწყმულია 1988 წლის ოქმი და 1961 წლის ქარტია, ორივე დოკუმენტში შეტანილია რიგი ცვლილებები და ასევე ახალი

"როდესაც სამსახურზე ვფიქრობთ, ეს ნიშნავს საკუთარი ბედის კონტროლს, იმის ნაცვლად, რომ ველოდოთ წყალობას საიდანმე".

გარი სინაისი

„პროლეტარებს არაფერი აქვთ დასაკარგი თავიანთი ბორკილების გარდა. მათ მთელი სამყაროს შეძენა შეუძლიათ"

კარლ მარქსი

პუნქტები (მუხლი 24-31), რომლებიც უზრუნველყოფს ქალისა და მამაკაცის თანასწორობას, სამსახურიდან გათავისუფლების შემთხვევაში დაცვას, მოსამსახურეების ღირსების დაცვას სამუშაო ადგილებზე, სიღარიბისა და სოციალური გაუცხოებისაგან დაცვას, საცხოვრებელი პირობების ქონის უფლებას, დისკრიმინაციისაგან დაცვის უფლების გაფართოებას და ა.შ.

ქარტიას აქვს კონტროლის მექანიზმი, რომელიც ემყარება მოხსენებების წარდგენას ქვეყნაში მდგომარეობის შესახებ მონაწილე სახელმწიფოების მიერ (1991 წ. ოქმი) და კოლექტიური საჩივრის სისტემა (1995 წ. ოქმი), რომელიც პროფკავშირებს და არასამთავრობო ორგანიზაციებს საშუალებას აძლევს წარადგინონ კოლექტიური საჩივრები.

? როგორ ფიქრობთ, სოციალური უზრუნველყოფის სისტემა უნდა იყოს კერძო, თუ სახელმწიფო?

მუშაობის უფლება

შესატყვისი უფლებები

- ფრთხილად, ჩვენ ყველაფერს ვხედავთ
- გლობალიზაციის განმარტებითი ლექსიკონი
- სიღარიბის ჰოროსკოპი
- აშიკის ამბავი
- მოლაპარაკებები პროფკავშირებთან
- ამბავი ორი ქალაქის შესახებ
- სამსახური და ბავშვები
- განსხვავებული ხელფასები

მუშაობის უფლება, როგორც ერთ-ერთი სოციალური და ეკონომიკური უფლება, უზრუნველყოფილია საერთაშორისო დოკუმენტებში, როგორიცაა ადამიანის უფლებათა საყოველთაო დეკლარაცია (მუხლი 23), ეკონომიკური, სოციალური და კულტურული უფლებების საერთაშორისო პაქტი (მუხლი 6) და ევროპის სოციალური ქარტიის შესწორებული ვარანტი.

როდესაც სახელმწიფო აღიარებს მუშაობის უფლებას, ის არ იღებს ვალდებულებას უზრუნველყოს სამუშაოთი ყველა, ვისაც ამის სურვილი აქვს. ასეთი ვალდებულება "არაპრაქტიკული" იქნებოდა. ამის ნაცვლად, ის გულისხმობს, რომ სახელმწიფო ვალდებულია შექმნას ისეთი ეკონომიკური და სოციალური პირობები, რომელშიც შეიქმნება სამუშაო ადგილები.

მუშაობის უფლება მნიშვნელოვანია თავისთავად, მაგრამ ის ასევე მნიშვნელოვანია, როგორც ძირითადი გარანტია ადამიანის ღირსების პატივისცემისათვის რადგან, თუ, პირველ რიგში, არ იქნება გარანტირებული მუშაობის უფლება, სხვა ძირითადი უფლებების გამოყენება ფაქტობრივად შეუძლებელი იქნება.

ეს უფლება კონკრეტულად მოიცავს სამართლიანი, ან მისაღები სამუშაო პირობების ქონის უფლებას, დისკრიმინაციისაგან დაცვის უფლებას, სამართლიანი ანაზღაურების უფლებას და ფასიანი შვებულების, ასევე რაციონალური სამუშაო საათების და უსაფრთხო და ჯანმრთელი სამუშაო გარემოს უფლებას, რომელიც იცავს პიროვნების ფიზიკურ და გონებრივ სიჯანსაღეს. ეს გარანტიები აუცილებელია იმისათვის, რომ მოსამსახურეებს ჰქონდეთ საშუალება, დაიწყონ და გააგრძელონ შრომითი ცხოვრება ღირსეულ პირობებში. სამუშაო არ უნდა გახდეს აუტანელი ტვირთი, ან თვითმიზანი. სამუშაო უნდა იყოს საშუალება, რომ სულ მცირე, იყოს დაკმაყოფილებული ისეთი პირველადი მოთხოვნები, როგორიცაა საკვები, ტანსაცმელი, საცხოვრებელი და განათლება.

? როგორ ფიქრობთ, უმუშევრებმა უნდა მიიღონ სახელმწიფო დახმარება?

დასაქმება: ახალგაზრდული თვალთახედვით

სამსახურის ქონა გულისხმობს ბევრად უფრო მეტს, ვიდრე თავის რჩენის საშუალებას. ის, ასევე, არის ცხოვრებისეული გამოცდილების მიღების წყარო.

მუშაობის საშუალებით, ადამიანები (განსაკუთრებით ახალგაზრდები) ინვითარებენ ბევრ უნარ-ჩვევებს, ბაზისური ტექნიკური ჩვევებიდან პიროვნულ თვისებებამდე.

უმუშევრობა და ცუდი სამუშაო პირობები არის რთული ურთიერთდაკავშირებული საკითხების ნაწილი, რაც დაბრკოლებას უქმნის ხალხის სრულ განვითარებას და მათ მიერ თანდაყოლილი ღირსების შენარჩუნებას. ამ შედეგების ზოგიერთი მაგალითი მოიცავს უმუშევრების უუნარობას, უზრუნველყონ ადექვატური საცხოვრებელი პირობები მათთვის და მათზე დამოკიდებული პირებისათვის, დიდი რაოდენობით შავი ბაზრის სამუშაოების პოტენციურ შექმნას, რაც ამცირებს მუშახელის უსაფრთხოებას და მათ მიერ უფლებების დაცვის უნარს, და ფართო სოციალური უზრუნველყოფის პროგრამის საჭიროებას, იმისათვის რომ დახმარება გაუწიონ უმუშევრებს.

სკოლიდან სამსახურზე გადასვლა არის მნიშვნელოვანი პერიოდი ახალგაზრდების პიროვნული და პროფესიონალური განვითარებისათვის მთელი ცხოვრების მანძილზე. ახალგაზდულ ასაკში უმუშევრობის შედეგები შეიძლება სერიოზული იყოს. ახალგაზრდების უმუშვერობა ხშირად დაკავშირებულია სოციალურ პრობლემებთან, როგორიცაა ძალადობა, დანაშაული, თვითმკვლელობა და ალკოჰოლისა და ნარკოტიკების გამოყენება.

უმუშევრობის დონე ახალგაზრდებს შორის ხშირად უფრო მაღალია, ვიდრე ზრდასრულებში. ეს განსხვავება შეიძლება იყოს დიდი ან მცირე, ქვეყნის სპეციფიკური თავისებურებებიდან გამომდინარე.

ახალგაზრდებში უმუშევრობის მაღალ დონეს ბევრი მიზეზი აქვს: შრომის ბაზრის სეგმენტაცია, ტექნიკური და ორგანიზაციული ცვლილებები, რომელმაც მოიტანა უფრო მაღალი კვალიფიციურობის მოთხოვნა და შრომის ბაზრის კრიზისი, რომელიც გულისხმობს უფრო მკაცრ ზომებს უმუშევარი მუშახელისათვის.

umuSevrobis done zogierT evropul qveyanaSi[44]

ქვეყანა	ახალგაზრდების უმუშევრობა (%)	ზოგადი უმუშევრობა (%)
ხორვატია	31.4	9.9
გერმანია	10.7	9.9
ლატვია	25.5	13.8
რუსეთი	26.8	13.3
სლოვაკეთი	20.4	11.1
ესპანეთი	39.2	20.9
შვედეთი	11.2	5.3
ჰოლანდია	5.1	3.8
დიდი ბრიტანეთი	13.6	7.1

.

პროფკავშირები, სამუშაო მუშახელისათვის

პროფკავშირების ისტორია ძალიან ხანგრძლივია. ეჭვგარეშეა, რომ მუშაკების უფლებები თანდათან გაუმჯობესდა და პროფკავშირებმა გადამწყვეტი როლი შეასრულეს ამ პროცესებში.

mSromelTa dRe: 1 maisi

1 მაისი, მშრომელთა საერთაშორისო დღე, აღნიშნავს მშრომელთა ისტორიულ ბრძოლას მთელ მსოფლიოში. ეს დღე დაარსდა 8-საათიანი სამუშაო დღისთვის ბრძოლის დროს. 8-საათიანი სამუშაო დღის მოთხოვნის მოძრაობა სწრაფად იზრდებოდა, რადგან მუშებს აიძულებდნენ დღეში 10, 12 და 14 საათი ემუშავათ. 1986 წლის მაისის პირველი დღეებში აღინიშნა გაფიცვები და დემონსტრაციები აშშ-ს მასშტაბით. ჩიკაგოში, მაგალითად, დაახლეობით 900000-მა ადამიანმა მიიღო მონაწილეობა გამოსვლებში.

1 მაისის აღნიშვნა სწრაფად გახდა ყოველწლიური მოვლენა. მთელს მსოფლიოში უფრო და უფრო მეტი ქვეყნები აღნიშნავდნენ 1 მაისს. პირველად მისი აღნიშვნა მოხდა რუსეთში, ბრაზილიაში და ირლანდიაში 1891 წელს.

"წარმატებას მხოლოდ ნიჭით ვერ მიაღწევ. ღმერთი გვაძლევს ტალენტს, შრომა კი მას გარდაქმნის გენიაში".

ანა პავლოვა

პროფკავშირები არის მოსამსახურეთა ასოციაცია (ასევე არსებობს დამსაქმებელთა ასოციაცია) და მისი მთავარი მიზანია წარმოადგინოს მოსამსახურეთა უფლებები დამსაქმებელთა წინაშე. პროფკავშირების შექმნის და მასში გაწევრიანების უფლება არის ადამიანის ძირითადი უფლება. კარგად ფუნქციონირებადი და პრესტიჟული პროფკავშირები ხშირად არის დემოკრატიის და ადამიანის უფლებათა სტანდარტების კარგი მაჩვენებელი.

უკეთესი სამუშაო პირობებისათვის ბრძოლაში მონაწილეობის გარდა, პროფკავშირებს ყოველთვის ჰქონდა (და ახლაც აქვს) გადამწყვეტი როლი სოციალური მოძრაობების შექმნაში და სოციალური ცვლილებების განხორციელებაში. პროფკავშირების როლი განსხვავებულია მთელს ევროპაში. ზოგიერთ ქვეყანაში, სადაც ფაშისტური და კომუნისტური რეჟიმები არსებობდა, პროფკავშირები იყო, ან იქმნებოდა სახელმწიფო სტრუქტურების და პოლიტიკური ელიტის დაქვემდებარებაში და გადაქცეული იყო მათი მჩაგვრელი რეჟიმების ინსტრუმენტად. ამ ისტორიული რეალობის შედეგად, ბევრი კვლავ სკეპტიკურად არის განწყობილი პროფკავშირების როლისადმი და მხოლოდ ბოლო პერიოდში დაიწყეს ამ ქვეყნების მუშებმა მისი პოზიტიური როლის აღიარება მათი უფლებების დაცვის საკითხში. ევროპაში სხვა განსხვავებებიც არსებობს პროფკავშირების როლსა და ორგანიზაციასთან მიმართებით. უმეტეს ქვეყნებში პროფკავშირებს აქვთ კონფედერაციული სტრუქტურა.

Solidornosc (სოლიდარობა) იყო ახალი ეროვნული მოძრაობა, რომელიც მიმდინარეობდა მთელს ევროპაში 1980-იან წლებში.

მოძრაობა ოფიციალურად დაიწყო გდანსკის შეთანხმებაზე ხელისმოწერით 1980 წ. 31 აგვისტოს, რომელიც ითვალისწინებდა დამოუკიდებელი პროფკავშირების შექმნას და გაფიცვის უფლებას. რეალურად ეს დაიწყო როდესაც გემთმშენებელი ინდუსტრიის მუშებმა გადაწყვიტეს პროტესტი გამოეცხადებინათ 1970 წ. 14 დეკემბერს, რაც სასტიკად იქნა დარბეული პოლიციის მიერ. 1980 წ. ზაფხულში ბევრმა გაფიცვამ აჩვენა, რომ სოლიდარობის მოძრაობამ ფესვები გაიდგა, როგორც ძალამ სოციალური და დემოკრატიული ცვლილებებისათვის. სოლიდარობის წევრების რაოდენობამ 9 მილიონზე მეტს მიაღწია. კომუნისტური მთავრობის რეპრესიული პოლიტიკა აშკარა გახდა სოლიდარობის მიმართ, რომელიც ამის გამო იძულებეული იყო რამდენიმე წელი არალეგალურად ემუშავა.

ახალგაზრდები და პროფკავშირების წევრობა

ბოლო წლებში პროფკავშირებმა ბევრ ქვეყანაში განიცადა ახალგაზრდა წევრების რაოდენობის შემცირება. ბევრმა პროფკავშირულმა ორგანიზაციამ დააგვიანა რეაგირება ახალგაზრდების პრობლემებზე და ვერ მოახერხა ისეთი დღის წესრიგის ფორმულირება, რომელიც მოიზიდავდა საკმარისი რაოდენობით ახალგაზრდებს, რათა შეევსოთ ტრადიციული მომხრეების შემცირებული

"შრომა გასწავლით თქვენ რა უნდა გააკეთოთ".

ესტონური ანდაზა

რაოდენობა. შედეგად, ამჟამად ბევრი პროფკავშირი ქმნის სამუშაო გეგმას, რომელიც ითვალისწინებს ახალგაზრდა მუშების და ასევე შესაბამისი სტრუქტურების მოთხოვნებს და რეალობას, რათა ითანამშრომლოს ამ სექტორთან. ზოგმა, მაგალითად, პროფკავშირების ევროპის კონფედერაციამ და თავისუფალი პროფკავშირების საერთაშორისო კონფედერაციამ დააარსა ახალგაზრდული კომიტეტები.

? ხართ პროფკავშირების წევრი? ყოფილხართ როდესმე?

- 1988-1997 წლებში გერმანიის პროფკავშირების საბჭოს შემადგენლობაში მყოფმა პროფკავშირებმა დაკარგეს არანაკლებ 609 407 ახალგაზრდა წევრი, ანუ ახალგაზრდა წევრების 55,.2%
- 1987-1999 წლებში შვედეთში პროფკავშირების 16-24 წლის ახალგაზრდა წევრების რაოდენობა შემცირდა 62.7%-დან 46.7%-მდე.
- საბერძნეთში ახალგაზრდების 70.1%-მა გამოხატა უნდობლობა პროფკავშირების მიმართ, მაშინ როდესაც 22.9% არ ენდობოდა ჯარს და 40.6% არ ენდობოდა იურიდიულ სისტემას.“ [45]

ბავშვთა შრომა

დღესდღეობით ბავშვების სამუშაო ძალად გამოყენების პრობლემას დიდი ყურადღება ეთმობა. ბავშვები ჩართული არიან უამრავი სახის სამუშაოში, დაწყებული საშინაო საქმეებით, დამთავრებული მძიმე ინდუსტრიული წარმოებით. მომუშავე ბავშვების რაოდენობა შემაშფოთებელია.

ძნელია სტატისტიკის მონაცემების შეგროვება ბავშვთა მუშაობის შესახებ, უმეტეს შემთხვევებში მისი არალეგალური ბუნების გამო. გამოთვლების მიხედვით 5-დან 14 წლამდე ასაკის დაახლოებით 250 მილიონი ბავშვი მუშაობს; მათგან 120 მილიონი სრული, 130 მილიონი კი ნახევარი დატვირთვით.

ამ მთლიანი რაოდენობიდან დაახლოებით 61% (დაახლოებით 153 მილიონი) ცხოვრობს აზიაში; 32% (80 მილიონი) აფრიკაში, და 7% (17.5 მილიონი) ლათინურ ამერიკაში.

ბავშვთა შრომა ასევე არსებობს ბევრ განვითარებულ ქვეყანაში და განვითარებად აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნებში.

ევროპის სოციალური ქარტიის შესწორებული ვერსია განამტკიცებს ბავშვთა და ახალგაზრდების სამსახურებრივი დაცვის გარანტიებს იმ გარანტიებთან შედარებით, რომლებიც გათვალისწინებული იყო 1961 წ. ქარტიაში. მუხლი 7 (1) აცხადებს: "იმისათვის, რომ უზრუნველყოფილი იქნას ბავშვებისა და ახალგაზრდების უფლების ეფექტური დაცვა, მხარეები ვალდებულებას იღებენ: განისაზღვროს მუშაობის დაწყებისათვის საჭირო მინიმალურ ასაკად 15 წელი, გამონაკლისის დაშვება შესაძლებელია მხოლოდ მსუბუქი სამუშაოს შესრულების შემთხვევაში, რომელიც ზიანს არ აყენებს ბავშვის ჯანმრთელობას, მორალს ან განათლებას." შრომის სტანდარტების დამაარსებელი ძირითადი ორგანიზაცია, შრომის საერთაშორისო ორგანიზაცია, (WTO), დიდი ხანია თავის მოღვაწეობას უკავშირებს ბავშვთა შრომის აღმოფხვრას და, ამ მიზნით, მას მიღებული აქვს რეკომენდაციები და კონვენციები. ორი ძირითადი კონვენცია კონკრეტულად ეხება ბავშვთა შრომას.

2. შრომის საერთაშორისო ორგანიზაციის კონვენცია ბავშვთა შრომის ყველაზე მძიმე ფორმების შესახებ ძალაში შევიდა 2000 წელს. ბავშვთა შრომის აღმოფხვრის ადრეული მცდელობები წარუმატებელი აღმოჩნდა და

ზოგადი სიტუაცია მომუშავე ბავშვებისათვის კვლავ უარესდება. ამდენად, საერთაშორისო საზოგადოებამ "ნაბიჯ-ნაბიჯ" პრინციპით გადაწყვიტა პირველ ეტაპზე სრულიად გაეუქმებინა ბავშვთა შრომის ყველაზე მძიმე ფორმები. 2001 წლის ნოემბერში 108 ქვეყანამ მოახდინა ამ კონვენციის რატიფიკაცია.

3. შრომის საერთაშორისო ორგანიზაციის კონვენცია სამუშაოზე მიღების მინიმალური ასაკის შესახებ (1997) არის კიდევ ერთი მაგალითი. მუხლი 1 აცხადებს, რომ "ყველა წევრი (...) ვალდებულებას იღებს გაატაროს ბავშვთა შრომის ეფექტური გაუქმებისათვის შექმნილი ეროვნული პოლიტიკა და პროგრესულად გაზარდოს მუშაობის დაწყების მინიმალური ასაკი იმ დონემდე, რომელიც შეესაბამება ახალგაზრდების სრულ ფიზიკურ და მენტალურ განვითარებას."

შრომის საერთაშორისო ორგანიზაციის ერთ-ერთ უდიდეს პროგრამას, რომელიც ეძღვნება ბავშვთა შრომის აღმოფხვრას, ეწოდება ბავშვთა შრომის აღმოფხვრის საერთაშორისო პროგრამა. ბავშვთა უფლებების კონვენციის მუხლი 32 (1) აცხადებს, რომ "სახელმწიფო მხარეები აღიარებენ ბავშვის უფლებას, იყოს დაცული ეკონომიკური ექსპლოატაციისაგან და ნებისმიერი სამუშაოს შესრულებისაგან, რომელიც, სავარაუდოდ, სახიფათოა, ან წინააღმდეგობას უქმნის ბავშვის განათლებას, ან საზიანოა ბავშვის ჯანმრთელობისათვის, ფიზიკური, სულიერი, მენტალური, მორალური ან სოციალური განვითარებისათვის".

გლობალიზაცია დიდ გავლენას ახდენს სოციალურ უფლებებზე.[46] ეს პროცესი ამკვიდრებს პრაქტიკას, რომელიც ეჭვქვეშ აყენებს სოციალურ გარანტიებს, რომლებიც ზოგადად მიიჩნევა ბაზისური შრომის პირობების მინიმალურ ზღვარად. თავისუფალი საბაზრო ეკონომიკის დაარსებასთან ერთად, ბევრი კომპანია თვლის, რომ სოციალური დაცვის ნაკლებობა არის მიმზიდველი "შტრიხი" ინვესტიციებისათვის და დაბალფასიანი პროდუქციის წარმოებისათვის. ინდუსტრიების რელოკაცია იმ ქვეყნებიდან, სადაც გარანტიები სავალდებულოა, სხვა ქვეყნებში, რომლებიც არ აძლევიან ასეთ გარანტიებს მშრომელებს, საკმაოდ მომგებიანი ვარიანტია შემოსავლების გაზრდის თვალსაზრისით.

იმ კონტექსტში, სადაც კომპანიების უმეტესობის პრიორიტეტი არის მათი მოგების ზრდა თუნდაც სოციალური და შრომის უფლებების დარღვევის ხარჯზე, საერთაშორისო და რეგიონალური ადამიანის უფლებათა დოკუმენტები, რომლებიც უზრუნველყოფენ სოციალურ და ეკონომიკურ უფლებებს, ფუნდამენტურია მშრომელთა უფლებების დაცვისათვის.

შრომის საერთაშორისო ორგანიზაცია უდიდეს როლს ასრულებს ბავშვთა უფლებების განვითარებასა და გარანტირებაში და წვლილი შეაქვს სათანადო სტრუქტურების სწავლებასა და განვითარებაში მუშების უფლებების დამკვიდრების მიზნით. www.ilo.org

10-დან 14 წლამდე ასაკის მშრომელ ბავშვთა პროცენტული შემადგენლობა არის: ბანგლადეშში 30,1%, ჩინეთში 11,6%, ინდოეთში 14, 4%, პაკისტანში 17,7%, თურქეთში 24%, კოტ დივუარში 20,5%, ეგვიპტეში 11,2%, კენიაში 41,3%, ნიგერიაში 15,8%, სენეგალში 31,4%, არგენტინაში 4,5%, ბრაზილიაში 16,1%, მექსიკაში 6,7%, იტალიაში 0,4%, პორტუგალიაში 1,8%.

გამოყენებული ლიტერატურა

La Charte, ses protocoles, La Charte revisee, Edition du Conseil de l'Eirope. 1998

Conditions of employment in the European Socila Charter, Study compiled on the basis of the case law of European Committee of Social Rights, Council of Europe Publishing, 2000

Pascual. S., Waddington, J., Young people: the labour market and trade unions. ევროპის კონფედერაციის პროფკავშირების ახალგაზრდული საქმეების კომიტეტისათვის მომზადებული მოხსენება, European Trade Union Confederation Publication, May 2000

Silidarnost, www.solidarnost.org.pl

Taking steps; young people and social protection in the Eiropean Union, European Youth Forum

UNICEF (2000)„ახალგაზრდები ცვალებად საზოგადოებებში"; moxsenebebi regionaluri monitoringis Sesaxeb, No 7, Florence Innocenti Research Centre

United Nations, World Bank, ILO Policy, A global alliance for youth employment: recommendation of the High Level Panel of th United Nations Secretary-general/s Youth Employment network, www.un.org/esa/socdev/youthemployment/index.html

sporti

არის სპორტი ადამიანის უფლება? მკაცრი გაგებით პასუხი არის - არა! არცერთი ადამიანის უფლებათა დეკლარაცია, ან პაქტი არ შეიცავს სპეციფიკურ დებულებებს, რომელიც ითვალისწინებს ადამიანის უფლებას სპორტით დაკავების, ან სპორტის ხელმისაწვდომობის შესახებ. თუმცა სპორტი შეიძლება იყოს აღქმული, როგორც უფლებების ძირითადი ელემენტი როგორც განათლების, ასევე კულტურის სფეროში.

განათლების უფლება მოცემულია ადამიანის უფლებათა საყოველთაო დეკლარაციის 26-ე მუხლში და ეკონომიკური, სოციალური და კულტურული უფლებების საერთაშორისო პაქტის 13 –ე მუხლში. ის აცხადებს: "განათლება მიმართული უნდა იყოს ადამიანის პიროვნების და მისი ღირსების სრული განვითარებისაკენ და უნდა გააძლიეროს ადამიანის უფლებებისა და ფუნდამენტური თავისუფლებებისადმი პატივისცემა".

"სპორტი არის ადამიანის უფლება. ყველა ადამიანს უნდა ჰქონდეს შესაძლებლობა, მისდიოს სპორტს მისი საჭიროებებიდან გამომდინარე".

ოლიმპიური ქარტია, მე-8 პრინციპი

paraolimpiuri TamaSebi

პარაოლიმპიური თამაშები არის ათლეტური შეჯიბრი ინვალიდებისათვის, ამპუტირებული კიდურების მქონე ხალხის, მხედველობა-დარღვეული, ქვედა კიდურების დამბლის მქონე და ცერებრალური დამბლის მქონე ადამიანების ჩათვლით. "პარაოლიმპიური თამაშები ორგანიზებული იქნა 1948 წ. სტოკ მანდევილის საავადმყოფოში, ეილსბერში, ინგლისში (...) 1952 წ. დასაწყისში. პარაოლიმპიური თამაშების ჩატარების წლები ემთხვევა ოლიმპიურისას. ზამთრის პარაოლიმპიური თამაშები პირველად ჩატარდა 1976 წ. 1992 წ. ბარსელონაში ჩატარებულ ზაფხულის პარაოლიმპიურ თამაშებში მონაწილეობდა 3 500 ათლეტი 82 ქვეყნიდან. პირველი ჭეშმარიტი პარალელი ოლიპმიურ თამაშებთან გაივლო 1988 წ. სეულში, სამხრეთ კორეაში, სადაც ათლეტებს ჰქონდათ პარაოლიმიური სოფელი და იყენებდნენ ოლიმპიურ სტადიონებს შეჯიბრისათვის. (..) პარაოლიმპიური თამაშები აღიარებულია საერთაშორისო ოლიმპიური კომიტეტის მიერ და იმართებოდა საერთაშორისო პარაოლიმპიური კომიტეტის მიერ."[47]

შესატყვისი სავარჯიშოები

- ერთი წუთით
- სპორტი ყველასათვის
- ითამაშე

სპორტის საშუალებით ადამიანები ვითარდებიან ფიზიკურად და ინტელექტუალურად. სპორტულ ღონისძიებებში მონაწილეობა ამაღლებს თვითშეფასებას; ის იძლევა თვითრელიზაციის და პატივისცემის დამსახურების შესაძლებლობას. ეს განსაკუთრებით ეხება ინვალიდებს, რომლებიც მონაწილეობენ პარაოლიმპიურ თამაშებში.

რაც შეეხება ბავშვებს, ბავშვთა უფლებების კონვენცია აცხადებს, რომ ბავშვის განათლება მიმართული უნდა იყოს "... ბავშვის პიროვნების, ტალანტის და გონებრივი და ფიზიკური შესაძლებლობების განვითარებისაკენ მათი სრული პოტენციალის შესაბამისად", ხოლო მუხლი 31 ეხება დასვენებისა და გართობის უფლებას, თამაშებში მონაწილეობას და გართობას ბავშვის ასაკის შესაბამისად.

ყველას უფლება, მონაწილეობა მიიღოს კულტურულ ცხოვრებაში მოცემულია ადამიანის უფლებათა საყოველთაო დეკლარაციის 27-ე მუხლში და ეკონომიკური, სოციალური და კულტურული უფლებების საერთაშორისო პაქტის მე-15 მუხლში. ადამიანები სიამოვნებას იღებენ სხვადასხვა სახის სპორტისაგან – ფეხბურთი, ცურვა, ჭადრაკი, სუმო, ამერიკული ფეხბურთი – ნებისმიერი რამ!. სპორტი ეჭვგარეშეა რომ არის კულტურული ცხოვრების მნიშვნელოვანი ნაწილი ყველა ქვეყანაში და, ამდენად, შეიძლება იმის მტკიცება, რომ ყველას აქვს სპორტში მონაწილეობის უფლება, როგორც მაყურებელს, შეჯიბრის მონაწილეს ან მოთამაშეს.

თუმცა სპორტი ზოგადად არ არის აღიარებული როგორც ადამიანის უფლება, სპორტში მონაწილეობას და მისთვის მხარდაჭერას კავშირი აქვს ადამიანის უფლებებთან. სხვა გარემოებებში ის შეიძლება გამოყენებულ იქნას ადამიანის უფლებათა დამკვიდრებისათვის, ან თუნდაც მათი ხელყოფისათვის.

სპორტი პროპაგანდას უწევს ადამიანის უფლებებს

სპორტულ ღონისძიებებში მონაწილეობა ბადებს საერთო ინტერესებს და ფასეულობებს და ავითარებს დემოკრატიული მოქალაქეობისათვის საჭირო სოციალურ უნარ-ჩვევებს.[48] სპორტი აძლიერებს სოციალურ და კულტურულ ცხოვრებას ინდივიდების და საზოგადოებების დაახლოების გზით. ადგილობრივი, ან ეროვნული გუნდები ხშირად არის მრავალეროვნული, ან მრავალრელიგიური და მაყურებლებიც სხვადასხვა წრის წარმომადგენლები არიან. ამიტომაც, სპორტი ხელს უწყობს განსხვავებების გადალახვას, დიალოგის წახალისებას და, შესაბამისად, პრეკონცეფციების, სტერეოტიპების, კულტუროლოგიური განსხვავებების, უცოდინრობის, შეუწყნარებლობის და დისკრიმინაციის აღმოფხვრას.

ფეხბურთის მოყვარულთა ღია სკოლები

ფეხბურთის მოყვარულთა ღია სკოლები არის 2 დანიური არასამთავრობო ორგანიზაციის – კულტურათაშორისი პროექტის ასოციაციისა და დანიის ლტოლვილთა საბჭოს მიერ დაარსებული ჰუმანიტარული არაკომერციული კონსორციუმი. მიზანი არის საზოგადოებრივი სპორტის კულტივირება, რომელიც ხასიათდება ადგილობრივ საზოგადოებაზე ორიენტირებით, დემოკრატიული პრინციპებით, მოხალისეობით, მშობლების მხარდაჭერით და მისი ძირითადი პრინციპი არის "სპორტი ყველასათვის". სურვილი არის, ყველა პროგრამაში მონაწილე ფეხბურთის კლუბისათვის ინვენტარის დარიგება. ეს ასევე არის სტიმული სკოლებისათვის,- რათა დაარსონ თავიანთი კლუბები ყველა ბავშვისა და ახალგაზრდისათვის მათი უნარ-ჩვევების, სქესის, ან ეთნიკური თუ სოციალური წარმომავლობის მიუხედავად.

ბოლო 2 წლის განმავობაში ფეხბურთის მოყვარულთა ღია სკოლებმა განახორციელეს 15 ქუჩის ღია ღონისძიება. ეს არის "სპორტული თამაშების" მცირე ფესტივალი, რომელიც ღიაა ყველა ბავშვისათვის. ის გრძელდება 3-დან 5 საათამდე და ძირითადად გამოიყენება როგორც "გამხსნელი" ან "მადის აღმძვრელი" განსაკუთრებით რთულ ადგილებში. მაგ. 1999 წ. ქუჩის სპორტის პროგრამამ კოსოვოში დაარსა 140 ე.წ. „ქუჩის ოსტატის ქსელი" - 14-დან 18 წლამდე მოზარდები ორგანიზებას უკეთებენ ქუჩის სპორტს ყოველდღიურად მათ უბანში მცხოვრები ბავშვებისათვის. მათი გამოთვლებით დაახლოებით 6000 ყველა ასაკის ბავშვი მონაწილეობდა მათ პროგრამაში, მათგან უმეტესობა ყოველდღიურად. [49]

რაც შეეხება ქალთა დისკრიმინაციას, იმ ფაქტი, რომ ქალებს შეუძლიათ მონაწილეობა მიიღონ ე.წ. „მამაკაცურ სპორტში", როგორიცაა ფეხბურთი ან ძალისმიერი სამჭიდი, ანგრევს სხვადასხვა სახის სტეროტიპებს ქალების როლის და ქალებსა და მამაკაცებს შორის არსებული განსხვავებების შესახებ.

სპორტის მოღვაწეების სტატუსი ისეთია, რომ ისინი ხშირად არიან შერჩეული "კეთილი ნების ელჩებად" ჰუმანიტარული მისიების შესასრულებლად არაფორმალური განათლების საშულებებით. მაგ. რონალდო, ბრაზილიელი ფეხბურთის ვარსკვლავი არის "ძალა ცვლილებისათვის: საერთაშორისო შიდსის კამპანია ახალგაზრდებთან ერთად" საგანგებო წარმომადგენელი.

სპორტში შეიძლება ბოროტად იქნას გამოყენებული ადამიანის უფლებები

დოპინგის გამოყენება ალბათ არის ადამიანური ღირსების და ჯანმრთელობის ყველაზე ცნობილი ხელყოფა. ასევე არსებობს ჰორმონული პრეპარატებით მკურნალობის წინააღმდეგობრივი საკითხები და ქალი ათლეტების სექს-ტესტები, რაც უშუალო კავშირშია ადამიანის პატივის, ღირსების და პირადი ცხოვრების უფლებასთან.

სპონსორებმა შეიძლება ექსპლოატაცია გაუწიონ სპორტსმენებს და ამბიციურმა მშობლებმა კი შეიძლება ექსპლოატაცია გაუწიონ ბავშვებს, რომლებიც ავლენენ განსაკუთრებულ უნარს ადრეულ ასაკში. ინტენსიურმა წვრთნამ და შეჯიბრისათვის ზეწოლამ შეიძლება გამოიწვიოს სპორტული ტრამვები და რისკი შეუქმნას გონებრივ ჯანმრთელობას. ყველას აქვს უფლება იცოდეს პოტენციური რისკების და მაღალი საშემსრულებლო დონის პრივილეგიების შესახებ.

“tanvarjiSi: ubralod sporti Tu bavSvebis eqspluatacia?”

12 წლის ალექსანდრა ჰუჩი იყო ერთ-ერთი ნიჭიერი გოგონა მათ შორის, ვინც თავიანთ ახალგაზრდულ წლებს საწვრთნელ ბანაკებში ატარებენ და ოცნებობენ მსოფლიო ჩემპიონობაზე. ერთ დღეს, ვარჯიშის დროს, ის უეცრად დაეცა და გრძნობა დაკარგა. იგი 5 დღის შემდეგ გარდაიცვალა. მისმა პაწაწინა სხეულმა უბრალოდ ვერ გაუძლო დატვირთვას.

დიეტა და ფიზიკური გამოფიტვა ხშირად იწვევს ახალგაზრდა ტანმოვარჯიშეებში უფრო მეტ ტანჯვას, ვიდრე სიხარულს. “ტკივილი ჩემი ცხოვრების ნაწილია მას შემდეგ რაც ვარჯიში დავიწყე”, თქვა 10 წლის ვანგ შუომ CNN-სათვის მიცემულ ბოლო ინტერვიუში პეკინის საწვრთნელ ბანაკში ყოფნის დროს, სადაც ბავშვები თავიანთ “კარიერას” 3 წლის ასაკიდან იწყებენ. მარია პარდო, ესპანელი ტანმოვარჯიშე იწონის 43 კგ-ს და სიმაღლით არის 170 სმ.. [50]

სპორტული შესაძლებლობები ყოველთვის არ არის ყოვლისმომცველი და შეიძლება არსებობდეს დისკრიმინაციის ელემენტები რელიგიური ან კულტურული უმცირესობების მიმართ სპორტულ დარბაზებში დაშვების დროს. კომერციული ზეწოლა და ინტერესები ასევე შეიძლება იყოს დაკავშირებული ადამიანის უფლებების ხელყოფასთან, რაც ზიანს აყენებს ადამიანის ღირსებას. მაგ. ზოგიერთი მოთამაშე იღებს ქრთამს შეგნებული “პროფესიული დარღვევებისათვის” ფეხბურთში და კრიკეტში მატჩების შედეგების გაყალბებისათვის. არსებობს ადამიანის უფლებათა ხელყოფის სხვა საკითხებიც, რომლებიც უკავშირდება სპორტული ინვენტარის ინდუსტრიის გლობალიზაციას. ბევრ ქვეყანაში, როგორც ეროვნულ, ასევე ადგილობრივ სპრტულ ასოციაციებს შემუშავებული აქვთ თავიანთი პოლიტიკა სპორტული ტექნიკის და ტანსაცმლის მწარმოებელთა მიმართ სამუშაო სტანდარტების მოთხოვნების შესახებ. არსებობს კამპანიები, რომელთა მიზანია, აიძულონ მწარმოებლები, პატივი სცენ ადამიანის უფლებებს თავიანთ საწარმოებში, მაგალითად, “სუფთა ტანსაცმლის” კამპანია ევროპაში, ,,სპორტული ფეხსაცმლის“ კამპანია ჩრდილოეთ ამერიკაში, რათა აიძულონ სპორტის მოღვაწეები, როგორიცაა ტიგერ ვუდსი და ანდრე აგასი, შეწყვიტონ ექსპლოატაცური შრომით შექმნილი პროდუქციის რეკლამირება. [51]

სპორტი და პოლიტიკა

სპორტი დიდი ხანია გამოიყენება როგორც მშვიდობიანი პოლიტიკური აქცია უსამართლობის წინააღმდეგ. 1968 წ. მექსიკაში ჩატარებულ ოლომპიადაზე, ჯონ კარლოსმა და ტომი სმიტმა გამარჯვების აღსანიშნავ ცერემონიაზე გამოიყენეს ,,შავი ავაზების“ ცნობილი ტრადიციული მისალმება, რათა გამოეხატათ პროტესტი აშშ-ში შავკანიანთა დისკრიმინაციის წინააღმდეგ. აპარტეიდის ერაში ბევრი ქვეყანა უარს ამბობდა სამხრეთ აფრიკასთან სპორტულ ღონისძიებებში მონაწილეობაზე, რამაც მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანა ქვეყანაში მომხდარ პოლიტიკურ ცვლილებებში.

“kapoiera”

მე-16 საუკუნეში ბრაზილიაში ანგოლელმა მონებმა შეინარჩუნეს თავიანთი ტრადიციული ცეკვები და რიტუალები და შექმნეს მათგან “კაპოიერა”, ცეკვის ხელოვნება. მონათმფლობელები მათ უკრძალავდნენ ნებისმიერი სახის საბრძოლო ხელოვნებას, მაგრამ მათ შეძლეს შეენარჩუნებინათ ის, თითქოსდა, უვნებელი გასართობი ცეკვების სახით. მე-17 საუკუნეში “კაპოიერას” ხელოვნება კიდევ უფრო დაიხვეწა და გამოყენებულ იქნა კოლონიური ჩაგვრის წინააღმდეგ ათწლიან ბრძოლაში.

სპორტი ასევე შეიძლება იქნას ბოროტად გამოყენებული ეროვნული, ან პოლიტიკური მიზნებისათვის. მაგ. 1972 წ. მიუნხენის ოლიმპიური თამაშების დროს, 8 არაბი ტერორისტი შეიჭრა ისრაელის გუნდების შტაბში და მოკლა 2 ადამიანი. ასევე მოკლეს 9 მძევალი გერმანელი პოლიციის მიერ განხორციელებული წარუმატებელი ოპერაციის შემდეგ.

ოლიპმიური თამაშები დიდი ხანია გამოიყენება, როგორც ფორუმი ერებისათვის პოლიტიკური განცხადებების გასაკეთებლად. მაგ. აშშ-მა სხვა 65 არაკომუნისტურ ქვეყანასთან ერთად ბოიკოტი გამოუცხადა მოსკოვის თამაშებს 1980 წ. ავღანეთში საბჭოთა ჯარების შეყვანის გამო. შემდგომში, სსრკ-მა და მისმა 15 მოკავშირემ ბოიკოტი გამოუცხადეს ლოს-ანჟელესში ჩატარებულ ოლიმპიადას 1984 წ. უსაფრთხოების მომიზეზებით და იმის შიშით, რომ არ გაკეთებულიყო პოლიტიკური თავშესაფრის მოთხოვნები, რომლებიც შესაძლებელია დაეკმაყოფილებინათ.

? უნდა იყოს სპორტი და პოლიტიკა დაკავშირებუ;ლი?

იყო თუ არა სწორი ჩინეთის შერჩევა 2008 წლის ოლიმპიური თამაშების მასპინძელ ქვეყანად, კვლავ საკამათო საკითხად რჩება. ჩინეთს დიდი ხანია აკრიტიკებენ დემოკრატიის დაბალი დონის და ადამიანის უფლებათა დარღვევების გამო. რამდენიმე არგუმენტი, რომელიც შემოთავაზებული იყო პეკინის კანდიდატურის დაბლოკვის წინააღმდეგ იყო ის, რომ საერთაშორისო ფორუმებზე კვლავ გაგრძელდებოდა ჩინეთის კრიტიკა დისიდენტების დაკავების და სხვა ადამიანის უფლებათა დარღვევების გამო, ისევე როგორც ეს ხდება გაეროს ყოველწლიურ სხდომებზე ადამიანის უფლებების შესახებ. ხოლო ჩინეთის განცხადების დაკმაყოფილებამ ოლიმპიადის ჩატარების შესახებ შესაძლოა აიძულოს პეკინი მეტი ყურადღება მიაქციოს და გაითვალისწინოს ამგვარი კრიტიკა.

სპორტი და რასიზმი

რასიზმი სპორტში არ არის მხლოდ ფეხბურთთან და არც მხოლოდ ფერადკანიან მოთამაშეებთან დაკავშირებული ფენომენი. მან შეიძლება გავლენა იქონიოს ყველა სახის სპორტზე და თავი იჩინოს სხვადასხვა დონეზე, ისევე როგორც მედიაში. ის განსაკუთრებით შეიძლება აღმოცენდეს ადგილობრივ დონეზე, ინტერაქტიულ მოთამაშეებს, გუნდებს, მწვრთნელებს, და მაყურებელს შორის, ან მათ წინააღმდეგ და ასევე მსაჯების წინააღმდეგ (როგორც შედეგი სხვადსხვა რეალური თუ მოგონლი მიზეზებისა, მაგ: კანის ფერი, რელიგია, ნაციონალური ან ეთნიკური წარმომავლობა). ის შეიძლება გამოვლინდეს გუნდების, ან ადამიანთა ჯგუფების შეურაცყოფაში.

სპორტში რასიზმთან ბრძოლაზე პასუხისმგებლობა ეკისრება ყველას, სახელმწიფო სტრუქტურებს (საკანონმდებლო ხელისუფლება, სასამართლოები, პოლიცია, სამთავრობო და რეგიონალური სტრუქტურები) და არასამთავრობო ორგანიზაციებს (პროფესიული და მოყვარულთა ეროვნული სპორტის ასოციაციები, კლუბები, ადგილობრივი სპორტის ასოციაციები, მხარდამჭერთა კლუბები, მოთამაშეთა ორგანიზაციები, ანტი-რასისტული ასოციაციები და ა.შ.).

? რა შეგიძლიათ გააკეთოთ თქვენს კლუბში ან სკოლაში, რათა თქვენს მიერ არჩეული სპორტის სახეობა იყოს ყველასთვის ხელმისაწვდომი და ხელს უწყობდეს ადამიანის უფლებების განვითარებას?

rasizmis gamovlenis faqtebi

2001 წ. 21 სექტემბერი. გუშინ ბელგრადში უეფას თასის გათამაშების დროს ადგილობრივი საფეხბურთო კლუბ „პარტიზანის“ და ვენის კლუბ „რაპიდს“ შორის გამართულ მატჩზე არაერთხელ დაფიქსირდა რასისტული ლოზუნგები „რაპიდის“ ბომბარდირის გასტონ ტაუმენტმენის მისამართით. მატჩის წინ მიცემულ ინტერვიუში გასტონ ტაუტმენმა, რომელიც წარმოშობით სურინამელია, განაცხადა: „თუკი რასისტულ გამოხტომებს ადგილი აქვს ...., არ შეიძლება რასიზმს დუმილით შევხვდეთ”

რასისტების საქციელი ფეხბურთის მატჩებზე მშვენიერ თემას წარმოადგენს ადამიანის უფლებათა რეალიზაციასთან დაკავშირებულ დილემათა განსახილველად.

? უნდა აეკრძალოს, თუ არა ხულიგნობაში ეჭვმიტანილ გულშემატკივარს მოგზაურობა სხვა ქვეყანაში მატჩზე დასასწრებად? არის ეს მისი თავისუფალი გადაადგილების უფლების დარღვევა?

ახალგაზრდობა და სპორტი

ერთ-ერთი მაგალითი, თუ როგორ იბრძვიან ახალგაზრდები ადამიანის უფლებებისათვის არის “ფეხბურთი ევროპაში რასიზმის წინააღმდეგ”, რომელიც იბრძვის, ფეხბურთის საშუალებით, ფეხბურთის სფეროში არსებული რასობრივი დისკრიმინაციის წინააღმედეგ: სტადიონზე და მათ გარშემო, გასახდელში, საწვრთნელ მოედანზე, ოფისში და საკლასო ოთახში; იბრძვის რასიზმის გამოვლენის წინააღმდეგ ფეხბურთის მოყვარულების, მოთამაშეების, მენეჯერების, მწვრთნელების, ადმინისტრატორების, ან მასწავლებლების მხრიდან.

ზემოთხსენებული „სპორტული ფეხსაცმლის“ კამპანიასთან დაკავშრებით აშშ-ს სტუდენტური მოძრაობა მოითხოვს სპორტულ სპონსორებისაგან, რომ კომპანიებმა დაიცვან „ქცევის კოდექსი“, თუკი არ სურთ დაკარგონ მათ კოლეჯებთან სპორტული ინვენტარით მომარაგების შესახებ დადებული კონტრაქტი.

ევროპის საბჭოს მუშაობა

ახალგაზრდობისა და სპორტის დირექტორატი არის განათლების, კულტურის, ახალგაზრდობის და სპორტის და ეკოლოგიის გენერალური დირექტორატის ნაწილი. ის ავითარებს მიმართულებებს, პროგრამებს და სამართლებრივ დოკუმენტებს ერთიანი და ეფექტური ახალგაზრდული პოლიტიკის გატარებისათვის ადგილობრივ, ეროვნულ, და ევროპულ დონეზე. ის უზრუნველყოფს დაფინანსებას და განათლების მხარდაჭერას საერთაშორისო ახალგაზრდული ღონისძიებებისათვის, რომელიც მიზნად ისახავს ახალგაზრდობის, ახალგაზრდული მოძრაობის და ადამიანის უფლებათა ფასეულობების, დემოკრატიისა და კულტურული პლურალიზმის დამკვიდრებას.

ევროპის საბჭოს სპორტის განვითარების კომიტეტმა წამოიწყო სხვადასხვა ღონისძიებები ჯანსაღი ცხოვრების სტილის დასამკვიდრებლად და სპორტში მონაწილეობის ასამაღლებლად, მაგ. ინდივიდუალური სპორტული მომზადების ტესტები ბავშვებისა და უფროსებისათვის. 1989 წელს მიღებული ანტი-დოპინგური კონვენციის და ევროკავშირთან თანამშრომლობის ბაზაზე შეიქმნა “სუფთა სპორტის მეგზური” – საგანმანათლებლო და საინფორმაციო პაკეტი სკოლებისა და სპორტული ორგანიზაციებისათვის. 1986 წ. შეიქმნა სპორტული ღონისძიებების მაყურებელთა აგრესიულობის და ხულიგნური ქცევის კონვენცია.

სპორტთან დაკავშირებული საერთაშორისო დოკუმენტები და საერთაშორისო დღეები

- 1975 წ. ევროპული ქარტია „სპორტი ყველასათვის“. მუხლი 1 უზრუნველყოფს ყველა ადამიანის უფლებას სპორტში მონაწილეობისათვის.
- 1975 წ. ევროპის სპორტისა და ეთიკის სოციალური ქარტია ითვალისწინებს, რომ სპრტული ინვენტარისა და სპორტული ღონისძიებების ხელმისაწვდომობა უზრუნველყოფილი უნდა იყოს ყოველგვარი დისკრიმინაციის გარეშე.
- 1978 წ. ფიზიკური განათლების და სპორტის ქარტია, მუხლი 1: “ყველა ადამიანს აქვს უფლება, მიიღოს ფიზიკური და სპორტული განათლება, რაც უმნიშვნელოვანესია მათი პიროვნების სრული განვითარებისათვის”.
- 1979 წ. გაეროს კონვენცია ქალების წინააღმდეგ ყველა სახის დისკრიმინაციის აღმოფხვრის შესახებ. ქალების დისკრიმინაციისაგან დაცვის მნიშვნელობა სპორტში განსაკუთრებით არის ხაზგასმული. სახელმწიფოები ვალდებული არიან, უზრუნველყონ ქალების სპორტულ ღონისძიებებში, კულტურული ცხოვრების ყველა ასპექტში მონაწილეობის და დასვენების უფლება
- 1985 წ. საერთაშორისო კონვენცია სპორტში აპარტეიდის წინააღმდეგ.
- ინვალიდების საერთაშორისო დღე, 3 დეკემბერი
- თამბაქოს საწინააღმდეგო საერთაშორისო დღე - 31 მაისი და მსოფლიო ჯანდაცვის დღე - 7 აპრილი.

ღირშესანიშნავი თარიღი

3 დეკემბერი
ინვალიდების საერთაშორისო დღე

31 მაისი
თამბაქოს საწინააღმდეგო საერთაშორისო დღე

7 აპრილი
ჯანდაცვის დღე

გამოყენებული ლიტერატურა

ევროპის საბჭო, ახალგაზრდული საქმეების და სპორტის დირექტორატი, www.coe,fr/youth/home.htm

როგორ თამაშობთ თამაშებს: სპორტის წვლილი ადამიანის უფლებების განვითარებაში. სიდნეის კონფერენცია, 1-3 სექტემბერი 1999წ. http://members.ozemail.com.au/~hrca/sport_and_human_rights.htm

ი. სიმონიდესი, სპორტი ადამიანის უფლებების სამსახურში, განათლებისა და სპორტის საერთაშორისო კონფერენცია მშვიდობიანი კულტურის ინტერესებში, UNESCO, პარიზი, საფრანგეთი, 5-7 ივლისი 1999წ.

კამპანია „სპორტული ფეხსაცმელი“, www.heartland-cafe.com/aup/aup.html

janmrTeloba

"ჯანმრთელობა არის სრული ფიზიკური, გონებრივი და სოციალური სიჯანსაღის მდგომარეობა და არა უბრალოდ დაავადების ან ავადმყოფობის და სიკვდილიანობის არარსებობა".

მსოფლიო ჯანდაცვის საზოგადოება

ჯანმრთელობა არის სოციალური, ეკონომიკური, პოლიტიკური და ამავე დროს ადამიანის უფლებებთან დაკავშირებული საკითხი. უთანასწორობა და სიღარიბე არის ცუდი ჯანმრთელობის და ასევე ღარიბებისა და გაუცხოებული ადამიანების სიკვდილიანობის საფუძველი. მოხსენება მსოფლიო ჯანდაცვის მდგომარეობის შესახებ წარმოადგენს ავადმყოფობის და სიკვდილიანობის კლასიფიკაციას დანომირილი კოდებით. მსოფლიოს მასშტაბით, ამ მოხსენების მიხედვით სიკვდილიანობის პირველი მიზეზი შეესაბამება ციფრს: 259.5, რაც ნიშნავს უკიდურეს სიღარიბეს. ეს უკვე მანკიერ წრედ იქცა: სიღარიბე იწვევს დაავადებებს, რომელიც თავის მხრივ იწვევს უფრო მეტ სიღარიბეს.

ბოლო ათწლეულებში მსოფლიოში მიმიდინარე ეკონომიკურმა ცვლილებებმა უდიდესი გავლენა მოახდინა ხალხის ჯანმრთელობაზე და მათ მიერ ჯანდაცვისა და სოციალური მომსახურებით სარგებლობაზე. მსოფლიო რესურსები თანდათან მეტად კონცენტრირდება მცირერიცხოვან ეკონომიკურ მოთამაშეთა ხელში, რომლებიც ცდილობენ მაქსიმალურად გაზარდონ თავიანთი მოგება. ეკონომიკური და ფინანსური პოლიტიკა თანდათან აქტიურად ხორციელდება მთავრობებისა და საერთაშორისო ორგანიზაციების მცირე ჯგუფის მიერ, როგორიცაა მსოფლიო ბანკი, საერთაშორისო სავალუტო ფონდი და მსოფლიო სავაჭრო ორგანიზაცია. ამ ორგანიზაციების პოლიტიკა მრავალეროვნული კომპანიების საქმიანობასთან ერთად მძიმე გავლენას ახდენს ადამიანთა სიცოცხლეზე, ჯანმრთელობაზე და კეთილდღეობაზე, როგორც სამხრეთ, ასევე ჩრდილოეთ ნახევარსფეროში.

ისე, როგორც არასდროს, სიკვდილიანობასა და ავადმყოფობას მიეცა უსამართლობისა და უთანასწორობის სახე. მსოფლიო მოსახლეობის 75%

შესატყვისი სავარჯიშოები

- *საშინაო საქმეები*
- *წამლების ხელმისაწვდომობა*
- *ცხოვრება სრულყოფილ სამყაროში*
- *ვისაუბროთ სექსზე*
- *ბაღი ერთ ღამეში*
- *სპორტი ყველასათვის*

ცხოვრობს განვითარებად ქვეყნებში და ისინი მსოფლიო ფარმაცევტული ბაზრის მხოლოდ 8%-ს წარმოადგენენ. უფრო მეტიც მსოფლიო მოსახლეობის 1/3-თვის არ არის ხელმისაწვდომი ყველა ძირითადი მედიკამნეტი.

შიდსი და ადამიანის უფლებები

შიდსი არის ნათელი მაგალითი. მაშინ, როდესაც მდიდარ ქვეყნებში შიდსით დაავადებულ ადამიანებს შეუძლიათ უფრო კარგად და უფრო დიდხანს ცხოვრება ანტი-რეტროვირუსული მედიკამნეტების წყალობით, რომელიც ზოგიერთ სახელმწიფოში უფასოა, ან ხელმისაწვდომი ფასი აქვს, სამხრეთ ქვეყნებში შიდსით დაავადებული ადამიანები უბრალოდ იღუპებიან მკურნალობის შეუძლებლობის გამო. ამ ქვეყნებში უმეტეს შემთხვევაში ჯანდაცვის ყოველწლიური ხარჯი ერთ სულზე შეადგენს დაახლოებით 10 აშშ დოლარს.

გაეროს ადამიანის უფლებათა კომისიამ, შიდსისა და ადამიანის უფლებათა შესახებ მოხსენებაში, გამოყო შემდეგი ადამიანის უფლებები, რომლებიც მჭიდროდაა დაკავშირებული მსოფლიოში შიდსის გავრცელების პრობლემასთან:[29]

- ქორწინებისა და ოჯახის შექმნის უფლება. გაეროს ადამიანის უფლებათა კომისიის შიდსისა და ადამიანის უფლებათა შესახებ მოხსენებაში ნათქვამია: "ნათელია, რომ შიდსით დაავადებული ადამიანების უფლება ირღვევა ქორწინებამდელი სავალდებულო ტესტებით და/ან "შიდსის არქონის დამადასტურებელი სერტიფიკატის", როგორც სახელმწიფო კანონმდებლობის მიხედვით ქორწინების ლიცენზიის მიღების წინაპირობის, მოთხოვნით. ამასთანავე, შიდსით დაავადებული ქალების იძულებითი აბორტი ან სტერილიზება არღვევს ადამიანის უფლებას ოჯახის შექმნის შესახებ, ისევე როგორც თავისუფლების და პიროვნული ხელშეუხებლობის უფლებებს".
- ბავშვების და ახალგაზრდების უფლებები შეიძლება ასევე დადგეს საფრთხის ქვეშ. "ამ უფლებათაგან ბევრი, როგორიცაა ტრეფიკინგისაგან, პროსტიტუციისაგან, სექსუალური ექსპლოატაციისაგან და ძალადობისაგან დაცვა უკავშირდება შიდსის პროფილაქტიკას, მკულრნალობას და ბავშვების დაცვას, რადგანაც ბავშვების წინააღმდეგ სექსუალური ძალადობა სხვა ფაქტორებთან ერთდა ზრდის მათ დაუცველობას შიდსის ვირუსით დაავადების თვალსაზრისით. ყველა სახის ინფორმაციის და იდეების მოძიების, მიღების და გაცემის თავისუფლება და განათლების უფლება უზრუნველყოფს ბავშვთა უფლებას მიიღონ და გასცენ ყველა შიდსთან დაკავშირებული ინფორმაცია, რომელიც მათ სჭირდებათ, რათა თავი დაიცვან ინფექციისაგან და გაუმკლავდნენ ინფიცირებულის სტატუსს".
- "პირადი ცხოვრების უფლება მოიცავს ფიზიკური პირადულობის მდგომარეობის საიდუმლოების დაცვას და ინფორმაციის პირადულობის დაცვის ვალდებულებას, დაავადებული ადამიანის ტესტირებასთან დაკავშირებული ყველა სახის ინფორმაციის კონფიდენციალურობის დაცვის ჩათვლით. განსაკუთრებით დიდია შიდსით დაავადებულთა ინტერესი კონფიდენციალურობის დაცვის საკითხისადმი, პირველ რიგში სავალდებულო სამედიცინო შემოწმების იძულებითი ხასიათის გამო და მეორეც, იმ სირცხვილისა და დისკრიმინაციის გამო, რომელიც ადამიანს მოელის, თუ ინფორმაცია მისი შიდსით დაავადების შესახებ ცნობილი გახდება პირად ცხოვრებაში ჩარევის და კონფიდენციალურობის დარღვევის შედეგად. საზოგადოებას გააჩნია პირადულობისა და კონფიდენციალურობის

ღირშესანიშნავი თარიღები

1 დეკემბერი
შიდსის წინააღმდეგ ბრძოლის საერთაშორისო დღე

7 აპრილი
ჯანდაცვის საერთაშორისო დღე

დაცვის ინტერესი, რათა ადამიანებმა თავისუფლად იგრძნონ თავი ჯანდაცვის მომსახურებით სარგებლობის დროს".

- განათლების უფლება: "ეს უფლება მოიცავს სამ ფართო კომპონენტს, რომელიც გამოიყენება შიდსთან მიმართებაში. პირველი, როგორც ბავშვებს ასევე უფროსებს, აქვთ უფლება მიიღონ შიდსთან დაკავშირებული განათლება განსაკუთრებით პრევენციასთან და მკურნალობასთან დაკავშირებით. ამ სფეროში განათლების ხელმისაწვდომობა არის ეფექტური პრევენციის და მკურნალობის პროგრამების უმნიშვნელოვანესი კომპონენტი.
- სახელმწიფოს მოვალეობაა ყველა კულტურულ და რელიგიურ ტრადიციაში უზრუნველყოს სათანადო საშუალებების მოძიება, რათა საგანმანათლებლო პროგრამებში ჩართული იქნას ეფექტური ინფორმაცია შიდსთან დაკავშირებით სკოლის ფარგლებში და მის გარეთ. მეორე, სახელმწიფოებმა უნდა უზრუნველყონ რომ შიდსით დაავადებული ბავშვები, ან მოზრდილები არ იყვნენ დისკრიმინირებული მათთვის განათლებაზე უარის თქმის გზით, რაც გულისხმობს სკოლებში, უნივერსიტეტებში, სტიპენდიებზე უარის თქმას და საერთაშორისო პროგრამებში მათ არდაშვებას, ან შეზღუდვებს მათი ინფიცირებულის სტატუსის გამო. ამგვარი ზომების მიღებისათვის, საზოგადოებრივი ჯანდაცვის მიზნით არ არსებობს რაიმე ლოგიკური საფუძველი, რადგანაც ჩვეულებრივ საგანმანათლებლო გარემოში არ არსებობს ინფექციის გავრცელების რისკი. მესამე, სახელმწიფოებმა განათლების საშუალებით უნდა დაამკვიდრონ გაგება, პატივისცემა, შემწყნარებლობა შიდსით დაავადებულებთან მიმართებაში და მათი დისკრიმინაციისაგან დაცვა."
- "მუშაობის უფლება ნიშნავს ყველა ადამიანის უფლებას დასაქმდეს ყოველგვარი წინაპირობების გარეშე, გარდა საჭირო კვალიფიკაციისა. ეს უფლება ირღვევა, როდესაც თანამშრომელს სთხოვენ გაიაროს სავალდებულო ტესტი იმუნოდეფიციტური ვირუსით ინფიცირების დასადგენად და ტესტზე დადებითი პასუხის შემთხვევაში, მას უარს ეუბნებიან სამსახურში მიღებაზე, ათავისუფლებენ დაკავებული თანამდებობიდან, ან არ გამოუყოფენ კუთვნილ დახმარებას.".

? როგორ ირღვევა თქვენ ქვეყანაში შიდსით დაავადებულთა, ან იმუნოდეფიციტური ვირუსით ინფიცირებულთა უფლებები? როგორ შეიძლება ამის თავიდან აცილება?

ჯანმრთელობის ზოგიერთი საკითხი ასევე დაკავშირებულია ეკოლოგიურ პრობლემებთან. 2001 წ. ოქტომბერში მოეწყო კონფერენცია, რომელიც მიზნად ისახავდა კლიმატის ცვლილებების და ჯანმრთელობაზე ოზონის შრის დაზიანების გავლენის გაანალიზებას. ამ სფეროს ექსპერტები დარწმუნებული არიან, რომ "კლიმატის ცვლილება და ოზონის შრის დაზიანების პოტენციურად საზიანო გავლენა ძალიან მნიშვნელოვანია" და რომ "საჭიროა სასწრაფო ზომების მიღება რათა შემცირდეს როგორც ეკოლოგიური ზიანი, ასევე მისი გავლენა ჯანმრთელობაზე"[32].

ჯანმრთელობა და ახალგაზრდები

ბოლო წლებში, ბევრ ევრპულ ქვეყანაში აღინიშნა მცირე ასაკში ახალგაზრდების მიერ ალკოჰოლის მოხმარების შემაშფოთებელი ტენდენცია. ის ზიანი, რომელიც მათ ამის შედეგად ადგებათ, ძალიან მძიმეა. რისკის შედარებითი ანალიზი გვიჩვენებს, რომ მაგალითად, ევროპის რეგიონში 15-29 წლის მამაკაცების სიკვდილის მიზეზი 4-დან ერთ შემთხვევაში ალკოჰოლის მოხმარებით არის გამოწვეული. ამ მოსაზრებებმა გამოიწვია ის გადაწყვეტილება, რომ "ახალგაზრდები და ალკოჰოლი" გახდა ჯანდაცვის მსოფლიო ორგანიზაციის მინისტრთა კონფერენციის თემა (სტოკჰოლმი, 19-21 თებერვალი, 2001 წ), ხოლო კონფერენციის საბოლოო მიზანი იყო ევროპული ალკოჰოლის სამოქმედო გეგმის განხორცოელების გაძლიერება.

კონფერენციამ მიიღო დეკლარაცია რომელიც შეიცავს შემდეგ ელემენტებს:

1. ალკოჰოლი, როგორც მნიშვნელოვანი საფრთხე ახალგაზრდების ჯანმრთელობისათვის.
2. დადასტურება იმ საჭიროებისა, რომ შემუშავდეს პოლიტიკა ალკოჰოლთან მიმართებაში საზოგადოებრივი ჯანდაცვის სისტემის ფარგლებში, კომერციული ან ეკონომიკური ინტერესების ყოველგვარი ჩარევის გარეშე.
3. შესაძლებლობა, რომ ახალგაზრდები თავად ჩაერთონ პოლიტიკის შემუშავების საკითხებში.
4. საკონტროლო ორიენტირების გამოკვეთა ეროვნულ და რეგიონალურ დონეზე, რათა შემცირდეს ახალგაზრდების ჯანმრთელობაზე ალკოჰოლის მავნე ზეგავლენა.

მსოფლიო ჯანდაცვის ორგანიზაციის (WHO) ევროპის რეგიონალურ კომიტეტს მიეცა რეკომენდაცია მიეღო რიგი ზომები, რომელიც მოიცავს:

- საერთაშორისო პარტნიორობის გაძლიერება განსაკუთრებით ევროპულ კომისიასთან, ევროპის საბჭოსთან, გაეროს ბავშვთა ფონდთან, სამედიცინო ასოციაციების ევროპულ ფორუმთან, და მსოფლიო ჯანდაცვის ორგანიზაციასთან.
- ახალგაზრდებთან და მათ ორგანიზაციებთან კონტაქტის შენარჩუნება მთელი რეგიონის მასშტაბით.
- ახალგაზრდებს შორის ალკოჰოლური სასმელების გავრცელების მონიტორინგის სისტემის დაარსება.

? შეგიძლიათ ჩამოთვალოთ კონკრეტული და პრაქტიკული ქმედებები, რომელიც შეიძლება შემუშავებულ იქნას ამ რეკომენდაციების განსახორციელებლად თქვენს საზოგადოებაში, ან ქვეყანაში?

როგორც ზემოთხსენებულ რეკომენდაციებშია ხაზგასმული, ახალგაზრდები უნდა იყვნენ სტრატეგიული პარტნიორები იმ პროგრამების განხორციელების დროს, რომლებიც ეხება ჯანდაცვის პრობლემების მოგვარებას პროფილაქტიკის ან მკურნალობის გზით. ეს არის ახალგაზრდული ორგანიზაციები, რომლებიც აქტიურად არიან ჩართული ჯანდაცვის სფეროში, მათ შორისაა წითელი ჯვრისა და წითელი ნახევარმთვარის საერთაშორისო ფედერაცია, რომლებსაც ახალგაზრდული ფილიალები გააჩნია მთელ მსოფლიოში. ჯანდაცვის სკოლების ევროპული ქსელი არის სამმხრივი პროექტი, რომელიც ხორციელდება მსოფლიო ჯანდაცვის ორგანიზაციის ევროპის რეგიონალური ოფისის, ევროპული კომისიის და ევროპის საბჭოს მიერ. ის ხაზს უსვამს ჯანდაცვის პოპულარიზაციის

მნიშვნელობას საგანმანათლებლო სისტემაში, ჯანდაცვისა და განათლების მუშაკთა და საზოგადოების წევრთა თანამშრომლობის საფუძველზე.

ჯანმრთელობის უფლება

ჯანმრთელობის უფლება მოხსენიებულია რამდენიმე საერთაშორისო დოკუმენტში, როგორიცაა ეკონომიკური, სოციალური და კულტურული უფლებების საერთაშორისო პაქტის მე-12 მუხლი და ბავშვთა უფლებების კონვენციის 24-ე, მუხლი. რაც შეეხება ევროპას, ევროპის სოციალური ქარტიის მუხლი 13 ექსკლუზიურად ამ უფლებას ეხება:

"სოციალური და სამედიცინო დახმარების ეფექტური გამოყენების უზრუნველსაყოფად, მონაწილე მხარეები ღებულობენ ვალდებულებას:

1. ნებისმიერმა პიროვნებამ, რომელსაც არ გააჩნია ადექვარტური რესურსები, ან არ შეუძლია მოიპოვოს ეს რესურსები საკუთარი მცდელობის, ან სხვა წყაროების შედეგად, განსაკუთრებით სოციალური დაზღვევის სფეროდან, უზრუნველყოფილი უნდა იქნას ადექვატური დახმარებით, ხოლო ავადმყოფობის შემთხვევაში მიიღოს აუცილებელი დახმარება.

2. უზრუნველყოფილი იქნას, რომ ამგვარმა დახმარებამ არ გამოიწვიოს პოლიტიკური ან სოციალური უფლებების შემცირება იმ პირებისათვის, ვინც დახმარებას იღებს.

3. უზრუნველყოფილი იქნას, რომ ყველას შეეძლოს მიიღოს ასეთი რჩევა და ინდივიდუალური დახმარება სათანადო სახელმწიფო, ან კერძო სამსახურებიდან, რათა ლიკვდირებული ან შემსუბუქებული იყოს პირადი ან ოჯახის მოთხოვნილებები.

4. ამ მუხლის 1, 2 და 3 აბზაცებში აღწერილი დებულებების თანაბარ დონეზე განხორციელება საკუთარი ქვეყნის, ან ქარტიის სხვა წევრი ქვეყნების მოქალაქეების მიმართ, რომლებიც კანონიერად იმყოფებიან შესაბამისი სახელმწიფოს ტერიტორიაზე, სოციალური, და სამედიცინო დახმარების ევროპული კონვენციაში ჩამოყალიბებული ვალდებულებების თანახმად, ხელმოწერილი პარიზში 1953 წ. 11 დეკემბერს".

1999 წლის მსოფლიო ჯანდაცვის მდგომარეობის შესახებ მოხსენებაში განსაზღვრულია შემდეგი ოთხი ძირითადი პრობლემა ეროვნული მთავრობებისათვის, საერთაშორისო საზოგადოების და სამოქალაქო საზოგადოებისათვის:

1. ჯანდაცვის სისტემების ორიენტირება მინიმალური ჩარევით ღარიბთა ავადმყოფობის დონის მაქსიმალური შემცირებისათვის. ეს მოიცავს ვალდებულების აღებას მალარიის რეციდივების კონტროლზე, ტუბერკულოზის გაძლიერებულ კონტროლს, დედათა და ბაშვთა ჯანმრთელობაზე და კვებაზე ზრუნვას და იმუნიზაციის პროგრამების განახლება-გაფართოება.
2. ჯანდაცვის სისტემების უნარის გაძლიერება დაუპირისპირდნენ ჯანმრთელობის პოტენციურ რისკებს, რაც გამომდინარეობს ეკონომიკური კრიზისიდან, არაჯანსაღი გარემოდან ან სარისკო ჩვევებიდან. ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი საფრთხე არის თამბაქოს მოხმარება. გლობალურ დონეზე თამბაქოს კონტროლზე ვალდებულების აღებამ შეუძლია თავიდან აგვაცილოს მილიონობით ნაადრევი სიკვდილი. სხვა პრიორიტეტები მოიცავს ანტიბაქტერიული საშუალებების მოქმედებას და ეფექტურ

რეაგირებას ახლადაღმოცენებულ დაავადებებზე. ასევე, მნიშვნელოვანია პოლიომიელიტის გლობალურ დონეზე აღმოფხვრა და ჯანმრთელი ცხოვრების სტილის დამკვიდრება (უფრო სუფთა ჰაერის, ადექვატური სანიტარული პირობების და უსაფრთხო ტრანსპორტირების ჩათვლით).

3. ჯანდაცვის სისტემების განვითარება, რომელიც უზრუნველყოფს კლინიკური მომსახურების უნივერსალურ ხელმისაწვდომობას უფასოდ (ან შემცირებული ფასით). ეს მოითხოვს სახელმწიფო დაფინანსებას, მთავრობის მიერ მანდატირებულ სოციალურ დაზღვევას, ან ორივეს ერთად. მაგრამ ამასთანავე აღიარებულია, რომ თუ მომსახურება ყველასათვის უნდა იქნას უზრუნველყოფილი, მაშინ არ იგულისხმება ყველა სახის მომსახურება. პირველ რიგში უნდა მიეწოდოს ყველაზე დაბალფასიანი მომსახურება. ყველაზე მდიდარ ქვეყნებსაც კი არ შეუძლიათ მთელი მოსახლეობის სრული სამედიცინო პაკეტით უზრუნველყოფა, მაშინაც კი როდესაც სამედიცინო ხარჯები აჭარბებს რისკის ზღვარს.
4. ჯანდაცვის სისტემების სტიმულირება ცოდნის დონის გაზრდაში ინვესტირებისათვის, რამაც შესაძლებელი გახადა 20-ე საუკუნის სამედიცინო რევოლუცია და რაც უზრუნველყოფს 21-ე საუკუნეში შემდეგ წარმატებებს. ყველაზე მწვავე საჭიროება არის ინფექციური დაავადებების კვლევა და შესწავლა, რომელიც არაპროპორციულ გავლენას ახდენს ღარიბებზე. ასევე საჭიროა საინფორმაციო ბაზის შექმნა, რათა ქვეყნებმა შეძლონ საკუთარი ჯანდაცვის სისტემების განვითარება.

გამოყენებული ლიტერატურა

მსოფლიო მოხსენება ჯანმრთელობის მდგომარეობის შესახებ (The World Health Report), ჯანდაცვის საერთაშორისო ორგანიზაცია, www.who.int/whr

SeniSvnebi

1. ადამიანის უფლებების გავრცელებისა და დაცვის ქვეკომიტეტის რეზოლუცია, ადამიანის უფლებათა გაეროს უმაღლესი კომისარი E/CN.4/SUB.2/RES/1999/30
2. ევროსაბჭოს ციფრები ზოგადად მიეკუთვნება 90-იანი წლების დასაწყისს. The rates displayed are the percentage of children living in households with income below 50% of the national median. Source: Bradbury and Jantti (1999, Table 3.3) in Micklewright . J., Stewart, K., Child well-being in the EU and Enlargement to the East, Working Papers, UNICEF, Innocenti Centre, 2000
3.No.R (91) 11 რეკომენდაციის სექსუალურ ექსპლოატაციასთან, პორნოგრაფიასთან, პროსტიტუციასთან ბავშვებით და ახალგაზრდებით ვაჭრობასთან ბრძოლის შესახებ ცხოვრებაში გატარება, სტრასბურგი, 8 აპრილი, 1998
4. ა. ბილსონი, ბავშვის უსაფრთხოება ინტერნეტში: მიდგომა ბავშვის უფლებებთან, ცენტრი „ევროპის ბავშვებისათვის“ http://eurochild.gla.ac.uk
5. ევროსაბჭოს პროგრამის საკონსულტაციო შეხვედრა „დემოკრატიული მოქალაქეობის სწავლება“, 1996წ
6. მარინა კოვინინა, სამოქალაქო და სამართლებრივი სწავლების ცენტრი, როსტოვი დონზე, რუსეთის ფედერაცია, ადამიანის უფლებათა სწავლების ახალგაზრდული ფორუმი, ბუდაპეშტი, 2000
7. კ. ანანი, მინისტრების პირველი მსოფლიო კონფერენცია ახალგაზრდული საქმეების შესახებ, ლისაბონი, პორტუგალია, 1998
8. ევროკავშირი, საბჭოს დირექტივა 2000/43/EC 2000წლის 29 ივნისიდან თანასწორი მოპყრობის პრინციპის რეალიზება რასობრივი ენ ეთნიკური მიკუთვნების მიუხედავად.
9. El Pais digital, 5 Nov. 2000
10. ვებსტერის მესამე ახალი საერთაშორისო ლექსიკონი
11. ევროსაბჭო, სოციალური საქმეების დირექტორატი
12. ევრობარომეტრის მოხსენება (54.2/2001) დაფუძნებული 16000-ზე მეტი მოქალაქის გამოკითხვებზე, 2 იანვარი - 6 თებერვალი, 2001წ.
13. www.disrights.org
14. რ. ბედრონი, სექსუალურ უმცირესობათა მდგომარეობა პოლონეთში, კამპანია ჰომოფობიის წინააღმდეგ, რიგა, აგვისტო, 2001წ.
15. Amnesty Internatianal 2001, Crimes of hate, conspiracy of silence
16. ბელგიის ლინგვისტური საქმე, რომელიც ეხება ბელგიის საგანმანათლებლო სისტემაში გამოსაყენებელ ენათა განსაზღვრას. ევროპის ადამიანის უფლებათა სასამართლოს გადაწყვეტილება, 23 ივლისი 1968წ. ევროპის სასამართლოს გამოცემა, სერია A, ტომი 6, გვ.31,
17. განათლების უფლება (მუხლი 13), 08/12/99.E/C12/1999/10, CESCR
18. „განათლება: დაფარული განძი“, UNESCO, პარიზი, 1996წ
19. მ. ვეისბროტი, დ. ბეიკერი, ე. კრაევი, ი. ჩენი: გლობალიზაციის საინფორმაციო ტაბლო 1980-2000წწ. პერიოდში: შენელებული პროგრესის 20 წელი. ეკონომიკისა და პოლიტიკის კვლევითი ცენტრი, www.cepr.net
20. კ. უოტკენსი, განათლება ახლა – სიღარიბის ციკლის გარღვევა, Oxfam Inerntional, 2000
21. ა. მოტივანსი, ნაწყვეტი მოხსენებიდან „განათლება ყველასათვის ცენტრალურ და აღმოსავლეთ ევროპაში“, UNESCO-ს სტატისტიკის ინსტიტუტი, Innocenti Research Centre, თებერვალი 2000
22. მოხსენება სტიქიური უბედურებების შესახებ 2001წ., წითელი ჯვრის და წითელი ნახევარმთავრის საერთაშორისო ფედერაცია
23. ინგრიდ რამბერგი, „ძალადობა ახალგაზრდა ქალებთან მიმართებაში ევროპაში“, ევროსაბჭო, 2001წ
24. ი. რადიჩოვა, „გოგონების და ახალგაზრდა ქალების ადამიანის უფლებები ევროპაში: XXI საუკუნის კითხვები და გამოწვევები“, ზოგადი დასკვნები, ევროსაბჭო, სტრასბურგი, 1994წ.
25. ნაწყვეტები გამოცემიდან „ქალებით ვაჭრობა, ყოვლისმომცველი ევროპული სტრატეგია“, საინფორმაციო ფურცლები, ევროკომისია
26. იქვე
27. ჰ. ლორი, ა. გერმანი, ე. პიტანგუი, ძალადობა ქალების წინააღმდეგ: ჯანმრთელობის ფარული პრობლემა, მსოფლიო ბანკი, ვაშინგტონი, 1994წ
28. რეზოლუცია 1212 (2000), ევროსაბჭოს საპარლამენტო ასამბლეა
29. კონცეპტუალური ჩარჩოები გენდერის ჩართვისათვის ძირითად მიმართულებებში, წარმატებული გამოცდილების მეთოდოლოგია და დემონსტრაცია. დასკვნითი მოხსენება ძირითადი მიმართულების საკითხებზე მომუშავე ჯგუფის მოღვაწეობის შესახებ (EG-S-MS), სტრასბურგი, მაისი 1998წ
30. სემინარის „ძალადობა ახალგაზრდა ქალების წინააღმდეგ ევროპაში“ მონაწილეების განცხადება, რომელიც შედგა ევროპის ახალგაზრდულ ცენტრში ბუდაპეშტში 2001წ

31. ქვე-კომისიის რეზოლუცია ადამიანის უფლებების დაცვისა და წახახალისების შესახებ (გაეროს ადამიანის უფლებათა კომისია) E/CN.4/SUB.2/RES/1999/30.
32. მეორე საერთაშორისო კონსულტაცია შიდსის შესახებ E/CN.4/1997/37, გაეროს ადამიანის უფლებათა კომისია, 20/01/97
33. ევროცენტრის მიერ იტალიის გარემოს დაცვის სამინისტროსთან და გარემოს დაცვის ევროსააგენტოსთან ერთად ორგანიზებული კონფერენცია WHO გარემოპირობებისა და ჯანმრთელობის შესახებ, ორვიეტო, იტალია, 5-6 ოქტომბერი, 2001წ. პრეს-რელიზი ევრო 12/2001 www.who.dk.cpa.backgrounders_2001/pback_2001.htm
34. კანადის საგარეო საქმეთა და საგარეო ვაჭრობის სამინისტრო, www.dfait-aeci.gc.ca/foreignnp.humansecurity
35. რ. ჰეი, სამშვიდობო ქმედებები მშვიდობის მხარდასაჭერი ოპერაციების დროს: უახლესი მისიების განხილვა და ანალიზი, 1999წ.
36. Mandela, N., Long Walk to Freedom, (ნ. მანდელა, „გრძელი გზა თავისუფლებისაკენ“), Little brown and Company, London, 1994
37. ვერან მატიჩი, დამოუკიდებელი ელექტრონული კავშირის საშუალებების ასოციაციის თავმჯდომარე (ANEM)
38. სოფიის დეკლარაცია განცხადებული 1997 წ-ის 13 სექტემბერს, (მოგვინებით მიღებული UNESCO-ს გენერალური კონფერენციის მიერ XXIX სესიაზე, 1997წ. ნეომბერში, 35 რეზოლუციის სახით)
39. დამატებითი ინფორმაცია შეგიძლიათ იხილოთ ინტერნეტში: www.humanrights.coe.int/media
40. სტოკჰოლმის საერთაშორისო მშვიდობის კვლევითი ინსტიტუტი, www.sipri.se
41. მოხსენება ადამიანის განვითარების შესახებ 2001წ-ს. გაეროს განვითარების პროგრამა
42. Instiuto del Tarcer Mundo, „მესამე მსოფლიოს ცნობარი“, ურუგვაი
43. UNICEF-ის მოხსენებიდან „ახალგაზრდობა ცვალებად საზოგადოებებში“, Regional Monitoring Report, No 7, Florence: Innocenti Research Centre, 2000
44. არჩევანი ღარიბებისათვის, გაეროს განვითარების პროგრამა, მარტი 2001.
45. Pascul,S., Waddington, J., Young People: The labour market and trade Union. ნაწყვეტი მოხსენებიდან მომზადებული ევროსაბჭოს კონფედარაციის პროფკავშირების ახალგაზრდული საქმეების კომიტეტისთვის, European Union Confederation Publication, May 2000 UNICEF (2000), “ახალგაზრდები ცვალებად საზოგადოებაში“ მოხსენება რეგიონალური მონიტორინგის შესახებ No.7, Florebce Innocenti Research Centre
46. ამოღებული ევროსაბჭოს კონფედარაციის პროფკავშირების ახალგაზრდული საქმეების კომიტეტისთვის მომზადებული მოხსენებიდან: Young People: The labour market and trade Union, მაისი 2000
47. იხ. ძირითადი ინფორმაცია გლობალიზაციის თემის შესახებ (გვ.429)
48. ნაწყვეტი ვებგვერდიდან www.encarta.msn.com, დამატებითი ინფორმაცია საერთაშორისო პარალიმპიურ კომიტეტზე შეგიძლიათ მიიღოთ ვებგვერდზე www.paralumpyc.org
49. დამატებითი ინფორმაცია მოცემულია ძირითად ინფორმაციაში მოქალაქეობის შესახებ (გვ. 464)
50. www.openfunfoodballscools.org.mk/status.htm
51. ნაწყვეტი ამოღებულია: Tomek. L., Lidove Noviny, 23 აგვისტო 2001წ. იანა ონდარჩკოვას თარგმანი
52. იხ. New internationalist 330, Dec. 2000, www.oneworld.org/ni/issues330/factfole.htm იხ. ასევე ძირითადი ინფორმაცია გლობალიზაციის შესახებ (გვ. 429)
53. ფეხბურთი რასიზმის წინააღმდეგ ევროპაში, www.farenet.org
54. დამატებითი ინფორმაცია შეგიძლიათ იხილოთ http://cilture.coe.fr/sf/splist.html

danarTi

adamianis uflebaTa saerTaSoriso aqtebi

da Sefasebis anketa

Tavis Sinaarsi

adamianis uflebaTa saerTaSoriso aqtebi da Sefasebis anketa *511*

ქვეყნები, რომლებმაც მოახდინეს ადამიანის უფლებათა ძირითადი საერთაშორისო დოკუმენტების რატიფიცირება *513*

ადამიანის უფლებათა საყოველთაო დეკლარაცია (რეზიუმე) *514*

ადამიანის უფლებათა საყოველთაო დეკლარაცია *515*

საერთაშორისო პაქტი სამოქალაქო და პოლიტიკური უფლებების შესახებ *518*

საერთაშორისო პაქტი ეკონომიკური, სოციალური და კულტურული უფლებების შესახებ *519*

ბავშვის უფლებათა კონვენცია (რეზიუმე) *520*

ევროპის კონვენცია ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვის შესახებ (რეზიუმე) *522*

კონვენცია ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვის შესახებ, №11 ოქმით შეტანილი ცვლილებები და დამატებები *523*

ევროპის სოციალური ქარტია (რეზიუმე) *531*

ეროვნული უმცირესობების დაცვის ჩარჩო კონვენცია (რეზიუმე) *533*

რეგიონალური ენების ან ენობრივ უმცირესობათა ევროპის ქარტია *534*

ანკეტა შეფასებისა და გამოხმაურებისათვის *537*

ადამიანის უფლებათა მთავარი საერთაშორისო დოკუმენტების რატიფიკაციის სატატუსი

qveynebi	gaeros organizaciebi			evropis sabWo					
	საერთაშორისო პაქტი ეკონო-მიკური, სოცი-ალური და კულტურუ-ლი უფლებების შესახებ	საერთაშორისო პაქტი სამოქა-ლაქო და პო-ლიტიკური უფლებების შესახებ	ბავშვის უფლებათა კონვენცია	ადამიანის უფლებათა ევროპის კონვენცია	ევროპის სოციალური ქარტია	ევროპის სოციალური ქარტია - შესწორებული	ეროვნული უმცირესობების დაცვის ჩარჩო კონვენცია	წამებისა და არ-აადამიანური ან ღირსების შემ-ლახავი მოპყრო-ბის ან დასჯის საწინააღმდეგო ევროპის კონვენცია	რეგიონა-ლური ენების ან ენობრივ უმცირე-სობათა ევროპის ქარტია
მდგომარეობა	21.08.02	21.08.02	21.08.02	12.11.02	12.11.02	12.11.02	12.11.02	12.11.02	12.11.02
ძალაში შესვლა	03.01.1976	23.03.1976	02.09.1980	03.09.53	26.02.65	01.07.99	01.02.98	01.02.89	01.03.98
ავსტრია	✓	✓	✓	✓	✓		✓	✓	✓
აზერბაიჯანი	✓	✓	✓	✓			✓	✓	
ალბანეთი	✓	✓	✓	✓			✓	✓	
ანდორა			✓	✓				✓	
ბელგია	✓	✓	✓	✓	✓			✓	
ბელორუსია	✓	✓	✓						
ბოსნია და ჰერცოგოვინა	✓	✓	✓				✓		
ბულგარეთი	✓	✓	✓	✓		✓	✓	✓	
გერმანია	✓	✓	✓	✓	✓		✓	✓	✓
დიდი ბრიტანეთი	✓	✓	✓	✓	✓		✓	✓	✓
დანია	✓	✓	✓	✓	✓		✓	✓	✓
ესპანეთი	✓	✓	✓	✓	✓		✓	✓	✓
ესტონეთი	✓	✓	✓	✓		✓	✓	✓	
თურქეთი	✓	✓	✓	✓	✓			✓	
ირლანდია	✓	✓	✓	✓	✓	✓	✓	✓	
ისლანდია	✓	✓	✓	✓	✓			✓	
იტალია	✓	✓	✓	✓	✓	✓	✓	✓	
იუგოსლავია	✓	✓	✓				✓		
კვიპროსი	✓	✓	✓	✓	✓	✓	✓	✓	
ლატვია	✓	✓	✓	✓	✓			✓	
ლიტვა	✓	✓	✓	✓		✓	✓	✓	
ლიხტენშტ.	✓	✓	✓	✓			✓	✓	✓
ლუქსემბურგი	✓	✓	✓	✓	✓			✓	
მაკედონია	✓	✓	✓	✓			✓	✓	
მალტა	✓	✓	✓	✓	✓		✓	✓	
მოლდოვა	✓	✓	✓	✓		✓	✓	✓	
ნორვეგია	✓	✓	✓	✓	✓	✓	✓	✓	✓
პოლონეთი	✓	✓	✓	✓	✓		✓	✓	
პორტუგალია	✓	✓	✓	✓	✓			✓	
რუსეთი	✓	✓	✓	✓			✓	✓	
რუმინეთი	✓	✓	✓	✓		✓	✓	✓	
საბერძნეთი	✓	✓	✓	✓	✓			✓	
სან-მარინო	✓	✓	✓	✓			✓	✓	
სასომხეთი	✓	✓	✓	✓			✓		✓
საფრანგეთი	✓	✓	✓	✓	✓	✓		✓	
საქართველო	✓	✓	✓	✓				✓	
სლოვაკეთი	✓	✓	✓	✓	✓		✓	✓	✓
სლოვენია	✓	✓	✓	✓		✓	✓	✓	✓
უკრაინა	✓	✓	✓	✓			✓	✓	
ფინეთი	✓	✓	✓	✓	✓		✓	✓	✓
შვედეთი	✓	✓	✓	✓	✓	✓	✓	✓	✓
შვეიცარია	✓	✓	✓	✓			✓	✓	✓
ჩეხეთი	✓	✓	✓	✓	✓		✓	✓	
ხორვატია	✓	✓	✓	✓			✓	✓	

ადამიანის უფლებათა საყოველთაო დეკლარაცია

(შემოკლებული ვარიანტი)

მუხლი 1
თანასწორუფლებიანობა
მუხლი 2
დისკრიმინაციისგან დაცვა
მუხლი 3
სიცოცხლის, თავისუფლებისა და პირადი ხელშეუხებ-ლობის უფლება.
მუხლი 4
მონობისგან ან ძალმომრეობითი მორჩილებისგან თავისუფლება
მუხლი 5
დაცვა წამებისაგან და სასტიკი, არაადამიანური თუ მისი ღირსების დამამცირებელი მოპყრობისა და სასჯელისაგან.
მუხლი 6
სამართალსუბიექტობის აღიარების უფლება
მუხლი 7
კანონის წინაშე თანასწორობის უფლება
მუხლი 8
კომპეტენტური სასამართლოების მიერ უფლებებში ეფექტურად აღდგენის უფლება
მუხლი 9
თვითნებური დაპატიმრების, დადაკავების ან გაძევებისგან დაცვის უფლება.
მუხლი 10
საქვეყნო და მიუკერძოებელი სასამართლოს უფლება
მუხლი 11
უფლება ითვლებოდეს უდანაშაულოდ კანონიერი წესისამებრ დანაშაულის დადგენამდე.
მუხლი 12
პირადსა და ოჯახურ ცხოვრებაში თვითნებური ჩარევისაგან, საცხოვრებელი ბინის ხელშეუხებლობისა და კორესპონდენციის საიდუმლოების თვითნებური ხელყოფისაგან, დაცვის უფლება
მუხლი 13
უფლება დაუბრკოლებლად იცვლიდეს ადგილსამყოფელს და ირჩევდეს თავის საცხოვრებელ ადგილს ყოველი სახელმწიფოს ფარგლებში
მუხლი 14
უფლება ეძიოს დევნისგან თავშესაფარი სხვა ქვეყანაში და ისარგებლოს ამ თავშესაფრით
მუხლი 15
მოქალაქეობისა და მისი შეცვლის უფლება
მუხლი 16
დაქორწინებისა და ოჯახი დააფუძნების უფლება
მუხლი 17
ქონების ფლობის უფლება
მუხლი 18
აზრის, სინდისისა და რელიგიის თავისუფლების უფლება
მუხლი 19
მრწამსისა და ინფორმაციის თავისუფლების უფლება
მუხლი 20
მშვიდობიანი კრებებისა და ასოციაციების თავისუფლების უფლება
მუხლი 21
თავისი ქვეყნის მართვა-გამგეობაში და თავისუფალ არჩევნებში მონაწილეობის უფლება
მუხლი 22
სოციალური უზრუნველყოფის უფლება
მუხლი 23
შრომის და სამუშაოს თავისუფალი არჩევის, პროფკავშირებში გაერთიანების უფლება
მუხლი 24
დასვენებისა და მოცალეობის უფლება
მუხლი 25
ადექვატური ცხოვრების დონის უფლება
მუხლი 26
განათლების უფლება
მუხლი 27
საზოგადოების კულტურულ ცხოვრებაში თავისუფლად მონაწილეობის უფლება
მუხლი 28
სოციალური წესრიგის უფლება, რომლის პირობებში შესაძლებელია ამ დეკლარაციაში ჩამოთვლილ უფლებათა და თავისუფლებათა მთლიანად განხორციელება
მუხლი 29
მოვალეობანი საზოგადოების წინაშე, რომელშიც შესაძლებელია პიროვნების თავისუფალი და სრული განვითარება.
მუხლი 30
დაცვა სახელმწიფოს ან სხვა პირების ისეთი ქმედებებისგან, რომლებიც მიმართულია ამ დეკლარაციაში ჩამოთვლილ უფლებათა და თავისუფლებათა მოსასპობად.

© მინესოტის შტატის უნივერსიტეტის ადამიანის უფლებათა რესურს ცენტრი. 1999. იბეჭდება პირველად.

ადამიანის უფლებათა საყოველთაო დეკლარაცია

მიღებული და გამოცხადებული გენერალური ასამბლეის 217 (III) რეზოლუციით 1948 წლის 10 დეკემბერს

preambula

1948 წლის 10 დეკემბერს გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალურმა ასამბლეამ დაამტკიცა და გამოაცხადა ადამიანის უფლებათა საყოველთაო დეკლარაცია, რომლის სრული ტექსტიც აქა არის მოცემული. მიიღო რა ეს ისტორიული მნიშვნელობის გადაწყვეტილება, ასამბლეამ მოწოდებით მიმართა ორგანიზაციის წევრ ყველა სახელმწიფოს, გამოაქვეყნონ დეკლარაციის ტექსტი და ყველაფერი იღონონ „მისი გავრცელების, საჯაროობისა და განმარტებისათვის, უმთავრესად სკოლებში და სხვა სასწავლო დაწესებულებებში, ქვეყნების ან ტერიტორიების პოლიტიკური სტატუსის განურჩევლად“.

ვინაიდან ადამიანთა ოჯახის ყველა წევრისათვის დამახასიათებელია ღირსებისა და თანასწორი და განუყოფელი უფლებების აღიარება წარმოადგნს თავისუფლების, სამართლიანობისა და საყოველთაო მშვიდობის საფუძველს; და

ვინაიდან ადამიანის უფლებათა უგულებელყოფამ და აბუჩად აგდებამ გამოიწვია ბარბაროსული აქტები, რაც აღაშფოთებს კაცობრიობის სინდისს და რომ ისეთი მსოფლიო შექმნა, რომელშიც ადამიანებს ექნებათ სიტყვისა და რწმენის თავისუფლება და რომელშიც ისინი იცხოვრებენ შიშისა და გაჭირვების გარეშე, გამოცხადებულია, როგორც ადამიანთა მაღალი მისწრაფება; და

ვინაიდან აუცილებელია უფლებებს იცავდეს კანონის ძალა იმის უზრუნველსაყოფად, რათა ადამიანი იძულებული არ გახდეს მიმართოს ავჯანყებას, როგორც უკანასკნელ საშუალებას ტირანიისა და ჩაგვრის წინააღმდეგ; და

ვინაიდან აუცილებელია ხელის შეწყობა ხალხთა შორის მეგობრულ ურთიერთობათა განვითარებისათვის; და

ვინაიდან გაერთიანებული ერების ხალხებმა წესდებაში დაადასტურეს თავიანთი რწმენა ადამიანის ძირითადი უფლებებისადმი, ადამიანის პიროვნების ღირსებისა და ღირებულების და კაცებისა და ქალების თანასწორუფლებიანობისადმი, გადაწყვიტეს ხელი შეუწყონ სოციალურ პროგრესსა და ცხოვრების უკეთეს დონეს მეტი თავისუფლების პირობებში; და

ვინაიდან წევრმა სახელმწიფოებმა იკისრეს ვალდებულება გაერთიანებული ერების ორგანიზაციასთან თანამშრომლობაში ხელი შეუწყონ ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა საყოველთაო პატივისცემასა და დაცვას; და

ვინაიდან ასეთ უფლებათა და თავისუფლებათა საყოველთაო გაგებას უდიდესი მნიშვნელობა აქვს ამ ვალდებულებების მთლიანად შესრულებისათვის

გენერალური ასამბლეა აცხადებს: ადამიანის უფლებათა ამ საყოველთაო დეკლარაციას ისეთ ამოცანად, რომლის შესრულებას უნდა ელტვოდეს ყოველი ხალხი და სახელმწიფო რათა ყოველი ადამიანი და საზოგადოების ყოველი ორგანო, ნიადაგ გაითვალისწინებს რა ამ დეკლარაციას, მიისწრაფვოდეს სწავლა-განათლების მეშვეობით ხელი შეუწყოს ამ უფლებათა და თავისუფლებათა პატივისცემას და მათი საყოველთაო და ეფექტიანი აღიარება-განხორციელების უზრუნველყოფას ნაციონალური თუ საერთაშორისო პროგრესული ღონისძიებებით როგორც ორგანიზაციის წევრ სახელმწიფოთა ხალხებში, ასევე ამ სახელმწიფოების იურისდიქციისადმი დაქვემდებარებულ ტერიტორიათა ხალხებში.

მუხლი 1

ყველა ადამიანი იბადება თავისუფალი და თანასწორი თავისი ღირსებითა და უფლებებით. მათ მინიჭებული აქვთ გონება და სინდისი და ერთმანეთის მიმართ უნდა იქცეოდნენ ძმობის სულისკვეთებით.

მუხლი 2

1. ამ დეკლარაციით გამოცხადებული ყველა უფლება და ყველა თავისუფლება მინიჭებული უნდა ჰქონდეს ყოველ ადამიანს განურჩევლად რაიმე განსხვავების, სახელდობრ, რასის, კანის ფერის, სქესის, ენის, რელიგიის, პოლიტიკური თუ სხვა რწმენის, ეროვნული თუ სოციალური წარმომავლობის, ქონებრივი, წოდებრივი თუ სხვა მდგომარეობისა.
2. გარდა ამისა, დაუშვებელია რაიმე განსხვავება იმ ქვეყნის თუ ტერიტორიის პოლიტიკური, სამართლებრივი ან საერთაშორისო სტატუსის საფუძველზე, რომელსაც ადამიანი ეკუთვნის, მიუხედავად იმისა, თუ როგორია ეს ტერიტორია – დამოუკიდებელი, სამეურვეო, არათვითმმართველი თუ სხვაგვარად შეზღუდული თავის სუვერენიტეტში.

მუხლი 3

ყოველ ადამიანს აქვს სიცოცხლის, თავისუფლებისა და პირადი ხელშეუხებლობის უფლება.

მუხლი 4

არავინ არ არ უნდა იმყოფებოდეს მონობაში ან ძალმომრეობითი მორჩილების მდგომარეობაში. ყველა სახის მონობა და მონათვაჭრობა აკრძალურია.

მუხლი 5

არავის მიმართ არ უნდა იქნეს გამოყენებული წამება ან სასტიკი, არაადამიანური თუ მისი ღირსების დამამცირებელი მოპყრობა და სასჯელი.

მუხლი 6

ყოველ ადამიანს სადაც უნდა იმყოფებოდეს იგი, იმის უფლება აქვს, რომ აღიარებული იქნეს მისი სამართალსუბიექტობა.

მუხლი 7

ყველა ადამიანი თანასწორია კანონის წინაშე და განურჩევლად რაიმე განსხვავებისა, ყველას აქვს უფლება თანაბრად იყოს დაცული კანონის მიერ. ყველა ადამიანს აქვს უფლება თანაბრად იყოს დაცული ამ დეკლარაციის დამრღვევი ყოველგვარი დისკრიმინაციისაგან და ასეთი დისკრიმინაციის ყოველგვარი წაქეზებისაგან."

მუხლი 8

ყოველ ადამიანს აქვს უფლება ეფექტიანად იქნას აღდგენილი უფლებებში კომპეტენტური ნაციონალური სასამართლოების მიერ იმ შემთხვევაში, როცა დარღვეულია მისთვის კონსტიტუციით თუ კანონით მინიჭებული ძირითადი უფლებები.

მუხლი 9
არავის დაპატიმრება, დაჭერა ან გაძევება არ შეიძლება თვითნებურად.

მუხლი 10
ყოველ ადამიანს მის უფლებამოვალეობათა განსაზღვრისათვის და მისთვის წაყენებული სისხლისსამართებლივი ბრალდების საფუძველზე, აქვს იმის უფლება რომ, მისი საქმე საქვეყნოდ და სამართლიანობის ყველა მოთხოვნის დაცვით გაარჩიოს დამოუკიდებელმა და მიუკერძოებელმა სასამართლომ.

მუხლი 11
1. ყოველ ადამიანს, რომელსაც ბრალად ედება დანაშაულის ჩადენა, უფლება აქვს ითვლებოდეს უდანაშაულოდ მანამ, სანამ მისი დამნაშავეობა დადგენილი არ იქნება კანონიერი წესისამებრ საჯარო სასამართლო განხილვით, რომლის დროსაც მისთვის უზრუნველყოფილია დაცვის ყველა შესაძლებლობა.
2. არავის არ შეიძლება მსჯავრი დაედოს დანაშაულისათვის რაიმე ისეთი მოქმედების ჩადენის საფუძველზე, ანდა ისეთი უმოქმედობისათვის, რომლებიც ჩადენის დროს არ შეადგენდა დანაშაულს ნაციონალური კანონის ან საერთაშორისო სამართლის მიხედვით. არ შეიძლება აგრეთვე უფრო მძიმე სასჯელის დადება, ვიდრე ის, რომელიც შეიძლებოდა გამოყენებული ყოფილიყო იმ დროს, როცა ჩადენილ იქნა დანაშაული.

მუხლი 12
არავის მიმართ არ შეიძლება თვითნებური ჩარევა მის პირადსა და ოჯახურ ცხოვრებაში, თვითნებური ხელყოფა მისი საცხოვრებელი ბინის ხელშეუხებლობის, მისი კორესპონდენციის საიდუმლოების, ანდა მისი პატივისა და რეპუტაციისა. ყოველ ადამიანს აქვს უფლება დაცული იყოს კანონის მიერ ასეთი ჩარევისა და ხელყოფისაგან.

მუხლი 13
1. ყოველ ადამიანს აქვს უფლება დაუბრკოლებლად იცვლიდეს ადგილსამყოფელს და ირჩევდეს თავის საცხოვრებელ ადგილს ყოველი სახელმწიფოს ფარგლებში.
2. ყოველ ადამიანს აქვს უფლება დატოვოს ყოველი ქვეყანა, მათ შორის თავისიც, და დაბრუნდეს თავის ქვეყანაში.

მუხლი 14
1. ყოველ ადამიანს აქვს უფლება ეძიოს დევნისგან თავშესაფარი სხვა ქვეყანაში და ისარგებლოს ამ თავშესაფრით.
2. ეს უფლება არ შეიძლება გამოყენებული იქნეს ისეთი დევნის შემთხვევაში, რომლის საფუძველს ნამდვილად წარმოადგენს ჩადენა არაპოლიტიკური დანაშაულისა, ანდა ქმედებისა, რომელიც ეწინააღმდეგება გაერთიანებული ერების ორგანიზაციის მიზნებსა და პრინციპებს.

მუხლი 15
1. ყოველ ადამიანს აქვს მოქალაქეობის უფლება.
2. არავის არ შეიძლება თვითნებურად ჩამოერთვას მოქალაქეობა ან უფლება თავისი მოქალაქეობის შეცვლისა.

მუხლი 16
1. სრულასაკოვნებას მიღწეულ კაცებსა და ქალებს უფლება აქვთ რასის, ეროვნების ან რელიგიის ნიშნით რაიმე შეზღუდვის გარეშე, დაქორწინდნენ და ოჯახი დააფუძნონ.
   ისინი სარგებლობენ ერთნაირი უფლებებით დაქორწინებისას, ქორწინებაში ყოფნის დროს და განქორწინებისას.
2. დაქორწინება შესაძლებელია მხოლოდ ორივე მექორწინე მხარის თავისუფალი და სრული თანხმობისას.
3. ოჯახი არის საზოგადოების ბუნებრივი და ძირითადი უჯრედი და მას უფლება აქვს დაცული იყოს საზოგადოებისა და სახელმწიფოს მხრივ.

მუხლი 17
1. ყოველ ადამიანს აქვს უფლება ფლობდეს ქონებას როგორც ერთპიროვნულად, ასევე სხვებთან ერთად.
2. არავის არ უნდა ჩამოერთვას ქონება თვითნებურად.

მუხლი 18
ყოველ ადამიანს აქვს უფლება აზრის, სინდისისა და რელიგიის თავისუფლებისა: ეს უფლება მოიცავს თავისუფლებას თავისი რელიგიის თუ რწმენის შეცვლისა და თავისუფლებას თავისი რელიგიის თუ რწმენის აღმსარებლობისა, როგორც ერთპიროვნულად ასევე სხვებთან ერთად, მოძღვრებაში ღვთისმსახურებაში და რელიგიურ და რიტუალურ წეს-ჩვეულებათა შესრულებაში საჯარო თუ კერძო წესით.

მუხლი 19
ყოველ ადამიანს აქვს უფლება მრწამსის თავისუფლებისა და მისი თავისუფლად გამოთქმისა: ეს უფლება მოიცავს ადამიანის თავისუფლებას დაუბრკოლებლად იქონიოს თავისი მრწამსი და ეძიოს მიიღოს და გაავრცელოს ინფორმაცია და იდეები ყოველგვარი საშუალებით და სახელმწიფო საზღვრებისგან დამოუკიდებლად.

მუხლი 20
1. ყოველ ადამიანს აქვს უფლება მშვიდობიანი კრებებისა და ასოციაციების თავისუფლებისა.
2. არავის იძულება არ შეიძლება რაიმე ასოციაციაში შესასვლელად.

მუხლი 21
1. ყოველ ადამიანს აქვს უფლება მონაწილეობდეს თავისი ქვეყნის მართვა-გამგეობაში ან უშუალოდ, ანდა თავისუფლად არჩეულ წარმომადგენელთა მეშვეობით.
2. ყოველ ადამიანს აქვს უფლება თანაბარ საფუძველზე შევიდეს თავისი ქვეყნის სახელმწიფო სამსახურში.
3. ხალხის ნება უნდა იყოს საფუძველი მთავრობის ძალაუფლებისა: ეს ნება უნდა გამოხატავდეს პერიოდულ და გაუყალბებელ არჩევნებში, რომლებიც უნდა ტარდებოდეს საყოველთაო და თანასწორი საარჩევნო უფლებების პირობებში, ფარული კენჭისყრით ან სხვა თანაბარმნიშვნელოვანი ფორმების მეშვეობით, რომლებიც უზრუნველყოფენ ხმის მიცემის თავისუფლებას.

მუხლი 22
ყოველ ადამიანს, როგორც საზოგადოების წევრს, აქვს სოციალური უზრუნველყოფის უფლება და უფლება განახორციელოს ეკონომიკურ, სოციალურ და კულტურულ დარგებში, ნაციონალური მეცადინეობისა და საერთაშორისო თა-

ნამშრომლობის მეშვეობით და ყოველი სახელმწიფოს სტრუქტურისა და რესურსების შესაბამისად, ის უფლებები რომლებიც აუცილებელია მისი ღირსების შენარჩუნებისა და პიროვნების თავისუფალი განვითარებისათვის.

მუხლი 23

1. ყოველ ადამიანს აქვს შრომის, სამუშაოს თავისუფალი არჩევის, შრომის სამართლიანი და ხელსაყრელი პირობებისა და უმუშევრობისაგან დაცვის უფლება.
2. ყოველ ადამიანს აქვს უფლება თანაბარი შრომის თანაბრად ანაზღაურებისა ყოველგვარი დისკრიმინაციის გარეშე.
3. ყველ მუშაკს აქვს უფლება იღებდეს სამართლიანსა და დამაკმაყოფილებელ გასამრჯელოს, რომელიც უზრუნველყოფს ღირსეულ ადამიანურ არსებობას თვითონ მისათვის და მისი ოჯახისათვის და რომელსაც, როცა აუცილებელია ემატება სოციალური უზრუნველყოფის სხვა სახსრები.
4. ყოველ ადამიანს აქვს უფლება შექმნას პროფესიული კავშირები და შევიდეს პროფესიულ კავშირებში თავისი ინტერესების დასაცავად.

მუხლი 24

ყოველ ადამიანს აქვს დასვენებისა და მოცალეობის უფლება სამუშაო დღის გონივრული შეზღუდვისა და ანაზღაურებული პერიოდული შვებულების უფლების ჩათვლით.

მუხლი 25

1. ყოველ ადამიანს აქვს უფლება ჰქონდეს ცხოვრების ისეთი დონე, საკვების, ტანსაცმლის, ბინის, სამედიცინო მოვლიოსა და საჭირო სოციალური მომსახურების ჩათვლით, რომელიც აუცილებელია თვითონ მისი და მისი ოჯახის ჯანმრთელობისა და კეთილდღეობის შესანარჩუნებლად, და უფლება უზრუნველყოფილი იყოს უმუშევრობის, ავადმყოფობის, ინვალიდობის, ქვრივობის, მოხუცებულობის ან მისგან დამოუკიდებელ გარემოებათა გამო არსებობის საშუალებათა დაკარგვის სხვა შემთხვევაში.
2. დედობა და ჩვილი ყრმის ასაკი იძლევა განსაკუთრებული მზრუნველობითა და დახმარებით სარგებლობის უფლებას. ყველა ბავშვი, დაბადებული ქორწინებაში თუ ქორწინების გარეშე, უნდა სარგებლობდეს ერთნაირი სოციალური დაცვით.

მუხლი 26

1. ყოველ ადამიანს აქვს განათლების უფლება. განათლება დაწყებითი და ზოგადი მაინც, უფასო უნდა იყოს. დაწ-ყებითი განათლება უნდა იყოს სავალდებულო; ტექნიკუ-რი და პროფესიული განათლება კი საყოველთაოდ ხელმისაწვდომი, უმაღლესი განათლება კი ერთნაირად მისაწვდომი ყველასათვის თვითეულის უნარისამებრ.

2. განათლება მიმართული უნდა იყოს ადამიანის პიროვნების სრული განვითარებისა და ადამიანის უფლებათა და ძი-რითად თავისუფლებათა პატივისცემის გადიდებისაკენ. განათლებამ ხელი უნდა შეუწყოს ყველა ხალხის, ყვე-ლა რასობრივი თუ რელიგიური ჯგუფის ურთიერთ-გაგებას, შემწყნარებლობასა და მეგობრობას და ხელი უნდა შეუწყოს გაერთიანებული ერების ორგანიზაციის მოღვაწეობას მშვიდობის შესანარჩუნებლად.

2. მშობლებს აქვთ პრიორიტეტის უფლება აირჩიონ რა სახის განათლება სურთ თავიანთი მცირეწლოვანი შვილებისათვის.

მუხლი 27

1. ყოველ ადამიანს აქვს უფლება თავისუფლად მონაწილეობდეს საზოგადოების კულტურულ ცხოვრებაში, ტკბებოდეს ხელოვნებით, მონაწილეობდეს მეცნიერულ პროგრესში და სარგებლობდეს მისი სიკეთით.
2. ყოველ ადამიანს აქვს უფლება დაცული იყოს მისი მორალური და მატერიალური ინტერესები, როგორც შედეგი იმ მეცნიერული, ლიტერატურული და მხატვრული ნაშრომებისა, რომელთა ავტორსაც იგი წარმოადგენს.

მუხლი 28

ყოველ ადამიანს აქვს უფლება ისეთ სოციალურსა და საერთაშორისო წესრიგზე, რომლის პირობებში შესაძლებელია ამ დეკლარაციაში ჩამოთვლილ უფლებათა და თავისუფლებათა მთლიანად განხორციელება.

მუხლი 29

1. ყოველ ადამიანს აქვს მოვალეობანი საზოგადოების წინაშე, რადგან მხოლოდ საზოგადოებაშია შესაძლებელი მისი პიროვნების თავისუფალი და სრული განვითარება.
2. თავის უფლებათა და თავისუფლებათა განხორციელებისას ყოველი ადამიანი უნდა განიცდიდეს მხოლოდ ისეთ შეზღუდვას, როგორიც კანონითაა დადგენილი მარტოოდენ იმ მიზნით, რათა უზრუნველყოფილ იქნეს სხვების უფლებათა და თავისუფლებათა ჯეროვანი აღიარება და პატივისცემა და დაკმაყოფილდეს ზნეობის, საზოგადოებრივი წესრიგისა და საერთო კეთილდღეობის სამართლიანი მოთხოვნები დემოკრატიულ საზოგადოებაში.
3. ამ უფლებათა და თავისუფლებათა განხორციელება არავითარ შემთხვევაში არ უნდა ეწინააღმდეგებოდეს გაერთიანებული ერების ორგანიზაციის მიზნებსა და პრინციპებს.

მუხლი 30

ამ დეკლარაციაში არაფერი არ უნდა განიმარტოს, როგორც მინიჭება რომელიმე სახელმწიფოსათვის, პირთა ჯგუფისა თუ ცალი პირებისათვის უფლებისა ეწეოდნენ ისეთ საქმიანობას ან ჩაიდინონ ისეთი ქმედებები, რომლებიც მიმართულია ამ დეკლარაციაში ჩამოთვლილ უფლებათა და თავისუფლებათა მოსასპობად.

საერთაშორისო პაქტი მოქალაქეობრივი და პოლიტიკური უფლებების შესახებ

(არაოფიციალური გადმოცემა)

- *მოცემული პაქტი მიიღო gaeros გენერალურმა ასამბლეამ 1966 წლის 16 დეკემბერს, ხოლო ძალაში შევიდა 1976 წლის 23 მარტს. 2002 წლის ბოლოსათვის პაქტი რატიფიცირებული იყო 148 სახელმწიფოს მიერ.*
- *პაქტი განავრცობს მოქალაქეობრივ და პოლიტიკურ უფლებებსა და თავისუფლებებს, რომლებიც ჩამოთვლილია ადამიანის უფლებათა საყოველთაო დეკლარაციაში.*
- *პაქტის პირველი მუხლის მიხედვით, სახელმწიფოები იღებენ ვალდებულებას წაახალისონ ხალხთა თვითგამორკვევის უფლების განხორციელება და პატივი სცენ ამ უფლებას. პაქტში აღიარებულია, აგრეთვე, ხალხთა უფლება, ამ მიზნის მისაღწევად თავისუფლად ისარგებლონ თავიანთი ბუნებრივი სიმდიდრითა და რესურსებით.*

აღნიშნული პაქტით გარანტირებული უფლებები:

მუხლი 2
უზრუნველყოს, რომ თითეულ პირს, ვისი აღიარებული უფლებები ან თავისუფლებები დაირღვა, ჰქონდეს ეფექტური დაცვის საშუალებები, დამოუკიდებლად იმისა ჩადენილი იყო თუ არა ასეთი დარღვევა პირისაგან ოფიციალურ რანგში.

მუხლი 3
უზრუნველყოფს მამაკაცისა და ქალის უფლებას თანასწორად ისარგებლონ მოქალაქეობრივი და პოლიტიკური უფლებებით.

მუხლი 6
სიცოცხლისა და შეწყალების ან განაჩენის შემსუბუქების უფლება.

მუხლი 7
სასტიკი, არაადამიანური ან ღირსების დამამცირებელი მოპყრობის ან სასჯელისგან დაცვის უფლება.

მუხლი 8
მონობისგან ან დამონებული მდგომარეობისგან დაცვის უფლება.

მუხლი 9
თავისუფლებისა და პირადი ხელშეუხებლობის უფლება. არავინ არ შეიძლება დაპატიმრებული ან დაკავებული იქნას თვითნებურად.

მუხლი 11
არავინ არ შეიძლება იმყოფებოდეს პატიმრობაში იმ საფუძვლით, რომ მას უნარი არ შესწევს შეასრულოს სახელშეკრულებო ვალდებულება.

მუხლი 12
თავისუფალი გადაადგილების უფლება.

მუხლი 14
კანონის წინაშე თანასწორობის უფლება, უდანაშაულობის პრეზუმპცია, ვიდრე დანაშაული არ დამტკიცდება და დამოუკიდებელი და მიუკერძოებელი სასამართლოს მიერ საქმის სამართლიანი და საჯარო განხილვის უფლება.

მუხლი 16
სამართლის სუბიექტად აღიარების უფლება.

მუხლი 17
პირადი ცხოვრების უფლება და მისი კანონიერი დაცვა.

მუხლი 18
აზრის სინდისისა და რელიგიის თავისუფლების უფლება

მუხლი 19
აზრისა და შეხედულებების თავისუფლად გამოხატვის უფლება

მუხლი 20
ომის პროპაგანდისა და ნაციონალური, რასობრივი და რელიგიური სიძულვილის ქადაგების აკრძალვა.

მუხლი 21
მშვიდობიანი შეკრებების უფლება

მუხლი 22
ასოციაციების თავისუფლების უფლება

მუხლი 23
ქორწინებისა და ოჯახის შექმნის უფლება

მუხლი 24
ბავშვთა უფლებები (მცირეწლოვანთა მდგომარეობა, მოქალაქეობა, რეგისტრაცია და სახელი)

მუხლი 25
სახელმწიფო საქმეთა გაძღოლაში მონაწილეობის უფლება, არჩევანის ან ხმის მიცემის უფლება და სახელმწიფო სამსახურში დაშვების უფლება.

მუხლი 26
კანონის წინაშე თანასწორობისა და კანონით თანასწორი დაცვის უფლება.

მუხლი 27
ეთნიკურ, რელიგიურ ან ენობრივ უმცირესობათა უფლება ისარგებლონ საკუთარი კულტურით, იქადაგონ საკუთარი რელიგია და შეასრულონ ღვთისმსახურება, იხმარონ საკუთარი ენა.

პაქტი წარმოადგენს უცილობლად შესასრულებელ დოკუმენტს მონაწილე სახელმწიფოებისათვის; მისი შესრულებას თვალყურს ადევნებს ადამიანის უფლებათა კომიტეტი, რომელიც ჩამოყალიბდა 28-ე მუხლის შესაბამისად.

საერთაშორისო პაქტი ეკონომიკური, სოციალური და კულტურული უფლებების შესახებ

(არაოფიციალური გადმოცემა)

საერთაშორისო პაქტი ეკონომიკური, სოციალური და კულტურული უფლებების შესახებ (1966), ადამიანის უფლებათა საყოველთაო დეკლარაცია (1948) და საერთაშორისო პაქტი მოქალაქეობრივი და პოლიტიკური უფლებების შესახე (1966) შეადგენენ ადამიანის უფლებათა საერთაშორისო ბილს. ადამიანის უფლებათა საყოველთაო დეკლარაციის შესაბამისად, ორივე პაქტი აღიარებს, რომ "...თავისუფალი, შიშისა და გაჭირვებისაგან თავდახსნილი პიროვნების იდეალის მიღწევა შესაძლებელი გახდება მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ყველას თავისი ეკონომიკური, სოციალური და კულტურული უფლებების, ისევე, როგორც სამოქალაქო და პოლიტიკური უფლებების გამოყენების პირობები შეექმნება".

მუხლი 1
ყველა ხალხს აქვს თვითგამორკვევის უფლება. ამ უფლების საფუძველზე ისინი თავისუფლად განსაზღვრავენ თავიანთ პოლიტიკურ სტატუსს და ისწრაფვიან ეკონომიკური, სოციალური და კულტურული განვითარებისაკენ.

მუხლი 2
ამ პაქტის მონაწილე თითოეული სახელმწიფო კისრულობს ვალდებულებას, მისთვის ხელმისაწვდომი რესურსების მაქსიმალური გამოყენებით გადადგას ნაბიჯები ამ პაქტით აღიარებული უფლებების თანდათანობითი, სრული რეალიზაციისათვის. ამ პაქტით გამოცხადებული უფლებების განხორციელება გარანტირებულია ყოველგვარი დისკრიმინაციის გარეშე.

მუხლი 3
ამ პაქტით მონაწილე სახელმწიფოები ვალდებულებას კისრულობენ, უზრუნველყონ მამაკაცისა და ქალისათვის თანასწორი უფლება, ისარგებლონ ამ პაქტით დადგენილი ყველა უფლებით.

მუხლი 4
უფლებების გამოყენების დროს, სახელმწიფოს შეუძლია ამ უფლებების შეზღუდვა კანონით განსაზღვრული წესით, მხოლოდ იმდენად, რამდენადაც ეს შეთავსებადია ამ უფლებათა ბუნებასთან, და მხოლოდ დემოკრატიულ საზოგადოებაში საერთო კეთილდღეობის ხელშეწყობის მიზნით.

მუხლი 5
სახელმწიფოს, ჯგუფს ან პირს არაა აქვს მუფლება ჩაიდინოს რაიმე მოქმედება ამ პაქტით აღიარებული უფლებებისა და თავისუფლებების მოსპობის ან უფრო მეტი მოცულობით შეზღუდვის მიზნით, ვიდრე ეს ამ კონვენციით არის გათვალისწინებული.

მუხლი 6
ყველა ადამიანს აქვს შრომის უფლება, რომელსაც თავისუფლად აირჩევს ან რომლებზეც დათანხმდება.

მუხლი 7
თითეულ ადამიანს აქვს შრომის სამართლიანი და ხელსაყრელი პირობების უფლება, რაც, კერძოდ, გულისხმობს: ანაზღაურებას, რომელიც უზრუნველყოფს მშრომელსა და მის ოჯახს, თანაბარი შრომისათვის თანაბარი ანაზღაურების შესაძლებლობას, უსაფრთხო და ჯანმრთელობის დაცვის მოთხოვნების შესაბამის შრომის პირობებს, მაღალ სამსახურებრივ საფეხურზე დაწინაურების თანაბარ შესაძლებლობას, დასვენებასა და გართობას.

მუხლი 8
თითოეულ ადამიანს აქვს უფლება შექმნას პროფესიული კავშირები და შევიდეს ასეთ კავშირებში, აგრეთვე, გაფიცვების უფლება.

მუხლი 9
ამ პაქტის მონაწილე სახელმწიფოები აღიარებენ თითოეული ადამიანის უფლებას სოციალურ უზრუნველყოფაზე, სოციალური დაზღვევის ჩათვლით.

მუხლი 10
ოჯახს უნდა გაეწიოს შეძლებისდაგვარად ფართო დაცვა და დახმარება. ქორწინება უნდა ხდებოდეს დასაქორწინებელ პირთა თანხმობით. განსაკუთრებულ დაცვას საჭიროებენ დედები. დაცვისა და დახმარების განსაკუთრებული ღონისძიებანი უნდა განხორციელდეს ყველა ბავშვისა და მოზარდის მიმართ ყოველგვარი დისკრიმინაციის გარეშე. ბავშვები და მოზარდები დაცულ უნდა იქნან ეკონომიკური და სოციალური ექსპლუატაციისაგან. ამასთანავე, სახელმწიფოებმა უნდა დააწესონ ასაკობრივი ზღვარი, რომლის ქვემოთაც ბავშვთა ანაზღაურებადი შრომის გამოყენება კანონით აკრძალული და დასჯადი იქნება.

მუხლი 11
თითოეული ადამიანის უფლება აქვს, მას და მის ოჯახს ჰქონდეს ცხოვრების სათანადო დონე, შესაფერისი კვების, ტანისამოსისა და ბინის ჩათვლით; თითოეულ ადამიანს აქვს უფლება არ განიცდიდეს შიმშილს.

მუხლი 12
თითოეულ ადამიანს უფლება აქვს ფიზიკური და ფსიქიკური ჯანმრთელობის უმაღლეს შესაძლო სტანდარტებზე.

მუხლი 13
თითოეულ ადამიანს აქვს განათლების უფლება. დაწყებითი განათლება იყოს ყველასათვის სავალდებულო და უფასო.

მუხლი 14
სახელმწიფო, რომელშიც არ არის სავალდებულო უფასო დაწყებითი განათლება, ვალდებულებას კისრულობს შეიმუშავოს ღონისძიებათა გეგმა, რათა თანდათან განახორციელოს სავალდებულო უფასო განათლების პრინციპი.

მუხლი 15
თითოეული ადამიანს უფლება აქვს მონაწილეობდეს კულტურულ ცხოვრებაში და სარგებლობდეს მეცნიერული პროგრესის შედეგებით.

ინფორმაციის წყარო: მინესოტის შტატის უნივერსიტეტის ადამიანის უფლებათა რესურს ცენტრი, უფლებათა საერთაშორისო ბილი.

ბავშვის უფლებათა კონვენცია

(შემოკლებული ვარიანტი)

- ბავშვის უფლებათა კონვენციამ ადამიანის უფლებათა დოკუმენტებს შორის ყველაზე ფართო საერთაშორისო აღიარება მოიპოვა: დოკუმენტი რატიფიცირებულია მსოფლიოს ყველა სახელმწიფოს მიერ, ორი ქვეყნის გარდა. კონვენცია ერთ დოკუმენტში აერთიანებს ადამიანის უფლებების სრულ სპექტრს, რომლებიც ბავშვებს ეხება – მოქალაქეობრივ, პოლიტიკურ, ეკონომიკურ, სოციალურ და კულტურულ უფლებებს.
- კონვენცია მიიღო gaeros გენერალურმა ასამბლეამ 1989 წლის 20 ნოემბერს, ხოლო ძალაში შევიდა 1990 წლის სექტემბერში.
- კონვენციის 41-ე მუხლში ჩამოყალიბებულია ადამიანის უფლებები, რომელსაც ფლობს თითოეული ბავშვი 18 წლის ასაკამდე და, რომელთა დაცვა და პატივისცემა სავალდებულოა.

მუხლი 1
ბავშვად ითვლება 18 წლამდე ასაკის ყოველი ადამიანი, თუკი რომელიმე ქვეყნის კანონმდებლობის მიხედვით ბავშვი უფრო ადრე არ აღწევს სრულწლოვანებას.

მუხლი 2
ამ კონვენციით გათვალისწინებული უფლებები უზრუნველყო-ფილია თითოეული ბავშვისათვის, ყოველგვერი დისკრიმინაციის გარეშე.

მუხლი 3
ბავშვის მიმართ ნებისმიერ ქმედებისას უპირველესი ყურადღება ეთმობა ბავშვის ინტერესების დაცვის უკეთ უზრუნველყოფას.

მუხლი 5
მონაწილე სახელმწიფოები პატივს მიაგებენ მშობლებისა და სხვა პირების პასუხისმგებლობას, უფლებებსა და მოვალეობებს.

მუხლი 6
ყოველ ბავშვს აქვს სიცოცხლის ხელშეუვალი უფლება.

მუხლი 7
ბავშვს აქვს უფლება, ჰქონდეს სახელი და შეიძინოს მოქალაქეობა, აგრეთვე, უფლებამოსილია იცნობდეს თავის მშობლებს და გარემოსილი იყოს მათი მზრუნველობით.

მუხლი 8
ბავშვს აქვს თავისი ინდივიდუალურობის შენარჩუნების უფლება, მოქალაქეობის უფლების ჩათვლით.

მუხლი 9
ბავშვს უფლება აქვს არ დაშორდეს თავის მშობლებს, იმ შემთხვევათა გამოკლებით, როცა კომპეტენტური ორგანოები, სასამართლო გადაწყვეტილების თანახმად, განსაზღვრავენ, რომ ასეთი დაშორება აუცილებელია და უკეთ ემსახურება ბავშვის ინტერესებს.

მუხლი 12
ბავშვის უფლება აქვს, თავისუფლად გამოთქვას თავისი შეხედულებები ნებისმიერ საკითხზე, რომელიც მას ეხება, ამასთან, ბავშვის შეხედულებებს ეთმობა სათანადო ყურადღება.

მუხლი 13
ბავშვს უფლება აქვს თავისუფლად გამოთქვას თავისი აზრი; ეს უფლება მოიცავს თავისუფლებას, მოიძიოს, მიიღოს ან გადასცეს ნებისმიერი სახის ინფორმაცია ან იდეა.

მუხლი 14
ბავშვს აქვს აზრის, სინდისისა და რელიგიის თავისუფლების უფლება.

მუხლი 15
ბავშვს უფლება აქვს, სარგებლობდეს ასოციაციებისა და მშვიდობიანი შეკრებების თავისუფლებით.

მუხლი 16
ბავშვი არ შეიძლება იყოს პირადი და ოჯახური ცხოვრების, საცხოვრებელი ბინის ხელშეუხებლობის ან კორესპოდენციის საიდუმლოების უფლებათა მის მიერ განხორციელებაში თვითნებური ან უკანონო ჩარევის, ან მისი ღირსებისა და რეპუტაციის უკანონო ხელყოფის ობიექტი.

მუხლი 17
მონაწილე სახელმწიფოები უზრუნველყოფენ ბავშვისათვის ეროვნული და საერთაშორისო წყაროებით გავრცელებული ინფორმაციისა და მასალების მისაწვდომობას.

მუხლი 18
მშობლებს ეკისრებათ ძირითადი პასუხისმგებლობა ბავშვის აღზრდასა და განვითარებაზე.

მუხლი 19
მონაწილე სახელმწიფოები ყველა აუცილებელ საკანონმდებლო, ადმინისტრაციულ, სოციალურ და საგანმანათლებლო ზომას ღებულობენ იმ მიზნით, რათა ბავშვი დაიცვან ყველანაირი ფორმის ფიზიკური თუ ფსიქოლოგიური ძალადობისაგან, შეურაცყოფისა თუ ბოროტად გამოყენებისაგან, მზრუნველობის მოკლებისა თუ დაუდევარი მოპყრობისაგან, უხეში მოქცევისა თუ ექსპლუატაციისაგან.

მუხლი 24
ბავშვს უფლება აქვს, ისარგებლოს ჯანმრთელობის დაცვის სისტემის ყველაზე უფრო სრულყოფილი მომსახურებით და დაავადებათა მკურნალობისა და ჯანმრთელობის აღდგენის საშუალებებით. უპირატესი ყურადღება ეთმობა პირველადი სამედიცინო დახმარების გაწევას.

მუხლი 26
ბავშვს უფლება აქვს, ისარგებლოს სოციალური უზრუნველყოფის ყველა სიკეთით.

მუხლი 27
ყოველ ბავშვს უფლება აქვს, უზრუნველყოფილი იყოს ცხოვრების ისეთი დონით, რომელიც აუცილებელია მისი ფიზიკური, გონებრივი, სულიერი, ზნეობრივი და სოციალური განვითარებისათვის.

მუხლი 28
ბავშვს აქვს განათლების უფლება. ამ მიზნით მონაწილე აწესებენ უფასო და სავალდებულო დაწყებით განათლებას, ხელს უწყობენ, როგორც ზოგად, ისე პროფესიული განათლების სხვადასხვა ფორმების განვითარებას და უზრუნველყოფენ ყველა ბავშვისათვის მათ ხელმისაწვდომობას. სასკოლო დისციპლინის დაცვა უნდა ემყარებოდეს მეთოდებს, რომლებიც ეფუძნება ბავშვის ადამიანური ღირსების პატივისცემას.

მუხლი 29
განათლება მიმართული უნდა იყოს ბავშვის პიროვნების, ნიჭის, გონებრივი და ფიზიკური უნარების განვითარებისაკენ, ბავშვისათვის ადამიანის უფლებებისა და ძირითადი თავისუფლებებისადმი პატივისცემის გაღვივებისაკენ, თავისუფალ საზოგადოებაში ბავშვის შეგნებული ცხოვრებისათვის მომზადებისაკენ ურთიერთგაგების, მშვიდობის, შემწყნარებლობის, თანასწორობის სულისკვეთებით, გარემოსადმი პატივისცემის სულისკვეთებით.

მუხლი 30

ბავშვს უფლება აქვს ისარგებლოს თავისი კულტურით.

მუხლი 31

ბავშვს გააჩნის დასვენებისა და ტავისუფალი დროის ქონის უფლება. მისი ასაკის შესაფერის თამაშობებსა და გასართობ ღონისძიებებში მონაწილეობის უფლება. აგრეთვე უფლება, თავისუფლედ მონაწილეობდე კულტურულ ცხოვრებაში, ეზიაროს ხელოვნებას.

მუხლი 32

ბავშვს უფლება აქვს, დაცული იყოს ეკონომიკური ექსპლუატაციისა და ნებისმიერი სამუშაოს შესრულებისაგან, რომელიც შეიძლება ემუქრებოდეს მის ჯანმრთელობას და ხელს უშლიდეს განათლების მიღებაში, ან ზიანს აყენებდეს მის ჯანმრთელობას და განვითარებას.

მუხლი 33

ბავშვებს უფლება აქვთ დაცულნი იყვნენ ნარკოტიკული ნივთიერებების უკანონო ხმარებისაგან.

მუხლი 34

მონაწილე სახელმწიფოები ვალდებულებას კისრულობენ, დაიცვან ბავშვი სექსუალური ექსპლუატაციისა და სექსუალური ცდუნებისაგან, პროსტიტუციაში ან სხვა უკანონო სექსუალურ პრაქტიკაში, პორნოგრაფიასა და პორნოგრაფიულ მასალებში გამოყენებისაგან.

მუხლი 38

მონაწილე სახელმწიფოები იღებენ ყველა შესაძლო ზომას, რათა უზრუნველყონ, შეიარაღებულ კონფლიქტებში მოხვედრილ ბავშვთა დაცვა და მოვლა-პატრონობა.

მუხლი 40

ყოველი ბავშვს, რომელიც ეჭვმიტანილია კანონის დარღვევაში ან სისხლის სამართლის დანაშაულში, გარანტირებული აქვს: უდანაშაულობის პრეზუმპცია, ვიდრე მისი დანაშაული არ დამტკიცდება, სამართლებრივი დახმარების მიღება დაცვის ან მისი მომზადების განხორციელებისას, ჩვენების მიცემის ან დანაშაულის აღიარების მიზნით მასზე ძალდატანების მოხდენისაგან.

კომვენციის სრული ტექსტი და ფაკულტატური ოქმი ინტერნეტის მრავალ საიტზეა განთავსებული, მათ შორის იუნისეფის (http://www.unicef.org/crc/

ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვის ევროპის კონვენცია

(შემოკლებული ვარიანტი)

კონვენციის თანახმად, რომელიც ხელმოწერილ იქნა რომში 1950წ-ის 4 ნოემბერს და ძალაში შევიდა 1953 წ-ს, მონაწილე სახელმწიფოები უზრუნველყოფენ სამართლებრივი სახელმწიფოსათვის დამახასიათებელი ძირითადი სამოქალაქო და პოლიტიკური უფლებების დაცვას, როგორც თავიანთი მოქალაქეებისათვის, ასევე მათი იურისდიქციის ქვეშ მყოფი ნებისმიერი პირისათვის. სახელმწიფოებს და ცალკეულ პირებს შეუძლიათ მიმართონ საჩივრით კონვენციის თანახმად დაარსებულ ევროსაბჭოს ადამიანის უფლებების სასამართლოს. ამასთანავე, არ არის აუცილებელი, რომ თვით კონვენცია ეროვნული საკანონმდებლო სისტემის ორგანული ნაწილი იყოს, რაც ამტკიცებს საერთაშორისო სამართლის თეორიას, რომ ადამიანის უფლებებს გააჩნიათ ფუნდამენტური ხასიათი, რომელიც მათ სუვერენული სახელმწიფოების საკანონმდებლო და სამართლებრივ სისტემაზე მაღლა აყენებს.

გარანტირებული უფლებები

სიცოცხლის უფლება (მუხლი 2)
მუხლი 2 იცავს ადამიანს სიცოცხლის უკანონო წართმევისაგან სახელმწიფოს მხრიდან. თუმცა ეს მუხლი არ გამორიცხავს სიკვდილით დასჯას, თუკი ის კანონის შესაბამისად ხორციელდება. 1985 წ-ს მიღებულ იქნა ოქმი №6, რომელიც აუქმებს სიკვდილით დასჯას მშვიდობიან პერიოდში. ახალი ოქმი, რომელიც აუქმებს სიკვდილით დასჯას მომზადების პროცესშია.

თავისუფლების და ხელშეუხებლობის უფლება (მუხლი 5)
მუხლი 5 უზრუნველყოფს ადამიანის ფიზიკურ თავისუფლებას, უკანონო დაპატიმრებისა და დაკავებისაგან დაცვის და მისი ზოგიერთი ფუნდამენტური პროცესუალური უფლებების აღიარების საშუალებით. ის გაფართოებულ იქნა №4 ოქმის 1 მუხლის მიღების შედეგად, რომელიც კრძლავს ადამიანის თავისუფლების აღკვეთას ვალის გამო.

სამართლიანი სასამართლო პროცესის უფლება (მუხლი 6)
ამ უფლებას ავსებს მუხლი 13, რომელიც უზრუნველყოფს სამართლებრივი დაცვის ეფექტური საშუალებების გამოყენების უფლებას და ეროვნულ სასამართლო ინსტანციაში საქმის მისაღებ ვადებში განხილვას. საჩივართა უმეტესობა გამოწვეულია სასამართლო საქმეების მისაღებ ვადებში განხილვის უფლების დარღვევის გამო. სამართლიანი სასამართლო პროცესის ცნებას ავსებს პრინციპი „კანონს არ გააჩნია უკუქმედების ძალა“(მუხლი 7), სისხლის სამართლის საქმემების გასაჩივრების უფლება, სასამართლოს შეცდომის შემთხვევაში კომპენსაციის უფლება და უფლება არ იყო განმეორებით გასამართლებული ან დასჯილი ერთიდაიმავე დანშაულისათვის (№7 ოქმის 2,3 და 4 მუხლი)

პირადი ცხოვრების და ოჯახური ცხოვრების პატივისცემის, საცხოვრებლის ხელშეუხებლობის და კორესპონდენციის კონფიდენციალურობის უფლება (მუხლი 8)
შეიძლება დაკავშირებული იყოს ქორწინების და ოჯახის შექმნის უფლებასთან (მუხლი 12)

მეუღლეთა თანასწორი უფლებები და პასუხისმგებლობები ქორწინების მანძილზე (№7 ოქმის მუხლი 5)

საკუთარი აზრის გამოხატვის უფლება (მოიცავს ბეჭდვითი სიტყვის თავისუფლებას) (მუხლი 10)
ეს ფუნდამენტური უფლება ლოგიკურად ავსებს მე-9 მუხლით გარანტირებულ ულებებს (აზრის, სინდისის და რელიგიის თავისუფლება)

შეკრების და ასოციაციების შექმნის თავისუფლება (მუხლი 11)

პირადი საკუთრების პატივისცემის უფლება (№1 ოქმის 1 მუხლი)

განათლების უფლება (№1 ოქმის 2 მუხლი)

თავისუფალი არჩევნების უფლება (№1 ოქმის 3 მუხლი)
ევროსაბჭო და ადამიანის უფლებათა დაცვა

გადაადგილების და საცხოვრებელი ადგილის არჩევის თავისუფლება (№4 ოქმის მუხლი 2)

კონვენციით აკრძალული ქმედებები

წამება, ფიზიკური დასჯა და არაადამიანური, ან დამაცირებელი მოპყრობა, ან დასჯა (მუხლი 3)

მონობა, იძულებითი მომსახურება ან იძულებითი შრომა (მუხლი 4)

კონვენციით გარანტირებული უფლებებისა და თავისუფლებების დისკრიმინაცია (მუხლი 14)

სახელწიფოს მიერ საკუთარი მოქალაქეების გასახლება, ან ამ სახელმწიფოში შესვლის აკრძალვა; ასევე უცხო ქვეყნის მოქალაქეების კოლექტიური გასახლება (№4 ოქმის 3 და 4 მუხლი)

პროცედურული გარანტიების შეთავაზება გასახლების საფრთხის წინაშე მყოფი უცხო ქვეყნის მოქალაქეებისათვის (№7 ოქმის მუხლი 1)

კონვენციის თანახმად ევროპის სასამართლო განიხილავს ფიზიკური პირების საჩივრებს და სახლმწიფოებს შორის საკამათო საკითხებთან დაკავშირებულ საქმეებს. სასამართლოს წევრები აბსოლუტურად დამოუკიდებლები არიან და არჩეულნი არიან საპარლამენტო ასამბლეის მიერ.

ევროსაბჭოს მინისტრთა კომიტეტი ახორციელებს კონტროლს სასამართლოს გადაწყვეტილებების შესრულებაზე. სასამართლოს მიერ გამოვლენილი დარღვევის შემთხვევაში თვალს ადევნებს, რომ მდგომარეობის გამოსასწორებლად სახელმწიფომ მიიღოს შესაბამისი ზომები, მაგ: ახალი ადმინისტრაციული პროცედურების დანერგვის, ან კანონდებლობაში შესწორებების შეტანის საშუალებით.

წყარო: ევროსაბჭო, ადამიანის უფლებების გენერალური დირექტორატი www.humanrights.coe.int

ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვის ევროპის კონვენცია, შეცვლილი და შევსებული № 11 ოქმით

(რომი, 1950 წლის 4 ნოემბერი)

კონვენციის ტექსტში შეტანილი იქნა ცვლილებები იმ დებულებების შესაბამისად, რომლებიც გადმოცემულია: ოქმში № 3 (№ 45), ძალაში შევიდა 1970 წლის 21 სექტემბრიდან, ოქმში № 5 (№ 55), ძალაში შევიდა 1971 წლის 20 დეკემბრიდან და ოქმში № 8 (№ 118), ძალაში შევიდა 1990 წლის 1 იანვარს. იგი შეიცავს, აგრეთვე, ოქმი № 2 (№ 44) ტექსტს, რომელიც მეხუთე მუხლის მესამე პუნქტის შესაბამისად კონვენციის განუყოფელ ნაწილად ითვლება 1970 წლის 21 სექტემბრიდან, ანუ მისი ძალაში შესვლის მომენტიდან. ყველა დებულება, რომლებშიც შეტანილი იქნა ცვლილებები ან დამატებები, ზემოაღნიშნული ოქმების თანახმად, შეიცვალნენ ოქმით № 11 (№ 155), რომელიც ძალაში შევიდა 1998 წლის 1 ნოემბრიდან. ოქმი № 9 (№ 140), რომელიც ძალაში შევიდა 1994 წლის 1 ოქტომბრიდან, გაუქმებულია, ხოლო ოქმმა № 10 (№ 146) დაკარგა თავისი მნიშვნელობა.

- ქვემორე ხელმომწერი მთავრობები, არიან რა ევროპის საბჭოს წევრები, ითვალისწინებენ რა 1948 წლის 10 დეკემბრის გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალური ასამბლეის მიერ გამოცხადებულ ადამიანის უფლებათა საყოველთაო დეკლარაციას;
- ითვალისწინებენ რა იმას, რომ ეს დეკლარაცია მიზნად ისახავს მასში დეკლარირებული უფლებების საყოველთაო და ეფექტური აღიარების უზრუნველყოფასა და დაცვას;
- ითვალისწინებენ რა, რომ ევროპის საბჭო მიზნად ისახავს მის წევრებს შორის უფრო დიდი ერთიანობის მიღწევას და იმას, რომ ამის მიღწეევის ერთ-ერთ მეთოდს წარმოადგენს ადამიანის უფლებათა და ფუნდამენტურ თავისუფლებათა მხარდაჭერა და მათი შემდგომი რეალიზაცია;

ადასტურებენ რა თავიანთ ღრმა რწმენას იმ ფუნდამენტურ უფლებებში, რომლებიც წარმოადგენენ სამართლისა და მსოფლიოში მშვიდობის საფუძველს და რომელთა დაცვაც ხდება ერთის მხრივ, ეფექტური პოლიტიკური დემოკრატიითა და მეორეს მხრივ ადამიანის უფლებათა საერთო გაგებითა და მათი დაცვით, რაზედაც ისინი დამოკიდებულნი არიან.

ადასტურებენ რა თავიანთ ღრმა რწმენას იმ ფუნდამენტურ უფლებებში, რომლებიც წარმოადგენენ სამართლისა და მსოფლიოში მშვიდობის საფუძველს და რომელთა დაცვაც ხდება ერთის მხრივ, ეფექტური პოლიტიკური დემოკრატიითა და მეორეს მხრივ ადამიანის უფლებათა საერთო გაგებითა და მათი დაცვით, რაზედაც ისინი დამოკიდებულნი არიან.

შეთანხმდნენ შემდეგზე:

მუხლი I - ადამიანის უფლებათა პატივისცემის ვალდებულება

მაღალი ხელშემკვრელი მხარეები მათი იურისდიქციის ფარგლებში ყველასათვის უზრუნველყოფენ ამ კონვენციის I ნაწილში განსაზღვრულ უფლებებსა და თავისუფლებებს.

ნაწილი I – უფლებები და თავისუფლებები

მუხლი 2 - სიცოცხლის უფლება

1. ადამიანის უფლება სიცოცხლეზე დაცული იქნება კანონის მიერ. არავის სიცოცხლე არ შეიძლება იყოს განზრახ ხელყოფილი, გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც სრულდება სასამართლოს განაჩენი პიროვნების დამნაშავედ აღიარების შემდეგ და როცა ასეთ სასჯელს ითვალისწინებს კანონი.

სიცოცხლის წართმევა არ ჩაითვლება ამ მუხლის საწინააღმდეგო ქმედებად, თუ იგი წარმოადგენს ძალის გამოყენების შედეგს, რომელიც არ სცილდება აღიარების ფარგლებს:

ა) ნებისმიერი პიროვნების უკანონო ხელყოფისაგან დასაცავად;

ბ) რათა მოხდეს კანონიერი დაპატიმრება, ან აღიკვეთოს კანონიერ-
ად დაკავებული პირის გაქცევა;

გ) ამბოხებისა და ჯანყის ჩასახშობად კანონიერად მიღებული ზომების დროს.

მუხლი 3 - წამების აკრძალვა

არავინ არ შეიძლება გახდეს წამების, არაადამიანური ან დამამცირებელი მოპყრობის ან დასჯის მსხვერპლი.

მუხლი 4 - მონობისა და იძულებითი შრომის აკრძალვა

1. არავინ არ შეიძლება იყოს მონობაში ან ყმობაში;
2. არავის მოეთხოვება ძალდატანებითი ან იძულებითი სამუშაოს შესრულება;
3. ამ მუხლით გათვალისწინებული ტერმინი „ძალდატანებითი ან იძულებითი სამუშაო" არ მოიცავს:

ა) ნებისმიერ სამუშაოს, რომლის შესრულებაც მოითხოვება სასჯელის მოხდის ჩვეულებრივი წესის მიხედვით, რაც დაწესებულია ამ კონვენციის V მუხლის დებულებათა შესაბამისად ან ამგვარი პატიმრობიდან პირობით გამოშვების განმავლობაში;

ბ) ნებისმიერ სამხედრო ხასიათის სამსახურს, ან სამსახურს, განსაზღვრულს სავალდებულო სამხედრო სამსახურის ნაცვლად, იმ ქვეყნებში, სადაც კანონით არის აღიარებული რელიგიურ-ეთნიკური მოტივებით სამხედრო სამსახურზე უარის თქმა;

გ) ნებისმიერ სამსახურს, განსაზღვრულს საგანგებო ან უბედური შემთხვევების დროს, რომელიც საფრთხეს უქმნის ადამიანთა სიცოცხლესა და კეთილდღეობას;

დ) ნებისმიერ სამუშაოს ან სამსახურს, რომელიც ჩვეულებრივ სამოქალაქო
ვალდებულებათა ნაწილს შეადგენს.

მუხლი 5 - თავისუფლებისა და უსაფრთხოების უფლება

1. ყველას აქვს პიროვნების თავისუფლებისა და უსა-ფრთხოების უფლება. არავის წაერთმევა თავისუფლება ქვემოთ ჩამოთვლილი შემთხვევების გარდა და ეს მოხდე-ბა კანონით განსაზღვრული პროცედურების შესაბამისად:

ა) პიროვნების კანონიერი დაკავება, კომპეტენტური სასამართლოს მიერ მისი მსჯავრდებულად აღიარების შემდგომ;

ბ) პიროვნების კანონიერი დაპატიმრება ან დაკავება სასამართლოს კანონიერი ორდერის დაუმორჩილებლობის შემთხვევაში, ან იმ მიზნით, რათა შესრულებულ იქნეს კანონით განსაზღვრული ნებისმიერი ვალდებულება;

გ) პიროვნების კანონიერი დაპატიმრება ან დაკავება, განხორციელებული იმ მიზნით, რათა მოხდეს მისი წარდგენა უფლებამოსილი კანონიერი ხელისუფლების წინაშე, მის მიერ დანაშაულის ჩადენის კანონზომიერი ეჭვის არსებობის შემთხვევაში ან როდესაც დაპატიმრება ან დაკავება კანონზომიერად აუცილებლად განიხილება მის მიერ დანაშაულის ჩადენის ან შემდგომ მისი გაქცევის თავიდან აცილებისათვის;

დ) არასრულწლოვანის დაკავება კანონიერი ორდერით მასზე საგანმანათლებლო ზედამხედველობის მიზნით, ან მისი კანონიერი დაკავება უფლებამოსილი კანონიერი ხელისუფლების წინაშე წარდგენის მიზნით;

ე) პიროვნებათა კანონიერი დაკავება ინფექციური დაავადებების გავრცელების თავიდან აცილების მიზნით; ლოთების, ნარკომანების, მაწანწალებისა და ფსიქიკურად შეშლილი პირების დაკავება;

ვ) პიროვნების კანონიერი დაპატიმრება ან დაკავება მის მიერ ქვეყანაში უკანონოდ შესვლის აღკვეთისათვის ან იმ პიროვნების დაპატიმრება ან დაკავება, რომლის წინააღმდეგაც ხორციელდება ღონისძიებები მისი დეპორტაციისა ან გადაცემისათვის.

2. ყველა დაპატიმრებულს მისთვის გასაგებ ენაზე დაუყოვნებლივ აცნობებენ მისი დაპატიმრების მიზეზებსა და მის წინააღმდეგ აღძრულ ბრალდებებს.
3. ამ მუხლის 1.ც. პარაგრაფის დებულებების შესაბამისად დაპატიმრებული ან დაკავებული ნებისმიერი პირი დაუყოვნებლივ წარედგინება მოსამართლეს ან სხვა მოხელეს, უფლებამოსილს გამოიყენოს სასამართლო ხელისუფლება და მას უფლება მიეცემა ჩატარდეს სასამართლო გონივრულ ვადებში ან განთავისუფლდეს სასამართლომდე. განთავისუფლება შეიძლება განპირობებული იყოს სასამართლოში მოსვლის გარანტიებით.
4. დაპატიმრებით ან დაკავებით თავისუფლებააღკვეთილ ყველა პირს, უფლება მიეცემა განახორციელოს ქმედებანი, რომლითაც მისი დაკავების კანონიერება სწრაფად გადაწყდება სასამართლოს მიერ და განთავისუფლდება, თუკი მისი დაკავება არ არის კანონიერი.
5. ყველა, ვინც გახდა დაპატიმრების ან დაკავების მსხვერპლი ამ მუხლის დებულებათა საწინააღმდეგოდ, ექნება უფლება კომპენსაციაზე.

მუხლი 6 - სამართლიანი სასამართლოების უფლება

1. სამოქალაქო უფლებებისა და მოვალეობების ან ნებისმიერი სისხლის სამართლებრივი ბრალდების განსაზღვრისას ყველას აქვს უფლება მისი საქმის სამართლიან და ღია მოსმენაზე კანონის მიერ შექმნილი დამოუკიდებელი და მიუკერძოებელი ტრიბუნალის მიერ დროის განსაზღვრულ ვადაში. განაჩენი გამოცხადდება საჯაროდ, მაგრამ პრესა და საზოგადოება შეიძლება არ ესწრებოდეს მთელ სასამართლო პროცესს ან მის ნაწილს. დემოკრატიულ სახელმწიფოში მორალის, საზოგადოებრივი წესრიგის ან ეროვნული უსაფრთხოების ინტერესებიდან გამომდინარე, ან როდესაც ამას მოითხოვენ არასრულწლოვანთა ინტერესები ან მხარეთა პირადი ცხოვრების. დაცვა, ან მაშინ, როდესაც, სასამართლოს აზრით, განსაკუთრებულ გარემოებებში ეს უკიდურესად აუცილებელია, რადგან საჯაროობამ შეიძლება ზიანი მიაყენოს მართლმსაჯულების ინტერესებს.
2. ყველა ბრალდებული მიიჩნევა უდანაშაულოდ კანონის შესაბამისად დამნაშავედ ცნობამდე.
3. ყველა ბრალდებულს აქვს უფლებათა შემდეგი მინიმუმი:

   ა) მისთვის გასაგებ ენაზე იყოს სასწრაფოდ და დეტალურად ინფორმირებული მის წინააღმდეგ წაყენებული ბრალდებების ხასიათისა და მიზეზების შესახებ;

   ბ) მიეცეს ადეკვატური დრო და საშუალებები, რათა მოემზადოს დაცვისათვის;

   გ) დაიცვას თავი პირადად ან თავისი არჩეული იურიდიული დახმარების მეშვეობით, თუ მას არ გააჩნია საკმარისი სახსრები სამართლებრივი დახმარების ასანაზღაურებლად, დახმარება გაეწევა მას უფასოდ, თუ მართლმსაჯულების ინტერესები ამას მოითხოვენ;

   დ) დაკითხოს მის წინააღმდეგ ჩვენების მიმცემი მოწმეები ან ჰქონდეს იმის უფლება, რომ ეს მოწმეები იქნენ დაკითხულნი და ჰქონდეს თავის მოწმეთა გამოძახებისა და დაკითხვის უფლება იმავე პირობებით, რომლებიც გამოიყენება მის წინააღმდეგ ჩვენების მიმცემი პირების მიმართ;

   ე) ჰქონდეს თარჯიმნის უფასო დახმარება, თუ მას არ შეუძლია გაიგოს ან ილაპარაკოს სასამართლოს მიერ გამოყენებულ ენაზე.

მუხლი 7 - არავითარი სასჯელი კანონის გარეშე

1. არავინ იქნება აღიარებული დამნაშავედ რაიმე ქმედების ან დაუდევრობის გამო, რომელიც არ წარმოადგენდა სისხლის სამართლის დანაშაულს ეროვნული ან საერთაშორისო სამართლის მიხედვით იმ დროსათვის, როცა ის იქნა ჩადენილი. ასევე არ იქნება გამოყენებული იმაზე უფრო მძიმე სასჯელი, ვიდრე ის სასჯელი, რომელიც გამოიყენებოდა იმ დროისათვის, როცა სისხლის სამართლის დანაშაული იქნა ჩადენილი.
2. ეს მუხლი ხელს არ შეუშლის ნებისმიერი პიროვნების გასამართლებას ან დასჯას რაიმე ქმედების ან დაუდევრობისათვის, რომელიც იმ დროისათვის, როდესაც ის ჩადენილი იქნა, ითვლებოდა სისხლის სამართლის დანაშაულად ცივილიზებული ერების მიერ აღიარებული სამართლის ძირითადი პრინციპების მიხედვით.

მუხლი 8 - პირადი და საოჯახო ცხოვრების პატივისცემა

1. ყველას აქვს უფლება მოითხოვოს თავისი პირადი და საოჯახო ცხოვრების, სახლისა და მიმოწერის პატივისცემა.

2. საჯარო ხელისუფლება არ ჩაერევა ამ უფლების განხორციელებაში, იმ შემთხვევის გარდა, როცა კანონის შესაბამისად ეს დასაშვებია და როცა ეს აუცილებელია დემოკრატიულ საზოგადოებაში ეროვნული უსაფრთხოების, საზოგადოებრივი წესრიგის ან ქვეყნის ეკონომიკური კეთილდღეობის ინტერესებიდან გამომდინარე, უწესრიგობის ან სისხლის სამართლის დანაშაულის აღკვეთისათვის, ჯანმრთელობისა და მორალის, ან სხვების უფლებებისა და თავისუფლებების დაცვისათვის.

მუხლი 9 - აზრის, სინდისისა და რელიგიის თავისუფლება

1. ყველას აქვს აზრის, სინდისისა და რელიგიის თავისუფლების უფლება; ეს უფლება მოიცავს რელიგიისა და რწმენის გაცვლის თავისუფლებას მარტო თუ სხვებთან კავშირში და საჯაროდ თუ კერძოდ, თავისუფლებას გამოამჟღავნოს მისი რელიგია ან რწმენა აღმსარებლობით, სწავლებით, რიტუალების შესრულებითა და დაცვით.
2. ადამიანის რწმენისა და რელიგიის გამომჟღავნების თავისუფლება ექვემდებარება მხოლოდ ისეთ შეზღუდვებს, რომლებიც განსაზღვრულნი არიან კანონით და აუცილებელნი არიან დემოკრატიულ საზოგადოებაში საზოგადოებრივი უსაფრთხოების ინტერესებიდან გამომდინარე, საზოგადოებრივი წესრიგის, ჯანმრთელობის ან მორალის, ან სხვათა უფლებებისა და თავისუფლებების დაცვისათვის.

მუხლი 10 - გამოხატვის თავისუფლება

1. ყველას აქვს გამოხატვის თავისუფლების უფლება. ეს უფლება მოიცავს ადამიანის თავისუფლებას ჰქონდეს მოსაზრებანი; მიიღოს და გაავრცელოს ინფორმაცია და იდეები საჯარო ხელისუფლების ჩარევის გარეშე და საზღვრების მიუხედავად. ეს მუხლი არ შეუშლის ხელს სახელმწიფოებს მოითხოვონ რადიომაუწყებლობის, ტელევიზიის ან კინოწარმოების ლიცენზირება.
2. ამ თავისუფლებათა განხორციელება, იმის გამო, რომ იგი მოიცავს ვალდებულებებსა და პასუხისმგებლობას, შეიძლება დაექვემდებაროს ისეთ ფორმალობებს, პირობებს, შეზღუდვებს ან სასჯელს, რომლებიც გათვალისწინებულნი არიან კანონით და აუცილებელნი არიან დემოკრატიულ საზოგადოებაში ეროვნული უსაფრთხოების, ტერიტორიული მთლიანობის ან საზოგადოებრივი წესრიგის ინტერესებიდან გამომდინარე, უწესრიგობისა და დანაშაულის აღკვეთისათვის, ჯანმრთელობისა და მორალის, სხვათა რეპუტაციის ან უფლებების დაცვისათვის, კონფიდენციალურად მიღებული ინფორმაციის გამჟღავნების თავიდან აცილებისა ან სასამართლოს თავისუფლებისა და მიუკერძოებლობის შენარჩუნებისათვის.

მუხლი 11 - შეკრებისა და გაერთიანების თავისუფლება

1. ყველას აქვს უფლება მშვიდობიანი შეკრებისა და სხვებთან გაერთიანების თავისუფლებაზე, რაც მოიცავს ადამიანის უფლებას შექმნას და გაერთიანდეს პროფკავშირებში თავისი ინტერესების დასაცავად.
2. შეზღუდვები არ დაწესდება ამ უფლებათა განხორციელებაზე იმათ გარდა, რომლებიც განსაზღვრულნი არიან კანონით და აუცილებლობას წარმოადგენენ დემოკრატიულ საზოგადოებაში ეროვნული უსაფრთხოებისა და საზოგადოებრივი წესრიგის ინტერესებიდან გამომდინარე, დანაშაულისა და უწესრიგობის აღკვეთისათვის, ჯანმრთელობისა ან მორალის, სხვათა უფლებებისა და თავისუფლებების დაცვისათვის. ეს მუხლი არ შეუშლის ხელს შეიარაღებული ძალების, პოლიციისა და სამხედრო ადმინისტრაციის წევრების მიერ ამ უფლებების განხორციელებაზე კანონიერი შეზღუდვების დაწესებას.

მუხლი 12 - ქორწინების უფლება

ქორწინების ასაკის ქალებსა და მამაკაცებს აქვთ უფლება დაქორწინდნენ და შექმნან ოჯახი ეროვნული კანონების მიხედვით, რომლებიც აწესრიგებენ ამ უფლების განხორციელებას.

მუხლი 13 - უფლება ეფექტურ ზომებზე

ყველას, ვისაც დაერღვა ამ კონვენციით გათვალისწინებული უფლებები და თავისუფლებები, ექნება ეფექტური ზომების მიღების უფლება ეროვნული ხელისუფლების წინაშე, თუნდაც ეს დარღვევა ჩადენილი იქნეს იმ პირების მიერ, რომლებიც მოქმედებდნენ ოფიციალური უფლებამოსილებით.

მუხლი 14 - დისკრიმინაციის აკრძალვა

ამ კონვენციაში მოცემული უფლებებისა და თავისუფლებების გამოყენება უზრუნველყოფილი იქნება ყველასათვის ნებისმიერ საფუძველზე დისკრიმინაციის გარეშე, ისეთებზე, როგორებიცაა სქესი, რასა, კანის ფერი, ენა, რელიგია, პოლიტიკური ან განსხვავებული აზრი, ეროვნული თუ სოციალური წარმოშობა, გაერთიანება ეროვნულ უმცირესობასთან, ქონება, დაბადება ან სხვაგვარი სტატუსი.

მუხლი 15 - გადახვევა საგანგებო სიტუაციის დროს

1. ომის ან სხვა საზოგადოებრივი საგანგებო სიტუაციის დროს, რომელიც საფრთხეს უქმნიან ერის სიცოცხლეს, ნებისმიერ მაღალ ხელშემკვრელ მხარეს უფლება აქვს მიიღოს ზომები, რომლებიც უხვევენ ამ კონვენციის ხელმოწერით აღებულ ვალდებულებებს, იმდენად, რამდენადაც ეს გამოწვეულია სიტუაციის აუცილებლობით; ამასთან ამგვარი ზომები არ უნდა იყვნენ შეუსაბამო საერთაშორისო სამართლით მასზე დაკისრებულ სხვა ვალდებულებებთან.
2. გადახვევა არ დაიშვება II მუხლიდან, გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც გარდაცვალება წარმოადგენს ომის კანონზომიერ შედეგს, აგრეთვე III, IV (პირველი პარაგრაფი) და VII მუხლებიდან.
3. ნებისმიერი მაღალი ხელშემკვრელი მხარე, რომელიც გამოიყენებს გადახვევის ამ უფლებას, სრულად აცნობებს ევროპის საბჭოს გენერალურ მდივანს მიღებული ზომებისა და მათი მიზეზების თაობაზე. ის აგრეთვე შეატყობინებს ევროპის საბჭოს გენერალურ მდივანს ამ ზომების მოქმედების შეწყვეტისა და კონვენციის დებულებათა ძალაში სრულად შესვლის შესახებ.

მუხლი 16 - უცხოელთა პოლიტიკური საქმიანობის შეზღუდვა
არაფერი, გათვალისწინებული X, XI და XIV მუხლებით შეიძლება განხილულ იქნეს, როგორც მაღალი ხელშემკვრელ მხარის უცხოელთა პოლიტიკური საქმიანობის შეზღუდვაში ხელისშემშლელი ფაქტორი.

მუხლი 17 - უფლებათა ბოროტად გამოყენების აკრძალვა
ამ კონვენციით გათვალისწინებული არც ერთი საკითხი არ შეიძლება იქნეს განმარტებული იმგვარად, რომ ანიჭებდეს უფლებას ნებისმიერ სახელმწიფოს, ჯგუფს ან პიროვნებას რაიმე საქმიანობაში გამოიყენოს ან შეასრულოს რაიმე ქმედება, მიზანმიმართული აქ ჩამოთვლილი ნებისმიერი უფლებისა და თავისუფლების დესტრუქციის ან მათ შეზღუდვაზე უფრო დიდი ზომით, ვიდრე ეს განსაზღვრულია კონვენციით.

მუხლი 18 - უფლებათა შეზღუდვის გამოყენების ლიმიტირება
ამ კონვენციით დაშვებული შეზღუდვები ზემონახსენებ უფლებებსა და თავისუფლებებზე არ გამოიყენება სხვა მიზნებით, იმათ გარდა, რომლებისთვისაც ისინი იქნენ გათვალისწინებულნი.

ნაწილი II - ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლო

მუხლი 19 - სასამართლოს დაარსება
კონვენციისა და მისი ოქმების ხელმომწერ მხარეთა მიერ აღიარებულ ვალდებულებათა შესრულების უზრუნველყოფისათვის დაარსებული იქნება ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლო (შემდგომში „სასამართლო“). იგი იფუნქციონირებს პერმანენტულ საფუძველზე.

მუხლი 20 - მოსამართლეთა რაოდენობა
სასამართლოს მოსამართლეთა რაოდენობა თანაბარი იქნება მაღალ ხელშემკვრელ მხარეთა რაოდენობისა.

მუხლი 21 - მოსამართლეთა არჩევის კრიტერიუმი
1. მოსამართლეები უნდა ხასიათდებოდნენ მაღალი მორალური თვისებებით და უნდა ჰქონდეთ მაღალი თანამდებობის დაკავებისათვის აუცილებელი კვალიფიკაცია ან უნდა იყვნენ აღიარებული კომპეტენციის იურისკონსულები.
2. მოსამართლეები იმსახურებენ სასამართლოში თავიანთი პირადი უფლებაუნარიანობით.
3. მათი უფლებამოსილების ვადის განმავლობაში მოსამართლეები არ უნდა დაკავდნენ ისეთი საქმიანობით, რაც შეუთავსებელი იქნება მათ დამოუკიდებლობასთან და მიუკერძოებლობასთან, ან სრულგანაკვეთიანი სამსახურის მოთხოვნებთან; ყველა საკითხი, რომელიც წარმოიშობა ამ პარაგრფის გამოყენებასთან დაკავშირებით, გადაწყდება სასამართლოს მიერ.

მუხლი 22 - მოსამართლეთა არჩევა
1. მოსამართლეები აირჩევიან საპარლამენტო ასამბლეის ხმების უმრავლესობით თითოეული მაღალი ხელშემკვრელი მხარის სურვილის გათვალისწინებით, მათ მიერ წარმოდგენილი სამი კანდიდატისაგან შემდგარი სიიდან.
2. იგივე პროცედურა იქნება იქნება გამოყენებული სასამართლოს შესავსებად ახალი მაღალი ხელშემკვრელი მხარის მიღებისა და სათანადო ვაკანსიების არსებობის შემთხვევაში.

მუხლი 23 - უფლებამოსილების ვადები
1. მოსამართლეები აირჩევიან ექვსი წლის ვადით. შესაძლებელია მათი ხელახალი არჩევა. ამასთან, პირველ არჩევნებზე არჩეული მოსამართლეების ერთი ნახევრის უფლებამოსილების ვადა ამოიწურება პირველი სამი წლის ბოლოს.
2. მოსამართლეები, რომელთა უფლებამოსილების ვადა უნდა ამოწურულიყო პირველი სამი წლის ბოლოს, აირჩევიან ევროპის საბჭოს გენერალური მდივნის მიერ ჩატარებული კენჭისყრით დაუყოვნებლივ მათი არჩევის შემდეგ.
3. იმისათვის, რომ მოსამართლეთა ნახევრის განახლება ყოველ სამ წელიწადში ერთხელ მაქსიმალურად იყოს უზრუნველყოფილი, საპარლამენტო ასამბლეამ შემდგომი არჩევნების ჩატარებამდე შეიძლება მიიღოს გადაწყვეტილება, რომ ერთი ან მეტი ასარჩევი მოსამართლის უფლებამოსილების ვადა ან ვადები არ განისაზღვროს ექვსი წლით და განისაზღვროს არა უმეტეს ცხრა და არანაკლებ სამი წლისა.
4. იმ შემთხვევაში, როდესაც სახეზეა უფლებამოსილების ერთზე მეტი ვადა და საპარლამენტო ასამბლეა გამოიყენებს წინა პარაგრაფს, ულებამოსილების ვადის განსაზღვრა მოხდება გენერალური მდივნის ან ევროპის საბჭოს მიერ არჩევნების შემდეგ კენჭისყრის დაუყოვნებლივ ჩატარებით.
5. მოსამართლე, რომელიც აირჩევა იმ მოსამართლის შესაცვლელად, რომლის უფლებამოსილების ვადაც არ არის ამოწურული, იმსახურებს მისი მისი წინამორბედის უფლებამოსილების ვადის ამოწურვამდე.
6. მოსამართლეთა უფლებამოსილება იწურება, როდესაც ისინი აღწევენ 70 წლის ასაკს.
7. მოსამართლეები მსახურობენ მათ შეცვლამდე. ამსთან, ისინი გააგრძელებენ მუშაობას იმ საქმეებზე, რომლებიც არის მათი განხილვის ქვეშ.

მუხლი 24 - სამსახურიდან დათხოვნა
დაუშვებელია მოსამართლის დათხოვნა სამსახურიდან, იმ შემთხვევის გარდა, როდესაც სხვა მოსამართლეები ხმების ორი მესამედით გადაწყვეტენ, რომ იგი ვეღარ აკმაყოფილებს მის მიმართ წაყენებულ პირობებს.

მუხლი 25 - რეგისტრაცია და იურიდიული სამდივნოები
სასამართლოს ექნება რეგისტრატურა, რომლის ფუნქციები და ორგანიზაცია განისაზღვრება სასამართლოს რეგლამენტით, სასამართლოს დაეხმარებიან იურიდიული სამდივნოები.

მუხლი 26 - სასამართლოს პლენუმი
სასამართლოს პლენუმი
- ა) აირჩევს სასამართლოს პრეზიდენტსა და ერთ ან ორ ვიცე-პრეზიდენტს სამი წლის ვადით; შესაძლებელი იქნება მათი ხელახალი არჩევა;
- ბ) შექმნის პალტებს დროის განსაზღვრული პერიოდით;
- გ) აირჩევს სასამართლოს პალატების პრეზიდენტებს; შესაძლებელი იქნება მათი ხელახალი არჩევა;
- დ) მიიღებს სასამართლოს რეგლამენტს;
- ე) აირჩევს რეგისტრატორსა და რეგისტრატორის ერთ ან ორ მოადგილეს.

მუხლი 27 - კომიტეტები, პალატები და დიდი პალატები

1. შემოსულ საქმეებს სასამართლო განიხილავს სამი მოსამართლისაგან შემდგარ კომიტეტებში, შვიდი მოსამართლისაგან შემდგარ პალატებსა და ჩვიდმეტი მოსამართლისაგან შემდგარ დიდ პალატაში. სასამართლოს პალატები შექმნიან კომიტეტებს განსაზღვრული ვადით.
2. სასამართლოში იქნება დიდი პალატისა და პალატების ეხ ოფფიციო წევრი, რომელიც აირჩევა საქმეში ჩართული მხარის პრინციპის გათვალისწნებით; თუკი ასეთი წევრი არ იქნება, ან მას არ შეუძლია მოვალეობის შესრულება, სასამართლო აირჩევს პიროვნებას, რომელსაც ექნება მოსამართლის უფლებამოსილება.
3. დიდი პალატა აგრეთვე შედგება სასამართლოს პრეზიდენტისაგან, ვიცე-პრეზიდენტებისაგან, პალატის პრეზიდენტებისა და სხვა მოსამართლეებისაგან, რომელთა არჩევა მოხდება სასამართლოს რეგლამენტის შესაბამისად. როდესაც საქმე გადაეცემა დიდ პალატას, 43-ე მუხლის შესაბამისად, არც ერთი მოსამართლე იმ პალატიდან, რომელმაც გადასცა საქმე დიდ პალატას არ შევა მისი პალატის შემადგენლობაში სასამართლოს პრეზიდენტსა და იმ მოსამართლის გარდა, რომელიც განიხილავდა საქმეს საქმეში ჩართული სახელმწიფო მხარის წესის გათვალისწინებით.

მუხლი 28 - კომიტეტის მიერ საქმის მიუღებლობის გამოცხადება

კომიტეტს ხმების ერთსულოვნებით უფლება აქვს მიუღებლად გამოაცხადოს ან მისი საქმეების სიიდან ამოიღოს ინდივიდუალური განაცხადი, შემოსული 34-ე მუხლის მიხედვით, როდესაც ასეთი გადაწყვეტილება შეიძლება მიღებულ იქნეს შემდგომი განხილვის გარეშე. გადაწყვეტილება საბოლოო იქნება.

მუხლი 29 - პალატების გადაწყვეტილება საქმის მიღების და სათანადო ზომების შესახებ

1. თუკი გადაწყვეტილება არ იქნა მიღებული 28-ე მუხლის შესაბამისად, პალატა მიიღებს გადაწყვეტილებას 34-ე მუხლის მიხედვით შემოსული ინდივიდუალური განაცხადის თაობაზე და სათანადო ზომებზე.
2. პალატა მიიღებს გადაწყვეტილებას 33-ე მუხლის თანახმად შემოსული სახელმწიფოთაშორისი მიმართვების განსახილველად მიღებისა და სათანადო ზომების თაობაზე.
3. გადაწყვეტილება საქმის განსახილველად მიღების თაობაზე მიღებული იქნება განცალკევებით, იმ შემთხვევების გარდა, როდესაც სასამართლო გამონაკლის შემთხვევებში სხვაგვარად გადაწყვეტს.

მუხლი 30 - დიდი პალატისათვის იურისდიქციის გადაცემა

იმ შემთხვევაში, თუ პალატის განხილვის ქვეშ მყოფი საქმე წამოჭრის სერიოზულ საკითხებს, რომლებიც ეხება კონვენციისა და მისი ოქმების განმარტებას, ან როდესაც პალატის მიერ საკითხის გადაწყვეტას შეიძლება მოჰყვეს სასამართლოს მიერ მანამდე მიღებულ გადაწყვეტილებასთან შეუთავსებელი შედეგი, პალატას უფლება აქვს ნებისმიერ დროს გადაწყვეტილების გამოტანამდე გადასცეს იურისდიქცია დიდ პალატას, თუკი საქმის არც ერთი მხარე არ იქნება ამის წინააღმდეგი.

მუხლი 31 - დიდი პალატის უფლებამოსილებანი

დიდი პალატა:

ა) გადაწყვეტს 33-ე ან 34-ე მუხლების მიხედვით შემოსულ საქმეებს, როდესაც რომელიმე პალატა გადასცემს მას იურისდიქციას 30-ე მუხლის შესაბამისად, ან როდესაც მას საქმე გადაეცემა 43-ე მუხლის მიხედვით.

ბ) განიხილავს 47-ე მუხლის მიხედვით შემოსულ თხოვნებს კონსულტატიური მოსაზრებების თაობაზე.

მუხლი 32 - სასამართლოს იურისდიქცია

1. სასამართლოს იურისდიქცია ვრცელდება ყველა საკითხზე, რომელიც ეხება კონვენციისა და მისი ოქმების ახსნა-განმარტებასა და გამოყენებას, როგორც ეს განსაზღვრულია 33-ე, 34-ე და 47-ე მუხლებით.
2. სასამართლო თავად გადაწყვეტს დავას იმის თაობაზე, აქვს თუ არა მას იურისდიქცია კონკრეტულ საქმეზე

მუხლი 33 - სახელმწიფოთაშორისი საქმე

ნებისმიერ მაღალ ხელშემკვრელ მხარეს შეუძლია მიმართოს სასამართლოს სხვა მაღალი ხელშემკვრელი მხარის მიერ კონვენციისა და მისი დებულებების ნებისმიერი დარღვევის თაობაზე.

მუხლი 34 - ინდივიდუალური განაცხადები

სასამართლოს შეუძლია მიიღოს განაცხადები ნებისმიერი პირისაგან, არასამთავრობო ორგანიზაციისა და ფიზიკურ პირთა ჯგუფისაგან, რომლებიც ამტკიცებენ, რომ ისინი არიან ერთ-ერთი მაღალი ხელშემკვრელი მხარის მიერ კონვენციითა და მისი ოქმებით აღიარებული უფლებების დარღვევის მსხვერპლნი. მაღალი ხელშემკვრელი მხარეები მოვალენი არიან არ შეუშალონ ხელი ამ უფლების მაქსიმალურ გამოყენებას.

მუხლი 35 - საქმეების მიღების კრიტერიუმი

1. სასამართლოს შეუძლია მიიღოს საქმე მხოლოდ მას შემდეგ, რაც საერთაშორისო სამართლის საყოველთაოდ აღიარებული წესების თანახმად, ყველა შიდასახელმწიფოებრივი საშუალება ამოიწურება და ამასთან ექვსი თვის ვადაში იმ თარიღიდან, როდესაც საქმეზე საბოლოო გადაწყვეტილება იქნება მიღებული.
2. სასამართლო არ მიიღებს 34-ე მუხლის მიხედვით შემოსულ ინდივიდუალურ საქმეებს, თუკი:

   ა) ის ანონიმურია, ან

   ბ) არსებითად წარმოადგენს იგივე საკითხს, რომელიც უკვე განხილულ იქნა სასამართლოს მიერ, ან გადაეცა საერთაშორისო გამოძიების ან მოგვარების სხვა პროცედურას და არ შეიცავს რაიმე ახალ ინფორმაციას.
3. სასამართლო გამოაცხადებს მიუღებლად ინდივიდუალურ განაცხადს, შემოსულს 34-ე მუხლის მიხედვით, თუკი მიიჩნევს, რომ განაცხადი შეუთავსებელია კონვენციისა და მისი ოქმების დებულებებთან, აშკარად უსაფუძვლოა ან ბორატად იყენებს სასამართლოსადმი მიმართვის უფლება.
4. სასამართლო უარყოფს განაცხადს, რომელსაც იგი მიიჩნევს მიუღებლად ამ მუხლის მიხედვით. სასამართლოს შეუძლია ამის გაკეთება სამართალწარმოების ნებისმიერ ეტაპზე.

მუხლი 36 - მესამე მხარის მონაწილეობა

1. პალატის ან დიდი პალატის მიერ განსახილველ ყველა საქმეში, მაღალ ხელშემკვრელ მხარეს, რომლის ერთ-ერთი მოქალაქეც არის განმცხადებელი, უფლება ექნება წარმოადგინოს წერილობითი კომენტარები და მონაწილეობა მიიღოს საქმის მოსმენაში.
2. სასამართლოს პრეზიდენტს შეუძლია მართლმსაჯულების სათანადოდ განხორციელების ინტერესებიდან გამომდინარე, მოიწვიოს ნებისმიერი მაღალი ხელშემკვრელი მხარე და/ან ნებისმიერი პიროვნება, რომელიც არ არის განმცხადებელი, რათა მათ წარმოადგინონ წერილობითი კომენტარები ან მონაწილეობა მიიღონ საქმის მოსმენაში.

მუხლი 37 - განაცხადის ამოღება სასამართლოს საქმეთა სიიდან

1. სასამართლოს შეუძლია სამართალწარმოების ნებისმიერ ეტაპზე ამოიღოს განაცხადი მის საქმეთა სიიდან, როდესაც საქმის გარემოებებს იგი მიჰყავს იმ დასკვნამდე, რომ:
   ა) განმცხადებელი არ აპირებს ბოლომდე მიჰყვეს მის განაცხადს; ან
   ბ) საკითხი გადაწყდა; ან
   გ) სასამართლოს მიერ დადგენილი ნებისმიერი სხვა მიზეზით აღარ არის გამართლებული განაცხადის განხილვის გაგრძელება. ამასთან, სასამართლო განაგრძობს განაცხადის განხილვას იმ შემთხვევაში, თუკი კონვენციითა და მისი ოქმებით განსაზღვრული ადამიანის უფლებათა პატივისცემა ამას მოითხოვს.
2. სასამართლოს შეუძლია მიიღოს გადაწყვეტილებჰა განაცხადის მის საქმეთა სიაში აღდგენის შესახებ, თუკი მიიჩნევს, რომ საქმის გარემოებანი ამართლებენ ამგვარ ქმედებას.

მუხლი 38 - საქმის განხილვა და მეგობრული მოგვარების პროცედურები

1. თუკი სასამართლო გამოაცხადებს, რომ განაცხადი მიღებულია, იგი:

   ა)შეუდგება საქმის განხილვას მხარეთა წარმომადგენლებთან ერთად, და თუ საჭირო იქნება, ჩაატარებს გამოძიებას, რომლის ეფექტური განხორციელებისათვის შესაბამისი სახელმწიფოები უზრუნველყოფენ ყველა აუცილებელ საშუალებას;
   ბ) შესთავაზებს შესაბამის მხარეებს მის მომსახურეობას საქმის მეგობრული მოგვარების მიღწევის მიზნით; კონვენციითა და მისი ოქმებით განსაზღვრული ადამიანის უფლებების გათვალისწინებით.
2. „ბ“ პარაგრაფით გათვალისწინებული პროცედურები კონფედენციალური უნდა იყოს.

მუხლი 39 - მეგობრული მოგვარების საშუალებების გამონახვა

თუკი მიღწეულია მეგობრული მოგვარება, სასამართლო ამოიღებს საქმეს თავისი სიიდან სათანადო გადაწყვეტილების მიღების გზით, რომელიც შემოიფარგლება ფაქტისა და მიღწეული გადაწყვეტილების მოკლე განცხადებით.

მუხლი 40 - საჯარო მოსმენები და დოკუმენტების მისაწვდომობა

1. სასამართლო მოსმენები იქნება ღია იმ გამონაკლისი შემთხვევების გარდა, როდესაც სასამართლო სხვაგვარად გადაწყვეტს.
2. რეგისტრატორთან შენახული დოკუმენტები ხელმისაწვდომი იქნება საზოგადოებისათვის, თუკი სასამართლოს პრეზიდენტი სხვაგვარად არ გადაწყვეტს.

მუხლი 41 - სამართლიანი დაკმაყოფილება

თუკი სასამართლო დაადგენს, რომ მოხდა კონვენციისა და მისი ოქმების დარღვევა და თუ მაღალი ხელშემკვრელი მხარის შადასახელმწიფოებრივი სამართალი მხოლოდ ნაწილობრივი დაკმაყოფილების საშუალებას იძლევა, სასამართლო აუცილებლობის შემთხვევაში უზრუნველყოფს დაზარალებული მხარის სამართლიან დაკმაყოფილებას.

მუხლი 42 - პალატების გადაწყვეტილებები

პალატების გადაწყვეტილებები საბოლოოა 44-ე მუხლის II პარაგრაფის დებულებების შესაბამისად.

მუხლი 43 - დიდი პალატისადმი მიმართვა

1. პალატის მიერ გადაწყვეტილების მიღების თარიღიდან სამი თვის ვადაში, საქმის ნებისმიერ მხარეს გამონაკლის შემთხვევებში შეუძლია მოითხოვოს საქმის დიდი პალატისათვის გადაცემა.
2. დიდი პალატის ხუთი მოსამართლისაგან შემდგარი კოლეგია მიიღებს თხოვნას იმ შემთხვევაში, თუკი საქმე ეხება კონვენციისა და მისი ოქმების გამოყენებასა და ახსნა-განმარტებასთან დაკავშირებულ საკითხებს, ან სხვა ზოგადი მნიშვნელობის საკითხს.
3. თუკი კოლეგია მიიღებს თხოვნას, დიდი პალატა გადაწყვეტს საქმეს სასამართლო აქტის მიღების გზით.

მუხლი 44 - საბოლოო სასამართლო აქტები

1. დიდი პალატის აქტები საბოლოოა.
2. პალატის განჩინება საბოლოო გახდება,
   ა) როდესაც მხარეები განაცხადებენ, რომ ისინი არ მოითხოვენ საქმის დიდი პალატისათვის გადაცემას;
   ბ) თუკი აქტის მიღების თარიღიდან სამი თვის განმავლობაში არ ყოფილა საქმის დიდი პალატისათვის გადაცემის მოთხოვნა;
   გ) როდესაც დიდი პალატის კოლეგია უარს ეტყვის 43-ე მუხლის შესაბამისად შემოსულ მოთხოვნას.
3. საბოლოო აქტი გამოქვეყნდება.

მუხლი 45 - სასამართლო აქტებისა და გადაწყვეტილებების დასაბუთება

1. განცხადების მისაღებად ან მიუღებლად გამომცხადებელი აქტისა და გადაწყვეტილებების დასაბუთებანი წარმოდგენილ უნდა იქნენ.
2. თუკი აქტი მთლიანად ან მისი რომელიმე ნაწილი არ წარმოადგენს მოსამართლეთა ერთსულოვან აზრს, ნებისმიერ მოსამართლეს უფლება აქვს წარმოადგნოს განსხვავებული მოსაზრება.

მუხლი 46 - სასამართლო აქტებისა სავალდებულო ძალა და მათი აღსრულება

1. მაღალი ხელშემკვრელი მხარეები ვალდებულებას კისრულობენ შეასრულონ სასამართლოს საბოლოო აქტი ნებისმიერ საქმეზე, რომელშიც ისინი მხარები არიან.
2. სასამართლოს საბოლოო აქტი გადაეცემა მინისტრთა კომიტეტს, რომელიც ზედამხედველობას უწევს მის აღსრულებას.

მუხლი 47 —კონსულტატიური მოსაზრებები

1. სასამართლოს, მინისტრთა კომიტეტის თხოვნით, შეუძლია წარმოადგინოს კონსულტატიური მოსაზრებები სამართლებრივ საკითხებზე, რომლებიც ეხება კონვენციისა და მისი ოქმების ახსნა-განმარტებას.
2. ამგვარი დასკვნები არ უნდა ეხებოდეს კონვენციის პირველ ნაწილში და მის ოქმებში განსაზღვრულ უფლებათა და თავისუფლებათა შინაარსთან ან მიზანთან დაკავშირებულ არცერთ საკითხს, რომელსაც სასამართლო ან მინისტრთა კომიტეტი განიხილავს სამართალწარმოების სათანადო წესით, როგორც ეს შეიძლება განსაზღვრულ იქნეს კონვენციის მიხედვით.
3. მინისტრთა კომიტეტის გადაწყვეტილება სასამართლოსათვის კონსულტატიური მოსაზრებების მოწოდების მოთხოვნაზე საჭიროებს კომიტეტში სხდომის უფლების მქონე წარმომადგენელთა ხმების უმრავლესობას.

მუხლი 48 — სასამართლოს–კონსულტატიური იურისდიქცია

სასამართლო წყვეტს შედის თუ არა მის კომპეტენციაში მინისტრთა კომიტეტის მიერ წარდგენილი თხოვნა კონსულტატიური მოსაზრების შესახებ იმგვარად, როგორც ეს დადგენილია 47-ე მუხლით.

მუხლი 49 —კონსულტატიური მოსაზრებების დასაბუთება

1. სასამართლოს კონსულტატიური მოსაზრებების დასაბუთებანი წარმოდგენილნი უნდა იქნენ.
2. თუკი კონსულტაციური მოსაზრება მთლიანად ან მისი რომელიმე ნაწილი არ წარმოადგენს მოსამართლეთა ერთსულოვან აზრს, ნებისმიერ მოსამართლეს უფლება აქვს წარმოადგინოს განსხვავებული მოსაზრება.
3. სასამართლოს კონსულტაციური მოსაზრებები გადეცემა მინისტრთა კომიტეტს.

მუხლი 50 - სასამართლოს ხარჯები

სასამართლოს ხარჯებს დაფარავს ევროპის საბჭო.

მუხლი 51 - მოსამართლეთა პრივილეგიები და იმუნიტეტები

თავიანთი უფლებამოსილებების განხორციელების პერიოდში მოსამართლეებს ენიჭებათ ევროპის საბჭოს წესდების მე-40-ე მუხლით და შესაბამისი შეთანხმებებით უზრუნველყოფილი პრივილეგიები და იმუნიტეტები.

ნაწილი III - სხვადასხვა დებულებები

მუხლი 52 - გენერალური მდივნის მოთხოვნები

ევროპის საბჭოს გენერალური მდივნისაგან მოთხოვნის მიღებისთანავე, ნებისმიერი მაღალი ხელშემკვრელი მხარე მიაწვდის მას ახსნა-განმარტებას იმის თაობაზე, თუ რა გზებით უზრუნველყოფს მისი შიდასახელმწიფოებრივი კანონმდებლობა კონვენციის ნებისმიერი დებულების ეფექტურ განხორციელებას.

მუხლი 53 - ადამიანის არსებული უფლებების დაცვა

ამ კონვენციით გათვალისწინებული არცერთი საკითხი არ შეიძლება განხილული იქნას, როგორც ადამიანის რაიმე უფლების ან ფუნდამენური თავისუფლების დარღვევა ან გადახვევა, რომელიც შეიძლება უზრუნველყოფილი იყოს რომელიმე მაღალი ხელშემკვრელი მხარის სამართლით ან მისი მონაწილეობით მიღებული სხვა შეთანხმებით.

მუხლი 54 - მინისტრთა კომიტეტის უფლებამოსილება

ამ კონვენციით გათვალისწინებული არც ერთი საკითხი არ ზღუდავს ევროპის საბჭოს წესდებით მინისტრთა კომიტეტისათვის მინიჭებულ უფლებამოსილებას.

მუხლი 55 - დავების მოგვარების სხვა საშუალებების გამორიცხვა

მაღალი ხელშემკვრელი მხარეები თანხმდებიან, რომ სპეციალური შეთანხმების გარდა ისინი არ გამოიყენებენ მათ შორის მოქმედ შეთანხმებებს, კონვენციებსა და დეკლარაციებს, იმ მიზნით, რომ პეტიციის გზით დაუქვემდებარონ ამ კონვენციის ახსნა-განმარტებასა და გამოყენებასთან დაკავშირებული დავა მოგვარების სხვა საშუალებებს, რომლებიც არ არიან გათვალისწინებულნი ამ კონვენციით.

მუხლი 56 - კონვენციის მოქმედება ტერიტორიების მიმართ

1. ნებისმიერ სახელმწიფოს რატიფიკაციის დროს ან მის შემდეგ შეუძლია გააკეთოს დეკლარაცია ევროპის საბჭოს გენერალური მდივნის მიმართ იმის თაობაზე, რომ წინამდებარე კონვენცია, ამ მუხლის IV პარაგრაფის შესაბამისად, გავრცელდება მის ყველა ან რომელიმე ტერიტორიებზე, რომელთა საერთაშორისო ურთიერთობებზეც იგი პასუხისმგებელია.
2. კონვენციის მოქმედება გავრცელდება შეტყობინებაში დასახელებულ ტერიტორიაზე ან ტერიტორიებზე, ევროპის საბჭოს გენერალური მდივნის მიერ ამ შეტყობინების მიღებიდან ოცდამეათე დღეს.
3. ამ კონვენციის დებულებანი გამოიყენება ამ ტერიტორიებზე ადგილობრივი პირობების სათანადოდ გათვალისწინებით.
4. ნებისმიერ სახელმწიფოს, რომელმაც გააკეთა დეკლარაცია ამ მუხლის პირველი პარაგრაფის მიხედვით, შემდგომში ნებისმიერ დროს შეუძლია განაცხადოს თავისი ერთი ან მეტი ტერიტორიის სახელით, რომელთაც დეკლარაცია ეხებათ, რომ იგი აღიარებს სასამართლოს უფლებამოსილებას მიიღოს განაცხადები ფიზიკური პირებისაგან, არასამთავრობო ორგანიზაციებისა და ფიზიკურ პირთა ჯგუფისაგან ისე, როგორც ეს განსაზღვრულია კონვენციის 34-ე მუხლით.

მუხლი 57 – დათქმები

1. ნებისმიერ სახელმწიფოს, კონვენციაზე ხელის მოწერისას ან სარატიფიკაციო სიგელის შესანახავად ჩაბარების დროს შეუძლია გააკეთოს დათქმა კონვენციის რომელიმე განსაზღვრული დებულების მიმართ, თუ მის ტერიტორიაზე ძალაში მყოფი რომელიმე კანონი არ შეესაბამება კონვენციის შესაბამის დებულებას. დაუშვებელია საერთო ხასიათის დათქმების გაკეთება ამ მუხლის მიხედვით.

2. ამ მუხლის მიხედვით გაკეთებული ნებისმიერი დათქმა უნდა შეიცავდეს მოკლე განცხადებას სათანადო კანონის შესახებ.

მუხლი 58 - დენონსაცია

1. მაღალ ხელშემკვრელ მხარეს შეუძლია მოახდინოს წინამდებარე კონვენციის დენონსაცია მხოლოდ ხუთი წლის ვადის ამოწურვის შემდეგ იმ თარიღიდან, როდესაც იგი გახდა მისი მხარე და ევროპის საბჭოს გენერალური მდივნისათვის შეტყობინების გაგზავნიდან ექვსი თვის შემდეგ; გენერალული მდივანი შეატყობინებს ამის შესახებ სხვა მაღალ ხელშემკვრელ მხარეებს.
2. ასეთი დენონსაცია ვერ გაათავისუფლებს შესაბამის მაღალ ხელშემკვრელ მხარეს ამ კონვენციით გათვალისწინებული მისი ვალდებულებისაგან რაიმე მოქმედების მიმართ, რომელიც შეიძლება წარმოადგენდეს ამ ვალდებულებათა დარღვევას და შეიძლება მას ჩადენილი ჰქონდეს დენონსაციის ძალაში შესვლამდე.
3. მაღალი ხელშემკვრელი მხარე, რომელიც შეწყვეტს ევროპის საბჭოს წევრობას, ასეთივე პირობებით წყვეტს ამ კონვენციის წევრობას.
4. კონვენციის დენონსაცია შეიძლება მოხდეს წინა პარაგრაფების დებულებათა შესაბამისად, ნებისმიერ ტერიტორიებთან მიმართებით, რომელთა მიმართაც მოხდა მისი დეკლირება 56-ე მუხლის მიხედვით.

მუხლი 59 - ხელმოწერა და რატიფიკაცია

1. ეს კონვენცია ღიაა ხელმოსაწერად ევროპის საბჭოს წევრებისათვის. იგი იქნება რატიფიცირებული. სარატიფიკაციო სიგელი გადაეცემა ევროპის საბჭოს გენერალურ მდივანს.
2. წინამდებარე კონვენცია შევა ძალაში ათი სარატიფიკაციო სიგელის შესანახად ჩაბარების შემდეგ.
3. იმ სახელმწიფოსათვის, რომელიც მოგვიანებით მოახდენს კონვენციის რატიფიცირებას, კონვენცია ძალაში შევა სარატიფიკაციო სიგელის ჩაბარების თარიღისათვის.
4. ვროპის საბჭოს გენერალური მდივანი შეატყობინებს ევროპის საბჭოს ყველა წევრს კონვენციის ძალაში შესვლის თაობაზე, მაღალ ხელშემკვრელ მხარეთა სახელებს, რომელთაც მოახდინეს რატიფიკაცია და სარატიფიკაციო სიგელების შესანახად ჩაბარების შესახებ, რომლითაც კონვენცია ძალაში უნდა შევიდეს.

შესრულებულია რომში 1950 წლის ნოემბრის მეოთხე დღეს ინგლისურ და ფრანგულ ენებზე; ერთ ეგზემპლარად, რომელიც ინახება ევროპის საბჭოს არქივში; ამასთან ორივე ტექსტს აქვს თანაბარი ძალა. გენერალური მდივანი დაგასცემს სერტიფიცირებულ ასლებს თითეულ ხელმომწერს.

ევროპის სოციალური ქარტია

(შემოკლებული ვარიანტი)

ევროპის საბჭოს ხელშეკრულება, რომლითაც გარანტირებულია ადამიანის უფლებები

ევროპის სოციალური ქარტია (შემდგომში ქარტია) აცხადებს უფლებებსა და თავისუფლებებს და აწესებს კონტროლის მექანიზმს, რომელიც მოწოდებულია უზრუნველყოს მონაწილე სახელმწიფოების მიერ აღნიშნული უფლებების და თავისუფლებების დაცვა. ქარტია, რომელიც ძალაში შევიდა 1999 წელს, თანდათანობით ცვლის თავდაპირველ, 1961 წლის ქარტიას.

ქვემოთ მოყვანილი ცხრილი გვიჩვენებს **ქარტიის რატიფიკაციისა და ხელმოწერის ამჟამინდელ მდგომარეობას.**

ქარტიით გარანტირებული უფლებები

ქარტიით ქარანტირებული უფლებები შეეხება თითოეული ადამიანის ყოველდღიურ ცხოვრებას:

საბინაო საკითხები:

- საცხოვრებელი ბინის მშენებლობა ოჯახის მოთხოვნილებების შესაბამისად;
- უბინაოთა რიცხვის შემცირება;
- თითოეული საცხოვრებელი ბინისათვის სანიტარულ ნორმების დაცვის ხელმისაწვდომობა;
- უცხოელთა სოციალური საცხოვრებლის მიმართ სამართლიანი დაშვების პრინციპი.

ჯანდაცვის საკითხები:

- თითოეული ადამიანისათვის ხელმისაწვდომი და ეფექტური სამედიცინო მომსახურება;
- ჯანმრთელობის მდგომარეობის გაუარესების გამომწვევი მიზეზების აღმოფხვრა, უპირველეს ყოვლისა ეკოლოგიის დაცვის გზით;
- პროფესიულ დაავადებათა რისკის აღმოფხვრა, რათა კანონმდებლობაში და პრაქტიკაში გარანტირებული იყოს შრომის უსაფრთხო პირობები.

განათლების საკითხები:

- 15 წლამდე ასაკის პირთა მუშაობის აკრძალვა;
- უფასო დაწყებითი და საშუალი განათლება;
- პროფესიონალური ორიენტაციის უფასო სამსახურები;
- პროფესიული მომზადება და გადამზადება;
- უმაღლესი და საუნივერსიტეტო განათლების ხელმისაწვდომობა პირადი ნიჭიერების საფუძველზე.

დასაქმების საკითხები

- სოციალური და ეკონომიკური პოლიტიკა, რომელიც მოწოდებულია უზრუნველყოს სრული დასაქმების გარანტია;
- საარსებო სახსრების გამომუშავების უფლება თავისუფლად არჩეული შრომითი საქმიანობის მეშვეობით;
- შრომის სამართლიანი პირობების დაწესება სამუშაო დღის ხანგრძლივობისა და ანაზღაურების თვალსაზრისით;
- სექსუალური ძალადობისა და მორალური დამცირების წინააღმდეგ ბრძოლა;
- იძულებითი შრომის აკრძალვა;
- პროფესიული კავშირებისა და მშრომელთა სხვა ორგანიზაციების ჩამოყალიბების უფლება სოციალური და ეკონომიკური ინტერესების დაცვის მიზნით, აგრეთვე, ამ ორგანიზაციებში გაერთიანების თავისუფლება;
- ერთობლივი კონსულტაციების, კოლექტიური მოლაპარაკებების, შერიგების მექანიზმისა და ნებაყოფლობითი არბიტრაჟის წახალისება;
- გაფიცვის უფლება.

თავისუფლად გადაადგილების საკითხები:

- ევროპელი მშრომელებისათვის საიმიგრაციო რეჟიმის გამარტივება;
- ოჯახის შემოერთების უფლება;
- უცხოელი არარეზიდენტების უფლება საგანგებო დახმარების შესახებ, რეპატრიაციის ჩათვლით;
- პროცედურული გარანტიები ქვეყნიდან გაძევების შემთხვევაში.

დისკრიმინაციის დაუშვებლობის საკითხები:

- ქალებისა და კაცებისათვის თანაბარი მოპყრობისა და დასაქმების თანაბარი შესაძლებლობების უფლება;
- ქარტიით გამოცხადებული უფლებების ყველა სფეროში დისკრიმინაციის დაუშვებლობის გარანტია განურჩევლად რასისა, სქესისა, ასაკისა, კანის ფერისა, ენისა, რელიგიისა, შეხედულებებისა, ეროვნებისა, სოციალური წარმომავლობისა, ჯანმრთელობის მდგომარეობისა, ეროვნული უმცირესობების კუთვნილებისა.

სოციალური უფლებების ევროპის კომიტეტი

სოციალური უფლებების ევროპის კომიტეტი (შემდგომში კომიტეტი) თვალს ადევნებს მონაწილე სახელმწიფოების მიერ აღებული ვალდებულებების შესრულებას. მის 12 დამოუკიდებელ და მიუკერძოებელ წევრს ირჩევს ევროპის საბჭოს მინისტრთა კომიტეტი 6 წლის ვადით, უფლებამოსილების ერთი ვადით გაგრძელების უფლებით. კომიტეტი განსაზღვრავს, შეესაბამება თუ არა ქარტიას, იურიდიული თვალსაზრისით, მონაწილე სახელმწიფში არსებული ეროვნული მდგომარეობა (ქარტიის მუხლი 24, შევსებული 1991 წლის ტურინის ოქმით).

კონტროლის პროცედურა ეროვნული მოხსენებების საფუძველზე

ყოველწლიურად, მონაწილე სახელმწიფოები წარადგენენ კომიტეტში მოხსენებას, რომელშიც აღწერილია ქარტიის მიხედვით აღებული ვალდებულებების შესრულება, როგორც კანონმდებლობის, ასევე პრაქტიკის თვალსაზრისით. ყოველი მოხსენება ეხება მხოლოდ სახელმწიფოს მიერ ქარტიით ნაკისრ ვალდებულებებს.

კომიტეტი აანალიზებს მოხსენებებს და იღებს გადაწყვეტილებას ეროვნული მდგომარეობის ქარტიასთან შესაბამისობის შესახებ. ასეთ გადაწყვეტილებებს ეწოდება „დასკვნები“. მათი გამოქვეყნება ხდება ყოველწლიურად.

იმ შემთხვევაში, თუ სახელმწიფო არ იღებს ზომებს სოციალური უფლებების კომიტეტის მიერ მითითებულ შეუსაბამობათა აღმო-

საფხვრელად, ევროპის საბჭოს მინისტრთა კომიტეტი უგზავნის აღნიშნულ სახელმწიფოს *რეკომენდაციას,* რომელშიც მოითხოვს ცვლილებებს კანონმდებლობაში, ან სამართლებრივ პრაქტიკაში. მინისტრთა კომიტეტის სამუშაო მზადდება *სამთავრობო კომიტეტში,* რომლის შემადგენლობაში შედიან ქარტიის მონაწილე სახელმწიფოების წარმომადგენლები და რომელთაც დახმარებას უწევენ ევროპის სოციალური პარტნიორების[1] წარმომადგენლები. მათ მინიჭებული აქვთ დამკვირვებელთა სტატუსი.

კოლექტიური საჩივრების პროცედურა

ოქმი, რომელიც გაიხსნა ხელმოწერისათვის 1995 წელს და ძალაში შევიდა 1998 წელს, იძლევა ევროპის სოციალური უფლებების კომიტეტისადმი საჩივრებით მიმართვის საშუალებას ქარტიის მოთხოვნების დარღვევის შემთხვევაში.

ორგანიზაციები რომლებსაც უფლება აქვთ მიმართონ კომიტეტს:

– სახელმწიფოებისათვის, რომლებმაც მიიღეს შესაბამისი პროცედურა;

1. პროფკავშირების ევროპის კონფედერაცია, საწარმოო კონფედერაციებისა და ევროპის მშრომელთა კავშირი, შრომის საერთაშორისო ორგანიზაცია.
2. არასამთავრობო ორგანიზაციები, რომლებსაც აქვთ ევროპის საბჭოს კონსულტატის სტატუსი და სამთავრობო კომიტეტის მიერ შეყვანილნი არიან შესაბამის სიაში;
3. მშრომელთა ორგანიზაციები და შესაბამისი სახელმწიფოს პროფესიული კავშირები;

– სახელმწიფოებისათვის, რომლებმაც შესაბამისი პროცედურების გარდა მიიღეს დამატებითი გადაწყვეტილებები:

4. ნაციონალური არასამთავრობო ორგანიზაციები.

აღნიშნული საჩივარი უნდა შეიცავდეს:

ა) იმ ორგანიზაციის დასახელებას და მისამართს, რომელსაც შეაქვს საჩივარი;

ბ) იმ ორგანიზაციის წარმომადგენლის შესაბამისი უფლებამოსილებების დამამტკიცებელი საბუთს, რომლიც ხელს აწერს და რომელსაც შეაქვს საჩივარი;

გ) სახელმწიფოს დასახელებას, რომლის წინააღმდეგაც შედის საჩივარი;

დ) ქარტიის იმ მუხლზე მითითებას, რომლის მოთხოვნებიც, სავარაუდოდ, დაირღვა;

ე) საჩივრის ობიექტს, ანუ საკითხს ან საკითხებს, რომელთა მიმართაც შესაბამისმა სახელმწიფომ, სავარაუდოდ, დაარღვია ქარტია; აგრეთვე, აუცილებელ მტკიცებულებებს და დოკუმენტალურ დანართებს.

საჩივრის შეტანა წარმოებს თავისუფალი ფორმით, ზემოთ ჩამოთვლილი მოთხოვნების შესაბამისად, ან არსებული ფორმულარის ბაზაზე. 1 და 2 პუნქტებში აღნიშნული ორგანიზაციები საჩივარს წარადგენენ ინგლისურ ან ფრანგულ ენაზე. 3 და 4 პუნქტებში მოხსენიებული დანარჩენი ორგანიზაციები საჩივარს წარადგენენ შესაბამისი სახელმწიფოს ერთ-ერთ ოფიციალურ ენაზე.

საჩივარს განიხილავს კომიტეტი, რომელიც, თუ საჩივრის წარდგენის პირობები შეესაბამება მოთხოვნებს, იღებს გადაწყვეტილებას მისი მიღების შესახებ.

იმ შემთხვევაში, თუ საჩივარი მიღებული იქნა განსახილველად, იწყება მხარეთა აზრების გაცვლის წერილობითი პროცედურა. გარდა ამისა, კომიტეტს შეუძლია ჩაატაროს საჯარო განხილვა.

შემდგომში, კომიტეტი იღებს გადაწყვეტილებას საჩივრის საფუძვლიანობის შესახებ. იგი ატყობინებს მხარეებს და ევროპის საბჭოს მინისტრთა კომიტეტს თავისი გადაწყვეტილების შესახებ *მოხსენებაში,* რომელიც უნდა გამოქვეყნდეს მხარეებისთვის და მინისტრთა კომიტეტისათვის გადაცემიდან არა უგვიანეს 4 თვისა. აუცილებლობის შემთხვევაში, კომიტეტს შეუძლია რეკომენდაცია გაუწიოს სახელმწიფოს, რათა გადადგას კონკრეტული ნაბიჯები შექმნილი სიტუაციის ქარტიის მოთხოვნილებებთან შესაბამისობაში მოსაყვანად.

სახელმწიფოებში ქარტიის მუხლების შესრულების შედეგები

კონტროლის მექანიზმის მოქმედების შედეგად, სახელმწიფოები ახორციელებენ მრავალრიცხოვან ცვლილებებს კანონმდებლობაში და საკანონმდებლო პრაქტიკაში, რათა მოიყვანონ ისინი ქარტიის მუხლებთან შესაბამისობაში. ცვლილებების დეტალური აღწერის ხილვა (ისევე, როგორც მათი შემდგომი განვითარების) შესაძლებელია ქარტიის სამდივნოს ყოველწლიურ პუბლიკაციაში „Apercu“ (მიმოხილვა) (იხ. ქვემოთ).

დამატებითი ინფორმაცია ქარტიის შესახებ

- ინტერნეტის მონაცემთა ბაზა (http://hudoc.esc.coe.int) ან CD-ROM, რომლებიც აადვილებს ევროპის კომიტეტის პრეცედენტული სამართლის კვლევას სოციალური სამართლის საკითხებზე;
- ქარტიის ოფიციალური ვებ-გვერდი (www.esc.coe.int), სადაც თავმოყრილია სახელმწიფოების მოხსენებები და შესაბამისი ინფორმაცია სახელმწიფოების მიხედვით;
- ყოველწლიური პუბლიკაცია „Apercu“ (მიმოხილვა), სადაც შეკრებილია ინფორმაცია მონაწილე სახელმწიფოების ეროვნული კანონმდებლობის ქარტიასთან შესაბამისობის შესახებ;
- *„Recueil de textes“* (ტექსტების კრებული), სადაც თავმოყრილია ძირითადი ინფორმაცია ქარტიის შესახებ;
- სისტემატურად განახლებადი ბიბლიოგრაფია.

ევროპის სოციალური ქარტიის სამდივნო
ადამიანის უფლებათა გენერალური დირექტორატი
ევროპის საბჭო (Conseil de l'Europe)
F-67075 Stasbourg Cedex
social.charter@coe.int

[1] *პროფკავშირების ევროპის კონფედერაცია, საწარმოო კონფედერაციებისა და ევროპის მშრომელთა კავშირი, შრომის საერთაშორისო ორგანიზაცია.*

ეროვნულ უმცირესობათა დაცვის ჩარჩო კონვენცია

(შემოკლებული ვარიანტი)

მომზადებულია ევროსაბჭოს წევრი ქვეყნების ხელმოსაწერად სტრასბურგში, 1995 წ. 1 თებერვალს. ძალაში შევიდა 1998 წ. 1 თებერვალს.

კონვენცია არის პირველი შესასრულებლად სავალდებულო დოკუმენტი, რომელიც ეხება უმცირესობათა უფლებების დაცვას ზოგადად. მისი მიზანია დაიცვას ეროვნული უმცირესებების არსებობა მხარეების შესაბამის ტერიტორიაზე. კონვენცია ცდილობს დაამკვიდროს უმცირესობების სრული და ეფექტური თანასწორობა სათანადო პირობების შექმნის გზით, რომელიც საშუალებას მისცემს მათ შეინარჩუნონ და განავითარონ თავიანთი კულტურა და თვითმყოფადობა.

კონვენცია აყალიბებს ეროვნულ უმცირესობებთან დაკავშირებულ პრინციპებს საზოგადოებრივი ცხოვრების სფეროში, როგორიცაა:

- დისკრიმინაციის არარსებობა
- ეფექტური თანასწორობის დამკვიდრება
- კულტურის, რელიგიის, ენის და ტრადიციების შენარჩუნება და განვითარება
- თავისუფალი შეკრების უფლება
- ასოციაციების შექმნის უფლება
- აზრის გამოთქმის თავისუფლება
- აზრის, სინდისის და რელიგიის თავისუფლება
- მედიის ხელმისაწვდომობის და გამოყენების უფლება
- ენასთან და განათლებასთან დაკავშირებული თავისუფლებები
- საზღვრებშორისი კონტაქტები და თანამშრომლობა
- ეკონომიკურ, სოციალურ და კულტურულ ცხოვრებაში მონაწილეობა
- ძალდატანებითი ასიმილაციის აკრძალვა

რეგიონალური ენების ან ენობრივ უცირესობათა ევროპის ქარტია

ქარტია, რომლის ტექსტი შედგენილ იქნა ევროპის ადგილობრივი და რეგიონალური ხელისუფლებების მუდმივი კონფერენციის[1] მიერ შემოთავაზებული დოკუმენტის საფუძველზე, კონვენციის სახით მიღებულ იქნა 1992 წლის 25 ივლისს ევროსაბჭოს მინისტრთა კომიტეტის მიერ და ხელმოსაწერად მომზადდა 1992 წლის 5 ნოემბერს სტრასბურგში. ძალაში შევიდა 1998 წლის 1 მარტს.

1. რა მიზნებს ისახავს ქარტია?

ქარტია ეს არის კონვენცია რეგიონალური და უმცირესობათა ენების, როგორც ევროპის კულტურული მემკვიდრეობის ნაწილის, განვითარების შესახებ, რომელსაც განადგურების საფრთხე ემუქრება. მისი პირველადი მიზანია კულტურის შენარჩუნება. ის ვრცელდება რეგიონალურ, უცირესობათა, არატერიტორიალურ და ნაკლებად გამოყენებულ ოფიციალურ ენებზე. ქარტია მოწოდებულია უზრუნველყოს, რამდენადაც ეს შესაძლებელია, რეგიონალური და უნცირესობათა ენების გამოყენება საგანმანათლებლო სფეროში და მასმედიაში, შესაძლებელი გახადოს და ხელი შეუწყოს მათ გამოყენებას საკანონმდებლო და ადმინისტრაციულ კონტექსტში, ეკონომიკურ და სოციალურ ცხოვრებაში, კულტურულ სფეროში და საზღვრებს გარეთ ურთიერთობისთვის.

ქარტია დაფუძნებულია ეროვნული სუვერენიტეტის და ტერიტორიალური მთლიანობის შესაბამის პრინციპებზე. იფიციალურ, რეგონალურ ან უცირესობათა ენებს არ განიხილავს კონკურენციის ან ანტაგონიზმის თვალთახედვით. ერთის განვითარებამ ხელი არ უნდა შეუშალოს მეორის ცოდნას ან გავრცელებას.

განსაზღვრება

ქარტიის განსაზღვრებით, ტერმინი „რეგიონალური ან უმცირესობათა ენები“ აღნიშნავს ენებს, რომლებიც ტრადიციულად გამოიყენება სახელმწიფოს მოცემულ ტერიოტორიაზე ამავე სახელმწიფოს მოქალაქეების მიერ, რომლებიც სახელწიფოს დანარჩენ მოსახლეობასთან შედარებით გაცილებით მცირერიცხოვან ჯგუფს წარმოადგენენ და განსხვავდება ამ სახელმწიფოს ოფიციალური ენისაგან (ენებისაგან); ისინი არ შეიცავენ სახელმწიფო ენის (ენების) დიალექტებს, ან მიგრანტების ენებს.

ტერმინი „არატერიტორიალური ენები“ აღნიშნავს ენებს, რომლებიც გამოიყენება სახელწიფოს მოსახლეობის მიერ, განსხვავდება სახელწიფოს დანარჩენი მოსახლეობის ენის ან ენებისაგან და ტრადიციული გამოყენების მიუხედვად შეუძლებელია მისი დაკავშირება რომელიმე კონკრეტულ რეგიონთან.

ყველა ენისათვის გამოყენებული რვა ძირითადი პრინციპი (ნაწილი II, მუხლი 7)

- რეგიონალური ან უმცირესობათა ენების, როგორც კულტურული სიმდიდირის გამოხატვის საშუალების, აღიარება.
- პატივისცემა ნებისმიერი რეგიონალური ან უმცირესობათა ენების გეოგრაფიული რაიონისადმი.

გადამწყვეტი ზომების მიღების აუცილებლობა რეგიონალური, ან უმცირესობათა ენების მხარდასაჭერად.

- ხელშეწყობა და/ან მხარდაჭერა რეგიონალური ან უმცირესობათა ენების წერით ან ზეპირ მეტყველებაში, საზოგადოებრივ, ან პირად ცხოვრებაში გამოსაყენებლად.
- შესაბამისი ფორმების და საშუალებების უზრუნველყოფა ასეთი ენების სწავლებისათვის სწავლის ყველა შესატყვის სტადიაზე.
- ეროვნებათაშორისი გაცვლის შესაბამისი ფორმების მხარდაჭერა.
- ნებისმიერი გაუმართლებელი განსხვავებების, გამონაკლისების, შეზღუდვების ან პრიორიტეტების აღმოფხვრა, რომელიც დაკავშირებულია რეგიონალური ან უმცირესობათა ენების გამოყენებასთან და მიზნად ისახავს მათი შენარჩუნების ან განვითარების დაბრკოლებას, ან საფრთხის შექმნას.
- ენობრივ ჯგუფებს შორის ურთიერთგაგების დამკვიდრებისათვის ხელის შეწყობა.

2. რა ვალდებულებებს იღებენ სახელმწიფოები?

ქარტია შედგება 2 ძირითადი ნაწილისაგან. ზოგადი ნაწილი შეიცავს პრინციპებს, რომლებიც მოქმდებს ყველა მხარისათვის და ყველა რეგიონალური ან უმცირესობათა ენებისათვის (ნაწილი II); მეორე ნაწილში ჩამოთვლილია კონკრეტული პრაქტიკული ვალდებულებები, რომლებიც შესაძლოა განსხვავებული იყოს სახელმწიფოს, ან ენის მიხედვით (ნაწილი III).

II ნაწილი აყალიბებს ძირითად პრინციპებს და ამოცანებს, რომლებიც წარმოადგენენ პოლიტიკის საფუძელს და რომლებიც აუცილებელ პირობებს ქმნიან მოცემული ენების შენარჩუნებისათვის.

III ნაწილი აკონკრეტებს II ნაწილში მკაფიო წესების სახით დაფიქსირებულ ზოგად პრინციპებს. ეს წესები ეხება განათლების სფეროს, საკანონმდებლო ხელისუფლებას, ადმინისტრაციულ ორგანოებს და სახელმწიფო სამსახურებს, მასმედიის საშუალებებს, კულტურულ ღონისძიებებს და მათი უზრუნველყოფის საშუალებებს, ეკონომიკურ და სოციალურ ცხოვრებას და სამთავრობათაშორისო გაცვლებს. მონაწილე სახელწიფოები ვალდებულებას იღებენ III ნაწილის იმ დებულებების შესრულებაზე, რომელსაც მათ ხელი მოაწერეს. უპირველეს ყოვლისა, მათ უნდა განსაზღვრონ ენები, რომელთა მიმართაც თანახმა არიან გამოიყენონ ეს ნაწილი, შემდეგ მათ უნდა განსაზღვრონ ყოველ მათგანთან დაკავშირებული მინიმუმ 35 ღონისძიება. ბევრი დებულება შეიცავს განსხვავებული სიმკაცრის მქონე რამდენიმე ვარიანტს, როელთაგან ერთ-ერთი შერჩეულ უნდა იქნას ყოველი ენის შესაბამისი მდგომარეობის მიხედვით. საკანონმდებლო ბაზის განვითარების, ან ფინანსური მდგომარეობის ცვლილების შესაბამისად რეკომენდირებულია მონაწილეებმა გააფართოონ მათი ვალდებულებების ჩამონათვალი.

3. როგორ შეიძლება ვუზრუნველყოთ ვალდებულებების შესრულება?

ქარტია ითვალისწინებს მონიტორინგის სისტემას, რომელიც მონაწილე ქვეყნებს, ევროსაბჭოს და ფართო საზოგადოებას საშუალებას აძლევს თვალი ადევნოს მათ შესრულებას.

ა) სახელმწიფოთა ანგარიშები

მონაწილეები სამ წელიწადში ერთხელ ევროსაბჭოს გენერალურ მდივანს წარუდგენენ პერიოდულ მოხსენებებს მათი პოლიტიკის და იმ ზომების შესახებ, რომლებიც მიიღეს მათ მიერ აღებული ვალდებულებების შესასრულებლად. ეს მოხსენებები საჯაროა და მათი ტექსტები შესაძლოა მიიღოთ შესაბამის სახელმწიფოებში ან ევროსაბჭოში.

ბ) დამოუკიდებელ ექსპერტთა კომიტეტის მოხსენება

ქარტია ითვალისწინებს დამოუკიდებელ ექსპერტთა კომიტეტის შექმნას. მის შემადგენლობაში ყოველი მონაწილე ქვეყნიდან ერთი წარმომადგენელი შედის, რომელიც დანიშნულია ევროსაბჭოს მინისტრთა კომიტეტის მიერ მაღალი მორალური თვისებების გათვალისწინებით. ექსპერტთა კომიტეტი პასუხს აგებს ქვეყნების პერიოდული მოხსენებების განხილვაზე და ასევე ნებისმიერი სხვა ინფორმაციის განხილვაზე, რომელიც წარმოდგენილია მონაწილე ქვეყანაში მისი კანონმდებლობის შესაბამისად შექმნილი ორგანოს ან ასოციაციის მიერ და ავლენს ენებისადმი ინტერესს. ექსპერტთა კომიტეტი ამზადებს და წარუდგენს მინისტრთა კომიტეტს საკუთარ მოხსენებას, რომელიც შეიცავს წინადადებებს და რეკომენდაციებს მონაწილე ქვეყნებისათვის.

გ) მინისტრთა კომიტეტის რეკომენდაციები მონაწილე სახელმწიფოებისადმი

ექსპერტთა კომიტეტის მოხსენების განხილვის შემდეგ მინისტრთა კომიტეტმა შესაძლოა მიიღოს გადაწყვეტილება მისი გამოქვეყნების შესახებ. მას ასევე შეუძლია მიიღოს გადაწყვეტილება რეკომენდაციების გაცემის თაობაზე მონაწილე ქვეყნებისათვის აუცილებელი ზომების მიღების შესახებ, რათა მათი პოლიტიკა, კანონმდებლობა და პრაქტიკა შეესაბამებოდეს მათ ვალდებულებებს ქარტიის ჩარჩოებში.

დ) საპარლამენტო ასამბლეის მონიტორინგი

ევროსაბჭოს გენერალური მდივანი ორ წელიწადში ერთხელ საპარლამენტო ასამბლეას წარუდგენს დეტალურ მოხსენებას ქარტიის გამოყენების შესახებ. ეს ევროპის პარლამენტის წევრებს შესაძლებლობას აძლევს იყვნენ ინფორმირებულნი, რათა აუცილებლობის შემთხვევაში განახორციელონ ზეწოლა შესაბამისი ქვეყნების მთავრობებზე და აიძულონ ისინი მიიღონ ადეკვატური ზომები.

ე) არასამთავრობო ორგანიზაციების როლი

სახელმწიფოებმა უნდა განიხილონ არასამთავრობო ორგნიზაციები, როგორც ძირითადი პარტნიორები საერთო მიზნის – ენობრივი მრავალფეროვნების განვითარების – მისაღწევად. ისინი მნიშვნელოვან როლს ასრულებენ, როგორც ქარტიის რატიფიკაციამდე, ასევე რატიფიკაციის შემდეგ. რატიფიკაციამდე ისინი უნდა დაეხმარონ სახელმწიფოს შესაბამისი ენების და III ნაწილის იმ დებულებების შერჩევაში, რომელთა გამოყენებაც სურთ საკუთარ ტერიტორიაზე. მათი როლი მონიტორინგის განხორციელებაში და მოვალეობების შესრულებაში გულისხმობს, რომ მათ უნდა აცნობონ ექსპერტთა კომიტეტს და ეროვნულ მთავრობას ნებისმიერი პრობლემის შესახებ, რომლებიც შესაძლოა წამოიჭრას სახელმწიფოს მიერ ქარტიის დებულებების შესრულების დროს.

დამატებითი ინფორმაცია: ევროსაბჭოს გენერალური დირექტორატი სამართლებრივ საკითხებში, ადგილობრივი და რეგიონალური დემოკრატია (www.local.coe.int)

[1] *მუდმივი კონფერენცია 1994 წელს გადაკეთდა და დაერქვა ევროპის ადგილობრივ და რეგიონალურ ხელისუფლებათა კონგრესი*

ანკეტა შეფასებისა და გამოხმაურებისათვის

ამ ანკეტის შევსება შეგიძლიათ ინტერნეტში შემდეგ მისამართზე: http://www.coe.int/hre

თქვენი კომენტარები დაგვეხმარება კომპასის ახალი გამოცემის მომზადებისას და მომდევნო სემინარების დასაგეგმად. კომპასის შექმნა წარმოადგენდა კონსულტაციების, განხილვებისა და მასალების აპრობირების შემოქმედებით პროცესს. ჩვენთვის ძალზე მნიშვნელოვანია იმის სეტყობა, თუ რამდენად ეხმაურება ეს მასალა მასწავლებლებისა და ახალგაზრდა მუშაკების მოთხოვნილებებს.

1. **მე სახელმძღვანელოთი ვსარგებლობ, როგორც**
(მონიშნეთ თქვენი პასუხი)
- ❑ მასწავლებელი
- ❑ მეთოდისტი
- ❑ ახალგაზრდული მუშაკი
- ❑ ახალგაზრდა მუშაკების ტრენერი
- ❑ ახალგაზრდული ჯგუფის ხელმძღვანელი
- ❑ სხვა რანგში.....

ასაკობრივი ჯგუფი (მონაწილეთა უმეტესობა)
- ❑ 15 წლამსე
- ❑ 15-დან 18 წლამდე
- ❑ 20-დან 25 წლამდე
- ❑ 25-დან 30 წლამდე
- ❑ 30 წელზე უფროსი
- ❑ შერეული ჯგუფო

ძირითადად
- ❑ ფორმალური განათლების სფეროში
- ❑ არაფორმალური განათლების სფეროში

რომელ დონეზე
- ❑ ადგილობრივ დონეზე, გთხოვთ, დააზუსტოთ
.....
- ❑ ნაციონალურ დონეზე, გთხოვთ დააზუსტოთ
.....
- ❑ საერთაშორისო დონეზე

ჩემი ორგანიზაციის ან ინსტიტუტის დასახელება

.....

2. სახელმძღვანელოს სესახებ მე გავიგე / სახელმძღვანელო მომცა

.....

3. მუშაობისას ვიყენებდი სახელმძღვანელოს შემდეგ თავებს და სავარჯიშოებს

.....

.....

4. ჩემთვის ყველასე სასარგებლო თავები და სახელმძღვანელოები

.....

.....

იმიტომ, რომ

.....

.....

5. ჩემთვის ყველაზე ნაკლებად სასარგებლო ნაწილი და სავარჯიშო

.....

.....

იმიტომ, რომ

.....

.....

6. სახელმძღვანელოს საერთო სტრუქტურის ჩემი შეფასება

უსარგებლოა 1 2 3 4 5 უაღრესად სასარგებლოა

7. სახელმძღვანელოში მასალების განთავსების ჩემი შეფასება

არეულია 1 2 3 4 5 ძალზე დალაგებულია

8. სახელმძღვანელოში განთავსებული დამატებითი ინფორმაციის ჩემი შეფასება

არაა საკმარისი 1 2 3 4 5 ამომწურავია

9. სავარჯიშოების რეიტინგი

ცუდი 1 2 3 4 5 საუკეთესო

10. ეს მასალა დაეხმარა მონაწილეებს ჩამოეყალიბებინათ თემის საბაზო შეცნობა

არა 1 2 3 4 5 გააღრმავეს მონაწილეების ცოდნა

11. ამ მასალებმა გავლენა მოახდინეს მონაწილეების შეხედულებებზე და უბიძგეს მათ ემუშავათ საკუთარ თავზე

არა 1 2 3 4 5 შეცვალეს მონაწილეების შეხედულებები

12. არსებობენ ფაქტიური შეცდომები/ ჩემი აზრით, უადგილო ილუსტრაციები/ აზრები, რომლებსაც მე არ ვეთანხმები, მაგალითად

---

13. მთლიანი სახელმძღვანელოს ხელახალი გადასინჯვის შემთხვევაში ჩემი რეკომენდაცია იქნებოდა:

---

14. ცალკეულო თავებისა და სავარჯიშოების ხელახალი გადასინჯვის შემთხვევაში ჩემი რეკომენდაცია იქნებოდა:

---

15. სხვა რესურსები, რომელთა ხილვასაც ვისურვებდი სახელმძღვანელოში (სათაურის, ავტორის, გამომცემლობის, ენის ჩათვლით)

---

16. დამატებითი კომენტარები

სახელი, გვარი, მამის სახელი

გთხოვთ, ეს ანკეტა გააგზავნოთ შემდეგ მისამართზე:

European Youth Center Budapest, Zivatar u. 1-3, H-1024 Budapest, Hungary
Fax; +361 2124076, E-mail: eycb.secretariat@coe.int